საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი

ქართული სამხედრო ტერმინები და განმარტებები სამხედრო დარგების მიხედვით

ლექციების კურსი

თბილისი
2018 წ.

შემდგენელი – პროფესორი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მექმარიაშვილი

ISBN 978-9941-8-0283-6 (PDF)

შ ი ნ ა ა რ ს ი

შეიარაღებული ბრძოლის კანონებისა და კანონზომიერებების, სამხედრო მშენებლობის საერთო საფუძვლებისა და ომის წარმოების საერთო ნიშნების ტერმინოლოგია 1

ხმელეთზე შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების, ზღვაში შეიარაღებული ბრძოლის მეთოდების და ჰაერში და კოსმოსში შეიარაღებული ბრძოლს ტერმინოლოგია 85

შეიარაღებული ძალების მშენებლობის, დაკომპლექტების, საბრძოლო მომზადებისა და სამხედრო სწავლების ტერმინოლოგია 283

შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებებში და ბრძოლებში ჩაბმის და შეიარაღებული ძალების ცალკეული, სპეციალური სახეობების მოქმედებების ტერმინოლოგია 300

სამხედრო სფეროში მატერიალური რესურსების დაგროვების, განაწილების, მათი მოცულობებისა და სახეობების ტერმინოლოგია 399

შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ტერმინოლოგია 440

სამხედრო ისტორიის - ომების ისტორიის და სამხედრო ხელოვნების ისტორიის ტერმინოლოგია 546

სამხედრო სპეციალური მეცნიერებების ტერმინოლოგია 547

დასკვნითი ლექცია - „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“ 635

ლექცია 1–2–3

შეიარაღებული ბრძოლის კანონებისა და კანონზომიერებების, სამხედრო მშენებლობის საერთო საფუძვლებისა და ომის წარმოების საერთო ნიშნების ტერმინოლოგია

1. **აგრესიის აღკვეთა** - სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალის გადამწყვეტი გამოყენება აგრესორზე ზემოქმედების სხვა არასამხედრო საშუალებებთან შეხამებით მისი შეიარაღებული თავდასხმის შესაწყვეტად. ხორციელდება მოწინააღმდეგეზე ჯარების (ძალების) საპასუხო დარტყმების მიყენებით, იმავდროულად, საომარი კონფლიქტის ადრეულ სტადიაში ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და წინააღმდეგობის სხვა ღონისძიებების გამოყენებით. მათი მიზანია თავიდან აიცილონ აგრესიის ესკალაცია და ხელი შეუწყონ თავდასხმის მსხვერპლი ქვეყნისთვის მისაღები პირობებით შემდგომ მოგვარებას.
2. **აგრესიის მოგერიება** – შეიარაღებული ძალების ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების და მოქმედებების ერთობლიობა, რომელთა მიზანია აგრესორის მიერ სახელმწიფოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გეგმების ჩაშლა. მის განსახორციელებლად მოწინააღმდეგეს აყენებენ დარტყმებს ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაზე და კოსმოსურ სივრცეში, რათა სტრატეგიული (ოპერატიული) გაშლისას ჯარების (ძალების) ნაწილმა შეინარჩუნონ თავიანთი სამხედრო პოტენციალის ძირითადი ნაწილი და შექმნან პირობები აგრესორის სრული განადგურებისთვის.
3. **ადგილობრივი თავდაცვა** – რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში იმ საშიშროებისგან დაცვის ღონისძიებების სისტემა, რომელიც იქმნება საომარი მოქმედებების და საგანგებო სიტუაციების დროს. ხორციელდება გარნიზონებში, სამხედრო ობიექტებზე (არსენალებში, ბაზებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, სამხედრო სასწავლებლებში) და სამხედრო ქალაქებში.
4. **ანექსია** – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ძალადობრივი მიერთება (ხელში ჩაგდება); ხალხის სხვა ქვეყნის საზღვრებში ძალით დატოვება; ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის სამართალსაწინააღმდეგო გავრცელება იმ ტერიტორიულ სივრცეებზე, რომელიც იმყოფება საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივ გამოყენებაში (კოსმოსი, ღია ზღვა და სხვ.). საერთაშორისო სამართლის მიხედვით ანექსია არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება და განიხილება როგორც აგრესია.
5. **არაბირთვული ზონა -** ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონა, სადაც ხელშეკრულების შესაბამისად აკრძალულია მისი გამოცდა, წარმოება, განთავსება, შენახვა, ტრანზიტი და გამოყენება (მასზე ან მის წინააღმდეგ).
6. **არამეომარი სახელმწიფო** – ტერმინი, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის დროს ახასიათებდა ქვეყანას, რომელმაც ცალმხრივად განაცხადა, რომ არ დაიცავს ნეიტრალიტეტს, მაგრამ ამავდროულად ომში რომელიმე მხარის სასარგებლოდ არ ჩაერთვება.
7. **არმიის მორალური სულისკვეთება** – არმიის პირადი შემადგენლობის შეგნების მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს შეიარაღებული ძალების სულიერ

შესაძლებლობებს და მზადყოფნას თავისი დანიშნულების და დასახული ამოცანების შესაბამისად მოქმედებისთვის; სულიერი პოტენციალის გამოვლინების და რეალიზების ფორმა.

8. **ატლანტიკაზე ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობა -** მისი შტაბი განლაგებულია აშშ-ში, ვირჯინიის შტატი, ქ. ნორფოლკი. მისი პასუხისმგებლობის ზონა გადაჭიმულია ჩრდილოეთ პოლუსიდან კიბოს ტროპიკამდე და ჩრდილო ამერიკის ნაპირისპირა წყლებიდან ევროპის და აფრიკის ნაპირისპირა წყლებამდე პორტუგალიის ჩათვლით, მაგრამ ლამანშის ყურის და ბრიტანული კუნძულების გამოკლებით.
9. **ბირთვული ომი** – ომი, რომელშიც დაზიანების მთავარ საშუალებას ბირთვული იარაღი წარმოადგენს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განიხილებოდა მხოლოდ ყოვლისმომცველი ბირთვული ომის შესაძლებლობა, რომელიც ხასიათდებოდა ყველა სახის ბირთვული იარაღის ბრძოლის სხვა საშუალებებთან შეხამებით შეუზღუდავი, მასირებული და დროში კონცენტრირებული გამოყენებით. ასეთ ომში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ერთვება ყველა ან მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა. მისი მეორადი შედეგები (ე.წ. „ბირთვული ღამე“, „ბირთვული ზამთარი“) გავრცელდებოდა მთელ დედამიწაზე, რაც გამოიწვევდა ცივილიზაციის განადგურებას, გლობალურ ეკოლოგიურ კატასტროფას. მე-20 საუკუნის 50-იან წლების მეორე ნახევრიდან წამოყენებულ იქნა ბირთვული იარაღის შეზღუდვის კონცეფცია. დღესაც მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები გამოდიან ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის გასაძლიერებლად და შემდგომში აკრძალვისთვის.
10. **ბირთვული სტრატეგია** – კონცეფცია, რომელიც გამოხატავს ბირთვულ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეხედულებებს ბირთვული ძალების მშენებლობაზე, გამოყენების პრინციპებზე და მათ როლზე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. თითოეულ ბირთვულ სახელმწიფოს აქვს თავისი სტრატეგია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით.
11. **ბირთვული უსაფრთხოება** – 1. ბირთვულ ობიექტებზე ორგანიზაციულ–ტექნიკური ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია ხალხზე და გარემოზე საშიში და მავნე ფაქტორების ზემოქმედების მაქსიმალურ შემცირებაზე და გამორიცხვაზე; 2. ბირთვული საფრთხის წყაროს შემცველი ობიექტის თვისება, არ დაუშვას მათი გამოვლინება მოთხოვნილი ალბათობით, მოცემული დროის განმავლობაში.
12. **ბირთვული შეტევა** – ომის საწყის ეტაპზე ბირთვული იარაღის გამოყენების ხერხი. ტერმინი “ბირთვული შეტევა” გაჩნდა აშშ-ში 50-იან წწ. აშშ-ის სამხედრო თეორეტიკოსთა შეხედულებისამებრ, ბირთვული შეტევა შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე მასირებული ბირთვული დარტყმისგან და გრძელდებოდეს რამდენიმე დღეს, სანამ არ გამოილევა ბირთვული საბრძოლო მასალების ძირითადი მარაგი. გლობალური მასშტაბის ბირთვულ შეტევაში მთავარი როლი განეკუთვნება სტრატეგიულ ძალებს: კონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებს, ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილ ატომურ წყალქვეშა ნავებს და სტრატეგიულ ბომბდამშენებს; ომის თეატრსა და საომარი მოქმედების თეატრში – საშუალო სიშორის ტაქტიკური და საგემბანო (ავიამზიდების) ავიაციის ფრთოსან და ბალისტიკურ რაკეტებს, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ რაკეტებს, აგრეთვე არტილერიას, რომელიც

ბირთვულ საბრძოლო მასალებს იყენებს. ბირთვულ შეტევაში გადამწყვეტად ითვლება პირველი მასირებული ბირთვული დარტყმა.

13. **ბირთვულ-სარაკეტო დარტყმის შესახებ გაფრთხილების სისტემა** – აშშ-ის სამხედრო ორგანიზაციის ზოგადი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს კოსმოსურ საშუალებებს, ბალისტიკური რაკეტების გაშვების აღმოჩენის (მიკვლევის) სისტემას და ბალისტიკური რაკეტების ფრენის ტრაექტორიებზე აღმოჩენის სახმელეთო რადიოლოკაციურ სისტემებს („ბიმიუს", „პარქს" და სხვ.). მშვიდობიან დროს ამ საშუალებათა ნაწილი გამოიყენება კოსმოსური სივრცის კონტროლისა და დაზვერვისთვის.
14. **გადაადგილებული პირი** – სამოქალაქო პირი, რომელიც იძულებული გახდა ომის, რევოლუციის, ბუნებრივი ან ტექნოგენური უბედურების გამო სხვა ადგილზე გადაადგილებულიყო. მათ განეკუთვნება: ადგილნაცვალი პირები, ლტოლვილები, ევაკუირებულები, სამშობლოდან დევნილები ან ომის მსხვერპლნი.
15. **"გადაბუგული მიწის" ტაქტიკა** – მოწინააღმდეგის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა ნაგებობების, გზების, მატერიალურ საშუალებათა მარაგების, ნათესების, კულტურის ძეგლების და ა.შ. განზრახ განადგურება. ცნობილია ვანდალების, ჰუნების გამაჩანაგებელი შემოსევების, თათარ–მონღოლთა დამპყრობლური ომების დროიდან. „გადაბუგული მიწის" ტაქტიკის მეთოდების გამოყენება გადაჭრით არის დაგმობილი საერთაშორისო შეთანხმებით, კერძოდ, ჰააგის 1899, 1907-ის კონვენციების და ჟენევის 1949 კონვეციების გადაწყვეტილებით, აგრეთვე გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1970-ის დეკემბრის და 1974-ის დეკემბრის გადაწყვეტილებით.
16. **გადასვლის სტრატეგია** - მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის ამოცანის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი ოპერაციის დამთავრების პირობების მისაღწევად წარმატებულ დინამიკას. ეს არის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მხარეების მიერ შესაბამისი ხელშეკრულებების დებულებების დაცვას, საშუალებას მოგვცემს მშვიდობის შენარჩუნების ძალების რიცხოვნობის, როლის და მნიშვნელობის შემცირებას. იმის შესაბამისად, რომ პოლიტიკურ და სამოქალაქო ინსტიტუტებს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს სამხედროებისაგან გადაეცემათ უფრო მეტი ხარისხის პასუხისმგებლობა, პერიოდულად ხორციელდება ოფიციალური შეფასების პროცესი. ეს ხელს უწყობს ხელმძღვანელობის და რეკომენდაციების უზრუნველყოფას ძალების შემცირების მაშტაბების მიმართულებით, მათი შემდგომი გამოყვანის მიზნით.
17. **გაერთიანებული** – მცნება, რომელიც ასახავს სხვადასხვა სამხედრო ფორმირებებში შეიარაღებული ძალების რამდენიმე სახეებიის ნაწილებისა და ქვედანაყოფების მონაწილეობას.
18. **გაერო-ს იძულების ზომები** - გაერო-ს მიერ თავისი წესდების საფუძველზე გამოყენებული ზომების სისტემა იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც მსოფლიოს საფრთხის, მშვიდობის დარღვევის ან აგრესიის ჩამდენად გვევლი- ნებიან. ეს ზომები შესაძლოა გამოყენებულ იქნას შეიარაღებული ძალების ჩართვის გარეშე (ეკონომიკური ბლოკადა, რკინიგზის ან საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტა და სხვა), ან შეიარაღებული ძალების ჩართვით.

19. **გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მისია** – მსოფლიო გაერთიანების წარმომადგენლობები, რომლებიც გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, საერთაშორისო კონფლიქტების რაიონებში სამხედრო-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების განვითარების, ცეცხლის შეწყვეტის ან დაზავების შეთანხმებების დაცვისადმი კონტროლისთვის იქმნება, აგრეთვე იმ ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, რომელიც საჭიროა მშვიდობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად; მშვიდობის აღდგენის და ხელშეწყობის ოპერაციების ერთ-ერთი ფორმა. თავის ამოცანებს სამხედრო დამკვირვებლების მისიები ასრულებენ სტაციონარული და მოძრავი საგუშაგოებიდან თვალთვალის, ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვის, ჯარების დისლოკაციის რაიონების და დემილიტარიზებული ზონების პატრულირების და ინსპექტირების გზით. სამხედრო დამკვირვებლების მისიები კომპლექტდება უპირატესად ოფიცრებით, რომლებსაც გაეროს წევრი ქვეყნები შესაბამის შეთანხმებათა საფუძველზე გამოყოფენ. იქმნება 1948 წლიდან.
20. **გამალებული შეიარაღება** – იარაღის და ტექნიკის დაჩქარებული შემუშავების, წარმოების და დაგროვების, ეკონომიკის, მეცნიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების მილიტარიზაციის ბაზაზე მათი თვისებრივი სრულყოფის პროცესი. ომის შემდგომ პერიოდში გამალებული შეიარაღების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სტრატეგიული და ოპერატიულ–ტაქტიკური ბირთვული იარაღის არსებულ სახეობათა განუწყვეტელი სრულყოფის გზით ახალი ნიმუშების შემუშავება, გამოცდა და დანერგვა; იარაღის ახალი კლასის – თავდაცვითი, დარტყმითი და უზრუნველმყოფი კოსმოსური ბაზირების საშუალებების შემუშავება; ისეთი მასობრივი დაზიანების იარაღის შექმნა, რომელიც ეფუძნება სხვაგვარ (გამოყენებულთან შედარებით) ფიზიკურ პრინციპებს და თვისებებს (ლაზერული, ნეიტრონული, კონური, გეოფიზიკური და სხვ.); მაღალი სიზუსტის იარაღის სხვადასხვა სისტემების შემუშავება და სხვ.
21. **გამგზავნი ქვეყანა** – მრავალეროვნული ჯარების (ძალების) გადაადგილების და ტრანსპორტირებისას-სახელმწიფო, რომელიც ეროვნულ ჯარებს და/ან ეროვნულ ფორმირებებს მრავალფეროვნული ძალების შემადგენლობაში . აგზავნის ან მონაწილეობს გაგზავნაში ან გაშლაში. გამგზავნმა ქვეყანამ შესაძლებელია მიმართოს მიმღებ ქვეყანას ზურგის და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოთხოვნით ჯარების (ძალების) საომარი მოქმედებების თეატრში ტრანზიტის ან ყოფნის პერიოდში.
22. **„გამოუცხადებელი ომი“** –მოწინააღმდეგის მოქმედებების პირობითი სახელწოდება, რომელსაც ერთი სახელმწიფო (სახელმწიფოთა ჯგუფი) უწევს ორგანიზაციას და ახორციელებს, როგორც წესი, სხვა ხალხების და ქვეყნების წინააღმდეგ შეიარაღებული საშუალებების და საომარი მეთოდების გამოყენებით ისე, რომ არ წარმოადგენს მეომარ მხარეს. ხორციელდება მრავალფეროვანი ხერხებით, რომელთა შორის არის: ეკონომიკური ბლოკადა, დიპლომატიური იზოლაცია, პოლიტიკური კონფრონტაცია; სასაზღვრო ინციდენტების და კონფლიქტების პროვოცირება; ძალის დემონსტრაცია, სამხედრო ყოფნის, ძალის გამოყენებით მუქარის გაძლიერება; სეპარატისტული, ნაციონალისტური და სხვა მოძრაობების გაღვივება და მხარდაჭერა და ა.შ.

23. **გამოყოფადი, მაგრამ არაცალკეული –** პრინციპი, რომელიც არეგულირებს ჩრდილოატლანტიკური კავშირის მიერ მხარდაჭერის გაწევა საკითხის დასავლეთევროპული კავშირის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ოპერაციებში, რომელიც ტარდება, როგორც ევროპული უსაფრთხოების და თავდაცვის შემადგენელის განვითარების შემადგენელი ნაწილი. მხარდაჭერილია 1994 წელს ბრიუსელის უმაღლესი ონის შეხვედრაზე და შემდგომ პერიოდში არაერთხელ იყო დადასტურებული. ამ პრინციპის შესაბამისად ჩრდილოატლანტიკური კავშირი არ დაუჭერს მხარს სპეციალურ ან ცალკეულ ძალებს და საშუალებებს, გარდა მსგავსი დახმარების აღმოჩენისა. უსაფრთხოებას და თავდაცვის ევროპული შემადგენელის მიზნებისათვის ძალები და საშუალებები ერთჯერადად შეიძლება გამოიყოს ჩრდილოატლანტიკური კავშირის ძალების და საშუალებების ერთობლიობიდან.
24. **განიარაღება –** ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ომის წარმოების საშუალებათა შეზღუდვის, შემცირების ან ლიკვიდაციისთვის. შეიძლება ხორციელდებოდეს ან როგორც ცალკეული სახელმწიფოს ცალმხრივი აქცია, ან როგორც საერთაშორისო პროცესი ორი ან მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ან/და, როგორც გამარჯვებულის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგისთვის იძულებით თავსმოხვეული ღონისძიება. საყოველთაო და სრული განიარაღება გულისხმობს, ომის წარმოების მთელი მატერიალური საშუალებების ლიკვიდაციას, მათ შორის შეიარაღებული ძალების დაშლას, სამხედრო დაწესებულებათა გაუქმებას, შეიარაღების წარმოების შეწყვეტას, სამხედრო სწავლების და სამხედრო მიზნებისთვის სახსრების ხარჯვის შეწყვეტას და სხვ. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის გაჩენის შემდეგ განიარაღება გადაიზარდა თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად, გახდა გაერო-ს მუდმივი ყურადღების საგანი, რომლის წესდებაც განიარაღების პრინციპს თანამშრომლობის ზოგად საერთაშორისო – სამართლებრივ პრინციპთა რიცხვს მიაკუთვნებს, მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში.
25. **განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლი** – საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობის განმტკიცებისათვის მიმართული ძალისხმევა, რომელიც მიიღწევა ჯარების რიცხოვნობის და შეიარაღების დონის შემცირებით შეთანხმებებისა და ნდობის ამაღლების ეფექტურობის და შემოწმების საშუალებით.
26. **გარე სამხედრო საფრთხე –** სამხედრო უსაფრთხოების მუქარა, რომლის წყარო იმყოფება ეროვნულ საზღვრებს გარეთ. შეიძლება გამოწვეულ იქნას: ტერიტორიული პრეტენზიებით; ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევით; სახელმწიფოს საზღვრის სიახლოვეს ან მოკავშირეების საზღვრებთან შეუიარაღებელი კონფლიქტების კერების არსებობით; შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების შექმნით, რომლებიც იწვევს ჩამოყალიბებულ ძალთა ბალანსის რღვევას.
27. **გაღრმავებული პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" –** ღონისძიებების ფართო სპექტრი, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წლის გაზაფხულზე და მიზნად ისახავდა პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" გაძლიერებას სამი ძირითადი მიმართულებით: ამ პროგრამის ფარგლებში პოლიტიკური კონსულტაციები, მისი ოპერატიულობის ხარისხის ამაღლება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარტნიორობის სახელმწიფოების მონაწილეობის გაფართოება და პარტნიორების საკითხების ოპერატიული დაგეგმვა.

28. **“გაჯიანურებული ბირთვული ომის” დოქტრინა** – შეხედულებების და პრინციპების სისტემა, რომელიც ხსნის ბირთვული იარაღის გამოყენებით ხანგრძლივი ომის წარმოების შესაძლებლობებს.
29. **გენოციდი** – რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს. გენოციდი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია. იგი უკავშირდება რეაქციულ „თეორიებს“, რომლებიც ქადაგებენ რასობრივ და ეროვნულ სიძულვილს, ე.წ. „უმაღლესი“ რასის გაბატონებას „დაბალ“ რასაზე და სხვ. გენოციდს მასობრივად მიმართავდნენ ჰიტლერელები, რომლებმაც მილიონობით ადამიანი გაუწლიტეს „სიკვდილის ბანაკებში“.
30. **გეოპოლიტიკა** – პოლიტოლოგიური კონცეფცია, რომელიც განიხილავს ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ საერთაშორისო პროცესებზე სახელმწიფოს მდებარეობის ტერიტორიულ-სივრცობრივი თავისებურებების ზემოქმედების ხასიათს და კონკრეტულ ისტორიულ ფორმებს. წარმოიშვა მე-19 – 20 საუკუნეების მიჯნაზე. განიხილავდა სახელმწიფოებს, როგორც ბიოლოგიაზე მაღლა მდგომ ორგანოებს, რომელთა არსებობისთვის აუცილებელია „ბუნებრივი საზღვრები“ და „სასიცოცხლო სივრცე“. ეს კონცეფცია გამოიყენებოდა გარეშე ექსპანსიების გასამართლებლად, განსაკუთრებით, გერმანიის ფაშიზმის მიერ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარმა გამოავლინა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე გეოპოლიტიკური ფაქტორების (ტერიტორიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, ჰავა და სხვა) გავლენის გაძლიერება. ქვეყნის გეოგრაფიულ უპირატესობათა გამოყენება ჩადგა გრძელვადიანი საგარეო-ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინამძღვრების წყებაში. შესაბამისად გაიზარდა მისწრაფება, აინაზღაურონ გეოპოლიტიკური მდებარეობის არახელსაყრელი მომენტები შინაგანი ტექნიკურ – ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური საშუალებებით (სამხედრო ბლოკების, ბაზების შექმნას, საზღვარგარეთის ქვეყნების მტრული რეჟიმების პოტენციალის ძირგამოთხრის და მეგობრული რეჟიმების პოტენციალის მხარდაჭერის პოლიტიკას). 21-ე საუკუნის დამდეგს სამხედრო-კოსმოსური და სამხედრო რაკეტმშენებლობის პროგრამების დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება პოტენციური მოწინააღმდეგეების შეიარაღებების გეოპოლიტიკური პროფილი; სახელმწიფოების სივრცობრივ-გეოგრაფიული თავისებურებანი გამოხატულებას პოვებენ სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალების, სატრანსპორტო-საჰაერო, სამხედრო-საჰაერო და საავიამზიდო ფლოტების პროპორციული განვითარების კონცეფციებში.
31. **გეოსტრატეგიული რეგიონი** – დედამიწის ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც გააჩნია გლობალური მნიშვნელობა სტაბილურობის, უსაფრთხოების და მშვიდობის შესანარჩუნებლად, უპირველეს ყოვლისა სამხედრო საფრთხეების ფორმირების, რეალიზების, მათი ნეიტრალიზაციისა და გაფრთხილების ღონისძიებათა სისტემის განხორციელების კუთხით.
32. **გეოსტრატეგიული სივრცე –** დედამიწის ზედაპირის ტერიტორიების და მასზე განლაგებული ობიექტების, შიდა ზღვების და მსოფლიო ოკეანის აკვატორიების, აგრეთვე დედამიწისირგვლივი საჰაერო კოსმოსური სივრცის ერთობლიობა, რომელიც გეოპოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიის შესწავლის და აღრიცხვის საგანს

წარმოადგენს. გეოპოლიტიკური სივრცე განიხილება კონტინენტური და საოკეანო სტრატეგიული რაიონების, რეგიონების, საოკეანო და საზღვაო ზონების, სტრატეგიული მიმართულებების, სტრატეგიული საჰაერო – კოსმოსური მიმართულებების და საჰაერო მიმართულებების სისტემაში.

33. **დაზავება** – მეომარ მხარეთა ორმხრივი თანხმობით საომარი მოქმედების დროებითი შეწყვეტა. განასხვავებენ ადგილობრივ (ნაწილობრივ) და საერთო დაზავებას. ადგილობრივი დაზავება, ცალკეულ ნაწილებსა და ქვედანაყოფებს შორის ფრონტის შეზღუდულ უბანზე საომარ მოქმედებას გარკვეული ვადით აჩერებს. საერთო დაზავება საომარ მოქმედებას საომარი მოქმედების მთელ თეატრში წყვეტს და უვადოა.
34. **დაკვირვების მისია** - მისია, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს, ეუთო-ს, დსთ-ს მანდატით გაგზავნილია პოტენციური ან არსებული შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში. მათი მიზანია კონფლიქტის მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების და მიღწეული შეთანხმებების შესრულების კონტროლი და შემოწმება. მისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სამხედრო და სამოქალაქო დამკვირვებლები.
35. **დამოუკიდებელი ტერიტორიები** – მეტროპოლია სახელმწიფოების სამფლობელოები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ მათ სრულ, ან ნაწილობრივ მმართველობას. როგორც წესი, ეს არის არქიპელაგები, ცალკეული კუნძულები ან უმნიშვნელო ზღვისპირა ტერიტორიები. ბევრ დამოკიდებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან ჯარები, არის სამხედრო ბაზები, მეტროპოლიების და მათი მოკავშირეების სხვა ობიექტები. მათ თვალს ადევნებს გაეროს დეკოლონიზაციის სპეციალური კომიტეტი.
36. **დამსჯელი ექსპედიციები** – სამხედრო აქციები, რომლებსაც ჯარები და სხვა სახელმწიფო შეიარაღებული ფორმირებები ახორციელებენ ამბოხებების, აჯანყებების, მასობრივი სახალხო გამოსვლების რაიონებში მათი ჩახშობის, მონაწილე და თანამგრძნობი მოსახლეობის მიმართ რეპრესიების განხორციელების მიზნით. შიდასახელმწიფოებრივი დამსჯელი ექსპედიციები ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი რევოლუციების და სამოქალაქო ომების პერიოდებისთვის. სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე დამსჯელი ექსპედიციები გამოიყენება ოკუპაციის პერიოდში პარტიზანების და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, ხოლო მშვიდობიან დროს, არცთუ იშვიათად, სხვადასხვა ყალბი საბაბებით (უცხოელ მოქალაქეთა გადარჩენა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.). დამსჯელი ექსპედიციებისთვის დამახასიათებელია შედარებითი შეზღუდვა ძალების, ადგილის და დროის მხრივ, მათი განხორციელებისას დაშვებული სამართლებრივი ნორმების, ომის კანონების და წეს-ჩვეულებების სერიოზული დარღვევები, სპეციალურად მომზადებული ჯარების და დაქირავებული სამხედრო მოსამსახურეების მოზიდვა.
37. **დაუძლურების სტრატეგია** – სამხედრო მოქმედებების წარმოების ხერხი, რომელიც გულისხმობს, საომარი მოქმედების თეატრში, ომის მიზნების მიღწევას, მეთოდური მანევრირების და მოწინააღმდეგის კომუნიკაციებსა და მომარაგების ბაზებზე ზემოქმედების გზით. ფართოდ იყო გავრცელებული მე-16 - მე17 სს. მისი ერთ-ერთი უდიდესი მომხრე იყო პრუსიის მეფე ფრიდრიხ II. დაუძლურების სტრატეგიის იდეები აისახა გ. ლოიდის, ა. ბიულოვის და სხვათა შრომებში. დაუძლურების სტრატეგიის ცალკეული ელემენტები გამოიყენება თანამედროვე ომებში.

38. **დაქირავებულები** - 1. პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის არიან დაქირავებული; 2. სპეციალურად დაქირავებული პირები, რომლებიც ანგარებითი მიზნებით მონაწილეობენ შეიარაღებულ ბრძოლაში და არ ეკუთვნიან არც ერთ მეომარ მხარეს. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი დაქირავებულების საქმიანობას დანაშაულებრივად მიიჩნევს. ისინი არ სარგებლობენ შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ნორმების მფარველობით, ვერ ექნებათ კომბატანტების ან სამხედრო ტყვეების სტატუსი, მათზე არ ვრცელდება თავშესაფრის უფლება.
39. **დაქირავებული არმია** – პროფესიონალ მეომართა ჯარები, რომლებსაც სახელმწიფოები, ქალაქები და ცალკეული ფეოდალები სამხედრო სამსახურისთვის ქირაობდნენ. გაჩნდა ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულში (ძველ ეგვიპტეში), კომპლექტდებოდა ძირითადათ დაქირავებული უცხოელებით. მე-15 ს. ბოლოდან ასეთი დაქირავებული არმიები სახელმწიფოების ძირითად სამხედრო ძალად იქცა. მე-17-18 სს. დასავლეთ ევროპაში მოხდა გადასვლა ეროვნულ დაქირავებულ არმიებზე, რომლებიც კომპლექტდებოდა თავისი ქვეყნის მოქალაქეებით და მთლიანად იყო დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე. მე-18-19 სს. დამლევს დაქირავებული არმიების პარალელურად შეიქმნა რეგულარული არმიები, რომლებიც კომპლექტდებოდა სამხედრო ბეგარის საფუძველზე.
40. **დაძაბულობის ესკალაცია** – სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტური ურთიერთობების მძაფრ კრიზისულ ფაზაში გადასვლის პროცესი, რომელსაც თან ახლავს შეიარაღებული კონფლიქტის ან ომის წარმოქმნის მაღალი ალბათობა.
41. **დეზინფორმაცია** – ოპერატიული (სტრატეგიული) მასკირების ხერხი, რომელიც მდგომარეობს საკუთარი ჯარების (ძალების), მათი დაჯგუფების შემადგენლობის, შეიარაღების, ბრძოლისუნარიანობის, საბრძოლო მოქმედებების გეგმების შესახებ მცდარი მონაცემების განზრახ გავრცელებაში, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა. დეზინფორმაციისათვის გამოიყენება კავშირგაბმულობის, ბეჭდვითი, რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო, კომპიუტერული და სხვა საშუალებები. დეზინფორმაცია ხორციელდება დემონსტრაციული მოქმედებების, იმიტაციის, დაფარვის ღონისძიებებთან კომპლექსში.
42. **დემილიტარიზაცია** – სამხედრო მრეწველობის, შეიარაღებული ძალების, სამხედრო სიმაგრეების და ნაგებობების სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია და აგრეთვე სამხედრო მიზნით რაიონის ან ტერიტორიის გამოყენების აკრძალვა.
43. **დემილიტარიზებული ზონა** – საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი ტერიტორია, რომელზეც აკრძალულია ჯარების ყოლა, სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკური საწარმოების შექმნა. უმთავრესად გავრცელებულია საზღვრისპირა დემილიტარიზებული ზონები, რომლებიც იქმნება პოტენციურად მტრული მხარეების დაშორიშორებისათვის და მათ შორის სამხედრო კონფლიქტების ასაცილებლად.
44. **დემობილიზაცია** – ქვეყნის შეიარაღებული ძალების და ეკონომიკის გადაყვანა საომარი მდგომარეობიდან მშვიდობიანობაზე; მობილიზაციის საპირისპირო. ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებით. მოიცავს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის შემცირებას, სამხედრო წარმოების შეკვეცას, შრომითი და საფინანსო რესურსების გადანაწილებას, ტრანსპორტის, კავშირგამბულობის, სამეცნიერო ორგანოების და სხვათა მუშაობის გარდაქმნას.

45. **დიდი სახელმწიფოები** – ტერმინი, რომელიც მიღებულია იმ სახელმწიფოების აღნიშვნისათვის, რომლებიც საერთაშორისო არენაზე წამყვან როლს თამაშობენ და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ მშვიდობის და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერაში.
46. **დიპლომატიური ბრძოლა ომში** – მეომარი მხარეების მიერ დიპლომატიური საშუალებების გამოყენება იმ მიზნით, რომ ომის წარმოების ინტერესებისთვის ყველაზე ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შექმნან. დიპლომატიური ბრძოლა არის ომში დაპირისპირების სპეციფიკური ფორმა და ამავე დროს, მისი ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ექვემდებარება შეიარაღებული ბრძოლის მოთხოვნილებებს. დიპლომატიური ბრძოლის სფეროებს შეადგენენ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, აგრეთვე ეკონომიკური, სამართლებრივი და საკუთრივ სამხედრო ურთიერთობები. დიპლომატიურ ბრძოლაში გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები, ფორმები და მეთოდები, მათ შორის, სახელმწიფოთაშორისი განსხვავებული დონის და სახეობის კონტრაქტები, რომლებიც ატარებენ ორმხრივ და მრავალმხრივ ხასიათს, ხორციელდება უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით; დიპლომატიური მიმოწერა; ვიზიტები და მოლაპარაკებები, თათბირები და შეხვედრები; კონფერენციები და კონგრესები; მზადება ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დასადებად და სხვა დოკუმენტების ხელმოსაწერად; მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი ორგანოების მუშაობაში და სხვ. დიპლომატიურ ბრძოლაში გამოიყენება, როგორც მისი წარმოების ღია ფორმები, რომლებიც გარკვეულ საჯაროობას გულისხმობენ, ისე დახურული, ფარული დიპლომატიის მეთოდები.
47. **დირექტივა** – ჯარების (ძალების) მართვის ოპერატიული (საბრძოლო) ან სამსახურებრივი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მზადების და წარმოების, ჯარების წვრთნის, საშტატო ორგანიზაციის, მომარაგების და მათ ცხოველქმედების სხვა საკითხებზე. დირექტივა გამოიყენება უმთავრესად შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის სისტემაში სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიული გაერთიანებების მართვისთვის. დირექტივაში ჩამოყალიბებულია განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანი, ამოცანები, მათი შესრულების წესი და ვადები. ისინი შეიძლება იყოს ოპერატიული, საორგანიზაციო – სამობილიზაციო, ჯარების (ძალების) ოპერატიული და საბრძოლო მომზადების, ტექნიკური უზრუნველყოფის და ზურგისთვის განკუთვნილი.
48. **ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო** – მრავალმხრივი სათათბირო ორგანო ნატო-ს ყველა წევრ და სხვა 26 მონაწილე ქვეყნებს შორის შეთანხმების და რეგულარული კონსულტაციების საკითხებში. მისი საქმიანობა დაფუძნებულია მოქმედების ორწლიან გეგმაზე, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომლობას პოლიტიკასა და უსაფრთხოების საკითხებში, მათ შორის რეგიონული საკითხები, საერთაშორისო ტერორიზმი, სამხედრო-ეკონომიკური საკითხები, შეიარაღებაზე კონტროლი, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვა, უბედურებებისადმი მზადყოფნა, სამეცნიერო და ბუნების დაცვის საკითხები.
49. **ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი** – ნატო-ს სტრატეგიული სარდლობის მთავარსარდალი. პასუხს აგებს თავისი სარდლობის ზონის ფარგლებში ნატო-ს საერთო დაგეგმვაზე, სამხედრო მოქმედებასა და სამხედრო საქმეებზე, აგრეთვე მიღებული

უფლებამოსილების შესაბამისად, თავისი პასუხისმგებლობის ზონის ფარგლებს გარეთ. პასუხისმგებელია: ა. მშვიდობიან პერიოდში – თავის ოპერატიულ დაქვემდებარებაში არსებული ან გადასაცემად განკუთვნილი ჯარების (ძალების) ორგანიზების, საბრძოლო მომზადების, აღჭურვის, შენახვის და უზრუნველყოფის თავდაცვის გეგმების მომზადებაზე და საბრძოლო გაფორმებაზე; ნატო-ს ქვეყნების ტერიტორიაზე კოლექტიური თავდაცვის ამოცანების შესრულების ეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართული სწავლებების ჩატარებაზე ჯარების ურთიერთქმედების და საბრძოლო შესაძლებლობების დახვეწის მიზნით. ასევე, პასუხს აგებს სახელმწიფო-პარტნიორებს შორის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში ურთიერთობის განმტკიცებაზე; ბ. კრიზისული პერიოდის და ომის დროს – ევროპაში მოკავშირეთა სარდლობის მთელ ტერიტორიაზე ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისთვის გადაცემული ყველა ჯარების (ძალების) სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ოპერაციების მართვაზე. აქვს პირდაპირი კავშირი მათი შტაბის უფროსებთან, თავდაცვის მინისტრებთან და მთავრობების ხელმძღვანელებთან.

50. **ევროპის თავდაცვითი გაერთიანება** — ასე ეწოდება სამხედრო დაჯგუფებას, რომლის შექმნის ხელშეკრულებას 1952-ის 27. 6-ს მოაწერეს ხელი პარიზში 6 დასავლეთევროპული ქვეყნის: საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდის და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. მაგრამ ცდები, შეექმნათ ახალი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც გერმანიის რემილიტარიზაციას გამოიწვევდა, წააწყდა წინააღმდეგობას ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნა ჩაიშალა. პარიზის 1954-ის შეთანხმებათა მიღების შემდეგ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმა და მისი ნატო-ში შეყვანა განხორციელდა მეორე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის, დასავლეთ ევროპის კავშირის ეგიდით, რომლის მონაწილეც, იმ სახელმწიფოების გარდა, ვისაც განზრახული ჰქონდა შესულიყო ევროპის თავდაცვითი გაერთიანებაში, გახდა დიდი ბრიტანეთი.

51. **ევროპის ომის თეატრი** – ნატო-ს დებულების მიხედვით, ომის თეატრი, რომელიც მოიცავს ევროპის ტერიტორიას ჩრდილოეთ ნორვეგიის ნორდკაპის კონცხიდან ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირომდე და ატლანტის ოკეანიდან (ესპანეთის და პორტუგალიის ტერიტორიის გამოკლებით) აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების დასავლეთ საზღვრამდე. ევროპის ომის თეატრი აერთიანებს ნატო-ს ჩრდილო-დასავლეთ ევროპის, ცენტრალური და სამხრეთ ევროპის საომარი მოქმედების თეატრებს. ევროპის ომის თეატრი, ნატო-ს სარდლობის შეხედულებებით, არის შესაძლო საომარი მოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზონა, რომლის საზღვრები ომის შემთხვევაში შეიძლება გაფართოვდეს. ევროპის ომის თეატრში შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისათვის შექმნილია ევროპაში ნატო-ს სტრატეგიული უმაღლესი სარდლობა (შტაბი ქ. კასტრო, ბელგია).

52. **ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა** – ევროატლანტიკურ რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავების და კრიზისების დარეგულირების საქმეში ეფექტური თანამშრომლობა, მათ შორის გაერო-სთან ურთიერთობის გაძლიერების მიზნით. ასეთი ურთიერთობები მიმართულია ევროატლანტიკური რეგიონის ქვეყნების კრიზისების დარეგულირებისა და თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ.

53. **ეკოლოგიური ომი** – მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენება მისი ბინადრობის გარემოზე ზემოქმედების გზით (ჰაერის, წყლის, ნიადაგის გაჭუჭყიანება ან დასნებოვნება, ფლორის და ფაუნის განადგურება და სხვ.). 1978-ში ძალაში შევიდა გაერო-ს მიერ მიღებული კონვენცია გარემო ბუნებაზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული ზემოქმედის აკრძალვის შესახებ.
54. **ეკონომიკის მობილიზაციური მომზადება -** ომის პერიოდში მდგრადი ფუნქციონირებისთვის ეკონომიკის მომზადების ღონისძიებათა კომპლექსი. ამ ღონისძიებათა შინაარსს და რეალიზაციის ვადებს ადგენს სახელმწიფო სამობილიზაციო გეგმა. მათ რიცხვს განეკუთვნება: ეკონომიკის მართვის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა; შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების სახელმწიფო რეზერვების შექმნა, რომლებიც საჭიროა სამხედრო წარმოების ზრდისთვის; სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებში სარეზერვო საწარმოო სიმძლავრეთა შექმნა; სამხედრო პროდუქციის გამოსაშვებად არასამხედრო დარგების მომზადება; კომუნიკაციების (ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის) სახელმწიფო სისტემის ომის პირობებში ფუნქციონირებისთვის მომზადება; ომის პირობებში სამხედრო წარმოების, შეიარაღებული ძალების და აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მომზადება ქვეყნის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციით უზრუნველსაყოფად; გაფართოებული სამხედრო წარმოების შრომითი რესურსებით დასაკომპლექტებლად წყაროების განსაზღვრა; ომის წარმოების პირობებში ეკონომიკის მობილიზაციური მომზადების და ეკონომიკის მუშაობის ყველა ღონისძიების დაფინანსების წყაროების და წესის განსაზღვრა.
55. **ეკონომიკური პოტენციალი** – სახელმწიფოს შესაძლებლობები, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება მატერიალურ დოვლათსა და მომსახურებაზე, უზრუნველყოს მისი სტაბილური და უსაფრთხო განვითარება. იგი განსაზღვრავს მატერიალური წარმოების მოცულობის დიდ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფოს შეუძლია მიაღწიოს მთელი თავისი ძალების და რესურსების მაქსიმალური დაძაბვით. ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად გვევლინება ადამიანთა რესურსები, სახელმწიფო ტერიტორია, დაზვერილი და სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული ბუნებრივი, უწინარეს ყოვლისა, სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, სავალუტო-საფინანსო სისტემა, სახელმწიფო რეზერვები. რაოდენობრივი თვალსაზრისით ეს კომპონენტები ფასდება ან ნატურალურ-ნივთიერი, ან ღირებულებითი (ფულადი) ფორმებით. ეკონომიკური პოტენციალის ნაწილს, რომელიც სახელმწიფოს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს თავისი სამხედრო ორგანიზაციის შექმნის და შენახვის, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ინტერესებისთვის, შეადგენს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. ეკონომიკური პოტენციალი სამხედრო პოტენციალის მატერიალურ საფუძვლად გვევლინება.
56. **„ელვისებური ომი"** – აგრესიული ომის წარმოების ხერხი, რომელიც ეფუძნება მოულოდნელ და სწრაფ მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უმოკლეს ვადებში, სანამ მოწინააღმდეგემ არ ჩაატარა მობილიზაცია და არ გაშალა თავისი შეიარაღებული ძალები, მის განადგურებას.
57. **ერთმმართველობა** (შეიარაღებულ ძალებში) – სამხედრო მშენებლობის, შეიარაღებულ ძალების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პრინციპი, რომლის

არსია მეთაურისთვის (უფროსისთვის) ხელქვეითების მიმართ მთელი განმკარგულებელი ძალმოსილების და უფლებების მინიჭება, მასზე ჯარების (საზღვაო ძალების) ცხოვრების და საქმიანობის ყველა მხარეზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრება. ერთმართველობას განაპირობებს შეიარაღებული ორგანიზაციის დანიშნულება, განვითარების კანონზომიერებები და საქმიანობის თავისებურება. იგი გამოიხატება მეთაურის (უფროსის) უფლებით, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები, გასცეს ბრძანებები და კანონის მოთხოვნების, სამხედრო წესდებების მკაცრი შესაბამისობით უზრუნველყოს მათი შესრულება. იგი წარმოადგენს ჯარების (ძალების) მართვის ყველაზე ოპერატიულ და ეფექტიან მეთოდს, რომელიც ომის პირობებში უზრუნველყოფს მეომართა შესაძლებლობების საუკეთესო გამოყენებას, მათი მოქმედების ერთიანობას, ბრძანებების შესრულების შემოწმებას.

58. **ერთობლივი გამოყენება –** სახელმწიფოების მიერ უანგაროდ, ან ნატო-ს და რესურსების გადამცემ ქვეყანას შორის ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ შემუშავებული ანაზღაურებით განსაზღვრული რესურსების გამოყენება.
59. **ერთობლივი თავდაცვის პოლიტიკა** - მოქმედებების კურსი ან გეგმა მოწონებული ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ და გათვალისწინებული ძალების და საშუალებე-ბის გამოყოფის და მომზადებისას, აგრეთვე მათ ხელმძღვანელობისას. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური გაგებით მოკავშირეებს ერთობლივი თავდაცვის პოლიტიკა არ გააჩნიათ. ნატო-ს მიერ მოწონებულ სტრატეგიულ კონცეფციაში მოცემულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკა უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში, მისი ოპერატიული კონცეფციები, ჩვეულებრივი და ბირთვული ძალების დაწყობა, აგრეთვე შეთანხმებები კოლექტიური თავდაცვის შესახებ. გარდა ამისა, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პრობლემებისადმი საერთო მიდგომის ფორმირებას ხელს უწყობს შესაბამისი აღმასრულებელი დოკუმენტები და ნატო-ს საბჭოს სხვა გადაწყვეტილებები.
60. **ეროვნებათაშორისი კონფლიქტი** – მარავალეროვნულ სახელმწიფოებში მოსახლეობის სხვადასხვა ეთნო-პოლიტიკური ინტერესების შეჯახება. ცალკეულ შემთხვევაში აქვს შეიარაღებული კონფლიქტის ფორმა.
61. **ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა** – დაჩაგრული და დამოკიდებული ხალხების და ქვეყნების ბრძოლა ნაციონალური თვითგამორკვევისთვის, სახელმწიფო სუვერენიტეტისთვის, თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისთვის, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. განსაკუთრებული სიმძლავრით ეს მოძრაობა წარიმართა მე-20 საუკუნეში, ძირითადად აზიაში, აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში.
62. **ეროვნულ–განმათავისუფლებელი ომი** – დამოკიდებული და ჩაგრული ხალხების და ქვეყნების ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს მათი ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებას, აღდგენას ან დაცვას სამხედრო ძალადობის საშუალებების გამოყენებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხისტი და რადიკალური ფორმა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომები შეიძლება გაჩაღდეს უცხოური სახელმწიფოს წინააღმდეგ ეროვნული აჯანყების სახით; დიქტატორული, საოკუპაციო ან მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ პარტიზანული მოძრაობის სახით; გარეშე აგრესიის წინააღმდეგ სამამულო ომის სახით. ეს მიზნები მხარდაჭერას

პოულობენ ხალხის მასებში, რაც განსაზღვრავს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის ფართო, საერთო-ეროვნულ ხასიათს. ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის თავისებურებებს განეკუთვნება: იმ საბრძოლო მოქმედების საწყისი კეროვანი ხასიათი, რომელსაც პარტიზანული მეთოდებით ეწევიან დიდ ტერიტორიებზე ფრონტის მთლიანი ხაზის არარსებობისას; ნახევრად რეგულარული ან რეგულარული ტიპის მუდმივი არმიის ფორმირება, მისი ორგანიზაციის სრულყოფა, შეიარაღებული ძალების აღჭურვა თანამედროვე იარაღით და სამხედრო ტექნიკით. ეს საშუალებას იძლევა, გავრცელდეს საომარი მოქმედება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის მეტ ნაწილზე, რასაც, როგორც წესი, შედეგად მოსდევს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის ძლევამოსილი დამთავრება.

63. **ეროვნული სამხედრო მისია** - ნატო-ს წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც არ მონაწილეობს ინტეგრირებულ ხელმძღვანელ სტრუქტურაში. იგი უშუალოდ ემორჩილება თავისი ქვეყნის გაერთიანებული (გენერალური) შტაბის უფროს და აყალიბებს კავშირს ამ შტაბსა და სტრატეგიული ხელმძღვანელობის სარდლობებთან ან მათ შტაბებთან.
64. **ეროვნული უსაფრთხოების მიზნები** - სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ფორმულირებული ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მიმართული მოღვაწეობის საბოლოო შედეგები. განისაზღვრება საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.
65. **ესკალაციის ფაზა** – დროის პერიოდი, რომლის განმავლობაში კრიზისის ინტენსივობა იზრდება.
66. **ეუთო-ს ხელშეკრულების მოქმედების რაიონი** - რაიონი, რომელიც მოიცავს ევროპაში მონაწილე ქვეყნების მთელ სახმელეთო ტერიტორიას ატლანტიკის ოკეანიდან ურალის მთებამდე.
67. **"ეშელონური ომი"** – საბრძოლო მოქმედების სახელწოდება, რომელიც უმთავრესად სამხედრო ეშელონების გამოყენებით სარკინიგზო მაგისტრალების გაყოლებით ჯარების მანევრის და ბაზირებისთვის წარმოებდა. „ეშელონური ომის" წარმოშობას განაპირობებდა საბრძოლო მოქმედების რაიონების მცირე გაჯერება ჯარებით, ერთიანი ფრონტების არარსებობა, მოპირისპირე მხარეთა ძალების არამდგრადობა და დაქსაქსულობა. მის გამოყენებაზე უარი ითქვა 1918 წ. შუახანებისთვის, არმიების რიცხოვნების ზრდის, სტაბილური ფრონტების წარმოშობის და შეიარაღებული ბრძოლის გაქანების გაძლიერების გამო, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში მის ცალკეულ ელემენტებს უფრო გვიანაც ვხვდებოდით.
68. **ზღვაზე ბატონობა** – 1. წყალზე, წყალქვეშ და წყალზევით საზღვაო (საოკეანო) რაიონების შეუზღუდავად გამოყენების უნარი და ამ შესაძლებლობის მოწინააღმდეგისთვის არმიცემა. 2. ერთ-ერთი მეომარი მხარის გადამწყვეტი უპირატესობა საზღვაო (საოკეანო) სამხედრო მოქმედებების თეატრში ან მის ცალკეულ რაიონში (ზონაში), რომელიც საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის მისთვის ხელსაყრელ პირობებს უზრუნველყოფს. მასშტაბების მიხედვით შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. ზღვაზე ბატონობა იმავდროულად ითვალისწინებს ჰაერში ბატონობასაც.

69. **ზღვაზე და მის თავზე საჰაერო სივრცეში ინციდენტების არიდება** – სხვადასხვა ქვეყნების გემების ღია ზღვაში და საფრენი აპარატების საჰაერო სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მიიღწევა საერთაშორისო წესების დაცვით, რომლებიც განსაზღვრავენ ზომებს და რეკომენდაციებს სამხედრო გემების და საფრენი აპარატების გაუფრთხილებელ და მარლთსაწინააღმდეგო მოქმედებების არდასაშვებად.
70. **ზღვის რაიონის იზოლაცია** – მოწინააღმდეგის მიერ ზღვის რაიონის კონტროლის აცილება, მასზე საკუთარი კონტროლის დამყარების გარეშე.
71. **ზღვის სივრცის კონტროლი** – უპირატესობა, როდესაც დროის გარკვეულ პერიოდში ერთ მხარეს შეუძლია თავისი მიზნების ინტერესებში დაბრკოლებების გარეშე იმოქმედოს ზღვის რაიონის წყლის ქვეშ, წყალზე და წყლის ზევით.
72. **თავდაუსხმელობა** – თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპი, რომელიც მოასწავებს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური ან სტრატეგიული ხასიათის ნებისმიერი მოსაზრებებით ომის გაჩაღება ან რომელიმე სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ პირველმა შეიარაღებული ძალის გამოყენება დაუშვებელია. პრინციპი დამკვიდრებულია გაერო-ს წესდებაში და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში. იგი ავალდებულებს თითოეულ სახელმწიფოს, თავი შეიკავონ: პირველმა შეიარაღებული ძალის პირდაპირი და არაპირდაპირი გამოყენებისგან; აგრესიული ომის პროპაგანდისგან; ძალის მუქარის ან ძალის გამოყენების მუქარისგან სახელმწიფო საზღვრის დარღვევის და საერთაშორისო დავების გადაწყვეტის მიზნით.
73. **თავდაცვის საკმარისობა** – სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) სამხედრო ძლიერების მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია პოტენციური მოწინააღმდეგის აგრესიისგან შეკავება და მისი მოგერიება. ამასთან გამორიცხულია უეცარი თავდასხმისა და ფართო მასშტაბის შეტევითი ოპერაციების მოწყობის უნარი, შიარაღებული ძალების დამატებითი გაშლისა და მათი საბრძოლო ძლიერების ზრდის სხვა ღონისძიებათა განხორციელების გარეშე; სამხედრო მშენებლობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს სამხედრო დარგში სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობების და რეალური ომის საფრთხის დონის შესაბამისად ყველა ღონისძიების გატარებას. სამხედრო-სტრატეგიულ სფეროში თავდაცვის საკმარისობის პრინციპის რეალიზაცია გულისხმობს: სამხედრო დოქტრინისთვისთავდაცვითი ხასიათის მინიჭებას; სტრატეგიული ბირთვული ძალების სახელშეკრულებო კვოტების დაცვას, უარის თქმას ბირთვული იარაღის გამოყენების პირველობაზე; საერთო დანიშნულების ძალების შემადგენლობაში შეტევითი ფორმირებების შეზღუდვას და სხვ.
74. **თავდაცვის მინისტრი** – ზოგიერთ ქვეყანაში თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირი. თავის ფუნქციებს ახორციელებს ერთმმართველობის საფუძველზე და პერსონალურად პასუხისმგებელია თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების წინაშე დასმული ამოცანების შესრულებაზე.
75. **თავდაცვის სიძლიერე** - იხ. სამხედრო სიძლიერე
76. **თანამედროვეობის გლობალური პრობლემები** – პლანეტარული ხასიათის იმ ურთიერთდაკავშირებული პრობლემების ერთობლიობა, რომლებიც ეხება კაცობრიობის საარსებო მნიშვნელობის ინტერესებს და რომელთა გადაწყვეტაც

მოითხოვს ყველა სახელმწიფოსა და ხალხთა ერთობლივ ძალისხმევას. თანამედროვე გლობალური პრობლემების სისტემა მოიცავს ორ ძირითად ჯგუფს – საკუთრივ სოციალურს და ეკოლოგიურს. საკუთრივ სოციალურს წარმოადგენენ: ბირთვულ ხანაში ომისა და მშვიდობის პრობლემები, დემოგრაფიის, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ჩამორჩენილობის; მასობრივი ხასიათის სოციალური კატაკლიზმები (შიმშილი, სიღარიბე, სიღატაკე, ავადმყოფობანი, ეპიდემიები და სხვ.); ნოოსფეროს შესწავლა, ათვისება და შენარჩუნება, ბუნების როგორც კაცობრიობის არსებობისათვის ობიექტურად აუცილებელი გარემოს რაციონალური გამოყენება; კაცობრიობის ადაპტაცია ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეცვლისადმი და სხვ. პრობლემების მეორე ჯგუფს განაპირობებს ბუნებაზე, როგორც ადამიანთა ბინადრობის ბუნებრივ გარემოზე ადამიანთა საქმიანობის ზემოქმედების დამანგრეველი ხასიათი: ნაყოფიერი ნიადაგის ეროზია, გარემოს, უწინარეს ყოვლისა ბიოსფეროს, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გაჭუჭყიანება, ფლორის და ფაუნის განადგურება, ბუნებრივი წიაღისეულის, ნედლეულის და ენერგეტიკული რესურსების უგუნური გამოყენება და ა.შ.

77. **იდეოლოგიური ოპერაციები ომში** – ომში გამარჯვების მისაღწევად სულიერ სფეროში მეომარი მხარეების დაპირისპირება. ხორციელდება როგორც წესი ომის დაწყებამდე, ხოლო მისი დაწყების შემდეგ იღებს სრულმასშტაბიან და ღია ხასიათს. იდეოლოგიური ოპერაციების ხასიათს განაპირობებს მოწინააღმდეგე მხარეების სამხედრო პოლიტიკა, მათი სამხედრო დოქტრინები, ასევე თავად ომის სოციალურ–პოლიტიკური ხასითი. იდეოლოგიური ოპერაციის ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო, პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, საზოგადოებრივი ორგანოები და ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ჯარების სპეციალური ქვედანაყოფები. იდეოლოგიური ოპერაციის ძირითადი ობიექტებია: მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მოსამსახურეები, მოსახლეობა და სამხედრო ტყვეები. იდეოლოგიური ოპერაცია მიმართულია მოწინააღმდეგის სულიერ სფეროში ძალისხმევის საწინააღმდეგოდ, მისი ჯარების დემორალიზაციაზე, საკუთარი და მოკავშირე ქვეყნების არმიების და მოსახლეობის სულიერების გაძლიერებაზე.

78. **ინდივიდუალური თავდაცვის უფლება** – საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მართლზომიერი გამოყენების ერთერთი სახე, რომელიც ხორციელდება მინიჭებული უფლებით (გაეროს 51-ე სტატია) თავდასხმის შემთხვავაში სახელმწიფოს შეიარაღებული საპასუხო მოქმედებებით.

79. **ინიციატივა თავდაცვის პოტენციალის შესახებ** – NATO-ს ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების ხელმძღვანელების უმაღლეს დონეზე ვაშინგტონის შეხვედრაზე 1999 წელს წამოყენებული ინიციატივა, რომელიც მიმართულია ნატო-ს ამოცანების შესასრულებლად, ჩრდილოატლანტიკური კავშირის პოტენციალის სრულყოფისათვის დაწყებული კოლექტიური თავდაცვიდან, მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებამდე. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნატო-ს ჯარების (ძალების) პოტენციალის გაძლიერების ღონისძიებებს, ჯარების გაშლას, ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფას, მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ძალის ეფექტურ გამოყენებას, ჯარების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლების, ჯარების (ძალების) სარდლობისა და მართვის გაუმჯობესებას, ნატო-ს ფარგლებში

სამხედრო დაგეგმვის კოორდინაციის სრულყოფას. პარტნიორი სახელმწიფოები მონაწილეობენ ამ სამუშაოების ყველა შესაბამის მიმართულებაში.

80. **ინიციატივა მასობრივი დაზიანების იარაღის სფეროში** - ინიციატივა, რომელიც წამოყენებულ იქნა ნატო-ს ქვეყნების და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ 1999 წ-ის აპრილში ჩატარებულ ვაშინგტონის შეხვედრაზე და მიმართული იყო მოკავშირეების მიერ მასიური დაზიანების იარაღის გავრცელებაზე მათი ყურადღების გამახვილებისკენ, ასევე ნატო-ს სხვადასხვა ორგანოების, რომლებიც დაკავებულნი არიან გავრცელებასთან ბრძოლით, საქმიანობის კოორდინაციაზე.
81. **ინტეგრაცია** – სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ქვეყნების ჯგუფის მიერ ცნობის დადასტურება ორმხრივი და მარავალმხრივი ურთიერთობის პროცესში, იგი მოიცავს ისეთი ქვეყნის წინასწარ განზრახულ მისაღებ მონაწილეობას ამ ჯგუფის ინსტიტუტების საქმიანობაში.
82. **ინტერვენცია –** ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ან მის ურთიერთობაში მესამე სახელმწიფოსთან ტერიტორიის მიტაცების, თავისი პოლიტიკური დომინირების, ეკონომიკური დამორჩილების, სხვადასხვაგვარი პრივილეგიების შეძენის და ა.შ. მიზნით. განხორციელების ფორმის კვალობაზე განასხვავებენ შეიარაღებულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ინტერვენციებს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ინტერვენციის ყველა ფორმა კანონსაწინააღმდეგოა.
83. **ინტერნირება –** საერთაშორისო სამართალში ერთი მეომარი სახელმწიფოს მიერ მეორე მეომარი სახელმწიფოს სამოქალაქო პირების ან ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ მეომარი მხარეების იმ სამხედრო მოსამსახურეთა იძულებითი დაკავება, გადასახლება ან გადაადგილება ქვეყნის შიგნით, რომელიც მის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ინტერნირების რეჟიმს არეგულირებენ ჰააგის 1907 და ჟენევის 1949-ის კონვენციები.
84. **ინფორმაციული იარაღი** –იხ. ფსიქოლოგიური ბრძოლა
85. **ინფორმაციული უსაფრთხოების მუქარა –** ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების საინფორმაციო გარემოს ფუნქციონირების, შენარჩუნებისა და განვითარების საფრთხეს ქმნის.
86. **ინციდენტის თავიდან აცილება ღია ზღვაში და მის თავზე საჰაერო სივრცეში –** ღია ზღვაში სამხედრო ხომალდების უსაფრთხო ნაოსნობის და მათ თავზე სხვადასხვა ქვეყნის საფრენი აპარატების უსაფრთხო ფრენის უზრუნველყოფა. საყოველთაოდ აღიარებული სპეციალური ნორმები, რომლებიც ღია ზღვაში და მის თავზე, სამხედრო ხომალდების და საფრენი აპარატების ურთიერთობებს არეგულირებენ საერთაშორისო საზღვაო სამართალში არ არსებობს. პრობლემას წყვეტენ დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ დადებული შესაბამისი ორმხრივი შეთანხმებებით. 1972-ში ამის შესაბამისად დადეს შეთანხმება სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. 1973-ში მას დაერთო ოქმი არასამხედრო გემების მიმართ საშიში მოქმედების დაუშვებლობის შესახებ. შემდეგ კი შემუშავდა სპეციალური სიგნალების ცხრილი და ინსტრუქცია.
87. **კაზუს ბელლი –** ფაქტი ან მოვლენა, რომელიც ომის გამოცხადების მიზეზი ან საბაბი ხდება.

88. **კაზუს ფედერისი** – გარემოებები, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებენ, სამხედრო კავშირის ხელშეკრულების თანახმად, ჩაებას ომში, რომელსაც უკვე აწარმოებს მისი მოკავშირე, ან დაიწყოს ომი მის დასაცავად.
89. **კაპიტულაცია** – საომარი მოქმედების შეწყვეტის ერთ–ერთი ხერხი, დამარცხებული მხარის დათანხმება იმ პირობებზე, რომლებსაც გამარჯვებული უკარნახებს. გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, რომ დამარცხებული მხარე წყვეტს შეიარაღებულ წინააღმდეგობას და აცხადებს, რომ აბარებს შეიარაღებულ ძალებს, რომელთა პირადი შემადგენლობა მოწინააღმდეგეს გადაეცემა სამხედრო ტყვეების სახით. განასხვავებენ კაპიტულაციის ორ სახეობას: ნაწილობრივს და უსიტყვოს (სრულს). ნაწილობრივი კაპიტულაცია (უბრალო ან საპატიო), არ იწვევს სახელმწიფოს სახელით პოლიტიკურ ვალდებულებების მიღებას. უსიტყვო კაპიტულაციას, ჩვეულებრივ, ხელს აწერენ შეიარაღებული ძალების სრული განადგურებისას გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი პირობებით.
90. **კიბერ ომი (ბრძოლა)** –კომპიუტერებისა და ინტერნეტის საშუალებით კიბერ სივრცეში წარმოებული ბრძოლა. კიბერ ომის ტერმინის ქვეშ იგულისხმება კომპლექსური ზემოქმედება სახელმწიფო და სამხედრო მართვის კომპიუტერულ და საინფორმაციო სისტემებზე, მათი პარალიზების მიზნით, საკუთარი საინფორმაციო სისტემებისა და ინფრასტრუქტურების დაცვით.
91. **კიბერ ტერორიზმი** – საერთაშორისო ჯგუფების, ან სპეციალური აგენტების მიერ საინფორმაციო, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებზე და მონაცემებზე, მათი დაზიანების, რღვევის ან ბლოკირების მიზნით განხორციელებული წინასწარმომზადებული, არასამხედრო, პოლიტიკურად მოტივირებული დარტყმა.
92. **კოალიციური ომი** – სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ომი ცალკეული სახელმწიფოების ან მეორე სამხედრო პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგ. კოალიციური ომები ისტორიისთვის ძველი წარსულიდან არის ცნობილი. კოალიციურ ომში მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის მთავარი და ყველაზე ეფექტიანი ფორმაა კოალიციისადმი მტრული ძალების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ერთობლივი წარმოება. გარდა ამისა, კოალიციურ ომში მოკავშირე სახელმწიფოების ურთიერთქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დონეები და ფორმები: პოლიტიკური სოლიდარობა, ეკონომიკური ან სხვაგვარი დახმარება მოკავშირე ქვეყნებისადმი, აგრეთვე სხვადასხვაგვარი სანქციები მოპირისპირე მხარის სახელმწიფოების მიმართ, ეროვნული შეიარაღებული ძალების მიერ საომარი მოქმედებების სხვადასხვა თეატრში განსახორციელებელი ოპერაციები, სტრატეგიული კოორდინაცია მიზნების, ამოცანების, დროისა და ადგილის მიხედვით (მეორე ფრონტი მე-2 მსოფლიო ომის დროს); ეროვნული ჯარების ოპერატიული დაქვემდებარება ერთიანი სარდლობისადმი (მრავალეროვანი ძალების მოქმედება); სხვადასხვა არმიების ნაწილების და ქვედანაყოფების ტაქტიკური ურთიერთქმედება (1410-ის გრიუნვალდის ბრძოლა); სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო ძალების ორგანიზაციული ერთიანობა მათი მოქალაქეებით სამხედრო ნაწილების ცალ-ცალკე ან შერეული დაკომპლექტების დროს.

კოალიციური ომის წარმოებისთვის, არცთუ იშვიათად, წინასწარ იქმნება ბრძოლის შეიარაღებული და სხვა ფორმებისადმი ხელმძღვანელობის საკორდინაციო

პოლიტიკური და სამხედრო ორგანოები, სამოკავშირეო სამხედრო დაჯგუფებები ან გაერთიანებული შეიარაღებული ძალები.

93. **კოალიციური შეიარაღებული ძალები –** ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დროებითი გაერთიანება ერთიანი სარდლობის დაქვემდებარებაში ერთობლივი თავდაცვის, კოალიციური ომის წარმოების ან კოალიციის მიზნების სხვა ხერხებით (სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლის, ძალის დემონსტრაციის და ა.შ.) მიღწევისთვის. ჩვეულებრივ, კოალიციური შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შეჰყავთ ეროვნული ძალების ნაწილი. კოალიციური შეიარაღებული ძალების არსს განსაზღვრავს კოალიციის ხასიათი, სამხედრო-პოლიტიკური მიზნები, რომლებსაც იგი ისახავს.

94. **კოლექტიური თავდაცვა -** მოკავშირეების მიერ ვაშინგტონის მე-5 მუხლით(და გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით დამკვიდრებული ინდივიდუალურ ან კოლექტიურ თავდაცვაზე უფლების განხორციელებით) ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში წამოწყებული სამხედრო ოპერაციები და მოქმედებები ნებისმიერი მოკავშირისთვის ან მოკავშირეებისთვის, რომლებმაც შეიარაღებული თავდასხმა განიცადეს, დახმარების აღმოჩენის მიზნით.

95. **კოლექტიური თავდაცვის უფლება –** საერთაშორისო ურთიერთობებში მართლზომიერი ძალის გამოყენების ერთ-ერთი სახე, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოების ერთობლივი მოქმედებებით აგრესიის თავიდან ასაცილებლად ურთიერთდახმახების ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით (გაეროს წესდების 51 სტატია).

96. **კოლონიური ომები** – ომები ქვეყნების და ტერიტორიების დასაპყრობად, მათი კოლონიებად გადაქცევის და ამ ქვეყნებში გაბატონების მიზნით, აგრეთვე კოლონიების გადანაწილებისთვის. პირველი ამგვარი ომები – ე.წ. კოლონიზაციური ომები, განეკუთვნება მონათმფლობელური იმპერიების პერიოდს. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყებიდან იმ დროისთვის ყველაზე განვითარებული ქვეყნების შეიარაღებული დაპყრობის ობიექტები ხდებოდნენ უცნობი მხარეები. ეს მოასწავებდა კოლონიური ომების წარმოებას საკუთრივ ამ სიტყვის მნიშვნელობით.

მე-20 საუკუნის დამდეგს მსოფლიო ტერიტორიული განაწილება დასრულებული აღმოჩნდა, და გაჩაღდა ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისთვის. კოლონიური ომები წარმოებდა ნედლეულის ახალი წყაროების და გასაღების ბაზრების შეძენის, კაპიტალის დაბანდების სფეროს გაფართოების მიზნით. ამ მიზნებით იყო გამოწვეული ორი მსოფლიო ომი. ამჟამად, საკუთრივ, კოლონიური ომები ისტორიის კუთვნილებად იქცა.

97. **კომპლექსური საბანგებო სიტუაცია** - ჰუმანიტარული კრიზისი ქვეყანაში, რეგიონში ან საზოგადოებაში, სადაც შიდა ან გარე კონფლიქტის შედეგად მოხდა ხელისუფლების სტრუქტურების სრული ან მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც ამ ქვეყნისთვის გაერო-ს ნებისმიერი ცალკე ორგანოს და/ან მიმდინარე პროგრამის მანდატის ან შესაძლებლობების მიღმა საერთშორისო დონის ზომების მიღებას საჭიროებს.

98. **კონსერვაცია** (სამხედრო ტექნიკის) – ტექნიკურ ღონისძებათა კომპლექსი, რომლებიც ხანგრძლივი შენახვის და ტრანსპორტირების დროს სამხედრო ტექნიკის კოროზიის, დაძველების და ბიოლოგიური დაზიანებისგან დასაცავად ხორციელდება. ამ

მიზნებისთვის ყველაზე ფართო გამოყენება ჰპოვა ზეთის და საპოხის კონსერვაციამ, სამუშაო-საკონსერვაციო ზეთებმა, ინჰიბირებულმა აფსკწარმომშობმა ნავთობის შედგენილობებმა, მოსახსნელმა ინჰიბირებულმა დაფარვებმა, კოროზიის საკონტაქტო და ორთქლებადმა ინჰიბიტორებმა, სპეციალურმა ბიოციდურმა შედგენილობებმა, დამცავმა გარემომ (გარსებმა, რომლებიც ივსება ნეიტრალური აირით, ინჰიბირებული მშრალი ჰაერით).

99. **კონტრიბუცია** – 1. ფულადი თანხები, რომლებსაც საზავო ხელშეკრულების პირობებისამებრ დამარცხებული სახელმწიფო გამარჯვებულ სახელმწიფოს უხდის. 2. იძულებითი ფულადი და სხვა ბეგარა, რომელსაც მოწინააღმდეგე ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას ართმევს. დღესდღეობით „კონტრიბუციის“ ცნება ამოგდებულია საერთაშორისო სამართლიდან.

100. **„კონტროლირებადი ომი“** – 1. საზღვარგარეთის ქვეყნების, უპირატესად აშშ სამხედრო თეორიებში – ომის დაგეგმვის და წარმოების გეგმა, რომლის დროსაც ძალების და საშუალებების გადამწყვეტი უპირატესობის საფუძველზე გამორიცხულია საომარი მოქმედების არასასურველი ესკალაცია, მინიმალური საკუთარი დანაკარგებით შენარჩუნებულია ნებისმიერი მტრული აქტებით დროული და ეფექტიანი ჩახშობის გარანტირებული შესაძლებლობა; 2. ისეთი ომის პირობითი სახელწოდება, რომელშიც იცავენ ომის კანონებს და წეს-ჩვეულებებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

101. **კონფლიქტის არიდება** – მოქმედების სხვადასხვა სახეები, დაწყებული დიპლომატიური ინიციატივით, დამთავრებული ჯარების პრევენციული გაშლით. მიმართულია უთანხმოების შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაზრდის ან გაფართოების თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნით შეიძლება მოქმედებდნენ ფაქტების დადგენის, კონსულტაციების, გაფრთხილების, ინსპექტირების და თვალთვალის მისიები.

102. **კონფლიქტის გაყინვა** - კონფრონტაციული ინტერესის რეალიზებაზე კონფლიქტის მონაწილეების უარი საერთაშორისო საზოგადოების ან სხვა გარემოებების ზეწოლით კონფლიქტის მიზეზების მოცილებით გარეშე.

103. **კონფლიქტის მხარეები -** მხარეები, რომლებიც ერთი მეორის მიმართ მტრულ მოქმედებებს აწარმოებენ ან დროებითი დაზავების მდგომარეობაში იმყოფებიან მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტის საბოლოო შეწყვეტისთვის ურთიერთ-ხელსაყრელ შეთანხმებებს ვერ მიაღწიეს.

104. **კორდონული სტრატეგია** – ომის წარმოების ხერხი, რომელიც დასავლეთ ევროპაში მე-17-18 საუკუნეებში ბატონობდა. არმიის მთელ არსებულ ძალებს თანაბარზომიერად განალაგებდნენ სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით და ქმნიდნენ ერთგვარ თხელ საფარს (კორდონს), რომელსაც უნდა დაეფარა მოწინააღმდეგის მოქმედების ყველაზე შესაძლო მიმართულებები. საზღვრისპირა ციხესიმაგრეების თავდაცვისთვის გამოიყოფოდა ძლიერი გარნიზონები. შეტევაზე გადასული არმია ვერ ბედავდა გასულიყო მტრის სიმაგრეების ხაზს გაღმა და შექმნა თავისი კომუნიკაციებისათვის ზურგში დარჩენილი მოწინააღმდეგის თავდასხმის საფრთხე. კორდონული სტრატეგიის თავისებურებაა მისი მკაფიოდ გამოხატული თავდაცვითი ხასიათი და საბრძოლო მოქმედების პასიურობა, რომელიც დაქირავებული არმიების ეპოქას ახასიათებდა.

105. **კოსმოსი** – კოსმოსური სივრცე, რომელიც განივრცობა დედამიწის ატმოსფეროს ზღვარს მიღმა. განიხილავენ მიწისგარშემო, პლანეტათაშორის, ვარსკვლავთშორის და სხვა კოსმოსურ სივრცეს.

106. **კრიზისი** - შიდასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო ვითარება, რომლის დროსაც დაინტერესებული მხარეების ძირითად ფასეულობებს, ინტერესებს ან მიზნებს საფრთხე ემუქრება.

107. **კრიზისის განვითარების ციკლი -** კრიზისის ინტენსივობის განვითარება, მისი სხვადასხვა კრიზისული სტადიების გავლის გზით, დაწყებული სტაბილურობის დონიდან, დამთავრებული სტაბილურობის დონიდან, დამთავრებული სტაბილურობის ისეთივე ან უფრო მაღალი (დაბალი) დონის მიღწევით.

108. **კრიზისის ინტენსივობა -** კრიზისის დროს განსაზღვრულ პერიოდში არსებული ძალადობის დონე. გარკვეულწილად განისაზღვრება ერთი ან რამოდენიმე მხარის მოქმედებების აგრესიულობით და ვარირებს ძალადობის სრული არარსებობიდან მცირე შეიარაღებულ შეტაკებამდე და ომის დაწყებამდე.

109. **კრიზისის ინტენსივობის განვითარება** – მისი სხვადასხვა კრიზისული სტადიების გავლის გზით, დაწყებული სტაბილურობის დონიდან, დამთავრებული სტაბილურობის დონიდან, დამთავრებული სტაბილურობის ისეთივე ან უფრო მაღალი (დაბალი) დონის მიღწევით.

110. **კრიზისის მენეჯმენტი** - სახელმწიფო ორგანოების და ინსტიტუტების ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია მომწიფებული კრიზისის დროული ამოცნობისთვის, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის საფრთხის შეფასების და მისი დეესკალაციისთვის ადეკვატური ზომების გატარებისთვის.

111. **კრიზისის სერიოზულობა -** კრიზისის მნიშვნელობა მასში ჩაბმული მხარეების თვალსაზრითით, რომელიც ხასიათდება, მათ პირველად ფასეულობებზე, ინტერესებზე და მიზნებზე მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბებით და სიახლოვით.

112. **კრიზისის სტადიები** – კრიზისის განვითარების ციკლის სტადიები. შეიცავენ მშვიდობის, უთანხმოების, კონფრონტაციის, შეიარაღებული კონფლიქტის, შერიგების და ახალი სტაბილურობის წარმოშობის სტადიებს.

113. **კრიზისული სიტუაციის მონიტორინგი** – საქმიანობა, მიმართული კრიზისის დარეგულირებაზე, დაკავშირებული ინფორმაციის, სადაზვერვო მონაცემების შეკრებაზე, მათ დამუშავებასა და ვითარების შესახებ წარმოდგენის შემდგომ ფორმირებაზე. კრიზისულ სიტუაციაზე მონიტორინგი წარმოადგენს მუდმივ საქმიანობას კრიზისის ყველა სტადიაზე.

114. **ლენდ-ლიზი** – აშშ მხრიდან სესხად ან არენდით შეიარაღების, საბრძოლო მასალების, სატრანსპორტო საშუალებების, სამრეწველო დანადგარების, ნავთობპროდუქტების, ნედლეულის, საკვების, ინფორმაციის და მომსახურების მოკავშირეებისათვის გადაცემის სისტემა, რომელიც არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

115. **ლოკალური ომი** – პოლიტიკური მიზნებით, საომარი მოქმედების სივრცობრივი გაქანებით, გამოყენებული შეიარაღებული ძალების და საშუალებების რაოდენობით და ხარისხით შეზღუდული ომი. კონკრეტული ლოკალური ომების მასშტაბების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით ზოგიერთი მათგანის დასახელებისთვის, რომლებსაც შეიარაღებული ბრძოლის შედარებით დაბალი ინტენსივობა ახასიათებთ,

ზოგჯერ გამოიყენება სამხედრო-ისტორიული ტერმინი - „მცირე ომები". თანამედროვე ლოკალური ომების უმრავლესობა ომის ფორმალური, იურიდიული გამოცხადების გარეშე დაიწყო.

116. **მამული** – მშობლიური ქვეყანა ადამიანის, ადამიანების სოციალური თუ ეროვნული ერთობლიობისთვის. წარმოადგენს ადამიანთა ბინადრობის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გარემოს, რომელიც რაზმავს მათ ერთობად და იმავდროულად განასხვავებს სხვებისგან. მამული შეიცავს „მარადიულ" ნიშნებს, რომლებიც ძირითადად უცვლელი რჩება მოცემული ერთობის ისტორიული განვითარების ხანგრლივი პერიოდის მანძილზე (მისი კუთვნილი ტერიტორია, ეთნიკური შემადგენლობა, მოსახლეობის ენა და ეროვნული თავისებურებები, სახელმწიფოებრივიობა, როგორც მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა და სხვ.). მამულისადმი კუთვნილება გამოიხატება და მკვიდრდება მამულიშვილობით, პატრიოტიზმით, რომელიც აკავშირებს თანამემამულეებს, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის და სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს სოლიდარობის გრძნობით, საერთო მზადყოფნით ემსახურონ მამულის ინტერესებს, ადუღაბებს მამულის დაცვის საერთო ზნეობრივი ვალით და მოვალეობით.

117. **მამულის დაცვა** – ხალხის, სახელმწიფოს და მისი სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს, დაიცვას და დაამკვიდროს ქვეყნის სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება; მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფოს ყველა მოქალაქის სამართლებრივი და მორალური ვალდებულება. მამულის დაცვა ხორციელდება სხვადასხვა მშვიდობიანი ფორმით, ხოლო როდესაც აუცილებელია – შეიარაღებული ბრძოლის გზითაც. ამასთან, მამულის დასაცავად განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი და კანონიერია არა მარტო ისტორიული ტრადიციების და ზნეობრივი ნორმების, არამედ, აგრეთვე სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისითაც.

118. **მანდატი მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის ჩატარებაზე** - ნორმატიულ-სამარ- თობლივი დოკუმენტი, დამტკიცებული გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს ან კოლექტიური უსაფრთხოების სხვა ორგანოს მიერ. წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდასაჭერის კოლექტიური ძალების განსათავსებლად, აგრეთვე საწყის დოკუმენტს მშვიდობის მხარდასაჭერად ოპერაციის გეგმის დასამუშავებლად.

119. **მანევრული ომი** – ომი, რომელსაც ახასიათებს ფართო მასშტაბის სამანევრო მოქმედება ფრონტის სტაბილური ხაზის გარეშე და სწრაფცვალებადი ვითარება ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერსა და კოსმოსში. შეიძლება ადგილი ექნეს მთელი ომის დროს ან მის ცალკეულ ეტაპებზე. ომის მანევრულ ხასიათს განსაზღვრავს პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების გადამჭრელი ხასიათი, ჯარების უნარი, აწარმოონ მანევრული მოქმედება, დაზიანების ეფექტიანი საშუალებების საკმარისი რაოდენობის არსებობა, ჯარების მაღალმოძრავ გვარეობათა არსებობა, კომუნიკაციების ქსელის განვითარება, საომარი მოქმედების თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და სხვ. მანევრული ომის ცნება ხმარებაში შემოვიდა 1-ლი მსოფლიო ომის შემდეგ. უპირატესად მანევრული ხასიათს ატარებდა 1-ლი მსოფლიო ომის საწყისი პერიოდი და მთლიანად მე-2 მსოფლიო ომი.

120. **„მანჰეტენის პროექტი"** – აშშ-ის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის სამუშაო პროგრამის პირობითი დასახელება მიღებულ იქნა 1942 წლის აგვისტოში.

121. **„მასირებული შურისძიების" სტრატეგია** – აშშ-ის 50-იანი-60-იანი წლების სამხედრო დოქტრინის საფუძველი. დაფუძნებული იყო აშშ-ის უპირატესობაზე ბირთვული იარაღის და მისი მიტანის საშუალებების რაოდენობაში. განიხილავდა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ, სამხედრო და სამრეწველო ობიექტებზე მყისიერ მძლავრ ბირთვულ დარტყმებს.

122. **მასობრივი არმია** – მრავალრიცხოვანი შეიარღებული ძალები, რომელსაც სახელმწიფო, ჩვეულებრივ, ომიანობის დროს რეზერვში მყოფი მოქალაქეების (სამხედრო ვალდებულების) მნიშვნელოვანი მასების მოზიდვით ქმნის. მშვიდობიან დროს მეტი წილი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს აქვთ საკადრო მოწყობა და მათი შენახვა ხდება მინიმალურად საჭირო შემადგენლობით. სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ომიანობის დროს (მობილიზაციით) წარმოებს მასობრივ არმიად გაშლა.

123. **მეომარი მხარე** (საერთაშორისო სამართალში) - ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე, რომელიც ომის დადგენილი კანონების და წეს-ჩვეულებების დაცვის უფლება-მოვალეობების მატარებელია. სახელმწიფო მეომარ მხარედ განიხილება ომის მდგომარეობის გამოცხადების ან საომარ მოქმედების ფაქტობრივი დაწყების მომენტიდან. მეომარი მხარე შეიძლება იყოს პოლიტიკური მოძრაობა, ორგანიზაცია, რომელიც ეწევა ბრძოლას ეროვნული ან სოციალური განთავისუფლებისთვის, აგრეთვე სამოქალაქო ომის დროს ძალაუფლების მოპოვებისთვის (შენარჩუნებისთვის). მეომარი მხარის ოფიციალური სტატუსი ამ პოლიტიკურ ძალებს უჩნდება მათი ხელმძღვანელი ორგანოების საერთაშორისო აღიარების შემდეგ, რაც პოლიტიკურ მოძრაობას (ორგანიზაციას) აძლევს შესაძლებლობას, დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის სუბიექტებთან. მეომარი მხარის სტატუსი წარმოშობს მთელ რიგ იურდიულ შედეგებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.

124. **მეომარი მხარეების განიარაღება** – იძულებითი ზომების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დაპირისპირებული მხარეების შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას, კონფლიქტის ზონაში მოსახლეობისაგან იარაღის ამოღებას, ასევე ამოღებული იარაღის და ტექნიკის განსაზღვრულ ადგილებში დასაწყობებას და მათ შემდგომ დაცვას.

125. **მეცნიერული პოტენციალი** – მეცნიერების შესაძლებლობა, ეფექტიანად წყვეტდეს საზოგადოების წინაშე მდგარ მიმდინარე და პერსპექტიულ ამოცანებს. ახასიათებს მეცნიერების განვითარების დონე, ორგანიზაციული მზადყოფნა წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად, აგრეთვე შესაბამისი კადრებით, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. მეცნიერული პოტენციალის შემადგენელი ელემენტია სამხედრო-მეცნიერული პოტენციალი, რომელშიც იგულისხმება მეცნიერების შესაძლებლობა, ეფექტიანად წყვეტდეს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების და მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების ამაღლების ამოცანებს. სამხედრო მეცნიერული პოტენციალი გავლენას ახდენს სამხედრო ტექნიკის განვითარებაზე, ჯარების ორგანიზაციულ სტუქტურაზე, ჯარების მართვაზე, ხოლო მათი მეშვეობით – საბრძოლო მოქმედების

წარმოების ხერხებსა და ფორმებზე, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სამხედრო-თეორიული მომზადების მთელ სისტემაზე.

126. **„მეხუთე კოლონა"** – სახელმწიფოს ან პოლიტიკური მოძრაობის შიგნით მტრის აგენტურის ზოგადი დასახელება, რომელიც მოწინააღმდეგის სასარგებლო მოქმედებებს აწარმოებს.

127. **მილიტარიზმი** (სამხედრო) – სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების აქტიური ზრდის იდეოლოგია და პოლიტიკა; სახელმწიფოში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამხედრო და გასამხედროებული ორგანოების და ინსტიტუტების დომინირება.

128. **მიუმხრობლობის მოძრაობა** – იმ ქვეყნების ზოგადდემოკრატიული მოძრაობა, რომლებიც არ მონაწილეობენ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში და დაჯგუფებებში, იბრძვიან მშვიდობის და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის, სახელმწიფოთა და ხალხთა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისთვის. ორგანიზაციულად მიუმხრობლობის მოძრაობა გაფორმდა 1961 წელს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ბელგრადის კონფერენციაზე. შემდგომი კონფერენციები (მიუმხრობლობის მოძრაობის უმაღლესი ორგანო) მიმდინარეობდა ევროპის, აზიის, ამერიკის სახელმწიფოთა დედაქალაქებში. მიუმხრობლობის მოძრაობას არა აქვს თავისი წესდება, ბიუჯეტი, შტაბბინა. სახელმწიფო, რომელიც მორიგ კონფერენციას მასპინძლობს, ხდება მოძრაობის კოორდინატორი ქვეყანა, ხოლო მისი ხელმძღვანელი – მიუმხრობლობის მოძრაობის თავჯდომარე. მიუმხრობელი ქვეყნების მიმდინარე პრობლემების განსახილველად პოზიციების შეთანხმების მიზნით გაეროს გენერალური ანსამბლეის მორიგი სესიის წინ ეწყობა კონფერენციები და საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები. მიუმხრობლობის მოძრაობის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს საკოორდინაციო ბიურო, მუშაობენ აგრეთვე სპეციალური ორგანოები ეკონომიკურ, სოციალურ, საინფორმაციო და სხვა საკითხებზე. მიუმხრობლობის მოძრაობის მთავარი დოკუმენტების და გადაწყვეტილებების მიღება ხდება შეთანხმების, ერთსულოვნების საფუძველზე და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

129. **მიუღებელი ზარალი** – ბირთვული ომის დროს სახელმწიფოს მოსალოდნელი დანაკარგების ოდენობა, მიღებული მოწინააღმდეგის საპასუხო ბირთვული დარტყმის შედეგად, რომელიც შეუძლებელს (არახელსაყრელს) ხდის მის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას. მიუღებელი ზარალის დონის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიკის და სამხედრო ობიექტები, სახელმწიფო და უმაღლესი სამხედრო მართვის ორგანოების სისტემები, რომლებიც დაზიანებისათვის მოწყვლადია. მათი ნგრევა საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ქვეყნის მიერ მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების უზრუნველყოფის შესაძლებლობების დაკარგვამდე.

130. **მობილიზაცია** – ომის მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია აქტიურ მდგომარეობაში მოიყვანოს, თავი მოუყაროს და დაძაბოს არსებული რესურსები, ძალები და საშუალებები. ეს პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს ქვეყნის შეიარაღებული ძალების, ეკონომიკის და სახელმწიფო ინსტიტუტების (საერთო მობილიზაცია) ან მათი რაიმე ნაწილის (ნაწილობრივი მობილიზაცია) სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანაში. შეიძლება მოეწყოს ღია ან ფარული ხერხით. მობილიზაციის გამოცხადება არის სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტის) და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების

კომპეტენცია. მობილიზაციის გამოყენება დაიწყო მასობრივი არმიების შექმნის შემდეგ, რომლებიც კომპლექტდებოდა საყოველთაო სამხედრო ბეგარის საფუძველზე (18-19სს.) მობილიზაციის შინაარსში არსებითი ცვლილებები შეიტანეს მე-20 საუკუნის დამდეგის ომებმა და განსაკუთრებით 1-ელმა მსოფლიო ომმა, რომელმაც მოითხოვა არმიაში ადამიანთა უზარმაზარი რესურსების მოზიდვა და სახელმწიფოს ეკონომიკის დიდი დაძაბვა. მე-2 მსოფლიო ომმა კიდევ უფრო მეტად გამოავლინა ომისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება, მნიშვნელოვნად გაიზარდა მობილიზაციის მასშტაბი. მობილიზაციის ძირითად შინაარსს შეადგენს შეიარაღებული ძალების მობილიზაცია და ეკონომიკის მობილიზაცია.

131. **მობილიზაციის გეგმა** – იმ დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ მთლიანად შეიარაღებული ძალების, შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის, გაერთიანების, შენაერთის, ნაწილის, დაწესებულების სამობილიზაციო გაშლის, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკისა და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ომიანობის პერიოდის საქმიანობის რეჟიმზე გადაყვანის ღონისძიებების შინაარსს, მოცულობას, წესს და ვადებს.

132. **მობილიზაციის ჩატარება** – ღონისძიებათა კომპლექსი მართვის ორგანოების, შენაერთების, ნაწილების (ხომალდების) და დაწესებულებების ომიანობის პერიოდის ორგანიზაციასა და შტატებზე გადასაყვანად; ჯარების (ძალების) მობილიზაციური გაშლის შემადგენელი ნაწილი. მობილიზაციის გატარების დასაწყისია ბრძანება (სიგნალი) იმის თაობაზე, რომ შენაერთები (ნაწილები, ხომალდები) და დაწესებულებები მოიყვანონ საბრძოლო მზადყოფნის შესაბამის მდგომარეობაში, ან მობილიზაციის განკარგულების მიღება; დასასრულია – ამოცანების განსახორციელებლად მათი მზადყოფნაში მოყვანის დაგეგმილ ღონისძიებათა შესრულება. ხორციელდება მუდმივი დისლოკაციის პუნქტებში, თავმოყრის, საბრძოლო მორიგეობის რაიონებში, პოზიციებზე, აეროდრომებზე, სასწავლო ცენტრებში და სხვ.

133. **მობილიზაციური გაშლა** – ღონისძიებების სისტემა, რომლებიც ომიანობის პერიოდის ორგანიზაციასა და საშტატო რიცხოვნობაზე შეიარაღებული ძალების, დაწესებულებების გეგმაზომიერი გადაყვანის მიზნით ხორციელდება. შეიარაღებული ძალების მობილიზაციური გაშლა არის მობილიზაციის შემადგენელი ნაწილი და მოიცავს: ჯარების (ძალების) გადაყვანას ომიანობის პერიოდის ორგანიზაციასა და შტატებზე, მათ შეიარაღებით, ტექნიკით და სხვა მატერიალური საშუალებებით დამატებით უზრუნველყოფას. შეიარაღებული ძალების მობილიზაციური გაშლის ყველა ღონისძიება მთლიანად და ცალ-ცალკე თითოეული შენაერთის, ნაწილის და დაწესებულების მიხედვით დეტალურად მუშავდება მშვიდობიან დროს და აისახება შესაბამის სამობილიზაციო გეგმებში.

134. **მობილიზაციური მზადყოფნა** – სახელმწიფოს, მისი ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების და შეიარაღებული ძალების უნარი, განახორციელონ მობილიზაცია; ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დადგენილ ვადებში განახორციელონ გადასვლა ომიანობის პერიოდის ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაზე. ღონისძიებების მოცულობას, გადასვლის წესს და დროებით ნორმატივებს განსაზღვრავენ მშვიდობიან დროს შემუშავებული სამობილიზაციო გეგმები. ჯარების (ძალების)

მობილიზაციური მზადყოფნის დონე დამოკიდებულია სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობების მდგომარეობაზე, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების, მშვიდობიანი დროის შტატების მიხედვით შეიარაღებით და სამხედრო ტექნიკით აღჭურვის დონეზე, მათ საბრძოლო შერწყმაზე, მობილიზაციური გაშლის და საბრძოლო მზადყოფნაში ჯარების (ძალების) მოყვანის ამოცანების შესასრულებლად მართვის ორგანოების მომზადების დონეზე.

135. **მობილიზაციური მომზადება** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება მშვიდობიან დროს, რათა სახელმწიფოს ეკონომიკა, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შეიარაღებული ძალები და ტერიტორია მოამზადონ შეიარაღებული თავდასხმისგან მისი დაცვის უზრუნველსაყოფად, ომიანობის პერიოდში სახელმწიფოს და მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

136. **მოსახლეობის სამხედრო მომზადება** – მოსახლეობის სამხედრო სწავლების ღონისძიებათა კომპლექსი. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში სამხედრო სამსახურისთვის მოქალაქეთა მომზადება ხორციელდება რეზერვის მომზადების გზით, ტერიტორიული და სამოქალაქო თავდაცვის სისტემებში და სხვ.

137. **მოულოდნელობა** – სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი პრინციპი. მოწინააღმდეგისთვის უეცარი მოქმედება, რომელიც მას აბნევს და ხელს უწყობს წარმატების მიღწევას ბრძოლაში, ოპერაციაში, ხოლო ზოგჯერ მთლიანად ომშიც. მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების დონის მიხედვით მოულოდნელობა შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი, ხოლო მასშტაბების მიხედვით–სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური.

138. **„მოქნილი რეაგირების" სტრატეგია** – 1967 წლის შემდგომ "ცივი ომის" პერიოდის ბოლო დროს ნატო-ს სტრატეგიის გადამწყვეტი ასპექტი, რომლის მიხედვით ჩრდილოატლანტიკური კავშირის წინააღმდეგ აგრესიის მოცულობის და მასშტაბების მიხედვით განიხილებოდა საომარი მოქმედების სხვადასხვა ვარიანტი, ბირთვული იარაღის გამოყენების ჩათვლით. ამავე დროს, ითვალისწინებდა პოტენციური აგრესორისთვის ნატო-ს კონკრეტული სამხედრო საპასუხო ქმედებების დაფარვას.

139. **მოწინააღმდეგე ძალები** - ძალები, რომლებიც ნატო-ს სწავლების დროს მოწინააღმდეგის როლს ასრულებენ.

140. **მრავალეროვნული** – ცნება, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის მოქმედებების, ოპერაციების, ფორმირებების და ა.შ. განსაზღვრისთვის, რომელშიც მონაწილეობენ ორი ან მეტი სახელმწიფოს ნაწილები, ქვედანაყოფები ან სხვა ორგანიზაციები.

141. **მრავალეროვნულობა** – სამეთაურო და საჯარისო სტრუქტურების ან სამხედრო ოპერაციების დახასიათება, რომლებშიც ინტეგრირებულია ნატო-ს რამდენიმე სახელმწიფოს ან მისი პარტნიორების მიერ გამოყოფილი ძალები და საშუალებები. ისინი მოიცავენ ცალკეულ ჯარისკაცებს, სხვადასხვა სახეობას და რიცხობრივი შემადგენლობის ნაწილებს და ქვედანაყოფებს, ასევე სხვა რესურსებს.

142. **მსოფლიო ომი** – გლობალური ხასიათის და მასშტაბის საერთაშორისო წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის გამოყენებით გადაწყვეტის ფორმა. მის არსს შეადგენს საკითხი მსოფლიოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობის და

განვითარების საერთო გეზის შესახებ, ხოლო საბოლოო ანგარიშით – კაცობრიობის ცივილიზაციის მომავლის შესახებ. ნიშნებს, რომლებიც საშუალებას იძლევა საომარი შეტაკება კვალიფიცირებულ იქნას როგორც მსოფლიო ომი, წარმოადგენს: სახელმწიფოთა კოალიციების დაპირისპირება; მსოფლიოს ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მოცვა პრაქტიკულად ყველა დიდი სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობით; მოპირისპირე მხარეების პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების გადამწყვეტი ხასიათი; საომარი მოქმედების წარმოება უდიდეს ტერიტორიაზე, რომელიც სხვადასხვა კონტინენტზე და მსოფლიო ოკეანის აკვატორიებში საომარი მოქმედების მრავალ თეატრს მოიცავს; სტრატეგიული ოპერაციების, ოპერაციების და სხვა საბრძოლო მოქმედების მასშტაბურობა და ინტენსივობა დიდი დამანგრეველი ძალის იარაღის და სამხედრო ტექნიკის მაქსიმალური გამოყენების პირობებში.

143. **მსხვილმასშტაბიანი ომი –** ომი, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების სახელმწიფოების მნიშვნელოვანი რაოდენობა, და მიმართულია რადიკალური სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის.

144. **მტრული მხარეების დაშორიშორება** – ჰუმანიტარული ოპერაციის ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც დანიშნულებაა შეიარაღებული შეჯახებების აღკვეთის,ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების, სამოქალაქო მოსახლეობის კონფლიქტის ზონიდან ევაკუაციისა და კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პირობების შესაქმნელად მებრძოლი მხარეების შირის გამცალკევებელი ზოლის მოწყობა.

145. **მუქარის მდგომარეობა** – იხ. მუქარის პერიოდი

146. **მუქარის პერიოდი** – დრო (სხვადასხვა ხანგრძლივობის), რომელიც ჩვეულებრივ წინ უსწრებს ომის დაწყებას. ხასიათდება საერთაშორისო ვითარების და შესაძლო მოწინააღმდეგეებს შორის ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვით. ამ პერიოდში ტარდება ღონისძიებები შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების მიზნით, ხორციელდება მათი სტრატეგიული გაშლა და ეკონომიკა გადადის სამხედრო მდგომარეობაში.

147. **მშვიდობა** – 1. ურთიერთობა ხალხებს, სახელმწიფოებს, სოციალურ ჯგუფებს შორის ცალკეული ქვეყნების შიგნით, რომელსაც ახასიათებს ომის, შეიარაღებული ბრძოლის არარსებობა, და ეფუძნება პოლიტიკის გატარებას პირდაპირი შეიარაღებული ძალადობის გარეშე. მტკიცე მშვიდობა გულისხმობს არა მარტო ომის არარსებობას (ასეთ მდგომარეობას ზოგჯერ „ნეგატიურ მშვიდობას” უწოდებენ), არამედ აგრეთვე სახელმწიფოების, მსოფლიო პოლიტიკის სხვა სუბიექტების ფართოდ გავრცელებულ თანამშრომლობას. მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას. მე-20 საუკუნეში მშვიდობის პრობლემები გამოიყო სოციალური ცოდნის დამოუკიდებელ დარგად – პაქსოლოგიად. ბევრ ქვეყანაში სპეციალიზებული ინსტიტუტები გაერთიანდა მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ასოციაციად. მშვიდობის არსებულ კონცეფციებში, როგორც წესი, განიხილება შემდეგი ძირითადი პრობლემები: მშვიდობის არსი, შესაძლო მშვიდობის სივრცული, გეოპოლიტიკური საზღვრები; მის სოციალური და სამართლებრივი ბაზა, მშვიდობის უზრუნველყოფის გზები და საშუალებები და სხვ.; 2. მეომარი ქვეყნების შეთანხმება ომის შეწყვეტის და მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენის შესახებ –ზავი, საზავო შეთანხმება.

148. **მშვიდობიანი თანაარსებობა** – მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებს და ხალხებს შორის ურთიერთობის პრინციპი, რომელიც სამხედრო ძალადობის გამოყენებას გამორიცხავს. მშვიდობიანი თანაარსებობა გულისხმობს: ომზე, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუალებაზე უარის თქმას, მათ გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით; სახელმწიფოთაშორის თანასწორუფლებიანობას, ურთიერთგაგებას და ნდობას, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას; ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის განუხრელ დაცვას, სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერ შესრულებას და სხვ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათი მიანიჭა მშვიდობიანი თანაარსებობის ძირითად პრინციპებს, თუმცა თვითონ არ გამოუყენებია ეს ტერმინი.

149. **მშვიდობიანი მოსახლეობა** (სამოქალაქო მოსახლეობა) - საერთაშორისო სამართალში პირნი, რომლებიც არ ეკუთვნიან მეომარი მხარეების შეიარაღებულ ძალებს და საომარ მოქმედებაში უშუალო მონაწილეობას არ იღებენ. მშვიდობიანი მოსახლეობის სტატუსს არეგულირებს ჰააგის 1907 წ. კონვენცია სახმელეთო ომის კანონების და წეს-ჩვეულებების შესახებ; ჟენევის 1949 წ კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, „შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ძირითადი პრინციპები", რომლებიც 1970 წელს დაამტკიცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევები მიჩნეულია ომის დანაშაულად.

150. **მშვიდობიანი პერიოდის საორგანიზაციო-საშტატო განრიგი** ცხრილის სახის დოკუმენტი, ნაწილის ფორმი-რების, ან შტაბის მშვიდობიანი პერიოდის პირადი შემადგენლობის, დამტკიცებული მოთხოვნილებების. აგრეთვე მშვიდობიანი პერიოდის შტატი

151. **მშვიდობიანი პერიოდის შტატი** - იხ. მშვიდობიანი პერიოდის საორგანიზაციო-საშტატო განრიგი.

152. **მშვიდობის აღმშენებლობა** - სახელმწიფოების კოლექტიური მოქმედებები, რომელიც ხორციელდება კონფლიქტის დასრულების შემდეგ. იგი მიზნად ისახავს იმ სტრუქტურების გამოვლენას, მხარდაჭერას და დახმარებას, რომელთაც ხელეწიფებათ მშვიდობის შენარჩუნება და გამყარება, კონფლიქტის გაღვივების თავიდან აცილება, სახელმწიფო ინსტიტუტების და ეკონომიკის აღდგენა, მოსახლეობისთვის სახელისუფლებო ორგანოების მიმართ ნდობის აღდგენა.

153. **მშვიდობის დამყარება** – დიპლომატიური ქმედებები, რომლებიც ხორციელდება კონფლიქტის დაწყების შემდეგ სამშვიდობო დარეგულირების მიღწევის მიზნით. ისინი შეიძლება მოიცავდეს დახმარების აღმოჩენას შუამავლობისთვის, შერიგებისთვის და ისეთ მოქმედებებს, როგორიცაა დიპლომატიური იზოლაცია და სანქციები.

154. **მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა** – საერთაშორისო მასობრივი მოძრაობა ომის და მილიტარიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, უსაფრთხოების და ხალხთა თანამშრომლობისთვის. აერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებების ადამიანებს. გაფორმდა მშვიდობის მომხრეთა 1-ელ მსოფლიო კონგრესზე (1949-ის აპრილი). ხელმძღვანელი ორგანოა მშვიდობის

მსოფლიო საბჭო, რომელშიც მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყნის 200-მდე ეროვნული ორგანიზაცია შედის.

155. **მშვიდობისმყოფლობა** – 1. ცალკეული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების დამკვიდრებას; 2. გაერო-ს, რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა საერთაშორისო მშვიდობის მხარდასაჭერად ან აღსადგენად, აგრეთვე მათი ძალისხმევა, აიძულოს ქვეყნის შიგნით მოშუღლე დაჯგუფებები, თავიდან აიცილონ ან შეწყვიტონ შეიარაღებული დაპირისპირება. შეიძლება განხორციელდეს როგორც მშვიდობიანი (პრევენტული დიპლომატია, კოლექტიური სანქციები და სხვ.), ისე სამხედრო (ძირითადი ფორმა – მშვიდობის იძულების, აღდგენის და შენარჩუნების ოპერაციები) ღონისძიებების გამოყენებით.

156. **მშვიდობისმყოფელობითი საქმიანობა** - საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების მუქარის აცილების მიზნით.საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა ხასიათის კოლექტიური მოქმედებები,წარმოებული საერთაშორისო სამართლის ნორმების და პრინციპების შესაბამისად, მიმართული საერთაშორისო დავების გადასაწყვეტად, შეიარაღებული კონფლიქტების ასარიდებლად და შესაწყვეტად უპირატესად მშვიდობიანი ხერხებით.

157. **მშვიდობის მხარდამჭერი ფსიქოლოგიური ოპერაციები** – დაგეგმილი ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომლებიც ტარდება, როგორც მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაცია განუყოფელი ნაწილი. მიმართულია საბრძოლო მოქმედებების ზონაში, კონფლიქტის მონაწილეთა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის მხარდაჭერის და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნისათვის, მშვიდობის მხარდაჭერის ძალების დაცვის და ოპერაციის მიზნების მიღწევისთვის.

158. **მშვიდობის მხარდაჭერა** შეიარაღებული ძალების, სამხედრო მეთვალყურეების, პოლიციის (მილიციის), სამოქალაქო პერსონალის გამოყენებით საერთაშორისო ორგანიზაციების კოლექტიური მოქმედებები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოთაშორისი ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტაზე, და მშვიდობის აღდგენის პოლიტიკური პროცესების ხელშეწყობაზე. როგორც წესი ხორციელდება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების ფორმით.

159. **მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაცია** - ნატო-ს სამხედრო ოპერაცია, წარმოებული სამშვიდობო საქმიანობის მხარდასაჭერად. ჩართულია კრიზისზე რეაგირების ოპერაციების კატეგორიაში, იგი ანალოგიურად, როგორც მშვიდობისმყოფელობითი საქმიანობა კრიზისების დარეგულირების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს.

160. **მშვიდობის მხარდაჭერის ჯგუფი** - დროებითი მრავალეროვნული ფორმირება, ჩამოყალიბებული მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის ჩატარების პერიოდში. მის შემადგენლობაში, როგორც წესი, მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალები და სამხედრო დამკვირვებლების ჯგუფი შედის.

161. **„მცირე ომი"** – საბრძოლო მოქმედებები მცირერიცხოვანი ძალებით, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის დაუძლურება და გადამწყვეტი შეტევის განხორციელება\ის მიზნით საკუთარი ჯარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

162. **ნავსაყინაღო ბრძოლა (ომი)** – შეერთებული შტატების და ნატო-ს სხვა ქვეყნებში მიღებული ტერმინი; მოიცავს იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებსაც

აწარმოებენ შეიარაღებული ძალების ყველა სახეობები და რომელთა მიზანია, აღმოაჩინონ და გაანადგურონ მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავები, აგრეთვე მათი საბრძოლო საქმიანობის უზრუნველყოფის ძალები და საშუალებები. ეწყობა საომარი მოქმედების ყველა საზღვაო და საოკეანო თეატრში და ეყრდნობა მუდმივი ნავსაწინაღო თვალთვალის სისტემას. სამხედრო-საზღვაო ძალებში განიხილება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ზღვაზე ბატონობის მოპოვებისა. მისი მიზანია დიდმნიშვნელოვან სახმელეთო ობიექტებზე საოკეანო და საზღვაო მიმართულებებიდან, თავიდან იქნეს აცილებული საპასუხო სარაკეტო-ბირთვული დარტყმა, შეუქმნას ხელშემწყობი პირობები წყალზედა საბრძოლო ხომალდების შენაერთებს, მეწინავე რაიონებში მოქმედებისას, უზრუნველყოს (დაიცვას) საზღვაო და საოკეანო კომუნიკაციები.

163. **ნაოსნობის სამხედრო მართვის ინსტანცია -** სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, რომელიც თანახმად ნატო-ს ქვეყნების სავაჭრო ფლოტის მართვის განხორციელების პირობებისა პასუხს აგებს მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში სავაჭრო ნაოსნობის მართვაზე.

164. **ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები** – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი სახელწიფოების შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი. შეიქმნა ნატოს საბჭოს მე-5 სესიის გადაწყვეტილებების შესაბამისად 1950 წ. სექტემბერში. 1991 წ. მიღებულ იქნა „ჩრდილოატლანტიკური კავშირის ახალი სტრატეგიული კონცეფცია", რომელიც ნატოს ქვეყნების უსაფრთხოების და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფასთან ერთად ითვალისწინებს ძალების და შესაძლებლობების შექმნას, მათ შორის, მშვიდობისმყოფლური ოპერაციების განსახორციელებლად. 1994 წ. მოწონებულ იქნა „ეროვნებათშორისი ოპერატიული ძალების" კონცეფცია, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს ოპერაციების განხორციელებას გაერო-ს ეგიდით ან ეუთო-ს სანქციით, აგრეთვე იმ სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც არ შედიან ნატო-ში. ნატო-ს გაერთიანებული სახმელეთო ძალების შემადგენლობაში შედის ომის თეატრის ბირთვული ძალები და საერთო დანიშნულების ძალები. ბირთვული ძალები მოიცავენ გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავ-მატარებლებს, აგრეთვე ბირთვულ არტილერიას. საერთო დანიშნულების ძალები წარმოდგენილია გაერთიანებული სახმელეთო ძალებით, გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალებით და გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალებით. ნატოს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს აქვთ სამკომპონენტიანი სტრუქტურა, და ოპერატიული დანიშნულების მიხედვით იყოფიან რეაგირების ძალებად, მთავარ თავდაცვით ძალებად და გაძლიერების ჯარებად (ძალებად). საბრძოლო მზადყონის მხრივ უპირველესნი არიან რეაგირების ძალები, რომლებიც მოიცავენ დაუყოვნებელი რეაგირების ძალებს და სწრაფი გაშლის ძალებს. მთავარი თავდაცვითი ძალები ქმნიან ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების პირველ ეშელონს და მსოფლიო ომში ან შეზღუდულ ომში ევროპის ტერიტორიაზე და ატლანტიკაში დიდი მასშტაბის საომარი მოქმედების წარმოებისთვის არიან განკუთვნილი. ამ ძალების დიდი ნაწილი მშვიდობიან დროს ეროვნულ დაქვემდებარებაშია და სტრატეგიული გაშლის დაწყებისას ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობას გადაეცემა. გაძლიერების ჯარები გათვალისწინებულია გამოყენებულ იქნეს ნატოს

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების პირველი ეშელონის გასაძლიერებლად, სტრატეგიული და ოპერატიული რეზერვების შესაქმნელად.

165. **ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადასაცემი ძალები -** ჯარები, რომლის ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში შესაბამის ვადებში გადაცემაზე ნატო-ს ქვეყნები თანახმა არიან. ამ ჯარების გამოყოფის შემთხვევაში ნატოს ქვეყნებმა უნდა მიუთითონ მათი გადაცემის ვადები, როგორც ეს არის დამტკიცებული ნატო-ს სამხედრო კომიტეტის მიერ.

166. **ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადმოცემული ძალები –** ჯარები, რომლებიც ნატოს ქვეყნების ხელშეკრულებით გადაცემულია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში. გადაეცემა განსაზღვრულ ეტაპზე, მზადყოფნის მითითებული დონის დროს ან ნატოს გამაფრთხილებელი ზომების სისტემაში ღონისძიებების ჩატარებისას, ასევე განსაკუთრებული შეთანხმებების დებულებების შესაბამისად.

167. **ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სახეობათაშორისი სუბრეგიონული სარდლობის სარდალი -** სახეობათაშორისი სარდლობის სარდალი ნატო-ს სამხედრო სარდლობის სტრუქტურის მესამე რგოლში.

168. **ნატო-ს დაქვემდებარებული ძალები** – ჯარები, რომლებიც ნატო-ს ქვეყნების მიერ გადაცემულია ნატო-ს გერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

169. **ნატო-ს მსხვილმასშტაბიანი სწავლებები –** ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის და დაქვემდებარებული სარდლობების უმრავლესობის, ასევე ეროვნული სამხედრო შტატების მონაწილეობით ჩატარებული სწავლებები.

170. **ნატო-ს სააგენტო -** დამოუკიდებელი ბიურო ან ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ნატო-ში და აქვს პასუხისმგებლობა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წინაშე ცალკეული ამოცანების (მაგ. კავშირგაბმულობა, სამეცნიერო კვლევები, სტანდარტიზაცია). სააგენტო ექვემდებარება დირექტორთა საბჭოს ან ხელმძღვანელ კომიტეტს, რომელიც პასუხს აგებს მისი საქმიანობის კონტროლზე.

171. **ნატო-ს საბარეო აღაპტაცია –** პროცესი, რომელიც „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობის განმტკიცების, უსაფრთხოების და სტაბილურობის მიზნით ნატო-მ განახორციელა და ადაპტირებისთვის საჭირო რიგ ინიციატივებს მოიცავს. კერძოდ: პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭო, ნატო-ს გაფართოება, ხმელთაშუაზღვის რეგიონის დიალოგი და ა.შ.

172. **ნატო-ს სამხედრო დაგეგმვის სისტემა –** განსაზღვრული სამუშაო მეთოდების ერთობლიობა, რომელთა საშუალებით ხორციელდება ნატო-ს ცალკეული ქვეყნების სამხედრო დაგეგმვის პროცესების ჰარმონიზირება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: შეიარაღება, სამოქალაქო საგანგებო სიტუაციები, კონსულტაციები, მართვა და ხელმძღვანელობა, ჯარები, ლოგისტიკა, ბირთვული შეიარაღება და რესურსები. თავდაცვითი რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით

ჰარმონიზირება წარმოებს ჩრდილოატლანტიკური კავშირის საერთო მოთხოვნების გათვალისწინებით ერთიანი, თანამიმდევრული და კოორდინირებული პროცესის ფარგლებში ნატო-ს სავარაუდო სამხედრო მოთხოვნების მთელი კომპლექსის დასაკმაყოფილებლად. ეს პროცესი საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს ისარგებლონ კოლექტიური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სამხედრო და რესურსული უპირატესობით, სამხედრო მოღვაწეობის სხვა სახეებით უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცებისთვის, სამხედრო პოლიტიკის რენაციონალიზაციის თავიდან ასაცილებლად და თავდაცვით სფეროში ქვეყნებს

173. **ნატო-ს სამხედრო ხელმძღვანელი ორგანო –** საერთაშორისო შტაბი ან სხვა სამხედრო ორგანიზაცია, რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო სამხედრო შტაბის სტატუსის შესახებ არსებული ოქმის მოქმედება (ე.წ. „პარიზის ოქმი“), აგრეთვე ნებისმიერი სხვა სამხედრო ხელმძღვანელი ორგანო, რომლის მიმართაც ნატო-ს საბჭოს მიერ გამოიყენება შეთანხმება ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტატუსის, ეროვნული წარმომადგენლობის და საერთაშორისო სამდივნოს (ე.წ. „ოტავას ხელშეკრულება“) შესახებ.

174. **ნატო-ს სამხედრო ხელმძღვანელობის სტრუქტურა -** იხ. სარდლობის ინტეგრირებული სტრუქტურა.

175. **ნატო-ს სიფრთხილის ზომების სისტემა -** სიფრთხილის ზომების სისტემა, რომელიც შექმნილია 1992 წ. ნატო-ს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურის საერთო მზადყოფნის კრიზისის დროს უზრუნველსაყოფად. იგი მოიცავს კრიზისული სიტუაციების ფართო სპექტრს და ასევე ადაპტირებულია მშვიდობის დამყარებას ოპერაციებისთვის. მოიცავს სამოქალაქო და სამხედრო ხასიათის მრავალფეროვან ზომებს, მ.შ. დროულ, კოორდინირებულ და შერჩეულ მოქმედებებს შექმნილ სიტუაციაზე შესაბამისი რეაგირებისთვის.

176. **ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია –** სამხედრო-პოლიტიკური დირექტიული დოკუმენტი, რომელიც ჩრდილოატლანტიკური კავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებზე მიდგომას გადმოსცემს. დამტკიცებულ იქნა 1999 წლის აპრილში ნატო-ს ქვეყნების მთავრობების ხელმძღვანელთა მიერ. მასში განისაზღვრება ნატო-ს გრძელვადიანი მიზანი და ხასიათი, მისი პირველხარისხოვანი ამოცანები უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, უსაფრთხოების სფეროში ახალი ვითარების ძირითადი თავისებურებები, კონკრეტდება უსაფრთხოების საკითხებისადმი ჩრდილო ატლანტიკური კავშირის მიდგომის ასპექტები, ასევე შეიცავს ნატო-ს შეიარაღებული ძალების შემდგომი ადაპტირების დირექტივებს.

177. **ნატო-ს სხვა მოკავშირე ჯარები** - ჯარები, რომლებიც არ გადაეცემა და არ არის გამიზნული ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში გადასაცემად, მაგრამ შეიძლება ურთიერთქმედებდნენ ნატო-ს ძალებთან, ან გადავიდნენ მის სპორტულ დაქვემდებარებაში განსაზღვრულ ვითარებაში, რომელიც ექვემდებარება კონკრტიზაციას.

178. **ნატო-ს უპირველესი ამოცანები უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში**– ჩრდილოატლანტიკური კავშირის ძირითადი ფუნქციები, რომელიც ასახულია ნატო-ს სტრატეგიულ კონცეფციაში, ეფუძნება მის როლს მისი ყველა წევრის თავისუფლების და უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფის და ევროატლანტიკურ რეგიონებში მშვიდობის და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში.

179. **ნატო-ს შეთანხმება სტანდარტიზაციის შესახებ –** ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებული შეთანხმების დოკუმენტი, რომელიც შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის, ტყვია-წამლის, მატერიალური საშუალებების და მატერიალური ფასეულობების მსგავსი ან ანალოგიური ნიმუშების მიღებას, აგრეთვე ოპერატიული, მატერიალურ–ტექნიკური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის პროცედურების განხორციელებას ეხება.

180. **ნატო-ს შიდა ადაპტირება –** პროცესი, რომელიც მოიცავს "ცივი ომის"" დამთავრების შემდგომ, ნატო-ს შიდა სამხედრო და პოლიტიკურ სფეროში განხორციელებულ ზომებს. მიზნად ისახავს შექმნას სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია და სტრუქტურა მე-5 მუხლის და მის ჩარჩოებს გარე არსებული განხორციელებული ოპერაციების მთელი სპექტრის ჩატარებისთვის საჭირო მოთხოვნების შესასრულებლად. ეს პროცესი შეიცავს ნატო-ს სამხედრო ხელმძღვანელობას და ნატო-ს ძალების სტრუქტურის ადაპტირებას, მათ შორის მრავალეროვნულ გაერთიანებულ ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების და თავდაცვის და უსაფრთხოების ევროპული შემადგენელის განვითარების კონცეფციას.

181. **ნატო-ს შორეული საჰაერო-რადიოლოკაციური აღმოჩენის და კონტროლის ძალები –** ნატო-ს ყველა სარდლობისთვის 1978 წელს შექმნილი საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები, რომელთა ამოცანაა ამ სარდლობებისთვის საჰაერო თვალთვალის, მართვის და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. შორეული საჰაერო – რადიოლოკაციური აღმოჩენის და მართვის ძალების შტაბი განლაგებულია ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ტერიტორიაზე. ნატო-ს საფრენი აპარატების E-3A შერეული ეკიპაჟები დაკომპლექტებულია თერთმეტი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეებით, ეს ქვეყნებია: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, დანია, კანადა, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ და თურქეთი. E-3A კომპონენტი ძირითადათ ბაზირებულია ოპერატიულ ავიაბაზაზე ქ. ჰელეკირხენში, გერმანია. E-3A წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის წვლილს ამ ძალებში და მათი ეკიპაჟები დაკომპლექტებულია ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეებით. E-3D ბრიტანული კომპონენტი განლაგებულია ავიაბაზაზე ქ. ვიდინგტონში, დიდი ბრიტანეთი.

182. **ნატო-ს ღევროებისათვის მომზადების მოძმედებათა გეგმა –** უმაღლეს დონეზე ვაშინგტონის შეხვედრაზე 1999წლის აპრილში წამოყენებული NATO-ს საქმიანობის პროგრამა. იგი მიზნად ისახავდა NATO-ში შესვლის მსურველ პრეცედენტ - სახელმწიფოებისათვის მომავალი გაწევრიანებისათვის დახმარების გაწევა.

183. **ნატო-ს ხელმძღვანელობით პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ოპერაციის სამხედრო-პოლიტიკური ჩარჩოები -** ოპერატიულ დაგეგმვაში და სარდლობის შესახებ პრინციპების, პირობების და სხვა სახელმძღვანელო მითითებების ერთობლივობა პოლიტიკურ კონსულტაციებში პარტნიორების მონაწილეობის საკითხებზე და ხელმძღვანელობაზე ხელშეკრულების მიღების პროცესში. პარტნიორ-ქვეყნებს ეს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ნატო-ს ხელმძღვა-ნელობით პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ოპერაციების დაგეგმვასა და ჩატარებაში.

184. **ნატო-სთვის უფლებამოსილების გადაცემა -** მოქმედება, რომლის შედეგად წევრი-სახელმწიფო ან ნატო-ს სარდლობა ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან

ოპერატიულ დაქვემდებარებაში გამოყოფილ ძალებს და საშუალებებს გადასცემს ნატო-ს სხვა სარდლობას.

185. **ნაღმური ომი** – 1. საბრძოლო მოქმედების წარმოების ხერხი, რომლის დროსაც გამოიყენება ასაფეთქებელი ნივთიერებების (მიწისქვეშა ნაღმების) ჩაღრმავებული მუხტები და ხვრელების გაყვანა. მიმართავდნენ მოიერიშე ნაწილები ციხესიმაგრის გალავანთან მიახლოების მიზნით, რათა გაენგრიათ და ნანგრევებიდან შეჭრილიყვნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში. ალყაშემორტყმული ჯარები ასევე იყენებდნენ ხვრელების გათხრას და კონტრნაღმებს მოწინააღმდეგის ნაღმების გალერეების დასანგრევად; 2. ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია ნაღმური და ნაღმსაწინაღო იარაღის გამოყენება სახმელეთო ჯარების და საზღვაო ძალების მოქმედების გაძნელების და მათთვის დანაკარგის მიყენების მიზნით.

186. **ნახევრად დახურული ზღვა** – ყურე, აუზი ან ზღვა, შემოსაზღვრული ორი ან მეტი სახელმწიფოთი და დაკავშირებული ზღვასთან ან ოკეანესთან ვიწრო გასასვლელით. ასევე, ორი ან მეტი ზღვისპირა სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვებით და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებით მთლიანად ან ძირითადად შემდგარი სივრცე დაკავშირებული ოკეანესთან.

187. **ნდობის ღონისძიებები** – კოლექტიური და ცალმხრივი აქციები, რომლებსაც მეორე მხარის დასარწმუნებლად სახელმწიფოები იმ მხრივ ახორციელებენ, რომ ამ ღონისძიებების მოქმედება არ ისახავს მიზნად ზიანი მიაყენოს მის ეროვნულ უსაფრთხოებას და ნამდვილად არ აყენებს ასეთ ზიანს. ჩვენ დროში ნდობის ღონისძიებები ატარებენ როგორც შეტყობინების, ისე შეკავების ხასიათს და ითვალისწინებს: სამხედრო ინფორმაციის გაცვლას, მათ შორის, შეიარაღების სისტემების და ტექნიკის გაშლის გეგმების, სამხედრო ბიუჯეტების შესახებ და სხვ; წინასწარ შეტყობინებას გარკვეული სამხედრო საქმიანობის შესახებ; თანამშრომლობას სამხედრო წარმოების კონვერსიის დარგში და სხვ.

188. **ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები** - დებულება ინფორმაციის გაცვლაზე, რომელიც დაკავშირებულია მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალებთან და სამხედრო მოღვაწეობასთან და მის შემოწმებასთან, აგრეთვე მონაწილე ქვეყნების თანამშრომლობის განსაზღვრული მექანიზმების განვითარებასთან სამხედრო საკითხებში ურთიერთნდობის და შეშფოთებულობის მოხსნის მიზნით. ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები მოიცავენ: ა. სამხედრო ინფორმაციის ყოველწლიურ გაცვლას; ბ. რისკის შემცირების ზომების, ისეთების, როგორიცაა მექანიზმები კონსულტაციებისა და თანამშრომლობისთვის, დაკავშირებული განსაკუთრებულ სამხედრო მოღვაწეობასთან; გ. სამხედრო კონტაქტების და თანამშრომლობის დებულებებს; დ. განსაზღვრული სახეობის სამხედრო მოღვაწეობის წინასწარ შეტყობინებას; ე. განსაზღვრული სახეობის სამხედრო მოქმედების დაკვირვებას; ვ. სამხედრო მოღვაწეობის სახეობების ყოველწლიური კალენდარული ჩამონათვალის გაცვლას; ზ. სამხედრო მოღვაწეობის შეზღუდვების დებულებებს; ზ. შეთანხმებების დაცვის და შემოწმების ზომებს; თ. სხვადასხვა დედაქალაქს შორის პირდაპირი კავშირის ქსელს; ი. სხვადასხვა შეთანხმების რეალიზაციის შეფასებისთვის ყოველწლიურ შეხვედრებს; კ. ლოკალიზებულ კრიზისულ სიტუაციებში სტაბილიზაციის ზომებს; ლ.იარაღის გადაცემის მარეგულირებელ პრინციპებს.

189. **ნეიტრალიტეტი** – სახელმწიფოს განსაკუთრებული საერთაშორისო –სამართლებრივი სტატუსი. განასხვავებენ ნეიტრალიტეტის ორ სახეობას. ნეიტრალიტეტი ომიანობის პერიოდში (ევენტუალური) - იგულისხმება გარკვეული სახელმწიფოს განცხადება, რომ კონკრეტულად წარმოშობილ ომში არ იღებს მონაწილეობას არც ერთი მეომარი სახელმწიფოს მხარეზე და/ან დამოუკიდებლად. ასეთ ნეიტრალიტეტს იცავენ მხოლოდ მოცემულ ომში და იგი შეიძლება გაუქმდეს ამ სახელმწიფოს ცალმხრივი აქტით. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორია ხელშეუხებელია და არ შეიძლება იყოს საომარი მოქმედების თეატრი, მეომარ სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ, გაატარონ მის ტერიტორიაზე ჯარები, გადაიტანონ იარაღი და სამხედრო მასალები და ა.შ. მუდმივი ნეიტრალიტეტი - ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს, არ მიიღოს მონაწილეობა სხვა სახელმწიფოებს შორის შესაძლო შეიარაღებულ კონფლიქტებში, არ შევიდეს სამხედრო კავშირებსა და ბლოკებში, არ დაუთმოს თავისი ტერიტორია უცხოეთის ჯარებს და სამხედრო ბაზებს.

190. **ნეიტრალური ზონა** – ტერიტორია, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებების გამო ვერ იქნება საომარი მოქმედების ადგილი ან ბაზა საომარი ოპერაციებისთვის. არის მუდმივი (მაგელანის სრუტე, სუეცის და პანამის არხები, შპიცბერგენი, ანტარქტიდა, ტერიტორია ერაყსა და საუდის არაბეთს შორის, მთვარე და სხვა ციური სხეულები), და დროებითი (ომის, მოლაპარაკებათა პერიოდისთვის).

191. **ნეიტრალური წყლები** – 1. ომის პერიოდში ნეიტრალური და არამეომარი სახელმწიფოების ტერიტორიული და შიდა წყლები; 2. საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნეიტრალიზირებული ზღვის სივრცეები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საომარი მოქმედებების წარმოების ან მომზადებისთვის; 3. ღია ზღვის წყლების პირობითი სახელწოდება, რომელიც არ არის დამკვიდრებული საერთაშორისო სამართალში.

192. **ოკუპაცია** - მეომარი სახელმწიფოს ჯარების მიერ მოწინააღმდეგის ტერიტორიის (მისი ნაწილის) დროებითი დაკავება და აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ ჯარების უმაღლესი სამხედრო ინსტანციების ძალაუფლების დამყარება. ოკუპაცია არ გულისხმობს დამპყრობი ქვეყნის სუვერენიტეტის გავრცელებას დაკავებულ ტერიტორიაზე. სამხედრო საოკუპაციო ადმინისტრაციის ძალაუფლება ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების ფარგლებში (იხ. 1898, 19907 წ.წ. ჰააგის და 1949 წლის ჟენევის კონვენციები). ოკუპაციის რეჟიმის დარღვევა განიხილება, როგორც საერთაშორისო დანაშაული, ხოლო ამ დარღვევებზე პასუხისმგებლი პირები – როგორც სამხედრო დამნაშავეები.

193. **ომი** – სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებს, ერებს, კლასებს და სოციალურ ჯგუფებს შორის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, აგრეთვე ეროვნული, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის საშუალებებით გადაწყვეტის უკიდურეს ფორმას.

შეიარაღებული ძალადობის სხვა ფორმებისაგან (საომარი კონფლიქტის, შეიარაღებული აჯანყების და სხვ.) განსხვავებით ომს წარმოშობს, უწინარეს ყოვლისა, სიღრმული სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები; მისი შინაარსი შეესაბამება სამხედრო-პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ

მიზნებს, რომლებსაც შეიარაღებული საშუალებებით აღწევენ. ომი იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი სფეროების მდგომარეობის თვისებრივ შეცვლას, ვინაიდან ომის ყაიდაზე მათი კარდინალური გარდაქმნა მიმდინარეობს. ამ პროცესის განსახორციელებლად სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია იქმნება. ომის წარმოების მთავარი იარაღია შეიარაღებული ძალები და სხვა შეიარაღებული ფორმირებები, რომელთაც შესწევთ უნარი, აწარმოონ ფართო მასშტაბის შეიარაღებული ბრძოლა.

194. **ომიანობის პერიოდი** – მეომარი მხარეების ომის მდგომარეობაში ფაქტობრივი ყოფნის პერიოდი. ომიანობის პერიოდის დასაწყისად ითვლება ერთი მეომარი მხარის მიერ, მეორე მხარისათვის ომის გამოცხადება ან მათ შორის საომარი მოქმედების ფაქტობრივი დაწყება. მეომარ მხარეებს შორის საომარი მოქმედების ფაქტობრივი შეწყვეტა ან შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერა ომიანობის პერიოდის დამთავრებას ნიშნავს. ომიანობის პერიოდს მოსდევს რიგი საერთაშორისო–სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურდიული შედეგი (დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ხელშეკრულებების მოქმედებების შეწყვეტა და ა.შ.).

195. **ომის გამოცხადება -** რომელიმე ქვეყნის განცხადება, ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა კოალიციასთან, მშვიდობიანი ურთიერთობის შეწყვეტის და ომის მდგომარეობაზე გადასვლის შესახებ. შედის ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კომპეტენციაში. მეტი წილი სახელმწიფოების კანონმდებლობის შესაბამისად ომის მდგომარეობას აცხადებს ქვეყნის პრეზიდენტი.

196. **ომის ესკალაცია -** სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის კრიზისულ სიტუაციად და ომად თანდათან გადაქცევის პროცესი, მისი მასშტაბების შემდგომი გაფართოებით, თვით მსოფლიო ბირთვულ ომამდე. ამასთან, მუქარის და სამხედრო ძალვის ეტაპობრივი გაძლიერების შესაძლო გზად ითვლება ომის წინ და ომის მსვლელობისას აიძულო მოწინააღმდეგე მხარე, დათანხმდეს დათმობებს ან სრულ კაპიტულაციას. ომის ესკალაციის კონცეფცია აშშ-ში შემუშავდა XXს. 60-იან წლებში. განასხვავებენ ვერტიკალურ ესკალაციას (შეიარაღებული ბრძოლის ძალების და საშუალებების ზრდა კონფლიქტის ზონაში) და ჰორიზონტალურ ესკალაციას (კონფლიქტის ზონის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოება).

197. **ომის თავიდან აცილება -** იმ ობიექტური წინააღმდეგობების დროული გადაწყვეტის და სუბიექტური ფაქტორების ნეიტრალიზაციის პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა ღონისძიებების სისტემა, რომლებიც შეიძლება ომის ან საომარი კონფლიქტის გაჩაღების მიზეზი გახდეს. ომის თავიდან აცილების პოლიტიკური ღონისძიებების რიცხვს განეკუთვნება კოლექტიური უსაფრთხოების და საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის სტრუქტურებისა და ორგანიზაციების საქმიანობა, სამხედრო დარგში ნდობის ღონისძიებების განვითარება, სახელმწიფოების მიერ თავდაცვითი ხასიათის სამხედრო დოქტრინების განხორციელება და სხვ. ომის თავიდან აცილების სამართლებრივი ღონისძიებები მოიცავენ სხვადასხვა სახეობათა შეიარაღების

შეზღუდვის, შემცირების და აკრძალვის საერთაშორისო შეთანხმებებს, ცალკეულ სახეობათა სამხედრო საქმიანობის შემზღუდავ ხელშეკრულებებს, დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას საერთაშორისო დანაშაულობებისთვის და სხვ. ომის თავიდან აცილების ღონისძიებათა ეკონომიკური შემადგენელი მიზნად ისახავს, განავითაროს სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა შრომის საერთაშორისო დანაწილების, ფინანსების, კავშირგაბმულობის და სხვა სფეროებში. ომის თავიდან აცილების სამხედრო ღონისძიებათა მწყობრში არსებით როლს ასრულებს სახელმწიფოების სამხედრო დაპირისპირების დონის, მათი სამხედრო ძლიერების შემცირება, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ყოფნის შეკვეცა, იარაღის ვაჭრობის შემცირება, მშვიდობის აღდგენის და შენარჩუნების ოპერაციები და სხვ. ეროვნულ დონეზე ომის თავიდან აცილების ფუნქციას შესაძლო მოწინააღმდეგის ექსპანსიონისტური ზრახვების შეკავების მეშვეობით სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ასრულებენ.

198. **ომის თეატრი – 1**. რიგ ქვეყნებში მიღებული ცნება, რომელიც გულისხმობს ხმელეთის ტერიტორიას, ოკეანის აკვატორიას და მათ თავზე მდებარე საჰაერო–კოსმოსურ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოების (სახელმწიფოთა კოალიციების) შეიარაღებულ ძალებს ომი ან სტრატეგიული მასშტაბის საომარი მოქმედებები შეუძლიათ აწარმოონ. ომის თეატრს არ გააჩნია მკაცრად შემოფარგლული საზღვრები; ჩვეულებრივ, მასში შეჰყავთ ერთი კონტინენტი მიმდებარე აკვატორიებითურთ ან ერთი ოკეანე კუნძულებითა და კონტინენტების სანაპირო ზონითურთ. ომის თეატრი შეიძლება იყოფოდეს რამდენიმე საომარი მოქმედების თეატრად; 2. საერთაშორისო სამართალში ომის თეატრი – მეომარი სახელმწიფოების სახმელეთო ტერიტორია, საზღვაო აკვატორია და საჰაერო სივრცე, აგრეთვე ღია ზღვა და მათ თავზე მდებარე საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც მეომარ მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ ან აწარმოებენ საომარ მოქმედებას. ამასთან, მასში არ შედის ნეიტრალური სახელმწიფოების ტერიტორიები და ნეიტრალიზებული ტერიტორიები.

199. **ომის მატერიალური დანახარჯები** – იმ მატერიალური საშუალებების ერთობლიობა, რომლებსაც ომი შთანთქავს. აქვს ღირებულებრივი და ნატურალურ-ნივთობრივი გამოხატულება. იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად. ომის პირდაპირი მატერიალური ხარჯები მოიცავენ სამხედრო ტექნიკის, იარაღის, საბრძოლო მასალების, აღჭურვილობის დანახარჯებს, პირადი შემადგენლობის შენახვის და სხვა ხარჯებს, აგრეთვე საბრძოლო მოქმედებით გამოწვეულ მატერიალურ ზარალს: განადგურებული საწარმოო ობიექტების, ტრანსპორტის საშუალებების, საცხოვრებელი ფონდის, ადმინისტრაციული შენობების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, მოსახლეობის პირადი ქონების ღირებულებას და სხვ. ამ ღირებულების ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იფარება, შეადგენს ომის საბიუჯეტო ხარჯებს. მის არაპირდაპირ მატერიალურ ხარჯებში შედის ფინანსური დანახარჯები, რომლებიც ხმარდება ეკონომიკური ზარალის დაფარვას, ომის ინვალიდების და მათი ოჯახებისთვის პენსიების მიცემას, ომიანობის წლების სახელმწიფო სესხების პროცენტების გასტუმრებას და სხვ.

200. **ომის მდგომარეობა** – სახელმწიფოების ურთიერთობა, მათ შორის ომის გამოცხადების მომენტიდან (ანუ საომარი მოქმედების ფაქტობრივი დაწყებიდან) მის დამთავრებამდე. გამოიხატება დიპლომატიური, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო კავშირების შეწყვეტით, მოწინააღმდეგის სახელმწიფო საკუთრების კონფისკაციით (დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების გარდა), სავაჭრო გემების რეკვიზიციით, მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქეთა ინტერნირებით და სხვ. ომის მდგომარეობის შეწყვეტის ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს საზავო ხელშეკრულება, რომელსაც შეიძლება წინ უძღოდეს საომარი მოქმედების შეწყვეტა.

201. **ომის მდგომარეობის შეწყვეტა** - იურიდიული აქტი, რომელიც ამტკიცებს მეომარ მხარეებს შორის მშვიდობიან ურთიერთობაზე გადასვლას. ომის მდგომარეობის შეწყვეტის ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს საზავო ხელშეკრულება. ომის მდგომარეობის შეწყვეტის შედეგად სახელმწიფოები, როგორც წესი, აღადგენენ ომით შეწყვეტილ დიპლომატიურ ურთიერთობებს, წყვეტენ ომთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს (მაგალითად, ახდენენ სამხედრო ტყვეების გაცვლას, რეპატრიაციას), აგვარებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტერიტორიულ და სხვა პრობლემებს.

202. **ომის მსხვერპლნი** – ადამიანთა დანაკარგები ფრონტზე და მეომარი სახელმწიფოების ზურგში, მათ შორის, ადამიანების, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი დაჭრის ან ომთან დაკავშირებული დაავადების შედეგად. ომის მსხვერპლთ განაკუთვნებენ, აგრეთვე იმ პირებს, ვინც ომის დროს უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ, საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტყვეებს, ობლებს და სხვ. ომის მსხვერპლთა დაცვის ძირითადი საერთაშორისო დიპლომატიური დოკუმენტია ჟენევის 1949-ის კონვენციები.

203. **ომის პროპაგანდა** – ომის სადიდებელ შეხედულებათა გავრცელება, მისი გაჩაღების საჭიროების დასაბუთება, საომარი მოწოდებები სიტყვიერად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარებით ან ნებისმიერი სხვა ფორმით. დაგმო გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ (1947). საჯარო მოწოდებები აგრესიული ომის გაჩაღებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს.

204. **ომის საფრთხე** – სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო ურთიერთობათა მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ომის საშიშროება. წარმოადგენს იმ სახელმწიფოების, კოალიციების, სოციალური ჯგუფების პოლიტიკის შედეგს, რომლებიც სამხედრო ძალის მეშვეობით ისწრაფვიან თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული და სხვა მიზნების მიღწევას. ომის საფრთხე შეიძლება იყოს პოტენციური და რეალური. პოტენციური ომის საფრთხე წარმოიშობა იმ პოლიტიკურ დაჯგუფებათა გახელისუფლების შედეგად, რომლებიც მთელ იმედებს ამყარებენ არსებული საშინაო და საგარეო პრობლემების ძალისმიერ გადაწყვეტაზე. ომის საფრთხე რეალური ხდება მაშინ, როდესაც ეს დაჯგუფებები იწყებენ თავიანთი მისწრაფებების რეალიზაციას და ახორციელებენ სახელმწიფოს საომარ მზადებას. ომის საფრთხის კონკრეტულ ნიშნებად გვევლინება: საერთაშორისო სფეროში – დაძაბულობის და კონფლიქტების კერების წარმოშობა, აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნა და აქტივიზაცია; სავარაუდო საომარი მოქმედების თეატრებში სამხედრო ყოფნის გაძლიერება; „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოება, სადაზვერვო

საქმიანობის გაძლიერება და სხვ; საშინაო პოლიტიკის სფეროში –ეკონომიკის და საზოგადოების სულიერი ცხოვრების მილიტარიზაცია, სამხედრო ხარჯების ზრდა, მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის „მტრის ხატის“ ჩანერგვა და სხვ.; სამხედრო მშენებლობის დარგში – შეიარაღებული ძალების დამატებითი დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით და შტატევითი შეიარაღებით, მათი სტრატეგიული გაშლა, შესაბამისი წვრთნების და მანევრების ჩატარება, ჯარების მორალურ-ფსიქოლოგიური და საბრძოლო მზადების მიზანმიმართულების შეცვლა და სხვ. ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ და სხვა სფეროებში, საკუთრივ, სამხედრო დარგში მხოლოდ აღნიშნული ნიშან-თვისებების ერთობლიობა შეიძლება ობიექტურად ახასიათებდეს ომის საფრთხის წყაროსა და დონეს.

205. **ომის საწყისი პერიოდი** - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მეომარი მხარეები უპირველესი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ეწევიან საომარ მოქმედებებს ომამდე შექმნილი და ომის დაწყების შემდეგ დამატებით გაშლილი შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების მიერ. ამავე დროს შეიძლება, ხორციელდებოდეს ღონისძიებები მობილიზაციის და შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის, სახელმწიფოს ეკონომიკის გადაყვანისთვის ომიანობის დროის პირობებში მუშაობაზე და შესაბამისი პოლიტიკური აქციები. ომის შედეგისთვის ომის საწყისი პერიოდი შეიძლება იყოს ყველაზე დაძაბული, დიდმნიშვნელოვანი, ხოლო ზოგჯერ გადამწყვეტიც.

206. **ომის სტრატეგიული დონე** - ომის დონე, რომელზეც სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფები საზღვრავენ უსაფრთხოების ნაციონალურ და მრავალნაციონალურ მიზნებს და მათ მისაღწევად იყენებენ ნაციონალურ რესურს, მ.შ. სამხედროსაც.

207. **ომში გამარჯვება** – ერთ-ერთი მეომარი მხარის (სახელმწიფოს, კოალიციის, პოლიტიკური მოძრაობის) მიერ მოწინააღმდეგისთვის მარცხის მიყენება და ომის პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული მიზნების მიღწევა. გამარჯვების უშუალო შედეგს წარმოადგენს საომარი მოქმედების შეწყვეტა გამარჯვებულის პირობებით, რაც ფორმდება საერთაშორისო - სამართლებრივი დოკუმენტით: კაპიტულაციის აქტით, დაზავების შეთანხმებით, საზავო ხელშეკრულებით და სხვ. ომში გამარჯვების მთავარი გამოვლინებაა შეიარაღებული ბრძოლის წარმოებაში მოპოვებული წარმატება, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება და მისი ტერიტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილების ან მთელი ტერიტორიის ოკუპაცია. დაპირისპირების სხვა სფეროებში გამარჯვების ძირითად გამოხატულებას წარმოადგენს: მოწინააღმდეგის ეკონომიკური პოტენციალის რღვევა, პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურის და საქმიანობის დეზორგანიზაცია, მისი სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დაშლა, მისი მოსახლეობის და არმიის მიერ წინააღმდეგობის სულისკვეთების დაკარგვა და სხვ. ომში გამარჯვების წყაროა სახელმწიფოს მთელი მატერიალური და სულიერი ძალების ერთობლიობა და მათი გამოყენების ეფექტიანობა, რომელიც სამხედრო ძლიერებით გამოიხატება.

208. **ომში ეკონომიკური დაპირისპირება** – სახელმწიფოთაშორისი ბრძოლის დარგი, რომელიც მოიცავს: მეომარი მხარეების მისწრაფებას, რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ არსებული და პოტენციური სამხედრო რესურსები მოწინააღმდეგეზე

სამხედრო-ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური უპირატესობის მოსაპოვებლად; ეკონომიკური და არაეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც ერთის მხრივ, ემსახურება მოწინააღმდეგის წარმოების დეზორგანიზაციას, მისი ეკონომიკური მობილიზაციის ჩაშლას, მეორეს მხრივ – საკუთარი ეკონომიკური ზურგის განმტკიცებას; პირდაპირ შეიარაღებულ ზემოქმედებას მოწინააღმდეგის ეკონომიკურ პოტენციალზე და თავისი ეკონომიკური ბაზის დაცვის ღონისძიებებს. ომში ეკონომიკური დაპირისპირების ძირითადი ფორმებია - სამხედრო ბიუჯეტების ზრდა, სამხედრო-ეკონომიკური ბაზის გაფართოება, ეკონომიკის სიცოცხილუნარიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებები, სამხედრო სესხები და სამხედრო გადასახადები, ეკონომიკური ემბარგო, ეკონომიკური ბლოკადა, სამრეწველო ცენტრების საჰაერო დაბომბვა, სარაკეტო დარტყმები და ა.შ.

209. **ოპერატიული პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის”** - ხელშეკრულებების ერთობლიობა, რომლებიც პროგრამის “პარტნიორობა მშვიდობისათვის” გაღრმავების სხვა ღონისძოებებთან ერთად აძლიერებს პარტნიორი - ქვეყნების ძალების და საშუალებების შესაძლებლობებს მოკავშირე ქვეყნებთან სწავლებების და საბრძოლო მომზადების ჩატარებისას, ნატო-ს ხელმძღვანელობით პროგრამის “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში ოპერაციების განხორციელებისას.

210. **ოპერაცია ნატო-ს ხელმძღვანელობით პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში** - სამხედრო ოპერაცია, რომელიც განეკუთვნება “მე-5 სტატიის გარე ოპერაციებს” და ხორციელდება დაინტერესებული მოკავშირეების და პარტნიორი ქვეყნების მიერ. იგი მოიცავს ჩრდილოატლანტიკური კავშირის ახალი ამოცანების მთელ წრეს, მ.შ. მშვდობის დამყარების ოპერაციებს და კრიზისებზე რეაგირების სხვა ოპერაციებს.

211. **ოპერაციები კომპიუტერულ ქსელში** – ფართო ცნება, რომელიც გამოიყენება როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროებში. წარმოადგენს დამოუკიდებელ მოქმედებას, მიმართულს კომპიუტერული ქსელის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ოპტიმიზებისკენ. მისი მიზანია: სამხედრო მოქმედებების დროს – მოიპოვოს საინფორმაციო უპირატესობა და არ მისცეს ამის საშუალება მოწინააღმდეგეს; მშვიდობიან პერიოდში – გააუმჯობესოს ადამიანების ტექნიკური შესაძლებლობები.

212. **პანამერიკანიზმი** – იდეურ-პოლიტიკური დოქტრინა, ემყარება წარმოდგენას ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური და კულტურული ერთიანობის შესახებ. იშვა აშშ-ში მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე. 1823-ში პანამერიკანიზმის იდეები ოფიციალურად გაფორმდა მონროს დოქტრინად. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ პარამერიკანიზმის პოლიტიკის გატარებაში აშშ ეყრდნობოდა 1948-ში შექმნილ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას.

213. **პანაფრიკანიზმი** – იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ემყარება აფრიკის ხალხთა ეთნიკური და კულტურული სიახლოვის, ისტორიული ბედის ერთიანობის აღიარებას და მათ რასიზმის, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დასარაზმავად წარმართავს. იშვა მე-19 საუკუნის დამლევს – მე-20 საუკუნის დამდეგს; 1-ლი პანაფრიკული კონგრესი გაიმართა 1919 პარიზში. პანაფრიკანიზმის იდეებმა განვითარება ჰპოვა 1963 წელს დაფუძნებული აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის საქმიანობაში.

214. **პანგერმანიზმი** – იდეოლოგიური მოძრაობა და პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ემყარება წარმოდგენებს გერმანულენოვანი ჯგუფის ხალხთა ეთნოკულტურული და ისტორიული ერთობის და რასობრივი სწორუპოვრობის შესახებ. წარმოიშვა მე-19 საუკუნის ბოლოს. გამოხატავდა გერმანიის მსოფლიო ბატონობის იდეებს, გახდა სულისჩამდგმელი პოლიტიკისა, რომელმაც გამოიწვია ორი მსოფლიო ომის გაჩაღება. მე-20 საუკუნის დამლევს პანგერმანიზმის იდეოლოგიას არ გააჩნდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და არსებითი მხარდაჭერა გერმანულენოვან ქვეყნებში.

215. **პანთურქიზმი** – იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება თურქულენოვანი ჯგუფის ყველა ხალხთა ერთ ერად აღიარებას და მტკიცებას, რომ ისინი უნდა შეკავშირდნენ „დიდი თურანის“ ერთიან სახელმწიფოდ, რომელიც ბალკანეთიდან ციმბირამდე გადაიჭიმება. წარმოიშვა მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე. მე-2 მსოფლიო ომის დროს პანთურქიზმის ლოზუნგებით მოქმედებდნენ თურქული წარმოშობის პირთა გასამხედროებული ფორმირებები გერმანიის ჯარების შემადგენლობაში. მე-20 საუკუნის დამლევს პანთურქიზმი გვევლინება თურქეთის და სხვა ზოგიერთი ქვეყნების მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურ ბაზად.

216. **პანისლამიზმი** – რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ემყარება წარმოდგენებს მთელი მსოფლიოს მუსლიმთა ერთობის და ერთიან მუსლიმანურ სახელმწიფოდ მათი შეკავშირების აუცილებლობის შესახებ. გაფორმდა მე-19 საუკუნის დამლევს. თავდაპირველად ჰქონდა ანტიკოლონიური მიმართულება. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ისლამური სოლიდარობის მოძრაობის იდეური საფუძველი და ამავე დროს არცთუ იშვიათად ემსახურება ისლამური რევოლუციის ექსპორტის უკიდურესი ფორმების დასაბუთებას, გამოიყენება სეპარატისტული ძალების მიერ კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

217. **პანსლავიზმი** – იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ეფუძნება წარმოდგენებს სლავი ხალხების ეთნოკულტურული ერთიანობის და ისტორიული ბედის ერთობის, ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი პრობლემების ერთობლივი გადაჭრისთვის მათი გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. ჩაისახა მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე.

218. **პარტიზანული მოძრაობა** – სამხედრო და არასამხედრო მოქმედებები, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ან მტრულ ტერიტორიაზე ირეგულარული, ძირითადათ ადგილობრივი ძალებით ხორციელდება

219. **პარტიზანული ომი** – ირეგულარული ფორმირებების შეიარაღებული ბრძოლის სახეობა ტერიტორიაზე, რომელიც დაკავებული აქვს მოწინააღმდეგეს. ძირითადში წარმოებს დაბალი ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებების, ასევე საბოტაჟის დივერსიების ფორმით. გარკვეულ შემთხვევაში მას მოწინააღმდეგის ზურგში რეგულარული ჯარები აწარმოებენ.

220. **პარტიზანული რეიდები** – პარტიზანული ფორმირებების საბრძოლო მოქმედების ხერხი, რომლის არსი იყო მათი სწრაფი გასვლა მოწინააღმდეგის ზურგში მტრის ცოცხალი ძალის, ტექნიკის, დიდმნიშვნელოვანი ობიექტების განადგურების, ზურგის მუშაობის და მართვის სისტემის დეზორგანიზაციის, კომუნიკაციების დარღვევის, აგრეთვე ახალ რაიონებში მტრისადმი წინააღმდეგობის გააქტივების მიზნით.

221. **პარტნიორობა მშვიდობისათვის -** ნატო-ს პროგრამა, რომელიც მიმართულია ნდობის გამყარებისა და მეტი უსაფრთხოების მიღწევის ზომების განხორციელებაზე. იგი აძლევს მონაწილე ქვეყნებს შესაძლებლობას გაანყაროს ურთიერთობები ნატო-სთან. პროგრამის მიზანია – ერთობლივი დაგეგმვა, სამხედრო წვრთნების ერთობლივი ჩატარება და ნატო-ს ჯარებთან ურთიერთქამედება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მშვიდობის შენარჩუნება, საძიებო – სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩატარება და სხვ. ყოველივე ეს ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

222. **პარტნიორობის ინდივიდუალური პროგრამა** – ორ წელზე გათვლილი დოკუმენტი, რომელსაც ამზადებენ პარტნიორი-სახელმწიფოები, NATO-ს და ყოველი პარტნიორი-სახელმწიფოს მიერ შემდეგი დაზუსტებით და დამტკიცებით. მასში აისახება განაცხადი პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პარტნიორების პოლიტიკური მიზნების შესახებ, მიეთითება სამხედრო და სხვა რესურსები, რომლებიც გამოიყოფა ამ პროგრამისათვის; სხვადასხვა სფეროში პარტნიორი სახელმწიფოების ჩრდილოატლანტიკური კავშირთან თანამშრომლობის ფართო ამოცანები, ასევე ქმედებების კონკრეტული სახეები, რომლებიც უნდა განხორციელდეს თანამშრომლობის ცალკეული მიმართულებით.

223. **პარტნიორობის მიზნები** – "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის დაგეგმვის და ანალიზის პროცესში მონაწილე ჩრდილოატლანტიკური კავშირის და ცალკეულ წევრ-სახელმწიფოთა შორის შეთანხმებული გეგმიური ამოცანები. ნატო-ს ხელმძღვანელობით განხორციელებული "პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამის ოპერაციების პერიოდში პარტნიორობის მიზნების განხორციელება ხელს უწყობს ჯარებს (ძალებს) შორის თავსებადობის მიღწევას. პარტნიორობის მიზნები, ასევე, პარტნიორ ქვეყნებში მსგავსი სამხედრო ოპერაციების ჩატარებისთვის საჭირო ძალების და საშუალებების შექმნას ან პოტენციურ არსებობას ითვალისწინებს.

224. **პარტნიორობის საკოორდინაციო ჯგუფი** – „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის უნიკალური სტრუქტურა. მდებარეობს ქ. მონსში (ბელგია) და განლაგებულია ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ტერიტორიაზე. პარტნიორობის სამუშაო პროგრამის სამხედრო ასპექტების შესრულებისთვის ის მუშაობს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ეგიდით და მის ამოცანებს წარმოადგენს პარტნიორობის პროგრამის ჩარჩოებში ერთობლივი სამხედრო ღონისძიებების კოორდინაცია და სამხედრო სწავლებების სფეროში სამხედრო დაგეგმვის განხორციელება.

225. **პარტნიორობის სამუშაო პროგრამა -** საქმიანობის სახეობის ჩამონათვალი, რომელიც შეთავაზებულია პარტნიორი ქვეყნებისთვის. მათგან თითოეულ პარტნიორს შეუძლია აირჩიოს ღონისძიებები, რომლებსაც შეიტანს პარტნიორობის თავის ინდივიდუალურ პროგრამაში. ეს ჩამონათვალი გათვლილია ორ წელზე და გადაიხედება ყოველწლიურად პარტნიორი სახელმწიფოების სრულმასშტაბიანი მონაწილეობით.

226. **„პატარა არმიების" თეორია** – სამხედრო ხელოვნების კონცეფცია, რომელიც განავრცობს ომში გამარჯვების მიღწევას მცირერიცხოვანი, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი პროფესიული არმიის მეშვეობით.

227. **პატრიოტიზმი** – სამშობლოს, თავისი ხალხის სიყვარული, მისწრაფება, საკუთარი ქმედებით ემსახურო მათ ინტერესებს. როგორც წესი, პატრიოტიზმი გვევლინება სხვადასხვა სოციალური, ეროვნული, რელიგიური და თანამემამულეთა სხვა ჯგუფების კონსოლიდაციის, შეკავშირების ფაქტორად. პატრიოტიზმის უმნიშვნელოვანეს მხარეს შეადგენს დარწმუნება სამშობლოს ყოველმხრივი, მათ შორის, სამხედრო დაცვის საჭიროებაში. მის პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური მზადყოფნა, მოიგერიოს შესაძლო გარეშე აგრესია, საზოგადოების ზრუნვა ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის.

228. **პაციფიზმი** – იდეოლოგია, პოლიტიკა და საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლებიც პრინციპულად ილაშქრებენ ყოველგვარი ომების წინააღმდეგ, ანტისაომარი მოძრაობის ერთ-ერთი მიმართულება. პაციფიზმი გმობს და უარყოფს ყოველგვარ ომს, როგორც აბსოლუტურ ბოროტებას; ასაბუთებს, რომ აუცილებელი და შესაძლებელია დამკვიდრდეს საყოველთაო მშვიდობა კაცობრიობის მორალური სრულყოფის მეშვეობით; ქადაგებს ნებაყოფლობით უარს ძალადობის ყოველგვარ ფორმაზე; გამოდის გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, სახელმწიფოების სამხედრო აქტიურობის აღკვეთის, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის. თანამედროვე პაციფისტურ მოძრაობაში არსებობს რამდენიმე მიმართულება, რომლებიც განსხვავდებიან მსოფლმხედველური პოზიციებით და პრაქტიკული საქმიანობის ფორმებით – ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობით დაწყებული, და ბოროტებისადმი აქტიური, მაგრამ უძალადო წინააღმდეგობით დამთავრებული.

229. **პაციფიკაცია** – 1.ზოგიერთ ქვეყანაში იმ დამსჯელი აქციების ოფიციალური სახელწოდება, რომლებიც მიმართულია სახალხო მოძრაობათა ჩასახშობად; 2. სამთავრობო ძალების მოქმედება შიდა დაძაბულობის, არეულობის და ძალადობის აქტების ძალმომრეობის გზით ჩახშობისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ შეიარაღებულ კონფლიქტებს. საერთაშორისო სამართალი ცნობს მთავრობის მოვალეობას, ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას ან აღადგინოს მართწესრიგი ქვეყანაში, ან დაიცვას ეროვნული ერთიანობა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა.

230. **პოლიტიკური პოტენციალი** – საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ხელისუფლების შესაძლებლოებებს და უნარს, მის ხელთ არსებული საშუალებები და რესურსები საზოგადოების განვითარებაში სტაბილურობის შენარჩუნების, ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაცვისთვის გამოიყენოს. პოლიტიკური პოტენციალის რაოდენობრივ და თვისებრივ მდგომარეობას ახასიათებს: ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური რეჟიმი, ხელისუფლების სოციალური ტიპი, მისი ორგანიზაციის თავისებურებები, განხორციელების საშუალებები და მეთოდები; სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა პროფესიონალიზმი და პოლიტიკური კულტურა; უზენაესი ხელისუფლების პოლიტიკური მოწიფულობა (ქვეყნის ინტერესების სწორად გაგების უნარი) და პოლიტიკური ნება (მზადყოფნა, ამ ინტერესების მსახურება გაიხადოს თავისი საქმიანობის უცილობელ პრიორიტეტად) და სხვ.

სახელმწიფოს პოლიტიკური პოტენციალი გვევლინება დიდმნიშვნელოვან, ხშირად გადამწყვეტ ფაქტორად, რომელიც მის სამხედრო ძლიერებას განსაზღვრავს. სამხედრო თვალსაზრისით პოლიტიკური პოტენციალი განსაზღვრავს და ახასიათებს სახელმწიფოს უნარს, თავი მოუყაროს ქვეყნის საჭირო ძალებს წამოჭრილი სამხედრო ამოცანების გადასაწყვეტად, ოპერატიულად შეუცვალოს კალაპოტი და წარმართოს საზოგადოების ენერგია ახალი გამოწვევების და საფრთხეების მოსაგერიებლად.

231. **პრევენციული ომი** – ისეთი დამსწრები დარტყმებით გაჩაღებული ომი, რომლებსაც მათი მიმყენებელი სახელმწიფო ამართლებს მოწინააღმდეგის მხრიდან აშკარად მომდინარე აგრესიის საფრთხის არსებობით. ამასთან, არცთუ იშვიათად, მიზნად ისახავენ საკუთარი შეტევითი ზრახვების შენიღბვის, სტრატეგიული ინიციატივის ხელში ჩაგდების, მოწინააღმდეგის სამხედრო გეგმების ჩაშლის, მისთვის არახელსაყრელ პირობებში საწარმოებელი საბრძოლო მოქმედების თავსმოხვევის მიზნებს და სხვ.

232. **პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" დაგეგმვის და ანალიზის პროცესი** – "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ჩარჩოებში მოღვაწეობის ცალკე სახე, დამტკიცებული 1994 წლის ნოემბერში. სისტემა შექმნილია იმ ქვეყანა-პარტნიორებისთვის, რომლებსაც აქვთ ამ პროგრამაში მონაწილეობის სურვილი. მის ამოცანას წარმოადგენს ნატო-ს ქვეყნების და ქვეყანა-პარტნიორების ჯარებს (ძალებს) შორის სამხედრო დაგეგმვის ტრანსპარენტობის და ერთობლივად შეთანხმებული გეგმიური ამოცანების შემუშავების და ანალიზის საშუალებით, ოპერატიული თავსებადობის მიღწევისთვის ხელის შეწყობა.

233. **პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" კომპიუტერული მოდელირების და ტრენაჟერების ჭსელი** – სისტემა, რომელიც განკუთვნილია კომპიუტერული ტექნოლოგიების და კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენებით სწავლების დონის ასამაღლებლად. ის იძლევა სხვადასხვა პუნქტებში განთავსებული ეროვნული ან საერთაშორისო პირადი შემადგენლობის ერთ საწვრთნელ სისტემაში მოქცევის საშუალებას. მთავარი ყურადღება ექცევა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ჩარჩოებში ნატო-ს ხელმძღვანელობით ოპერაციების ჩატარებისთვის შტაბების და სარდლობების მომზადებას.

234. **პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" მომზადების ცენტრი** – მომზადების ეროვნული ცენტრი, რომელიც "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში მონაწილე ქვეყნების სასწავლო და განათლების დონის ამაღლებას ახორციელებს. ამ ინიციატივას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1999 წელს შეთანხმებული სწავლებისა და განათლების პროგრამის გაღრმავების საკითხებში.

235. **პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის კომიტეტი** - ნატო-ს მთავარი კომიტეტი, რომელიც კონსულტაციებს უწევს ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის საკითხებში და ამუშავებს სამხედრო-პოლიტიკურ დირექტივებს, რომლებსაც ხელმძღვანელი სამხედრო ორგანიზაციები საერთაშორისო სამდივნო და სამხედრო საერთაშორისო სამდივნო მუშაობაში იყენებენ.

236. **პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ჩარჩო დოკუმენტი** - ძირითადი დოკუმენტი, რომელიც გამოცხადებულ იქნა 1884 წელს და ხელი მოეწერა იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება პროგრამაში

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” მონაწილეობაზე. მათში ასახულია პარტნიორობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები, ასევე კონკრეტული მოვალეობები, რომლებიც უნდა იკისროს თოთოეულმა მონაწილემ. ამ ხელშეკრულებით ნატო იღებს გვალდებულებას ჩაატაროს კონსულტაციები ნებისმიერ აქტიურ პარტნიორ-ქვეყანასთან, თუ ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და უსაფრთხობას საფრთხე დაემუქრება.

237. **პუტჩი** – სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის და ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულთა ჯგუფის (მ. შ. სამხედრო შეთქმულების შედეგად) ორგანიზებული გამოსვლა. მასებში დასაყრდნობის არ არსებობას შეთქმულები კომპენსაციას უკეთებენ სპეციალური სამსახურების, შეიარაღებული ძალების და სხვ. სამხედრო ფორმირებების თავის მხარეზე გადმობირების გზით.

238. **რაიონი** – 1. ტერიტორიის, წყლის, საჰაერო და კოსმოსური სივრცის ნაწილი, აგრეთვე ადგილი ან ადგილმდებარეობის (ზღვის) მონაკვეთი, რომლის ფარგლებში შეიარაღებული ძალების ჯარების სახეობების და გვარეობების, სპეციალური ჯარების სხვადასხვა ფორმირებების (ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების, და ა.შ.), აგრეთვე სახელმწიფოს სხვა ძალისმიერი სტრუქტურების ფორმირებების ნებისმიერი მოქმედება იგეგმება და ხორციელდება. 2. გეოსტრატეგიული სივრცის დაყოფის ერთეული, რომელიც მიღებულია რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. რაიონი არის რეგიონის ნაწილი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი მიმდებარე ზღვის აკვატორიით და წყლის სივრცითურთ, რომლის ფარგლებშიც განლაგებულია დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ცენტრები, რომლებსაც სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის ოპერატიულ-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ, აგრეთვე იქმნება და მზადდება სტრატეგიული რეზერვები. სტრატეგიული კონტინენტური რაიონი არის კონტინენტის ნაწილი, ან მთლიანად კონტინენტი ზღვების და ოკეანეების სანაპირო წყლებით, შიდა ზღვებით და საჰაერო სივრცითურთ პირობითად განსაზღვრულ გეოსტრატეგიულ ფარგლებში. გარკვეული პირობებისას სტრატეგიული კონტინენტური რაიონი მთლიანად ან მისი ნაწილი შეიძლება, საომარი მოქმედებების თეატრს წარმოადგენდეს. საოკეანო სტრატეგიული რაიონი არის მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი, მასში არსებული კუნძულებით, მიმდებარე ზღვებით, ხმელეთის სანაპირო ზოლებით და საჰაერო სივრცითურთ პირობითად განსაზღვრულ ფარგლებში, სადაც ვლინდება ან შეიძლება შეხების ობიექტი გახდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესები; 3. ტაქსონომეტრიული ერთეული გეოგრაფიაში – სხვადასხვა ნიშნების მიხედვით (გეოლოგიური აგებულება, რელიეფის ტიპი, კლიმატი და ა.შ.) ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონების უმდაბლესი ერთეული; 4. ადმინისტრაციული ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში.

239. **რასიზმი** – იდეოლოგია და სოციალური პრაქტიკა, რომელიც ადამიანთა რასის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ არათანასწორუფლებიანობას, ადამიანთა, რომლებიც მიეკუთვნებიან განსაზღვრულ რასებს განსაკუთრებულობის წარმოდგენებს და კონცეფციებს ეფუძნება. რასისტული იდეები მჭიდროდ არის დაკავშირებული დარვინიზმის, მალტუზიანიზმის და ევგენიკის კონცეფციებთან. რასიზმი ფართოდ გამოიყენება რეაქციული სოციალური ძალების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის,

გენოციდის და სამხედრო ექსპანსიის გასამართლებლად. გაერო-ს მიერ მიღებულია რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც მიმართულია რასიზმის დაგმობისა და აღმოფხვრისკენ.

240. **რეგიონი** – სტრატეგიული რაიონის ნაწილი, რომლის ფარგლებში განლაგდება სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის) სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი და საომარი მოქმედების (აგრესიის) გაჩაღების შემთხვევაში შეიძლება წარმოებდეს ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების დიდი მასშტაბის ოპერაციები, მიღწეულ იქნეს ომის ზოგიერთი ან ყველა სტრატეგიული მიზანი. რეგიონის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა შედარებით ერთგვაროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და უმთავრესად, სამხედრო-პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე. რეგიონები იყოფა რაიონებად და სტრატეგიულ მიმართულებებად.

241. **რეგიონული დაგეგმვის ხელმძღვანელობა** – ოპერატიული დაგეგმვის დოკუმენტი, რომლის საფუძველზე ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების რეგიონალური სარდლობები, რეგიონალური სამხედრო დაგეგმვის განსახორციელებლად სახელმძღვანელო მითითებებს იძლევიან. ოპერატიული დაგეგმვის და ფუნქციონალური დაგეგვის დოკუმენტებში არსებულ სახელმძღვანელო მითითებებთან ერთად, შესაძლებელია ასახულ იქნას, კონკრეტული პასუხისმგებლობის რაიონთან უშუალოდ დაკავშირებული დაგეგმვის ასპექტები. ამ შემთხვევაში რეგიონული სარდლობების სარდლებმა უნდა შეიმუშაონ სახელმძღვანელოები რეგიონული დაგეგმვისთვის, რომელშიც მოცემული იქნება მითითებები დაქვემდებარებული სარდლობების დაგეგმვის ორგანოებისთვის და აღნიშნულ რეგიონში დაგეგმვის პროცესში ჩართული ყველა ორგანოსთვის. დამუშავების შემდეგ ეს სახელმძღვანელოები ინფორმირებისთვის იგზავნება ნატო-ს გაერთიანებული შეირაღებული ძალების შესაბამის სტრატეგიულ სარდლობებში და მტკიცდება სამხედრო კომიტეტის მიერ.

242. **რეგიონული ომი** – ომი, რომელიც მიმდინარეობს ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მონაწილეობით, შემოიფარგლება ერთი რეგიონის საზღვრებით და უპირატესად, მასში განლაგებული ქვეყნების ინტერესებს ეხება. ახასიათებს მხარეების სამხედრო-პოლიტიკური მიზნების დიდი მნიშვნელობა და ოპერატიულ-სტრატეგიული მიზნების გადამჭრელი ხასიათი, შეიარაღებული ბრძოლის წარმოება ყველა სფეროში, შეიარაღების თანამედროვე სახეობათა გამოყენება და სხვ. შეიძლება იყოს, როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვული, ჰქონდეს მოკლევადიანი ან ხანგრძლივი ხასიათი.

243. **რევანშიზმი** – იდეოლოგია და პოლიტიკა ძალებისა, რომლებმაც სამხედრო ან პოლიტიკური მარცხი განიცადეს და გამოდიან დაკარგული პოზიციების აღსადგენად. რევანშიზმს ახასიათებს კონფრონტაციული და აგრესიული საგარეო პოლიტიკა, მისწრაფება სამხედრო უპირატესობისაკენ, საზოგადოებრივი ცნობიერების მილიტარიზაცია და სხვ.

244. **რევოლუცია სამხედრო საქმეში** - ღრმა თვისებრივი ცვლილებები შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებში, ომის და საომარი მოქმედების წარმოების ხერხებში, შეიარაღებული ძალების მშენებლობასა და მომზადებაში, ჯარების მართვაში, სამხედრო კადრების სწავლებაში, ტერიტორიის, მოსახლეობის და

ეკონომიკის სამხედრო მომზადებაში, რაც მოკლე ისტორიულ ვადაში წარმოებს. სამხედრო საქმეში რევოლუციის ფარგლებში მიმდინარე ცალკეული ქვეყნების სამხედრო სისტემის გარდაქმნები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებით ხორციელდება, წარმოგვიდგება როგორც სამხედრო რეფორმები. სამხედრო საქმეში რევოლუციური გარდაქმნის შესაძლებლობებს ქმნის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მათი რეალიზება ხდება სახელმწიფოთა მიზანმიმართული სამხედრო პოლიტიკის შედეგად. სამხედრო საქმის რევოლუცია, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო უკავშირდება საინფორმაციო ტექნიკის სწრაფ პროგრესს, მაღალი სიზუსტის იარაღის და შეიარაღების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნება ფიზიკურ პრინციპებს, რომელიც წინათ არ გამოიყენებოდა.

245. **რემილიტარიზაცია** – სახელმწიფოს (მისი ტერიტორიის ნაწილის) სამხედრო ძლიერების, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აღდგენა.

246. **რისკი** – განსახორციელებელი მოქმედების მარცხის შესაძლო საშიშროება; თვითმოქმედება, რომელიც ასეთ საშიშროებასთან არის დაკავშირებული. განასხვავებენ უგუნურ რისკს, როდესაც მთელი იმედები დამყარებულია ალალბედზე და გაცნობიერებულ რისკს, რომელსაც საფუძვლად უდევს ვარაუდი და მას ემყარება სწორედ წარმატების რწმენა. რისკის ცნება გამოიყენება თამაშების თეორიის და გადაწყვეტილებათა მიღების თეორიებში.

247. **საბრძოლო პოტენციალი** – იმ მატერიალური და სულიერი ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების მდგომარეობას და უნარს, შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები, აწარმოონ საბრძოლო მოქმედება, შეიარაღებული ბრძოლა; სამხედრო პოტენციალის უშუალო რეალიზაციის ხერხი და ფორმა. საბრძოლო პოტენციალის მატერიალური საფუძველია ჯარების ტექნიკური აღჭურვილობა. მისი საბრძოლო გამოყენების ეფექტიანობას განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო გაწვრთნილობა

248. **საბრძოლო სიმძლავრე –** გამანადგურებელი და/ან დამანგრეველი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც დადგენილ დროს საბრძოლო ქვედანაყოფს მოწინააღმდეგის მიმართ შეუძლია,. სახმელეთო ჯარებისთვის – მანევრის, ცეცხლის სიმძლავრის, დაცვის და ხელმძღვანელობის ეფექტური, კომბინირებული გამოყენება.

249. **საბრძოლო შესაძლებლობები -** რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლივობა, რომლებიც დაწესებულ ვადებში და ვითარების კონკრეტულ პირობებში ქვედანაყოფებების, ნაწილების(გემების), შენაერთების განსაზღვრული საბრძოლო ამოცანების შესრულების უნარს ახასიათებს. დამოკიდებულია პირადი შემადგენლობის რაოდენობის, მისი მომზადების დონის და მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის, იარაღის და ტექნიკის არსებობის და მდგომარეობის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფის, სამეთაურო შემადგენლობის მომზადების და ჯარების მართვის დონის, ფიზიკო- გეოგრაფიული, კლიმატური, ამინდის და სხვა პირობებისგან, აგრეთვე მოწინააღმდეგის ძალის და წინააღმდეგობის ხასიათისგან. ჯარების(ძალების) საბრძოლო შესაძლებლობების განსაზღვრისას გამოიყენება მათემატიკური (კომპიუტერების გამოყენებით), გრაფიკული, გრაფოანალიტიკური და გათვლების სხვა მეთოდები ცხრილების და გრაფიკების გამოყენებით და ა. შ.

250. **საბრძოლო ძლიერება** – სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შემადგენელი ნაწილი, იმ მატერიალური და სულიერი ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარღებული ძალების მდგომარეობას და ოპერატიულ უნარს, შეასრულონ საბრძოლო ამოცანები. მისი განმსაზღვრელია შეიარაღებული ძალების რიცხობრივი და თვისებრივი შემადგენლობა, მათი დაკომპლექტება და ტექნიკური აღჭურვილობა, მომზადების დონე, ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა, სამხედრო ხელოვნების განვითარება და სხვ. საბრძოლო ძლიერება პირდაპირ ან ირიბად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე, პოლიტიკაზე, სამხედრო დოქტრინაზე.

251. **საგანგებო მდგომარეობა** – სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანოების საქმიანობის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც ქვეყანაში ან მის ცალკეულ რაიონებში აწესებენ გარეშე ან შიდა საფრთხისგან დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მიზნით. გულისხმობს მოქალაქეების, იურიდიული პირების უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვას, აგრეთვე მათთვის დამატებითი მოვალეობების დაკისრებას. მთელ რიგ სახელმწიფოებში საგანგებო მდგომარეობას აწესებს ქვეყნის პრეზიდენტი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვითარების წარმოშობისას.

252. **საგანგებო სიტუაცია** – იმ პირობების და გარემოებების ერთობლიობა, რომლებიც კონკრეტულ ობიექტზე, ტერიტორიაზე (აკვატორიაში) წარმოშობენ ადამიანის ცხოველმოქმედებისთვის საშიშ ვითარებას და შედეგად მოჰყვება მომხდარ ავარიას ან კატასტროფას, საშიშ ბუნებრივ მოვლენას, აგრეთვე მოწინააღმდეგის მიერ საომარი მოქმედების დროს დაზიანების თანამედროვე საშუალებათა გამოყენებას. წარმოშობის წყაროების ზოგადი ხასიათის მიხედვით საგანგებო სიტუაციები იყოფა ოთხ სახეობად: ბუნებრივი – საშიში ბუნებრივი მოვლენები და პროცესები (გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური, აგრეთვე ბუნებრივი ხანძრები); ტექნოგენური – სამრეწველო ავარიები და კატასტროფები (რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური და ჰიდროდინამიკური ავარიები) ხანძრები და აფეთქებები, საშიში შემთხვევები ტრანსპორტზე ან სატრანსპორტო ავარიები; ბიოლოგიურ-სოციალური – ადამიანების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების და მცენარეების ფართოდ და ერთდროულად გავრცელებული ინფექციური დაავადებები (ეპიდემიები); სამხედრო – დაზიანების ეფექტიან საშუალებათა გამოყენება (საომარი მოქმედება, შეიარაღებული კონფლიქტები, დიდი დივერსიები ან ტერორისტული აქტები).

253. **საგანგებო სიტუაციების გაფრთხილება** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც წინასწარ ხორციელდება და მიმართულია საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის რისკის შესაძლო მაქსიმალურ შემცირებაზე, ასევე მისი წარმოქმნის შემთხვევაში ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე, გარემოს ზიანის ზომების და მატერიალური დანაკარგების შემცირებაზე.

254. **საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის დაცვა** - დროის, რესურსების და ადგილის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია სიტუაციების წყაროების და დამაზიანებელი ფაქტორების

ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დანაკარგის თავიდან აცილებაზე ან მის მინიმუმამდე დაყვანაზე.

255. **საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა –** საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. მის შესაბამისად სახელმწიფოებს შორის უთანხმოებანი და დავა უნდა წყდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. პრინციპი ავალდებულებს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის უთანხმოებების და დავის წარმოშობისას არ მიმართონ ძალას და ძალის გამოყენების მუქარას, თავი შეიკავონ ყოველგვარი მოქმედებისგან, რომელმაც შეიძლება გაამწვავოს დავა. საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპი პირველად ჩამოყალიბდა პარიზის 1928-ის ხელშეკრულებაში ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის, საერთაშორისო დავების და კონფლიქტების მოგვარების იარაღზე უარის თქმის შესახებ. ომისშემდგომ პერიოდში იგი დამკვიდრდა გაეროს წესდებით, გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოებს შორის მეგობრობის, ურთიერთობის და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაციით; ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის კონფერენციის დოკუმენტებით, გაეროს მანილის (1982) დეკლარაციით საერთაშორისო დავის გადაჭრა უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოთა სუვენერულ თანასწორობას და მათ უფლებას, თავისუფლად აირჩიონ დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებანი. ასეთ საშუალებათაგან ძირითადია: მხარეთა მოლაპარაკებები, კონსულტაციები, გამოკვლევა, შერიგება, შუამავლობა, საერთაშორისო არბიტრაჟი, სასამართლო გარჩევა.

256. **საერთაშორისო დაძაბულობის კერა** – მსოფლიოს ტერიტორიული რაიონი, რომელსაც ახასიათებს მწვავე კონფრონტაცია იქაურ სახელმწიფოებს ან ამ სახელმწიფოებში არსებულ სოციალურ ძალებს შორის, რაც ართულებს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას რეგიონში ან მთლიანად მსოფლიოში. საერთაშორისო დაძაბულობის კერაში დაპირისპირებული მხარეები, რომელთა მტრულმა ურთიერთობამ სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის ფორმა მიიღო, როგორც წესი, მზად არიან, გამოიყენონ ან უკვე მეტნაკლებად იყენებენ სამხედრო ძალას. ესკალაციის შემთხვევაში შეიძლება, გახდეს შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის ან ომის დაწყების გეოპოლიტიკური წყარო.

257. **საერთაშორისო ტერორიზმი –** ძალადობის აქტები, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან ობიექტების წინააღმდეგ. როგორც წესი, მიმართავენ ექსტრემისტული ორგანიზაციები პოლიტიკური ბრძოლის ხერხის სახით, რათა ზეწოლა მოახდინონ საერთაშორისო საქმიანობის სხვადასხვა სუბიექტზე, უწინარეს ყოვლისა, ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელისუფლებაზე. ზოგჯერ საერთაშორისო ტერორიზმის აქტებს სჩადიან ან ამ აქტებში მონაწილეობენ (ექსტრემისტთა წაქეზების ან ხელის დაფარების გზით) მთელი სახელმწიფოები. საერთაშორისო ტერორიზმის ფორმებს წარმოადგენს გამოუცხადებელი ომები, პოლიტიკური მკვლელობანი, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და სხვა ობიექტთა აფეთქებები, მძევალთა აყვანა, საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემების ნგრევა, საჰაერო და საზღვაო ხომალდების გატაცება და სხვ. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გაეროს ფარგლებში მიღებულია მთელი რიგი შეთანხმებანი, მათ შორის, 1979 წ. საერთაშორისო კონვენცია მძევალთა აყვანასთან ბრძოლის შესახებ,

მონრეალის 1971 წ. კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ და სხვ.

258. **საერთაშორისო წყლები** – იხ. ღია ზღვა

259. **საერთო კურსი საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში** - საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში საერთო კურსი დამკვიდრდა ევროპული კავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულებით და შემდგომ ამსტერდამის ხელშეკრულებით მასში იქნა შეტანილი დაზუსტებული. ევროპული კავშირის მიერ ამ კურსის განსაზღვრის და რეალიზაციის შესაბამისად მის ამოცანებია: ა. გაერო-ს წესდების პრინციპების შესაბამისად საერთო ფასეულობების, ძირითადი ინტერესების, დამოუკიდებლობის და ევროპული კავშირის მთლიანობის დაცვა; ბ. ევროპული კავშირის უსაფრთხოების განმტკიცება; გ. საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება და მშვიდობის შენარჩუნება; დ. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა; ე. დემოკრატიის, სამართლის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლების განვითარება და განმტკიცება.

260. **სავარაუდო მოწინააღმდეგე** – სახელმწიფო ან სახელმწიფოთა კოალიცია, რომელთა სამხედრო პოლიტიკა სხვა სახელმწიფოსთვის (სახელმწიფო კოალიციისათვის) წარმოადგენს ან შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს.

261. **საზღვაო ბლოკადა** - ბლოკირებული სახელმწიფოს მიერ ზღვის გამოყენებით საგარეო კავშირების და მისი ფლოტის ძალების ბლოკირებული რაიონის საზღვრებს გარეთ გასვლის აღკვეთის მიზნით მისი პორტების, ყურეების ან მთელი ზღვისპირეთის იზოლირება.

262. **საზღვაო ზონა** – შიდა და კონტინენტების მოსაზღვრე ერთი ან რამდენიმე სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ზღვის აკვატორია, მასში არსებული კუნძულებით, ხმელეთის ზღვისპირა ზოლით და საჰაერო სივრცით, სადაც ვლინდება ან შეიძლება შეხებას განიცდიდნენ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები. საზღვაო ზონა არის მსოფლიო ოკეანის მშვიდობიანობის დროის თანამედროვე გეოსტრატეგიული დაყოფის ფრაგმენტი, საოკეანო სტრატეგიული რაიონის შემადგენელი ნაწილი. საზღვაო ზონის საზღვრებს განსაზღვრავს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, როგორც წესი, ერთი ან რამდენიმე ზღვის არსებული გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში.

263. **საზღვაო ომი** – საერთაშორისო საზღვაო სამართალში საომარი მოქმედების ყველა სახეობა, რომელიც წარმოებს საომარი მოქმედების საოკეანო და საზღვაო თეატრებში ომის, შეიარაღებული კონფლიქტის დროს. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები საზღვაო ომის დროს რეგულირდება ამ საკითხებს მიკუთვნებული როგორც სახელშეკრულებო პრინციპების და საერთაშორისო სამართლის ნორმების, ისე ომის კანონების და წეს-ჩვეულებების საფუძველზე, რომლებიც საუკუნეობით ყალიბდებოდა. უკანასკნელი სამხედრო-საზღვაო ოპერაციების შესაბამისად შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ მეომარი მხარეების შეიარაღებული ძალებით და მხოლოდ საზღვაო ომის თეატრის ფარგლებში (ანუ ღია ზღვაში, მეომარი სახელმწიფოების ტერიტორიულ წყლებს და შიდა წყლებში, აგრეთვე მათ თავზე არსებულ საჰაერო სივრცეში). საზღვაო ომის თეატრს არ განაკუთვნებენ ნეიტრალურ სახელმწიფოთა შიდა და ტერიტორიულ წყლებს, აგრეთვე საერთაშორისო სრუტეებს და საერთაშორისო არხებს, რომლებსაც ნეიტრალური სტატუსი აქვთ.

264. **საზღვრის დელიმიტაცია** – მომიჯნავე სახელმწიფოებს შორის საზღვრის ხაზის გავლების განსაზღვრება, რომელიც დაფიქსირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებაში და გრაფიკულად არის გამოსახული თანდართულ რუკაზე. საზღვრის დელიმიტაციის საფუძველზე ეწყობა საზღვრის დემარკაცია.

265. **საზღვრის დემარკაცია –** სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენა ადგილზე სასაზღვრო ნიშნებით მონიშვნის გზით მისი დელიმიტაციის დოკუმენტების საფუძველზე. ახორციელებენ მომიჯნავე სახელმწიფოების შერეული კომისიები.

266. **საზღვრისპირა ზოლი (ზონა) –** სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის სახელწოდება, რომელიც ლიტერატურაში იხმარება. საზღვრისპირა ზოლის სიღრმე შეიძლება შეადგენდეს რამდენიმე ათეულიდან 100 კმ-მდე და უფრო მეტს. მის ფარგლებში მშვიდობიან დროს განალაგენ საბრძოლოდ გამზადებულ ჯარებს, ადგილმდებარეობას აწყობენ საინჟინრო თვალსაზრისით, ხოლო ომის დაწყების შემდეგ აწარმოებენ საზღვრისპირა ბრძოლებს. ნორმატიული აქტებით არ დგინდება.

267. **საზღვრისპირა საზღვაო ზონა –** ადგილი სახელმწიფოს ტერიტორიული წყლებისკენ გამავალი ზღვის სანაპიროს გაყოლებით. საზღვრისპირა საზღვაო ზონის ფარგლებში სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზნით აწესებს სპეციალურ რეჟიმს, ხოლო სასაზღვრო ჯარები ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილონ და აღმოფხვრან სახელმწიფო საზღვრის დარღვევები.

268. **საკონცენტრაციო ბანაკი** – პოლიტიკური, სოციალური, რასობრივი, რელიგიური და სხვა ნიშნების მიხედვით დაპატიმრებულ ადამიანთა დიდი მასების ადგილსამყოფელი. საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა ლიკვიდირებული იქნა ჰიტლერიზმის განადგურების შემდეგ, დაიგმო ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

269. **სამოქალაქო დაცვა** - სამოქალაქო სტრუქტურების და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას და დახმარებას, მათი საკუთრების და გარემოს დაცვას სტიქიური და ანტროპოგენური უბედურებების დროს.

270. **სამოქალაქო თავდაცვა** – ღონისძიებათა სისტემა რომელიც მიმართულია საომარი მოქმედების შედეგად გაჩენილ საშიშროებათა მოსაგერიებლად და მოსახლეობის, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და კულტურული ფასეულობების დასაცავად. სამოქალაქო თავდაცვის ძირითადი ამოცანებია: მოსახლეობისთვის თავდაცვის ხერხების სწავლება, მისი გაფრთხილება, ევაკუაცია უსაფრთხო რაიონებში, თავშესაფრებით და ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა, შუქშენიღბვის ღონისძიებების, ავარიულ-სამაშველო სამუშაოების ღონისძიებათა გატარება, ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლა, რადიოაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვაგვარი დასნებოვნების რაიონების აღმოჩენა და მონიშვნა, მოსახლეობის, ტექნიკის, შენობების, ტერიტორიების და სხვათა გაუვნებელყოფა, დაზარალებულ რაიონებში წესრიგის აღდგენა–დამყარება, ეკონომიკის მყარი ფუნქციონირების და მოსახლეობის გადარჩენისთვის ომიანობის დროს აუცილებელი ობიექტების შენარჩუნების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება და სხვ. ეწყობა ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპით. სამოქალაქო

თავდაცვისთვის მზადება ხორციელდება წინასწარ, მშვიდობიანობის დროს. სამოქალაქო თავდაცვის განხორციელება იწყება ომის გამოცხადების მომენტიდან, საომარი მოქმედების ფაქტობრივი დაწყებიდან ან საომარი მდგომარეობის შემოღებიდან.

271. **სამოქალაქო ომი** – ქვეყნის შიგნით წამოჭრილ სოციალურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის ყველაზე მწვავე ფორმა; სოციალური, ეთნიკური, რელიგიური თემების და ჯგუფების შეიარაღებული დაპირისპირება თავიანთი ძირეული ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ინტერესების რეალიზაციისთვის. წარმოშობენ არსებითი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ–რელიგიური და სხვა მიზეზები, რომლებიც, ყველანი ერთად, იწვევენ ღრმა საერთო–ეროვნულ კრიზისს. სამოქალაქო ომის უპირველესი მიზანია სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება, ხოლო ძირითადი საშუალებაა – შეიარაღებული ბრძოლა, რომელსაც, როგორც წესი, ახასიათებს სირთულეები, გაურკვევლობა, მეომარი მხარეების შემადგენლობის ცვალებადობა, ვინაიდან სამოქალაქო ომში რეგულარულ შეიარაღებულ ფორმირებათა გარდა მონაწილეობენ შეიარაღებული მოსახლეობის ფართო მასები. ეს განაპირობებს შეიარაღებული ბრძოლის ფორმების მრავალფეროვნებას სამოქალაქო ომის დროს, მათ შორის, შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებას, შეიარაღებულ აჯანყებებს, პარტიზანთა და მეამბოხეთა ბრძოლას.

272. **სამშვიდობო ოპერაციები –** ფართო ტერმინი, რომელიც მოიცავს მშვიდობის დაცვის ოპერაციებს და მშვიდობის ძალით დამყარების ოპერაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დიპლომატიური მოქმედებების შედეგიანობას, მიმართულს მშვიდობის დამყარების და შენარჩუნებისთვის.

273. **სამხედრო ადმინისტრაციული დაყოფა** – პასუხისმგებლობის საზღვრების (ზონების) დადგენის სისტემა, რომელთა ფარგლებში ფუნქცირებენ ოპერატიულ-სტრატეგიული (ოპერატიული) ტერიტორიული გაერთიანებები. სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა ხელს უწყობს სამხედრო ხელმძღვანელობის ჯარებთან დაახლოებას, სამხედრო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფს ჯარების მოხერხებულ მართვას, საშუალებას იძლევა, ექსტრემალურ სიტუაციებში ჯარები ოპერატიულად იქნეს გამოყენებული. იგი არცთუ იშვიათად ემთხვევა ქვეყნის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ დაყოფას.

274. **სამხედრო ამბოხება** – სამხედრო დაჯგუფების შეიარაღებული გამოსვლა ქვეყანაში არსებული ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ, მათი ძალადობრივი დამხობაც კი, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, საზოგადოებრივ წყობილებაში, სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებში და სხვა სფეროებში რადიკალური ცვლილებების განხორციელების მიზნით. შეიძლება იყოს როგორც სამხედრო შეთქმულების შედეგი, ისე სახელმწიფოს ცალკეულ შეიარაღებულ ფორმირებათა სტიქიური გამოსვლის. სახელმწიფო გადატრიალების გამომწვევი სამხედრო ამბოხების წარმატების შემთხვევაში ქვეყანაში სამხედრო მმართველობა მყარდება დროებით საფუძველზე.

275. **სამხედრო აუცილებლობა –** პრინციპი, რომლის შესაბამისად აუცილებელი სამხედრო მოქმედებების წარმატებით დამთავრებისთვის, მეომარ მხარეს გააჩნია უფლება გამოიყენოს ომის კანონებით დაშვებული ნებისმიერი ზომები.

276. **სამხედრო აქცია** – მიზნებით, ადგილით და დროში შეზღუდული სამხედრო ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოების ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული ორგანიზაციების და ჯგუფების წინააღმდეგ. ხორციელდება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მაშინ, როდესაც დასახული მიზნები არ მოითხოვს შეიარაღებული ძალების მსხვილმასშტაბიან გამოყენებას, ან როდესაც ასეთი გამოყენება არასასურველია საგარეო და შიდა მიზეზების გამო. სამხედრო აქციის დროს გამოიყენება ქვეყნის ძალების და საშუალებების უმნიშვნელო ნაწილი. სამხედრო აქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ომიანობის დროს ან სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების დაძაბვის პერიოდში და ქვეყანაში შიდა კონფლიქტის დროს.

277. **სამხედრო ბეგარა** – ისტორიულად დამკვიდრებული ან მიღებული და შესაბამისი სახელმწიფო აქტებით განმტკიცებული თავისი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასავლელად მოქალაქეთა გაწვევის იძულებითი წესი. სამხედრო ბეგარის ისტორიული ფორმებია: წოდებრივი, სათემო, საყოველთაო და მათი შეხამებანი. საყოველთაო სამხედრო ბეგარა პირველად იქნა შემოღებული საფრანგეთში 1798 წელს, ხოლო მეტ წილ სახელმწიფოებში მიიღეს მე-19 საუკუნეში – მე-20 საუკუნის დამდეგს (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ.). მშვიდობიან დროს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობითი წესით (კონტრაქტებით).

278. **სამხედრო გადატრიალება** – სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის ფორმა, რომლის შედეგადაც ქვეყნის პოლიტიკური მმართველობა გადადის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ხელში. სამხედრო გადატრიალება არის სამხედრო შეთქმულების შედეგი და მეტწილად ხორციელდება ჯარების შეზღუდული კონტინგენტების მოზიდვით (უფრო იშვიათად – მთელი შეიარაღებული ძალების გამოყენებით).

279. **სამხედრო გამომცემლობა** – გამომცემლობა, რომელიც გამოსცემს საზოგადოებრივ-პედაგოგიურ, სამხედრო-ისტორიულ, მემუარულ და მხატვრულ ლიტერატურას, შრომებს სამხედრო ხელოვნებაში, სამხედრო ტექნიკაში და სამოქალაქო თავდაცვაში, საცნობარო და ენციკლოპედიურ გამოშვებებს, ლექსიკონებს და სახელმძღვანელოებს, გამოსახვით პროდუქციას, სამხედრო ჟურნალებს.

280. **სამხედრო–გეოგრაფიული რაიონი** – დედამიწის გეოგრაფიულად განკერძოებული ნაწილი, რომელიც მოიცავს გარკვეულ კონტინენტს (კონტინენტის ნაწილს) მომიჯნავე აკვატორიის ზოლით, შიდა ზღვებით, ასევე საჰაერო-კოსმოსური სივრცით მის თავზე. სამხედრო-გეოგრაფიული რაიონის საზღვრები საბძოლო მოქმედების თეატრის საზღვრებისგან განსხვავებით ძირითადად განისაზღვრება სამხედრო-გეოგრაფიული პირობებით. თითოეული რაიონისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური და შედარებით მდგრადი ფიზიკო-გეოგრაფიული, სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური და ეთნოგრაფიული ვითარება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს შესაძლო საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე.

281. **სამხედრო დახმარება** – სამხედრო მშენებლობაში, შეიარაღებული ძალების მშენებლობასა ან საბრძოლო მოქმედების წარმოებაში მხარდაჭერა, რომელსაც

გარედან უწევენ სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტს ან ძალებს, რომლებმაც წამოიწყეს შეიარაღებული აგრესია.

სამხედრო დახმარება ხორციელდება ორმხრივი ან მრავალმხრივი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე სხვადასხვა ფორმით, როგორიც არის: კრედიტების გამოყოფა; შეიარაღების, სამხედრო ტექნოლოგიების, ტექნიკისა და ქონების მიყიდვა ან უსასყიდლოდ გადაცემა; სამხედრო მრჩევლების, სპეციალისტებისა და ინსტრუქტორების მივლინება; სამხედრო კადრების მომზადება და სხვ. სამხედრო დახმარებას უწევენ არა მარტო სახელმწიფოები. იგი შეიძლება გვევლინებოდეს აგრეთვე ცალკეული პირებისა და ჯგუფების კერძო ინიციატივის, საზოგადოებრივ მოძრაობათა პოლიტიკური ღონისძიებების ან სპეციალურად საამისოდ შექმნილი ორგანიზაციების კომერციული აქტივობის, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეთა დაქირავების ფორმით. მთელ რიგ სახელმწიფოებში სამხედრო დახმარების გაწევა სახელმწიფოს პრეროგატივად არის მიჩნეული.

282. **სამხედრო დემოკრატია** – საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის უძველესი ფორმა, რომელიც კანონზომიერად ყალიბდებოდა პირველყოფილ- თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს შექმნის დაწყების პირობებში. სახელწოდება „სამხედრო დემოკრატია“ პირველად იხმარა ამერიკელმა ეთნოგრაფმა, მეცნიერმა ლ. გ. მორგანმა ნაშრომში „ძველი საზოგადოება“ (1877). იგი ნიშნავს სამხედრო ბელადების ძალაუფლებას პირველყოფილი კოლექტივიზმისა და დემოკრატიის ნაშთების შენარჩუნების პირობებში: სახალხო კრებებს, უხუცესთა საბჭოებს და სხვ. საომარი კონფლიქტების დროს მეომარი ხდებოდა ყველა მამაკაცი, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება; მხედართმთავარს ირჩევდა სახალხო კრება. თანდათან რაზმი (რომელშიც აჰყავთ ყველაზე მარჯვე მეომრები, რომლებიც რეგულარულად იღებდნენ გასამჯელოს სამხედრო ნაალაფევიდან) ჯარის ბირთვი ხდება; მხედართმთვარის ამალა და უხუცესთა საბჭო ახლადჩასახული სახელმწიფოებრიობის საფუძველს წარმოადგენდა.

283. **სამხედრო დიქტატურა** – სოციალურ – პოლიტიკური ჯგუფის ან პირთა ვიწრო წრის ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება პირდაპირი ან არაპირდაპირი შეიარაღებული ძალადობის აქტიური გამოყენებით. როგორც წესი, არ გააჩნია ხალხის ფართო მასების მხარდაჭერა. ახასიათებს დემოკრატიული უფლებების და თავისუფლების შეზღუდვა ან სრული გაუქმება, შეიარაღებული ძალადობის ორგანოების (არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური და სხვ.) და საშუალებების გაბატონებული როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, ძალაუფლების შეუზღუდველობა და უკონტროლობა, ოპოზიციური ძალების აკრძალვა და ფიზიკური ჩახშობა, ტერორი თავისუფლად მოაზროვნეთა წინააღმდეგ და ა.შ. სამხედრო დიქტატურა მყარდება ძალაუფლების ხელში ჩაგდების შედეგად გადატრიალების, ამბოხებების, საგანგებო მდგომარეობის დაწესების გზით.

284. **სამხედრო დოკუმენტები** – ინფორმაციის მატერიალური მატარებლები, რომლებიც შეიცავენ დაფიქსირებულ ინფორმაციას. მათი დანიშნულებაა სამხედრო მმართველობის ორგანოების განმკარგულებელ-აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა. სამხედრო დოკუმენტები იყოფა ოპერატიულ (საბრძოლო),

სამობილიზაციო და ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო (სამსახურებრივ) დოკუმენტებად.

285. **სამხედრო დოქტრინა** – პოლიტიკური მიზნით სამხედრო ძალადობის საშუალებათა გამოყენებაზე, სამხედრო ამოცანების ხასიათისა და მათი გადაწყვეტის ხერხებზე, სამხედრო მშენებლობის ძირითად მიმართულებებზე სახელმწიფოში (სახელმწიფოთა კოალიციაში) მოცემული დროისათვის მიღებული ოფიციალური შეხედულების სისტემა. სამხედრო დოქტრინა კონცენტრირებული სახით გამოხატავს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების შინაარსს. მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ახასიათებს სამხედრო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს. სამხედრო დოქტრინის ჩამოყალიბებაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს ძალების განაწილება და თანაფარდობა სახელმწიფოების შიგნით და მათ ფარგლებს გარეთ, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური შესაძლებლობანი, გეოპოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებანი, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის წარმოების განვითარების დონე, შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების მდგომარეობა, ხალხისა და არმიის სულიერ ზნეობრივი ტრადიციები, მოკავშირე და მეტოქე სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინების მიზანმიმართულება და სხვ. სამხედრო დოქტრინის ფორმირებას ახორციელებენ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები. მის დებულებებს ნორმატიული ძალა ენიჭება და ისინი სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოებისა და სამხედრო კადრებისთვის. სამხედრო დოქტრინაში განასხვავებენ ორ მჭიდროდ დაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ მხარეს – პოლიტიკურს და, საკუთრივ, სამხედროს, პირველის წამყვანი როლის პირობებში. პოლიტიკური მხარე მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება პოლიტიკური მიზნებისათვის შეიარაღებული ძალადობის საშუალებათა გამოყენებას, სახელმწიფოს დამოკიდებულებას ომისადმი, სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკური მიზნების შინაარსსა და მათი მიღწევის შესაძლო გზებს, მოსალოდნელი ომისთვის მოსახლეობის და არმიის სულიერი, იდეოლოგიური მომზადების ამოცანებს. სამხედრო დოქტრინის საკუთრივ სამხედრო მხარე, რომელიც მის პოლიტიკურ დებულებებს ეყრდნობა, აპროგნოზირებს სახელმწიფოსადმი ომის საშიშროების დონეს, განსაზღვრავს შესაძლო ომის სტრატეგიულ ხასიათს, მის ოპერატიულ-ტაქტიკურ თავისებურებებს, აწესებს შეიარაღებული ძალების მშენებლობის თვისებრივ- რაოდენობრივ პარამეტრებს, მათი დაკომპლექტების პრინციპებსა და საბრძოლო გამოყენების ხერხებს, აგრეთვე, განსაზღვრავს სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკას და ომისთვის ქვეყნის, მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების ყოველმხრივი მომზადების ამოცანებს.

286. **სამხედრო ეკონომიკა** – სამხედრო-სამეურნეო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოებას; მეცნიერება ამ უზრუნველყოფის კანონზომიერებათა შესახებ. განასხვავებენ სამხედრო ეკონომიკის ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარეებს. პირველს შეადგენენ მისი მატერიალურ-ნივთობრივი ელემენტები და მასში დასაქმებული ადამიანები, მეორეს – ურთიერთობანი, რომლებიც ადამიანებს შორის ყალიბდება სამხედრო მოთხოვნილებათა ეკონომიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. სამხედრო ეკონომიკის რთულ სტრუქტურას განიხილავენ ფუნქციურ, ტერიტორიულ, ადმინისტრაციულ – საუწყებო და სხვა გეგმებში. ფუნქციური ანალიზი საშუალებას იძლევა, გავლებულ იქნას მკაფიო მიჯნა სამოქალაქო და სამხედრო წარმოებებს

(საწარმოს, ორგანიზაციას) შორის მათი პროდუქციის ფაქტობრივი გამოყენების მხრივ, განისაზღვროს სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური დაძაბულობის დონე. სამხედრო ეკონომიკის რეფორმირების პირობებში ქვეყნების წინაშე დგება ამოცანა, უზრუნველყონ თავდაცვითი პოტენციალის შენარჩუნება არსებული და პოტენციური სამხედრო საშიშროებისადმი ადეკვატურ დონეზე, ამასთან გაითვალისწინონ სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობები.

287. **სამხედრო–ეკონომიკური ინტეგრაცია –** საერთაშორისო შრომის გაღრმავებული დანაწილების ბაზაზე ეროვნული სამხედრო ეკონომიკების თანამოქმედებისა და დაახლოების პროცესი. ხორციელდება სახელმწიფოებისა და მათი მოკავშირეების სამხედრო პოტენციალის სრულყოფის ინტერესებისათვის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიისა და სამხედრო დოქტრინების შესაბამისად. გვევლინება ეკონომიკური განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებათა გამოხატულებად და ამავე დროს, წარმოადგენს კოალიციური სამხედრო პოლიტიკის განხორციელებას. სამხედრო–ეკონომიკური ინტეგრაციის დონე განისაზღვრება სახელმწიფოებს (სახელმწიფოთა კავშირებს) შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობების მდგომარეობით. სამხედრო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში ყალიბდება ქვეყნებს შორის ურთიერთობათა სისტემა, რომელიც მოიცავს სამხედრო-ეკონომიკური რესურსების, მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების კოორდინირებულ გამოყენებას, შეიარაღების ერთობლივ შემუშავებას და წარმოებას, საერთო სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას. იქმნება იმ ცალკეული სახელმწიფოების, ქვეყნების ჯგუფების ინტერესთა გარანტირების რეალიზაციის ეკონომიკურ –სამართლებრივი მექანიზმი, რომლებიც სამხედრო-ეკონომიკურ ინტეგრაციაში, ამა თუ იმ კავშირის ფარგლებში მონაწილეობენ.

288. **სამხედრო ექსპანსია** – შეიარაღებული გზით სხვათა ტერიტორიების დაპყრობა, სხვა ხალხების პოლიტიკური და ეკონომიკური დაკაბალების, მიწა-წყლის ანექსიის, საკუთარი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის განმტკიცების, გავლენის სფეროების გაფართოების მიზნით. დამახასიათებელია ყველა ისტორიული ეპოქისთვის. სამხედრო ექსპანსიის პოლიტიკა ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს.

289. **სამხედრო იდეოლოგია –** შეხედულებების და იდეების სისტემა, რომლებიც გამოხატავენ პოლიტიკის სუბიექტების დამოკიდებულებას ომის და შეიარაღებული ძალადობის სხვა ფორმებისადმი, აგრეთვე არმიის, როგორც სამხედრო პოლიტიკის განხორციელების მთავარი იარაღისადმი. წარმოადგენს იდეოლოგიის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის ნაწილს. სამხედრო იდეოლოგია გამოხატულებას პოულობს ქვეყნის კონსტიტუციასა და სამხედრო დოქტრინაში, სამხედრო წესდებებსა და სხვა დოკუმენტებში, არეგლამენტებს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობას.

290. **სამხედრო ინციდენტი –** ხანმოკლე შეიარაღებული შეტაკება მცირე რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეებისა და სამხედრო ტექნიკის გამოყენებით. შეიძლება იყოს წინასწარ განზრახული ან წინასწარ განუზრახველი. წინასწარ განზრახულ სამხედრო ინციდენტს, ჩვეულებრივ, ამზადებენ და იყენებენ აგრესიული სახელმწიფოები საერთაშორისო ვითარების გასამწვავებლად, ომის გაჩაღების საბაბად. სამხედრო ინციდენტის ნაირსახეობაა სასაზღვრო ინციდენტი.

291. **სამხედრო კოალიცია –** სახელმწიფოთა დროებითი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც იქმნება კოალიციური ომების მომზადების და წარმოებისთვის. სამხედრო კოალიციის სამხედრო და პოლიტიკურ მიზნებს, შემადგენლობას და თავისებურებებს განაპირობებს საერთაშორისო წინააღმდეგობათა შინაარსი, კოალიციის მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო პოლიტიკის და სამხედრო დოქტრინების ხასიათი, მათი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდგომარეობა და სხვ. სამხედრო კოალიციის ფარგლებში, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და საკუთრივ სამხედრო საქმიანობის კოორდინაციას, ხოლო რიგ შემთხვევებში – კოალიციური შეიარაღებული ძალების შექმნას ერთიანი სარდლობით. სამხედრო კოალიციები შეიძლება იყოს აგრესიული, დამპყრობლური ომების მომზადების და წარმოებისთვის შექმნილი, ან თავდაცვითი, რომელთა მიზანია აგრესიის მოგერიება.

292. **სამხედრო კონფლიქტი** – სახელმწიფოთაშორისო ან შიდა სახელმწიფოებრივი წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის ორმხრივი გამოყენებით გადაწყვეტის ფორმა. ცნება "სამხედრო კონფლიქტი" მოიცავს სოციალურ-პოლიტიკური მიზნით მიმდინარე შეიარაღებული ბრძოლის ყველა სახეობას, მათ შორის მსოფლიო, რეგიონულ, ლოკალურ ომებს და შეიარაღებულ კონფლიქტებს. თანამედროვე სამართალში ტერმინები "სამხედრო კონფლიქტი" და "ომი" იხმარება როგორც სინომიმები.

293. **სამხედრო კონცეფცია** – სამხედრო პოლიტიკის, ომის, არმიის პრობლემებზე ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეპირობებული შეხედულებების გარკვეული სისტემა. საკუთრივ სამხედრო კონცეფციებს შეიძლება ამუშავებდნენ სახელმწიფოები, საზოგადოებრივი მოძრაობანი, პარტიები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად სამხედრო საქმიანობის და სამხედრო საქმის ან მათი ცალკეული ასპექტებისადმი თავიანთ დამოკიდებულებას აყალიბებდნენ.

294. **სამხედრო მდგომარეობა –** განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ქვეყანაში ან ცალკეულ ტერიტორიებზე უშუალოდ ომის და შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხის შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობით, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ არის შემოღებული. გულისხმობს მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას და მათზე რიგი დამატებით მოვალეობების დაკისრებას, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შემოღებულ იქნას სტიქიური უბედურების და სხვა განსაკუთრებულ ვითარებებში.

295. **სამხედრო მზადყოფნა** – სახელმწიფოს (კოალიციის) სამხედრო ორგანიზაციის მდგომარეობა, რომელიც დაკისრებული ფუნქციური ამოცანების შესრულებისთვის მის მზადყოფნას ახასიათებს. სამხედრო მზადყოფნის კომპონენტებს განეკუთვნება შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა, აგრეთვე სამხედრო ორგანიზაციის და საზოგადოების ინსტიტუტების სხვა ელემენტების ომში სხვადასხვაგვარი სახეობის ბრძოლისთვის (შეიარაღებული, ეკონომიკური, დიპლომატიური და სხვ.) მზადყოფნა; მზადყოფნა სამოქალაქო თავდაცვისთვის. სამხედრო მზადყოფნას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამობილიზაციო მზადყოფნა. სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების მდგომარეობა საომარი მზადყოფნის კომპლექსური კრიტერიუმია.

296. **სამხედრო მისია** – ერთი სახელმწიფოს სამხედრო უწყების წარმომადგენელი ან დელეგაცია, რომელიც იგზავნება მეორე სახელმწიფოში ან მოკავშირე ქვეყნების გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შტაბბინაში თავისი მთავრობის რაიმე სპეციალური დავალების შესასრულებლად, აგრეთვე თვით ამ წარმომადგენლის ან დელეგაციისთვის მიცემული დავალება.

297. **სამხედრო მოთხოვნილება** – დადგენილი მოთხოვნილება, რომელიც განსაზღვრავს რესურსების დროული გამოყოფის მართლზომიერებას სამხედრო-შესაძლებლობების რეალიზებისთვის დამტკიცებული სამხედრო მიზნებს, საბრძოლო ამოცანებს და დავალებებს მისაღწევად.

298. **სამხედრო მონოპოლიები** – საწარმოო ან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები, ფირმები), რომლებიც კონცენტრირებული არიან სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სახეების დიდი ნაწილის წარმოებაზე, დამზადებაზე და რეალიზაციაზე. არსებობს ნაციონალური (ცალკეული ქვეყნების) და საერთაშორისო სამხედრო მონოპოლიები. უკანასკნელს განეკუთვნება ტრანსნაციონალური (ცალკეული ქვეყნების მონოპოლიები, რომელთა მოღვაწეობა ვრცელდება საერთაშორისო სფეროში) და ეროვნებათაშორისი (საერთაშორისო საქმიანობის ხასიათით და მონაწილეთა შემადგენლობით) სამხედრო მონოპოლიები.

299. **სამხედრო მოქმედებები** – 1. ომში მხარეებს შორის წინააღმდეგობა. 2. შეიარაღებული ძალების სახეობათა საშუალებებისა და ძალების, სტრატეგიული და ოპერატიული დაჯგუფებების ორგანიზებული გამოყენება საომარი მოქმედების თეატრში პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. სამხედრო მოქმედება წარმოებს ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაზე ოპერაციების, საბრძოლო მოქმედებების, მათ შორის, ბრძოლებისა და დარტყმების ფორმით. შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი. სამხედრო-ისტორიულ შრომებში, ლიტერატურაში და, არცთუ იშვიათად ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „სამხედრო მოქმედება“ გაიგივებულია ტერმინთან „საბრძოლო მოქმედება“ და იხმარება ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური მოქმედებების დროს.

300. **სამხედრო მოქმედებების თეატრი** – კონტინენტის ნაწილის ვრცელი ტერიტორია მიმდებარე ზღვებით ან ოკეანის (ზღვის) აკვატორიით, კუნძულებითა და მიმდებარე კონტინენტების სანაპიროთი, აგრეთვე საჰაერო კოსმოსური სივრცე მათ თავზე, რომლის ფარგლებშიც გაიშლება შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მასშტაბის სამხედრო მოქმედება. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სამხედრო მოქმედებების თეატრი შეიძლება იყოს კონტინენტური, საოკეანო და საზღვაო. სამხედრო მოქმედებების თითოეულ თეატრს აქვს გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული პირობები, აგრეთვე ტერიტორიის ოპერატიული მოწყობა, რომლებიც გავლენას ახდენენ სტრატეგიული მასშტაბის ოპერაციებისა და მთლიანად ომის მომზადებასა და წარმოებაზე. სამხედრო მოქმედებების თეატრის საზღვრებს და შემადგენლობას ადგენს სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ტერმინის “სამხედრო მოქმედებების თეატრის” სინონიმად ზოგიერთ ლიტერატურაში იხმარება “ომის თეატრის” ცნება. სამხედრო მოქმედებების თეატრების ყოველმხრივი შესწავლა და შეფასება აგრესიის მოსაგერიებლად შეიარაღებული ძალებისა და ტერიტორიის მომზადების ერთ-ერთ

უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. იგი საშუალებას იძლევა, აწარმოონ საომარი მოქმედება ნებისმიერ რეგიონში კონკრეტული საომარი მოქმედების თეატრის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

301. **სამხედრო მოქმედებების საზღვაო თეატრი** – კონტინენტის მიმდებარე იმ ერთი ან რამდენიმე ზღვის აკვატორია, რომელიც არ შედის სამხედრო მოქმედებების საოკეანო თეატრში, კუნძულებით, მოსაზღვრე ხმელეთის ზოლით, მის თავზე მდებარე საჰაერო-კოსმოსური სივრცითურთ, სადაც არიან ბაზირებულნი, განლაგდებიან და შეუძლიათ, აწარმოონ ოპერაციები და საბრძოლო მოქმედებანი სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფებებს, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა გაერთიანებებთან, შენაერთებთან ურთიერთქმედებით (ერთობლივად) ოპერატიულ-სტრატეგიული ან ოპერატიული ამოცანების შესრულებისას. სამხედრო მოქმედებების საზღვაო თეატრის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა. საზღვაო თეატრში შეიძლება გამოიყოს ცალკე მიმართულებანი და ოპერატიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი რაიონები (ზონები).

302. **სამხედრო მოქმედებების საოკეანო თეატრი** – მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი კუნძულებით, მიმდებარე კონტინენტების ზოლითა და მათ თავზე არსებული საჰაერო-კოსმოსური სივრცითურთ, სადაც ბაზირებულია, გაიშლება, ხოლო ომის დროს შეიძლება აწარმოონ საომარი მოქმედება მეომარი მხარეების შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებმა (სამხედრო-საზღვაო ძალების, სხვა სახეობათა შეიარაღებული ძალების გაერთიანებებმა), რომლებიც სტრატეგიულ და ოპერატიულ-სტრატეგიულ ამოცანებს ასრულებენ. ისტორიულად ჩამოყალიბებულად ითვლება სამხედრო მოქმედებების ატლანტის, არქტიკის, წყნარი ოკეანეს და ინდოეთის ოკეანეს თეატრები. ზოგიერთ ლიტერატურაში ოკეანეთა აკვატორიებს დიდი ზომების გამო არცთუ იშვიათად განაკუთვნებენ არა სამხედრო მოქმედებების თეატრებს, არამედ ომის თეატრებს. სამხედრო მოქმედებების საოკეანო თეატრის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) სამხერო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და საკუთრივ სამხედრო ფაქტორების გათვალისწინებით. სამხედრო მოქმედებების საოკეანო თეატრის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ოპერატიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი რაიონები (ზონები) და ცალკეული მიმართულებები.

303. **სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა** – საერთაშორისო სამართალი გულისხმობს მეომარი მხარეების მიერ საბრძოლო ოპერაციების დასრულებას მთელ ფრონტზე ან მის ნაწილში. თან სდევს ცეცხლის შეწყვეტა, მაგრამ არ გამოჰყავს მხარეები ომის მდგომარეობიდან. სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის ძირითად ფორმებს წარმოადგენს საერთო ან კერძო დაზავება და კაპიტულაცია. საომარი მოქმედების შეწყვეტის სპეციფიკური ფორმაა მეომარი მხარეების მიერ იმ გადაწყვეტილების შესრულება, რომელიც მიღებული აქვს გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტის და კონფლიქტის დასარეგულირებლად მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

304. **სამხედრო მოხმარება** – საზოგადოებრივი პროდუქტის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება. ვიწრო გაგებით სამხედრო მოხმარება გულისხმობს საბრძოლო სამხედრო პროდუქტის (მაგ. პირადი შემადგენლობის საკვებით, სამოსით

და სხვ. დაკმაყოფილება, იარაღის და საბრძოლო ტექნიკის საბრძოლო სწავლებას, ომისათვის მომზადებას და ომში გამოყენებას) გამოყენებას. ფართო გაგებით სამხედრო მოხმარება ასევე მოიცავს ურთიერთობების ერთიანობას, რომელიც დაკავშირებულია წარმოების საშუალებების და შრომითი რესურსის გამოყენებასთან, რომლის დანიშნულებაა შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკის და სხვა სამხედრო პროდუქციის დამზადება.

305. **სამხედრო მუქარა** – სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა, რომლის დროსაც არსებობს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის სამხედრო კონფლიქტის გაღვივების შესაძლებლობა; ომის ღია საშიშროება ხასიათდება რომელიმე ქვეყნის (კოალიციის) მზადყოფნის ხარისხით, განახორციელოს მეორე სახელმწიფოზე თავდასხმა. მის წყაროებს წარმოადგენს: სამხედრო დოქტრინები და პოლიტიკა, რომელიც გამომდინარეობს შესაძლო სამხედრო ძალადობის დაშვების აღიარებიდან; სხვა სახელმწიფოების მიერ თავდაცვის მოთხოვნებზე მეტად სამხედრო სიძლიერის გაზრდა; სამხედრო-პოლიტიკური არასტაბილურობის ზრდა; სახელმწიფოს საზღვართან სამხედრო კონფლიქტების კერების არსებობა; სამხედრო უსაფრთხოების სფეროში დადებული ხელშეკრულებების დარღვევა და სხვ.

306. **სამხედრო მშენებლობა** – სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შექმნის და განვითარების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული პროცესი; ქვეყნის სამხედრო ძლიერების შესანარჩუნებლად ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, სამართლებრივი, საკუთრივ სამხედრო და სხვა ღონისძიებების კომპლექსი. სამხედრო მშენებლობის ზოგად მიზნებს, შინაარსს და ამოცანებს განსაზღვრავს სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკა და სამხედრო დოქტრინა. იგი დამოკიდებულია ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დონეზე, გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, სამხედრო კავშირებისადმი კუთვნილებაზე, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ხასიათზე და სხვ. სამხედრო მშენებლობა, ჩვეულებრივ, მოიცავს: ომის საფრთხისა და ომის მუქარის პროგნოზირებას და შეფასებას; სამხედრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და სამხედრო დოქტრინის დებულების შემუშავებას; სამართლებრივ რეგულირებას თავდაცვის დარგში; შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ქონების გამოსაშვები საწარმოო და სამობილიზაციო სიმძლავრეების უზრუნველყოფას; იმ სახელმწიფო-პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემის შექმნას, რომლებიც ახორციელებენ ქვეყნის სამხედრო სფეროს ხელმძღვანელობას; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ეკონომიკისა და მოსახლეობის სამობილიზაციო მომზადებას; სამობილიზაციო რეზერვების შექმნას; სამოქალაქო და ტერიტორიული თავდაცვის ღონისძიებათა დაგეგმვას და განხორციელებას, თავდაცვის მიზნებისთვის ტერიტორიის ოპერატიულ მოწყობას; თავდაცვის ინტერესებისათვის მეცნიერების განვითარებას; თავდაცვითი დანიშნულების სულიერ-იდეოლოგიური ინსტიტუტების შექმნას და მათი მუშაობის ორგანიზაციას; სამხედრო ხარჯების დაფინანსებას; საერთაშორისო თანამშრომლობას სამხედრო დარგში და სხვ.

307. **სამხედრო ოკუპაცია** – ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ძალადობრივი დროებითი დაკავება მასზე სუვენერული უფლებების მოპოვების გარეშე.

308. **სამხედრო ორგანიზაცია** (სახელმწიფოს) – შეიარაღებული ძალების, აგრეთვე იმ სამხედრო – პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-სამეცნიერო და სხვა სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც სამხედრო საქმიანობას ეწევიან. სამხედრი ორგანიზაციის ძირითადი ელემენტია სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაცია, რომელშიც შედიან სახელმწიფო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეიარაღებული ფორმირებანი, აგრეთვე სამხედრო-ადმინისტრაციული, სამხედრო-სამართლებრივი ორგანოები. შეიარაღებული ორგანიზაციის ბირთვს შეადგენენ შეიარაღებული ძალები. სამხედრო ორგანიზაციის მეორე ელემენტია სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაციის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა. მის წამყვან რგოლად გვევლინება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ეკონომიკის და მეცნიერების დარგების ნაწილი, რომლებიც უპირატესად სამხედრო სფეროში მუშაობენ. სამხედრო ორგანიზაციის მესამე ელემენტს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და დაწესებულებები, პოლიტიკური ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ უძღვებიან ქვეყნის თავდაცვის და უშიშროების საკითხებს.

309. **სამხედრო პარიტეტი** – სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) სამხედრო ძალების ფარდობითად მდგრადი თანატოლობა, რომლის დროსაც ყოველ მხარეს აქვს უნარი ხანგრძლივ პერსპექტივაში მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას.

310. **სამხედრო პოლიტიკა** – საზოგადოების და მისი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების შეხედულებების, ურთიერთობების და საქმიანობის სისტემა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სამხედრო ორგანიზაციის შექმნას, შეიარაღებული ძალადობის საშუალებათა მომზადებას და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას. სამხედრო პოლიტიკის ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო, მის მიერ შექმნილი ორგანიზაციები და დაწესებულებანი, აგრეთვე სახელმწიფოთა კავშირები. გარკვეულ პირობებში დამოუკიდებელ სამხედრო-პოლიტიკურ აქტიურობას იჩენენ ხალხები, კლასები, ერები და სხვა სოციალური და ეროვნული ჯგუფები, პოლიტიკური მოძრაობანი და პარტიები. სამხედრო პოლიტიკის სუბიექტები არიან აგრეთვე თანამდებობის პირნი, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები, და რიგითი მოქალაქენი, რომელთა უფლება-მოვალეობანი თავდაცვის დარგში განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით. სამხედრო პოლიტიკა გვევლინება როგორც სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. მასში გამოხატულებას პოულობენ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი ეკონომიკური განვითარება, დემოგრაფიული ვითარება, პოლიტიკური ორგანიზაცია, სოციალურ-კულტურული ფაქტორები. სოციალურად შეპირობებული სამხედრო პოლიტიკის ბუნება და მიზნები მას ანიჭებენ, ერთ შემთხვევაში, აგრესიულ, დამპყრობლურ, ხოლო მეორეში – მშვიდობისმოყვარულ, თავდაცვით ხასიათს. სამხედრო პოლიტიკა რეგულარულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე, გარკვეულად უწევს მათ ორგანიზაციას სამხედრო ძალის გამოყენებით ამოცანების გადაწყვეტის ინტერესებისთვის, და სწორად ამიტომ, თვით სამხედრო პოლიტიკას აქვს მრავალწახნაგოვანი ხასიათი, მოიცავს საქმიანობის სამხედრო-ეკონომიკურ, სამხედრო-ტექნიკურ, სამხედრო-საკადრო, და სხვა მიმართულებებს (სამხედრო პოლიტიკის სახეობებს).

311. **სამხედრო-პოლიტიკური არასტაბილურობა** – სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობებით ჩამოყალიბებული სამხედრო - პოლიტიკური ურთიერთობების არამდგრადი, კონფლიქტური ფორმა. ამასთან შესაძლებელია კონფლიქტური სიტუაციის, როგორც მოლაპარაკებების პროცესით დარეგულირება, ასევე მისი სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისამდე ესკალაციაც და შეიარაღებულ კონფლიქტში შემდგომი გადაზრდა.

312. **სამხედრო-პოლიტიკური ვითარება** – სახელმწიფოებს (მათ კოალიციებს), პოლიტიკის სხვა სუბიექტებს, მათ რიცხვში, შეიარაღებულ ძალებს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების დამახასიათებელ თავისებურებათა ერთობლიობა. სამხედრო-პოლიტიკური ვითარების არსებითი ნიშანია მისი პოლიტიკური და საკუთრივ სამხედრო შინაარსის (შეიარაღებული ძალადობის პოტენციური, არაპირდაპირი ან პირდაპირი გამოყენების) ურთიერთკავშირი. თავისი ხასიათის მიხედვით სამხედრო – პოლიტიკური ვითარება შეიძლება იყოს: სტაბილური, მყარი, თავდაცვის საკმარისობის პრინციპის რეალიზაციასთან დაკავშირებული; დაძაბული; კრიზისული, შეიარაღებული ძალადობის გამოყენების პირას მისული (ომისწინა); კონფლიქტური, რომელსაც ახასიათებს შეიარაღებული ძალადობის გამოყენება შეზღუდული მასშტაბით; საომარი, როგორც დაძაბულობის უმაღლეს დონეს მიღწეული. სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას, აგრეთვე განასხვავებენ: მასშტაბის მიხედვით (სივრცობრივი) – მსოფლიოში (გლობალური, საერთაშორისო); რეგიონში, საომარი მოქმედების თეატრში, სტრატეგიულ და საოპერაციო მიმართულებებზე (რეგიონული); ქვეყანაში ან ქვეყნების ნაწილში; განვითარების პირობების მიხედვით – მშვიდობიანი დროის სამხედრო პოლიტიკური ვითარება და სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ომიანობის პირობებში.

313. **სამხედრო პოლიტიკური კავშირი** – ორი ან მეტი სახელმწიფოს გაერთიანება სამხედრო საშუალებებით პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიძლება ჰქონდეს ან დამპყრობლური, დამსჯელი, აგრესიული, ან/და თავდაცვითი, გამათავისუფლებელი, მშვიდობისმყოფელური ხასიათი. სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის კონკრეტული მიზნები შეიძლება იყოს კოლექტიური დაცვა, მშვიდობისმყოფელობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მასობრივ ანტისამთავრობო მოძრაობათა ჩახშობა, რეგიონალური ან მსოფლიო ლიდერობის დამყარება და სხვ. როგორც წესი, სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის ინიციატორად და წარმმართველ ძალად გამოდიან ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც ისწრაფვიან, წამყვან როლს ასრულებდნენ რეგიონში ან გლობალურ სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში. სხვა სახელმწიფოების მონაწილეობას განაპირობებს იდეოლოგიური სოლიდარობა, ეთნიკური ან კონფესიური სიახლოვე, გეოპოლიტიკური ინტერესების ერთიანობა, ეკონომიკური დამოკიდებულება და სხვ. კავშირის მიზნების, საერთაშორისო სამართლის დემოკრატიული ნორმებისადმი მათი შესაბამისობის მიხედვით სამხედრო-პოლიტიკური კავშირები შეიძლება იყოს ღია, ნახევრად ღია და ფარული.

314. **სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია** - სახელმწიფოებს (სახელმწიფოთა კოა- ლიციებს) ან ქვეყნის შიგნით სოციალურ ძალებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავება, რომელსაც თანახლავს შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის პოტენციური საფრთხე.

315. **სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი** – სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის განვითარების მწვავე ფაზა, რომელსაც ახასიათებს კონფრონტაცია ორი ან მეტი ქვეყნის სახელმწიფო ხელმძღვანელობას შორის, როდესაც ეს კონფრონტაცია მიმდინარეობს ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების დიდი ალბათობის ვითარებაში. სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის მნიშვნელოვან არსობრივ მხარეს წარმოადგენს მისი მონაწილეების (ან ერთი მათგანის) მიერ საფრთხის შექმნა მეორე მხარის საარსებო მნიშვნელობის ეროვნული ინტერესებისათვის, აგრეთვე ოპონენტის დაუთმობლობის შემთხვევაში ხისტი პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად, სამხედრო ძალის გამოყენება. ამასთან სამხედრო ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არაპირდაპირი პოტენციური ვარიანტით (შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლება, მანევრებისა და წვრთნების მოწყობა, ჯარების გაშლა და მიყვანა სახელმწიფო საზღვართან და ძალის დემონსტრაციის სხვა ფორმები), ისე მისი ნაწილობრივი ფაქტობრივი გამოყენების გზით (სადავო რაიონების დამსწრები დაკავება ჯარების მიერ, საჰაერო სივრცის დარღვევა და ტერიტორიულ წყლებში შეჭრა, ცალკეული ობიექტების დაბომბვა მოპირისპირე მხარის ტერიტორიაზე, სამხედრო ინციდენტების პროვოცირება და სხვ.). სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის დამახასიათებელ ნიშნებს განეკუთვნება აგრეთვე: გარეშე საშიშროებათა რიცხვისა და მასშტაბის ზრდა; სამხედრო-პოლიტიკური ვითარების დინამიზმი და საგარეო-პოლიტიკური სიტუაციის შემდგომი განვითარების გაურკვევლობა; შემოსული ინფორმაციის წინააღმდეგობრიობა; ოპონენტის შესაძლო მოქმედების პროგნოზირების სიძნელე; სასწრაფო პოლიტიკური და სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებასთან ერთად მოვლენათა მიმდინარეობისადმი სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურის გართულება.

316. **სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა** – სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა კოალიციებს შორის რეგიონულ ან გლობალურ დონეზე სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში მდგრადი ურთიერთობები.

317. **სამხედრო პოტენციალი** – სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) მაქსიმალური შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება მობილიზებულ და გამოყენებულ იქნეს მისი სამხედრო ძლიერების ფორმირებისა და ზრდისთვის, სამხედრო ორგანიზაციის მშენებლობის და ომის წარმოებისთვის.

სამხედრო პოტენციალი წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა პოტენციალების ფუნქციირების ხერხს და სპეციფიკურ ფორმას. სამხედრო პოტენციალის შინაარსის შემადგენელი ელემენტების უმრავლესობა (სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-დემოგრაფიული, სამხედრო-სამეცნიერო და სხვა პოტენციალები) მასში შემოდის სხვა პოტენციალებიდან. მხოლოდ სამხედრო პოტენციალისთვის დამახასიათებელ კომპონენტებს განეკუთვნება: ქვეყნის ორგანიზაციულ-ტექნიკური, მმართველობითი, ოპერატიულ-სტრატეგიული და სხვ. შესაძლებლობები სამხედრო სფეროში.

318. **სამხედრო რეაგირება** – კრიზისების, დაძაბულობის ან ომის შემთხვევაში ნატო-ს კონსულტაციების და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი დროული და შეთანხმებული ზომები.

319. **სამხედრო რეფორმა** – სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის იმ არსებითი გარდაქმნების ერთობლიობა, რომლებიც მიზნად ისახავს, შეუსაბამოს იგი შეცვლილ გარეშე პირობებს. ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი

ორგანოების გადაწყვეტილებით შემუშავებული პროგრამების შესაბამისად და შემოიფარგლება კონკრეტული ქრონოლოგიური ჩარჩოებით. სამხედრო რეფორმას განაპირობებენ ობიექტური გარემოებები, რომლებიც როგორც წესი, დაკავშირებულია ომში დამარცხებასთან ან გამარჯვებასთან, სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის რადიკალურ გარდაქმნებთან და მისი საერთაშორისო მდგომარეობის ცვლილებებთან, ახალ სახეობათა შეიარაღების გაჩენასთან, ეკონომიკურ მოსაზრებებთან, წარმოების დონის, შეიარაღებული ბრძოლის ფორმების და ხერხების შეცვლასთან და სხვ.

320. **სამხედრო–საზღვაო ზონა** – საოკეანო (საზღვაო) საბრძოლო მოქმედებების თეატრის ნაწილი, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ოპერატიულ-სტრატეგიულ აკვატორიას კუნძულებით, სანაპირო ზოლით, ასევე მის თავზე საჰაერო კოსმოსური სივრცით. მის საზღვრებში ხდება სამხედრო-საზღვაო ძალების (და სხვა ძალების) გადაჯგუფება, გაშლა და მოქმედებები, რომლის დროსაც ხდება ოპერატიული და ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა. ამ ზონის საზღვრები განისაზღვრება უმაღლესი სარდლობის (ნაციონალური ან სამხედრო კოალიციის) მიერ.

321. **სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა** – ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებით და ხელშეკრულებებით სამხედრო სარდლობასა და ხელისუფლების სამოქალაქო და სამხედრო ორგანოებს შორის, ასევე ჯარების (ძალების) გამოყენების ან მოსალოდნელი გამოყენებას რაიონის მოსახლეობის შორის. იგი მოიცავს თანამშრომლობას არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და ორგანოებთან.

322. **სამხედრო-სამოქალაქო მზადყოფნა** – ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებას მოსალოდნელი უბედურების პირობებში მიიღოს პროგნოზირების და გაფრთხილების წინასწარი ზომები, ასევე მოახდინოს რეაგირება და შედეგების ლიკვიდაცია. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს სამაშველო სამუშაოების ორგანიზებული, დროული და ეფექტური განხორციელებით, გადაუდებელი დახმარების გაწევით და სხვა შესაბამისი ფორმების გამოყენებით.

323. **სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები** – ურთიერთობები მთავრობასა და შეიარაღებულ ძალებს, ასევე შეიარაღებულ ძალებსა და საზოგადოებას შორის.

324. **სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი** – ქვეყნის (ქვეყნების ჯგუფის) სამრეწველო კომპლექსის ნაწილი, განკუთვნილი იარაღის, სამხედრო ტექნიკის სამეცნიერო შემუშავების და წარმოებისთვის, ამ იარაღით და ტექნიკით შეიარაღებული ძალების და სახელმწიფოს სხვა შეიარაღებული ფორმირებების უზრუნველყოფის მიზნით. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო და პოლიტიკური ვითარება, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში, რეგიონში, სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკა, აგრეთვე ქვეყნის (ქვეყნების ჯგუფის) ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობები. თავის მხრივ, ომების მასშტაბის ზრდამ, მეომარი მხარეების მეცნიერულ-ტექნიკური კონფრონტაციის როლის ამაღლებამ, გამალებული შეიარაღების და იარაღის ვაჭრობის გაფართოებამ ხელი შეუწყვეს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სწრაფად განვითარებას, მის ერთიან სოციალურ მოვლენად გაფორმებას.

325. **სამხედრო სამსახური** – შეიარაღებულ ძალებში, სხვა ჯარებში, სამხედრო ფორმირებებსა და ორგანოებში მოქალაქეთა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახეობა, ხორციელდება სამხედრო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქალაქენი სამხედრო სამსახურს გადიან გაწვევით, და ნებაყოფლობითი წესით (კონტრაქტების საფუძველზე).

326. **სამხედრო საქმე** – მშვიდობიან და ომიანობის პერიოდში სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის, შეიარაღებული ძალების სამხედრო მშენებლობის და საქმიანობის, აგრეთვე ომისთვის მოსახლეობის მომზადების თეორია და პრაქტიკა; სამხედრო საქმიანობის და მისი შედეგების ერთიანობა; იმ ცოდნის სისტემა, რომელიც აუცილებელია სამხედრო მოსამსახურეებისთვის თავიანთი მხედრული მოვალეობის წარმატებით შესასრულებლად. სამხედრო საქმის ერთობლივ შედეგად გვევლინება სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება, უწინარეს ყოვლისა, მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება. სამხედრო საქმის ეფექტიანობის საბოლოო კრიტერიუმია სახელმწიფო სუვერენიტეტის გარანტირებული დაცვა ან სხვა სამხედრო-პოლიტიკური შედეგების მიღწევა.

327. **სამხედრო საქმიანობა** – სოციალურ - პოლიტიკური საქმიანობის ნაირსახეობა, რომლის მიზანია შექმნას, ხოლო საჭიროებისას – გამოიყენოს კიდეც შეიარაღებული ბრძოლის საშუალებები და სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების სხვა ელემენტები გარკვეული სახელმწიფოებრივი თუ სოციალურ-ჯგუფობრივი მიზნების მისაღწევად. სამხედრო საქმიანობას ეწევიან პირნი, რომლებიც ფუნქციურად და ორგანიზაციულად შედიან სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში: შეიარაღებული ძალების და სხვა სახელმწიფო სამხედრო ფორმირებათა სამხედრო მოსამსახურენი; სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ უძღვებიან ქვეყნის თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებს; იმ საწარმო დაწესებულებათა მუშაკები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ არიან დაკავებული იარაღის, საბრძოლო ტექნიკის შექმნით და შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფით. სამხედრო საქმიანობის სუბიექტად გვევლინებიან აგრეთვე თვით ის დაწესებულებები და ორგანოები, რომლებიც სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციას განეკუთვნებიან.

328. **სამხედრო საშიშროება –** სახელმწიფოთაშორისო და შიდა– სახელმწიფოებრივი ურთიერთობების მდგომარეობა, რომლის დროს არის შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის პოტენციური შესაძლებლობა.

329. **სამხედრო სესხები –** სახელმწიფო სესხები, რომელთა დანიშნულებაა ომის და ომისათვის მზადების დაფინანსება. საკრედიტო ურთიერთობები, რომელშიც სახელმწიფო, რომელიც იღებს სესხს ითვლება მევალედ.

330. **სამხედრო-სტრატეგიული სტაბილურობა** - რეგიონულ და გლობალურ დონეებზე საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილური მდგომარეობა, რომლის დროსაც სახელმწიფო (სახელმწიფოთა კოალიცია) თავს იკავებს სადავო საკითხების სამხედრო საშუალებებით გადაწყვეტაზე.

331. **სამხედრო სუბსიდია –** სახელმწიფოს მიერ სამხედრო დანიშნულების საგნების საკუთარი ქვეყნის მომწოდებლის ან სხვა ქვეყნის სამხედრო ეკონომიკური მზადების (საბრძოლო მოქმედების) ფინანსურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ერთ-ერთი მეთოდი. განასხვავებენ: ფულად ფორმას და ნატურალურს; პირდაპირს და არაპირდაპირს.

332. **სამხედრო – ტექნიკური პოლიტიკა** – სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის ორგანოების, ქვეყნის სხვა სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების საქმიანობა და ურთიერთობა, მათ შორის, რომელიც უკავშირდება შეიარაღების სისტემებით, სამხედრო და სპეციალური ტექნიკით და ქონებით შეიარაღებული ძალების აღჭურვის საკითხთა გადაწყვეტას. ხმარდება შეიარაღებული ძალების სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობრივ და თვისებრივ შესატყვისებას შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების და სახელმწიფოს სამხედრო მიზნებისადმი, ქვეყნის ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა შესაძლებლობების და შეიარაღების შეზღუდვის საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით. სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის მთავარ ობიექტებად გვევლინება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და შეიარაღებული ძალები, ხოლო მთავარ მიზნად და დედაარსად – სამხედრო-სამეცნიერო, სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალების შექმნა, ჯეროვან დონეზე შენარჩუნება და ეფექტური გამოყენება.

333. **სამხედრო უპირატესობა** – ერთი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) მეორეის მიმართ სამხედრო ძლიერების საგრძნობი უპირატესობა. სამხედრო უპირატესობა განისაზღვრება მხარეების სამხედრო, ეკონომიკური, მორალური და სულიერი შესაძლებლობების თანაფართობით. მის ძირითად მაჩვენებლებს მხარეების შეიარაღებული ბრძოლის ძალების და საშუალებების თანაფარდობა წარმოადგენს. სამხედრო უპირატესობის შეფასებისას კონკრეტულ შემთხვევაში განმსაზღვრელ ფაქტორს სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობა წარმოადგენს.

334. **სამხედრო შსაფრთხოება** – ცხოვრების საშინაო და საერთაშორისო პირობების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ანეიტრალებს ან გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ პიროვნებას, საზოგადოებას, სახელმწიფოს, მსოფლიო გაერთიანებას მიადგეს ზიანი შეიარაღებული ძალადობის საშუალებათა გამოყენების შედეგად; ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების ნაწილი და ერთ-ერთი საფუძველი. ხასიათდება მისი ობიექტებისთვის ომის საფრთხის არარსებობით ან მათი უნარით, გარანტირებულად წინ აღუდგნენ აგრესიას. სამხედრო უსაფრთხოება გულისხმობს ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა: სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შეიარაღებული დაცვა; საზოგადოების და სახელმწიფო წყობილების სტაბილურობის სამხედრო გარანტიების შექმნა, სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება ქვეყანაში; პოლიტიკური და კრიმინალური ჯგუფების ტერორისტული მოქმედებების აღკვეთა. სამხედრო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვა არასამხედრო ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო და შიდა წინააღმდეგობათა გადაწყვეტას, სამხედრო-ძალისმიერ დაპირისპირებად მათი გადაზრდის თავიდან აცილებას. სამხედრო უსაფრთხოების დიდმნიშვნელოვანი მხარეა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომელიც შეესაბამება რეალური და პოტენციური ომის საფრთხეებს. სამხედრო უსაფრხოების ამოცანებს უშუალოდ წყვეტენ სხვადასხვა ძალისმიერი სტრუქტურები: შეიარაღებული ძალები და სხვა ჯარები, პოლიცია, უშიშროების ორგანოები.

335. **სამხედრო ყოფნა** – სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მისი შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების თავისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ ყოფნა. ისტორიულად, სამხედრო ყოფნა უკავშირდება ომების წარმოებას, დამპყრობლურ პოლიტიკას, დამარცხებული მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპაციას, აგრეთვე ასეთი პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის ორგანიზაციას სამხედრო თანამშრომლობის მეშვეობით. მე-20 საუკუნეში ცალკეულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს სამხედრო ყოფნის გამოყენება საომარი მოქმედების თეატრში უკვე მშვიდობიან დროს, შეიარაღებული ძალების საჭირო დაჯგუფებათა შექმნის, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების დაცვის, სამხედრო ძლიერების დემონსტრირების, მსოფლიოს ყოველ რეგიონში თავიანთი ინტერესების უზრუნველყოფის, მოკავშირეთა მხარდაჭერის და არასასურველი მმართველი რეჟიმების დესტაბილიზაციის მიზნით და სხვ. ფართო გავრცელება ჰპოვა სამხედრო ყოფნის ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის: შეიარაღებული ძალების კონტინგენტების მუდმივი დისლოკაცია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე; სამხედრო-საზღვაო ძალების პატრულირება მსოფლიო ოკეანის წყლებში; შეიარაღებული ძალების დროებითი ყოფნა თავიანთი ქვეყნის ფარგლებს გარეთ წვრთნების, მანევრების და სამშვიდობო ოპერაციების დროს; სამხედრო ბაზების შექმნა და სხვ. ძირითადად, სამხედრო ყოფნას ახორციელებენ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკაში აქტიურ როლს ასრულებენ. სამხედრო ყოფნის ხასიათი, უწინარესად, დამოკიდებულია იმ სახელმწიფოს პოლიტიკაზე, რომლის ჯარებიც იმყოფება სხვათა ტერიტორიებზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს პოლიტიკა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

336. **სამხედრო შეთქმულება** – პირთა ვიწრო წრის ფარული შეთანხმება და გაერთიანება შეიარაღებული ძალადობის მეშვეობით არსებული ხელისუფლების დასამხობად ან შესაცვლელად. წარმატების შემთხვევაში, ჩვეულებრივ მთავრდება სამხედრო გადატრიალებით. სამხედრო შეთქმულებას, როგორც წესი, მიმართავენ რეაქციული ანტიდემოკრატიული ძალები, რომლებსაც ვერ ექნებათ მოსახლეობის საკმარისი მხარდაჭერის იმედი. შეიძლება, განახორციელოს პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული იდეებით შთაგონებულ პირთა ჯგუფმაც.

337. **სამხედრო ჩარევა** – პირდაპირი ან არაპირდაპირი, რომელიც ეყრდნობა შეიარაღებულ ძალების ჩარევას სახელმწიფოს (ხალხის) საშინაო საქმეებში, რაც არღვევს ან აშკარად უქმნის საფრთხეს მის სუვერენიტეტს. შეიძლება, ეთავსებოდეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, იდეოლოგიურ და სხვა ფორმის ჩარევას. გამოიყენება ცალკეულ ქვეყნებში ან რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შესაცვლელად, არასასურველი მმართველი რეჟიმების დასამხობად, სამოქალაქო ომში ერთ-ერთი მხარისადმი დახმარების გასაწევად და სხვ. პირდაპირი სამხედრო ჩარევა ნიშნავს სამხედრო ძალის აშკარა გამოყენებას (აგრესია, ინტერვენცია და სხვ.). არაპირდაპირ ჩარევას თან სდევს მხოლოდ შეიარაღებული ძალადობის გამოყენების მუქარა (ძალის დემონსტრაცია, ეკონომიკური ბლოკადა და სხვ.). გაერო-ს წესდებაში სახელმწიფოს შიდა კომპეტენციაში შემავალ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპად არის გამოცხადებული.

338. **სამხედრო ძალა** – შეიარაღებული იძულების იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომლებსაც სახელმწიფო და პოლიტიკის სხვა სუბიექტები იყენებენ შიდა და საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მოიცავს შეიარაღებულ ძალებს, სხვა სამხედრო ფორმირებებს და სამხედრო ორგანოებს, რომლებიც შექმნილია სახელმწიფოს მიერ, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში – პოლიტიკური პარტიების და მოძრაობების მიერ. სამხედრო ძალას შეიძლება მიმართონ უშუალო გამოყენების ფორმით და როგორც ძალის მუქარას. იგი ემსახურება ან საზოგადოების და სახელმწიფოს გარედან თუ ქვეყნის შიგნით შეიარაღებული ძალადობისგან დაცვას, ან სამხედრო ექსპანსიის, ბრძოლის განხორციელებას კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ. გაერო-ს წესდება მართლზომიერად ცნობს სამხედრო ძალის გამოყენებას თავდაცვის მიზნით და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით – როდესაც საფრთხე ექმნება მშვიდობას, ირღვევა მშვიდობა ან ხორციელდება აგრესიის აქტი.

339. **სამხედრო ძალადობა** – იძულებითი ზემოქმედება რეალურ ან პოტენციურ მოწინააღმდეგეზე, რომელიც ხორციელდება სამხედრო ძალის მეშვეობით. მისი განმასხვავებელი ნიშნებია: მიზნების და შინაარსის პოლიტიკური ხასიათი; განსაკუთრებული ორგანიზაციის (არმია, სხვა შეიარაღებული ფორმირებები) გამოყენება; სპეციალური საშუალებების (იარაღის) ხმარება; რეალიზაციის ფორმების მრავალფეროვნება. სამხედრო ძალადობას შეიძლება ახორციელებდნენ: სახელმწიფოები (კოალიციები) და მათი სტრუქტურები; ადამიანთა სოციალური, ეროვნული და სხვა ერთობანი; პოლიტიკური პარტიები და მოძრაობანი; მოქალაქეთა და თვითმოქმედი ორგანიზაციები; ტერორისტული და, ზოგიერთ შემთხვევაში, კრიმინალური ჯგუფები. სამხედრო ძალადობა შეიძლება გამოიყენებოდეს აგრესიული, დამპყრობლური და დამსჯელი მიზნებით, ემსახურებოდეს ბატონობის და მორჩილების ურთიერთობათა თავსმოხვევას, ხოლო ზოგჯერ გამოდიოდეს სამხედრო თავდასხმის თავიდან აცილების და მოგერიების, სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ხერხად. სამხედრო ძალადობა შეიძლება მიმართული იყოს როგორც, სახელმწიფოს შიგნით არსებული ცალკეული სოციალური წარმონაქმნების, ისე მისთვის გარეშე ძალების წინააღმდეგ. სამხედრო ძალადობა, რა მოტივებითაც უნდა ამართლებდნენ მას, დაკავშირებულია ადამიანთა მსხვერპლთან და მატერიალურ დანაკარგებთან. საერთაშორისო სამართალი გმობს და უარყოფს მის გამოყენებას აგრესიული ექსპანსიონისტური მიზნებისთვის, როგორც სახელმწიფოებს და ხალხებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა წინააღმდეგობების გადაწყვეტის ხერხს.

340. **სამხედრო ძლიერება** – სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) მატერიალური და სულიერი ძლიერების ნაწილი, რომელიც შეიძლება მოხმარდეს ან ხმარდება სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევას.

სამხედრო ძლიერების დონის კრიტერიუმები ისტორიულად მოძრავია. მაგალითად, თუ მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას, უწინარესად განსაზღვრავდა შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა, შეიარაღების რაოდენობა ან შეიარაღებაზე გაწეული დანახარჯების ოდენობა, 21-ე საუკუნის დამდეგს სამხედრო ძლიერების შეფასებაში ძირითადი ხდება სამხედრო ტექნოლოგიების, სახელმწიფო-სამხედრო ორგანიზაციის ყველა ელემენტის განვითარების დონე.

341. **სამხედრო წარმოება** – იხ. სამხედრო ეკონომიკა.

342. **სამხედრო წარმომადგენლობა** – იარაღის, სამხედრო ტექნიკის და ქონების შემუშავების და წარმოების ხარისხის საუწყებო კონტროლის ორგანოები, რომლებიც ფუნქციონირებენ უშუალოდ სამხედრო შეკვეთების შესრულებაზე დასაქმებულ სამეცნიერო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებსა და მრეწველობის საწარმოებში. თითოეულ სამხედრო წარმომადგენლობას მიკუთვნებული აქვს ნომერი. მასში სამხედრო წარმომადგენელთა რიცხვი განისაზღვრება გასაკონტროლებელი შეკვეთის მოცულობით.

343. **სამხედრო წონასწორობა** (სამხედრო პარიტეტი) – დაპირისპირებული სახელმწიფოების (სახელმწიფოთა კოალიციის) სამხედრო ძლიერების ფარდობითი წონასწორობა, რომლის დროსაც არც ერთ მხარეს, თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში, სხვა თანაბარ პირობებში არ შესწევს უნარი, მიაღწიოს გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას. მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო წონასწორობა შეიძლება დაცულ იქნეს მხარეების მიერ სამხედრო მშენებლობის დარგში შეზღუდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების დადების და განუხრელი დაცვის, ან/და, განუწყვეტელი გამალებული შეიარაღების გზით.

344. **სამხედრო ხომალდის (საფრენი აპარატის) იმუნიტეტი** – იმ უფლებების და პრივილეგიების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო ხომალდის (საფრენი აპარატის) ხელშეუხებლობას მისი ადგილსამყოფლის და კუთვნილების მიუხედავად. გამომდინარეობს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპიდან. იმუნიტეტი არ ათავისუფლებს სამხედრო ხომალდს (საფრენ აპარატს) მოვალეობისგან, დაიცვას ზღვისპირა სახელმწიფოს კანონები ნაოსნობის შესახებ და საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობას უცხოეთის ხომალდებთან და ხელისუფლებასთან.

345. **სანქცია** – საერთაშორისო სამართალში – ზემოქმედების იძულებითი ფორმა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს ან მსოფლიო პოლიტიკის სხვა სუბიექტის მიმართ, რომელთა მოქმედება წარმოადგენს აგრესიის აქტს, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას, არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. გაეროს წესდება ითვალისწინებს არასამხედრო და სამხედრო ხასიათის სანქციებს.

346. **საოკეანო სტრატეგიული რაიონი** – მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი კუნძულებით, მიმდებარე ზღვებით, ხმელეთის ოკეანისპირა ზოლითა და საჰაერო სივრცით პირობითად დადგენილ საზღვრებში, სადაც ვლინდება ან შეიძლება შეხების ობიექტი გახდეს ეროვნული ინტერესები. საოკეანო სტრატეგიული რაიონი ფრაგმენტია მსოფლიო ოკეანის ზედაპირის თანამედროვე გეოსტრატეგიული დაყოფის იმ საზღვრებში, რომლებსაც მშვიდობიანი დროისთვის სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა აწესებს. საოკეანო სტრატეგიული რაიონი იყოფა საოკეანო და საზღვაო ზონებად.

347. **საომარი მდგომარეობა** – განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც აწესებს ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება საგანგებო ვითარების (ომის, აჯანყების და ა.შ.) დროს. მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციის თანახმად, მისი შემოღება ხდება პრეზიდენტის ბრძანებულებით ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის ან უშუალო საფრთხის შემთხვევაში. საომარი მდგომარეობის დროს სახელმწიფო

ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის და სახელმწიფო უშიშროების დარგში გადაეცემა სამხედრო ხელისუფლებას, მოქალაქეებს ეკისრებათ დამატებითი ვალდებულებები და შეზღუდვები.

348. **სასაზღვრო ზოლი** – სახელმწიფოს საზღვრის ხაზის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც შემოღებულია შემოსვლის, დროებითი ბინადრობის, გადაადგილების და სამუშაოთა წარმოების განსაკუთრებული რეჟიმი.

349. **სასაზღვრო ინციდენტი** – უშუალოდ სახელმწიფო საზღვარზე ან საზღვრისპირა ზონაში სამხედრო ტექნიკის გამოყენებით (ან გამოუყენებლად) პირთა ჯგუფის ან რამდენიმე მესაზღვრის შეიარაღებული შეტაკება. შეიძლება იყოს წინასწარ განზრახული ან განუზრახველი. წარმოადგენს სახელმწიფო ინციდენტის ნაირსახეობას.

350. **სასაზღვრო კონფლიქტი** – მომიჯნავე ქვეყნების სამოქალაქო პირების ან სასაზღვრო ფორმირებების შეტაკება სახელმწიფო საზღვარზე და ამ საზღვრის დარღვევა. არცთუ იშვიათად ატარებს შეიარაღებულ ხასიათს და გადაიზრდება ხოლმე დიდ სამხედრო შეტაკებებში. წყდება სასაზღვრო წარმომადგენლების მეშვეობით ან დიპლომატიური გზით.

351. **სასაზღვრო რეჟიმი** – იმ შემზღუდავი ღონისძიებების, წესების, ნორმების და ზომების სისტემა, რომლებიც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის დაცვისთვის საჭირო პირობების შექმნის ინტერესებს. მოიცავს სასაზღვრო ზონის და ტერიტორიული წყლების რეჟიმს, რომლებიც გადის საზღვარზე, მათ შორის პირების და სატრანსპორტო საშუალებების შესვლის (გამოსავლის), დროებითი ყოფნის, გადაადგილების, სამეურნეო-სარეწაო და სხვა საქმიანობის წესებს.

352. **სატანკო ომი (მექანიზებული ომი)** – ცნება, რომელიც გამოხატავს სატანკო (მექანიზებული) ჯარების გადამწყვეტ როლს ოპერაციის (ბრძოლის) და მთლიანობაში ომის მიზნების მიღწევაში. გაჩნდა XX საუკუნის 20-30 წწ.

353. **სახელმწიფო** – საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ბირთვი, რომელიც კლასებს, ეროვნების სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს და საერთაშორისო არენაზე მათ ინტერესებს გამოხატავს; როგორც წესი, არის რა გაბატონებული კლასის ან რომელიმე სხვა სოციალური ჯგუფის ნების გამოხატვის იარაღი, სახელმწიფო ამავდროულად თავის თავზე იღებს, საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალური სისტემის არსებობის უზრუნველყოფის საერთო საკითხების გადაწყვეტას.

სახელმწიფოს ძირითადი ნიშნებია: ორგანოების, დაწესებულებების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამხედრო, სამართალდამცავი, მაკონტროლებელი და სხვა) განსაკუთრებული სისტემის არსებობა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციას და ამისათვის გააჩნიათ რეალური ძალები და საშუალებები; სახელმწიფო სამართლის არსებობა, რომელიც წარმოდგენილია სამრთლებრივი ურთიერთობებით და სამართლებრივი შეგნებით, რომლებიც დადგენილია სახელმწიფოს წესებით, ნორმებით და კანონებით; სახელმწიფოს ძალაუფლების გავრცელება გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც იმყოფება ამ

სახელმწიფოს იურისდიქციაში და მოსახლეობაზე, რომელიც ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე.

საზოგადოების ცხოვრების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ფუნქციების კვალდაკვალ, სახელმწიფო ასევე დაკავებულია ისეთი სპეციფიკური ამოცანებით, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა სამხედრო პოლიტიკის გასატარებლად. სახელმწიფო ქმნის სამხედრო ორგანიზაციას, რომლის ძირითადი ელემენტებია – შეიარაღებული ძალები, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების ორგანოები, პოლიცია და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები და შეიარაღებული ფორმირებები.

354. **სახელმწიფო კუთვნილების ამოცნობის სისტემა** – გარკვეულ მანძილზე ობიექტების საფრენი აპარატების, ხომალდების სახელმწიფო კუთვნილების დადგენის ტექნიკური საშუალებებისა და ხერხების კომპლექსი. ყველაზე გავრცელებულია ამოცნობის რადიოლოკაციური სისტემა, რომელიც შედგება – შემკითხავისა და მოპასუხისაგან. დაბრკოლებამდგრადობა და არაამთვისებლობა იმიტირებული სიგნალებისადმი უზრუნველყოფილია ენერგეტიკული პოტენციალების შედარებით მაღალი დონით და აგრეთვე მათი პერიოდული კოდირებით ებმ-ის საშუალებით. რადიოტალღების გარდა (დეციმეტრული დიაპაზონი) ამოცნობის საშუალებად გამოიყენება ამოსაცნობი ნიშნები.

355. **სახელმწიფო საზღვარი** – ხაზი და ამ ხაზზე გამავალი ვერტიკალური ზედაპირი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ტერიტორიის – ხმელეთის, წყლის, წიაღის, საჰაერო სივრცის ფარგლებს; სახელმწიფო სუვერენიტეტის მოქმედების სივრცობრივი ზღვარი. სახელმწიფო საზღვარი დგინდება მომიჯნავე სახელმწიფოთა ხელშეკრულებების საფუძველზე, ზღაზე – ზღვისპირა სახელმწიფოთა შიდა საკანონმდებლო აქტებით.

356. **სახელმწიფო საზღვრის დარღვევა** – პირის, ობიექტის, ნებისმიერი ტექნიკური ან სხვა საშუალების მიერ სახელმწიფოს სახმელეთო, საწყლოსნო ან საჰაერო საზღვრის გადაკვეთა გამშვები პუნქტების გვერდის ავლით ან პუნქტებიდან, მაგრამ უნებართვოდ ან დადგენილი წესის დარღვევით. სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

357. **სახელმწიფო ტერიტორია** – საერთაშორისო სამართალში - მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტს დაქვემდებარებული დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი. გამოყოფილია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიისგან სახელმწიფოს საზღვრით. მოიცავს ხმელეთს, შიდა წყლებს, წიაღს, ტერიტორიულ წყლებს და მათ თავზე მდებარე საჰაერო სივრცეს. სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება აგრეთვე ხომალდები და გემები, რომლებიც სახელმწიფოს ალმით დაცურავენ, და მისი საჰაერო გემები. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

358. **სახელმწიფოს მობილიზაციური შესაძლებლობები** – უნარი, გამოიყენონ ადამიანების და მატერიალური რესურსები შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო გაშლის, ფრონტის და ზურგის საჭიროებათა სტაბილური უზრუნველყოფისთვის, ქვეყნის ეკონომიკის მშვიდობიანიდან სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანის შედეგად. ეფუძნება ომის წარმოების და არმიის დაკომპლექტების მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წინაპირობის დროულ შექმნას.

სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობების ზოგადი შეფასება გულისხმობს ყველა იმ ძირითადი ფაქტორის აღრიცხვას და ანალიზს, რომლებიც უზრუნველოფენ ომის მოთხოვნილებებს.

359. **სახელმწიფოს მოწყვლადობა -** სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა ინფრასტრუქტურის დაუცველი ან სუსტად დაცული ელემენტების ერთობლიობა, ასევე მისი სამხედრო ორგანიზაციის, რომელიც იძულებულს ხდის სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში წავიდეს სერიოზულ დათმობაზე, ხოლო ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში დამარცხების დიდ ალბათობას მოასწავებს.

360. **სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია -** სახელმწიფოს შეიარაღებული, ასევე სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-სამეცნიერო და სხვა ორგანოების, დაწესებულებების და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო საქმიანობას. სამხედრო ორგანიზაციის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაცია, რომელშიც შედის შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც განსაზღვრულია ქვეყნის კანონმდებლობით, ასევე სამხედრო-ადმინისტრაციული და სამხედრო-სამართლებრივი ორგანოები. შეიარაღებული ორგანიზაციის ბირთვს წარმოადგენს შეიარაღებული ძალები. სამხედრო ორგანიზაციის ელემენტებს განეკუთვნება: სამხედრო სამრეწველო კომპლექსი და ეკონომიკის და მეცნიერების სხვა დარგების ნაწილი, რომლებიც ძირითადში მუშაობენ სამხედრო სფეროში; ასევე ხელისუფლების ის ორგანოები და დაწესებულებები, პოლიტიკური ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული ქვეყნის თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებით. სამხედრო ორგანიზაციის მოღვაწეობა უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, მისი სამხედრო ძლიერების და შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების საჭირო დონეს.

361. **სახეობათაშორისი** – იხ. გაერთიანებული (ერთობლივი)

362. **საჰაერო ომი** – სამხედრო-სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც საბრძოლო მოქმედებებში სამხედრო-საჰაერო ძალებს ანიჭებს მთავარ როლს და აღიარებს მის შესაძლებლობებს დამოუკიდებლად მიაღწიოს ომის მიზნებს. გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპაში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში.

363. **საჰაერო რეჟიმი** – სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში ფრენის მკაცრად რეგლამენტირებული წესი. დგინდება საფრენი აპარატების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ან აპარატების მიერ საფრენი ზონების და სახელმწიფო საზღვრის დარღვევის თავიდან ასაცილებლად და საჰაერო სივრცისადმი კონტროლის გასაწევად. საჰაერო რეჟიმის სახეობებია: ზოგადი -ქვეყნის მთელი ტერიტორიის თავზე; განსაკუთრებული – საზღვრისპირა ზოლში, სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის დერეფნებში და საჰაერო ხომალდების ფრენისთვის საშიში ან მნიშვნელოვანი ობიექტების მქონე ცალკეული რაიონების თავზე; ადგილობრივი და ხანმოკლე შეზღუდვებით – წვრთნების, მანევრების, საჰაერო აღლუმების, კოსმოსური ხომალდების გაშვების და დაჯდომის, რაკეტების გაშვების, საავიაციო და სარაკეტო ტექნიკის გამოცდის, აეროსტატების ჰაერში ასვლის რაიონებში.

364. **სეპარატიზმი** – მოძრაობა, რომელიც მიართულია სახელმწიფოს ნაწილის გამოყოფის და ახალი სახელმწიფო წარმონაქმნის ან ავტონომიის რელიგიური ან

ენობრივი ნიშნის მიხედვით შექმნისთვის. ჩვეულებრივ, გამოხატავს ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების და ვიწრო სოციალური პოლიტიკური დაჯგუფებების ინტერესებს. არცთუ იშვიათად, ხდება მისი გარედან ინსპირირება მოცემული სახელმწიფოსადმი მტრული ძალების მიერ, იწვევს საომარ კონფლიქტებს.

365. **სეპარატული ზავი** – საზავო ხელშეკრულება (დაზავება), რომელსაც მოწინააღმდეგესთან დებენ მეომარ კოალიციაში შემავალი ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო, დანარჩენ მოკავშირეთა მონაწილეობის მიუღებლად და მათი თანხმობის საწინააღმდეგოდ.

366. **სოციალური პოტენციალი** – საზოგადოების სოციალური განვითარების ხასიათი და დონე, მისი შემადგენელი ჯგუფების და ფენების შიდა ერთიანობის ხარისხი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს შესაძლებლობებს და უნარს გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანები.

367. **სტანდარტიზაცია** – კონცეფციების, დოქტრინების, მეთოდების და პროექტების შემუშავება და განხორციელება შეკავშირებულობის ან უნიფიცირებულობის საჭირო დონეების უზრუნველყოფის და შენარჩუნებისთვის ოპერატიულ, პროცედურულ, მატერიალურ-ტექნიკურ, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ სფეროში ოპერატიული თავსებადობის მიღწევის მიზნით. აღმავალი რიგობრიობით სტანდარტიზაციის სამ დონეს წარმოადგენენ: შეკავშირება, ჩანაცვლეობა და უნიციფიცირებულობა.

368. **სტანდარტიზაციის მიზანი -** ნატო-ს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ მიზნებს, რომლებიც სტანდარტიზაციის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნეს მიღწეული.

369. **სტანდარტიზაციის მოთხოვნა -** ნატო-ს დოკუმენტი, რომელსაც წარმოადგენს სტრატეგიული სარდლობა, წევრი სახელმწიფო ან ნატო-ს ორგანო. მასში დაწვრილებით არის განსაზღვრული სტანდარტიზაციის იობიექტები, ასევე სტანდარტიზაციის დონე, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული ოპერატიულ, პროცედურალ, სამხედრო-ტექნიკურ და ადინისტრაციულ-სამეურნეო სფეროებში.

370. **სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი ორგანო** – სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ტერმინოლოგიაში - გვაროვნული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ნაციონალურ, რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოს, პასუხისმგებელს საგანგებო სიტუაციის ან უბედურების ლიკვიდაციაზე.

371. **სტრატეგიული მიმართულება** – 1. რეგიონის ტერიტორიის ნაწილი მიმდებარე აკვატორიებით და საჰაერო სივრციოურთ, რომლის ფარგლებშიც მდებარეობს სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ცენტრები, ხოლო ომის (შეიარაღებული კონფლიქტის) დროს შეიძლება განლაგდნენ და აწარმოონ საომარი მოქმედება შეიარაღებული ძალების ოპერატიულ-სტრატეგიულმა დაჯგუფებებმა; მშვიდობიანი დროისთვის გეოსტრატეგიული სივრცის თანამედროვე დაყოფის ელემენტი. სტრატეგიული მიმართულება იყოფა მიმართულებებად; 2. საომარი მოქმედების თეატრის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც განლაგდებიან და გაიშლებიან, ხოლო ომის დროს მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალების სახეობების მსხვილი დაჯგუფებები ოპერაციებს აწარმოებენ.

372. **სტრატეგიული მოქნილობა** – სამხედრო ძალის ხელმძღვანელობის და მართვის, ტრანსპორტირების, გადაზიდვების მართვის, ლოგისტიკური მხარდაჭერის და ინფრასტუქტურის სწრაფი პროექტირების შესაძლებლობა.

373. **სტრატეგიული რაიონი –** პლანეტის ზედაპირის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი, რომლის ფარგლებშიც ვლინდება ან შეიძლება შეხების ობიექტი გახდეს სახელმწიფოს ინტერესები. სტრატეგიული რაიონი - ეს არის მშვიდობიანი დროისთვის გეოსტრატეგიული სივრცის თანამედროვე დაყოფის ელმენტი იმ პირობების და ფაქტორების შესწავლის მიზნით, რომლებმაც შეიძლება, გავლენა მოახდინონ შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობაზე, აგრეთვე შეიარაღებული ძალების გამოყენების კონკრეტული დაგეგმვის მიზნით. სტრატეგიული რაიონები იყოფა კონტინენტურ (კონტინენტის ნაწილი ან კონტინენტი მთლიანად სანაპირო აკვატორიებით და საჰაერო-კოსმოსური სივრცითურთ) და საოკეანო სტრატეგიულ რაიონებად. კონტინენტური სტრატეგიული რაიონები იყოფა რეგიონებად.

374. **სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულება –** დედამიწის სფეროს საჰაერო-კოსმოსური სივრცის, ტერიტორიის და აკვატორიის პირობითად განსაზღვრული ზოლი, რომლის ფარგლებშიც ბაზირებული არიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან სტრატეგიული ბირთვულ-სარაკეტო და საჰაერო კოსმოსური ძალების და საშუალებების შეტევითი და თავდაცვითი დაჯგუფებები. სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულება, როგორც შეიარაღებული ბრძოლის წარმოების მოცულობითი სფერო და სამხედრო ხელოვნების კატეგორია ცალკე გამოიყო მას შემდეგ, რაც შეიარაღებაზე მიღებულ იქნა სტრატეგიული ბომბდამშენები, ბირთვულსარაკეტო იარაღი და საბრძოლო-კოსმოსური საშუალებები. ერთი ან რამდენიმე სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულების ფარგლებში შეიძლება მოეწყოს სტრატეგიული ბირთვული ძალების ოპერაცია, სტრატეგიული შეტევითი სტრატეგიული და თავდაცვითი საჰაერო-კოსმოსური ოპერაცია. სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულება მოიცავს რამდენიმე საჰაერო (საოპერაციო საჰაერო-კოსმოსურ) მიმართულებას.

375. **სტრატეგიული სტაბილურობა** - სამხედრო-სტრატეგიული ვითარების მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორებით, არც ერთი მხარე არ განიხილავს ომში (სამხედრო კონფლიქტში) წარმატებას მისიაღწევად სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას.

376. **სტრატეგიული ხელმძღვანელობა –** უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ორგანოების საქმიანობა შეიარაღებული ძალების მართვისთვის. სტრატეგიული ხელმძღვანელობის ობიექტია მთლიანად შეიარაღებული ძალები და მათი სტრატეგიული დაჯგუფებები. ძირითადი შინაარსია: გადაწყვეტილებათა მომზადება და მიღება შეიარაღებული ძალების საქმიანობის ყველა დარგში მშვიდობიანობის და ომიანობის დროს (მიზნების და ამოცანების, მათი შესრულების ხერხების განსაზღვრა, ადამიანთა, მატერიალური და საფინანსო რესურსების უზრუნველყოფა); ამოცანების დასახვა შეიარაღებული ძალების და მათი სტრატეგიული დაჯგუფებებისთვის; გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ მომზადება (შეიარაღებული ძალების დაჯგუფებათა შექმნა, მათი მომზადება, ურთიერთქმედების და ყოველმხრივი უზრუნველოფის ორგანიზაცია); საომარი მოქმედების დროს შეიარაღებული ძალების მართვა, მათი ძალისხმევის წარმართვა დასახული მიზნების მისაღწევად.

377. **სუვერენიტეტი** – სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და საერთაშორისო ურთიერთობებში მისი

დამოუკიდებლობა. სუვერენიტეტის პატივისცემა – თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელიც დაფიქსირებულია გაერო-ს წესდებაში.

378. **სულიერი პოტენციალი** – საზოგადოებრივი შეგნების მდგომარეობა, რომელიც სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და სხვ. მიზნების მისაღწევად მობილიზაციის და მოსახლეობის ორგანიზების შესაძლებლობებს განსაზღვრავს.

379. **სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ ცურვა** – თავისი ეროვნული კუთვნილების დასაფარავად ხომალდის და სავაჭრო გემის მიერ სხვა ქვეყნის დროშის გამოყენება. უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ ცურვა გამოიყენებოდა მეკობრეთა გემების, სამხედრო ხომალდების მიერ მასკირებისა და მოულოდნელი თავდასხმებისთვის. სავაჭრო გემები იყენებდნენ ნეიტრალური ქვეყნების დროშებს, რათა თავიდან აეცილებინათ მებრძოლი ქვეყნების მიერ მათი ხელში ჩაგდება. თანამედროვე საზღვაო სამართალი კრძალავს სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ ცურვას.

380. **ტერიტორიული თავდაცვა -** სამხედრო და საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოწინააღმდგის მოქმედებისგან, მისი ტერორისტული და დივერსიული აქტებისაგან ობიექტების და კომუნიკაციების დასაცავად, აგრეთვე საომარი მდგომარეობის დასამყარებლად და ხელშესაწყობად. ტერიტორიული თავდაცვის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება: დიდმნიშვნელოვანი სამხედრო, სამრეწველო ობიექტების და კომუნიკაციების საიმედო დაცვა და თავდაცვა; ბრძოლა მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო და ტერორისტულ ძალებთან; საომარი მდგომარეობის რეჟიმის დამყარება და შენარჩუნება.

381. **ტერიტორიული წყლები (ზღვა) –** სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტს დაქვემდებარებული კონტინენტური ნაპირის და კუნძულების მიმდებარე ზღვის (ოკეანის) ზოლი, რომელიც შეადგენს მისი ტერიტორიის ნაწილს. ტერიტორიული წყლების სიგანე, როგორც წესი, არ აღემატება 12 საზღვაო მილს. ტერიტორიული წყლების რეჟიმს არეგულირებს გაეროს 1982 წ. საზღვაო სამართლის კონვენცია და სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა.

382. **ტერიტორიულ-მილიციური სისტემა** (შეიარაღებული ძალების მოწყობის) - სისტემა, რომელიც ეფუძნება სამხედრო ნაწილების და შენაერთების შენახვას მშვიდობიან დროს მინიმალურად საჭირო რაოდენობის კადრის სამხედრო მოსამსახურეებით (უმთავრესად, სამეთაურო შემადგენლობისა) და ამ შენაერთებსა და ნაწილებში მათზე მიწერილი ცვალებადი შემადგენლობის სწავლებას.

383. **ტექნოლოგიური ტერორიზმი -** ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის, მაღალტოქსიკური და ბიოლოგიური ნივთიერებების ტერორისტების მიერ გამოყენება ან გამოყენების საფრთხე, ასევე ბირთვული, ქიმიური და სხვა სამრეწველო ობიექტების ხელში ჩაგდება ან ამის მცდელობა, რომელთა დაზიანებამ ან მწყობრიდან გამოყვანა შეიძლება ხალხის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას.

384. **ურთიერთქმედება** – ბრძოლის (ოპერაციის) მიზნების მიღწევის ინტერესებისთვის შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების, საბრძოლო წყობის

ელემენტების და სხვადასხვა სახეობათა იარაღის შეთანხმებული, ერთობლივი მოქმედება ამოცანების (ობიექტების), დასახული ამოცანების შესრულების მიმართულებების, ზღუდეების (რაიონების), დროის და ხერხების მიხედვით. საომარი მოქმედების მასშტაბის კვალობაზე განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ ურთიერთქმედებას. სტრატეგიული ურთიერთქმედება - ეს არის შეიარაღებული ძალების იმ დიდი დაჯგუფებების შეთანხმებული ერთობლივი მოქმედება, რომლებიც ოპერაციებს ახორციელებენ ერთ ან რამდენიმე საომარი მოქმედების თეატრში (სტრატეგიულ მიმართულებაზე) სტრატეგიული ოპერაციის ან მთლიანად ომის მიზნების მისაღწევად. კოალიციურ ომებში სტრატეგიული ურთიერთქმედება შეიძლება ხორციელდებოდეს, აგრეთვე, მოკავშირე სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებსა და მათ ცალკეულ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ერთობლივ ოპერაციაში კონტინენტურ და საოკეანო საომარი მოქმედების თეატრში. ოპერატიული ურთიერთქმედება – ეს არის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის და ჯარების (ძალების) გვარეობის ოპერატიული (ოპერატიულ-ტაქტიკური) გაერთიანებებისა და შენაერთების შეთანხმებული ერთობლივი მოქმედება, ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე საოპერაციო მიმართულებაზე მიმდინარე ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) მიზნის მისაღწევად. ტაქტიკური ურთიერთქმედება წარმოადგენს შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების შეთანხმებულ ერთობლივ მოქმედებას ერთმანეთთან, მეზობლებთან, აგრეთვე იმ ძალებთან (საშუალებებთან), რომლებსაც ზემდგომი უფროსი იყენებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბრძოლაში მიზნის მისაღწევად.

385. **უსაფრთხოება** – გარემო პირობების ფართო სპექტრის მდგომარეობა, რომლის დროსაც ქვეყანას (ქვეყნის ჯგუფს) შეუძლია დაიცვას თავისი ფასეულობები საგარეო, თუ საშინაო საფრთხეებისა და რისკებისგან. უკანასკნელი შეიძლება იყოს სამხედრო ან არასამხედრო ხასიათის, გამომდინარეობდეს სხვადასხვა წყაროდან და ხშირად რთულად ექვემდებარებოდეს პროგნოზირებას. ამ პირობებში უსაფრთხოება ყველაზე ოპტიმალურად არის უზრუნველყოფილი მრავალმხრივი მიდგომის საშუალებებით, რაც ითვალისწინებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნებისდაცვით სპექტრების მნიშვნელობას, რაც ემატება ტრადიციულ სამხედრო ასპექტებს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამოაზრე სახელმწიფოებს შორის პარტნიორობას, თანამშრომლობას და დიალოგს.

386. **უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე** - თანამშრომლობის განვითარების, დიალოგის და ნდობის ზრდის, აგრეთვე ერთობლივი ინიციატივების მეშვეობის გზით უსაფრთხოების განმტკიცება.

387. **უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციების დროს** – საგანგებო სიტუაციებში მოქმედებებისაგან მოსახლეობის, ეკონომიკის ობიექტის და გარემოს დაცვულობის მდგომარეობა დამაზიანებებლი.

388. **უსაფრთხოების განუყოფელობა** – კონცეფცია, რომლის მიხედვით ერთი სახელმწიფოს მოქმედებები ახდენენ გავლენას ევროატლანტიკური რეგიონის სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე, თუნდაც ისინი იმყოფებოდნენ რეგიონის სხვა ნაწილში.

389. **უსაფრთხოების და თავდაცვის ევროპული შემადგენელი** – ნატო-ში მიღებული კონცეფცია, რომელიც ასახავს ევროპელი მოკავშირეების მისწრაფებებს თავდაცვის

და უსაფრთხოების სფეროში ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობის და სტაბილურიბის განმტკიცების პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას და ამ გზით მოკავშირეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფს. იგი აერთიანებს სხვადასხვა შეთანხმებებსა და მექანიზმებს, რომლებიც: ა) საშუალებებს აძლევს ყველა ევროპელ მოკავშირს შეიტანოს თანმიმდევრული და ეფექტური წვლილი ჩრდილოატლანტიკური კავშირის საქმიანობაში; ბ) განამტკიცებს ტრანსატლანტიკურ პარტნიორობას; გ) ეხმარება ევროპელ მოკავშირეებს აუცილებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლად იმოქმედონ გამომდინარე ჩრდილოატლანტიკური კავშირის მზადყოფნიდან ერთჯერად საფუძველზე, კონსესუსის პრინციპით გამოყოს თავისი ძალები, საშუალებები და რესურსები ევროპული ხელმძღვანელობით ოპერაციების ჩასატარებლად.

390. **ფსიქოლოგიური ბრძოლა –** მოშუღლე მხარეების აქტიური მოქმედება საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ სფეროში. წარმოებს მშვიდობიან და ომიანობის პერიოდში. მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ საკითხებზე ადამიანთა გარკვეული ჯგუფების და ცალკეული პირების ქცევითი და ემოციური განწყობის სასურველი მიმართულებით შესაცვლელად. შეიარაღებულ ძალებში ეს ღონისძიებები ხორციელდება მოწინააღმდეგის ჯარების და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ძირგამოთხრის, მისი მხრივ ანალოგიური აქციებისადმი წინააღდგომის, საკუთარი ჯარების და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებების განმტკიცების მიზნით. მათ განიხილავენ როგორც სპეციფიკურ იარაღს, რომლის მეშვეობითაც მაღლდება საბრძოლო მოქმედების ეფექტიანობა. ფსიქოლოგიური ბრძოლა წარმოებს ფსიქოლოგიური ოპერაციების განხოციელების გზით. მის ძირითად ფორმებს წამოადგენს ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდა, პროპაგანდა ტელე, რადიო და ვიდეო საშუალებებით და სხვ. მეტი წილი განვითარებული სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში არსებობს სპეციალური ორგანოები და ქვედანაყოფები, რომლებიც ფსიქოლგიური ბრძოლის ამოცანების გადასაწყვეტად მუშაობენ.

391. **ქვაფნის ფუნქციონალური სპეციალიზაცია –** ერთი სახელმწიფოს მიერ აღებული პასუხისმგებლობა მრავალეროვნული დაჯგუფების ან მისი ნაწილისთვის გარკვეული კატეგორიის მიმართულების ან მომსახურების მიცემაზე. იგი ხორციელდება მონაწილე მხარეთა შორის კომპენსაციის და/ან ანაზღაურების შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

392. **ღია ზღვა –** ზღვის სივრცე ტერიტორიული, არქიპელაგური და შიდა წყლების ფარგლებს გარეთ, რომელიც არ ექვემდებარება რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტს და გამოიყენება ყველა ქვეყნის მიერ. ზოგჯერ უწოდებენ საერთაშორისო ან ნეიტრალურ წყლებს. მაგრამ ეს ტერმინები ვერ დამკვიდრდა საერთაშორისო სამართალში. ღია ზღვის გამოყენებას საფუძვლად დაედო მისი თავისუფლების პრინციპი (ნაოსნობის, ფრენის, თევზჭერის, მეცნიერული კვლევის, წყალქვეშა კომუნიკაციებისა და ხელოვნური კუნძულების აგების თავისუფლება).

393. **„ღია კარის" პოლიტიკა** – აშშ-ის კურსი, რომელიც გატარებულ იქნა ჩინეთში მე-20 საუკუნის დასაწყისში. იგი შემუშავებულ იქნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ხეემის მიერ და ნოტას სახით დაეგზავნა დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის, იაპონიის და იტალიის მთავრობებს 1899 სექტემბერ-ნოემბერში. აშშ თავაზობდა ექვსივე ქვეყანას მიეღო ვალდებულება არ შეხებოდა

თავისი „გავლენის სფეროში” სხვისი ქვეყნის ინტერესებს, არ დაებეგრა მათი საქონელი იმაზე მაღალი საბაჟო ტარიფებით, რაც თავისი ქვეყნის მიერ წარმოებული საქონელი.

„ღია კარის” პოლიტიკა ასევე გულისხმობს ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობის კურსს უცხოური კაპიტალის ფართო გამოყენების, სხვადასხვა სახის შეზღუდვების და მნიშვნელოვანი შეღავათების დაწესების გზით.

394. **ღია ნავსადგური** – 1. უცხოური გემებისა და იმ სამამულო გემების შესვლისათვის თავისუფალი ნავსადგური, რომლის ბორტზეც არიან უცხოელები. საერთაშორისო ჩვეულებისამებრ, სახელმწიფოები აქვეყნებენ თავიანთი ღია ნავსადურების ნუსხას ჟურნალში „ზღვაოსნობის უწყებები”. უცხოეთის სამხედრო ხომალდებს ღია ნავსადგურში შესასვლელად უნდა ჰქონდეთ ზღვისპირა სახელმწიფოს მიწვევა ან წინასწარი ნებართვა; 2. პორტი რომლის აკვატორიას აქვს უშუალო კავშირი ზღვასთან და მუდამ მასთან თანაბარი წყლის დონე.

395. **ღია ქალაქი** – საერთაშორისო სამართალში დასახლებული პუნქტი, რომელსაც ერთ-ერთი მეომარი მხარე აცხადებს დაუცველად მისი ნგრევის თავიდან აცილების მიზნით. ღია ქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა ასახულია ჰააგის კონვენციაში და 1907 წ. კანონებში ომის წეს-ჩვეულებათა შესახებ, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის კონვენციაში (1954). ღია ქალაქში არ უნდა იყოს სამხედრო ობიექტები და ჯარები, აკრძალულია ასეთ ქალაქზე იერიშის მიტანა და დაბომბვა.

396. **ღია ცა** – საჰაერო სივრცის საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დამყარებულია განიარაღების შესახებ არსებულ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი კონტროლის მიზნით; ნდობის ერთ-ერთი ღონისძიება. ითვალისწინებს სამხედრო საქმიანობისადმი კონტროლის მიზნით შეუიარაღებელი თვითმფრინავების ფრენას იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებიც შეთანხმდნენ, გაეხსნათ თავიანთი საჰაერო სივრცე ერთმანეთისთვის. 1992 წ. ჰელსინკში დაიდო მრავალმხრივი ხელშეკრულება ღია ცის შესახებ.

397. **“შეზღუდული ბირთვული ომის“ დოქტრინა** – კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდულ ომებში ბირთვული იარაღის გამოყენების პრინციპებს. ევროპაში შეზღუდული ბირთვული ომი “მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიის თანახმად განიხილებოდა როგორც საყოველთაო ბირთვული ომის ეტაპი; 70-იანი წლების დამდეგიდან სტრატეგიული მიზნების მისაღწევად რეგიონულ ომში თანდათან შემოიღეს, გასანადგურებელი მიზნების მიხედვით ბირთვული იარაღის დარტყმების სიღრმის და რაიონების, საბრძოლო მასალების რაოდენობის და სიმძლავრის შეზღუდვები. ამერიკის სამხედრო თეორია შეზღუდულ ბირთვულ ომებს მიაკუთვნებს მაღალი ინტენსივობის ომებს.

398. **შეთანხმება ჯარების სტატუსის შესახებ** – საერთაშორისო შეფასება, რომლის თანახმად ნატო-ს წევრ-სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ნატო-ს სხვა წევრ-სახალმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეთა იურიდიული სტატუსი განისაზღვრება.

399. **შეიარაღებაზე კონტროლი** – ქვეყნებს შორის ურთიერთქმედების პროცესი შეიარაღების შეზღუდვის, შემცირების, გაუვრცელებლობის, წარმოების, შეიარაღებული ძალების გაშლის და/ან გამოყენების საკითხებში.

400. **შეიარაღებული აჯანყება** – არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გარკვეული სოციალური ძალების იარაღით ხელში აშკარა გამოსვლა. შეიარაღებული აჯანყება მიმართულია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისკენ, როგორც წესი, მიმდინარეობს ქვეყნის მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობით, საზოგადოებაში არსებითი ცვლილებების მიზნით. ეს თავისებურება განასხვავებს შეიარაღებულ აჯანყებას პუტჩების, ამბოხებების, სამხედროთა შეთქმულებებისგან. შეიარაღებული აჯანყება შეიცავს სოციალურ რევოლუციად ან სამოქალაქო ომად გადაზრდის შესაძლებლობას.

401. **შეიარაღებული ბრძოლა** – ომებში, საომარ კონფლიქტებში, შეიარაღებულ აჯანყებებში, ამბოხებებში, პუტჩებში და ა.შ. ბრძოლის ძირითადი სახეობა, სხვადასხვა მასშტაბის საომარი მოქმედების წარმოების ძალებისა და საშუალებების გამოყენებით. კონკრეტული ომის მოვლენების შინაარსში შეიარაღებული ბრძოლა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული ბრძოლის სხვა, როგორც წესი, მისდამი დაქვემდებარებულ სახეობებთან, როგორიცაა: ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, დიპლომატიური, იდეოლოგიური და ა.შ. ომში შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობას და შედეგზე გავლენას ახდენს: მისი მიზნების სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი; შეიარაღებულ ბრძოლაში მონაწილე შეიარაღებული ძალების და სხვა შეიარაღებული ფორმირებების საბრძოლო ძლიერების მდგომარეობა; სამხედრო ხელოვნების განვითარების დონე და ა.შ. მსოფლიო გაერთიანება ესწრაფვის ისეთ პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის შექმნას, რომელიც პოლიტიკის არსენალიდან გამორიცხავს შეიარაღებულ ბრძოლას და შექმნის პირობებს სადავო პრობლემების პოლიტიკური საშუალებებით გადასაწყვეტად.

402. **შეიარაღებული ინციდენტი** – შეზღუდული მასშტაბის მცირევადიანი შეიარაღებული შეტაკება; მოულოდნელი, შემთხვევითი ან წინასწარგანზრახვით ორგანიზებული შეიარაღებული ინციდენტი ან პროვოკაცია.

403. **შეიარაღებული კონფლიქტი** – სახელმწიფოებს შორის ან მათ შიგნით სოციალურ ერთობებს შორის შეიარაღებული წინააღმდეგობის სახეობა, რომლის მიზანია, გადაწყვიტოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნულ-ეთნიკური და სხვა წინააღმდეგობები თითოეული მხარის მიერ სამხედრო ძალის შეზღუდული გამოყენების მეშვეობით. ომთან შედარებით შეიარაღებული კონფლიქტის თავისებურებებს წარმოადგენს: მოწინააღმდეგე მხარეების პოლიტიკური მიზნების შეზღუდულობა სიღრმით და ხასიათით; წინა პლანზე მიზეზობრივ ფაქტორებად არა ძირეული, არამედ უფრო კერძო, სიტუაციური წინააღმდეგობების წამოწევა; სამხედრო ძალის გამოყენების ფარგლების რაოდენობრივი და თვისებრივი შეზღუდვა; დაპირისპირების შედარებით მცირე ტერიტორიული მასშტაბი; როგორც წესი, დროის მიხედვით ხანმოკლე ან მფეთქავი ხასიათი; კონფლიქტის დროს გარდაიქმნება არა მთელი საზოგადოების, არამედ მხოლოდ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ცხოველქმედება; ომის მდგომარეობისთვის დამახასიათებელი საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებების გამოუყენებლობა, ან მხოლოდ ნაწილობრივი გამოყენება. შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს ომში, ხოლო ეს უკანასკნელი, პირიქით, დეესკალაციის შედეგად კონფლიქტის დონემდე ჩაცხრეს.

404. **შეიარაღებული ნეიტრალიტეტი** – მეომარი სახელმწიფოების მოქმედებისგან თავისი სავაჭრო ზღვაოსნობის შეიარაღებული დაცვის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ნეიტრალური სახელმწიფო (სახელმწიფოთა ჯგუფი), რომელიც ოფიციალურად არის გამოცხადებული. ეს პრინციპები აისახა პარიზის 1856 წ. დეკლარაციაში საზღვაო ომის შესახებ, ჰააგის 1907 წ. კონვენციაში, ნიონის 1937 წ. შეთანხმებაში სავაჭრო გემებზე წყალქვეშა ნავების მეკობრულ თავდასხმებთან ბრძოლის შესახებ, იურისტ-დემოკრატთა საერთაშორისო ასოციაციის 1960 წ. მე-7 კონგრესის რეზოლუციებში.

405. **შეიარაღებული პროვოკაცია** – სახელმწიფოს ან პოლიტიკის სხვა სუბიექტის მიერ შეზღუდული მასშტაბის სამხედრო ძალის სანქცირებული გამოყენება სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამწვავების, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის განსაზღვრის, მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის გამართლების, საომარი ინციდენტის შექმნის და დაწყებისთვის საბაბად გამოყენების მიზნით და ა.შ. შეიარაღებული პროვოკაციის წინასწარგანზრახული ხასიათის დამტკიცებისას კვალიფიცირდება, როგორც აგრესიის აქტი და საერთაშორისო დანაშაული.

406. **შეიარაღებული შეჭრა** – ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ხმელეთით, ჰაერით ან ზღვით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი მთავრობის თანხმობის გარეშე შემჭრა. წარმოადგენს აგრესიის აქტს, როგორც წესი ხორციელდება უეცრად.

407. **შეიარაღებული ძალები** – სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის (გაერო-ს შეიარაღებული ძალები და სხვ) უმნიშვნელოვანესი შეიარაღებული ორგანიზაცია. მე-20 საუკუნემდე შეიარაღებული ძალები შედგებოდა სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან. თანამედროვე შეიარაღებული ძალები მეტ წილ სახელმწიფოებში შედგება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის, ჯარების გვარეობის, მმართველობის უმაღლესი ორგანოების და ზურგის ორგანოებისგან. ცალკეულ სახელმწიფოებში შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შეჰყავთ, აგრეთვე ეროვნული გვარდიის (აშშ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), სამხედრო ჟანდარმერიის (საფრანგეთი), ჯარები და სხვ. შეიარაღებული ძალების დანიშნულება, მშენებლობის, პირადი შემადგენლობის სწავლების და აღზრდის პრინციპები განისაზღვრება სახელმწიფოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიით, სამხედრო დოქტრინით, ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობებით, სამხედრო-გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით და სხვ.

408. **შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა** – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შექმნის, მომზადებისა და განმტკიცების ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა სისტემა; სამხედრო აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკით, ეკონომიკით და სამხედრო დოქტრინით. შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაზე გავლენას ახდენს სამრეწველო წარმოების, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების დონე, მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა, მისი კულტურის დონე და მომზადებული კადრების არსებობა, ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა, მიმოსვლის გზათა მდგომარეობა, შეიარაღების განვითარების მიღწეული დონე, შესაძლო მოწინააღმდეგის შეიარაღების განვითარების მიღწეული

დონე, შესაძლო მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განვითარების მიმართულებანი, სამხედრო მეცნიერების და სამხედრო ხელოვნების განვითარების მდგომარეობა და სხვა ფაქტორები.

409. **შეკავება** – უნარი, დაარწმუნოს პოტენციური აგრესორი, რომ აგრესიის და/ან სამხედრო კონფლიქტის შედეგები გადააჭარბებენ შესაძლო გამარჯვების შედეგებს. შეკავების პოლიტიკის განხორციელება, მოითხოვს საკმარისი სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას, საიმედო სამხედრო სტრატეგიას, ნათლად გამოხატულ პოლიტიკურ ნებას და მოქმედების სურვილს.

410. **შეკავების პოლიტიკა** – პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ღონისძიებების კომლექსი, რომელიც მიმართულია მეორე მხარის იმაში დასაჯერებლად, რომ შეუძლებელია პოლიტიკური მიზნების მიღწევა შეიარაღებული თავდასხმის ან ზემოქმედების გზით.

411. **შემაკავებელი მოქმედებები** – პოლიტიკურ, ეკომომიკურ, სამხედრო და სხვა საფეხურებში ზომების ერთობლიობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო (სახელმწიფოთა კოალიცია) აგრესიის აღკვეთის ან საერთაშორისო სამართლის ნორმების სხვა დარღვევების აღკვეთის მიზნით.

412. **შეჭრა** – 1. ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შესვლა ხმელეთით, ჰაერით ან ზღვიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი მთავრობის თანხმობის მიუღებლად. შეჭრა არის აგრესიის აქტი; ხორციელდება, როგორც წესი, უეცრად. სახელმწიფო საზღვრის (საჰაერო სივრცის, ტერიტორიული წყლების) დარღვევა, მისი გადაკვეთა სხვა ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფების, ცალკეული თვითმფრინავების ან ხომალდების მიერ დაზვერვის ან დივერსიის მიზნით ასევე კვალიფიცირდება შეჭრად; 2. სტრატეგიული მასშტაბის საზღვაო - სადესანტო ოპერაციის სახეობა, რომელიც საომარი მოქმედების თეატრში ხორციელდება იმ მიზნით, რომ გადაიტანონ საომარი მოქმედება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ახალი ფრონტის შესაქმნელად და მთელი მისი ტერიტორიის ან მნიშვნელოვანი ნაწილის დასაკავებლად. შეჭრის ძალების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ერთი ან მეტი საველე არმია, საზღვაო ქვეითი ჯარის რამდენიმე დივიზია, საჰაერო-სადესანტო დივიზიები, ფლოტის და ავიაციის დიდი ძალები. ტერმინი მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების და ნატო-ს სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების წესდებებში.

413. **შიდა საფრთხე** – სამხედრო უსაფრთხოების მუქარა, რომლის წყარო არსებობს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. გამოწვეულია მოქმედებებით, რომლებიც მიმართულია სეპარატისტული, ნაციონალისტური, ტერორისტული და სხვა მართლსაწინააღმდეგო ექსტრემისტული ორგანიზაციების მოქმედებით კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლისკენ.

414. **შიდა შეიარაღებული კონფლიქტი** – შიდასამთავრობო კონფლიქტი შეიარაღებული ძალადობის გამოყენებით. წყარო შეიძლება იყოს: ექსტრემისტული, ნაციონალისტური, რელიგიური, სეპარატისტული და ტერორისტული სტრუქტურების ქმედებები.

415. **ჩაკეტილი ზღვა** – ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ გარშემორტყმული ზღვა, რომელიც მთლიანად ან ძირითადად შედგება ტერიტორიალური ზღვებისაგან და ორი

ან მეტი ნაპირის მოსაზღვრე სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისაგან.

416. **ჩაურევლობა** – თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც კრძალავს სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩარევას სხვა ქვეყნების და ხალხების საშინაო საქმეებში. დამკვიდრებულია გაერო-ს წესდებით და მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით. კრძალავს: გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ღონისძიებები მეორე სახელმწიფოს დამორჩილების ან მისგან რაიმე უპირატესობების მოპოვების მიზნით; განახორციელოს ისეთი შეიარაღებული, ძირგამომთხრელი და ტერიტორიული საქმიანობის დახმარება, წახალისება, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოს არსებული წყობილების შეცვლას; სხვა სახელმწიფოში მიმდინარე შინაურ ბრძოლაში ჩარევას.

417. **ჩრდილოატლანტიკური საბჭო** – ნატო-ს მთავარი პოლიტიკური და ყველაზე მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც წარმოადგენს ჩრდილო ატლანტიკური კავშირის მოღვაწეობის ყველა სფეროში არსებული თანამშრომლობის საფუძველს. ნატო-ს ყველა წევრი - ქვეყნის მთავრობები მონაწილეობენ ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს პოლიტიკის მიმართულებების შემუშავებაში, აგრეთვე, მის საფუძველში არსებული კონსენსუსის პრინციპზე გადაწყვეტილების მიღებაში. ჩრდილოატლანტიკური საბჭო თამაშობს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ როლს და ნატო-ში არშემავალ სახელმწიფოთა საზოგადოებისა და მთავრობებისთვის გამოსცემს დეკლარაციებს და კომუნიკეს ჩრდილოატლანტიკური კავშირის პოლიტიკის განვითარების და გადაწყვეტილებების განმარტებებით.

418. **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება** – 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც შექმნილი იქნა კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის მიერ განსაზღვრული კოლექტიური თავდაცვის განხორციელებას. ხელშეკრულება წარმოადგენს უვადოს და აერთიანებს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის 26 ქვეყანას. ხელისმოწერის დადასტურებით წევრი-ქვეყნები მიისწრაფიან ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის სტაბილურობისა და აყვავებისკენ, აგრეთვე დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების საფუძველზე თავისი ხალხის თავისუფლების, საერთო მემკვიდრეობის და ცივილიზაციის გარანტიისაკენ,. ასევე იწოდება „ვაშინგტონის ხელშეკრულებად“.

419. **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ზონა** - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-6 მუხლის განსაზღვრით – ზონა, რომელიც მოიცავს ევროპის და ჩრდილო ამერიკის მონაწილე-ქვეყნების, თურქეთის ტერიტორიას, ასევე ხმელთაშუა ზღვას.

420. **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)** – 17 ევროპული სახელმწიფოს, აშშ-სა და კანადის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. შეიქმნა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც 4.4.1949-ში ხელი მოაწერეს ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ, იტალიამ, ისლანდიამ, კანადამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, პორტუგალიამ, აშშ-მა, საფრანგეთმა (1966-დან არ მონაწილეობს სამხედრო ორგანიზაციაში). 1952-ში ბლოკის წევრები გახდნენ საბარძნეთი და თურქეთი, 1955-ში – გერმანია, 1982-ში ესპანეთი, 1999-ში – პოლონეთი,

უნგრეთი და ჩეხეთი. 2008 წლის მდგომარეობით ნატო-ში გაერთიანებულია 26 სახელმწიფო. შტაბბინა აქვს ბრიუსელში. ორგანიზაციულად შედგება პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურებისაგან, აქვს ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მძლავრი დაჯგუფება. ბლოკის პოლიტიკურ სტრუქტურაში შედის: ნატო-ს საბჭო (კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო, სესიები ეწყობა წელიწადში 2-ჯერ); გენერალური მდივანი; სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი; ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი; საერთაშორისო სამდივნო; მუდმივი კომიტეტები და ჯგუფები. საქმიანობის კონკრეტული დარგების მიხედვით ბლოკის წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები) და ეროვნული დელეგაციები. ნატოს სამხედრო სტრუქტურის უმაღლესი ორგანოა სამხედრო კომიტეტი, ხოლო მისი აღმასრულებელი ორგანოა საერთაშორისო სამხედრო შტაბი. გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისთვის ნატო-ს აქვს გაერთიანებული სარდლობები და შტაბები.

421. **ძალის გამოყენების წესები** – შესაბამისი სამხედრო ინსტანციის მიერ გამოცემული დირექტივები, რომლებშიც განისაზღვრება ის გარემოებები და შეზღუდვები, რომლის დროსაც ჯარები (ძალები) ერთვებიან საბრძოლო მოქმედებებში სხვა მოწინააღმდეგე ჯარებთან (ძალებთან) ერთად და/ან აგრძელებენ მას.

422. **ძალის დემონსტრაცია** – რომელიმე სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის) შეიარაღებული ძალების მეორე სახელმწიფოზე (სახელმწიფოებზე) მუქარის გამომხატველი მოქმედება ზეწოლის მოხდენის და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა დათმობებზე მისი (მათი) წასვლის იძულების მიზნით. ისტორიისთვის ცნობილია ძალის დემონსტრაციის ისეთი ფორმები, როგორიც არის „ზარბაზნების დიპლომატია“, „ალმის დემონსტრაცია“. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ძალის დემონსტრაცია ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ან რეგიონებში, როგორც პოლიტიკური სიტუაციის განვითარებაზე ზემოქმედების საშუალება. ძალის დემონსტრაცია შეიძლება ხორციელდებოდეს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ხარისხის ამაღლების, შეიარაღების მკვეთრი გაძლიერების, ჯარების (საზღვაო ძალების) გაშლის და სახელმწიფო საზღვრისკენ წაწევის, მანევრირების, წვრთნების, თვითმფრინავების ფრენის მოწყობის გზით და ა.შ. მშვიდობას და ხალხთა უსაფრთხოებას განსაკუთრებულ საშიშროებას უქადის ძალის დემონსტრაცია ბირთვული იარაღის და მასობრივი დაზიანების სხვა სახეობათა იარაღის გამოყენების მუქარა.

423. **ძირითადი სამხედრო მოთხოვნა** – ნატო-ს ძირითადი სამხედრო ამოცანების გადაწყვეტისთვის და მისი სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე სამხედრო მოთხოვნა. ემსახურება ეროვნული სამხედრო დაგეგმვის ჰარმონიზირებას, სამხედრო დაგეგმვის პირველმნიშვნელოვანი ამოცანების დასახვას და ნატო-ს სამხედრო ხემძღვანელი ორგანოების მიერ კონცეფციების და გეგმების შემუშავებას.

424. **წამყვანი ქვეყანა** – ქვეყანა, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას ჯარების გაშლის და ტრანსპორტირების ხანგრძლივი მოქმედებების (მარაგების შევსება) და გადაჯგუფებაზე დაგეგმვასა და მართვაზე, აგრეთვე საერთაშორისო მრავალეროვნული საშტაბო ჯგუფების და/ან ნაწილების და ქვედანაყოფების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფაზე. აგრეთვე ქვეყანა, რომელიც

ამოცანების და მოვალეობის შესრულებისას იღებს თავის თავზე მიმღები ქვეყნის წამყვან როლს, ან ქვეყანა, რომელიც პასუხისმგებელია გადაზიდვების და ტრანსპორტირების ამოცანების შესრულებაზე.

425. **წინასწარი განლაგება** – ოპერაციის საწყის ეტაპზე, განსაკუთრებული დანიშნულების ძალების მხარდასაჭერად სამხედრო ნაწილების და ქვედანაყოფების ს, საბრძოლო ტექნიკის აღჭურვილობის, ან მარაგის განთავსება წინასწარ დაგეგმილი მოქმედებების რაიონში, ან მის ახლოს ან სხვა დანიშნულ ადგილას, მოწინააღმდეგის მოქმედებაზე სწრაფად რეგირების და დროული დახმარების უზრუნველყოფის მიზნით.

426. **ხალხის მასები ომში** – მეომარი ქვეყნის (სახელმწიფოთა კოალიციის) მოსახლეობის სამართალუნარიანი და ქმედითუნარიანი ნაწილი. წარმოადგენს გადამწყვეტ ძალას ომში, რადგან მათი შემადგენლობიდან კომპლექტდება მასობრივი არმიები; ისინი გამოდიან შეიარაღებული ბრძოლის, საბრძოლო მოქმედების წარმოებისთვის აუცილებელი მატერიალური საშუალებების უშუალო მწარმოებლად; ისინი გამოიმუშავებენ ომის იდეებს და შეფასებებს, ხასიათს, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და არმიის სულისკვეთებას.

427. **ხმელთაშუა ზღვის დიალოგი** – 1995 წელს NATO-ს მიერ წამოყენებული ინიციატივა, რომლის მიხედვით ჩრდილოატლანტიკურმა კავშირმა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს მოუწოდა დაეწყოთ დიალოგი უსაფრთხოების საკითხებზე. დღეისათვის მასში მონაწილეობენ ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. დიალოგის მიზანია – ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა მათი უსაფრთხოებასა და სტაბილიზაციაში, ურთიერთგაგების განმტკიცება და NATO-ს და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შორის არასამართლებრივი წარმოდგენების აღმოფხვრა.

428. **ხომალდების საქმიანი შესვლა** – სამხედრო ხომალდების მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მექანიზმების რემონტის, ეკიპაჟის დასვენების და სხვა მიზნებით უცხო სახელმწიფოების წყლებში და პორტებში შესვლა. ხომალდების იძულებითი შესვლისაგან განსხვავებით საჭიროა წინასწარი ნებართვა. ხომალდების საქმიანი შესვლის გაფორმება ხორციელდება გამარტივებული პროცედურით, რომელიც განსაზღვრულია ზღვისპირა სახელმწიფოების სპეციალური საკანონმდებლო აქტით.

429. **ჯარები** – ამოცანების ერთობლიობის ან კუთვნილების ნიშნის მიხედვით სამხედრო ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების და სხვა მუდმივი ან დროებითი სამხედრო ფორმირებების კრებსითი სახელწოდება.

430. **ჯარების კონტინგენტის გამომყოფი ქვეყანა** – ნატო-ს ქვეყანა, სახელმწიფო – პარტნიორი, რომელიც გამოჰყოფს ჯარების კონტიგენტს ნატო-ს ხელმძღვანელობით განხორციელებულ ოპერაციებში და სარდლობის განხორციელების ნატო-ს ოპერატიული დაქვემდებარების სისტემის შესაბამისად მზადაა გამოყოფილ ძალებზე უფლებამოსილება გადასცეს. კონტიგენტი შეიძლება შეიცავდეს ცალკეულ სამხედრო მოსამსახურეებს, სამხედრო ფორმირებებს ან სამსახურებს, ისეთებს როგორიცაა: სამედიცინო, მატერიალურ-ტექნიკური, სატრანსპორტო ან კავშირგაბმულობის სამსახური. ნატო-ში არშემავალი ქვეყნების ძალები უფლებამოსილების გადაცემის

წინ, ნატო-ს ძალებთან ერთობლივი მოქმედების მზადყოფნის დასადასტურებლად ჩვეულებრივ, ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობაში გადიან სერტიფიცირებას.

431. **ჯარების (ძალების) ინსპექტირება** – შეიარაღებული ძალების, მართვის ორგანოების, გაერთიანებების, შენაერთებისა და ნაწილების (ხომალდების) დანიშნულების შესაბამისად ამოცანების შესრულებისათვის მზადყოფნის კონტროლის უმაღლესი ფორმა.

432. **ჯარში სამსახური** – იხ. სამხედრო სამსახური.

433. **ჰაერში ბატონობა** – ერთ-ერთი მეომარი მხარის ავიაციის გადამწყვეტი უპირატესობა საბრძოლო მოქმედებათა თეატრის ან სტრატეგიული (ოპერატიული) მიმართულების (რაიონის) საჰაერო სივრცეში, რომელიც საშუალებას აძლევს სახმელეთო ჯარებს, საზღვაო და საავიაციო ძალებს, ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ზურგს შეასრულონ თავისი მოვალობები მოწინააღმდეგის ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ძალების არსებითი უკუქმედების გარეშე. ჰაერში ბატონობა შეიძლება მოპოვებულ იქნას ერთ ან ერთდროულად რამდენიმე საბრძოლო მოქმედებების თეატრზე ხანგრძლივად – სტრატეგიული ბატონობა, ცალკეულ სტრატეგიულ ან ოპერატიულ მიმართულებაზე ოპერაციის პერიოდში – ოპერატიული ბატონობა. საავიაციო ქვედანაყოფების ნაწილების ან ცალკეული შენაერთების მიერ განსაზღვრულ რაიონში მოკლე დროით ჰაერში ინიციატივის ხელში ჩაგდებას უწოდებენ ჰაერში ტაქტიკურ ბატონობას.

434. **ჰეგემონიზმი** – იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კავშირის, პოლიტიკური სისტემის, რელიგიის მთელ მსოფლიოზე ან მის ცალკეულ რეგიონებზე ბატონობაზე.

435. **ჰუმანიტარული აქცია** – საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მოქმედებები, რომლებიც მიმართულია. სხვადასხვა სახის კონფლიქტებში სამხედრო მოქმედებების დროს სამოქალაქო მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქების ან გადარჩენის უზრუნველყოფისათვის.

436. **ჰუმანიტარული დახმარება** – მისიები, განხორციელებული ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქების მიზნით, განსაკუთრებით იმ გარემოებაში, როდესაც რეგიონში ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები უძლურია ან, სავარაუდოდ, არ სურს უზრუნველყოს მოსახლეობის საკმარისი მხარდაჭერა. ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მისიები შეიძლება განხორციელდეს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციასთან კავშირში ან მთლიანად დამოუკიდებული ამოცანის სახით.

437. **ჰუმანიტარული ოპერაცია** – ოპერაცია, რომელიც ხორციელდება როგორც წესი ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით. შეიარაღებული კონფლიქის ზონაში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით.

ლექცია 4–5–6

ხმელეთზე შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების, ზღვაში შეიარაღებული ბრძოლის მეთოდების და ჰაერში და კოსმოსში შეიარაღებული ბრძოლს ტერმინოლოგია

ა

1. **აგენტურული დაზვერვა** – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, მისი სამხედრო – ეკონომიკური და მობილიზაციური შესაძლებლობების, სამხედრო მოქმედებების თეატრის მოწყობის შესახებ და სხვ საიდუმლო აგენტების მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება.
2. **ავიაციის ტაქტიკური მოქმედებები** (215) – სამხედრო-საჰაერო ძალების სახმელეთო და საზღვაო ძალებთან კოორდინირებული გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს: ა. ჰაერში უპირატესობის მიღწევას და შენარჩუნებას; ბ. საბრძოლო მოქმდებების ზონაში და მის შიგნით მოწინააღმდეგის ძალების გადაადგილების არიდება, ამ ძალების და მათი მხარდამჭერი ობიექტების აღმოჩენა და განადგურება; გ. მრავალეროვნული და/ან გაერთიანებული ოპერაციების ჩატარების გზით, სახმელეთო და საზღვაო ძალების მიერ მათი მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.
3. **აკრძალული ზონა** – ადგილმდებარეობის (აკვატორიის ან საჰაერო სივრცის) მონაკვეთი (რაიონი), რომლის ფარგლებში მოსახლეობის, სატრანსპორტო საშუალებების, ჯარების ყოფნა და გადაადგილება აკრძალულია. აკრძალული ზონა დგინდება და ცხადდება: მშვიდობიანობის დროს – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ხოლო ომიანობის დროს – სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ. აკრძალული ზონის დადგენის და აკრძალვების ხასიათის შესახებ ეცნობება შესაბამის ორგანოებს, სამხედრო მოსამსახურეებს და მოსახლეობას. ადგილმდებარეობაზე ზონის საზღვრები აღინიშნება კარგად შესამჩნევი ნიშნებით და წარწერებით. აკრძალული ზონა შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი.
4. **ამოცანა** (140) – მიზნების და აუცილებელი მოქმედებების მოკლე და მკაფიო გადაცემა.
5. **არმიის ოპერაცია** (25) – არმიის შენაერთების და ნაწილების მიერ მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული შეტევითი ან კონტრშეტევიტი შერკინებების, საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების, დარტყმების და მანევრების ერთობლიობა. იგი ხორციელდება გარკვეულ სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, მხოლოდ მიკუთვნებულ შენაერთებთან და ნაწილებთან ერთად ან შეიარაღებული ძალების სახეობების, გვარეობების, სპეციალური ჯარების გაერთიანებებთან, ნაწილებთან და სხვა ფორმირებებთან ურთიერთქმედებით.
6. **აბლიაცია** – სხვადასხვა სახის დასხივების და ცხელი გაზის ნაკადის ზემოქმედების შედეგად მკვრივი სხეულის ზედაპირიდან ნივთიერების მოცილება. აბლიაციის დროს წარმოიქმნება იზოლირების ეფექტის მქონე გაზის ფარდა, რომელიც სხეულის ზედაპირს გახურებულ (გაცხელებულ) გაზთან უშუალო შეხებისგან იცავს.

7. **აბორდაჟი** – ბრძოლის წარმოების ფორმა ნიჩბიანი და იალქნიანი ფლოტების პერიოდში. იგი ხორციელდებოდა ხელჩართულ ბრძოლაში შემტევი ხომალდის მიერ მოწინააღმდეგის ხომალდის გადაჭდომით მისი ხელში ჩაგდების მიზნით. შემტევი სამხედრო გემი ბორტით მიადგებოდა მტრის გემს, ჭანგებით გადაებმებოდა მას, მეზღვაურები მოწინააღმდეგის გემბანზე გადავიდოდნენ და იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა. ტარანულ დარტყმასთან ერთად აბორდაჟი მე-19 საუკუნემდე საზღვაო ბრძოლის ტაქტიკის საფუძველს წარმოადგენდა. ორთქლმავალი ფლოტის გამოჩენით და სახომალდე არტილერიის განვითარებით მან თავისი მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა დღემდე გამოიყენება სანაპირო დაცვის ძალების მიერ კონტრტერორისტული და კონტრკრიმინალური მოქმედებების დროს.
8. **აბორდაჟული იარაღი** – ცივი (შუბი, ხანჯალი, მახვილი, აფთი) და ცეცხლსასროლი (პისტოლეტი, მუშკეტი) იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა ნიჩბიან და აფრებიან ფლოტებში მოწინააღმდეგის აბორდაჟის ხომალდის დაპყრობის მიზნით.
9. **ადგილმდებარეობა** – დედამიწის ზედაპირის ნაწილი მთელი თავისი ბუნებრივი ელემენტებით, ასევე გზებით, დასახლებული პუნქტებით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სოციალურ – კულტურული ობიექტებით; საბრძოლო ვითარების ერთ-ერთი ელემენტი. იყოფა: რელიეფის თავისებურებებით – ვაკე, ბორცვიანი, მთიანი; დასერილობის ხარისხის მიხედვით – ნაკლებდასერილი, საშუალოდასერილი და ძლიერდასერილი; გამავლობით – თავისუფლადგამავალი, გამავალი, ძნელადგამავალი და გაუვალი; თვალთვალის და შენიღბვის პირობების მიხედვით – ღია, ნახევრად დახურული, დახურული; ბუნებრივი პირობების მიხედვით – უდაბნოს, სტეპის, ტყის, მთის, ჭაობის და სხვ. ადგილმდებარეობის თვისებებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საბრძოლო მოქმედების წარმოებაზე ეწოდება ტაქტიკური.
10. **ადგილმდებარეობის დაზვერვა** – ადგილმდებარეობის იმ ელემენტების ამსახველი უტყუარი ინფორმაციის მოპოვება, შეგროვება, განზოგადება და მეთაურისთვის (სარდლისთვის) მიწოდება, რომლებიც მომავალი მოქმედების ზოლში (მონაკვეთზე) გავლენას ახდენენ ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე. სამხედრო მოქმედებებზე შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრისას ადგილმდებარეობის ბუნებრივი და ხელოვნური ნიშნების შესახებ სხვა არსებულ ფაქტორებთან მოცემული ადგილის სამხედრო ოპერაციაში გამოყენების მიზნით გეოგრაფიული ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი, დამუშავება და ინტერპრეტირება. შეტევაში ადგილმდებარეობის დაზვერვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენს საგზაო ქსელი და მისი მდგომარეობა, წინწამოწევის მარშრუტები, მანევრის გზები, დაბრკოლებები და მათი გადალახვის შესაძლებლობა. თავდაცვაში ადგილმდებარეობის დაზვერვა ავლენს ზღუდეებს, რომლებიც გამოდგება თავდაცვის ზოლების (პოზიციების), მონაკვეთების, რაიონების და საყრდენი პუნქტების მოსაწყობად, კონტრდარტყმის (კონტრშეტევის) ზღუდეებს და სხვ. ადგილმდებარეობის დაზვერვა წარმოებს თვალთვალით, მიწისზედა, საჰაერო და კოსმოსური გადაღებებით, დათვალიერებით და სხვა ხერხებით.
11. **ადგილმდებარეობის განათება** – ღამით საბრძოლო მოქმედებების წარმოების დროს ჯარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით მანათობელი

საშუალებების გამოყენება; ბრძოლის შუქით უზრუნველყოფის ელემენტი; ადგილმდებარეობის განათება ხორციელდება მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) აღმოჩენისთვის, საკუთარი საცეცხლე საშუალებების ეფექტურობის ამაღლებისთვის, საკუთარი ჯარების ორიენტირებისთვის და მოწინააღმდეგის დაბრმავებისთვის. შესაძლოა იყოს უწყვეტი და პერიოდული, ადგილობრივი და საერთო.

12. **აერო...** - რთული სიტყვების ნაწილი, „საჰაეროს" ამღვნიშნელი
13. **აეროდინამიკა -** მექანიკის კარი, შეისწავლის ჰაერის მოძრაობის კანონებს (აირის მსგავსი გარემო) და მის ურთიერთქმედებას გარსშემოდენილ სხეულთან. ფართოდ გამოიყენება საავიაციო, სარაკეტო-კოსმოსური, არტილერიის და სხვა ტექნიკის პროექტირების, გამოცდების და ექსპლუატაციის დროს.
14. **აეროდინამიკური მახასიათებლები** – სიდიდეების, რომლებიც ერთობლივობა, აიროვან გარემოსა და მასში მოძრავ სხეულს შორის მექანიკურ და სითბურ ურთიერთობას ახასიათებენ. აეროდინამიკური მახასიათებლების საფუძველია აეროდინამიკურ ძალების და მომენტების კოეფიციენტის დამოკიდებულება სხეულის ფორმის და მოძრაობის ცვლილებებზე (მახის რიცხვზე, შეტევის კუთხეზე, ფრენის სიმაღლეზე, სრიალზე და სხვა).
15. **აეროდინამიკური მუხრუჭი** - საფრენი აპარატის კონსტრუქციის ელემენტი, მანევრის და დაჯდომის დროს ფრენის სიჩქარის სწრაფი შემცირებისთვის (მაგ. ბრძოლაში გამანადგურებლისთვის). საკუთარი თვითმფრინავის დაცვის მიზნით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დაბალ სიმაღლეზე ბომბების ჩამოყრის დროს.
16. **აეროდინამიკური ზედაპირი** - საფრენი აპარატის ზედაპირი (ფრთა, კორპუსი), რომლის მოძრაობაში საჰაერო გარემოსთან ურთიერთქმედებისას საფრენი აპარატის აწევის და მისი ფრენის მართვის ძალები წარმოიქმნება.
17. **აეროდრომზე მორიგეობა** – გაფრენისთვის გათვალისწინებულ მზადყოფნაში საფრენი აპარატების ეკიპაჟების, საავიაციო ქვედანაყოფების (ნაწილების) აეროდრომზე (ხომალდზე) განლაგება; საფრენი აპარატების ეკიპაჟების და საავიაციო ქვედანაყოფების (ნაწილების) მზადყოფნის უზრუნველყოფის ხერხი საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად.
18. **აეროფოტოდაზვერვა** – მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის (აკვატორიის) და მასზე არსებული ობიექტების შესახებ ცნობების მოპოვება, საკუთარი ჯარების საბრძოლო მოქმედების და შენიღბვის ხარისხის, კონტროლის განხორციელება ფოტოგრაფირების იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც პილოტირებულ და უპილოტო საფრენ აპარატებზეა დადგმული; საჰაერო დაზვერვის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი. აწარმოებს სადაზვერვო ავიაცია, აგრეთვე სხვა გვარეობათა ავიაციის თვითმფრინავების ეკიპაჟები. აეროფოტოდაზვერვა იყოფა მიმოხილვით და დეტალურ დაზვერვებად. აეროფოტოდაზვერვის მასალები, რომლებიც გამოირჩევა მაღალი საზომი და სადეშიფრირებელი თვისებებით, უზრუნველყოფენ ზუსტი კოორდინატების მიღებას და ობიექტების, მათ შორის, მცირე ზომის ობიექტების ტიპის განსაზღვრას.
19. **აეროფოტოგადაღება** (აეროფოტოგრაფირება, საჰაერო ფოტოგრაფირება) – ინფორმაციის მიღების მიზნით საფრენი აპარატებიდან ადგილმდებარეობის და ცალკეული ობიექტების ფოტოგრაფირება. შესრულების დროის და ხერხის,

აეროფოტოაპარატის ოპტიკური ღერძის მდებარეობის, ექსპონირების მეთოდის და ფოტომასალების მიხედვით განასხვავებენ: დღის და ღამის, გეგმიურ, პერსპექტიულ და პანორამულს, კადრის და ე.წ. „ჭუჭრუტანის“, შავ-თეთრ, ფერად და სპექტროზონალურ აეროფოტოგადაღებებს. გამოიყენება რუკების შესადგენად და გასაახლებლად, მეცნიერული და ტექნიკური მიზნებისთვის, როგორც საჰაერო დაზვერვის ერთ-ერთი ხერხი ადგილმდებარეობის და ობიექტების შესასწავლად, ჯარების საბრძოლო და სასწავლო-საბრძოლო მოქმედებების კონტროლისთვის, საჰაერო სროლის დროს, ფოტოდოკუმენტების შედგენისას, ობიექტების ტოპოგეოდეზიური მიბმის მიზნით მათი (მიზნების) კოორდინატების განსასაზღვრავად და სხვა შემთხვევებში.

20. **აეროფოტოსურათი** - საფრენი აპარატებიდან ფოტოგრაფირების დროს ადგილმდებარეობის და ობიექტების მიღებული ფოტოგრაფიული (ნეგატიური ან პოზიტიური) გამოსახულება.
21. **აერომაგნიტური გადაღება** - საფრენი აპარატის ბორტიდან მაგნიტური ველების მაჩვენებლების გაზომვა და ჩაწერა დედამიწის ზედაპირზე არსებული, ბუნებრივი და ხელოვნური ობიექტების, ერთდროულად მიმდინარე კოორდინატების, ფრენის სიმაღლის და სიჩქარის ჩაწერით. აერომაგნიტური გადაღებისთვის და მისი შემდგომი გეოდეზიური მიბმისთვის გამოიყენება აერომაგნიტომეტრი, სანავიგაციო სისტემები და აეროფოტოაპარატები.
22. **აერონავიგაცია** (საჰაერო ნავიგაცია) - გამოყენებითი მეცნიერება დაწესებულ დროში მოცემულ ტრაექტორიაზე ერთი პუნქტიდან მეორეში საფრენი აპარატების ჰაერში ზუსტი, საიმედო და უსაფრთხო ტარებაბის შესახებ. ამუშავებს და გამოიყენებს მეთოდებს და სანავიგაციო საშუალებებს, რომელთა მეშვეობით გამოითვლება ოპტიმალური ტრაექტორია და მასზე საფრენი აპარატების ტარების უზრუნველყოფა, განისაზღვრება მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება, აგრეთვე დროის ნებისმიერ მომენტში საფრენი აპარატის ადგილმდებარეობა.
23. **აფეთქების საქმე** - თეორია და პრაქტიკა აფეთქების წარმოების და გამოყენების, წინაღობების, ფორტიფიკაციური ნაგებობების, კლდოვანი ქანების და გრუნტების დამუშავების, მიწისქვეშა-ნაღმური ბრძოლის წარმოების, სამხედრო ტექნიკის განადგურების და ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის სხვა ამოცანების შესრულებისას. მოიცავს ასაფეთქებელი ნივთიერებების თვისებების და აფეთქების საშუალებების, მათთან მოპყრობის ხერხების და აფეთქების წარმოების შემსწავლელი.
24. **აგენტურული (სამხედრო) დაზვერვა** – ფარული აგენტების მეშვეობით მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების, სამხედრო-ეკონომიკური და მობილიზაციური შესაძლებლობების მონაცემების მოპოვება.
25. **ᲐᲘᲠᲬᲘᲜᲐᲦᲘ** – ჰაერში არსებული მავნე მინარევებისგან ადამიანის სუნთქვის ორგანოების, სახის და თვალების ინდივიდუალური დაცვის საშუალება. მოქმედების პრინციპის მიხედვით აირწინაღები იყოფა: მფილტრავი – რომელიც სუნთქვისთვის მიწოდებული ჰაერის მავნე მინარევებისგან გაწმენდას უზრუნველყოფს და საიზოლაციო – რომელიც ადამიანის სუნთქვას ჟანგბადის რეგენერაციის ან მისი (ხანდახან ჰაერის) მარაგის საშუალებებით უზრუნველყოფს. დანიშნულების მიხედვით: საჯარისო (საერთო-საჯარისო და სპეციალური),

სამოქალაქო და სამრეწველო; საერთო-საჯარისო და სამოქალაქო აირწინაღები უზრუნველყოფენ მომწამლავი ნივთიერებებისგან, რადიოაქტიური ნალექებისგან და ბიოლოგიური აეროზოლებისგან დაცვას, სპეციალური საჯარისო და სამრეწველო აირწინაღებით უზრუნველყოფა ხდება სპეციალური სამხედრო ფორმირებების, ხანძარსაწინაღო ქვედანაყოფების, საავარიო- სამაშველო სამსახურების, საწარმოების, რომლებიც იყენებენ ან აწარმოებენ ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს.

26. **აკრძალული ზონა** – ადგილმდებარეობის (აკვატორიის ან საჰაერო სივრცის) მონაკვეთი (რაიონი), რომლის ფარგლებში მოსახლეობის, სატრანსპორტო საშუალებების, ჯარების ყოფნა და გადაადგილება აკრძალულია. აკრძალული ზონა დგინდება და ცხადდება: მშვიდობიანობის დროს – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ხოლო ომიანობის დროს – სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ. აკრძალული ზონის დადგენის და აკრძალვების ხასიათის შესახებ ეცნობება შესაბამის ორგანოებს, სამხედრო მოსამსახურეებს და მოსახლეობას. ადგილმდებარეობაზე ზონის საზღვრები აღინიშნება კარგად შესამჩნევი ნიშნებით და წარწერებით. აკრძალული ზონა შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი.

27. **ალბათობის თეორია** - შემთხვევითი მოვლენების კანონზომიერების შემსწავლელი მათემატიკის კარი. ძირითად ცნებას წარმოადგენს შემთხვევითი ცდილობის ალბათობა, რომელიც გამოიხატება ნამდვილი რიცხვით ნულსა და ერთიანს შორის ან ერთ-ერთ მათგანს ემთხვევა. სამხედრო დარგში თამაშობს ფუნდამენტალური მეცნიერების როლს, რომლის საფუძველზე ვითარდება სროლის თეორია და საბრძოლო ეფექტურობის თეორია, სამხედრო კიბერნეტიკა, ჯარების და იარაღის მართვის თეორია, საიმედოობის და სამხედრო ტექნიკის ცხოველმყოფელობის თეორია, ინფორმატიკა და სისტემოტექნიკა.

28. **ალყა** – განადგურების ან დატყვევების მიზნით მოწინააღმდეგის დაჯგუფების მისი დანარჩენი ჯარებისგან (ძალებისგან) იზოლაცია. ხორციელდებოდა სხვადასხვა ეპოქების ომებში. წარმატებული ალყის უმნიშვნელოვანეს პირობებს წარმოადგენს: საკუთარი ჯარების ხელსაყრელი მდებარეობის გამოყენება მოწინააღმდეგის დაჯგუფების ფლანგებზე და ზურგში სწრაფი გასვლისთვის; საჰაერო და საზღვაო დესანტების მიერ მოწინააღმდეგის ზურგში დიდმნიშვნელოვანი რაიონების, საგზაო კვანძების და გადასასვლელების ხელში ჩაგდება; აქტიური მოქმედების წარმოება ალყის შიდა და გარე ფრონტებზე გარშემორტყმული მოწინააღმდეგის იმავდროული ბლოკადით ჰაერიდან, ხოლო ზღვისპირა მიმართულებებზე – ზღვიდანაც; მოწინააღმდეგის რეზერვების და გარშემორტყმული ჯარების დებლოკირების ცდების ჩაშლა. ალყა შეიძლება განხორციელდეს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბებით. ალყის მიზნებს აღწევენ: შესაყარ მიმართულებებზე დარტყმების მიყენებით; მოწინააღმდეგის უკანდახეული დაჯგუფების ოპერატიულ სიღრმეში დევნის დროს; ყოვლისმომცველი დარტყმის მიყენებით და მოწინააღმდეგის დაჯგუფების ზღვისკენ განდევნით, რამდენიმე დამანაწევრებელი ფრონტალური დარტყმის მიყენებით და წარმატების განვითარებით მოწინააღმდეგის ფლანგებზე ზურგში გასვლითურთ;

მსხვილი დასახლებული პუნქტების და ქალაქების შემოვლის და მათში არსებული გარნიზონების ბლოკადის გზით და სხვა ხერხებით.

29. **ალყა** – სამხედრო მოქმედებების სახეობა, ციხე-სიმაგრის (გამაგრებული ქალაქების) აღებისთვის. ხორციელდებოდა ციხე-სიმაგრის ჯარების შემორტყმით, მის ირგვლივ ალყის გამაგრებების ხაზების შექმნით, გამაგრებული ბანაკების შექმნით და შეტევის წარმოებით, რომლებიც ციხე-სიმაგრის შტურმით მთავრდებოდა.

30. **ალყიდან გამოსვლა** – საბრძოლო მოქმედებები ალყის ფრონტის გარღვევის და გარშემოტყმული ჯარების გამოყვანის მიზნით. ხორციელდება დამოუკიდებლად ან ალყის გარეთ მყოფი ჯარების ხელშეწყობით. მრავალი ქვეყნის არმიების გამოცდილება მოწმობს, რომ ალყიდან გამოსვლის ორგანიზებისას, ალყის ფრონტის გასარღვევად იქმნება ძალების და საშუალებების ძირითადი დაჯგუფებები, ალყის ფრონტის და გარღვევის მონაკვეთების ფლანგების დაფარვის ძალები, საერთო-საჯარისო, ტანკსაწინაღო და სხვა რეზერვები, აგრეთვე დაჯგუფება (ჯგუფი) დემონსტრაციული მოქმედებებისთვის. გარდა ამისა, განისაზღვრება გარშემორტყმული ჯარების გაყვანის (ჰაერით და ზღვით გადასროლის) და ევაკუაციის ცეცხლით დაფარვის წესი, თანხმდება ალყის ფარგლებს გარეთ მოქმედ ძალებთან და საშუალებებთან ურთიერთქმედების და ამოცნობის საკითხები, ირჩევა რაიონები ჯარების ფარული თავმოყრისთვის და მიმართულება, რომელიც მთავარ ძალებთან მათ სწრაფ შეერთებას უზრუნველყოფს, დემონსტრაციული მოქმედებების (ყურადღების გადამტანი დარტყმების) რაიონებს და მიმართულებებს, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგეს თავგზა აუბნიონ, შებოჭონ მისი რეზერვები და განახორციელონ განყენებული დარტყმები. გარღვევისთვის მთავარი დარტყმის მიმართულებას ირჩევენ ზემდგომი უფროსის საშუალებებით დარტყმების მიყენების გათვალისწინებით. გარღვევა იწყება ხანმოკლე, მაგრამ მძლავრი საცეცხლე მომზადების შემდეგ (შეზღუდული ხედვის პირობებში, ღამით იგი შეიძლება არც იყოს) ალყის ფრონტის ფარგლებს გარეთ მოქმედი ჯარების დარტყმებთან და ცეცხლით მხარდაჭერასთან ურთიერთქმედებით. ყველაზე ბრძოლისუნარიანი ჯარების დაჯგუფება, რომელშიც შეჰყავთ ტანკების და არტილერიის დიდი ნაწილი, თავბრუდამხვევი ტემპით არღვევს გარემოცვის ფრონტს და მიემართება ამ გარემოცვის ფარგლებსგარე ტერიტორიიდან შეტევაზე წამოსული ჯარების შესახვედრად, ხოლო ძალების ნაწილით უზრუნველყოფს გარშემორტყმული ჯარების გამოყვანას და ევაკუაციას. ცრუ მიმართულებით მოქმედი ქვედანაყოფები აქტიურად ახდენენ გარღვევის იმიტაციას. დემონსტრაციული მოქმედება შეიძლება მოეწყოს ნამდვილ გარღვევაზე უფრო ადრე ან იმავდროულად. ალყიდან გამოსვლა დასრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი მანძილით მოწინააღმდეგეს მოსწყდებიან ან მთავარ ძალებს შეუერთდებიან.

31. **ალყის მდგომარეობა** – სამხედრო მდგომარეობის განსაკუთრებული ნაირსახეობა. განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც ომიანობის დროს აწესებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ან უფლებამოსილი ორგანოები, ასევე სამხედრო სარდლობა დიდი პოლიტიკური, სტრატეგიული ან ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ცენტრებში (რაიონებში) მოწინააღმდეგის მიერ მათი ხელში

ჩაგდების საშიშროების შემთხვევაში. მშვიდობიან დროს ჩვეულებრივ, ალყის მდგომარეობა არ ცხადდება, მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში მთელ რიგ შემთხვევებში გამოუყენებიათ.

32. **ამფიბიური ოპერაცია** - საბრძოლო მოქმედებები დაკავშირებული საზღვაო დესანტის გადმოსხმასთან, წარმოებს ამფიბიური ძალების ფართო გამოყენებით. ამფიბიური ოპერაციების სახეობებია საზღვაო სადესანტო ოპერაცია, მოწინააღმდეგის სანაპიროზე რეიდი, დესანტის დემონსტრაციული გადმოსხმა და ჯარების ზღვით ევაკუაცია.

33. **ამინდის დაზვერვა** – (მეტეოროლოგიური დაზვერვა) – გარკვეულ რაიონში გათვალისწინებულ მომენტში (დროის შუალედში) ამინდზე ინსტრუმენტული და ვიზუალური დაკვირვება. წარმოებს ღრუბლიანობის ზონების, ნალექების, ელჭექის მოვლენების, ატმოსფერული ფრონტების და ბუნების სხვა მოვლენების გადაადგილების მიმართულების და სიჩქარის განსაზღვრის მიზნით, რომლებიც ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებაზე გავლენას ახდენენ. იყოფა რადიოლოკაციურ, საჰაერო, სახომალდო და სპეციალურ დაზვერვებად.

34. **აქტიური თავდაცვა** - ტერმინი ისტორიულ ლიტერატურაში, აღნიშნავს ერთ-ერთი მეომარი მხარის თავდაცვით მოქმედებებს არა მხოლოდ ტერიტორიის შენარჩუნების, არამედ ძირითადად მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების მოქანცვა და დაუძლურების მიზნით.

35. **აღლუმი** (სამხედრო) – ჯარების (ძალების) საზეიმო დათვალიერება, რომელიც ტარდება ოფიციალური დღესასწაულების, სახელმწიფო და სამხედრო მნიშვნელობის ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავი ზეიმის დღეებში, მსხვილმასშტაბიანი სწავლების (მანევრების) დამთავრების შემდეგ და სხვ. ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი. სამხედრო აღლუმი შეიძლება ჩატარდეს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების მონაწილეობით, ასევე ჯარების საჰაერო (სამხედრო-საჰაერო) და საზღვაო (სამხედრო-საზღვაო) ერთობლივი ან ცალკეული აღლუმი.

36. **არმიების ჯგუფის ოპერაცია** - სამხედრო მოქმედებების თეატრზე ნატო-ს ბლოკის სახმელეთო ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ერთობლიობა ურთიერთდაკავშირებულ და შეთანხმებულ ამოცანებზე, ადგილზე და დროში არმიების ჯგუფის ოპერაცია, წარმოებული სარდლის ხელმძღვანელობით ერთიანი განზრახვით, ტაქტიკურ ავიაციასთან, ხოლო ზღვისპირა მიმართულებაზე სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთქმედებით. პირველად ტერმინი გაჩნდა 1-ლი მსოფლიო ომის დროს გერმანიის არმიაში. არმიების ჯგუფის ოპერაციის შეტევის მიზანი, როგორც წესი მოწინააღმდეგის ოპერატიულ-სტრატეგიული დაჯგუფების განადგურებაში და ოპერატიულ-სტრატეგიული დანიშნულების რაიონების და ზღუდეების დაკავებაში მდგომარეობს. არმიების ჯგუფს (ა.შ.შ.) შეუძლიათ აწარმოონ შეტევა 250-400 კმ ზოლში (ა.შ.შ. კორპუსს 50-90 კმ, დივიზია – 20-30 კმ), 350-600 კმ სიღრმეში. ოპერაციის ხანგრძლივობა 9 –დან 15 დღემდე, შეტევის საშუალო ტემპი - თავდაცვის გარღვევისას 10-15 –დან 20-25 მდე კმ დღეში, ხოლო შეტევის განვითარებისას 40-45 კმ. თავდაცვით ოპერაციებს არმიების ჯგუფი აწარმოებს მოწინააღმდეგის შემტევი დაჯგუფების განადგურებისთვის, ოპერატიულ-

სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტების შეკავებისთვი და ხელსაყრელი პირობების შექმნა შეტევაზე გადასვლისთვის. არმიების ჯგუფს (ა.შ.შ.) შეუძლია 250-450 კმ ზოლის დაცვა (არმიულ კორპუსს – 60-120, დივიზიას 30-60კმ) და სიღრმეში 300 კმ – მდე.

37. **არმიის კონტრშეტევითი ოპერაცია** – იმ შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული შეტევითი (ცალკეულ მიმართულებებზე – მოგერიებითი) კვეთებების, საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების, დარტყმების და მანევრის ერთობლიობა, რომლებსაც არმიის შენაერთები და ნაწილები აწარმოებენ მეზობლებთან, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების, ჯარების გვარეობების შენაერთებთან, ნაწილებთან და არმიის ინტერესების შესაბამისად მოქმედ სხვა ფორმირებებთან ურთიერთმოქმედებით. არმიის კონტრშეტევითი ოპერაცია არის ფრონტის კონტრშეტევითი ოპერაციის შემადგენელი ნაწილი ანუ საომარი მოქმედების თეატრში სტრატეგიული კონტრშეტევითი ოპერაცია, ხოლო ზოგჯერ, მნიშვნელოვან სიღრმეზე სტრატეგიული ან საფრონტო კონტრდარტყმის მიყენებისას თავდაცვითი ოპერაციაც. არმიის კონტრშეტევითი ოპერაცია, რომელიც შეტევითი ოპერაციის ნაირსახეობას წარმოადგენს, შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც ომის დასაწყისში, ისე მისი წარმოების მსვლელობისას. ჩვეულებრივ, იგი ხორციელდება მოწინააღმდეგის შეტევის დროს ან ამ შეტევის მოგერიების შემდეგ. არმიის კონტრშეტევითი ოპერაციის მიზანია გაანადგუროს მოწინააღმდეგის შემტევი დაჯგუფება, აღიდგინოს დაკარგული მდგომარეობა, ხოლო ზოგჯერ დაეუფლოს გარკვეულ სასაზღვრო რაიონს (ზღუდეს) მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომი შეტევითი მოქმედებების წარმატებით წარმოებას. იგი მოიცავს ძირითადად 1-ლი და მე-2 ეშელონების შენაერთების და ნაწილების შეტევით, ხოლო ცალკეულ მიმართულებებზე – თავდაცვით საბრძოლო მოქმედებებს, ოპერატიული მობილური რეზერვის, სარაკეტო ჯარების და არტილერიის, სახმელეთო ჯარების, ავიაციის შენაერთების და ნაწილების, საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების, საარმიო რეზერვის საბრძოლო მოქმედებებს, არმიის სპეციალური ჯარების მოქმედებებს. არმიის კონტრშეტევით ოპერაციას შეიძლება ახორციელებდეს 1-ლი ეშელონის არმია დაკავებული ზღუდიდან თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლით, მე-2 ეშელონის არმია – როგორც საწყისი რაიონებიდან სიღრმიდან წინწამოწევით, ისე მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების პირობებში (1-ლი ეშელონის ჯარების წინასწარი შეცვლის შემდეგ). მომზადების და განხორციელების მხრივ ყველაზე რთულია ომის საწყისი პერიოდის არმიის კონტრშეტევითი ოპერაცია, რომელიც თავდაცვითი ოპერაციის დროს მოწინააღმდეგის აგრესიის მოსაგერიებლად წარმოებს.

38. **არმიის შეტევითი ოპერაცია** – იმ შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული შეტევითი (ცალკეულ მიმართულებებზე – თავდაცვითი) კვეთებების, საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების, დარტყმების და მანევრის ერთობლიობა, რომლებსაც არმიის (შენაერთები) და ნაწილები ახორციელებენ მეზობლებთან, შეიარაღებული ძალების და სხვა სახეობების, ჯარების გვარეობების შენაერთებთან და ნაწილებთან, აგრეთვე არმიის ინტერესების შესაბამისად მოქმედ ფორმირებებთან ურთიერთქმედებით. ორგანიზება უკეთდება და ხორციელდება გარკვეულ

სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, როგორც საომარი მოქმედებების თეატრში ფრონტის ოპერაციის შემადგენელი ნაწილი. იგი შეიძლება განხორციელდეს მოწინააღმდეგის აგრესიის დაწყებისას, აგრესიის მსვლელობის დროს, მისი მოგერიების შემდეგ წარმატებული თავდაცვითი და კონტრშეტევითი ოპერაციების კვალდაკვალ, შეტევითი ოპერაციების წარმატების გასავითარებლად და მთელი რიგი ოპერატიული ამოცანების შესასრულებლად. ოპერაციის მიზნები შეიძლება იყოს: მოწინააღმდეგის მოპირისპირე დაჯგუფების განადგურება, 1-2 საოპერაციო მიმართულებაზე გარკვეული ზღუდეების ან რაიონების დაუფლება. არმიის შეტევითი ოპერაცია მოიცავს 1-ლი და მე-2 ეშელონების შენაერთების და ნაწილების შეტევით საბრძოლო მოქმედებებს, ოპერატიული მობილური რეზერვის, სარაკეტო ჯარების და არტილერიის შენაერთების, ნაწილების და სახმელეთო ჯარების, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის ნაწილების, საარმიო რეზერვების საბრძოლო მოქმედებებს, არმიის დაქვემდებარების სპეციალური ჯარების მოქმედებებს. არმიის ოპერაციის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს აგრეთვე ტაქტიკური საჰაერო და საზღვაო დესანტების გადასხმა (გადასროლა) და საბრძოლო მოქმედებები, მონაწილეობა ფრონტის პირველ და მომდევნო მასირებულ საცეცხლე დარტყმებში.

39. **არმიის თავდაცვითი ოპერაცია** – შეთანხმებული თავდაცვითი შერკინებების, საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების, დარტყმების და მანევრების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება არმიის შენაერთების, ნაწილების მიერ მეზობლებთან, შეიარაღებული ძალების სახეობების, გვარეობების, სპეციალური ჯარების შენაერთებთან, ნაწილებთან და სხვა ფორმირებებთან ურთიერთქმედებით, რომლებიც არმიის ინტერესებისთვის მოქმედებენ. ამ ოპერაციის მიზნებია: მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება (ზოგიერთ შემთხვევაში – ჩაშლა), მისი დამრტყმელი დაჯგუფებებისთვის ზიანის მიყენება, მნიშვნელოვანი ეკონომიკური რაიონების შენარჩუნება, ძალების და საშუალებების დაზოგვა, ძირითადი ძალების გაშლის უზრუნველსაყოფად დროის მოგება და შემდგომი ოპერაციების ჩატარებისთვის პირობების შექმნა. ამ ამოცანების შესრულება შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების შესრულების გზით: მოწინააღმდეგის საჰაერო – კოსმოსური შეტევის მოგერიებაში მონაწილეობა; მასირებული საცეცხლე დარტყმების მიყენება; მოწინააღმდეგის ჯარების შეიარაღების დაზვერვის და რადიოელექტრონული ბრძოლის, მართვის სისტემების დეზორგანიზაცია, მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების დაჯგუფების წინწამოწევის ჩაშლა; დაკავებული ზღუდეების, პოზიციების (რაიონების) შენარჩუნება; დანიშნულ რაიონებში რეზერვების დროული წამოწევის (გაშლის) უზრუნველყოფა; მოწინააღმდეგის სადესანტო – დივერსიული ძალების განადგურება; მოწინააღმდეგის შემოჭრილი და გარღვევაში მყოფი ჯარების დაჯგუფებების განადგურება; მნიშვნელოვან მიმართულებებზე მდგომარეობის აღდგენა.

40. **არტილერიის სიმჭიდროვე** (ოპერაციაში, ბრძოლაში) – ქვემეხების (ნაღმსარტყორცნების) საშუალო რაოდენობა 1კმ ფრონტზე. განისაზღვრება გარღვევის მონაკვეთზე (ზოლში), ძირითადი ძალვის თავმოყრის მიმართულებაზე და საცეცხლე მომზადების განხორციელების მონაკვეთზე. წარმოადგენს

არტილერიის მასირების ხარისხის მაჩვენებელს და არტილერიის საბრძოლო გამოყენების დაგეგმვისას ოპერატიულ-ტაქტიკურ საანგარიშო სიდიდეს.

41. **ასტრო** - რთული სიტყვების ნაწილი, რომელიც მიუთითებს ციურ სხეულებსა და კოსმოსურ სივრცესთან ურთიერთობაზე.
42. **ასტრონავიგაციური სისტემა -** საფრენი აპარატის საბორტო მოწყობილობის საშუალება, ციურ მანათობებზე თვალთვალის გზით მისი ადგილმდებარეობის კოორდინატების ავტომატიზებული განსაზღვრისთვის. ასტრონავიგაციურ სისტემებს განეკუთვნებიან ასტროკორექტორები, ასტროკომპასები და სხვ.
43. **ასტრონავტიკა** – ტერმინი, რომელიც რიგ ქვეყნებში მ.შ. აშშ-ი იხმარება კოსმონავტიკის ნაცვლად. ნიშნავს ვარსკვლავებისკენ გაფრენას.
44. **ასტრონომიული ნავიგაცია** - ასტრომიული მეთოდების გამოყენებით, ხომალდების და საფრენი აპარატების ტარების თეორია და პრაქტიკა ადგილმდებარეობის, მიმართულების, ხელსაწყოების შესწორებების და ზუსტი დროის განსაზღვრისთვის.
45. **ატლანტიკის ომის თეატრი** – ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის აკვატორია კუნძულებით და არქიპელაგებით არქტიკიდან ჩრდილოეთ ტროპიკამდე კონტინენტების სანაპირო ზონებით და მათ თავზე არსებული საჰაერო სივრცით, რომლის ფარგლებშიც ამერიკის შეერთებული შტატების და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატო) სამხედრო ხელმძღვანელობის შეხედულებით, შეიძლება წარიმართოს სტრატეგიული მასშტაბის სამხედრო მოქმედებები. ატლანტიკის ომის თეატრი დაყოფილია სამ საოკეანო ზონად: დასავლეთ ატლანტიკად, აღმოსავლეთ ატლანტიკად და იბერიის ატლანტიკად (ფაქტობრივად, დამოუკიდებელ საომარი მოქმედებების თეატრად), რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია რაიონებად.
46. **ავარიული განბაში** – ავარიულ შემთხვევებში განრიგის მიხედვით პირადი შემადგენლობის გამოძახება საგუშაგოზე ხომალდის სიცოცხლისუნარიანობისთვის საბრძოლველად. გაიცემა სპეციალური სიგნალი (ზარი) ან ცხადდება.
47. **ავიაციის გაჯაფრენის ზოლი** – საჰაერო სივრცე, რომელიც საავიაციო შენაერთებს და ნაწილებს ენიშნებათ მათ მიერ ფრონტის ხაზის გადაფრენისას. დგინდება, ჩვეულებრივ, ბაზირების აეროდრომიდან მიზნამდე (დესანტირების რაიონამდე) უმოკლესი მანძილის მიხედვით, შეძლებისდაგვარად იმ რაიონების გვერდის ავლით, რომლებზეც მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებები მჭიდროდ არიან განლაგებული.
48. **ავიაციის მოქმედებები გამოძახებით** – მართვის პუნქტებიდან გამოძახებით მოქმედი აეროდრომზე მორიგეობის ან ჰაერში მორიგეობის მდგომარეობიდან საბრძოლო ამოცანის შესრულება მოწინააღმდეგის ხელახლა აღმოჩენილი ობიექტების დაზიანებისთვის, დამატებით დაზვერვაზე, წყალქვეშა ნავების ძიებაზე და ა.შ.

49. **ბაზირება** (202) – ხმელეთზე ან ნაპირთან სახმელეთო, საჰაერო ან საზღვაო ძალების ფორმირებების განთავსებისთვის განსაზღვრული მუდმივი ადგილის აღმნიშვნელი შეკრებითი ტერმინი

50. **ბირთვული დაზიანების ხარისხის შეფასება** (156) – მოსახლეობის, ჯარების და ქონების ზარალის განსაზღვრა, რომელიც ბირთვულმა დარტყმამ გამოიწვია. ხორციელდება ბირთვული დარტყმის დროს ან მის შემდეგ.

51. **ბლოკადა –** სამხედრო, საომარი მოქმედების განსაკუთრებული ფორმა, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის ობიექტის იზოლირება და კომუნიკაციის ყველა საშუალებისაგან მოწყვეტა. ბლოკადის ობიექტი შეიძლება იყოს ცალკეული სახელმწიფო, მისი შეიარაღებული ძალები, ჯარის მსხვილი დაჯგუფებები საომარი მოქმედებების რაიონში, სტრატეგიული და ოპერატიული მნიშვნელობის პუნქტები სამხედრო გარნიზონებთან ერთად, სრუტეები, ყურეები, სამხედრო-საზღვაო ბაზები, ნავსადგურები, გამაგრებული რაიონები და ქალაქები. ბლოკადა მთლიანად ან მაქსიმალურად უსპობს მოწინააღმდეგეს მაშველი ძალების, სამხედრო ტექნიკისა და მატერიალური – ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების მიღების, ძვირფასეულობათა ევაკუაციის საშუალებას და ამას ბლოკირებული ობიექტების სწრაფი განადგურება ან კაპიტულაცია მოსდევს.

52. **ბრძანება –** მეთაურის (უფროსის) წერილობითი ან ზეპირი განკარგულება, რომელიც მიმართულია ხელქვეითების მიმართ და მოითხოვს გარკვეული ქმედებების აუცილებელ შესრულებას, ამა თუ იმ წესების დაცვას, ან გარკვეული წესრიგის დაწესებას. წერილობითი ბრძანება არის სამხედრო მართვის ძირითადი განმკარგულებელი სამსახურებრივი დოკუმენტი (სამართლებრივი აქტი), რომელსაც გამოსცემენ სამხედრო ნაწილის მეთაურები (სამხედრო დაწესებულებების ხელმძღვანელები) ერთმმართველობის უფლებით. ქვედანაყოფის მეთაურებს აქვთ მხოლოდ ზეპირი ბრძანების გაცემის უფლება. ბრძანება უნდა შეესაბამებოდეს კანონების და სამხედრო წესდებების მოთხოვნებს. ბრძანების მეშვეობით ჯარებამდე (ძალებამდე) დაიყვანება საბრძოლო ამოცანები (იხ. საბრძოლო ბრძანება), ხდება მათი ყოველდღიური მოღვაწეობის რეგლამენტირება და სხვ.

53. **ბრძოლა** – დაპირისპირებულ მხარეებს შორის ტაქტიკური დონის კონფლიქტი, რომლის შედეგებს შეუძლია გავლენა მოახდინოს კამპანიის მიმდინარეობაზე. ჯარების (ძალების) ტაქტიკური მოქმედებების ძირითადი ფორმა; მეომარი მხარეების შენაერთების, ნაწილების, ხომალდების, საფრენი აპარატების და ქვედანაყოფების ორგანიზებული შეიარაღებული შეტაკება, რომელიც მიზნის, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებულ დარტყმებს, ცეცხლს და მანევრს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, წარმოებს შეზღუდულ რაიონში მოწინააღმდეგის განადგურების მიზნით და სხვა საბრძოლო ამოცანების ხანმოკლე დროის მანძილზე შესასრულებლად. ბრძოლა შეიძლება იყოს საერთო – საჯარისო, საჰაერო თავდაცვის, საჰაერო და საზღვაო. ბრძოლის წარმოებისთვის ჯარები (ძალები) იღებენ საბრძოლო წყობას.

ბრძოლის წარმოების ხერხები იცვლებოდა შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა განვითარების კვალობაზე. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამდე ბრძოლა წარმოადგენდა ცივი იარაღით შეიარაღებულ მეომართა ცალკეული

ჯგუფების ხელჩართულ შეტაკებებს. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენის და სრულყოფის შემდეგ ბრძოლა იწყებოდა მოწინააღმდეგის ცეცხლის მეშვეობით დაზიანებით და მთავრდებოდა ხელჩართული შეტაკებით. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დამდეგს ბრძოლა მიმდინარეობდა შეზღუდულ ტერიტორიაზე. იარაღის სროლის სიჩქარის, სიშორის და სიზუსტის შემდგომმა ზრდამ გამოიწვია ბრძოლის სივრცობრივი გაქანების გადიდება. ტყვიამფრქვევებით და არტილერიით ჯარების მასობრივ აღჭურვას, ავიაციის და ტანკების გამოყენებას I-ელ მსოფლიო ომში შედეგად მოჰყვა ის, რომ ბრძოლაში წარმატების მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ყველა გვარეობის ჯარების შეთანხმებული ძალისხმევით. 30-იანი წლების დამდეგს შემუშავდა „ღრმა ბრძოლის“ თეორია, რომლის არსიც იყო მოწინააღმდეგის ერთდროული დაზიანება მისი საბრძოლო წყობის მთელ სიღრმეზე, ბრძოლაში მონაწილე მთელი ძალების და საშუალებების ერთობლივი ძალისხმევით. ბრძოლის ამ მთავარმა თავისებურებებმა შემდგომში განვითარება ჰპოვა მე-2 მსოფლიო ომის წლებში. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, მას შემდეგ, რაც რიგ სახელმწიფოებში გაჩნდა ბირთვული იარაღი და რაკეტები, ბრძოლის ხასიათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. თანამედროვე ბრძოლის ძირითად ნიშნებს (სივრცობრივ გაქანებასა და დინამიურობასთან ერთად) წარმოადგენს ვითარების სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები, ფრონტზე და სიღრმეში ბრძოლის არათანაბარი განვითარება, ბრძოლის წარმოების ხერხების მრავალფეროვნება, პირადი შემადგენლობის გაზრდილი მორალური – ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაძაბულობა, ცოცხალი ძალის და შეიარაღების დანაკარგების ზრდა. 70-90-იან წლებში ჯარების აღჭურვას ახალი, ყველა თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი ტანკებით და სხვა ჯავშნოსანი მანქანებით, თვითმფრინავებით და შვეულმფრენებით, სადაზვერვო საცეცხლე დამრტყმელი კომპლექსებით, საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის, მართვის და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით, ნაირგვარი დანიშნულების რაკეტებით, მაღალი სიზუსტის იარაღით, მოცულობითი აფეთქების და გაზრდილი სიმძლავრის საბრძოლო მასალებით და სხვ. შედეგად მოჰყვა ბრძოლაში ჯარების (ძალების) და საშუალებების ურთიერთქმედების როლის შემდგომი ზრდა. გაიზარდა მათი შესაძლებლობა მოწინააღმდეგის ღრმა საცეცხლე დაზიანების და მისი გამანადგურებელი დამარცხებისთვის. თანამედროვე ბრძოლის წარმატებით წარმოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალების და საშუალებების მასირებას და მჭიდრო ურთიერთქმედებას, მოწინააღმდეგის იმავდროულ განადგურებას (ჩახშობას) მისი საბრძოლო წყობის მთელ სიღრმეზე, ჯარების დაშორიშორებას, მუდმივ ბრძოლას მასობრივი დაზიანების საშუალებათა და დიდი სიზუსტის იარაღის წინააღმდეგ, ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობის დროულ აღდგენას, საიმედო საჰაერო თავდაცვას და საბრძოლო მოქმედებების ყოველმხრივ უზრუნველყოფას.

54. **ბრძოლაში წარმატების განვითარება** – 1. ბრძოლის დროს უპირატესობის მოპოვება და ამ მოპოვებული უპირატესობის შემდგომი განვითარება. 2. ხელთარსებული ინფორმაციის ტაქტიკური, ოპერატიული ან სტრატეგიული მიზნებისთვის სრულად გამოყენება. 3. წარმატებულ შეტევას თან სდევს საიერიშო

ოპერაცია, რომელიც გამიზნულია მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში მისი დეზორგანიზებისთვის.

55. **ბრძოლისწინა წყობა** – დანაწევრებული ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების ფრონტის ხაზზე და სიღრმეში დაწყობა, რომელიც გამოიყენება ბრძოლის ველთან მიახლოებისას და შეტევის დროს მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მასობრივი დაზიანების იარაღის, არტილერიის ცეცხლის და ავიაციის დარტყმებისგან ჯარების მინიმალური მოწყვლადობა, სწრაფი მანევრი და საბრძოლო წყობად გაშლა, დასნებოვნების, ნგრევის ზონების, ხერგების და ხანძრების ზონების სწრაფი ტემპით გადალახვა. ბრძოლისწინა წყობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მოწინააღმდეგის თავდაცვაზე იერიშის დროს, მისი საიმედო ჩახშობის შემთხვევაში. ჯარები ბრძოლისწინა წყობაში, ჩვეულებრივ, გადადიან სალაშქრო ან საბრძოლო წყობიდან.

56. **ბაფტინგი** - საფრენი აპარატის რომელიმე ნაწილის ვიბრაცია, რომელიც საჰაერო გრიგალებით არის გამოწვეული და წარმოქმნილი მის წინ განლაგებული კონსტრუქციული ელემენტებისგან.

57. **ბალისტიკა** – მეცნიერება, ხელოვნური სხეულების სროლის პრინციპით გადაადგილების შესახებ. იგი შეისწავლის პროპელერით, ქარით, გრავიტაციით, ტემპერატურით ან სხვა სუბსტანციით, კონდიციით ან ძალით მოძრავი ჭურვის (ნაღმების, ტყვიების, რაკეტების და სხვ.), ან სხვა სხეულის მოძრაობას, ხასიათს და გარემოს. ბალისტიკის ძირითადი განყოფილებებია შიდა და გარე ბალისტიკა. შიდა ბალისტიკა სწავლობს ჭურვის მოძრაობას ლულის არხში დენთის აირების მოქმედებით. მისი ძირითადი განყოფილებებია: პიროსტატიკა, პიროდინამიკა, იარაღის ბალისტიკური დაპროექტება, აგრეთვე შუალედური ბალისტიკა (შემდგომი მოქმედების პერიოდი) და დენთის რაკეტების შიდა ბალისტიკა. გარე ბალისტიკა სწავლობს ჭურვების მოძრაობას ლულასთან და მისგან მომდინარე აირებთან თანამოქმედების შეწყვეტის შემდეგ. გარე ბალისტიკის ძირითადი განყოფილებებია: ფრენის დროს ჭურვზე მოქმედი ძალების და მომენტების შესწავლა; ჭურვის მოძრაობის შესწავლა ტრაექტორიის ელემენტების გასაანგარიშებლად, აგრეთვე მისი მდგრადობისა და გაფანტვის განსასაზღვრავად.

58. **ბალისტიკური რაკეტების გადაჭერა** – ფრენის ტრაექტორიაზე ბალისტიკური რაკეტის ან მის საბრძოლო ნაწილების დაზიანების ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების კომპლექსი. მოიცავს: ფრენაში მათ აღმოჩენას ცრუ მიზნების და დაბრკოლებების ფონზე მათ ამოცნობას; მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრას; რაკეტსაწინაღო საშუალებებით დაზიანებას.

59. **ბარაჟირება** – თვითმფრინავი – გამანადგურებლების ფრენები გამოყოფილ ზონებში (რაიონში) განსაზღვრულ სიმაღლეზე მიწისზედა ობიექტრების დაცვის მიზნით. მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან იხმარება ტერმინი „ჰაერში მორიგეობა“.

60. **ბარიკადი** – ხელოვნური წინაღობა (ძირითადად ადგილობრივი მასალებისაგან – მორები, მიწიანი ტომრები, ქვები და სხვ.), რომელიც შეტევაში მყოფი მოწინააღმდეგისგან დასაცავად გზების და ქუჩების გარდიგარდმო, მთის გადასასვლელებში აღიმართება.

61. **ბატალია** – 1. ბრძოლის, კვეთების სახელწოდება; 2. ქვეითი ჯარის დაწყობა შუა საუკუნეების (XIV – XVI ს) დასავლეთ ევროპაში. წარმოადგენდა მჭიდროდ მიჯრილ კვადრატულ კოლონას, რომელშიც ფრონტზე და გვერდებზე თანაბარი რაოდენობის მეომრები იდგნენ.

62. **ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი** – დროებითი ფორმირება ბრძოლის წარმოებისთვის, რომელიც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების არმიებში ბატალიონის ბაზაზე იქმნება. მოიცავს 2 – 4 სატანკო და მოტოქვეით ასეულს, მართული ტანკსაწინაღო რაკეტების ქვედანაყოფს, ნაღმსატყორცნ, სადაზვერვო, საინჟინრო და ზურგის ქვედანაყოფებს. ჯგუფს შეიძლება მხარს უჭერდეს ცეცხლით მხარდაჭერის შვეულმფრენთა ასეულამდე, საარტილერიო დივიზიონამდე, საზენიტო დანადგარების ოცეულამდე.

63. **ბატალიონის თავდაცვის რაიონი** – ბრიგადის (პოლკის) თავდაცვის მონაკვეთის ნაწილი, რომელიც ბატალიონს მისი გაძლიერების საშუალებებითურთ უკავია. ბატალიონის თავდაცვის რაიონი მოიცავს ასეულის საყრდენ პუნქტებს, რომლებიც მომზადებულია წრიული თავდაცვისთვის და ერთმანეთთან ცეცხლისა და ღობურების სისტემით არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ბატალიონის თავდაცვის რაიონში ეწყობა არტილერიის, ნაღმსატყორცნების, ტანკების, მართული ტანკსაწინაღო რაკეტების, საზენიტო საშუალებების საცეცხლე პოზიციები და სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტები. ტანკსაწინაღო საშუალებებს და ტანკებს ისე განალაგებენ, რომ მათ შეეძლოთ ურთიერთქმედება და მოწინააღმდეგის ტანკებისათვის ცეცხლის დაშენა სროლის ყველაზე ხელსაყრელი სიშორის მანძილიდან. ბატალიონის თავდაცვის რაიონში შეიძლება მომზადდეს, აგრეთვე არტილერიის და საჰაერო თავდაცვის საშუალებების საცეცხლე პოზიციები, საცეცხლე ზღუდეები და ზემდგომი უფროსის საშუალებათა განლაგების ზღუდეები, სათადარიგო და ცრუ საყრდენი პუნქტები და პოზიციები. ბატალიონის თავდაცვის რაიონის ფრონტი 5კმ-მდეა, სიღრმე 3კმ-მდე. წყლისმიერი დაბრკოლების, მთაში და სხვა განსაკუთრებულ პირობებში თავდაცვისას, აგრეთვე უზრუნველყოფის ზოლში და მეწინავე პოზიციაზე ბატალიონის თავდაცვის რაიონის ფრონტი შეიძლება იყოს მეტი.

64. **ბატალური პანორამა** – ფერწერული ტილო ბატალურ თემაზე, ცილინდრული კარკასის შიდა მხარეს დაჭიმული და მის წინ განთავსებული საგნობრივ (ნატურის) გეგმასთან შეთავსებული; სივრცობრივი ხელოვნების სახეობა; პირველი პანორამები მე-18 საუკუნეში ირლანდიელმა მხატვარმა რ. ბარკერმა შექმნა.

65. **ბაზირების რაიონი (ზონა)** ფლოტის ძალების – სანაპიროს ნაწილი მიმდებარე აკვატორიით, ფლოტის ძალების ბაზირებისთვის მოწყობილი. მოიცავს სამხედრო-საზღვაო ბაზას, ბაზირების ძირითად და სამანევრო პუნქტებს, ხომალდების სადგომის გაშორიშორების პუნქტებს და სააეროდრომო კვანძებს.

66. **ბაზირების რაიონის თავდაცვა** – 1. ორგანიზაციულ ღონისძიებათა და საბრძოლო მოქმედებათა ერთობლიობა რომელთა მიზანია, არ დაანებონ მოწინააღმდეგეს ბაზირების რაიონის ხელში ჩაგდება, უზრუნველყონ ამ რაიონში არსებული საზღვაო ძალების და სანაპირო ობიექტების უსაფრთხოება ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან. 2. გემსადგომის ან ბაზირების რაიონის და მომიჯნავე წყლების დაცვა ისეთი გარე საფრთხეებისგან როგორიცაა: წყალქვეშა ნავების,

წყალქვეშა საბრძოლო მოცურავეების ან სხვა საშუალებების თავდასხმა; მოწინააღმდეგის მიერ ნაღმების დაყენება; დივერსიები და სხვ. მოსალოდნელი დარტყმებისაგან ბაზირების რაიონის თავდაცვაში იზიდავენ საზღვაო ძალების (სამხედრო-საზღვაო ბაზის) სხვადასხვა გვარეობის გაერთიანებებს, შენაერთებს და ნაწილებს, სახომალდო დამრტყმელ და საძიებო-დამრტყმელ ჯგუფებს, წყლის რაიონის დაცვის ხომალდების შენაერთებს, წყალქვეშა ნავებს ან მათ ჯგუფებს, საზღვაო ავიაციისა და სანაპირო ჯარების ნაწილებს. ბაზირების რაიონის თავდაცვა ითვალისწინებს საჰაერო თავდაცვის, ნავსაწინაღო თავდაცვის, კატარღასაწინაღო თავდაცვის, ნაღმსაწინაღო თავდაცვის, დესანტსაწინაღო თავდაცვის ორგანიზაციას და სხვ., აგრეთვე მოწინააღმდეგის სხვადასხვა სახეობის იარაღის ზემოქმედებისგან დაცვის, შენიღბვის და რადიოელექტრონული ბრძოლის ორგანიზაციას.

67. **ბგერათშენიღბვა** – ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული გამნიღბველი ბგერების დონის შემცირებაზე, აგრეთვე მოწინააღმდეგისთვის ბგერითი დაზვერვის წარმოების გაძნელებისთვის ბგერების შექმნა; ტაქტიკური შენიღბვის სახეობა. ტარდება მოწინააღმდეგისგან გადაჯგუფების, ჯარების(ძალების) მანევრის და შეცვლის, საბრძოლო მოქმედებების მომზადების დაფარვისთვის.

68. **ბგერითი დაზვერვა** – ბგერის გამზომი ხელსაწყოს მეშვეობით მოწინააღმდეგის არახილვადი მსროლელი ბატარეების (ქვემეხების, ნაღმსატყორცნების, რაკეტების გამშვები დანადგარების) გასროლების ბგერით ცნობების მოპოვება; საარტილერიო ინსტრუმენტული დაზვერვის შემადგენელი ნაწილი. აგრეთვე მისი ამოცანაა საკუთარი არტილერიის სროლის მომსახურება [ჭურვის (ნაღმის) აფეთქების გადახრის განსაზღვრა], ბგერითი რეპერების კოორდინატების განსაზღვრა, დაზიანებაზე სროლის კონტროლი. ბგერითი დაზვერვა არ არის დამოკიდებული ხილვადობის პირობებზე, წარმატებით მოქმედებს წელიწადის ნებისმიერ დროს და მოწინააღმდეგის დაზვერვისგან ძნელად გამოაშკარავდება.

69. **ბიო. . .** რთული სიტყვების ნაწილი, რომელიც მიუთითებს დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, ცხოვრებისეულ პრობლემებთან, ბიოლოგიასთან.

70. **ბიოაკუსტიკა** - ბიოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ცხოველების ბგერისწარმომქნელი და ბგერისამთვისებელი ორგანოების მოწყობას და მუშაობას. ბიოაკუსტიკის მიღწევები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მეტყველების სინთეზის, ადამიანის მანქანასთან კავშირის მოწყობილობების შექმნის, მეტყველების ავტომატური გამოცნობის ამოცანების შესრულებაში და საფუძველს იძლევა მგრძნობიარე ხელსაწყოების დამუშავებაში, რომელიც ხომალდებზე ავტომატური თვალთვალის საშუალებებზე გამოიყენება.

71. **ბიოლოგიური დასნებოვნების რაიონი** – ტერიტორია (აკვატორია), რომლის ფარგლებშიც გავრცელებულია ადამიანების და ცხოველების დაზიანების საშიში პათოლოგიური საშუალებანი ან პათოგენური მიკროორგანიზმები, რომლებიც ჯარების (ძალების) პირადი შემადგენლობის და მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ცხოველებსა და მცენარეებს, აგრეთვე გარემო ბუნებას საფრთხეს უქმნიან. იყოფა საშიშ (ბიოლოგიურ საშუალებათა აეროზოლით პირადი შემადგენლობის დაზიანების ალბათობა არანაკლებ 50%-ისა), ზომიერ (20-50%-მდე)

და სუსტი (1-იდან 20%-მდე) დაზიანების ზონებად. დაშვებულია, რომ დამცავ საშუალებათა გარეშე სუსტი დასნებოვნების ზონებში ყოფნა არ არის საშიში.

72. **ბიოლოგიური დაზვერვა** – მოწინააღმდეგის მიერ დაზიანების სპეციალური (ბიოლოგიური) საშუალებების გამოსაყენებლად მომზადების შესახებ მონაცემების მოპოვება და შესწავლა; მათი გამოყენების ფაქტის, საშუალებებისა და ხერხების დადგენა და მოწინააღმდეგის მიერ გამოყენებული ბიოლოგიური საშუალების (აგენტის) სახეობის, დასნებოვნების კერების ან დაავადების გამომწვევთა გავრცელების საზღვრების, დასნებოვნების ზონებში ეპიდემიოლოგიური საშიშროების შენარჩუნების შესაძლო ხანგრძლიობის განსაზღვრა; სამხედრო დაზვერვის სახეობა.

73. **ბიოლოგიური ვითარება** (ბაქტეოროლგიური ვითარება) – იმ ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიშობა გარკვეულ რაიონში მოწინააღმდეგის მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შედეგად, რაც გავლენას ახდენს ჯარებისა და ფლოტის ძალების მოქმედებებზე. ბიოლოგიური ვითარების ხასიათი დამოკიდებულია მოწინააღმდეგის მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების საშუალებებზე, ხერხებზე და დროზე, გამოყენებული რეცეპტურების სახეობაზე და კონცენტრაციაზე; ბიოლოგიური აეროზოლის დამაზიანებელი კონცენტრაციების გავრცელების სიღრმესა და მიმართულებაზე; დასნებოვნებული რაიონების ზომებსა და საზღვრებზე; რეცეპტურებისა და გამომწვევების გამძლეობაზე გარემოში; ბიოლოგიური იარაღისაგან დასაცავად ჯარების მომზადების დონეზე; დაცვის საშუალებათა არსებობაზე, ეფექტიანობაზე და სხვა ფაქტორებზე.

74. **ბიონავიგაცია -** ცხოველების უნარი, სეზონური მიგრაციის დროს ამოარჩიონ მოძრაობის მიმართულება და გარემოში ორიენტირება. საფუძველია მცირეგაბარიტიანი და სამხედრო დანიშნულების ზუსტი სისტემების შესაძლებლობების კვლევებისათვის.

75. **ბიონიკა** - ცოცხალი ორგანიზმების ორგანიზაციის და ფუნქცირების პრინციპების შემსწავლელი და ამის საფუძველზე ახალი ტექნიკური სისტემების შესაქმნელად ბიოლოგიასთან და ტექნიკასთან სასაზღვრო მეცნიერება. სამხედრო საქმეში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ისეთი პრობლებების გადასაწყვეტად, როგორიცაა შეზღუდულ დროში დიდი რაოდენობის ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გადაცემა; სამხედრო ტექნიკის მაღალი მდგრადობის და სანდოობის მიღწევა; მოწინააღმდეგის შეიარაღების ნიმუშების ამოცნობა; ნავიგაციის, ორიენტაციის და ლოკაციის საშუალებების ახალ პრინციპებზე შექმნა.

76. **ბირთვულ–ნაღმური ღობურების დაზვერვა** – მონაცემების მოპოვება ბირთვულ–ნაღმური ღობურების, ცალკეული ბირთვული ნაღმების (ფუგასების) არსებობის და მოწყობის ადგილების, მათი დაცვის და მართვის სისტემების შესახებ მათი ხელში ჩაგდების და განადგურების ყველაზე მიზანშეწონილი ხერხების განსაზღვრის მიზნით. წარმოებს დაზვერვის ყველა ძალებით და საშუალებებით.

77. **ბირთვული იარაღის დამაზიანებელი ფაქტორები** – ფიზიკური პროცესები, რომლებიც წარმოიქმნება ბირთვული აფეთქების დროს და განსაზღვრავს მის დამაზიანებელ მოქმედებას. ბირთვული იარაღის ძირითად დამაზიანებელ

ფაქტორებს განეკუთვნება: დარტყმითი ტალღა, შუქური გამოსხივება, გამჭოლი რადიაცია, რადიოაქტიური დასნებოვნება და ელექტრომაგნიტური იმპულსი. დამაზიანებელი ფაქტორების ერთდროული მოქმედება იწვევს ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის კომბინირებულ დაზიანებას.

78. **ბლიცკრიგი -** იხ. „ელვისებრი ომი"

79. **ბომბური დარტყმის სიმჭიდროვე** – მიზანზე გადმოყრილი საავიაციო ბომბის მასის შეფარდება მის ფართობთან. იზომება ტ/კმ^2 –ში. ბომბური დარტყმის საჭიროების სიმჭიდროვეს ზოგჯერ დაზიანების ოპერატიულ სიმჭიდროვეს უწოდებენ და ოპერაციის დაგეგმვისას გათვლებისთვის გამოიყენებენ.

80. **ბრიგადის ტაქტიკური ჯგუფი** (იხ. საერთო-საჯარისო ტაქტიკური ჯგუფები)

81. **ბრძანება** – მეთაურის (უფროსის) წერილობითი ან ზეპირი განკარგულება, რომელიც მიმართულია ხელქვეითები და მოითხოვს გარკვეული ქმედებების აუცილებელ შესრულებას, ამა თუ იმ წესების დაცვას, ან გარკვეული წესრიგის დაწესებას. წერილობითი ბრძანება არის სამხედრო მართვის ძირითადი განმკარგულებელი სამსახურებრივი დოკუმენტი (სამართლებრივი აქტი), რომელსაც გამოსცემენ სამხედრო ნაწილის მეთაურები (სამხედრო დაწესებულებების ხელმძღვანელები) ერთმმართველობის უფლებით. ქვედანაყოფის მეთაურებს აქვთ მხოლოდ ზეპირი ბრძანების გაცემის უფლება. ბრძანება უნდა შეესაბამებოდეს კანონების და სამხედრო წესდებების მოთხოვნებს. ბრძანების მეშვეობით ჯარებამდე (ძალებამდე) დაიყვანება საბრძოლო ამოცანები (იხ. საბრძოლო ბრძანება), ხდება მათი ყოველდღიური მოღვაწეობის რეგლამენტირება და სხვ.

82. **ბრძანებულება** – მეთაურის (უფროსის) მიერ ხელქვეითებისადმი კერძო საკითხებზე ამოცანების დაყვანის ფორმა. გაიცემა წერილობით ან ზეპირად. ბრძანებულება კანონების და სამხედრო წესდებების მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

83. **ბრძოლა** – დაპირისპირებულ მხარეებს შორის ტაქტიკური დონის კონფლიქტი, რომლის შედეგებს შეუძლია გავლენა მოახდინოს კამპანიის მიმდინარეობაზე. ჯარების (ძალების) ტაქტიკური მოქმედებების ძირითადი ფორმა; მეომარი მხარეების შენაერთების, ნაწილების, ხომალდების, საფრენი აპარატების და ქვედანაყოფების ორგანიზებული შეიარაღებული შეტაკება, რომელიც მიზნის, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებულ დარტყმებს, ცეცხლს და მანევრს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, წარმოებს შეზღუდულ რაიონში მოწინააღმდეგის განადგურების მიზნით და სხვა საბრძოლო ამოცანების ხანმოკლე დროის მანძილზე შესასრულებლად. ბრძოლა შეიძლება იყოს საერთო – საჯარისო, საჰაერო თავდაცვის, საჰაერო და საზღვაო. ბრძოლის წარმოებისთვის ჯარები (ძალები) იღებენ საბრძოლო წყობას. ბრძოლის წარმოების ხერხები იცვლებოდა შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა განვითარების კვალობაზე. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამდე ბრძოლა წარმოადგენდა ცივი იარაღით შეიარაღებულ მეომართა ცალკეული ჯგუფების ხელჩართულ შეტაკებებს. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენის და სრულყოფის შემდეგ ბრძოლა იწყებოდა მოწინააღმდეგის ცეცხლის მეშვეობით დაზიანებით და მთავრდებოდა ხელჩართული შეტაკებით. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დამდეგს ბრძოლა მიმდინარეობდა შეზღუდულ ტერიტორიაზე. იარაღის სროლის სიჩქარის, სიშორის და სიზუსტის შემდგომმა ზრდამ გამოიწვია ბრძოლის სივრცობრივი

გაქანების გადიდება. ტყვიამფრქვევებით და არტილერიით ჯარების მასობრივ აღჭურვას, ავიაციის და ტანკების გამოყენებას I-ელ მსოფლიო ომში შედეგად მოჰყვა ის, რომ ბრძოლაში წარმატების მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ყველა გვარეობის ჯარების შეთანხმებული ძალისხმევით. 30-იანი წლების დამდეგს შემუშავდა „ღრმა ბრძოლის“ თეორია, რომლის არსიც იყო მოწინააღმდეგის ერთდროული დაზიანება მისი საბრძოლო წყობის მთელ სიღრმეზე, ბრძოლაში მონაწილე მთელი ძალების და საშუალებების ერთობლივი ძალისხმევით. ბრძოლის ამ მთავარმა თავისებურებებმა შემდგომში განვითარება ჰპოვა მე-2 მსოფლიო ომის წლებში. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, მას შემდეგ, რაც რიგ სახელმწიფოებში გაჩნდა ბირთვული იარაღი და რაკეტები, ბრძოლის ხასიათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. თანამედროვე ბრძოლის ძირითად ნიშნებს (სივრცობრივ გაქანებას და დინამიკურობასთან ერთად) წარმოადგენს ვითარების სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები, ფრონტზე და სიღრმეში ბრძოლის არათანაბარი განვითარება, ბრძოლის წარმოების ხერხების მრავალფეროვნება, პირადი შემადგენლობის გაზრდილი მორალური – ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაძაბულობა, ცოცხალი ძალის და შეიარაღების დანაკარგების ზრდა. 70-90-იან წლებში ჯარების აღჭურვას ახალი, ყველა თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი ტანკებით და სხვა ჯავშნოსანი მანქანებით, თვითმფრინავებით და შვეულმფრენებით, სადაზვერვო საცეცხლე დამრტყმელი კომპლექსებით, საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის, მართვის და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით, ნაირგვარი დანიშნულების რაკეტებით, მაღალი სიზუსტის იარაღით, მოცულობითი აფეთქების და გაზრდილი სიმძლავრის საბრძოლო მასალებით და სხვ. შედეგად მოჰყვა ბრძოლაში ჯარების (ძალების) და საშუალებების ურთიერთქმედების როლის შემდგომი ზრდა. გაიზარდა მათი შესაძლებლობა მოწინააღმდეგის ღრმა საცეცხლე დაზიანების და მისი გამანადგურებელი დამარცხებისთვის. თანამედროვე ბრძოლის წარმატებით წარმოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალების და საშუალებების მასირებას და მჭიდრო ურთიერთქმედებას, მოწინააღმდეგის იმავდროულ განადგურებას (ჩახშობას) მისი საბრძოლო წყობის მთელ სიღრმეზე, ჯარების დაშორიშორებას, მუდმივ ბრძოლას მასობრივი დაზიანების საშუალებათა და დიდი სიზუსტის იარაღის წინააღმდეგ, ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობის დროულ აღდგენას, საიმედო ჰაერსაწინაღო თავდაცვას და საბრძოლო მოქმედებების ყოველმხრივ უზრუნველყოფას.

84. **ბრძოლაში შეყვანა** - შეტევის განვითარების მიზნით მე-2 ეშელონიდან და რეზერვიდან გაერთიანების(შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების) ორგანიზებული წინ წამოწევა, გაშლა და ბრძოლაში ჩაბმა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას. ჩვეულებრივ ხორციელდება მთავარი დარტყმის მიმართულებაზე ან შეტევის მოსალოდნელი წარმატების აღნიშვნის, ხოლო ზოგჯერ ჯარების მიერ ტაქტიკური ზონის 1-ლი ეშელონის ან თავდაცვის მთავარი ზოლის სრული გარღვევის შემთხვევაში.

85. **ბრძოლიდან გამოსვლა** – ნაწილების (ქვედანაყოფების) საბრძოლო მოქმედება მოწინააღმდეგის უკან ჩამოტოვების მიზნით, რაც უზრუნველყოფს მათთვის უკან დახევის ან სხვა მიმართულებით მანევრის შესაძლებლობას. ხორციელდება ზემდგომი უფროსის ბრძანებით, არტილერიის მისაწვდომობის გათვალისწინებით.

ბრძოლიდან გამოსვლის სიღრმე პირველ მსოფლიო ომში შეადგენდა 6-8 კმ-ს., მე-2 მსოფლიო ომში 8-10 კმ-ს. დაზიანების საშუალებათა განვითარებასთან, განსაკუთრებით სროლის (გაშვების) სიშორის ზრდასთან დაკავშირებით, ბრძოლიდან გამოსვლის სიღრმე სულ უფრო იზრდებოდა. ბრძოლიდან გამოსვლა წარმოებს უცრად და ფარულად, ჩვეულებრივ - ღამის და შეზღუდული ხედვის სხვა პირობებში. დღისით ფართოდ გამოიყენება ადგილმდებარეობის ნაოჭები, შენიღბვის საშუალებები, საკვამლე და აეროზოლური ფარდები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასობრივი დაზიანების იარაღისგან, მაღალი სიზუსტის იარაღის და ჰაერსაწინაღო თავდაცვის საშუალებებისგან დაცვას. მთავარი ძალების ბრძოლიდან გამოსვლის უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგის უკან ჩამოსატოვებლად და ორგანიზებული დახევის უზრუნველსაყოფად ინიშნება დაფარვის ქვედანაყოფები და არიერგარდები (ზურგის სალაშქრო საგუშაგოები). მათ შემადგენლობაში შეიძლება გამოიყოს 1/3-მდე ქვეითი ქვედანაყოფი, რომელიც გაძლიერებულია ტანკებით, თვითმავალი არტილერიით, ტანკსაწინაღო და სხვა საშუალებებით. უკან დახევა იწყება შემომტევ მოწინააღმდეგეზე ავიაციით, რაკეტებით და არტილერიის ცეცხლით მძლავრი დარტყმის მიყენების შემდეგ, ხოლო თუ შესაძლებელია, კონტრშეტევების შემდეგაც. პირველი გამოჰყავთ ნაწილები (ქვედანაყოფები), რომლებიც არ მონაწილეობენ ბრძოლაში და განლაგებულია ზურგში, შემდეგ წინა ხაზზე მყოფი ნაწილები. მთავარი ძალები პოზიციებს ტოვებენ ცეცხლის და დარტყმების, გადამღობი აეროზოლური ფარდების დაფარვით და გადაადგილდებიან შეკრების რაიონებში, სადაც ხდება შემდგომი მოქმედებისთვის მათი კოლონებად ფორმირება. არტილერია გამოჰყავთ ისეთი თანმიმდევრობით, რომ არ შეწყდეს ცეცხლი მოწინააღმდეგეზე. დაფარვის ქვედანაყოფები რჩება დაკავებულ პოზიციებზე, რათა არ დაუშვან მოწინააღმდეგის გაჭრა მთავარი ძალებისკენ. როდესაც მთავარი ძალები გაივლიან არიერგარდის მიერ დაკავებულ ზღუდეს, ზემდგომი უფროსის ბრძანებით მალულად და ერთდროულად გაჰყავთ დაფარვის ქვედანაყოფები. შემდეგ ისინი უერთდებიან მთავარ ძალებს და მათ გამოიყენებენ არიერგარდების გასაძლიერებლად ან შესაცვლელად.

86. **ბრძოლიდან გამოსვლის დაფარვა** იხილე ბრძოლიდან გამოსვლა

87. **ბრძოლის გეგმიური ცხრილი** იხილე ურთიერთქმედების გეგმა.

88. **ბრძოლის ველი** – ლიტერატურაში გამოყენებული იმ სივრცის აღსანიშნავი გამოთქმა, რომლის ფარგლებშიც საბრძოლო მოქმედებები წარმოებს (წარმოებდა).

89. **ბრძოლისუნარიანობა** - ჯარების(ძალების) მდგომარეობა, რომელიც საშუალებას იძლევა დანიშნულების შესაბამისად ნებისმიერ ვითარებაში წარმატებით აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები და საბრძოლო შესაძლებლობების რეალიზება. საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი შემადგენელი ჩახშობის საშუალებების მასირებული გამოყენებით შესაძლოა ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება. ნაწილობრივიდან (პირადი შემადგენლობის და ტექნიკის დანაკარგების 50-60% -მდე და მართვის შენარჩუნებით) ან სრულად (ძალების და საშუალებების 50-60% -ზე მეტი ან მართვის განადგურებით).

90. **ბრძოლისწინა წყობა** – დანაწევრებული ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების ფრონტის ხაზზე და სიღრმეში დაწყობა, რომელიც გამოიყენება

ბრძოლის ველთან მიახლოებისას და შეტევის დროს მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მასობრივი დაზიანების იარაღის, არტილერიის ცეცხლის და ავიაციის დარტყმებისგან, ჯარების მინიმალური მოწყვლადობა, სწრაფი მანევრი და საბრძოლო წყობად გაშლა, დასნებოვნების, ნგრევის ზონების, ხერგების და ხანძრების ზონების სწრაფი ტემპით გადალახვა. ბრძოლისწინა წყობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მოწინააღმდეგის თავდაცვაზე იერიშის დროს, მისი საიმედო ჩახშობის შემთხვევაში. ჯარები ბრძოლისწინა წყობაში, ჩვეულებრივ, გადადიან სალაშქრო ან საბრძოლო წყობიდან.

გ

91. **გადაწყვეტილება ოპერაციის (ბრძოლაზე) შესახებ** – სარდლის (მეთაურის) მიერ განსაზღვრული საბრძოლო ამოცანის შესრულების წესი და ხერხები. მოიცავს ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრს; ამოცანებს ჯარებისადმი (ძალებისადმი); ურთიერთქმედების ძირითად საკითხებს; მართვის ორგანიზაციის საფუძვლებს; ამოცანებს უზრუნველყოფის ძირითად სახეობებში. გადაწყვეტილება ოპერაციაზე (ბრძოლაზე)ჯარების (ძალების) მართვის საფუძველია. იგი მიიღება დასახული ამოცანის გააზრების, ვითარების შეფასების და გაანგარიშების (ოპერაციის მოდელირების) ჩატარების შედეგად.

92. **გადმოსხმის ზონა –** დადგენილი რაიონი, რომელშიც საჰაერო – სადესანტო ჯარებს გადმოსხამენ და შეიარაღებას, ტექნიკას და საკვებ პროდუქტებს გადმოყრიან.

93. **გაერთიანებების (შენაერთებების, ნაწილების) გაძლიერება** (185) – ორგანიზაციული, საბრძოლო და სპეციალური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ზემდგომი ინსტანციის (სარდლობის) მიერ და მიზნად ისახავს ოპერაციაში (ბრძოლაში) ოპერატიული (საბრძოლო) მოცანების გადაწყვეტისთვის მათი შესაძლებლობების ამაღლებას. გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) გაძლიერება ხორციელდება მათ შემადგენლობაში ახალი შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) ჩართვის; ჯარების (ძალების) დაქვემდებარების შეცვლის; ჯარების სახეობების და გვარეობების, სპეციალური ჯარების ძალების და საშუალებების მიკუთვნების; უფროსი მეტაურის ძალებით გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) მოქმედებების მხარდაჭერის გზით.

94. **გამოძახებით გაფრენა** (160) – საავიაციო მხარდაჭერის დროს საბრძოლო დავალების სახე, რომლის შესრულების დროს განაცხადი წინასწარ არ არის მიცემული, რაც გაფრენის წინ მფრინავების საგულდაგულო ინსტრუქტაჟის საშუალებას არ იძლევა. თვითმფრინავები, რომლებიც ამ ტიპის საბრძოლო გაფრენებისთვის არიან დანიშნული იმყოფებიან საჰაერო, მიწისზედა ად ავიამზიდის საბრძოლო მორიგეობაში და ბორტზე საჭირო საბრძოლო კომპლექტი გააჩნიათ.

95. **განაღმვა** – ნაღმების, მუხტების, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ფეთქებადსაშიში მოწყობილობების დაზვერვა (აღმოჩენა), ამოღება ან განადგურება და მათგან ადგილმდებარეობის, აკვატორიის, ნაგებობების და სხვა ობიექტების გაწმენდა; ბრძოლის (ოპერაციის) საინჟინრო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება. როგორც წესი, ახორციელებენ საინჟინრო ქვედანაყოფები

ხელით ან ტექნიკური საშუალებების, მტრალავი ხომალდების, აგრეთვე სპეციალურად მომზადებული ქვედანაყოფების გამოყენებით.

96. **განსაკუთრებულ ვითარებაში მოქმედებების გეგმა** (60) – შესაძლო საბრძლო მოქმედებების გეგმა, რომლის შემუშავების დროსაც გამოვლენილ ან მოსალოდნელ საწყის ფაქტორებს ითვალისწინებენ. ასეთი გეგმა განიხილება, როგორც მომავალი დაგეგმვის საფუძველი და მუშავდება, გულმოდგინედ მასში აისახება ჯარებისთვის საჭირო რესურსები და გაშლის ვარიანტები.

97. **განსაკუთრებული დანიშნულების ზონა** (20) – რაიონი, რომელსაც მეთაურისთვის (სარდლისთვის) გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა მიმდინარე და მოსალოდნელი საბრძოლო მოქმედებების მიზნების თვალსაზრისით. მოიცავს შემდეგ ზონებს: საბრძოლო ზემოქმედების, საბრძოლო მოქმედებების, და/ან პასუხისმგებლობის ზონას და მის მეზობელ ზონებს.

98. **განწესი** – 1. სამხედრო მოსამსახურეთა ქვედანაყოფი ან ჯგუფი სამხედრო ნაწილში, ხომალდზე (სადღეღამისო განწესი) და გარნიზონში (საგარნიზონო განწესი), რომლებიც ინიშნებიან შიდა, საყარაულო და საგარნიზონო სამსახურის ან სხვა ამოცანების და სამუშაოების შესრულებისთვის (მაგალითად, საკომენდანტო განწესი, სასაზღვრო განწესი, სამუშაოების განწესი და ა.შ.) 2. ძალების და საშუალებების გარკვეული რაოდენობა, რომელიც საჭიროა ან გამოიყოფა ამა თუ იმ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად (მაგალითად თვითმფრინავების განწესი).

99. **გაფანტვა** – 1. დაცემის საშუალო წერტილებთან შედარებით ერთნაირ პირობებში გადმოყრილი (გაშვებული) ბომბების, ჭურვების, ყუმბარების, რაკეტების, ტყვიებისა და ა.შ., დაცემის წერტილების გაფანტვის ხარისხი; 2. საზენიტო არტილერიის გამოყენების სფეროში, მანძილის და მიმართულების მიხედვით აფეთქების შუა წერტილის გარშემო აფეთქების გაფანტვა.

100. **გაძლიერება** – საბრძოლო ამოცანა, რომლის დროსაც ერთი ქვედანაყოფი შეავსებს თავისი მსგავსი სახეობის ქვედანაყოფის საბრძოლო შესაძლებლობებს.

101. **გაძლიერების ტიპიური ვარიანტი** (93) – ვარიანტი, რომლის შესაბამისად ერთი ან რამოდენიმე მიზნობრივი მონაცემი, რომელიც საჭიროა კონკრეტული ვარიანტის განსაზღვრისთვის, არ არის მითითებული.

102. **გადაბაზირება** – ავიაციის ბაზირების (ფლოტის ძალების ბაზირების) ადგილის შეცვლა, არსებული დაჯგუფების გამაგრების, ახლის შექმნის ან საბრძოლო მოქმედებების რაიონში (ზონაში) ნაწილების და შენაერთების მიახლოვებისას.

103. **გადამიზნება ავიაციაში** – ფრენაში მყოფი ავიაციის ძალებისთვის ადრე დასმული საბძოლო ამოცანის შეცვლა (დაზუსტება) ახლით.

104. **გადამღობი ცეცხლი** – სროლა, რომლის დანიშნულებაა არა იმდენად კონკრეტულ მიზანში მოხვედრა, რამდენადაც საკუთარი ძალების მხარდასაჭერად სივრცის ან რაიონის გარკვეული ნაწილის ცეცხლის ტალღით მოცვა. მთლიანი ცეცხლის ფარდა, რომელსაც წარმოშობს ჭურვების აფეთქებები, დიდძალი რაოდენობის ტყვიების ცვენა მოწინააღმდეგის შემტევი ტანკების და ქვეითთა გადაადგილების გზებზე, ტორპედული რაკეტების, საზღვაო დესანტის გადასხმის საშუალებათა მოძრავი ტალღების გზაზე ან საფრენი აპარატების ფრენის გზაზე, რომელიც წარმოიშობა ერთ ან ერთდროულად რამდენიმე ზღუდეზე; საარტილერიო და

ცეცხლსასროლი იარაღის ცეცხლის სახეობა. იყოფა უძრავად და მოძრავად. უძრავი გადამღობი ცეცხლი წარმოებს ერთ ან ერთდროულად რამდენიმე ზღუდეზე, რომლებიც წინასწარ არის დასახული და გამიზნული. მოძრავი გადამღობი ცეცხლი წარმოებს ერთ ან ერთდროულად ორ (ორმაგი გადამღობი ცეცხლი) ზღუდეზე და თანმიმდევრულად გადადის მორიგ დანიშნულ ზღუდეებზე. მანძილი ზღუდეებს შორის, რომლებზეც ერთდროულად წარმოებს ცეცხლი, არის 150-200 მ, ხოლო ზღუდეთა ჯგუფებს შორის 400-600 მ. საზენიტო არტილერიაში გადამღობი ცეცხლი წარმოადგენს ჰაერში ჭურვების აფეთქებათა შედეგად წარმოშობილ ცეცხლის ფარდას, რომელსაც ქმნიან ბატარეების ჯგუფები მოწინააღმდეგის თვითმფრინავების (შვეულმფრენების) ფრენის გზაზე. სასროლი იარაღის, ტყვიამფრქვევების და შაშხანების ზალპური გადამღობი ცეცხლი გამოიყენება თავდაცვაში იმ მიზნით, რომ არ დაუშვან მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის გადაადგილება მოცემულ მიმართულებაზე ცეცხლდასაშენად დასახული ზღუდის გავლით.

105. **გადამღობი რაზმი (ჯგუფი)** – 1. დროებითი ფორმირება ზოგიერთი ქვეყნის არმიაში, რომელიც შედგებოდა საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფებისგან (ნაწილებისგან) და განკუთვნილი იყო მოწინააღმდეგის შემოტევის მიმართულებებზე ღობურების და ნგრევის მოსაწყობად. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში იქმნებოდა თავდაცვაში, ხოლო 1942-დან შეტევაშიც. 1943-დან გადამღობ რაზმს (ჯგუფს) ოფიციალურად ეწოდება მოძრავი გადამღობი რაზმი. 2. სამხედრო-საზღვაო ძალებში – სპეციალურად ნაგები რამდენიმე ხომალდის ან ისეთი ხომალდების (კატარღების) დროებითი ფორმირება, რომლებიც გამოიყენება ნაღმური, ბადის, ბონების ღობურების დასაყენებლად.

106. **გადასასვლელის გამტარუნარიანობა** – დროის ერთეულში (საათი, დღე) ქვედანაყოფების, პირადი შემადგენლობის ან სამხედრო ტექნიკის მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც წყლის დაბრკოლებაზე შეიძლება იყოს გადაყვანილი.

107. **გადატვირთვა** – სხეულის საყრდენთან ურთიერთქმედების შეფარდება მის მასასთან (მიზიდულობის ძალა). გადატვირთვა წარმოიშობა სხეულის მოძრაობის სიჩქარის ან მიმართულების შეცვლით. ადამიანის ორგანიზმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადატვირთვებს 4 -მდე დამაკმაყოფილებლად იტანს (კატაპულტირების დროს 15 ს აღწევს).

108. **გადაწყობა** – მანევრი, რომელსაც ხომალდები ახორციელებენ ერთობლივი ცურვის დროს ორდერის ან წყობის (სალაშქრო და საბრძოლო) შესაცვლელად.

109. **გაფანტული მწყობრი** – ფრონტზე დანაწევრებული საბრძოლო წყობა. ჩვეულებრივ მას იყენებდნენ მსუბუქი ქვეითი რაზმები (ნაწილები,ქვედანაყოფები), რომლებიც მთავარი ძალების წინ მოქმედებდნენ. მათი მთავარი ამოცანა იყო ბრძოლაში ჩაბმა და მთავარი ძალების შეტევის მომზადება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

110. **გაშანტვა** – 1. დაცემის საშუალო წერტილებთან შედარებით ერთნაირ პირობებში გადმოყრილი (გამოშვებული) ბომბების, ჭურვების, ყუმბარების, რაკეტების, ტყვიებისა და ა.შ., დაცემის წერტილების გაფანტვის ხარისხი; 2. საზენიტო არტილერიის გამოყენების სფეროში მანძილის და მიმართულების მიხედვით აფეთქების შუა წერტილის გარშემო აფეთქების გაფანტვა.

111. **გამაგრებული რაიონის გარღვევა** –მოწინააღმდეგის გამაგრებული რაიონის თავდაცვაში რღვეულის შექმნა ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობების დანგრევის, მათი გარნიზონების შემუსვრის და თავდამცველი ჯარების განადგურების გზით, რათა შემდგომ განავითარონ შეტევა სიღრმეში და ფლანგების მხარეს. გამაგრებული რაიონის გარღვევისთვის იქმნება ძალების და საშუალებების მაღალი სიმჭიდროვე, საბრძოლო წყობის ღრმა დაწყობა, რომელიც შეიცავს მოიერიშე რაზმებს (ჯგუფებს), გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში, ტანკებით, დიდი სიმძლავრის ქვემეხებით, ცეცხლსატყორცნებით, საინჟინრო ჯარების ძალებით და საშუალებებით გაძლიერებულ ქვეითთა ქვედანაყოფებს. მეორე მსოფლიო ომში გამაგრებული რაიონის გარღვევა ხორციელდებოდა მძლავრი ხანგრძლივი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ. არც თუ იშვიათად მას წინ უძღოდა აღმოჩენილი ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობების განადგურების პერიოდი. იერიშის მხარდაჭერა ხორციელდებოდა ცეცხლის ტალღით. მოიერიშე ჯგუფები ხელთ იგდებდნენ ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობებს, ხოლო მოიერიშე რაზმები – წინააღმდეგობის კვანძებს. თანამედროვე პირობებში გათვალისწინებულია გამაგრებული რაიონის ყოველმხრივი მომზადების შემდეგ, მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების მდგომარეობიდან ან სიღრმიდან წამოწევით, ერთდროულად ან დროის ინტერვალით რამდენიმე მონაკვეთზე გარღვევა. შენაერთებს და ნაწილებს შეუძლიათ განახორციელონ შეტევა უფრო ვიწრო ზოლებში. ბირთვული იარაღის გამოყენების პირობებში გამაგრებული რაიონის გარღვევა ხორციელდება ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობების და გამაგრებული რაიონის სხვა ობიექტების ბირთვული დარტყმებით განადგურების და ნგრევის გზით და შემტევი ჯარების მიერ გამაგრებული რაიონის შემდგომი დაპყრობით, როგორც წესი, სიღრმიდან წამოწევით. ნატო-ს ქვეყნების არმიებში გამაგრებული რაიონების გარღვევა გათვალისწინებულია განხორციელდეს იმავე პრინციპების საფუძველზე, როგორც თავდაცვის გარღვევა „საჰაერო-სახმელეთო ოპერაციის (კვეთების) ფარგლებში”.

112. **გამანადგურებელსაწინაღო მანევრი** – საფრენი აპარატის ფრენის პარამეტრების შეცვლა (მიმართულების, სიჩქარის, სიმაღლის) აღმოჩენის თავიდან აცილების, დამიზნების ჩაშლის და მოწინააღმდეგის გამანადგურებლის (გამანადგურებლების) საბორტო იარაღის ეფექტურად გამოყენების მიზნით.

113. **გამანადგურებლებით დაფარვა** იხილე საავიაციო დაფარვა.

114. **გამარჯვების დროშა** – ბერლინში, რეიხსტაგის თავზე, 1945 წლის 1 მაისს მზვერავების მ. ქანთარიას და მ. ეგოროვის მიერ აღმართული დროშა.

115. **გამარჯვების მეცნიერება** – რუსი მხედართმთავრის ა.ვ. სუვოროვის დარიგება, რომელშიც ტაქტიკის („თვალზომა, სისწრაფე, მიწოლა”) ძირითადი პრინციპებია ასახული. პირველად 1806წ. გამოიცა.

116. **გამიზვნა –** ზუსტი მონაცემების მოპოვების მიზნით მიზნისკენ ცეცხლის გახსნა.

117. **გამკვეთი დარტყმა** –შეტევაში ჯარების საომარი მოქმედების ხერხი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ოპერატიულ-სტრატეგიული მასშტაბით, მოწინააღმდეგის დაჯგუფების იზოლირებულ ნაწილებად დანაწევრების მიზნით, რათა შემდეგ ისინი ცალკ-ცალკე გაანადგურონ.

118. **გამმიჯნავი ხაზი** – 1. ადგილმდებარეობაზე (ზღვაში) გამავალი პირობითი ხაზი, რომელიც განაცალკავებს მეზობელი გაერთიანებების (შენაერთების, ნაწილების, ხომალდების, ბატალიონების) მოქმედების ზოლებს (მონაკვეთებს, რაიონებს). 2. კონტროლის განხორციელების მეთოდი, რომელიც გულისხმობს გამმიჯნავი ხაზის გავლებას საბრძოლო მოქმედებების რაიონის საზღვრების დასადგენად. აწესებს ზემდგომი მეთაური (სარდალი), რუკაზე დააქვთ პირობითი ნიშნებით, ხელქვეითებს აცნობენ ამოცანების დასახვისას.

119. **გამოხდომა** – დაზვერვის, საალყო ქვემეხების განადგურების ან ხელში ჩაგდების, ტყვეების დახსნის, საალყო სამუშაოთა დარღვევის, მოწინააღმდეგის საინჟინრო ნაგებობათა დანგრევის, აგრეთვე მოიერიშე ჯარების ფლანგზე და ზურგში დარტყმების მიყენების მიზნით ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის ან გარშემორტყმული ქალაქის გარნიზონის ძალების ნაწილის მოალყე ჯარებზე უეცარი თავდასხმა.

120. **გამოძახილი** – საიდუმლო სიტყვა(ჩვეულებრივ დასახლებული პუნქტის დასახელება) დაზვერვაში, დაფარვაში საშვთან ერთად საკუთარი სამხედრო მოსამსახურეების ურთიერთ ამოცნობისთვის გამოიყენება. ნაწილის შტაბი თვითოეულ დღეზე აწესებს.

121. **გამჭოლი რადიაცია** – მაღალენერგეტიკული ნეიტრონების და გამა-კვანტების ნაკადის სახით იონიზირებული გამოსხივება, რომელიც ბირთვული აფეთქების ზონიდან გარემოში ვრცელდება; ბირთვული იარაღის ერთ-ერთი დამაზიანებელი ფაქტორი. ორგანიზმზე ზემოქმედებისას ცოცხალი უჯრედების ატომებს და მოლეკულებს იონიზირებით არღვევს ნორმალურ ნივთიერებათა ცვლას და ცალკეული ორგანიზმების ცხოველმყოფელობას და სხივურ დაავადებას იწვევს. ხასიათდება გამოსხივების იონიზირებული დოზით და დოზის სიმძლავრით.

122. **განადგურება** (იხ. დაზიანება)

123. **განადგურების ზოლი** – საჰაერო თავდაცვის შენაერთის საბრძოლო მოქმედების რაიონის თავზე გამავალი სივრცის ნაწილი, რომელშიც საჰაერო მოწინააღმდეგის მთავარი ძალების გასანადგურებლად ძირითად ძალისხმევას თავს უყრიან. განისაზღვრება საჰაერო თავდაცვის ორგანიზაციისას თავდასაცავი ობიექტების მიმართ მოწინააღმდეგის მოქმედების შესაძლო მიმართულებებზე.

124. **განაღმვა** – ნაღმების, მუხტების, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ფეთქებადსაშიში მოწყობილობების დაზვერვა (აღმოჩენა), ამოღება ან განადგურება და მათგან ადგილმდებარეობის, აკვატორიის, ნაგებობების და სხვა ობიექტების გაწმენდა; ბრძოლის (ოპერაციის) საინჟინრო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება. როგორც წესი, ახორციელებენ საინჟინრო ქვედანაყოფები ხელით ან ტექნიკური საშუალებების, მტრალავი ხომალდების, აგრეთვე სპეციალურად მომზადებული ქვედანაყოფების გამოყენებით.

125. **განკარგულება** – ხელქვეითებამდე ამოცანების დაყვანის ფორმა. წერილობით სახის – საბრძოლო ან სამსახურებრივი დოკუმენტი. საბრძოლო ამოცანებს სარდალი (მეთაური) საბრძოლო განკარგულებით დაიყვანს; ხელქვეითების მიერ მომავალი საბრძოლო ამოცანის შესრულების ორიენტირება წინასწარი განკარგულებით ხორციელდება.

126. **განმარტებითი ბარათი** – გრაფიკული დოკუმენტის ტექსტუალური დანართი. შეიცავს მის დამატებებს (განმარტებები, ანგარიშები და სხვა ცნობები, რომელთა გრაფიკული ასახვა შეუძლებელია).

127. **განმასხვავებელი ნიშნები (სამხედრო მოსამსახურეების)** – ნიშნები ფორმის ტანსაცმელზე პერსონალური სამხედრო წოდების, შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარების გვარეობის, სპეციალური ჯარისადმი, სამსახურისადმი კუთვნილების აღსანიშნავად. განმასხვავებელ ნიშნებს განეკუთვნება: სამხრეები, საყელოს ფერადი დანაკერები, ეპოლეტები; სამკერდე და სამკლაური ნიშნები (მინაკერები, შევრონები); ნიშნები თავსაბურავზე, სამხრეებზე, საყელოს ფერად დანაკერებზე, ეპოლეტებზე (კოკარდები, ემბლემები, ვარსკვლავები და სხვ.), არშიები და ლამპასები.

128. **განღობვის რაზმი (ჯგუფი)** – დროებითი სამხედრო ფორმირება, რომლებიც იქმნება ნაღმასაფეთქებელ და სხვა ღობურებში გასასვლელების გასაყვანად. ნაღმების, აუფეთქებელი ჭურვების, ავიაბომბების, ფუგასების და სხვა ფეთქებადსაშიში საგნებისგან ადგილმდებარეობის გასაწმენდად. განღობვის რაზმის (ჯგუფის) საფუძველს, ჩვეულებრივ, შეადგენენ საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფები, დაზვერვის და განღობვის (განაღმვის) საშუალებებითურთ. მის შემადგენლობაში შეიძლება აგრეთვე შეყვანილ იქნეს ქვეითი (საზღვაო ქვეითი ჯარის), სატანკო, ქიმიური და სხვა ქვედანაყოფები.

129. **განჭვრეტა სამხედრო საქმეში** – სამხედრო თეორიის და პრაქტიკის პროცესების მომავალი განვითარების, სტრატეგიული, ოპერატიული ან ტაქტიკური ვითარების შესაძლო ცვლილებების განსაზღვრა და წინასწარ გათვალისწინება. მსჯელობის დასაბუთების დონის და კატეგორიების მიხედვით განჭვრეტა სამხედრო საქმეში შეიძლება გვევლინებოდეს ვარაუდის, წინასწარმეტყველების (წინათგრძნობის) და პროგნოზის სახით. ემპირიული განჭვრეტა ემყარება ინტუიციას, საღ აზრს, უშუალოდ სამხედრო გამოცდილებას. მეცნიერული განჭვრეტა ეფუძვნება ომის და შეიარაღებული ბრძოლის ობიექტური კანონების ცოდნას, საერთო-მეცნიერული მეთოდების და სამხედრო მეცნიერების სპეციალური მეთოდების გამოყენებას (როგორიც არის ექსტრაპოლაცია, საექსპერტო შეფასება, სამხედრო თამაშები, სამეთაურო-საშტაბო სწავლება და სხვ.). სამხედრო საქმეში განჭვრეტის სირთულეს განაპირობებს სამხედრო სფეროში მოქმედი შემთხვევითი ფაქტორების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მოწინააღმდეგის შესახებ არსებული ინფორმაციის არასაკმარისობა. განჭვრეტის უნარი სამხედრო კადრების დიდმნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც ყალიბდება სწავლის, ჯარებსა და შტაბებში პრაქტიკული მუშაობის შედეგად.

130. **გარემოცვა** – სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი (გუნდი, ქვედანაყოფი), განსაზღვრულ ზღუდეებზე (პუნქტებში) გამოყვანა, უცხო პირების დაცულ ობიექტზე არ შეღწევის, ან მისგან გამოსვლის მიზნით. გამოიყენება უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სროლების, საბრძოლო სროლით სწავლებების, ბომბდაშენის, რაკეტების გაშვების, საველე აეროდრომებიდან თვითმფრინავების ფრენების ჩატარების დროს. გარემოცვის საგუშაგოები კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციით უზრუნველყოფდება.

131. **გარღვევაში შეყვანა** - მეორე ეშელონების და რეზერვების ნაწილების (შენაერთების, გაერთიანებების) ოგანიზებული წაწევა, გაშლა და ჩაბმა ბრძოლაში (კვეთებაში) მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას შეტევის განვითარების მიზნით. ხორციელდება, ჩვეულებრივ, მთავარი დარტყმის მიმართულებით ან მისი დასრულებისას წარმატების გამოკვეთის შემთხვევაში, ხოლო ზოგჯერ, ჯარების მიერ თავდაცვის მთავარი ზოლის ან ტაქტიკური ზოლის 1-ლი ეშელონის სრული გარღვევის შემდეგაც.

132. **გარღვევაში შეყვანის ზოლი** – საერთო-საჯარისო გაერთიანების შეტევის ზოლის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მე-2 მსოფლიო ომის დროს მოძრავი ჯგუფის ჯარები წინაურდებოდნენ, იშლებოდნენ და იწყებდნენ საბრძოლო მოქმედებას შეტევის განვითარების მიზნით.

133. **გასაყრისი** – სამხედრო ნაწილის (ხომალდის) პირადი შემადგენლობისთვის დღის განრიგით დაწესებულ დროს დასაძინებლად სიგნალის მიცემა. 2) რაიმე ქმედებების (სწავლებების, სროლების, მანევრების ხომალდზე ავრალის და ა.შ.) დასრულების (შეწყვეტის) სიგნალი (კომანდა).

134. **გასროლა** – 1. ცეცხლსასროლ იარაღში სატყორცნი მუხტის ფეთქებადი (წვის) პროცესის გარდაქმნა. გამოიყენება საარტილერტიო ჭურვების (ნაღმების, ყუმბარების, ტყვიების) სატყორცნელად. გასროლისას დროის მოკლე მონაკვეთში (წამის მეათასედიდან მეასედამდე) ხდება აირწარმოქმნის ქიმიური პროცესი, რომლის დროსაც ვითარდება მაღალი ტემპერატურა (3000-3500კელვინი) და წნევა (400-800მპა); 2. საბრძოლო მასალა საარტილერიო ქვემეხიდან სროლისთვის

135. **გატენის სიმჭიდროვე** – მუხტის მასის შეფარდება საარტილერიო ქვემეხის სამუხტე ხაზინის მოცულობასთან. რაც უფრო მეტია გატენის სიმჭიდროვე, მით უფრო მეტია ლულის ხვრელში წნევა და ჭურვის (ტყვიის) საწყისი სიჩქარე. ლულიანი არტილერიისთვის გატენის სიმჭიდროვე 0,4-0,8 კგ/მ^3 უდრის.

136. **გაძლიერება** – საბრძოლო ამოცანა, რომლის დროსაც ერთი ქვედანაყოფი შეავსებს თავისი მსგავსი სახეობის ქვედანაყოფის საბრძოლო შესაძლებლობებს.

137. **გემთტარება** – 1) ნაოსნობის დასახული მიზნების მისაღწევად, ტაქტიკური ამოცანის შესრულების დროს მისი უსაფრთხოებისა და მანევრებისთვის, ხომალდის მართვის უზრუნველყოფის პროცესი. მოიცავს: მომავალი ნაოსნობის რაიონის და მარშრუტის შესწავლას ოპერატიულ, ნაღმურ, ნავიგაციურ-ჰიდროგრაფიულ, ჰიდრომეტეოროლოგიურ და სხვა მიმართებით, ლაშქრობის მიზნების და მისი ამოცანების შესაბამისად ხომალდის გზის შერჩევას, გათვლას და ხომალდის მოძრაობის მარშრუტის რუკაზე წინასწარ გაყვანას, აგრეთვე ნაოსნობის რაიონში დასაგეგმ მანევრირებას, უწყვეტ თვალთვალს და საზღვაო ვითარების შეფასებას. 2) უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის საზღვაო ნავიგაციის ძირითად ცნებებს, ნაოსნობის ასტრონომიას, მანევრირებას, ნავიგაციის ტექნიკურ საშუალებებს, ოკეანოგრაფიას და მეტეოროლოგიას.

138. **გენერალური კვეთება** – მეომარი მხარეების მთავარი ძალების გადამწყვეტი შეტაკება ადგილმდებარეობის (აკვატორიის) ერთ შეზღუდულ რაიონში, რომელშიც ერთ-ერთი მოწინააღმდეგის არმიის განადგურების გზით, როგორც წესი, წყდებოდა კამპანიის ან მთელი ომის ბედი (პოლტავის კვეთება – 1709, აუსტერლიცის კვეთება

– 1805 და სხვ.). გენერალური კვეთების სტრატეგია დამახასიათებელია მე-17-19 საუკუნეების სამხედრო ხელოვნებისთვის. მისი აქტიური მომხრე იყო ნაპოლეონ პირველი. მასობრივი არმიების განვითარების შემდეგ გენერალურმა კვეთებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

139. **გეოდეზია** - მეცნიერება დედამიწის გრავიტაციული ველის, ფიგურის და ზომების შესახებ, საერთო დედამიწის და რეფერენც სისტემის კოორდინატების, რუკების და გეგმების შედგენისთვის დედამიწის ზედაპირზე გაზომვებისთვის, სამოქალაქო და სამხედრო ღონისძიებებისთვის სხვადასხვა საინჟინრო უზრუნველყოფისთვის. სამხედრო საქმეში გეოდეზია ჯარების ტოპოგეოდეზიური ამოცანების უზრუნველსაყოფად გამოიყენება

140. **გეოდეზიური ასტრონომია** - ასტრონომიის კარი, გეოდეზიური და კარტოგრაფილი სამუშაობების უზრუნველსაყოფად ასტრონომიული დაკვირვების და მათი შედეგების დამუშავების თეორიას და პრაქტიკას მოიცავს. ასტრონომიული დაკვირვების მონაცემებს გეოდეზიური ქსელების ორიენტირებისთვის, საბრძოლო წყობის ელემენტების გეოდეზიური მიბმისთვის, კუთხოვანი გაზომვების კონტროლის და ჯარების ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფის სხვა ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენებენ.

141. **გეოდეზიური პუნქტი** – წერტილი დედამიწის ზედაპირზე, რომლის მდგომარეობა განსაზღვრულია კოორდინატების სწორკუთხა სისტემით და აღნიშნულია ადგილმდებარეობაზე გეოდეზიური ნიშნით. გეოდეზიური ნიშანი შედგება გეოდეზიური ცენტრისგან, გარე ნიშნისგან და ორი საორიენტირო პუნქტისგან. გეოდეზიური პუნქტის კოორდინატები აღინიშნება გეოდეზიური პუნქტების კოორდინატების კატალოგში.

142. **გეოდეზიური ქსელი** – დედამიწის ზედაპირზე გეოდეზიური პუნქტების სისტემა, რომელთა ურთიერთგანლაგება განსაზღვრულია კოორდინატთა ერთიან სისტემაში აბსოლუტური სიმაღლეების გეოდეზიური აზომვების საფუძველზე. გამოიყენება ტოპოგრაფიული გადაღებების გეოდეზიურ დასაბუთებად, მთელი რიგი საინჟინრო – ტექნიკური ამოცანების შესასრულებლად, ჯარების ტოპოგეოდეზიურ უზრუნველსაყოფად, დედამიწის ფორმის და ზომების შესასწავლად.

143. **გეოდეზიური ხელსაწყოები** - მექანიკური, ოპტიკურ-მექანიკური, ოპტიკურ-ელექტრონული, რადიოელექტრონული მოწყობილობები გაზომვებისთვის - კუთხეების, ხაზების სიგრძის, ამაღლების ასტრონომიულ-გეოდეზიური გეოდეზიური ქსელების, კოსმოსურ გეოდეზიური ნიველური ქსელების და ტოპოგრაფიული სამუშაობების შესრულების დროს. მათ მიუკუთვნება ტეოდოლიტები, ფოტოასტრონომიული დანადგარები, დოპლერის მიმღებები,შუქ და რადიო მანძილმზომები, საზომი ლენტები, გიროტეოდოლიტები, ასტრონომიული უნივერსალები, ნიველირები. თოპოგრაფიული სამუშაობების ჩატარებისას გამოიყენება სტერეოფოტოგრამმეტრული ხელსაწყობი, კიპრეგელი, მენზულა და სხვა.

144. **გრავიმეტრია** - მეცნიერება, რომელიც დედამიწის გრავიტაციულ ველს მის სივრცობრივ ცვლილებებს, გაზომვების მეთოდების კვლევას და მისი მახასიათელების გამოყენებას შეისწავლის. გრავიმეტრიულ მეთოდები გამოიყენება დედამიწის შიდა აგებულების და ფიგურის განსაზღვრისთვის, კოორდინატების

სხვადასხვა სისტემებს შორის კავშირის დასამყარებლად, კოსმოსური აპარატების და ბალისტიკური რაკეტების მოძრაობის ტრაექტორიის გათვლებისთვის, ნავიგაციის ამოცანებისთვის, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვისთვის და დედამიწის ქერქის ზედა ფენების კვლევისთვის.

145. **გრავიტაცია -** მატერიის ნებისმიერი სახეობებს შორის უნივერსალური ურთიერთქმედება. ი. ნიუტონის მიზიდულობის კანონის თანახმად, არალატივისტური კლასიკური ფიზიკის კანონში ილუსტრირდება ბუნებაში ყველა სხეულის ურთიერთმიზიდულობა. რავიტაციის კანონების ცოდნა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ციური სხეულების მასა, ციურ სფეროზე მათი მდგომარეობის გათვლა, ნავიგაციური ამოცანების გადაწყვეტა, კოსმოსური აპარატების და ბალისტიკური რაკეტების მოძრაობის ტრაექტორიის გათვლა და სხვა.

146. **გვერდითი სალაშქრო საგუშაგო** - მარშზე ჯარების სალაშქრო დაცვის ორგანო; შემადგენლობა - ჩვეულებრივ გაძლერებული ქვეითთა (სატანკო) ოცეული, ზოგჯერ ასეული. იგზავნება მეწინავე რაზმისგან ერთი ან ორივე ფლანგის მხარეზე, ან უშუალოდ ნაწილის მთავარი ძალებისგან, რომლებიც დამოუკიდებლად ან შენაერთის კოლონაში გადაადგილდებიან. გვერდითი სალაშქრო საგუშაგოს ამოცანებია – არ დაუშვან მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმა, აგრეთვე დაცულ კოლონაში მისი დაზვერვის შეღწევა და მთავარი ძალებისთვის გაშლისა და ბრძოლაში ჩაბმისთვის პირობების შექმნა.

დ

147. **დაახლოებითი გეგმა** (167) – წინასწარი გეგმა, რომელშიც დეტალური დაგეგმვის დაწყებამდე მოქმედების ძირითადი დებულებები ან პრინციპები არის ზოგადად მითითებული.

148. **დაზიანების ზონა** 1. საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრის (ეპიცენტრის) ირგვლივი სივრცე (ფართობი, მოცულობა), რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილია მიზნის დაზიანება. წარმოადგენს იმ საბრძოლო მასალების (რაკეტების, ჭურვების, ბომბების და ა.შ.) დამაზიანებელი მოქმედების მახასიათებელს, რომლებითაც დაზიანება არ მოითხოვს მიზანში პირდაპირ მოხვედრას. ჩვეულებრივ განისაზღვრება კომბინირებული დაზიანების ზონა, რომელიც საბრძოლო მასალების სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების შედეგია (მაგალითად, ჩვეულებრივი საბრძოლო მასალებისთვის – ნამსხვრევების მოქმედების და დარტყმითი ტალღის ზონა). დაზიანების ზონა იყოფა უტყუარი დაზიანების ზონად, რომლის ფარგლებშიც მიზნის დაზიანება არის უტყუარი ფაქტი, და შესაძლო დაზიანების ზონად, რომლის ფარგლებშიც მიზნის დაზიანება – შემთხვევითი მოვლენაა. 2. სივრცე ზენიტსარაკეტო კომპლექსის გარშემო, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია საჰაერო მიზნის დაზიანება გათვალისწინებულზე არანაკლები ალბათობით. დაზიანების ზონა ხასიათდება შორეული, ახლო, ზედა და ქვედა საზღვრების მდებარეობით.

149. **დაზიანების ზონა –** 1. სივრცე (ფართობი, მოცულობა) საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრის (ეპიცენტრის) ირგვლივი, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილია მიზნის დაზიანება. წარმოადგენს იმ საბრძოლო მასალების (რაკეტების, ჭურვების,

ბომბების და ა.შ.) დამაზიანებელი მოქმედების მახასიათებელს, რომლებითაც დაზიანება არ მოითხოვს მიზანში პირდაპირ მოხვედრას. ჩვეულებრივ განისაზღვრება კომბინირებული დაზიანების ზონა, რომელიც საბრძოლო მასალების სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების შედეგია (მაგალითად, ჩვეულებრივი საბრძოლო მასალებისთვის – ნამსხვრევების მოქმედების და დარტყმითი ტალღის ზონა). დაზიანების ზონა იყოფა უტყუარი დაზიანების ზონად, რომლის ფარგლებშიც მიზნის დაზიანება არის უტყუარი ფაქტი, და შესაძლო დაზიანების ზონად, რომლის ფარგლებშიც მიზნის დაზიანება – შემთხვევითი მოვლენაა. 2. სივრცე ზენიტსარაკეტო კომპლექსის გარშემო, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია საჰაერო მიზნის დაზიანება გათვალისწინებულზე არანაკლები ალბათობით. დაზიანების ზონა ხასიათდება შორეული, ახლო, ზედა და ქვედა საზღვრების მდებარეობით.

150. **დამხმარე გეგმა** (211) – გეგმა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ ვითარებაში მოქმედებების განსაზღვრულ გეგმასთან ან ოპერაციის გეგამსთან. იგი მოიცავს მოქმედებების ფართო, ყოვლისმომცველ ან კონკრეტულ მიმართულებებს, ასევე საერთო და კერძო ამოცანებს ასეთ გეგმაში დაწვრილებით განიხილება საკითხები, რომლებიც არ შეიძლება საწყის გეგმაში იყოს ჩართული.

151. **დანაღმულ ველში გასასვლელი** (138) – დანაღმულ ველზე მონიშნული გასასვლელი, რომელიც თავისუფალია წინაღობებისგან და დაზიანების ზონის გარეთ იმყოფება.

152. **დაფარვის ზონა** – შეერთებული შტატების და ნატო-ს სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების თავდაცვაში საბრძოლო მოქმედებების ზონის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფო საზღვრის და თავდამცველი ჯარების მთავარი დაჯგუფებების დასაცავად მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების უეცარი შემოჭრისაგან, მეწინავე (ძირითადი) თავდაცვითი ზღუდის განლაგების თაობაზე მის შეცდომაში შესაყვანად და იმისთვის, რომ აიძულონ მოწინააღმდეგის ჯარები, დროზე ადრე გაიშალონ, რათა მიაყენონ მათ დანაკარგი. შემოიფარგლება ფრონტიდან სახელმწიფო საზღვრით, ზურგიდან – თავდაცვის ზონის მეწინავე თავდაცვითი ზღუდის წინა კიდით, ფლანგებიდან – საომარი მოქმედების თეატრის საზღვრებით. დაფარვის ზონის სიღრმეა 15-70 კმ, მის ფარგლებში გათვალისწინებულია დაფარვის ჯარებისთვის პოზიციების, ცალკეული საყრდენი პუნქტების და თავდაცვის რაიონების მოწყობა, აგრეთვე საინჟინრო ღობურების განვითარებული სისტემის შექმნა. დაფარვის ზონის მონაკვეთები, რომლებიც შედის გაერთიანებების და შენაერთების მოქმედების ზოლებში, შეადგენენ მათი უზრუნველოფის ზოლებს.

153. **დაშორიშორება** (75) – 1. შეზღუდული ფართობის რაიონებში თავმოყრილი ჯარების, საბრძოლო ტექნიკის ან ორგანიზაციების მათი ცხოველქმედების ამაღლების მიზნით პატარა ნაწილებად განლაგება ან ერთმანეთისგან დაშორება. 2. ჰაერიდან დესანტირების დროს – გადმოყრის ზონაში დაშვებისას პირადი შემადგენლობის და/ან ტექნიკის გაფანტვა. 3. სავაჭრო ნაოსნობაზე სამხედრო-საზღვაო კონტროლის დროს გემების თავმოყრის შემცირება პორტის აკვატორიაში მათი სადგომების გადანაწილებით.

154. **დაცვა** - ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ყველა სახეობის ბრძოლაში, გადაადგილების და ადგილზე განლაგების დროს სახმელეთო მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის აღკვეთის მიზნით, რათა არ დაუშვან მისი დაზვერვის შემოღწევა მთავარ ძალებთან და უზრუნველყონ მათთვის ბრძოლაში

ორგანიზებული და დროული ჩაბმის ხელშემწყობი პირობები; საბრძოლო უზრუნველყოფის სახეობა. დაცვის ტერმინით განზოგადებულად მოიხსენიება ძალები და საშუალებები, რომლებიც დაცვის ამოცანას ასრულებენ. განასხვავებენ საბრძოლო, სალაშქრო, საგუშაგო დაცვას.

155. **დებლოკირება** (180) – საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც ქვედანაყოფების (ნაწილების, შენაერთების) ან ტაქტიკური მნიშვნელობის ობიექტის ბლოკირებისგან გათავისფლების მიზნით ხორციელდება. დებლოკირება მიიღწევა მოწინააღმდეგეზე დარტყმების მიყენებით, იმ რაიონის (ობიექტის) მიმართულებით, რომლებიც ბლოკირებულ ქვედანაყოფს აქვს დაკავებული. იგი მიზნად ისახავს ძირითად ძალებთან მათი მდგრადი კავშირის აღდგენას ან ბლოკირებული რაიონიდან მათ გამოყვნას.

156. **დევნა** – შეტევა უკუქცეულ მოწინააღმდეგეზე საბოლოო შემუსვრის მიზნით, რათა არ დაუშვან სიღრმეში ხელსაყრელ ზღუდეებზე მისი თავდაცვაში ორგანიზებული გადასვლა. დევნას ახასიათებს მოქმედების მაღალი სიმტკიცე, ვითარების სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები, დაძაბული ბრძოლა დროის მოსაგებად, ჯარების მართვის სირთულე. უკუქცეული მოწინააღმდეგის განადგურებას დევნისას აღწევენ იმის მეშვეობით, რომ მის ძირითად ძალებს მიაყენებენ საავიაციო, სარაკეტო და საცეცხლე დარტყმებს, ფრონტიდან შემტევი ჯარების ნაწილი სწრაფი დაწინაურება და მთავარი ძალები სწრაფად გადიან მოწინააღმდეგის უკანდახევის გზაზე, ანაწევრებენ მის დაჯგუფებებს და მუსრავენ ნაწილ-ნაწილ. დევნა შეიძლება ხორციელდებოდეს ფრონტიდან ან მოწინააღმდეგის უკანდახევის მიმართულების პარალელური გზებით, ფლანგების შემოვლით და უკანდახევის გზების გადაჭრის, აგრეთვე კომბინირებული ხერხით – ერთდროულად ფრონტიდან და პარალელური მიმართულებებით. დევნა წარმოებს განუწყვეტლივ, დღისით და ღამით, ნებისმიერ ამინდში. საბრძოლო წყობა დევნის დროს ჩვეულებრივ იგება ერთ ეშელონად ძლიერი საერთო-საჯარისო ეშელონის გამოყოფით.

157. **დესანტის მისვლის გრაფიკი** (19) – საზღვაო-სადესანტო ოპერაციების დროს-გრაფიკი, რომელშიც ყველა დაგეგმილ ეშელონს მიეთითება: ა. შეკრების რაიონიდან გასვლის დრო; ბ. დესანტირების რაიონიდან გასვლის დრო; გ. სხვა საკონტროლო პუნქტების გადალახვის სავარაუდო დრო; დ. დესანტის გადმოსხმის ადგილთან მისვლის გათვლილი დრო.

158. **დივერსიული მოქმედებები** (190) – მოწინააღმდეგის ზურგში სამრეწველო და სამხედრო ობიექტების, ხომალდების, კომუნიკაციების, კავშირგაბმულობის კვანძების და ხაზების, მართვის პუნქტების, სამხედრო ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანის, ცოცხალი ძალის განადგურების და სხვ. მიზნით სპეციალურად მომზადებული ფორმირებების მოქმედებები.

159. **დისლოკაციის შეცვლა** – მშვიდობიან დროს სამხედრო ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებების განლაგების (დაბინავების) ადგილის შეცვლა. ომიანობის დროს ტერმინი „დისლოკაციის შეცვლა” გამოიყენება იმ ჯარების და დაწესებულებების მიმართ, რომლებიც არ შედიან მოქმედი არმიის და საზღვაო ძალების შემადგენლობაში.

160. **დირექტივა** – ჯარების (ძალების) მართვის ოპერატიული (საბრძოლო) ან სამსახურებრივი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მზადების და წარმოების, ჯარების წვრთნის,

საშტატო ორგანიზაციის, მომარაგების და მათ ცხოველქმედების სხვა საკითხებზე. დირექტივა გამოიყენება უმთავრესად შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის სისტემაში სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიული გაერთიანებების მართვისთვის. დირექტივაში ჩამოყალიბებულია განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანი, ამოცანები, მათი შესრულების წესი და ვადები. ისინი შეიძლება იყოს ოპერატიული, საორგანიზაციო – სამობილიზაციო, ჯარების (ძალების) ოპერატიული და საბრძოლო მომზადების, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკისთვის განკუთვნილი.

161. **დოქტრინა** – სამხედრო ძალების და მისი ელემენტების მოქმედების ძირითადი პრინციპები, რომელიც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

162. **დრო "ს"** (96) – ჯარების (ძალების) მოქმედებების დაწყების პირობითი აღნიშვნა. დგინდება ჯარების (ძალების) სხვადასხვა სახეობების მიერ საბრძოლო მოქმედებების შეთანხმების და ერთდროული დარტყმების მიყენების მიზნით, როდესაც საბრძოლო მოქმედებების რეალური დრო არ არის განსაზღვრული ან უსაფრთხოების მიზნით იგი არ ხმაურდება. ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვა და მომზადება წარმოებს "ს"-დან, როგორც დროის ნულოვანი მნიშვნელობიდან.

163. **დაბრკოლებადაცულობა** – იმ ღონისძიებათა ეფექტურობის მაჩვენებელი, რომლებიც დაბრკოლებით ვითარებაში ტექნიკურ საშუალებათა სტაბილურ მუშაობას უზრუნველყოფენ. აღწევენ ტექნიკური ღონისძიებების (დაბრკოლებების გავლენის შემცირება ან გამორიცხვა; სელექციის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და სხვ.) და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებით (რადიოელექტრონული საშუალებების სამუშაო სიხშირეების და ორმხრივი ტერიტორიული განლაგების, დროის, მათი გამოსხივების სიმძლავრის და მიმართულების რეგლამენტაცია; პოზიციების შეცვლა და სხვ.).

164. **დაბრკოლებამდგრადობა** – დაბრკოლებების პირობებში ტექნიკური საშუალებების სტაბილურად მუშაობის უნარი. რაც უფრო მაღალია დაბრკოლებების დონე, რომლის დროსაც ტექნიკური საშუალება მუშაობისუნარიანი რჩება, მით უფრო მაღალია დაბრკოლებამდგრადობა.

165. **დაბრკოლებები** ტექნიკაში – სხვადასხვა სახის მოვლენები, რომლებიც ტექნიკური საშუალებების მუშაობას აბრკოლებენ. განასხვავებენ - მაგნიტურ, ელექტრომაგნიტურ, გრავიტაციულ, და ვიბრაციულს: ხელოვნურ და ბუნებრივ; კოსმოსურ, ატმოსფერულ, ჰიდროაკუსტიკურ, და სეისმურს; საშუალებებით – რადიოელექტრონული, ოპტიკა-ელექტრონული, სადენიანი კავშირგაბმულობის და ჰიდროაკუსტიკური.

166. **დაბრკოლებების სადგურების ჩახშობის ზონა** იხილე რადიოელექტრონული ჩახშობა.

167. **დაბრკოლებითი ვითარება** – სივრცეში, დროში, სიხშირეთა დიაპაზონსა და სხვა განზომილებებში არსებული ფიზიკური ველების, პროცესების და მოვლენების ერთობლიობა, რომლებიც საჭირო სიგნალების მიღებას აძნელებენ ან უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ, აუარესებენ რადიოელექტრონული საშუალებების, კომპლექსების, მართული იარაღის და სამხედრო ტექნიკის ან ინფორმაციის დამუშავების სისტემების ფუნქციონირების ხარისხს.

168. **დაფარვა** – ჯარების (ძალების) განლაგების და საქმიანობის, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტების გამნიღბველი ნიშნების აღმოფხვრა ან შესუსტება; შენიღბვის

ხერხი. დამალვას აღწევენ შენიღბვის დისციპლინის და ჯარების ფარული მართვის მოთხოვნების დაცვით, პირადი შემადგენლობის სიფხიზლით, ჯარების (ძალების) და ზურგის ობიექტების დაშორიშორებით, მათი განლაგების რაიონების შეცვლით, ადგილმდებარეობის და შენიღბვის, საშუალებების მარჯვე გამოყენებით და სხვა ღონისძიებებით.

169. **დაფარვის ხომალდების რაზმი (შენაერთი)** – ერთი ან რამდენიმე კლასის ხომალდების დროებითი ფორმირება, რომელიც განკუთვნილია ოპერაციის (ბრძოლის) დროს მოწინააღმდეგის დარტყმებისგან მთავარი ძალების, აგრეთვე საზღვაო გადაზიდვა-გადაყვანის განმახორციელებელი ბადრაგის დასაფარავად. საბრძოლო (სალაშქრო) ორდერში იმყოფება მოწინააღმდეგის შესაძლო დარტყმების მიმართულებაზე.

170. **დაფარვის ზონა** – საბრძოლო მოქმედებების ზონის ნაწილი შეერთებული შტატების და ნატო-ს სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების თავდაცვაში, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფო საზღვრის და თავდამცველი ჯარების მთავარი დაჯგუფებების დასაცავად მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების უეცარი შემოჭრისაგან, მეწინავე (ძირითადი) თავდაცვითი ზღუდის განლაგების თაობაზე მის შეცდომაში შესაყვანად და იმისათვის, რომ აიძულონ მოწინააღმდეგის ჯარები, დროზე ადრე გაიშალონ, რათა მიაყენონ მათ დანაკარგი. შემოიფარგლება ფრონტიდან სახელმწიფო საზღვრით, ზურგიდან – თავდაცვის ზონის მეწინავე თავდაცვითი ზღუდის წინა კიდით, ფლანგებიდან – საომარი მოქმედების თეატრის საზღვრებით. დაზიანების ზონის სიღრმეა 15-70 კმ, მის ფარგლებში გათვალისწინებულია პოზიციების, ცალკეული საყრდენი პუნქტების და თავდაცვის რაიონების მოწყობა დაფარვის ჯარებისთვის, აგრეთვე საინჟინრო ღობურების განვითარებული სისტემის შექმნა. დაფარვის ზონის მონაკვეთები, რომლებიც შედის გაერთიანებების და შენაერთების მოქმედების ზოლებში, შეადგენენ მათი უზრუნველოფის ზოლებს (გერმანიის არმიაში – უზრუნველყოფის ზონებს).

171. **დამიზნების და მიზანჩვენების პუნქტი** – ჰაერში მყოფი საავიაციო საფრენი აპარატების მართვის პუნქტი. დანიშნულია საფრენი აპარატების საბრძოლო მოქმედებების რაიონში გაყვანისთვის, მათი საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიზნებზე დამიზნებისთვის და საკუთარი საჰაერო თავდაცვის საშუალებებისგან დაზიანების უზრუნველსაყოფად. იშლებიან სახმელეთო ჯარების საზენიტო ნაწილების რაიონებში და ხომალდებზე.

172. **დამიზნებული რადიოაქტიურობა** – ხელოვნურად წარმოქმნილი ნეიტრონებით დასხივებული გარემოს (ჰაერის, ნიადაგის, წყლის, საგნების და ა.შ.) რადიოაქტიურობა. ნეიტრონების წყაროებია ბირთვული აფეთქებები და ბირთვული რეაქციები წარმოქმნილი ბირთვულ რეაქტორებში. ბირთვული აფეთქების დროს დამიზნებული რადიოაქტიურობა რადიოაქტიური დასნებოვნების ერთ-ერთი მიზეზია.

173. **დამოუკიდებელი ძებნის რაიონი** – საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებში საფრენი აპარატების ეკიპაჟები საჰაერო და სახმელეთო მიზნების დამოუკიდებელ ძებნას და განადგურებას აწარმოებენ. საჰაერო მიზნების დამოუკიდებელი ძებნის რაიონი ინიშნება ფრონტის ხაზის მიღმა ან საკუთარი ტერიტორიის თავზე, რომელსაც მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური სადგურები ვერ ხედავენ.

174. **დამხმარე დარტყმა** – ძალების და საშუალებების ნაწილის მიერ მთავარი დარტყმის მიმართულებისაგან დაშორებით (დამხმარე ან სხვა მიმართულებით) მიყენებული დარტყმა. დამხმარე დარტყმის მიყენების მიზანია შექმნას ხელშემწყობი პირობები მთავარი ძალების მიერ წარმატების მისაღწევად, მოპირისპირე მოწინააღმდეგის შესაბოჭად და მთავარი დარტყმის მიმართულებაზე მისი ძალების და საშუალებების მანევრის აღსაკვეთად; უზრუნველყოს მთავარი დაჯგუფება ფლანგზე მოწინააღმდეგის კონტრდარტყმებისგან (კონტრიერიშებისგან); მოწინააღმდეგის მთავარი ძალების შემორტყმის განსახორციელებლად მისი უსწრაფესი განადგურების ან ალყაში მოქცევისთვის

175. **დამხმარე მიმართულება** – ადგილმდებარეობის (წყლის ან საჰაერო სივრცის) ზოლი, სადაც ოპერაციის (ბრძოლის) დროს ძალების და საშუალებების მცირე ნაწილი აწარმოებდა საბრძოლო მოქმედებას ან სადაც ხორციელდებოდა დამხმარე დარტყმა. ოპერაციის (ბრძოლის) დროს შექმნილი ვითარების კვალობაზე დამხმარე მიმართულება არაერთგზის გამხდარა მთავარი მიმართულება.

176. **დასაზიანებელი სივრცე** – სივრცე (ადგილმდებარეობის მონაკვეთი), რომლის ფარგლებშიც მიზანი შეიძლება დაზიანებულ იქნეს ჭურვის, ტყვიის ან პირდაპირი მოხვედრებით მოცემული საცეცხლე პოზიციიდან სროლისას. დასაზიანებელი სივრცე, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ისეთ სიშორეზე სროლისას, რომელიც აღემატება პირდაპირი გასროლის სიშორეს. დასაზიანებელი სივრცის სიღრმე დამოკიდებულია სამიზნის სიმაღლეზე, ტრაექტორიის დაქანებაზე, ადგილმდებარეობის დახრილობის კუთხეზე და შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს დამიზნების ხაზს ზემოთ საშუალო ტრაექტორიების გადამეტების ცხრილების (დასაზიანებელი სივრცის კოეფიციენტთა ცხრილების) მეშვეობით ან როგორც ჭურვის დაცემის კუთხის კოტანგენსზე მიზნის სიმაღლის წარმოებული.

177. **დასნებოვნების სიმჭიდროვე** – მომწამლავი ნივთიერების რაოდენობა დასნებოვნული ფართობის (ზედაპირის) ერთეულზე; ქიმიური ვითარების დახასიათების ერთ-ერთი ფაქტორი. იზომება გ/მ^2 –ში. დასნებოვნების სიმჭიდროვით დასნებოვნებულ ადგილმდებარეობაზე პირადი შემადგენლობისთვის საშიშროების ხარისხზე მსჯელობენ.

178. **დასნებოვნებული ზონების გადალახვა** – ჯარების (ძალების) ორგანიზებული გადაადგილება დასნებოვნებულ ზონებში (მონაკვეთებში), რომელიც უზრუნველყოფს ბრძოლისუნარიანობის მაქსიმალურად შენარჩუნებას და საბრძოლო ამოცანის შესრულებას. ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ასეთი ზონების გვერდის ავლა ან მათზე ჯარების გადასროლა ჰაერით. რადიოაქტიური დასნებოვნების ზონის გადალახვა ხორციელდება შეუჩერებლივ ან გამოსხივების დოზის მაღალი სიმძლავრის დაცემის შემდეგ. ქიმიური და ბიოლოგიური დასნებოვნების ზონებს გვერდს უვლიან, ხოლო თუ ეს შეუძლებელია გადალახავენ შეუჩერებლივ დაცვის საშუალებების გამოყენებით ან ადგილმდებარეობის დეგაზაციის, დეზინფექციის ან ბუნებრივი გაუსნებოვნების შემდეგ.

179. **დაშორებული ბაზირების პუნქტი** – ხომალდების (საბრძოლო კატარღების ჯგუფის) დგომის, მომარაგების და რემონტის დანიშნული ადგილი საზღვაო ძალების ბაზირების რაიონში (ზონაში), რომელიც შერჩეულია მოწინააღმდეგის მიერ მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების საფრთხის წარმოშობისას ხომალდების დაშორების მიზნით. დაშორიშორებული ბაზირების პუნქტში შეიძლება მოეწყოს სამანევრო

ბაზირების პუნქტი ან წარმოადგენდეს ქარის და ტალღებისგან ბუნებრივი საფარებით დაცულ ღუზაზე სადგომს.

180. **დაშვება** – 1. წერილობითი დოკუმენტი, რომელიც იძლევა დასაცავი ობიექტის გახსნის და დასაცავად ჩაბარების უფლებას, აგრეთვე განსაზღვრავს დასაცავი ობიექტის გახსნის და ამ ობიექტზე მისი გახსნის შემდეგ დაშვების წესს. შეიძლება იყოს მუდმივი ან ერთჯერადი; 2. ტექნიკაში – ინტერვალი, რომლის ფარგლებში დასაშვებია პარამეტრის რიცხობრივი მახასიათებლის მისი ნომინალური გაანგარიშებული მნიშვნელობისგან გადახრა.

181. **დასვენების რაიონი** – ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელშიც ჯარები დიდ მანძილზე მარშის შესრულებისას სადღეღამისო გადასვლის შემდეგ პირადი შემადგენლობის დღის ან ღამის დასვენების, ტექნიკის მომსახურების, მარაგის შევსების მიზნით ჩერდებიან. ირჩევენ მოძრაობის მარშრუტების მახლობლად. 3-5 დღიანი გადასვლის შემდეგ ინიშნება სადღეღამისო დასვენება.

182. **დახურული პორტი** – 1. პორტი, რომელშიც სპეციალური ნებართვის გარეშე უცხოეთის გემებს აკრძალული აქვთ შესვლა, აგრეთვე საკუთარ გეგმებს, რომლებზეც უცხოელები არიან. არ არის შეტანილი პორტების ნუსხაში, რომელიც „ზღვაოსნის უწყებებში“ ქვეყნდება; 2. პორტი, რომელიც შედგება ზღვისგან რაბებით ან ნახევარრაბებით გამოცალკევებული აუზებისგან.

183. **დახურული ზღვა** – ზღვა, რომელიც ეკვრის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ნაპირებს და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მისი მეშვეობით სხვა ზღვაში გასასვლელად. დახურული ზღვის სამართლებრივი რეჟიმი, ჩვეულებრივ, შეიცავს სავაჭრო ნაოსნობის ნებართვას და არაზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების ცურვის შეზღუდვას ან სრულ აკრძალვას.

184. **დაზიანება** - შეიარაღებული ბრძოლის სხვადასხვა ძალების და საშუალებების მოწინააღმდეგეზე ზემოქმედება, რის შედეგადაც იგი მთლიანად ან ნაწილობრივ (დროებით) ბრძოლისუნარიანობას კარგავს; დაზიანების საშუალებების გამოყენების დამდგარი (მოსალოდნელი) შედეგი. მაგალითად, სამხედრო დარგში ეს არის მოწინააღმდეგის განადგურება შეიარაღებული ძალებით ომში, კვეთებაში, ოპერაციაში, ბრძოლაში; ობიექტზე (მიზანზე) სხვადასხვა სახეობის იარაღის (საბრძოლო ტექნიკის) ზემოქმედების შედეგი. განასხვავებენ: საბრძოლო, ბიოლოგიური, გეოფიზიკური, ინფრაბგერითი, კოსმოსური, სხივური, რადიოლოგიური, ზემაღალი სიხშირით, თერმული (დამწვრობითი), ქიმიური, აგრეთვე ცეცხლით დაზიანება, ბირთვული დაზიანება და სხვ.

185. **დაზიანების ალბათობა** – (მიზნის), რიცხობრივი სიდიდე, სროლის (ბომბდაშენის და მსგავსი) მოცემულ პირობებში მიზნის დაზიანების შესაძლებლობის დამახასიათებელი, ერთეული(წერტილოვანი) მიზნების ეფექტურობის მაჩვენებელი. გამოიხატება 0-დან 1-მდე(0-დან 100% -მდე). 0-ის ტოლი ალბათობის დროს დაზიანება შეუძლებელია, 1-ის დროს – აბსოლუტურად გარანტირებულია. დაზიანების ალბათობა დამოკიდებულია მიზნის ხასიათზე, გამოსაყენებელი საბრძოლო მასალების რაოდენობასა და ხარისხზე, საბრძოლო გამოყენების პირობებზე, გაბნევის სიდიდეზე, სროლის მომზადებასა და წარმოებაზე, დახარჯულ დროზე და სხვა პირობებზე. დაზიანების ალბათობა ძირითადად გამოიყენება მიზნის აუცილებელი დაზიანების გათვლებისთვის საბრძოლო მასალების რაოდენობის, სროლის ეფექტურობის შეფასებისა და შედარებისთვის.

186. **დაზიანების რადიუსი** – დაზიანების ზონის რადიუსი, მანძილი საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრიდან (ეპიცენტრიდან), რომლის ზღვრებში ობიექტების (მიზნების) დაზიანება შესაძლებელია. დარტყმების ეფექტურობის გათვლებისთვის სარგებლობენ დაზიანების დაყვანილი ზონის რადიუსით.

187. **დაზიანების საიმედოობა** – მიზნის (ობიექტის) დაზიანების გათვალისწინებული შედეგის მიღების ალბათობა. დაზიანების საიმედოობის მაჩვენებლებია: წერტილოვანი მიზნის – დაზიანების ალბათობა; ჯგუფური მიზნის – გარანტირებული ალბათობა, ე.ი. გარანტირებული (გათვალისწინებულზე არანაკლები) ზარალის მიყენების ალბათობა. გადასაწყვეტი ამოცანის მასშტაბის კვალობაზე გარანტირებული ალბათობის მნიშვნელობას იღებენ 0.9-1,0-ის ფარგლებში. დაზიანების საიმედოობის მაჩვენებლებია აგრეთვე საბრძოლო საშუალებების (რაკეტების, ხომალდების, თვითმფრინავების, ქვემეხების და სხვ) მოზიდვის და იმ საბრძოლო მასალის ხარჯვის ნორმები, რომლებიც დგინდება იარაღის საბრძოლო გამოყენების და თეორიული გაანგარიშების გამოცდილების საფუძველზე.

188. **დაზიანების სიმჭიდროვე** – საარტილერიო ცეცხლით მიზნის დაზიანების (ჩახშობის ან განადგურების) საიმედოობის ერთ-ერთი მახასიათებელი. გამოიხატება სროლის მოცემული პირობებისთვის დადგენილი ჭურვების (ნაღმების) ხარჯვის ნორმის წილებით ან მიზანზე ფაქტობრივად დახარჯული ჭურვების ან მისი ფართობის 1 ჰა-ზე (მიზნის ფრონტის 100 მ-ზე), მისი დაზიანების მთელი დროის განმავლობაში.

189. **დაზიანების ზონა** 1. საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრის (ეპიცენტრის) ირგვლივი სივრცე (ფართობი, მოცულობა), რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილია მიზნის დაზიანება. წარმოადგენს იმ საბრძოლო მასალების (რაკეტების, ჭურვების, ბომბების და ა.შ.) დამაზიანებელი მოქმედების მახასიათებელს, რომლებითაც დაზიანება პირდაპირ მოხვედრას მიზანში არ მოითხოვს. ჩვეულებრივ განისაზღვრება კომბინირებული დაზიანების ზონა, რომელიც საბრძოლო მასალების სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების შედეგია (მაგალითად, ჩვეულებრივი საბრძოლო მასალებისთვის – ნამსხვრევების მოქმედების და დამრტყმელი ტალღის ზონა. დაზიანების ზონა იყოფა უტყუარი დაზიანების ზონად, რომლის ფარგლებშიც მიზნის დაზიანება არის უტყუარი ფაქტი, და შესაძლო დაზიანების ზონად, რომლის ფარგლებშიც მიზნის დაზიანება – შემთხვევითი მოვლენაა. 2. სივრცე ზენიტსარაკეტო კომპლექსის გარშემო, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია საჰაერო მიზნის დაზიანება გათვალისწინებულზე არანაკლები ალბათობით. დაზიანების ზონა ხასიათდება შორეული, ახლო, ზედა და ქვედა საზღვრების მდებარეობით.

190. **დაზვერვა ბრძოლით** – სპეციალურად გამოყოფილი ქვედანაყოფების შეტევით მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების მოპოვება. ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების მიღების სხვა გზა არ არსებობს.

191. **დაზვერვა სამოქალაქო თავდაცვის ინტერესებისათვის** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც ჯარები (ძალები) ატარებენ, რათა შეაგროვონ და მართვის ორგანოებს და საგანგებო სიტუაციათა ლიკვიდაციის ძალებს გადასცენ ობიექტური მონაცემები ტექნოგენური, ეკოლოგიური და ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, აგრეთვე მოწინააღმდეგის მიერ დაზიანების თანამედროვე საშუალებათა გამოყენების შედეგების შესახებ. რიგი ქვეყნების საგანგებო სიტუაციის გაფრთხილების და ლიკვიდაციის

ერთიანი სახელმწიფო სისტემის ძალების და საშუალებების მოქმედების უზრუნველყოფის სახეობა. გამოჰყოფენ დაზვერვის სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და კოსმოსურ სახეობებს. სამოქალაქო თავდაცვის ინტერესებისთვის დაზვერვის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათის მიხედვით იყოფა ზოგად და სპეციალურ დაზვერვად. ზოგადი დაზვერვა მოიპოვებს პირველი რიგის სადაზვერვო მონაცემებს შექმნილი ვითარების შეფასების, მისი პროგნოზირების და საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით. სპეციალური დაზვერვა აგროვებს კონკრეტულ ინფორმაციას. სპეციალური დაზვერვის სახეობებს წარმოადგენენ: რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვა, საინჟინრო დაზვერვა, სახანძრო დაზვერვა, სამედიცინო დაზვერვა, სავეტერინარო დაზვერვა, ფიტოპათოლოგიური დაზვერვა და სხვ. 2/437. დ-18.

192. **დაზვერვის დამატებით განხორციელება** – შექმნილი ვითარების ხელთ არსებული მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთმანეთის საწინააღმდეგო მონაცემების შემოწმება, აგრეთვე მოწინააღმდეგის მდგომარეობის, მოქმედებების და განზრახვის სრული და უტყუარი მონაცემების მოპოვება. ძირითადად წინანდელ რაიონებში ადრე დაზვერვილი ობიექტების არსებობის დადასტურების მიზნით ან მათზე დარტყმების მიყენების წინ კოორდინატების დასაზუსტებლად ხორციელდება. დაზვერვის დამატებით განხორციელებისთვის პირველ რიგში გამოიყენება დაზვერვის ტექნიკურ ძალები და საშუალებები. უნარი შესწევთ ზუსტად მოიპოვონ ახალი მონაცემები, დააზუსტონ არსებული მონაცემები და ობიექტს დარტყმის მიყენებამდე ადგილმდებარეობის შეცვლის საშუალება არ მისცენ.

193. **დაზვერვის ზოლი** – ადგილმდებარეობის ზოლი მოწინააღმდეგის განლაგებაში, რომელიც მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოფარგლულია გამმიჯვნელი ხაზებით და რომელშიც გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ძალებით და საშუალებებით დაზვერვა უნდა წარმოებდეს. დაზვერვის ზოლი, ჩვეულებრივ, ინიშნება გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) საბრძოლო მოქმედების ზოლზე უფრო ფართო, ხოლო სიღრმეში – არანაკლებ მისი საბრძოლო ამოცანის სიღრმისა.

194. **დედამიწის ელიფსოიდი** – მათემატიკური ფიგურა – ბრუნვის ელიფსოიდი მცირე შეკუმშვით, რომელიც დედამიწის ელიფსოიდს ყველაზე უკეთ გამოსახავს განასხვავებენ საერთო დედამიწის ელიფსოიდს და რეფერენც-ელიფსოიდს. პირველი ყველაზე სწორად წარმოადგენს დედამიწის ფიგურეს, მეორე – რომელიღაც შეზღუდულ სფეროში (ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი). ამიტომ, მსოფლიოს ქვეყნებში როგორც დამხმარე ზედაპირს დედამიწის სხვადასხვა ელიფსოიდს გამოიყენებენ, რომელთანაც ყველა ასტრონომიულ-გეოდეზიური და გრავიმეტრიული გაზომვები უფარდებენ, ტოპოგრაფიულ გადაღებებს და შესადგენ ტოპოგრაფიულ რუკებს.

195. **დემონსტრაციული მოქმედებები** – ჯარების (ძალების) საომარი და სხვაგვარი მოქმედებები, რომლთა მიზანია, შეიყვანოს მოწინააღმდეგე შეცდომაში მომავალ საბრძოლო მოქმედებების ხასიათის, მთავარი დარტყმის მიმართულების (ძირითადი ძალისხმევის თავმოყრის) შესახებ და გადაასროლინოს ძალები სულ სხვა მიმართულებით. ითვალისწინებენ ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) ჩანაფიქრში. დემონსტრაციული მოქმედებები სტრატეგიული (ოპერატიული) შენიღბვის ერთ-ერთი ხერხია. ხორციელდება კომპლექსურად დაფარვის, იმიტაციის და დეზინფორმაციის ღონისძიებებთან.

196. **დერივაცია** – გასროლილი მბრუნავი საარტილერიო ჭურვის ან ტყვიის გადახრა სასროლი სიბრტყიდან.

197. **დესანტირების რაიონი** – ადგილმდებარეობის მონაკვეთი მოწინააღმდეგის ზურგში, რომელზეც საჰაერო დესანტს გადაისვრიან (გადასხამენ). დესანტირების რაიონი მოიცავს ერთ ან რამდენიმე მოედანს (საპარაშუტო ხერხით დესანტირებისას), ერთ ან რამდენიმე აეროდრომს და დასაჯდომ მოედანს (დაჯდომის ხერხით დესანტირებისას).

198. **დესანტის ფორმირების რაიონი** – აკვატორიის ნაწილი, რომლის ფარგლებში საზღვაო დესანტის ჩასხმის შემდეგ თავს უყრიან სადესანტო ხომალდებს და ტრანსპორტს, სადესანტო რაზმების სალაშქრო ორდერებად დაწყობისთვის.

199. **დესანტის გადასხმის რაიონი -** სანაპიროს ნაწილი მიმდებარე აკვატორიითურთ, სადაც გადასხამენ საზღვაო დესანტს და მოქმედებენ მისი გადასხმის უზრუნველმყოფი ხომალდები. მოიცავს: გადასხმის ძირითად და სათადარიგო მონაკვეთებს, ცეცხლით მხარდაჭერის ხომალდების მანევრირების რაიონს, გადასხმის ძალების ტაქტიკური გაშლის რაიონს, ტრანსპორტიდან დესანტგადასასხმელ საშუალებებზე ჯარების გადასხმის, სამხედრო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების გადატვირთვის რაიონს, გადასხმის პუნქტებში გადაადგილებისთვის სადესანტო გემებისა და გადასასხმელი საშუალებების ფორმირების რაიონს. დესანტის გადასხმის რაიონში საზღვაო დესანტის გადასხმის ბაზა იშლება.

200. **დესანტის გადასხმის საცეცხლე მომზადება** – ცეცხლი განხორციელებული საზღვაო დესანტის გადასხმის წინ, გადასხმის რაიონის ნაღმებისგან გაწმენდის, წყალქვეშა აფეთქებების და სხვა მოსამზადებელი მოქმედებების განსახორციელებლად. აწარმოებს ავიაცია და ცეცხლით მხარდაჭერის ხომალდების რაზმი (ჯგუფი). იწყება გადასხმის ძალების გაშლის წინ ან გაშლისას და გრძელდება გადასხმის პუნქტებთან საზღვაო დესანტის მეწინავე რაზმების ქვედანაყოფებით დატვირთული (1-ლი ეშელონი) დესანტგადასასხმელი საშუალებების მოსვლამდე. ძირითადი ძალისხმევა ხმარდება მოწინააღმდეგის დესანტსაწინააღმო თავდაცვის იმ ობიექტების განადგურებას, რომლებიც შეიძლება წინ აღუდგნენ მეწინავე რაზმების გასვლას და მტრალავი ძალების მოქმედებას. დესანტის გადასხმის საცეცხლე მომზადება დესანტის გადასხმის საცეცხლე მხარდაჭერად გადაიზრდება.

201. **დესანტის გადმოსხმის საცეცხლე მხარდაჭერა** – იწყება სადესანტო-გადმოსასხმელი საშუალებების გადმოსხმის პუნქტებთან იმ სიშორეზე მისვლით, რომლიდანაც მოწინააღმდეგეს დესანტის მეწინავე ქვედანაყოფებისთვის პირდაპირი დამიზნებით ეფექტური წინააღმდეგობა შეუძლია. ხორციელდება ამ მიზნებისთვის გამოყოფილი ავიაციით, საცეცხლე მხარდაჭერის ხომალდებით და დესანტის შემადგენლობაში მყოფი არტილერიით. ძირითადი ძალვა თავმოყრილია მოწინააღმდეგის დაზიანებაზე ნაპირზე და თავდაცვის უახლოეს სიღრმეში.

202. **დესანტსაწინაღო ოპერაცია** – მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული საერთო-საჯარისო გაერთიანებების და ფლოტის ძალების საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის გაერთიანებებთან ურთიერთქმედებით ეწყობა. ხორციელდება იმ მიზნით, რომ აღკვეთოს მოწინააღმდეგის ზღვიდან შემოჭრა, ჩაშალოს (მოიგერიოს) მისი საზღვაო და საჰაერო დესანტების

გადმოსხმა და შეინარჩუნოს ზღვის დასაცავი სანაპირო. ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: მოწინააღმდეგის დესანტისთვის მისი თავმოყრის, სადესანტო რაზმების ჩასხმის (ჩატვირთვის) და ფორმირების რაიონებში ზიანის მიყენებას; ზიანის მიყენებას დესანტის ძალების და საშუალებებისთვის მათი ზღვით გადასვლისას (გადაფრენისას); საზღვაო და საჰაერო დესანტების გადმოსხმის მოგერიებას; გადმოსხმული დესანტის ნაპირზე განადგურებას; ევაკუაციის ჩაშლას და უკან მიმავალი მოწინააღმდეგის დესანტის განადგურებას ზღვაში; მთელი ოპერაციის მანძილზე – მოწინააღმდეგის საჰაერო დარტყმების მოგერიებას.

203. **დესანტსაწინაღო ღობურების გადალახვა** –სადესანტო ხომალდების და დესანტგადასასხმელი საშუალებების გადასხმის პუნქტებისაკენ ღობურებში ორგანიზებული გავლა; საზღვაო დესანტის გადასასხმელად ბრძოლის საწყისი ფაზა. წყალზე განღობვას ახორციელებენ მტრალავი ხომალდებით და გემებზე (კატარღებზე) და შვეულმფრენებზე მყოფი განღობვის გუნდების ძალებით, ზონრიანი (წაგრძელებული) მუხტების, ღობურების ნაწილ-ნაწილ დაშლის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა მუხტებით აფეთქების გზით. ნაპირზე არსებულ ღობურებს დესანტი გადალახავს იმ ხერხებით, რომლებსაც სახმელეთო ჯარები იყენებენ.

204. **დესანტსაწინაღო თავდაცვა** – საერთო-საჯარისო გაერთიანებების (შენაერთების) მიერ ფლოტის ძალებთან, სამხედრო-საჰაერო ძალებთან და საჰაერო თავდაცვის ძალებთან თანამოქმედებით, სანაპირო ზოლის თავდაცვა მოწინააღმდეგის საზღვაო და საჰაერო დესანტების გადმოსხმის აღსაკვეთად. მისი არსია ჯარების თავდაცვითი დაჯგუფების, თავდაცვითი ზღუდეების და პოზიციების, საინჟინრო ღობურების, მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების სისტემის შექმნა და საჰაერო დესანტთან ბრძოლის ორგანიზაცია. დესანტსაწინაღო თავდაცვის ორგანიზაციას და წარმოებას საფუძვლად უდევს ზოგადი მოთხოვნები თავდაცვისადმი.

205. **დევნა** – შეტევა უკუქცეულ მოწინააღმდეგეზე საბოლოო შემუსვრის მიზნით, რათა არ დაუშვან სიღრმეში ხელსაყრელ ზღუდეებზე მისი თავდაცვაში ორგანიზებული გადასვლა. დევნას ახასიათებს მოქმედების მაღალი სიმტკიცე, ვითარების სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები, დაძაბული ბრძოლა დროის მოსაგებად, ჯარების მართვის სირთულე. უკუქცეული მოწინააღმდეგის განადგურებას დევნისას აღწევენ იმის მეოხებით, რომ მის ძირითად ძალებს მიაყენებენ საავიაციო, სარაკეტო და საცეცხლე დარტყმებს, ფრონტიდან შემტევი ჯარების ნაწილის სწრაფი დაწინაურება და სწრაფად გადიან მთავარი ძალები მოწინააღმდეგის უკანდახევის გზაზე, ანაწევრებენ მის დაჯგუფებებს და მუსრავენ ნაწილ-ნაწილ. დევნა შეიძლება ხორციელდებოდეს ფრონტიდან ან მოწინააღმდეგის უკანდახევის მიმართულების პარალელური გზებით, ფლანგების შემოვლით და უკანდახევის გზების გადაჭრის, აგრეთვე კომბინირებული ხერხით – ერთდროულად ფრონტიდან და პარალელური მიმართულებებით. დევნა წარმოებს განუწყვეტლივ, დღისით და ღამით, ნებისმიერ ამინდში. საბრძოლო წყობა დევნის დროს ჩვეულებრივ იგება ერთ ეშელონად ძლიერი საერთო-საჯარისო ეშელონის გამოყოფით.

206. **დისლოკაციის შეცვლა** – მშვიდობიან დროს სამხედრო ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებების განლაგების (დაბინავების) ადგილის შეცვლა. ომიანობის დროს ტერმინი „დისლოკაციის შეცვლა” გამოიყენება იმ ჯარების და

დაწესებულებების მიმართ, რომლებიც არ შედიან მოქმედი არმიის და საზღვაო ძალების შემადგენლობაში.

207. **დოპლერის ეფექტი** – რხევების სიხშირის ცვლილება(ტალღის სიგრძის), რხევების წყაროს და მეთვალთვალის (მიმღების) მიერ ერთმანეთის მიმართ მოძრაობის დროს ამთვისებლობა. მათი დაახლოებისას სიხშირე მატულობს, დაშორებისას კი კლებულობს. დოპლერის ეფექტის უშუალო მიზეზი –მეთვალთვალის წყაროს ფარდობით მოძრავი გამოსხივებული ან არეკლილი რხევების მასშტაბის დროებითი ტრანსფორმაცია. დოპლერის ეფექტი გამოიყენება მოძრავი მიზნების სელექციის მოწყობილობების, რადიოამფეთქებლების, საფრენი აპარატების სიჩქარის გასაზომად და სხვა. სახელწოდება ავსტრიელი ფიზიკოსის კ. დოპლერის საპატივცემულობით არის.

208. **დღის ამოცანა** – 1/573. იხილე საბრძოლო ამოცანა.

209. **დღის განრიგი** – სამხედრო ნაწილში(ხომალდზე) სადღეღამისო დროის განაწილება ყოველდღიური სამსახურის, პირადი შემადგენლობის სწავლის და ყოფაცხოვრების რეგლამენტირების მიზნით.

210. **დროშა** – მე-10-16 ს.ს. დასავლეთ ევროპის ფეოდალურ არმიებში რაინდული ჯარების უმაღლესი ორგანიზაციულ-ტაქტიკური ერთეული. საბრძოლო ერთეული (კორპუსი) მე-17-18 ს.ს. ჩინეთის სამხედრო ორგანიზაციაში. დასახელება დაკავშირებულია იმასთან, რომ თითოეულ კორპუსს განსაზღვრული ფერის თავისი დროშა გააჩნდა.

211. **დროშის აღმართვა და დაშვება** – ბაზებზე, ხომალდებზე ყოველდღიური სამხედრო რიტუალი(ცერემონიალი). დღესასწაულების და საზეიმო ვითარებებში შესაძლოა დროშის საზეიმო აღმართვა დაინიშნოს.

212. **დუელი** – ერთ-ერთი მათგანის გამოწვევით ორ პირს შორის ადრე განსაზღვრულ პირობებზე იარაღის გამოყენებით ორთა ბრძოლა; ღირსების დაცვის აღიარებული ჩვეულების საშუალება. დუელის პირობებს მოწინააღმდეგები, ან მათი სეკუნდანტები აწესებდნენ. ყველაზე გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში, შემდგომში სასამართლო პროცესებით და ფულადი ჯარიმებით შეიცვალა.

ე

213. **ერთობლივი საბრძოლო მოქმედებების ზონა** (108) – დროებითი რაიონი, რომელიც განსაზღვრულია ნატო-ს სტრატეგიული ან რეგიონული სარდლობის სარდლის მიერ, რომლის ფარგლებშიც ნატო-ს გაერთიანებული შეიარარებული ძალების სარდლობის მიერ დანიშნული სახეობათაშორისი სარდალი საბრძოლო მოქმედებების ოპერატიულ დონეზე ახორციელებს გარკვეული ამოცანების დაგეგმვასა და შესრულებას.

214. **ერთობლივი სპეციალური ოპერაცია** (109) – სხვადასხვა უწყებების სპეციალურად გაწვრთნილი, აღჭურვილი და ორგანიზებული ფორმირებების საბრძოლო გამოყენების ფორმა, რომელიც კანონიერების და მართლწესრიგის აღდგენის, საზოგადოებრივი წესრიგის და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება. სპეციალური ოპერაციები შეიძლება იყოს სამხედრო ოპერაციების შემადგენელი ნაწილი ან დამოუკიდებლად განხორციელდეს.

215. **ეშელონი** – 1. საბრძოლო ან ოპერატიული ამოცანის გადასაწყვეტად ჯარების სიღრმეზე დანაწევრებული საბრძოლო მწყობრის შემადგენელი ნაწილი. 2.

გადაადგილებისას – ერთი მარშრუტით მიმავალი საერთო კოლონის ან ჯარების ჯგუფის სიღრმეზე დანაწევრებული ნაწილი. 3. სამხედრო გადაზიდვისას – გადაზიდვის ერთეული.

ვ

216. **ვითარება** (სამხედრო) – იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომელშიც ოპერაციის (ბრძოლის) მომზადება და წარმოება ხორციელდება. მათგან ძირითადია: მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) შემადგენლობა, დაჯგუფება და მოქმედების ხასიათი; საკუთარი ჯარების (ძალების) მდებარეობა, მდგომარეობა, გადასაწყვეტი ამოცანები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; მეზობლების მდებარეობა და მოქმედება; ადგილმდებარეობის ხასიათი; კლიმატური და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები; წელიწადის და დღე-ღამის დრო; საბრძოლო მოქმედებისთვის მზადების და საბრძოლო ამოცანების შესრულების ვადები. მასშტაბის მიხედვით ვითარება შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული ან სტრატეგიული.
იმ გარემოს კვალობაზე, რომელშიც წარმოებს საბრძოლო მოქმედება, განასხვავებენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ვითარებას. ზოგადი ვითარების ელემენტებია ბიოლოგიური, საინჟინრო, ყინულოვანი, სამედიცინო, საზღვაო, სანავიგაციო, რადიაციული, რადიოელექტრონული, ტექნიკური, ლოჯისტიკური, ქიმიური, ელექტრომაგნიტური, ეპიდემიური, ეპიზოოტიური ვითარება და სხვ. ჯარების (ძალების) ეფექტიანი მართვის მიზნით სარდლები (მეთაურები) და შტაბები გამუდმებით აწყობენ ვითარების ამსახველი ცნობების მოპოვებას ყველა შესაძლო ხერხით, სწავლობენ და აფასებენ მათ. ვითარების შეფასებიდან გაკეთებული დასკვნები ხდება საფუძველი ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილების მისაღებად და საბრძოლო მოქმედების წარმოებისას ამოცანების დასაზუსტებლად.

217. **ვითარების შეფასება** – იმ ფაქტორების და პირობების შესწავლა და ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ საბრძოლო მოქმედების მომზადებასა და წარმოებაზე. ამასთან, განისაზღვრება საბრძოლო ამოცანის შესრულების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები და პირობები. მოიცავს მოწინააღმდეგის, თავისი ჯარების (ძალების), საბრძოლო მოქმედების რაიონის მეტეოროლოგიური და კლიმატური პირობების დროის ამსახველი მონაცემების შესწავლას და ანალიზს. ჯარების მართვისას სარდლები (მეთაურები) აწარმოებენ, შტაბების, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების უფროსების დახმარებით ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღების და საომარი მოქმედების დროს.

218. **ვერტმფრენის ტარება** იხილე თვითმფრინავის ტარება

219. **ვეტერინარული დაზვერვა** - ჯარების (ძალების) მოქმედების (განლაგების) ზოლში (რაიონში) ვეტერინარული ვითარების შესახებ ცნობების მოპოვება, შეგროვება და შესწავლა; ზურგის დაზვერვის შემადგენელი ნაწილი.

220. **ვეტერინარული ვითარება** – ფაქტორები და პირობები, რომლებიც გაერთიანების (შენართის, ნაწილის) მოქმედების ზოლში ვეტერინარულ მდგომარეობას ახასიათებენ; ზურგის ვითარების შემადგენელი ნაწილი. ვეტერინარული ვითარება მოიცავს: ტერიტორიის ეპიზოოტიურ ვითარებას; სასურსათო სამსახურის და სამხედრო ვაჭრობის ობიექტების ვეტერინარულ – სანიტარულ მდგომარეობას; დაჭრილი და ავადმყოფი

ცხოველების არსებობას; ვეტერინარული უზრუნველყოფისთვის ადგილობრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობებს და თავისებურებებს. ვეტერინარული ვითარების შესახებ ცნობები მიიღება ვეტერინარული დაზვერვის და სხვა წყაროებისგან.

221. **ვიდეოგრაფია** - ვიდეოკავშირის ერთ-ერთი შემადგენელი, უზრუნველყოფს ვიდეო მონაცემების ბანკებიდან, აგრეთვე აბონენტების მიერ სინთეზირებული გამოსახულების გადაცემას. ვიდეოგრაფიას მიეკუთვნება ტელეტექსტის და ვიდეოტექსტის სისტემები. შესაძლებელია ჯარების მართვის დროს გამოყენება, კერძოდ ვიდეომონაცემების ბანკში არსებული „ელექტრონულ" რუკაზე ვითარების და მისაღები გადაწყვეტილების ასახვის დროს.

222. **ვითარება** (სამხედრო) – იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომელშიც ოპერაციის (ბრძოლის) მომზადება და წარმოება ხორციელდება. მათგან ძირითადია: მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) შემადგენლობა, დაჯგუფება და მოქმედების ხასიათი; საკუთარი ჯარების (ძალების) მდებარეობა, მდგომარეობა, გადასაწყვეტი ამოცანები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; მეზობლების მდებარეობა და მოქმედება; ადგილმდებარეობის ხასიათი; კლიმატური და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები; წელიწადის და დღე-ღამის დრო; საბრძოლო მოქმედებისთვის მზადების და საბრძოლო ამოცანების შესრულების ვადები. მასშტაბის მიხედვით ვითარება შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული ან სტრატეგიული. იმ გარემოს კვალობაზე, რომელშიც წარმოებს საბრძოლო მოქმედება, განასხვავებენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ვითარებას. ზოგადი ვითარების ელემენტებია ბიოლოგიური, საინჟინრო, ყინულოვანი, სამედიცინო, ნაღმური, საზღვაო, სანავიგაციო, რადიაციული, რადიოელექტრონული, ტექნიკური, ზურგის, ქიმიური, ელექტრომაგნიტური, ეპიდემიური, ეპიზოოტიური ვითარება და სხვ. ჯარების (ძალების) ეფექტიანი მართვის მიზნით სარდლები (მეთაურები) და შტაბები გამუდმებით აწყობენ ვითარების ამსახველი ცნობების მოპოვებას ყველა შესაძლო ხერხით, სწავლობენ და აფასებენ მათ. ვითარების შეფასებიდან გაკეთებული დასკვნები ხდება საფუძველი ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილების მისაღებად და საბრძოლო მოქმედების წარმოებისას ამოცანების დასაზუსტებლად. მანევრებზე, ტაქტიკურ სწავლებებზე და მეცადინეობებზე დასახული სასწავლო საკითხების დასახვეწად ხელმძღვანელობა რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ სასწავლო ვითარებას ქმნის.

223. **ვითარების ასახვა** – თავისი და მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) მდებარეობის, მდგომარეობის, მოქმედების, ვითარების და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციის თვალსაჩინოდ მიწოდება, რომელიც საჭიროა ჯარების (ძალების) და საბრძოლო საშუალებების მართვის პროცესში გამოყენებისთვის. ხორციელდება შეიარაღებულ ძალებში მიღებული პირობითი ნიშნების მეშვეობით ტოპოგრაფიულ და სპეციალურ რუკებზე, სქემებზე, პლანშეტებზე და ა.შ. ვითარების ასახვა. ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ვითარების ასახვა წარმოებს ეკრანებზე, ტაბლოებზე, ტერმინალებზე, დისპლეებზე.

224. **ვითარების შეფასება** – იმ ფაქტორების და პირობების შესწავლა და ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ საბრძოლო მოქმედების მომზადებას და წარმოებაზე. ამასთან, განისაზღვრება საბრძოლო ამოცანის შესრულების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები და პირობები. მოიცავს მოწინააღმდეგის, თავისი ჯარების (ძალების), საბრძოლო მოქმედების რაიონის მეტეოროლოგიური და

კლიმატური პირობების დროის ამსახველი მონაცემების შესწავლას და ანალიზს. ჯარების მართვისას სარდლები (მეთაურები), შტაბების, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების უფროსების დახმარებით ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღების და საომარი მოქმედების დროს ახორციელებენ.

ზ

225. **ზალპის პოზიცია** – ტორპედოებით ან ნავსაწინაღო იარაღით ზალპური სროლის მომენტში მიზანთან ფარდობით საბრძოლო კურსზე ხომალდების მდგომარეობა. ზალპის პოზიცია განისაზღვრება პელენგით ან მიზნამდე დისტანციით. ზალპის წარმოების შემდეგ ხომალდები ახალი ზალპის პოზიციაზე გადაადგილდებიან.

226. **ზენიტსაწინაღო მანევრი** – თვითმფრინავის (შვეულმფრენის) კურსის, ფრენის სიჩქარის და სიმაღლის შეცვლა საზენიტო არტილერიის ცეცხლის ზონაში დაზიანების ალბათობის შემცირების მიზნით. როგორც წესი, ფრენის ყველა პარამეტრი ერთდროულად იცვლება. ზენიტსაწინაღო მანევრი ეხამება მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიის ცეცხლის მართვის საშუალებათა რადიოელექტრონულ ჩახშობას.

227. **ზღუდის გამაგრება** – მოწინააღმდეგისთვის წართმეული, ტაქტიკური და ოპერატიული თვალსაზრისით ხელსაყრელი ზღუდის თავდაცვისთვის მომზადება. ახორციელებენ შეტევაში (კონტრშეტევაში) 1-ლი და მე-2 ეშელონების (რეზერვის) ჯარები, თავდაცვაში – ჯარები, რომლებმაც განახორციელეს კონტრიერიში (კონტრდარტყმა) ან მანევრი. ზღუდის გამაგრებისას, უწინარეს ყოვლისა, ეწყობა დაზვერვა, ცეცხლის, გადაღობვის და საჰაერო თავდაცვის სისტემები, იკავებენ ტაქტიკური (ოპერატიული) თვალსაზრისით ხელსაყრელ მონაკვეთებს (რაიონებს), ძალებს და საშუალებებს, საბრძოლო წყობაში შლიან აშენებენ უმარტივეს თავდაცვით ნაგებობებს.

228. **ზღვის დახურული რაიონი** – ტერიტორიული წყლების რაიონი, რომელშიც ზღვისპირა სახელმწიფო დროებით ან მუდმივად კრძალავს (ზღუდავს) თავისი და უცხოეთის გემების ნაოსნობას და გარკვეულ სახეობათა საქმიანობას. ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ საშიში მოქმედების განხორციელებისას (მაგალითად, რაკეტების გამოცდის დროს) ცხადდება არა ზღვის დახურული რაიონი, არამედ ნაოსნობისთვის საშიში რაიონები, რომელთა რეჟიმმა არ უნდა მიაყენოს ზიანი ღია ზღვის თავისუფლების პრინციპს.

229. **ზღვით გადასვლა** – ამოცანის შესასრულებლად ხომალდის (ჯგუფის, რაზმის, შენაერთის, ბადრაგის) მსვლელობა ერთი (საწყისი) პუნქტიდან, ან ზღვის (ოკეანის) რაიონიდან, მეორეში გადაადგილდება. ზღვით გადასვლა სრულდება ოპტიმალური მარშრუტით, რომელსაც ირჩევენ გადასვლის რაიონის, თავისი ძალების საბრძოლო და სამანევრო შესაძლებლობების, მოწინააღმდეგის მოსალოდნელი მოქმედებების და მისვლის ვადების შეფასების გათვალისწინებით. ხომალდების შენაერთები, რაზმები და ჯგუფები მიდიან სალაშქრო წყობით (მწყობრად ან ორდერებად).

თ

230. **თავდაცვა** – ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედების სახეობა, რომელიც როგორც წესი, გამოიყენება, მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების შეტევის (დარტყმების) მოსაგერიებლად, დასახული მიმართულებების (ზღუდეების, რაიონების,

ობიექტების) შენარჩუნების (დაფარვის), ერთ მიმართულებაზე ძალების და საშუალებების ეკონომიისა და მეორეზე მოწინააღმდეგის შემომტევი დაჯგუფებებისთვის ზიანის მიყენების და თავისი ჯარების კონტრშეტევაზე (შეტევაზე) გადასაყვანად პირობების შექმნის მიზნით. თავდაცვა შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული, გამოყენებულ იქნეს იძულებით ან წინასწარ განზრახულად. საბრძოლო მოქმედების პროცესში თავდაცვის არსია მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა დამარცხება მათი წამოწევის და შეტევისთვის საწყისი მდგომარეობის დაკავების, თავდაცვის წინა ხაზის იერიშის დროს და თავდაცვითი ზღუდეების შესანარჩუნებლად. ამის მისაღწევად მოწინააღმდეგეს სხვადასხვა სახეობის იარაღით ცეცხლით დარტყმებს აყენებენ, ახორციელებენ კონტრმომზადებას, მტკიცედ იცავენ საკვანძო პოზიციებს და თავდაცვის რაიონებს, მიმართავენ კონტრდარტყმებს (კონტრიერიშებს).

21-ე საუკუნის დამდეგს თავდაცვის წარმოების ძირითად ფორმებს მთელი რიგი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში წარმოადგენს თავდაცვითი ოპერაცია საომარი მოქმედების თეატრში, არმიების ჯგუფის, არმიისა და კორპუსის თავდაცვითი ოპერაციები, დივიზიის, ბრიგადის, პოლკის, ბატალიონის ქვედანაყოფების თავდაცვა. ყველა თავდაცვითი ოპერაცია (საბრძოლო მოქმედება) საერთო-საჯარისოა.

თავდაცვის აგება მოიცავს: ჯარების (ძალების) დაჯგუფებას და მათ ოპერატიულ დაწყობას (საბრძოლო წყობას); თავდაცვითი ზღუდეების, ზოლების, პოზიციების სისტემას; მოწინააღმდეგის კომპლექსური ცეცხლით დაზიანების სისტემის (ცეცხლის სისტემის) ორგანიზაციას, ტანკსაწინაღო, საჰაერო, დესანტსაწინაღო თავდაცვის სისტემების და საინჟინრო ღობურების შექმნას.

თავდაცვას განსაკუთრებულ პირობებში (ქალაქში, მთაში, უდაბნოში, ტყიან და ჭაობიან ადგილებში, ზამთრობით ჩრდილოეთის რაიონებში) დამახასიათებელი თავისებურებები აქვს.

231. **თავდაცვითი პოტენციალი** (66) – ძალები, საშუალებები და ხარისხი, რომელიც უნდა გააჩნდეს ჯარებს მის წინაშე დასმული ამოცანების ეფექტური შესრულების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

232. **თავდაცვის ზოლი** – ადგილმდებარეობის ზოლი, რომელიც განკუთვნილია გაერთიანების ან შენაერთის მიერ თავდაცვისთვის (ან დაცვისთვის) იმ მიზნით, რომ: პოზიციური მოგერიებისას – მიაყენონ ზიანი მოწინააღმდეგეს, მოიგერიონ მისი შეტევა და შეინარჩუნონ დიდმნიშვნელოვანი ზღუდეები და ადგილმდებარეობის რაიონები; მანევრული მოგერიებისას – მიაყენონ ზიანი შემომტევ მოწინააღმდეგეს სიღრმეში ეშელონირებული ზღუდეების თანმიმდევრული შენარჩუნების გზით. თავდაცვის ზოლში განლაგდებიან ჯარების (ძალების) დაჯგუფებები, ეწყობა მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების სისტემა (ცეცხლის სისტემა), ეწყობა საფორტიფიკაციო ნაგებობები და ღობურები. თავდაცვის ზოლი შემოფარგლულია ფრონტიდან წინა კიდით; ფლანგებიდან გამმიჯვნელი ხაზებით; ზურგიდან: პოზიციურ მოგერიებაში – მეორე ეშელონებისა და რეზერვების განლაგების (თავმოყრის) რაიონებით; მანევრულში – თავდაცვის საბოლოო ზღუდის ზურგის საზღვრით. გაერთიანების (შენაერთის) თავდაცვის ზოლის სიგანე განისაზღვრება ძირითადად მისი საბრძოლო შესაძლებლობებით, ე.ი. მოწინააღმდეგის დაჯგუფების შეტევის ფრონტის სიდიდით, რომლის დარტყმაც მას შეუძლია მოიგერიოს, ხოლო სიღრმე - თავდამცველი ჯარების ეშელონირების სიღრმით.

233. **თავდაცვის ზონა** (66) – საინჟინრო თვალსაზრისით მოწყობილი ადგილმდებარეობის რაიონი (ზოლი), რომელშიც გაერთიანებები (შენაერთები) საბრძოლო წყობაში (ოპერატიულ დაწყობაში) იშლებიან და თავდაცვით ბრძოლის (შერკინებას) აწარმოებენ.

234. **თავმოყრის შუალედური რაიონი** – 1. რაიონი, რომელიც მდებარეობს საწყის რაიონსა და მიზნების მდებარეობის რაიონს შორის. საწყის რაიონში მომზადების შემდეგ მთელი ჯარები ან მათი ნაწილი ახორციელებენ საწვავით მომარაგებას, გადაჯგუფებას, მომზადებას, ინსპექტირების გავლას, ჯარების და მატერიალური საშუალებების გადანაწილებას; 2. რაიონი, რომელიც გადაჯგუფების პერიოდში გამოყოფილია საჯარისო ნაწილების, ქვედანაყოფების და ცვალებადი პირადი შემადგენლობის კომუნიკაციის ხაზებზე თავმოყრისთვის.

235. **თანამგზავრსაწინაღმდეგო ბრძოლა** – ღონისძიებების და ჯარების მოქმედების კომპლექსი, რომელის მიზანია, კოსმოსში და კოსმოსიდან მოწინააღმდეგის თავდასხმა მოიგერიოს. თანამგზავრსაწინაღმდეგო ბრძოლა შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თანამგზავრსაწინაღმდეგო ბრძოლის ინტერესებისათვის მშვიდობიან დროს ხორციელდება კოსმოსური სივრცის კონტროლი, კატალოგის (მიზნების) შექმნა და დაზუსტება, ცალკეული კოსმოსური აპარატების ინსპექცია, თანამგზავრსაწინაღმდეგო ბრძოლის საშუალებების შენარჩუნება მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში. საბრძოლო მოქმედების წარმოებისას თანამგზავრსაწინაღმდეგო ბრძოლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: კოსმოსში ბატონობის მოსაპოვებლად მოწინააღმდეგის გეგმების ჩაშლა, მოწინააღმდეგის საინფორმაციო და საბრძოლო კოსმოსური სისტემებისა და ცალკეული კოსმოსური აპარატების დაზიანება, საკუთარი ჯარების მოქმედების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით რაკეტსაწინაღმდეგო თავდაცვის კოსმოსური ეშელონის დაზიანება. თანამგზავრასწინაღმდეგო ბრძოლის წარმოებისათვის შეიძლება შეიქმნას სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური ბაზირების თანამგზავრსაწინაღმდეგო საშუალებებით შეიარაღებული სპეციალური ფორმირებები (გამშვები დანადგარი, თანამგზავრსაწინაღმდეგო რაკეტა და კოსმოსური აპარატის უშუალო დამჭერი). თანამგზავრსაწინაღმდეგო ბრძოლის ძალების გამოყენების ფორმებია – მოწინააღმდეგის კოსმოსურ სისტემების ორბიტულ დაჯგუფებაზე მასირებული, ჯგუფური და ერთეული დარტყმა.

236. **თანამგზავრსაწინაღმდეგო იარაღი** – თანამგზავრსაწინაღმდეგო ბრძოლაში კოსმოსური აპარატების დასაზიანებელი იარაღი. მოიცავს დაზიანების კოსმოსურ საშუალებებს (ჩვეულებრივ, საბრძოლო კოსმოსურ სადგურს) და ორბიტაზე მათი გატანის საშუალებებს (სხვადასხვა ბაზირების სარაკეტო-კოსმოსური კომპლექსები). უშუალო დაზიანების საშუალებად ყველაზე მისაღებად ითვლება კინეტიკური იარაღი და სხივური იარაღი. თანამგზავრსაწინაღმდეგო იარაღის შემუშავება აშშ-ში დაიწყო პრაქტიკულად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაჩენისთანავე.

237. **თანხლების არტილერია** – ბატალიონის ან პოლკის და გადაცემული თვითმავალი არტილერიის ქვედანაყოფები (ქვემეხები), რომლებიც ომის დროს მოქმედებენ ქვეითი ჯარის და ტანკების საბრძოლო წყობაში იმ მოწინააღმდეგის დასაზიანებლად, რომელიც აბრკოლებს მათ წინსვლას. ცეცხლი უპირატესად პირდაპირი დამიზნებით წარმოებს.

238. **თავდაცვა** – ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედების სახეობა, რომელიც როგორც წესი, გამოიყენება, მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების შეტევის (დარტყმების) მოსაგერიებლად, დასახული მიმართულებების (ზღუდეების, რაიონების, ობიექტების) შენარჩუნების (დაფარვის), ერთ მიმართულებაზე ძალების და საშუალებების ეკონომიისა და მეორეზე მოწინააღმდეგის შემომტევი დაჯგუფებებისთვის ზიანის მიყენების და თავისი ჯარების კონტრშეტევაზე (შეტევაზე) გადასაყვანად პირობების შექმნის მიზნით. თავდაცვა შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული, გამოყენებულ იქნეს იძულებით ან წინასწარ განზრახულად. საბრძოლო მოქმედების პროცესში თავდაცვის არსია მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა დამარცხება მათი წამოწევის და შეტევისთვის საწყისი მდგომარეობის დაკავების, თავდაცვის წინა ხაზის იერიშის დროს და თავდაცვითი ზღუდეების შესანარჩუნებლად. ამის მისაღწევად მოწინააღმდეგეს სხვადასხვა სახეობის იარაღით ცეცხლით დარტყმებს აყენებენ, ახორციელებენ კონტრმომზადებას, მტკიცედ იცავენ საკვანძო პოზიციებს და თავდაცვის რაიონებს, მიმართავენ კონტრდარტყმებს (კონტრიერიშებს). 21-ე საუკუნის დამდეგს თავდაცვის წარმოების ძირითად ფორმებს მთელი რიგი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში წარმოადგენს თავდაცვითი ოპერაცია საომარი მოქმედების თეატრში, ფრონტის (არმიების ჯგუფის), არმიისა და კორპუსის თავდაცვითი ოპერაციები, დივიზიის, ბრიგადის, პოლკის, ბატალიონის ქვედანაყოფების თავდაცვა. ყველა თავდაცვითი ოპერაცია (საბრძოლო მოქმედება) საერთო-საჯარისოა. თავდაცვის აგება მოიცავს: ჯარების (ძალების) დაჯგუფებას და მათ ოპერატიულ დაწყობას (საბრძოლო წყობას); თავდაცვითი ზღუდეების, ზოლების, პოზიციების სისტემას; მოწინააღმდეგის კომპლექსური ცეცხლით დაზიანების სისტემის (ცეცხლის სისტემის) ორგანიზაციას, ტანკსაწინააღმ, საჰაერო, დესანტსაწინააღმ თავდაცვის სისტემების და საინჟინრო ღობურების შექმნას. თავდაცვას განსაკუთრებულ პირობებში (ქალაქში, მთაში, უდაბნოში, ტყიან და ჭაობიან ადგილებში, ზამთრობით ჩრდილოეთის რაიონებში) დამახასიათებელი თავისებურებები აქვს.

239. **თავდაცვის გარღვევა** – შეტევითი მოქმედების ხერხი, რომლის მიზანია, შექმნას მოწინააღმდეგის ჯარების მიერ დაკავებულ მომზადებულ თავდაცვით ზღუდეებში (ზოლებში, პოზიციებში) რღვეული (რღვეულები), რათა შემდგომ განავითაროს შეტევა სიღრმეში და მანევრი ფლანგების მხარეს. გამოიყენება მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის თავდაცვაში არ არის ღია ფლანგები, ან როდესაც შემტევ ძალებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა განახორციელონ შემოვლა. თავდაცვის გარღვევის არსია, გაარღვიოს მოწინააღმდეგის თავდაცვა ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით და დარტყმებით და შემტევი ჯარების მტკიცე წინსვლით არჩეულ მიმართულებებზე თავდაცვითი ზღუდის, (ზოლის, პოზიციის) მთელ სიღრმეზე, გარღვევის მონაკვეთის (მონაკვეთების) იმავდროული გაფართოებით. მე-20 საუკუნის 50-იანი წწ. შუახანებიდან ბირთვული იარაღის შეიარაღებაზე მიღების, შეიარაღებული ბრძოლის სხვა საშუალებათა შემდგომი განვითარების შემდეგ, მოწინააღმდეგის მომზადებული თავდაცვის გარღვევა უნდა განხორციელებულიყო ბირთვული დარტყმების მიყენებით მისი წყობის მთელ სიღრმეში და ქვეითი (მექანიზირებული ქვეითები) და სატანკო შენაერთების გადამწყვეტი შეტევით ცალკე მიმართულებებზე გარშემორტყმის და შემოვლის ფართო გამოყენებით, მათ შორის, ჰაერიდან. ფრონტის ვიწრო მონაკვეთებზე ჯარების მრავალრიცხოვან დაჯგუფებათა თავმოყრა მოწინააღმდეგეზე მრავალგზისი

უპირატესობის შესაქმნელად დაუშვებლად ითვლებოდა. დაზიანების ჩვეულებრივ საშუალებათა გამოყენებით თავდაცვის გარღვევის თანამედროვე თეორია ითვალისწინებს თავდაცვის გარღვევის სხვადასხვა ხერხების გამოყენებას გარღვევის არჩეულ მონაკვეთებზე ძალების და საშუალებების გადამწყვეტი მასირებით, რაც უზრუნველყოფს მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას, მოწინააღმდეგის თავდაცვის დაწყობის მთელ სიღრმეში გარღვევის უბნებზე და მიმდებარე ფლანგებზე საიმედო საცეცხლე დაზიანებას, საჰაერო დესანტის და სხვა მაღალმოძრავი ჯარების ფართო გამოყენებას საბრძოლო მოქმედების იმავდროული გაშლისთვის, მოწინააღმდეგის ჯარების ოპერატიული დაწყობის მთელ სიღრმეზე და ძალვის დროულ და სწრაფ ზრდას მთავარი დარტყმის მიმართულებაზე, ტაქტიკური გარღვევის ოპერატიულ გარღვევად განვითარების მიზნით. სხვადასხვა ქვეყნების არმიებში თვდაცვის გარღვევა შეტევაში მანევრის ერთ-ერთ ძირითად ფორმად ითვლება (აშშ არმიაში – გარღვევა, გერმანიის არმიაში – ფრონტალური დარტყმა, დიდი ბრიტანეთის არმიაში – ფრონტალური გარღვევა). იგი, ჩვეულებრივ, მოიცავს სამ ეტაპს: მოწინააღმდეგის თავდაცვის შენგრევა (რღვეულების შექმნა); გარღვევის მონაკვეთის გაფართოება, მოწინააღმდეგის შემოვლა, ბლოკირება და განადგურება; სიღრმეში არსებული დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ხელში ჩაგდება და შენარჩუნება.

240. თავდაცვის **რაიონები** – მე-2 მსოფლიო ომის დროს სსრკ–ში მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და სამრეწველო ცენტრების, პორტების და სამხედრო-საზღვაო ბაზების თავდაცვისთვის შექმნილი დროებითი ოპერატიული გაერთიანებები. სხვადასხვა დროს შეიქმნა ქალაქებში – ოდესა, სევასტოპოლი, ტუაპსე, ნოვოროსიისკი და სხვა.

241. **თავდაცვის რაიონი** (იხ. ბატალიონის თავდაცვის რაიონი)

242. **თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლება** – ცეცხლით დაზიანების პერიოდი, რომელიც მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში საერთო-საჯარისო ქვედანაყოფების ნაწილების და შენაერთების შეტევის დროს არტილერიის ცეცხლს, საარაკეტო ჯარების და ავიაციის დარტყმებს მოიცავს. მისი არსია ერთდროულად ან თანამიმდევრულად დააზიანოს არტილერიის ცეცხლით, რაკეტების და ავიაციის დარტყმებით მოწინააღმდეგე, ბირთვული თავდასხმის აღმოჩენილი საშუალებები, მაღალი სიზუსტის იარაღის ელემენტები, ავიაცია აეროდრომებზე (მოედნებზე), არტილერია, ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო და სხვა საცეცხლე საშუალებები, საჰაერო თავდაცვის, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები და მოწინააღმდეგის სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები (მიზნები) წინააღმდეგობის კერებში, მისი რეზერვები; ჩაშალოს არსებული ძალების და საშუალებების მანევრი, კონტრიერიშებში; ხელი შეუწყოს თავისი ჯარების მეორე ეშელონების (რეზერვების) ბრძოლაში (კვეთებაში) შეყვანას, მეწინავე რაზმების, საჰაერო დესანტების მოქმედებას, წყლისმიერი დაბრკოლებების გადალახვას, მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების გარღვევას, შემტევი ჯარების ფლანგების და შუალედების დაფარვას, აგრეთვე მათ მიერ დაკავებული ზღუდეების და ობიექტების განმტკიცებას. ჯარების ცეცხლით თანხლების შემადგენელი ნაწილებია სიღრმეში ჯარების შეტევის საარტილერიო და საავიაციო თანხლება.

243. **თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის საარტილერიო თანხლება** – არტილერიის საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის სიღრმეში შეტევის განვითარების დროს. ხორციელდება არტილერიის ცეცხლით და ჩვეულებრივი აღჭურვის

რაკეტების დარტყმით, რაც მიზნად ისახავს ახლადაღმოჩენილი და გამოცოცხლებული მიზნების დაზიანებას, რომლებიც ხელს უშლიან შეტევის განვითარებას; თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლების შემადგენელი ნაწილი. იწყება შეტევის საარტილერიო მხარდაჭერის შემდეგ და გრძელდება ჯარების მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულების დამთავრებამდე. მისი მსვლელობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეტევის საარტილერიო მომზადებას და საარტილერიო მხარდაჭერას, მონაწილეობას კონტრშეტევის მოგერიებაში, ტაქტიკური საჰაერო დესანტის მოქმედების მხარდაჭერას.

244. **თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის საავიაციო თანხლება –** საავიაციო ნაწილების საბრძოლო მოქმედება, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში შემტევი ჯარების უწყვეტი ხელშეწყობის მიზნით, მოწინააღმდეგის რეზერვებზე, ტანკებზე, სარაკეტო დანადგარებზე, არტილერიასა და საყრდენ პუნქტებზე დარტყმების მიყენების გზით; თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლების შემადგენელი ნაწილი. რიგი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში ეს ტერმინი გაიგივებულია „საავიაციო მხარდაჭერის“ და „საავიაციო დაფარვის“ ტერმინებთან.

245. **თავდაცვის წინა ხაზი –** პირობითი ხაზი, რომელიც მოწინააღმდეგესთან ყველაზე ახლოს მდებარე ქვეითების და საცეცხლე საშუალებების, ასევე 1-ლი ეშელონის ქვედანაყოფების ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების, ქვეითი საბრძოლო მანქანების სანგრებს (პოზიციებს) აკავშირებს. ტრანშეების არსებობისას თავდაცვის წინა ხაზს შეიძლება წარმოადგენდეს ჯარების მიერ დაკავებული 1-ლი (მთავარი) თავდაცვითი ზღუდის 1-ლი პოზიციის ტრანშეა, რომელიც მოწინააღმდეგისგან ყველაზე ახლოს არის. განასხვავებენ, აგრეთვე, მე-2 და მომდევნო თავდაცვითი ზღუდეების თავდაცვის წინა ხაზს. როგორც წესი, თავდაცვის წინა ხაზს ოპერატიული გაერთიანების სარდლობა რუკაზე განსაზღვრავს და ადგილზე შენაერთის მეთაური აზუსტებს.

246. **თავდაცვის ზოლი –** ადგილმდებარეობის ზოლი, რომელიც განკუთვნილია გაერთიანების ან შენაერთის მიერ თავდაცვისთვის (ან დაცვისთვის) იმ მიზნით, რომ: პოზიციური მოგერიებისას – მიაყენონ ზიანი მოწინააღმდეგეს, მოიგერიონ მისი შეტევა და შეინარჩუნონ დიდმნიშვნელოვანი ზღუდეები და ადგილმდებარეობის რაიონები; მანევრული მოგერიებისას – მიაყენონ ზიანი შემომტევ მოწინააღმდეგეს სიღრმეში ეშელონირებული ზღუდეების თანმიმდევრული შენარჩუნების გზით. თავდაცვის ზოლში განლაგდებიან ჯარების (ძალების) დაჯგუფებები, ეწყობა მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების სისტემა (ცეცხლის სისტემა), ეწყობა საფორტიფიკაციო ნაგებობები და ღობურები. თავდაცვის ზოლი შემოფარგლულია ფრონტიდან წინა კიდით; ფლანგებიდან გამმიჯვნელი ხაზებით; ზურგიდან: პოზიციურ მოგერიებაში – მეორე ეშელონებისა და რეზერვების განლაგების (თავმოყრის) რაიონებით; მანევრულში – თავდაცვის საბოლოო ზღუდის ზურგის საზღვრით. გაერთიანების (შენაერთის) თავდაცვის ზოლის სიგანე განისაზღვრება ძირითადად მისი საბრძოლო შესაძლებლობებით, ე.ი. მოწინააღმდეგის დაჯგუფების შეტევის ფრონტის სიდიდით, რომლის დარტყმაც მას შეუძლია მოიგერიოს, ხოლო სიღრმე - თავდამცველი ჯარების ეშელონირების სიღრმით.

247. **თავდაცვითი ბრძოლა –** ბრძოლის სახეობა, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება, მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების შემოტევის მოსაგერიებლად მისთვის

მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების, დიდმნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების, ობიექტების, აკვატორიების) შენარჩუნების და, ამის მეშვეობით, შეტევაზე გადასასვლელად პირობების შექმნის მიზნით. თავდაცვითი ბრძოლა შეიძლება წარმოებდეს მრავალფეროვან ვითარებაში, სხვადასხვა ადგილმდებარეობაზე, წელიწადის და დღე-ღამის სხვადასხვა დროს, ქალაქში (დასახლებულ პუნქტში), მთაში, უდაბნოში, ტყეში, ჩრდილოეთის რაიონებში, ზღვისპირა მიმართულებაზე და ა.შ.

248. **თავდაცვითი ოპერაცია** – მიზნის, ამოცანებისა და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული იმ ოპერაციების, კვეთების, ბრძოლების და დარტყმების ერთობლიობა, რომლებსაც ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით გაერთიანება აწარმოებს მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების შემოტევის (შემოჭრის) ჩასაშლელად, მისთვის მარცხის მისაყენებლად, დიდმნიშვნელოვანი ზღუდეების, რაიონების და ობიექტების შესანარჩუნებლად, დროის მოსაგებად, ძალების და საშუალებების დასაზოგად და შეტევაზე (კონტრშეტევაზე) თავისი ჯარების გადასვლის პირობების შესაქმნელად. მასშტაბის მიხედვით თავდაცვითი ოპერაცია შეიძლება იყოს სტრატეგიული, ფრონტის (არმიების ჯგუფის), არმიის. ჩვეულებრივ, თავდაცვითი ოპერაციები ხორციელდება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გაერთიანებების (შენაერთების) ერთობლივი ძალისხმევით.

249. **თავდაცვითი ზღუდე** – ადგილმდებარეობის ზოლი (მონაკვეთი), რომელიც თავდაცვითი მოქმედებების წარმოებისთვის საინჟინრო თვალსაზრისით ჯარების მიერ დაკავებულია ან მომზადებულია დასაკავებლად. განასხვავებენ 1-ელ ზღუდეს (მთავარი ზოლი), შუალედურ და სათადარიგო ზღუდეს (თავდაცვაში და უკან დახევისას), არმიის, ფრონტის ზღუდეებს (ზოლებს). თავდაცვის სიღრმეში შეიძლება შეიქმნას წამკვეთი თავდაცვითი ზღუდეები.

250. **თავდასხმის (საჰაერო, სარაკეტო, კოსმოსური) სიმჭიდროვე** – მოწინააღმდეგის თვითმფრინავების (უპილოტო საშუალებების), რაკეტების, კოსმოსური თავდასხმის საშუალებების რაოდენობა, რომლებიც დროის ერთეულში საჰაერო თავდაცვის შენაერთის ან ჯარების დაჯგუფების საზღვრებში შედის. შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, რაიმე მიმართულების ან ზონის მიმართ (გამანადგურებელი ავიაციის მოქმედების, საზენიტო-სარაკეტო ჯარების ცეცხლის, რადიოლოკაციური აღმოჩენის, რადიოელექტრონული ჩახშობის).

251. **თავმოყრის რაიონი** – ტერიტორია, რომელზეც თავს უყრიან (განალაგებენ) ჯარებს. თავმოყრის (განლაგების) რაიონები შენაერთებს და ნაწილებს საბრძოლო მოქმედების ყველა სახეობებში, აგრეთვე მშვიდობიან დროს შეიძლება დაენიშნოს. თავმოყრის (განლაგების) რაიონებს ირჩევენ ისეთ ადგილებში, რომლებიც მოსახერხებელია მასობრივი დაზიანების იარაღისგან დასაცავად, ჯარების განლაგების და მათ მიერ მანევრის სწრაფი განხორციელებისთვის. ჯარების თავმოყრის (განლაგების) რაიონებს განალაგებენ ქვედანაყოფების მიხედვით დანაწილებულად, ისე, რომ სწრაფად მოემზადონ ბრძოლის წარმოებისთვის ან გამოვიდნენ დაკავებული რაიონიდან. ინიშნება აგრეთვე სათადარიგო თავმოყრის (განლაგების) რაიონები.

252. **თავსდაცემა** – სახმელეთო ჯარების სადაზვერვო, დივერსიული ჯგუფების, პარტიზანების მოწინააღმდეგის ზურგში მის შტაბებზე, საწყობებზე აეროდრომებზე და სხვა ობიექტებზე უეცარი თავდასხმა.

253. **თოფის ლულის წინა ნაწილის ენერგია** (E_g), ლულიდან გამოსროლის მომენტში საარტილერიო ჭურვის (ნაღმის, ტყვიის) კინეტიკური ენერგია. მისი სახეა $E_g = \frac{mV_0}{2}$, სადაც m – ჭურვის მასა, ხოლო V_0 – ჭურვის საწყისი სიჩქარეა. თოფის ლულის წინა ნაწილის ენერგია სროლის მანძილს, ჭურვის დარტყმით მოქმედებას, ლითონის გამოყენების კოეფიციენტს (თოფის ლულის წინა ნაწილის ენერგიის იარაღის მასასთან შეფარდებას) განსაზღვრავს.

254. **თვალთვალი** – მოწინააღმდეგის და საკუთარი ჯარების (ძალების) მოქმედების, ადგილმდებარეობის, ამინდის და ვითარების სხვა პირობების შესახებ მონაცემების მიღების ხერხი. წარმოებს უწყვეტად ყველა სახის საბრძოლო მოქმედების დროს, ყველანაირი ამინდის პირობებში და დღედაღამ ვიზუალურად ან ტექნიკური საშუალებების დახმარებით. ხორციელდება სათვალთვალო პუნქტებიდან, ვერტმფრენებიდან, თვითმფრინავებიდან, ხომალდებიდან. თვალთვალს, რომელიც ხორციელდება შეუიარაღებელი თვალით ან ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენებით ეწოდება ვიზუალური.

255. **თვალთვალის ზოლი** – ადგილმდებარეობის (აკვატორიის) და მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცის ზოლი, რომლის ფარგლებშიც წარმოებს თვალთვალი მოწინააღმდეგეზე იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს ცნობები მისი ძალებისა და საშუალებების, დაჯგუფებისა და მისი ცვლილებების, მოქმედების ხასიათის შესახებ და ა.შ., აგრეთვე საკუთარ ჯარებზე (ძალებზე) მათი მართვისთვის საჭირო მონაცემების შეგროვების მიზნით.

256. **თვითმფრინავსაწინააღმდეგო თავდაცვა** – ძალების, საშუალებების და ღონისძიებების არაოფიციალური სახელწოდება, რომლებიც ხორციელდებოდა მოწინააღმდეგის თვითმფრინავების და სხვა ფრთოსანი საფრენი აპარატების წინააღმდეგ. ისინი ამოცანებს სამხედრო მიზნებისთვის სიმაღლეზე, სტრატოსფერულის ჩათვლით ასრულებდნენ.

ი

257. **იერიში** – 1. შეტევის კულმინაცია, როდესაც მოწინააღმდეგესთან მიახლოება პირისპირ ბრძოლაში გადადის. 2. საზღვაო – სადესანტო ოპერაციაში ოპერაციის ეტაპი, ამოცანის შესრულებაში მონაწილე მცურავ საშუალებებში მყოფი შენაერთის, იერიშის ობიექტის რაიონში გადასხმიდან დავალების საბოლოო შესრულებამდე. 3. ადგილობრივ ობიექტზე (საარტილერიო პოზიცია, პორტი და სხვა) ხანმოკლე, სწრაფი, კარგად ორგანიზებული შეტევა 4. საჰაერო- სადესანტო ოპერაციის ეტაპი, რომელიც მოიცავს ამოცანის რაიონში, შეტევის სხვადაასხვა ობიექტზე მოიერიშე ეშელონის გადაყვანას და დესანტირების საწყისი პლაცდარმის გამაგრებას.

258. **ინტერნირება** – საერთაშორისო სამართალში, ერთი მეომარი სახელმწიფოს მიერ, მეორე მეომარი სახელმწიფოს სამოქალაქო პირების ან ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ, მეომარი მხარეების იმ სამხედრო მოსამსახურების იძულებითი დაკავება, გადასახლება ან გადაადგილება ქვეყნის შიგნით, რომლებიც მის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. ინტერნირების რეჟიმს არეგულირებენ ჰააგის 1907 და ჟენევის 1949-ის კონვენციები.

259. **იარაღის ნორმალურ მოხვედრამდე მოყვანა** – სასროლი იარაღიდან სროლის დროს, მოხვედრის შულედური წერტილის (ტყვიის გაფანტვის ცენტრის) გასასინჯი სამიზნის საკონტროლო წერტილთან თანამთხვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

260. **ᲘᲔᲠᲘᲨᲘ** – 1. შეტევის კულმინაცია, როდესაც მოწინააღმდეგესთან მიახლოება პირისპირ ბრძოლაში გადადის. 2. საზღვაო – სადესანტო ოპერაციაში - ოპერაციის ეტაპი, მცურავ საშუალებებში მყოფი ამოცანის შესრულებაში მონაწილე შენაერთის, იერიშის ობიექტის რაიონში გადასხმიდან დავალების საბოლოო შესრულებამდე. 3. ხანმოკლე, სწრაფი, კარგად ორგანიზებული შეტევა ადგილობრივ ობიექტზე (საარტილერიო პოზიცია, პორტი და სხვა) 4. საჰაერო- სადესანტო ოპერაციის ეტაპი, რომელიც მოიცავს მოიერიშე ეშელონის გადაყვანას ამოცანის რაიონში, შეტევის სხვადაასხვა ობიექტზე და დესანტირების საწყისი პლაცდარმის გამაგრებას.

261. **ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲠᲘᲔᲑᲐ** – თავდამცველი ჯარების საბრძოლო მოქმედება, რომელიც წარმოებს შემომტევი მოწინააღმდეგის შეჩერების, მისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენების და თავდაცვის გარღვევის არდაშვების მიზნით. ამ მიზნების მისაღწევად მოწინააღმდეგეს აყენებენ ზიანს სარაკეტო ჯარებისა და ავიაციის დარტყმებით, არტილერიის, ტანკების, ტანკსაწინააღმ, ცეცხლსატყორცნი საშუალებების და სასროლი იარაღის ცეცხლით, ღობურების გამოყენებით, 1-ლი ეშელონის ჯარების მიერ დასაცავი პოზიციების შეუპოვარი შენარჩუნებით, საშიშ მიმართულებაზე ძალების და საშუალებების მანევრის მოწყობით და მე-2 ეშელონის და იერიშის მოგერიების რეზერვების ძალების გადამწყვეტი კონტრიერიშებით. იერიშის მოგერიება არის თავდაცვითი ბრძოლის ეტაპი.

262. **ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ** – არტილერიის საბრძოლო მოქმედება, რომელიც ჯარების იერიშს უშუალოდ წინ უძღვის; იერიშის საცეცხლე მომზადების შემადგენელი ნაწილი. იერიშის საარტილერიო მომზადება ხორციელდება მოწინააღმდეგის ბირთვული, საარტილერიო და სხვა საცეცხლე საშუალებების, ცოცხალი ძალის დაზიანების, აგრეთვე თავდაცვითი ობიექტების დანგრევისთვის წინასწარ ორგანიზებული ცეცხლით, რათა წაართვან მას შესაძლებლობა, მოიერიშე ჯარებს წინააღმდეგობა გაუწიოს. იწყება დადგენილ დროს და მთავრდება მოიერიშე ქვედანაყოფების იერიშზე გადასვლის ზღუდეზე გასვლისთანავე. იერიშის საარტილერიო მომზადების ხანგრძლივობა, თანმიმდევრობა და საბრძოლო მასალების ხარჯი განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრი, მოწინააღმდეგის თავდაცვის ხასიათი და დაჯგუფება, მისი დაზიანებისთვის საჭირო ხარისხი, აგრეთვე, ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ სარაკეტო ჯარებმა, ავიაციამ, ტანკებმა. იერიშის საარტილერიო მომზადება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმისაგან.

263. **ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ** – არტილერიის საბრძოლო მოქმედება თავისი ჯარების იერიშის დასაწყისში და მსვლელობისას, რაც გამოიხატება მოწინააღმდეგის განუწყვეტელი ცეცხლით დაზიანებით ფრონტის წინ და მოიერიშეთა ფლანგებზე მათი შეუჩერებელი წინსვლის პირობების შესაქმნელად; იერიშის ცეცხლით მხარდაჭერის შემადგენელი ნაწილი. იერიშის საარტილერიო მხარდაჭერა იწყება იერიშის საარტილერიო მომზადების დამთავრებისთანავე. მისი ძირითადი მეთოდებია: ცეცხლის ერთმაგი ან ორმაგი თანამიმდევრული ჩაწერტება; ერთმაგი ან ორმაგი ცეცხლის ტალღა; ცეცხლის ჩაწერტება და ცეცხლი ცალკეულ მიზნებზე, აგრეთვე მათი

შეხამება. არტილერიის ცეცხლი იერიშის საარტილერიო მხარდაჭერის დროს ესადაგება ტანკების და მოტოქვეითების მოძრაობას და მისი გადატანა ხდება ბრიგადების (პოლკების, ბატალიონების) მეთაურების სიგნალებით. იმავდროულად გრძელდება მოწინააღმდეგის სამიზნეების დაზიანება თავდაცვის სიღრმეში.

264. **იერიშის საცეცხლე მომზადება** – მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების პერიოდი, რომელიც მოიცავს არტილერიის ცეცხლს, სარაკეტო ჯარების, ავიაციის და სხვა საშუალებების დარტყმებს, და იერიშზე გადასვლას უშუალოდ წინ უძღვის. ხორციელდება შეტევისას (კონტრშეტევისას), განსაკუთრებით, მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის, კვეთებაში (ბრძოლაში) მეორე ეშელონების (რეზერვების) შეყვანის დროს და სხვა შემთხვევებში, აგრეთვე, თავდაცვაში – კონტრდარტყმების და კონტრიერიშების განხორციელებისას. იერიშის საცეცხლე მომზადების მიზანია ჩაახშოს და გაანადგუროს მოწინააღმდეგის მასობრივი დაზიანების საშუალებები, არტილერია, ტანკები, ტანკსაწინააღმ და საცეცხლე საშუალებები, ცოცხალი ძალა, მართვის პუნქტები, რადიოელექტრონული საშუალებები, რაკეტსაწინააღმ თავდაცვის და საჰაერო თავდაცვის საშუალებები და მოწინააღმდეგის სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, მისი თავდაცვის ტაქტიკურ და უახლოეს სიღრმეზე მოიპოვოს საცეცხლე უპირატესობა. იერიშის საცეცხლე მომზადების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს იერიშის საარტილერიო და საავიაციო მომზადება. იგი შეიძლება შედგებოდეს არტილერიის ერთი ან რამოდენიმე საცეცხლე თავდასხმის, ავიაციის და რაკეტული ჯარების ერთი ან რამდენიმე დარტყმისაგან.

265. **იერიშის საცეცხლე მხარდაჭერა** – მოწინააღმდეგის კომპლექსური ცეცხლით დაზიანების ერთ-ერთი პერიოდი, რომელიც მოიცავს არტილერიის ცეცხლს, ავიაციის, სარაკეტო ჯარების და სხვა საშუალებების დარტყმებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს მოიერიშე ჯარების წინ თანმიმდევრულად აზიანებენ. მისი განხორციელების მიზანია, არ დაანებოს მოწინააღმდეგეს, აღადგინოს დარღვეული ცეცხლის, მართვის სისტემა, ხელი შეუწყოს იერიშს, დააბრკოლოს მოწინააღმდეგის მიერ ცეცხლის წარმოება, ძალების და საშუალებების მანევრი, ჩაახშოს და გაანადგუროს მისი საცეცხლე საშუალებები და ცოცხალი ძალა, შეინარჩუნოს ცეცხლისმიერი უპირატესობა მოწინააღმდეგეზე. იერიშის საცეცხლე მხარდაჭერა იწყება მას შემდეგ, რაც ქვეითი და სატანკო ქვედანაყოფები გადიან იერიშზე გადასვლის ზღუდეზე დივიზიის (პოლკის) მეთაურის სიგნალით, და ჩვეულებრივ, გრძელდება, სანამ ჯარები დაეუფლებიან თავდაცვის რაიონებს 1-ლი ეშელონის ბრიგადების (პოლკების) სიღრმეზე (8-10კმ, ზოგჯერ უფრო მეტი). იერიშის საცეცხლე მხარდაჭერის შემადგენელი ნაწილებია იერიშის საარტილერიო და საავიაციო მხარდაჭერა. იერიშის საცეხლე მხარდაჭერის მეთოდები შეიძლება იყოს: მოძრავი საცეცხლე ზონა, ცეცხლის ტალღა, ცეცხლის თანმიმდევრული ჩაწერტება, ჩაწერტებული ცეცხლი და ცეცხლი ცალკეულ მიზნებზე, აგრეთვე მათი შეხამება.

266. **ინფორმაციის მიღების და ასახვის პუნქტი** – საჰაერო ჯარების შენაერთის ავტომატიზებული სამეთაურო პუნქტის ელემენტი. განკუთვნილია ვითარების შეფასების და გადაწყვეტილების მიღების ინტერესებისთვის კოლექტიური და ინდივიდუალური სარგებლობის საშუალებებით ინფორმაციის მიღების და ასახვისთვის.

267. **ინიციატივა** ოპერაციაში (ბრძოლაში) - შექმნილი ვითარების და უფროსი მეთაურის მოქმედებების ჩანაფიქრის შესაბამისად, სწრაფვა პირადი პასუხისმგებლობით,

აქტიური მოქმედებებით დამოუკიდებლად ამოცანის შესრულების საუკეთესო ხერხის მონახვა და განხორციელება. მჟღავნდება დასწრებაზე მოწინააღმდეგისთვის საცეცხლე დარტყმების მიყენებაში და ჯარების (ძალების) გაშლაში; ამორჩეულ მიმართულებებზე მტკიცე შეტევით; მოწინააღმდეგისთვის საკუთარი ნების თავს მოხვევაში, ჩვენი ჯარებისთვის ეფექტური უკუმოქმედებების საშუალებების გამორიცხვაში. ინიციატივის ხელთ გდება და შეკავება გამარჯვების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია.

268. **ინტუიცია** – სამხედრო საქმეში წინასწარი ლოგიკური მსჯელობის გარეშე ვითარების სწრაფი შეფასების უნარი, მის ცვლილებებზე რეაგირება და ზუსტი გადაწყვეტილების მიღება.. ინტუიცია მეთაურის, ჯარისკაცის განსაკუთრებული სპეციფიური თვისებაა და მაღალ პროფესიულ მომზადებას, პირად გამოცდილებას და ბუნებრივ ნიჭს ეფუძნება. ვითარდება სწავლებებზე, თამაშებზე და სამეთაურო მომზადების პროცესში.

269. **ირიბი საბრძოლო წყობა** – ჯარების სახაზო საბრძოლო წყობის ნაირსახეობა. პირველმა პრუსიის მეფემ ფრიდრიხ II –მ 1756-63 წ.წ. შვიდწლიანი ომის დროს გამოიყენა. ჯარები ეწყობოდა ბეცად, ხოლო მეტი დამრტყმელი ძალის მიკუთვნებისთვის ერთი ფლანგი ძლიერდებოდა დამატებით ხაზით.

კ

270. **კომუნიკაციების რღვევა** – მოწინააღმდეგისთვის იმ შესაძლებლობების ნაწილობრივი ან სრული წართმევა, რომ გამოიყენოს მიმოსვლის გზები ჯარების (ძალების) გადაადგილების, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების მიტანის, მათ შორის, მილსადენებით საწვავის მიწოდების, ენერგომომარაგების, ყველა სახეობის ევაკუაციის განხორციელებისთვის. სრულდება სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბით. მისი არსია შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების დარტყმები მიაყენოს მოწინააღმდეგის ჯარებს ტრანსპორტით გადაყვანის (ქვეითად გადასვლის) დროს, მის სატრანსპორტო საშუალებებს, სახმელეთო, წყალსანაოსნო მიმოსვლის გზებს, წაართვას (დაუნგრიოს) კომუნიკაციების (მილსადენები, სადგურები, პორტები და სხვ) დიდმნიშვნელოვანი ობიექტები (ელემენტები). საომარი მოქმედების საოკეანო და საზღვაო თეატრებში კომუნიკაციების დარღვევის მიღწევა ხდება სპეციალური საზღვაო ოპერაციების მოწყობის და სისტემატური საბრძოლო მოქმედების გზით.

271. **კონტროლი** (211) – გეგმიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება საბრძოლო მზადყოფნის, ოპერატიული და საბრძოლო მომზადების (სასწავლო პროცესის), შეიარაღებული ძალების, ნაწილების (ხომალდების), შენაერთების, სასწავლო და სხვა დაწესებულებების მიერ წესდებების და დარიგებების დებულებების, ბრძანებების და განკარგულებების შესრულების კონტროლის მიზნით. კონტროლის ფორმები შეიძლება იყოს მასიური, ამორჩევითი და ერთჯერადი შემოწმებები, ჯარების (ძალების) ინსპექტირება, რევიზიები და სხვ.

272. **კონტრშეტევა** – შეტევის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც თავდამცველი ჯარები მიმართავენ მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიების დროს ან მოგერიების შემდეგ. კონტრშეტევის მიზანია, გაანადგურონ შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის დაჯგუფებები, ჩაუშალონ შეტევა, აღიდგინონ დაკარგული მდგომარეობა და შექმნან

პირობები შეტევითი ოპერაციის წარმოების, დიდმნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების) დაკავების და სტრატეგიული ან ოპერატიული ინიციატივის ხელში ჩასაგდებად ან ახალ ზღუდეებზე გამაგრებისას თავდაცვაზე გადასასვლელად. კონტრშეტევა შეიძლება იყოს სტრატეგიული ან ოპერატიული მასშტაბის და ხორციელდებოდეს სტრატეგიული დაჯგუფების, ან არმიის (კორპუსის) კონტრშეტევითი ოპერაციის ფორმით. კონტრშეტევაზე გადასვლა ხორციელდება, როგორც წესი, ისეთ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგემ ნაწილობრივ ან მთლიანად ამოწურა თავისი შეტევითი შესაძლებლობები (გამოიყენა მთელი რეზერვები ან მათი მეტი ნაწილი), განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგი და ჯერ ვერ მოასწრო თავდაცვითი დაჯგუფების შექმნა და თავდაცვაზე გადასვლა. კონტრშეტევა შეიძლება დაიწყოს თავდაცვითი ოპერაციის დროს, წარმატებით მიყენებული კონტრდარტყმების განვითარების შედეგად.

273. **კონფლიქტის მხარეების გაშორიშორების ზონა** (21) – დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებული და მონიშნული ადგილმდებარეობის (ტერიტორიის) მონაკვეთი, რომლიდანაც კომფლიქტის მხარეების შეიარაღებული ფორმირებები გაყვანილია მითითებულ რაიონებში. ამ რაიონების დაშორების მანძილი კონფლიქტის ნებისმიერი მხარის მიერ ცეცხლსასროლი, საარტილერიო და სხვა შეიარაღების გამოყენების შესაძლებლობებს გამორიცხავს.

274. **კოსმოსური ვითარება** – ყველა კოსმოსური ობიექტის, კოსმოსური სივრცის, იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომლებმაც შეიძლება, გავლენა იქონიონ კოსმოსური აპარატების (ორბიტული სადგურების, კოსმოსური კომპლექსებისა და სხვ.) მომზადებაზე, ფუნქციონირებაზე და შედეგზე. მასშტაბის მიხედვით კოსმოსური ვითარება შეიძლება იყოს სტრატეგიული და ოპერატიული (ტაქტიკური). სტრატეგიული კოსმოსური ვითარება – არის ვითარება, რომელიც ყალიბდება დედამიწის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში და მხარეთა კოსმოსური ძალების პოზიციურ რაიონებში. ოპერატიული (ტაქტიკური) კოსმოსური ვითარება – არის ვითარება, რომელიც იქმნება გარკვეული დროისთვის მხარეთა კოსმოსური ძალების ფორმირების ზონაში (რაიონში). კოსმოსური ვითარების შეფასება მოიცავს კოსმოსური ძალების დაჯგუფებების, იმ ფაქტორების და პირობების შესწავლას და ანალიზს, რომლებიც კოსმოსში და კოსმოსიდან ამოცანების შესრულებაზე გავლენას ახდენენ.

275. **კოსმოსური სივრცის კონტროლი** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება კოსმოსურ სივრცეში არსებულ კოსმოსურ ობიექტებზე, სისტემებზე ინფორმაციის მოპოვების, შეგროვების, დამუშავების, ანალიზის მიზნით. მათი ამსახველი საჭირო ინფორმაციის (შემადგენლობა, მდებარეობდა, მდგომარეობა, დანიშნულება და სხვ.) და მთლიანად კოსმოსური ვითარების შესახებ ცნობების დროული მიღებისთვის. კოსმოსური სივრცის კონტროლის ძირითადი ეტაპებია: კოსმოსური ობიექტების აღმოჩენა, ინფორმაციის ანალიზი და გადაცემა დამუშავების ცენტრში, მათი კატალოგიზაცია, კატალოგიზებული ობიექტების თანხლება, ამოცნობა, კოსმოსური ობიექტების ამსახველი საჭირო ინფორმაციის გაცემა. კოსმოსური სივრცის კონტროლი ხორციელდება ტექნიკური საშუალებებით, რომლებსაც შეუძლიათ, განახორციელონ კოსმოსური ობიექტების თვალთვალი, და ყველანი ერთად ქმნიან კოსმოსური სივრცის კონტროლის სისტემას, რომელსაც გააჩნია შემუშავებული ინფორმაციის მიღება – დამუშავების ერთიანი ცენტრი.

276. **კაბრირება** – თვითმფრინავის (ვერტმფრენის) მოძრაობა ვერტიკალურ სიბრტყეში სიმაღლის აღებით. საფრენ აპარატს თავისი გადმოყრილი ბომბებისგან უსაფრთოებას იცავს.

277. **კალენდარული გეგმა** – ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების, სარდლის (მეთაურის) და შტაბის მუშაობის წესის განმსაზღვრელი დოკუმენტი. მასში ძირითადად მითითებულია: ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების ძირითადი ღონისძიებები [გადაწყვეტილების მიღება, ამოცანების დასმა, ჯარების (ბრძოლის) მომზადება და სხვა]; შემსრულებლები; შესრულების ვადები, პასუხისმგებელი და მაკონტროლებელი პირები; 2) სწავლების ჩატარება, ტაქტიკური მასშტაბის სწავლების ჩანაფიქრის განმარტებითი ბარათის შემადგენელი ნაწილი. სწავლების თითოეულ ეტაპზე მასში ნაჩვენებია: სასწავლო საკითხები, დრო მათი დამუშავებისთვის, სწავლებაში მონაწილე და ხელმძღვანელობის მოქმედებები, აღსანიშნი მოწინააღმდეგის მოქმედებების იმიტაციის, ოპერატიულ ვითარებაში ცვლილებების, ჯარების (ძალების) სწავლებაზე გამოყვანის, გასაყრისის, გარჩევის და ჯარების (ძალების) სწავლებიდან დაბრუნების დრო და ადგილი.

278. **კამპანია** – საომარი მოქმედების კონტინენტური და საოკეანო (საზღვაო) თეატრში სხვადასხვა გვარეობის ჯარების (ძალების) იმ დაჯგუფებების ოპერაციების, კვეთების, დარტყმების და საბრძოლო მოქმედების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო ჩანაფიქრით, და ომის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევას ისახავენ.

279. **კარტოგრაფია** – მეცნიერება კარტოგრაფიული ნაწარმოების შექმნის, შესწავლის და გამოყენების შესახებ; ქვეყნის ეკონომიკის და თავდაცვის საჭიროებისთვის სხვადასხვა სახის რუკების წარმოების დარგი. შეიარაღებული ბრძოლის ეფექტურობის ასამაღლებლად, სამხედრო კარტოგრაფიის ამოცანებია – სამხედრო მოქმედებების თეატრის ტერიტორიაზე რუკების შექმნა და განახლება, რუკების შენახვის და გაფორმების სრულყოფა, მათი სიზუსტის ამაღლება, ახალი სახეობის რუკების და ადგილმდებარეობის სხვა დოკუმენტების დამუშავება. იყოფა – რუკათმცოდნეობის (კარტოგრაფიის თეორიული საფუძვლები, მისი ისტორია, წყაროთმცოდნეობა, რუკების გამოყენების მეთოდები), მათემატიკური კარტოგრაფიის (სიბრტყეზე დედამიწის ზედაპირის გამოსახვის მათემატიკური ხერხები), რუკების შედგენის და რედაქტირების (შინაარსის დამუშავება, რუკების ორიგინალის დამზადების ტექნოლოგიის, კარტოგრაფიის გენერალიზაცია), რუკების გაფორმების(სახვითი საშუალებების დამუშავება), რუკების გამოცემის (პოლიგრაფიული საშუალებებით რუკების ორიგინალების გამოცემის პროცესი), რუკაზე მანძილის გაზომვის (რუკაზე გაზომვების საშუალებები), კარტოგრაფიული წარმოების ორგანიზაციის და ეკონომიკის. კარტოგრაფია მჭიდროთაა დაკავშირებული გრეოგრაფიასთან, გეოდეზიასთან და ფოტოგრამმეტრიასთან.

280. **კარტოგრაფიული პროექციები** – ძირითადად რუკების ასაგებად გამოყენებული დედამიწის ელიფსოიდის ან მისი ნაწილის სიბრტყეზე გამოსახვის მათემატიკური ხერხი. რუკის მათემატიკური საფუძველის ერთ-ერთი ელემენტი. კარტოგრაფიული პროექციის სახეობაზეაა დამოკიდებული რუკაზე ხაზების სიგრძის, კუთხეების, ფართობების, სპეციფიური ამოცანების ამოხსნის, გაზომვების ხერხები. კარტოგრაფიული პროექციები კლასიფიცირდება დამახინჯების ხასიათით(ტოლკუთხოვანი, ტოლდიდი,

ტოლშუალედური, ნებისმიერი); მერიდიანების და პარალელების გამოსახულების სახეობით(ცილინდრული, აზიმუტალური, პსევდოკონუსური, ნახევრადკონუსური); სფერული კოორდინატების გამოყენებით პოლუსის მდებარეობით (ნორმალური, ან სწორი, განივი და ირიბი); კარტოგრაფიული პროექციის შერჩევა დამოკიდებულია კარტოგრაფირებადი ტერიტორიის ზომებისა და მოხაზულობაზე, მისი გეოგრაფიული მდებარეობის, აგრეთვე სპეციალური მოთხოვნებზე (მაგალითად რუკაზე ტოლკუთხოვნობის ან ტოლდიდობისგან).

281. **კარტოგრაფიული საშუალებები** – ინსტრუმენტები, ხელსაწყოები და მოწყობილობები, რომელთა დანიშნულებაა რუკების და სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ციფრული რუკების შექმნისთვის ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების შედგენა, გამოცემისთვის მომზადება, გამოცემა და მიკროფილმირება. რუკების ორიგინალების დამზადების საშუალებები: კოორდინატოგრაფები, გრაფოამგები, სარეპროდუქციო ფოტოაპარატები, კარტოგრაფიული ინფორმაციის დამზადების, შენახვის და გაცემის ავტომატიზებული სისტემები, სახაზავი და გრავირების ინსტრუმენტები, ფოტოამწყობი მოწყობილობები და კომპლექსები, ნეგატივების და დიაპოზიტივების დამზადების მოწყობილობა. ბეჭდვითი ფორმების და ბეჭდვისთვის დამზადების საშუალებები: ცენტრიფუგები, კოპირების ჩარჩოები, ელექტროფოტოგრაფირების აპარატები, ოფსეტური ბეჭდვის მანქანები და დაზგები, ელექტროგრაფიული მრავალფერიანი მანქანები, მოწყობილობა ტიპოგრაფიული სამუშაობებისთვის. მიკროფილმირების საშუალებებია: მიკროფილმირების დანადგარები, მოწყობილობები მონტაჟისთვის, კოპირებისთვის და ფოტოფირის დამუშავებისთვის. ციფრული კარტოგრაფიის საშუალებებია: ციფრული რუკების შესაქმნელად, ადგილმდებარეობის შესახებ კარტოგრაფიული მასალების და ფოტოდოკუმენტების მეშვეობით ტექნიკური და პროგრამული საშუალებების კომპლექსი.

282. **კატერსაწინაღო თავდაცვა** ხომალდის, ხომალდების შენაერთის (ბადრაგის) – ღონისძიებების და მოქმედებების კომპლექსი, მოწინააღმდეგის საბრძოლო კატერების სარაკეტო და სატორპედო იარაღით ხომალდების დაზიანების არ დაშვების მიზნით, ხორციელდება შორეულ და ახლო ზონებში თვითმფრინავების, ვერტმფრენების, ტაქტიკური დაზვერვის ხომალდების, რადიო-ლოკაციური მზირის და რადიო-ელექტრონული ბრძოლის, ნავსაწინაღო დაცვის, ხომალდების დამრტყმელი და საძიებო-დამრტყმელი დაჯგუფებების ძალებით, აგრეთვე შენაერთის ძირითადი ძალების საცეცხლე საშუალებებით. ხომალდის კატერსაწინაღო თავდაცვა ორგანიზდება სექტორებით და ხორციელდება ხომალდის ყველა საცეცხლე და რადიო-ელექტრონული ბრძოლის საშუალებით.

283. **კატერსაწინაღო უზრუნველყოფა** – ფლოტის ძალების ხომალდების (ხომალდების ჯგუფის) ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო მოქმედებები, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებები, განხორციელებული ხომალდების და გემების ზღვით გადასვლისას, ბაზირების პუნქტებში და საბრძოლო მოქმედებები რაიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე სანაპირო ობიექტების სარაკეტო, სატორპედო, საარტილერო კატერების დარტყმებისგან, მათ მიერ დაზვერვის, ნაღმების დაყენების დესანტების და სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების გადმოსმის არ დაშვება; ფლოტის ძალების მოქმედებების ოპერატიული (საბრძოლო) სახეობა.

284. **კავიტაცია** – სითხეში ღრუს წარმოქმნა, რომელიც წნევის ადგილობრივ კრიტიკულ მნიშვნელობაზე შემცირების შედეგად შევსებულია აირით, ორთქლით ან

მათი ნარევით (ეგრეთ წოდებული კავიტაციური ბუშტულები ან კავერნები),. განასხვავებენ ჰიდროდინამიკურ კავიტაციას, რომლის დროს წნევის შემცირება წარმოიქმნება მოძრავი სითხის ადგილობრივ დიდ სიჩქარეში. აკუსტიკური კავიტაცია – წნევის შემცირება წარმოიქმნება სითხეში აკუსტიკური ტალღების გავლის შედეგად. მაღალი წნევის არეში მოხვედრისას, ბუშტულები სკდებიან, რის შედეგად წარმოიქმნება დარტყმითი დატვირთები, რომლებიც აზიანებენ ჰიდროტურბინებს წყალქვეშა ფრთებს და მისთანებს. აკუსტიკური კავიტაცია საფუძვლად უდევს ულტრაბგერების პრაქტიკულ გამოყენებას.

285. **კავშირის ზონა** – ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია კავშირი კავშირგაბმულობის საყრდენ ქსელში. განასხვავებენ ოპერატიულ კავშირის ზონას (მოწინააღმდეგესთან ჯარების შეხების ხაზიდან ზურგის მართვის პუნქტის განლაგების ზღუდემდე) და ზურგის კავშირის ზონას (ზურგის მართვის პუნქტის განლაგების ზღუდიდან გაერთიანების ზურგის საზღვრამდე).

286. **კიბერნეტიკა** – მეცნიერება ინფომაციის გადამუშავების, კავშირის და მართვის შესახებ. კიბერნეტიკის კვლევის ობიექტებია ეგრეთ წოდებული კიბერნეტიკული სისტემები – ავტომატური რეგულატორები ტექნიკაში, ელექტრონულ გამოთვლითი მანქანები, კაცობრიობის საზოგადოება და სხვა. თითოეული ასეთი სისტემა მრავალ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს წარმოადგენს, რომლებსაც ინფორმაციის ათვისების, დამახსოვრების და გადამუშავების, აგრეთვე მისი გაცვლის უნარი შესწევს. კიბერნეტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ოპერაციების კვლევა, ალგორითმების თეორია, ინფორმაციის თეორია, ოპტიმალური მართვის თეორია და სხვა. სამხედრო საქმეში კიბერნეტიკის საფუძველზე მუშავდება ჯარების (ძალების) და საბრძოლო საშუალებების ავტომატური მართვის სისტემების გამოყენებით მართვის ერთიანი თეორია – გადაცემის, შენახვის, გამოსახვის, დოკუმენტირების ვითარების მონაცემების გამოყენების ჩათვლით მისი შეფასების, გადაწყვეტილების შემუშავების და ამოცანების დასმის, აგრეთვე ამოცანის შესრულების ინფორმაციის მიღება, საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების მდგომარეობის და მოქმედებების სახის [იხილე ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზაცია] შესახებ. ამ ამოცანების შესრულების ძირითადი საშუალებაა პერსონალური ელექტრონული გამოთვლითი მანქანა, რომელიც სამუშაო ადგილებზე ინტელექტუალურ ტერმინალად გამოიყენება, და მართვის სხვადასხვა დონეზე ურთერთ დაკავშირებული ლოკალური გამოთვლითი ქსელები. კიბერნეტიკის დებულებები პირველმა ამერიკელმა მეცნიერმა ნ. ვინერმა 1948წ. ჩამოაყალიბა.

287. **კიდული სროლა** – ადგილმდებარეობაზე საარტილერო ქვემეხებიდან სროლა, ლულის ამაღლების 20^0 მეტი კუთხით. კიდული სროლის ეფექტურობა იზრდება ლულის ამაღლების კუთხის მომატებით, ვინაიდან ამ დროს ჭურვების ვარდნის კუთხე და მათი მსხვრევადი ან ფუგასური მოქმედება მატულობს. სროლა 45^0 მეტი – მორტირულია.

288. **კლეინოდები** – რეგალიები, საჯარისო განმასხვავებელი ნიშნები (დროშები, თუღები, ბუკები და სხვა) და ძალაუფლების სიმბოლოები (კვერთხი, არგანი, საჯარისო ბეჭედი და სხვა) 16-18ს.ს. უკრაინელი და პოლონელი გეტმანების, აგრეთვე დონელი და უკრაინელი კაზაკების რელიქვია.

289. **კოკარდა** – დადგენილი ნიმუშის განმასხვავებელი ნიშანი ფორმის თავსაბურზე. გამოჩნდა შუა საუკუნეებში ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მსუბუქ კავალერიაში (ფრინველის ფრთების კონა), მე-18ს. დასაწყისში საფრანგეთში (ქაღალდის კოკარდა),

1730წ. რუსეთში (ნაჭრის კოკარდა), ხოლო მე-19ს. შუა წლებში შემოღებული იქნა ლითონის კოკარდა.

290. **კოლონა** – მწყობრი, რომელშიც სამხედრო მოსამსახურეები განლაგებული არიან ერთმანეთის ზურგს უკან, ხოლო ქვედანაყოფები (მანქანები) ერთმანეთის უკან დაწესებულ დისტანციებზე. გამოიყენება სალაშქრო ან გაშლილი მწყობრის დასაწყობად, ასევე წინა საბრძოლო წყობის შესაქმნელად. სამხედრო – საზღვაო ძალებში – ხომალდების მწყობრი, რომელშიც ისინი ერთმანეთის უკან კილვატერში გადაადგილდებიან; სამხედრო – საჰაერო ძალებში – თვითმფრინავების (წყვილების, რგოლების) საბრძოლო წყობის ერთ-ერთი ფორმა.

291. **კოლონების შეკვრა** – მოძრაობის დროს მწყობრიდან გამოყვანილი შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის აღდგენის, მათი ევაკუაციის, დამატებით გამართვის, პირადი შემადგენლობის სამედიცინო დახმარებისთვის გაერთიანებაში, შენაერთში, ნაწილში და ქვედანაყოფში გამოყოფილი ძალები და საშუალებები. ჩვეულებრივ მოიცავს სარემონტო-საევაკუაციო ძალებს და საშუალებებს, ტრანსპორტს სამხედრო-ტექნიკური ქონების მარაგებით, გასამართავ, სამედიცინო საშუალებებს და სხვა საშუალებებს. როგორც წესი, თითოეულ მარშრუტზე იქმნება და მისი ადგილი სალაშქრო კოლონის ბოლოშია.

292. **კომანდა** – 1)სამხედრო წესდებებით განსაზღვრული მეთაურის (უფროსის) ზეპირი ბრძანება გამოხატული მოკლე ფორმით. განასხვავებენ წინასწარ და საშემსრულებლო კომანდას. 2) მუდმივ(საშტატო) (მაგალითად საპოლიგონო და სხვა) ან დროებითი სამხედრო ორგანიზაციული ერთეული 3 კაცი და მეტი დანიშნული სამსახურებრივი მოვალეობის ან სხვადასხვა სამუშაობებისთვის. 3) სანაპირო ბაზის ყაზარმაში განთავსებული ხომალდის პირადი შემადგენლობა.

293. **კომბინირებული დაზიანება** – ადამიანებზე, სამხედრო ტექნიკაზე, ნაგებობებზე და მატერიალურ საშუალებებზე საბრძოლო მასალის აფეთქების რამდენიმე დამაზიანებელი ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების შედეგი. ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის აფეთქების შედეგად კომბინირებულ დაზიანებას იწვევს ნამსხვრევები, დარტყმის ტალღა და სითბური ენერგია, ხოლო ცეცხლგამჩენი ბომბის და ჭურვის, ამის გარდა – ცეცხლგამჩენი ნივთიერების წვის ენერგია. ამის შედეგად პირადმა შემადგენლობამ შეიძლება მიიღოს ჭრილობები, კონტუზია, დამწვრობა, ხოლო ტექნიკამ და ნაგებობებმა, შეიძლება მიიღოს დაზიანება, ნგრევა, დნობა, დანახშირება და აალება. ყველაზე ძლიერი კომბინირებული დაზიანება ხდება ბირთვული აფეთქების დროს. ამ დროს ტრამვებსა და კონტუზიებს, რომელიც პირადმა შემადგენლობამ შეიძლება მიიღოს დარტყმის ტალღიდან, თან ახლავს დამწვრობა სხივური გამოსხივების შედეგად და სხივური დაავადება გამოწვეული გამჭოლი რადიაციის და ადგილმდებარეობის რადიაქტიულ დასნებოვნებისას. სამხედრო ტექნიკის და ნაგებობების დარტყმის ტალღისაგან დაზიანებას ემატება აალება სხივური გამოსხივების შედეგად, ასევე რადიოელექტრონული აპარატურის და ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა მათზე გამჭოლი რადიაციის და ელექტრომაგნიტური იმპულსის ზემოქმედების შედეგად. ახალი ფიზიკური პრინციპების იარაღის გამოყენებისას კომბინირებული დაზიანება შეიძლება იყოს არა მარტო აფეთქებისაგან, არამედ სხვადასხვა გამოსხივების და იმპულსების ზემოქმედების შედეგადაც. ობიექტების კომბინირებული დაზიანების ხარისხი ნებისმიერი აფეთქების დროს დამოკიდებულია თითოეული მისი ფაქტორის დამაზიანებელი მოქმედების ზონის ზომებზე.

294. **კომბინირებული დაზიანების კერა** 2/260. კ-58.

295. **კომბინირებული ღობურები** – ხელოვნური დაბრკოლებები, რომლებიც შექმნილია არაასაფეთქებელი და ასაფეთქებელი მოქმედებით, მაგალითად, მავთულხლართები, ბოძკინტები, თხრილები, ესკარპები დანაღმულ ველებთან შეხამებით, დანაღმული ხერგილები და სხვ.: სამხედრო საზღვაო ძალებში – ნაღმური შეხამება ბონების და ბადის ღობურებთან.

296. **კომუნიკაციების რღვევა** – მოწინააღმდეგისთვის იმ შესაძლებლობების ნაწილობრივი ან სრული წართმევა, რომ გამოიყენოს მიმოსვლის გზები ჯარების (ძალების) გადაადგილების, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების მიტანის, მათ შორის, მილსადენებით საწვავის მიწოდების, ენერგომომარაგების, ყველა სახეობის ევაკუაციის განხორციელებისთვის. სრულდება სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბით, მისი არსია შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების დარტყმები მიაყენოს მოწინააღმდეგის ჯარებს ტრანსპორტით გადაყვანის (ქვეითად გადასვლის) დროს, მის სატრანსპორტო საშუალებებს, სახმელეთო, წყალსანაოსნო მიმოსვლის გზებს, წაართვას (დაუნგრიოს) კომუნიკაციების (მილსადენები, სადგურები, პორტები და სხვ) დიდმნიშვნელოვანი ობიექტები (ელემენტები). საომარი მოქმედების საოკეანო და საზღვაო თეატრებში კომუნიკაციების დარღვევის მიღწევა ხდება სპეციალური საზღვაო ოპერაციების მოწყობის და სისტემატური საბრძოლო მოქმედების გზით.

297. **კონტრდარტყმა** – დარტყმა, რომელსაც ახორციელებენ დაჯგუფების (არმიის, არმიების ჯგუფის) ჯარები მოგერიებითი ოპერაციის დროს, რათა გაანადგურონ თავდაცვაში შემოჭრილი მოწინააღმდეგის დაჯგუფება, აღიდგინონ დაკარგული მდგომარეობა და შექმნან პირობები კონტრშეტევაზე (შეტევაზე) გადასასვლელად. კონტრდარტყმა შეიძლება მოეწყოს ერთ ან რამდენიმე მიმართულებაზე მე-2 ეშელონის, საერთო-საჯარისო რეზერვის ძალებით, 1-ლი ეშელონის ძალების ნაწილით, აგრეთვე სხვა მიმართულებებიდან მოხსნილი ჯარებით. კონტრდარტყმის მიმართულებაზე შეიძლება გადაისხას საჰაერო დესანტი, გამოყენებულ იქნეს სარეიდო რაზმები. კონტრდარტყმას, როგორც წესი, ახორციელებენ სოლად შემოჭრილი მოწინააღმდეგის დაჯგუფების ფლანგებზე, ჩვეულებრივ, იმ მომენტში, როდესაც მისი შემოტევა შეჩერებულია, ხოლო რეზერვების დაუყონებლივ შემოყვანა – შეუძლებელი.

298. **კონტრდარტყმის (კონტრიერიშის) მოგერიება** – შემტევი ჯარების საბრძოლო მოქმედება, რომელიც წარმოებს მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტმოიერიშე) დაჯგუფებების განადგურების და შემტევი ჯარების ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) სიღრმეში მათი შემოჭრის აღსაკვეთად და შეტევის გაგრძელების პირობების შესაქმნელად. მეორე მსოფლიო ომში კონტრდარტყმის (კონტრიერიშის) მოგერიება მეტწილად ხორციელდებოდა გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ძალების ნაწილის ან მთელი ძალების თავდაცვაზე გადასვლის გზით, ცალკეულ შემთხვევებში მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტრმოიერიშე) დაჯგუფების წინააღმდეგ აქტიური შეტევითი მოქმედებების გზით. ომის შემდგომ პერიოდში სამხედრო ხელოვნების თეორიით გათვალისწინებულია კონტრდარტყმის (კონტრიერიშის) მოგერიება და მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტრმოიერიშე) დაჯგუფებების განადგურება განხორციელდეს მისი დაზიანებით საცეცხლე (ბირთვული) საშუალებებით, მათ შორის, მაღალი სიზუსტის იარაღით, დისტანციური დანაღმვის და

რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების მასირებული გამოყენებით თავმოყრის რაიონებში, დაწინაურების მარშრუტებზე და გაშლის ზღუდეებზე, მათი თავდაცვითი ძალისხმევის ჩახშობის და შეტევითი მოქმედებით განადგურების დასრულების გზით. ამასთან, განსაკუთრებით, მოწინააღმდეგის მანევრის და გაშლის ჩასაშლელად, გათვალისწინებულია, ფართოდ იქნეს გამოყენებული საჰაერო დესანტები (სადესანტო-მოიერიშე ჯარები), მეწინავე რაზმები, და მოწინააღმდეგეს შემხვედრი დარტყმები მიაყენონ.

299. **კონტრმომზადება** – შეტევისთვის მომზადებული მოწინააღმდეგის მთავარ დაჯგუფებაზე მისი დარტყმის შეწყვეტის ან შესუსტების მიზნით, სარაკეტო ჯარების, არტილერიის და ავიაციის მასირებული დარტყმა; მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანების შემადგენელი ნაწილი. როგორც წესი, ორგანიზდება დაჯგუფების სარდლის გადაწყვეტილებით. მოწინააღმდეგის მოსალოდნელი მოქმედებებიდან გამომდინარე, რამოდენიმე ვარიანტით ჩვეულებრივ წინასწარ იგეგმება. მოწინააღმდეგისთვის უნდა იწყებოდეს უეცრად და მისი შეტევის საცეცხლე მომზადებას წინ უსწრებდეს.

300. **კონტრსაბატარეო ბრძოლა** – არტილერიის (ნაღმსატყორცნების) ცეცხლით მოწინააღმდეგის საარტილერიო (ნაღმსატყორცნი) ბატარეების და მათი მომსახურების ელემენტების (მართვის პუნქტების, მსროლელი ქვემეხების და ნაღმსატყორცნების აღმოჩენის და დამიზნების რადიო-ლოკაციური კომლექსების) დაზიანება (განადგურება) საცეცხლე უპირატესობის მოპოვების მიზნით.

301. **კონტრშეტევა** – შეტევის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც თავდამცველი ჯარები მიმართავენ მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიების დროს ან მოგერიების შემდეგ. კონტრშეტევის მიზანია, გაანადგურონ შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის დაჯგუფებები, ჩაუშალონ შეტევა, აღიდგინონ დაკარგული მდგომარეობა და შექმნან პირობები შეტევითი ოპერაციის წარმოების, დიდმნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების) დაკავების და სტრატეგიული ან ოპერატიული ინიციატივის ხელში ჩასაგდებად ან ახალ ზღუდეებზე გამაგრებისას თავდაცვაზე გადასასვლელად. კონტრშეტევა შეიძლება იყოს სტრატეგიული ან ოპერატიული მასშტაბის და ხორციელდებოდეს სტრატეგიული, დაჯგუფების ან არმიის (კორპუსის) კონტრშეტევითი ოპერაციის ფორმით. კონტრშეტევაზე გადასვლა ხორციელდება, როგორც წესი, ისეთ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგემ ნაწილობრივ ან მთლიანად ამოწურა თავისი შეტევითი შესაძლებლობები (გამოიყენა მთელი რეზერვები ან მათი მეტი ნაწილი), განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგი და ჯერ ვერ მოასწრო თავდაცვითი დაჯგუფების შექმნა და თავდაცვაზე გადასვლა. კონტრშეტევა შეიძლება დაიწყოს თავდაცვითი ოპერაციის დროს წარმატებით მიყენებული კონტრდარტყმების განვითარების შედეგად.

302. **კონტრშეტევა** – თავდაცვაში მყოფი ჯარების მიერ წარმოებული შეტევა მოწინააღმდეგის შემტევ ძალებზე, მისი განადგურების, თავდაცვაში შეჭრილი და თავდაცვის სრული ან ნაწილობრივი აღდგენისთვის. მდგომარეობს შეღწეული მოწინააღმდეგის შეჭრილი ძალების ავიაციის, სარაკეტო დარტყმებით, არტილერიის ცეცხლით და სხვა საშუალებებით დაზიანებას, შემდგომში შენაერთის (ნაწილის) მე-2 ეშელონის (რეზერვის) ძალების შეტევით განსაზღვრულ პირობებში ტაქტიკურ საჰაერო დესანტთან და 1-ლი ეშელონის ძალებთან ურთიერთქმედებით. როგორც წესი, კონტრშეტევას იმ მომენტში აწარმოებენ, როდესაც შეჭრილი მოწინააღმდეგე გაჩერებულია, მაგრამ დაკავებულ ზღუდეზე გამაგრებული არ არის, ან მისი წინსვლა

შეფერხებულია, ხოლო რეზერვები გამოყენებულია, ან ბრძოლაში დაუყონებლივ ჩაბმა შეუძლებელია. კონტრშეტევა დანიშნული ზღუდის დაკავებით მთავრდება.

303. **კონტრვალაციური ხაზი** – სიმაგრეების უწყვეტი ხაზი, რომელსაც აშენებდნენ ციხესიმაგრის მოალყენი ალყაში მყოფთა უეცარი გამოხტომების თავიდან ასაცილებლად. იქმნებოდა ციხის გალავნიდან 300-600 მ-ზე მიწაყრილიანი და კოშკურებიანი ერთიანი თხრილის სახით. კონტრვალაციური ხაზი გამოიყენებოდა უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე. მოალყეებს ზურგიდან რომ არ დასხმოდნენ, თავის დასაცავად აშენებდნენ ცირკუმვალაციურ ხაზს.

304. **კორდონი** - 1. გარკვეული ხაზის ან სახელმწიფოს საზღვრის გასწვრივ ჯარების მცირე რაზმებად გაწელილი განლაგება. მაგალითად, გამაგრებული საგუშაგოების ხაზები რომის იმპერიის განაპირა მხარეებში; 2. სასაზღვრო ან გადამღობი რაზმი, აგრეთვე მისი მდებარეობის ადგილი. სახელწოდება "კორდონი" დღესაც იხმარება საფრანგეთის და ზოგიერთ სხვა არმიებში.

305. **კორპუსის ოპერაცია** – მიზნის, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული იმ ბრძოლების, დარტყმების და მანევრის ერთობლიობა, რომლებსაც ოპერატიულ-ტაქტიკური (ოპერატიული) მიზნების მისაღწევად საარმიო კორპუსის შენაერთები და ნაწილები ერთიანი ჩანაფიქრის და გეგმის მიხედვით დაჯგუფების (არმიის, არმიების ჯგუფის) და შეიარაღებული ძალების სახეობების სხვა გაერთიანებებთან და შენაერთებთან ურთიერთქმედებით აწარმოებენ. კორპუსის ოპერაციის მომზადების და მოწყობის წესი, ძირითადი დებულებები არმიის ოპერაციის ანალოგიურია.

306. **კოსმონავტიკა** – მეცნიერების და ტექნიკის დარგების ერთობლიობა, რომელიც რაკეტების და კოსმოსური აპარატების მეშვეობით კოსმოსური სივრცის და დედამიწის გარე ობიექტების ათვისებას უზრუნველყოფს. ზოგ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა) კოსმონავტიკის ნაცვლად ტერმინი ასტრონავტიკა გამოიყენება. კოსმონავტიკის ძირითადი დარგებია: კოსმოსური ფრენების თეორიები, სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები (რაკეტა-მატარებლების, კოსმოსური აპარატების და უზრუნველყოფის საშუალებების კვლევა და შექმნა), სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემები, კოსმოსური სივრცის გამოყენების საკითხების საერთაშორისო-სამართებლივი რეგულირება. კოსმოსური აპარატების მეშვეობით ხორციელდება მზის სისტემის პლანეტების კვლევა.

307. **კოსმოსური დაზვერვა** - გარკვეული სამხედრო ობიექტების, რაიონების, ჯარების დაჯგუფებების მდებარეობის და მდგომარეობის ამსახველი მონაცემების მოპოვების, დამუშავების და მომხმარებლებისთვის გადაცემის ღონისძიებათა კომპლექსი ერთმანეთთან ორგანიზაციულად, ტექნიკურად და ინფორმაციულად დაკავშირებული თანამგზავრული კოსმოსური სისტემების და დედამიწისეული საშუალებების გამოყენებით; სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) დაზვერვის შემადგენელი ნაწილი. კოსმოსური დაზვერვის წარმოებისთვის გამოიყენება ხედვითი, რადიო და რადიოტექნიკური სისტემები. დაზვერვის ძალებს და საშუალებებს იშველიებენ იმ მონაცემების მისაღებად, რომლებიც ეხება საკონტინენტთაშორისო რაკეტების, სამხედრო-საჰაერო ძალების, საჰაერო თავდაცვის ჯარების დაჯგუფებებს, სახმელეთო ჯარების დისლოკაციას, საომარი მოქმედების თეატრის ოპერატიულ და საინჟინრო მოწყობას, აგრეთვე საზღვაო და სახმელეთო სამიზნეების საყოველამინდო დაზვერვის წარმოებას, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების მობილური გამშვები

დანადგარების ძებნას და სტრატეგიული სისტემების იარაღის ბაზირების პუნქტების თვალთვალს.

308. **კოსმოსური მედიცინა** – სამეცნიერო დისციპლინა, მოიცავს სამედიცინო-ბიოლოგიურ, ბიოფიზიკურ, ბიოლოგიურ-ტექნიკურ, ფიზიკო-ქიმიურ და სხვა მომიჯნავე სამეცნიერო კვლევების ურთიერთდაკავშირებულ ერთობლივობას, მიმართულს კოსმოსური ფრენის ყველა სტადიაზე ადამიანის ცხოველქმედებისთვის უსაფრთხოების და ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფისთვის. კოსმოსური მედიცინის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ორგანიზმზე ფრენის ფაქტორების გავლენის და შესაბამისი პროფილაქტიკური ზომების და დაცვის საშუალებების კვლევა; კოსმოსური საფრენი აპარატების მართვის და ცხოველქმედების სისტემების მიმართ ფიზიოლოგიური და ჰიგიენური, აგრეთვე ავარიული სიტუაციების დროს ეკიპაჟების გადარჩენის დასაბუთებული მოთხოვნები; ფრენისთვის კოსმონავტების შერჩევისა და მომზადებისთვის ფსიქოფიზიოლოგიური და კლინიკური მეთოდების და კრიტერიუმების დამუშავება; ფრენის დროს სამედიცინო კონტროლის, პროფილაქტიკის და მკურნალობის მეთოდების და საშუალებების დამუშავება.

309. **კოსმოსური მიზნის (ობიექტის) გადაჭერა** - მოწინააღმდეგის კოსმოსური მიზნის (ობიექტის) აღმოჩენის და დაზიანების (მწყობრიდან გამოყვანის) ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების კომპლექსი. მოწინააღმდეგის კოსმოსური მიზნის (ობიექტის) აღმოჩენა კოსმოსური სივრცის კონტროლის საშუალებებით ხორციელდება. კოსმოსური მიზნის (ობიექტის) დაზიანება (მწყობრიდან გამოყვანა) ავტომატური თანამგზავრული გადამჭერის, საავიაციო-სარაკეტო სისტემების აგრეთვე რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების მეშვეობით ხორციელდება.

310. **კოსმოსური ვითარება** – ყველა კოსმოსური ობიექტის, კოსმოსური სივრცის, იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომლებმაც შეიძლება, გავლენა მოახდინონ კოსმოსური აპარატების (ორბიტული სადგურების, კოსმოსური კომპლექსებისა და სხვ.) მომზადებაზე, ფუნქციონირების მიმდინარეობას და შედეგზე. მასშტაბის მიხედვით კოსმოსური ვითარება შეიძლება იყოს სტრატეგიული და ოპერატიული (ტაქტიკური). სტრატეგიული კოსმოსური ვითარება – ეს არის ვითარება, რომელიც ყალიბდება დედამიწის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში და მხარეთა კოსმოსური ძალების პოზიციურ რაიონებში. ოპერატიული (ტაქტიკური) კოსმოსური ვითარება – არის ვითარება, რომელიც იქმნება გარკვეული დროისთვის მხარეთა კოსმოსური ძალების ფორმირების ზონაში (რაიონში). კოსმოსური ვითარების შეფასება მოიცავს კოსმოსური ძალების დაჯგუფებების, იმ ფაქტორების და პირობების შესწავლას და ანალიზს, რომლებიც კოსმოსში და კოსმოსიდან ამოცანების შესრულებაზე გავლენას ახდენენ.

311. **კროკი** – ადგილმდებარეობის მნიშვნელოვანი ელემენტების ნახაზი შესრულებული თვალზომის ხერხით. მონაცემები, რომელთა ასახვა გრაფიკულად შეუძლებელია ნახაზის უკუ მხარეზე ან მინდვრებზე თავსდება. მზადდება რეკოგნოსცირების ჩატარების, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობის დროს და სხვა.

312. **კვლევითი(საცდელი) სწავლება** – საჯარისო, საკომანდო-საშტაბო ან სპეციალური სწავლება, რომლის მიზანია – სამხედრო ხელოვნების თეორიის და პრაქტიკის ახალი საკითხების შემოწმება და დაზუსტება. კვლევით (საცდელ) სწავლებაზე წყდება შემდეგი ამოცანები: ოპერაციის (ბრძოლის) მომზადება და წარმოება, ბრძოლაში და ოპერაციაში იარაღის და სამხედრო ტექნიკის ეფექტური გამოყენების ხერხების მოძიება და

დასაბუთება; საკუთარი ჯარების (ძალების და მოწინააღმდეგის საბრძოლო შესაძლებლობების შეფასება; საწესდებო დოკუმენტების დებულებების პროექტების, ჯარების (ძალების) და მართვის ორგანოების საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის შემოწმება; იარაღის და სამხედრო ტექნიკის ახალი სისტემების საბრძოლო შესაძლებლობების, ჯარების (ძალების) და იარაღის მართვის შემოწმება; საცდელი სწავლებები ჯარებში (ფლოტში) ტარდება, ხოლო კვლევითი გარდა ამისა – სამხედრო აკადემიებში, საბრძოლო გამოყენების ცენტრებში და სამხედრო ინსტიტუტებში.

ლ.

313. **ლაშქრობა** – არმიის (ფლოტის) მოქმედება, რომელიც მოიცავს ჯარების (ხომალდების) გადაადგილებას დიდ მანძილებზე, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრას, ბრძოლების და კვეთების წარმოებას; შეადგენდა ომის პერიოდს (კამპანიას) ან მთლიანად ომს. მე-20 ს. დამდეგიდან ტერმინი „ლაშქრობა" დარჩა მხოლოდ სამხედრო-საზღვაო ფლოტში, სადაც იგი შეიძლება იყოს სასწავლო (საშტურმანო, შეკრება-ლაშქრობანი და სხვ) და საბრძოლო.

314. **ლეგენდა** – გრაფიკული დოკუმენტისთვის მოკლე ტექსტიანი განმარტება. სქემებზე, კროკებზე, ან ტოპოგრაფიულ რუკებზე ვითარების გრაფიკული გამოსახულებისგან თავისუფალ ადგილზე აღინიშნება. ზოგიერთ საბრძოლო დოკუმენტს განმარტებითი ბარათის ფორმით თან ერთვის. ლეგენდა მოიცავს ცნობებს, რომელთა გრაფიკული გამოსახვა შეუძლებელია.

315. **ლოცია** – გემთტარების კარი, რომელიც ზღვებზე (ოკეანებზე), ტბებზე და მდინარეებზე ფარდობით ნავიგაციურ-ჰიდროგრაფიულ და ჰიდრომეტეოროლოგიურ მიმართებაში ნაოსნობის პირობებს შეისწავლის. 2) განსაზღვრული წყლოს ბასეინის დარიგება ნაოსნობისთვის მისი ნავიგაციური თავისებურებების დაწვრილებითი აღწერით. ლოცია გამოიცემა სახელმწიფო ჰიდროგრაფიული დაწებულების მიერ, რომელიც ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი

316. **ლოდინის პოზიცია** – ადგილმდებარეობის მონაკვეთი სარაკეტო ქვედანაყოფის ფარული განლაგებისთვის – სასტარტო პოზიციაზე მისი გასვლის წინ, რეაქტიული არტილერიის ქვედანაყოფისთვის – საცეცხლე პოზიციაზე გასვლის წინ, სატანკო ქვედანაყოფისთვის – შტევაზე გადასვლის ზღუდეზე წაწევის წინ.

317. **ლოდინის რაიონი** – ჩასხდომის პუნქტების (აეროდრომების) ახლოს ადგილმდებარეობის მონაკვეთი დანიშნული საზღვაო (საჰაერო) ჯარების დესანტის ფარული განლაგებისთვის, გადმოსხმის (დესანტირების) მომზადების დასრულებისთვის და საბრძოლო მოქმედებებისთვის.

318. **ლოდინის ზონა** – ადგილმდებარეობაზე (ზღვაზე) მოცემული რაიონის თავზე სივრცე, დანიშნული საფრენი აპარატების ყოფნისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში მათთვის ამოცანების დაზუსტებისთვის, დაწესებულ მარშრუტზე გასვლაზე ნებართვის ლოდინისთვის ან დაჯდომაზე შესვლისთვის.

319. **ლოკაცია** – ელექტრომაგნიტური ან ბგერითი ტალღების მეშვეობით ობიექტების ადგილმდებარეობის და მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრა. ტალღების ფიზიკური ბუნების კვალობაზე განასხვავებენ რადიოლოკაციას, ოპტიკურ და ბგერით ლოკაციას. სამხედრო საქმეში ლოკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა კოსმოსური, საჰაერო, სახმელეთო, წყალზედა და წყალქვეშა ობიექტების აღმოჩენა, ამოცნობა და თანხლება;

მონაცემების მიწოდება ცეცხლის მართვის და იარაღის გამიზვნისთვის; ნავიგაცია; დაზვერვა და სხვ.

მ.

320. **მანათობელი და საბრძოლო ჭურვების კოორდინირებული ცეცხლი** (62) – ცეცხლის ნაირსახეობა, რომლის დროსაც მანოთობელი და საბრძოლო ჭურვებით იწარმოება კოორდინირებული სროლა მიზნის და ადგილმდებარეობის განათების მიზნით იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა მიზანჩვენების, გამიზვნისა და ცეცხლის კორექტირებისთვის.

321. **მანევრი** – ჯარების (ძალების, მატერიალური საშუალებების) გარკვეული ნაწილის საბრძოლო მოქმედების მომზადებისა და მსვლელობისას ახალ მიმართულებაზე (ზღუდეზე, რაიონზე) ორგანიზებული გადაადგილება, აგრეთვე ცეცხლის, სარაკეტო ჯარების და ავიაციის დარტყმების გადატანა. ჯარების მანევრი ხორციელდება მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი მდებარეობის დაკავების და ძალების და საშუალებების საჭირო დაჯგუფების შექმნის, მოწინააღმდეგის დარტყმების არედან ჯარების გამოყვანის მიზნით. მასშტაბის (მონაწილე ძალების და საშუალებების რაოდენობის) მიხედვით განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ მანევრს. სტრატეგიული მანევრი სრულდება უმაღლესი სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით, ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე საომარი მოქმედების თეატრის ფარგლებში. ოპერატიული მანევრი ხორციელდება გაერთიანების სარდლის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით, ერთი ან რამდენიმე საოპერაციო მიმართულების ფარგლებში ოპერაციის ამოცანების შესრულების ინტერესებისთვის. ტაქტიკური მანევრი ხორციელდება შენაერთის (ნაწილის, ქვედანაყოფის) მეთაურის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით, ბრძოლაში ამოცანების შესრულების ინტერესებისთვის.

ჯარების (ძალების) მანევრი შეიძლება ხორციელდებოდეს საშტატო საბრძოლო და სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე საავტომობილო, სარკინიგზო, წყალსანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით.

322. **მანევრები** – სტრატეგიული (ოპერატიულ – სტრატეგიული) მასშტაბის ორმხრივი სწავლება, რომელშიც მონაწილეობენ მართვის ორგანოები, ასევე შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ჯარების გაერთიანებები და შენაერთები, რომლებიც დიდ სივრცეზე მოქმედებენ. ტარდება ადგილმდებარეობაზე, ზღვაში ან ჰაერში. მის მიზანს წარმოადგენს საბრძოლოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მნიშვნელოვანი საკითხების მომზადება და ჩატარება. მანევრები წარმოადგენს ჯარების (ძალების, ავიაციის, ფლოტის), მეთაურების და შტაბების სწავლების, მათი საბრძოლო მზადყოფნის მართვის სისტემის მდგომარეობის, საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობის შემოწმების უმაღლეს ფორმას.

323. **მანევრული თავდაცვა** – მოძრავი თავდაცვა; თავდაცვის სახეობა, რომლის მიზანია, მიაყენოს მოწინააღმდეგეს დანაკარგი, მოიგოს დრო და შეინარჩუნოს თავისი ძალები ტერიტორიის ნაწილის შესაძლო დაკარგვისას. გამოიყენება, როგორც წესი, პოზიციური თავდაცვის წარმოებისთვის საჭირო ძალების და საშუალებების უკმარისობისას. მანევრული თავდაცვის ფორმებს უძველესი დროიდან მიმართავდნენ. XX ს 20-30-იან წწ. ტაქტიკური მასშტაბით გათვალისწინებული იყო მრავალი ქვეყნის არმიების წესდებებით. დაზიანების საშუალებების, მეტადრე, ბირთვული და მაღალი

სიზუსტის იარაღის განვითარებამ, ჯარების მკვეთრად გაზრდილმა მანევრულობამ მოითხოვეს 70-იან წწ-ში გამოყენებული ყოფილიყო მანევრული თავდაცვის პრინციპები უკან დახევისას, ხოლო 80-იანი წლების დამლევს მანევრული თავდაცვა ოფიციალურად ცნეს ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში თავდაცვის სახეობად. მრავალი სახელმწიფოს არმიებში ასევე გათვალისწინებულია, რაიონის თავდაცვასთან (პოზიციურ თავდაცვასთან) ერთად აწარმოონ მობილური თავდაცვა (მოძრავი თავდაცვა), რაც ფორმით და შინაარსით მანევრული თავდაცვის ანალოგიურია.

324. **მასიური დაზიანების იარაღისაგან ჯარების (ძალების) დაცვა** – ოპერატიულ-ტაქტიკური და სპეციალური ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) იარაღის, რადიაქტიური და ქიმიური ნივთიერებების, დანგრეული ატომური ენერგეტიკის და ქიმიური მრეწველობის საწარმოების ჯარებზე (ძალებზე) და ლოჯისტიკის ობიექტებზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით. ჯარების (ძალების) მასიური დაზიანების იარაღისგან დაცვის ღონისძიებებს განეკუთვნება: მოწინააღმდეგის მასიური დაზიანების იარაღის გამოყენებისთვის მომზადების დროული გამოვლენა, ჯარების (ძალების) გაშორიშორება და მათი განლაგების რაიონების პერიოდული ცვლა; ჯარების, აეროდრომების, მართვის პუნქტების, კავშირგაბმულობის კვანძების, ლოჯისტიკის ობიექტების განლაგების რაიონების ფორტიფიკაციული მოწყობა; ჯარების (ძალების) შეტყობინება; მოწინააღმდეგის მიერ მასიური დაზიანების იარაღის გამოყენების მასშტაბების და შედეგების გამოვლენა და შეფასება; ეპიდემიის საწინააღმდეგო, სანიტარულ-ჰიგიენური და სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება; შედეგების ლიკვიდაცია.

325. **მეორე ეშელონი** (181) – დაჯგუფების ქვედანაყოფები, რომელთა ყოფნა მიზნის განლაგების რაიონში არ არის საჭირო.

326. **მეორე ზრეზე შესვლის სქემა** (139) – მოქმედებათა რიგი, რომელსაც ახორციელებენ დაჯდომის შეუძლებლობის შემთხვევაში. ხორციელდება შემდეგ შემთხვევაში: ა. პილოტის ინიციატივით, როდესაც ხელსაწყოებით დაჯდომისას არ არის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ვიზუალური ხედვა, როდესაც საფრენი აპარატი იმყოფება აბსოლუტურ (შედარებით) მინიმალურად დასაშვებ სიმაღლეზე ან აბსოლუტურ (შედარებით) სიმაღლეზე გადაწყვეტილების მისაღებად; ბ. პილოტის ინიციატივით ვიზუალური კონტაქტის დროს დასაჯდომად შესვლისას, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეუძლებლობისას; გ. ავიოდისპეჩერის მითითებით.

327. **მეხუთე მუხლის ფარგლებსგარე ოპერაცია** – სამხედრო ოპერაცია, განხორციელებული ჩრდილოატლანტიკური კავშირის მიერ, რომელზედაც არ ხორციელდება კოლექტიური დაცვის ვალდებულებები, განსაზღვრული ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით.

328. **მზადყოფნის ვადა** (29) – ვადა, რომლის განმავლობაში ნაწილი მოიყვანება მზადყოფნაში გაშლისა და დასახული ამოცანის, რომელიც მას მიუთითა ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის შესაბამისმა სარდალმა, შესრულების მიზნით.

329. **მზირნი** – 1.სახმელეთო ჯარების საჯარისო დაზვერვის ან სალაშქრო დაცვის ორგანო. გზავნიან ქვედანაყოფები და ნაწილები, რომლებიც მარშს ასრულებენ ან საბრძოლო მოქმედებას ეწევიან - მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის, რადიაციული და ქიმიური ვითარების შესახებ მონაცემების მოპოვების ან მოწინააღმდეგის გამოჩენის

(თავდასხმის) შემთხვევაში დასაცავი ჯარების გაფრთხილების მიზნით. 2. ხომალდი ან საფრენი აპარატი, რომელიც დაზვერვის ჩასატარებლად გამოიყენება.

330. **მთავარი დარტყმა** – არჩეულ მიმართულებაზე (რაიონში) ჯარების (ძალების) შეტევითი მოქმედება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაპირისპირებული მოწინააღმდეგის განადგურების და ოპერაციაში (ბრძოლაში) დასახული ამოცანის შესრულებისთვის. მთავარი დარტყმის მიმართულებით ქმნიან და ინარჩუნებენ ძალების და საშუალებების გადამწყვეტ უპირატესობას, ამასთან, მხედველობაში მიიღება მოწინააღმდეგის დაჯგუფების დაზიანების ყველაზე მაღალი ხარისხი. მთავარი დარტყმის მიყენების თეორია და პრაქტიკა ვითარდებოდა შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების ცვლილებების შესაბამისად. ეპამინონდითა და ალექსანდრე მაკედონელით დაწყებული, მთავარი დარტყმის მიმართულების არჩევანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა შეტაკების (ოპერაციის, ბრძოლის), მთლიანად კამპანიების და ომების წარმატებას. მაგალითად, სტრატეგიული ინიციატივის მოპოვებისთვის ბრძოლის პერიოდში მთავარ დარტყმებს აყენებდნენ ყველაზე მძლავრ და საშიშ დაჯგუფებებს. მთავარი დარტყმის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია არა მარტო მისი მიმართულების სწორი განსაზღვრა, არამედ მთავრი დაჯგუფების ფარული გაშლა და მისი ყოველმხრივი მომზადება და უზრუნველყოფა. ბირთვული იარაღის გაჩენის შემდეგ მთავარი დარტყმის არჩევაში განმსაზღვრელი გახდა მოწინააღმდეგისთვის მისაყენებელი ბირთვული დარტყმები. დაზიანების ჩვეულებრივ საშუალებათა გამოყენების პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალების და საშუალებების გადამწყვეტ მასირებას, ცეცხლით დაზიანების საიმედო ორგანიზაციას და ჯარების (ძალების) ძალისხმევის მუდმივ ზრდას.

331. **მიზნის დაჭერა** (113) – მიზნის თვალთვალის და დაჭერის სისტემის მოქმედება, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ავტომატურ რეჟიმში მიზნის უწყვეტი თვალთვალი.

332. **მიზნის მდებარეობის რაიონი** (159) – განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონი, რომელშიც განლაგებულია ჯარების მოქმედების მიზანი (ობიექტი). ჯარების ეფექტური ხელმძღვანელობის და მართვის მიზნით, მიზნის რაიონს სამეთაურო ინსტანცია განსაზღვრავს.

333. **მიმდინარე სადაზვერვო მონაცემები** (65) – სადაზვერვო მონაცემები, რომლებიც ოპერატიულ-სტრატეგიულ ან ტაქტიკურ დონეზე მიმდინარე მოვლენებს ასახავენ.

334. **მიყენებული ზარალის უშუალო შეფასება** (72) – საჰაერო თვალთვალის, აეროფოტოგადაღების და პირდაპირი თვალთვალის გზით დაზინებული რაიონის უშუალო შესწავლა.

335. **მოწინააღმდეგის მართვის მოშლის მოქმედებები** (51) – ღონისძიებათა კომპლექსი ყველა სამხედრო საშუალებების გამოყენებით, მათ შორის: ჯარების მოქმედებების დაფარვის უზრუნველყოფის, მასკირების, ფსიქოლოგიური ოპერაციების, რადიოელექტრონული ბრძოლის და ფიზიკური განადგურების ოპერატიული საშუალებები, რომლებიც ეყრდნობა ყველა წყაროდან მიღებულ სადაზვერვო მონაცემებს, ასევე კავშირგაბმულობის და ინფორმაციის სისტემები. ხორციელდება მოწინააღმდეგის სარდლობის და მართვის ორგანოებში ინფორმაციის მიწოდების აღკვეთის, მათზე ზემოქმედების გაწევის, მათი ძირგამოთხრის და განადგურების,

ამასთან თავისი სარდლობის და მართვის ორგანოების ამგვარი მოქმედებებისგან დაცვის მიზნით.

336. **მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ჩახშობა (212)** – მოწინააღმდეგის საჰაერო დაცვის ნეიტრალიზების, ეფექტურობის დროებითი დაქვეითების ან მოშლის კომპლექსური ზომები, განხორციელებული განადგურების და/ან დეზორგანიზების საშუალებების გამოყენებით

337. **მოწყვლადობა** (223) – სხვადასხვა უბედურების შედეგების ლიკვიდაციის ტერმინოლოგიაში – პოტენციური დამანგრეველი მოვლენის შედეგად წარმოქმნილი დანაკარგების ხარისხი (0%-დან 100%მდე)

338. **მოხსენება ვითარების შესახებ** – ზუსტი, ზეპირი მოხსენება მოვლენების ან გარემოების შესახებ, რასაც შესაძლოა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიმდინარე დაგეგმვისა და ოპერაციებისთვის, მოითხოვს სათანდო უსაფრხოების დაცვით უსწრაფეს მიწოდებას.

339. **მრავალეროვნული ერთობლივი ოპერაცია** – სამხედრო ოპერაცია, რომელიც ტარდება ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებით და რომელშიც შეიარაღებული ძალების არა ნაკლებ ორი სახეობის ნაწილები და ქვედანაყოფები მონაწილეობენ.

340. **მწყობრში შეყვანა** (გვ. 1) – სამხედრო – ადმინისტრაციულ საქმიანობაში – დასახული ამოცანის შესასრულებლად ბრძანების საფუძველზე დაწესებული სამხედრო ორგანიზაციული ერთეულის მწყობრში შეყვანა.

341. **მხარდაჭერა** – სამხედრო ფორმირების ან მისი ნაწილის მოქმედება სხვა ფორმირებების დახმარებისთვის, მისი დაფარვისათვის, პირადი შემადგენლობის შევსებისთვის ან ხანგრძლივი პერიოდით მოქმედებების უზრუნველსაყოფად.

342. **მხარდაჭერა და ურთიერთქმედება** – საბრძოლო მოქმედებები, რომლის დროსაც დანიშნული ნაწილი მოქმედებს გარკვეული შენაერთის ან ჯგუფისგან დამოუკიდებლად, მაგრამ მის წინაშე დასმულია ამოცანა, წარმოადგინოს ინფორმაცია მხარდამჭერი შენაერთისთვის მოწინააღმდეგესთან შეხების შესახებ, მისგან მიიღოს სადაზვერვო ინფორმაცია, ასევე, შესაბამისი ბრძანებების მიღებისას განახორციელოს მასთან ურთიერთქმედება. ამასთან ნაწილი რჩება სამეთაურო ინსტანციის ტაქტიკურ დაქვემდებარებაში, რომელიც ახორციელებს საბრძოლო ამოცანების დასმას და ნაწილი მოქმედებს შენაერთის მეთაურის მოთხოვნების შესაბამისად.

343. **მამაცობა** – მებრძოლის მორალურ-ფსიქოლოგიური და საბრძოლო ხარისხი გამოვლენილი უშიშარ, გადამწყვეტ გატაცებაზე, მდგრადობაზე ბრძოლაში და სხვა რთულ ვითარებაში სიძნელეების საზრიანი გადალახვით, აგრეთვე მოწინააღმდეგისთვის საკუთარი ნების თავსმოხვევით. მამაცობის შინაგან საფუძველს საკუთარი საქმის რწმენა და სამართლიანობა, იარაღის ძლიერების ძალა, დამოწინააღმდეგეზე უპირატესობის რწმენა წარმოადგენს.

344. **მანევრები** – სტრატეგიული (ოპერატიულ – სტრატეგიული) მასშტაბის ორმხრივი სწავლება, რომელშიც მონაწილეობენ მართვის ორგანოები, ასევე შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ჯარების გაერთიანებები და შენაერთები, რომლებიც დიდ სივრცეზე მოქმედებენ. ტარდება ადგილმდებარეობაზე, ზღვაში ან ჰაერში. მის მიზანს წარმოადგენს საბრძოლოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მნიშვნელოვანი საკითხების მომზადება და ჩატარება.

მანევრები წარმოადგენს ჯარების (ძალების, ავიაციის, ფლოტის), მეთაურების და შტაბების სწავლების, მათი საბრძოლო მზადყოფნის მართვის სისტემის მდგომარეობის, საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობის შემოწმების უმაღლეს ფორმას.

345. **მანევრი** – ჯარების (ძალების, მატერიალური საშუალებების) გარკვეული ნაწილის ორგანიზებული გადაადგილება საბრძოლო მოქმედების მომზადებისას და მსვლელობისას ახალ მიმართულებაზე (ზღუდეზე, რაიონზე), აგრეთვე ცეცხლის, სარაკეტო ჯარების და ავიაციის დარტყმების გადატანა. ჯარების მანევრი ხორციელდება მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი მდებარეობის დაკავების და ძალების და საშუალებების საჭირო დაჯგუფების შექმნის, მოწინააღმდეგის დარტყმების არიდან ჯარების გამოყვანის მიზნით. მასშტაბის (მონაწილე ძალების და საშუალებების რაოდენობის) მიხედვით განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ მანევრს. სტრატეგიული მანევრი სრულდება უმაღლესი სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით, ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე საომარი მოქმედების თეატრის ფარგლებში. ოპერატიული მანევრი ეწყობა გაერთიანების სარდლის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით, ერთი ან რამდენიმე საოპერაციო მიმართულების ფარგლებში ოპერაციის ამოცანების შესრულების ინტერესებისთვის. ტაქტიკური მანევრი ეწყობა შენაერთის (ნაწილის, ქვედანაყოფის) მეთაურის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით ბრძოლაში ამოცანების შესრულების ინტერესებისთვის. ჯარების (ძალების) მანევრი შეიძლება ხორციელდებოდეს საშტატო საბრძოლო და სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე საავტომობილო, სარკინიგზო, წყალსანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით.

346. **მანევრული ჯგუფი** – საბრძოლო ქვედანაყოფი ზოგიერთი ქვეყნის სასაზღვრო ჯარებში, რომელიც შედგება რამდენიმე სასაზღვრო სადარაჯოს, აგრეთვე სხვა საბრძოლო ქვედანაყოფების და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფებისგან. შეიძლება იყოს მოტოსამანევრო (ჯავშანტრანსპორტიერებზე და ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებზე), ან სადესანტო (მოიერიშე შვეულმფრენებზე). სამანევრო ჯგუფის ძირითადი ამოცანებია დივერსიული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლა და საზღვრის მეორე მხარიდან უეცარი შემოჭრის მოგერიება, ბრძოლა სისხლის სამართლებლივ და პოლიტიკურ ბანდიტიზმთან, შეიარაღებულ კონტრაბანდასთან და საზღვრის მასობრივ დარღვევებთან, ცალკეული უბნების თავდაცვა საზღვარზე და სიღრმეში, ცალკეულ შემთხვევებში სამანევრო ჯგუფი გამოიყენება სარეიდო მოქმედების წარმოებისათვის. საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად შეიძლება გაძლიერდეს არტილერიით, ტანკებით და სხვა ძალებით და საშუალებებით.

347. **მანევრული ტაქტიკა** – შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების მიერ საბრძოლო მოქმედების წარმოების თეორია და პრაქტიკა, რომელიც ყველა სახეობის მანევრის ფართო გამოყენებას ემყარება. მანევრული ტაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და ჯარების თვისებრივი შემადგენლობის განვითარებასთან. მის ცალკეულ ელემენტებს ადგილი ჰქონდა მე-18-19 სს. ომებში, აგრეთვე რუსეთ-იაპონიის ომსა და პირველ მსოფლიო ომში. მე-2 მსოფლიო ომში მისი არსია: შეტევაში – მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანება დიდ სიღრმეზე, საბრძოლო წყობის სწრაფი წინსვლა, საჰაერო დესანტების გამოყენება, დიდმნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტების და წინააღმდეგობის

კვანძების გვერდიდან შემოვლა ან გარშემორტყმა, მოკლე ვადაში მოწინააღმდეგის ტაქტიკურ დაჯგუფებათა ალყაში მოქცევა მათი შემდგომი განადგურებით; თავდაცვაში – ცეცხლით და ქვედანაყოფებით (ნაწილებით) მანევრის მოწყობა საშიშ მიმართულებაზე, ჯარების (ძალების) გამოყვანა მოწინააღმდეგის შესაძლო დარტყმებიდან, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების ფართო გამოყენება და კონტრშეტევების მოწყობა. სამხედრო-საზღვაო ფლოტში (სამხედრო-საზღვაო ძალებში) მანევრული ტაქტიკას ახასიათებს ბრძოლაში შეუჩერებლივ ჩაბმა, ცეცხლისა და მანევრის შეხამება, მოწინააღმდეგის ნაწილ-ნაწილ განადგურების მისწრაფება. მანევრული მოქმედება არის თანამედროვე არმიების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის (სამხედრო-საზღვაო ძალების) ბრძოლის ტაქტიკის ძირითადი შინაარსი. მას ახასიათებს მაღალი დინამიზმი, სივრცული გაქანება, მკვეთრად ცვალებადი ვითარება და ბრძოლის წარმოების ხერხების მრავალფეროვნება.

348. **მანევრული თავდაცვა** – მოძრავი თავდაცვა; თავდაცვის სახეობა, რომლის მიზანია, მიაყენოს მოწინააღმდეგეს დანაკარგი, მოიგოს დრო და ტერიტორიის ნაწილის შესაძლო დაკარგვისას თავისი ძალები შეინარჩუნოს. გამოიყენება, როგორც წესი, პოზიციური თავდაცვის წარმოებისთვის საჭირო ძალების და საშუალებების უკმარისობისას. თავდაცვის სამანევრო ფორმებს უძველესი დროიდან მიმართავდნენ. XX ს 20-30-იან წწ. ტაქტიკური მასშტაბით გათვალისწინებული იყო მრავალი ქვეყნის არმიების წესდებებით. დაზიანების საშუალებების, მეტადრე, ბირთვული და მაღალი სიზუსტის იარაღის განვითარებამ, ჯარების მკვეთრად გაზრდილმა მანევრულობამ მოითხოვეს 70-იან წწ-ში გამოყენებული ყოფილიყო მანევრული თავდაცვის პრინციპები უკან დახევისას, ხოლო 80-იანი წლების დამლევს მანევრული თავდაცვა ოფიციალურად ცნეს თავდაცვის სახეობად რუსეთის შეიარაღებულ ძალებში. მრავალი სახელმწიფოს არმიებში ასევე გათვალისწინებულია, რაიონის თავდაცვასთან (პოზიციურ თავდაცვასთან) ერთად აწარმოონ მობილური თავდაცვა (მოძრავი თავდაცვა) რაც ფორმით და შინაარსით მანევრული თავდაცვის ანალოგიურია.

349. **მანევრულობა** – 1. შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების ფორმირებათა უნარი, სწრაფად განახორციელონ გადაადგილება, გაშლა საბრძოლო მოქმედების მომზადების და მსვლელობისას; 2. სამხედრო ტექნიკის შესაძლებლობა, სწრაფად შეიცვალოს მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება (თვითმფრინავებისთვის – ასევე ფრენის სიმაღლე, ხოლო წყალქვეშა ნავებისთვის – ჩასვლის სიღრმე).

350. **მარში** – 1. ჯარების ორგანიზებული გადაადგილება კოლონებით საბრძოლო მანქანებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე ან ქვეითი წესით, იმ მიზნით, რომ დადგენილ დროს მივიდნენ დანიშნულ რაიონში (მითითებულ ზღუდეზე) საბრძოლო ამოცანის შესრულების მზადყოფნით. ომიანობის დროს ჯარებს შეუძლიათ, შეასრულონ, მარში ფრონტისკენ, ფრონტის გაყოლებით ან ფრონტიდან ზურგში; მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩაბმის მოლოდინში ან მაშინ, როდესაც არ არსებობს შეტაკების საფრთხე; მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების პირობებში ან მაშინ, როდესაც არსებობს მისი გამოყენების საფრთხე. მარში სრულდება მალულად, როგორც წესი, ღამით, ხოლო საბრძოლო მოქმედების დროს და თავისი ჯარების ღრმა ზურგში – დღისითაც. მარშის ძირითადი მაჩვენებლებია: სიღრმე (მარშრუტის სიგრძე კმ-ობით) საწყისი ზღუდიდან (პუნქტიდან) დანიშნულ ზღუდემდე (თავმოყრის

რაიონის შორეულ პუნქტამდე), ხანგრძლივობა (საათობით ან დღეობით – საწყისი ზღუდის (პუნქტის) გავლის დროიდან სრულ თავმოყრამდე გათვალისწინებულ რაიონში); გამოყოფილი მარშრუტების რაოდენობა ან მოძრაობის ზოლის სიგანე; სადღეღამისო გადასვლების რაოდენობა - მანძილი, რომელსაც ჯარები გადალახავენ დღე-ღამეში მარშის შესრულებისას; სადღეღამისო გადასვლის სიდიდე (კმ); კოლონების მოძრაობის საშუალო სიჩქარე (მარშის სიჩქარე); დღე-ღამის (საათის) განმავლობაში უშუალო მოძრაობის დრო. 2. ტერიტორიის დატოვების ძალისმიერი იძულება 3. პროტესტის ან დემონსტრაციის პროცესი (სამოქალაქო).

351. **მარშის შევსება** 2/38. მ-36. ????? ვერ ვიპოვე

352. **მარშ-მანევრი –** ჯარების გადაადგილება სალაშქრო წყობით, რომელიც ხორციელდება საბრძოლო მოქმედების დაწყებისას, მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი მდებარეობის დაკავების, საჭირო დაჯგუფების შექმნის ან მოწინააღმდეგის დარტყმის არიდან ჯარების გამოყვანის მიზნით; ჯარების დაჯგუფების ერთ-ერთი ფორმა. მე-20 საუკუნეში ტერმინი „მარშ-მანევრი" ხმარებიდან გამოვიდა.

353. **მარშ-ნახტომი** - სახმელეთო ჯარების (საზღვაო ქვეითების) ქვედანაყოფების მოკლე მანძილზე სწრაფი გადაადგილება ადრე დასმული, ან უეცრად წარმოქმნილი საბრძოლო ამოცანის შესრულების მიზნით. ჩვეულებრივ ქვეითად აჩქარებული ტემპით (სიარულის და სირბილის მონაცვლეობით) ხორციელდება. შესაძლებელია შერეული მარშ-ნახტომი, როდესაც გზის ნაწილს ქვეითად გადალახავენ, ხოლო ნაწილს ტექნიკის მეშვეობით. სამხედრო მოსამსახურეებისთვის გამძლეობის და სწრაფი მოქმედებების განვითარების ვარჯიშის ერთ-ერთი მეთოდია.

354. **მარშრუტი –** ჯარების (ძალების), ავიაციის და სატრანსპორტო საშუალებების მსვლელობის გზა. მარშრუტი ისახება რუკაზე (სქემაზე) ძირითადი პუნქტების მითითებით, რომლებსაც იგი გადის, ან აზიმუტების აღნიშვნით. როგორც წესი, მარშრუტი არ უნდა გადიოდეს დიდ დასახლებულ პუნქტებზე, გზების კვანძებზე, ვიწროებზე, რკინიგზის სადგურების, პორტების მახლობლად და ა.შ. ავიაციაში მარშრუტის შერჩევა ხორციელდება ობიექტების მისაწვდომობის, ორიენტირების, ფრენის უსაფრთხოების და ფარულობის, დარტყმის მოულოდნელობის, სამიზნე გადასვლის და სამიზნიდან წამოსვლის სიზუსტის გათვალისწინებით. სამხედრო-საზღვაო ძალებში ხომალდების (გემების) ზღვით გადასვლის მარშრუტს ირჩევენ თეატრში ოპერატიული ვითარების, სანავიგაციო–ჰიდროგრაფიული და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით და დანიშნულ რაიონში (პუნქტში) დროული მის- ვლის ვარაუდით.

355. **მართვადი საზენიტო რაკეტების გაშვების ზონა** – სივრცე, რომლის ნებისმიერ წერტილში მიზნის ყოფნის დროს მართვადი საზენიტო რაკეტის გაშვების მომენტში დაზიანების ზონაში მიზანთან რაკეტის შეხვედრა უზრუნველყოფილია. გაშვების ზონის პარამეტრები საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ტაქტიკურ-ტექნიკური შესაძლებლობებით, მიზანთან დაწესებულ წერტილთან შეხვედრის რაკეტის ფრენის დროით, საჰაერო მიზნის ფრენის სიჩქარით და მიმართულებით განისაზღვრება.

356. **მართვის მოშლა** – ჯარების (ძალების), იარაღის და სამხედრო ტექნიკის მართვის ორგანოების და ტექნიკური საშუალებების ფუნქციონირების შესაძლებლობის არსებითი შემცირება ან სრული შეწყვეტა მათ მიერ საბრძოლო, საცეცხლე და სხვა ამოცანების შესრულებისას. მართვის დარღვევას აღწევენ მოწინააღმდეგის ჯარების

(ძალების) და იარაღის, უწინარეს ყოვლისა, მისი მართვის პუნქტების და კავშირგაბმულობის კვანძების მართვის სისტემათა დაზიანების და ჩახშობის გზით.

357. **მასის აღმნიშვნელი ნიშნები** – პირობითი ნიშნები, რომელიც საარტილერიო ჭურვის (ნაღმის) მასის ნორმალურისგან(ცხრილისგან) გადახრას უჩვენებს. განსაზღვრული რაოდენობის პლუსის და მინუსის სახით ნაღმის კორპუსზე დაიტანება. მაგალითად, ერთი პლუსი ან მინუსი ნიშნავს, რომ მოცემული ჭურვის გადახრა შესაბამისად მეტ ან ნაკლებ მხარეს 1/3-დან – 1% ზღვრებში მდებარეობს. მასის გადახრაზე მანძილზე შესწორება სროლის ცხრილებშია ნაჩვენები. თითოეული სროლისთვის ჭურვები მასის ერთნაირი აღმნიშვნელი ნიშნებით შეირჩევა.

358. **მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების შედეგების პროგნოზირება** – მოწინააღმდეგის მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებით შესაძლებელი ან განხორციელებული დარტყმების შედეგების საორიენტაციო გამოვლენა, ფაქტიური მონაცემების მიღებამდე რაიონებიდან, რომლებმაც დარტყმები განიცადეს, და ჯარების (ძალების) მდგომარეობის კონტროლი; ხორციელდება გრაფიკული, გათვლითი, გრაფოანალიტიკური მეთოდებით, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით დარტყმების მიახლოებითი შედეგების განსაზღვრა. პროგნოზირებისთვის საწყისი მონაცემები: ცნობები საკუთარი ჯარების (ძალების) და ობიექტების შესახებ; დარტყმის რაიონში ადგილმდებარეობის შესახებ: მეტეოროლოგიური პირობები; მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებით დარტყმების შესახებ (დრო, ადგილი, დარტყმის სახეობა გამოყენებული საშუალების ტიპი და სხვა).

359. **მათემატიკური ლოდინი** – შემთხვევითი სიდიდის ალბათობების განაწილების ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელიც ტოლია მისი ყველა შესაძლო მნიშვნელობის ჯამის ნამრავლის მათი მნიშვნელობის ალბათობაზე. სამხედრო საქმეში გამოიყენება საბრძოლო და უზრუნველყოფის მოქმედებების ეფექტურობის მაჩვენებლად(დაზიანებული მიზნების რიცხვის მათემატიკური ლოდინი, ტექნიკის აღდგენის დროის მათემატიკური ლოდინი და სხვა). განისაზღვრება თეორიული და გამოცდის გზით.

360. **მახას რიცხვი** – (ავსტრიელი მეცნიერის ე. მახას 1838-1916 სახელის საპატივცემლოდ) – აირის ნაკადის მახასიათებელი ნაკადის სიჩქარის v შეფარდებას ბგერის სიჩქარესთან a აირის იმავე წერტილში. $M = v/a$, როდესაც $M < 1$ ნაკადს უწოდებენ ბგერითამდე, როდესაც $M = 1$ - ბგერითს, $M > 1$ – ზებგერითს, როდესაც $M > 5$ – ჰიპერბგერითს. ხშირად მახას რიცხვს საფრენი აპარატების ფრენის მახასიათებლად გამოიყენებენ.

361. **მცირე სტრატეგია** – „დიდი ტაქტიკა", თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელებული სამხედრო ხელოვნების (რუსეთში ოპერატიული ხელოვნება) ნაწილი.

362. **მედალი** – განსაკუთრებული ნიშანი, რომელსაც უშვებენ რაიმე ისტორიული ან პოლიტიკური მოვლენის, რომელიმე გამოჩენილი მოღვაწის აღსანიშნავად (პატივსაცემად), ან ჯილდო მხედრული და სხვა დამსახურების და წარჩინებისთვის. მზადდება ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო და სხვ.) ან სხვა მასალისაგან (მარმარილო, ფაიფური, მინა, პლასტმასა) მონეტის, რომბის, ვარსკვლავის ფორმით და სხვ., რომელთა ორივე მხარეს მოთავსებულია რელიეფური წარწერები და გამოსახულებანი. იყოფა განსაკუთრებული წარჩინების, დასაჯილდოებელ და სამახსოვრო (მათ შორის საიუბილეო) მედლებად. ატარებენ მკერდზე მიმაგრებულს,

უფრო იშვიათად – ლენტით კისერზე ჩამოკიდებულს. არსებობს აგრეთვე სამაგიდო და საკედლე (მემორიალური) მედლები.

363. **მეტეოროლოგია** (სამხედრო) – ზოგადი მეტეოროლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს მეტეოროლოგიური პირობების გავლენას ჯარების (ძალების) საქმიანობაზე და სამხედრო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობაზე, აგრეთვე საომარი მოქმედების თეატრის, ჯარების (ძალების) დისლოკაციის რაიონების მეტეოროლოგიურ და კლიმატურ თავისებურებებს. ეფუძნება ატმოსფეროს ფიზიკის, სინოპტიკური მეტეოროლოგიის, აეროლოგიის, კლიმატოლოგიის მიღწევებს და სხვ. იყოფა სამხედრო–საავიაციო, სამხედრო–საზღვაო, საარტილერიო, სამხედრო–ქიმიურ, სინოპტიკურ მეტეოროლოგიად და კლიმატოლოგიად.

364. **მეტეოროლოგიური ცნობა** – ხომალდებზე, თვითმფრინავებზე, კოსმოსურ აპარატებზე და სანაპირო მეტეოროლოგიურ სადგურებზე მეტეოროლოგიური დაკვირვების შედეგების შესახებ განზოგადებული მონაცემები. გამოიყენება ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) ვითარების პროგნოზის დასაზუსტებლად.

365. **მეტეოროლოგიური დაზვერვა** (იხ. ამინდის დაზვერვა)

366. **მეტეოროლოგიური ინფორმაცია** – მეტეოროლოგიური პირობების ცნობები. გამოიყენება ყველა დონის მეთაურების და შტაბების მიერ ჯარების (ძალების) მოქმედებების, იარაღის და ტექნიკური საშუალებების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების, აგრეთვე ავიაციის ფრენის უსაფრთხოების, ჯარების (ძალების) მასობრივი იარაღისგან დაცვისთვის ზომების მიღების უზრუნველყოფისთვის და ა.შ. მოიცავს ინფორმაციის მიღების 3 ძირითად სახეს: ფაქტიურს, პროგნოსტიკურს და საცნობაროს.

367. **მეტეოროლოგიური სიდიდეები** – მეტეოროლოგიური ელემენტების (მათ შორის ამინდის საშიში მოვლენების) რაოდენობრივი და ხარისხობრივი მნიშვნელობები, რომლებიც ატმოსფეროს მდგომარეობას ახასიათებს. გამოიყენება მეტეოროლოგიური პირობების ანალიზის, პროგნოზის და შეფასების დროს. გამოისახება ფიზიკაში, ჰიდრომექანიკაში და სხვა დისციპლინებში მიღებულ ერთეულებში. მეტეოროლოგიური სიდიდეების უმეტესი ნაწილი განისაზღვრება უშუალო დაკვირვებით და გაზომვებით ჰაერის მიწისპირა ფენაში მეტეოროლოგიურ სადგურებზე სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების დახმარებით. ზოგიერთი მეტეოროლოგიური სიდიდე გათვლებით განისაზღვრება, მაგალითად ჰაერის სიმკვრივე, ქარის მახასიათებლები და სხვა.

368. **მეტროლოგია სამხედრო** – საერთო მეტროლოგიის დარგი, რომელიც ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით ერთობლიობის სიზუსტის და დროული გაზომვების საკითხებს შეისწავლის. მეტროლოგიის ძირითადი ამოცანებია მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამეცნიერო საფუძვლების განვითარება.

369. **მეწინავე ბატალიონი** – გაძლიერებული ქვეითი (მოტოქვეითი) ბატალიონი, რომელიც გამოყოფილი იყო შეტევის დაწყების წინ მოწინააღმდეგის მომზადებული თავდაცვის ბრძოლით დაზვერვისთვის. პირველად მეწინავე ბატალიონების გამოყენება დაიწყეს მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წ, იმ მიზნით, რომ დაეზუსტებინათ თავდაცვის წინა კიდის მოხაზულობა და ხასიათი, გამოერიცხათ საარტილერიო და საავიაციო მომზადების ჩატარება იმ პოზიციების მიმართ, რომლებიც წინასწარგანზრახვით დატოვა მოწინააღმდეგემ და სხვ.

370. **მეწინავე ბაზირება** – 1. სამხედრო-საზღვაო ძალების განლაგება საომარი მოქმედების რაიონის მიმართ წინ წაწეული ბაზირების პუნქტებში, რომლებიც იქმნება ამ მიზნებისთვის მოსახერხებელ ნავსადგურში, ყურეში ან უბეში და რომლებსაც შემდეგ დამატებით აღჭურვავენ (ახლად აღჭურვავენ) ამ ბაზიდან მოქმედი ფლოტის ძალების ბაზირების უზრუნველყოფის მცურავი და მოძრავი საშუალებებით; 2. მშვიდობიან დროს შეზღუდული რაოდენობის ჯარების (ძალების) განლაგება უცხოეთის ტერიტორიებზე, რომლებიც ფაქტობრივი ან პოტენციური საომარი კონფლიქტების რაიონებს წარმოადგენენ. იმავდროულად საკუთარ ტერიტორიაზე ინარჩუნებენ მნიშვნელოვან რეზერვებს მეწინავე ბაზირების არსებულ დაჯგუფებათა გასაძლიერებლად და ახალი დაჯგუფებების შესაქმნელად.

371. **მეწინავე პოლკი** – 14-17ს.ს. რუსული ჯარის ორგანიზაციული და ტაქტიკური ერთეული. იქმნებოდა ომის პერიოდში და ძირითადად მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმისგან მთავარი ძალების დაფარვისთვის გამოიყენებოდა.

372. **მიფრენის დრო** – სამხედრო-საჰაერო ძალებში – საფრენი აპარატის ფრენის დრო აეროდრომიდან მიზნამდე. საჰაერო თავდაცვაში – მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებების ფრენის დრო მისი აღმოჩენიდან საზენიტო-სარაკეტო დივიზიონების საბრძოლო მოქმედებების საზღვრების ზონამდე.

373. **მიმდებარე ზონა** – ღია ზღვის რაიონი, ტერიტორიული წყლების გარე საზღვარს მომიჯნავე, ზღვისპირა სახელმწიფოს მიერ დაწესებული უცხო გემების კონტროლის გასახორციელებლად. მიმდებარე ზონაზე ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ ვრცელდება; მისი ზღვრული სიგანე გაერო-ს 1982წ. კონვენციით განსაზღვრულია 24 საზღვაო მილით.

374. **მიმიზნება** – მართვის ხერხი, რომლის დროს ძალებს (წყალქვეშა ნავი, საფრენი აპარატი) ან იარაღს (რაკეტას, ტორპედოს) მოწინააღმდეგის ობიექტების დაზიანებისთვის მოძრაობის პარამეტრები (კურსი, სიჩქარე, სვლის სიღრმე, ფრენის სიმაღლე და სხვა) მიეცემა, რომელიც საშუალებას იძლევა დასმული ამოცანის შესრულებული იქნეს.

375. **მინიატურ-პოლიგონი** – საიმიტაციო მოწყობილობა არტილერიის, ტანკების, საბრძოლო მანქანების და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების სროლის და ცეცხლის მართვის სწავლისთვის. მოიცავს სამიზნე სიტუაციით ადგილმდებარეობის მაკეტს, მოწყობილობას ჭურვის გასკდომის იმიტაციითვის, დაზვერვის, კავშირგაბმულობის სროლისათვის მონაცემების გათვლის საშუალებებით მოწყობილ სროლის (მეცადინეობის) ხელმძღვანელის და მოსწავლეების სამუშაო ადგილებს.

376. **მისროლა** - მიზნის დაზიანებისთვის, სროლით განსაზღვრული ქვემეხის (ნაღმსატყორცნის) ხელსაყრელი სამიზნე და ამფეთქის დანადგარების განსაზღვრა. მისროლა ხორციელდება უშუალოდ მიზანზე ან რეპერზე შემდგომში მიზანზე ცეცხლის გადატანით. მისროლას აწარმოებენ ქვემეხით, ოცეულით, ბატარეით.

377. **მიზნების ამოცნობა** – საჰაერო (კოსმოსური) მიზნის ტიპის და სახელმწიფო კუთვნილების განსაზღვრა. ხორციელდება სხვადასხვა დანიშნულების რადიოლოკაციური სადგურების და საჰაერო (საჰაერო-კოსმოსური) სივრცის კონტროლის სხვა საშუალებებით მიღებული ფრენაში მოძრაობის და მოქცევის, გამოსხივების ხასიათის, გაშვების ადგილის და დროის და სხვა მონაცემების ანალიზის გზით.

378. **მიზნების ნაკადის სიმჭიდროვე** – დროის ერთეულში საჰაერო (კოსმოსური) მიზნების რაოდენობა განსაზღვრულ ზღუდეზე, ჩვეულებრივ ერთ წუთში. მიზნების ნაკადის სიმჭიდროვეს ჩვეულებრივ განიხილავენ ფარდობით საჰაერო მიზნების ზღუდის, საზენიტო-სარაკეტო ჯარების დაზიანების ზონის საზღვრების, შორეული აღმოჩენის ზღუდის და დასაცავი ობიექტის საზღვრების.

379. **მიზნის დაზიანების კანონი** – მიზნის დაზიანების ალბათობის დამოკიდებულება ფარდობით საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრიდან მისი მდებარეობის ან მოხვედრილი ჭურვების რაოდენობიდან. მიზნის დაზიანების კანონით განისაზღვრება მიზნის მოწყვლადობა და საბრძოლო მასალის დამაზიანებელი ფაქტორების პარამეტრები. მიზნის დაზიანების კანონი გამოიყენება სროლის ეფექტურობის და საბრძოლო მასალების ეფექტურობის შეფასებისას.

380. **მიზნის კოორდინატები** – კოორდინატების სისტემების შესაბამისად კუთხური ან სახაზო ციფრული სიდიდეები, რომლებიც ზედაპირზე, ან სივრცეში მიზნების მდგომარეობას განსაზღვრავენ. მიზნის კოორდინატები აუცილებელია სხვადასხვა მიწისზედა, წყალზედა, საჰაერო და სხვა მიზნებზე დარტყმების მომზადების და მიყენებისთვის, აგრეთვე საჰაერო და კოსმოსური სივრცის კონტროლისთვის. მიწისზედა და წყალზედა მიზნების კოორდინატებს ჩვეულებრივ ბრტყელ სწორკუთხა გეოდეზიურ, პოლარულ და ბიპოლარულ კოორდინატების სისტემებში განსაზღვრავენ; საჰაერო მიზნებს – გეოგრაფიულ (გეოდეზიურ) სწორკუთხა, სფერულ და პარამეტრიულში. მაგალითად, ბრტყელ სწორკუთხა სისტემაში კოორდინატებს სახაზო სიდიდეებით განსაზღვრავენ (აბსცისა X და ორდინატით Y)კილომეტრებში და მეტრებში საკოორდინატო ღერძების (ეკვატორის ხაზის ღერძული მერიდიანის) ფარდობით, ხოლო გეოდეზიური სისტემის კოორდინატებს კუთხოვენი სიდიდეებით (განედით b და გრძედით L) ეკვატორის სიბრტყის და ნულოვანი მერიდიანის ფარდობით და გამოიხატება გრადუსებში, წუთებში, წამებშიკუთხემზომის და რუმბების დანაყოფებში.

381. **მიზნის მიღების (გადაცემის) ზოლი** – ადგილმდებარეობის ზოლი საჰაერო თავდაცვის მეზობელი შენაერთების შესაყარზე, რომლის თავზეც საჰაერო მიზნის ფრენისას ხორციელდება ინფორმაციის გადაცემა, მისი მოძრაობის პარამეტრების შესახებ, ერთი შენაერთის (ნაწილის) მიერ და მიზნის მიღება მეზობლის რადიოსალოკაციო საშუალებების მიერ თანხლებისთვის. ინიშნება საჰაერო მიზნების უწყვეტი თანხლების უზრუნველსაყოფად.

382. **მასირებული ცეცხლი** – საარტილერიო ცეცხლის სახეობა, რომელსაც აწარმოებს საერთო-საჯარისო შენაერთის ან სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების ჯგუფის მთელი არტილერია ან მისი მეტი ნაწილი მოწინააღმდეგის ერთი ან რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის მოკლე დროში გადამწყვეტი დაზიანების მიზნით.

383. **მობილური თავდაცვა** – თავდაცვის წარმოების ხერხი, რომელიც გათვალისწინებულია აშშ, დიდი ბრიტანეთის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს არმიებში. გულისხმობს თავდაცვითი, შეტევითი და შემაკავებელი მოქმედების შეხამებას, რომელთა დროს შემომტევი მოწინააღმდეგის მთავარ ძალებს თავდაცვის სიღრმეში მათი განადგურებისთვის მოსახერხებელ რაიონებში (ტომარაში) იტყუებენ, სადაც მუსრავენ ყველა საშუალებას ცეცხლით, კონტრიერიშებით და კონტრდარტყმებით. ამისთვის ძალების და საშუალებების დაახლოებით ორ მესამედს, უპირატესად

ჯავშანსატანკოს, განალაგებენ მე-2 ეშელონში (რეზერვში) – ხოლო მესამედს – 1-ელ ეშელონში. მობილური თავდაცვის გამოყენებას მიმართავენ ისეთ პირობებში, როდესაც დასაშვებია ტერიტორიის დროებითი დაკარგვა, ადგილმდებარეობა ხელს უწყობს მანევრის განხორციელებას, თავდამცველი ჯარები არ ჩამორჩებიან მოწინააღმდეგეს მობილურობით და ჰაერში თუნდაც ნაწილობრივი უპირატესობა აქვთ. ჩვეულებრივ, გამოიყენება პოზიციურ თავდაცვასთან შეხამებით. მობილურ თავდაცვას იყენებს, როგორც წესი, დივიზია და უფრო მრავალრიცხოვანი გაერთიანება.

384. **მობილურობა** – ჯარების (ძალების, ობიექტების) შესაძლებლობა სწრაფად გადაადგილდეს, შეიცვალოს პოზიცია, გაიშალოს (წინასაბრძოლო და საბრძოლო წყობად) და ვითარების სხვადასხვა პირობებში სწრაფ ტემპში აწარმოოს საბრძოლო მოქმედებები.

385. **მოდელირება** – სამხედრო საქმეში, რეალური სისტემის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მისი ანალოგის (მოდელის) შექმნის და შესწავლის გზით ობიექტის(მოვლენის, სისტემის, პროცესის) კვლევის სამხედრო-თეორიული ან სამხედრო-ტექნიკური მეთოდი. რეალურ სისტემასა და მის ანალოგს შორის წესდება განსაზღვრული შესაბამისობა (ანალოგია) იმ ნიშნებზე (ფაქტორებზე, მახასიათებლებზე), რომლებიც კვლევის მიზნის მისაღწევად ამა თუ იმ ზომით აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. სამხედრო საქმეში მოდელირება შეიარაღებული ბრძოლის (ოპერაციის, ჯარების გადაჯგუფების და ა.შ.) პროცესების, ჯარების (ძალების) მართვის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, შეიარაღების განვითარების და სხვა პროგრამებისთვის გამოიყენება.

386. **მომზადებული თავდაცვა** – თავდაცვა, ორგანიზებული მოწინააღმდეგესთან კონტაქტის არარსებობის პერიოდში, კონტაქტი არ არის მოსალოდნელი და დრო თავდაცვის მომზადებისთვის საკმარისია. ის მოიცავს თავდაცვის ზონის საფორტიფიკაციო სამუშაოებს, საცეცხლე წერტილების, გამაგრებული თავშესაფრის და კომუნიკაციის სისტემის მომზადებას.

387. **მოქმედებების რადიუსი** – 1) ოპერატიული – უდიდესი მანძილი, რომელზეც ხომალდს (ჯგუფს, შენაერთს) საწვავის დამატების გარეშე შეუძლია ბაზირების ადგილიდან გასვლა, შეასრულოს დასმული ამოცანა და უკან დაბრუნდეს; 2) ტაქტიკური მაქსიმალური მანძილი, რომლის დროს თვითმფრინავი (ვერტმფრენი), ქვედანაყოფი, ნაწილი, შენაერთი, საწვავის გარანტირებული მარაგის დახარჯვის გარეშე საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ აეროდრომზე დაბრუნდება.

388. **მოქმედი არმია და ფლოტი** – სამხედრო მოქმედებებში უშუალოდ ჩაბმული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ნაწილი (ჯარებისა და ძალებისგან განსხვავებით, რომლებიც სამხედრო მოქმედებების თეატრს გარეთ იმყოფებიან და რეზერვების მომზადებისა და შევსებისთვის არიან დანიშნული). ჯარებისთვის (ძალებისთვის) მოქმედი არმიის და ფლოტის სტატუსის მიკუთვნებას და პირადი შემადგენლობისთვის შეღავათების დაწესებას ქვეყნის მთავრობა აწესებს და თითოეულ სახელმწიფოში თავისი თავისებურება გააჩნია.

389. **მორიგე** – 1) სამხედრო ნაწილის(ხომალდის), ქვედანაყოფის, დაწესებულების ან საგარნიზონო განწესის სადღეღამისო განწესში მყოფი სამხედრო მოსამსახურე. მოვალეობები წესდებების, დარიგებების და ინსტრუქციების შესაბამისად განისაზღვრება. 2) საშტატო თანამდებობრივი პირი სამხედრო მმართველობის

ორგანოებში, დაწესებულებებში (მაგ. ზოგიერთ შტაბში, სამეთაურო პუნქტების საბრძოლო გათვლების შემადგენლობაში და სხვა).

390. **მორიგე გენერალი** – ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო მმართველობის ორგანოების სტრატეგიული და ოპრატიულ-ტაქტიკური რგოლის საშტატო თანამდებობრივი პირი. ჩვეულებრივ შეიარაღებული ძალების ცენტრალურ და მისი სახეობების მორიგე გათვლებს უდგას სათავეში. ძირითადი მოვალეობები: უმაღლესი სარდლობის ბრძანებების და განკარგულებების დროულ დაყვანაზე და შესრულებაზე კონტროლი; ჯარების(ძალების) საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის მონაცემების შეკრება და სარდლობისთვის მოხსენება; კავშირგაბმულობის საშუალებების მზადყოფნაზე მეთვალყურეობა და სხვა. 2) ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მმართველობის უმაღლეს ორგანოებში სარიგო მორიგეობაზე დანიშნული პირი.

391. **მორიგე ქვედანაყოფი – 1.** სამხედრო ნაწილის სადღეღამისო გათვლის შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფი (ოცეული, ასეული და ა.შ.). ინიშნება ნაწილის მეთაურის (გარნიზონის უფროსის) ბრძანებით - ყარაულების გაძლიერების, ხანძარზე, სტიქიურ უბედურებაზე სასწრაფო გამოძახების მიზნით და სხვა შემთხვევებში. 2. საბრძოლო პირობებში – ქვედანაყოფი, რომელიც ადგილზე განლაგებისას ინიშნება გადმომსხდარი საჰაერო დესანტების, დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფების გასანადგურებლად, საგუშაგო დაცვის გასაძლირებლად და სხვ.

392. **მორიგე ძალები და საშუალებები** – საბრძოლო მორიგეობის შესრულებისთვის სპეციალურად დანიშნული ქვედანაყოფები, ნაწილები (ხომალდები) ან შენაერთები. მორიგე ძალების და საშუალებების რაოდენობრივ შემადგენლობას, მათ მიზნობრივ დანიშნულებას, საბრძოლო ამოცანებს, საბრძოლო მზადყოფნის დასადგენ ხარისხს, საბრძოლო მორიგეობის შესრულების, საბრძოლო მზადყოფნის და საბრძოლო შემადგენლობის ხარისხის ზრდის და საბრძოლო ამოცანების განხორციელების წესის, აგრეთვე მართვის ორგანიზაცია შესაბამისი სარდლის (მეთაურის) მიერ, ბრძანებებით (დირექტივებით) განისაზღვრება. მორიგე ძალები და საშუალებები მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ადრეული გაფრთხილების სისტემასთან.

393. **მორიგეობა** – 1) სამხედრო ნაწილის(ხომალდის), ქვედანაყოფის, დაწესებულების ან საგარნიზონო განწესის სადღეღამისო განწესის შემადგენლობაში სამსახურის ასრულება. ხორციელდება ყველა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. 2) საშტატო მორიგეებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება (მაგ. ზოგიერთ შტაბში, სამეთაურო პუნქტების საბრძოლო გათვლების შემადგენლობაში და სხვა). 3) მორიგე ქვედანაყოფით, აგრეთვე საბრძოლო მორიგეობის დროს მორიგე ძალებით და საშუალებებით ამოცანის I შესრულება.

394. **მოსალოდნელი გადაცდენა -** იხილე შუა გადაცდენა

395. **მოწინააღმდეგე** – მტერი; მეომარი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) სახელწოდება ომში მოპირისპირე სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) მიმართ; მტრის ჯარის ზოგადი სახელწოდება.

396. **მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხება -** სახმელეთო ჯარების (საზღვაო ძალების) მდებარეობა, რომლის დროსაც მეწინავე შენაერთებს (ნაწილებს, ქვედანაყოფებს) ან მთავარი ძალების 1-ელ ეშელონს უნარი შესწევთ, განახორციელონ ვიზუალური დაკვირვება მოწინააღმდეგეზე და აწარმოონ მათთან ბრძოლა ძირითადი საშტატო საცეცხლე საშუალებებით. ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფის კვალობაზე

მოპირისპირე მხარეების ორმხრივი დაშორიშორება ბრძოლის დაწყებამდე და ბრძოლის დროს განუწყვეტლივ იზრდებოდა. მე-2 მსოფლიო ომის წლებში ეს დაშორიშორება შეადგენდა რამდენიმე ათეული მეტრიდან რამდენიმე ასეულამდე მეტრს. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ლოკალურ ომებში მოპირისპირე მხარეთა ჯარების ორმხრივი დაცილება განისაზღვრებოდა ტანკების და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების პირდაპირი დამიზნებით სროლის სიშორით, და შეადგენდა 3-4 კმ-ს.

397. **მოწინააღმდეგეზე უპირატესობა** ოპერაციაში და ბრძოლაში – უპირატესობა ჯარების (ძალების) რიცხოვნობაში, მათ აღჭურვაში, მორალურ მდგომარეობაში, საბრძოლო მოქმედებების წარმოების ხელოვნებაში.

398. **მოწინააღმდეგის უკან ჩამოტოვება –** ბრძოლიდან გამოსასვლელად ჯარების მოქმედების ბოლო ფაზა. ხორციელდება არიერგარდის მიერ დაფარვით ისეთ მანძილზე, რომელიც მთავარი ძალებისთვის უზუნველყოფს მანევრის თავისუფლებას და გამორიცხავს მათ დაზიანებას მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლით. მოწინააღმდეგის უკან ჩამოტოვება, ჩვეულებრივ, ხორციელდება შეზღუდული ხედვის პირობებში.

399. **მოხვედრის ალბათობა** – რიცხობრივი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მოცემული იარაღიდან განსაზღვრულ პირობებში მიზანში მოხვედრის შესაძლებლობას. იზომება 0-დან 1-მდე (0-დან 100%-მდე). დამოკიდებულია მიზნის ზომებზე, ჭურვების (ტყვიების და სხვ.) გაფანტვის სიდიდეზე, გაფანტვის ცენტრის მდებარეობაზე მიზნის ცენტრთან შეფარდებით და სხვა პირობებზე. მოხვედრის ალბათობის თეორიული გათვლა ხდება ალბათობის თეორიის საფუძველზე. პრაქტიკაში მოხვედრის ალბათობა სროლის უცვლელი პირობების შემთხვევაში ტოლია მოხვედრის რაოდენობის და გასროლის რაოდენობის შეფარდების.

400. **მოძრაობის რეგულირება** ჯარების მარშზე – ღონისძიებების კომპლექსი მიცემული ტემპების, ჯარების მოძრაობის მიმართულების და დანიშნულ რაიონებში დროული ჩასვლის, აგრეთვეგზების გამტარუნარიანობის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისთვის. მოძრაობის რეგულირების ძირითადი ღონისძიებებია: საწყისი ზღუდეების და რეგულირების ზღუდეების დანიშვნა, მოძრაობის რეგულირების საგუშაგოების ორგანიზაცია, მარშრუტების უზრუნველყოფა საგზაო ნიშნებით, მაჩვენებლებით, შუქნიშნებით და სხვა.

401. **მოძრაობის უზრუნველყოფის რაზმი** – დროებითი ფორმირება, რომელიც შედგება, უმთავრესად, საინჟინრო-მესანგრეთა, ქვეითი (სატანკო), ქიმიური და სხვა ქვედანაყოფებით გაძლიერებული საინჟინრო-საგზაო ქვედანაყოფებისგან. განკუთვნილია მარშრუტის მოსამზადებლად და შესანარჩუნებლად მოძრაობისა და ჯარების შეუფერხებელი გავლის უზრუნველსაყოფად. იქმნება შეტევის და ჯარების გადაადგილების დროს. მოძრაობის უზრუნველყოფის რაზმი ეწევა მარშრუტის დაზვერვას, გაჰყავს გასასვლელები ნანგრევებსა და ღობურებში, აღადგენს გზების დანგრეულ უბნებს, აწყობს გადასასვლელებს ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებზე (ვიწრო მდინარეები, არხები, ხერგილები და ა .შ.).

402. **მოძრავი საცეცხლე ზონა** – საარტილერიო ცეცხლის სახეობა, იერიშის საარტილერიო მხარდაჭერის მეთოდი. წარმოადგენს აფეთქებების ღრმა ერთიან ზონას, რომელიც ერთდროულად იქმნება მოიერიშე ჯარების ფრონტის წინ სამ და მეტ ზღუდეზე და გადაინაცვლებს სიღრმეში მათი წინსვლის კვალობაზე. მოძრავი

საცეცხლე ზონა გამოიყენება მთავარი დარტყმის მიმართულებაზე მომზადებული თავდაცვის გარღვევისას, სადაც მაღალია ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების სიმჭიდროვე, არის დიდძალი არტილერია, საბრძოლო მასალები, და შეიძლება, მოწინააღმდეგის 1-ლი ეშელონის ბატალიონების თავდაცვის სიღრმეში წარმოებდეს.

403. **მოძრავი თავდაცვა** იხილე მანევრული თავდაცვა.

404. **მთავარი დარტყმა** – ჯარების (ძალების) შეტევითი მოქმედება არჩეულ მიმართულებაზე (რაიონში), რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაპირისპირებული მოწინააღმდეგის განადგურების და ოპერაციაში (ბრძოლაში) დასახული ამოცანის შესრულებისთვის. მთავარი დარტყმის მიმართულებით ქმნიან და ინარჩუნებენ ძალების და საშუალებების გადამწყვეტ უპირატესობას, ამასთან, მხედველობაში მიიღება მოწინააღმდეგის დაჯგუფების დაზიანების ყველაზე მაღალი ხარისხი. მთავარი დარტყმის მიყენების თეორია და პრაქტიკა ვითარდებოდა შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა ცვლილებების შესაბამისად. ეპამინონდითა და ალექსანდრე მაკედონელით დაწყებული, მთავარი დარტყმის მიმართულების არჩევანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა შეტაკების (ოპერაციის, ბრძოლის), მთლიანად კამპანიების და ომების წარმატებას. მაგალითად, სტრატეგიული ინიციატივის მოპოვებისთვის ბრძოლის პერიოდში მთავარ დარტყმებს აყენებდნენ ყველაზე მძლავრ და საშიშ დაჯგუფებებს. მთავარი დარტყმის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია არა მარტო მისი მიმართულების სწორი განსაზღვრა, არამედ მთავრი დაჯგუფების ფარული გაშლა და მისი ყოველმხრივი მომზადება და უზრუნველყოფა. ბირთვული იარაღის გაჩენის შემდეგ მთავარი დარტყმის არჩევაში განმსაზღვრელი გახდა მოწინააღმდეგისთვის მისაყენებელი ბირთვული დარტყმები. დაზიანების ჩვეულებრივ საშუალებათა გამოყენების პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალების და საშუალებების გადამწყვეტ მასირებას, ცეცხლით დაზიანების საიმედო ორგანიზაციას და ჯარების (ძალების) ძალისხმევის მუდმივ ზრდას.

405. **მთავარი შტაბი** – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ჯარების (ძალების) სახეობის მართვის ორგანო. ჩვეულებრივ, შედგება დეპარტამენტების, სამმართველოების და განყოფილებებისგან; მასში შეიძლება, შედიოდნენ სხვადასხვა ინსპექციები და სამსახურები. რიგ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ.) შეიარაღებული ძალების სახეობათა მართვის ორგანოებს უწოდებენ შტაბებს, ხოლო შტაბის უფროსები ასრულებენ შესაბამის მთავარსარდალთა (სარდალთა) ფუნქციებს.

406. **მთავარი ძალები** – გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ძირითადი ძალების და საშუალებების დაჯგუფება, რომელიც განკუთვნილია ოპერაციაში (ბრძოლაში) მთავარი ამოცანების შესასრულებლად. ჩვეულებრივ, მთავარი ძალები მოიცავენ საშტატო, მიკუთვნებული და მხარდამჭერი ძალების და საშუალებების დიდ ნაწილს. თავდაცვაში მთავარი ძალები საბრძოლო მოქმედებას აწარმოებენ ძირითადი ძალისხმევის თავმოყრის მიმართულებაზე. შეტევაში (კონტრშეტევაში) მოქმედებენ მთავარი დარტყმის მიმართულებით. მარშზე მთავარი ძალები მიჰყვებიან სალაშქრო დაცვას მარშუტებზე, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ, დროზე ჩავიდნენ დანიშნულ რაიონებში ან დროულად და ორგანიზებულად ჩაებან შეტაკებაში (ბრძოლაში).

407. **მუდმივი ცეცხლი** - დაცემულ გმირებზე და მათი გმირობის ხსოვნის სიმბოლო. მუდმივი ცეცხლის ალი ძეგლებთან, მემორიალურ კომპლექსებთან, სასაფლაოებზე და საფლავთან. პირველად აინთო 1920წ. პარიზში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

408. **მხედრული მისალმება** - ურთიერთ პატივის მიგება და სამხედრო პატივი. ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი. სამხედრო მოსამსახურეები ვალდებული არიან ერთმანეთს მიესალმონ, ამავდროულად უმცროსი სამხედრო წოდებით პირველი მიესალმება. მხედრული მისალმების წესი განსაზღვრულია წესდებებით.

409. **მხედრული მისალმება** 2/48. იხილე მხედრული სალამი

ნ

410. **ნატო-ს ერთობლივი ოპერაცია –** სამხედრო ოპერაცია, განხორციელებული ნატო-ს ორი ან მეტი წევრი-სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, ორი ან მეტი სახეობის ქვედანაყოფებისა და ნაწილების მიერ.

411. **ნაღმის საბრძოლო მდგომარეობა** (200) – სახმელეთო ნაღმის მდგომარეობა, როდესაც ამოქმედებაზე სიგანის მიღებამდე მას მოხსნილი აქვს დამცავი და აფეთქების შემაყოვნებელი მოწყობილობები.

412. **ნაღმის უსაფრთხო მდგომარეობა** (190) – ნაღმის მდგომარეობა, რომლის დროსაც მას არ შეუძლია ამოქმედება და ტრანსპორტირების და გამოყენების დროს საფრთხეს არ წარმოადგენს.

413. **ნბრევა** (70) – ცეცხლის, წყლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, მექანიკური ან სხვა საშუალებების ზემოქმედებით შენობების, ობიექტების ან საბრძოლო ტექნიკის განადგურება.

414. **ნამსხვრევების განფანტვის ზონა** 1/610 იხილე დაზიანების ზონა

415. **ნაოსნობა** – ხომალდის (გემის) გადასვლა ერთი პუნქტიდან ან რაიონიდან მეორეში რაიმე ამოცანის შესასრულებლად. ხორციელდება ოპტიმალური მარშრუტებით ნაოსნობის უსაფრთხოების და დასმული ამოცანის ეფექტურად შესრულების, აგრეთვე ხომალდზე ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

416. **ნაღმების დაყენება** – დანიშნულ რაიონში (ადგილზე) წყალზედა ხომალდების, წყალქვეშა ნავების, ვერტმფრენების და თვითმფრინავების მოქმედებები ნაღმური დაბრკოლებების შექმნისთვის.

417. **ნაღმსაწინააღმდეგო დაცვა (**ხომალდის) **-** ტექნიკური საშუალებების და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რიმლის მიზანია უზრუნველყოს ხომალდის დაცვა ნაღმური იარაღის ზემოქმედებისგან. მოიცავს: ხომალდის წყალქვეშა კონსტრუქციულ დაცვას (ბორტის და ძირის); ხომალდის ფიზიკური ველების ინტენსივობის შემცირების ღონისძიებებს; ხომალდის მექანიზმების, მოწყობილობის და სისტემების აფეთქებამედეგობის ამაღლებას; ხომალდის ნაღმსაწინაღო საშუალებებს. მიიღწევა არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტებით ხომალდების მშენებლობისას, სპეციალური არამაგნიტური, შთანმთქმელი და სხვა მასალების და დაფარვების გამოყენებით, ხომალდების განმაგნიტების მოწყობით, ხომალდების და მექანიზმების ხმაურიანობის შემცირებით, მაღალეფექტიანი ნაღმსაწინაღო საშუალებების გამოყენებით და სხვ.

418. **ნაღმსაწინაღო თავდაცვა (**ხომალდის, ხომალდთა შენაერთების, ბადრაგის) - სპეციალური ღონისძიების და მოქმედების კომპლექსი, რომელსაც ზღვის გადასვლისას საზღვაო ძალები ხომალდების (ტრანსპორტის) და ხომალდთა შენაერთების

(ბადრაგების) ნაღმზე აფეთქებისგან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ახორციელებენ. მოიცავს შენაერთის (ბადრაგის) მოძრაობის მარშრუტზე მოწინააღმდეგის ნაღმური ღობურების დროულ აღმოჩენას, აგრეთვე ხომალდების მიერ ღობურების უსაფრთხო შემოვლას ან ფორსირებას. ნაღმსაწინაღო თავდაცვის მიღწევას განაპირობებს ნაღმსაწინაღო თვალთვალის ორგანიზება, მოწინააღმდეგის აღმოჩენილი ნაღმების შესახებ შეტყობინება, აღმოჩენილი ნაღმებისთვის თავის არიდება (მხრის აქცევა), ხომალდების ნაღმსაწინაღო დაცვის მოწყობა. ნაღმსაწინაღო თავდაცვისთვის გამოიყენება მტრალავები, ნაღმსაწინაღო შვეულმფრენები, ნაღმგამრღვევები, ნაღმსაძებნები, სახომალდო ტექნიკა და თვალთვალის ვიზუალური საშუალებები.

419. **ნაღმსაწინაღო უზრუნველყოფა** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ ბაზირების რაიონებში არ დაუშვან ხომალდების (გემების) მოწინააღმდეგის ნაღმებზე აფეთქება, ბაზებიდან გასვლისას, ზღვით გადასვლისას და საბრძოლო მოქმედების რაიონში; საზღვაო ძალების მოქმედების ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. მოიცავს წყლის ზედაპირისადმი ნაღმსაწინაღო თვალთვალის და ნაღმური საფრთხის შეტყობინების სისტემას; ფარვატერების, ნაოსნობისთვის რეკომენდებული რაიონების და კურსების სისტემას; ხომალდების ფიზიკური ველების მდგომარეობისადმი კონტროლის ღონისძიებებს; ხომალდების (გემების) გადასვლის მარშრუტებზე აღმოჩენილი ნაღმური ღობურების განადგურებას; ნაღმების დამყენებლების (ხომალდების, საფრენი აპარატების) განადგურებას; ხომალდების გატარებას ტრალების კვალდაკვალ და სხვ.

420. **ნაღმური დაზვერვა** – ღონისძიებათა და მოქმედებათა კომპლექსი ნაღმური ვითარების გამოსავლენად ძალების ბაზირების რაიონში, გადასვლის მარშრუტებზე და წყალქვეშა ნავების და წყალზედა ხომალდების (გემების) საბრძოლო მოქმედების წარმოების რაიონებში; დაზვერვის შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება ნაღმსაწინაღო მეთვალყურეობის სისტემით, ძალებით, რომლებიც ახორციელებენ ნაღმების ძებნას, ხომალდებით (გემებით) ღუზაზე დგომის ადგილებში და ზღვით გადასვლისას, თვითმფრინავებით (შვეულმფრენებით), რომლებიც ახორციელებენ ფრენას ზღვის თავზე, მყვინთავთა ძალებით, რომლებიც იკვლევენ ნავსაყუდელებს, რეიდებს, ღუზაზე დგომის ადგილებს და ა.შ.

421. **ნაღმური ღობურების გარღვევა** იხილე ღობურების და დაბრკოლებების გადალახვა

422. **ნაღმურ-საარტილერიო პოზიცია** – საზღვაო ნაღმური დაბრკოლებების და მათი დამცველი სანაპირო არტილერიის ერთობლიობა, დასაცავ წყლის რაიონში მოწინააღმდეგის არ დაშვების მიზნით. საზღვაო თავდაცვითი პოზიციის შემადგენელი ნაწილი.

423. **ნავიგაცია** – მეცნიერება ხომალდების (საზღვაო ნავიგაცია), საფრენი აპარატების (საფრენი აპარატების ნავიგაცია, აერონავიგაცია), კოსმოსური აპარატების (კოსმოსური ნავიგაცია), საბრძოლო და სპეციალური მანქანების, მოძრავი სარაკეტო კომპლექსების (მიწისზედა ნავიგაცია) და მისი პრაქტიკული რეალიზაციისთვის (მოძრავი ობიექტისადგილსამყოფელის განსაზღვრის პროცესის) გზის შერჩევის და ტარების მეთოდების თაობაზე. ნავიგაციის ამოცანებია: ოპტიმალური მარშრუტის (ტრაექტორის) მონახვა, ადგილსამყოფელის, სიჩქარის მიმართულების და მნიშვნელობის და მოძრაობის სხვა პარამეტრების განსაზღვრა. 2) სასწავლო დისციპლინის დასახელება უმაღლესი

სამხედრ-საზღვაო და მფრინავთა სასწავლო დაწესებულებების საშტურმანო ფაკულტეტებზე. 3) წლის პერიოდი, როდესაც ჰიდრომეტეოროლოგიური ვითარების პირობებში (ძირითადად ყინულოვანი ვითარების პირობებში) ზღვებზე, მდინარეებზე და ტბებზე ნაოსნობა შესაძლებელია.

424. **ნავიგაციის ასტროინერციული სისტემა -** საფრენი აპარატის საბორტო მოწყობილობის საშუალება, მისი კოორდინატების, კურსის, სიჩქარის და სხვა პარამეტრების ავტომატიზებული განსაზღვრისთვის. გამოიყენება შორეულ ავიაციაში, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციაში და ავტონომიური მართვის რაკეტების დამიზნებისთვის.

425. **ნავიგაციური ვითარება** – 1) (საზღვაო) ნავიგაციურ-ჰიდროგრაფიულ და ჰიდრო-მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა, სხვადასხვა ამოცანის შესრულების დროს ხომალდების (გემების) უსაფრთხო და ზუსტი ნაოსნობის ხარისხს ახასიათებს. 2) (ავიაცია) საფრენი აპარატების მიერ ამოცანების შესრულებისას ფრენის პირობების განმსაზღვრელი ფაქტორები. ძირითადი ფაქტორებია: ბაზირების პირობები, ადგილმდებარეობის და ორიენტირების პირობები, მეტეოროლოგიური პირობები, საბრძოლო მოქმედებების რაიონის მოწყობა, რადიოტექნიკური უზრუნველყოფის მდგომარეობა. ნავიგაციური ვითარება საერთო ვითარების ელემენტია.

426. **ნავსაწინაღო დაფარვა** – ნავსაწინაღო თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. იყოფა შორეულ და ახლო საჰაერო ნავსაწინაღო დაცვად. განკუთვნილია მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების დროული აღმოჩენის და დარტყმების მიყენებისთვის, სროლის მანძილზე მათი არ დაშვების და მათ მიერ გამოშვებული ტორპედოების განადგურებისთვის. ხორციელდება ნავსაწინაღო თვითმფრინავებით და ვერტმფრენებით შენაერთის ნავსაწინაღო თავდაცვის ძალებთან ურთიერთქმედებით.

427. **ნავსაწინაღო ოპერატიული ცენტრი** – ა.შ.შ. სამხედრო საზღვაო ძალებში საზღვაო (საოკეანო) სამხედრო მოქმედებების თეატრზე მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების საწინაღო მუდმივ მოქმედი ნავსაწინაღო ძალების სისტემის მართვის ორგანო. ძირითადი ამოცანები – ნავსაწინაღო ძალების კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების მიერ სახმელეთო ობიექტებზე, ზღვაზე ხომალდების შენაერთებზე და ბადრაგებზე დარტყმების არ დაშვების მიზნით. მშვიდობიან დროს უზრუნველყოფს წყალქვეშა ნავების ძებნას და მათი მახასიათებლების და მოქმედებების ტაქტიკის აღმოჩენას. განთავსებულია ტერიტორიული ნავსაწინაღო ჯგუფების ან საბაზო საპატრულო ავიაციის ფორმირებების მეთაურების სამეთაურო პუნქტებზე.

428. **ნავსაწინაღო თავდაცვა** (ხომალდის, ხომალდთა შენაერთის, ბადრაგის) – იმ ღონისძიებების და მოქმედებების კომპლექსი, რომელთა მიზანია, არ დაუშვან მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების სარაკეტო და სატორპედო იარაღის დარტყმები შენაერთის (ბადრაგის) ხომალდებზე (გემებზე) ზღვით გადასვლისას ან დგომის პუნქტებში. ეწყობა და ხორციელდება შორეულ, ახლო ზონებში და შენაერთის (ბადრაგის) თვითდაცვის ზონაში. ნავსაწინაღო თავდაცვა ითვალისწინებს: მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ძებნას და აღმოჩენას; შენაერთებისთვის (ბადრაგისთვის) წყალქვეშა ნავების აღმოჩენის შეტყობინებას; აღმოჩენილი წყალქვეშა ნავების განადგურებას, იარაღის გამოყენების სიშორეზე მათ მოახლოების არ დაშვებას; წყალქვეშა ნავის მიერ გამოშვებული რაკეტების და ტორპედოების

განადგურებას; მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავის დარტყმების შედეგების ლიკვიდაციას. ხომალდის ნავსაწინაღო თავდაცვა მოიცავს ღონისძიებებს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავთან შეხვედრის ალბათობის შესამცირებლად, ხომალდის შენიღბვას, წყალქვეშა ნავის დროულ აღმოჩენას და განადგურებას და მის მიერ იარაღის გამოყენების აღკვეთას, მათი თვალთვალის, მართვის საშუალებების და იარაღის თვითგამიზვნის სისტემებისთვის დაბრკოლებების შექმნას.

429. **ნავსაწინაღო უზრუნველყოფა** – ღონისძიებების კომპლექსი, ???? დაუმთავრებელია

430. **ნავსაწინაღო უზრუნველყოფის ზონა** – წყლის სივრცე, რომლის ზღვრებში ნავსაწინაღო ძალები თვალთვალს ახორციელებენ და ხომალდების შენაერთების, სადესანტო რაზმების, ბადრაგის ზღვით გადასვლისას და საბრძოლო მოქმედებების რაიონში მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების სარაკეტო და სატორპედო დარტყმებისგან (შტევისგან) დაცვისთვის საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებენ. ნავსაწინაღო უზრუნველყოფის ზონა იყოფა შორეულ და ახლო ზონებად. შორეული ზონის ორგანიზება ხდება წყალქვეშა ნავების რაკეტების გაშვების ზღუდესთან გასვლამდე მათი აღმოჩენის და განადგურების მიზნით, ხოლო ახლო ზონის – შორეული ზონის გამრღვევი წყალქვეშა ნავების და ტორპედოებით სროლის მანძილზე მიახლოებულის აღმოჩენის და განადგურების მიზნით.

431. **ნავსტარი** – გლობალურ მასშტაბში სამხედრო და სამოქალაქო მომხმრებელთა ფართო წრისთვის უწყვეტი, ოპერატიული და მაღალი სიზუსტის ნავიგაციურ-დროის უზრუნველყოფის კოსმოსური (თანამგზავრული) რადიონავიგაციური სისტემა. სტრუქტურულად „ნავსტარი" სამი ქვესისტემისგან შედგება: ორბიტალური (მოიცავს 18-24 ხელოვნურ თანამგზავრს და 5-7 ერთდროული რადიოხილვადობის უზრუნველმყოფ ხელოვნურ თანამგზავრს); მიწისზედა (მოცავს საკოორდინაციო-გამოთვლით ცენტრს, საკომანდო-გაზომვის სისტემას თვალთვალის სადგურების ქსელს, ნავიგაციური თანამგზავრების ორბიტაზე გაშვების და გაყვანის საშუალებები), მომხმარებლების ქვესისტემა(სამხედრო და სამოქალაქო მომხმარებლების ნავიგაციური აპარატურა.

432. **ნახევრად დაშლის პერიოდი** – დროის შუალედი, რომლის დროს რადიოაქტიური ბირთვების რაოდენობა მცირდება ორჯერ. ძალიან დიდ ზღვრებში მერყეობს. (მაგალითად, ^{238}U – $4{,}47\times10^{9}$ წელი, ^{226}Ra – 1600 წელი, ^{261}Ku – 70 ს).

433. **ნგრევების, ხერგების და ხანძრების ზონა** – ადგილმდებარეობის რაიონი, რომელშიც ბირთვული ან ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის აფეთქების შედეგად წარმოიშვება მასობრივი ნგრევები, წარმოიქმნება ტყემასალის, ქვების, მიწის და სხვ. ხერგები და ჩნდება ხანძრები. განასხვავებენ სრულ, ძლიერ, საშუალო და სუსტი ნგრევების, ხერგების და ხანძრების ზონებს. გარდა საბრძოლო მოქმედებებისა ეს ზონები შეიძლება ატომურ ელექტრო სადგურებზე, სხვა ობიექტებზე და საწარმოებში ავარიების შედეგად წარმოიშვას.

434. **ნგრევის რაიონების გადალახვა** – ჯარების წინსვლა საბრძოლო, ბრძოლისწინა და სალაშქრო წყობით ნგრევის რაიონების (ზონების) გავლით, როდესაც შეუძლებელია მათი შემოვლა. ჯარები საინჟინრო ტექნიკის, ასაფეთქებელი მუხტების და სხვა საშუალებების გამოყენებით ახორციელებენ. ამასთან, საინჟინრო ნაწილებს და ქვედანაყოფებს გაჰყავთ გასასვლელები ნანგრევებში, აწყობენ საკოლონო გზებს, გადასასვლელებს, მოქმედებენ განღობვის რაზმების (ჯგუფების), მოძრაობის უზრუნველყოფის რაზმების შემადგენლობაში.

435. **ნორმატივები** (სამხედრო) – მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ჯარების ყოველდღიურ საქმიანობას, მომზადებას, საბრძოლო მოქმედებების მომზადებას და წარმოების პროცესებს. ნორმატივებს ყოფენ რამოდენიმე ჯგუფად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ნორმატივები, რომლებიც ახასიათებენ დროებით, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს სამხედრო მოსამსახურეების (ეკიპაჟების, ქვედანაყოფების და სხვ.) მიერ განხორციელებულ გარკვეულ მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციასთან. მეორე ჯგუფს შეადგენს ნორმატივები, რომლებიც ახასიათებენ შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციის პროცესს. მესამე ჯგუფს განეკუთვნება ნორმატივები რომლებიც განსაზღვრავენ მატერიალური საშუალებების ხარჯვას. ცაკლე ჯგუფს წარმოადგენს კომპლექსური ნორმატივები, რომლებიც ჯარების (ძალების) გამოყენების ოპერატიულ – ტაქტიკურ ასპექტებს ახასიათებენ.

436. **ნუმიზმატიკა** – დამხმარე ისტორიული დისციპლინა, მატერიალური ნაშთით (მონეტები, ოქროს ზოდები და სხვა) და წრილობითი წყაროებით მონეტის მოჭრის და ფულადი მიმოქცევის ისტორიის შემსწავლელი. ტრადიციულად მოიცავს აგრეთვე ქაღალდი ფულის (ბიონისტიკა), მედლების, ჟეტონების, ორდენების, სამკერდე ნიშნების, ნიშნების (ფალერისტიკა) შესწავლას. იძლევა მასალას ხალხების და სახელმწიფოების, სამხედრო წარსულის შესწავლის დროს, ვაჭრობის განვითარებისთვის, საერთაშორისო კავშირებისთვის და ა.შ.

ო

437. **ომის ტაქტიკური დონე** (216) – ომის დონე, რომელზეც შერკინება და ბრძოლა იგეგმება და ხორციელდება იმ სამხედრო მიზნების მისაღწევად, რომლებიც ტაქტიკური ფორმირებების, ნაწილების და ქვედანაყოფების წინაშე არის დასახული.

438. **ოპერატიულ-ტექნიკური გათვლები** (161) – გათვლები, რომლებსაც დეპარტამენტები, გაერთიანებები, შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები ახორციელებენ. მათი მიზანია – ოპერაციაზე (ბრძოლაზე) გადაწყვეტილების მისაღებად რაოდენობრივი, ხარისხობრივი, დროის და სხვა მონაცემების განსაზღვრა ან ჯარების გამოყენების და მართვის უზრუნველყოფის დაგეგმვის დასაბუთება.

439. **ოპერატიული დაგეგმვა –** პროცესი, რომლის საშუალებითაც წარმოებს ოპერატიული გეგმების ინიცირება, დამუშავება და დამტკიცება. გულისხმობს სამუშაოების დროულ, ეფექტურ, სტანდარტიზირებულ და თანამიმდევრულ განხორციელებას.

440. **ოპერატიული დაფარვა -** სპეციალურად გამოყოფილი ჯარების (ძალების) მოქმედება, რომლებიც ხელშემწყობ პირობებს უზრუნველყოფენ 1-ლი ოპერატიული ეშელონის შენაერთების გაშლის და პირველი ოპერაციების ორგანიზებული დაწყებისთვის; ჯარების (ძალების) ოპერატიული გაშლის შემადგენელი ნაწილი. მიზნად ისახავს, ძალების (ჯარების) სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის, გაშლის და კვეთებაში ორგანიზებული შეყვანისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილი შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების საბრძოლოდ გამზადებული შენაერთების და ნაწილების მიერ.

441. **ოპერატიული დაწყობა** – ჯარების (ძალების) და საერთო-საჯარისო გაერთიანებების (შეიარაღებული ძალების სახეობის გაერთიანებების) საშუალებების ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) წარმოებისთვის მთლიანად და დაჯგუფებებში (მთავარსა და სხვაში), ადგილმდებარეობაზე (ჰაერში, ზღვაზე) გარკვეულ სისტემით განლაგება. ოპერატიული დაწყობა იქმნება ოპერაციის ჩანაფიქრის შესაბამისად, უნდა შეესაბამებოდეს ოპერატიული ვითარების პირობებს. საერთო-საჯარისო გაერთიანების ოპერატიული დაწყობა შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი, ზოგჯერ უფრო მეტი ეშელონებისგან, რომლებიც მოიცავენ საერთო-საჯარისო გაერთიანებებს (შენაერთებს), სარაკეტო ჯარების და არტილერიის, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის ჯარების, სპეციალური ჯარების დაჯგუფებებს, საჰაერო, საზღვაო დესანტებს, მობილურ გადამღობ რაზმებს, სხვადასხვა დანიშნულების რეზერვებს, აგრეთვე ლოჯისტიკის დაჯგუფებებს. სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის ჯარების გაერთიანების ოპერატიული დაწყობა, როგორც წესი, მოიცავს ერთ ან რამდენიმე ეშელონს, რეზერვებს და ლოჯისტიკის. ოპერაციის ამოცანების გადასაწყვეტად საზღვაო ძალების ოპერატიული დაწყობა შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე დაჯგუფებას; ძალების უზრუნველმყოფ დაჯგუფებებს; ოპერატიულ რეზერვს და ლოჯისტიკას.

442. **ოპერატიული ზღუდე** (113) – სამხედრო კომპანიის დაგეგმვის ტერმინოლოგიაში – ხაზი, რომელიც სიმძიმის ცენტრისკენ მიმართულებაზე დროში და სივრცეში კრიტიკულ წერტილებს აერთებს.

443. **ოპერატიული თავსებადობა** – ნატო-ს ძალების და საჭიროების შემთხვევაში სხვა სახელმწიფო-პარტნიორების ძალების უნარი ერთობლივად აწარმოონ საბრძოლო მომზადება, სწავლებები და ეფექტურად იმოქმედონ მათ წინაშე დასახული საერთო და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისას.

444. **ოპერატიული მართვა** – სარდლის (მეთაურის) კერძო უფლებამოსილება, დაქვემდებარებული, როგორც წესი მის სარდლობის ქვეშ არ მყოფი ფორმირებების ან სხვა ორგანიზაციული ერთეულების მოქმედებების ხელმძღვანელობისათვის. შეიცავს ბრძანების ან დირექტივის შესრულების უზრუნველყოფას. შესაძლებელია ასეთი უფლებამოსილების ნაწილობრივი ან სრული გადაცემა.

445. **ოპერატიული მობილურობა** – ჯარების და მათი ლოგისტიკური უზრუნველყოფის საშუალებების სწრაფი და ეფექტური გადაადგილების შესაძლებლობა, რომელიც მოწინააღმდეგის ძირითადი დარტყმის მონაკვეთში რეგიონული ძალების დაკონკრეტების შესაძლებლობას და მისთვის ოპერატიული დონის რეზერვების კონცენტრირების დაპირისპირებას შეიცავს.

446. **ოპერატიული მოქნილობა** – ამოცანების შესრულებისას ჩრდილოატლანტიკური კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების შესაძლებლობა, როგორც კოლექტიური დაცვის, ასევე პასუხისმგებლობის ზონის გარეთ გაშლის პერიოდში.

447. **ოპერატიული პოტენციალის კონცეფცია** (162) – პროგრამის “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ოპერატიული გაძლიერებისათვის ახალი საშუალებების და მექანიზმების ერთობლიობა. იგი მოიცავს სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას და აქტივიზაციას, რომლის მიზანია ნატო-ს ხელმძღვანელობით პროგრამა “პარტნიორობა

მშვიდობისათვის" ოპერაციის ჩარჩოებში, შესაძლებლობის ამაღლების საქმეებში პარტნიორი-სახელმწიფოების ჯარების (ძალების) წვლილის შეტანას.

448. **ოპერატიული რადიოლოკაციური თვალთვალის ზონა** (20) – საჰაერო თავდაცვაში – ზონა, რომელშიც დაწესებული კრიტერიუმების (მიზნის კუთვნილება, ტიპი და ადგილმდებარეობა) საფუძველზე რადიოლოკაციური სადგურების მეზობელ პოზიციაზე პოტენციურად მნიშვნელოვანი მიზნის მონაცემების ავტომატური გადაცემა ხორციელდება.

449. **ოპერატიული (საბრძოლო) სადაზვერვო მონაცემები** – სტრატეგიული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად სადაზვერვო მონაცემები, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა საომარი კამპანიების და მთავარი ოპერაციების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის პროცესში.

450. **ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფა** – ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური (ტაქტიკური) ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც იგეგმება, ყველა სახეობის ოპერაციაში (საბრძოლო მოქმედებაში) საკუთარი ჯარების (ძალების) შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის გამოყენებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით, აგრეთვე მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) და შეიარაღების გამოყენების ეფექტიანობის შესამცირებლად ეწყობა და ხორციელდება. ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის ძირითად სახეობებს წარმოადგენს დაზვერვა, ფსიქოლოგიური ბრძოლა, რადიოელექტრონული ბრძოლა, შენიღბვა, საინჟინრო უზრუნველყოფა, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვა, ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფა, სანავიგაციო, ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფა, ხოლო ტაქტიკურ რგოლში – აგრეთვე დაცვა.

451. **ოპერატიული წარმატება** (165) – ოპერაციის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა რაიონში, ზონაში (საოპერაციო მიმართულებაზე) გაერთიანების ჯარებით (ძალებით), საშუალებებით, ერთი ან რამდენიმე ოპერატიული ამოცანის შესრულების შედეგი. ოპერატიული წარმატება შეიძლება იყოს წარმატებული კონტრდარტყმის მიყენების, მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდის გარღვევის, მსხვილი წყლისმიერი დაბრკოლების ფორსირების, მოწინააღმდეგის დაჯგუფების გარშემორტყმის, საჰაერო (საჰაერო თავდაცვის), საჰაერო-სადესანტო ან საზღვაო ოპერაციების შედეგი.

452. **ოპერატიული ხელოვნება** – შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანებების მიერ ოპერატიული მასშტაბის საომარი მოქმედების (ოპერაცია, კვეთება, საბრძოლო მოქმედება, დარტყმა) მომზადების და წარმოების თეორია და პრაქტიკა; სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი. ოპერატიულ ხელოვნებას შუალედური მდგომარეობა უკავია სამხედრო სტრატეგიას და ტაქტიკას შორის. ექვემდებარება სტრატეგიას და თავის მხრივ, განსაზღვრავს ტაქტიკის განვითარების ამოცანებს და მიმართულებებს. ოპერატიული ხელოვნების შინაარსის და განვითარების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინა და სამხედრო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვილობა, მისი პირადი შემადგენლობის სწავლების სისტემა, შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა ხარისხი, უცხოეთის სახელმწიფოთა ჯარების (ძალების) შეიარაღებით აღჭურვის დონე, აგრეთვე სხვადასხვა ფორმის საომარ მოქმედებაში ჯარების (ძალების) გამოყენებაზე მათი შეხედულებების ცვლილებები; საომარი მოქმედების თეატრის სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო - ეკონომიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.

453. **ოპერაცია -** საომარი მოქმედების თეატრში, სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე ან რაიონში (ზონაში) დროის დადგენილ პერიოდში სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული ან ოპერატიულ - ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა გვარეობის ჯარების (ძალების) ერთდროული კვეთების, ბრძოლის, დარტყმების და მანევრის ერთობლიობა, რომლებიც ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით ხორციელდება; საომარი მოქმედების ფორმა. ოპერაციებს განასხვავებენ საომარი მოქმედების მასშტაბის, ტიპის, სახეობის და განხორციელების დროის მიხედვით.

454. **ოპერაცია განსაკუთრებულ ვითარებაში** – უპირატესად კრიზისული მართვის ან სამშვიდობო ხასიათის სამხედრო ოპერაცია განხორციელებული ჩრდილოატლანტიკური კავშირის მიერ გაერო-ს ეგიდით ან ეუთო-ს იურისდიქციით. გაერთიანებული მრავალეროვნული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების გამოყენების კონცეფცია საშუალებას აძლევს ნატო-ს და მასში არშემავალ პარტნიორ სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, ამ ოპერაციებში მიიღონ მონაწილეობა.

455. **ოპერაცია მე-5 მუხლის ფარგლებში** – ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის (და გაერო-ს კოლექტიური დაცვის უფლების 51-ე მუხლის) შესაბამისად შეიარაღებული თავდასხმის განმცდელი ერთი ან რამოდენიმე პარტნიორი სახელმწიფოს დასახმარებლად ჩატარებული სამხედრო ოპერაცია.

456. **ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვა** – ჯარების (ძალების) მიერ ოპერატიული და საბრძოლო ამოცანების შესრულების, ოპერაციის (ბრძოლის) და მართვის უზრუნველყოფის ყველა სახეობის შინაარსის, თანმიმდევრობის, ხერხების და ვადების, აგრეთვე მოქმედების მიმართულებათა მიხედვით ჯარების (ძალების) ძალისხმევის განაწილების შემუშავება; ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების შემადგენელი ნაწილი. ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვის შედეგს წარმოადგენს ოპერაციის (ბრძოლის) გეგმა. ახორციელებს შტაბი - ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილების და ზემდგომი სარდლობის და შტაბის მითითებების საფუძველზე. ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვა წარმოებს თანმიმდევრული ან პარალელური მუშაობის მეთოდით. პირველ შემთხვევაში ყველა ინსტანცია მუშაობაში ებმება მას შემდეგ, რაც ზემდგომ შტაბში დაგეგმვა დასრულდება (წარმოადგენს ძირითად მეთოდს ოპერაციის წინასწარ მომზადებისას). პარალელური მუშაობის მეთოდი გამოიყენება მომზადების შეზღუდული ვადების დროს. დაგეგმვა იწყება ზემდგომი უფროსის მიერ საბრძოლო ამოცანების დაყენებისთანავე (უმთავრესად მისი წინასწარი საბრძოლო განკარგულებების საფუძველზე) და წარმოებს ერთდროულად რამდენიმე ინსტანციაში.

457. **ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრი** – ჯარების (ძალების) დაჯგუფების მიერ დასახული საბრძოლო ამოცანის შესრულების ხერხის მთავარი იდეა; ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილების საფუძველი. ოპერაციის ჩანაფიქრით განისაზღვრება: ძირითადი ძალისხმევის (მთავარი და სხვა დარტყმების მიმართულებების) კონცენტრირების რაიონები; მოწინააღმდეგის განადგურების ხერხები (რა დაჯგუფებები, სად, რა თანამიმდევრობით და როგორ გაანადგურონ, საცეცხლე და ბირთვული დაზიანების წესი და მოწინააღმდეგის მოტყუების ღონისძიებები); ჯარების (ძალების) დაჯგუფება და მათი ოპერატიული დაწყობა (საბრძოლო წყობა).

458. **ოპერაციის გეგმა** – იმ დოკუმენტების კომპლექსი, რომელიც ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) მომზადებას და წარმოებას არეგლამენტირებს. გაერთიანების შტაბი, ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების სარდლობასთან (უფროსებთან) ერთად ამუშავებს. დოკუმენტების ნუსხას, მათ შინაარსს რჩევა-დარიგებები, სახელმძღვანელო მითითებები არეგლამენტირებს; შემუშავების სისრულე და თანმიმდევრობა განისაზღვრება ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) სახეობით და აზუსტებს სარდლობა. ოპერაციის გეგმა შეიძლება გააქტიურდეს მოცემულ დროს ან სიგნალით, რის შემდეგაც ის ხდება საბრძოლო (ოპერატიული) ბრძანება.

459. **ოპერაციის დასრულების პირობები** (88) – პოლიტიკური და/ან სამხედრო სიტუაცია, რომელიც უნდა შეიქმნას ოპერაციის დასრულების შემდეგ და დასახული მიზნების მიღწევას მოწმობს.

460. **ოპერაციის შეზღუდული ზონა (რაიონი)** – გარკვეული ზომის საჰაერო სივრცე, განსაზღვრული ავიაციის მოქმედების მართვის ორგანოს მიერ, კონკრეტული ოპერატიული გარემოებიდან (ოპერატიული მოთხოვნიდან) გამომდინარე. ამ ზონის (რაიონის) ფარგლებში შეზღუდულია საჰაერო სივრცის ერთი ან რამოდენიმე გამომყენებლის ერთდროული მოქმედება.

461. **ოპერაციის ჩატარება** (57) – ჯარების (ძალების) სხვადასხვა მოქმედებების გამოყენების და შეთანხმების ხელოვნება, რომლის მიზანია მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში გარკვეული მიზნების მიღწევა.

462. **ობიექტების (მიზნების) კონტრასტულობა** – ადგილმდებარეობის, წყლის, გარემო საგნების ფონზე თვალთვალის ობიექტების (მიზნების) განსხვავების ხარისხი, რომელიც საშუალებას იძლევა ვიზუალურად, აგრეთვე ინფრაწითელი ხელსაწყოების, რადიო-ლოკაციური სადგურების და დაზვერვის სხვა საშუალებებით ობიექტების (მიზნების) აღმოჩენა და ამოცნობა. განასხვავებენ მიზნების ოპტიკურ, სითბურ, რადიო-სითბურ, რადიო-ლოკაციურ და მაგნიტურ კონტრასტულობას.

463. **ობიექტების დაზიანება** – ობიექტებზე (მიზნებზე) დაზიანების სხვადასხვა საშუალებებით ზემოქმედება, რომლის შედეგადაც ისინი დანიშნულებისამებრ მოქმედების, საბრძოლო ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ (დროებით) კარგავენ. ობიექტებისთვის (მიზნებისთვის) მიყენებული ზარალის მიხედვით მათი განადგურება (ნგრევა), ჩახშობა, დეზორგანიზაცია და ობიექტის ცოცხალი ძალის დაუძლურება მიიღწევა.

464. **ობიექტების დაზიანება** – ობიექტებზე (მიზნებზე) დაზიანების სხვადასხვა საშუალებებით ზემოქმედება, რომლის შედეგადაც ისინი დანიშნულებისამებრ მოქმედების, საბრძოლო ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ (დროებით) კარგავენ. ობიექტებისთვის (მიზნებისთვის) მიყენებული ზარალის მიხედვით მათი განადგურება (ნგრევა), ჩახშობა, დეზორგანიზაცია და ობიექტის ცოცხალი ძალის დაუძლურება მიიღწევა.

465. **ოფიცრის ნიშანი** –მე -17 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული არმიების განსაკუთრებული, ნახევარ მთვარის ფორმის სამკერდე(„ყელსაბამი”) ნიშანი, სახელმწიფო ღერბის, ორდენის, სხვა ნიშნების გამოსახულებით და წარჩინებების წარწერით, ოფიცრის განმასხვავებელი ნიშნის როლს ასრულებდა. თავდაპირველად – სამკერდე საჭურველის დეკორატიული დეტალი.

466. **ომის ბაზა** – ომის ბაზისი, იმ ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო-გეოგრაფიული და სხვა პირობების ერთობლიობა, რომელიც ომის წარმოების (საომარი მოქმედებების) მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. ტერმინი „ომის ბაზა“ იხმარებოდა მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დამდეგს. იგი გამოხატავდა მასობრივი არმიების ორგანიზაციის და მათ მიერ საომარი მოქმედებების წარმოების ხერხების, ომის მიმდინარეობის და შედეგის დამოკიდებულებას ქვეყნის განვითარების დონეზე, მისი მოსახლეობის და სამხედრო ტექნიკის რაოდენობაზე და ხარისხზე. ზოგჯერ ტერმინი „ომის ბაზა“ გაიგივებული იყო საოპერაციო ბაზასთან.

467. **ომის პერიოდიზაცია** – ომის დაყოფა ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებულ დროის მონაკვეთებად (პერიოდებად). ყოველ მათგანს ახასიათებს თავისი შინაარსი, საომარი მოქმედების წარმოების ფორმები და დროებრივი ჩარჩოები, რომლებიც განისაზღვრება გარდამტეხი მომენტებით - ომის დროს მისი მიზნების და ხასიათის კვალობაზე. ომის კვლევისას მათ ჰყოფენ პერიოდებად, კამპანიებად, ეტაპებად, ცალკეულ ლაშქრობებად. მაგალითად, 1-ელ მსოფლიო ომს აქვს 2 პერიოდიზაცია: 3 პერიოდი (მანევრული, პოზიციური და დამამთავრებელი); 5 კამპანია – ომის თაითოეული წლის მიხედვით.

468. **ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრი** – ჯარების (ძალების) დაჯგუფების მიერ დასახული საბრძოლო ამოცანის შესრულების ხერხის მთავარი იდეა; ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილების საფუძველი. ოპერაციის ჩანაფიქრით განისაზღვრება: ძირითადი ძალისხმევის (მთავარი და სხვა დარტყმების მიმართულებების) კონცენტრირების რაიონები; მოწინააღმდეგის განადგურების ხერხები (რა დაჯგუფებები, სად, რა თანამიმდევრობით და როგორ გაანადგურონ, საცეცხლე და ბირთვული დაზიანების წესი და მოწინააღმდეგის მოტყუების ღონისძიებები); ჯარების (ძალების) დაჯგუფება და მათი ოპერატიული დაწყობა (საბრძოლო წყობა).

469. **ოპერაციის გაძანება -** ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ოპერაციას: მოქმედების ზოლის (რაიონის) სიგანე და სიღრმე, ოპერაციის ხანგრძლივობა, შეტევის (შეტევითი ოპერაციის) საშუალო-სადღეღამისო ტემპი. განისაზღვრება ოპერაციის მიზნით და გაერთიანებისთვის დასახული ამოცანებით; დამოკიდებულია საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების საბრძოლო შემადგენლობებსა და შესაძლებლობებზე; ურთიერთმოქმედი გაერთიანებების (შენაერთების) შემადგენლობაზე, ამოცანებზე და შესაძლებლობებზე; ჯარების დაკომპლექტებაზე; მატერიალური საშუალებების მარაგის და საბრძოლო მოქმედების უზრუნველყოფის შესაძლებლობათა არსებობაზე; ადგილმდებარეობის ხასიათსა და ვითარების პირობებზე.

470. **ოპერაციის გეგმა** – იმ დოკუმენტების კომპლექსი, რომელიც არეგლამენტირებს ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) მომზადებას და წარმოებას. გაერთიანების შტაბი, ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების სარდლობასთან (უფროსებთან) ერთად ამუშავებს. დოკუმენტების ნუსხას, მათ შინაარსს არეგლამენტირებს რჩევა-დარიგებები, სახელმძღვანელო მითითებები; შემუშავების სისრულეს და თანმიმდევრობას განსაზღვრავს ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) სახეობა და აზუსტებს სარდლობა. ოპერაციის გეგმა შეიძლება გააქტიურდეს მოცემულ დროს ან სიგნალით, რის შემდეგაც ის ხდება საბრძოლო (ოპერატიული) ბრძანება.

471. **ოპერატიული ამოცანა -** ამოცანა, რომელიც ზემდგომმა უფროსმა დადგენილი ვადისთვის ოპერაციაში გარკვეული მიზნის მისაღწევად გაერთიანებას დაუსახა. ოპერატიული ამოცანის შესრულება ხელს უწყობს მთელი ოპერაციის წარმატებით ჩატარებას.

472. **ოპერატიული დაწყობა –** ჯარების (ძალების) და საერთო-საჯარისო გაერთიანებების (შეიარაღებული ძალების სახეობის გაერთიანებების) საშუალებების ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) წარმოებისთვის მთლიანად და დაჯგუფებებში (მთავარსა და სხვაში) ადგილმდებარეობაზე (ჰაერში, ზღვაზე) გარკვეულ სისტემით განლაგება. ოპერატიული დაწყობა იქმნება ოპერაციის ჩანაფიქრის შესაბამისად, უნდა შეესაბამებოდეს ოპერატიული ვითარების პირობებს. საერთო-საჯარისო გაერთიანების ოპერატიული დაწყობა შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი, ზოგჯერ უფრო მეტი ეშელონებისგან, რომლებიც მოიცავენ საერთო-საჯარისო გაერთიანებებს (შენაერთებს), სარაკეტო ჯარების და არტილერიის, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის ჯარების, სპეციალური ჯარების დაჯგუფებებს, საჰაერო, საზღვაო დესანტებს, მობილურ გადამღობ რაზმებს, სხვადასხვა დანიშნულების რეზერვებს, აგრეთვე ზურგის დაჯგუფებებს. სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის ჯარების გაერთიანების ოპერატიული დაწყობა, როგორც წესი, მოიცავს ერთ ან რამდენიმე ეშელონს, რეზერვებს და ზურგს. ოპერაციის ამოცანების გადასაწყვეტად საზღვაო ძალების ოპერატიული დაწყობა შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე დაჯგუფებას; ძალების უზრუნველმყოფ დაჯგუფებებს; ოპერატიულ რეზერვს და ზურგს.

473. **ოპერატიული ხელოვნება –** შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანებების მიერ ოპერატიული მასშტაბის საომარი მოქმედების (ოპერაცია, კვეთება, საბრძოლო მოქმედება, დარტყმა) მომზადების და წარმოების თეორია და პრაქტიკა; სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი. ოპერატიულ ხელოვნებას შუალედური მდგომარეობა უკავია სამხედრო სტრატეგიას და ტაქტიკას შორის. ექვემდებარება სტრატეგიას და თავის მხრივ, განსაზღვრავს ტაქტიკის განვითარების ამოცანებს და მიმართულებებს. ოპერატიული ხელოვნების შინაარსის და განვითარების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინა და სამხედრო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვილობა, მისი პირადი შემადგენლობის სწავლების სისტემა, შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა ხარისხი, უცხოეთის სახელმწიფოთა ჯარების (ძალების) შეიარაღებით აღჭურვის დონე, აგრეთვე სხვადასხვა ფორმის საომარ მოქმედებაში ჯარების (ძალების) გამოყენებაზე მათი შეხედულებების ცვლილებები; საომარი მოქმედების თეატრის სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო - ეკონომიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.

474. **ოპერაცია** – ერთობლიობა შეთანხმებულ და ურთიერთდაკავშირებულ მიზნებზე, ამოცანებზე, ადგილზე და დროში ერთდროული და თანმიმდევრული ბრძოლების, დარტყმების და მანევრების სხვადასხვა გვარეობის ჯარების (ძალების) მიერ წარმოებული ერთიანი განზრახვით და გეგმით სამხედრო მოქმედებების თეატრზე, სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე ან რაიონში დაწესებული დროის პერიოდში სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული ან ოპერატიულ-ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ოპერაციებს განასხვავებენ – მასშტაბებით, ტიპობრივ, სამხედრო მოქმედებების სახით და წარმოებული დროით.

475. **ოპერაციების კვლევა** – ოპტიმალური, დასაბუთებული გადაწყვეტილების შერჩევისთვის მათემატიკური მეთოდების გამოყენების სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება. სამხედრო საქმეში გამოყენების ძირითადი დარგებია: საბრძოლო მოქმედებებზე გადაწყვეტილებების დასაბუთება; საბრძოლო ტექნიკის და შეიარაღების სისტემების და ნიმუშების საბრძოლო ეფექტურობის განსაზღვრა; ჯარების (ძალების) გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობების შეფასება; შეიარაღებული ძალების აუცილებელი სტრუქტურის და შემადგენლობის განსაზღვრა; შეიარაღებული ძალების ჯარების (ძალების) სახეობების და გვარეობების ოპტიმალური შემადგენლობის განსაზღვრა, ჯარების (ძალების) პროექტირებადი და მოქმედი მართვის სისტემების ეფექტურობის შეფასება; სამხედრო-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა და სხვა.

476. **ოპერაციის (ბრძოლის) მომზადება –** იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებსაც ოპერაციის (ბრძოლის) ორგანიზაციის და ყოველმხრივი უზრუნველყოფისთვის ახორციელებენ ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების სარდლები (მეთაურები), შტაბები, უფროსები. ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს წარმოადგენს: ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღება, ჯარებისთვის (ძალებისთვის) ამოცანების დასახვა, ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვა, მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანების და ჯარების (ძალების) ურთიერთქმედების ორგანიზაცია; საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის ჯარების (ძალების) და მართვის ორგანოების მომზადება; ძალების (ჯარების) დაჯგუფებათა შექმნა და შეტევისთვის საწყისი რაიონების (თავდაცვის რაიონების, მონაკვეთების, ზოლების) მომზადება; ოპერაციის (ბრძოლის) და ჯარების (ძალების) მართვის უზრუნველყოფის ყველა სახეობის ორგანიზაცია; საბრძოლო მოქმედებისთვის ჯარების (ძალების) მზადყოფნის კონტროლი; მოწინააღმდეგის დაზვერვა, მატერიალური საშუალებების მიტანა და მარაგის შევსება.

477. **ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების გეგმა-კალენდარი** (კალენდარული გეგმა) – საბუთი, რომელიც სარდლის (მეთაურის), შტაბის და დაქვემდებარებული მართვის ორგანოების მუშაობას არეგლამენტირებს. მუშავდება ერთობლივად გაერთიანების (შენაერთის) შტაბის და ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების უფროსების მიერ ცხრილის ან გრაფიკის სახით. ხელს აწერს შტაბის უფროსი, ამტკიცებს სარდლი (მეთაური). ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების გეგმა-კალენდარში მითითებულია: მეთაურების და შტაბის მიერ შესასრულებელი ძირითადი ღონიძიებები, მათი შემსრულებლები, შესრულების ვადები და კონტროლის პირები.

478. **ოპერაციის ბაზა** – საოპერაციო ბაზისი, ზურგის ტერიტორია მოქმედ გაერთიანებათა ზოლში, რომელიც აღჭურვილია სამხედრო-ეკონომიკური და ოპერატიულ-ტექნიკური თვალსაზრისით იმ ოპერაციების უზრუნველსაყოფად რომელსაც ჯარები ახორციელებენ. დასავლეთის სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში ტერმინი „საოპერაციო ბაზა” გამოიყენება მხოლოდ იმ საექსპედიციო ძალების მიმართ, რომლებიც საომარი მოქმედების დაშორებულ თეატრში მოქმედებენ.

479. **ოპერაციის(ბრძოლის) დაგეგმვა** – ჯარების (ძალების) მიერ ოპერატიული და საბრძოლო ამოცანების შესრულების შინაარსის, თანმიმდევრობის, ხერხების და ვადების, მათი ურთიერთქმედების, ყველა სახის უზრუნველყოფის და მართვის აგრეთვე ჯარების მოქმედებების მიმართულებებზე ძალვის განაწილების დამუშავება; ოპერაციის

(ბრძოლის) მომზადების შემადგენელი ნაწილი. პერაციის (ბრძოლის) დაგეგმვის შედეგია ოპერაციის (ბრძოლის) გეგმა. ხორციელდება შტაბის მიერ ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილების და ზემდგომი სარდლობის და შტაბის მითითებების საფუძველზე. წარმოებს თანმიმდევრული ან პარალელური მუშაობის მეთოდით. დაგეგმვა უფროსი მეთაურის მიერ საბრძოლო ამოცანის დასმის შემდგომ იწყება და ერთდროულად რამოდენიმე ინსტანციაში წარმოებს.

480. **ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფა** – ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური (ტაქტიკური) ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც იგეგმება, ეწყობა და ხორციელდება ყველა სახეობის ოპერაციაში (საბრძოლო მოქმედებაში) საკუთარი ჯარების (ძალების) შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის გამოყენებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით, აგრეთვე მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) და შეიარაღების გამოყენების ეფექტიანობის შესამცირებლად. ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის ძირითად სახეობებს წარმოადგენს დაზვერვა, ფსიქოლოგიური ბრძოლა, რადიოელექტრონული ბრძოლა, შენიღბვა, საინჟინრო უზრუნველყოფა, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვა, ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფა, სანავიგაციო, ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფა, ხოლო ტაქტიკურ რგოლში – აგრეთვე დაცვა.

481. **ოპერატიული დაფარვა** - სპეციალურად გამოყოფილი ჯარების (ძალების) მოქმედება, რომლებიც 1-ლი ოპერატიული ეშელონის შენაერთების გაშლის და პირველი ოპერაციების ორგანიზებული დაწყებისთვის ხელშემწყობ პირობებს უზრუნველყოფენ; ჯარების (ძალების) ოპერატიული გაშლის შემადგენელი ნაწილი. მიზნად ისახავს, ძალების (ჯარების) სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის, გაშლის და კვეთებაში ორგანიზებული შეყვანისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილი შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების საბრძოლოდ გამზადებული შენაერთების და ნაწილების მიერ.

482. **ოპერატიული დრო** – პირობითი დრო (თარიღი, საათი, წუთები), რომელიც ოპერატიული და საბრძოლო მომზადების ღონისძიებების გატარებისას განკუთვნილ ასტრონომიულ დროში დიდი რაოდენობის სასწავლო საკითხების დამუშავების მიზნით გამოიყენება.

483. **ოპერატიული გამოყენება** - შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების ნაწილების (ხომალდების), შენაერთების, გაერთიანებების ორგანიზაციული მოქმედების შერჩეული ვარიანტი ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე; აგრეთვე სხვადასხვა სახეობის (ბუნებრივი, ეკონომიკური და სხვ.) რესურსების გამოყენება ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, როგორც მშვიდობიან პერიოდში, საფრთხის მოლოდინის პერიოდში, ისე ომის მიმდინარეობისას. ჯარების (ძალების) ოპერატიული გამოყენების ფორმებს წარმოადგენს ოპერაცია, კვეთება, საბრძოლო მოქმედება (მათ შორის აგრეთვე საჰაერო თავდაცვის ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ძალების და საშუალებების სისტემატური საბრძოლო მოქმედება), აგრეთვე დარტყმები და მანევრები.

484. **ოპერატიული ჯგუფი** – 1. დროებითი სამხედრო ფორმირება, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის დროს გაერთიანებაში ცალკეულ საოპერაციო მიმართულებაზე ან ფრონტის უბანზე იქმნებოდა. ოპერატიული ჯგუფი ყალიბდებოდა წინასწარ ან ოპერაციების დროს, ახლად წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად. საბრძოლო

მოქმედების ხელმძღვანელობისთვის ინიშნებოდა სარდალი (მეთაური, უფროსი), მართვის ორგანოდ გამოიყენებოდა ჯგუფში შემავალი გაერთიანების (შენაერთის) ერთ-ერთი შტაბი; 2. ოფიცერთა ჯგუფი კავშირგაბმულობის საშუალებებით, რომლებსაც გაერთიანების (შენაერთის) შტაბი გზავნის იმ ჯარების საქმიანობის კოორდინაციისთვის, რომელიც მთავარი ძალებისგან მოწყვეტით (გადაჯგუფების, ახალ რაიონში თავმოყრის, ფრონტის დაშორებულ უბანზე საბრძოლო მოქმედების წარმოების დროს და სხვ.) რაიმე კერძო ამოცანას ასრულებს, აგრეთვე მეზობელი გაერთიანებების (შენაერთების) შტაბებში მათთან კავშირის და ურთიერთქმედების ორგანიზაციის და შენარჩუნებისთვის, ამოცანების ერთობლივი შესრულებისას; 3. მშვიდობიან დროს საშიშროების პერიოდში (მდგომარეობაში) კადრირებულ შემადგენლობაში აყვანილი მართვის ორგანოს ოპერატიული გაშლის უზრუნველსაყოფად.

485. **ოპერატიული კრებსი** – გაერთიანების (შენაერთის) შტაბის საბრძოლო საანგარიშგებო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ვითარების მონაცემებს, ჩვეულებრივ, წინა დღე-ღამისას ან საბრძოლო მოქმედების პერიოდისას (შემაჯამებელს). ოპერატიულ კრებსში გაშუქებულია: მთლიანად გაერთიანების (შენაერთის) მოქმედების ხასიათი, მდგომარეობა და მდებარეობა; მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება, მდგომარეობა და მოქმედების ხასიათი; საკუთარი შენაერთების (ნაწილების) მდებარეობა და მდგომარეობა ორი საფეხურით დაბლა; დანაკარგი და ნადავლ-ნაალაფევი; მატერიალური უზრუნველყოფა; მოკლე ცნობები მეზობლების მდგომარეობის და მოქმედების, აგრეთვე სხვა მონაცემები საბრძოლო მოქმედების მიმდინარეობის შესახებ.

486. **ოპერატიული ნახტომი** – ოპერატიული ან ტაქტიკური მომზადების სასწავლო ღონისძიებების დროს ოპერატიული დროის ასტრონომიულთან მიმართებაში გვიან დროზე გადატანა. ხორციელდება ერთი ან რამოდენიმე სასწავლო საკითხის დამუშავების შემდეგ თემის შემდგომ საკითხზე ან სწავლების ეტაპზე გადასასვლელად.

487. **ოპერატიული პაუზა** – დროის შუალედი თავდაცვით ან შეტევით (კონტრშეტევით) ოპერაციებს შორის ან იმ ოპერაციების დროს, რომლებიც თანმიმდევრულად ერთ მიმართულებაზე ხორციელდება. ოპერატიულ პაუზას განაპირობებს ჯარების (ძალების) არსებული დაჯგუფებების საბრძოლო შესაძლებლობების ზრდის ან ახალი დაჯგუფებების შექმნის, მატერიალურ საშუალებათა მარაგის, დანაკარგების შევსების (ბრძოლისუნარიანობის აღდგენის) და მომდევნო ოპერაციის მომზადების აუცილებლობა. ოპერატიული პაუზის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 1-2 დღიდან რამდენიმე კვირამდე. შეტევით (კონტრშეტევით) ოპერაციებში საუკეთესო შედეგებს აღწევდნენ მინიმალური პაუზების ან, საეროდ, ამ პაუზების არარსებობის პირობებში.

488. **ოპერატიული სამანევრო ჯგუფი** - შეტევით ოპერაციაში დაჯგუფების (არმიის) ჯარების ოპერატიული დაწყობის ელემენტი, რომელიც განკუთვნილი იყო მთავარი ძალებისგან მოწყვეტით დარტყმის ძალის სწრაფი ზრდის და ოპერატიული სარეიდო მოქმედების წარმოებისთვის. ოპერატიული სამანევრო ჯგუფის ამოცანებია: გაანადგუროს ბირთვული თავდასხმის საშუალებები, ხელში ჩაიგდოს დიდმნიშვნელოვანი ზღუდეები (რაიონები); დარტყმები მიაყენოს წინწამოწეულ რეზერვებს, დაარღვიოს ოპერატიული ზურგის მუშაობა და ჯარების მართვა; მოახდინოს

დეზორგანიზაცია, ჩაშალოს მობილიზაციური ღონისძიებები და სხვ. წინსვლის ტემპია 100კმ-მდე დღე-ღამეში, მთავარ ძალებს მოწყვეტა 200კმ-მდე.

489. **ოპერატიულ-ტაქტიკური გათვლები** – გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების სამმართველოების პირადი შემადგენლობის მიერ წარმოებული გამოთვლები, რომელთა მიზანია ოპერაციაზე(ბრძოლაზე) გადაწყვეტილების მიღებისთვის ან ჯარების გამოყენების დაგეგმვის და მართვის უზრუნველყოფისთვის რაოდენობის, ხარისხის, დროის და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრა. ოპერატიულ-ტაქტიკური გათვლებს განეკუთვნება შემდეგი გათვლები: ჯარების (ძალების) საბრძოლო შესაძლებლობების; ძალების და საშუალებების თანაფარდობა; ჯარების(ძალების) დაჯგუფებების შექმნა; მატერიალური საშუალებების არსებობა, მოწოდების და განაწილების ვადები; ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების რაიონებში გასვლა; საცეცხლე დაზიანების; და სხვა.

490. **ოპტიკური დაზვერვა** – დაზვერვის ოპტიკურ-ელექტრონული საშუალებების მეშვეობით მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) შესახებ მონაცემების მოპოვება.

491. **ორდენი** – 1. წარჩინების ნიშანი, სახელმწიფო ჯილდო, ჩვეულებრივ მოცემული ორდენისთვის ერთი ან რამდენიმე დამახასიათებელი ნიშნის სახით (ვარსკვლავი, ორდენის ლენტი) ზედა ტანსაცმელზე სატარებლად. ორდენს აწესებს სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ან მისი მეთაური (პრეზიდენტი, მონარქი); თითოეულ ორდენს აქვს თავისი სტატუსი; 2. კათოლიკური ცენტრალიზებული ბერმონაზვნული გაერთიანებები (მე-6 საუკუნიდან), რომლებიც მოქმედებენ საპაპოს მიერ დამტკიცებული წესდებების თანახმად; 3. ზოგიერთი საიდუმლო საზოგადოების დასახელება, მაგალითად, მასონთა ორდენი.

492. **ორთაბრძოლა** – 1) დადგენილი წესების დაცვით ორი მოწინააღმდეგის შებრძოლება იარაღის გამოყენებით, ან მის გარეშე. ორთაბრძოლის მაგალითებია ძველი რომის გლადიატორების შერკინებები, დასავლეთ ევროპაში რაინდების ტურნირები. მე-15-19 ს.ს. ღირსების დაცვის დუელები. 2) ფართო გაგებით – წესების დაცვით ორი მოწინააღმდეგის შებრძოლება.

პ

493. **პასუხისმგებლობის ზონა** (21) – 1. გეოგრაფიული ზონა, რომელიც ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების თითოეულ სტრატეგიულ და რეგიონულ სარდლობაზე არის მიმაგრებული; 2. სამხედრო-საზღვაო ტერმინოლოგიაში – წინასწარ განსაზღვრული ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც დაკავებული აქვს მოწინააღმდეგეს და სადაც მხარდაჭერის ხომალდები პასუხისმგებელნი არიან საცეცხლე დაფარვაზე. მათი მიზანია დასახული ან არაგეგმიური მიზნების დაზიანება ასევე თვალთვალის წარმეობა; 3. ტერიტორიის (ადგილმდებარეობის) დანიშნული მონაკვეთი შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში, რომელშიც მშვიდობის დამყარების ოპერაციის ფარგლებში გადასაწყვეტი ამოცანების შესრულებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ საჯარისო კონტიგენტის მეთაურს, რომელიც მოცემულ ზონაშია განლაგებული.

494. **პოზიციური თავდაცვა** – 1. თავდაცვის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მთავარი მიზანია ჯარების მიერ მომზადებული ადგილმდებარეობის ხღუდეების (რაიონების)

მტკიცე და ხანგრძლივი შენარჩუნება. პოზიციური თავდაცვის დამახასიათებელ თავისებურებებს განეკუთვნება ფართო ფრონტზე, დიდ სიღრმეზე განთავსებული და საინჟინრო თვალსაზრისით კარგად გამართული თავდაცვითი ზღუდეების (ზოლების, პოზიციების) სისტემა; უმთავრესად, მოწინააღმდეგის ტანკების და სხვა ჯავშნოსანი მანქანების დიდი მასების მოსაგერიებლად წრიული თავდაცვის ოსტატური აგება; ყველა სახეობის ცეცხლის სისტემის შექმნა და საინჟინრო ღობურებთან შეხამებით ეფექტიანი გამოყენება; ძალების და საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის თავმოყრა თავდამცველი ჯარების პირველი ეშელონების შემადგენლობაში და ძალების და საშუალებების დროული მანევრი იერიშმიუტანელი მონაკვეთებიდან. 2. თავდაცვის ხერხი, რომელიც გათვალისწინებულია ნატო-ს და დასავლეთის რიგი სახელმწიფოების არმიის წესდებებით დაკავებული ზღუდის ან ადგილმდებარეობის რაიონის შეუპოვარი შენარჩუნების, მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიების და მისთვის მაქსიმალური ზარალის მიყენების მიზნით.

495. **პრევენციული ბაშლა** – მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების დროს – კრიზისის თავიდან აცილების მიზნით სამხედრო და/ან სამოქალაქო ფორმირებებიდან შემდგარი ძალის გაშლა.

496. **პრიორიტეტული მოთხოვნები სადაზვერვო ინფორმაციაზე** – მოთხოვნები სამხედრო დაზვერვის მონაცემებზე, რომლებიც მეთაურს საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად პრიორიტეტულად მიაჩნია.

497. **პანიკა** – ფსიქოლოგიური მდგომარეობა ცალკეული ადამიანის, ხალხის ჯგუფის ან მასის, ნამდვილი ან უჭეშმარიტო საფრთხის ზემოქმედებით შეპყრობილი და ხასიათდება გრძნობების არეულობით, ვითარების საღად და სწორად შეფასების დაკარგვით და მიზანშეწონილად მოქმედების უნარით. პანიკის არ დაშვების გადამწყვეტი ფაქტორებია: მებრძოლების მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება და საბრძოლო გაწვრთნილობა; ჯარების უწყვეტი და ეფექტური მართვა.

498. **პაროლი** – საიდუმლო სიტყვა (წესი ქალაქის დასახელება), რომლის დანიშნულებაა საყარაულო სამსახურის დროს პიროვნების უფლებამოსილების დადასტურება. დგინდება ყველა ყარაულისთვის ყოველდღიურად.

499. **პარტიზანული რეიდები** – პარტიზანული ფორმირებების საბრძოლო მოქმედების ხერხი, რომლის არსი იყო მათი სწრაფი გასვლა მოწინააღმდეგის ზურგში მტრის ცოცხალი ძალის, ტექნიკის, დიდმნიშვნელოვანი ობიექტების განადგურების, ზურგის მუშაობის, მართვის სისტემის დეზორგანიზაციის, კომუნიკაციების დარღვევის, აგრეთვე ახალ რაიონებში მტრისადმი წინააღმდეგობის აქტივიზაციის მიზნით.

500. **პატრული** – 1. სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი (ხანდახან პატარა ქვედანაყოფი), რომელიც მოწინააღმდეგის სათვალთვალოდ, გარკვეული რაიონების (ზოლების, მონაკვეთების) დაცვის და დაფარვისთვის ინიშნება. ზოგიერთ არმიაში პატრულს ეძახიან მზირს (სადაზვერვო, დაცვის და სხვ.) 2. სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი, რომელიც გარნიზონის ან სამხედრო ქალაქის პატრულირებისთვის არის დანიშნული.

501. **პატრულირება** – 1. საპატრულო სამსახურის განხორციელება მოწინააღმდეგის თვალთვალის, ჯარების დაცვის და დაფარვის მიზნით. პატრულირების ძირითადი ხერხებია: რაიონების (ზოლების, მარშრუტების) შემოვლა ფეხით ან ტრანსპორტით,

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებში შვეულმფრენებით შემოფრენა. მე-19-20 სს. ხორციელდებოდა ქვეითი და ცხენოსანი პატრულებით; 2. პატრულირების გათვალისწინებულ რაიონში (ზონაში) საავიაციო ქვედანაყოფების, ჯგუფების ან ერთეული თვითმფრინავების (შვეულმფრენების) "ჰაერში მორიგეობის" მდგომარეობაში ყოფნა; 3. შორეული რადიოსალოკაციო აღმოჩენის და გამიზვნის თვითმფრინავების და ავიაგამანადგურებლების მიერ საჰაერო სივრცის კონტროლი; 4. სამხედრო-საზღვაო ძალებში – მარშრუტზე ან ზღუდეზე იარაღის გამოყენების დაწესებული მზადყოფნით ხომალდის, თვითმფრინავის ან მათი ჯგუფების სისტემატური მოქმედება (მანევრირება) ზღვის განსაზღვრულ რაიონში; 5. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებში – საბრძოლო პატრულირება მობილური საბრძოლო სარაკეტო კომპლექსების საბრძოლო მორიგეობის განხორციელებისას; 6. პატრულირების სამსახური გარნიზონებში; 7. საყარაულო სამსახურის ერთ-ერთი ხერხი (მეთოდი) დანიშნულ მარშრუტებზე დასაცავი ობიექტების შემოვლის გზით.

502. **პატრულირების(ბარაჟირების) ზონა** – დაფარული ობიექტის ან მის მისადგომების თავზე საჰაერო სივრცე, რომლის ზღვრებში მოწინააღმდეგის საჰაერო თადასახმის საშუალებების აღმოჩენის და განადგურების მიზნით გამანადგურებლები ფრენებს (პატრულირებას) აწარმოებენ.

503. **პიკეტი** – 1) სადარაჯო დაფარვის ელემენტი ევროპის ქვეყნების არმიებში მე-18-19ს.ს. 2) გეოდეზიური წერტილი ადგილმდებარეობაზე ლითონის ან ხის სარი. 3) რუსეთში რკინიგზის ხაზის საზომი ერთეული = 100 მ.

504. **პიკირება** – პილოტაჟის ფიგურა, რომლის შესრულების დროს, თვითმფრინავი მუდმივი დახრილი კუთხით იშვება. პიკირება გამოიყენება საჰაერო ბრძოლაში, ბომბდაშენის, რაკეტების გაშვების დროს, როგორც ზენიტსაწინაღო და რაკეტსაწინაღო მანევრის ელემენტი, აგრეთვე ფრენის სიმაღლის სწრაფი შემცირების სისწრაფის მომატების აუცილებლობის შემთხვევაში.

505. **პირდაპირი დამიზნება** იხილე სროლა.

506. **პირდაპირი გასროლა** იხილე სროლა.

507. **პირველი ეშელონი** - ჯარების (ძალების) ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი, რომელიც პირველი ებმება კვეთებაში (ბრძოლაში) და, როგორც წესი განკუთვნილია ოპერაციაში, (ბრძოლაში) ძირითადი ამოცანების შესასრულებლად. პირველი ეშელონის შექმნა გათვალისწინებულია აგრეთვე სტრატეგიული მასშტაბით შეიარაღებული ძალების საომრად გაშლისას. როგორც 1-ლი, ისე მე-2 ეშელონის შემადგენლობა და ამოცანები განისაზღვრება ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილებაში.

508. **პლანირება** (ავიაცია) – საფრენი აპარატის თანაბარი მოძრაობა სწორხაზოვანი დაღმავალი ტრაექტორიით. ხასიათდება სიმაღლის უწყვეტი დაკარგვით ფრენის მკაცრად შეზღუდული მანძილით და მისი დამოკიდებულებით საფრენი აპარატის საწყისი სიმაღლისა და აეროდინამიური მახასიათებლისგან.

509. **პლუტონიუმი** (Pu) – ხელოვნურად მიღებული რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი. ვერცხლისფერ-თეთრი ლითონი, 640^0 დნობის ტემპერატურით, აღმოჩენილია ამერიკელი მეცნიერების მიერ 1940წ. ურანის წყალბადის მძიმე ბირთვებით დასხივების შედეგად მიღებულია იზოტოპი ^{239}Pu.

510. **პოლემოლოგია** – მეცნიერება ომის შესახებ; ცნება ფრანგმა სოციოლოგმა გ. ბუტულმა შემოიღო. სხვადასხვა მეცნიერებების მეთოდებისა და დასკვნებზე დაყრდნობით პოლემოლოგია სწავლობს ბიოლოგიას, ფსიქოლოგიას, ეკონომიკას, დემოგრაფიას, ტექნიკურ, სოციოლოგიურ და სხვა ფაქტორებს, რომლებითაც აიხსნება შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობა და ხასიათი, ეძებენ ხერხებს და მეთოდებს მშვიდობის უზრუნველყოფისთვის.

511. **პოზიცია** თავდაცვითი – ჯარების მიერ წინასწარ ან საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას დაკავებული და თავდაცვითი ბრძოლის წარმოებისთვის ადგილმდებარეობის მონაკვეთი (ზოლი). წარმოადგენს თავდაცვითი ზღუდის, თავდაცვის ზოლის, თავდაცვის მონაკვეთის ან უზრუნველყოფის ზოლის ნაწილს. მათ მიეკუთვნება აგრეთვე მეწინავე, შუალედური და წამკვეთი პოზიციები, საბრძოლო დაფარვის პოზიციები. აგრეთვე არსებობს სათადარიგო და ცრუ პოზიციები. პოზიციის საფუძველს ბატალიონის თავდაცვის რაიონი წარმოადგენს, რომელიც შედგება ასეულის საყრდენი პუნქტებისა და დაკავშირებული ცეცხლის სისტემის და დაბრკოლებებისგან. პოზიციის სიღრმე 2-2,5 კმ.

512. **პოზიციური რაიონი** – 1) ადგილმდებარეობის მონაკვეთი სარაკეტო, საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო წყობაში გაშლისთვის განკუთვნილი. პოზიციურ რაიონში მოეწყობა სასტარტო (საცეცხლე) პოზიციები, სამეთაურო პუნქტები, საბრძოლო წყობის სხვა ელემენტები და მანევრის გზები.

513. **პოზიციური თავდაცვა** 2/328. პ-57.

514. **პრინციპები** – ძველი რომის 5 – 2 ს.ს. ჩვ.წ.ა. მძიმე ფეხოსნების ნაირსახეობა. კომპლექტდებოდა 30-40 წლის ასაკის გამოცდილი მეომრებით. ლეგიონის საბრძოლო წყობაში მის 1-ლ ხაზს შეადგენდა, ხოლო ჩვ.წ.ა. მე-3 ს. – მე-2 ხაზს.

515. **პროგნოზირება სამხედრო საქმეში** – სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, შეიარაღებული ძალების, სამხედრო ტექნიკის და სამხედრო ხელოვნების განვითარების მოსალოდნელი პერსპექტივების განსაზღვრა, განჭვრეტის ერთ-ერთი ფორმა. ამასთან, პროგნოსტიკული კვლევა მოიცავს სამხედრო-სოციალურ, სამხედრო-სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ და სამხედრო-ტექნიკურ სფეროებს. განსაზღვრავენ მოკლევადიან (5 წლამდე), საშუალოვადიან (10 წლამდე) და გრძელვადიან (10 წელიწადზე მეტი) პროგნოზებს. სამხედრო საქმეში პროგნოზირების დროს გამოიყენება კვლევის მათემატიკური, ევრისტიკული და კომბინირებული მეთოდები.

ჟ

რ

516. **რადიაციული ვითარება** – რადიაციული ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების, ბირთვული ობიექტების ექსპლუატაციის და ამ ობიექტებზე ავარიების და ნგრევის შედეგად წარმოიშობა. ხასიათდება მასშტაბით (სივრცული და დროებრივი), რადიაციის დოზური დატვირთვით და ადგილმდებარეობის, აკვატორიის, საჰაერო გარემოს და ობიექტების ზედაპირის რადიაქტიული დასნებოვნების (დაბინძურების) დონით.

517. **რადიაციული კონტროლი** (179) – პირადი შემადგენლობის იარაღის და ტექნიკის, ტერიტორიის, ობიექტების და სხვ. მატერიალური საშუალებების რადიოაქტიური დასხივების და დასნებოვნების ხარისხის განსაზღვრა.

518. **რადიოელექტრონული ბრძოლა** (79) – მიზნით, ამოცანებით, ადგილით და დროით შეთანხმებულ ღონისძიებათა ერთობლიობა და ჯარების მოქმედება, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული საშუალებების და სისტემების გამოვლენა, იარაღის ყველა საშუალებებით მათი განადგურება (ხელში ჩაგდება) და რადიოელექტრონული ჩახშობა, საკუთარი ელექტრონული სისტემების და საშუალებების რადიოელექტრონული დაცვა. ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახე.

519. **რადიოელექტრონული დაცვა** (79) – ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის მიერ რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოების პირობებში რადიოელექტრონული საშუალებების და სისტემების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა რადიოელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს მოწინააღმდეგის თვითდამიზნებადი იარაღით რადიოექლეტრონული ჩახშობისა და დაზიანებისაგან დაცვას, ასევე საკუთარი რადიოელექტრონული საშუალებების ელექტრომაგნიტური თავსებადობის უზრუნველყოფას.

520. **რაიონის თავდაცვა** (1740 – იხ. პოზიციური თავდაცვა

521. **რაიონის იზოლირება** – მოცემულ რაიონში მოწინააღმდეგის საბრძოლო მოქმედებების წარმოება უნარის აღკვეთა ან მისი შეზღუდვის მიზნით განხორციელებული სამხედრო მოქმედებები.

522. **რაკეტსაწინაღო თავდაცვის გადალახვა -** ღონისძიებათა კომპლექსი და საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მოწინააღმდეგის რაკეტსაწინაღო თავდაცვის ეფექტიანობის შესამცირებლად, მის ობიექტზე ბალისტიკური რაკეტების დაშენით. განასხვავებენ რაკეტსაწინაღო თავდაცვის გადალახვას საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და ატომური წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების დარტყმების მიყენებით და რაკეტსაწინაღო თავდაცვის გადალახვას საომარი მოქმედების თეატრში.

523. **რადიაციული დაზვერვა** – ადგილმდებარეობის, აკვატორიის, საჰაერო სივრცის, სამხედრო ტექნიკის, სხვა მატერიალური საშუალებების და ობიექტების რადიოაქტიური დასნებოვნების (დაბინძურების) ხარისხის და მასშტაბების შესახებ მონაცემების მოპოვება, შესწავლა და ანალიზი. ამოცანები: დასნებოვნების (დაბინძურების) ფაქტის დადგენა; დასნებოვნებული რაიონების საზღვრების, დასნებოვნების ხარისხის, დასნებოვნებული პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების განსაზღვრა.

524. **რადიაციული კონტროლი** – პირადი შემადგენლობის რადიოაქტიური დასხივების და დასნებოვნების, იარაღის, ტექნიკის, სხვა მატერიალური საშუალებების დასნებოვნების ხარისხის განსაზღვრა. დასხივების კონტროლი იყოფა საჯარისო და ინდივიდუალურად. საჯარისო ტარდება ქვედანაყოფებში პირდაპირმაჩვენებელი დოზის გამზომით, რომლებიც გაეცემა გენერლებს და ოფიცრებს (ზემდეგებს), აგრეთვე თითო–თითო ათეულზე, გათვლაზე და ეკიპაჟზე. დოზის აღრიცხვა ქვედანაყოფებში და შტაბებში წარმოებს. კრებსითი დოზები აღრიცხვის ბარათებში შეაქვთ. ინდივიდუალური კონტროლისთვის დოზის გამზომს თითოეულ სამხედრო

მოსამსახურეს გაეცემა. რადიოაქტიური დასნებოვნების კონტროლი წარმოებს ქვედანაყოფებში გამა-გამოსხივების დოზის სიმძლავრის გაზომვით და ლაბორატორიებში – ძირითადად ალფა და ბეტა გამოსხივებებით.

525. **რადიაციული შენიღბვა** – რადიომეტრული დაზვერვისგან ბირთვული საბრძოლო მასალების დაფარვის ღონისძიებების კომპლექსი. ბირთვული საბრძოლო მასალების მიწისქვეშა გვირაბში და მიწისზედა მოზვინულ ნაგებობებში შენახვით მიიღწვა. ბირთვული საბრძოლო მასალების და პოზიციების იმიტაციისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას ხელოვნური რადიოაქტიური იზოტოპები.

526. **რადიაციული ვითარება** – რადიაციული ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგად, ბირთვული ობიექტების ექსპლუატაციის და ამ ობიექტებში ავარიების და ნგრევის დროს წარმოიშობა. ხასიათდება მასშტაბით (სივრცული და დროებრივი), რადიაციის დოზური დატვირთვით და ადგილმდებარეობის, აკვატორიის, საჰაერო გარემოს და ობიექტების ზედაპირის რადიაქტიული დასნებოვნების (დაბინძურების) დონით.

527. **რადიოაქტიური დასნებოვნება** – ბირთვული აფეთქების, რადიოლოგიური იარაღის გამოყენების, რადიაციულად საშიში ობიექტების განადგურების (ატომური ელექტროსადგურების, ბირთვული საწარმოების და ძალური დანადგარების, რადიოაქტიური ნარჩენების საფლავებზე და ა.შ.), ან ამ ობიექტებზე ავარიის დროს წარმოქმნილი დამაზიანებელი ფაქტორი. ყველაზე საშიში რადიოაქტიური დასნებოვნება მიწისქვეშა, მიწისზედა, წყალქვეშა და წყალსზედა ბირთვული აფეთქებების დროს წარმოიქმნება. რადიოაქტიური დასნებოვნების ზონების გამოვლენა პროგნოზირებით ან რადიაციული დაზვერვით ხორციელდება, რომლითაც მაიონიზებელი გამოსხივების ხალხის, ტექნიკის და ობიექტების სხვადასხვა დოზით დასნებოვნების ზონების საზღვრები წესდება.

528. **რადიოაქტიური დასხივება** – რადიაციული დასხივება, სხვადასხვა ობიექტებზე მაიონიზებელი გამოსხივების ზემოქმედებით. განასხვავებენ რადიოაქტიური დასხივების ბუნებრივ წყაროს (კოსმოსურ რადიაციას, ბუნებრივ რადიონუკლიდებს) და ტექნოგენურს (ხელოვნურ და ადამიანის მიერ სპეციალურად კონცენტრირებული ბუნებრივი რადიონუკლიდები, მაიონიზებელი გამოსხივების გენერატორები). რადიოაქტიური დასხივების ძირითადი მიზეზია ბირთვული აფეთქებები და ავარიები ბირთვული კომპონენტების ობიექტებზე. რადიოაქტიური დასხივება ორგანიზმზე შესაძლოა გარე (ბირთვული აფეთქების გამჭოლი რადიაციის ან გამა-გამოსხივების ზემოქმედება, რადიოაქტიური დასნებოვნებით ადგილმდებარეობაზე ყოფნისას) და შიდა (ორგანიზმის შიგნით რადიოაქტიური პროდუქტების მოხვედრა სუნთქვის ორგანოების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ან ჭრილობის მეშვეობით). რადიოაქტიური დასხივების დამაზიანებელი მოქმედება გამოწვეულია ალფა-გამა-ბეტა გამოსხივების და ნეიტრონების ცოცხალ ქსოვილზე მაიონიზებელი უნარით, რის შედეგად ნივთიერებათა ცვლა ირღვევარაც სხივურ დაავადებას იწვევს. სამხედრო ტექნიკის რადიოაქტიური დასხივება რადიოელექტრონული აპარატურის ელექტრო პარამეტრების ცვლილებას იწვევს, ოპტიკა მუქდება და სხვა.

529. **რადიოაქტიური ღრუბელი** – ბირთვული აფეთქების ღრუბელი, გაცხელებული ჰაერის, ბირთვული აფეთქების პროდუქტებთან, გრუნტის ნაწილაკებთან და წყლის

ორთქლთან თავმოყრა. ჩვეულებრივ სოკოსებრივი ფორმა აქვს. რადიოაქტიური ღრუბელის ზომები დამოკიდებულია ბირთვული აფეთქების სიმძლავრეზე და შეიძლება სიმაღლეში 10-20 კმ და მეტს და რადიუსში რამოდენიმე კილომეტრს აღწევდეს. გადააგილდება საჰაერო ნაკადით და რადიოაქტიურ დასნებოვნებას იწვევს.

530. **რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური დაბინძურების რეგიონალური კოორდინირების ცენტრი** – ორგანო, რომელიც პასუხს აგებს დაკვირვების მოცემულ რაიონში რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური დაბინძურების ცენტრების მოქმედებების კოორდინაციაზე. რეგიონალური ცენტრი პასუხს აგებს მოცემულ რაიონში არა თავდასხმის შედეგად, არამედ გაურკვეველი მიზეზებით ან მოწინააღმდეგის მიზეზით წარმოშობილი რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური დაბინძურების შესახებ მოხსენებების, გამომჟღავნების, დაზუსტების, განზოგადოების და შეფასებების საბოლოო შერჩევასა და დაზუსტებაზე. გარდა ამისა, ამგვარი ორგანო პასუხს აგებს ეროვნულ სამხედრო და სამოქალაქო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლაზე და თავის და მეზობელ რაიონებში ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური მდგომარეობის შეფასებაზე.

531. **რადიოაქტიურობა** – არასტაბილური ატომის ბირთვების (რადიოაქტიური იზოტოპების) თვისება გადაიქცნენ სტაბილურში, რომელსაც მაიონიზებელი გამოსხივება თანხლებს. განასხვავებენ ბუნებრივს (ბუნებრივი იზოტოპები) და ხელოვნურს მიმართულ რადიოაქტიურობას. სამხედრო საქმეში ცნება „რადიოაქტიურობა” დაკავშირებულია ბირთვული აფეთქების დროს გამჭოლი რადიაციის და რადიოაქტიური დასნებოვნების დამაზიანებელი მოქმედებებით. რადიოაქტიურობის ერთეულია ბეკერელი წამში 1 დაშლის ტოლი. აღმოაჩინა ფრანგმა ფიზიკოსმა ა. ბეკერელმა 1896წ.

532. **რადიობლოკადა** – რადიოელექტრონული ჩახშობის ხერხი, რომელიც მდგომარეობს რადიოსარელეო, ტროპოსფერული და კოსმოსური კავშირების ხაზებზე მასირებული დაბრკოლებების შექმნაში მისი სრული დარღვევის მიზნით. ხორციელდება რადიოელექტრონული ჩახშობის ძალებით და საშუალებებით.

533. **რადიოჩახშობა** – აქტიური და პასიური დაბრკოლებების შექმნის გზით, მოწინააღმდეგის ჯარების (იარაღის) მართვის სისტემებში რადიოკავშირის მუშაობის ჩახშობის ან დარღვევის ღონისძიებების კომპლექსი; რადიოელექტრონული ჩახშობის შემადგენელი ნაწილი.

534. **რადიოდაზვერვა** – რადიოძიების მეშვეობით მოწინააღმდეგის შესახებ მონაცემების მოპოვება, მისი რადიოგადაცემების გადაჭერა და მომუშავე რადიოსადგურების რადიოპელენგაცია. რადიოელექტრონული დაზვერვის შემადგენელი ნაწილი.

535. **რადიოდუმილი** – რადიოსადგურის გადაცემაზე მუშაობის აკრძალვა მოწინააღმდეგის რადიოდაზვერვისგან საკუთარი ჯარების (ძალების) ადგილმდებარეობის და მოქმედებების დაფარვის მიზნით. დასაშვებია ცალკეული რადიოგადამცემის მუშაობა დაზვერვასთან, ავიაციაში, შეტყობინების სისტემაში და მარშზე საკომენდანტო სამსახურთან კავშირისთვის.

536. **რადიოელექტრონიკა** – მეცნიერების და ტექნიკის სფერო, რომელიც ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისთვის ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოყენების საკითხებს მოიცავს. რადიოელექტრონიკის საფუძველს რადიოტექნიკა და ელექტრონიკა შეადგენენ. ტერმინი მე-20 საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა

537. **რადიოელექტრონული ბრძოლა** – ჯარების(ძალების) მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროის მოქმედებების და ღონისძიებების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული საშუალებების და სისტემების გამოაშკარავების, მათი განადგურების ან ხელთ გდების (მწყობრიდან გამოყვანა) ყვალა სახის იარაღიდან და რადიოელექტრონული ჩახშობის; აგრეთვე საკუთარი რადიოელექტრონული სისტემების და საშუალებების დაცვა. მრავალი სპეციალისტის აზრით რადიოელექტრონული ბრძოლის ძალებში და საშუალებებში უპირატესობის შექმნა ბრძოლაში და ოპერაციაში გამარჯვების მომტანია.

538. **რადიოელექტრონული ჩახშობა** – ღონიძიებების და მოქმედებების კომპლექსი, მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული სისტემების და საშუალებების მუშაობის დარღვევის ან საბრძოლო გამოყენების ეფექტურობის შემცირებისთვის, მათზე რადიოელექტრონული დაბრკოლებების ზემოქმედების მეშვეობით. რადიოელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს – რადიოჩახშობას, ოპტიკურ-ელექტრონულ ჩახშობას და ჰიდროაკუსტიკურ ჩახშობას. რადიოელექტრონული ჩახშობის ობიექტებია რადიოლოკაციის, რადიოკავშირის, რადიონავიგაციის, ლაზერული, ინფრაწითელი აკუსტიკური და სხვა საშუალებები, რომლებიც თანამედროვე მართვის და დაზვერვის საფუძველს წარმოადგენენ.

539. **რადიოელექტრონული დაბრკოლებების შექმნის ზონა** (ჩახშობის ზონა) – სივრცე ან ადგილმდებარეობის რაიონი, რომლის ფარგლებშიც დაბრკოლებათა სადგურები საიმედოდ ახორციელებენ მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული საშუალებების თუ სისტემების ფუნქციონირების დეზორგანიაციას. ზონის სიდიდე და ფორმები დამოკიდებულია გადამცემი მოწყობილობის და ჩასახშობი სისტემის (საშუალების) გამოსხივების სიმძლავრეზე (მათ შორის არსებულ მანძილზე, მათი ანტენათა სისტემის გაძლიერების კოეფიციენტზე და ჩახშობის კოეფიციენტზე).

540. **რადიოელექტრონული დაცვა** – მოწინააღმდეგის მიერ რადიოელექტრონული ბრძოლის და რადიოელექტრონული საშუალებების ურთიერთ გავლენის პირობებში, საკუთარი რადიოელექტრონული სისტემების და საშუალებების მდგრადი მუშაობის უზრუნველყოფის ღონიძიებათა კომპლექსი; რადიოელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ელემენტი. მოიცავს მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული ჩახშობისგან და თვითდამიზნების იარაღისგან დაცვას, აგრეთვე საკუთარი რადიოელექტრონული საშუალებების ელექტრომაგნიტური თავსებადობის უზრუნველყოფას. მიიღწევა რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარებით, აგრეთვე რადიოელექტრონული სისტემების გათვლების მაღალი სპეციალური მომზადებით.

541. **რადიოელექტრონული დაზვერვა** – რადიოელექტრონული საშუალებების მეშვეობით მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. არსებობს – რადიოდაზვერვა, რადიოტექნიკური, რადიოლოკაციური, რადიოსითბური, სითბური (ინფრაწითელი), ლაზერული, სატელევიზიო, ხმოვანი და ჰიდროაკუსტიკური დაზვერვა.

542. **რადიოელექტრონული შენიღბვა** - იმ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც მიმართულია მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული დაზვერვის ეფექტიანობის შესამცირებლად. შენიღბვის სახეობა. რადიოელექტრონული შენიღბვა იყოფა აკუსტიკურ (ჰიდროაკუსტიკურ,

ბგერით), მაგნიტომეტრულ, ოპტიკურ-ელექტრონულ, რადიოლოკაციურ და რადიოშენიღბვად, სითბურ და თერმოვიზუალურად..

543. **რადიოელექტრონული ვითარება** – პირობები, რომლის დროს რადიოელექტრონული საშუალებების მუშაობა ხორციელდება; საერთო ვითარების შემადგენელი ნაწილი. რადიოელექტრონული ვითარება ხასიათდება რაოდენობით, მდგომარეობით შესაძლებლობებით და რადიოელექტრონული საშუალებების (საკუთარი და მოწინააღმდეგის) მოქმედებების ხასიათით და ჯარების (ძალების) მოქმედებების ზოლში (რაიონში) ელექტრომაგნიტური და აკუსტიკური ტალღების გავრცელების პირობებით.

544. **რადიოკავშირი** – ელექტრული კავშირის სახეობა, განხორციელებული ორ ან რამოდენიმე აბონენტს შორის რადიოტალღების მეშვეობით. განკუთვნილია სატელეფონო, სატელეგრაფო და ფაქსიმილური ცნობების მიღებისა და გაცემისთვის, აგრეთვე მართვის ავტომატიზებულ სისტემებში მონაცემების გადაცემისთვის. არსებობენ ერთარხიანი და მრავალარხიანები, ცალმხრივი ან ორმხრივი, მართვის პუნქტებს შორის პირდაპირი ან შუალედურ პუქტზე რეტრანსლაციით; კავშირის არხის მუშაობის რეჟიმით – დუპლექსური ან სიმპლექსური. რადიოკავშირის ორგანიზაციის ძირითადი ხერხებია – რადიომიმართულება და რადიოქსელი. გამოიყენება ზეგრძელი, გრძელი, საშუალო, მოკლე და ულტრამოკლე ტალღები. განთავსების მიხედვით – სახმელეთო, კოსმოსური და თანამგზავრული, საავიაციო და საზღვაო. რადიოსადგურის მობილურობას მოძრავი და ფიქსირებული რადიოკავშირი განსაზღვრავს.

545. **რადიოლოკაციური აღმოჩენის ზონა** – სივრცე, რომლის ფარგლებშიც რადიოლოკაციური საშუალებები (მოწყობილობები) მიზანს (ობიექტს), აღმოაჩენენ, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ეფექტიანი განბნევის ზედაპირი (ეფექტიანი ამრეკლი ზედაპირი), გათვალისწინებულზე არანაკლები ალბათობის. რადიოლოკაციური აღმოჩენის ზონა ხასიათდება საზღვრით მოცემულ სიმაღლეზე, ქვედა და ზედა საზღვრების სიმაღლით.

546. **რადიოლოკაციური აღმოჩენის ზღუდე** – პირობითი ხაზი ადგილზე, აკვატორიაზე ან საჰაერო, კოსმოსურ სივრცეში, რომელზეც მოწინააღმდეგის მიზნების (ობიექტების) გასვლისას მათ რადიოლოკაციური სადგური გათვალისწინებული ალბათობით აღმოაჩენს. ზღუდის დაშორება დამოკიდებულია რადიოლოკაციური სადგურის ტიპზე, სამიზნის ხასიათსა და აღმოჩენის პირობებზე.

547. **რადიოლოკაციური დაზვერვა** – მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) შესახებ მონაცემების მოპოვება, მათ შორის რადიოლოკაცირი სადგურით მათი კოორდინატების ან მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრა. ღადიოელექტრონული დაზვერვის და რადიოლოკაციური უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. აღმოაჩენს ობიექტებს ხმელეთზე, ჰაერში, წყალზე, ნებისმიერ მეტეოროლოგირ პირობებში დღისით და ღამით, მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური დაბრკოლების სახეობას და ინტენსივობას, აგრეთვე ბირთვული დარტყმის ეპიცეტრი განისაზღვრება

548. **რადიო-ლოკაციური ინფორმაციის დამუშავების პუნქტი** – სამხედრო-საჰაერო ძალების რადიო-ტექნიკური ქვედანაყოფების სამეთაურო პუნქტის ელემენტი. მისი დანიშნულებაა ქვედანაყოფებიდან და ურთიერთქმედების სამეთაურო პუნქტებიდან

რადიო-ლოკაციური ინფორმაციის მიღება და დამუშავება, აგრეთვე დამუშავებული ინფორმაციის გადაცემა ზემდგომ, უზრუნველყოფის და ურთიერთქმედების სამეთაურო პუნქტებზე. ინფორმაციის დამუშავება მოიცავს: თანხლებისას საჰაერო მიზნის დაჭერას, კოორდინატების ყოველ განახლებაზე მათი მოძრაობის პარამეტრების გათვლას და შესწორებას, ზემდგომი სამეთაურო პუნქტიდან ხელქვეითების, ურთიერთქმედების და უზრუნველყოფის მართვის პუნქტებზე საბრძოლო ამოცანების მიღება და რეტრანსლაცია.

549. **რადიოლოკაციური კონტრასტულობა** იხილე ობიექტების(მიზნების) კონტრასტულობა

550. **რადიოლოკაციური შენიღბვა** იხილე რადიოელექტრონული შენიღბვა.

551. **რადიომონაცემები** – რადიო გაცვლისთვის აუცილებელი სიხშირეები (სიხშირეების პაკეტი), ინდექსები, პაროლები, სახმისები (მისამართების კოდები), სახმისების ცხრილების კოდები და სხვა მონაცემები.

552. **რადიონავიგაციური უზრუნველყოფა** – ღონისძიებების კომპლექსი მიმართული რადიონავიგაციური საშუალებების ყველაზე ეფექტურად გამოყენებისთვის პირობების შექმნა ნავიგაციის, საბრძოლო მანევრირების და დაზიანების საშუალებების ნავიგაციის (აერონავიგაციის) ამოცანების გადასაწყვეტად. რადიონავიგაციური უზრუნველყოფა მოიცავს: სახმელეთო რადიონავიგაციური სადგურებისთვის (რადიოშუქურებისთვის, რადიონავიგაციური პუნქტებისთვის) პოზიციების შერჩევას, რადიონავიგაციური საშუალებებისთვის მუშაობის წესის დაწესებას და ხომალდების (საფრენი აპარატების) მიერ მათ გამოყენებას, აგრეთვე ამ საშუალებების გამოყენების ხერხებს მოწინააღმდეგის მიერ რადიოელექტრონული დაბრკოლებების შექმნის პირობებში.

553. **რადიოსითბური დაზვერვა** (მიკროტალღური დაზვერვა) – რადიოსითბური ლოკატორების მეშვეობით მოწინააღმდეგის ობიექტების შესახებ მონაცემების მოპოვება მათი რადიოსითბური გამოსხივებით; რადიოელექტრონული დაზვერვის შემადგენელი ნაწილი. საშუალებას იძლევა ათეული კილომეტრის მანძილზე ობიექტების(მიზნების) ადგილმდებარეობა და კოორდინატები განისაზღვროს. რადიოსითბური დაზვერვა სითბურ დაზვერვასთან შედარებით ნაკლებადაა დამოკიდებული ამინდის პირობებზე და დაბრკოლებადაცულობა მეტი აქვს.

554. **რადიოშუქტექნიკური უზრუნველყოფა** – ღონიძიებების კომპლექსი, მიმართული საფრენი აპარატის ბორტზე ინფორმაციის ფორმირებასა და გადაცემაზე, რომელიც ეკიპაჟისთვის აუცილებელია აფრენისთვი, საჰაერო სივრცეში თავისი ადგილის განსაზღვრისთვის, დანიშნულ რაიონში და აეროდრომის რაიონში გასვლისთვის და დასაჯდომად შესვლისთვის; რადიოტექნიკური უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. ეს ინფორმაცია ფორმირდება რადიოტექნიკური და შუქტექნიკური საშუალებების მეშვეობით, რომლებიც საფრენი აპარატის საბორტო მოწყობილობასთან შეხამებით ნავიგაციურ რადიოტექნიკურ სისტემას წარმოქმნიან.

555. **რადიოტელემართვა** – ობიექტების მართვა მანძილზე, განხორციელებული რადიოტექნიკური საშუალებების მეშვეობით. ფართო გამოყენება აქვს სამხედრო საქმეში რაკეტების, თვითმფრინავ-მიზნების და ა.შ. მართვისთვის. რადიოტელემართვის ორი ხერხი არსებობს – სამეთაურო და სხივით მართვა.

ჩვეულებრივ სამეთაურო ხერხს დიდ მანძილებზე, ხოლო სხივით მართვას მცირე მანძილებზე გამოიყენებენ.

556. **რადიოტექნიკური დაზვერვა** – მოწინააღმდეგის მომუშავე რადიოელექტრონული საშუალებების (რადიოლოკაციური, რადიონავიგაციური, რადიოტელემართვის) ტიპის, დანიშნულების და ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების მოპოვება; რადიოელექტრონული დაზვერვის შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება სპეციალური რადიოტექნიკრი სადგურების მეშვეობით. რადიოელექტრონული საშუალებების ადგილმდებარეობის დადგენა ტრიანგულაციის (კუთხმზომი) მეთოდით, დაფუძნებული ობიექტის პელენგაციაზე 2-3 და მეტი საპელენგატორო სადგურებით ხორციელდება.

557. **რადიოტექნიკური შენიღბვა –** იმ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის რადიოტექნიკური დაზვერვის ეფექტიანობის შესამცირებლად; რადიოელექტრონული შენიღბვის ძირითადი ნაწილი. აღწევენ რადიოტექნიკურ საშუალებათა მუშაობის შეზღუდვით, ცრუ რადიოტექნიკური ვითარების შექმნით და სხვა ღონისძიებებით.

558. **რადიოტექნიკური უზრუნველყოფა –** ღონიძიებათა კომპლექსი, მიმართული სახმელეთო და საჰაერო ვითარების თვალთვალის და იარაღის, საბრძოლო და ტექნიკური საშუალებების მართვის გზით ჯარების საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფაზე. რადიოტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები მიზნობრივი დანიშნულებით რადიოლოკაციურ, ამოცნობით და რადიონავიგაციურად დანაწილდებიან; ადგილზე დადგმით – სახმელეთო და საბორტო; სიშორეზე მოქმედებით – ახლო მოქმედების, მცირე, საშუალო და დიდი; რადიოსიგნალის გამოსხივების მოწყობილობით - აქტიური და პასიური; ფუნქციური დანიშნულებით – დაზვერვითი, სივრცის კონტროლის, საფრენი აპარატების დასაჯდომი, სიმაღლის განმსაზღვრელი და ფრენის უზრუნველყოფის, მიზანჩვენების, იარაღის მართვის, მეტეოროლოგიური ვითარების შეფასების და სხვა. გამოყენების სფეროდან გამომდინარე არსებობს შემდეგი სახეობები – ავიაციის საბრძოლო მოქმედებების და ჯარების სახმელეთო (საზღვაო) დაჯგუფების საბრძოლო მოქმედებების.

559. **რადიოუკუქმედება** იხილე რადიოელექტრონული ჩახშობა.

560. **რადიოძიება** – რადიოდაზვერვის წარმოების ხერხი, მოწინააღმდეგის მომუშავე რადიოსადგურების გამოაშკარავების, შემდგომში მათი კუთვნილების, ადგილმდებარეობის, სიხშირის და დროის პარამეტრების დადგენა.

561. **რაიონის თავდაცვა** (იხ. პოზიციური თავდაცვა)

562. **რაკეტის გამიზნვა** – გაშვების წინ სივრცეში რაკეტისთვის განსაზღვრული მდებარეობის მიცემა, მიზანთან მისი შეხვედრის უზრუნველსაყოფად. განასხვავებენ ჰორიზონტალურს (აზიმუტალურს) და ვერტიკალურს. არამართვადი რაკეტებისთვის გამიზნვა ხორციელდება გამშვები დანადგარის ძირითადი მიმმართველისთვის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეებში განსაზღვრული კუთხეების მიცემით. მართვადი რაკეტისთვის გამიზვნა ხორციელდება გაანგარიშებული დანადგარების (ფრენის დავალების) რაკეტის ფრენის მართვის სისტემის ხელსაწყოებში შეყვანით.

563. **რაკეტის გაშვება** – გამშვები დანადგარის მოწყობილობაში და რაკეტაში კომანდა „გაშვება” მომენტიდან გამშვები დანადგარიდან რაკეტის გაშვებამდე მიმდინარე

ტექნოლოგიური პროცესი. რაკეტის გაშვების ციკლოგრამა ყველაზე რთულად სტრატეგიულ კომპლექსშია: ფრენის დავალების შეყვანა, გამშვები დანადგარის ავტონომიურ რეჟიმში გადაყვანა, ავტონომიური კვების წყაროების ჩართვა, დამცავი მოწყობილობის სახურავის ახდა, კვების საბორტო წყაროზე გადასვლა, საწვავის ავზების ჩაბერვა, რაკეტის დამიზნება რაკეტის 1-ლი საფეხურის ძრავას გაშვება და მისი გამოსვლა გამშვები დანადგარიდან. წყალქვეშა ნავის შახტიდან ბალისტიკური რაკეტის გამოსვლა ხორციელდება როგორც ორთქლაიროვანი ნარევით ან მყარსათბობიანი სასტარტო ძრავით, შემდგომში სამარშო ძრავის ჩართვით, ასვე შახტში რაკეტის სამარშო ძრავას ჩართვით.

564. **რაკეტსაწინაღო მანევრი** – საფრენი აპარატის ფრენის სიჩქარის, მიმართულების და სიმაღლის შეცვლა მასში საზენიტო რაკეტის მოხვედრის ალბათობის შემცირების მიზნით. ხორციელდება ერთდროულად რადიო-ელექტრონულ უკუქმედებასთან.

565. **რაკეტსაწინაღო თავდაცვა -** ძალების და საშუალებების კომპლექსი, აგრეთვე ღონისძიებები და საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის სარაკეტო-ბირთვული დარტყმის მოსაგერიებლად ფრენის ტრაექტორიებზე ბალისტიკური რაკეტების ან ამ რაკეტების ქობინების დაზიანების გზით. რაკეტსაწინაღო თავდაცვის სისტემა დანიშნულების კვალობაზე შეიძლება იყოს ტერიტორიული - მთელი ქვეყნის თავდაცვისთვის, ზონალური – მსხვილი რაიონების თავდაცვისთვის, საობიექტო - დიდმნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, სამრეწველო და სამხედრო ობიექტების თავდაცვისთვის, სტრატეგიული - სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტებისგან თავდაცვისთვის (საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტები, საშუალო სიშორის) და არასტრატეგიული (ტაქტიკური) - საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტებისგან, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტებისგან დასაცავად (რაკეტსაწინაღო თავდაცვა საომარი მოქმედების თეატრში).

566. **რაკეტსაწინაღო თავდაცვის გადალახვა -** ღონისძიებათა კომპლექსი და საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მოწინააღმდეგის რაკეტსაწინაღო თავდაცვის ეფექტიანობის შესამცირებლად, მის ობიექტზე ბალისტიკური რაკეტების დაშენით. განასხვავებენ რაკეტსაწინაღო თავდაცვის გადალახვას საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და ატომური წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების დარტყმების მიყენებით და რაკეტსაწინაღო თავდაცვის გადალახვას საომარი მოქმედების თეატრში.

567. რეგალიები – 1) ფეოდალურ ევროპაში მეფური პრივილეგიები განსაზღვრული შემოსავლების მიღებაზე(სასამართლო ჯარიმებზე, საბაზრო ბაჟზე და ა.შ.); 2) მონარქიული ძალაუფლების გარე ნიშანი – გვირგვინი, სკიპეტრი და სხვა. ზოგ შემთხვევაში განმასხვავებელ ნიშნებს უწოდებენ (ორდენები, მედლები).

568. **რეიდერული მოქმედებები** – საზღვაო და საოკეანო კომუნიკაციებზე მოწინააღმდეგის ერთეული ან რაზმების საბრძოლო და დამხმარე ხომალდების საბრძოლო მოქმედებები ნაოსნობის და მომარაგების სისტემის დარღვევის მიზნით. მოიცავს

569. **რკინიგზის სათაო მონაკვეთი**, რკინიგზის ნაწილი, რომელზეც აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობა და აუცილებელი მასალების და ტექნიკის მიწოდებისთვის მუშა მატარებლების მოძრაობა წარმოებს.

570. **რუკის დაგრაფვა** – განსაზღვრული სისტემით ცალკეულ ფურცლებად რუკის დაყოფა. გამოიყენება: კარტოგრაფიული ბადის ხაზების (მერიდიანების და პარალელების ხაზების), სწორკუთხა (საკოორდინატო) ხაზების და დამხმარე ხაზების მიხედვით. კარტოგრაფიაში ყველაზე გავრცელებულია კარტოგრაფიული ბადის ხაზების მიხედვით.

ს

571. **საავიაციო დაფარვა** – გამანადგურებელი ავიაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომლის მიზანია, არ დაუშვას, რომ მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებებმა მიაყენონ დარტყმები ჯარებს, საზღვაო ძალებს და ზურგის ობიექტებს, აგრეთვე აწარმოონ საჰაერო დაზვერვა. გარდა ამისა, ხორციელდება ავიაციის სხვა გვარეობათა ნაწილების და ქვედანაყოფების დასაცავად. საავიაციო დაფარვას უზრუნველყოფენ გამანადგურებელთა აქტიური და გადამჭრელი მოქმედებით ჰაერში მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების გასანადგურებლად. წარმოებს საჰაერო თავდაცვის საზენიტო საშუალებების დაჯგუფებასთან ურთიერთქმედებით. მეორე მსოფლიო ომის წლებში საავიაციო დაფარვის დროს ავიაცია მოქმედებდა მდგომარეობაში – მორიგეობა ჰაერში ან მორიგეობა აეროდრომზე.

572. **საბრძოლო ამოცანა** – ამოცანა, რომელიც დასახული აქვთ ჯარებს (ქვედანაყოფებს, ნაწილებს, შენაერთებს, გაერთიანებებს, ზოგჯერ ჯგუფს ან ცალკეულ სამხედრო მოსამსახურეს) ბრძოლაში (ოპერაციაში) დადგენილი ვადისთვის გარკვეული მიზნის მისაღწევად. ამოცანას სახავენ ზემდგომი მეთაურები. საბრძოლო ამოცანის შინაარსი დამოკიდებულია საომარი მოქმედების სახეობაზე, ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრზე, შეიარაღებული ძალების სახეობასა და ჯარების გვარეობაზე, საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების რიცხოვნობაზე, ბრძოლის უნარზე და საბრძოლო შესაძლებლობებზე, მისი მოქმედების ხასიათსა და ვითარების სხვა პირობებზე. საბრძოლო ამოცანა შეიძლება იყოს ტაქტიკური (ასრულებენ ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები), ოპერატიული (ასრულებენ გაერთიანებები ოპერაციის დროს), სტრატეგიული (ასრულებენ არმიების ჯგუფები).

573. **საბრძოლო აქტიურობა** (45) – სამხედრო მოსამსახურეების, ქვედანაყოფების, ნაწილების და მთლიანობაში ჯარების გადამწყვეტი მოქმედებები, რომლებიც მიმართულია საბრძოლო მოქმედებების დროს ინიციატივის ხელში ჩაგდებასა და შენარჩუნებაზე, საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებისთვის ყველა არსებული საშუალებებით მოწინააღმდეგისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებაზე.

574. **საბრძოლო ბრძანება –** მეთაურის მიერ დაქვემდებარებული მეთაურებისადმი გაცემული მითითება საბრძოლო ოპერაციის შესასრულებლად მოქმედებების კოორდინირებისთვის. **(სახმელეთო ჯარებისთვის)** – ასეთ ბრძანებას ხშირად უწოდებენ ხუთი პარაგრაფისგან შემდგარ საველე ბრძანებას, რომელშიც შედის: საბრძოლო დავალების ჩამოყალიბება, ვითარების აღწერა, საბრძოლო ამოცანა,

ამოცანის შესრულების აღწერა, სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფა, მართვა და კავშირი საგანგებო ოპერაციების დროს.

575. **საბრძოლო გამოყენება** (215) – 1. ბრძოლაში (ოპერაციაში) შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების ორგანიზებული გამოყენება, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებით საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით. 2. სამხედრო – საავიაციო ძალებში – საფრენოსნო მომზადების სახეობა, რომელიც მოიცავს მფრინავთა მომზადებას დაზიანების საავიაციო საშუალებების და საფრენი აპარატების მოწყობილობების გამოყენებას მიწისზედა, საზღვაო, საჰაერო მიზნების დასაზიანებლად და ვითარების სხვადასხვა პირობებში სხვა საბრძოლო ამოცანების გადასაჭრელად.

576. **საბრძოლო დაცვა** – ძალები და საშუალებები, რომლებიც ბრძოლაში ჯარების დასაცავად გამოიყოფა. მათი მიზანია არ დაუშვან მოწინააღმდეგის დაზვერვის შემოღწევა საბრძოლო და ბრძოლისწინა წყობაში, თავიდან აიცილონ მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმა. დაცვაში იგზავნება 1-ლი ეშელონის ბატალიონებიდან იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც არ მომზადებულა მეწინავე პოზიცია; შეტევაში (კონტრშეტევაში) – როდესაც ნაწილები (ქვედანაყოფები) მოქმედებენ ძირითადი ძალებისგან მოწყვეტით, მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების დაკარგვის შემთხვევაში, ღამე და სხვ. შემთხვევებში.

577. **საბრძოლო ზემოქმედების ზონა** (20) – გეოგრაფიული რაიონი, რომელშიც მეთაური (სარდალი) მანევრირების ან საცეცხლე მხარდაჭერის კომპლექსების გამოყენების საშუალებით საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს.

578. **საბრძოლო მზადყოფნა** – ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დადგენილ ვადაში დაიწყონ საბრძოლო მოქმედება და წარმატებით შეასრულონ საბრძოლო ამოცანები. ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებში გათვალისწინებულია საბრძოლო მზადყოფნის რამდენიმე დონე. საბრძოლო მზადყოფნის დონე მშვიდობიან დროს უზრუნველყოფს ჯარების (ძალების) დროულ გადაყვანას მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაზე, მათ გაშლას და ომში ჩაბმას. რაც უფრო მაღალია ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის დონე, მით უფრო ნაკლები დრო დასჭირდება მათ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად მომზადებისათვის. საბრძოლო მზადყოფნის უმაღლესი დონე განისაზღვრება ჯარების (ძალების) უნარით, დაუყოვნებლივ შეასრულონ საბრძოლო ამოცანები.

579. **საბრძოლო მზადყოფნა** – ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დადგენილ ვადაში დაიწყონ საბრძოლო მოქმედება და წარმატებით შეასრულონ საბრძოლო ამოცანები. ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებში გათვალისწინებულია საბრძოლო მზადყოფნის რამდენიმე დონე. საბრძოლო მზადყოფნის დონე მშვიდობიან დროს უზრუნველყოფს ჯარების (ძალების) დროულ გადაყვანას მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაზე, მათ გაშლას და ომში ჩაბმას. რაც უფრო მაღალია ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის დონე, მით უფრო ნაკლები დრო დასჭირდება მათ საბრძოლო

ამოცანების შესასრულებლად მომზადებისათვის. საბრძოლო მზადყოფნის უმაღლესი დონე განისაზღვრება ჯარების (ძალების) უნარით, დაუყოვნებლივ შეასრულონ საბრძოლო ამოცანები.

580. **საბრძოლო მზადყოფნის დონის მიღწევის ვადა** (181) – ვადა, რომლის ფარგლებშიც ნაწილი ან ქვედანაყოფი შეიძლება იყოს მზადყოფნაში მოყვანილი იმ ამცანების შესასრულებლად, რომლისთვისაც იგი იყო ორგანიზებული, აღჭურვილი და მომზადებული. ეს ვადა დაწვრილებით ხასიათდება და იზომება იმ მაჩვენებლებით, რომლებიც მოცემულ მომენტში პირად შემადგენლობას, სამხედრო ტექნიკას და საბრძოლო მოამზადებს მდგომარეობას გააჩნია.

581. **საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის შიფრი** (68) – რიცხვი ან სიტყვა, რომელიც საბრძოლო მოქმედებებისთვის ან სწავლებებისთვის ნაწილის ან ქვედანაყოფის მზადყოფნას მიუთითებს.

582. **საბრძოლო მზადყოფნის მდგრადობა** (181) – დროის მოცემულ მომენტში ჯარების (ძალების) წინაშე დასახული ამოცანების შესრულების შესაძლებლობის შეფასების ხერხი.

583. **საბრძოლო მორიგეობა** – იმ სპეციალურად გამოყოფილი ძალების და საშუალებების მორიგეობის (საქმიანობის) განსაკუთრებული სახეობა, რომლებიც დაგეგმილი ან უეცრად წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის და საბრძოლო მოქმედების წარმოებისთვის სხვა ძალებთან და საშუალებებთან შედარებით საბრძოლო მზადყოფნის უფრო მაღალ დონეზე არიან. ხორციელდება მოწინააღმდეგის თავდასხმის დაწყების დროული აღმოჩენის, ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების დაზიანების, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო საზღვრების დარღვევის აღკვეთის მიზნით. საბრძოლო მორიგეობის ძალების და საშუალებების შემადგენლობაში შედის საბრძოლო ჯგუფეულები, ხომალდების და საფრენი აპარატების ეკიპაჟები, მართვის პუნქტების, საბრძოლო უზრუნველყოფის და მომსახურების ძალების და საშუალებების მორიგე ცვლები. მორიგე ძალები და საშუალებები გამოიყენება ზემდგომი მეთაურების კომანდებით (სიგნალებით), ხოლო იმ შემთხვევებში, რომლებიც დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვენ, მორიგე ნაწილების, ხომალდების, ქვედანაყოფების მეთაურების გადაწყვეტილებით.

584. **საბრძოლო მორიგეობა ჰაერში** (8) – ავიაციის საბრძოლო მზადყოფნის ხარისხი, რომლის დროსაც თვითმფრინავები იმყოფებიან ჰაერში დაუყოვნებელი საბრძოლო მოქმედებებისთვის მზადყოფნაში.

585. **საბრძოლო მოქმედების რაიონის ჰაერიდან იზოლაცია** - საჰაერო ძალების მოქმედებები, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგე ჯარების (ძალების) განადგურება, დატრგუნვა და შეკავება, მანამ, სანამ ისინი ეფექტურად იქნებიან გამოყენებული. ხორციელდება საკუთარი ჯარებიდან ისეთ სიშორეზე, რომლის პირობებშიც არ არის აუცილებელი ყველა საბრძოლო გაფრენის საგულდაგულო შეთანხმება საკუთარი ჯარების საცეცხლე ზემოქმედებასთან და გადაადგილებასთან.

586. **საბრძოლო მოქმედებები** – 1. დასახული საბრძოლო (ოპერატიული) ამოცანების შესრულებისას ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების ორგანიზებული მოქმედება. საბრძოლო მოქმედებების ძირითად სახეობებს წარმოადგენს თავდაცვა და შეტევა. ისინი წარმოებს ხმელეთზე, ჰაერში (კოსმოსში) და ზღვაზე ოპერაციების, შეტაკებების,

ბრძოლებისა და დარტყმების ფორმით, როგორც დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების, ისე მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებით. 2. ოპერაციის ფარგლებში ან ოპერაციებს შორის რამდენიმე თანამიმდევრულად წამოჭრილი ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანის გადასაწყვეტად, შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანებების და შენაერთების ოპერატიული გამოყენების ფორმა.

587. **საბრძოლო მოქმედებები** – 1. დასახული საბრძოლო (ოპერატიული) ამოცანების შესრულებისას ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების ორგანიზებული მოქმედება. საბრძოლო მოქმედებების ძირითად სახეობებს წარმოადგენს თავდაცვა და შეტევა. ისინი წარმოებს ხმელეთზე, ჰაერში (კოსმოსში) და ზღვაზე ოპერაციების, შეტაკებების, ბრძოლებისა და დარტყმების ფორმით, როგორც დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების, ისე მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებით. 2. ოპერაციის ფარგლებში ან ოპერაციებს შორის რამდენიმე თანამიმდევრულად წამოჭრილი ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანის გადასაწყვეტად შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანებების და შენაერთების ოპერატიული გამოყენების ფორმა.

588. **საბრძოლო მოქმედებები ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით** (33) – ხალხის ან პირუტყვის დაზიანების, მცენარეების ან ტექნიკისათვის ზიანის მიყენების მიზნით ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება.

589. **საბრძოლო მოქმედებები სპეციალური მეთოდების გამოყენებით** (222) – საჰაერო ტერმინი, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მაცხოვრებლების და რესურსების გამოყენებით სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევის მიზნით ჩატარებულ ოპერაციებში გამოიყენება.

590. **საბრძოლო მოქმედებები ქიმიური იარაღის გამოყენებით** (39) – მომწამლავი ნივთიერებების გამოყენება ხალხის და პირუტყვის განადგურების, დაზიანების და მწყობრიდან დროებით გამოყვანის, მოწინააღმდეგის მიერ ტერიტორიის, ობიექტების, მატერიალური ნაწილის ან ქონების გამოყენებისთვის წინააღმდეგობების და დაბრკოლებების შექმნის მიზნით.

591. **საბრძოლო მოქმედებების ზონა –** საომარ მოქმედებათა თეატრის ტერიტორიის ან საჰაერო სივრცის ნაწილი სადაც განლაგებული (ბაზირებული) არიან და საბრძოლო მოქმედებას აწარმოებენ სახმელეთო ჯარების გაერთიანებები, მიკუთვნებული და მხარდაჭერის საშუალებებით (მთელი რიგი სახელმწიფოების არმიებში), აგრეთვე ავიაცია, საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები.

592. **საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა** (38) – 1. ომის, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების გამო, მხარეების მიერ შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტა, როგორც წესი ფორმდება საზავო ხელშეკრულება. 2. მთელ ფრონტზე, ან მის ნაწილში მებრძოლი მხარეების მიერ საბრძოლო მოქმედებების დროებითი შეჩერება და ცეცხლის შეწყვეტა. ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება ერთი მხარის მიერ, როგორც ნაბიჯი დაზავებისა და ომის დამთავრებისკენ.

593. **საბრძოლო უზრუნველყოფა** – იხ. ოპერატიული უზრუნველყოფა

594. **საბრძოლო პატრულირება – 1.** სახმელეთო ჯარებისთვის – ძირითადი ძალების ფრონტის, ფლანგების და ზურგის დასაცავად ძირითადი ძალებიდან ტაქტიკური ქვედანაყოფის გამოყოფა. 2. წყალქვეშა ნავის მოქმედება საბრძოლო სამსახურის დროს, რომელიც გამოიხატება უწყვეტი მანევრირების შესრულებით ოკეანის (ზღვის) დანიშნულ რაიონში, ან გათვალისწინებული მარშრუტებით დადგენილ მზადყოფნაში სამეთაურო პუნქტიდან მიღებული ბრძანებით, ან ვითარებიდან გამომდინარე საზღვაო (სახმელეთო) მიზნებზე იარაღის საბრძოლო გამოყენებისთვის.

595. **საბრძოლო პოტენციალის დაბეგმვა** (37) – იხ. საბრძოლო შესაძლებლობების დაგეგმვა.

596. **საბრძოლო შესაძლებლობა** (45) – ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ვითარების ნებისმიერ პირობებში დანიშნულების შესაბამისად წარმატებით აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები და მოახდინონ თავისი საბრძოლო შესაძლებლობების რეალიზება; საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი შემადგენელი.

597. **საბრძოლო შესაძლებლობების დაბეგმვა** – გარკვეული ვადების ფარგლებში საბრძოლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით პროცესში გამოყენებული დაგეგმვის ძირითადი სახე, ასევე იწოდება "საბრძოლო პოტენციალის დაგეგმვად".

598. **საბრძოლო შეხება** – 1. (ხმელეთზე) მეომარ მხარეთა ჯარების ურთიერთგანლაგება, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ დაზიანების საშუალებებით ერთმანეთზე მოახდინონ ზემოქმედება. 2. (ზღვაზე) მეომარ მხარეთა ხომალდების ურთიერთგანლაგება არსებული იარაღის სროლის მაქსიმალური სიშორის ფარგლებში, ერთმანეთის იმავდროული თვალთვალით; 3. (ჰაერში) მეომარ მხარეთა თვითმფრინავების (შვეულმფრენების) დაახლოება „ჰაერი-ჰაერი" რაკეტის გაშვების სიშორეზე, ხოლო ამ რაკეტების უქონლობისას – საზარბაზნე შეიარაღების ნამდვილი ცეცხლის მანძილზე.

599. **საბრძოლო ძებნა და გადარჩენა** (47) – კრიზისის ან ომის დროს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩამოგდებული თვითმფრინავის ეკიპაჟის აღმოჩენის, ადგილმდებარეობის დადგენის, ამოცნობის და ევაკუაციის განხორციელებისთვის წარმოებული შეთანხმებული მოქმედებები, რომლებიც წინასწარ არის დამტკიცებული ინსტრუქციით.

600. **საბრძოლო წყობა** – შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების მათი გაძლიერების საშუალებებითურთ ბრძოლის წარმოებისთვის დაწყობა (განლაგება).. საბრძოლო წყობა უნდა შეესაბამებოდეს მომავალი ბრძოლის ჩანაფიქრს, უზრუნველყოფდეს მის წარმატებულ წარმოებას ყველა სახეობის იარაღის გამოყენებით, თავდაცვის სიმტკიცეს და აქტიურობას, ძალისხმევის კონცენტრაციას და ზრდას ბრძოლის დროს არჩეულ მიმართულებაზე (რაიონში) და მანევრის განხორციელებას.

პირველად საბრძოლო წყობა გაჩნდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში. მისი თავდაპირველი ფორმა იყო მწკრივები და რიგები, რომლებითაც ეწყობოდნენ მეომრები. ძველი მსოფლიოს მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ჯარები იბრძოდნენ ღრმა მიჯრილი წყობით კოლონების სახით. ძველ საბერძნეთში (მე-6 ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) საბრძოლო წყობის საფუძველი გახდა ფალანგა.

დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ძველ რომში (მე-4 ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ლეგიონის დანაწევრება მანიპულებად, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა კოჰორტებად. აღმოსავლელი სლავები 9-11 საუკუნეებში იყენებდნენ საბრძოლო წყობას – "კედელს", ხოლო მე-11 საუკუნიდან – საბრძოლო წყობას, რომელიც შედგებოდა საგუშაგო, მეწინავე, დიდი, მარჯვენა და მარცხენა ხელის პოლკები, რეზერვები და სხვ. საბრძოლო წყობის შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში მე-14 საუკუნეში ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამ. მისი ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისადმი სწრაფვას შედეგად მოჰყვა სახაზო საბრძოლო წყობის წარმოშობა. ცეცხლსასროლი იარაღის შემდგომმა განვითარებამ მე-18 საუკუნეში განაპირობა საბრძოლო წყობის გაჩენა კოლონების სახით გაფანტულ მწყობრთან შეხამებით. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში არმიების აღჭურვას კუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც სროლის გაცილებით მეტი სიშორე, ცეცხლის სიზუსტე და სწრაფსროლა ახასიათებდა, გამოიწვია მსროლელთა ჯაჭვების ჯერ სტიქიური, შემდეგ კი გაცნობიერებული გამოყენება, ხოლო 1-ელ მსოფლიო ომში მსროლელთა ჯაჭვების "ტალღებიც", და ამ ომის ბოლოს – საბრძოლო წყობა, რომელშიც მსროლელთა ჯაჭვები მცირერიცხოვან ქვეითთა ჯგუფებად ნაწევრდებოდა. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მსოფლიოს ყველა არმიაში საბრძოლო წყობის ცვლა მიმდინარეობდა ჯარებში ტანკების, არტილერიის, ავტომატური სასროლი იარაღის, ტანკსაწინაღო საშუალებების შემოსვლის, ავიაციის სწრაფი სრულყოფის ზემოქმედებით.

მე-2 მსოფლიო ომის წლებში გაიზარდა საბრძოლო წყობის სიღრმე, წარმოიშვა მისი ახალი ელემენტები. მოწინააღმდეგის მიერ ტანკების მასირებულ გამოყენებას შედეგად მოჰყვა საბრძოლო წყობის ისეთი ელემენტების გაჩენა, როგორიც იყო საარტილერიო-ტანკსაწინაღო რეზერვი, მოძრავი გადამღობი რაზმი, ტანკსაწინაღო რაიონი და სხვ.

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ შეიარაღებაზე ბრძოლის ახალი საშუალებების-ბირთვული იარაღის, სარაკეტო კომპლექსების, ქვეითი საბრძოლო მანქანების, ტანკსაწინაღო მართვადი რაკეტების, საბრძოლო შვეულმფრენებისა და სხვათა შემოსვლამ, ყველა სახეობის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის საბრძოლო თვისებების გაუმჯობესებამ განაპირობეს საბრძოლო წყობის შემდგომი განვითარება, რომელშიც თვისებრივად შეიცვალა წინანდელი ელემენტი და გაჩნდა ახალი.

ბევრი სახელმწიფოს საერთო-საჯარისო შენაერთების საბრძოლო წყობაში შეიყვანეს 1-ლი ეშელონი, მე-2 ეშელონი, ან საერთო-საჯარისო რეზერვი, სარაკეტო ნაწილი (ქვედანაყოფი), არტილერია, საზენიტო საშუალებები (საჰაერო თავდაცვის საშუალებები), სხვადასხვა დანიშნულების (ტანკსაწინაღო, საინჟინრო და სხვ.) რეზერვები და მოძრავი გადამღობი რაზმი. სპეციალური ამოცანების გადასაწყვეტად საბრძოლო წყობაში შეიძლება შეიქმნას ავანგარდები, მეწინავე, სადაზვერვო, მოიერიშე, სარეიდო, შემომვლელი და სპეციალური რაზმები, ტაქტიკური საჰაერო დესანტი, აერომობილური ფორმირებების და ავიაციის ქვედანაყოფები.

601. **სადაზვერვო მონაცემები** (103) – სამხედრო მოქმედებების არსებულ ან მოსალოდნელ რაიონებში საზღვარგარეთის ქვეყნებზე, მტრულად ან პოტენციურად

მტრულად განწყობილ შეიარაღებულ ძალებზე და ფორმირებებზე ინფორმაციის დამუშავების შედეგი.

602. **სადესანტო ოპერაცია** (11) – იხ. საჰაერო-სადესანტო ოპერაცია

603. **საზღვაო-სადესანტო ოპერაცია** – მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული მოქმედების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე საზღვაო დესანტის გადასხმის, ერთიანი ჩანაფიქრის და გეგმის მიხედვით ნაპირზე მის მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით; ერთობლივი ოპერაცია, რომელსაც გაერთიანებული სახმელეთო ჯარები და საზღვაო ძალები შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან და ჯარების გვარეობებთან ურთიერთქმედებით აწარმოებენ; საზღვაო-სადესანტო ოპერაციის მიზნები შეიძლება იყოს: დაეუფლოს სრუტის ზონებს, მსხვილ კუნძულებს და საზღვაო სანაპიროს დიდმნიშვნელოვან რაიონებს, სამხედრო-საზღვაო ბაზებს, ნავსადგურებს და სხვა სანაპირო ობიექტებს; ხელი შეუწყოს სახმელეთო ჯარებს ზღვისპირა მიმართულებებზე თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების წარმოებასა და მოწინააღმდეგის დაჯგუფებების განადგურებაში; გააუმჯობესოს საზღვაო ძალების ბაზირება. საზღვაო-სადესანტო ოპერაციის მიზნის შესაბამისად მისი განხორციელებისას შეიძლება გადაისხას ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური საზღვაო დესანტები.

604. **საზღვაო ოპერაცია** – მიზნით, ადგილით, დროში შეთანხმებული და ურთიერთადაკავშირებული საზღვაო კვეთების, ბრძოლების და დარტყმების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდებოდა საზღვაო ძალების სხვადასხვაგვარი ძალების დაჯგუფების მიერ დამოუკიდებლად ან შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებებთან (შენაერთებთან, ნაწილებთან) ურთიერთქმედებებში ერთობლივი ჩანაფიქრით ან გეგმით საოკეანო და საზღვაო საბრძოლო მოქმედებათა თეატრის ცელკეულ რაიონში (ზონაში). ომში სამხედრო –საზღვაო ძალების შენაერთების გამოყენების ფორმა. საზღვაო ოპერაციების მიზნებია: საოკეანო და საზღვაო გადაზიდვების ჩაშლა; ბაზირების რაიონების საზღვაო კომუნიკაციების დაცვა; მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფებების განადგურება დახურულ და ნაპირის მიმდებარე ღია ზღვებში და ოკეანის რაიონებში; მოწინააღმდეგის მიწისზედა ობიექტების განადგურება; მოწინააღმდეგის ავიამზიდთა დაჯგუფებების განადგურება; მოწინააღმდეგის ნავსაწინაღო დაჯგუფებების განადგურება; რაკეტული წყალქვეშა ნავების განადგურება.

605. **საზღვაო ძალების საჰაერო თავდაცვა** (17) – საორგანიზაციო ღონისძიებების კომპლექსი და საბრძოლო მოქმედებები, რომელთა მიზანია საჰაერო მოწინააღმდეგის მოგერიება, ზღვაში და ბაზირების პუნქტებში ჰაერიდან დარტყმისაგან ძალების ასევე საზღვაო ძალების ობიექტების დაფარვა.

606. **საინჟინრო უზრუნველყოფა** – იმ საინჟინრო ღონისძიებების და ამოცანების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ჯარებისთვის (ძალებისთვის) ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად მათი დროული და ფარული წინწამოწევის, გაშლის, მანევრის მოწყობის და საბრძოლო ამოცანების შესრულების, დაზიანების სხვადასხვა საშუალებებისგან დაცვის ამაღლებისთვის, აგრეთვე

მოწინააღმდეგისთვის დანაკარგის მიყენებისა და მისი მოქმედების გაძნელებისთვის; ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. საინჟინრო უზრუნველყოფაში შედის: საინჟინრო დაზვერვა; ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობა; ღობურებში გასასვლელების მოწყობა და ამ გასასვლელების მოვლა-შენახვა; ბირთვული ნაღმების განადგურება (გაუვნებელყოფა); ადგილმდებარეობის და ობიექტების განაღმვა; მოწინააღმდეგის სადაზვერვო-სასიგნალო ხელსაწყოების განადგურება; მოძრაობის, მიტანა-მიყვანის და ევაკუაციის გზების მომზადება და მოვლა-შენახვა; წყლისმიერი დაბრკოლებების გადალახვისას გადასასვლელების მოწყობა და მოვლა-შენახვა; წყლის მოპოვება და წყალმომარაგების პუნქტების მოწყობა; შენიღბვის საინჟინრო ღონისძიებები, დატბორვის და ხანძრების რაიონების გადალახვის უზრუნველყოფა; მოწინააღმდეგის მაღალი სიზუსტის იარაღის სისტემათა მოგერიება და მოწინააღმდეგის მიერ მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების და ტექნოგენური კატასტროფების შედეგების ლიკვიდაცია და სხვ.

607. **სალაშქრო დაცვა** (119) – იხ. დაცვა

608. **სალაშქრო წყობა** (119) – მარშის (ზღვით გადასვლის) განსახორციელებლად ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების გაძლიერების საშუალებებთან ერთად დაწყობა.

609. **სამშვიდობო საქმიანობაში თანამშრომლობის სპეციალური ჯგუფი** (2) – პარტნიორობის ძირითადი სტრუქტურა, რომლის დანიშნულებაა მშვიდობისმყოფელობასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და კონცეპტუალურ საკითხებში კონსულტაციების ჩატარება, ასევე გამოცდილების გაზიარება ამ სფეროში პრაქტიკული თანამშრომლობის საერთო მდგომარეობის შემუშავებისას. ქვეყნებს, რომლებიც მონაწილეობენ სპეციალური ჯგუფის სხდომებში და სხვა ღონისძიებებში შეუძლიათ ურთიერთგაგების მიღწევის, საერთო პრაქტიკული მიდგომების შემუშავების და მშვიდობისმყოფელობის მხარდაჭერისთვის თანამშრომლობის განვითარების მიზნით გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ჯგუფი ასევე აფართოებს კონტაქტებს გაეროსთან და ეუთო-სთან მშვიდობისმყოფელობის, ადრეული შეტყობინების და კონფლიქტების არიდების კონცეპტუალურ და პრაქტიკულ საკითხებში.

610. **სამხედრო დანაკარგები** – ზარალი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეებს ომის (საომარი კონფლიქტის) შედეგად ადგება. მასში შედის: ადამიანთა დანაკარგები, ცხოველების, შეიარაღების და სამხედრო-ტექნიკის, მატერიალური საშუალებების დანაკარგი ფრონტზე და ზურგში, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევით გამოწვეული ზიანი. იყოფა სხვადასხვა სახეობის იარაღის ზემოქმედებასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანაკარგებად და არაპირდაპირ დანაკარგებად. თავის მხრივ, პირდაპირი სამხედრო დანაკარგები იყოფა საბრძოლო და არასაბრძოლო (არა საბრძოლო ვითარებაში მიყენებულ) დანაკარგებად, აუნაზღაურებელ და ანაზღაურებად (დროებით) დანაკარგებად.

611. **სამხედრო დოქტრინა** – პოლიტიკური მიზნით სამხედრო ძალადობის საშუალებათა გამოყენებაზე, სამხედრო ამოცანების ხასიათისა და მათი გადაწყვეტის ხერხებზე, სამხედრო მშენებლობის ძირითად მიმართულებებზე სახელმწიფოში (სახელმწიფოთა კოალიციაში) მოცემული დროისათვის მიღებული

ოფიციალური შეხედულების სისტემა. სამხედრო დოქტრინა კონცენტრირებული სახით გამოხატავს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების შინაარსს. მოცემულ ისტორიულ ეტაპზე სამხედრო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს ახასიათებს. სამხედრო დოქტრინის ჩამოყალიბებაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოების შიგნით და მათ ფარგლებს გარეთ ძალების განაწილება და თანაფარდობა, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური შესაძლებლობები, გეოპოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებები, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის წარმოების განვითარების დონე, შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების მდგომარეობა, ხალხისა და არმიის სულიერ - ზნეობრივი ტრადიციები, მოკავშირე და მეტოქე სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინების მიზანმიმართულება და სხვ. სამხედრო დოქტრინის ფორმირებას ახორციელებენ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები. მის დებულებებს ნორმატიული ძალა ენიჭება და ისინი სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოებისა და სამხედრო კადრებისთვის. სამხედრო დოქტრინაში განასხვავებენ ორ მჭიდროდ დაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ მხარეს – პოლიტიკურს და, საკუთრივ, სამხედროს, პირველის წამყვანი როლის პირობებში. პოლიტიკური მხარე მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება პოლიტიკური მიზნებისათვის შეიარაღებული ძალადობის საშუალებების გამოყენებას, სახელმწიფოს დამოკიდებულებას ომისადმი, სახელმწიფოს სამხედრო – პოლიტიკური მიზნების შინაარსსა და მათი მიღწევის შესაძლო გზებს, მოსალოდნელი ომისთვის მოსახლეობის და არმიის სულიერი, იდეოლოგიური მომზადების ამოცანებს. სამხედრო დოქტრინის საკუთრივ სამხედრო მხარე, რომელიც მის პოლიტიკურ დებულებებს ეყრდნობა, აპროგნოზირებს სახელმწიფოსადმი ომის საშიშროების დონეს, განსაზღვრავს შესაძლო ომის სტრატეგიულ ხასიათს, მის ოპერატიულ-ტაქტიკურ თავისებურებებს, აწესებს შეიარაღებული ძალების მშენებლობის თვისებრივ რაოდენობრივ პარამეტრებს, მათი დაკომპლექტების პრინციპებსა და საბრძოლო გამოყენების ხერხებს, აგრეთვე, განსაზღვრავს სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკას და ომისთვის ქვეყნის, მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების ყოველმხრივი მომზადების ამოცანებს.

612. **სამხედრო მეცნიერება** – სისტემა კანონების ცოდნის, ომის სამხედრო სტრატეგიული ხასიათის, მისი თავიდან აცილების გზების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის და ქვეყნის საომრად მომზადების, შეიარაღებული ბრძოლის წარმოების ხერხების შესახებ. ომს, როგორც რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას სწავლობს ბევრი საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერება. სამხედრო მეცნიერების ძირითადი საგანია ომში შეიარაღებული ბრძოლა. სამხედრო მეცნიერება სწავლობს შეიარაღებული ბრძოლის პრობლემებს, ამასთან ითვალისწინებს მისი მიმდინაერეობის და შედეგის დამოკიდებულებას მეომარი მხარეების ეკონომიკურ, მორალურ – პოლიტიკურ, სამეცნიერო–ტექნიკურ და სამხედრო შესაძლებლობების თანაფარდობაზე, მის ფორმებს, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბით მომზადების და წარმოების ხერხებს; შეიარაღებული ძალების შემადგენლობას, ორგანიზაციას და ტექნიკურ აღჭურვილობას; სამხედრო სწავლების და აღზრდის, მოსახლეობის და სამობილიზაციო რესურსების საომრად მომზადების პრობლემებს, მშვიდობიან და

ომიანობის დროს ჯარების (ძალების) მართვის (ხელმძღვანელობის) შინაარსს, ფორმებსა და მეთოდებს; ომის და შეიარაღებული ბრძოლის ურთიერთკავშირს პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან, აგრეთვე მათ გავლენას შეიარაღებული ძალების მშენებლობის, მომზადების და საბრძოლო გამოყენების პოლიტიკურ უზრუნველყოფაზე.

სამხედრო მეცნიერების შინაარსს და მიზანმიმართულებას განსაზღვრავს სამხედრო დოქტრინა; თავის მხრივ, სამხედრო მეცნიერების დასკვნები და რეკომენდაციები გამოიყენება სამხედრო დოქტრინის შემუშავებისას.

სამხედრო მეცნიერებამ, რომელიც უძველეს ხანაში ჩაისახა, განვითარების რთული გზა განვლო.

სამხედრო მეცნიერების თანამედროვე სტრუქტურაში განასხვავებენ: სამხედრო მეცნიერების ზოგად საფუძვლებს (ზოგად თეორიას), სამხედრო ხელოვნების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, სამხედრო სწავლების და აღზრდის, შეიარაღებული ძალების მართვის, შეიარაღების, სამხედრო ეკონომიკის და ლოჯისტიკის, შეიარაღებული ძალების სახეების თეორიებს, აგრეთვე ომის ისტორიის შესაბამის კარს. სამხედრო მეცნიერების თითოეულ შემადგენელ ნაწილს აქვს საკუთარი სტრუქტურა, რომელშიც ცოდნის შესაბამისი დარგის საფუძვლებს გარდა, შეიძლება ცალკე გამოიყოს რამდენიმე კარი (კერძო თეორია).

სხვა მეცნიერებებთან ერთად სამხედრო მეცნიერება სწავლობს სამოქალაქო თავდაცვის პრობლემებს. შეიარაღებული ბრძოლის ხასიათის შეცვლას შედეგად მოჰყვა საზოგადოებრივ – საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებთან სამხედრო მეცნიერების კავშირის გაფართოება, ამ მეცნიერებებში სამხედრო პრობლემატიკის გამოყოფა და ცოდნის იმ სპეციალური დარგების ჩამოყალიბება, რომლებიც მიზნად ისახავენ ამოცანების გადაწყვეტას ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების, ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობის და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების ინტერესებისთვის.

სამხედრო მეცნიერება სამხედრო მშენებლობის ყოველ ეტაპზე ხელმძღვანელობს სამხედრო დოქტრინის პრინციპებით, დებულებებით და დასკვნებით. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, ყოველმხრივ და ღრმად იქნეს გამოკვლეული ომის და მშვიდობის პრობლემები თანამედროვე ეპოქაში, შემუშავდეს რეკომენდაციები და შესრულდეს ომის თავიდან აცილების და ქვეყნის საიმედო თავდაცვის უზრუნველყოფის სხვა პასუხსაგები და რთული ამოცანები.

613. **სამხედრო მოქმედებები** – 1. ომში მხარეებს შორის წინააღმდეგობა. 2. შეიარაღებული ძალების სახეობათა საშუალებებისა და ძალების, სტრატეგიული და ოპერატიული დაჯგუფებების ორგანიზებული გამოყენება საომარი მოქმედების თეატრში, პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. სამხედრო მოქმედებები წარმოებს ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაზე ოპერაციების, საბრძოლო მოქმედებების, მათ შორის, ბრძოლებისა და დარტყმების ფორმით. შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი. სამხედრო-ისტორიულ შრომებში, ლიტერატურაში და, არცთუ იშვიათად ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „სამხედრო მოქმედება“ გაიგივებულია ტერმინთან „საბრძოლო მოქმედება“ და იხმარება ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური მოქმედებების დროს.

614. **სამხედრო მოქმედებების კოორდინაცია** – საერთო მიზნების მიღწევის ინტერესებისათვის შეიარაღებული ძალების დაჯგუფებათა ძალისხმევის შეთანხმება. სტრატეგიული მასშტაბის ოპერაციის ან მთლიანად ომის მომზადებისა და წარმოებისას სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) შეიარაღებული ძალების სტრატეგიული ხელმძღვანელობის (მართვის) ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. საომარი მოქმედების თეატრის კოორდინაციის ორგანიზაციის დროს განისაზღვრება შესათანხმებელი მოქმედების სახეობები და მიზნები, მონაწილე შეიარაღებული ძალების დაჯგუფებათა შემადგენლობა, შესასრულებელი ამოცანების ხასიათი და მოცულობა, ხერხები, თანამიმდევრულობა და შესრულების ვადები; მოქმედების რაიონები (ზონები), მიმართულება და თანამიმდევრულობა.

615. **სამხედრო მოქმედებების ოპერატიული დონე** (163) – სამხედრო მოქმედებების დონე, რომლის დროსაც სამხედრო მოქმედებების თეატრში ან საბრძოლო მოქმედებების რაიონში სტრატეგიული მიზნების მისაღწევად კამპანიების და მსხვილი ოპერაციების დაგეგმვა, ჩატარება და მხარდაჭერა ხორციელდება.

616. **სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებების უზრუნველყოფა** (56) – ღონისიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნაში ყოფნის, მისი საბრძოლო შესაძლებლობების შენარჩუნების და დასახული ამოცანების წარმატებული და დროული შესრულებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით. გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათის და განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით ჯარების (ძალების) სამხედრო (საბრძოლო) უზრუნველყოფა იყოფა: ოპერატიულ (საბრძოლო), მორალურ – ფსიქოლოგიურ, სპეციალურ – ტექნიკურ და ლოჯისტიკურ უზრუნველყოფად.

617. **სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებების ხერხები** –ძალების და საშუალებების გამოყენების წესი და მრავალფეროვნება ოპერატიული და საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად, სამხედრო მოქმედებების მიზნის მიღწევის ინტერესებისთვის. სამხედრო მოქმედებების თითოეულ სახეობას, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ყოველ სახეობას და ჯარების (ძალების) გვარეობას ახასიათებს თავისი, სპეციფიკური სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებების ხერხები, რომლებიც მოიცავენ: მოწინააღმდეგის განადგურების თანამიმდევრულობას; მთავარი და სხვა დარტყმების (შეტევაში) მიმართულებებს ან იმ რაიონების (ზღუდეების) განლაგებას, რომელთა შესანარჩუნებლად თავმოყრილია ჯარების ძირითადი ძალისხმევა (თავდაცვაში); ჯარების (ძალების) ოპერატიული დაწყობა (საბრძოლო წყობა); მათ მიერ გამოყენებული მანევრის ხასიათი. სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებების ხერხებს განსაზღვრავს სარდალი (მეთაური) ოპერაციის გადაწყვეტილებაში.

618. **სამხედრო სტრატეგია –** ეროვნული ან მრავალეროვნული სტრატეგიის კომპონენტი, რომელიც სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფების მიზნების მიღწევისთვის საჭირო სამხედრო ძლიერების საშუალებების შემუშავების და გამოყენების ხერხებს განსაზღვრავს.

619. **სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობა** (207) – ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლირების მეორეზე მდგრადი უპირატესობა, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაზეა ორიენტირებული.

620. **სამხედრო სფერო** (134) – პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოველქმედების სფეროს ნაწილი, რომელიც სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული.

621. **სამხედრო უპირატესობა –** ერთი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) მეორეზე სამხედრო ძლიერების საგრძნობი უპირატესობა. სამხედრო უპირატესობა განისაზღვრება მხარეების სამხედრო, ეკონომიკური, მორალური და სულიერი შესაძლებლობების თანაფართობით. მის ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენს მხარეების შეიარაღებული ბრძოლის ძალების და საშუალებების თანაფარდობა. კონკრეტულ შემთხვევაში სამხედრო უპირატესობის შეფასებისას განმსაზღვრელ ფაქტორს სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობა წარმოადგენს.

622. **სამხედრო ხელოვნება –** ხმელეთზე, ზღვაში და დედამიწის ირგვლივ სივრცეში საომარი მოქმედების მომზადების და წარმოების თეორია და პრაქტიკა. სამხედრო ხელოვნების თეორია სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილია. სამხედრო ხელოვნების პრაქტიკა მოიცავს სამხედრო ცოდნის და გამოცდილების გამოყენებას ოპერატიული და საბრძოლო მოქმედებების მომზადებასა და წარმოებაში. სამხედრო ხელოვნება მოიცავს სტრატეგიას, ოპერატიულ ხელოვნებას და ტაქტიკას, რომლებიც ერთამანეთთან არის დაკავშირებული. სამხედრო ხელოვნების განვითარებას, უწინარესად, განსაზღვრავს: სახელმწიფოს პოლიტიკა; სამხედრო დოქტრინა; სამობილიზაციო რესურსების რიცხოვნობა; მეცნიერების და ტექნიკის მდგომარეობა; საზოგადოებრივი, პირველ რიგში, სამრეწველო წარმოების მოცულობა და დონე; შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების, იარაღის და სამხედრო ტექნიკის განვითარების დონე; სტრატეგიული ნედლეულის არსებობა. აგრეთვე იგი დამოკიდებულია შეიარაღებული ძალების შემადგენლობის რაოდენობრივ და თვისებრივ შემადგენლობაზე, სამხედრო ტრადიციებზე, ფიზიკურ - გეოგრაფიულ პირობებზე და სხვ.

623. **სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვა** – ძალებისა და საშუალებების, აგრეთვე იმ ღონისძიებების საინფორმაციო-სადაზვერვო საბრძოლო მოქმედებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება რაკეტულ-ბირთვული თავდასხმის შესახებ სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოების დროული გაფრთხილების, კოსმოსში საბრძოლო მოქმედების დაწყების გამოვლენის და სტრატეგიულ ობიექტებზე დარტყმების მოგერიების მიზნით; საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. რაკეტულ-კოსმოსური თავდაცვის საფუძველს, ჩვეულებრივ შეადგენს სარაკეტო თავდასხმის გაფრთხილების სისტემა, რომელიც მოიცავს იმ სამხედრო – კოსმოსური აპარატების ორბიტულ დაჯგუფებას, გამოშვებული ბალისტიკური რაკეტების ალს რომ არეგისტრირებენ და ჰორიზონტსზედა რადიოლოკაციის სახმელეთო საშუალებათა ქსელს, რომლებიც მათი ფრენის ტრაექტორიების პარამეტრებს განსაზღვრავენ.

624. **სარდლობა და ოპერატიული დაძვემდებარება** (50) – მეთაურების (სარდლების) უფლებამოსილება, მოვალეობა და მოღვაწეობა ჯარების სარდლობის და კოორდინაციის სფეროში, ასევე საბრძოლო მოქმედებების წარმოებასთან დაკავშირებული ბრძანებების შესრულებაში.

625. **სასაზღვრო კონტროლი** (34) – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვრის და სასაზღვრო ზონის რეჟიმის

უზრუნველყოფასთან, ხორციელდება ქვეყნის შიდა კანონმდებლობის და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

626. **საწყის რაიონში თავმოყრა** (119) – 1. საჰაერო ან საზღვაო დესანტირების ოპერაციაში მონაწილე ჯარების შეკრება ან თავმოყრა; 2. შემდგომი წინწაწევისთვის მატერიალური საშუალებების და/ან ტექნიკის თავმოყრის, შეგროვების და მომზადების პროცესი.

627. **საწყის რაიონებში ჯარების მომზადება** (142) – მომზადების ყველა სახეები, რომლებიც ამ მიზნებით გამოყოფილ რაიონებში, ოპერაციის ჩატარების წინ ტარდება.

628. **სახელმწიფო საზღვრის დაფარვა** – ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს საზღვრისპირა სამხედრო და სასაზღვრო სარდლობა, რათა მოიგერიონ ან შეასუსტონ ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან მოწინააღმდეგის დარტყმები, უზრუნველყონ ხელშემწყობი პირობები ჯარების გაშლის და საბრძოლო მოქმედების წარმოებისთვის, აღკვეთონ მოწინააღმდეგის აგენტურის, დივერსიულ-სადაზვერვო და სხვა სპეციალური ძალების, აგრეთვე ტერორისტული ჯგუფების და ბანდიტური ფორმირებების საზღვრიდან შემოჭრა.

629. **სახმელეთო-საჰაერო ეშელონი** (14) – ჯარების გაერთიანებების, შენაერთების ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი. მისი დანიშნულებაა ხმელეთიდან და ჰაერიდან შერჩეულ მიმართულებებზე (რაიონებში) დარტყმების მიყენება და ახალ მიმართულებებზე (რაიონებში), ძალების და საშუალებების ჰაერით გადასროლის გზით სწრაფი მანევრი.

630. **საჰაერო დესანტირება** (9) – საჰაერო-სადესანტო ოპერაციის დროს – ეტაპი, რომლიც იწყება დესანტირების რაიონში საჰაერო დესანტის პირველი ეშელონის ჰაერით გადასროლით და მოიცავს ბრძოლის დროს, რომელიც საჭიროა დესანტირების საწყისი პლაცდარმის ხელში ჩაგდებისა და მასზე გამაგრებისთვის.

631. **საჰაერო დესანტირების ეტაპი** (27) – იხ. საჰაერო დესანტირება.

632. **საჰაერო-თავდაცვითი ოპერაცია** – (იხ. საჰაერო ოპერაცია)

633. **საჰაერო-თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებები** (18) – ზომები, რომლებიც მიმართულია საფრენი აპარატებიდან, ხომალდებიდან, წყალქვეშა ნავებიდან და სახმელეთო ბაზირების სასტარტო კომპლექსებიდან გაშვებული დაზიანების საჰაერო საშუალებების დარტყმებისაგან სამხედრო-საზღვაო შენაერთების დასაცავად.

634. **საჰაერო თავდაცვის გადალახვა** – ორგანიზაციული ღონისძიებები და ავიაციის, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებისა და დაზიანების სხვადასხვა საშუალებების საბრძოლო მოქმედება, რომლის მიზანია შეამციროს მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებების ეფექტიანობა და ყოველი საბრძოლო გაფრენის დროს უზრუნველყოს ავიაციის მიერ ამოცანების წარმატებით შესრულება. მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ავიაციით გადალახვა თითოეული საბრძოლო გაფრენის დროს ხორციელდება უზრუნველმყოფი მოქმედებისა და სხვადასხვა ტაქტიკური ხერხების შესრულებით. უზრუნველმყოფ მოქმედებას განეკუთვნება: ფრენის ზოლსა და მიზნის რაიონში მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ძალებისა და საშუალებების დაზვერვა; საჰაერო თავდაცვის ყველაზე საშიში ობიექტების შერჩევითი დაზიანება;

მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ჰაერში განადგურება; საჰაერო თავდაცვის მართვის სისტემათა რადიოელექტრონული ჩახშობა; ავიაგამანადგურებლების ძალებით შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების საბრძოლო წყობის მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელთა იერიშებისაგან დაფარვა; მოწინააღმდეგის გამანადგურებელი ავიაციის აეროდრომების ბლოკირება და სხვ. ძირითად ტაქტიკურ ხერხებს განეკუთვნება: საბრძოლო ფრენების შესრულება ჩახშობილი საჰაერო თავდაცვის სისტემის ადგილმდებარეობის თავზე ან იმ რაიონების (ობიექტების) გვერდის ავლით, რომლებსაც იფარავენ საზენიტო საშუალებები და ავიაგამანადგურებლები; ფრენა ყველაზე მიზანშეწონილი საბრძოლო წყობით ყველაზე ხელსაყრელ სიმაღლეზე და სიჩქარით; გამანადგურებელსაწინაღო, რაკეტსაწინაღო და ზენიტსაწინაღო მანევრების შესრულება; საჰაერო თავდაცვის გარღვევა.

635. **საჰაერო – კოსმოსური თავდაცვა –** 1. თავდაცვის ყველა ზომის გამოყენება მოწინააღმდეგის მოიერიშე თვითმფრინავების და რაკეტების გასანადგურებლად ან დასაზიანებლად, აგრეთვე მოწინააღმდეგის კოსმოსური სისტემების გასანეიტრალებლად; 2. მრავლისმომცველი ტერმინი, რომელშიც შედის საჰაერო თავდაცვა, ბალისტიკური თავდაცვა და კოსმოსური თავდაცვა.

636. **საჰაერო – კოსმოსური ობიექტების ამოცნობა** (4) – გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ხილვადი ობიექტის წინასწარ განსაზღვრული ამოცნობის სისტემის ერთ-ერთი კატეგორიისთვის მიკუთვნებას. ხორციელდება ტრაექტორიის, ტაქტიკური და სასიგნალო ნიშნების მიხედვით, რომლებიც ლოკაციის რადიოტექნიკური და ოპტიკურ –ელექტრონული საშუალებებით განისაზღვრება. საჰაერო-კოსმოსური ობიექტების ამოცნობის საშუალებების ინფორმაცია გამოიყენება მიზნის განწილების, მიზანჩვენების, ცრუ ობიექტების სელექციის, დაზიანების საშუალებების მიზნის ხასიათთან ადაპტირების დროს. სისტემის ძირითად ელემენტებს განეკუთვნება აღმოჩენის, გაზომვის და ნიშანთვისებების შედარების საშუალებები.

637. **საჰაერო ოპერაცია –** მოკლე ვადაში ოპერატიული ან სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების (ჯარების, გვარეობების) შენაერთებთან (ნაწილებთან) ურთიერთქმედებით მიმდინარე რამდენიმე საავიაციო გაერთიანების წინასწარ მომზადებული მასირებული საავიაციო დარტყმების, საჰაერო ბრძოლების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით, საომარი მოქმედების ფორმა. საჰაერო ოპერაციის მიზანია: დააზიანოს მოწინააღმდეგის ძალების დიდი დაჯგუფებები (სატანკო და მოტოქვეითი, საზღვაო, საავიაციო, ბირთვულ-სარაკეტო, საჰაერო); დაანგრიოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ობიექტები, მოშალოს სამხედრო და სახელმწიფო მართვა; გაანადგუროს ოპერატიული და სტრატეგიული რეზერვები; ჩაშალოს მოწინააღმდეგის გადაზიდვა-გადაყვანის ოპერაციები. საჰაერო ოპერაცია, როგორც წესი, არის ერთობლივი ოპერაცია სამხედრო-საჰაერო ძალების გადამწყვეტი როლის პირობებში.

638. **საჰაერო პატრულირება** (7) – მოცემული საჰაერო სივრცის ურღვევობის შენარჩუნების მიზნით გამანადგურებელ – გადამჭერების გამოყენება.

639. **საჰაერო-სადესანტო ოპერაცია** – საჰაერო-სადესანტო ჯარების, ავიაციის და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების მიზნის, ადგილის, დროის მიხედვით შეთანხმებული და ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით მიმდინარე საბრძოლო მოქმედება, მოწინააღმდეგის ზურგში მრავალრიცხოვანი საჰაერო-დესანტების გადასხმის და მათ მიერ დასახული საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის. საჰაერო-სადესანტო ოპერაცია, ჩვეულებრივ, ხორციელდება შეტევითი ოპერაციის ფარგლებში იმ საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით, რომლებსაც ვერ გადაწყვეტენ სხვა ჯარები. საჰაერო-სადესანტო ოპერაციის მიზანი შეიძლება იყოს: შემტევი ჯარებისთვის შეტევის მაღალი ტემპით განვითარებაში, დიდი წყლისმიერი დაბრკოლებების შეუჩერებლივ ფორსირებაში, ძნელად გასავლელი რაიონების გადალახვას და მოპირისპირე დაჯგუფებათა ალყაში მოქცევის და განადგურების დასრულებაში ხელის შეწყობა; მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანესი ობიექტების ხელში ჩაგდება და მოწინააღმდეგის ჯარების მართვის მოშლა, საზღვაო დესანტებთან ურთიერთქმედებით ან დამოუკიდებლად კუნძულების, სრუტის ზონების და სხვათა დაუფლება.

640. **საჰაერო-საზღვაო სადესანტო ოპერაცია** – მოწინააღმდეგის მიერ დაცულ ტერიტორიაზე კომბინირებული ოპერატიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) საზღვაო და ოპერატიული საჰაერო დესანტების გადასხმისთვის მიზნის, ადგილის, დროის მიხედვით შეთანხმებული და ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით განხორციელებული მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ნაპირზე დასახული ამოცანების შესრულებას; საომარი მოქმედების თეატრში სტრატეგიული ოპერაციის შემადგენელი ნაწილი. ახორციელებენ სახმელეთო ჯარებისა და საზღვაო ძალების გაერთიანებები (შენაერთები) სარდლობის ერთიან სისტემას დაქვემდებარებული დაჯგუფების შემადგენლობით, სამხედრო-საჰაერო ძალებთან ურთიერთქმედებით. საჰაერო-საზღვაო სადესანტო ოპერაციის მიზნები შეიძლება იყოს: დაეუფლონ სრუტის ზონებს, სანაპიროს დიდმნიშვნელოვან რაიონებს, მსხვილ კუნძულ-რაიონებს; ხელი შეუწყონ ჯარებს მოწინააღმდეგის ზღვისპირა დაჯგუფებების განადგურებაში - შეტევის (კონტრშეტევის) დასაწყისში ან მსვლელობისას.

641. **საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია** (კვეთება) - სახმელეთო ჯარების, საჰაერო დესანტების და სამხედრო-საჰაერო ძალების მიზნის, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული სამანევრო საბრძოლო მოქმედება სხვადასხვა სახეობის იარაღის, საბრძოლო ტექნიკის და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების გამოყენებით. საჰაერო-სახმელეთო ოპერაციის (კვეთების) მიზნების მიღწევა ითვალისწინებს, საერთო-საჯარისო შენაერთების (ნაწილების) და ტაქტიკური ავიაციის გადამჭრელი მოქმედების უზრუნველყოფას, უშუალოდ დაპირისპირებული მოწინააღმდეგის განადგურებას და იმავდროულად მისი მეორე ეშელონების (რეზერვების) ღრმა საცეცხლე (ბირთვული) დაზიანებას.

642. **საჰაერო შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენა და კონტროლი** – საჰაერო თვალთვალი და კონტროლი, უზრუნველყოფილი შორეული აღმოჩენის თვითმფრინავების მიერ, რომლებიც აღჭურვილი არიან მიზნების აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურის კომპლექსით, რადიო სიმაღლემზომებით და შეიარაღების სისტემის მართვის კავშირის მოწყობილობებით.

643. **საჰაერო ხიდი** (14) – საჰაერო-სატრანსპორტო ოპერაცია, ან სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის მოქმედებები, რომელთა განხორციელების მიზანია პირადი შემადგენლობის და მატერიალური საშუალებების გადასროლა დაშორებულ საბრძოლო მოქმედებების თეატრში მოქმედი დაჯგუფებების გაძლიერების ან ახალის შექმნის მიზნით, ბლოკირებული რაიონების ან ალყაში (იზოლირებაში) მყოფი დაჯგუფებების უზრუნველყოფა ან ევაკუაცია. საჰაერო ხიდისთვის იქმნება სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის დაჯგუფება, გამოიყოფა ერთი ან რამდენიმე საჰაერო ტრასა ან მარშრუტი.

644. **სპეციალური დანიშნულების ძალების საბრძოლო მოქმედებები** (72) – სპეციალური ოპერაციების დროს - სპეციალური დანიშნულების ძალების მოქმედება, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად, ან ჩვეულებრივი საბრძლო მოქმედებების მხარდასაჭერად და მიმართულია მკაცრად განსაზღვრული ამოცანების მოსაღწევად, ხშირ შემთხვევაში მოკლე ვადებში.

645. **სპეციალური ოპერაციები** (197) – სამხედრო ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ სპეციალურად დანიშნული, ორგანიზებული, მომზადებული და აღჭურვილი ძალებით, რომლებიც ჩვეულებრივი ძალებისთვის საბრძოლო მოქმედებების არადამახასიათებელ მეთოდებს და ხერხებს იყენებენ. ასეთი ღონისძიებები ხორციელდება სამხედრო მოქმედებების ყველა სახეების გამოყენებით და ყველა დონეზე, დამოუკიდებლად, ან ჩვეულებრივ ძალებთან კოორდინაციაში, პოლიტიკური, სამხედრო, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

646. **სროლის შეზღუდული წარმოების ბეგმა** (187) – საფრთხის ზომა საკუთარი საფრენი აპარატებისთვის, რომლის შესაბამისად გამოიყოფა მონაკვეთი, სადაც მიწისზედა არაბირთვული საშუალებებით ცეცხლის წარმოებისას უზრუნველყოფილია უსაფრთხოების ხარისხი.

647. **სტრატეგიული გადასროლა –** თეატრის შიდა ფარგლებში განხორციელებული ტაქტიკური გადასროლისგან განსხვავებული სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო ტექნიკის ტრანსპორტირება საომარი მოქმედების თეატრში. სტრატეგიული გადასროლა ჰაერით, ზღვით ან ხმელეთით გულისხმობს დიდი მანძილების გადალახვას და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას.

648. **სტრატეგიული მიმართულება –** 1. რეგიონის ტერიტორიის ნაწილი მიმდებარე აკვატორიებით და საჰაერო სივრცითურთ, რომლის ფარგლებშიც მდებარეობს სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ცენტრები, ხოლო ომის (შეიარაღებული კონფლიქტის დროს) შეიძლება განლაგდნენ და აწარმოონ საომარი მოქმედება შეიარაღებული ძალების ოპერატიულ-სტრატეგიულმა დაჯგუფებებმა; მშვიდობიანი დროისთვის გეოსტრატეგიული სივრცის თანამედროვე დაყოფის ელემენტი. სტრატეგიული მიმართულება იყოფა მიმართულებებად; 2. საომარი მოქმედების თეატრის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც განლაგდებიან და გაიშლებიან, ხოლო ომის დროს აწარმოებენ ოპერაციებს მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალების სახეობების მსხვილი დაჯგუფებები.

649. **სტრატეგიული მობილურობა** (208) – ჯარების და მათი ლოჯისტიკური უზრუნველყოფის, სამხედრო მოქმედებების თეატრებს, რეგიონებს შორის ან ნატო-ს პასუხისმგებლობის ზონის გარეთ შორ მანძილებზე გადაადგილების სწრაფი და ეფექტური შესაძლებლობები.

650. **სტრატეგიული ოპერაცია –** შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობათა გაერთიანებების და შენაერთების მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული იმ დარტყმების, ოპერაციების და საბრძოლო მოქმედების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება ერთდროულად და თანამიმდევრულად ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით სტრატეგიული მიზნების მისაღწევად; შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მოქმედების ფორმა. სტრატეგიული ოპერაციების წარმოება დაიწყო 1-ლი მსოფლიო ომის წლებში.

შეიარაღებული ძალების ბირთვული იარაღით, რაკეტებით, რაკეტამზიდი ავიაციით, ბირთვული წყალქვეშა ნავებითა და სხვა ტექნიკით აღჭურვამ, ჯარების მობილურობის მკვეთრმა ზრდამ, დამრტყმელ დაჯგუფებათა თავმოყრის შემცირებამ განაპირობეს ის, რომ სტრატეგიული მოქმედების წინანდელი ფორმები აღარ შეესაბამებოდა ახალ პირობებს. სტრატეგიული მოქმედების ძირითად ფორმად უკვე განიხილავდნენ სტრატეგიულ ოპერაციას საომარი მოქმედების კონტინენტურ (საოკეანო) თეატრში. საომარი მოქმედების კონტინენტურ თეატრში სტრატეგიული ოპერაციის დროს თითოეული არმიის დაჯგუფების ძალებით შეიძლება თანამიმდევრულად განხორციელდეს ორი და მეტი ოპერაცია. გარდა ამისა, შეიძლება განხორციელდეს სტრატეგიული ოპერაცია მოწინააღმდეგის საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის მოსაგერიებლად, ბირთვული ძალების ოპერაცია (ბირთვულ ომში), საჰაერო სტრატეგული ოპერაციები, საომარი მოქმედების საოკეანო თეატრის სტრატეგიული ოპერაციები და სხვ.

651. **სტრატეგიული ფსიქოლოგიური ოპერაციები –** მშვიდობიან პერიოდში, კრიზისის დროს და ომის შემთხვევაში დაგეგმილი ფსიქოლოგიური ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მეგობარი და ნეიტრალური ქვეყნების მოსახლეობის მხარდაჭერის, აგრეთვე მტრული და პოტენციურად მტრულად განწყობილი ქვეყნების ომის წარმოების ნების შესუსტების მისაღწევად.

652. **სუბრეგიონული სარდლობა –** ტერმინი, რომელიც გამოიყენება ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის მესამე რგოლში სარდლობის ორი ტიპის, კერძოდ, კომპონენტური და სუბრეგიონალური სარდლობების აღსანიშნავად.

653. **საანგარიშო რუკა** – საანგარიშო-ინფორმაციული დოკუმენტი, რომელშიც გრაფიკულად რუკაზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, გარკვეული დროის პერიოდში, საკუთარი ჯარების (ძალების) და მოწინააღმდეგის საბრძოლო მოქმედებების მსვლელობა აისახება. წარმოებს შტაბების ოპერატიულ განყოფილებაში – საანგარიშო დაზვერვით რუკას და შესაბამისი შტაბები – არტილერიის, საინჟინრო, კავშირგაბმულობის, ლოგისტიკის და სხვა.

654. **საარტილერიო ცეცხლის სახეები** - საარტილერიო ცეცხლის კლასიფიკაცია მოზიდული საარტილერიო საშუალებების რაოდენობის, მომზადების და წარმოების წესის, ტაქტიკური დანიშნულების და სხვა ნიშანთვისების მიხედვით. ძირითადად

განასხვავებენ: ცეცხლს ცალკეულ მიზანზე, თავმოყრილ ცეცხლს, უძრავ(მოძრავ) გადამღობ ცეცხლს, ცეცხლის ტალღას, მასირებულ ცეცხლს და სხვა.

655. **საარტილერიო დაზვერვა** – ტაქტიკური და ოპერატიული დაზვერვის შემადგენელი ნაწილი; მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) შესახებ ცნობების მოპოვება არტილერიის ცეცხლის მომზადების და წარმოების, სარაკეტო დარტყმების მიყენების ინტერესებისთვის; სარაკეტო ჯარების და სახმელეთო ჯარების არტილერიის საბრძოლო და ოპერატიული უზრუნველყოფის სახეობა. საარტილერიო დაზვერვის ამოცანებია: აღმოაჩინოს და განსაზღვროს მოწინააღმდეგის საველე არტილერიის პოზიციების კოორდინატები, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული საბრძოლო მასალების გამომყენებლის, აგრეთვე მაღალი სიზუსტის იარაღის ელემენტების, საჰაერო თავდაცვის საშუალებების, ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების, ჯავშანტრანსპორტიორების, ტანკსაწინააღმდეგო და სხვა საცეცხლე საშუალებების, მართვის სისტემათა ობიექტების და რადიოტექნიკური საშუალებების; აწარმოოს დასაზიანებლად შერჩეული ობიექტების (მიზნების) დამატებითი დაზვერვა; შეაგროვოს (დააზუსტოს) მონაცემები ადგილმდებარეობის და მეტეოპირობების შესახებ, კონტროლი გაუწიოს თავისი არტილერიის (ნაღმსატყორცნების) სროლის და ტაქტიკური რაკეტების დარტყმების შედეგებს; განსაზღვროს მონაცემები ცეცხლის კორექტირებისთვის.

656. **საარტილერიო შეტევა** – არტილერიის საბრძოლო მოქმედების ხერხი შეტევით ოპერაციაში (ბრძოლაში). საარტილერიო შეტევის არსი არის მთელი შეტევის განმავლობაში არტილერიის მასირებული ცეცხლით ქვეითი ჯარის და ტანკების უწყვეტი მხარდაჭერა. საარტილერიო შეტევის თეორია შემუშავდა და პრაქტიკულად შემოწმდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ომისშემდგომ პერიოდში (გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან) ტერმინი "საარტილერიო შეტევა" ხმარებიდან გამოვიდა. შეტევაში არტილერიის საბრძოლო მოქმედების შინაარსმა შემდგომი განვითარება ჰპოვა სიღრმიდან ჯარების წინწამოწევის ცეცხლით უზრუნველყოფის, იერიშის საცეცხლე მომზადების, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერის და თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლების ფარგლებში.

657. **საარტილერიო ზალპის მასა** – 1) არტილერიის ერთ ზალპში გამოყენებული (გამოყენებისთვის დაგეგმილი) საარტილერიო ჭურვების (ნაღმების) საერთო მასა; 2)ნაწილის (შენაერთის, არტილერიის დაჯგუფების) მთელი არტილერიის ერთი გასროლის საარტილერიო ჭურვების (ნაღმების) საერთო მასა; რეაქტიული არტილერიის და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების ქვედანაყოფების საარტილერიო ზალპის მასაში გათვალისწინებულია არა რეაქტიული ჭურვის მასა, არამედ მხოლოდ საბრძოლო (სათაო) ნაწილის.

658. **საავიაციო ასტრონომია** – პრაქტიკული ასტრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის საფრენი აპარატების საჰაერო ნავიგაციის ამოცანების გადაწყვეტის საშუალებების და მეთოდებს ცის მნათობების მიხედვით. გაჩნდა 20 საუკუნის დასაწყისში საზღვაოსნო ასტრონომიის საფუძველზე, ასტრონომიული გაზომვების მეთოდების გადამუშავებით და საფრენი აპარატების მოძრაობის პირობების გათვალისწინებით. საავიაციო ასტრონომიის თანამედროვე მეთოდები უზრუნველყოფენ საფრენი აპარატების ადგილმდებარეობის მიმდინარე

კოორდინატების განსაზღვრას რამოდენიმე კურსის რამოდენიმე კილომეტრიც ცდომილებით ფრენის მანძილის და ხანძლივობის მიუხედავად და სხვა კუთხოვანი პარამეტრების – რამოდენიმე კუთხოვანი წუთის შეცდომით.

659. **საავიაციო დაფარვა** – გამანადგურებელი ავიაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომლის მიზანია, არ დაუშვას, რომ მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებებმა მიაყენონ დარტყმები ჯარებს, საზღვაო ძალებს და ზურგის ობიექტებს, აგრეთვე აწარმოონ საჰაერო დაზვერვა. გარდა ამისა, ხორციელდება ავიაციის სხვა გვარეობათა ნაწილების და ქვედანაყოფების დასაცავად. საავიაციო დაფარვას უზრუნველყოფენ გამანადგურებელთა აქტიური და გადამჭრელი მოქმედებით ჰაერში მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების გასანადგურებლად. წარმოებს საჰაერო თავდაცვის საზენიტო საშუალებათა დაჯგუფებასთან ურთიერთქმედებით. მეორე მსოფლიო ომის წლებში საავიაციო დაფარვის დროს ავიაცია მოქმედებდა მდგომარეობაში – მორიგეობა ჰაერში ან მორიგეობა აეროდრომზე.

660. **საავიაციო დაზვერვა** (იხ. საჰაერო დაზვერვა).

661. **საავიაციო დოქტრინა** – თეორიული შეხედულებები ომში ავიაციის განსაკუთრებულ როლზე და დანიშნულებაზე; სახელმწიფოში (სახელმწიფოთა ბლოკში) მიღებული პრინციპები, რომლებიც სამხედრო – საავიაციო ძალების მშენებლობის და განვითარების მიმართულებას, საბრძოლო გამოყენების ფორმებს და ხერხებს, მატერიალურ – ტექნიკურ უზრუნველყოფას განსაზღვრავენ. ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო დოქტრინა ითვალისწინებს სამხედრო - საავიაციო ძალების ფართო გამოყენებას, როგორც ბირთვული იარაღის გამოყენებით, ასევე მის გარეშე წარმოებულ ომებში დამოუკიდებელი საჰაერო ოპერაციების დროს ან სახმელეთო ჯარებთან და სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთქმედებისას. ამერიკის საავიციო დოქტრინის ძირითადი დებულებები მიღებულია ევრო - ატლანტიკურ ალიანსში.

662. **საავიაციო მედიცინა** – მედიცინის განაკვეთი, რომელიც შეისწავლის ადამიანის პროფესიული მოღვაწეობის პირობებს და ფაქტორებს სისტემაში „მფრინავი – თვითმფრინავი(ვერტმფრენი) – გარემო“, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნების შრომისუნარიანობის ამაღლების და ფრენების უსაფრთხოების ღონისძიებების დამუშავების მიზნით.

663. **საავიაციო მხარდაჭერა** – ოპერაციის (ბრძოლის) დროს მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების შემადგენელი ნაწილი; სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ხმელეთზე ან ზღვაზე განხორციელებული ყველა ტიპის (ფორმის) მხარდაჭერა.

664. **საავიაციო შეტევა** – შეტევითი ამოცანის შესასრულებლად გამანადგურებლების, ბომბდამშენების ან მოიერიშე საფრენი აპარატების მიერ სპეციფიურ მიზანზე განხორციელებული შეტევა. შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე საჰაერო სტრუქტურას, გაერთიანებულს ერთიანი საჰაერო სარდლობის ქვეშ.

665. **საავიაციო უზრუნველყოფა** – ავიაციის საბრძოლო მოქმედებათა ერთობლიობა სახმელეთო (საჰაერო-სადესანტო) ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ინტერესებისთვის მათ მიერ საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტისას. ტერმინმა „საავიაციო უზრუნველყოფა“ გავრცელება ჰპოვა ომისწინა პერიოდში და მეორე მსოფლიო ომში; ომის შემდგომ წლებში აღარ იხმარება.

666. **საბორტო დოკუმენტაცია** - 1) თვითმფრინავის(ვერტმფრენის) ბორტზე არსებული სანავიგაციო რუკები, ბორტის ჟურნალები, ინსტრუქციები, გრაფიკები, სქემები, საექსპლუატაციო, საცნობარო და სხვა დოკუმენტები. გამოიყენება ეკიპაჟის მიერ შემდეგი ამოცანების შესასრულებლად - თვითმფრინავის ტარების, ბომბდაშენის, რაკეტების გაშვების, ავიაციის საარტილერიო შეიარაღების გამოყენების წყალქვეშა ნავების ძებნის და დაზიანების საშუალებების, რადიოელექტრონული ბრძოლის, აგრეთვე დაკავშირებული თვითმფრინავის(ვერტმფრენის) მომზადება ფრენისთვის. 2) კოსმოსურ ხომალდზე ეწოდება „კოსმონავტის საბორტო დოკუმენტაცია". მოიცავს: ინსტუქციებს, რომლებიც განსაზღვრავენ კოსმოსური კომპლექსის მართვისთვის ეკიპაჟის მოქმედებებს, კავშირის ორგანიზაციას, კვლევების ჩატარებას და სხვა; საბორტო ჟურნალს ფრენის პროგრამის შესრულების, აპარატურის, მოწყობილობების, კონსტრუქციის ელემენტების, სამეცნიერო კვლევების შედეგების და სხვათა დაფიქსირებისთვის.

667. **საბორტო ჟურნალი -** ფრენის დოკუმენტი ფრენის წინასწარი გათვლების, საცნობარო მონაცემების და ფრენის სანავიგაციო ელემენტების შეცვლის ან განსაზღვრის მომენტში ფაქტიური მონაცემების ჩაწერისთვის.

668. **საბორტო რუკა -** აერონავიგაციური რუკა, გამოიყენება ფრენის რუკით უზრუნველყოფილი ზღვარს მიღმა. საბორტო რუკის მასშტაბი ყოველთვის ნაკლებია ფრენის რუკის მასშტაბზე.

669. **საბრძოლო ამოცანა** – ამოცანა, რომელიც დასახული აქვთ ჯარებს (ქვედანაყოფებს, ნაწილებს, შენაერთებს, გაერთიანებებს, ზოგჯერ ჯგუფს ან ცალკეულ სამხედრო მოსამსახურეს) ბრძოლაში (ოპერაციაში) დადგენილი ვადისთვის გარკვეული მიზნის მისაღწევად. ამოცანას სახავენ ზემდგომი მეთაურები. საბრძოლო ამოცანის შინაარსი დამოკიდებულია საომარი მოქმედების სახეობაზე, ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრზე, შეიარაღებული ძალების სახეობას და ჯარების გვარეობაზე, საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების რიცხოვნობაზე, ბრძოლის უნარზე და საბრძოლო შესაძლებლობებზე, მისი მოქმედების ხასიათსა და ვითარების სხვა პირობებზე. საბრძოლო ამოცანა შეიძლება იყოს ტაქტიკური (ასრულებენ ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები), ოპერატიული (ასრულებენ გაერთიანებები ოპერაციის დროს), სტრატეგიული (ასრულებენ ფრონტების ან არმიების ჯგუფები).

670. **საბრძოლო ამოცანის დასახვა** – სარდლების (მეთაურების) და შტაბების მიერ დაქვემდებარებული, მიკუთვნებული და მხარდამჭერი ძალების და საშუალებებისთვის მომავალ ოპერაციაში (ბრძოლაში) საბრძოლო ამოცანების მიზნების, შინაარსის და შესრულების წესის გაცნობა; ჯარების (ძალების) მართვის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. საბრძოლო ამოცანის დაყვანა შეიძლება მოხდეს სიტყვიერად, პირადად სარდლობის (მეთაურის) მიერ რუკაზე, ადგილზე ან ადგილმდებარეობის რელიეფურ გეგმაზე (მაკეტზე), კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ოღონდ, აუცილებლად უნდა იყოს დადასტურებული წერილობითი (გრაფიკული) დოკუმენტით. ქვედანაყოფებში საბრძოლო ამოცანებს მეთაური სახავს ზეპირად (სიტყვიერად).

671. **საბრძოლო ბლოკი -** (საბრძოლო ქობანი) რაკეტის სათაო ნაწილის გამოყოფადი ელემენტი, მიზანთან საბრძოლო ნაწილის მიწოდების დანიშნულებით. შედგება კორპუსის, საბრძოლო ნაწილის და საბრძოლო ბლოკის ფუნქციების უზრუნველყოფის სისტემისგან რაკეტის გაშვებისას სათაო ნაწილის შემადგენლობაში და მისგან გამოყოფის შემდგომ ავტონომიური ფრენის დროს და ტრაექტორიის განსაზღვრულ წერტილში აფეთქების დროს. საბრძოლო ბლოკს განასხვავებენ ტიპის(ბირთვული, ფუგასური და სხვა) და ავტონომიური ფრენის დროს მართვადობით(მართვადი და არამართვადი).

672. **საბრძოლო ბრძანება –** მეთაურის მიერ დაქვემდებარებული მეთაურებისადმი გაცემული მითითება საბრძოლო ოპერაციის შესასრულებლად მოქმედებების კოორდინირებისთვის. **(სახმელეთო ჯარებისთვის)** – ასეთ ბრძანებას ხშირად უწოდებენ ხუთი პარაგრაფისგან შემდგარ საველე ბრძანებას, რომელშიც როგორც მინიმუმი, შედის: საბრძოლო დავალების ჩამოყალიბება, ვითარების აღწერა, საბრძოლო ამოცანა, ამოცანის შესრულების აღწერა, სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფა, მართვა და კავშირი საგანგებო ოპერაციების დროს.

673. **საბრძოლო ჩაწყობა** - საბრძოლო მანქანაზე მოწყობილობების და მექანიზმების ერთობლივობა საბრძოლო მასალების დატენვის ხაზზე განთავსებისა და მიწოდებისთვის; დატენვის ავტომატის შემადგენელი ნაწილი. ზოგჯერ გვხდება არამექანიზირებულიც.

674. **საბრძოლო დაცვა** - ჯარებისთვის ბრძოლაში გამოყოფილი დაცვის ძალები და საშუალებები, საბრძოლო და წინასაბრძოლო წყობაში, მოწინააღმდეგის დაზვერვის შეღწევის დაუშვებლობისათვის დაცულ ჯარებზე(ძალებზე) მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმისგან არიდების მიზნით. საბრძოლო დაცვა იგზავნება თავდაცვის ორგანიზაციის დროს მოწინააღმდეგესთან არ შეხების ან მეწინავე პოზიციის არ არსებობის შემთხვევაში. შემადგენლობაში ჩვეულებრივ ჩაბმულია 1-ლი ეშელონის გაძლიერებული ფეხოსანთა(სატანკო) ოცეული. შეტევაში საბრძოლო დაცვის ფუნქციას 1-ლი ეშელონის მეწინავე ქვედანაყოფები ასრულებენ.

675. **საბრძოლო დანაკარგები** - პირად შემადგენლობის, იარაღის, სამხედრო ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების დანაკარგები მოწინააღმდეგის ყველა სახის იარაღის ზემოქმედების და თანხლები დამაზიანებელი ფაქტორების შედეგად; სხვა დანაკარგები, დაკავშირებული ჯარების საბრძოლო მოქმედებებთან(დაავადება, მოწამვლა, პირადი შემადგენლობის ტრამვები, გაყინვა, ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანაქონების გაფუჭება); აგრეთვე უგზოუკვლოდ დაკარგულები და ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო მოსამსახურეები; სამხედროების საერთო დანაკარგების შემადგენელი. განასხვავებენ დაუბრუნებელს და დასაბრუნებელს(დროებით); ადამიანების საბრძოლო დანაკარგებია - დაუბრუნებელი და სანიტარული.

676. **საბრძოლო დოკუმენტები** იხილე სამხედრო დოკუმენტები.

677. **საბრძოლო დროშა** (სამხედრო ნაწილის) - განსაკუთრებით საპატიო ნიშანი, მიანიშნებს საბრძოლო დანიშნულებას, ისტორიას და სამხედრო ნაწილის დამსახურებას, აგრეთვე მის კუთვნილობას. სამხედრო ნაწილს საბრძოლო დროშა გადაეცემა მისი ფორმირებისას და მისი კუთვნილებაა. საბრძოლო დროშა ყოველთვის იმყოფება თავის სამხედრო ნაწილში.

678. **საბრძოლო ეფექტიანობა** – ჯარების (ძალების) გარკვეული შემადგენლობით და სამხედრო ტექნიკის გამოყენებით შესრულებული საბრძოლო (საცეცხლე) ამოცანების მოცულობის შეფასების შედეგი. ფასდება საბრძოლო ამოცანის შესრულების შესაძლებლობით: გათვალისწინებული დროის მანძილზე სამხედრო ტექნიკის და გასროლების (გაშვებების) რაოდენობით; დასაზიანებელი ფართობის ან დასაზიანებელ სამიზნეთა რიცხვის მათემატიკური მოლოდინით; სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალების, საჭირო რიცხვითა და დროით, რომელიც აუცილებელია მიზნის დაზიანების და ჯარების მოქმედების უზრუნველყოფის განსაზღვრული ამოცანის შესრულებისთვის. საბრძოლო ეფექტიანობის მაჩვენებლები ურთიერთდაკავშირებულია საბრძოლო ნაყოფიერებასთან.

679. **საბრძოლო გაფრენა** - თვითმფრინავის(ვერტმფრენის) ეკიპაჟის, საავიაციო ქვედანაყოფის(ნაწილის, შენაერთის) გაფრენა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. მოიცავს: აფრენას, საბრძოლო წყობაში დაწყობას(ერთეული გაფრენის გარდა), მიზანთან(მოქმედებების რაიონში) მარშრუტით ფრენას, საბრძოლო ამოცანის(მიზანთან მოქმედებებს) შესრულებას, მოქმედებების რაიონიდან ფრენას, საბრძოლო წყობის დაშლას(ერთეული გაფრენის გარდა), აეროდრომზე(დასაჯდომ მოედანზე) დაჯდომას.

680. **საბრძოლო გამოცდილება** - საბრძოლო მოქმედებების ხერხების ცოდნა (ოსტატობა, ჩვევა), შეძენილი სამხედრო მოსამსახურეების, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების მიერ ბრძოლებში. საბრძოლო გამოცდილება ხელს უწყობს წარმატებულ მოქმედებებს შემდგომ ბრძოლებში, სამხედრო საქმის თეორიის და პრაქტიკის განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა.

681. **საბრძოლო გამოყენება** – 1. ბრძოლაში (ოპერაციაში) შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების ორგანიზებული გამოყენება, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებით საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით. 2. სამხედრო – საავიაციო ძალებში – საფრენოსნო მომზადების სახეობა, რომელიც მოიცავს მფრინავთა მომზადებას დაზიანების საავიაციო საშუალებების და საფრენი აპარატების მოწყობილობების გამოყენებას მიწისზედა, საზღვაო, საჰაერო მიზნების დასაზიანებლად და ვითარების სხვადასხვა პირობებში სხვა საბრძოლო ამოცანების გადასაჭრელად.

682. **საბრძოლო განგაში** - ნაწილის(გემის) დაუყონებლივ მოყვანა მზადყოფნაში საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. მთელი პირადი შემადგენლობის მისთვის დაწესებული შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების ჩაბმით.

683. **საბრძოლო განკარგულება** - ქვედანაყოფისთვის, ნაწილისთვის, გემისთვის, შენაერთისთვის, გაერთიანებისთვის საბრძოლო ამოცანის დასმის ფორმა. საბრძოლო განკარგულება შესაძლოა გაიცეს საბრძოლო ბრძანების ნაცვლად როგორც ოპერაციის დროს, ასევე მისი მომზადებისას. საბრძოლო განკარგულებაში ჩვეულებრივ მიუთითებენ: მოწინააღმდეგის შეფასების მოკლე დასკვნები; ქვედანაყოფის(ნაწილის,შენაერთის, გაერთიანების) საბრძოლო ამოცანა; ზემდგომი უფროსების საშუალებებით ქვედანაყოფის (ნაწილის, შენაერთის,

გაერთიანების) ინტერესებისთვის შესასრულებელი ამოცანები; მეზობლების ამოცანები და გამმიჯნავი ხაზები მათთან; მოქმედებებისთვის მზადყოფნა.

684. **საბრძოლო განრიგები -** სახომალდო განრიგების მთავარი შემადგენელი ნაწილი. შედგენა პირადი შემადგენლობის სამეთაურო პუნქტებზე და საბრძოლო საგუშაგოებზე განაწილების, იარაღის გამოყენების და ხომალდის ტექნიკური საშუალებების გამოყენების მიზნით, აგრეთვე სხვა სახომალდო ღონისძიებების და სამუშაობებისთვის. საბრძოლო განგაშის განრიგი ბრძოლაში ხომალდის ორგანიზაციას განსაზღვრავს და ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს. წყალქვეშა ნავზე ორ განრიგს ადგენენ – ცალკე წყალქვეშა და წყალზედა მდგომარეობებისთვის და ორი განრიგი საბრძოლო მზადყოფნა N−2 –სთვის.

685. **საბრძოლო გათვლა** – 1. დროებითი საჯარისო ფორმირება, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო მორიგეობის, ჯარების (ძალების) საბრძოლო მართვის და სხვა ამოცანების შესრულებისთვის; 2. საბრძოლო ვითარებაში, ტაქტიკური წვრთნის დროს, განგაშის შემთხვაში, ყარაულში და ა.შ. ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაკუთრებული (დამატებითი) მოვალეობების განსაზღვრა. საბრძოლო გათვლაში შეიძლება დაინიშნონ მეთვალყურეები, მეკავშირენი, მზირნი, საბრძოლო მასალების მიმტანები და ა.შ.

686. **საბრძოლო გაყვანა** - მოქმედებების კომპლექსი, ბრძოლის რაიონში საკუთარი ხომალდის, მოწინააღმდეგის ძალების და ურთიერთქმედების ძალების მდგომარეობის და გადაადგილების გრაფიკული ასახვა რუკებზე, პლანშეტებზე, საბრძოლო საინფორმაციო-მართვის სისტემებზე და საბრძოლო საშუალებების მართვის ავტომატიზებული მართვის ინდიკატორებზე. საბრძოლო გაყვანა ხომალდის მთავარ სამეთაურო პუნქტზე წარმოებს. იწყება მოწინააღმდეგესთან რადიოლოკაციური, ჰიდროაკუსტიკური ან ხილვადი კონტაქტის დაწესებით და ბრძოლის ბოლომდე გრძელდება.

687. **საბრძოლო კურსი** - მიმართულება, რომლის მეშვეობითაც თვითმფრინავები (ვერტმფრენები), წყალზედა ხომალდები და წყალქვეშა ნავები მიზანზე გადიან და იარაღს გამოიყენებენ. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავები საბრძოლო კურსზე დესანტის დაშვებისთვის მოედნების ძიებას აწარმოებენ.

688. **საბრძოლო მანევრი** – 1. ავიაციაში – ერთეული საფრენი აპარატების ან მათი ჯგუფის ფრენის ტრაექტორიის და რეჟიმის შეცვლა ჰაერში მარშრუტით ფრენისას, საბრძოლო მოქმედების დროს ისეთი მდგომარეობის დასაკავებლად, რომელიც უზრუნველყოფს იარაღის ყველაზე ეფექტიან გამოყენებას საჰაერო ბრძოლაში ან სახმელეთო (საზღვაო) მიზანზე დარტყმისას. მოიცავს საფრენი აპარატის მანევრს სიჩქარეზე, მიმართულებასა და სიმაღლეზე; 2. საზღვაო ძალებში – ერთეული ხომალდების ან მათი ჯგუფების გადაადგილება მოწინააღმდეგის ხომალდების (ობიექტების) მიმართ საზღვაო ბრძოლის, იერიშის, დარტყმის დროს. მოიცავს: მოწინააღმდეგესთან მიახლოებას, ხელსაყრელი პოზიციის დაკავებას და შენარჩუნებას, იარაღის გამოსაყენებლად და მოწინააღმდეგის იარაღის საბრძოლო ეფექტიანობის შესამცირებლად; პოზიციის შეცვლას ცეცხლის გადასატანად ერთი ობიექტიდან მეორეზე. საბრძოლო მანევრი სრულდება აგრეთვე უკანდახევისას.

689. **საბრძოლო მდგომარეობა** - სრული მზადყოფნის მდგომარეობა საბრძოლო სისტემების, შეიარაღების და საბრძოლო ტექნიკის, აგრეთვე მათი ელემენტების საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის(საბრძოლო გამოყენებისთვის). საბრძოლო მდგომარეობა ითვალისწინებს მუშაობისთვის მზადყოფნას შეიარაღების კომპლექსების ელემენტების შემადგენელს. ნიმუშების ან შეიარაღების კომპლექსების და საბრძოლო ტექნიკის საბრძოლო მდგომარეობაში გადაყვანა წარმოებს შენახვის რეჟიმიდან ან სალაშქრო მდგომარეობიდან. მოიცავს რიგ ტექნოლოგიურ ოპერაციებს, რომელთა მოცულობა და ხასიათი დამოკიდებულია საბრძოლო ტექნიკის სახეობაზე, მის დანიშნულებაზე, გამოყენების პირობებზე კონსტრუქციულ თავისებურებებზე და განსაზღვრულ მოთხოვნებზე, ინსტრუქციებზე და დარიგებებზე.

690. **საბრძოლო მდგრადობა** – ჯარების დაჯგუფებების და საზღვაო ძალების (შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების, ერთეული ხომალდების და მათი ჯგუფების) მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს, შეინარჩუნონ ბრძოლისუნარიანობა და მოწინააღმდეგის აქტიური წინააღმდეგობის პირობებში დასახული საბრძოლო ამოცანების გარანტირებული შესრულებისთვის მოახდინონ მათთვის დამახასიათებელი საბრძოლო შესაძლებლობების რეალიზება. დამოკიდებულია ჯარების (ძალების) დაჯგუფების შემადგენლობაზე, მათ საბრძოლო მზადყოფნასა და საბრძოლო უნარზე, აგრეთვე მართვის სისტემების და იმ ძალების და საშუალებების სიცოცხლისუნარიანობაზე, რომლებიც ყოველმხრივ უზრუნველყოფენ მათ მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

691. **საბრძოლო მოქმედებები** – 1. დასახული საბრძოლო (ოპერატიული) ამოცანების შესრულებისას ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების ორგანიზებული მოქმედება. საბრძოლო მოქმედებების ძირითად სახეობებს წარმოადგენს თავდაცვა და შეტევა. ისინი წარმოებს ხმელეთზე, ჰაერში (კოსმოსში) და ზღვაზე ოპერაციების, შეტაკებების, ბრძოლებისა და დარტყმების ფორმით, როგორც დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების, ისე მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებით. 2. ოპერაციის ფარგლებში ან ოპერაციებს შორის რამდენიმე თანამიმდევრულად წამოჭრილი ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანის გადასაწყვეტად შეიარაღებული ძალების სახეობათა გაერთიანებების და შენაერთების ოპერატიული გამოყენების ფორმა.

692. **საბრძოლო მოქმედებების დინამიურობა** – ბრძოლის (ოპერაციის) დროს ვითარების, მდგომარეობის, ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების მოქმედების ხასიათის და ხერხების, ურთიერთქმედების პირობების სწრაფი შეცვლა; თანამედროვე საბრძოლო მოქმედების დამახასიათებელი ნიშანი. საბრძოლო მოქმედების დინამიურობა დამოკიდებულია ჯარების მობილურობაზე, საბრძოლო მანქანების მანევრულობაზე, დაზიანების საშუალებათა მოქმედების სიშორეზე, სიმძლავრესა და სწრაფ სროლაზე, პირადი შემადგენლობის მომზადებაზე, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების, მართვის ორგანოების შეთანხმებულ საქმიანობაზე, აგრეთვე საბრძოლო მოქმედების წარმოების შერჩეულ ხერხზე.

693. **საბრძოლო მოქმედებების ჟურნალი** – საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელშიც საბრძოლო მოქმედებების მომზადება და მსვლელობა აისახება. გამოიყენება საბრძოლო გამოცდილების შესწავლისთვის, ანგარიშების და ცნობების შედგენისთვის, ისტორიული ფორმულარების შევსებისთვის, აგრეთვე სამხედრო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაობებისთვის. საბრძოლო მოქმედებების ჟურნალში ჩანაწერები ყოველდღიურად კეთდება, მათში აისახება: ოპერაციის (ბრძოლის) დაწყებამდე საერთო ვითარება, ჯარების (ძალების) ამოცანები, მისაღები გადაწყვეტილებები, საბრძოლო მოქმედებების მსვლელობა, ყურადსაღები საბრძოლო ეპიზოდები და სხვა. დანართის სახით გამოიყენება საანგარიშო რუკები და სქემები.

694. **საბრძოლო მოქმედებების რაიონის იზოლაცია** – საბრძოლო მოქმედებების რაიონში მოწინააღმდეგის რეზერვების წინ წაწევის აკრძალვა, ძალებით და საშუალებებით მანევრის ჩაშლა ან საგრძნობი შეზღუდვა, საბრძოლო ტექნიკის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების ზურგიდან ან ფრონტის სხვა მონაკვეთებიდან გადასროლის შეზღუდვა; ტაქტიკური ავიაციის ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანა. საბრძოლო მოქმედებების რაიონის იზოლაცია მოწინააღმდეგის რეზერვებზე თავმოყრის ადგილებში და მარშზე, საავტომობილო და რკინიგზის კვანძებზე, ხიდებზე და გადასასვლელებზე, აეროდრომებზე, სამეთაურო პუნქტებზე, გაერთიანების და შენაერთის კავშირგაბმულობის კვანძებზე, მომარაგების ბაზებზე, და სხვა ობიექტებზე დარტყმების მიყენებით მიიღწევა. საზღვაო მიმართულებებზე დარტყმები ბაზებზე და პორტებზე ხორციელდება.

695. **საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფა** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში ყოლის, მათი საბრძოლო უნარის შენარჩუნების და დასახული ამოცანების წარმატებული და დროული შესრულების ხელშემწყობი პირობების შექმნისთვის. გადასაწყვეტი ამოცანების და განსახორციელებელი ღონისძიებების ხასიათის მიხედვით საომარი (საბრძოლო) მოქმედების უზრუნველყოფა იყოფა ოპერატიულ (საბრძოლო) უზრუნველყოფად, ტექნიკურ უზრუნველყოფად, ზურგის უზრუნველყოფად და სამედიცინო უზრუნველყოფად.

696. **საბრძოლო მოქმედებების ზონა** – საომარ მოქმედებათა თეატრის ტერიტორიის ან საჰაერო სივრცის ნაწილი სადაც განლაგებული (ბაზირებული) არიან და საბრძოლო მოქმედებას აწარმოებენ სახმელეთო ჯარების გაერთიანებები მიკუთვნებული და მხარდაჭერის საშუალებებით (მთელი რიგი სახელმწიფოების არმიებში), აგრეთვე ავიაცია, საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები.

697. **საბრძოლო მორიგეობა** – იმ სპეციალურად გამოყოფილი ძალების და საშუალებების მორიგეობის (საქმიანობის) განსაკუთრებული სახეობა, რომლებიც დაგეგმილი ან უეცრად წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის და საბრძოლო მოქმედების წარმოებისთვის სხვა ძალებთან და საშუალებებთან შედარებით საბრძოლო მზადყოფნის უფრო მაღალ დონეზე არიან. ხორციელდება მოწინააღმდეგის თავდასხმის დაწყების დროული აღმოჩენის, ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების დაზიანების, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო საზღვრების დარღვევის აღკვეთის მიზნით. საბრძოლო მორიგეობის ძალების და

საშუალებების შემადგენლობაში შედის საბრძოლო ჯგუფეულები, ხომალდების და საფრენი აპარატების ეკიპაჟები, მართვის პუნქტების, საბრძოლო უზრუნველყოფის და მომსახურების ძალების და საშუალებების მორიგე ცვლები. მორიგე ძალები და საშუალებები გამოიყენება ზემდგომ მეთაურთა კომანდებით (სიგნალებით), ხოლო იმ შემთხვევებში, რომლებიც დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვენ, მორიგე ნაწილების, ხომალდების, ქვედანაყოფების მეთაურთა გადაწყვეტილებით.

698. **საბრძოლო მოხსენება** – საანგარიშგებო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც ზემდგომ შტაბს წარედგინება. ჩვეულებრივ, საბრძოლო მოხსენებაში მოცემულია გარკვეული პერიოდის მანძილზე საბრძოლო ამოცანის შესრულების შედეგები და აღნიშნულია დაქვემდებარებული შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების მდგომარეობა და მოქმედების ხასიათი, მეზობლების მდგომარეობა და მათი მოქმედების ხასიათი, შექმნილი მდგომარეობის, მოწინააღმდეგის მოქმედების ხასიათის შეფასებიდან გამოტანილი დასკვნები, შემდგომი მოქმედების გადაწყვეტილება და, საჭიროებისამებრ, თხოვნა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ხელშეწყობის შესახებ. საბრძოლო მოხსენება შეიძლება იყოს სასწრაფო და არასასწრაფო.

699. **საბრძოლო ნაწილი** - ხომალდის ეკიპაჟის ძირითადი საორგანიზაციო ქვედანაყოფი, რომლის დანიშნულებაა განსაზღვრული ამოცანების შესრულება და ტექნიკური საშუალებების გამოყენება ბრძოლაში და ყოველდღიურ სამსახურში. ხომალდის რანგის და კლასის თანახმად საბრძოლო ნაწილი (სნ): საშტურმანო(სნ-1), სარაკეტო(სარაკეტო-საარტილერიო) (სნ-2), ნაღმ-სატორპედო(სნ-3), კავშირგაბმულობის(სნ-4), ელექტრომექანიკური(სნ-5), საავიაციო(სნ-6), მართვის(სნ-7) იყოფიან დივიზიონებად, ჯგუფებად, ბატარეებად, კოშკურებად და კომანდებად(ათეულებად).

700. **საბრძოლო ორთაბრძოლები -** სამხედრო ხელოვნება, ხელჩართული ბრძოლის ტრადიციული ფორმები ევოლუციურად ჩამოყალიბებული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. მათ განეკუთვნება: იაპონური კარატე, ჯიუ-ჯისტუ, ძიუდო. ორეული ტეკვონდო. ტაილანდური ბოქსი. ამერიკული კიკბოქსინგი. ფრანგული სავატი. ბრაზილიური კაპოეირა. სამბო, აგრეთვე ზოგიერთი სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობა, რომლებიც ორთაბრძოლის ხასიათს ატარებენ. აღმოსავლური წარმოშობის საბრძოლო ორთაბრძოლები გაერთიანებული არიან ცნებით „კემპო" (იაპონური – მუშტის ალალმართალი კანონი) – სულიერი და ფიზიკური სრულყოფის სწავლება. დასავლეთში კემპო ხშირად აღინიშნება ტერმინით „კუნფუ" (დამახინჯებული ჩინური გუნფუ – ბეჯითი მეცადინეობა). ჩინური კლასიკური საბრძოლო ორთაბრძოლების კრებსითი დასახელებაა – უშუ (უ – სამხედრო, შუ – ხელოვნება), იაპონური საბრძოლო ორთაბრძოლა – ბუდო („მშვიდობის გზა"). თითოეული საბრძოლო ხელოვნება იყოფება საბრძოლოდ და სპორტულად, რომელიც საშიშ ილეთებს გამორიცხავს. ყველაზე სისტემატიზირებული ფორმა მოიპოვეს აღმოსავლურმა ორთაბრძოლებმა, რომელთა ისტორია რამოდენიმე ათასწლეულს ითვლის

701. **საბრძოლო პატრულირება – 1.** სახმელეთო ჯარებისთვის – ძირითადი ძალების ფრონტის, ფლანგების და ზურგის დასაცავად ძირითადი ძალებიდან ტაქტიკური ქვედანაყოფის გამოყოფა. 2. წყალქვეშა ნავის მოქმედება საბრძოლო სამსახურის

დროს, რომელიც გამოიხატება უწყვეტი მანევრირების შესრულებით ოკეანის (ზღვის) დანიშნულ რაიონში ან გათვალისწინებული მარშრუტებით დადგენილ მზადყოფნაში სამეთაურო პუნქტიდან მიღებული ბრძანებით, ან ვითარებიდან გამომდინარე საზღვაო (სახმელეთო) მიზნებზე იარაღის საბრძოლო გამოყენებისთვის.

702. **საბრძოლო საგუშაგო** - ხომალდის, შენაერთის სანაპირო სამეთაურო პუნქტის საბრძოლო ორგანიზაციის უმდაბლესი რგოლი. მოიცავს პირად შემადგენლობას, მის იარაღს და ტექნიკურ საშუალებებს. აქვს უმცირესი და რიგითი ნომერი საბრძოლო ნაწილში(სამსახურში) ან ხომალდზე ნომრების საერთო რიგში.

703. **საბრძოლო შესაძლებლობები -** მაჩვენებლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ერთობლივობა, დამახასიათებელი ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) დაწესებულ ვადებში და კონკრეტული ვითარების პირობებში განსაზღვრული ამოცანების შესრულებაის უნარი. დამოკიდებულია პირადი შემადგენლობის რაოდენობაზე, მისი მომზადების დონეზე და მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, იარაღის და ტექნიკის არსებობასა და მდგომარეობაზე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაზე, სამეთაურო შემადგენლობის მომზადებაზე და ჯარების მართვის დონეზე, ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კლიმატურ, ამინდის და სხვა პირობებზე, აგრეთვე მოწინააღმდეგის ძალისა და წინააღმდეგობის ხასიათის. ჯარების(ძალების) საბრძოლო შესაძლებლობების განსაზღვრისთვის გამოიყენება მათემატიკური (კომპიუტერების გამოყენებით), გრაფიკული, გრაფოანალიტიკური და გათვლების სხვა მეთოდები ცხრილების, გრაფიკების, ნომოგრამების და მათი მსგავსის დახმარებით. საბრძოლო შესაძლებლობების ყველაზე სრული და ობიექტური შეფასება ბრძოლის მოდელირების გზით მიიღწევა.

704. **საბრძოლო შეხება** – 1. (ხმელეთზე) მეომარ მხარეთა ჯარების ურთიერთგანლაგება, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ დაზიანების საშუალებებით ერთმანეთზე მოახდინონ ზემოქმედება. 2. (ზღვაზე) მეომარ მხარეთა ხომალდების ურთიერთგანლაგება არსებული იარაღის სროლის მაქსიმალური სიშორის ფარგლებში, ერთმანეთის იმავდროული თვალთვალით; 3. (ჰაერში) მეომარ მხარეთა თვითმფრინავების (შვეულმფრენების) დაახლოება „ჰაერი-ჰაერი“ რაკეტის გაშვების სიშორეზე, ხოლო ამ რაკეტების უქონლობისას – საზარბაზნე შეიარაღების ნამდვილი ცეცხლის მანძილზე.

705. **საბრძოლო სიმძლავრე –** გამანადგურებელი და/ან დამანგრეველი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც შეუძლია საბრძოლო ქვედანაყოფს მოწინააღმდეგის მიმართ, დადგენილ დროს. სახმელეთო ჯარებისთვის – მანევრის, ცეცხლის სიმძლავრის, დაცვის და ხელმძღვანელობის ეფექტური, კომბინირებული გამოყენება.

706. **საბრძოლო სროლა** - გასროლების წარმოება საშტატო იარაღიდან (საარტილერიო ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ცეცხლსასროლი იარაღი, სატორპედო იარაღი, საზენიტო და საავიაციო კომპლექსები და სხვა) საშტატო საბრძოლო მასალებით; საცეცხლე მომზადების უმაღლესი ფორმა, არმიის და ფლოტის პირადი შემადგენლობის საბრძოლო ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ვითარებაში იარაღის გამოყენების სწავლებას. წარმოებს მიზნების (სამიზნეების)

დაზიანებისთვის როგორც ცალკეული სამხედრო მოსამსახურეებით, ასევე ქვედანაყოფების და ნაწილების შემადგენლობაში. საბრძოლო სროლისთვის საბრძოლო მასალები როგორც წესი, საბრძოლო მუხტით გამოიყენება. აგრეთვე ტარდება პრაქტიკული სროლები საბრძოლო მასალებით საბრძოლო მუხტის გარეშე(პრაქტიკული ჭურვები), მაგ. სარაკეტო, საარტილერიო, სატორპედო სროლები. საბრძოლო სროლის შედეგები ფასდება როგორც დაზიანებული მიზნების(სამიზნეების) რაოდენობა. იარაღის თანამედროვე სახეობებიდან საბრძოლო სროლები ფართოდ არის დაკავშირებული ავტომატიზაციის და ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის საშუალებების გამოყენებასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მარტო მათ ფუნქცირებას, დამიზნებას და ცეცხლის(გაშვების) მართვას, არამედ მათი შედეგების შეფასებასაც.

707. **საბრძოლო უზრუნველყოფა** (იხ. ოპერატიული უზრუნველყოფა 2/220)

708. **საბრძოლო ფყობა** – შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების დაწყობა (განლაგება) მათი გაძლიერების საშუალებებითურთ ბრძოლის წარმოებისთვის. საბრძოლო წყობა უნდა შეესაბამებოდეს მომავალი ბრძოლის ჩანაფიქრს, უზრუნველყოფდეს მის წარმატებულ წარმოებას ყველა სახეობის იარაღის გამოყენებით, თავდაცვის სიმტკიცეს და აქტიურობას, ძალისხმევის კონცენტრაციას და ზრდას ბრძოლის დროს არჩეულ მიმართულებაზე (რაიონში) და მანევრის განხორციელებას. პირველად საბრძოლო წყობა გაჩნდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში. მისი თავდაპირველი ფორმა იყო მწკრივები და რიგები, რომლებითაც ეწყობოდნენ მეომრები. ძველი მსოფლიოს მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ჯარები იბრძოდნენ ღრმა მიჯრილი წყობით კოლონების სახით. ძველ საბერძნეთში (მე-6 ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) საბრძოლო წყობის საფუძველი გახდა ფალანგა. დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ძველ რომში (მე-4 ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ლეგიონის დანაწევრება მანიპულებად, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა კოჰორტებად. აღმოსავლელი სლავები 9-11 საუკუნეებში იყენებდნენ საბრძოლო წყობას – "კედელს", ხოლო მე-11 საუკუნიდან – საბრძოლო წყობას, რომელიც შედგებოდა საგუშაგო, მეწინავე, დიდი, მარჯვენა და მარცხენა ხელის პოლკები, რეზერვები და სხვ. საბრძოლო წყობის შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში მე-14 საუკუნეში ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამ. მისი ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისადმი სწრაფვას შედეგად მოჰყვა სახაზო საბრძოლო წყობის წარმოშობა. ცეცხლსასროლი იარაღის შემდგომმა განვითარებამ მე-18 საუკუნეში განაპირობა საბრძოლო წყობის გაჩენა კოლონების სახით გაფანტულ მწყობრთან შეხამებით. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში არმიების აღჭურვას კუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც სროლის გაცილებით მეტი სიშორე, ცეცხლის სიზუსტე და სწრაფსროლა ახასიათებდა, გამოიწვია მსროლელთა ჯაჭვების ჯერ სტიქიური, შემდეგ კი გაცნობიერებული გამოყენება, ხოლო 1-ელ მსოფლიო ომში მსროლელთა ჯაჭვების "ტალღებიც", და ამ ომის ბოლოს – საბრძოლო წყობა, რომელშიც მსროლელთა ჯაჭვები მცირერიცხოვან ქვეითთა ჯგუფებად ნაწევრდებოდა. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მსოფლიოს ყველა არმიაში საბრძოლო წყობის ცვლა მიმდინარეობდა ჯარებში ტანკების, არტილერიის, ავტომატური სასროლი იარაღის, ტანკსაწინააღმ

საშუალებების შემოსვლის, ავიაციის სწრაფი ზრდის ზემოქმედებით. მე-2 მსოფლიო ომის წლებში გაიზარდა საბრძოლო წყობის სიღრმე, წარმოიშვა მისი ახალი ელემენტები. მოწინააღმდეგის მიერ ტანკების მასირებულ გამოყენებას შედეგად მოჰყვა საბრძოლო წყობის ისეთი ელემენტების გაჩენა, როგორიც იყო საარტილერიო-ტანკსაწინააღმდეგო რეზერვი, მოძრავი გადამღობი რაზმი, ტანკსაწინააღმდეგო რაიონი და სხვ. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ შეიარაღებაზე ბრძოლის ახალი საშუალებების-ბირთვული იარაღის, სარაკეტო კომპლექსების, ქვეითი საბრძოლო მანქანების, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების, საბრძოლო შვეულმფრენებისა და სხვათა შემოსვლამ, ყველა სახეობის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის საბრძოლო თვისებების გაუმჯობესებამ განაპირობეს საბრძოლო წყობის შემდგომი განვითარება, რომელშიც თვისებრივად შეიცვალა წინანდელი ელემენტი და გაჩნდა ახალი. ბევრი სახელმწიფოს საერთო-საჯარისო შენაერთების საბრძოლო წყობაში შეიყვანეს 1-ლი ეშელონი, მე-2 ეშელონი, ან საერთო-საჯარისო რეზერვი, სარაკეტო ნაწილი (ქვედანაყოფი), არტილერია, საზენიტო საშუალებები (ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები), სხვადასხვა დანიშნულების (ტანკსაწინააღმდეგო, საინჟინრო და სხვ.) რეზერვები და მოძრავი გადამღობი რაზმი. სპეციალური ამოცანების გადასაწყვეტად საბრძოლო წყობაში შეიძლება შეიქმნას ავანგარდები, მეწინავე, სადაზვერვო, მოიერიშე, სარეიდო, შემომვლელი და სპეციალური რაზმები, ტაქტიკური საჰაერო დესანტი, აერომობილური ფორმირებების და ავიაციის ქვედანაყოფები.

709. **საბრძოლო წყობა საჰაერო თავდაცვის ჯარებში** – ძალების და საშუალებების მრავალფეროვანი წყობა, რომელსაც თავისებურებები აქვს ჯარების თითოეულ გვარეობაში. საზენიტო სარაკეტო (საზენიტო საარტილერიო) ნაწილში იგი მოიცავს საზენიტო რაკეტების (საზენიტო საარტილერიო) ქვედანაყოფების საბრძოლო წყობას, ტექნიკური ქვედანაყოფების და სამეთაურო პუნქტების საბრძოლო წყობას, რადიოტექნიკურ ნაწილებში საბრძოლო წყობა შედგება რადიოტექნიკური (რადიოლოკაციური) ქვედანაყოფების, სამეთაურო პუნქტების და რეზერვების საბრძოლო წყობისგან და შეიძლება იყოს ჯგუფური ან ხაზობრივი; გამანადგურებელი საავიაციო ნაწილის საბრძოლო წყობა ანალოგიურია სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაციის საბრძოლო წყობის. საჰაერო თავდაცვის შენაერთების საბრძოლო წყობა შეიძლება შეიცავდეს საზენიტო რაკეტების და რადიოტექნიკური ნაწილების, გამანადგურებელი ავიაციის და სხვა ჯარების დაჯგუფებას, ძირითად და სათადარიგო სამეთაურო პუნქტებს და რეზერვებს.

710. **საბრძოლო წყობა სამხედრო-საჰაერო ძალებში** – საავიაციო ნაწილების, ქვედანაყოფების და თვითმფრინავების (შვეულმფრენების) ურთიერთგანლაგება საბრძოლო ფრენის ერთობლივი შესრულებისას. შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ტაქტიკური დანიშნულების ჯგუფებისგან: ძირითადი (დამრტყმელი, საძიებო-დამრტყმელი, სადესანტო, სატრანსპორტო და სხვ.), უზრუნველყოფის (დამატებითი დაზვერვის, საჰაერო თავდაცვის ჩახშობის, დაბრკოლებების დაყენების, მოწინააღმდეგის გამანადგურებელთა იერიშებისგან დაფარვის, რადიოელექტრონული ბრძოლის, ყურადღების გადასატანი (დემონსტრატიული) და სხვ.) და სარეზერვო ჯგუფებისგან. საბრძოლო ფრენისას ერთსა და იმავე ჯგუფს

შეუძლია შეასრულოს რამდენიმე სხვადასხვა ამოცანა. საბრძოლო წყობა შეიძლება იყოს სამი სახეობის: მიჯრილი, გაშლილი და დაშორიშორებული.

711. **საბრძოლო წყობა სამხედრო-საზღვაო ძალებში** - შენაერთის (ნაწილის) დაწყობა ბრძოლის წარმოებისთვის. მე-17 საუკუნის დამდეგამდე, ნიჩბოსანი ფლოტის პეროიდში, შედგებოდა მთავარი ძალების და რეზერვისგან, რომლებიც გამოიყენებოდა ფრონტის ან ფლანგებზამოწეული ნახევარწრის მწყობრში. იალქნიანი ხომალდების და არტილერიის სრულყოფასთან ერთად მე-17 საუკუნეში გაჩნდა სახაზო საბრძოლო წყობა, რომელიც გაბატონებული იყო მე-18 საუკუნის ბოლომდე. მე-2 მსოფლიო ომში ფლოტის საბრძოლო წყობა შედგებოდა სხვადასხვაგვარი (დამრტყმელი და უზრუნველმყოფი) ჯგუფებისგან, აგრეთვე საჰაერო თავდაცვის და წყალქვეშა ნავსაწინაღო თავდაცვის ძალებისგან. ამ დროს ფლოტის საბრძოლო წყობაში გაჩნდა საავიამზიდო დამრტყმელი ჯგუფები. მე-20 საუკუნის ბოლოს ხომალდების ნაწილების და შენაერთების საბრძოლო წყობა მოიცავდა ხომალდების ერთ ან რამდენიმე დამრტყმელ (საძიებო–დამრტყმელ) ჯგუფს მათი საბრძოლო დაცვითურთ და უზრუნველყოფის ჯგუფებს. ხომალდების შენაერთების საბრძოლო წყობის ჯგუფებს შეუძლიათ იმოქმედონ კილვატერული კოლონის, ფრონტის, პელენგის, სოლის მწყობრში და ორდერებში.

712. **საბრძოლო წყობა სარაკეტო ჯარებში** – შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო-სასტარტო პოზიციები და მართვის პუნქტები. საბრძოლო წყობა შეიძლება აგრეთვე მოიცავდეს პირადი შემადგენლობის, რაკეტების და სპეციალური შეიარაღების საბრძოლო მართვის და კავშირგაბმულობის სისტემების და საშუალებების, იმ ტექნიკის და მატერიალური საშუალებების განლაგების ადგილებს, რომლებიც განკუთვნილია საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის.

713. **საბრძოლო წყობაში გაშლა** – ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების სალაშქრო ან წინასაბრძოლოდან გადაწყობა საბრძოლო წყობაში. ხორციელდება მომავალ ბრძოლაზე მეთაურის გადაწყვეტილების შესაბამისად.

714. **საბრძოლო ხაზი** - მექანიზებული ასეულის(ოცეულის) და სატანკო ასეულის(ოცეულის) საბრძოლო წყობა შეტევაში.

715. **საბრძოლო ძლიერება** – სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შემადგენელი ნაწილი, იმ მატერიალური და სულიერი ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარღებული ძალების მდგომარეობას და ოპერატიულ უნარს, შეასრულონ საბრძოლო ამოცანები. მისი განმსაზღვრელია შეიარაღებული ძალების რიცხობრივი და თვისებრივი შემადგენლობა, მათი დაკომპლექტება და ტექნიკური აღჭურვილობა, მომზადების დონე, ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა, სამხედრო ხელოვნების განვითარება და სხვა. საბრძოლო ძლიერება პირდაპირ ან ირიბად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე, პოლიტიკაზე, სამხედრო დოქტრინაზე.

716. **საცეცხლე ამოცანა –** მოწინააღმდეგის დაზიანების ან საბრძოლო მოქმედების უზრუნველყოფის ამოცანა, რომელიც ხორციელდება ცეცხლის დაშენით (სროლით). საცეცხლე ამოცანის დასახვისას განისაზღვრება: მიზანი, სროლის ამოცანა (ჩახშობა, განადგურება, დაკვამლიანება და ა.შ.); ცეცხლის გახსნის (შეწყვეტის) დროს; მოსაზიდი საშუალებების (ქვედანაყოფების) რაოდენობა;

ცეცხლის სახეობა და საცეცხლე ამოცანის (ცეცხლდაშენის) ხერხი; საბრძოლო მასალების სახეობა და ხარჯი; საცეცხლე ამოცანის შესრულების და ცეცხლის დაშენის წესი (ჯერებით, მეთოდური ცეცხლით, ზალპებით და ა. შ.)

717. **საცეცხლე ბარათი** – ქვედანაყოფის საერთო ცეცხლის სისტემაში ათვისების, საბრძოლო მანქანის, საცეცხლე საშუალების საცეცლე ამოცანის ამსახველი გრაფიკული დოკუმენტი. მუშავდება ცეცხლის მართვისთვის ადგილმდებარეობაზე თავდაცვითი ბრძოლის ორგანიზების შემდეგ ათვისების მეთაურის (ტანკის, საბრძოლო მანქანის, ქვემეხის მეთაურის) მიერ.

718. **საცეცხლე კავშირი** – მეზობელი ქვედანაყოფების ან საცეცხლე საშუალებების ცეცხლით ურთიერთმხარდაჭერა ბრძოლაში.

719. **საცეცხლე მხარდაჭერის ხომალდების რაზმი** – უპირატესად სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღების მქონე ხომალდების დროებითი ფორმირება, რომლებიც განკუთვნილია საზღვაო დესანტის გადასხმის ან ზღვისპირა მიმართულებაზე მოქმედი სახმელეთო ჯარების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. საცეცხლე მხარდაჭერის ხომალდთა რაზმის ამოცანაა: გადასხმული ძალების გაშლის საცეცხლე უზრუნველყოფა, გადასხმის საცეცხლე მომზადება, გადასხმის საცეცხლე მხარდაჭერა, ნაპირზე დესანტის მოქმედების საცეცხლე თანხლება.

720. **საცეცხლე პოზიცია** – 1. ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც დაკავებული და მომზადებულია ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, ქვეითთა საბრძოლო მანქანებით და სხვა საცეცხლე საშუალებებით, აგრეთვე საარტილერიო, სატანკო ქვედანაყოფებით ცეცხლის დასაშენად. განასხვავებენ ძირითად, დროებით და სათადარიგო საცეცხლე პოზიციებს. ისინი შეიძლება იყოს დახურული და ღია. საცეცხლე პოზიციებს, ჩვეულებრივ, ამზადებენ წინასწარ, ქვედანაყოფების მიერ მათ დაკავებამდე; 2. ზღვის (ოკეანის) რაიონი (მონაკვეთი), რომელიც დაკავებული ან მომზადებულია წყალქვეშა ნავის (წყალზედა ხომალდის, ხომალდთა ჯგუფის) მიერ დასაკავებლად სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღების გამოყენებისთვის.

721. **საცეცხლე შესაძლებლობები** – საცეცხლე ამოცანების მოცულობა, რომელიც შეიძლება შესრულდეს ქვედანაყოფის, ნაწილის, ხომალდის, შენაერთის ან ჯარების (ძალების) დაჯგუფების საცეცხლე საშუალებებს გარკვეული შემადგენლობით, გარკვეულ დროს ან გარკვეული რაოდენობის საბრძოლო მასალებით. წარმოადგენს ჯარების და საზღვაო ძალების საბრძოლო შესაძლებლობათა ერთ-ერთ მაჩვენებელს. საცეცხლე შესაძლებლობები შეიძლება გამოიხატებოდეს განადგურებული მიზნების რაოდენობით (განადგურებული საჰაერო მიზნების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობით), დასაზიანებელი ფართობის სიდიდით, ცეცხლის ტალღის ან გადამღობი ცეცხლის ფრონტის სიგრძით და ა.შ.

722. **საცეცხლე უპირატესობა** – საცეცხლე საშუალებების თავის ამოცანების წარმატებით შესრულების უნარი მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებების უკუქმედების არ დაშვება. მიიღწევა მოწინააღმდეგეზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი უპირატესობის შექმნით, ცეცხლის გახსნის დასწრებით, მისი უეცრობით და მაღალი ეფექტურობით, გადამწყვეტ მიმართულებებზე მასირებით, ძალებით, საშუალებებით და ცეცხლის (დარტყმების) მანევრით, მოწინააღმდეგის

საცეცხლე საშუალებებთან უწყვეტი ბრძოლით. შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული.

723. **საცეცხლე ურთიერთქმედება** – ამოცანების (ობიექტების, მიზნების), მიმართულებების, ზღუდეების (რაიონების, მონაკვეთებს), სივრცის (ზონების) და დროის მიხედვით, მოწინააღმდეგეზე შეიარაღებული ძალების სახეობების (ჯარების გვარეობების) დაზიანების ყველა საცეცხლე საშუალების (ან მათი ნაწილის) შეთანხმებული კომპლექსური ურთიერთქმედება. ამის მისაღწევად ანაწილებენ მიზნებს, განსაზღვრავენ ცეცხლის დაშენის (დარტყმების მიყენების) დროს და თანმიმდევრობას, აგრეთვე თავს უყრიან და აძლიერებენ ცეცხლს (დარტყმებს) დიდმნიშვნელოვანი ობიექტების დასაზიანებლად. ეწყობა და ხორციელდება ჯარების ამოცანების, ზღუდეების, მიმართულებების და დროის მიხედვით. საცეცხლე თანამოქმედება შეიძლება იყოს ტაქტიკური და ოპერატიული (სტრატეგიული).

724. **საცეცხლე წერტილი** – საცეცხლე საშუალების პირობითი სახელწოდება (ტყვიამფრქვევი, ცეცხლსაფრქვევი, ქვემეხი და სხვ.), რომელიც განლაგებულია პოზიციაზე საყრდენ პუნქტში (თავდაცვის რაიონში) ან მათ შორის შუალედში, საფარში (სანგარი, ჯავშანხუფი) ან ღიად, ადგილმდებარეობის დამცავი თვისებების გამოყენებით საბრძოლო მოქმედების წარმოებისთვის.

725. **საცეცხლე ძალა** – 1. პოზიციიდან ფორმირების ან იარაღის სისტემიდან განხორციელებული ცეცხლის რაოდენობა. 2. ცეცხლის წარმოების შესაძლებლობა

726. **სადაზვერვო ცნობა** – შენაერთის (გაერთიანების) შტაბის საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრული დროის პერიოდში, ჩვეულებრივ დღე-ღამის განმავლობაში მოწინაღმდეგის შესახებ ცნობებს შეიცავს. ზემდგომ შტაბს სწრაფი შეტყობინების ტაბელით დაწესებულ დროს წარედგინება; აგრეთვე ინფორმაციისთვის ურთიერთქმედების და ხელქვეით შტაბებს ეგზავნებათ.

727. **სადაზვერვო ნიშნები** იხილე განნიღბვა.

728. **სადაზვერვო შეტყობინება** – ზემდგომი შტაბისთვის მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების მოხსენებისთვის ნაწილის (შენაერთის, გაერთიანების) საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი. ზემდგომ შტაბს სწრაფი შეტყობინების ტაბელით დაწესებულ დროს წარედგინება.

729. **სადესანტო - მოიერიშე მოქმედებები** – მოწინააღმდეგის ჯარებს და ობიექტებზე ერთიანი ჩანაფიქრით ორგანიზებული საიერიშო მოქმედების, ავიაციის, სარაკეტო ჯარების და არტილერიის დარტყმების ეთობლიობა, სატრანსპორტო და სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენებიდან საჰაერო-სადესანტო (მოტომსროლელი) ქვედანაყოფების და ნაწილების გადასხმა და საბრძოლო მოქმედება, საჰაერო დესანტების საბრძოლო მოქმედების და ჰაერში და დედამიწაზე მათი მანევრის მონაცვლეობა მოწინააღმდეგის ზურგში ურთიერთდაკავშირებული ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანების შესასრულებლად. ეწყობა დაჯგუფებების (არმიათა ჯგუფის) და საარმიო (საკორპუსო) შეტევით ოპერაციებში იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ შეტევაზე გადასულ ნაწილებს მოწინააღმდეგის განადგურებაში. დესანტების ფრენა გადასხმის რაიონებისკენ (ობიექტებისკენ) ხორციელდება გადაფრენის დერეფნებში, რომლებშიც წინასწარ იხშობა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის სისტემა.

საჰაერო დესანტების გადაფრენას, გადასხმას და საბრძოლო მოქმედებას ჰაერიდან ფარავს გამანაგურებელი ავიაცია.

730. **სადესანტო ოპერაცია** – იხილე საჰაერო-სადესანტო ოპერაცია.

731. **საერთო - საჯარისო ოპერაცია** – ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობს შეიარაღებული ძალების სახეების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების მთლიანი შემადგენლობა ან მათი უმრავლესობა, ურთიერთდამოკიდებული სხვადასხვა ტიპის სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების დიდი კომპლექსის ერთდროული გადაწყვეტის მიზნით. ამ ტიპის ოპერაციებს ხელმძღვანელობენ საერთო – საჯარისო მეთაურები. საერთო -საჯარისო ოპერაციებს განეკუთვნება სტრატეგიული, დაჯგუფების, არმიის (კორპუსის) ოპერაციები.

732. **საერთო-საჯარისო ბრძოლა** – ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობენ სახმელეთო ჯარების სხვადასხვა გვარეობების ჯარების და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები, რომელთა ძალისხმევა გაერთიანებულია ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით, შეთანხმებულია მიზნის, დროის და ადგილის მიხედვით. მოწინააღმდეგის განადგურებას აღწევენ ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით, მონაწილე ჯარების (ძალების) აქტიური და გადამწყვეტი მოქმედებით, პირადი შემადგენლობის მორალური და ფიზიკური ძალების ზღვრული დაძაბვით. საერთო-საჯარისო ბრძოლა შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი.

733. **საერთო-საჯარისო ტაქტიკური ჯგუფები** – დროებითი სამხედრო ფორმირებები, რომლებიც იქმნება ტაქტიკურ რგოლში საერთო-საჯარისო ბრძოლის წარმოებისთვის. საერთო-საჯარისო ტაქტიკური ჯგუფის შემადგენლობა დამოკიდებულია დასახულ საბრძოლო ამოცანაზე, ადგილზე საბრძოლო წყობაში, ვითარების პირობებზე და სხვ. მათ საფუძველს, ჩვეულებრივ, შეადგენენ მოტოქვეითი (მექანიზებული), სატანკო (ჯავშანსატანკო) საჰაერო-სადესანტო, აერომობილური და ა.შ. ნაწილები და ქვედანაყოფები, ჯარების და სხვა გვარეობების და სპეციალური ჯარების გაძლიერებული ქვედანაყოფები. დივიზიაში შეიძლება შეიქმნას ბრიგადის, ბრიგადაში (პოლკში) – ბატალიონის (პოლკის), ბატალიონში - ასეულის ტაქტიკური ჯგუფები. ზოგიერთი სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი) სახმელეთო ჯარებში საერთო-საჯარისო ტაქტიკური ჯგუფების შექმნა ჩადებულია შენაერთების და ნაწილების ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაში.

734. **საფრენი აპარატის მანევრირება** – საფრენი აპარატის ფრენის პარამეტრების (მიმართულების, სიმაღლის, სიჩქარის, გადატვირთვების და სხვა) წინასწარგანზრახული შეცვლა. გამოიყენება საბრძოლო ამოცანების შესრულების, აგრეთვე პილოტირების ტექნიკის, ნავიგაციის, საბრძოლო გამოყენების, საფრენი-ტაქტიკური მომზადების ელემენტების დამუშავების დროს. მანევრირების უნარით საფრენ აპარატებს განასხვავებენ მაღალმანევრირებად და შეზღუდულად მანევრირებად.

735. **საფრენი ეშელონი** – საავიაციო ნაწილების და შენაერთების ბაზების შეცვლის დროს თვითვითმფრინავების და ვერტმფრენების მიერ განხორციელებული გადაფრენა. ბაზის შეცვლა მცირე მანძილზე შესაძლოა საბრძოლო ამოცანის შესრულებასთან იქნას შეხამებული. ამ შემთხვევაში გადაფრენა ტაქტიკური

დანიშნულების ჯგუფების საბრძოლო წყობაში ხორციელდება. საბრძოლო ამოცანის შესრულების გარეშე ბაზის შეცვლისას საფრენი ეშელონის გადაფრენა ჩვეულებრივ ერთეული თვითმფრინავების ან წყვილი თვითმფრინავები ახორციელებენ.

736. **საგზაო დაზვერვა** – საგზაო ჯარების მიერ ამოცანების შესრულებისთვის მონაცემების მოპოვება სამხედრო-საავტომობილო გზების მომზადების, ექსპლუატაციის, ტექნიკური დაფარვის და აღდგენისთვის.(იხილე სამხედრო გზები); საგზაო უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. საგზაო დაზვერვის დროს განისაზღვრება საავტომობილო გზების მდგომარეობა და საგზაო-სახიდე სამუშაობების მოცულობა, ადგილობრივი საგზაო-სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების არსებობა და გამოყენების შესაძლებლობა. საგზაო დაზვერვა იყოფა რეკოგნოსცირებად და დაწვრილებით დაზვერვად, ხოლო ჩატარების ხერხებია – მიწისზედა, საჰაერო და კომბინირებული.

737. **საჰაერო დაზვერვა –** იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებსაც გეგმავენ და ახორციელებენ ყველა საფეხურის შტაბები და სარდლობა მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების), მისი ობიექტების, საომარი მოქმედების თეატრის ინფრასტრუქტურის, ადგილმდებარეობის, ამინდის, რადიაციული და ქიმიური ვითარების შესახებ ცნობების მოპოვების მიზნით; დაზვერვის სახეობა. წარმოებს ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების და ყველა გვარეობის ჯარების (ძალების) ინტერესებისთვის პილოტირებული და უპილოტო (დისტანციურად პილოტირებული) მზვერავი თვითმფრინავების, ჰაერსანაოსნო საშუალებების ეკიპაჟების, ქვედანაყოფების, ნაწილების მიერ, აგრეთვე თვითმფრინავების (შვეულმფრენების) ეკიპაჟების მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულებისას. საჰაერო დაზვერვა იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დაზვერვად. საჰაერო დაზვერვის ძირითადი სახეობებია: ვიზუალური მეთვალყურეობა და დაზვერვა ოპტიკურ-ელექტრონული და რადიოელექტრონული საშუალებების მეშვეობით.

738. **საჰაერო დესანტის გადასხმა** (იხ. დესანტირება)

739. **საჰაერო კოსმოსური მიმართულება –** საჰაერო-კოსმოსური სივრცის ზოლი, რომელშიც საავიაციო და სარაკეტო ძალების დამრტყმელი საშუალებები გაჰყავთ უმოკლესი გზით ბაზირების (გაშლის) ადგილებიდან უმნიშვნელოვანესი სამხედრო ობიექტების და სამრეწველო ცენტრებისკენ. სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულება მოიცავს საჰაერო-კოსმოსურ სივრცეს 1-2 და მეტი კონტინენტური (საოკეანო) საომარი მოქმედების თეატრის ტერიტორიის (აკვატორიის) თავზე; საოპერაციო საჰაერო-კოსმოსური მიმარულება მოქცეულია საომარი მოქმედების თეატრის ერთი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში.

740. **საჰაერო მიზნის გაცილება** – 1) საჰაერო მიზნის ფრენის უწყვეტი რადიოლოკაციური თვალთვალი; 2) სხვადასხვა სახის დაზვერვის (რადიოლოკაციური და სხვა) მონაცემების სამეთაურო პუნქტების პლანშეტებზე საჰაერო მიზნის ფრენის მარშრუტის თანმიმდევრული ასახვა.

741. **საჰაერო მიზნის გადაჭერა** – გამანადგურებლების (გამანადგურებლების ჯგუფის მოცემულ მიზანზე დამიზნების ან დამიზნების გარეშე ფრენა და მისი

განადგურებისათვის მოქმედებები. ხორციელდება აეროდრომზე მორიგეობის, ან ჰაერში მორიგეობის მდგომარეობიდან.

742. **საჰაერო მიზნის მანევრი** – პილოტირებული ან უპილოტო საფრენი აპარატის მიერ ფრენის პარამეტრების (მიმართულების, სიმაღლის, სიჩქარის) შეცვლა, მოწინააღმდეგის მიერ აღმოჩენის, მისი საზენიტომართვადი რაკეტებით(რაკეტსაწინაღო მანევრი), საზენიტო არტილერიის ცეცხლით (ზენიტსაწინაღო მანევრი) ან გამანადგურებლების საცეცხლე საშუალებებით (გამანადგურებელ საწინაღო მანევრი) დაზიანების ალბათობის შემცირების მიზნით.

743. **საჰაერო ოპერაცია –** მოკლე ვადაში ოპერატიული ან სტრატეგიული მიზნების მისაღწევად; შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების (ჯარების, გვარეობების) შენაერთებთან (ნაწილებთან) ურთიერთქმედებით მიმდინარე რამდენიმე საავიაციო გაერთიანების წინასწარ მომზადებული მასირებული საავიაციო დარტყმების, საჰაერო ბრძოლების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით, საომარი მოქმედების ფორმა. საჰაერო ოპერაციის მიზანია: დააზიანოს მოწინააღმდეგის ძალების დიდი დაჯგუფებები (სატანკო და მოტოქვეითი, საზღვაო, საავიაციო, ბირთვულსარაკეტო, საჰაერო); დაანგრიოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ობიექტები, დაარღვიოს სამხედრო და სახელმწიფო მართვა; გაანადგუროს ოპერატიული და სტრატეგიული რეზერვები; ჩაშალოს მოწინააღმდეგის გადაზიდვა-გადაყვანა. საჰაერო ოპერაცია, როგორც წესი, არის ერთობლივი ოპერაცია სამხედრო-საჰაერო ძალების გადამწყვეტი როლის პირობებში.

744. **საჰაერო შეტევითი ოპერაცია** - იხილე საჰაერო ოპერაცია

745. **საჰაერო შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენა და კონტროლი –** საჰაერო თვალთვალი და კონტროლი, უზრუნველყოფილი შორეული აღმოჩენის თვითმფრინავების მიერ, რომლებიც აღჭურვილი არიან მიზნების აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურის კომპლექსით, რადიო სიმაღლემზომებით და შეიარაღების სისტემის მართვის კავშირის მოწყობილობებით.

746. **საჰაერო სროლა** – სროლა ჰაერში მყოფი საფრენი აპარატებიდან, რომელიც წარმოებს საავიაციო ქვემეხებიდან, ტყვიამფრქვევებიდან, ყუმბარმტყორცნებიდან და უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარებიდან, ასევე საფრენ აპარატში მყოფი პირადი შემადგენლობის ცეცხლსასროლი იარაღიდან საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიზნების მიმართ. იმ იარაღიდან საჰაერო სროლისას, რომელიც უძრავად არის დამაგრებული დამიზნება ხდება საფრენი აპარატის მანევრით, სხვა იარაღიდან საფრენი აპარატის მანევრით და საფრენი აპარატის მიმართ იარაღის მიბრუნებით.

747. **საჰაერო თავდაცვა –** იმ ღონისძიებების, ძალების, საშუალებებისა და მოქმედების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად და ჰაერიდან მოსალოდნელი დარტყმებისაგან ობიექტების, მოსახლეობისა და ჯარების დასაცავად. ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ან ცალკეული რეგიონების, სამრეწველო რაიონების, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრების, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებისა და უმნიშვნელოვანესი ობიექტების მასშტაბით საჰაერო თავდაცვა ხორციელდება საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებებითა და სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის)

შეიარაღებული ძალებისა შემადგენლობიდან დანიშნული ჯარებით (ძალებით) და საშუალებებით. ამასთან, განასხვავებენ აქტიურ საჰაერო თავდაცვას - როგორც ძალებისა და საშუალებების მოქმედებას მოწინააღმდეგის საჰაერო დარტყმების მოგერიების ან ეფექტიანობის შემცირების მიზნით, და პასიურ საჰაერო თავდაცვას, რომელიც ითვალისწინებს მოწინააღმდეგის ავიაციის თავდასხმების ეფექტიანობის შემცირებას (დაფარვა, დაფანტვა, შენიღბვა, კამუფლაჟი, დამცავი ნაგებობანი და სხვ.). მშვიდობიან დროს საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებანი უთვალთვალებენ საჰაერო სივრცეს, ხოლო აგრესიის დაწყების შემთხვევაში გამოსცემენ გამაფრთხილებელ ინფორმაციას საჰაერო (სარაკეტო) თავდასხმის შესახებ და ეწევიან საბრძოლო მოქმედებას დარტყმების მოსაგერიებლად.

748. **საჰაერო თავდაცვის გადალახვა** – ორგანიზაციული ღონისძიებები და ავიაციის, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებისა და დაზიანების სხვადასხვა საშუალებების საბრძოლო მოქმედება, რომლის მიზანია შეამციროს მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებათა ეფექტიანობა და უზრუნველყოს ავიაციის მიერ ამოცანების წარმატებით შესრულება ყოველი საბრძოლო გაფრენის დროს. მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ავიაციით გადალახვა თითოეული საბრძოლო გაფრენის დროს ხორციელდება უზრუნველმყოფი მოქმედებისა და სხვადასხვა ტაქტიკური ხერხების შესრულებით. უზრუნველმყოფ მოქმედებას განეკუთვნება: მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ძალებისა და საშუალებების დაზვერვა ფრენის ზოლსა და მიზნის რაიონში; საჰაერო თავდაცვის ყველაზე საშიში ობიექტების შერჩევითი დაზიანება; მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ჰაერში განადგურება; საჰაერო თავდაცვის მართვის სისტემათა რადიოელექტრონული ჩახშობა; შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების საბრძოლო წყობის მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელთა იერიშებისაგან დაფარვა ავიაგამანადგურებლების ძალებით; მოწინააღმდეგის გამანადგურებელი ავიაციის აეროდრომების ბლოკირება და სხვ. ძირითად ტაქტიკურ ხერხებს განეკუთვნება: საბრძოლო ფრენის შესრულება ჩახშობილი საჰაერო თავდაცვის სისტემის ადგილმდებარეობის თავზე ან იმ რაიონების (ობიექტების) გვერდის ავლით, რომლებსაც იფარავენ საზენიტო საშუალებები და ავიაგამანადგურებლები; ფრენა ყველაზე მიზანშეწონილი საბრძოლო წყობით ყველაზე ხელსაყრელ სიმაღლეზე და სიჩქარით; გამანადგურებელსაწინაღო, რაკეტსაწინაღო და ზენიტსაწინაღო მანევრების შესრულება; საჰაერო თავდაცვის გარღვევა.

749. **საჰაერო თავდაცვის რაიონი** – საჰაერო თავდაცვის ჯარების (ძალების) ტერიტორიული გაერთიანება ობიექტების და ჯარების (ძალების) დაჯგუფებებს დასაცავად საჰაერო მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან დადგენილ საზღვრებში ერთიანი ხელმძღვანელობით; საჰაერო თავდაცვის ზონის ნაწილი ან დამოუკიდებელი ელემენტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემაში.

750. **საჰაერო თავდაცვის ზონა** – ევროპაში და ჩრდილოატლანტიკურ კონტინენტზე ნატო-ს გაერთიანებული სისტემის ტერიტორიული და ორგანიზაციული ერთეული. ნატო-ს ევროპული ქვეყნების ტერიტორია დაყოფილია 4 ზონად: ჩრდილოეთის, ცენტრალურ, სამხრეთ და ატლანტიკურ.

751. **საჰაერო თავდაცვითი ბრძოლა** – მიზნის, ადგილისა და დროის მიხედვით შეთანხმებული საზენიტო – სარაკეტო (საზენიტო -საარტილერიო) შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების საცეცხლე მოქმედება საჰაერო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად დამოუკიდებლად ან გამანადგურებელი ავიაციის ერთეულ თვითმფრინავებთან (ტაქტიკურ ჯგუფებთან) ერთობლივად. მიმდინარეობს, როგორც წესი, შეზღუდულ რაიონში ხანმოკლე დროის მანძილზე და შეიძლება იყოს საჰაერო თავდაცვითი ოპერაციის ნაწილი.

752. **საჰაერო თავდაცვითი ოპერაცია** - იხილე საჰაერო თავდაცვის ოპერაცია

753. **საჰაერო თავდაცვითი ოპერაცია** (იხ. საჰაერო ოპერაცია)

754. **საჰაერო ტრასა** – კორიდორი საჰაერო სივრცეში, რომელიც საჰაერო ხომალდების ფრენისთვის არის განსაზღვრული და შეზღუდულია სიმაღლეში და სიგანეში. საჰაერო ტრასა აღიჭურვება მართვის, კონტროლის და ნავიგაციის საშუალებებით. საჰაერო ტრასის სიგანე შეადგენს 10-20 კმ-ს (დამოკიდებულია დამონტაჟებულ ნავიგაციის საშუალებებზე.) საჰაერო ტრასებზე ფრენებს აწარმოებს სამოქალაქო ავიაციის ხომალდები და სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრენები წინასწარ წარდგენილი განაცხადების შესაბამისად. საჰაერო ტრასაზე ორგანიზება უკეთდება ცალმხრივ (პარალელური საჰაერო ტრასების შემთხვევაში) და ორმხრივ შემხვედრ მოძრაობას. ორივე შემთხვევაში საჰაერო ხომალდების შეტაკების თავიდან ასაცილებლად დგინდება მათი ეშელონირება (ვერტიკალური – სიმაღლის, გასწვრივი - დროის და მანძილის, გვერდითი- მანძილის და გზების ხაზების კუთხური გადაწევის მიხედვით).

755. **საჰაერო ვითარება** – ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომელიც შეიქმნა დაპირისპირებული მხარეების ავიაციის და საჰაერო ძალების საბრძოლო მოქმედების შედეგად, ან მათი ყოველდღიური საქმიანობის დროს მოცემულ მომენტში საჰაერო სივრცის განსაზღვრულ რაიონში (ზოლში). მისი ძირითადი ელემენტებია დაპირისპირებული ძალების და საშუალებების შემადგენლობა, ერთმანეთის დამიზნების მიმართ მათი განლაგება; საბრძოლო წყობები, ფრენების მიმართულებები და სიმაღლეები, მხარეების ჰაერში მყოფი ავიაციის ხასიათი და მოქმედებების ხერხები; საჰაერო ძალების და საშუალებების რაოდენობა, საბრძოლო შესაძლებლობები, მოქმედების ხასიათი და ხერხები.

756. **საჰაერო-კოსმოსური ობიექტების ამოცნობა** – ერთ-ერთი კლასის ადრე დანიშნული ალფაბეტის ხილვადი ობიექტის კუთვნილების გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ხორციელდება ტრაექტორული, ტაქტიკური და სასიგნალო ნიშანთვისებებით, რომლებიც რადიოტექნიკური, ოპტიკურ-ელექტრონული და ლოკაციის სხვა საშუალებებით განისაზღვრება.

757. **საჰაერო-სადესანტო მომზადება** - საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის საჰაერო-სადესანტო ჯარების პირადი შემადგენლობის გაწვრთნა მოწინააღმდეგის ზურგში დესანტირებისთვის. საჰაერო-სადესანტო ჯარების საბრძოლო მომზადების ერთ-ერთი წამყვანი საგანი. შედგება ორი ძირითადი ეტაპისგან: ხმელეთზე მომზადებას პარაშუტით ხტომისთვის და სამხედრო ტექნიკის(ტვირთების) დესანტირებისთვის და ხტომის და სამხედრო ტექნიკის(ტვირთების) დესანტირების პრაქტიკული დასრულებისგან. სახმელეთო მომზადება მოიცავს: პარაშუტით ხტომის თეორიულ საფუძვლებს, პარაშუტისტ-მედესანტის სადესანტო პარაშუტების

მატერიალურ ნაწილს და ჩაწყობის წესს, საპარაშუტო ხელსაწყოების, სპეციალური აღჭურვილობის მოწყობილობას და ექსპლუატაციის წესს და იარაღის გამაგრების წესს; პარაშუტით ხტომის ელემენტების დამუშავებას, თვითმფრინავში (ვერტმფრენში) პირადი შემადგენლობის ჩასხდომის და სამხედრო ტექნიკის ჩატვირთვის წესს; ჟანგბადის მოწყობილობის გამოყენების წესს; კომანდების და სიგნალების შესრულებას ხტომისთვის მომზადებისას, თვითმფრინავის(ვერტმფრენის) დატოვების წინ და თვითმფრინავის დატოვების პროცესში საწყისი მდგომარეობის დაკავებას, მედესანტის მოქმედებების განხორციელების დამუშავებას პარაშუტის მუშაობის დროს, დაშვების პროცესში, დაჯდომის მომენტში და სხვა. საჰაერო-სადესანტო მომზადების მე-2 (დამამთავრებელი) ეტაპი სახმელეთო მომზადების პროცესის, ხტომების პრაქტიკული შესრულების და ტვირთების დესანტირების ყველა წესის და მოთხოვნის უზადო და საუცხოვო შესრულება უნდა იყოს.

758. **საჰაერო-სადესანტო ოპერაცია –** საჰაერო-სადესანტო ჯარების, ავიაციის და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების მიზნის, ადგილის, დროის მიხედვით შეთანხმებული და ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით მიმდინარე საბრძოლო მოქმედება მოწინააღმდეგის ზურგში მრავალრიცხოვანი საჰაერო-დესანტების გადასხმის და მათ მიერ დასახული საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის. საჰაერო-სადესანტო ოპერაცია, ჩვეულებრივ, ეწყობა შეტევითი ოპერაციის ფარგლებში იმ საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით, რომლებსაც ვერ გადაწყვეტენ სხვა ჯარები. საჰაერო-სადესანტო ოპერაციის მიზანი შეიძლება იყოს: შემტევი ჯარებისთვის შეტევის მაღალი ტემპით განვითარებაში, დიდი წყლისმიერი დაბრკოლებების შეუჩერებლივ ფორსირებაში, ძნელად გასავლელი რაიონების გადალახვას და მოპირისპირე დაჯგუფებათა ალყაში მოქცევის და განადგურების დასრულებაში ხელის შეუწყობა; მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანესი ობიექტების ხელში ჩაიგდება და მოწინააღმდეგის ჯარების მართვის დაარღვევა, საზღვაო დესანტებთან ურთიერთქმედებით ან დამოუკიდებლად დაუფლება კუნძულების, სრუტის ზონების და სხვათა.

759. **საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია** (კვეთება) **-** სახმელეთო ჯარების, საჰაერო დესანტების და სამხედრო-საჰაერო ძალების მიზნის, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული სამანევრო საბრძოლო მოქმედება სხვადასხვა სახეობის იარაღის, საბრძოლო ტექნიკის და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებათა გამოყენებით. აშშ შეიარაღებული ძალების და სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა გვარეობების ძალების და საშუალებების საბრძოლო გამოყენების კონცეფცია. საჰაერო-სახმელეთო ოპერაციის (კვეთების) მიზნების მიღწევა ითვალისწინებს, საერთო-საჯარისო შენაერთების (ნაწილების) და ტაქტიკური ავიაციის გადამჭრელი მოქმედების უზრუნველყოფას, უშუალოდ დაპირისპირებული მოწინააღმდეგის განადგურების და იმავდროულად მისი მეორე ეშელონების (რეზერვების) ღრმა საცეცხლე (ბირთვული) დაზიანების მიზნით.

760. **საჰაერო-საზღვაო სადესანტო ოპერაცია** – მოწინააღმდეგის მიერ დაცულ ტერიტორიაზე კომბინირებული ოპერატიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) საზღვაო და ოპერატიული საჰაერო დესანტების გადასხმისთვის მიზნის, ადგილის, დროის მიხედვით შეთანხმებული და ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით განხორციელებული

მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას ნაპირზე; საფრონტო ოპერაციის ან საომარი მოქმედების თეატრში სტრატეგიული ოპერაციის შემადგენელი ნაწილი. აწყობენ სახმელეთო ჯარებისა და საზღვაო ძალების გაერთიანებები (შენაერთები) სარდლობის ერთიან სისტემას დაქვემდებარებული დაჯგუფების შემადგენლობით, სამხედრო-საჰაერო ძალებთან ურთიერთქმედებით. საჰაერო-საზღვაო სადესანტო ოპერაციის მიზნები შეიძლება იყოს: დაეუფლონ სრუტის ზონებს, სანაპიროს დიდმნიშვნელოვან რაიონებს, მსხვილ კუნძულ-რაიონებს; ხელი შეუწყონ ჯარებს მოწინააღმდეგის ზღვისპირა დაჯგუფებათა განადგურებაში - შეტევის (კონტრშეტევის) დასაწყისში ან მსვლელობისას.

761. **საინჟინრო დაზვერვა** – იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ადგილმდებარეობის და მისი საინჟინრო მოწყობის, მოწინააღმდეგის საინჟინრო ჯარების მდგომარეობის და შესაძლებლობების შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით; დაზვერვის სახეობა. საინჟინრო დაზვერვა ავლენს მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული პოზიციების და რაიონების საინჟინრო მოწყობის ხასიათს და დონეს, მისი ღობურების სისტემას, ადგილმდებარეობის გამავლობას, საგზაო ქსელის და ხიდების მდგომარეობას, ნგრევის, ხერგილების, ხანძრების და დატბორვის რაიონებს, ადგილმდებარეობის დაბრკოლებების ხასიათს და მათი ფორსირების პირობებს, ადგილმდებარეობის შემნიღბავ და დამცავ თვისებებს, წყალმომარაგების წყაროებს, ადგილობრივი მასალების და სხვა იმ საშუალებების არსებობას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საინჟინრო უზრუნველყოფის ინტერესებისთვის და ა.შ.

762. **საინჟინრო ფსიქოლოგია** – ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგი, „ადამიანი-ტექნიკა" საინფორმაციო-მმართველობით სისტემების შექმნის და ფუნქცირების პრობლემებს იკვლევს. ქტიურად გამოიყენება სამხედრო საქმეში, ფორმირდება, როგორც სამხედრო-სანჟინრო ფსიქოლოგია. მის რეკომენდაციებს ფართო გამოყენება აქვს შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ახალი ნიმუშების შექმნის, პროფესიული შერჩევის, სამხედრო მოსამსახურეების სწავლის, ჯარების და საბრძოლო საშუალებების მართვის დროს.

763. **საინჟინრო ვითარება** – იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ ადგილმდებარეობის და საინჟინრო მოწყობის მდგომარეობას, საინჟინრო ჯარების (მოწინააღმდეგის და საკუთარი) მდგომარეობას და შესაძლებლობებს, სხვა ჯარების, ძალების და საშუალებების შესაძლებლობებს და მოქმედებას საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანების შესასრულებლად, საერთო ვითარების ელემენტი. საინჟინრო ვითარებაში შედის: საინჟინრო ჯარების (საკუთარი და მოწინააღმდეგის) შემადგენლობა და დაჯგუფება, ბუნებრივი დაბრკოლებების და ღობურების დახასიათება, ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობა საბრძოლო მოქმედების ზოლში და მათი გავლენა ჯარების მოქმედებაზე, ადგილმდებარეობის ტაქტიკური თვისებების შეცვლაზე დაზიანების საშუალებათა ზემოქმედების შედეგად, აგრეთვე სხვადასხვა საშუალებებით და ხერხებით საინჟინრო ამოცანების შესრულების შესაძლებლობები.

764. **საკოლონო გზა** – გზებს მიღმა შერჩეული და ჯარების მოძრაობისთვის მოწყობილი მარშრუტი. საკოლონო გზის მიმართულებას შეძლებისდაგვარად მისი მოწყობისთვის ნაკლები მოცულობის სამუშაობების გათვალისწინებით შეარჩევენ.

765. **საკომუნიკაციო მიმართულება** 1/734 ამოღებულია

766. **საკონტროლო ფრენა** – დამოუკიდებლად ფრენებისთვის დაშვებისთვის პილოტირების ტექნიკის შესამოწმებლად, ორმაგი მართვის თვითმფრინავზე (ვერტმფრენზე) მოსწავლე მფრინავის ინსტრუქტორთან ერთად ფრენა.

767. **საკონტროლო ტყვე** – არსებული სადაზვერვო მონაცემების დადასტურების, ან დაპირისპირებული ჯარების დაჯგუფებაში ცვლილებების აღმოჩენის მიზნით, ტყვეობაში აყვანილი მოწინააღმდეგის სამხედრო მოსამსახურე.

768. **საკუთარი ჯარების აღნიშვნა** – ღონისძიებები და მოქმედებები, რომლებიც ჯარებს (ძალებს) ადგილმდებარეობაზე, ზღვაში და ჰაერში, წინასწარ დადგენილი სიგნალებით ერთმანეთის ამოცნობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. მრავალი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ხორციელდება საბრძოლო მოქმედებების და საჯარისო სწავლებების დროს საკუთარი ჯარების და ობიექტების მიმართ დარტყმების მიყენების შემთხვევების გამორიცხვის მიზნით. საკუთარი ჯარების აღნიშვნისთვის გამოიყენება ვიზუალური, ხმოვანი, რადიო, რადიო-ტექნიკური და სხვა სიგნალები.

769. **სალაშქრო წყობა** – მარშის შესრულებისთვის ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების, ხომალდების მათი გაძლიერების საშუალებებით დაწყობა. ნაწილების და შენაერთების სალაშქრო წყობა კოლონებისგან შედგება, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია სამხედრო ინსტანციის მასშტაბისგან, მისი ორგანიზაციის, სტრუქტურის, მიღებული საბრძოლო ამოცანის და მარშრუტების რაოდენობისგან. მრავალი ქვეყნის სალაშქრო წყობა ჩვეულებრივ შედგება დაფარვის ჯარებისგან (მეწინავე რაზმებისგან), სალაშქრო დაცვისა და მთავარი ძალებისგან.

770. **სამანევრო ბაზირების პუნქტი** - პუნქტი საბრძოლო ხომალდების და გემების მოკლევადიანი დგომისთვის.

771. **სამარშო მომზადება** – ჯარების სწავლება მარშის ორგანიზაციის და განხორციელებისთვის. სამარშო მომზადება მოიცავს: ოფიცრების მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტების შესწავლას და ვარჯიშებს მათი ორგანიზაციის და დაგეგმვისთვის; პირადი შემადგენლობის საბრძოლო მანქანებზე ჩასხდომაში (გადმოსხმაში) ვარჯიშებს; მარშის მოძრაობის დისციპლინის, უსაფრთხოების ზომების და ყოველმხრივი უზრუნველყოფის დამუშავებას; მოქმედებებს შესვენებებზე, სხვადასხვა წინაღობების გადალახვის, აგრეთვე მოწინააღმდეგის თავდასხმის დროს; მოქმედებებს დაცვის დაზვერვის და სხვა ორგანოების შემადგენლობაში. სამარშო მომზადებაში განსაკუთრებული ადგილი მექანიკოს-მძღოლების(მძღოლების) მომზადებას უკავია. წარმოგვიდგება მათი ტექნიკური მომზადების, ტარების და ტაქტიკური მომზადების სახით. სამარშო მომზადების ძირითადი და ყველაზე ეფექტური სახეობაა ტაქტიკური სწავლებები და მანევრები.

772. **სამარშო ქვედანაყოფი** – ომის დროს, დროებითი სახედრო ფორმირება (ბატალიონი, ასეული, გუნდი), რომელიც იგზავნება მოქმედი არმიის ნაწილების დასაკომპლექტებლად. ყალიბდება პირადი შემადგენლობისგან, რომელსაც განვლილი აქვს მომზადება სასწავლო და სათადარიგო ნაწილებში, სასწავლო

ცენტრებში და პოლიგონებზე. პირადი შემადგენლობის გაგზავნის წინ სამარშო ქვედანაყოფი იღებს ეკიპირების სრულ კომპლექტს და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას საგზლად.

773. **სამეცნიერო მუშაობა შეიარაღებულ ძალებში** – მიზნებზე, დროზე და რესურსებზე კოორდინირებული სამეცნიერო კვლევების (ექსპერიმენტების) და დამუშავებების, საორგანიზაციო და უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას იძლევა პრაქტიკულად განხორციელდეს შეიარაღებული ძალების მშენებლობის მიმართულებების პროგნოზირება და დასაბუთება, ჯარების და ძალების დაჯგუფებების შექმნის და გამოყენების ოპერატიულ-სტრატეგიული დებულება, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ნიმუშების და სისტემების მოთხოვნების ფორმირება და რეალიზება. სამეცნიერო მუშაობის ძირითადი ფორმებია: თეორიული კვლევების ჩატარება გათვლის, მოდელირების და მაკეტირების შედეგების აპრობაციით; ოპერატიული და საბრძოლო მომზადების ღონისძიებების დამუშავებული თეორიული პროგრამების და მეთოდების შედეგების ბაზაზე კვლევების აპრობაცია; სახელმძღვანელო ნორმატიული დოკუმენტების პროექტების დამუშავება (წესდებები, დარიგებები, გათვლების მეთოდიკა და ნორმატივები ცხრილები და სხვა); თავდაცვის მრეწველობაში სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო მუშაობის უზრუნველყოფაში მონაწილეობა; სამეცნიერო ნაშრომების და მონოგრაფიების, სამხედრო ენციკლოპედიების და ლექსიკონების დამუშავება და სხვა.

774. **სამეთაურო სიმაღლე** – ადგილმდებარეობაზე გაბატონებული სიმაღლე, რომლიდანაც მისი მნიშვნელოვანი ელემენტები მოჩანს. სამეთაურო სიმაღლის მახასიათებლები მოცემულია სამხედრო-ტოპოგრაფიულ აღწერილობებში და ცნობარებში. სამეთაურო სიმაღლის დაკავება მოწინააღმდეგეზე ოპერატიულ-ტაქტიკური და საცეცხლე უპირატესობის მოპოვებას უზრუნველყოფს.

775. **სამკერდე ნიშნები** – სამხედრო მოსამსახურეების განმასხვავებელი მკერდზე სატარებელი სხვადასხვა სახის ნიშნები. განასხვავებენ – დაჯილდოების (მიღწვისთვის), სამახსოვროს (მათ შორის საიუბილეოს), საინფორმაციოს და წევრობის.

776. **სამხედრო არქივები** – 1. დოკუმენტური მასალების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნა სამხედრო ნაწილების და სხვა სამხედრო ფორმირებების საქმიანობის პროცესებში. 2. დაწესებულება, რომელიც ახორციელებს დამთავრებული საქმისწარმოებით სამხედრო დოკუმენტაციის მიღებას, შენახვას, სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებას და გამოყენებას.

777. **სამხედრო ატლასები** - რუკების სისტემატიზებული კრებული, სამხედრო გეოგრაფიის, მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკის, სამხედრო ისტორიის შესწავლისათვის გვეველინება სახელმძღვანელოდ. უმეტეს გამოცემას განმარტებითი ტექსტი გააჩნია.

778. **სამხედრო ბიბლიოგრაფია -** სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობის დარგი სამხედრო ლიტერატურის ნაწარმოების შერჩევის, აღწერის, სისტემატიზაციის და პროპაგანდის, აგრეთვე მისი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების გამოცემის გზით მისი შინაარსიის ინფორმაციის თაობაზე; სიების, რეფერატების ანოტაციების და სხვა. სამხედრო-ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია დროის გამოშვებით იყოფა:

პერსპექტიულ, რეტროსპექტიულ და მიმდინარედ; შინაარსით – რეგისტრაციულ, თემატიურ და პერსონალ.

779. **სამხედრო ბიბლიოთეკები -** შეიარაღებულ ძალებში კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-საინფორმაციო დაწესებულებები, სპეციალურად ფორმირებული ლიტერატურის ფონდებით, პერიოდული პრესით, დოკუმენტებით, განკუთვნილი მათი შენახვის, გავრცელების და მათი საზოგადოებრივი გამოყენებისთვის.

780. **სამხედრო ბიუჯეტი** – კანონმდებლობის წესით დამტკიცებული ფულადი სახსრების ფონდი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა სამხედრო საჭიროებისთვის. სამხედრო ბიუჯეტი, ჩვეულებრივ, განისაზღვრება მომავალი საფინანსო წლისთვის, მთელ რიგ ქვეყნებში – უფრო ხანგრძლივი ვადისთვის, წლების მიხედვით განაწილებით. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა კარებისგან განსხვავებით, რომლებიც შემოსავალ-გასავლის ბალანსს შეიცავენ, სამხედრო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი, როგორც წესი, უმნიშვნელოა. მისი მთავარი კომპონენტია თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, რომლის წილადაც, ჩვეულებრივ, მოდის ოფიციალური სამხედრო ხარჯების სულ ცოტა 90%. მეტ წილ ქვეყნებში თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯების დაყოფას როგორც მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, ისე უწყებრივი კუთვნილების მიხედვით. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ სამხედრო ბიუჯეტის მოცულობის დაგეგმვა შეიარაღებული ძალებისთვის დასახული ამოცანებიდან გამომდინარე – ეს არის ნებისმიერი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის საიმედო უზრუნველყოფის კანონი. ამ პრინციპის დაუცველობამ შეიძლება, სულ მოკლე ვადაში დაანგრიოს ეროვნული თავდაცვის სისტემა, რომელიც წლების მანძილზე იქმნებოდა.

781. **სამხედრო დანაკარგები** – ზარალი, რომელიც მოპირისპირე მხარეებს ადგება ომის (საომარი კონფლიქტის) შედეგად. მასში შედის: ადამიანთა დანაკარგები, ცხოველების, შეიარაღების და სამხედრო-ტექნიკის, მატერიალური საშუალებების დანაკარგი ფრონტზე და ზურგში, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევით გამოწვეული ზიანი. იყოფა სხვადასხვა სახეობის იარაღის ზემოქმედებასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანაკარგებად და არაპირდაპირ დანაკარგებად. თავის მხრივ, პირდაპირი სამხედრო დანაკარგები იყოფა საბრძოლო და არასაბრძოლო (არა საბრძოლო ვითარებაში მიყენებულ) დანაკარგებად, აუნაზღაურებელ და ანაზღაურებად (დროებით) დანაკარგებად.

782. **სამხედრო დემოგრაფია** – მეცნიერული დისციპლინა, რომელიც იკვლევს ხალხთა პრობლემებს სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ცალკეული ქვეყნების, რეგიონების, მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ზრდაზე ომების და საომარი კონფლიქტების უშუალო და გასაშუალოებულ გავლენას. წარმოიშვა სამხედრო მეცნიერების და დემოგრაფიის შესაყარზე. სამხედრო დემოგრაფიის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს განეკუთვნება: სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობების, მათ შორის, შეიარაღებული ძალების და ეკონომიკისთვის საჭირო სამობილიზაციო რეზერვების, მობილიზაციის და დემობილიზაციის პროცესების შესწავლა; სამხედრო დანაკარგებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; მოსახლეობის მიგრაციის კვლევა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებსაც წარმოშობს ომისწინა, ომიანობის და

ომისშემდგომ წლებში სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, მობილიზაცია და დემობილიზაცია, მოსახლეობის, ჯარების, შრომითი რესურსების ევაკუაცია და რეევაკუაცია; ომის უახლოესი და შორეული დემოგრაფიული შედეგების – მეომარ სახელმწიფოთა მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის კლების, მისი ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის შეცვლის, შობადობის და ქორწინებათა რაოდენობის შემცირების ანალიზი და სხვ.

783. **სამხედრო დიდაქტიკა** – სამხედრო პედაგოგიკის დარგი, რომელიც სწავლების პროცესში სამხედრო მოსამსახურეების და სამხედრო კოლექტივების სწავლების თეორიას, მათ აღზრდას და ფსიქოლოგიურ მომზადებას ამუშავებს. ასაბუთებს და ხსნის ჯარისკაცების სწავლების მიზნებს, შინაარსს, პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებს, განიხილავს მას, როგორც სოციალურ-პედაგოგიურ პროცესს, რომელშიც შემდეგი ფუნქციები რეალიზდება: საგანმანეთლებლო (მეომრების ცოდნის, ჩვევების და ოსტატობის სისტემით აღჭურვა); აღმზრდელობითი(სამხედრო მოსამსახურეების ინტელექტუალური და ფიზიკური ძალის განვითარება); ფსიქოლოგიური მომზადება(საბრძოლო და სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისთვის ფსიქოლოგიური მზადყოფნის ფორმირება). სოციოლოგიის ფიზიოლოგიის უმაღლესი ნერვიული ქმედების, ლოგიკის, კიბერნეტიკის და მათემატიკის მონაცემების გამოყენებით - სამხედრო დიდაქტიკის ამ ფუნქციებს სამხედრო პედაგოგიკის და სამხედრო ფსიქოლოგიის სხვა ნაწილებთან ურთიერთქმედებით ახორციელებენ.

784. **სამხედრო დროშა** – სამხედრო ნაწილის გამაერთიანებელი ნიშანი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების კუთვნილებაზე მიუთითებს; გაჩნდა უძველეს დროში; თავდაპირველად, დროშის როლს ხის ტარს ზემოთ მოთავსებული განსაზღვრული ფიგურები (არწივი, ბუ და სხვა) ასრულებდნენ, ხოლო მე-9 საუკუნიდან ტართან ქსოვილს ამაგრებდნენ; მე-16 საუკუნის დასაწყისში სამხედრო დროშის სახელწოდება და სხვადასხვა ნაწილებისთვის განსაზღვრული შეფერილობის დროშები დაწესდა;

785. **სამხედრო ეშელონი** - ერთ მატარებელში, ერთ გემზე გადასაზიდი სამხედრო ნაწილი (ერთი ან რამოდენიმე ქვედანაყოფი) ან სამხედრო ტექნიკის პარტია. ნაოსნობის გზებით გადაადგილებულები ხომალდები და გემები სამხედრო ეშელონებში ორგანიზდებიან. სამხედრო საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვების დროს თითოეული საჰაერო ხომალდისთვის სამხედრო გუნდები კომპლექტდება. სამხედრო ეშელონმა შეიძლება დაიკავოს ერთი ვაგონიდან მატარებლის სრულ შემადგენლობამდე ან გემის ერთი სათავსოდან სრულამდე, მაგრამ ერთ მატარებელში (გემზე) შესაძლოა რამოდენიმე სამხედრო ეშელონის გადაზიდვა.

786. **სამხედრო ფსიქოლოგია** – ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მშვიდობიან დროს და საბრძოლო ვითარებაში მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისას ცალკეული სამხედრო მოსამსახურის და სამხედრო ფორმირებების ფსიქიკის ფუნქციონირების, განვითარების და გამოვლინების კანონზომიერებებას. შეიმუშავებს რეკომენდაციებს პირადი შემადგენლობის შესწავლის, შერჩევის, სწავლების, აღზრდის, მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადების თეორიის და პრაქტიკის სრულყოფის, ჯარების მართვის, სხვა

სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის გაუმჯობესებისთვის.

787. **სამხედრო გეოგრაფია** – გეოგრაფიის სპეციალური დარგი, რომელიც იკვლევს პოლიტიკური ძალების განლაგებას, ქვეყნების (სახელმწიფოთა კოალიციების) ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს, ბუნებრივ პირობებს და მათ გავლენას ომის (საომარი მოქმედების) მზადებასა და წარმოებაზე.

788. **სამხედრო გეოლოგია** - გამოყენებითი გეოლოგიის დარგი, რომელიც ჯარების საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფის მიზნით შეისწავლის ადგილმდებარეობის გეოლოგიურ აგებულებას და მის ჰიდროგეოლოგიურ პირობებს. მიზნათ ისახავს ფორტიფიკაციური, ჰიდროტექნიკური და სხვა სამხედრო ნაგებობების, აეროდრომების, სამხედრო გზების და ხიდების, ადგილმდებარეობის გამავალობის შეფასების, მიწისქვეშა წყლების და ბუნებრივი საშენი მასალების ძებნის და დაზვერვის გეოლოგიურ დასაბუთებას.

789. **სამხედრო ჰერალდიკური ნიშანი** - იხილე შეიარაღებული ძალების ემბლემ

790. **სამხედრო ინსტიტუტი –** სხავადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს ოფიცერ-სპეციალისტისტების (უმაღლესი სამხედრო-სპეციალური განათლების ოფიცრების) მომზადებას პირველადი საოფიცრო თანამდებობების დასაკავებლად, ზემდგომ თანამდებობებზე დაწინაურების პერსპექტივით.

791. **სამხედრო მართლწესრიგი –** შეიარაღებულ ძალებში საერთო და სამხედრო კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა. სამხედრო მართლწესრიგის ხასიათს განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების დანიშნულება, რომელიც დამკვიდრებულია სახელმწიფოს კონსტიტუციით, სამხედრო დოქტრინით და სამხედრო კანონმდებლობით.

792. **სამხედრო მეცნიერება** – სისტემა კანონების ცოდნის, ომის სამხედრო სტრატეგიული ხასიათის, მისი თავიდან აცილების გზების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის და ქვეყნის საომრად მომზადების, შეიარაღებული ბრძოლის წარმოების ხერხების შესახებ. ომს, როგორც რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას სწავლობს ბევრი საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერება. სამხედრო მეცნიერების ძირითადი საგანია ომში შეიარაღებული ბრძოლა. სამხედრო მეცნიერება სწავლობს შეიარაღებული ბრძოლის პრობლემებს, ამასთან ითვალისწინებს მისი მიმდინაერეობის და შედეგის დამოკიდებულებას მეომარი მხარეების ეკონომიკურ, მორალურ – პოლიტიკურ, მეცნიერულ–ტექნიკურ და სამხედრო შესაძლებლობების თანაფარდობაზე, მის ფორმებს, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბით მომზადების და წარმოების ხერხებს; შეიარაღებული ძალების შემადგენლობას, ორგანიზაციას და ტექნიკურ აღჭურვილობას; სამხედრო სწავლების და აღზრდის, მოსახლეობის და სამობილიზაციო რესურსების საომრად მომზადების პრობლემებს, მშვიდობიან და ომიანობის დროს ჯარების (ძალების) მართვის (ხელმძღვანელობის) შინაარსს, ფორმებსა და მეთოდებს; ომის და შეიარაღებული ბრძოლის ურთიერთკავშირს პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან, აგრეთვე მათ გავლენას შეიარაღებული ძალების მშენებლობის, მომზადების და საბრძოლო გამოყენების პოლიტიკურ უზრუნველყოფაზე. სამხედრო მეცნიერების შინაარსს და მიზანმიმართულებას

განსაზღვრავს სამხედრო დოქტრინა; თავის მხრივ, სამხედრო მეცნიერების დასკვნები და რეკომენდაციები გამოიყენება სამხედრო დოქტრინის შემუშავებისას. სამხედრო მეცნიერებამ, რომელიც უძველეს ხანაში ჩაისახა, განვითარების რთული გზა განვლო. სამხედრო მეცნიერების თანამედროვე სტრუქტურაში განასხვავებენ: სამხედრო მეცნიერების ზოგად საფუძვლებს (ზოგად თეორიას), სამხედრო ხელოვნების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, სამხედრო სწავლების და აღზრდის, შეიარაღებული ძალების მართვის, შეიარაღების, სამხედრო ეკონომიკის და ზურგის, შეიარაღებული ძალების სახეების თეორიებს, აგრეთვე ომის ისტორიის შესაბამის კარს. სამხედრო მეცნიერების თითოეულ შემადგენელ ნაწილს აქვს საკუთარი სტრუქტურა, რომელშიც ცოდნის შესაბამისი დარგის საფუძვლების გარდა შეიძლება ცალკე გამოიყოს რამდენიმე კარი (კერძო თეორია). სხვა მეცნიერებებთან ერთად სამხედრო მეცნიერება სწავლობს სამოქალაქო თავდაცვის პრობლემებს. შეიარაღებული ბრძოლის ხასიათის შეცვლას შედეგად მოჰყვა საზოგადოებრივ – საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებთან სამხედრო მეცნიერების კავშირის გაფართოება, ამ მეცნიერებებში სამხედრო პრობლემატიკის გამოყოფა და ცოდნის იმ სპეციალური დარგების ჩამოყალიბება, რომლებიც მიზნად ისახავენ ამოცანების გადაწყვეტას ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების, ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობის და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების ინტერესებისთვის. სამხედრო მეცნიერება სამხედრო მშენებლობის ყოველ ეტაპზე ხელმძღვანელობს სამხედრო დოქტრინის პრინციპებით, დებულებებით და დასკვნებით. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, ყოველმხრივ და ღრმად იქნეს გამოკვლეული ომის და მშვიდობის პრობლემები თანამედროვე ეპოქაში, შემუშავდეს რეკომენდაციები და შესრულდეს ომის თავიდან აცილების და ქვეყნის საიმედო თავდაცვის უზრუნველყოფის სხვა პასუხსაგები და რთული ამოცანები.

793. **სამხედრო მეცნიერების დოქტორი** – უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი იმ პირებისთვის, რომლებიც სამხედრო მეცნიერების დარგში კვლევებს აწარმოებენ.

794. **სამხედრო მეცნიერების მეთოდები** – სამხედრო ცოდნის სისტემის სამხედრო-სამეცნიერო კვლევის, დამუშავების, დასაბუთების და განვითარების ხერხების და საშუალებების ერთობლიობა. უნივერსალურობის ხარისხით გამოყოფენ სამ ჯგუფს: ფილოსოფიურ, საერთო სამეცნიერო და სპეციფიურ მეთოდებს. მიზნობრივი დანიშნულების და ამოცანების გადაწყვეტის ხასიათით – ემპირიულ და თეორიულ მეთოდებს. მიღებული მონაცემების გამოყენების და დამატებების ეფექტური ხერხი და ერთდროულად წამოყენებული იდეების და ჰიპოტეზების შეფასება არის სამხედრო ექსპერიმენტი, რომელიც შესასწავლ ობიექტზე, ფუნქცირების პირობების შეცვლაზე, სპეციალური ხელსაწყოების, დანადგარების გამოყენებაზე, აქტიურ ზემოქმედებას მოითხოვს.

795. **სამხედრო მედიცინა** – სამეცნიერო ცოდნის და პრაქტიკული მოღვაწეობის სისტემა შეიარაღებული ძალების ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის და სამედიცინო უზრუნველყოფის თაობაზე.

796. **სამხედრო მემუარები** – საბრძოლო მოქმედებების მონაწილეების წერილობითი მოგონებები, რომელიც ეყრდნობა პირად შთაბეჭდილებებს, ჩანაწერებს, დღიურებს,

წერილებს, დოკუმენტებს. მათ აქვთ სამეცნიერო, შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

797. **სამხედრო მოქმედებების კოორდინაცია** – საერთო მიზნის მისაღწევად შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების შეთანხმებული ძალვა. სტრატეგიული მასშტაბის ოპერაციის მომზადების და წარმოების ან მთლიანობაში ომში სახელმწიფოს (კოალიციის) შეიარაღებული ძალების სტრატეგიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. სამხედრო მოქმედებების კოორდინაციის დროს განისაზღვრება შეთანხმებული მოქმედებების სახეობები და მიზნები, მასში მოქმედი შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების შემადგენლობა, შესასრულებელი ამოცანების ხასიათი და მოცულობა, ხერხები, მათი შესრულების თანმიმდევრობა და ვადები, მიმართულებების რაიონები (ზონები) და მოქმედებების თანმიმდევრობა. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოქმედებების კოორდინაცია დირექტივული ხასიათს ატარებს, სხვა შემთხვევებში სამთავრობო დონეზე ხელშეკრებულების პროცესის სახით გვევლინება.

798. **სამხედრო მოქმედებების თეატრის მომზადება** – ორგანიზაციული, ტექნიკური, საინჟინრო და სხვა ღონისძიებების სისტემა, რომლებიც სამხედრო მოქმედებების თეატრში ხორციელდება ომში შეიარაღებული ძალების ან მათი ნაწილის ორგანიზებული ჩაბმის უზრუნველყოფისა და საომარი მოქმედების წარმატებით წარმოების მიზნით. თავდაცვისათვის (ომისათვის) ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ტერიტორიის მომზადების საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება მშვიდობიან დროს და ომის მსვლელობისას. მოიცავს გამაგრებული რაიონების შექმნას; სარკინიგზო და საავტომობილო გზების, აეროდრომთა ქსელის მშენებლობას და განვითარებას; სამხედრო-საზღვაო ბაზების და სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზირების პუნქტების შექმნას; პოზიციების (რაიონების, პუნქტების) მოწყობის სანაპირო არტილერიის, საჰაერო თავდაცვის საშუალებების, სარაკეტო ჯარების, სათვალთვალო საგუშაგოების, მართვის პუნქტებისთვის; კავშირგაბმულობის, მატერიალური უზრუნველყოფის სისტემის მომზადებას: სანავიგაციო ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური, ტოპოგეოდეზიური ღონისძიებების მოწყობას და სხვ. სამხედრო ტექნიკის, ომის წარმოების ხასიათის და ხერხების განვითარებამ განაპირობეს ის, რომ სამხედრო მოქმედებების თეატრის მომზადება კიდევ უფრო რთული და შრომატევადი საქმე გახდა. იგი მოიცავს არა მარტო ტერიტორიას და აკვატორიებს, არამედ აგრეთვე საჰაერო-კოსმოსურ სივრცეს, უკავშირდება სახელმწიფოს ეკონომიკის მომზადებას შეიარაღებული ძალების უზრუნველსაყოფად და მოსახლეობის მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცას.

799. **სამხედრო მოქმედებების უზრუნველყოფის გეგმები** – საბრძოლო დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებების უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახეობის ამოცანების შემსრულებელი ძალებისა და საშუალებების მოქმედების წესს; გაერთიანებაში – ოპერაციის გეგმის შემადგენელი ნაწილი. სამხედრო მოქმედებების უზრუნველყოფის გეგმებში აისახება სამხედრო მოქმედებების უზრუნველყოფის სახეობის ამოცანები, გამოყოფილი ძალები და საშუალებები, მათი გამოყენების ხერხები ოპერაციის (ბრძოლის) მომზადებისა და მსვლელობისას.

800. **სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვა** – ბრძოლებში დაღუპულთა, დასახიჩრების (ჭრილობის, ტრამვის, კონტუზიის), დაავადების შედეგად და სხვა მიზეზებით გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა დასაფლავება მხედრული პატივმიგების წესების დაცვით. სრულდება სამხედრო სასაფლაოებზე, საზოგადოებრივი სასაფლაოების მეომართა უბნებზე, ინდივიდუალურ და საძმო საფლავებზე; საბრძოლო ვითარებაში დასაშვებია სამხედრო მოსამსახურეთა დაკრძალვა უშუალოდ ბრძოლის ველზე. სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებზე დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ნეშტი შეიძლება ზღვას მიაბარონ. დაკრძალულთა სახელები, დაკრძალვის ადგილი და თარიღი შეაქვთ სპეციალურ წიგნებში (სავახტო ჟურნალებში).

801. **სამხედრო მოსამსახურეების დასაფლავება** – ბრძოლებში დაცემული, დაღუპული (გარდაცვლილი), დასახიჩრებული (დაჭრილი, ტრავმირებული, კონტუზირებული), დაავადებული და სხვა მიზეზებით სამხედრო მოსამსახურეების დასაფლავება დაწესებული წესით და სამხედრო პატივის მიგებით ხორციელდება სამხედრო სასაფლაობებზე, საზოგადოებრივი სასაფლაობების სამხედრო მონაკვეთებზე, ინდივიდუალურ და ძმათა საფლავებში; საბრძოლო ვითარებაში დასაშვებია უშუალოდ ბრძოლის ველზე დასაფლავება. სახელები, ადგილები და თარიღები სპეციალურ წიგნებში შეაქვთ.

802. **სამხედრო მუზეუმები** – შეიარაღებული ძალების და სხვა ჯარების სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც სამხედრო საქმის ისტორიასა და განვითარებასთან დაკავშირებული რელიკვიების და ნივთების დაკომპლექტებას, შენახვას, შესწავლას და სახალხო ჩვენებას ახორციელებენ.

803. **სამხედრო ნაწილების წარჩინების ნიშნები** – ბრძოლებში გამორჩეული ნაწილებისა და მათი სამხედრო მოსამსახურეებისათვის გადაცემული ნიშნები.

804. **სამხედრო ორკესტრი** – დაწესებული ინსტრუმენტალური და მუსიკალური შემადგენლობის სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფი, დანიშნული მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისთვის სამხედრო რიტუალების, საზეიმო ღონისძიებების, აგრეთვე პირადი შემადგენლობის კულტურულ-თავისუფალ, სპორტ-მასობრივი მუშაობის მუსიკალური გაფორმებისთვის, მუსიკალურ-ესტეტური აღზრდისთვის, საკონცერტო შემოქმედებისთვის და სხვა.

805. **სამხედრო პატივი** – პატივიცემის გამჟღავნების ფორმა; სამხედრო რიტუალების შემადგენელი ნაწილი; სამხედრო პატივის მიგების დროს ჩვეულებრივ საპატიო ყარაული ეწყობა, სრულდება სახელმწიფო ჰიმნი წარმოებს სალუტი და სხვა.

806. **სამხედრო პოლიტოლოგია** – სამეცნიერო ცოდნის სისტემა, სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა, რომელიც ხსნის სამხედრო ძალის როლს კაცობრიობის ისტორიაში, მისი ორგანიზაციის ხერხებს და გამოყენებას სახელმწიფოების საერთაშორისო ურთიერთობებში, შიდა და საგარეო პოლიტიკაში. შეისწავლის ისტორიაში სამხედრო ძალადობის ადგილს და დროს, მის მამოძრავებელ ძალებს, სუბიექტებს და ფორმებს; თანამედროვე სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურ მექანიზმს, სტრუქტურას და ინსტიტუტებს; სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების მდგომარეობას და ტენდენციას ცალკეულ სახელმწიფოებში და მსოფლიოში მთლიანად; სამხედრო მშენებლობის სოციალურ-პოლიტიკური

პრობლემების თეორიას და პრაქტიკას; სამხედრო-პოლიტოლოგიური ცოდნის განვითარების ისტორიას. გააჩნია კვლევების სამი დონე – საერთო, შედარებითი და გამოყენებითი.

807. **სამხედრო პრაქტიკა** – საზოგადოებრივი პრაქტიკის განსაკუთრებული სახეობა, საგნობრივი მოღვაწეობა სამხედრო ძალის შექმნის და გამოყენების სფეროში. მის სუბიექტებად გამოდიან სახელმწიფო და მისი კოალიციები, ხალხები, ეროვნებები და სხვა სოციალური ერთობები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და სოციალური ინსტიტუტები სამხედრო საქმით დაკავებულები, და სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული თანამდებობრივი პირები და მოქალაქეები.

808. **სამხედრო პრესა** – ბეჭდვითი პროდუქცია, მიძღვნილი სხვადასხვა სახის სამხედრო თემატიკაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და მკითხველ-სამხედრო მოსამსახურისთვის განკუთვნილი. მოიცავს გამოცემის ორ ჯგუფს: პერიოდულს (სამხედრო გაზეთებს, სამხედრო ჟურნალებს, ბიულეტენებს და სხვა) და არაპერიოდულს (წიგნებს, ბროშურებს და სხვა).

809. **სამხედრო პროფესიოლოგია** – სამხედრო პროფესიონალიზაციის კანონზომიერებების და თავისებურებების შემსწავლელი სოციოლოგირი ცოდნის დარგი. განიხილავს სოციალურ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, სოციოლოგიურ, ისტორიულ-პროფესიოლოგიურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ეთიკურ, ესთეთიკურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ, მმართველობით-ორგანიზაციულ და ამ პროცესის სხვა ასპექტებს. მოიცავს პროფესიოგრაფიას, სამხედრო-პროფესიული ორიენტაციის თეორიას, შეიარაღებულ ძალებში პროფესიული შერჩევის თეორიას, სამხედრო-პროფესიული მომზადების სამეცნიერო საფუძვლებს, სამხედრო-საკადრო პოლიტიკის თეორიას და პრაქტიკას.

810. **სამხედრო საფლავები** – სამშობლოსათვის დაღუპულების სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვის ადგილი. მათ მიეკუთვნება: სამხედრო სასაფლაოები, საერთო სასაფლაოებზე ცალკეული სამხედრო მონაკვეთები, ინდივიდუალური და ძმათა საფლავები, კოლუმბარიები და დაღუპულების ფერფლის ყუთები, ოკეანების და ზღვების აკვატორიებში, საბრძოლო ხომალდების, საზღვაო, მდინარის და საჰაერო ხომალდების ეკიპაჟებითურთ დაღუპვის დაკრძალვის ადგილები. ინახება ჟენევის კონვენციის 1949წ. დებულების და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

811. **სამხედრო სასაფლაო** – ბრძოლის ველზე დაცემული, ან ჭრილობებსა და დაავადებებისგან მკვდარი სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვისთვის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია.

812. **სამხედრო შემეცნება** – სულიერი წარმოების სახეობა, სამხედრო მოვლენების და პროცესების შეძენის და გათვითცნობიერების პროცესი განხორციელებული სამხედრო პრაქტიკის შედეგად და საფუძველზე. სამხედრო შემეცნების შედეგად მიღებული და პრაქტიკით შემოწმებული ცოდნა, უპირველეს ყოვლისა კონცეპტუალურები სამხედო მეცნიერებაში ჩაირთვება. სამხედრო შემეცნების რამოდენიმე სახეობას განასხვავებენ – სამხედრო-თეორიულ, სამხედრო-ისტორიულ, სამხედრო-შემეცნებით საქმიანობას და სამხედრო პრაქტიკულს.

813. **სამხედრო ვეტერინარია** - ცხოველების დაავადებების და სამხედრო მოსამსახურეებზე მათი ზემოქმედების შემსწავლელი ვეტერინარიის დარგი.

ამუშავებს შეიარაღებული ძალების ვეტერინარული უზრუნველყოფის წესს მშვიდობიან და ომიანობის დროს. მიმართულია პირადი შემადგენლობის ინფექციური დაავადებებისგან დაცვისთვის, საერთოდ ადამიანებისა და ცხოველებისთვის, დაზიანებებისგან დაკავშირებული უხარისხო პროდუქტების მიღებაზე, მათ შორის, დასნებოვნებული რადიოაქტიური, ტოქსიკური, ქიმიური ნივთიერებებით, აგრეთვე საჯარისო და სასურსათო ცხოველების დაავადებების წარმოშობის პროფილაქტიკაზე და დაავადებების ლიკვიდაციაზე. პირველ პლანზე წამოიწია ვეტერინარული ვითარების საკითხებმა.

814. **სამხედრო ხელოვნება –** ხმელეთზე, ზღვაში და დედამიწის ირგვლივ სივრცეში საომარი მოქმედების მომზადების და წარმოების თეორია და პრაქტიკა. სამხედრო ხელოვნების თეორია სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილია. სამხედრო ხელოვნების პრაქტიკა მოიცავს სამხედრო ცოდნის და გამოცდილების გამოყენებას ოპერატიული და საბრძოლო მოქმედებების მომზადებასა და წარმოებაში. სამხედრო ხელოვნება მოიცავს სტრატეგიას, ოპერატიულ ხელოვნებას და ტაქტიკას, რომლებიც ერთამანეთთან არის დაკავშირებული. სამხედრო ხელოვნების განვითარებას, უწინარესად, განსაზღვრავს: სახელმწიფოს პოლიტიკა; სამხედრო დოქტრინა; სამობილიზაციო რესურსების რიცხოვნობა; მეცნიერების და ტექნიკის მდგომარეობა; საზოგადოებრივი, პირველ რიგში, სამრეწველო წარმოების მოცულობა და დონე; შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების, იარაღის და სამხედრო ტექნიკის განვითარების დონე; სტრატეგიული ნედლეულის არსებობა. აგრეთვე იგი დამოკიდებულია შეიარაღებული ძალების შემადგენლობის რაოდენობრივ და თვისებრივ შემადგენლობაზე, სამხედრო ტრადიციებზე, ფიზიკურ - გეოგრაფიულ პირობებზე და სხვ.

815. **სამხედრო ხელოვნების პრინციპები –** საომარი მოქმედების ორგანიზაციის და წარმოების სახელმძღვანელო დებულებები, წესები, უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები. ეს პრინციპები გამოხატავენ შეიარაღებული ბრძოლის ობიექტურად არსებულ კანონებს და კანონზომიერებებს. სამხედრო ხელოვნების ძირითად პრინციპებს განეკუთვნება ის პრინციპები, რომლებიც სავალდებულოა მისი სამივე შემადგენელი ნაწილის – ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნების და სტრატეგიისთვის; მაგალითად, ძირითადი ძალვის თავმოყრა უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე მთავარი საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად, მოქმედების აქტიურობა, უწყვეტობა და გადამჭრელი ხასიათი, ინიციატივის უეცრობა, წართმევა და შენარჩუნება, მართვის სიმტკიცე და უწყვეტობა, ძალების და საშუალებების მანევრი, საომარი (საბრძოლო) მოქმედების ყოველმხრივი უზრუნველყოფა და სხვ. სამხედრო ხელოვნების პრინციპების გამოყენების ცოდნა და უნარი აუცილებელია გამარჯვების მისაღწევად ვითარების ნებისმიერ პირობებში.

816. **სამხედრო ყოფა** - სამხედრო მოსამსახურეების, სამხედრო ქვედანაყოფების და ნაწილების(გემების) ყოველდღიური წესის და ცხოვრების პირობების და საქმიანობის ყაიდა. ძირითად შინაარსს შეადგენს პირადი შემადგენლობის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მისი დასვენების ორგანიზაციას, რომელთა საბოლოო მიზანია მთლიანობაში სამხედრო ფორმირებების საბრძოლო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის მხარდაჭერა.

რეგლამენტირდება საკანონმდებლო აქტებით, სამხედრო წესდებებით და ბრძანებებით.

817. **სამხედრო-გეოგრაფიული აღწერა** - სამხედრო მოქმედებების თეატრის, ცალკეული ქვეყნების, რეგიონების და მიმართულებების ტერიტორიების პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო და ბუნებრივი პირობების კრებსითი დახასიათება. მისი დანიშნულებაა ოპრატიულ-სტრატეგიული თვალსაზრისით ტერიტორიის(აკვატორიის) შესწავლა და შეფასება.

818. **სამხედრო-სამეცნიერო კონფერენცია** (სამეცნიერო კონფერენცია) - ფართო წრის სპეციალისტების შეკრება, რომელზეც განიხილება სამხედრო თეორიის და პრაქტიკის მნიშვნელოვანი, აქტუალური პრობლემები, ჩატარებული კვლევების შედეგები, კვლევითი(საცდელი) და სხვა სწავლებები, ომის გამოცდილების განზოგადება, საბრძოლო და ოპერატიული მომზადება და სხვა.

819. **სამხედრო-საზღვაო რაიონი** - სხვადასხვა სამხედრო ნაწილების, შენაერთების და დაწესებულებების ტერიტორიული გაერთიანება, რომელთა დანიშნულებაა ფლოტის ძალების ბაზირების უზრუნველყოფა, მათი ინტერესებისთვის მობილიზაციური ღონისძიებების ჩატარება, ზღვიდან ბაზების და ნავსაყუდელების თავდაცვის ორგანიზაცია და მისთვის განსაზღვრულ ზონაში ხელსაყრელი ოპერატიული რეჟიმის შენარჩუნება.

820. **სამხედრო-საზღვაო ძალების ახლო დაცვა** - იხ. ფლოტის სახომალდო ძალების დაცვა.

821. **სამხედრო-ტექნიკური პროპაგანდა** – მოსახლეობასა და შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას შორის სამხედრო ცოდნის გავრცელება. ხელს უწყობს სამხედრო-ტექნიკური შემოქმედების და სპორტის სახეობების განვითარებას, სამხედრო-ტექნიკური პროფესიების დაუფლებას.

822. **სამხრეები** – უმეტესი სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეების საბეჭური განმასხვავებელი ნიშანი, სამხედრო სამოსის აუცილებელი ელემენტი. უჩვენებენ სამხედრო წოდებებს, სამხედრო მოსამსახურის კუთვნილებას შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარების (ძალების) გვარეობის ან სამსახურის მიმართ. განასხვავებენ სამოსელის, დამაგრების სახეობის, სამხედრო მოსამსახურეების შემადგენლობის მიხედვით. შესაძლოა იყოს სწორკუთხოვანი, ტრაპეციის ფორმის ან სამკუთხოვანი.

823. **სანაპირო დაცვა** – მრავალი უცხოური სახელმწიფოს სპეციალიზებული სამხედრო სამსახური, რომელიც განკუთვნილია კონტროლის განსახორციელებლად ტერიტორიული და შიდა წყლების, საზღვაო ეკონომიკური ზონის და სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებული კონტინენტური შელფის სამართლებრივი რეჟიმის შესრულებისადმი ზღვაოსნობის უსაფრთხოების და გასაჭირში ჩავარდნილი გემების და საფრენი აპარატების დახმარების გაწევის, დაზვერვის და ამინდის სამსახურის, თევზჭერის დაცვის, კონტრაბანდასთან ბრძოლის, აგრეთვე ზღვის აკვატორიაში გარემოს და რადიაციული ვითარებისადმი მეთვალყურეობის უზრუნველყოფის მიზნით. სანაპირო დაცვა **ს-420. ს-412**

824. **სანაპირო თავდაცვა** – სამხედრო-საზღვაო ძალები და საშუალებები, რომლებიც განლაგებულია ზღვის ნაპირის საინჟინრო თვალსაზრისით მომზადებულ

რაიონებში (მონაკვეთებში) და განკუთვნილია სამხედრო-საზღვაო ბაზის დაცვისთვის ზღვიდან და ხმელეთიდან მოწინააღმდეგის თავდასხმისგან, აგრეთვე სანაპირო რაიონში (აკვატორიაში) მყოფი გემების ან იმ სახმელეთო ჯარების დასახმარებლად, რომლებიც მოქმედებენ ზღვისპირა მიმართულებებზე; სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენელი ნაწილი. სანაპირო თავდაცვა **ს-421 ს-413**

825. **სანიმუშო ჯარები** – 1826-82 წ. რუსული არმიის გამორჩეული ნაწილები, ჯარებში პირადი შემადგენლობის სწავლების ერთიანი წესების და ხერხების დანერგვისთვის.

826. **საოპერაციო მიმართულება** – სტრატეგიული მიმართულების ნაწილი, რომელიც ადგილმდებარეობის ზოლს მომიჯნავე ზღვების წყლებით და საჰაერო სივრცეს მოიცავს, რომელზედაც მნიშვნელოვანი ოპერატიული ობიექტებია განლაგებული. საოპერაციო მიმართულების ზღვრებში გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები განთავსდებიან, იშლებიან, ხოლო ომის დროს ოპერაციებს ახორციელებენ.

827. **საოპერაციო ხაზი** – მე-18 – მე-20 ს.ს. დასაწყისში სტრატეგიაში მიღებული ჯარების საბრძოლო მოქმედებების ძირითადი იდეის (მიზნები და მიმართულებები) აღნიშვნა. ერთ მიმართულებაზე ერთი ობიექტის წინააღმდეგ მოქმედებებს ეწოდება უბრალო საოპერაციო ხაზი, ხოლო ერთმანეთისგან დაშორებულ მიმართულებებზე რამოდენიმე ობიექტის წინააღმდეგ – რთულ საოპერაციო ხაზს. 1-ლი მსოფლიო ომის შემდგომ ტერმინი ამოღებულია ხმარებიდან.

828. **საოპერაციო ზონა** – ოკეანის (ზღვის) სამხედრო მოქმედებების თეატრის ნაწილი, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაერთიანებას სამხედრო მოქმედებების წარმოების პერიოდში დაენიშნება. საოპერაციო ზონაში გაერთიანებები აწარმოებენ ოპერაციებს ან სისტემატურ საბრძოლო მოქმედებებს. ზონის დაჭრა და მათი ზომები დამოკიდებულია სამხედრო მოქმედებების თეატრზე სამხედრო-პოლიტიკური ვითარებისგან, ძალების შეფარდებისგან, საკუთარი ძალების მოქმედებების ოპერატიულ რადიუსზე, ამოცანების ხასიათისგან და თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისგან.

829. **საპატიო ყარაული** – სამხედრო პატივის მიგებისთვის დანიშნული ქვედანაყოფი (გუნდი).

830. **სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვა** – ძალებისა და საშუალებების, აგრეთვე იმ ღონისძიებების, საინფორმაციო-სადაზვერვო საბრძოლო მოქმედებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება რაკეტულ-ბირთვული თავდასხმის შესახებ სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოების დროული გაფრთხილების, კოსმოსში საბრძოლო მოქმედების დაწყების გამოვლენის და სტრატეგიულ ობიექტებზე დარტყმების მოგერიების მიზნით; საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. რაკეტულ-კოსმოსური თავდაცვის საფუძველს, ჩვეულებრივ შეადგენს სარაკეტო თავდასხმის გაფრთხილების სისტემა, რომელიც მოიცავს იმ სამხედრო კოსმოსური აპარატების ორბიტულ დაჯგუფებას, გამოშვებული ბალისტიკური რაკეტების ალს რომ არეგისტრირებენ და ჰორიზონტსზედა რადიოლოკაციის სახმელეთო საშუალებათა ქსელს, რომლებიც მათი ფრენის ტრაექტორიების პარამეტრებს განსაზღვრავენ.

831. **სარაკეტო-ტექნიკური უზრუნველყოფა** – დაწესებული ნორმებით რაკეტების და მათთან ჩვეულებრივ აღჭურვით საბრძოლო ნაწილების დაგროვების, მათი

ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის, დაწესებული მზადყოფნის ხარისხში შენახვის, სარაკეტო ჯარების (ძალების) დროული უზრუნველყოფის, საბრძოლო გამოყენებისთვის მომზადების, ყველა ეტაპზე ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების კომლექსი. ჯარების ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა.

832. **სარდლობა** – 1. მმართველობითი პროცესი, დაქვემდებარებული ჯარებისადმი (ძალებისადმი) ხელმძღვანელობის საქმიანობა. 2. სტრატეგიულ და ოპერატიულ მასშტაბში ჯარების (ძალების) ორგანიზაციის ფორმა. სამხედრო მართვის ორგანო, რომელიც აერთიანებს ჯარების (ძალების) დაჯგუფებებს სამხედრო მოქმედებების თეატრში, ზონაში (რეგიონში), სტრატეგიულ (იშვიათად ოპერაციულ) მიმართულებებზე. 3. ხელმძღვანელი შემადგენლობის თანამდებობის პირნი, რომლებიც სათავეში უდგანან სამხედრო ფორმირებებს (დაწესებულებებს). სამხედრო ნაწილის (შენაერთის) სარდლობაში შედიან მეთაური, მისი მოადგილეები და შტაბის უფროსი.

833. **სასაზღვრო განწესი** – ერთი ან რამდენიმე შეიარაღებული მესაზღვრე, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის დაცვის ბრძანებას ასრულებენ. მთელ რიგ ქვეყნებში სასაზღვრო განწესის სამსახური წარმოადგენს საბრძოლო ამოცანის შესრულებას და შეადგენს სასაზღვრო სადარაჯოზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის საფუძველს.

834. **სასაზღვრო ნიშნები** – სპეციალური ნაგებობა ადგილზე სახელმწიფო საზღვრის აღსანიშნავად. შეიცავენ: სასაზღვრო ბოძებს, მიწის და ქვის ყორეებს, ბეტონის პირამიდებს, ყორღანებს, ტივტივებს, წყლის ნიშანსვეტებს და სხვ. შეიძლება იყოს დაწყვილებული, ერთეული, დამატებითი (შუალედური), გარდამავალი. სამი სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვრის შესაყარზე აყენებენ შესაყარის სასაზღვრო ნიშანს. სასაზღვრო ნიშნის აღწერილობა და დაყენების წესი განისაღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებით და მთავრობის გადაწყვეტილებით.

835. **სასროლი იარაღის ცეცხლის სახეები** - სასროლი იარაღის ცეცხლის კლასიფიკაცია ტაქტიკური დანიშნულების, მიმართულების, დაძაბულობის და სროლის ხერხის მიხედვით. განასხვავებენ: ტაქტიკური დანიშნულებით – ხანჯლისებრ და თავმოყრილ ცეცხლს; ცეცხლის მიმართულებით – ფლანგურს, ფრონტალურს და ჯვარედინულს; ცეცხლის დაძაბულობით – ერთეული გასროლებით, მოკლე და გრძელი ჯერებით, უწყვეტს; ტყვიამფრქვევიდან სროლის ხერხებით – ცეცხლი წერტილში, ფრონტზე(სიღრმეში) გაფანტვით ან ერთდროულად ფრონტზე და სიღრმეში გაფანტვით.

836. **საშვი** (სამხედრო) 1) საიდუმლო სიტყვა (ჩვეულებრივ ტექნიკის, სამხედრო ტექნიკის და ა.შ.), რომელიც გამოძახილთან ერთად საკუთარი სამხედრო მოსამსახურეების ამოცნობის საშუალებას წარმოადგენს. წესდება ნაწილის შტაბით ყოველ დღეღამეზე და მეთაურებს, დაცვის, დაზვერვის ქვედანაყოფების პირად შემადგენლობას ზეპირად გადაეცემა. 2) დოკუმენტი (ჩვეულებრივ ფოტოსურათით), რომელიც სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, დაწესებულებაში შესვლის (გამოსვლის) უფლებას იძლევა. საშვი არსებობს ერთჯერადი, დროებითი, მუდმივი და სხვა.

837. **სათადარიგო რაიონი** – ადგილმდებარეობის რაიონი, მომზადებული ან მონიშნული ქვედანაყოფის(ნაწილის, შენაერთის), სამხედრო ობიექტების მიერ აუცილებლობის შემთხვევაში განლაგების ადგილის შეცვლისთვის. იკავებენ მოწინააღმდეგის დარტყმებისგან ჯარების(ობიექტების) გამოყვანის მიზნით, აგრეთვე ძირითადი რაიონის დატბორვის ან დასნებოვნების საფრთხის შემთხვევაში.

838. **სათაო რაზმი -** მარშზე ავანგარდიდან გამოყოფილი სალაშქრო დაცვის ორგანო, მისი შეუფერხებელი წინსვლის, მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის არიდების, გაშლისთვის და ბრძოლაში ჩაბმისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით. თანამედროვე პირობებში სათაო რაზმის ფუნქციები დაკისრებული აქვს ავანგარდს ან სათაო დაცვას.

839. **სათაო სალაშქრო საგუშაგო** – სალაშქრო დაცვის ორგანო, რომლის გაგზავნის მიზანია უზრუნველყოს ძირითადი ძალების დაუბრკოლებელი გადაადგილება, არ დაუშვას დასაცავ ჯარებში მოწინააღმდეგის დაზვერვის შეღწევა, მათზე უეცარი თავდასხმა და მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა გაშლის და ბრძოლაში ჩაბმისთვის. გამოიყოფა მარშის დროს მოძრაობის მიმართულებით ავანგარდისგან (მეწინავე რაზმისგან), ასევე ბრიგადებისგან (პოლკებისგან), რომლებიც გადაადგილდებიან მთავარი ძალების შემადგენლობაში ორი მარშრუტით. სათაო სალაშქრო საგუშაგოში ინიშნება, როგორც წესი, გაძლიერებული ქვეითი (სატანკო) ასეული.

840. **სათაო ხომალდი -** 1) ხომადი, რომელიც სალაშქრო (საბრძოლო) წყობაში (მწყობრში) პირველი მიდის. ჩვეულებრივ ეს საფლაგმანო ხომალდია. 2) გემთმშენებლობაში – მოცემული პროექტით მშენებარე პირველი ხომალდი

841. **საველე წესდება** – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების მიერ საერთო-საჯარისო ბრძოლის მომზადების და წარმოების, ჯარების მართვის, მათი გადაადგილების, ადგილზე განლაგების, აგრეთვე საბრძოლო ვითარების სხვადასხვა პირობებში ყოველმხრივი უზრუნველყოფის ძირითად დებულებებს. ზოგიერთი მათგანი შეიცავს ოპერატიული გაერთიანებების საბრძოლო საქმიანობის დებულებებს, აგრეთვე სამხედრო სტრატეგიის საკითხებს. საველე წესდება მუშავდება დოქტრინის დებულებების, სამხედრო საქმის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის, ჯარების (ძალების) ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურის მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების, აგრეთვე ომების და შეიარაღებული ძალების გამოცდილების საფუძველზე. შინაარსის მიხედვით საველე წესდება მჭიდროდ უკავშირდება საბრძოლო წესდებებს, ხოლო ბევრ არმიაში ისინი ერთადერთ ამგვარ დოკუმენტს წარმოადგენენ.

842. **საველე ყარაული** – მოწინააღმდეგის დრული აღმოჩენის, მისი დაზვერვის წარმოების, თავდაცვის ხაზის გადაკვეთის არ დაშვების მიზნით სადარაჯო საგუშაგოდან გამოყოფილი ქვედანაყოფი.

843. **საწყისი მდგომარეობა –** მდგომარეობა, რომელიც ჯარებს უკავიათ მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხებისას შეტევაზე (კონტრშეტევაზე) გადასასვლელად. საწყის მდგომარეობაში ჯარები განლაგდებიან დაჯგუფებაში, რომელიც გაშლილია მეთაურის (სარდლის) გადაწყვეტილების შესაბამისად მომავალი მოქმედებისთვის, იმყოფებიან საფარებში და განუხრელად ასრულებენ

შენიღბვის და მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებებისგან დაცვის ღონისძიებებს.

844. **საწყისი სიჩქარე ჭურვის (ტყვიის)** – ჭურვის უდიდესი სიჩქარე. სასროლი იარაღის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი და განისაზღვრება – ჭურვის ფრენის მანძილი, მისი სასიკვდილო მოქმედება, პირდაპირი დამიზნების სროლის ეფექტურობა და სხვა.

845. **სახაზო ტაქტიკა –** ბრძოლის წარმოების თეორია და ტაქტიკა, რომლებიც ემყარება ხაზად გამწკრივებული საბრძოლო წყობის გამოყენებას. სახაზო ტაქტიკის ჩასახვა და განვითარება (17-18 სს) განაპირობეს ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფამ და მასობრივმა დანერგვამ ჯარებში. სახმელეთო ჯარების სახაზო ტაქტიკის არსი იყო ჯარების თანაბარზომიერი განაწილება ფრონტზე, ბრძოლისთვის (კვეთებისთვის) მათი დაწყობა 2-3 ხაზად (3-4 მწკრივად, თითოეულში ხაზებს შორის 50-200 ნაბიჯი - დისტანციის პირობებში) და მისწრაფება, ეწარმოებინათ ბრძოლა უპირატესად ცეცხლით. უპირატესობა ენიჭებოდა ზალპურ ცეცხლს. ჯარების სახაზო წყობამ მკვეთრად აამაღლა ცეცხლსასროლი იარაღის ეფექტიანობა და ქვეითი ჯარის ცეცხლის როლი. ამავე დროს არმიების ჯარისკაცთა მოქმედების შაბლონურ ხასიათს და მჭიდროდ შეკრულ წყობას ახასიათებდა მცირე მობილურობა, სწრაფი გაშლის და მანევრის შეუძლებლობა ბრძოლის დროს, უინიციატივობა. ბრძოლის (კვეთების) ბედს, ჩვეულებრივ, წყვეტდა ცეცხლი, გადამჭრელ შედეგს ძალზე იშვიათად აღწევდნენ. სამხედრო-საზღვაო ძალების სახაზო ტაქტიკის არსი იყო საზღვაო ბრძოლის (კვეთების) წარმოება კილვატერულ მწყობრში. მხარეთა ხომალდები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ საარტილერიო გასროლის მანძილზე და, პარალელურ კურსებზე მანევრირების ან ღუზაზე დგომისას, უშენდნენ ცეცხლს მოწინააღმდეგეს. მე-18 საუკუნის დამლევს - მე-19 საუკუნის დამდეგს არმიის სახაზო ტაქტიკა შეცვალა უფრო სრულყოფილმა კოლონების და გაფანტული წყობის ტაქტიკამ, ხოლო საზღვაო ძალების - სამანევრო ტაქტიკამ.

846. **სახელმწიფო ღერბი** - სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემა; სახელმწიფოს კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით დადგენილი საცნობი-სამართლებრივი ნიშანი, რომელიც პირობით ფორმაში ეროვნულ, ეკონომიურ, ისტორიულ და სახელმწიფოს სხვა თავისებურებას ასახავს და მის სუვერენიტეტს სიმბოლიზირებს. მოთავსებულია სახელმწიფო ბლანკებზე, ბეჭდებზე მოქალაქეების პასპორტებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და დიპლომატიური წარმომადგენლობის რეზიდენციებზე, სასაზღვრო და ფულად ნიშნებზე, დროშებზე, ალმებზე, სამხედრო მოსამსახურეების განმასხვავებელ ნიშნებზე, ორდენებზე, მედლებზე და სხვა.

847. **სახელმწიფო საზღვრის დაფარვა** – ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს საზღვრისპირა სამხედრო და სასაზღვრო სარდლობა, რათა მოიგერიონ ან შეასუსტონ მოწინააღმდეგის დარტყმები ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან, უზრუნველყონ ხელშემწყობი პირობები ჯარების გაშლის და საბრძოლო მოქმედების წარმოებისთვის, აღკვეთონ მოწინააღმდეგის აგენტურის, დივერსიულ-სადაზვერვო და სხვა სპეციალური ძალების, აგრეთვე ტერორისტული ჯგუფების და ბანდიტური ფორმირებების საზღვრიდან შემოჭრა.

848. **სახმელეთო დაზვერვა** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ტარდება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის და ამინდის შესახებ მონაცემთა მოპოვების მიზნით; სამხედრო დაზვერვის სახეობა. წარმოებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის სახმელეთო ქვედანაყოფების და ნაწილების მიერ რადიო, რადიოლოკაციური, რადიოტექნიკური, საარტილერიო, საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური, მეტეოროლოგიური დაზვერვის ხელსაწყოების გამოყენებით.

849. **სახმელეთო ეშელონი** ავიაციაში – უზრუნველყოფის ქვედანაყოფები, ავიაციის მმართველობის ქვედანაყოფების ძალების და საშუალებების ნაწილი, რომელიც ახალი ბაზირების რაიონში (ახალ აეროდრომზე) თავის სვლით (ავტოტრანსპორტით) ან რკინიგზით გადაადგილდება.

850. **სახმისი** – სიტყვა ან ასოების, ციფრების შეხამება, მინიჭებული გაერთიანების, შენაერთების და ნაწილების (ხომალდების, თვითმფრინავების) კავშირგაბმულობის კვანძებს და სადგურებს, აგრეთვე მეთაურებს და სხვა თანამდებობრივ პირებს. გამოიყენება კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებებით გადალაპარაკების დროს მოწინააღმდეგისგან ჭეშმარიტი დასახელების დაფარვისთვის. სამხედრო-საზღვაო ძალებში გამოიყენება აგრეთვე ამოცნობისთვის. ისინი რადიოტექნიკური და შუქტექნიკური საშუალებებით აგრეთვე ალმებით გადაეცემა.

851. **სახომალდო წესები** – დებულებები და განკარგულებები, რომლებიც არეგლამენტებენ ხომალდის პირადი შემადგენლობის და დროებით მასზე მყოფი პირების ქცევას ხომალდზე საწესდებო წესრიგის, მისი გარეგანი იერის, აგრეთვე მატერიალური ნაწილის გატეხის და უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მხარდაჭერას.

852. **საყრდენი პუნქტი** ასეულის, ოცეულის - ადგილმდებარეობის მონაკვეთი, თავდაცვის რაიონის(თავდაცვითი პოზიციის) ნაწილი, საინჟინრო თვალსაზრისით მოწყობილი, წრიული თავდაცვისთვის შეხამებული და რომელსაც ასეული (ოცეული) იცავს. ასეულის საყრდენი პუნქტი ოცეულების საყრდენი პუნქტებისგან, ერთმანეთთან ერთიანი ცეცხლის სისტემით დაბრკოლებებით და მიმოსვლის გზებით დაკავშირებული საშტატო და მიკუთვნებული საცეცხლე საშუალებების პოზიციებისგან შედგება. შეუძლია დაიკავოს 1500 მ ფრონტზე და 1000 მ –დე სიღრმეში. ხეულის საყრდენ პუნქტებს შორის შუალედები შესაძლოა 1000 მ –მდე, ხოლო ოცეულის საყრდენ პუნქტებს შორის 300 მ –მდე. ხოლო ათეულებს შორის 50 მ –მდე.

853. **საზენიტო-სარაკეტო დაფარვა** – საჰაერო თავდაცვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც საავიაციო დაფარვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრების, სამრეწველო-ეკონომიერი რაიონების, შეიარაღებული ძალების და სხვა ობიექტების დაფარვისთვის იქმნება.

854. **საზენიტო-სარაკეტო ჯარები** – საჰაერო თავდაცვის გვარეობა, მის დანიშნულებაა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრების, სამრეწველო-ეკონომიერი რაიონების, ჯარების დაჯგუფებების და სხვა ობიექტების საჰაერო თავდაცვა. საზენიტო-სარაკეტო ჯარების შეიარაღებაზე იმყოფება მოქმედებების სხვადასხვა მანძილზე სტაციონალური, ნახევრად სტაციონალური და მოძრავი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები (სისტემები) და ამოცანებს საზენიტო არტილერიასთან,

გამანადგურებელ ავიაციასთან, რადიოტექნიკურ ჯარებთან, რადიო-ელეტრონული ბრძოლის ნაწილებთან ურთიერთქმედებით და დამოუკიდებლად ასრულებენ.

855. **საზღვაო ბლოკადის გარღვევა** – შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის შენაერთების, ნაწილების საბრძოლო მოქმედებები დარღვეული ზღვით გარე კავშირის აღდგენის და ფლოტის ძალების საზღვაო (საოკეანო) სამხედრო მოქმედებების თეატრზე გაყვანის მიზნით. მიიღწევა ოპერაციის ჩატარებით ან სისტემატური საბრძოლო მოქმედებებით, რომლის დროს ბლოკადის მწარმოებელი-მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფება ნადგურდება (სუსტდება).

856. **საზღვაო დაზვერვა –** ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია მოიპოვოს, შეაგროვოს და გაანალიზოს მონაცემები მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო პოტენციალის, მისი შემადგენლობის, მდებარეობის, მოქმედების ხასიათის და განზრახვების, საომარი მოქმედების საოკეანო და საზღვაო თეატრების ინფრასტრუქტურის შესახებ; საზღვაო დაზვერვის ძალების მოქმედების ძირითად ხერხებს წარმოადგენს ძებნა, დაჭერა, დაპელენგება, ამოცნობა, თვალთვალი და სხვ. გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით საზღვაო დაზვერვა იყოფა სტრატეგიულად და ტაქტიკურად, ხოლო მოქმედების სფეროს მიხედვით - საზღვაო კოსმოსურ, საზღვაო საჰაერო დაზვერვად, სახომალდო, რადიოელექტრონულ, სანაპირო და აგენტურულ დაზვერვად.

857. **საზღვაო დესანტის ჩასხდომის პუნქტი** – მოსაზღვრე აკვატორიით ნაპირის მონაკვეთი, რომელზეც სადესანტო ხომალდებზე (ტრანსპორტებზე) დესანტის პირადი შემადგენლობის ჩასხდომა და სამხედრო ტექნიკის ჩატვირთვა წარმოებს.

858. **საზღვაო დესანტის ჩასხდომის რაიონი –** სანაპიროს ნაწილი მიმდებარე აკვატორიითურთ, სადაც ხორციელდება საზღვაო დესანტის ჩასხდომა სადესანტო ხომალდებზე და სატრანსპორტო გემებზე. მოიცავს ხომალდებზე (გემებზე) დესანტის ჩასხდომის ძირითად და სათადარიგო მონაკვეთებს.

859. **საზღვაო დესანტის გადასხმა –** საზღვაო სადესანტო ოპერაციის (ტაქტიკური დესანტის მოქმედება) ეტაპი. მცირე სადესანტო ხომალდებიდან წარმოებს უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, ხოლო დიდი ხომალდებიდან და ტრანსპორტიდან – დესანტის გადასხმის საშუალებების გამოყენებით, მ.შ. ვერტმფრენების.

860. **საზღვაო დესანტის გადასხმის ბაზა** – საზღვაო ძალების და სახმელეთო ჯარების ნაწილების და შენაერთების დროებითი ფორმირება, რომელიც იქმნება საზღვაო დესანტის გადასასხმელად და ნაპირზე ამოცანების გადასაწყვეტად ბრძოლის პერიოდისთვის (შედის დესანტის გადასხმის ძალების შემადგენლობაში). განკუთვნილია დესანტის მთავარი ძალების გადასხმის უზრუნველყოფისთვის, მათი პირადი შემადგენლობით, იარაღით, სამხედრო ტექნიკით, ყველა სახეობის მატერიალური საშუალებებით შევსების, პირველი სამედიცინო დახმარების გაწევის და დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაციის, დაზიანებული სამხედრო ტექნიკის რემონტის და ევაკუაციისთვის.

861. **საზღვაო დესანტის გადასხმის პუნქტი –** სანაპიროს მონაკვეთი მიმდებარე აკვატორიითურთ, რომელზეც წარმოებს დესანტის გადასხმა; საზღვაო დესანტის გადასხმის მონაკვეთის ელემენტი. საზღვაო დესანტის გადასხმის თითოეულ

პუნქტზე ინიშნება კომენდანტი. საზღვაო დესანტის გადასხმის პუნქტები შეიძლება იყოს ძირითადი, დამხმარე, დემონსტრატიული (ცრუ).

862. **საზღვაო დესანტის მეწინავე რაზმი –** საზღვაო დესანტის ნაწილი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ნაპირზე გადმოსხმის პუნქტის ხელში ჩაგდება და პირველი ეშელონის ნაპირზე გადასხმის უზრუნველყოფა. რაზმების რაოდენობა განისაზღვრება გადასხმის პუნქტების რაოდენობით.

863. **საზღვაო მედიცინა** – მედიცინის სამხედრო სფერო; სამეცნიერო ცოდნის სისტემა მეზღვაურების ცხოველქმედების თავისებურებების, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნების საშუალებების და მეთოდების, შრომისუნარიანობის და ფლოტის სამედიცინო პერსონალის პრაქტიკული მოღვაწეობის მიზნით. საზღვაო მედიცინა მოიცავს დისციპლინებს: სამხედრო-საზღვაო თერაპია, სამხედრო-საზღვაო ქირურგია, სამხედრო-საზღვაო რადიაციულ ჰიგიენას, წყალქვეშა ცურვის ფიზიოლოგიას და ავარიულ-სამაშველო საქმეს ფლოტის სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციას და ტაქტიკას.

864. **საზღვაო მიმოსვლის თავდაცვა –** დაჯგუფების ძალების საბრძოლო მოქმედება, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად ან შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების შენაერთებთან (ნაწილებთან) ურთიერთქმედებით იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ზღვით ჯარების გადაყვანა, შეიარაღების, მატერიალური საშუალებების გადაზიდვა ზღვისპირა დაჯგუფების ჯარების, საზღვაო ძალების, აგრეთვე სამოქალაქო ინტერესებისთვის.

865. **საზღვაო ოპერაცია** – მიზნით, ადგილით, დროში შეთანხმებული და ურთიერთადაკავშირებული საზღვაო კვეთების, ბრძოლების და დარტყმების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდებოდა საზღვაო ძალების სხვადასხვაგვარი ძალების დაჯგუფების მიერ დამოუკიდებლად ან შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებებთან (შენაერთებთან, ნაწილებთან) ურთიერთქმედებებში ერთობლივი ჩანაფიქრით ან გეგმით საოკეანო და საზღვაო საბრძოლო მოქმედებათა თეატრის ცელკეულ რაიონში (ზონაში). ომში სამხედრო –საზღვაო ძალების შენაერთების გამოყენების ფორმა. საზღვაო ოპერაციების მიზნებია: საოკეანო და საზღვაო გადაზიდვების დარღვევა (ჩაშლა); ბაზირების რაიონების საზღვაო კომუნიკაციების დაცვა; მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფებების განადგურება დახურულ და ნაპირის მიმდებარე ღია ზღვებში და ოკეანის რაიონებში; მოწინააღმდეგის მიწისზედა ობიექტების განადგურება; მოწინააღმდეგის ავიამზიდთა დაჯგუფებების განადგურება; მოწინააღმდეგის ნავსაწინაღო დაჯგუფებების განადგურება; რაკეტული წყალქვეშა ნავების განადგურება.

866. **საზღვაო ვითარება –** იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომლებშიც ხორციელდება საბრძოლო მოქმედების მზადება და წარმოება საომარი მოქმედების საოკეანო (საზღვაო) თეატრის გარკვეულ რაიონში; საერთო ვითარების ელემენტი. მათ განეკუთვნება: თავისი და მოწინააღმდეგის ძალების მდებარეობა, შემადგენლობა, მდგომარეობა, საბრძოლო შესაძლებლობები; მეზობლების (ურთიერთქმედების ძალების) მოქმედების ამოცანები და რაიონები; საომარი მოქმედების თეატრის ოპერატიული მოწყობა; სანავიგაციო, ჰიდროგრაფიული, ჰიდრომეტეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ყინულის

პირობები და სანაღმო ვითარება. მასშტაბის მიხედვით საზღვაო ვითარება შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური.

867. **საზღვაო-სადესანტო ოპერაცია** – მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული მოქმედების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე საზღვაო დესანტის გადასხმის, ნაპირზე მის მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულების ერთიანი ჩანაფიქრის და გეგმის მიხედვით; ერთობლივი ოპერაცია, რომელსაც გაერთიანებული სახმელეთო ჯარები და საზღვაო ძალები აწარმოებენ შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან და ჯარების გვარეობებთან ურთიერთქმედებით; საზღვაო-სადესანტო ოპერაციის მიზნები შეიძლება იყოს: დაეუფლოს სრუტის ზონებს, მსხვილ კუნძულებს და საზღვაო სანაპიროს დიდმნიშვნელოვან რაიონებს, სამხედრო-საზღვაო ბაზებს, ნავსადგურებს და სხვა სანაპირო ობიექტებს; ხელი შეუწყოს სახმელეთო ჯარებს ზღვისპირა მიმართულებებზე თავდაცვითი და შეტევითი მოქმედების წარმოებას და მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა განადგურებაში; გააუმჯობესოს საზღვაო ძალების ბაზირება. საზღვაო-სადესანტო ოპერაციის მიზნის შესაბამისად მისი მოწყობისას შეიძლება გადაისხას ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური საზღვაო დესანტები.

868. **სიღრმიდან ჯარების წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფა** – მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების პერიოდი შეტევისთვის (თავმოყრისათვის) საწყისი რაიონებიდან ჯარების წაწევისას, მარშიდან და ა. შ. შეუჩერებლივ შეტევის დროს. წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფის ძირითადი მიზანია აღკვეთოს მოწინააღმდეგის საცეცხლე ზემოქმედება წაწეულ ჯარებზე. წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფის პერიოდში გათვალისწინებულია განადგურდეს და ჩახშობილ იქნეს მასობრივი დაზიანების საშუალებები, მაღალი სიზუსტის იარაღის სისტემების სახმელეთო ელემენტები, ტაქტიკური ავიაცია მოწინავე აეროდრომებზე (მოედნებზე), შორსმსროლელი არტილერია, გამშვები დანადგარები, ზალპური ცეცხლის და დისტანციური დანაღმვის სისტემები, ჯარების და იარაღის მართვის პუნქტები, საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის საშუალებები, რადიოელექტრონული ბომბები, ჯარების და იარაღის მართვის პუნქტები. დაწინაურების ცეცხლით უზრუნველყოფა შეიძლება დაიწყოს უშუალოდ საწყისი რაიონებიდან ჯარების წაწევის წინ, მათი დაწინაურების დასაწყისში და გაგრძელდეს იერიშის საცეცხლე მომზადების დაწყებამდე. მოიცავს ჯარების წაწევის საარტილერიო და საავიაციო უზრუნველყოფას.

869. **სიღრმიდან ჯარების წაწევის საარტილერიო უზრუნველყოფა** (იხ. სიღრმიდან ჯარების წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფა)

870. **სპეციალური დამუშავების რაიონი** – რაიონი, რომელიც განკუთვნილია სამოქალაქო თავდაცვის ფორმირებების, ჯარების და მოსახლეობის სრული სპეციალური დამუშავებისთვის, რომლებმაც განიცადეს ძლიერი (საშიში) ქიმიური, რადიაქტიური ან ბაქტერიოლოგიური დასნებოვნება.

871. **სროლის მომზადება** – ღონისძიებები, რომელთა მიზანია საცეცხლე ამოცანების ეფექტური შესრულებისთვის შეიარაღების მზადყოფნის უზრუნველყოფა. სროლის თავისებურებებიდან და იარაღის სახეობიდან გამომდინარე მოიცავს: მიზნების

დაზვერვას და მათი კოორდინატების განსაზღვრას; ტოპოგეოდეზიურ, ბალისტიკურ, მეტეოროლოგიურ, ტექნიკურ მომზადებას; სროლისთვის მონაცემების განსაზღვრას და ცეცხლის მართვის ორგანიზებას. საზენიტო-სარაკეტო ჯარებში და საზენიტო არტილერიაში სროლის მომზადება იყოფა: წინასწარი და უშუალო, სანაპირო და სახომალდე არტილერიაში – წინასწარი და საბოლოო..

872. **სროლის შექუჩებულობა** – შეზღუდულ მონაკვეთზე შეზღუდულ სივრცეში) ერთნაირ პირობებში სროლის დროს ჭურვების (ტყვიების, რაკეტების დასხვა) გასკდომისას იარაღის რღვიის დაჯგუფების თვისება. გამოიხატება გაბნევის პარამეტრებით. იარაღის თითოეული ნაირსახეობისთვის სროლის შექუჩებულობას სპეციალური სროლების საშუალებით განსაზღვრავენ, მონაცემები სროლის ცხრილებში შეაქვთ და სროლებისთვის დანადგარების გათვლის და საბრძოლო მასალების მოსალოდნელი ხარჯისთვის გამოიყენებენ.

873. **სროლის სიზუსტე** – მიზანზე (მიზანზე მონიშნულ წერტილზე) ჭურვების(ნაღმების, ტყვიების) ვარდნის საშუალო ტრაექტორიის შეთავსების ხარისხი. დამოკიდებულია მსროლელის ოსტატობაზე, აგრეთვე იარაღის, საბრძოლო მასალების, სროლის და თვალთვალის ხელსაწყოების ტექნიკური მდგომარეობისა და სრულყოფილებაზე.

874. **სროლის წესები** – სხვადასხვა სახის იარაღიდან სროლის მომზადების და წარმოების ძირითადი დებულებები და რეკომენდაციები. წარმოადგენს ოფიციალურ გამოცემას, რომლის შესრულება აუცილებელი სროლების წარმოებისას; სროლის წესებით ხელმძღვანელობენ პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების სხვადასხვა პირობებში მიზნებში სროლის სწავლის დროს; გამოიცემა თითოეული სახის იარაღისთვის (ჯარების გვარეობის ან ძალების). ჩვეულებრივ შეიცავენ ზოგად დებულებებს (ცეცხლის სახეები, მიზნის ამორჩევა, საცეცხლე ამოცანის შესრულების წესი და სხვა), მოცემული იარაღისთვის ტიპიურ შემთხვევებში სროლის რეკომენდაციებს, საცნობარო მონაცემებს, გათვლებს, გამოყენების მაგალითებს და სხვა.

875. **სროლის ძირითადი მიმართულება** – 1) ერთიანი მიმართულება, რომელზეც რამოდენიმე საარტილერიო ნაწილის ქვემეხებს და დაზვერვის ხელსაწყოებს გაერთიანებული საერთო მართვით ორიენტირებენ. დირექციული კუთხით ხორციელდება. 2) საერთო მიმართულება პოლიგონზე, სასროლეთი სადაც სროლა ნებადართულია. მიზნების რაიონის სიღრმეში აღინიშნება სპეციალური ნიშნით.

876. **სტარტისწინა მომზადება** – სასტარტო პოზიციაზე რაკეტის გაშვებისთვის მომზადების ოპერაციების ერთობლიობა. სტარტისწინა მომზადების ხასიათი სარაკეტო კომპლექსების ტიპსა და დანიშნულებაზე არის დამოკიდებული. მათგან ყველაზე რთულის სტარტისწინა მომზადება მოიცავს: რაკეტის გასაშვებ დანადგარზე დაყენებას; გაშვების წერტილის კოორდინატების განსაზღვრას, კომპლექსის ელემენტების სტარტისწინა გამოცდებს; რაკეტის გასამართი კომპონენტებით შევსებას; ფრენის დავალების გათვლას და საბორტო აპარატურაში შეყვანას; რაკეტის დამიზნებას. ზოგიერთი ოპერაციები წარმოებს მექანიკურ ან ავტომატურ რეჟიმებში.

877. **სწავლების ჩანაფიქრი** – სწავლების ჩატარების შინაარსის და თანმიმდევრობის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი. მის საფუძველზე მუშავდება ყველა სხვა საბუთები (ორგანიზაციული, სასწავლო-მეთოდური, ოპერატიული და სხვ.).

სწავლების ჩანაფიქრი მუშავდება რუკაზე, რომელსაც ერთვის განმარტებითი ბარათი. რუკაზე აისახება სწავლების თემა, მიზნები, დრო, ეტაპები და მათი ხანგრძლივობა, ვისთან ტარდება; საწყისი ოპერატიული ვითარება, მხარეების მოქმედების ჩანაფიქრი; მეზობლების და ურთიერთქმედი გაერთიანების (შენაერთების, ნაწილების) მდგომარეობა და ამოცანები; მოსალოდნელი გადაწყვეტილების ძირითადი ელემენტები და სხვ. განმარტებით ბარათში აისახება: სწავლების თემა, სასწავლო და კვლევითი მიზნები, მოზიდული მართვის ორგანოების და ჯარების შემადგენლობა, მხარეების შემადგენლობა, ძალების და საშუალებების თანაფარდობა, სასწავლო საკითხების და მთლიანად თემის დამუშავების თანმიმდევრობა და მეთოდები, სწავლების შედეგების გარჩევის ადგილი, დრო და წესი.

878. **სწავლების მეთოდები** – ხერხები და საშუალებები, რომელთა დახმარებით მიიღწევა პირადი შემადგენლობისთვის სამხედრო ცოდნის გადაცემა და ათვისება, უნარ-ჩვევების ფორმირება, მორალურ-საბრძოლო ხარისხის გამომუშავება, რომელიც ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) შენაერთების და მართვის ორგანოების საბრძოლო შერწყმას უზრუნველყოფს. სწავლების ძირითად მეთოდებს განეკუთვნება: ზეპირი გადმოცემა (თხრობა, განმარტება, ლექცია); შესასწავლი მასალის განხილვა; ჩვენება (დემონსტრაცია); ვარჯიში; პრაქტიკული (სარეგლამენტო) მუშაობა; სასწავლო მასალის დამოუკიდებლად შესწავლა. ამ მეთოდების და მათი შემადგენელი ელემენტების გამოყენება ხორციელდება მათ შორის ურთიერთ დაკავშირების, კონკრეტული პირობების და მიზნების გათვალისწინებით.

879. **სხივური იარაღი** – სხივური იარაღი ახდენს ორგანიზმზე მაიონიზირებელ გამოსხივების დოზებში, რომლებიც დასაშვებს აღემატება. ადამიანს შესაძლოა მწვავე სხივური ავადმყოფობა (დასხივების დიდ დოზებში) და ქრონიკული (მცირე დოზით სისტემატური დასხივების შედეგად) გაუჩნდეს. ძირითადად სისხლის ორგანოების, ნერვიული სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და სხვა დაზიანებებით მჟღავნდება.

ტ

880. **ტაქტიკა -** სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი, რომელიც სხვადასხვა სახეობების შეიარაღებული ძალების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების მიერ ბრძოლის მომზადების და წარმოების თეორიას და პრაქტიკას მოიცავს. ტაქტიკის თეორია იკვლევს ბრძოლის კანონზომიერებებს, ხასიათსა და შინაარსს; შეიმუშავებს მისი მომზადების და წარმოების ხერხებს. ტაქტიკის პრაქტიკა მოიცავს მეთაურების, შტაბების და ჯარების (ძალების) საქმიანობას ბრძოლის მომზადების და წარმოებისთვის. მასში შედის: ვითარების მონაცემების მუდმივი შესწავლა; გადაწყვეტილების მიღება; ხელქვეითებისთვის ამოცანების დასახვა და ურთიერთქმედების ორგანიზება; ბრძოლის დაგეგმვა და ჯარების (ძალების) საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის მომზადება; ბრძოლის წარმოება და ქვედანაყოფების და ნაწილების მართვა; საბრძოლო მოქმედების ყოველმხრივი უზრუნველყოფა. ტაქტიკის განვითარებაზე გამუდმებით ახდენს გავლენას შეიარაღების და ჯარების პირადი შემადგენლობის ხარისხის შეცვლა. ტაქტიკა

დიალექტიკურ ურთიერთქმედებაშია ოპერატიულ ხელოვნებასა და სტრატეგიასთან, რომლის დებულებებითაც ხელმძღვანელობს.

ტაქტიკა არმიების გაჩენასთან ერთად იშვა. მისი განვითარება ძველი წელთაღრიცხვის მე-6-5 სს.-დან მე-20 ს. დამდეგამდე ფაქტობრივად ასახავდა სახმელეთო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარებას; შეიარაღებული ძალების ახალი სახეობების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების გაჩენის შემდეგ გაჩნდა თითოეული მათგანის ტაქტიკა.

881. **ტაქტიკური მართვა** (215) – ადგილობრივ დონეზე ჯარების გადაადგილების და მანევრის დეტალური ხელმძღვანელობა და მართვა, რომელიც საჭიროა მათ წინაშე დასახული საერთო ან კერძო ამოცანების შესასრულებლად.

882. **ტაქტიკური მობილურობა –** შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) უნარი ან შესაძლებლობა, რომელიც მთავარი ამოცანის შესრულების უნარის შენარჩუნებით, ერთი ადგილიდან მეორისკენ გადაადგილების საშუალებას იძლევა.

883. **ტერორიზმთან ბრძოლის ოპერაცია** (63) - შეიარაღებული ძალების ნაწილების და ქვედანაყოფების, სხვა ჯარების, ასევე ორგანოების, რომლებიც პასუხისმგებელია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მსხვილი და საშიში ტერორისტული დაჯგუფებების და ორგანიზაციების მოქმედებების აღსაკვეთად.

884. **ტანკების ჰერმეტიზაციის რაიონი** – ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელზეც წარმოებს წყალქვეშ ან ღრმა ფონით ტანკების გადასასვლელად მზადება. ტანკების ჰერმეტიზაციის რაიონში ხდება ტანკების საკონტროლო გასინჯვა, მათი ჰერმეტიზაცია წყალქვეშ ტარების მოწყობილობის გამოყენებით, საბუქსირებელი გვარლების ჩაბმა და დაწყობა, ჰაერმკვებავი მილების აწყობა და დაყენება, საწვავით გამართვა.

885. **ტანკების სიმჭიდროვე** – ტანკების საშუალო რაოდენობა 1კმ ფართობზე. განისაზღვრება ჯარების მოქმედების მთელ ზოლზე და დარტყმების ძალისხმევის თავმოყრის მიმართულებებზე. როგორც წესი განიხილავენ ტანკების ტაქტიკურ და ოპერატიულ სიმჭიდროვეს. ტაქტიკურში ითვალისწინებენ 1 ეშელონის ნაწილების და შენაერთების ტანკებს, ხოლო ოპერატიულში – 1, 2 ეშელონის და რეზერვის შენაერთების (გაერთიანებების) ტანკებს.

886. **ტანკსაწინაღო რაიონი** - საინჟინრო თვალსაზრისით მოწყობილი ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელზეც განლაგებულია გამანადგურებელ-ტანკსაწინაღო ან საზარბაზნე არტილერიის ნაწილები (ქვედანაყოფები), სხვა ტანკსაწინაღო საშუალებები, რომლებსაც აქვთ ცეცხლის საერთო სისტემა და ერთიანი მართვა; ტანკსაწინაღო თავდაცვის ერთ-ერთი ელემენტი.

887. **ტანკსაწინაღო თავდაცვა** - ორგანიზაციული ღონისძიებების და ჯარების საბრძოლო მოქმედების კომპლექსი მოწინააღმდეგის ტანკების და სხვა ჯავშნოსანი საშუალებების იერიშების მოსაგერიებლად და მათ გასანადგურებლად. ტანკსაწინაღო თავდაცვა იშვა 1-ელ მსოფლიო ომში, როდესაც ბრძოლის ველზე ტანკები გამოჩნდა. ომისშემდგომ წლებში ტანკსაწინაღო თავდაცვა საბრძოლო უზრუნველყოფის სახეობიდან გადაიზარდა თავდაცვის შემადგენელ ნაწილად.

ტანკსაწინაღო თავდაცვის სისტემა მოიცავს: ავიაციის, სარაკეტო ჯარების მომზადებულ დარტყმებს და არტილერიის ცეცხლს დახურული საცეცხლე პოზიციებიდან მოწინააღმდეგის სატანკო დაჯგუფებებზე; ნაწილების და შენაერთების ტანკსაწინაღო საშუალებებს; ყველა სახეობის ტანკსაწინაღო ცეცხლის სისტემას წინა ზოლის წინ, ფლანგებზე, პირაპირებზე (შუალედებში) და თავდაცვის სიღრმეში; ტანკსაწინაღო ღობურების სისტემას, ტანკსაწინაღო რეზერვებს და მოძრავ გადამღობ რაზმებს.

888. ტაქტიკურ **ვითარებაში ცვლილება** - ახალი მონაცემები ტაქტიკური (ოპერატიული) ვითარების შესახებ, ზოგჯერ განსაზღვრული სასწავლო საკითხების დამუშავებისთვის ხელმძღვანელის (შუამავალის) მიერ სწავლების მონაწილეებისთვის სამომავლო ამოცანების შეტყობინება. შეტყობინება – კავშირგაბმულობის და ავტომატიზაციის საშუალებებით, აგრეთვე საბრძოლო დოკუმენტების გადაცემით ან ზეპირად ხორციელდება. ვითარების ზოგიერთი მონაცემები შესაძლოა იმიტირებდნენ ან ჯარების მოქმედებებით აღნიშვნა.

უ

889. **უკან დახევა** - შემდგომი საომარი მოქმედებისთვის ძალების და საშუალებების ახალი დაჯგუფების შექმნის მიზნით. უკან დახევა შეიძლება ხორციელდებოდეს სტრატეგიული ან ოპერატიული მასშტაბით ჯარების მიერ დაკავებული ზღუდეების (რაიონების) დატოვება და თავისი ტერიტორიის სიღრმეში ახალ ზღუდეებზე (რაიონებში) მათი გადაყვანა. უკან დახევა ნებისმიერ ვითარებაში ეწყობა მხოლოდ ზემდგომი მეთაურის (უფროსის) ბრძანებით ან ხორციელდება.

გაერთიანების უკან დახევას მიენიშნება უკან დახევის ზოლი, მოქმედების წესი, ბოლო ზღუდე (რაიონი) და მისი დაკავება-შენარჩუნების წესი, ურთიერთქმედების და ყოველმხრივი უზრუნველყოფის ძირითადი საკითხები. მთავარი ძალების უკან დახევის შერჩეული მიმართულება უნდა უზრუნველყოფდეს ჯარების ბრძოლისუნარიანობის უცილობელი შენარჩუნების პირობით ყველაზე ხელშემწყობ პირობებს უკან დახევის და საბოლოო (დანიშნულ) ზღუდეზე თავმოყრისთვის.

890. **უკუძცევა** - ჯარების მიერ დაკავებული ზღუდეების (რაიონების) დატოვება და მათი გადაყვანა ახალ ზღუდეებზე (რაიონებში) თავისი ტერიტორიის სიღრმეში, შემდგომი საომარი მოქმედებისთვის ძალების და საშუალებების ახალი დაჯგუფების შექმნის მიზნით. უკუძცევა შეიძლება ხორციელდებოდეს სტრატეგიული ან ოპერატიული მასშტაბით. უკუძცევა ნებისმიერ ვითარებაში ხორციელდება მხოლოდ ზემდგომი მეთაურის (უფროსის) ბრძანებით ან ნებართვით.

გაერთიანების უკუძცევისას მიენიშნება უკუძცევის ზოლი, მოქმედების წესი, ბოლო ზღუდე (რაიონი) და მისი დაკავება-შენარჩუნების წესი, ურთიერთქმედების და ყოველმხრივი უზრუნველყოფის ძირითადი საკითხები. მთავარი ძალების უკუძცევის შერჩეული მიმართულება ჯარების ბრძოლისუნარიანობის უცილობელი შენარჩუნების პირობით უკუძცევის და საბოლოო (დანიშნულ) ზღუდეზე თავმოყრისთვის ყველაზე ხელსაყრელ უნდა უზრუნველყოფდეს პირობებს.

891. **უნიფიცირებულობა** (54) – ერთიანი დოქტრინის, ინსტრუქციების და ერთნაირი ტექნიკის გამოყენების შედეგი.

892. **უსაფრთხოების ზონა** (183) – სანაპირო რაიონი, რომელიც მოწინააღმდეგის თავდასხმის თვალსაზრისით უსაფრთხოდ ითვლება და სადაც ბრძანების შესაბამისად სავაჭრო გემები შეიძლება იქნას გაგზავნილი.

893. **უშუალო მხარდაჭერა –** ქვედანაყოფზე დაკისრებული ამოცანა, მხარი დაუჭიროს სხვა განსაკუთრებულ ძალას და იმოქმედოს მისი მოთხოვნების შესაბამისად. ნატო-ს – მხარდაჭერა, რომელიც მოცემული ქვედანაყოფებისთვის აღმოჩენილია იმ ძალების მიერ, რომელიც არ შედის მოცემული ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში, მაგრამ ევალება უპირატესობა მიანიჭოს მხარდამჭერი ქვედანაყოფების მოთხოვნებს.

894. **უახლოესი ამოცანა** (იხ. საბრძოლო ამოცანა)

895. **უცხო ქვეყნების მედლები** - უცხო ქვეყნების სამხედრო და სხვა წარჩინებისთვის და დამსახურებისთვის ჯილდოს სახეობა, აგრეთვე ჯილდოები დაწესებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. არსებობენ მედლები საბრძოლო დამსახურებისთვის, ომებში, სამხედრო კამპანიებში, ბრძოლებში მონაწილეობისთვის ხანგრძლივი სამსახურისთვის და სხვა. ბევრ ქვეყანაში დაწესებულია სხვადასხვა სახის ეკონომკიური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა მოღვაწეობაში მიღწევებისთვის, მნიშვნელოვანი მოვლენების აღსანიშნი, გამოჩენილი პიროვნებების, საიუბილეო და სხვა. სახელმწიფო ჯილდოების სისტემაში ორდენებთან შედარებით მედლებს დაქვემდებარებული მდგომარეობა გააჩნიათ და ხარისხები არ გააჩნიათ, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად აშშ „საპატიო მედალი") შესაძლოა აღემატებოდეს მათ. უფროსობით უმაღლესს წარმოადგენს მედალი პირადი გმირობისთვის; ნაკლებ საპატიოა – ომებში მონაწილეობისთვის, საიუბილეო და სხვა.

896. **უცხო ქვეყნების ორდენები** – უცხო ქვეყნების უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო სამხედრო და სხვა დამსახურებისთვის და გამორჩეულობისთვის. 14-16 ს.ს. ევროპელი მონარქები სასულიერო-რაინდულთან მსგავს მაღალი წრის ორდენის საზოგადობას აფუძნებდნენ (ოქროს საწმისის და ა.შ.). მე-19 საუკუნის დასაწყისში ამ ორგანიზაციებმა მნიშვნელობა დაკარგეს, ხოლო ორდენის ნიშნებმა სახელმწიფო ჯილდოს ფუნქცია მოიპოვეს. 90 –იანი წლების დასაწყისში ორდენებით დაჯილდოება შენარჩუნებულია უმეტესად კონსტიტუციური მონარქიის ქვეყნებში. ზოგ ქვეყნებში უმაღლესი სამხედრო ჯილდოები ჯვრის ან მედალის სახისაა (დიდ ბრიტანეთში – „ვიქტორიის ჯვარი" ხოლო ა.შ.შ. „პატივის მედალი").

897. **უგზოუკვლოდ დაკარგული** – პირი, რომლის უგზოუკვლოდ დაკარგვა დადასტურებულია სასამართლოს წესით. თუ გარკვეული ვადის მანძილზე, მიღებული ყველა ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა იმის დადგენა, ცოცხალია თუ არა უგზოუკვლოდ დაკარგული, სასამართლო მას გარდაცვლილად აცხადებს. უგზოუკვლოდ დაკარგულთა შინმოუსვლელად ან გარდაცვლილად ცნობა იწვევს იურდიულ შედეგებს (უფლებების და მოვალეობების გადასვლა მემკვიდრეებზე, პენსიების დანიშვნა ოჯახის წევრებისთვის და ა.შ.).

898. **უკანდახევა** - ჯარების (ძალების) მიერ დაკავებული ზღუდეების (რაიონების) წინასწარგანზრახული ან იძულებითი დატოვება და მათი გამოყვანა მოწინააღმდეგის დარტყმების თავიდან აცილების მიზნით, შემდგომი მოქმედებისთვის უფრო ხელსაყრელი მდგომარეობის დაკავებით.

წინასწარგანზრახული უკანდახევა, ჩვეულებრივ, ეწყობა ფრონტის მეზობელ მონაკვეთებზე ან ზურგში ვითარების გაუარესებასთან დაკავშირებით. იძულებით უკანდახევას ახორციელებენ შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები ისეთ პირობებში, როდესაც არსებული ძალებით შეუძლებელია დაკავებული ზღუდის (რაიონის) შენარჩუნება და საბრძოლო მოქმედების გაგრძელებას შეიძლება მოჰყვეს თავდამცველი ჯარების დამარცხება. სამხედრო-საზღვაო ძალებში უკანდახევა - ეს არის სახომალდო ძალების მოქმედება საბრძოლო ამოცანის შესრულების ან ბრძოლიდან წინასწარ განზრახული (იძულებითი) გამოსვლის შემდეგ ბაზაზე (ზღვის დადგენილ რაიონში) გადასვლის მიზნით, ხელახალი გაშლისთვის ახალი ან ადრე დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, მოწინააღმდეგის უპირატესი ძალებისგან თავის ასარიდებლად და სხვ. ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანდახევას 1982 წ-მდე ეწოდებოდა „უკანდახევითი მოქმედება". განასხვავებენ უკანდახევის სამ ხერხს: შემაკავებელი მოქმედება, ბრძოლიდან გამოსვლა, გასვლა მოწინააღმდეგესთან შეუხებლად..

899. **უკანდახევის ზოლი** – ადგილმდებარეობის ზოლი, რომელიც ენიშნება გაერთიანებას (შენაერთს) უკანდახევის განსახორციელებლად. უკანდახევის ზოლებში ინიშნება და ეწყობა მოძრაობის მარშრუტები, სარაკეტო ჯარების და არტილერიის პოზიციური რაიონები, მართვის პუნქტების ადგილები, თავდაცვის (უკანდახევის) შუალედური და საბოლოო მიჯნები, ხორციელდება ნგრევა და ეწყობა ღობურები.

900. **უკუქცევა** – ჯარების მიერ დაკავებული ზღუდეების (რაიონების) დატოვება და მათი გადაყვანა ახალ ზღუდეებზე (რაიონებში) თავისი ტერიტორიის სიღრმეში შემდგომი საომარი მოქმედებისთვის ძალების და საშუალებების ახალი დაჯგუფების შექმნის მიზნით. უკუქცევა შეიძლება ხორციელდებოდეს სტრატეგიული ან ოპერატიული მასშტაბით. უკუქცევა ნებისმიერ ვითარებაში ეწყობა მხოლოდ ზემდგომი მეთაურის (უფროსის) ბრძანებით ან ნებართვით. გაერთიანების უკუქცევისას მიენიშნება უკუქცევის ზოლი, მოქმედების წესი, ბოლო ზღუდე (რაიონი) და მისი დაკავება-შენარჩუნების წესი, ურთიერთქმედების და ყოველმხრივი უზრუნველყოფის ძირითადი საკითხები. მთავარი ძალების უკუქცევის შერჩეული მიმართულება უნდა უზრუნველყოფდეს ყველაზე ხელშემწყობ პირობებს უკუქცევის და საბოლოო (დანიშნულ) ზღუდეზე თავმოყრისთვის ჯარების ბრძოლისუნარიანობის უცილობელი შენარჩუნების პირობით.

901. **ურთიერთქმედების გეგმა** - ოპერაციის გეგმის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ჯარების (ძალების) ერთობლივი მოქმედების წესი მათ მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულებისას. ურთიერთქმედების გეგმაში აისახება: ოპერატიული დაწყობა (საბრძოლო წყობა), ძირითადი ამოცანები, მათი შესრულების თანმიმდევრობა მიმართულებების, ზღუდეების (რაიონების), დროის მიხედვით; საბრძოლო მოქმედების უზრუნველყოფა, ჯარების (ძალების) მართვის ორგანიზაცია, ორმხრივი ინფორმაციის, შეტყობინების, ამოცნობის, მიზანჩვენების წესი.

902. **ურთიერთქმედების გეგმიური ცხრილი** იხილე ურთიერთქმედების გეგმა.

903. **უწონობა** – მატერიალური სხეულის მდგომარეობა, რომლის დროს მასზე მოქმედი გარე ძალები მისი ნაწილაკების ურთიერთ წნევებს არ იწვევენ. წარმოიქმნება მიზიდულობის ველში სხეულის თაავისუფალი წინსვლითი მოძრაობის დროს (მაგალითად, ვერტიკალური ვარდნა, კოსმოსური ხომალდის ფრენა. უწონობა ადამიანის ორგანიზმზე არსებით გავლენას ახდენს, განსაკუთრებით ვესტიბულარულ აპარატზე, კუნთების სისტემაზე, სისხლძარღვებზე. როგორც წესი, ადაპტაცია სერიოზული გართულებების გარეშეა.

904. **უზრუნველმყოფი მოქმედებები** – ღონისძიებები ჯარების (ძალების) ძირითად დაჯგუფებათა მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის (ბრძოლისუნარიანობის) და საბრძოლო მოქმედების უზრუნველსაყოფად საბრძოლო მოქმედების დანიშნულ ზოლებში (მათი პასუხისმგებლობის ზონებში). მოიცავს დაზვერვას, პირადი შემადგენლობის დაცვას მასობრივი დაზიანების იარაღისაგან, რადიოელექტრონულ ბრძოლას, აგრეთვე ჯარების დაცვას, შენიღბვას და საინჟინრო დაფარვას.

905. **უზრუნველყოფის ზოლი** - ადგილმდებარეობის ზოლი, რომელსაც გაერთიანება თავდაცვის წინა ხაზის წინ ქმნის. ეწყობა თავდაცვაზე გადასვლისას მოწინააღმდეგესთან შეუხებლად იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანონ მოწინააღმდეგე თავდაცვის ჭეშმარიტი აგებულების თაობაზე, შეაფერხონ მისი წინსვლა და მოიგონ დრო თავდაცვის მომზადებისთვის, აიძულონ მოწინააღმდეგე, დროზე ადრე გაშალოს მთავარი ძალები, გამოავლინონ მათი შემადგენლობა და მთავარი დარტყმის მიმართულება, მიაყენონ მოწინააღმდეგეს ზარალი, სანამ გავიდოდეს თავდაცვის ზოლის მთავარი ზღუდის წინა ხაზთან. მოიცავს რამდენიმე პოზიციას, თავდაცვის რაიონებს (საყრდენ პუნქტებს) და ღობურების სისტემას. ზოლს იცავენ მეწინავე რაზმები ან დაფარვის ჯარების ნაწილები. შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა ქვეყნის არმიებში უზრუნველყოფის ზოლი დაფარვის ზონის ნაწილს წარმოადგენს.

906. **უზრუნველყოფის ზოლის გადალახვა** - ჯარების მოძრაობა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ადგილმდებარეობის ზოლის და მის წინ მდებარე თავდაცვის წინა ხაზის გადასასვლელად. მთავარი ძალების მოძრაობის უზრუნველყოფა ხდება მეწინავე რაზმების და ავანგარდების მოქმედებით. მეწინავე რაზმებს გზავნის შენაერთი, ისე, რომ არ ებმება ბრძოლაში მოწინააღმდეგის ჯარებთან, რომლებიც თავს იცავენ უზრუნველყოფის ზოლში (დაფარვის ზონაში), გვერდს უვლიან მათს საყრდენ პუნქტებს, სწრაფად მიიწევენ მოწინააღმდეგის ძირითადი თავდაცვითი ზღუდისკენ და ისწრაფვიან, შეუჩერებლივ ჩაიგდონ იგი ხელში. 1-ლი ეშელონის ნაწილების ავანგარდები ანადგურებენ მოწინააღმდეგის დაფარვის ჯარების ქვედანაყოფებს და უზრუნველყოფენ მთავარი ძალების წინსვლას და გაშლას. მეწინავე რაზმების და ავანგარდების მოქმედებას მხარს უჭერენ ავიაციისა და რაკეტების დარტყმებით, არტილერიის ცეცხლით, საჰაერო დესანტების მოქმედებით. შემტევი ჯარების მთავარი ძალები მიჰყვებიან მეწინავე რაზმებს და ავანგარდებს ბრძოლისწინა წყობით და მეწინავე რაზმების და ავანგარდების ძალვის გაძლიერების და საბრძოლო წყობად გაშლის მზადყოფნით, რათა შეუჩერებლივ ჩაიგდონ ხელში ძირითადი თავდაცვის ზღუდე.

ფ

907. **ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲗᲘ ᲑᲝᲛᲑᲓᲐᲨᲔᲜᲐ–** ერთ საერთო ფართობზე განლაგებული მიზნების ჯგუფზე განხორციელებული ბომბური დარტყმა, წერტილოვან ობიექტზე დამიზნების გარეშე.

908. **ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ** (88) – ფლოტილიის და ესკადრების, ფლოტის გაერთიანებების და შენაერთების მიზნების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც ტარდება შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების გაერთიანებებთან და შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით, ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით საოკეანო (საზღვაო) საბრძოლო მოქმედებების თეატრში, ოპერატიულ-სტრატეგიული ან ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად.

909. **ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ** – საფრენი აპარატის დაგეგმილი ფრენის ან ფრენის ეტაპის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც საჰაერო მოძრაობის მართვის ორგანოს გადაეცემა.

910. **ᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ** (187) – სახელმწიფოს სახმელეთო ზედაპირის და ტერიტორიული წყლების თავზე არსებული გარკვეული ზომების საჰაერო სივრცე, რომელშიც გარკვეული დათქმული პირობების შესაბამისად საფრენი აპარატების ფრენები იზღუდება.

911. **ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ –** მოწინააღმდეგის ჯარებსა და მოსახლეობაზე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც შეთანხმებულია მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით; ფსქოლოგიური ბრძოლის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი. გამოიყენება მოშურნე მხარის დეზორიენტაციის და დემორალიზაციის, მისი ნების და წინააღმდეგობის შემცირების, აგრეთვე თავისი და მეგობარი სახელმწიფოების მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის კონსოლიდაციის და მორალური სულისკვეთების განმტკიცებისთვის.

მიზნების, მასშტაბის და ამოცანების კვალობაზე ფსიქოლოგიური ოპერაციები ხორციელდება სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. მათ განსახორციელებლად იზიდავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დიპლომატიურ და სადაზვერვო ორგანოებს, სამხედრო ფორმირებების მეთაურებს და შტაბებს, შეიარაღებული ძალების ფსიქოლოგიური ბრძოლის სპეციალურ აპარატს.

912. **ᲤᲔᲜᲘᲚᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ** – არტილერიის სროლა ლულის ამაღლების 20^0 – მდე. ძირითადად პირდაპირი დამიზნებით მიზნების დაზიანებისთვის გამოიყენება. მანძილის ზღვრებში განასხვავებენ – პირდაპირი გასროლის მანძილზე და რიკოშეტულ სროლას.

913. **ᲤᲚᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ –** ოპერატიულ-ტაქტიკური ღონისძიებები და ჯარების მოქმედებები, მიმართული ნაწილების შენაერთების და დაჯგუფებების ფლანგებზე და მათ შორის პირაპირებზე მოწინააღმდეგის მიერ უეცარი შეტევების და დარტყმების გამორიცხვა, აგრეთვე საბრძოლო (ოპერატიული) ამოცანების შესრულებისას ამ შეტევების და დარტყმების მოგერიება. ფლანგების და პირაპირების უზრუნველყოფის საიმედოობა მიიღწევა თითოეულ ფლანზე და პირაპირზე პასუხისმგებლების დანიშვნით; ფლანგური ნაწილების, შენაერთების და დაჯგუფებების ურთიერთქმედებით და მათ შორის

უწყვეტად მოქმედი კავშირის არსებობით; დაზვერვის უწყვეტი წარმოებით; ფლანგების და პირაპირების დაფარვის მიზნით მანევრისთვის ძალების და საშუალებების გამოყოფით; ფლანგების და პირაპირების მიმართულებებით საცეცხლე დარტყმების და ცეცხლის სისტემის ორგანიზაციის დაგეგმვით; საინჟინრო დაბრკოლებების შექმნით; საბრძოლო და სადარაჯო დაფარვის ორგანიზებით.

914. **ფლოტის სახომალდო ძალების დაცვა –** საბრძოლო მოქმედების და ღონისძიებების კომპლექსი თავდაცვის და დაცვის ყველა სახეობის სისტემაში, რომელთა მიზანია, არ დაუშვან მოწინააღმდეგის ავიაციის, წყალქვეშა ნავების და წყალზედა ხომალდების უეცარი თავდასხმა, და უზრუნველყონ თავიანთი სახომალდო ძალები საჭირო დროით და ხელშემწყობი პირობებით საბრძოლო წყობად განლაგების და საბრძოლო მოქმედების წარმოებისთვის. ხორციელდება ხომალდთა შენაერთების ბაზაში ყოფნისას, ზღვით გადასვლის და ბრძოლის დროს.

915. **ფლოტის ძალების საჰაერო თავდაცვა** – საორგანიზაციო ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების კომლექსი საჰაერო მოწინააღმდეგის თავდასხმის მოგერიების, ზღვაში და ბაზირების პუნქტებში, აგრეთვე ფლოტის სანაპირო ობიექტების ჰაერიდან დარტყმებისგან დაფარვა. ხორციელდება სამხედრო-საზღვაო ძალების გაერთიანებების, შენაერთების და დაჯგუფებების ოპერაციებში და ბრძოლებში, ზღვით გადასვლისას (ცალკეული ხომალდების, შენაერთების, ტაქტიკური ჯგუფების), ფლოტის ძალების ყოველდღიურ საბრძოლო საქმიანობაში საზენიტო საცეცხლე საშუალებებით დაზვერვის საშუალებებით, რადიო-ელექტრონული ბრძოლის და ხომალდის შენიღბვის, სანაპირო ნაწილების, ქვედანაყოფების და ფლოტის სახომალდო ბაზირების გამანადგურებელი ავიაციით ზღვისპირა საჰაერო თავდაცვის გაერთიანებებთან და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებით. ფლოტის ძალების საჰაერო თავდაცვის ინტერესებისთვის წარმოებს საჰაერო მოწინააღმდეგეზე დაზვერვა და თვალთვალი; იქმნება სისტემა გამანადგურებელი საავიაციო დაფარვის და საზენიტო ცეცხლის, რადიო-ელექტრონული ბრძოლის, მართვის და კავშირგაბმულობის; ორგანიზდება ურთიერთქმედება ფლოტის საჰაერო თავდაცვის ძალებთან და საშუალებებთან, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ზღვისპირა გაერთიანებებთან.

916. **ფლოტის ძალების ხელმეორედ გაშლა –** წინათ არსებული ძალების დაჯგუფების შეცვლა საომარი მოქმედების საზღვაო თეატრში გაერთიანებების (შენაერთების), აგრეთვე ცალკეული ხომალდებისა და ფლოტის ნაწილების ერთი რაიონიდან მეორეში გადაადგილების გზით, ახალ დაჯგუფებათა შესაქმნელად ან არსებულთა გასაძლიერებლად ცალკეულ მიმართულებებზე ძალთა თანაფარდობის თავის სასარგებლოდ შეცვლის მიზნით.

917. **ფრენების გეგმიური ცხრილი** – ფრენების ხელმძღვანელის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი, რომელიც მის ჩატარებაზე საავიაციო მეთაურის გადაწყვეტილებას ასახავს. ფრენების გეგმიურ ცხრილში მითითებულია ფრენებისთვის მოზიდული ქვედანაყოფები, ფრენების თარიღი, დრო, მარშრუტი და ზონები პილოტაჟის ფიგურების შესრულებისთვის, თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ტიპები და საბორტო ნომრები; ეკიპაჟები და მათი სახმისები, ამინდის პირობები, რომლის

დროსაც ფრენები დაშვებულია, ფრენების დავალებების შინაარსი; ფრენების ხელმძღვანელობების ჯგუფების შემადგენლობა და მათი უზრუნველყოფა.

918. **ფრენების უზრუნველყოფა** – ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული ფრენის დავალებების და ფრენის უსაფრთხოების მიღწევის წარმატებით შესრულებაზე. მოიცავს: საშტურმანო, საეროდრომო-ტექნიკურ, რადიო-ტექნიკურ, მეტეოროლოგიურ, სამედიცინო, საძიებო-სამაშველო, საპარაშუტო-სამაშველო, ორნიტოლოგიურ უზრუნველყოფას, კავშირგაბმულობის და ნავიგაციური ინფორმაციით უზრუნველყოფას, აგრეთვე ფრენებისთვის საავიაციო ტექნიკის და პირადი შემადგენლობის მომზადებას.

919. **ფრენის დინამიკა** – ფრენის თეორია, სხვადასხვა დანიშნულების საფრენი აპარატების დინამიკური თვისებების და მოძრაობის შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა. ფრენის დინამიკის მეშვეობით საფრენი აპარატების მოძრაობის ტრაექტორიას, მისი მასების ცენტრის ფარდობით მოძრაობას, ფრენის დროს მდგრადობას და მართვადობას იკვლევენ. ბაზირებს თეორიულ მექანიკაზე, მდგრადობის თეორიებზე და რეგულირების ავტომატურ სისტემებზე, ოპტიმიზაციის მეთოდებზე და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებზე და დინამიკური სისტემების სინთეზზე.

920. **ფრენის დრო** – სამხედრო-საჰაერო ძალებში – საფრენი აპარატის ფრენის დრო აეროდრომიდან, გაშვების ზონიდან (რაიონიდან) დანიშნულ მიზნამდე. საჰაერო დაცვაში- მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებების აღმოჩენის მომენტიდან საზენიტო-სარაკეტო დივიზიონების საბრძოლო მოქმედებების ზონის საზღვრამდე.

921. **ფრენის რეჟიმი** – ფარდობითად მდგრადი შეხამება მიცემული (მფრინავის მიერ შერჩეული) ფრენის პარამეტრების მნიშვნელობების, რომლებიც განსაზღვრავენ მოძრაობის ხასიათს, და ჰაერში საფრენი აპარატის მდებარეობას (სიმაღლე, სიჩქარე, ძრავის ბრუნვის სიხშირე და სხვა).

922. **ფრენის რუკა** – აერონავიგაციური რუკა მარშრუტის, ფრენის გაანგარიშებით, ვიზუალური და რადიოლოკაციური ორიენტირების გზის კონტროლის, გათვლების წარმოების და სხვა ოპერაციების შერჩევისა და გაყვანისთვის.

923. **ფრენის წესი** – ერთობლივი ფრენის გახორციელებისას ჰაერში თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ურთიერთ განლაგება. ხასიათდება საერთო სიღრმით და სიგანით, დისტანციებით, ინტერვალებით (მანძილებით და ვიზირების კუთხეებით), ნაწილებს, ქვედანაყოფებს თვითმფრინავებს (ვერტმფრენებს) შორის დამდაბლებასა გადამეტებაზე.

924. **ფრენისთვის მომზადება** – ღონისძიებათა კომლექსი, რომელიც ფრენის დავალების დროულ და უსაფრთხო შესრულებას უზრუნველყოფს. მოიცავს საფრენი აპარატის, ეკიპაჟის და ფრენის მართვის და უზრუნველყოფის საშუალებების მომზადებას. განხორციელების დროის მიხედვით – საერთო, წინასწარი, წინასაფრენი და უშუალო. მომზადების თითოეული სახის მოცულობა და შინაარსი შესაბამის დოკუმენტებით ან უფროსი მეთაურის მითითებებით რეგლამენტირდება.

925. **ფრენისწინა მომზადება** - საფრენი აპარატის ფრენის წინ რეგლამენტის შესაბამისად სამუშაობების ჩატარება. მოიცავს საფრენი აპარატის დათვალიერებას და გაუმართობის აღმოფხვრას; საფრენი აპარატის სისტემების გამართვის და

გატენის შესაბამისობის შემოწმებას და აუცილებლობის შემთხვევაში კმაგაწყობა, ნავიგაციურ და სპეციალურ სისტემებში საწყისი მონაცემების შეყვანას და სხვა.

926. **ფსიქიური იერიში** – თავდაცვაში მყოფ მოწინააღმდეგეზე დაშინებაზე გათვლილი იერიში, მის ფსიქიკაზე მკვეთრ და ძლიერ დესტაბილიზაციაზე, წინააღმდეგობის გაწევაზე ნებისყოფის დათრგუნვაზე. მოიცავს გარე ეფექტების ელემენტებს, ახალი იარაღის გამოყენებას და სხვა.

927. **ფსიქოლოგიური ოპერაცია** – მოწინააღმდეგის ჯარებსა და მოსახლეობაზე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც შეთანხმებულია მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით; ფსქოლოგიური ბრძოლის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი. გამოიყენება მოშურღლე მხარის დეზორიენტაციის და დემორალიზაციის, მისი ნების და წინააღმდეგობის შემცირების, აგრეთვე თავისი და მეგობარი სახელმწიფოების მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის კონსოლიდაციის და მორალური სულისკვეთების განმტკიცებისთვის. მიზნების, მასშტაბის და ამოცანების კვალობაზე ფსიქოლოგიური ოპერაციები ხორციელდება სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. მათ განსახორციელებლად იზიდავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დიპლომატიურ და სადაზვერვო ორგანოებს, სამხედრო ფორმირებების მეთაურებს და შტაბებს, შეიარაღებული ძალების ფსიქოლოგიური ბრძოლის სპეციალურ აპარატს.

ქ

928. **ქიმიური ბრძოლა** (39) – იხ. საბრძოლო მოქმედებები ქიმიური იარაღის გამოყენებით.

929. **ქიმიური ვითარება** (39) – ფაქტორები და პირობები, რომლებიც წარმოიქმნება მოწინააღმდეგის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად. ხასიათდება: მომწამლავი ნივთიერებების სახეებით, მათი გამოყენების მასშტაბებით, ადგილმდებარეობის, წყალსაცავების და სხვადასხვა ობიექტების დასნებოვნების სიმჭიდროვით, მომწამლვი ნივთიერებების ორთქლის (აეროზოლების) გავრცელების ზონის ზომებით, ჯარების (ძალების) დაზიანებული პირადი შემადგენლობის და მოსახლეობის, დასნებოვნებული სამხედრო ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების რაოდენობით.

ღ

930. **ღობურების და დაბრკოლებების გადალახვა** – ჯარების ორგანიზებული გასვლა ღობურებში, ნანგრევებში, ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებში, როდესაც შეუძლებელია მათი შემოვლა. ტრალიანი ტანკები გადალახავენ ნაღმასაფეთქებელ ღობურებს საბრძოლო (ბრძოლისწინა) წყობით; უტრალო ტანკები და სხვა ტექნიკა - გასასვლელებით; ქვეითი ჯარი, ფეხით - გასასვლელებით ან ტანკების მიერ გატრალური კალაპოტით. ბუნებრივ დაბრკოლებებს და არაასაფეთქებელ ღობურებს, ჩვეულებრივ, გადიან კიდული ბულდეზურული მოწყობილობით აღჭურვილი ტექნიკის, განღობვის საინჟინრო მანქანების, ასაფეთქებელ ნივთიერებათა მუხტებისა და ადგილობრივი მასალების გამოყენებით. ისეთ დაბრკოლებებს, როგორიც არის ხევები, ვიწრო მდინარეები, არხები, ფლატენაპირიანი ნაკადულები და ა.შ., გადალახავენ გადასასვლელებითა და ფონებით, რომლებიც ეწყობა ხიდგამდებების, ლიანდიანი მექანიზებული ხიდების,

გზაგამყვანების მეშვეობით და ა.შ. საჭიროებისას აშენებენ წყალდაბალ ხის ხიდებს. საზღვაო ნაღმურ ღობურებს გადალახავენ გატრალური ფარვატერით ან ხომალდების (გემების) ტრალებს უკან გატარებით.

931. **ღერბი** - საცნობი-სამართლებრივი ნიშანი, განსაზღვრული წესით შედგენილი, და უმაღლესი ხელისუფლების მიერ დაფიქსირებული (დამტკიცებული). დაიყოფა გვაროვნულ (პირად), ტერიტორულ(სახელმწიფოს, ქალაქის და მსგავსი), კორპორაციულ და დაწესებულების. წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში მე-12-13 საუკუნეებში, თავდაპირველად რაინდების აბჯარზე, როგორც საცნობი სამხედრო ნიშანი. დროთა განმავლობაში გახდა მემკვიდროებითი, გაჩნდა სახელმწიფო ღერბი, სხვადასხვა კავშირების და კორპორაციების, სასულიერო და საერო. ფართო გავრცელება ჰპოვა ქალაქების ღერბებმა. ღერბების შესწავლას ჰერალდიკა აწარმოებს.

932. **ღობურების სიმჭიდროვე –** ღობურების საერთო სიგრძის (კმ-ობით) თანაფარდობა დასაფარავი მიმართულების (ზოლის, ზღუდის, მონაკვეთის) ფრონტის სიგანესთან. განისაზღვრება ცალ-ცალკე ტანკსაწინაღო, ქვეითი ჯარის საწინაღო ნაღმებისა და არაასაფეთქებელი ღობურებისათვის. ღობურების სიმჭიდროვე შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს თავდაცვის წინა ხაზის წინ, ტაქტიკურ და ოპერატიულ სიღრმეზე.

933. **ღობურების ზოლი –** ადგილმდებარეობის ზოლი, რომლის ფარგლებშიც იქმნება სხვადასხვა ღობურები მოწინააღმდეგის შემოტევის შეკავებისა და მისთვის ზარალის მიყენების მიზნით. ღობურების დაფარვა ხდება ყველა სახეობის ცეცხლით. ღობურების ზოლში არსებულ ობიექტებს დასანგრევად ამზადებენ.

934. **ღრმა ბრძოლა –** მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვის ერთდროული ჩახშობა მთელ სიღრმეზე, სწრაფი ტემპით მისი გარღვევა ქვეითი ჯარით და ტანკებით არტილერიის და ავიაციის მხარდაჭერით; შენაერთის, ნაწილის საბრძოლო მოქმედებების ფორმა.

ყ

935. **ყაითნის დანაკერი** – სამხედრო მოსამსახურეების სამოსელის საყელოზე (ზოგჯერ სახელოზე) სირმის, ჩახსაკერის, ნაჭრის დანაკერი; ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი; თავისი ფორმით შესაძლოა იყოს მართკუთხა, პარალელოგრამისებრი, რომბისებრი და სხვა. მინდვრის ფერი და შემოქობვა ჯარების სახეობაზე მიუთითებს.

936. **ყარაულების დაგზავნა** – საყარაულო სამსახურის დაწყების წინ ყარაულების ყოველდღიური დათვალიერება; ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი. ყარაულების დაგზავნის წესი საყარაულო სამსახურის წესდებით რეგლამენტდება.

937. **ყარაულების განრიგი** – დოკუმენტი, რომელიც ყარაულების განწესს არეგლამენტირებს ყარაულების განრიგში მითითებულია – ყარაულის ნომრები, დასაცავი ობიექტების დასახელება, საგუშაგოების და ცვლების რაოდენობა, ყარაულების შემადგენლობა.

938. **ყარაული** - (1) ყარაული არის ქვედანაყოფიდან დანიშნული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ბაზის ან ტერიტორიის სამხედრო დროშების, სამხედრო და სახელმწიფო ობიექტების, ჰაუპტვახტში მოთავსებული პირების დაცვაზე, ხოლო მხედრული პატივის მისაგებად ინიშნება საპატიო ყარაული. მასში შედიან:

ყარაულის უფროსი (ოფიცერი, უფროსი სერჟანტი), ყარაულის სერჟანტი (ყარაულის უფროსის თანაშემწე), ცვლის უფროსები (განმრინებლები) და მეყარაულეები. (2) ყარაულის, გუშაგის, მზირის მოვალეობებია: დაცვა და სხვა სპეციფიური ბრძანებების სათანადოდ შესრულება.

939. **ყინულოვანი დაზვერვა** – ყინულოვანი ვითარების შესახებ მონაცემების მოპოვება და შესწავლა მთლიანად ან ნაწილობრივ გაყინულ ზღვებში ფლოტის საბრძოლო და ყოველდღიური მოქმედებების, გემების ნაოსნობის, სამეცნიერო კვლევების და სხვა სახის უზრუნველყოფის მიზნით. ხორციელდება სანაპირო საგუშაგოებით, მცურავი შუქურებით, ხომალდებით და გემებით, საფრენი აპარატებით და მეტეოროლოგიური ხელოვნური თანამგზავრებით.

940. **ყინულოვანი ვითარება** – ზღვებზე და შიდა წყალსატევებზე ყინულის საფარის მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ხომალდების (გემების) ნაოსნობის უსაფრთხოებაზე და პირობებზე, ფლოტის სახომალდო ძალების საბრძოლო მოქმედებების ხასიათზე და ხერხებზე, ჯარების, საბრძოლო ტექნიკის ყინულზე გადასვლაზე, ყინულზე საფრენი აპარატების დაჯდომაზე და სხვა. ხასიათდება დაკავებული ფართობის არსებობით და ზომებით, ყინულის შეკრულობით, მისი ასაკით, სახით და სისქით, ყინულის ნაპირის მდებარეობით და მდგომარეობით, ყინულის საფარის განადგურების ხარისხით, ტოროსების არსებობით, ნაპრალების არსებობით და სხვა ფაქტორების.

შ

941. **შეიარაღებული ბრძოლა** – ომებში, საომარ კონფლიქტებში, შეიარაღებულ აჯანყებებში, ამბოხებებში, პუტჩებში და ა.შ. სხვადასხვა მასშტაბის საომარი მოქმედების წარმოების ძალებისა და საშუალებების გამოყენებით ბრძოლის ძირითადი სახეობა. კონკრეტული ომის მოვლენების შინაარსში შეიარაღებული ბრძოლა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული ბრძოლის სხვა, როგორც წესი, მისდამი დაქვემდებარებულ სახეობებთან, როგორიცაა: ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, დიპლომატიური, იდეოლოგიური და ა.შ. ომში შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობას და შედეგზე გავლენას ახდენს: მისი მიზნების სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი; შეიარაღებულ ბრძოლაში მონაწილე შეიარაღებული ძალების და სხვა შეიარაღებული ფორმირებების საბრძოლო ძლიერების მდგომარეობა; სამხედრო ხელოვნების განვითარების დონე და ა.შ.

მსოფლიო გაერთიანება ესწრაფვის ისეთი პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის შექმნას, რომელიც პოლიტიკის არსენალიდან გამორიცხავს შეიარაღებულ ბრძოლას და შექმნის პირობებს სადავო პრობლემების პოლიტიკური საშუალებებით გადასაწყვეტად.

942. **შეიარაღებული კონფლიქტის ლოკალიზაცია** (59) – მოქმედებების ერთობლიობა, მ.შ. სამხედრო ძალის გამოყენებით, რომლებიც მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტის მსაშტაბების შეზღუდვისკენ, მშვიდობიანი ხერხებით მისი შეწყვეტისათვის პირობების შექმნის მიზნით.

943. **შეიარაღებული ძალების არატრადიციული მოქმედებები** (155) – მოქმედებები, რომლებიც მიმართულია დაპირისპირებული ძალების დასაშორიშორებლად. ცეცხლის შეწყვეტაზე დაკვირვება ან პოლიტიკური შეთანხმებების სხვა პირობების დაცვა; უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება; დემილიტარიზაციის

და ბუფერული ზონების რეჟიმის უზრუნველყოფა; ტერიტორიაზე კონტროლის სხვადასხვა ფორმები (საკონტროლო-გამშვები პუნქტების, ბლოკ-პოსტების ორგანიზება და სხვ.); კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარული აქციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე აქციების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ სამოქალაქო სტრუქტურების ორგანიზებას ან აღდგენას, დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყების ხელშეწყობა.

944. **შეიარაღებული ძალების გაშლა** – იხ. სტრატეგიული გაშლა

945. **შემადგენლობაში შეყვანა** (28) – ნაწილების, ქვედანაყოფების და სამხედრო-მოსამსახურეების შედარებით მუდმივი დროით საორგანიზაციო ერთეულში შეყვანა.

946. **შემხვედრ-გადამკვეთი კურსი** (112) – კურსი, რომლის შენარჩუნებამ გამანადგურებელ – გადამჭერის და მიზნის შეტაკებამდე მიგვიყვანოს.

947. **შენარჩუნება** (97) – სახმელეთო ოპერაციების დროს, პოზიციების ან რაიონების ძალის გამოყენებით შენარჩუნება.

948. **შენიღბვა** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია, დაუმალონ მოწინააღმდეგეს ჯარები (ძალები) და ობიექტები, შეაცდინონ იგი ჯარების (ძალების) არსებობის, განლაგების, შემადგენლობის, მდგომარეობის, მოქმედების და განზრახვების, აგრეთვე სარდლობის გეგმების თაობაზე; საბრძოლო (ოპერატიული) უზრუნველყოფის სახეობა. შენიღბვა ხელს უწყობს ჯარების (ძალების) მოქმედების მოულოდნელობის მიღწევას, მათი ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას და სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას. გამოყენების მასშტაბის და ამოცანების ხასიათის მიხედვით იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ შენიღბვად. სტრატეგიული შენიღბვა ხორციელდება უმაღლესი მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით და მოიცავს მოწინააღმდეგისგან კამპანიების, სტრატეგიული ოპერაციების მომზადების დამალვის, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ჭეშმარიტ განზრახვებთან და მოქმედებასთან დაკავშირებით დეზორიენტაციის ღონისძიებათა კომპლექსს. ოპერატიული შენიღბვა ხორციელდება ოპერაციების მომზადების ფარულობის უზრუნველყოფის, ოპერატიული მოულოდნელობის მიღწევის, მოწინააღმდეგისთვის ჯარების (ძალების) მოქმედების მთავარი მიმართულების დამალვის მიზნით. ტაქტიკური შენიღბვა ეწყობა და ხორციელდება შენაერთებში, ნაწილებსა და ქვედანაყოფებში და ცალკეულ ობიექტებზე იმ მიზნით, რომ დამალოს თავისი ჯარების (ძალების) არტილერიის და რაკეტების საცეცხლე (სასტარტო) პოზიციების, მართვის პუნქტების და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ბრძოლისთვის მომზადება ან განლაგება.

949. **შერკინება** (111) – მსხვილი ბრძოლების და დარტყმების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ოპერაციის მიზნების მიღწევის ან მისი ცალკეული ამოცანების გადაწყვეტისთვის. საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი ფორმა. ოპერაციაში შეიძლება იყოს ერთი ან რამოდენიმე შერკინება, რომლებიც მთელ ფრონტზე ან მის ცალკეულ მიმართულებებზე ერთდროულად ან თანმიმდევრულად ხორციელდება. განასხვავებენ საერთო-საჯარისო (მ.შ. სატანკო), საჰაერო და საჰაერო თავდაცვით, საჰაერო-სადესანტო, საზღვაო-სადესანტო და საზღვაო

შერკინებებს. ხასიათის მიხედვით შერკინება შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი.

950. **შეტევა** – ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედების ძირითადი სახეობა, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის განადგურების და დიდმნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების, ობიექტების) დაუფლების მიზნით. მისი არსია მოწინააღმდეგის დამარცხება ყველა არსებული საშუალებით, გადამწყვეტი იერიშით, მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში ჯარების სწრაფი წინსვლით, ცოცხალი ძალის განადგურება (დატყვევება), იარაღის, სამხედრო ტექნიკის და ადგილმდებარეობის დასახული რაიონების (ზღუდეების) ხელში ჩაგდება. შეტევა შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბის და ხორციელდებოდეს კვეთების, ოპერაციების, ბრძოლების და სხვა ფორმები საომარი მოქმედებით. შეტევის ნაირსახეობაა კონტრშეტევა. შეტევა შეიძლება დაიწყოს მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების მდგომარეობიდან ან შეუჩერებლივ, სიღრმიდან ჯარების გამოყვანით, მოწინააღმდეგის უზრუნველყოფის ხაზის გადალახვით, თავდაცვის, მათ შორის, გამაგრებული რაიონის გარღვევით, ან შემხვედრი ბრძოლის (კვეთების) წარმოებით. შეტევა შეიძლება განხორციელდეს მტრის აგრესიის მოგერიებისას, აგრეთვე თავდაცვითი ოპერაციების წარმატებით განხორციელების შემდეგ.

951. **შეტევის საწყისი ზღუდე** (113) – სახმელეთო ჯარების საბრძოლო მოქმედებებისას – ხაზი, რომლის დანიშნულებაა შემტევი ქვედანაყოფების იერიშზე გადასვლისთვის მოძრაობის დაწყების კოორდინაცია.

952. **შეტევის ჩაშლა** – მოწინააღმდეგის საავიაციო, საჰაერო თავდაცვის, სახმელეთო და სხვა დაჯგუფებებზე, ასევე მართვის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემებზე ისეთი ზემოქმედებების ერთობლიობა, რომლის შედეგადაც იგი იძულებული იქნება უარი თქვას არჩეულ მიმართულებაზე დასახული მიზნის მიღწევაზე. შეტევის ჩაშლის მიზანია – მოწინააღმდეგეს წაართვას შეტევის გაგრძელების შესაძლებლობა.

953. **შეტყობინება პილოტების** (156) – შეტყობინება, რომლებიც მოიცავს მომედებაში მოყვანის, მდგომარეობის და ცვლილებების, მომსახურების და პროცედურების ან შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციას.

954. **შეცდომაში შეყვანა** – სამხედრო ეშმაკობის გამოვლინების ფორმა; მოწინააღმდეგის დეზორიენტირება საბრძოლო მოქმედების მომზადების და წარმოების დროს, მისთვის სარდლობის გეგმებს და განზრახვებზე, ჯარების (ძალების) მდგომარეობის და მოქმედების ხასიათის შესახებ ცრუ წარმოდგენის თავსმოხვევა. ღონისძიებები, რომლებიც მოწინააღმდეგის მოსატყუებლად ხორციელდება, უნდა გამოიყურებოდეს უტყუარად, იყოს მრავალფეროვანი. მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა ხორციელდება დეზინფორმაციის, დემონსტრაციული მოქმედების და იმიტაციის მეშვეობით მოწინააღმდეგისთვის უცნობი საბრძოლო მოქმედების წარმოების ფორმების და მეთოდების და დაზიანების ახალი საშუალებების გამოყენებასთან შეხამებით.

955. **შეიარაღებული ძალების გაშლა** (იხ. სტრატეგიული გაშლა)

956. **შეკრების პუნქტი** – ადგილი სადაც თავს უყრიან სამხედრო ქვედანაყოფებს, ცალკეულ კატეგორიათა სამხედრო მოსამსახურეებს (რეზერვში მყოფ

მოქალაქეებს), საბრძოლო ტექნიკას, სამხედრო ქონებას და სხვ. იმ ქვედანაყოფების შეკრებისთვის, რომლებიც საბრძოლო განგაშზე გამოდიან თავიანთი შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალებით და სხვა მატერიალური საშუალებით, და მზად არიან, გაემართონ ნაწილის (შენაერთის) თავმოყრის რაიონში ან შეასრულონ საბრძოლო ამოცანა.

957. **შეკრების რაიონი** – რაიონი, სადაც ხორციელდება ჯარების თავმოყრა შემდგომი მოქმედებების მომზადებისთვის.

958. **შემდგომი ამოცანა** – იხილე საბრძოლო ამოცანა.

959. **შემომვლელი რაზმი** – სპეციალურად შექმნილი ფორმირება, რომელიც იგზავნება მოწინააღმდეგის შემოსასვლელად მისთვის ზურგიდან ან ფლანგში დარტყმის მიყენების, მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ხელში ჩაგდების და შენარჩუნების მიზნით. არის საბრძოლო წყობის ელემენტი საბრძოლო მოქმედების დროს, რომელიც წარმოებს მთაში, უდაბნოში, ტყიან, ჭაობიან ადგილებში, ჩრდილოეთის რაიონებში, ხოლო ზოგჯერ – ჩვეულებრივ პირობებში. შემომვლელი რაზმი იქმნება საერთო-საჯარისო ნაწილების და სხვა გვარეობათა ჯარების გაძლიერებული ქვედანაყოფებისგან.

960. **შემოვლა** - 1. მანევრი, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის განლაგებაში ჯარების (ძალების) ღრმა შეღწევის და მისთვის ზურგიდან დარტყმების მიყენების მიზნით. ჩვეულებრივ, ეხამება გარშემორტყმას. შემოვლა გამოიყენება მოწინააღმდეგის დაჯგუფების ალყაში მოსაქცევად და გასანადგურებლად, ჯარების მართვის დასარღვევად, დიდმნიშვნელოვანი ობიექტების (ზღუდეების) ხელში ჩასაგდებად მისი უკანდახევის გზებზე. სამხედრო-საზღვაო ძალებში შემოვლა ხორციელდება ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად და მოწინააღმდეგის მთავარ დაჯგუფებაზე (ობიექტზე) დარტყმის მისაყენებლად მისი დაფარვის ძალებთან (მეწინავე რაზმთან) საცეცხლე შეხებაში ჩაუბმელად. ზოგიერთ შემთხვევაში შემოვლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარების გასაყვანად (გამოსაყვანად) ახალ პოზიციებზე (ზღუდეებზე, რაიონებში) თავისი ჯარების განლაგების სიღრმეში; 2. იმ ზონების გადალახვის ერთ-ერთი ხერხი, სადაც არის დასნებოვნების, ნგრევის, ხანძრების, წყალდიდობის მონაკვეთები.

961. შემოვლა 2/257.

962. **შემხვედრი ბრძოლა** – შეტევითი ბრძოლის ნაირსახეობა, რომელშიც ორივე მხარე ისწრაფვის შეასრულოს დასახული ამოცანები შეტევით, რათა მოკლე ვადაში გაანადგუროს მოწინააღმდეგე, ხელთ იგდოს ინიციატივა და შექმნას პირობები შემდგომი მოქმედებისათვის. შემხვედრი ბრძოლა წარმოიშობა მარშზე მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას; თავდაცვაში – კონტრშეტევების მოწყობისა და კონტრდარტყმების მიყენებისას; ქვედანაყოფებისა და ნაწილების დაწინაურებისას ახალი მიჯნის დასაკავებლად ან 1-ლი ეშელონის ჯარების შესაცვლელად, მოწინააღმდეგის აერომობილურ ნაწილებთან, ტაქტიკურ საჰაერო და საზღვაო დესანტებთან ბრძოლის დროს. კონტრშეტევაში (შეტევაში) შემხვედრი ბრძოლა შეიძლება წარმოიშვას კვეთებაში ჯარების შეყვანისას, კონტრიერიშების (კონტრდარტყმების) მოგერიების, წარმატების განვითარების, ხვრელების დასაფარავად ან ხელსაყრელი მიჯნების დასაკავებლად წინ წამოსულ მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს, მისი თავდაცვის სიღრმეში სამანევრო

მოქმედებისას. შემხვედრი ბრძოლა მოიცავს: მხარეების დაახლოებას, ბრძოლის დაწყებას, მთავარი ძალების ბრძოლას და დამაგვირგვინებელ მოქმედებას. მხარეთა ძალების ზრდის პირობებში შემხვედრი ბრძოლა შეიძლება გადაიზარდოს შემხვედრ კვეთებად.

963. **შემხვედრი კვეთება** - ჯარების მხარეების ოპერატიული დაჯგუფებების შეტევითი მოქმედებების განსაკუთრებული სახეობა, რომლის დროსაც ისინი დასმული მიზნების მიღწევას შეტევით ისწრაფვიან. შეიძლება წარმოიშვას ომის საწყის პერიოდში თავდაცვის დაკავებისას გაერთიანების წინ წაწევის დროს. თავდაცვაში – კონტრდარტყმის მიყენებისთვის გაშლის ზღუდეზე გასვლის პერიოდში; მეორე ეშელონების (ოპერატიული რეზერვების) შეჯახების დროს აერომობილურ (საჰაერო-მოიერიშე) ფორმირებებთან, სარეიდო რაზმებთან, ოპერატიულ საჰაერო და საზღვაო დესანტებთან და თავდაცვის სიღრმეში შეღწეული მოწინააღმდეგის სწრაფმოძრავ ოპერატიულ დაჯგუფებებთან. კონტრშეტევაში (შეტევაში). შემხვედრი კვეთება შესაძლოა წარმოიშვას შეტევაზე მყოფ მოწინააღმდეგეზე ჯარების კონტრშეტევის გადასვლის დროს, მოწინააღმდეგის კონტრდარტყმების მოგერიების, რეზერვების განადგურების დროს და სხვა. შემხვედრი კვეთების დროს, განსაკუთრებით მისი წარმოქმნისას ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები შემხვედრ ბრძოლებს აწარმოებენ. მათი ერთობლიობა შემხვედრი კვეთების მთავარ შინაარს შეადგენს.

964. **შერკინება** (ძველ-რუსული) – დაპირისპირებული მხარეების მრავალრიცხოვანი ჯარების ბრძოლა, მასობრივი დანაკარგებით და ერთი მხარის გამარჯვებით.

965. **შეღწევა** – მოწინააღმდეგის განლაგებაში ჯარისკაცების, ცალკეული ჯგუფების ან ქვედანაყოფების ფარული შესვლა. დანიშნულ ადგილზე თავმოყრის შემდეგ ზურგიდან დარტყმისთვის გამოიყენება.

966. **შესაძლო იერიშების არე** – საჰაერო სივრცის ნაწილი, რომელშიც ყოფნის დროსაც შემტევ თვითმფრინავს (შვეულმფრენს) ან სხვა საფრენ აპარატს – დაზიანების საშუალებათა შემცველს შეუძლია, გავიდეს დამიზნების ტრაექტორიაზე და შეასრულოს დამიზნებით სროლა (რაკეტების გაშვება, ბომბების, ტორპედოების ჩაყმორა) მიწისზედა, წყალზედა, წყალქვეშა ან საჰაერო მიზნებზე.

967. **შეტევა** – ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედების ძირითადი სახეობა, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის განადგურების და დიდმნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების, ობიექტების) დაუფლების მიზნით. მისი არსია მოწინააღმდეგის დამარცხება ყველა არსებული საშუალებით, გადამწყვეტი იერიშით, ჯარების სწრაფი წინსვლით მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში, ცოცხალი ძალის განადგურება (დატყვევება), იარაღის, სამხედრო ტექნიკის და ადგილმდებარეობის დასახული რაიონების (ზღუდეების) ხელში ჩაგდება. შეტევა შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბის და ხორციელდებოდეს კვეთების, ოპერაციების, ბრძოლების და სხვა ფორმების საომარი მოქმედებით შეტევის ნაირსახეობაა კონტრშეტევა. შეტევა შეიძლება დაიწყოს მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების მდგომარეობიდან ან შეუჩერებლივ, სიღრმიდან ჯარების გამოყვანით, მოწინააღმდეგის უზრუნველყოფის ხაზის გადალახვით, თავდაცვის, მათ შორის, გამაგრებული რაიონის გარღვევით, ან

შემხვედრი ბრძოლის (კვეთების) წარმოებით. შეტევა შეიძლება განხორციელდეს მტრის აგრესიის მოგერიებისას, აგრეთვე თავდაცვითი ოპერაციების წარმატებით განხორციელების შემდეგ.

968. **შეტევის საავიაციო მხარდაჭერა -** ავიაციის საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც ოპერაციაში სახმელეთო ჯარების ინტერესებისთვის ხორციელდება; შეტევის საცეცხლე მხარდაჭერის შემადგენელი ნაწილი. იწყება ჯარების შეტევაზე გადასვლით. პირველ რიგში ნადგურდება მოწინააღმდეგის ბირთვული დარტყმის საშუალებები, წინწამოწეული უახლოესი რეზერვი, მართვის პუნქტები, საყრდენი პუნქტები, საცეცხლე საშუალებები.

969. **შეტევის ზოლი** – ადგილმდებარეობის ზოლი, რომლის ფარგლებშიც გაერთიანება (შენაერთი, ნაწილი) ასრულებს ოპერატიულ (საბრძოლო) ამოცანებს შეტევაში. იფარგლება მარჯვნიდან და მარცხნიდან გამმიჯვნელი ხაზებით. შეტევის ზოლის სიგანე დამოკიდებულია საბრძოლო ამოცანის შინაარსზე, საკუთარი ჯარების შემადგენლობაზე, მათი გაძლიერების საშუალებებზე, მოწინააღმდეგის შემადგენლობაზე, მდებარეობის და მოქმედების ხასიათზე, ადგილმდებარეობის თავისებურებებზე, ჰიდრომეტეოროლოგიურ და კლიმატურ პირობებზე.

970. **შეტევითი ბრძოლა** – ერთ-ერთი ძირითადი ფორმა ჯარების (ძალების) ტაქტიკური მოქმედების, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მისაღწევად; გამოიყენება მოწინააღმდეგის მოპირისპირე ტაქტიკური დაჯგუფების განადგურების და დიდმნიშვნელოვანი რაიონის (ზღუდის, ობიექტის) განადგურების მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს შემდგომი მოქმედებისთვის. მისი არსია, მოწინააღმდეგის დაზიანება ყველა არსებული საშუალებით, გადამწყვეტი იერიში, ჯარების სწრაფი წინსვლა მისი განლაგების სიღრმეში, ცოცხალი ძალის განადგურება და დატყვევება, იარაღის, სამხედრო ტექნიკის, სხვადასხვა ობიექტების და ადგილმდებარეობის დასახული რაიონების (ზღუდეების) ხელში ჩაგდება.

971. **შეტევითი ოპერაცია** – მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების, კვეთების, ბრძოლების, დარტყმების და მანევრის ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ გაერთიანებები ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით მოწინააღმდეგის მოპირისპირე დაჯგუფებათა განადგურებისა და მისი ტერიტორიის დაუფლების მიზნით საომარი მოქმედების კონტინენტური თეატრის სტრატეგიულ ან საოპერაციო მიმართულებაზე. მასშტაბის მიხედვით შეტევითი ოპერაცია შეიძლება იყოს სტრატეგიული, არმიების ჯგუფის, არმიის (კორპუსის); დროის მიხედვით – პირველი და მომდევნო, ჩვეულებრივ, შეტევითი ოპერაცია ხორციელდება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების გაერთიანებების (შენაერთების) ერთობლივი ძალისხმევით. შეტევითი ოპერაციის ძირითადი მაჩვენებლებია მონაწილე ჯარების (ძალების) რაოდენობა, ოპერაციის გაქანება.

972. **შეტყობინება** – მშვიდობიან ან ომიანობის დროს ზემდგომი მეთაურისთვის (უფროსისთვის) ან შტაბისთვის განსაზღვრული ცნობების მიწოდების მიზნით, შტაბის ან მართვის სხვა ორგანოების მიერ დამუშავებული საბრძოლო ან სამსახურებრივი საანგარიშო-საინფორმაციო საბუთი. დანიშნულებისამებრ

შესაძლოა იყოს საბრძოლო და სპეციალური. მშვიდობიან პერიოდში მუშავდება ოპერატიულ და სამობილიზაციო საკითხებზე, საჯარისო სამსახურის, სამხედრო დისციპლინის საკითხების, შეიარაღებით, ტექნიკით უზრუნველყოფის და სხვა. მონაცემების შინაარსიდან გამომდინარე – სასწრაფო და არასასწრაფო, მიმდინარე და შემაჯამებელი. სასწრაფო შეტობინებას სასწრაფო შეტყობინების ტაბელით დაწესებულ დროს წარადგენენ, არასასწრაფოს – ვითარებიდან ან ზემდგომი შტაბის მოთხოვნილებით. სასწრაფო საბრძოლო შეტყობინებაში გადაიცემა: გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულების შედეგები ხელქვეითი ჯარების (ძალების) მდგომარეობის მითითებით: მოწინააღმდეგის მოკლე შეფასება; შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება და თხოვნები უფროსი მეთაურის მიმართ. არასასწრაფო საბრძოლო შეტყობინება მოიცავს – საბრძოლო განკარგულებების (ბრძანებების) მონაცემების მიღებას, ვითარების ცვლილებას, მეთაურის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს. შემაჯამებელი საბრძოლო შეტყობინება დაწესებულ დროს და დღის ბოლოს ან დროის განსაზღვრულ პერიოდში ჯარების მდგომარეობის, მოქმედებების და უზრუნველყოფის განზოგადებულ მონაცემებს მოიცავს.

973. **შორეული რადიოლოკაცირი აღმოჩენა** – 1) საკონტინენთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და კოსმოსური ობიექტების 3000 კმ და მეტზე აღმოჩენა. ხორციელდება შორეული აღმოჩენის მიწისზედა სადგურების კომპლექსით, რომლებიც მთავარ რაკეტსაშიშ მიმართულებებზე გაშლილი, ჰოროზონტსიქეთ რადიოლოკაციური სადგურებით და სხვა საშუალებებით. 2)საჰაერო მიზნების აღმოჩენა 4000 კმ-მდე ჰოროზონტსიქეთ რადიოლოკაციური სადგურებით და 300-500 კმ რადიოლოკაციური სადგურებით, მიწისზედა რადიოლოკაციურ საგუშაგოებზე გაშლილი შორეული აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურებით. შორეული რადიოლოკაცირი აღმოჩენის თვითმფრინავების და ხომალდების გამოყენებით შორეული რადიოლოკაცირი აღმოჩენის შესაძლებლობები საგრძნობლად იზრდება.

974. **შორეული საცეცხლე თავდასხმა** – არტილერიის თავმოყრილი ცეცხლის ნაირსახეობა, 1-ლი და მე-2 მსოფლიო ომების დროს გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის დაზიანებისთვის, როგორც შეტევაში, ასევე თავდაცვაში. შორეული საცეცხლე თავდასხმისთვის წინასწარ განისაზღვრებოდა თავმოყრილი ცეცხლის მონაკვეთები მოწინააღმდეგის სავარაუდო თავმოყრის რაიონებში და წინ წამოწვის გზებზე. ძირითადად იყენებდნენ შორსმტყორცნ ზარბაზნიან არტილერიას, რომელსაც დროებით საცეცხლე პოზიციებზე წინა ხაზთან ახლოს განალაგებდნენ.

975. **შვეულმფრენსაწინაღო თავდაცვა** – ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი და საბრძოლო მოქმედება, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის შვეულმფრენების აღმოჩენა და დაზიანება; ჯარების საჰაერო თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება საბრძოლო მოქმედების, ოპერაციის და ბრძოლის ყველა სახეობის, გადაადგილების, ადგილზე ჯარების განლაგების დროს. შვეულმფრენსაწინაღო თავდაცვა მოიცავს: მოწინააღმდეგის საბრძოლო შვეულმფრენების, ტაქტიკური დესანტებისა და აერომობილური ჯგუფების აღმოჩენას ჰაერში და ამის შეტყობინებას ჯარებისათვის; საბრძოლო შვეულმფრენების განადგურებას,

ჩასაფრების ადგილებიდან მათი მოქმედების აღკვეთას, ჯარების, განსაკუთრებით სატანკო შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების დაფარვას დაწინაურების და მანევრის შესრულების დროს; შვეულმფრენებით მოწინააღმდეგის ჯარების თანხლების და საცეცხლე მხარდაჭერის ჩაშლას; ბრძოლას მოწინააღმდეგის აერომობილურ ჯარებთან და დესანტებთან ჰაერში; შვეულმფრენებიდან დაზვერვის, მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების მოქმედების აღკვეთას.

ჩ

976. **ჩასაფრება** – 1. საბრძოლო მოქმედების ხერხი, რომლის არსი ის არის, რომ მოსახერხებელ ადგილას წინასწარ დამალული ქვედანაყოფი (ჯგუფი, შვეულმფრენი, კატარღა) უცრად ესხმის თავს მოწინააღმდეგეს ამ ადგილთან მისი მოახლოების მომენტში; 2. წინასწარ და მალულად განლაგებული ქვედანაყოფი (ჯგუფი, შვეულმფრენი, კატარღა), რომლის მიზანია უცრად დაესხას თავს მოწინააღმდეგეს. ქვედანაყოფები, რომლებიც დაზვერვას ეწევიან, აწყობენ ჩასაფრებას ტყვეების, დოკუმენტების, იარაღისა და ტექნიკის ნიმუშების ხელში ჩაგდების მიზნით. ჩასაფრებაში ინიშნება სადაზვერვო (ქვეითი, სატანკო) ქვედანაყოფი ოცეულამდე ძალისა, ან სპეციალურად შერჩეულ სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი. ჩასაფრება ეწყობა აგრეთვე იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს მიაყენონ მაქსიმალური ზარალი ახლო მანძილიდან უცრად გახსნილი ცეცხლით და ნაღმასაფეთქებელი ღობურების გამოყენებით.

ც

977. **ცეცხლით დაზიანება** – სხვადასხვა სახეობის იარაღის ცეცხლით, სარაკეტო ჯარების, ავიაციის და სადაზვერვო-საცეცხლე კომპლექსების მიერ ჩვეულებრივი და ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალების გამოყენებით განხორციელებული დარტყმებით მოწინააღმდეგის განადგურება. ხორციელდება მთელი ოპერაციის (ბრძოლის) მანძილზე. შეტევაში (კონტრშეტევაში) ეწყობა პერიოდების მიხედვით (სიღრმიდან ჯარების დაწინაურების საცეცხლე უზრუნველყოფა, იერიშის საცეცხლე მომზადება, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერა, სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლება). თავდაცვაში მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანებისთვის იქმნება ცეცხლით დაზიანების კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს სარაკეტო ჯარების, არტილერიისა და ავიაციის მომზადებულ საცეცხლე დარტყმებს, სადაზვერვო, საცეცხლე კომპლექსების დარტყმებს, არტილერიის, სატანკო, ტანკსაწინააღმო და სასროლი იარაღის საცეცხლე სისტემას.

978. **ცეცხლის შეწყვეტა** – 1. საომარი მოქმედების შეჩერების ან შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა. მიმართულია უპირატესად ადგილობრივი დაზავების პირობების უზრუნველსაყოფად და შეზღუდულია დროის, სივრცის და მიზნების მიხედვით. გამოიყენება კერძო ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიც არის დაჭრილთა გაყვანა და გაცვლა, პარლამენტიორთა გაგზავნა და სხვ. ცალკეული პირების მიერ ცეცხლის შეწყვეტის პირობების დარღვევა ითვლება ომის კანონების და წესჩვეულებების დარღვევად; 2. მიცემული ბრძანების შესაბამისად სროლის შეწყვეტა პოლიგონებზე, სასროლეთზე და ა.შ.

979. **ცეცხლი** – კომანდა გაცემული ცეცხლის გახსნის მიზნით; მოწინააღმდეგის დაზიანების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება საბრძოლო მოქმედების წარმოებისას; სხვადასხვა სახეობის იარაღის სროლა მიზნების დასაზიანებლად. ცეცხლის

ეფექტიანობას აღწევენ მისი მაღალი სიზუსტის, უეცარი გახსნის, უმნიშვნელოვანეს მიზნებზე მასირების მეოხებით; ფართო მანევრით, მსროლელთა ოსტატობისა და გონივრული მართვის წყალობით. გამოყენებული იარაღის კვალობაზე განასხვავებენ ცეცხლს: არტილერიის, სარაკეტო კომპლექსების, ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების, სასროლი იარაღის, ყუმბარსატყორცნების, ზენიტსარაკეტო კომპლექსების, საზენიტო დანადგარების, საზენიტო არტილერიის, საზენიტო ტყვიამფრქვევების, ავიაციის, ხომალდების ზენიტსარაკეტო კომპლექსების და სხვ.

980. **ცეცხლის ცრუ გადატანა** – ხორციელდებოდა მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი პოზიციის ობიექტებიდან მის სიღრმეში ერთდროულად იერიშის საცეცხლე (საარტილერიო) მომზადების მონაწილე მთელი არტილერიის მიერ, იმ მიზნით, რომ შეაცდინონ მოწინააღმდეგე იერიშის დაწყების დროის თაობაზე და აიძულონ იგი, ნაადრევად გამოიყვანოს ცოცხალი ძალა და საცეცხლე საშუალებები საფარებიდან დარტყმის მოსაგერიებლად. ცრუ გადატანის შემდეგ ცეცხლი კვლავ გადააქვთ მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი პოზიციის ობიექტებზე.

981. **ცეცხლის დაგეგმვა** – ბრძოლასა და ოპერაციაში მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების არსის, წესისა და თანამიმდევრულობის შემუშავება. დაგეგმვით უნდა განისაზღვროს: დასაზიანებლად დასახული მოწინააღმდეგის დაჯგუფებები, მისი ცალკეული ობიექტები და ამ ობიექტების დაზიანების ხარისხი; მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების საერთო წესი ჯარების მიერ ტაქტიკური და ოპერატიული ამოცანების შესრულებისას, ცეცხლით დაზიანების პერიოდები; დაზიანების საშუალებათა მოზიდვის და განაწილების მოთხოვნილებები; საცეცხლე მომზადების ხანგრძლივობა და აგებულება და იერიშის საცეცხლე მხარდაჭერის მეთოდები; საცეცხლე დაზიანების საშუალებებისთვის ამოცანები; საბრძოლო მასალების მოთხოვნილება და განაწილება ჯარების ამოცანების და ცეცხლით დაზიანების პერიოდების მიხედვით, აგრეთვე ურთიერთქმედების, მართვის ორგანიზაცია, შესაბამისი დამგეგმავი დოკუმენტების შემუშავება.

982. **ცეცხლის გადატანა** – 1. ერთ მიზანზე ცეცხლის შეწყვეტა და სხვებზე ცეცხლის გახსნა საცეცხლე პოზიციების შეუცვლელად. ხორციელდება როგორც ცალკეული ტყვიამფრქვევით, ქვემეხით, ტანკით და ა.შ., ისე ქვედანაყოფის (საარტილერიო ჯგუფის) მიერ; 2. ერთ-ერთი ხერხი მიზნის დასაზიანებლად არტილერიის სროლისთვის მითითებათა განსაზღვრის რეპერის გამიზვნის შედეგების გამოყენებით ან სხვა მიზნებისთვის. ცეცხლის გადატანას მიმართავენ, როდესაც საჭიროა უზრუნველყონ ცეცხლის მაღალი სიზუსტე, ხოლო გამიზვნა შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი (მაგალითად, მოულოდნელობის ფაქტორის მიღწევის ინტერესებისთვის).

983. **ცეცხლის კორექტირება** – ჭურვის (ნაღმის) აფეთქების გადახრის განსაზღვრა და შესწორებების (კორექტირების) შეტანა იარაღის სამიზნე ხელსაწყოების მონაცემებში, დისტანციურ ამფეთქში ან ცეცხლის მართვის ხელსაწყოში. წარმოებს მიწისზედა მართვის პუნქტებიდან, ვერტმფრენებიდან და თვითმფრინავებიდან გამიზვნის და დაზიანებაზე სროლის დროს.

984. **ცეცხლის მასირება** – შენაერთის, გაერთიანების მთელი არტილერიის და სხვა საცეცხლე საშუალებების ან მათი მეტი ნაწილის ცეცხლის თავმოყრა

მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) დიდმნიშვნელოვანი დაჯგუფების, სხვა ობიექტების უმოკლეს ვადაში საიმედო დაზიანების მიზნით.

985. **ცეცხლის რეჟიმი** – ცეცხლსასროლი იარაღიდან მაქსიმალურად დასაშვები გასროლების რაოდენობა ცეცხლის წარმოების განსაზღვრული დროის შუალედში, მატერიალური ნაწილისთვის, სიზუსტისთვის და სროლის უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენების გარეშე

986. **ცეცხლის სექტორი** – საჰაერო სივრცის ნაწილი, რომელიც დაენიშნებათ საჰაერო თავდაცვის საცეცხლე საშუალებებს (კომპლექსებს) მოწინააღმდეგის ცეცხლით დასაზიანებლად. ცეცხლის სექტორი შემოიზღუდება მარჯვნიდან და მარცხნიდან ორიენტირებზე (ადგილობრივ საგნებზე) მიმართულებებით. ძირითად ცეცხლის სექტორს ირჩევენ მოცემული საცეცხლე საშუალებისთვის (კომპლექსისთვის) მთავარ მიმართულებაზე; სხვა მიმართულებებზე შეიძლება დაინიშნოს დამატებითი საცეცხლე სექტორები.

987. **ცეცხლის შეწყვეტა** – 1. საომარი მოქმედების შეჩერების ან შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა. მიმართულია უპირატესად ადგილობრივი დაზავების პირობების უზრუნველსაყოფად და შეზღუდულია დროის, სივრცის და მიზნების მიხედვით. გამოიყენება კერძო ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიც არის დაჭრილთა აყვანა და გაცვლა, პარლამენტიორთა გაგზავნა და სხვ. ცალკეული პირების მიერ ცეცხლის შეწყვეტის პირობების დარღვევა ითვლება ომის კანონების და წესჩვეულებების დარღვევად; 2. მიცემული ბრძანების შესაბამისად სროლის შეწყვეტა პოლიგონებზე, სასროლეთზე და ა.შ.

988. **ცეცხლის სიმჭიდროვე** – ჭურვების (ნაღმების, ტყვიების) ხარჯი 1 წუთში სამიზნის ერთეულ ფართობზე ან ფრონტის (მოძრაობის მარშრუტის) სიგრძეზე; სამიზნეზე ცეცხლის ზემოქმედების ინტენსივობის მახასიათებელი. არტილერიის ცეცხლის სიმჭიდროვე განისაზღვრება იმ ჭურვების რაოდენობით, რომლებსაც არტილერია უშვებს 1 წუთში მიზნის ფრონტის 100 მ-ზე ან 1 ჰა ფართობზე; საზენიტო არტილერიის – საჰაერო მიზანზე ჭურვების გასკდომის (გასროლის) რაოდენობით ცეცხლის ზონაში გავლილი გზის ყოველ კმ-ზე. სასროლი იარაღისა – ტყვიების რაოდენობით 1 მ ფრონტზე, რომლებსაც ისვრიან ყველა სახეობის სასროლი იარაღიდან 1 წუთში.

989. **ცეცხლის ტალღა** – 1. ერთიანი ცეცხლის ფარდა ერთ (ცალმაგი ცეცხლის ტალღა) ან ერთდროულად ორ (ორმაგი ცეცხლის ტალღა) ზღუდეზე მოიერიშე ჯარების ფრონტის წინ, რომელიც თანამიმდევრულად გადადის სიღრმეში მათი წინსვლის კვალობაზე; საარტილერიო ცეცხლის სახეობა, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერის მეთოდი. გამოიყენება მოწინააღმდეგის მიერ მომზადებული თავდაცვის გარღვევისას. წარმოებს ძირითად და შუალედურ ზღუდეებზე. ცეცხლის გადატანა ერთი ზღუდიდან მეორეზე ხდება მეთაურის სიგნალით; 2. ცეცხლის ღობურა, რომელიც იქმნება სახელდახელო საწვავი მასალებისგან – ძელების, ნამჯა-ჩალის, ფიჩხისგან და ა.შ. მოწინააღმდეგის იერიშების მიმართულებებზე. ტალღის სიმაღლეა 1-1,5 მ, სიგანე 2-3 მ, სიგრძე – მასალების არსებული რაოდენობის კვალობაზე (100-600 მ და მეტი). ცეცხლს უკიდებენ სხვადასხვაგვარი ხერხით ერთდროულად მთელ სიგრძეზე მოწინააღმდეგის იერიშის დაწყებისთანავე.

990. **ცეცხლის ტომარა** – ადგილმდებარეობის მონაკვეთი თავდაცვის მეწინავე კიდის წინ ან სიღრმეში, რომელზეც ფლანგებიდან და ფრონტიდან მომზადებულია ქვედანაყოფის ყველა საცეცხლე საშუალების ან მათი მეტი ნაწილის მაღალი სიმჭიდროვის ცეცხლი შემომტევი მოწინააღმდეგისთვის მაქსიმალური დანაკლისის მიყენების მიზნით. იქმნება ცეცხლის სისტემის ორგანიზაციის დროს.
991. **ცეცხლის წარმოების წესი** – სროლისას გასროლის განხორციელების თანმიმდევრობა. არტილერიაში – ერთეული გასროლები, მეთოდური ცეცხლი, მარდი ცეცხლი, ზალპური ცეცხლი, ასევე ზალპური ცეცხლის და მეთოდური (მარდი) ცეცხლის თანხვედრა; ცეცხლსასროლი იარაღიდან – ერთდროული გასროლები, ჯერები (მოკლე – 3 - 6 გასროლა, გრძელი – 7 - 10), უწყვეტი ცეცხლი და ზალპებით ცეცხლი.
992. **ცეცხლის ზოლი** – (თავდაცვაში) ადგილმდებარეობის ზოლი, რომელშიც გათვალისწინებულია მოწინააღმდეგის დაზიანება ქვეითი (სატანკო) ქვედანაყოფის (ასეულის, ოცეულის, ათეულის) ცეცხლით. ინიშნება მეთაურის მიერ ცეცხლის სისტემის ორგანიზაციის დროს. ცეცხლის ზოლში ეწყობა თვალთვალი, განისაზღვრება საცეცხლე საშუალებების ამოცანები, ინიშნება ცეცხლის ზოლები და ქვედანაყოფების ცეცხლის თავმოყრის მონაკვეთები, აგრეთვე ცეცხლდაშენის ძირითადი და დამატებითი სექტორები ტყვიამფრქვევების, ქვემეხების, ტანკების და სხვა საცეცხლე საშუალებებისთვის.
993. **ცეცხლის ზონა** (იხ. საბრძოლო მოქმედების ზონა)
994. **ცეცხლის ზღუდე** – ადგილმდებარეობის მონაკვეთი (პირობითი ხაზი), რომელზეც განლაგდება სატანკო, ქვეითი (ქვეითთა საბრძოლო მანქანების) ქვედანაყოფები (ნაწილები) მოწინააღმდეგის ტანკების და ქვეითი ჯარის იერიშის (კონტრიერიშის) პირდაპირი დამიზნების ცეცხლით მოგერიების მიზნით.
995. **ცეცხლით დაფარვა** – ქვედანაყოფების მოქმედების მხარდაჭერის, აგრეთვე ფლანგების და პირაპირების არტილერიის და სხვა საშუალებების ცეცხლით უზრუნველყოფის ხერხი. მიმართავენ ძებნით დაზვერვის მოწყობისას, ღობურებში გასასვლელების გაყვანისას, ღობურების დაყენებისას თავდაცვის წინა ხაზის წინ, ბრძოლიდან გამოსვლისას და სხვა შემთხვევებში.
996. **ცეცხლით დაზიანება** – სხვადასხვა სახეობის იარაღის ცეცხლით, სარაკეტო ჯარების, ავიაციის და სადაზვერვო-საცეცხლე კომპლექსების მიერ ჩვეულებრივი და ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალების გამოყენებით განხორციელებული დარტყმებით მოწინააღმდეგის განადგურება (ჩახშობა). ხორციელდება მთელი ოპერაციის (ბრძოლის) მანძილზე. შეტევაში (კონტრშეტევაში) ეწყობა პერიოდების მიხედვით (სიღრმიდან ჯარების დაწინაურების საცეცხლე უზრუნველყოფა, იერიშის საცეცხლე მომზადება, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერა, სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლება). თავდაცვაში მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანებისთვის იქმნება ცეცხლით დაზიანების კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს სარაკეტო ჯარების, არტილერიისა და ავიაციის მომზადებულ საცეცხლე დარტყმებს, სადაზვერვო, საცეცხლე კომპლექსების დარტყმებს, არტილერიის, სატანკო, ტანკსაწინააღმდეგო და სასროლი იარაღის საცეცხლე სისტემას.
997. **ცეცხლით მანევრი** – ცეცხლის გადატანა ფრონტზე და სიღრმეში ერთი მიზნიდან (ობიექტიდან, ზღუდიდან, მონაკვეთიდან) მეორეზე საცეცხლე პოზიციების

შეუცვლელად. გამოიყენება ბრძოლის (ოპერაციის) დროს ცეცხლის თავმოყრის (მასირების) მიზნით მოკლე ვადაში დიდმნიშვნელოვანი ობიექტების დასაზიანებლად, ცეცხლის გასანაწილებლად რამდენიმე ობიექტის (დაჯგუფების) ერთდროული ან თანმიმდევრული დაზიანებისთვის, აგრეთვე საცეცხლე ძალისხმევის ერთი მიმართულებიდან მეორეზე გადატანისთვის. ცეცხლის მანევრი მოწინააღმდეგეზე საცეცხლე უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი ფაქტორია.

998. **ცეცხლით მხარდაჭერა –** საველე და სახომალდო არტილერიის, ნაღმსატყორცნების ცეცხლით და საჰაერო საშუალებების დარტყმებით მოწინააღმდეგის სახმელეთო ობიექტების განადგურება (ჩახშობა) საერთო საჯარისო შენაერთების, სახმელეთო ჯარების ნაწილების და ქვედანაყოფების მიერ საბრძოლო მოქმედების წარმატებით განხორციელების მიზნით. ცეცხლით მხარდაჭერა ითვალისწინებს აგრეთვე ბირთვული იარაღის გამოყენებას.

999. **ცეცხლით თავდასხმა** – არტილერიის საცეცხლე ამოცანების შესრულების ხერხი, რომელსაც ახასიათებს ცეცხლის უეცარი გახსნა და დიდი სიმჭიდროვე, შეიძლება იყოს დადგენილი ან დაუდგენელი ხანგრძლივობის. წარმოებს გამალებული ან მეთოდური ცეცხლით.

1000. **ცეცხლით თვალთვალი** – საარტილერიო ცეცხლი საცეცხლო თავდასხმებს შორის შუალედებში, რომელიც მიზნებზე წარმოებს მათი საქმიანობის განახლების აღკვეთის ამოცანით. ხორციელდება მეთოდური და მარდი ცეცხლით ან მათი შეხამებით.

1001. **ციური კოორდინატები** – კუთხური სიდიდეები, რომელთა დახმარებით ციური სფეროს (მანათობლების) წერტილების მდგომარეობა განისაზღვრება. გამოიყენება ჰორიზონტალური, პირველი და მეორე აკვატორიული, ეკლიპტიკური და გალაქტიკური სისტემები. სისტემებს შორის მათემატიკური დამოკიდებულება სფერული ტრიგონომეტრიის ფორმულების დახმარებით ხორციელდება. გათვლების მონაცემები რაკეტების გაშვების, არტილერიის სროლის, საზღვაო ნავიგაციის და სხვა დანიშნულებისთვის გამოიყენება.

1002. **ცრუ ობიექტი (მიზანი)** – ხელოვნური ობიექტი, რომელიც ნამდვილს იმიტირებს. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა ფარდობით ჯარების მოქმედებების, ობიექტების, ნამდვილი ობიექტებიდან დაზიანების საშუალებების ყურადღების გადატანა. ცრუ ობიექტი (მიზანი) შესაძლოა მოეწყოს სანგრის, ტრანშეის საფარის და სხვა ნაგებობების სახით, მათში სამხედრო ტექნიკის და იმიტატორების განთავსებით; მართვის პუნქტების, ხიდების, გადასასვლებელის, ტექნიკის შექუჩების და სხვა; ცრუ ობიექტი (მიზანი) შესაძლოა იყოს რადიოლოკაციური, სითბური, ლაზერული, მაგნიტური, ოპტიკური, აკუსტიკური და სხვა. გარემოს გამოყენებით – მიწისზედა, საჰაერო, კოსმოსური, საზღვაო.

ძ

1003. **ძალების და საშუალებების გაშორიშორება** –გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების, და ქვედანაყოფების, ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტების, შეიარაღების ცალკეული ერთეულების (გამშვები დანადგარების, თვითმფრინავების, ქვემეხების, ტანკების და სხვ.), ხომალდების (გემების) ბაზირების რაიონების და ზღვაში გარკვეული ინტერვალით ფრონტზე და სიღრმეში მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებათაგან მოსალოდნელი

დანაკარგების მაქსიმალური შემცირების მიზნით ადგილზე განლაგება. ამასთანავე, გაშორიშორება არ უნდა აძნელებდეს ჯარების (ძალების) მართვას და ურთიერთმოქმედებას, არ უნდა ასვამდეს დაღს მათ უნარს, შეასრულონ დასახული ამოცანები (დროულად მოუყარონ თავი საკმარის ძალას არჩეულ მიმართულებებზე, სწრაფად გაზარდონ ძალისხმევა სიღრმიდან, უზრუნველყონ მოწინააღმდეგის თავდაცვის წარმატებული გარღვევა და შეტევის განვითარება, შექმნან სტაბილური თავდაცვა და შეინარჩუნონ ადგილმდებარეობა მნიშვნელოვანი მონაკვეთები).

1004. **ძალების და საშუალებების თანაფარდობა** – საკუთარი ჯარების (ძალების) და მოწინააღმდეგის ძალების და საშუალებების (ქვედანაყოფები, ნაწილები, შენაერთები, იარაღი, სამხედრო ტექნიკა და სხვ.) რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედარების შედეგები. საშუალებას იძლევა განისაზღვროს დაპირისპირებული მხარეებიდან ერთ-ერთის ობიექტური უპირატესობის ხარისხი. დიდ (ხანდახან გადამწყვეტ) გავლენას ახდენს ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების გადაწყვეტილების მიღებაზე და საბრძოლო მოქმედებების დროს ამ გადაწყვეტილების დაზუსტებაზე (შეცვლაზე). გათვლა წარმოებს სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ მასშტაბებში, შესაბამისი შტაბების მიერ მოქმედების მთელ ზოლში, მთავარ და სხვა მიმართულებებზე.

1005. **ძალების და საშუალებების მასირება** – მთავარ, გადამწყვეტ მიმართულებებზე (მოქმედების რაიონებში) ძალების, საშუალებების და მათი ცეცხლის (დარტყმების) თავმოყრა მოწინააღმდეგეზე უპირატესობის უზრუნველყოფის, მისი განადგურების და ოპერაციის (ბრძოლის) მიზნის მისაღწევად; სამხედრო ხელოვნების პრინციპი. ძალების და საშუალებების მასირების ძირითადი მაჩვენებელია ძალების და საშუალებების სიმჭიდროვე, რომელიც იქმნება დარტყმების მიმართულებებზე შეტევაში და უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე (რაიონებში) თავდაცვაში.

1006. **ძალების და საშუალებების მომზადება** (36) – ნაწილების და ქვედანაყოფების მიწერილი რიცხოვნობის და სატრანსპორტო საშუალებების, შეიარაღების და საბრძოლო ტექნიკის, ქონებისა და მატერიალური საშუალებების მოცემული რაოდენობის მიღწევის პროცესი.

1007. **ძებნა და გადარჩენა** – 1. ავიაციის, წყალზედა მცურავი საშუალებების, წყალქვეშა ნავების სპეციალური ჯგუფების და მოწყობილობების ხმელეთსა და ზღვაში უბედურებაში მყოფი პირადი შემადგენლობის გადასარჩენად გამოყენება. 2. კატასტროფების მსხვერპლთა ადგილმდებარეობის მოძიების და შველის პროცესი, ასევე საჭიროების შემთხვევაში პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

1008. **ძალების და საშუალებების განაწილება** – ოპერაციაში (ბრძოლაში) ხორციელდება სარდლის (მეთაურის) მიერ ოპერაციაზე (ბრძოლაზე) გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთან, განისაზღვრება ჯარების (ძალების) დაჯგუფებები, რომლებმაც უნდა იმოქმედონ მთავარ და სხვა მიმართულებებზე, 1-ლი და მე-2 ეშელონების, რეზერვების შემადგენლობა და ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) სხვა ელემენტები.

1009. **ძალების და საშუალებების გაშორიშორება** – ადგილზე განლაგება გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების, და ქვედანაყოფების, ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტების, შეიარაღების ცალკეული ერთეულების (გამშვები დანადგარების, თვითმფრინავების, ქვემეხების, ტანკების და

სხვ.), ხომალდების (გემების) ბაზირების რაიონების და ზღვაში გარკვეული ინტერვალით ფრონტზე და სიღრმეში მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებათაგან მოსალოდნელი დანაკარგების მაქსიმალური შემცირების მიზნით. ამასთანავე, გაშორიშორება არ უნდა აძნელებდეს ჯარების (ძალების) მართვას და თანამოქმედებას, არ უნდა ასვამდეს დაღს მათ უნარს, შეასრულონ დასახული ამოცანები (დროულად მოუყარონ თავი საკმარის ძალას არჩეულ მიმართულებებზე, სწრაფად ზარდონ ძალისხმევა სიღრმიდან, უზრუნველყონ მოწინააღმდეგის თავდაცვის წარმატებული გარღვევა და შეტევის განვითარება, შექმნან სტაბილური თავდაცვა და შეინარჩუნონ ადგილმდებარეობა დიდმნიშვნელოვანი მონაკვეთები.

1010. **ძალების და საშუალებების მასირება** – მთავარ, გადამწყვეტ მიმართულებებზე (მოქმედების რაიონებში) ძალების, საშუალებების და მათი ცეცხლის (დარტყმების) თავმოყრა მოწინააღმდეგეზე უპირატესობის უზრუნველყოფის, მისი განადგურების და ოპერაციის (ბრძოლის) მიზნის მისაღწევად; სამხედრო ხელოვნების პრინციპი. ძალების და საშუალებების მასირების ძირითადი მაჩვენებელია ძალების და საშუალებების სიმჭიდროვე, რომელიც იქმნება დარტყმების მიმართულებებზე შეტევაში და უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე (რაიონებში) თავდაცვაში.

1011. **ძალების და საშუალებების სიმჭიდროვე** – ჯარებით და სამხედრო ტექნიკით საბრძოლო მოქმედების რაიონის (მიმართულების, მონაკვეთის) გაჯერების ხარისხი, რომელიც იანგარიშება 1 კმ ფრონტზე ძალების და საშუალებების საშუალო რაოდენობით. წარმოადგენს ძალების და საშუალებების მასირების დონის მაჩვენებელს, აგრეთვე საანგარიშო მაჩვენებელს ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვის. ძალების და საშუალებების საჭირო სიმჭიდროვეს განსაზღვრავს შტაბი საბრძოლო მოქმედების მთელ ზოლზე და დარტყმების (ძირითადი ძალის თავმოყრის) მიმართულებებაზე ძალების და საშუალებების თანაფარდობის გაანგარიშების საფუძველზე. განასხვავებენ ქვეითი ჯარის (მოტოქვეითი ჯარის), სიმჭიდროვეს, არტილერიის სიმჭიდროვეს, ტანკების სიმჭიდროვეს და ღობურების სიმჭიდროვეს, ხოლო მასშტაბის მიხედვით – ოპერატიულ და ტაქტიკურ სიმჭიდროვეებს.

1012. **ძალისხმევის ზრდა** (ბრძოლაში ოპერაციაში) – ღონისძიებები, რომლებიც ბრძოლის (ოპერაციის) დროს ხორციელდება წარმატების გასავითარებლად და ბრძოლის (ოპერაციის) მიზნის მისაღწევად, სამხედრო ხელოვნების პრინციპი. ამ მიზნით ბრძოლაში (კვეთებაში) შეჰყავთ ფრონტის სხვა მონაკვეთებიდან მოხსნილი ჯარები (ძალები) და მეორე ეშელონები (რეზერვები), იყენებენ საჰაერო (საზღვაო) დესანტებს და სადესანტო-მოიერიშე (აერომობილურ) ნაწილებს (შენაერთებს), აგრეთვე მოწინააღმდეგეს აყენებენ ცეცხლის (ბირთვულ) და სხვა დარტყმებს.

1013. **ძალვის გადატანა** – ჯარების (ძალების) მთავარი დაჯგუფების მოქმედების მიმართულების არსებითი შეცვლა ოპერაციის (ბრძოლის) დროს. ხორციელდება, როგორც წესი, გადაჯგუფების ან მანევრის მოწყობის გზით. ძალვის გადატანის მიზანია: შეტევაში – ჯარების (ძალების) დაჯგუფების გაძლიერება, რომლის მოქმედების მიმართულებაზე გამოიკვეთა წარმატება; თავდაცვაში – იმ ჯარების ძალვის გაძლიერება, რომლებიც თავს იცავენ მიმართულებაზე, სადაც მოწინააღმდეგე აყენებს მთავარ დარტყმას.

1014. **ძებნა** (სამხედრო) – 1. სამხედრო ძალებში – საჯარისო დაზვერვის წარმოების ხერხი, რომლის არსია ქვედანაყოფის (ჯგუფის) ფარული მისვლა (მიპარვა) და უეცარი თავდასხმა დასახულ ობიექტზე ტყვეების აყვანის, დოკუმენტების და შეიარღების ნიმუშების ხელში ჩაგდების მიზნით. 2. რადიოტექნიკურ ჯარებში – მოწინააღმდეგის რადიოსაშუალებათა აღმოჩენის და ჩანიშვნის ხერხი სპეციალური მიმღებების და სხვა აპარატურის გამოყენებით მათი მუშაობის აღმოჩენის, სიხშირის, დროებრივი და სივრცითი მახასიათებლის განსაზღვრის გზით; 3. სამხედრო-საჰაერო ძალებში – დამოუკიდებელი ძებნა, ერთეული თვითმფრინავის ან თვითმფრინავთა ჯგუფის მოქმედება მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ან დიდმნიშვნელოვანი სახმელეთო ობიექტების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად; მოწინააღმდეგის მიერ დაზიანებული, ავარიაში მოხვედრილი საფრენი აპარატების აღმოჩენის ხერხი მათთვის დახმარების გაწევის და ეკიპაჟების გადარჩენის მიზნით; 4. საჰაერო თავდაცვის ნაწილებში (შენაერთებში) – მოქმედება საჰაერო მიზნების აღმოსაჩენად და ამოსაცნობად, მათი კოორდინატების და მოძრაობის პარამეტრების განსასაზღვრელად და აღმოჩენილი მოწინააღმდეგის თვითმფრინავების გასანადგურებლად. 5. სამხედრო-საზღვაო ძალებში – დაზვერვის წარმოების ხერხი. აწარმოებენ სპეციალურად გამოყოფილი ძალები მოწინააღმდეგის ხომალდთა დაჯგუფების აღმოჩენის, ამოცნობის, კლასიფიცირების, შემადგენლობის განსაზღვრის, მისი თვალთვალის ან განადგურების მიზნით, აგრეთვე თავისი დაზიანებული (ავარიაში მოხვედრილი) ხომალდების და საფრენი აპარატების აღმოჩენის და დახმარების გაწევის (ეკიპაჟების გადარჩენის) მიზნით; 6. კოსმონავტიკაში – დედამიწაზე (წყალზე) დაშვებული აპარატების აღმოჩენის, ეკიპაჟების დახმარების და ევაკუაციის ხერხი; 7. სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა აღმოსაჩენად და დასაკავებლად მოქმედების ხერხი.

1015. **ძმათა საფლავები** - ბრძოლის ველზე დაცემულების, ჭრილობებისგან გარდაცვლილების ან სტიქიური უბედურებების, საგანგებო შემთხვევების და სხვა მიზეზით დაღუპული მეომრების(მოქალაქეების) საერთო დასაფლავების ადგილი. თითოეულ ძმათა საფლავს გააჩნია ნომერი და დასაფლავების თარიღი. გაფორმების შემდეგ დასაფლავებულების გვარების მითითების აქტებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადასცემენ. ძმათა საფლავების ადგილმდებარეობა ტოპოგრაფიულ რუკებზე აღინიშნება და აქტთან ერთად არქივებში ინახება.

1016. **ძრვადი** – ოპერაციის დაწყებამდე და საბრძოლო მოქმედებების დროს ჯარების (ძალების) სწრაფი გადაადგილების უნარი. ხასიათდება გადაადგილების საშუალო სიჩქარით და საბრძოლო (წინასაბრძოლო) წყობაში გაშლის დროით, აგრეთვე პოზიციებიდან მოხსნით.

წ

1017. **წინასწარი შეტყობინება** (77) – დაზიანების ან მათი მიტანის საშუალებების გაშვების შესახებ საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების ადრეული შეტყობინება.

1018. **წარჩინების ნიშნები** – ორდენები, მედლები, ჯვრები და ჯილდოს სხვა ნიშნები, აგრეთვე დროშები, ვიმპები და სახელობითი იარაღი, რომელიც სამხედრო

მოსამსახურეებს და სამხედრო ნაწილებს (ხომალდებს) ომიანობის და მშვიდობიანობის პერიოდში დამსახურებისთვის ჯილდოდ გადაეცემა.

1019. **წინასაბრძოლო წყობაში გაშლა** – შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) სალაშქრო კოლონების თანმიმდევრული დანაწევრება ბატალიონების (ასეულების, ოცეულების) კოლონების ხაზზე, ხოლო ქვეითად მოქმედებისას – გაშორიშორების და საბრძოლო წყობაში გაშლის დაჩქარების მიზნით ათეულების კოლონებად.

1020. **წრიული ცეცხლდაშენა** – საცეცხლე საშუალებით (ქვედანაყოფის საცეცხლე საშუალებებით) ჰორიზონტალურ სიბრტყეში ნებისმიერი მიმართულებით ცეცხლის წარმოების შესაძლებლობა. ცალკეული საცეცხლე საშუალებების (ტყვიამფრქვევი, ქვემეხების, ტანკების, საბრძოლო მანქანების) წრიული ცეცხლდაშენა დამოკიდებულია სპეციალურ კონსტრუქციაზე, რომელიც ლულის ჰორიზონტალურ სიბრტყეში მდებარეობის ცვლილებას 360°-ით უზრუნველყოფს. შეზღუდული ჰორიზონტალური კუთხის დამიზნების საცეცხლე საშუალებები წრიულ ცეცხლდაშენას თავისი მდგომარეობის შეცვლით აწრმოებენ. ქვედანაყოფში წრიული ცეცხლდაშენა საცეცხლე საშუალებების შესაბამისი განთავსებით და ცეცხლის მანევრით მიიღწევა.

1021. **წყალქვეშა ნავებისთვის ლოდინის რაიონი** – ზღვის მონაკვეთი (რაიონი), რომლის ზღვრებში საბრძოლო ამოცანის შემსრულებელი წყალქვეშა ნავები მატერიალური საშუალებების შევსებას ელოდებიან ან გადაჯგუფდებიან სხვა მიმართულებაზე მოქმედებებისთვის. როგორც წესი ინიშნება მოწინააღმდეგის ნავსაწინაღო თავდაცვის ზონის მიღმა.

1022. **წყალქვეშა ნავებზე მონადირე** – მცირე წყალწყვის საბრძოლო წყალზედა ხომალდი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ძიება და განადგურება, სატრანსპორტო გემების და საბრძოლო ხომალდების დაფარვა. გამოჩნდნენ 1914-18 წ.წ. 1 –ლი მსოფლიო ომის დროს და მოქმედებდნენ 50 –იან წლებამდე. 50 – ინი წ. ბოლოს შეცვალეს ნავსაწინაღო ხომალდებით.

1023. **წყალქვეშა ნავის ჩაყვინთვა** – წყალქვეშა ნავის წყალზედა მდგომარეობიდან წყალქვეშა მდგომარეობაში გადასვლა. შესაძლოა იყოს სასწრაფო და ჩვეულებრივი, ხორციელდება როგორც სვლით, ასევე მის გარეშე.

1024. **წყალქვეშა ნავის პოზიციური მდგომარეობა** – ნახევრად ჩაძირული მდგომარეობა, რომლის დროს წყლის ზედაპირზე წყალქვეშა ნავის სვლის ხიდი რჩება

1025. **წყალქვეშასაწინაღო – დივერსიული უზრუნველყოფა** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ხომალდების (გემების), ჰიდროტექნიკური ნაგებობების და სანაპირო ობიექტების წინააღმდეგ მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო მოქმედების ჩაშლის მიზნით; საზღვაო ძალების მოქმედების საბრძოლო უზრუნველყოფის სახეობა. ხორციელდება სტაციონარული სისტემებით, აგრეთვე წყალქვეშა დივერსანტთა აღმოჩენის და განადგურების სახომალდო და საავიაციო ძალებით და საშუალებებით, სპეციალური ფორმირებების და სანაპირო პატრულების ძალებით.

1026. **წყლისმიერი დაბრკოლებების თავდაცვა** – თავდაცვითი მოქმედება, რომელიც ეწყობა და წარმოებს წყლის ზღუდის (მდინარის, არხის, ტბის, ლიმანის) შენარჩუნების და მოწინააღმდეგის მიერ მისი ფორსირების (გადმოლახვის) არდაშვების მიზნით. წარსული ომების გამოცდილება მოწმობს, რომ წყლისმიერი

დაბრკოლებების გამოყენება მტკიცე, მდგრადი თავდაცვის შესაქმნელად იყო ხშირი მოვლენა და ჩვეულებრივ, განმსაზღვრელი ფაქტორი თავდაცვის მთავარი ზღუდის შერჩევისას. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ შემტევს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს ფართო ფრონტზე წყლისმიერ დაბრკოლებათა მოკლე ვადაში ფორსირებისთვის, საჰაერო დესანტების გადმოსასხმელად, წყლისმიერი დაბრკოლებები კვლავინდებურად წარმოადგენენ ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივ ზღუდეებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან, დავიცვათ ისინი ნაკლები ძალებით და უფრო წარმატებით. წყლისმიერი დაბრკოლების, როგორც შემომტევი მოწინააღმდეგის შემაკავებელი ზღუდის მნიშვნელობას განსაზღვრავს დინების სიგანე და სიღრმე, სიჩქარე, ფსკერის, ნაპირების, ჭალის ხასიათი, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა არსებობა, აგრეთვე წელიწადის დრო და ამინდის მდგომარეობა. წყლისმიერი დაბრკოლების თავდაცვა, ჩვეულებრივ, ეწყობა ორივე ნაპირზე. თავდაცვა ერთ ნაპირზე იქმნება, როგორც წესი, განიერ წყლისმიერ დაბრკოლებებზე, ძალების და საშუალებების ნაკლებობისას, აგრეთვე მიმართულებებზე, სადაც შემდგომში არ არის გათვალისწინებული შეტევაზე გადასვლა. თავდაცვის წინა ხაზი შეიძლება გადიოდეს ნაპირზე წყლის კვეთთან, ხოლო დაბალი ნაპირის და ღია, ჭაობიანი ჭალის არსებობისას შეიძლება სიღრმეშიც გადაიწიოს. ასეთ პირობებში ნაპირზე, ჩვეულებრივ იქმნება მეწინავე პოზიცია, ხოლო ჭალაში აღიმართება სხვადასხვა ღობურები. წყლისმიერი დაბრკოლების მისადგომებთან იქმნება მეწინავე პოზიციები და შეიძლება დატოვებულ იქნას პლაცდარმები კონტრიერიშების მოსაწყობად. წყლისმიერ დაბრკოლებაზე კუნძულების არსებობისას ამ კუნძულებზე იქმნება საყრდენი პუნქტები, რომლებსაც იცავენ სპეციალურად გამოყოფილი ქვედანაყოფები..

1027. **წყლისმიერი დაბრკოლებების დაზვერვა** – წყლისმიერი დაბრკოლებების და მიმდებარე ადგილმდებარეობის ხასიათის ამსახველი მონაცემების მოპოვება, შეგროვება და განზოგადება. წყლისმიერი დაბრკოლების დაზვერვის მიზანია, შეარჩიოს ადგილები წყლისმიერ დაბრკოლებასთან ფარული გასვლის, გადასასვლელების მოწყობის და დაბრკოლების ფორსირებისთვის. წყლისმიერი დაბრკოლების დაზვერვა ადგენს: წყლისმიერ დაბრკოლებასთან გასასვლელი გზების არსებობას, ადგილმდებარეობის გამავლობას და შემნიღბავ თვისებებს მისადგომებზე, ღობურების და დასნებოვნების ზონების არსებობას; ნაპირების ხასიათს, დინების სიგანეს, სიღრმეს, სიჩქარეს, წყლის ზედაპირის ღელვის ინტენსივობას, გრუნტების მზიდ უნარს, ფსკერის და ნაპირების პროფილს, ფონის, ყინულის (ყინულსვლის) და თოვლის, წყალში არსებული დაბრკოლებების არსებობას და მახასიათებლებს; ყველაზე მოსახერხებელ ადგილებს გადასასვლელების მოსაწყობად, არსებული ხიდების და გადასასვლელების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ადგილობრივი მცურავი საშუალებების და მასალების არსებობას და მდგომარეობას.

ჯ

ხ

1028. **ხანგრძლივი მოქმედებების უნარი** (214) – სამხედრო ფორმირებების უნარი შეინარჩუნოს საბრძოლო ძლირების საჭირო დონე იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

1029. **ხომალდის, ხომალდების შენაერთის, ბადრაბის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა** (67) – ღონისძიებების და მოქმედებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის საბრძოლო კატარღების რაკეტებით და სატორპედო იარაღით ხომალდების დაზიანების არდაშვებას. ხორციელდება შორეულ და ახლო ზონებში თვითმფრინავების, ვერტმფრენების და ტაქტიკური დაზვერვის ხომალდების ძალებით, რადიოლოკაციური მზირის და რადიოლოელექტრონული ბრძოლის ჯგუფებით ნავსაწინააღმდეგო დაცვის, ხომალდების დარტყმითი და საძიებო-დარტყმითი დაჯგუფებებით, სახომალდე და სანაპირო ბაზირების მოიერიშე ავიაციის დაჯგუფებებით და ასევე შენაერთის ძირითადი ძალების ხომალდების საცეცხლე საშუალებებით.

1030. **ხანმოკლე გაჩერება** – მარშზე სალაშქრო კოლონების გაჩერება პირადი შემადგენლობის დასვენებისთვის, საკვების მიღებისთვის, სამხედრო ტექნიკის და მანქანების მდგომარეობის შემოწმებისთვის, კმაგაწყობისათვის და ტექნიკური შემოწმებისთვის ჩვეულებრივ ხანმოკლე გაჩერება ინიშნება მოძრაობის 3-4 საათის შემდეგ 1 საათის ხანგრძლივობით და ერთი ხანმოკლე გაჩერება 2 საათის ხანგრძლივობით სადღეღამისო გადასვლის მეორე ნახევარში.

1031. **ხელოვნური ინტელექტი** – ადამიანის ინტელექტუალური მოქმედებების კიბერნეტიკული მოწყობილობების კომპლექსით შემცვლელი. სამხედრო საქმეში ჯარების მართვის ავტომატური სისტემების საფუძველია. უზრუნველყოფს იმფორმაციის ძიებას, გამოცნობას და ანალიზს; რეკომენდაციების და გადაწყვეტილებების გამომუშავებას; აღმასრულებელ მოწყობილობებზე აღმასრულებელი ბრძანების გაცემას, მაგალითად საბრძოლო რობოტებში, ან ადამიანის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის ასახვის მოწყობილობებზე. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით საწყისი მონაცემების გამორჩეული გამოურკვევლობით და ერთმანეთის საწინააღმდეგო, სხვადასხვა სახის ინფორმაციის კომპლექსური დამუშავების სიძნელით, რომლებიც იცვლებიან დროში, გადაწყვეტილების მიღებაზე ხისტი ვადებით ამოცანებს ხსნიან.

1032. **ხომალდების გაყვანა ტრალების უკან** – ფლოტის ძალების ნაღმსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ელემენტი. ხორციელდება მტრალავებით, რომლებიც ხომალდებისთვის გაყვანილი კურსით წინ მიდიან, ჩვეულებრივ, მწყობრში შვერით, ერთეულად, ან წყვილად გამოყენებული ტრალის სახის გათვალისწინებით. გატრალურ ზოლში ხომალდები გადაადგილდებიან კილვატერულ კოლონაში ერთმანეთისგან 0,5 კაბელტით(92,6 მ).

1033. **ხომალდების მეწინავე რაზმი** – წყალზედა ხომალდების გაერთიანების (შენაერთის) სალაშქრო ან საბრძოლო წყობის ელემენტი, რომლებსაც მთავარი ძალებისგან გამოჰყოფენ და წინ წაწევის საშიშ მიმართულებაზე იმ მიზნით, რომ დროულად აღმოაჩინონ მოწინააღმდეგის ხომალდები, შეატყობინონ მათ შესახებ თავიანთ ძალებს, აიძულონ მოწინააღმდეგე გაიშალოს, დაზვერონ მისი სუსტი ადგილები, მიაყენონ ამ ადგილებზე დარტყმები, მოაგებინონ მთავარ ძალებს დრო ბრძოლისთვის მოსამზადებლად ან ბრძოლისგან თავის ასარიდებლად.

1034. **ხომალდების შემოსვლის ნებადართული წესი** – მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებული პროცედურა კომპეტენტური ორგანოების თანხმობით ნაპირისპირა სახელმწიფოს წყლებში და პორტებში უცხო ქვეყნის ხომალდების შემოსვლა.

ხორციელდება წინასწარ, დიპლომატური არხებით, ნაპირისპირა სახელმწიფოში დაგეგმილ ვადებში მოთხოვნის გაგზავნით.

1035. **ხომალდების შენაერთების დაცვა და თავდაცვა** – ღონისძიებათა და მოქმედებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია მოიგერიონ საჰაერო, წყალქვეშა და წყალზედა მოწინააღმდეგის თავდასხმა და შეინარჩუნონ შენაერთის ხომალდების ბრძოლისუნარიანობა. ხომალდების შენაერთების თავდაცვა (დაცვა) ხორციელდება ზემდგომი უფროსის განკარგულებით გამოყოფილი ძალებით და შენაერთების ძალებით და საშუალებებით. ეწყობა დასაცავი ძალების თვითდაცვის შეხამებით დაცვის მოქმედ ძალებთან.

1036. **ხომალდის დატოვება** – ეკიპაჟის მოქმედებები ხომალდის დაღუპვის აშკარა საშიშროების და მისი სიცოცხლისუნარიანობის შემდგომი ბრძოლის შეუძლებლობისას. პირველ რიგში ევაკუირებენ ავადმყოფები(მგზავრების ყოფნისას ქალები და ბავშვები), შემდეგ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ხომალდის სიცოცხლისუნარიანობისთვის ბრძოლაში ჩაბმული არ არიან. ხომალდს ბოლოს მისი მეთაური ტოვებს.

1037. **ხომალდის მანევრირება** – 1) რაიმე მიზნის მისაღწევად ხომალდის მოძრაობის მიმართულების და სიჩქარის (ხოლო წყალქვეშა ნავებისთვის ჩაძირვის სიღრმეც) შეცვლა; ნავსაყუდელთან მისვლისთვის, ნავსაყუდელიდან გასვლისთვის, ღუზაზე დადგომისთვის, ღუზიდან მოხსნისთვის, ზღვაში სხვა ხომალდთან დოშორიშორებისთვის, მოწინააღმდეგის ძიებისთვის და პოზიციის დაკავებისთვის მის მიმართ იარაღის გამოყენების მიზნით. 2) ხომალდის მანევრის მართვის საკითხების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა.

1038. **ხომალდის საბრძოლო ორგანიზაცია** - პირადი შემადგენლობის სამეთაურო პუნქტებად და საბრძოლო საგუშაგოებად განაწილება ხომალდის მართვისთვის, იარაღის და ტექნიკური საშუალებების ეფექტური გამოყენებისთვის, საბრძოლო მზადყოფნის მხარდასაჭერად. ითვალისწინებს პირადი შემადგენლობის მოქმედებების სხვადასხვაგვარ ვარიანტებს და ეკიპაჟის თითოეული წევრის პასუხისმგებლობას ხომალდის მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულების, მისი უსაფრთხოების და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაში. პირადი შემადგენლობის მოქმედებების თითოეულ ტიპიურ ვარიანტზე საბრძოლო გათვლა მუშავდება.

1039. **ხომალდის წყალშიდი** - მანძილი ვერტიკალზე, ჰორიზონტალური სიბრტყიდან გამავალი ხომალდის კორპუსის სიგრძის ხერხემლის ქვედა წერტილიდან წყნარი წყლის ზედაპირამდე. ახასიათებს წყალში ხომალდის ჩაყურსულობის ხარისხი და მისი სახაზო ზომების ერთ-ერთი პარამეტრია. დამოკიდებულია ხომალდზე ტვირთების რაოდენობაზე და ბორტს მიღმა წყლის სიმკრივეზე. გემთმშენებლობის თეორიაში და ნაოსნობის პრაქტიკაში მიღებულია ცნებები – თეორიული (გათვლითი), სტანდარტული, ნორმალური, სრული, გაბარიტული, მაქსიმალური და გასვლითი ხომალდის წყალშიდი

ჯ

1040. **ჯარების გადაადგილება** (129) – სვლით (მარშით), სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო, მდინარის ტრანსპორტით ან კომბინირებული ხერხით ჯარების ერთი რაიონიდან

მეორეში გადაადგილება. ჯარების გადაადგილების ხერხის შერჩევა ხდება ჯარების რაოდენობიდან, გადაადგილების სიშორიდან, ტრანსპორტის რაოდენობიდან და სხვა პირობებიდან გამომდინარე.

1041. **ჯარების დისლოკაცია** – მშვიდობიან დროს სხვადასხვა სამხედრო ნაწილების (შენაერთების), დაწესებულებების და სამხედრო სასწავლებლის განლაგება მათთვის გამოყოფილ ადგილებში (სპეციალურ სამხედრო ქალაქებში, ბანაკებში, დასახლებულ პუნქტებში და ა. შ.). ომიანობის პერიოდში ცნება „ჯარების დისლოკაცია“, ჩვეულებრივ, იხმარება იმ სამხედრო ფორმირების მიმართ, რომლებიც არ შედიან მოქმედი არმიის შემადგენლობაში. ზოგჯერ იხმარება, აგრეთვე საავიაციო ნაწილების (შენაერთების) აეროდრომებზე, ხოლო ხომალდების (ხომალდთა შენაერთების) სამხედრო-საზღვაო ბაზებზე განლაგების შემთხვევაში.

1042. **ჯარების ეშელონირება** (76) – საბრძოლო წყობაში ან ოპერატიულ დაწყობაში ჯარების (ძალების) სიღრმეში დაშორიშორებული განლაგება.

1043. **ჯარების პრევენციული გაშლა** (176) – პოტენციური შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში ან მის საზღვრებთან ჯარების კონტიგენტის წინასწარი განლაგება, რომლის მიზანია მისი თავიდან ცილება და აუცილებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენებისთვის მზადყოფნა.

1044. **ჯარების (ძალების) გადაჯგუფება** – საომარი მოქმედების თეატრში, სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, შტევის (თავდაცვის) ზოლში (მონაკვეთზე). ჯარების (ძალების) არსებული დაჯგუფების ოპერატიული განლაგების შეცვლა ხორციელდება გარკვეული ჩანაფიქრით, ჯარების (ძალების) დაჯგუფების შექმნის (შეცვლის, ხელახალი განლაგების) და ოპერატიული განლაგების მიზნით, რათა აწარმოონ ოპერაცია (ბრძოლა), გააძლიერონ მთავარი მიმართულებით მოქმედი ჯარები, ამოავსონ თავდაცვაში წარმოქმნილი ნაპრალები, გადაიტანონ ძალისხმევა ახალი მიმართულებით, აღადგინონ მეორე ეშელონები (რეზერვები) და ა.შ. ჯარების (ძალების) გადაჯგუფება მიზნების და მასშტაბის კვალობაზე შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. სტრატეგიულს განეკუთვნება ჯარების (ძალების) გადაჯგუფება, რომელიც ხორციელდება ახალ სტრატეგიულ მიმართულებებზე ან საომარი მოქმედების თეატრში; ოპერატიული – ჯარების (ძალების) გადაჯგუფება ხორციელდება ოპერაციების მომზადების ან მიმდინარეობისას; ტაქტიკური – ბრძოლის (მაგალითად, თავდაცვის მდგომარეობიდან შენაერთების შეტევის) მომზადების დროს. ჯარების (ძალების) გადაჯგუფება შეიძლება მოხდეს საკუთარი სვლით (მარშით), სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით გადაყვანის გზით, კომბინირებული ხერხით.

1045. **ჯარების (ძალების) ინსპექტირება** (101) – დანიშნულების შესაბამისი ამოცანების შესრულებისთვის მართვის ორგანოების, გაერთიანებების, შენაერთების და ნაწილების (ხომალდების) მდგომარეობის კონტროლის იმაღლესი ფორმა.

1046. **ჯარების (ძალების) ოპერატიული გაშლა** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯარების (ძალების) დაჯგუფებათა შექმნის და დაწყობისთვის ომის (საომარი მოქმედების) თეატრებში, სტრატეგიულ და საოპერაციო მიმართულებებზე; ჯარების (ძალების) სტრატეგიული გაშლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. მიზნად ისახავს, უზრუნველყოს საომარი მოქმედების ორგანიზებული და დროული დაწყება, აგრესიის მოგერიება და ოპერაციების

მოწყობა შეიარაღებული კონფლიქტების ლოკალიზაციისთვის. ოპერატიული გაშლა ხორციელდება, როგორც წესი, წინასწარ, ომის წინ, ხოლო მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის შემთხვევაში – მისი დაწყებისთანავე; შეიძლება ხორციელდებოდეს ერთდროულად ან თანმიმდევრულად.

1047. **ჯარების (ძალების) ოპერატიული შესაძლებლობები** (165) – რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლიობა, რომლებიც ჯარების (ძალების) შესაძლებლობებს ახასიათებს, მოწინააღმდეგეს ზარალი მიაყენონ და განსაზღვრული სივრცობრივი დროით ოპერატიულ – ტაქტიკურ ვიტარებაში დასახული ოპერატიული ამოცანა შეასრულონ.

1048. **ჯარების (ძალების) ოპერატიული გაშლა** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯარების (ძალების) დაჯგუფებათა შექმნის და დაწყობისთვის ომის (საომარი მოქმედების) თეატრებში, სტრატეგიულ და საოპერაციო მიმართულებებზე; ჯარების (ძალების) სტრატეგიული გაშლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. მიზნად ისახავს, უზრუნველყოს საომარი მოქმედების ორგანიზებული და დროული დაწყება, აგრესიის მოგერიება და ოპერაციების მოწყობა შეიარაღებული კონფლიქტების ლოკალიზაციისთვის. ოპერატიული გაშლა ხორციელდება, როგორც წესი, წინასწარ, ომის წინ, ხოლო მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის შემთხვევაში – მისი დაწყებისთანავე; შეიძლება ხორციელდებოდეს ერთდროულად ან თანმიმდევრულად.

1049. **ჯარების (ძალების) დაძვემდებარების შეცვლა** – სამხედრო ფორმირებების გადაცემა ერთი მეთაურისგან (სარდლისგან) მეორის დაქვემდებარებაში. ხორციელდება ზემდგომი უფროსის განკარგულებით, როგორც საომარი (საბრძოლო) მოქმედების მომზადებისას, ისე მისი მსვლელობისას იმ მიზნით, რომ შეიქმნას ან შეიცვალოს ჯარების (ძალების) დაჯგუფება, ოპერატიული დაწყობა, საბრძოლო წყობა.

1050. **ჯარების (ძალების) დარტყმიდან გამოყვანა (გამოსვლა)** – შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების მიერ რაიონების, პოზიციების, მარშრუტების, აეროდრომების, ბაზირების პუნქტების სწრაფი და მალული გამოსვლა ბრძოლის უნარის შენარჩუნების მიზნით. წარმოებს საფრთხის წარმოშობისას ან მოწინააღმდეგის მიერ დარტყმების მიყენების დაწყებისას. ჯარების (ძალების) დარტყმიდან გამოსვლის (გამოყვანის) ძირითად ღონისძიებებს წარმოადგენს: ნაწილების (ხომალდების), ქვედანაყოფების გამოყვანა მუდმივი დისლოკაციის ადგილებიდან, თავმოყრის რაიონებიდან (ბაზირების პუნქტებიდან); მათი დაშორიშორება; ავიაციის აფრენა გადარჩენილ აეროდრომებზე ან საავტომობილო გზატკეცილის გადარჩენილ მონაკვეთზე შემდგომი დაჯდომით; შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების წინასწარ განზრახული გადაყვანა თავდაცვის სიღრმეში წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე (ხაზებზე); სარაკეტო ჯარების და საჰაერო თავდაცვის ჯარების პოზიციური რაიონების, არტილერიის საცეცხლე პოზიციების, მართვის პუნქტების განლაგების რაიონების შეცვლა; საბრძოლო პატრულირების მარშრუტების შეცვლა და სხვ.

1051. **ჯარების (ძალების) გადაჯგუფება** – საომარი მოქმედების თეატრში, სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, შტაბის (თავდაცვის) ზოლში (მონაკვეთზე). ჯარების (ძალების) არსებული დაჯგუფების და ოპერატიული განლაგების შეცვლა

ხორციელდება გარკვეული ჩანაფიქრით ჯარების (ძალების) დაჯგუფების შექმნის (შეცვლის, ხელახალი განლაგების) და ოპერატიული განლაგების მიზნით, რათა აწარმოონ ოპერაცია (ბრძოლა), გააძლიერონ მთავარი მიმართულებებით მოქმედი ჯარები, ამოავსონ თავდაცვაში წარმოქმნილი ხვრელები, გადაიტანონ ძალისხმევა ახალი მიმართულებით, აღადგინონ მეორე ეშელონები (რეზერვები) და ა.შ. ჯარების (ძალების) გადაჯგუფება მიზნების და მასშტაბის კვალობაზე შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. სტრატეგიულს განეკუთვნება ჯარების (ძალების) გადაჯგუფება, რომელიც ხორციელდება ახალ სტრატეგიულ მიმართულებებზე ან საომარი მოქმედების თეატრში; ოპერატიულ – ჯარების (ძალების) გადაჯგუფება ხორციელდება ოპერაციების მომზადების ან მიმდინარეობისას; ტაქტიკურ – ბრძოლის (მაგალითად, თავდაცვის მდგომარეობიდან შენაერთების შეტევის) მომზადების დროს. ჯარების (ძალების) გადაჯგუფება შეიძლება მოხდეს საკუთარი სვლით გადაადგილებით (მარშით), სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით გადაყვანის გზით, კომბინირებული ხერხით.

1052. **ჯარების (ძალების) გაშლის დაფარვა** – საზღვრისპირა გაერთიანებების, შენაერთების მეთაურების მიერ ჩატარებული ღონისძიებები, მიმართული ოპერატიულ-სტრატეგიული დაჯგუფებების ორგანიზებული და დროული გაშლისთვის აუცილებელი პირობების შექმნისთვის და მათი გამოყენება ომის საწყისი პერიოდის თავდაცვითი (შეტევითი) ოპერაციის გეგმის თანახმად; შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის შემადგენელი ნაწილი.

1053. **ჯარების დაწყობა** – შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების გაერთიანებები, შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც დასახული ამოცანების შესასრულებლად მოსალოდნელი მოქმედებების ჩანაფიქრის შესაბამისად არიან გაშლილები.

1054. **ჯარების საჰაერო თავდაცვა** – საორგანიზაციო ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების კომლექსი საჰაერო მოწინააღმდეგის თავდასხმის მოგერიების, საკუთარი ჯარების დაჯგუფებების და ზურგის მნიშვნელოვანი ობიექტების ჰაერიდან დარტყმებისგან დაფარვა. ხორციელდება ყველა სახის ბრძოლაში და ოპერაციაში, გადაადგილების და ჯარების ადგილმდებარეობაზე განლაგებისას. ხორციელდება საჯარისო საჰაერო თავდაცვის ძალებით და საშუალებებით, სამხედრო-საჰაერო ძალებთან ურთიერთქმედებით, ხოლო ზღვისპირა მიმართულებაზე – ფლოტის საჰაერო თავდაცვის ძალებთანაც. ჯარების საჰაერო თავდაცვა მოიცავს: საჰაერო მოწინააღმდეგის დაზვევას და დასაფარავ ჯარებთან მოახლოებისას მის შეტყობინებას; საზენიტო-სარაკეტო, საზენიტო არტილერიის და სამხედრო-საჰაერო ძალების შენაერთების და ნაწილების საბრძოლო მოქმედებებს, აგრეთვე რადიო-ელექტრონული ბრძოლის ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო გამოყენებას. ძალები და საშუალებები ანადგურებენ – თვითმფრინავებს, ვერტმფრენებს, ფრთიან (ცალკეულ შემთხვევაში ბალისტიკურს) რაკეტებს, და სხვა საჰაერო საშუალებებს, ახორციელებენ ბრძოლას საჰაერო დესანტებთან, ფრენის დროს მოწინააღმდეგის აერომობილურ ძალებთან, უკრძალავენ მას საჰაერო დაზვერვის წარმოებას.

1055. **ჯარების ტარება**, მხედართმთავრის ხელოვნება, მისი ოსტატობა და უნარი შერკინების ადგილზე ჯარების დროული გამოყვანა, მოწინააღმდეგის მიმართებაში

ხელსაყრელი მდგომარეობის შეტანა და საბრძოლო მოქმედებების დროს მათი მართვა. ცნება ჯარების ტარება გამოიყენებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისში შემდგომში წარმოიშვა ცნება ჯარების მართვა.

1056. **ჯარების წინ წაწევა** – ჯარების გადაადგილება ზურგიდან ფრონტისკენ საბრძოლო მოქმედების რაიონში საომარი მოქმედებების თეატრში, სტრატეგიულ ან საოპერაციო მიმართულებებზე ახალი დაჯგუფებების შექმნის ან არსებულ დაჯგუფებათა გაძლიერების მიზნით. ჯარების წინ წაწევა შეიძლება განხორციელდეს თავდაცვითი ოპერაციების დროს აგრესორის შემოჭრის მოსაგერიებლად, თავდაცვითი ზღუდეების დასაკავებლად, კონტრდარტყმების და კონტრიერიშების მოსაწყობად, აგრეთვე კონტრშეტევის (შეტევის) მოსამზადებლად და მისი მსვლელობისას. ჯარების წინ წაწევა შეიძლება ხორციელდებოდეს საკუთარი სვლით საშტატო ტრანსპორტით, სარკინიგზო, საჰაერო და წყალსანაოსნო ტრანსპორტის გამოყენებით ან კომბინირებული ხერხით.

1057. **ჯგუფური ტაქტიკა** – ჯგუფური საბრძოლო წყობის (ქვეითი ერთიანი ჯაჭვის დანაწევრების შედეგად შექმნილი) გამოყენებაზე დაფუძნებული ბრძოლის წარმოების ხერხები და საშუალებები. წარმოიშვა 1-ლი მსოფლიო ომის წლებში. წარმოადგენდა ქვეითთა მცირე ჯგუფების(ათეული, ოცეული) მოქმედებებს, რომლებიც, როგორც წესი, უტევდნენ თანხლები ქვემეხების, მძიმე ტყვიამფრქვევების, ხოლო შემდგომში ტანკებს უკან. სიღრმისეული ბრძოლის თეორის გამოჩენასთან ერთად, თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

1058. **ჯილდოები** - მორალური ან მატერიალური ხასიათის წახალისების უმაღლესი ფორმა. ომის და მშვიდობის დროს სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის სამხედრო მოსამსახურეების (სამოქალაქო პირების), ნაწილების (ხომალდების), შენაერთების, სამხედრო სასწავლო დაწესებულებების, სამხედრო ორგანიზაციების აღიარების ნივთობრივი მოწმობა. ცნობილია უძველესი დროიდან(ოქროს და ვერცხლის ხელს სამაჯური, მედალიონი, მედალი-მონეტა და სხვა). მე 14-16 ს.ს. უმეტეს სახელმწიფოში გავრცელდა ორდენები, ჯვრები და მედლები.

ჰ

1059. **ჰაერში სბრძოლო პატრულირება** (44) – საავიაციო პატრულირება, რომელიც ხორციელდება მიზნის მდებარეობის რაიონის, დასაცავი ჯარების და საბრძოლო მოქმედებების ზონის განსაკუთრებული მნიშვნელობის რაიონის თავზე ან საჰაერო თავდაცვის ზონაში. მიმართულია მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ხელში ჩასაგდებად და გასანადგურებლად მანამ, სანამ ისინი თავის მიზანს არ მიაღწევენ.

1060. **ჰაერსანაოსნო ნაწილები** - სამხედრო ფორმირებები, რომლებსაც შეიარაღებაზე აეროსტატები(დირიჟაბლები) აქვთ და საჰაერო დაზვერვის წარმოების, მოწინააღმდეგის რადიოელქტრონული საშუალებებისთვის დაბრკოლების შექმნის, ფართობრივი ობიექტების დაზიანების, ცრუ საჰაერო მიზნების შექმნით საჰაერო თავდაცვის ძალების გადატანისთვის არიან განკუთვნილი.

1061. **ჰაერში მორიგეობა** – საავიაციო ქვედანაყოფების საფრენი აპარატების ეკიპაჟების ყოფნა ჰაერში გათვალისწინებულ რაიონში (სამორიგეო ზონაში) საბრძოლო მოქმედების ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო მიზნების განადგურების კონკრეტული საბრძოლო ამოცანის შესრულების

ბრძანების მიღების მოლოდინში; საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად საფრენი აპარატების ეკიპაჟების და საავიაციო ქვედანაყოფების მზადყოფნის უმაღლესი დონის უზრუნველყოფის ხერხი.

1062. **ჰაერში უპირატესობა** იხილე ჰაერში ბატონობა.

1063. **ჰიდროაკუსტიკა -** აკუსტიკის კარი, რომელიც წყალში ხმოვანი ტალღების გამოსხივებისთან, გავრცელებასთან და მიღებასთან დაკავშირებულ მოვლენებს შეისწავლის; ჰიდროაკუსტიკური საშუალებების თეორიული ბაზა.

1064. **ჰიდროავიაცია** სამხედრო - ჰიდროთვითმფრინავებით შეიარაღებული საზღვაო ავიაციის განზოგადებული დასახელება. მე-20 საუკუნის 60-ან წლებამდე ძირითადად გამოიყენებოდა საჰაერო დაზვერვისთვის, ღამის ბომბდამშენად, ნავსაწინაღო თავდაცვისთვის და სხვა. ამჟამად ყველა ქვეყანაში რაოდენობრივი ზრდა შენელებულია.

1065. **ჰიდროდინამიკა -** ჰიდრომექანიკის კარი, რომელიც სითხეების მოძრაობის და მყარ სხეულებთან მათ ურთიერთმოქმედების კანონებს შეისწავლის. ჰიდროდინამიკაში თეორიულ გამოკვლევებთან ერთად მნიშველოვანია ექსპერიმენტები ჰიდროდინამიურ და კავიტაციურ მილებში და სპეციალურ აუზებში, ჰიდრობალისტიკურ ტრასებზე მაგნიტოჰიდრიდინამიკურ და სხვა პირობებში. ჰიდროდინამიკა შედგება იდეალური სითხის დინამიკისაგან და ბლანტი სითხის დინამიკისგან. დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიიღო ქიმიურმა ჰიდრომექანიკამ, მაგნიტურმა ჰიდროდინამიკამ, ჰიდროდინამიკამ უწონადობის პირობებში.

1066. **ჰიდროლოგიური მახასიათებლები** - წყლის გარემოს განმასხვავებელი ნიშნები; მიმართულება და სიჩქარე ზედაპირული და სიღრმისეული დინებების, ტემპერატურა, წყლის მარილიანობა, ჰიდროსტატიკური წნევა, წყალში ხმის გავრცელების სიჩქარე, ფსკერის მდგომარეობა, ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს ურთიერთქმედება, ქიმიური შემადგენლობა და წყლის რადიოაქტივობა, წყლის ელექტრონული და ოპტიკური თვისებები და სხვა. ჰიდროლოგიური მახასიათებლები გამოიყენება ჰიდროაკუსტიკური დაზვერვის (თვალთვალის) წარმოების დროს; მათ მნიშვნელობაზე დაფუძნებულია ჰიდროაკუსტიკური საშუალებების მოთხოვნები და მახასიათებლები. ჰიდროლოგიური მახასიათებლების საფუძველზე ამინდის პროგნოზის და წყლის რეჟიმის შედგენა წარმოებს. ჰიდროლოგიური მახასიათებლების სეზონური და სადღეღამისო ცვლილებების მონაცემები ჰიდროაკუსტიკური საშუალებების მეშვეობით წყალქვეშა ნავების ძებნისთვის გამოიყენება.

1067. **ჰიდროლოგიური პროგნოზი -** ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების საფუძველზე წყლის ობიექტების რეჟიმის ცვლილებების, მათი ვადების და პარამეტრების მეცნიერული წინასწარმეტყველების მეთოდი. ჰიდროლოგიური პროგნოზი არსებობს მოკლევადიან (15 დღემდე) და გრძელვადიანი (რამოდენიმე თვემდე), ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით – ყინულოვან (გაყინვის ვადები და წყლის ობიექტების გახსნა, ყინულის ფორმა, სისქე, სიმჭიდროვე); წყლისებრი (წყლის სეზონური და წყალმოვარდნის ჩანადენის დრო და მოცულობა და სხვა); ჰიდროენერგეტიკისთვის (წყალსაცავები და წყლის მოზღვავებები); გემებისთვი (ხომალდებისთვის) მარილიანობის, ნაკადის, ღელვის ველის განაწილებისთვის.

1068. **ჰიდროლოკაცია,** წყალში მყოფი უძრავი და მოძრავი ობიექტების აღმოჩენა და ადგილმდებარეობის განსაზღვრა წყალში ხმოვანი იმპულსების (გზავნილების) და ობიექტისგან არეკლილი ჰიდროაკუსტიკური სიგნალის მიღების (რეგისტრაციის) გზით. ჰიდროაკუსტიკური გაზომვების და კვლევებისთვის ჰიდროაკუსტიკის მეთოდი. ფართოდ გამოიყენება სამხედრო საქმეში, ნავიგაციაში, თევზჭერის საქმეში, საძიებო-სამაშველო სამუშაობების ჩატარებისას. ჰიდროლოკაციის ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყალში ხმოვანი სიგნალების გავრცელების პირობები (წყლის ჰიდროლოგიური მახასიათებელი)

1069. **ჰიმნი –** საპროგრამო ხასიათის ლექსზე შექმნილი საზეიმო საგალობელი, რომელიც განკუთვნილია კოლექტიური შესრულებისათვის. ცნობილია სახელმწიფო (ეროვნული), რელიგიური, სამხედრო, რევოლუციური, კორპორაციული და სხვა ჰიმნები. ყველაზე ძველია – რელიგიური ჰიმნები (საგალობლები). მე-16 –17 საუკუნეებში გაჩნდა ე.წ. საერო ჰიმნები, რომლებსაც ეროვნული შეფერილობა ჰქონდათ. ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისას სახელმწიფო ღერბთან და დროშასთან ერთად მეტი მნიშვნელობა მიენიჭა სახელმწიფოებრივ ოფიციალურ სიმბოლოებს. ჰიმნებს ასრულებდნენ სხვადასხვა ზეიმებზე, მეფის კარზე გამართულ ცერემონიებზე, დარბაზობაზე და ა.შ. რევოლუციური ჰიმნების მაგალითია ფრანგული სიმღერა „მარსელიოზა“ (1792), რომელიც საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი გახდა, და იტალიური „ჰარიბალდელთა ჰიმნი“ (1848-58-ს შორის). პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“ (1887).

ლექცია 7–8

შეიარაღებული ძალების მშენებლობის, დაკომპლექტების, საბრძოლო მომზადებისა და სამხედრო სწავლების ტერმინოლოგია

1. **ავტოსატრანსპორტო მომზადება** – საავტომობილო ნაწილებისა და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის საავტომობილო ტრანსპორტით ჯარების და მატერიალური საშუალებების გადაზიდვების ორგანიზაციის და განხორციელების სწავლება. ავტოსატრანსპორტო მომზადების მსვლელობისას შეისწავლება ტრანსპორტის შესაძლებლობები და საავტომობილო ტექნიკის გამოყენების ეფექტური მეთოდები; ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) წესები, ტვირთების განთავსება და დამაგრება, დოკუმენტაციის გაფორმება და მათი მიღება(ჩაბარება); კოლონებში მარშის წარმოების წესი და სხვა.
2. **ბატალიონი (იტალიური battaglia – დან – რაზმი) -** ძირითადი ტაქტიკური ქვედანაყოფი სახმელეთო, საჰაერო-+სადესანტო, სანაპირო და სხვა ჯარებში. შედის პოლკის, ბრიგადის შემაგენლობაში, ან შენაერთში(გაერთიანებაში) ცალკეულ სამხედრო ნაწილს წარმოადგენს. ბატალიონი შეიძლება იყოს: ქვეითი (მოტომსროლელი, მოტოქვეითი), სატანკო, საპარაშუტო-სადესანტო, ქვეითი აერომობილური, სადესანტო-მოიერიშე, საზღვაო ფეხოსანთა, დაზვერვის (სადაზვერვო აერომობილური) საარმიო ავიაციის, საინჟინრო-მესანგრეთა (სანჟინრო), კავშირგაბმულობის, რადიოელექტრონული ბრძოლის, საავტომობილო, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სარემონტო-აღდგენითი, სამედიცინო-სანიტარული და სხვა. თავდაპირველად ტერმინი „ბატალიონი" („ბატალია" – სგან) საბრძოლო წყობას ნიშნავდა. მე-17 საუკუნეში ეს წყობა შემადგენელ ნაწილებად დანაწევრდა, რომლებსაც ბატალიონები ეწოდა. ა.შ.შ. მოტოქვეითი(ქვეითი) ბატალიონი მოიცავს მმართველობას, საშტაბო, 3 მოტოქვეით(ქვეით) ასულს და საცეცხლე მხარდაჭერის ასეულს. გერმანიაში გააჩნიათ შერეული მოტოქვეითი ბატალიონი(2 ასეული ქვეით საბრძოლო მანქანებზე და სატანკო ასეული). დიდ ბრიტანეთში მოტოქვეითი ბატალიონი ძირითადი ტაქტიკური ნაწილია და 700-ზე მეტ კაცს და 100 ჯავშანტრანსპორტიორს და ჯავშანავტომობილს ითვლის. რუსეთის ფედერაციის არმიაში მოტომსროლელი ბატალიონი შედგება - მმართველობისგან, 3 მოტომსროლელი ასეულისგან, ნაღმსატყორცნი, კავშირგაბმულობის, ტანკსაწინაღო, საზენიტო, ყუმბარსატყორცნი, სამეურნეო, ტექნიკური უზრუნველყოფის და სამედიცინო პუნქტის ქვედანაყოფებისგან. სულ 500 კაცამდე და 50 ქვეით საბრძოლო მანქანა(ჯავშანტრანპორტიორი).

   ბრძოლაში საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს და ყოველდღიურ საქმიანობაში. საბრძოლო მომზადების პროგრამა როგორც წესი მოიცავს: საბრძოლო მომზადების ორგანიზებას; სხვადასხვა სპეციალიტების და ქვედანაყოფების სწავლების საგნების საათობრივ გათვლას; სხვადასხვა სპეციალისტის ან ქვედანაყოფის სახისთვის სწავლების თითოეული საგნის პროგრამის შინაარსს, მომზადების ამოცანის, მეთოდური მითითებების, თემების და მეცადინეობების დასახელების და ჩამონათვალის, თემების და მეცადინეობების საათების გათვლის განსაზღვრას; აუცილებელ დანართებს, რომლებიც პროგრამის

კარს ან მომზადების სტრუქტურას განმარტავს, აგრეთვე უსაფრთხოების მოთხოვნების რეკომენდაციებს.

დანიშნულების შესაბამისად ვითარების სხვადასხვა პირობებში საბრძოლო მოქმედებების წარმოება ან სხვა ამოცანების შესრულება. საბრძოლო გაწვრთნილობა საბრძოლო მზადყოფნის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია და საბრძოლო მზადყოფნის სრული სისტემით მიიღწევა. საბრძოლო გაწვრთნილობა მოიცავს საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობას.

იარაღის გამოყენება ბრძოლაში, ხოლო შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფებისათვის – სხვადასხვაგვარ მთიან ადგილმდებარეობაზე დღისით და ღამით მოქმედებების ხერხების.

მოუწყვეტელ ყურადღებაზე, ხოლო მშვიდობიან დროს – ძალების მოქმედებზე, რომლებსაც უნარი შესწევთ ზიანი მიაყენონ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებას. ჯარების(ძალების) საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი ფაქტორი. მოთხოვნები სამხედრო მოსამსახურის სიფხიზლეზე გადმოცემულია სამხედრო ფიცში, წესდებებში, დარიგებებში, დირექტივებში და ბრძანებებში.

3. **მობილიზაციური გაშლა** – ღონისძიებების სისტემა, რომელიც შეიარაღებული ძალების, დაწესებულებების საომარი დროის ორგანიზაციასა და საშტატო რიცხოვნობის გეგმაზომიერი გადაყვანის მიზნით ტარდება.
4. **საარტილერიო-საცეცხლე მომზადება** – არტილერიის საბრძოლო მომზადების ერთ-ერთი ძირითადი საგანი.
5. **საავიაციო სწავლება** – საავიაციო გაერთიანებებთან, შენაერთებთან, ნაწილებთან ჩატარებული სწავლებების განზოგადებული სახელწოდება; მფრინავთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემადგენლობის საბრძოლო მომზადების, შტაბების და მართვის ორგანოების ოფიცრების ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადების უმაღლესი ფორმა.
6. **საავტომობილო მომზადება** – პირადი შემადგენლობის მიერ საავტომობილო ტექნიკის შესწავლა, მისი მომსახურების, რემონტის და ექსპლუატაციის ჩვევების დაუფლება, რაც ხელს უწყობს ავტომობილის შასიზე დაყენებული შეიარაღების ეფექტიან გამოყენებას; საბრძოლო მომზადების შემადგენელი ნაწილი.
7. **საბრძოლო და ოპერატიული მომზადების მეთოდიკა** –სამხედრო სწავლების ხერხების, ილეთების და ფორმების, საბრძოლო და ოპერატიულ მომზადებაში გამოყენებული ბრძოლაში(ოპერაციაში) მოქმედებებისთვის ქვედანაყოფების, ნაწილების(შენაერთების) და ჯარების მართვის ორგანოების შერწყმის ერთობლობა. საბრძოლო და ოპერატიული მომზადების მეთოდიკის ძირითადი შინაარსი: სწავლების მეთოდების და ფორმების დამუშავება პედაგოგიური მეცნიერების და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენებით; მსწავლებლების აქტივიზაციის ხერხების ძიება და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ინტენსიფიკაცია; მეომართა სწავლების და აღზრდის შეხამებისი ქმედითი ხერხების დამუშავება; სასწავლო-მატერიალური ბაზის გამოყენების ეფექტური გამოყენების ხერხები; შეფასების კრიტერიუმების და ცოდნის და გაწვრთნილობის კრიტერიუმების კონტროლის სისტემის გამომუშავება; მეთაურების(უფროსების), სასწავლო ნაწილების, სასწავლებლების და აკადემიების პედაგოგების მეთოდური

ოსტატობის ამაღლების ხერხები; დადებითი გამოცდილების განზოგადება და გავრცელება.

8. **საბრძოლო და რიცხობრივი შემადგენლობა** – მოცემულ ფორმირებაში შემავალი ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების რიცხვი, აგრეთვე პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის რაოდენობა ქვედანაყოფში, ნაწილში, შენაერთში, გაერთიანებაში, ჯარების (ძალების) გვარეობაში, შეიარაღებული ძალების სახეობაში და მთლიანად შეიარაღებულ ძალებში. დგინდება გარკვეული თარიღისთვის, როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს მთავრობის დადგენილებებით, უმაღლესი სამხედრო სარდლობის ბრძანებებით და დირექტივებით, განისაზღვრება მათი შტატებით და ტაბელებით, იყოფა საშტატო, სიობრივ და არსებულ (ფაქტობრივ) შემადგენლობებად. საბრძოლო და რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ მონაცემები გამოიყენება ოპერაციების (საბრძოლო მოქმედების) დაგეგმვისას, ჯარების (ძალების) საბრძოლო მომზადების ორგანიზაციისას, პირადი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად, შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკით, სხვა სახეობების მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფისთვის.
9. **საბრძოლო გაწვრთნილობა** – ჯარების(ძალების) პირადი შემადგენლობის ცოდნის. ოსტატობის და უნარ-ჩვევების, მისი მორალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხარისხის კომპლექსი; ქვედანაყოფების, ნაწილების(ხომალდების), შენაერთების, მართვის ორგანოების გაწვრთნილობა, შერწყმა და მათი უნარი
10. **საბრძოლო მომზადება** – სამხედრო სწავლების და პირადი შემადგენლობის აღზრდის, ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების და მათი მართვის ორგანოების საბრძოლო შერწყმის მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესი, დანიშნულების შესაბამისად საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად და საბრძოლო მოქმედების უზრუნველსაყოფად. საბრძოლო მომზადების ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ჯარების (ძალების) და მართვის ორგანოების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა და აამაღლოს მათი ბრძოლისუნარიანობა. საბრძოლო მომზადებას აქვს ორი მხარე: სწავლების შინაარსი – რა ასწავლოს და სწავლების მეთოდიკა – როგორ ასწავლოს. საბრძოლო მომზადების შინაარსს, რომლის საფუძველსაც შეადგენს ტაქტიკა, განსაზღვრავს საბრძოლო მოქმედების ხასიათი, ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად არის განკუთვნილი ქვედანაყოფი, ნაწილი, შენაერთი, მათი საბრძოლო გამოყენების ხერხები, საბრძოლო შესაძლებლობანი და ბრძოლაში (ოპერაციაში) მოქმედების ტაქტიკა. საბრძოლო მომზადების მეთოდიკა განსაზღვრავს სწავლების ფორმებს და მეთოდებს, არის იმის საფუძველი, რომ საბრძოლო მომზადების შინაარსმა ხორცი შეისხას ჯარების (ძალების) კონკრეტული ცოდნით, უნარ-ჩვევებით და მოქმედების ხერხებით.
11. **საბრძოლო მომზადების გეგმა** – სამსახურებრივი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მართვის ორგანოების მომზადების, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების შერწყმის, პირადი შემადგენლობის სწავლების და აღზრდის, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები. საბრძოლო მომზადების გეგმები დგება შენაერთებს და ნაწილებში სასწავლო წლისთვის, ბატალიონში, დივიზიონში და მათთან გათანაბრებულ ქვედანაყოფებში – სასწავლო

პერიოდისთვის. მისი დაზუსტება ხდება ყოველთვიურად ძირითადი ღონისძიებების გეგმაში.

12. **საბრძოლო მომზადების პროგრამა** – საბრძოლო მომზადების ორგანიზებისა და დაგეგმვისთვის ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი მართვის ორგანოების, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების, სამხედრო მოსამსახურეების ცალკეული კატეგორიის, რეზერვში მყოფი და სამხედრო შეკრებებზე გაწვეულებისთვის. საბრძოლო მომზადების პროგრამაში ფორმულირდება მომზადების ამოცანები და შინარსი და ადრე მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების სრულყოფა. საბრძოლო მომზადების პროგრამის ძირითადი მოთხოვნაა სწავლების საგნების მყარი ათვისება და მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების განსაკუთრებით პრაქტიკული გამოყენება ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების სამხედრო მოსამსახურეების მიერ
13. **საბრძოლო მუშაობა** – 1. ჯარების სარდლობის, მართვის ორგანოების და პირადი შემადგენლობის მიერ იმ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულება, რომელთა მიზანია საბრძოლო ამოცანების მომზადება და გადაწყვეტა. საბრძოლო მუშაობას არეგლამენტებს წესდებები, რჩევა-დარიგებები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები. საბრძოლო მუშაობის შეფასების კრიტერიუმია მათი შესრულების დროებრივი ნორმატივები და ხარისხი; 2. სარაკეტო ჯარების პირადი შემადგენლობის სპეციალური მომზადების განაყოფი. მისი შინაარსი განისაზღვრება საბრძოლო მომზადების პროგრამით.
14. **საბრძოლო მზადყოფნა** – ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დადგენილ ვადაში დაიწყონ საბრძოლო მოქმედება და წარმატებით შეასრულონ საბრძოლო ამოცანები. ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებში გათვალისწინებულია საბრძოლო მზადყოფნის რამდენიმე დონე. საბრძოლო მზადყოფნის დონე მშვიდობიან დროს უზრუნველყოფს ჯარების (ძალების) დროულ გადაყვანას მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაზე, მათ გაშლას და ომში ჩაბმას. რაც უფრო მაღალია ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის დონე, მით უფრო ნაკლები დრო დასჭირდება მათ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად მომზადებისათვის. საბრძოლო მზადყოფნის უმაღლესი დონე განისაზღვრება ჯარების (ძალების) უნარით, დაუყოვნებლივ შეასრულონ საბრძოლო ამოცანები.
15. **საბრძოლო შერწყმა** – ბრძოლაში ფუნქციური ამოცანების შესასრულებლად ქვედანაყოფის(ხომალდის, ნაწილის, შენაერთის, შტაბის) შემადგენლობაში სამხედრო მოსამსახურეების სწავლა შეთანხმებული, ერთობლივი მოქმედებებისთვის და ჯგუფური იარაღის და ტექნიკის გამოყენებისთვის; საბრძოლო მომზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. საბრძოლო შერწყმა ხორციელდება ტაქტიკურ-სამწყობრო, ტაქტიკურ, ტაქტიკურ-სპეციალური მეცადინეობების და სწავლებების, ფრენების, ლაშქრობების, საბრძოლო სროლების და ა.შ. დროს. საბრძოლო შერწყმის საბოლოო მიზანია საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად ქვედანაყოფის(ხომალდის, ნაწილის, შენაერთის, შტაბის) მზადყოფნა.
16. **საბრძოლო წესდება** – ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი,რომელიც ბრძოლის მომზადებისა და წარმოებისთვის ძალების, ჯარების(ძალების) შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების, შეიარაღების სახეობების მიზნებს,

ამოცანებს, მათი საბრძოლო გამოყენების პრინციპებს და ძირითად დებულებებს, აგრეთვე მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას და მართვას განსაზღვრავს. საბრძოლო წესდება სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინის, სამხედრო მეცნიერების, საბრძოლო გამოცდილების, შენაერთების და ნაწილების საბრძოლო მომზადების გამოცდილების, მათი საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის, იარაღით და სამხედრო ტექნიკით აღჭურვის დონის და პერსპექტივების საფუძველზე მუშავდება. მეთაურები და შტაბები საბრძოლო წესდების მოთხოვნებებით მშვიდობიანობის დროს საბრძოლო მომზადების ჩატარებისთვის, ხოლო ომიანობის დროს - საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და წარმოებისთვის ხელმძღვანელობენ.

17. **საცდელი სწავლება** – საჯარისო, სამეთაურო-საშტაბო ან სპეციალური სწავლება, ჩატარებული არსებული და დასამუშავებელი საწესდებო დოკუმენტების დებულებების, შეიარაღებაზე მიღებული საბრძოლო ტექნიკის საცდელი ნიმუშების შემოწმების მიზნით. საცდელ სწავლებაზე მონაწილეების მოქმედებები შეიძლება მეორდებოდეს გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტებით, დაშვებულია ცალკეული ილეთების და ხერხების, სწავლებაზე შესვენებების გამეორება.
18. **საცეცხლე მომზადება** – პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების იარაღის გამოყენების სწავლება ბრძოლაში მიზნების დასაზიანებლად. საცეცხლე მომზადება მოიცავს იარაღის მატერიალური ნაწილის, მისი მოვლის და შენახვის წესების, ბალისტიკის საფუძვლების და ხელყუმბარების ტყორცნის, მიზნების დაზვერვის ხერხების და მანძილის განსაზღვრის და ცეცხლის მართვის ხერხების შესწავლას. სამხედრო საზღვაო ძალებში აგრეთვე მოიცავს საარტილერიო, სარაკეტო, და სხვა სროლებს. ავიაციაში საგანს საჰაერო-საცეცხლე მომზადება ეწოდება.
19. **საჩვენებელი სწავლება** – ჯარებთან(ძალებთან) ტაქტიკური(ტაქტიკურ- სპეციალური) სწავლება ან სამეთაურო-საშტაბო სწავლება, მსგავსი სწავლების ჩატარების მეთოდიკით ქვედანაყოფებთან, ნაწილებთან, მართვის ორგანოებთან ერთიანი შეხედულებების გამომუშავების მიზნით, მეთაურების და მართვის ორგანოების ყველაზე მიზანშეწონილი მუშაობის, ჯარების(ძალების) მოქმედებების ხერხების და ილეთების, ბრძოლაში იარაღის და სამხედრო ტექნიკის გამოყენების ჩვენებით.
20. **სადაზვერვო მომზადება** – ბრძოლაში(ოპერაციაში) დაზვერვის ორგანიზებისა და წარმოებისთვის მეთაურების, შტაბის ოფიცრების, ჯარების (ძალების) ყველა გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების პირადი შემადგენლობის სწავლება; საბრძოლო და ოპერატიული მომზადების შემადგენელი ნაწილი. მზვერავებისთვის – ძირითადი სასწავლო საგანი. სადაზვერვო მომზადების შინაარსი: უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალების შესწავლა; მეთაურების და შტაბის ოფიცრების უნარ-ჩვევების სრულყოფა დაზვერვის ორგანიზებაში, ბრძოლაში(ოპერაციაში) მათი ძალების მართვა, ხოლო პირადი შემადგენლობისთვის – ადგილმდებარეობაზე მოწინააღმდეგის დაზვერვის უნარ-ჩვევების სრულყოფა; ჯარების (ძალების), სპეციალური ჯარების სადაზვერვო ამოცანების ერთობლივად შესრულებისთვის სადაზვერვო ქვედანაყოფების შერწყმა.
21. **საქიმო-საფრენოსნო კომისია** – სამხედრო-საქიმო კომისია, რომელიც მფრინავთა შემადგენლობის შემოწმებას აწარმოებს.
22. **საერთაშორისო უსაფრთხოება** – საერთაშორისო ურთიერთობებს ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია მსოფლიო საზოგადოების

ნორმალური არსებობა, ხალხთა, სახელმწიფოთა, სახელმწიფოთაშორის გაერთიანებათა სტაბილური განვითარება და თანამშრომლობა, წამოჭრილ საშიშროებათაგან თითოეული მათგანის სასიცოცხლო ინტერესების საიმედო დაცვა. ყალიბდება ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოებების საფუძველზე. მის ძირითად შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, სამხედრო და უსაფრთხოების სხვა სახეობანი. საერთაშორისო უსაფრთხოება გულისხმობს: თითოეული ადამიანის და კაცობრიობის, მყარ განვითარებას: სახელმწიფოთა სუვერენიტეტს და ტერიტორიული მთლიანობასა; სხვადასხვა ქვეყნების და ხალხების თავისებურებას და თავისთავადობას; გარემო ბუნების შენარჩუნებას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; ადამიანების, კაპიტალის, ინფორმაციის თავისუფალ გადაადგილებას; მოქალაქეთა სრულუფლებიანობას, თანასწორუფლებიანობას და სხვა. 21-ე საუკუნის დამდეგს მტკიცე და ხანგრძლივ მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარი საფუძველია საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა ფორმის აქტივიზაცია, საერთაშორისო სამართლის ნორმების და ყველა სახელმწიფოს მიერ იმ საყოველთაო აღიარებული პრინციპების დაცვა, რომლებიც დამკვიდრებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და სხვა დოკუმენტებით.

23. **საერთო-საჯარისო მომზადება** – საერთო მომზადება, შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების(ქვედანაყოფების) საერთო-საჯარისო საგნების შესწავლა, რომელთა ცოდნა ყველა სპეციალობის სამხედრო მოსამსახურეებისთვის აუცილებელია. საერთო-საჯარისო მომზადება სამხედრო მოსამსახურეებთან ჩვეულებრივ მეცადინეობებია – ტაქტიკურ, საცეცხლე, ფიზიკურ, სამხედრო-სამედიცინო მომზადებაში, საერთო-საჯარისო წესდებებში, მასიური დაზიანების იარაღისგან დაცვაში, სამხედრო ტოპოგრაფიაში და სხვა.
24. **საერთო-საჯარისო ტაქტიკური სწავლება** – ტარდება ქვეით, სატანკო ქვედანაყოფებთან, ნაწილებთან და შენაერთებთან სახმელეთო ჯარების სხვა გვარებების ჯარების და სპეციალურ ჯარების და შეიარაღებული ძალების სხვა სახობების მონაწილეობით; ჯარების(ძალების), მეთაურების, შტაბების, მათი რეალური ბრძოლის წარმოების მომზადებისთვის საბრძოლო მომზადების ძირითადი ფორმა. (იხ. სწავლება)
25. **საფრენი აპარატების საფრენოსნო-ტაქტიკური მახასიათებლები** – საფრენი აპარატების საბრძოლო შესაძლებლობების განმსაზღვრელი მაჩვენებლები. მოიცავს: სიმაღლე-სიჩქარის, მანევრის აფრენა-დაჯდომის და ექსპლუატაციურ მახასიათებლებს, აგრეთვე მანძილს, რადიუსს და საბრძოლო ფრენის ხანგრძლივობას, ცხოველუნარიანობას და საბრძოლო ეფექტურობას. საფრენი აპარატების საფრენოსნო-ტაქტიკური მახასიათებლებს შესაძლოა საფრენი აპარატების ცალკეული სისტემები განეკუთვნოს.
26. **საფრენოსნო მომზადება** – მფრინავთა შემადგენლობის სწავლება თვითმფრინავის(ვერტმფრენის) დაუფლებაში, მისი მოწყობილობების და შეიარაღების, მოცემული ავიაციის დანიშნულების შესაბამისად ერთეულად, ნაწილის და ქვედანაყოფის შემადგენლობაში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის. საფრენოსნო მომზადება მოიცავს პილოტირების ტექნიკას, სანავიგაციო მომზადებას,საბრძოლო გამოყენებას და საფრენოსნო-ტაქტიკურ

მომზადებას. საფრენოსნო მომზადების ძირითადი მიზანია საჰაერო დასწავლის მაღალი დონის მიღწევა.

27. **საფრენოსნო-ტაქტიკური მომზადება** – საფრენოსნო მომზადების სახეობა, რომელიც მიზნად ისახავს ეკიპაჟების, საავიაციო ქვედანაყოფების და შენაერთების საბრძოლო მოქმედებების წარმოების ხერხების და საბრძოლო ამოცანების შესრულების ტაქტიკური ილეთების დამოუკიდებლად და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედების შესწავლას.
28. **საფრენოსნო-ტაქტიკური სწავლება** – საავიაციო ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების საბრძოლო მომზადების უმაღლესი ფორმა. საფრენოსნო-ტაქტიკური სწავლება ტარდება ტაქტიკურ, ან ოპერატიულ-ტაქტიკურ ფონზე რეალური ფრენების შესრულებით. მათზე ქვედანაყოფები ნაწილები და შენაერთები სხვადასხვა ამოცანების შესრულებას მაქსიმალურად საბრძოლო პირობებში შეისწავლიან.
29. **საჰაერო დერეფანი** – შეზღუდული საჰაერო მარშრუტი, რომელიც გამოყოფილია საგანგებოდ მხოლოდ საკუთარი ძალების თვითმფრინავის გადაადგილებისგან. (ჯარი) – სივრცე, რომლის საზღვრებშიც საარტილერიო პოზიციებიდან ცეცხლი არ გაიხსნება საავიაციო საშუალებების მიმართ, უპილოტო საჰაერო ტრანსპორტის ჩათვლით.
30. **საჰაერო განგაში** – საჰაერო თავდაცვის საშუალებების დაუყონებლივ მზადყოფნაში მოყვანა საჰაერო თავდასხმის მოგერიებისთვის, აგრეთვე საჰაერო დარტყმებისგან ჯარების(ძალების) პირადი შემადგენლობის, მოსახლეობის მიერ დაცვის ყველა საშუალებების გამოყენება. მოწინააღმდეგის თავდასმის საფრთხის ან დაწყებისთანავე საჰაერო განგაშის სიგნალი ცხადდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და ხმით.
31. **საჰაერო გაწვრთნილობა** –მფრინავი შემადგენლობის პროფესიული სწავლება სხვადასხვა ვითარებაში ბრძოლის წარმოებისთვის; საავიაციო ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ეკიპაჟების საბრძოლო მზადყოფნის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი; საბრძოლო გაწვრთნილობის შემადგენელი ნაწილი.
32. **საჰაერო ნაკადი** – ქარების სისტემა ტროპოსფეროში და სტრატოსფეროში, ჩვეულებრივ, განხილული, როგორც ერთიანი ატმოსფერული წარმონაქმნი, რომელიც მიმართულებით და დროში ერთგვარი მდგრადობის მქონეა. შეიძლება შედიოდეს ატმოსფეროს საერთო ცირკულაციის შემადგენლობაში, რომელიც მოიცავს ვრცელ სივრცეს(ციკლონები, ანტიციკლონები, პასატები, მუსონები და სხვა) ან ლოკალური მნიშვნელობის მქონე(სიო, მთის ქარები და სხვა). საჰაერო ნაკადი მხედველობაში მიიღება საფრენი აპარატების ფრენების, რაკეტების გაშვების, ქიმიური და რადიაციული ვითარების პროგნოზირების დროს და სამხედრო მეტეოროლოგიაში.
33. **საჰაერო ხიდი** – საჰაერო-სატრანსპორტო ოპერაცია ან სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის მოქმედებები, განხორციელებული შორეულ სამხედრო- მოქმედებების თეატრზე ჯარების გასაძლიერებლად ან ახალი დაჯგუფების შექმნისთვის პირადი შემადგენლობის და ტექნიკის მიწოდების, გარშემორტყმული(იზოლირებული) დაჯგუფების ან ბლოკირებული რაიონების მომარაგების ან ევაკუაციის მიზნით.

საჰაერო ხიდისთვის იქმნება სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის დაგუფება, გამოიყოფა ერთი ან რამოდენიმე საჰაერო ტრასა ან მარშრუტი.

34. **საჰაერო-საცეცხლე მომზადება** – მფრინავთა შემადგენლობის ბრძოლაში დაზიანების საავიაციო საშუალებების საბეძოლო გამოყენების შესწავლა. მოიცავს: თეორიის შესწავლას და საჰაერო სროლის, რაკეტების გაშვების და ბომბტყორცნის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
35. **საკადრო სისტემა** – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის სისტემა, დაფუძნებული მშვიდობიან დროს მათი შემცირებული შემადგენლობით შენახვაზე, რეზერვის მომზადებული სამხედრო კონტიგენტის არსებობობის შემთხვევაში, რომლებიც ომის შემთხვევაში ჯარების(ძალების) მობილიზაციურ გაშლას უზრუნველყოფენ. ხასიათდება შეიარაღებული ძალებში შენაერთების და ნაწილების შემცირებული და კადრირებული შემადგენლობის არსებობით, აგრეთვე აუცილებელი რაოდენობის საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ჯარებით, რომლებიც გაშლილია და დაკომპლექტებულია სრული შტატით. საკადრო სისტემა პირველად შემოღებულია პრუსიაში 1814წ. მე-19 საუკუნის შუა წლებში სხვა სახელმწიფოებშიც.
36. **საკონტროლო-გამშვები პუნქტი** – 1) სამხედრო ბაზის, სამხედრო ნაწილის, დაწესებულებების ტერიტორიაზე ადგილი(შენობა), სპეციალურად მოწყობილი მომსვლელი(წამსვლელი) პირების სწორად გატარების, აგრეთვე რაიმე ქონების გატანის(შემოტანის) უზრუნველსაყოფად. 2)მესაზღვრეებისთვის ადგილი, სადაც სახელმწიფო საზღვრის დაცვის ამოცანებს ასრულებენ.
37. **საკონტროლო-ტექნიკური პუნქტი** – სამხედრო ნაწილის პარკის ელემენტი, პარკიდან გამოსვლისა და დაბრუნებისას მათი ტექნიკური შემოწმებისათვის
38. **სამართლებრივი აღზრდა** შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა მიზანმიმართული ზემოქმედება ცნობიერებასა და ყოფაქცევაზე მათთვის ღირებულებრივი ორიენტაციების, ისეთი მოტივების და განწყობილების გამოსამუშავებლად, რომლებიც შთააგონებენ, ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში იმოქმედონ იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს და არეგლამენტებენ სამხედრო საქმიანობას. მოქალაქეთა უფლებამოვალეობებს, რომლებიც განსაზღვრავენ და არეგლამენტებენ სამხედრო საქმიანობას.
39. **სამბო – იხ. საბრძოლო ორთაბრძოლები**.
40. **სამეთაურო მომზადება** – სასწავლო ღონიძიებების კომპლექსი, მიმართული გენერლების და ადმირალების, ოფიცრების, ზემდეგების და სერჟანტების პროფესიული და მეთოდური ოსტატობის ამაღლებაზე; საბრძოლო და ოპერატიული მომზადების შემადგენელი ნაწილი. სამეთაურო მომზადების მაღალი დონე – ჯარების(ძალების) მართვის ორგანოების, საბრძილო და სამობილიზაციო მზადყოფნის დონის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა. სამეთაურო მომზადების მთავარი მიზნები: სამეთაურო შემადგენლობის ცოდნის და უნარ-ჩვევების სრულყოფა ჯარების(ძალების) მაღალი საბრძოლო, სამობილიზაციო მზადყოფნის შენარჩუნებისთვის და საბრძოლო მოქმედებების და ცეცხლის მართვის, დაქვემდებარებული შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების ორგანიზების უნარი; სრულყოფა მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებების, სახელოვნებო

აზროვნების, ინიციატივის, სამხედრო ეშმაკობის, საზრიან რისკზე წასვლის უნარი; ჯარების(ძალების) ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობის შესწავლა, მართლწესრიგის და მაღალი სამხედრო დისციპლინის შენარჩუნება; სწავლების და აღზრდის მოწინავე გამოცდილების დაუფლება.

41. **სამეთაურო-საშტაბო სამხედრო თამაში** – ოპერატიული მომზადების ფორმა, რომლის გამოყენების მიზანია სრულყონ გენერლების, ადმირალების და ოფიცრების უნარჩვევები ოპერაციის მომზადების ორგანიზაციის და ჯარების (ძალების) მართვაში საბრძოლო მოქმედების დროს, აგრეთვე მიაღწიონ მართვის ორგანოების შეთანხმებულ მუშაობას, გამოიკვლიონ სამხედრო ხელოვნების ახალი საკითხები, ჯარების (ძალების) ორგანიზაციული სტრუქტურა და მათი გამოყენების ხერხები. ეწყობა რუკებზე. სამეთაურო-საშტაბო სამხედრო თამაშის არსი ის არის, რომ სწავლების მონაწილენი მართვის ორგანოების შემადგენლობაში ერთიანი ვითარების ფონზე ასრულებენ ოპერაციაში ჯარების მართვის ფუნქციურ მოვალეობებს.
42. **სამეთაურო-საშტაბო სწავლება** – სარდლობის (მეთაურების), შტაბების, ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარების და ჯარების (ძალების) მართვის სამსახურების უფროსების ერთობლივი წვრთნის ფორმა. სამეთაურო-საშტაბო სწავლების არსი ის არის, რომ სწავლების მონაწილენი კონკრეტული, ცვალებადი ვითარების პირობებში ასრულებენ ჯარების მართვის ფუნქციურ მოვალეობათა მთელ კომპლექსს მართვის ორგანოების შემადგენლობაში.
43. **სამიზნე მდგომარეობა** – სამიზნეებით აღნიშნილი მიზნების ერთობლიობა, განკუთვნილი მოწინააღმდეგის განსაზღვრული დაჯგუფების და მისი ობიექტების განლაგების და მოქმედებების იმიტაციისთვის. იქმნება ჯარების (ძალების) სწავლებებზე მსწავლებლებისთვის დაზვერვის უნარ-ჩვევების, მიზნების ადგილმდებარეობის განსაზღვრის, მათი დაზიანებისთვის საშუალებების და ხერხების შერჩევისთვის, მიზანჩვენების, საცეცხლე ამოცანის დასმის,სროლის შედეგების თვალთვალისთვის და ცეცხლის კორექტირებისთვის.
44. **სამოქალაქო თავდაცვის სწავლება** – სამხედრო დროის ამოცანების გადაწყვეტისთვის, სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელი შემადგენლობის, მართვის ორგანოების და მოსახლეობის მომზადების ფორმა. სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში ტარდება სამეთაურო-საშტაბო, საშტაბო, ტაქტიკური, ტაქტიკურ-სპეციალური და კომპლექსური სწავლებები. მასშტაბის მიხედვით – რესპუბლიკური, რეგიონული, რაიონული, ობიექტური და სხვა.
45. **სამთო მომზადება** – მთებში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის ჯარების სწავლება. სამთო მომზადების ძირითადი ამოცანა – პირადი შემადგენლობის სწავლება მთის დარკოლებების გადალახვის ტექნიკაში და
46. **სამწყობრო დათვალიერება** – სამხედრო ქვედანაყოფის, ნაწილის(ხომალდის) შემოწმების ფორმა, პირადი შემადგენლობის ერთეული სამწყობრო გაწვრთნილობის ხარისხის და ქვედანაყოფის სამწყობრო შერწყმულობის შემოწმების მიზნით. ტარდება ქვეითად ან მანქანებზე. მოწმდება სამხედრო მოსამსახურეების გარე იერი, აღჭურვილობის, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის არსებობა და მდგომარეობა.
47. **სამწყობრო მომზადება** – პირადი შემადგენლობის სამწყობრო წარმოსადეგობის, მოწესრიგებულობის, მარდობის და ამტანობის, იარაღით და უიარაღოთ სამწყობრო ილეთების კომანდების სწორად და სწრაფად შესრულების, აგრეთვე სხვადასხვა

მწყობრში ქვედანაყოფების, ნაწილების, ხომალდების შერწყმული მოქმედებების შესწავლა. სამწყობრო მომზადება მოიცავს: ერთეულ სამწყობრო სწავლებას, ქვედანაყოფების და ნაწილების ქვეითად და მანქანებზე მოქმედებებისას საბრძოლო შერწყმულობას, სამწყობრო დათვალიერებას.

48. **სამხედრო აკადემია** – უმაღლესი სამხედრო-სასწავლო დაწესებულება; სამხედრო განათლების სისტემაში წამყვანი სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ცენტრი. ძირითადი დანიშნულება: უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე მაღალკვალიფიციური ოფიცრების მომზადება; უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო - პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების, ასევე სამხედრო ინსტიტუტების და უნივერსიტეტებისთვის პედაგოგების მომზადება. სამხედრო აკადემია შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების და სამხედრო განათლების დახვეწის მიზნით აწარმოებს ფუნდამენტალურ, საძიებო და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს. პირველად შეიქმნა მე-18 საუკუნის მიწურულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მრავალ სახელმწიფოში საწყის ეტაპზე ძირითადი დანიშნულება იყო გენერალური შტაბებისთვის ოფიცრების მომზადება. მოგვიანებით მათ დაიწყეს ჯარებისთვის ოფიცრების მომზადება და სამხედრო თეორიების შემუშავება.

49. **სამხედრო აღზრდა** – შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეების-თვის სისტემატური და მიზანმიმართული მაღალი მორალური, ფსიქოლოგიური და საბრძოლო თვისებების ფორმირება აუცილებელი წარმატებული სამხედრო-საბრძოლო საქმიანობისთვის. ეფუძნება კონსტიტუციას, სამხედრო კანონმდებლობას, სამხედრო ტრადიციებს და მეომრების აღზრდის გამოცდილებას. სამხედრო აღზრდის შინაარსს საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული, ზნეობრივი, ფიზიკური და სხვა სახის აღზრდა შეადგენს.

50. **სამხედრო ფიცი** – საზეიმო დაპირება (ფიცი), რომელსაც დებს თითოეული სამხედრო მოსამსახურე (მოქალაქე) სამხედრო სამსახურში გაწვევის (სამხედრო-სასწავლებელში მოწყობის) დროს. ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი. მრავალ სახელმწიფოში სამხედრო ფიცი არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი და მორალურ-პოლიტიკური აქტი. დაწესებული წესით სამხედრო ფიცის დადება ხდება კანონით, რომელიც ექვემდებარება უპირობო შესრულებას. სამხედრო ფიცის შინაარსი და დადების რიტუალში აისახება ერის და არმიის ისტორიული და ნაციონალური ტრადიციები. სამხედრო ფიცის ტექსტი უნდა იყოს მიღებული კანონმდებლობით.

51. **სამხედრო კადრები** – სამხედრო პროფესიონალები, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ყველაზე კვალიფიციური ნაწილი, უწინარეს ყოვლისა, ისეთი, რომელსაც აქვს შესაბამისი სამხედრო (სამხედრო-სპეციალური) მომზადება და გამოცდილება სხვადასხვა საჯარისო ფორმირებების, დაწესებულებების, სამსახურების და სხვათა ხელმძღვანელობაში, აგრეთვე განკუთვნილია შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკური თუ სხვა სპეციალური ფუნქციების შესასრულებლად. სამხედრო კადრები შეიძლება იმყოფებოდნენ კადრის სამხედრო სამსახურში (სამხედრო კადრების ძირითადი ნაწილი) ან იყვნენ რეზერვში.

52. **სამხედრო კათედრები** – უმაღლესი პროფესიული განათლების სამოქალაქო დაწესებულებების სასწავლო-სამეცნიერო ქვედანაყოფი,რომლებიც სტუდენტების შემადგენლობიდან რეზერვის ოფიცრის მომზადების პროგრამით სწავლას ახორციელებენ. მამრობითი სქესის მოქალაქეები, რომლებიც სამხედრო კათედრაზე სწავლებაზე კონტრაქტს დებენ, ვალდებული არიან გაწვევის შემთხვევაში სამხედრო სამსახური გაიარონ.
53. **სამხედრო კოლეჯი** – სამხედრო სასწავლებელი რიგ სახელმწიფოში, განკუთვნილია ოფიცერთა კადრების მომზადებისთვის. შეიძლება შეესაბამებოდეს საშუალო ან უმაღლესი პროფესიული განათლების დონეს. 1-ლი ტიპის სამხედრო კოლეჯი სწავლების ვადა (2 – 4 წელი), მე-2 ტიპის –6 თვიდან 2 - 3 წლამდე).
54. **სამხედრო კოლექტივი სამხედრო კოლექტივი** – ორგანიზებული, შედარებით კომპაქტური სოციალური ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა სამხედრო სამსახურის ამოცანების შესასრულებლად – მიზნების, ხელმძღვანელობის ერთიანობის და ერთობლივი საქმიანობის საფუძველზე; დანიშნულებითა და რიცხოვნობით განსხვავებულ სამხედრო ფორმირებათა პირადი შემადგენლობა. ახასიათებს: სტატუსისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერების მაღალი მნიშვნელობა, უშუალო კავშირი სახელმწიფოს საარსებო მნიშვნელობის ინტერესების დაცვასთან; საქმიანობის მრავალპროფილური ხასიათი; კოლექტივის წევრების ურთიერთგამტანობის, შეკავშირების განსაკუთრებული როლი, მკაფიოდ გამოხატული მართვის ცენტრალიზაცია; მეომართა არა მარტო სამსახურის, აგრეთვე ყოფის და თავისუფალ დროის დეტალური რეგლამენტაცია; შედარებითი განკერძოებულობა; დაკომპლექტების განსაკუთრებული ხერხი.
55. **სამხედრო მოსამსახურეების გამოკითხვა** – შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეების წინადადებების, განცხადებების და საჩივრების გამოვლენის საწესდებო ფორმა მისი შემდგომი გადაჭრისთვის; ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი. ტარდება ინსპექტირების(შემოწმების) დროს, სამხედრო მოსამსახურეების კატეგორიების მიხედვით და რეგლამენტირდება წესდებებით.
56. **სამხედრო მოსამსახურის სიფხიზლე** – მორალურ-ფსიქოლოგიური და საბრძოლო თვისება გამოხატული მოწინააღმდეგის მოქმედებებზე
57. **სამხედრო მუსიკა** – მხედრული რიტუალების მნიშვნელოვანი ელემენტი. სამხედრო მუსიკის ძირითადი ჟანრია მარში(სამწყობრო, სალაშქრო და სხვა). სამხედრო მუსიკას განეკუთვნება მცირე ფორმის ნაწარმოებები, რომლებიც სპეციალურად მხედრული ცერემონიალების გასაფომებლად იქმნება, აგრეთვე საკონცერტო მუსიკალური ნაწარმოებები(სიმფონიები, უვერტიურები და სხვა) და მუსიკა სამხედრო სიმღერებისთვის.
58. **სამხედრო პედაგოგიკა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგი, რომელიც სწავლობს სამხედრო მოსამსახურეთა აღზრდის, სწავლების და განათლების, სამსახურებრივი და საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებისთვის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიერი მომზადების კანონზომიერებებს. სამხედრო–პედაგოგიური აზროვნება, რომელიც არმიების შექმნასთან ერთად ჩაისახა, ვითარდებოდა საზოგადოებასა და სამხედრო საქმეში მიმდინარე ობიექტური პროცესების ზემოქმედებით. სამხედრო პედაგოგიკა იმყოფება სამხედრო მეცნიერების და პედაგოგიკის მეცნიერებების შესაყარზე, მჭიდროდ არის

დაკავშირებული და თანამოქმედებს ზოგად და სამხედრო ფსიქოლოგიასთან, მეომრის ეთიკასთან, ფიზიოლოგიასთან და ცოდნის სხვა დარგებთან, იყენებს კიბერნეტიკის, ზოგიერთი მათემატიკური მეცნიერების საშუალებებს და მეთოდებს. სამხედრო პედაგოგიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად გვევლინება ცოდნის სისტემა ომის და მთლიანად არმიის შესახებ.

59. **სამხედრო სიმღერა** – მუსიკალურ-პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი სახეობა. გამოირჩევა მუსიკალური და პოეტური ენის ფორმების სიმარტივით. განასხვავებენ სალაშქრო-სამწყობრო, ლირიკულ და სხვა.

60. **სამხედრო ტყვეები** – ომის დროს მოწინააღმდეგის მიერ შეპყრობილი, დატყვევებული კომბატანტები და სხვა პირნი, რომლებზეც ვრცელდება სამხედრო ტყვეობის რეჟიმი. სამხედრო ტყვეობად მიიჩნევა ომის მდგომარეობით განპირობებული მეომარი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგე მხარის პირთა დროებითი დაკავება, რომელსაც თან სდევს შეიარაღებული ბრძოლებში მონაწილეობის გამორიცხვის მიზნით მათი თავისუფლების შეზღუდვა. სამხედრო ტყვეობის რეჟიმს არეგულირებს ჟენევის 1949 კონვენციები, მათი დამატებითი ოქმები, სხვა საერთაშორისო შეთანხმებები. სამხედრო ტყვეს სტატუსი არ ვრცელდება ჯაშუშებსა და დაქირავებულებზე.

61. **სამხედრო უსაფრთხოება** – ცხოვრების საშინაო და საერთაშორისო პირობების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ანეიტრალებს ან გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ პიროვნებას, საზოგადოებას, სახელმწიფოს, მსოფლიო გაერთიანებას მიადგეს ზიანი შეიარაღებული ძალადობის საშუალებათა გამოყენების შედეგად; ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების ნაწილი და ერთ-ერთი საფუძველი. ხასიათდება მისი ობიექტებისთვის ომის საფრთხის არარსებობით ან მათი უნარით, გარანტირებულად წინ აღუდგნენ აგრესიას. სამხედრო უსაფრთხოება გულისხმობს ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა: სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შეიარაღებული დაცვა; საზოგადოების და სახელმწიფო წყობილების სტაბილურობის სამხედრო გარანტიების შექმნა, სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება ქვეყანაში; პოლიტიკური და კრიმინალური ჯგუფების ტერორისტული მოქმედებების აღკვეთა. სამხედრო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვა არასამხედრო ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო და შიდა წინააღმდეგობათა გადაწყვეტას, სამხედრო-ძალისმიერ დაპირისპირებად მათი გადაზრდის თავიდან აცილებას. სამხედრო უსაფრთხოების დიდმნიშვნელოვანი მხარეა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომელიც შეესაბამება რეალური და პოტენციური ომის საფრთხეებს. სამხედრო უსაფრხოების ამოცანებს უშუალოდ წყვეტენ სხვადასხვა ძალისმიერი სტრუქტურები: შეიარაღებული ძალები და სხვა ჯარები, პოლიცია, უშიშროების ორგანოები.

62. **სამხედრო ძეგლები** – გამოჩენილი სამხედრო მოვლენების, ან ომის გმირების, მოღვაწეების ხსოვნის უკვდავყოფისთვის შექმნილი ნაგებობები. ფართო გაგებით, სამხედრო ძეგლებია აგრეთვე ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც სამხედრო ისტორიისთვის მნიშვნელოვანია. სამხედრო ძეგლების ძირითად სახეობებს წარმოადგენენ: ბიუსტები, სტატუები, სკულპტურული ჯგუფები,

ფილები რელიეფით ან წარწერით, ტრიუმფალური თაღები, კოლონები, მოვზოლეუმები, საკულტო ნაგებობები, ნატურის ძეგლები-სიმბოლოები, მემორიალები და სხვა. მოვლენების ასახვის ხასიათით განასხვავებენ: კონკრეტულ ომს მიძღვნილი; ცალკეულ ბრძოლას მიძღვნილი; ცალკეული პიროვნებების; უშუალოდ სამხედრო საფლავებზე და სამხედრო სასაფლაოებზე დადგმული ძეგლები და სხვა.

63. **სამხედრო(სამხედრო-პროფესიული)განათლება** – სამხედრო სპეციალისტების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების პროცესი, რომელსაც განათლების მიღწეული დონის კოსტატაცია თანხლებს. სამხედრო განათლების ძირითადი მიზანი – ჯარების(ძალების) კვალიფიციური სამხედრო კადრებით მდგრდი დაკომპლექტების უზრუნველყოფა. მოიცავს – დაწყებით, საშუალო, უმაღლეს, უმაღლესისშემდგომ და დამატებითს.
64. **სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობები** – იხ. სამხედრო-გამოყენებითი სპორტი.
65. **სამხედრო-საავტომობილო გზა** – გზა, მომზადებული ჯარების(ძალების) მოძრაობისთვის, გაშლილი მისი ექსპლუატაციისთვის, ტექნიკური დაფარვისთვის და საგზაო ნაწილების ძალებით და საშუალებებით აღდგენისთვის. მოიცავს: ძირითად და სათადარიგო მარშრუტებს; მსხვილი სატრანსპორტო კვანძების, ქალაქების, ხიდების, გვირაბების, დეფილე და სხვათა შემოვლას; დაბრკოლებებზე დუბლირებულ გადასასვლელებს.
66. **სამხედრო-სამედიცინო მომზადება** – შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სხვადასხვა საბრძოლო დაზიანების, ტრავმების, მოწამვლის, და სხვა უბედური შემთხვევების, აგრეთვე კოლექტიური და პირადი ჰიგიენის საფუძვლების, ინფექციური დაავადებებისგან პროფილაქტიკის სწავლება. სამხედრო-სამედიცინო მომზადება სამეცნირო დისციპლინაა , რომელიც ჯარების(ძალების) სამედიცინო უზრუნველყოფი საკითხებს შეისწავლის.
67. **სამხედრო-სამედიცინო შემადგენლობა** – სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც აქვთ სამედიცინო განათლება და შეიარაღებულ ძალებში უკავიათ საშტატო სამედიცინო თანამდებობები, აგრეთვე რეზერვში მყოფი მედიცინის მუშაკები. სამხედრო-სამედიცინო შემადგენლობას განეკუთვნებიან: ექიმები, საშუალო სამედიცინო შემადგელობა(ფერშლები, ლაბორანტები, მედდები და სხვა) და უმცროსი სამედიცინო შემადგენლობა(სან.ინსტრუქტორები, სანიტრები, სანიტრები-მებარგულეები).
68. **სამხედრო-სპორტული მრავალჭიდი** – სამხედრო-გამოყენებითი ხასიათის შეჯიბრი სპორტის რამოდენიმე სახეობაში ან სპორტის ცალკეულ ვარჯიშში.
69. **სამხედრო-ტოპოგრაფიული სამსახური** – იხ. ტოპოგრაფიული სამსახური.
70. **სარაკეტო-საცეცხლე მომზადება** – საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის საბრძოლო ეფექტურობის და მათი გამოყენების საკითხების შესწავლა. მოიცავს: საზენიტო-მართვადი რაკეტების დამიზნებას და მიზნების დაზიანებას, მრავალამფეთქის ამოქმედების და მართვის სისტემის მუშაობას, აგრეთვე მეთოდებს რაკეტის დამიზნების, რაკეტის გაშვების ზონის გათვლებს და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით საჰაერო მიზნების დაზიანებას, ფაქტორებს, რომლებიც მათ საზღვრებს განსაზღვრავენ, მიზნების თანამიმდევრული დაშენის შესაძლებლობებს. სარაკეტო-საცეცხლე მომზადება აგრეთვე ითვალისწინებს საბრძოლო მუშაობაში საზენიტო-

სარაკეტო კომპლექსის სროლის წესების ძირითადი დებულებების დასაბუთებას და გამოყენებას. მეცადინეობები ტარდება საშტატო საბრძოლო ტექნიკაზე ავიაციის რეალური ფრენების გამოყენებით, ან მიზნების იმიტატორების და დაბრკოლებების დაყენებით შექმნილ ვითარებაში.

71. **საღამოს შემოწმება** –ყოველ საღამოს ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობის დაწყობა მისი ყოფნის სახელობითი შემოწმებისთვის, ბრძანებების, შემდეგ დღეს განწესის გამოცხადებისთვის, საბრძოლო გათვლის დაზუსტებისთვის; ერთ-ერთი მხედრული რიტუალი. ხორციელდება ასეულებში(ბატარეებში) და ხომალდებზე (საბრძოლო ნაწილებში და სამსახურებში)

72. **საშტაბო ვარჯიში** – იმ ჩვევების შეძენის და სრულყოფის ფორმა, რომლებიც უნდა ჰქონდეთ შტაბის ოფიცრებს, რათა შეასრულონ თავიანთი ფუნქციური მოვალეობანი ოპერაციის (ბრძოლის) მომზადებისას და წარმოებისას, აგრეთვე სამსახურების, სამმართველოების, განყოფილებების და მთლიანად შტაბის შეთანხმებული მოქმედებისთვის; ეწყობა რუკაზე ან ადგილმდებარეობაზე.

73. **საშტაბო სწავლება** – გაერთიანებების (შენაერთების) შტაბების სწავლების ფორმა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ შექმნილი ვითარების ფონზე სწავლების მონაწილენი ასრულებენ თავიანთ ფუნქციურ მოვალეობებს. სწავლების ძირითადი მიზანია შტაბების მუშაობის შერწყმა და პრაქტიკული ჩვევების სრულყოფა ჯარების (ძალების) მართვაში.

74. **სასწავლო ცენტრი** – სამხედრო ნაწილი სასწავლო ობიექტების კომპლესით, რომლის დანიშნულებაა ჯარების ერთი ან რამოდენიმე გვარეობის ქვედანაყოფების და ნაწილების(ხომალდების) პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ამოცანების დამუშავება და საველე(საჰაერო,საზღვაო) გაწვრთნილობის დონის ამაღლება. დანიშნულების მიხედვით სასწავლო ცენტრები ფლობენ სხვადასხვა სასწავლო ველებს და ქალაქებს, პოლიგონებს, სასროლეთებს, სატანკო და ავტოდრომებს, აეროდრომებს, სასწავლო სამეთაურო პუნქტებს და და სხვა ობიექტებს, შემსწავლელი ქვედანაყოფებისათვის გააჩნიათ ადმინისტრაციულ-სამსახურებრივი შენობები, აგრეთვე პარკები, საწყობები, სახელოსნოები და სხვა. კუთვნილების მიხედვით სასწავლო ცენტრებს გაარჩევენ – შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების, გაერთიანებების, შენაერთების და ნაწილების.

75. **სასწავლო განგაში** – სასწავლო ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ნაწილებში(ქვედანაყოფებში) და ხომალდებზე საბრძოლო განგაშით მოქმედებების მომზადების მიზნით ტარდება. გარდა ამისა, სასწავლო განგაში ცხადდება სწავლებებზე გასვლის, უბედური შემთხვევების, ხანძრის ჩაქრობის და სხვა ამოცანების შესრულების დროს. ამ დროს, პირადი შემადგენლობა დაწესებული შეზღუდვებით მოქმედებს როგორც საბრძოლო განგაშით.

76. **საველე გაწვრთნილობა** – კომპლექსი პირადი შემადგენლობის უნარ-ჩვევების, ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების, მართვის ორგანოების მომზადების და საბრძოლო შერწყმის, მათი საბრძოლო მოქმედებების(ჯარების მართვის) წარმოების უნარი სხვადასხვა ვითარებაში ან დანიშნულების შესაბამისად ამოცანების შესრულებისას; სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი. სამხედრო მოსამსახურეების საველე გაწვრთნილობა მოიცავს ბრძოლაში მარჯვედ მოქმედების

და იარაღის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების უნარს; ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების – ძლიერი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ბრძოლაში შეთანხმებული მოქმედებების უნარს; მეთაურების და მართვის ორგანოების – ბრძოლაში(ოპერაციაში) უმოკლეს ვადებში საბრძოლო მოქმედებების და მართვის ორგანიზების უნარს.

77. **სახომალდო საბრძოლო სწავლება** – სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდის პირადი შემადგენლობის იარაღის გამოყენების ხერხების და ილეთების, ტექნიკური საშუალებების გამოყენების და მომსახურების, ცხოველსუნარიანობის, ბრძოლის და ხომალდის ბრძოლისუნარიანობის სწავლების უმაღლესი ფორმა; საბრძოლო საგუშაგოების, ქვედანაყოფების, საბრძოლო ნაწილების, სამსახურების, სამეთაურო პუნქტის და მთლიანად ხომალდის საბრძოლო შერწყმა და ურთიერთქმედება.

78. **საზღვაო გაწვრთნილობა** – ხომალდის ეკიპაჟის და ხომალდების შენაერთების მართვის ორგანოების თეორიული ცოდნის და უნარ-ჩვევების შეხამება, რომელიც სხვადასხვა ვითარების პირობებში დასმული ამოცანების შესრულების უნარს უზრუნველყოფს; საბრძოლო გაწვრთნილობის შემადგენელი ნაწილი; სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. მოიცავს: ხომალდის უზადო მართვას როგორც ერთეულ, ასევე სხვა ხომალდებთან ერთობლივად ცურვისას, ეკიპაჟის მიერ იარაღის და ტექნიკური სშუალებების გამოყენების მყარ ცოდნას და სიმარჯვეს, ინიციატივას და გაბედულობას, ხომალდის(გემის) ცხოველქმედებისთვის ბრძოლაში საზღვაო პრაქტიკის უნარ–ჩვევების აუცილებლობას.

79. **სპეციალური მომზადება** – სპეციალური ჯარების(ძალების) და ჯარების (ძალების) ზოგიერთი გვარეობების პირადი შემადგენლობის მიერ ბრძოლაში იარაღის(საბრძოლო ტექნიკის) დაუფლება და ფუნქციური მოვალეობების შესრულება, აგრეთვე ქვედანაყოფების შემადგენლობაში შერწყმული მოქმედებების შესწავლა. სპეციალურ მომზადებაში საბრძოლო მომზადებაში ზოგადად მიღებული სწავლების ფორმები და მეთოდები გამოიყენება. მთავარი ყურადღება პრაქტიკულ მეცადინეობებზეა გამახვილებული, რომლებზეც ღრმავდება იარაღის (სამხედრო ტექნიკის) ცოდნა, მისი გამოყენების (ექსპლუატაციის) ხერხები, გათვლებში(ეკიპაჟებში) მუშავდება ურთიერთშეცვლადობა, ფუნქციური ვალდებულებების და ნორმატივების შესრულების უნარ–ჩვევები იხვეწება.

80. **სროლის კონტროლი** – 1)მიზნიდან ჭურვის გასკდომის გადახრის განსაზღვრა და დაზიანებაზე ცეცხლის წარმოებისას კორექტურის შეტანა. სროლის კონტროლისთვის გამოიყენება გამიზვნა-მიზანჩვენების ჭურვები. 2)საკონტროლო სერიით გამიზნული მაჩვენებლების შემოწმება.

81. **სწავლება** – შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების და მართვის ორგანოების საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობის სარდლების (მეთაურების) და შტაბის და სხვა სამმართველოების ოფიცრების ტაქტიკური და ოპერატიული მომზადების მაღალი დონის მიღწევის და სრულყოფის ძირითადი, ყველაზე ეფექტური ფორმა. განასხვავებენ: მარშრუტების მიხედვით – სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული), ოპერატიული (ოპერატიულ-ტაქტიკური) და ტაქტიკური; მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ჩვეულებრივი (გეგმიური), საბრძოლო (ოპერატიული) მომზადების, საკონტროლო, საჩვენებელი, კვლევით-საცდელი;

მოსამზადებელთა შემადგენლობის მიხედვით – სწავლება ჯარებთან (ძალებთან), სამეთაურო – საშტაბო და საშტაბო; ჩატარების მეთოდიკის მიხედვით – ორმხრივი და ცალმხრივი.

82. **სწავლების ჩატარების გეგმა** – ხელმძღვანელის(ხელმძღვანელობის) ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც სწავლების მეთაურის(ხელმძღვანელის), ხელმძღვანელობის, შუამავლების და შემსწავლელების მოქმედებების შინაარსი და თანამიმდევრობა, აგრეთვე ყველა დასახული საწავლო საკითხების დამუშავებისთვის სწავლების მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის ღონისძიებები აისახება. სწავლების ჩატარების გეგმა მუშავდება ტექსტუალურად ან რუკაზე(სქემაზე) განმარტებითი ბარათით და შეიცავს: საწყის მონაცემებს, სწავლების ოპერატიულ-ტაქტიკურ(ოპერატიულ) ჩანაფიქრს, მისი ჩატარების კალენდარს და სხვა.

83. **სწავლების ეტაპი** – სწავლების ნაწილი (პერიოდი) რომლის დროსაც მუშავდება შემდგომი სასწავლო – საბრძოლო ამოცანა. მოიცავს რიგ სასწავლო საკითხებს. სწავლების ეტაპი შეიძლება იყოს ოპერაციის ან ბრძოლის მომზადება, თავდაცვის გარღვევა, წყლის წინაღობის ფორსირება და სხვ.

84. **სწავლების მოზადების გეგმა** – სწავლების მიზანმიმართული და დროული მომზადების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი სამსახურებრივი დოკუმენტი, სწავლების მოზადების გეგმაში აისახება სწავლებისთვის დოკუმენტების დამუშავების წესი და დრო[ჩანაფიქრი, მისი ჩატარების გეგმა, ოპერატიული (ტაქტიკური) დავალება, სწავლების ხელმძღვანელის მუშაობის გეგმა, ხელმძღვანელის თანაშემწეების კერძო გეგმები და სხვა]; მუშავდება ბრძანებების, დირექტივების და საორგანიზაციო-მეთოდური მითითებების საფუძველზე. შენაერთში და ნაწილში - სასწავლო წლისთვის, ბატალიონში, დივიზიონში და მათთან გათანაბრებულებში – სასწავლო პერიოდისთვის. ზუსტდება ყოველთვიურ გეგმებში.

85. **სწავლების პრინციპები – იხ. სამხედრო სწავლება**

86. **საბრძოლო მომზადება** – მომზადება, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნას ანვითარებს, ხელს უწყობს ან ამაღლებს.

87. **სამეთაურო-საშტაბო თამაში** - ოპერატიული მომზადების ფორმა, გამოიყენება ოპერაციების მომზადების ორგანიზაციის და საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას ჯარების(ძალების) მართვისთვის გენერლების, ადმირალების, და ოფიცრების უნარ–ჩვევების სრულყოფის, აგრეთვე მართვის ორგანოების მუშაობაში შერწყმულობის მიღწევის, სამხედრო ხელოვნების ახალი საკითხების კვლევის, ჯარების(ძალების) ორგანიზაციული სტრუქტურის და მათი გამოყენების მიზნით. სამეთაურო-საშტაბო თამაშის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მართვის ორგანოების შემადგენლობაში მყოფი პირადი შემადგენლობა ოპერაციაში ჯარების მართვისთვის ფუნქციურ მოვალეობებს ერთიანი ვითარების ფონზე ასრულებენ.

88. **სამხედრო განათლება** – სამხედრო სპეციალისტების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების პროცესი. სამხედრო განათლების ძირითადი მიზანი – სხვადასხვაგვარი სპეციალობების კვალიფიციური სამხედრო კადრებით ჯარების(ძალების) დაკომპლექტების უზრუნველყოფა. რიგ ქვეყნებში მოიცავს დაწყებით, საშუალო, უმაღლეს, უმაღლესის შემდგომ და დამატებით სამხედრო სამხედრო განათლებას.

89. **სრულ კომპლექტამდე მიყვანა** – ძალების და ინფრასტუქტურის არსებული სტრუქტურების დროული სრულმასშტაბიანი ან ნაწილობრივი მწყობრში შეყვანა, დაკომლექტების, შეიარაღების, ტექნიკის და მარაგების დანიშნულ დონეებამდე აღდგენის ჩართვით.
90. **ტიპიური გეგმა** – გეგმის ძირითადი სახეობა, შესაძლო საბრძოლო მოქმედებებისთვის წარმოებისთვის შემუშავებული, რომელშიც დაგეგმვის ზოგიერთი საწყისი ფაქტორები ან სრულად არ არის გამორკვეული, ან დაშვებას არ ექვემდებარება.
91. **შეიარაღებული ძალების განვითარების გეგმა** – ნატო-ს სამხედრო მოთხოვნების მოყვანის პროცესი სახელმწიფო-წევრების ეკონომიკური და ფინანსური რესურსების შესაბამისობაში.
92. **შტაბების მომზადება** – მშვიდობიან და ომიანობის დროს შტაბების პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების ჯარების(ძალების) მართვისთვის გაწვრთნა; ჯარების(ძალების) საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი ელემენტი. შტაბების მომზადება მოიცავს – ოფიცრების მომზადებას, შტაბების ქვედანაყოფების(განყოფილებების, სამმართველოების) მომზადებას და შერწყმას. ხორციელდება საშტაბო და სამეთაურო-საშტაბო ვარჯიშებზე, საშტაბო და სამეთაურო-საშტაბო სწავლებებზე, სამეთაურო-საშტაბო სამხედრო თამაშებზე, მათ შორის კომპიუტერულ და ჯარების(ძალების) სწავლებებზე.
93. **ხომალდის ეკიპაჟის საერთო მომზადება** – ხომალდის ყველა სამსახურების და საბრძოლო ნაწილების პირადი შემადგენლობის სწავლება საგნებში, რომელთა ცოდნა ყველა სპეციალისტისთვის აუცილებელია. მოიცავს: ხომალდის მოწყობილობის, მასიური დაზიანების იარაღისაგან დაცვის, ხომალდის ცხოველქმედებისთვის ბრძოლის მომზადების შესწავლას; საზღვაო, მსუბუქ-მყვინთავ, სამედიცინო, სამწყობრო, ფიზიკურ, საცეცხლე(ცეცხლსასროლი იარაღის) მომზადებას.

ლექცია 9–10

შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებებში და ბრძოლებში ჩაბმის და შეიარაღებული ძალების ცალკეული, სპეციალური სახეობების მოქმედებების ტერმინოლოგია

ალსაქრობი – 1. ლულის ალის თავიდან ასაცილებლად დენთის სატყორცნ მუხტში ემატება დანამატების გოგირდმჟავაკალიუმი, რომელიც თავსდება მუხტის ზევით და უკუ ალის ჩასაქრობათ (ალსაქრობი დენთის გარკვეული რაოდენობა მაალებელთან ერთად თავსდება მუხლის ქვედა ნაწილში). 2. ცეცხლსასროლი იარაღის ლულაზე ცილინდრის ფორმის მოწყობილობა გასროლის დროს ლულის ალის ნათების შესამცირებლად. ზოგჯერ ა. როლს ასრულებს ლულის მუხრუჭი.

ალსაქრობი – 1. ლულის ალის თავიდან ასაცილებლად დენთის სატყორცნ მუხტში ემატება დანამატების გოგირდმჟავაკალიუმი, რომელიც თავსდება მუხტის ზევით და უკუ ალის ჩასაქრობათ (ალსაქრობი დენთის გარკვეული რაოდენობა მაალებელთან ერთად თავსდება მუხლის ქვედა ნაწილში). 2. ცეცხლსასროლი იარაღის ლულაზე ცილინდრის ფორმის მოწყობილობა გასროლის დროს ლულის ალის ნათების შესამცირებლად. ზოგჯერ ა. როლს ასრულებს ლულის მუხრუჭი.

ასაფეთქებელი მანქანა – ელექტრო ხერხით მუხტის ასაფეთქებლად გამოსაყენებელი ელ. დენის გენერატორი. ა.რ. – როტორი ბრუნვაში ,ოდის ზამბარით ან ამძრავი სახელურით.

ასაფეთქებელი მანქანა – ელექტრო ხერხით მუხტის ასაფეთქებლად გამოსაყენებელი ელ. დენის გენერატორი. ა.რ. – როტორი ბრუნვაში ,ოდის ზამბარით ან ამძრავი სახელურით.

ასაფეთქებელი კოჭი – გარკვეული ფორმის აასაფეთქებელი ნივთიერების მუხტი. გამოიყენება საინჟინრო ნაღმების ასაფეთქებლად. აქვს ბუდე საინიციატივო საშუალებებისთვის, რომელიც დაფარულია პარაფინით. ა.კ. პარაფინიან ქაღალდშია გახვეული. გავრცელებულია ტროტილის დაპრესილი კოჭები მასით 75.200 და 400 გ.

ასაფეთქებელი კოჭი – გარკვეული ფორმის აასაფეთქებელი ნივთიერების მუხტი. გამოიყენება საინჟინრო ნაღმების ასაფეთქებლად. აქვს ბუდე საინიციატივო საშუალებებისთვის, რომელიც დაფარულია პარაფინით. ა.კ. პარაფინიან ქაღალდშია გახვეული. გავრცელებულია ტროტილის დაპრესილი კოჭები მასით 75.200 და 400 გ.

ასაფეთქებელი საშუალებები – გამოიყენება აფეთქებისთვის (ასაფეთქებელი მუხტები), საინიციატივო საშუალებები (კაპსულ-დეტონატორები, ელექტროდეტონატორები, ამნათები, ცეცხლგამტარი და სადეტონატორო ზონარები, ამნათები მილები, ამფეტქებლები) და აგრეთვე დენის წყაროები (ასაფეთქებელი მანქანები, აკუმულატორები), საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და სხვა.

ასაფეთქებელი საშუალებები – გამოიყენება აფეთქებისთვის (ასაფეთქებელი მუხტები), საინიციატივო საშუალებები (კაპსულ-დეტონატორები, ელექტროდეტონატორები, ამნათები, ცეცხლგამტარი და სადეტონატორო ზონარები, ამნათები მილები, ამფეტქებლები) და აგრეთვე დენის წყაროები (ასაფეთქებელი მანქანები, აკუმულატორები), საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და სხვა.

ბაზირების პუნქტი– ხომალდების, ზღვის (მდინარის) ნაპირის მონაკვეთი მიმდებარე აკვატორიით მოწყობილი ხომალდების მსადგომად და უზრუნველყოფისთვის. ჩვეულებრივად არის სამხედრო საზღვაო ბაზის ნაწილი. **ბ.პ.** განასხვავებენ **ბაზირებული ხომალდების** კლასების (ქვეკლასების) მიხედვით (წყალქვეშა ნავები, სარაკეტო და

სატოპპედო კატარღები და სხვ.), აგრეთვე დანიშნულებისა და საინჟინრო მოწყობილობის ხასიათით. (ძირითადი **ბ.პ.** , და ბაზირტებისა და მანევრირირების პუნქტები).

ბირთვი – საარტილერიო, მთლიანი სფერული ფორმის საარტილერიო ჭურვი რომელიც გამოიყენება გლუვლულიანი ქვემეხიდან სროლისთვის პირველი ბ. მზადდებოდა ქვისაგან და ტყვიისაგან. XV ს-ში ჩამოისხა თუჯის ბ. XIX ს-ში კუთხვილიანი არტილერიიის შექმნასთან ერთად ბ. მიიღეს მოგრძო ფორმა. ბ. იყო ჭურვების ძირიტადი სახეობა თავდაცვითი ნაგებობების დაზიანებისათვის, იყო ეფექტური ღია ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. XVI ს-ში არსებული მსკდომი სფერული ჭურვებს რუსეთში ეწოდებოდა გრანატები და ბომბები (მასა – 1 ფუთამდე).

ბირთვი – საარტილერიო, მთლიანი სფერული ფორმის საარტილერიო ჭურვი რომელიც გამოიყენება გლუვლულიანი ქვემეხიდან სროლისთვის პირველი ბ. მზადდებოდა ქვისაგან და ტყვიისაგან. XV ს-ში ჩამოისხა თუჯის ბ. XIX ს-ში კუთხვილიანი არტილერიიის შექმნასთან ერთად ბ. მიიღეს მოგრძო ფორმა. ბ. იყო ჭურვების ძირიტადი სახეობა თავდაცვითი ნაგებობების დაზიანებისათვის, იყო ეფექტური ღია ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. XVI ს-ში არსებული მსკდომი სფერული ჭურვებს რუსეთში ეწოდებოდა გრანატები და ბომბები (მასა – 1 ფუთამდე).

ბირთვული მუხტი – ბირთვშიგა ენერგიის გამონთავისუფლების ფეთქებადი პროცესისი განსახორციელებელი მოწყობილობა; ბირთვული საბრძოლო მასალის ძირიტადი ელემენტი, განასხვავებენ ბ.მ. რომელტა აფეთქების ენერგია განპირობებულია ჯაჭვური ბირთვული რეაქციისთ (ატომური მუხტების) და თერმობირთვული რეაქციით (თერმობირთვული მუხტებით). ატომურ მუხტებში აფეთქების მისაღებად გასაყოფი ნივთიერება გადაჰყავთ ზეკრიტიკულ მდგომარეობაში, მისი ნაწილების შეერთების გზით (ქვემეხის ტიპის მუხტი) ან მისი სიმკვრივის ამაღლებით (იმპლოზიური ტიპის მუხტი) ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებების აფეთქების საშუალებებით. თერმობირთვულ მუხტებში რეაქციის ინიციატორია ატომური მუხტი, ისინი იყოფა ჩვეულებრივად და სპეციალიზებულად (ნეიტრონული “სუფთა და სხვა”).

ბირთვული მუხტი – ბირთვშიგა ენერგიის გამონთავისუფლების ფეთქებადი პროცესისი განსახორციელებელი მოწყობილობა; ბირთვული საბრძოლო მასალის ძირიტადი ელემენტი, განასხვავებენ ბ.მ. რომელტა აფეთქების ენერგია განპირობებულია ჯაჭვური ბირთვული რეაქციისთ (ატომური მუხტების) და თერმობირთვული რეაქციით (თერმობირთვული მუხტებით). ატომურ მუხტებში აფეთქების მისაღებად გასაყოფი ნივთიერება გადაჰყავთ ზეკრიტიკულ მდგომარეობაში, მისი ნაწილების შეერთების გზით (ქვემეხის ტიპის მუხტი) ან მისი სიმკვრივის ამაღლებით (იმპლოზიური ტიპის მუხტი) ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებების აფეთქების საშუალებებით. თერმობირთვულ მუხტებში რეაქციის ინიციატორია ატომური მუხტი, ისინი იყოფა ჩვეულებრივად და სპეციალიზებულად (ნეიტრონული “სუფთა და სხვა”).

ბირთვული რეაქტორი – მოწყობილობა, რომელშიც ხორციელდება გაყოფის ჯაჭვური ბირთვული რეაქციის მართვა. ბ.რ. ძირითადი ნაწილია – აქტიური ზონა, რომელშიც მდებარეობს ბირთვული საწვავი, მიმდინარეობს რეაქცია, გამოიყოფა ენერგია. აქტიურ ზონაში შეიძლება იყოს შემნელებელი ნეიტრონეის ენერგიიის შესამცირებლად (გრაფიკი, ან ჩვეულებრივ წყალი) ფიზიკური ნიშნებით განსხვავებენ ბ.რ. თბურ, შუალედურ და სწრაფ ნეიტრონებზე, ურანის, პლუტონიუმის და ტორიუმის ციკლის;

დანიშნულებით – ენერგეტიკული, რომლებიც გამოიყენება ბირთვულ-ენერგეტიკულ დანდგარებში და დამსხივებელი (კვლევებისთვის, ქიმიური რეაქციების დაჩქარების, ბირთვული საწვავის წარმოქმნის, ბიოსამედიცინო მიზნების, ლაზერებში აქტიური ნივთიერებების ჩატუმბვა და სხვა). თვითშენარჩუნებადი გაყოფის ჯაჭვური ბირთვული რეაქცია მიღებულ იქნა ამერიკული ბ.რ. (1942 დეკემბერი) სსრკ 1948.

ბირთვული რეაქტორი – მოწყობილობა, რომელშიც ხორციელდება გაყოფის ჯაჭვური ბირთვული რეაქციის მართვა. ბ.რ. ძირითადი ნაწილია – აქტიური ზონა, რომელშიც მდებარეობს ბირთვული საწვავი, მიმდინარეობს რეაქცია, გამოიყოფა ენერგია. აქტიურ ზონაში შეიძლება იყოს შემნელებელი ნეიტრონეის ენერგიიის შესამცირებლად (გრაფიკი, ან ჩვეულებრივ წყალი) ფიზიკური ნიშნებით განსხვავებენ ბ.რ. თბურ, შუალედურ და სწრაფ ნეიტრონებზე, ურანის, პლუტონიუმის და ტორიუმის ციკლის; დანიშნულებით – ენერგეტიკული, რომლებიც გამოიყენება ბირთვულ-ენერგეტიკულ დანდგარებში და დამსხივებელი (კვლევებისთვის, ქიმიური რეაქციების დაჩქარების, ბირთვული საწვავის წარმოქმნის, ბიოსამედიცინო მიზნების, ლაზერებში აქტიური ნივთიერებების ჩატუმბვა და სხვა). თვითშენარჩუნებადი გაყოფის ჯაჭვური ბირთვული რეაქცია მიღებულ იქნა ამერიკული ბ.რ. (1942 დეკემბერი) სსრკ 1948.

ბირთვული საწვავი – ნივთიერებები, რომლებიც ურანისა და პლუტონიუმის ზოგიერთი იზოტოპების, ბირთვების გამოყოფის რეაქციის ან წყალბადის იზოტოპების მსუბუქი ბირთვების სინთეზის რეაქციის შედეგად გამოყოფენ თბურ ენერგიას. განასხვავებენ ბუნებაში არსებულ პირველად ბ.ს. (მაგ. ურანი 235) და მეორად რომელიც მიიღება ბირთვულ რეაქციებში (მაგ. პლუტონიუმი 239 უ და 233). ბირთვულ მუხტებში ბ.ს. არის 233 , 235 , 239 უ, 2 (დეიტერიუმი) და 3 . ბ.ს. სახით ბირთვულ რეაქტორებში ჩვეულებრივ გამოიყენება გამდიდრებული ურანი 235 , შემცველობით 2-3%-მდე. კუთრი ენერგოგამოყოფა ბ.ს. რამოდენიმე მლნ-ჯერ მეტია ვიდრე ჩვეულებრივ ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

ბირთვული საწვავი – ნივთიერებები, რომლებიც ურანისა და პლუტონიუმის ზოგიერთი იზოტოპების, ბირთვების გამოყოფის რეაქციის ან წყალბადის იზოტოპების მსუბუქი ბირთვების სინთეზის რეაქციის შედეგად გამოყოფენ თბურ ენერგიას. განასხვავებენ ბუნებაში არსებულ პირველად ბ.ს. (მაგ. ურანი 235) და მეორად რომელიც მიიღება ბირთვულ რეაქციებში (მაგ. პლუტონიუმი 239 უ და 233). ბირთვულ მუხტებში ბ.ს. არის 233 , 235 , 239 უ, 2 (დეიტერიუმი) და 3 . ბ.ს. სახით ბირთვულ რეაქტორებში ჩვეულებრივ გამოიყენება გამდიდრებული ურანი 235 , შემცველობით 2-3%-მდე. კუთრი ენერგოგამოყოფა ბ.ს. რამოდენიმე მლნ-ჯერ მეტია ვიდრე ჩვეულებრივ ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

37. **დაშვება** – 1. წერილობითი დოკუმენტი, რომელიც იძლევა დასაცავი ობიექტის გახსნის და დასაცავად ჩაბარების უფლებას, აგრეთვე განსაზღვრავს დასაცავი ობიექტის გახსნის და ამ ობიექტზე მისი გახსნის შემდეგ დაშვების წესს. შეიძლება იყოს მუდმივი ან ერთჯერადი; 2. ტექნიკაში – ინტერვალი, რომლის ფარგლებში დასაშვებია პარამეტრის რიცხობრივი მახასიათებლის მისი ნომინალური გაანგარიშებული მნიშვნელობისგან გადახრა.

38. **დასხივების იმპულსი** (ბირთვული აფეთქების დროს) – შუქური ენერგიის რაოდენობა, რომელიც დასხივებული ზედაპირის ფართობის ერთეულზე მანათობელი სფეროს მოქმედების დროის განმავლობაში მოდის; შუქური გამოსხივების დამაზიანებელი მოქმედების ერთ-ერთი მახასიათებელი. იზომება ჯ/სმ^2 –ში.

39. **დაჭრილები და ავადმყოფები (სამართლებრივი განმარტება)** – სამხედრო მოსამსახურეებისა და არმიაში ოფიციალურად მყოფი სხვა იმ პირების მდგომარეობა, რომლებიც დაჭრის ან ავადმყოფის შედეგად გამოვიდნენ მწყობრიდან და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ; განსაზღვრულია ჰააგის 1899 და 1907 კონვენციებში, განვითარება ჰპოვა ჟენევის 1949-ის კონვენციებსა და მათ 1977-ის დამატებით ოქმებში. ქვეყნები, რომლებიც ამ დოკუმენტებს შეუერთდნენ, ვალდებულებას კისრულობენ ეძებონ დაჭრილები და ავადმყოფები ბროლის ველზე, მოახდინონ მათი ევაკუაცია საშიში ზონიდან, რეგისტრაციაში გაატარონ და აცნობონ მათ შესახებ სახელმწიფოს, რომლის შეიარაღებულ ძალებშიც შედიოდნენ ისინი. მოწინააღმდეგის ხელში გადასული დაჭრილები და სნეულები სამხედრო ტყვეებად ითვლებიან. კატეგორიულად არის აკრძალული მათი ხოცვა, წამება, რაიმე ექსპერიმენტების ობიექტებად გამოყენება. პრაქტიკულად, დაჭრილების და ავადმყოფების უფლებები ხშირად ირღვევა.

40. **დებლოკირება** – საბრძოლო მოქმედებები, რომლებსაც აწარმოებენ ქვედანაყოფის(ნაწილის, შენაერთის) ან ტაქტიკური დანიშნულების ობიექტის ბლოკირებისგან განთავისუფლების მიზნით.

41. **დეგაზაცია** – მომწამლავ ნივთიერებათა მოცილება მოწამლული იარაღის, საბრძოლო ტექნიკის, ტანსაცმლისა და სურსათისაგან, აგრეთვე მოწამლული ადგილის გაწმენდა-უვნებელყოფა. მოწინააღმდეგის ქიმიური თავდასხმის შედეგების ერთ-ერთი სალიკვიდაციო ღონისძიება.

42. **დემორალიზაცია** – მორალური გახრწნა, სულიერი, ზნეობრივი, დისციპლინის დაცემა. დემორალიზაციის დროს ჯარების პირადი შემადგენლობა კარგავს აუცილებელ მორალურ-საბრძოლო ხარისხს, ომის სიძნელეების გადატანის უნარს, განწყობილია უკან დახევისთვის, ტყვედ ჩავარდნისა და კაპიტულაციისთვის. დემორალიზაცია შეიძლება იყოს მეომრების მასების ომის მიზნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შედეგი. დემორალიზაციის პროცესი ჩქარდება

ისეთი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორიცაა ომის არასასურველი მსვლელობა, პირადი შემადგენლობის დიდი დანაკარგები და დაღლილობა, არადამაკმაყოფილებელი მატერიალური უზრუნველყოფა, მოწინააღმდეგის იდეოლოგიური ზემოქმედება.

43. **დესანტი** – ჯარები, რომლებიც სპეციალურად არის მომზადებული და გადასხმული (გადასროლილი) თვითმფრინავებიდან (შვეულმფრენებიდან) ან საზღვაო გემებიდან, აგრეთვე განკუთვნილია საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტისთვის მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასასხმელად (გადასასროლად). შემადგენლობის (მოზიდული ჯარების რაოდენობის) და შესასრულებელი ამოცანების ხასიათის მიხედვით დესანტი შეიძლება იყოს სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული), ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკუტი, ტაქტიკური, სპეციალური დანიშნულების და დემონსტრაციული, ხოლო გადასროლის ხერხების და საშუალებების მიხედვით – საჰაერო, საზღვაო (სამდინარო, ტბის), სატანკერო და სახომალდო. მასშტაბის შესაბამისად დესანტს შეუძლია შეასრულოს საბრძოლო ამოცანები, რომლებიც მთლიანად ოპერაციის (ბრძოლის) მიზნის მიღწევაში დიდიმნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სტრატეგიული დესანტი: მოწინააღმდეგის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრების და სამრეწველო-ეკონომიკური რაიონების ხელში ჩაგდება, მისი სახელმწიფოებრივი და სამხედრო მმართველობის დეზორგანიზაცია, სრუტის ზონების და კუნძულების დაუფლება, შემტევი სახმელეთო ჯარების (ფლოტის ძალების) ხელშეწყობა მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა იზოლაციასა და სწრაფ განადგურებაში, შეიარაღებული ბრძოლის ახალი ფრონტის გახსნის მიზნით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრა და სხვ. ოპერატიული დესანტი: მაღალი სიზუსტის იარაღის ელემენტების, დიდმნიშვნელოვანი მართვის პუნქტების განადგურება, ოპერატიული რეზერვების შემოსვლის აღკვეთა და კვეთებაში მათი შეყვანის ჩაშლა, შემტევი ჯარების ხელშეწყობა მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა გარშემორტყმაში, დიდი წყლისმიერი ზღუდეების, სამთო დაბრკოლებების, დასნებოვნების, დატბორვის და ხანძრების ზონების შეუჩერებლივ გადალახვა, აეროდრომების, სამხედრო-საზღვაო ბაზების, სანაპიროს მონაკვეტების ხელში ჩაგდება ან განადგურება აქედან შემდგომი მოქმედების გაშლისთვის და სხვ. მსგავს ამოცანებს შეიძლება ასრულებდნენ, აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური დესანტები მათი ძალების და გადასხმის სიღრმის შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების დესანტი დივერსიული და სადაზვერვო ხასიათის ამოცანების შესასრულებლად, მოწინააღმდეგის ტაქტიკურ ან ოპერატიულ სიღრმეში გამოიყენება. დესანტის შემადგენლობაა – ათეულიდან ასეულამდე. გარკვეულ რაიონში მოწინააღმდეგის ობიექტებზე ხანმოკლე სწრაფი თავდასხმის განსახორციელებლად შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს რამდენიმე ასეთი დესანტი. მათ გადასასროლად (გადასასხმელად) გამოიყენება შვეულმფრენები, სატრანსპორტო თვითმფრინავები, მცურავი ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები (ქვეითთა საბრძოლო მანქანები), წყალქვეშა ნავები, წყალზედა ხომალდები და სხვა საშუალებანი. დემონსტრაციული დესანტი – ნაწილი ან ქვედანაყოფი, რომლის გადასხმა (გადასროლა) მოწინააღმდეგის ზურგში მეორეხარისხოვანი მიმართულებით, ხდება იმ მიზნით, რომ

მოწინააღმდეგეს გზა-კვალი აურიონ ძირითადი (მთავარი) დესანტის გადასხმის (გადასროლის) მიმართულებასთან დაკავშირებით.

44. დესანტირება – მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ჯარების საჰაერო ტრანსპორტით გადასროლა და გადასხმა. წარმოებს საპარაშუტო, დასაჯდომი ან კომბინირებული (საპარაშუტო-დასაჯდომი) ხერხით. დესანტირების მომზადებისას ინიშნება დესანტირების საწყისი რაიონი.

დესანტირება მოიცავს: ჯარებთან ერთად თვითმფრინავების (შვეულმფრენების) აფრენას, ჰაერში სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის ნაწილების საბრძოლო წყობით განლაგებას, დესანტირების რაიონში გადაფრენას და პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკის გადასხმას. მანძილს საწყისი რაიონიდან დესანტირების რაიონამდე ეწოდება დესანტირების მანძილი, ხოლო მხარეთა საბრძოლო შეხების ხაზიდან დესანტირების რაიონამდე – დესანტირების სიღრმე.

45. დეტონაცია – 1. ასაფეთქებელი ნივთიერებების ქიმიური გარდაქმნის პროცესი, რომელიც მასზე ვრცელდება ზებგერითი სიჩქარის მქონე (9000 მ/წმ-მდე მკვრივ და თხევად მომწამლავ ნივთიერებებში და 4000 მ/წმ-მდე აიროვანში) დეტონაციურ ტალღით და თან ახლავს ენერგიისგან გათავისუფლება. დეტონაციის დროს უეცრად წარმოიქმნება დიდი რაოდენობით მაღალი წნევის მქონე აირები, რომელთა გაფართოების შედეგად ხდება აფეთქება. 2. სათბობის ნარევის სწრაფი, აფეთქებასთან მიახლოებული წვის პროცესი ნაპერწკლით ანთების შიდა წვის დგუშიან ძრავებში. ნარევში ორგანული მინარევების კრიტიკული კონცენტრაციის დაგროვებისას წარმოიქმნება.

46. დეზაქტივაცია – რადიოაქტიური ნივთიერების მოცილება შეიარაღების, ტექნიკის, სამოსის, დაცვის საშუალებების, სურსათ-სანოვაგის, ადგილმდებარეობის, ნაგებობების და წყლის ზედაპირიდან; სპეციალური დამუშავების ნაწილს წარმოადგენს, შეიძლება იყოს ნაწილობრივი და სრული. ნაწილობრივი ხორციელდება ნაწილის(ქვედანაყოფის) მეთაურის მითითებით რადიაქტიური ნივთიერებებით დასბონებოვნებული ქვედანაყოფების ძალებით საბრძოლო ამოცანის შესრულებისგან მოუწყვეტად. სრული დეგაზაცია ხორციელდება შენაერთის(ნაწილის) მეთაურის განკარგულებით, როგორც წესი საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ, ნაწილების მიერ დაკავებულ ან ახლად დანიშნულ დაუსნებოვნებულ რაიონებში, ან სპეციალური დამუშავების პუნქტებში. დეზაქტივაციამ უნდა უზრუნველყოს საბრძოლო ტექნიკის დანაგვიანება უსაფრთხო ზღვრამდე, რაც დოზიმეტრიული კონტროლით დგინდება. ადგილმდებარეობის დეზაქტივაცია რადიოაქტიური ნივთიერებების წყლით მორეცხვით, ან გრუნტის დანაგვიანებული ფენის მოშორებით ხორციელდება; წყლის – ფილტრირებით, სურსათის - დანაგვიანებული ტარის შეცვლით ან დამუშავებით. მზა საკვები და პური ნადგურდება.

47. დეზერტირობა – სამხედრო მოსამსახურის მიერ (სამხედრო ვალდებულების სასწავლო შეკრების გავლის ან მობილიზაციის შემთხვევაში) განზრახ თვითნებურად სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის დატოვება, ან სამხედრო სამსახურში გამოუცხადებლობა მისგან თავის არიდების მიზნით).

48. დეზინფექცია – ღონისძიებების კომპლექსი გარე სივრცეში ინფექციური დაავადებების აღმგზნებელების განადგურებისთვის. ეპიდომოლოგიურსაწინაღო

ღონისძიებების კომპლექსის შემადგენელი ნაწილი. განასხვავებენ პროფილაქტიკურ, მიმდინარე და დამამთავრებელ დეზინფექციას. დეზინფექცია შეიძლება წარმოებდეს მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური ან კომბინირებული ხერხებით.

49. **დინამიკური დაცვა** – იხ. ჯავშანი.

50. **დირექციული კუთხე** – კუთხე, რომელიც თავისუფალი სწორის საწყისი მინართულების(ძირითადი კოორდინატების) ფარდობით არის განსაზღვრული. ტოპოგრაფიულ რუკებზე დირექციული კუთხე – კუთხე საკოორდინატო ბადის ვერტიკალური ჩრდილოეთის მიმართულებასა და საგანზე მიმართულებას შორის; აითვლება საათის ისრის სვლით 0 – დან 360^0 – მდე. გამოიყენება ტოპოგეოდეზიური მიბმის, სროლის მიმართულების განსაზღვრის და მიზნის კოორდინატების განსაზღვრის და სხვა დროს.

51. **დისპანსერიზაცია** – პროფილაქტიკური და სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების და სამოქალაქო პერსონალის ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე, გამაგრებაზე და აღდგენაზე. მოიცავს: დაავადებების ადრეულ აღმოჩენას რეგულარული სამედიცინო გამოკვლევების და სამედიცინო კონტროლის გზით; ქრონიკულად დაავადებული პირების დისპანსერული თვალთვალს; სამხედრო მოსამსახურეების სამსახურის და ყოფის პირობების შესწავლას. წარმოებს სამედიცინო სამსახურით.

52. **დივერსია** – 1. სპეციალურად მომზადებული ქვედანაყოფების (ჯგუფების) ან ცალკეული პირების მოქმედება მოწინააღმდეგის ზურგში კომუნიკაციების, კვანძების და კავშირგამბულობის ხაზების დასანგრევად, სამხედრო-სამრეწველო და სხვა ობიექტების მწყობრიდან გამოსაყვანად, ჯარების მართვის დასარღვევად, ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის გასანადგურებლად, მოწინააღმდეგის ჯარების და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზემოქმედების მოსახდენად; 2. სახელმწიფოს და მისი სპეცსამსახურების, აგრეთვე რადიკალური ორიენტაციის სხვადასხვა ორგანიზაციების ძირგამომთხრელი საქმიანობის ნაირსახეობა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური ძალების დესტაბილიზაციას, მათი სიცოცხლისუნარიანობის, გამძლეობის დასუსტებას. მშვიდობიან დროს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობა საერთაშორისო სამართლით დანაშაულებრივად არის მიჩნეული.

53. **დივიზიის ლოგისტიკა** – იხ. საჯარისო ლოგისტიკა.

54. **დოზიმეტრული კონტროლი** – ღონისძიებების სისტემა, ორგანიზებული პირადი შემადგენლობის რადიოაქტიური დასხივების და სამხედრო ტექნიკის, სურსათ-სანოვაგის, წყლის და სხვ. რადიაქტიული დასნებოვნების დონის განსაზღვრის კონტროლისთვის. დოზიმეტრულ კონტროლს დოზიმეტრული კონტროლის ხელსაწყოებით ქიმიური ჯარების ქვედანაყოფები, ქიმიური ინსტრუქტორები და სპეციალურად მომზადებული სამხედრო მოსამსახურეები ახორციელებენ.

55. **დოზის სიმძლავრე** [მაიონიზებელი გამოსხივების(რადიაციის დონე)] – დროის მცირე შუალედში მაიონიზებელი გამოსხივების დოზის ნამატის შეფარდება ამ შუალედთან. დოზის სიმძლავრის ერთეული (CI – ში): შთანთქმულის - გრეი წამში (გრეი/წმ), ამპერი კილოგრამზე(A/კგ) - ექსპოზიციურისთვის და ზივერტი

წამში(ზივ/წმ) ეგზივალენტურისთვის. დოზის სიმძლავრის სისტემგარეშე ერთეულებია: რადი საათში(რად/სთ), რენტგენი საათში(რენტ/სთ) და ბერი საათში(ბერ/სთ).

56. **დუბლირება** – ერთნაირი(ანალოგიური) მოქმედებების ორჯერადი ან მრავალჯერადი შესრულება, მიმართული საბრძოლო მოქმედებების წარმოებისა და მათი უზრუნველყოფის დროს ერთი მიზნის(დასმული ამოცანის შესრულების) გარანტირებულ მიღწევაზე; რაიმეს შესრულება ორ ან რამოდენიმე ეგზემპლარად, გამეორება. დუბლირება ფართოდ გამოიყენება ჯარების(ძალების) და იარაღის მართვის დროს. წყლისმიერი დაბრკოლების ფორსირების დროს ყველა გადასასვლელი დუბლირდება. ასევე ითვალისწინება დაზვერვის, რადიოელექტრონული ჩახშობის და დაცვის დუბლირება. დუბლირება შეიძლება იყოს მუდმივი ან განცალკავებული.

57. **ეკიპირება** – 1. სამოსი, სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა ქონების კომპლექტი, რომელსაც სამხედრო მოსამსახურე ატარებს და თან დააქვს. საბრძოლო ამოცანების შესრულების პირობებისა და სპეციალობის კვალობაზე შეიძლება მოიცავდეს თვალთავლის წარმოების, დაზვერვის, კავშირის და ნავიგაციის სხვადასხვა საშუალებებს, დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის საშუალებებს, სპეციალურ, საინჟინრო და სამედიცინო საშუალებებს, ტარებად სასურსათო მარაგს, აგრეთვე საძილე ტომარას, გადარჩენის კომპლექტებს, გასაბერ ნავს, სახის გრიმს და სხვ. 2. სამხედრო მოსამსახურეების ეკიპირების დაწესებული საგნებით უზრუნველყოფა.

58. **ეკოლოგიური უზრუნველყოფა** – ზოგი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის–ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, გარემოს დაცვა და პირადი შემადგენლობის და მოსახლეობის დაცვის არახელსაყრელი ფაქტორებისგან, რომლებიც წარმოიქმნებიან ჯარების (ძალების) ყოველდღიური საქმიანობის შედეგად, აგრეთვე საბრძოლო მოქმედებების, ეკოლოგიური ავარიების და კატასტროფების, რომლებიც წარმოიქმნება თავისი ჯარების ან მოწინააღმდეგის მიერ შეიარაღებული ბრძოლის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა ღონისძიებების კომპლექსი.

59. **ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა** – ომის ან საომარი კონფლიქტის პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკის უნარი, შეინარჩუნოს და საჭიროებისას სწრაფად აღიდგინოს პოტენციალი. ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს წინასწარ შემუშავებული ღონისძიებების სისტემის განხორციელება, მათ შორის, ეკონომიკის საიმედო მართვა, ეკონომიკური რეგიონების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფა, წარმოების დაშორიშორებული განლაგება სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) ტერიტორიაზე, უმნიშვნელოვანესი სახეობების პროდუქციის, განსაკუთრებით, სამხედრო პროდუქციის წარმოების დუბლირება, მატერიალური რეზერვების დაგროვება და რაციონალური განლაგება, მუშა-მოსამსხურეთა დაცვა დაზიანების საშუალებებისგან, შეუფერხებელი მომარაგება ყველა სახეობის რესურსებით, კომუნიკაციების საშუალებების მდგრადობის უზრუნველყოფა და ა.შ.

60. **ეროვნული გვარდია** – 1. შეიარაღებული სამოქალაქო ლაშქარი, რომელიც მე-18-19 სს. არსებობდა საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში.

პირველად შეიქმნა პარიზში 1789-99 წწ. 2. ტერიტორიული სამხედრო ფორმირებები ჩრდილო და ლათინური ამერიკის, აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. კომპლექტდება ტერიტორიული პრინციპით და გამოიყენება მშვიდობიან დროს - საგანგებო სიტუაციებში, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების დასაცავად; ომიანობის დროს - რეგულარული შეიარაღებული ძალების გაშლის და შევსებისთვის. ყველაზე მასობრივია აშშ ეროვნული გვარდია (500 ათასზე მეტი კაცი). 3. 1990 წლის 20 დეკემბერს უზენაესი საბჭოს კანონით (№75) შეიქმნა შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდია. სახელმწიფო სამხედრო გადატრიალების შემდეგ დროებითმა მთავრობამ 1992 წლის მარტიდან აღადგინა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო. 1993 წლის პირველ ნახევარში ეროვნული გვარდია შედის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში დამ ის ბაზაზე იქმნება პირველი საარმიო კორპუსი. ეროვნული გვარდიის ნაწილები ატიურ მონაწილეობას იღებდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. აფხაზეთის ომის შემდეგ თავდაცვის მინისტრიეს ბრძანებით კორპუსი გაუქმდა. 2005 წლიდან ეროვნული გვარდია აწარმოებს საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის რეზერვისტების მომზადებას.

61. **ევაკუაცია** (დაცარიელება) – საბრძოლო მოქმედებების, მასობრივი დაზიანების იარაღის და სტიქიური უბედურებების ზემოქმედებების რაიონებიდან დაჭრილების და ავადმყოფების, მოსახლეობის, სამხედრო ტყვეების გამოყვანა, ასევე დაზიანებული იარაღისა და ტექნიკის, სამხედრო და სხვა ქონების, სამეურნეო დანადგარებისა და ფასეულობების გამოტანა (გამოყვანა), ასევე მოწინააღმდეგის მიერ ბლოკირებული რაიონებიდან ჯარების გამოყვანა.

62. **ვენტილაცია** – რეგულირებული ჰაერმიმოცვლა დახშულ მოცულობაში, აგრეთვე საშუალება მისი განხორციელებისთვის. განასხვავებენ ბუნებრივ და იძულებითს. ამ უკანასკნელში ვენტილატორის მეშვეობით ხორციელდება. ვენტილაცია ფართოდ გამოიყენება სტაციონარულ და მოძრავ სამხედრო ობიექტებზე მასში ცხოვრების პირობების შესანარჩუნებლად, აგრეთვე მასიური დაზიანების იარაღისგან დასაცავად.

63. **ვიდეოკავშირი** – გამოსახულების გადაცემის უზრუნველმყოფი ელექტრონული კავშირების სახეობების ერთობლიობა. მოიცავს სატელევიზიო კავშირს(მათ შორის სატელევიზიო მაუწყებლობას), ვიდეოსატელეფონო კავშირს, ფაქსიმილურ კავშირს, ვიდეოგრაფიას. ვიდეოკავშირის გამოყენება შესაძლებელია ავტომატური პროექტირების სისტემებში, რობოტოტექნიკაში, ბუნებრივი რესურსების დისტანციური ზონდირების სისტემებში, გეოდეზიაში და კარტოგრაფიაში.

64. **ვიდეოსატელეფონო კავშირი** – ვიდეოკავშირის ერთ-ერთი შემადგენელი, რომლის დროსაც აბონენტები ერთმანეთს სპეციალურ ეკრანზე ხედავენ, შეუძლიათ სხვადასხვა დოკუმენტების, რუკების, სქემების, ცხრილების, ფოტოსურათების დემონსტრირება და ამავდროულად გამოსახულებების აუცილებელი დეტალების გამოყოფა; ელექტრული კავშირის სახეობა.

65. **ვირაჟი** - უბრალო პილოტაჟის ფიგურა. ხორციელდება საფრენი აპარატის 360^0 – ით შემობრუნებით წვრილი(45^0 –მდე) ან ღრმა(45^0 –ზე მეტი) დახრილობით. ფასდება შესრულების დროთი და რადიუსით.

66. **ზალპი** – 1. რამდენიმე საარტილერიო ქვემეხის, სატორპედო აპარატის, ბომბსატყორცნის, სასროლი და სხვა იარაღის, ერთდროული გასროლა რაკეტების გაშვება, საფრენი აპარატების მიერ ბომბების ერთდროული ჩამოყრა. 2. ამოცანის შესასრულებლად (მიზნის დაზიანება) გახარჯული ჭურვების აღრიცხვის ერთეული 3. პირობითი ერთეული, რომლითაც შენაერთის, ნაწილის მთელი შეიარაღების საცეცხლე სიმძლავრე (საბრძოლო მასალების ჯამური მასა, რომელიც იხარჯება ერთი გასროლის დროს) იზომება.

67. **თვითმფრინავების კმაგამართვა**(ფრენაში საწვავით) – ჰაერში ერთი თვითმფრინავის მეორედან საწვავის მარაგის შევსება. თვითმფრინავების კმაგამართვის ყველაზე გავრცელებული სისტემებია ეგრეთ წოდებული „კონუსური" და ტელესკოპური. თვითმფრინავი-გამმართველი(ტანკერი) აღჭურვილია გამოსაშვები დრეკადი შლანგით, რომლის ბოლოში დამაგრებულია კონუსი საკეტით. გასამართი თვითმფრინავის მფრინავი საწვავის მიმღები შლანგის შტანგას კონუსში ათავსებს, ხდება ჩაკიდება სარქველის გახსნა.სხვა შემთხვევაში კმაგამართვა ხორციელდება მართვადი ხისტი ტელესკოპური მილით, რომლის დაბოლოება გასამართი თვითმფრინავის საწვავის მიმღებს უერთდება.

68. **იმიტაცია** – შენიღბვის ხერხი, რომელიც საიმიტაციო საშუალებებით ხორციელდება. წარმოებს შენიღბვის სხვადახვა საშუალებებთან შეხამებით; 2)ტაქტიკურ მეცადინეობებზე, სწავლებებზე და მანევრებზე საიმიტაციო საშუალებებით თანამედროვე ბრძოლის სურათის წარმოსახვა.

69. **იმუნიზაცია** – 1)ეპიდომოლოგიურსაწინაღო ღონისძიება, დაფუძნებული ინფექციური დაავადებების სპეციფიური პროფილაქტიკის საშუალებების გამოყენებაზე ადამიანის და ცხოველებისთვის ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმების(იმუნიტეტის) მიმართ ხელოვნური აუთვისებლობის მიზნით. იმუნიზაციას განასხვავებენ აქტიურს [ვაქცინების და ანატოქსინების შეყვანისას იმუნიტეტი შეინარჩუნება რამოდენიმე თვიდან(შავი ჭირი, ქოლერა და სხვა) რამოდენიმე წლამდე(დიფტერია და სხვა)], პასიურს(იმუნური შრატის ან იმუნოგლობულინების შეყვანისას – იმუნიტეტი 1 თვემდე) და პასიურ-აქტიურს(ორგანიზმში იმუნური შრატის და ვაქცინების თანამიმდევრული შეყვანა); 2)ვაქცინების(ანატოქსინების) გაკეთება სისხლში ადამიანი-დონორისა და ცხოველები-პროდუცენტებისთვის მათგან იმუნური შრატების (იმოგლობულინების) მიღების მიზნით.

70. **ინფრაწითელი გამოსხივება** – თვალით უხილავი ოპტიკური გამოსხივება 10^{-3} –დან $0{,}74 \times 10^{-6}$ – მდე ტალღების სიგრძის ზღვრებში. გამოიყენება ინფრაწითელ ტექნიკაში.

71. **იონიზაცია** – ნეიტრალური ატომების და ნივთიერებების მოლეკულების დადებითად ან უარყოფითად დამუხტულ ნაწილაკებად გარდაქმნა – იონები და და თავისუფალი ელექტრონები. დამოუკიდებელი ნაწილაკების სახით იონები გვხდებიან ნივთიერების ყველა აგრეგატულ მდგომარეობებში – აირებში, სითხეებში(ელექტროლიტებში) და მყარ სხეულებში(კრისტალებში). იონიზაცია აირებში – ატომისგან ან მოლეკულისგან ერთი ან რამოდენიმე მოლეკულის მოწყვეტა გარე ზემოქმედებების შედეგად. გამოწვეულია ულტრაიისფერი, რენტგენული და გამა-გამოსხივების(ფოტოიონიზაცია) აირის მაღალ

ტემპერატურამდე გაცხელების მოქმედებით, ელექტრონული ველის ნაწილაკების ელექტრონებთან და აღგზნებულ ნაწილაკებთან(დამრტყმელი იონიზაცია) შეჯახების შედეგად. ელექტროლიტებში იონიზაცია წარმოიქმნება გახსნილი ნივთიერების მოლეკულების დაშლისას ატომარულ იონებად ან ატომების დამუხტულ კომპლექსებად, მყარ სხეულში – ელექტრონის კრისტალური რიკულიდან, რომლებსაც ენერგიის განსხვავებული დონე აქვთ, ერთი ზონიდან მეორეში გადასვლისას.

72. **კარანტინი (იტალიურიდან** quaranta giorni – **ორმოცი დღე)**– 1. სარეჟიმო, ეპიდემიასაწინააღმდეგო და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ეპიდემიის კერის სრულ იზოლაციას და მასში ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაციას მოითხოვენ. ეწყობა კერიდან ინფექციების გავრცელების პროფილაქტიკისა და ინფექციების, დაავადებების გადატანის თავიდან აცილების მიზნით. კარანტინი პირველად დააწესეს იტალიაში მე-14 საუკუნეში იმ ადგილებიდან ჩამოსული გემების რეიდზე 40-დღიანი გაჩერების სახით (აქედან მომდინარეობს სახელწოდება), სადაც შავი ჭირით დაავადების შემთხვევები აღინიშნა. შეიარაღებულ ძალებში კარანტინი შეიძლება ჩაუტარონ ცელკეულ სამხედრო მოსამსახურეებს, მათი ოჯახის წევრებს, ქვედანაყოფებს, ნაწილებს (ხომალდებს), შენაერთების დისლოკაციის რაიონებს, რკინიზის ეშელონებს და ა.შ.

კარანტინის დაწესებისას აკრძალულია კარანტინის რაიონიდან გასვლა, მკაცრად იზღუდება შესვლა, რეჟიმის უზრუნველსაყოფად ეწყობა სპეციალური საკომენდატო სამსახური; ორგანიზაციას უწევენ რაიონების, ნაწილების, მოსახლეობის ჯგუფების შეიარაღებულ დაცვას; 2. სპეციალური სანიტარული დაწესებულება საკარანტინო დაავადების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მოიცავს სნეულთა იზოლატორს; კარანტირებულ პირთა შენობას; სანიტარულ გამშვებს, აგრეთვე სამედიცინო და სამეურნეო დანიშნულების სხვა შენობებს, სანიტარულ და სამეურნეო ტრანსპორტს.

73. **კატასტროფა** (ბერძულიდან ცატასტროჰჳ – გადატრიალება, განადგურება, მსხვერპლი) – უეცარი მოქმედება, მოვლენა, რომელსაც მოსდევს ტრაგიკული შედეგები – ნგრევა, განადგურება, ვინმეს, რამეს დაღუპვა დიდი სამხედრო მარცხი. შეიარაღებულ ძალებში კატასტროფა – სამხედრო ტექნიკასთან (თვითმფრინავთან, ხომალდთან, ტანკთან და სხვ.) დაკავშირებული შემთხვევა, რომელსაც შედეგად ადამიანთა დაღუპვა მოჰყვა.

74. **კატასტროფების მედიცინა** – ზოგ ქვეყანაში მედიცინის დარგი და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, რომლებიც ბუნებრივი, ტექნოგენური და ანტროპოგენური ავარიების და კატასტროფების სამედიცინო-სანიტარულ შედეგებს სწავლობენ. ამუშავებენ მათი ლიკვიდაციის ორგანიზაციას და პრინციპებს, ორგანიზებას უწევენ და უშუალოდ მონაწილეობენ სამკურნალო-საევაკუაციო, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიასაწინაღო ღონისძიებების კომპლექსის შესრულებაში, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების რაიონებში სამედიცინო-სანიტარული ქონებით უზრუნველყოფაში.

75. **კოდი** – 1. პირობითი ნიშნების სისტემა კავშირის ტექნიკური საშუალებებით საიდუმლო ხასიათის ცნობების ფარული გადაცემისთვის. პირობით ნიშნებად

გამოყენება ციფრების, ასოების, ან სხვა სიმბოლოების ჯგუფები, რომლებსაც შეესაბამება ინფორმაციის ელემენტები; 2. ელექტრონული იმპულსების და მათ შორის პაუზების ნაკრები კავშირგამბულობის, ამოცნობის და ავტომატური მართვის სისტემებში, გამომთველელ ტექნიკას და ტელემექანიკაში.

76. **კოდირება** – 1. კოდების მეშვეობით ღია ტექსტის პირობითში გარდაქმნა იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს დაუმალონ კავშირგაბმულობის არხებით გადასაცემი ინფორმაციის შინაარსი. წარმოებს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან ხელით; 2. ინფორმაციის ერთი ნიშანთა სისტემიდან მეორეში გადაყვანის პროცესი.
77. **კონტინენტური შელფი** – იხ. შელფი
78. **კონტუზია** – ადამიანის ორგანიზმის დაზიანება (პატოლოგიური მდგომარეობა) რომელიც ჩვეულებრივ ფართე ნატკენით, ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვლილებით და საჰაერო დარტყმის ტალღის ვიბრაციის და ზოგიერთი სხვა შემთხვევების შედეგად წარმოიქმნება. კონტუზიისთვის დამახასიათებელია გონების დაკარგვა, თავის ტკივილი, თავბრუხვევა, სმენის და მეტყველების დარღვევა.
79. **კორპუსის ლოგისტიკა** – ლოგოსტიკის ნაწილები და დაწესებულებები, რომლებიც ემსახურება კორპუსის შენაერთების და ნაწილების ლოგისტიკური უზრუნველყოფას; განეკუთვნება ოპერატიულ ლოგისტიკის
80. **კოსმოსური სიჩქარე** – კოსმოსური აპარატის სიჩქარის კრიტიკული მნიშვნელობა, მისი ორბიტაზე გასვლის მომენტში, ციური სხეულის გრავიტაციული ველის მოქმედების სფეროში. განასხვავებენ პირველ, მეორე და მესამე კოსმოსურ სიჩქარეს. დედამიწასთან ფარდობით პირველი კოსმოსური სიჩქარე – მინიმალური სიჩქარე, რომლის დროს კოსმოსური აპარატი დედამიწის გრავიტაციულ ველში შესაძლოა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი გახდეს (დაახლოებით 7,91 კმ/წმ). მეორე კოსმოსური სიჩქარე – მინიმალური სიჩქარე რომელიც საჭიროა კოსმოსური აპარატის დედამიწის გრავიტაციულ ველებზე გასვლისთვის და მის მზის ხელოვნურ თანამგზავრად გარდაქმნისთვის (დაახლოებით 11,19 კმ/წმ). მესამე კოსმოსური სიჩქარე – საჭირო მინიმალური სიჩქარე, რომ დედამიწიდან გაშვებულმა კოსმოსურმა აპარატმა მზის მიზიდვა გადალახოს და მზის სისტემა დატოვოს(დაახლოებით 16,67 კმ/წმ).
81. **კრიტიკული მასა** – გასაყოფი ნივთიერების უმცირესი მასა, რომელიც მოცემულ სისტემაში თვითდაკავების გაყოფის ჯაჭვურ რეაქციას ზრუნველყოფს. ურანი-235 – ის კრიტიკული მასა 50 კგ –ის ტოლია, ხოლო პლუტონი-239 –ის – დაახლობით 10 კგ. კარგად ამრეკლი ნეიტრონული ნივთიერებების საკმაოდ სქელი გარსის შეყვანით კრიტიკული მასა 2-3 ჯერ მცირდება. ბირთვული აფეთქების წარმოებისთვის გასაყოფი ნივთიერების მასა კრიტიკულს უნდა აღემატებოდეს.
82. **კურსი** – 1. გადაადგილების გზა, ხომალდის (საფრენი აპარატის) მოძრაობის მიმართულება 2. რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის ან საგნის (მაგალითად ტაქტიკის კ.) გარკვეული ზღვრით შესწავლის დამთავრება 3. სახელმძღვანელო დოკუმენტი (დარიგება), რომელიც განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეების მომზადების (სწავლების) თანმიმდევრობას და შინაარს (ტარების კურსი, სროლის კურსი) 4. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებლებში სწავლების პერიოდი (საფეხური), რომელიც ჩვეულებრივ შეესაბამება სწავლის წლებს 5. მსმენელთა

(კურსანტთა) შემადგენლობის სასწავლო ქვედანაყოფი სამხედრო სასწავლო დაწესებულებაში.

83. **კვამლის ფარდა** (აეროზოლის ფარდა) – აეროზოლის (კვამლის ან ნისლის) ხელოვნურად შექმნილი ღრუბელი, გამოიყენება მოწინააღმდეგის ხილვადობის შეზღუდვისთვის. საკუთარი ჯარების (ძალების) და ობიექტების მოქმედების შესანიღბავად. კვამლის ფარდები საკვამლე კოჭების, ხელყუმბარების, ნაღმების, ჭურვების, ბომბების, საკვამლე აპარატურის მეშვეობით იქმნება. კვამლის ფარდებს განასხვავებენ: განლაგების მიხედვით – ფრონტალურს, ფლანგურს, ზურგის და ცრუ მიმართულებებზე; დაყენების ხერხის მიხედვით – მოძრავს და უძრავს; მიზნის მიხედვით – დამაბრმავებელს და შემნიღბავს. შემნიღბავი კვამლის ფარდები დიდ ფართობებზე შეიძლება იყოს მჭიდრო, ნახევრად გამჭვირვალე (ტრანსპარანტული) ან შემცირებული სიმჭიდროვისა (მბოლავი). სამხედრო მიზნებისათვის პირველად გამოიყენეს 1-ელ მსოფლიო ომში.

84. **ლოგისტიკის დაწყობა –** ლოგისტიკის ძალებისა და საშუალებების დაჯგუფება, შექმნილი ოპერაციის მომზადების და მსვლელობის დროს ჯარების ლოგისტიკური მომსახურების ამოცანების შესასრულებლად; ჯარების (ძალების) ოპერატიული დაწყობის ელემენტი. ჩვეულებრივ **ლ. დ.** შეიცავს: ლოგისტიკის დაჯგუფებას მთავარ და სხვა მიმართულებებზე ჯარების (პირველი ეშელონის) დაცვის უზრუნველსაყოფად, ლოგისტიკის დაჯგუფებას გაერთიანების ყველა ჯარების უზრუნველსაყოფად, მობილური ძალების შემადგენლობაში შემავალი გაერთიანებებისა და შენაერთების წინ წაწევის, ბრძოლაში შეყვანის და 2 ეშელონის (რეზერვების) მოქმედებებისთვის მატერიალური საშუალებების მარაგებით და ლოგისტიკის დაჯგუფებით უზრუნველყოფას.

85. **ლოგისტიკის ეშელონი–** ჯარების ოპერაციაში (ბრძოლაში, მარშზე) უზრუნველყოფის ამოცანების გადასაჭრელად შესაბამისი ლოგისტიკის რგოლის ძალებისა და საშუალებების ნაწილი.. II მსოფლიო ომის პერიოდში ლოგისტიკის ყოველი რგოლი იშლებოდა ორ, ზოგჯერ კი უფრო მეტ ეშელონად, რაც საშუალებას იძლეოდა ჯარების დროული უზრუნველყოფის, ძალების რაციონალურად გამოყენების და ლოგისტიკური უზრუნველყოფის საშუალებების მატებას.

86. **ლოგისტიკის გაშლა –** ლოგისტიკის ყველა რგოლის გადაყვანა მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაზე, ჯარების (ძალების) სავარაუდო მოქმედებების მიმართულებებზე ლოგისტიკის დაჯგუფებების შექმნა, აგრეთვე გაერთიანებების საბრძოლო მოქმედებების ზოლებში (რაიონებში) მატერიალური მარაგების წინწაწევა.

87. **ლოგისტიკის მართვის პუნქტი –** მართვის პუნქტი, რომელიც ახორციელებს ლოგისტიკისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილების, ქვედანაყოფებებისა და დაწესებულებების მართვას ოპერაციის მომზადებასა და მსვლელობის დროს. იქმნება სახმელეთო ჯარების და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების გაერთიანებებში (შენაერთებში). **ლ. მ. პ.** შეიძლება იყოს სტაციონარული და მოძრავი (საველე), რომლებსაც ხელმძღვანელობენ სარდლის (მეთაურის) მოადგილეები ლოგისტიკის დარგში.

88. **ლოგისტიკის მეწინავე ეშელონი – ზოგ** გაერთიანებაში ლოგისტიკის ელემენტი. შეიცავს ლოგისტიკის ნაწილებსა და დაწესებულებებს მატერიალური საშუალებების მარაგებით, რომლებიც განკუთვნილია ჯარების უზრუნველსაყოფად, მათი გადაჯგუფების, ბრძოლაში ჩაბმის და სხვა ამოცანების გადაჭრაში.
89. **ლოგისტიკის ორგანოები –** შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის შენაერთების, ნაწილების, დაწესებულების, საწარმოების, ორგანიზაციებისა ქვედანაყოფების და მართვის ორგანოების კრებსითი დასახელება, აგრეთვე სხვა სამინისტროების და უწყებების ფორმირებები, რომლებიც ჯარების ინტერესებისთვის ლოგისტიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ.
90. **ლოგისტიკური დაზვერვა–** ლოგისტიკის ქვედანაყოფების, ნაწილებისა და დაწესებულებების განთავსების რაიონების, ჯარების უზრუნველსაყოფად მათი სამუშაო პირობების შესახებ მონაცემების შეგროვება. **ლ. დ.** ზუსტდება: ლოგისტიკის ქვედანაყოფების, ნაწილებისა და დაწესებულებების განთავსების რაიონები; მიზიდვის და ევაკუაციის გზები; წყლის წყაროები; ადგილობრივი რესურსების არსებობა და მათი გამოყენების შესაძლებლობები; მომავალი საბრძოლო მოქმედებების რაიონის სანიტარულ–ეპიდემიური და ვეტერინარული პირობების; ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფისთვის დაგეგმვისა და ორგანიზაციის სხვა საჭირო მონაცემები. **ლ.დ.** ორგანიზება ხორციელგება: ტაქტიკურ რგოლში –ლოგისტიკის უფროსის მოადგილის მიერ; ოპერატიულში– ლოგისტიკის შტაბის და ტარდება ლოგისტიკის ნაწილებისა და დაწესებულებების ძალებითა და საშუალებებით.
91. **ლოგისტიკური უზრუნველყოფა (ჯარების, ძალების) –**ღონისძიებების სისტემა მიმართული ჯარების (ძალების) მატერიალური, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო და სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მათი საბრძოლო მზადყოფნის ხელის შეწყობის, დასმული ან ყოველდღიური ამოცანების შესასრულებლად. შეიცავს: მატერიალურ, სატრანსპორტო, საინჟინრო–სააეროდრომო, სააეროდრომო– ტექნიკურ, სამედიცინო, სავეტერინარო, სავაჭრო–საყოფაცხოვრებო, საბინაო–საექსპლუატაციო, და საფინანსო უზრუნველყოფას. **ლ. უ.** ორგანიზაციას უწევს: გაერთიანებაში ლოგისტიკის უფროსის მოადგილე, ქვედანაყოფში– ქვედანაყოფის მეთაური.
92. **ლოგისტიკური ვითარება–**ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომლებშიც ხდება ჯარების (ძალების) ლოგისტიკის ორგანიზება და განხორციელება ოპერაციის (ბრძოლის) მომზადებისა და ჩატარებისას; საბრძოლო ვითარების ნაწილი. შეიცავს: ლოგისტიკის მდგომარეობას და დაწყობას; მატერიალური საშუალებების მარაგების არსებობას; მათ დაშორიშორებას და დაფარვას; საჯარისო გადაზიდვების მოცულობას; აგრეთვე სამედიცინო ვითარებას; ლოგისტიკის ობიექტებზე მოწინააღმდეგის ზემოქმედების ხარისხს; ლოგისტიკის დაცვისა და მართვის პირობებს და სხვ. **ლ. ვ.** შეფასებისას, ამის გარდა ითვალისწინებენ ადგილმდებარეობის ხასიათს, კლიმატურ და ჰიდრომეტეროლოგიურ პირობებს, წლისა და დღეღამის დროს, საბრძოლო მოქმედებების მომზადებაზე დროს.
93. **ლოგისტრიკის ზოლი –** [საერთოსაჯარისო გაერთიანების (შენაერთის)], ადგილმდებარეობის ზოლი ლოგისტიკის ნაწილებისა და ტექნიკური

უზრუნველყოფის ნაწილების ქვედანაყოფების გაშლისა და მათ მიერ ამოცანების უზრუნველყოფისა და შესრულებისათვის. დაჯგუფების (არმიის, კორპუსის, დივიზიის). **ლ. ზ.** იზღუდება: მარჯვნიდან და მარცხნიდან მეზობლებთან გამყოფი ხაზებით, ზურგიდან– გაერთიანების ლოგისტიკის საზღვრით, ფრონტიდან– ჯარების შეხების ხაზით. განასხვავებენ საფრონტო, საარმიო და კორპუსის **ლ. ზ.. საფრონტო ლ. ზ.** არის ფრონტის **ლ.ზ.** ნაწილი და მისგან განსხვავდება სიღრმით. ფრონტის მხრიდან იგი იზღუდება ლოგისტიკის საზღვრით ან ლოგისტიკის ქვედა რგოლის ნაწილებისა და დაწესებულებების პირობითი ხაზით.

94. **მაიონიზებელი გამოსხივების დოზა** – რაიმე გარემოში მაიონიზებელი გამოსხივების ზომა. განასხვავებენ შთანთქმულ მაიონიზებელი გამოსხივების დოზას – ელემენტარულ მოცულობაში ნივთიერებაზე გადაცემული მაიონიზებელი გამოსხივების საშუალო ენერგიის შეფარდებას ამ მოცულობაში ნივთიერების მასასთან; იზომება გრეებში(1გრ= 1 ჯ/კგ), ენერგიას, შთანთქმული მთელი დასხივებული მასით ინტეგრალური(ჯამური) ეწოდება. მაიონიზებელი გამოსხივების დოზა იზომება გრ-კგ- ში ან ჯ – ში. **ექსპოზიციური** – რენტგენული გამოსხივების და გამა-გამოსხივების(რადიაციის დოზის) დოზა, იზომება ჰაერის იონიზაციით კულონებში კილოგრამზე(კლ/კგ); სისტემგარეშე ერთეული – რენტგენი(1რ=2,58x10^{-4}კლ/კგ). **ეკვივალენტური მაიონიზებელი გამოსხივების დოზა** – ორგანიზმის თავისუფალი შემადგენლობის მაიონიზებელი დასხივების დროს რადიაციული საფრთხის დონის განმსაზღვრელი ძირითადი ფიზიკური ერთეული; იზომება ზივერტებში(1 ზვ=1 ჯ/კგ). თანამედროვე ხერხებით აღმოჩენილი წელიწდში ეკვივალენტურო მაიონიზებელი გამოსხივების ყველაზე მეტი მნიშვნელობა, რომლის დროს 50 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არასასურველ ცვლილებებს არ გამოიწვევს ზღვრულად დასაშვები დოზა ეწოდება. გაზომვა დოზიმეტრიული ხელსაწყოებით ხორციელდება.

95. **მანევრის, მიწოდების და ევაკუაციის გზები –** მეორე ეშელონის (რეზერვების) მანევრის, მატერიალური საშუალებების მიწოდების, დაჭრილებისა და ავადმყოფების, შენაერთის (ნაწილის) მოქმედებების ზოლში დაზიანებული ტექნიკის, შეიარაღების და ქონების ევაკუაციისთვის მომზადებული არსებული გზების ქსელი. მოიცავს : ძირითად და დამხმარე სამხედრო გზებს ფრონტალური და როკადული მიმართეთულებით, ჯარების განლაგების და ლოგისტურ ობიექტებთან მისასვლელ გზებს, შემოსასვლელებს, და მძიმე მუხლუხა მანქანების მოძრაობის გზებს.

96. **მარაგების ეშელონირება –** (მატერიალური საშუალებების ოპერაციაში, ბრძოლაში) **-** მატერიალური საშუალებების მარაგის განაწილება ლოგისტიკა რგოლების და დაჯგუფებებისთვის იმ მიზნით, რომ დროულად დააკმაყოფილონ ჯარების (ძალების) მოთხოვნილება საბრძოლო მასალებზე, საწვავზე, სურსათსა და სხვა მატერიალურ საშუალებებზე, უკეთ დაიცვან ეს მარაგები მოწინააღმდეგის მიერ ზემოქმედებისგან და უზრუნველყონ ჯარების (ძალების) ხანგრძლივი ავტონომიური მოქმედებები.

97. **მარაო** – 1. ერთი მიზნის დასაზიანებლად, ერთ საცეცხლე პოზიციაზე განლაგებული ბატარეის (ოცეულის) საარტილერიო ქვემეხების (ნაღმსატყორცნების, საბრძოლო მანქანების) ცეცხლის წარმოებისთვის ლულების

ურთიერთშეთანხმებული მიმართვა. მარაო შეიძლება იყოს პარალელური, თავმოყრილი, ასევე მიზნის სიგანის მიხედვით. პარალელური მარაოს დროს ქვემეხის ლულის ღერძები ერთმანეთის პარალელურად არის განლაგებული, თავმოყრის დროს – ლულის ღერძების გაგრძელება იკვეთება მიზნის მანძილზე. მარაო მიზნის სიგანის მიხედვით – მეზობელი ქვემეხების ლულის ღერძების გაგრძელებებს შორის მანძილი, მიზნის მანძილის მიხედვით ტოლია მიზნის ფრონტი გაყოფილი ბატარეის (ოცეულის) ქვემეხების რაოდენობაზე. 2. გასკდომების მარაო – ჭურვების (ნაღმების) გასკდომების ერთობლიობა ბატარეის (ოცეულის) ჯერებით ან ზალპებით სროლის დროს, რომელიც მიღებულია აწევის ერთ კუთხეზე: შეიძლება იყოს თავმოყრილი ან მიზნის სიგანის მიხედვით.

98. **მატერიალური პასუხისმგებლობა** – მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ფულად ფორმაში ანაზღაურდეს სახელმწოფოსთვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

99. **მატერიალური საშუალებები –** პროდუქცია, რომელიც შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად მშვიდობიან და ომიანობის დროს გამოიყენება. მატერიალურ საშუალებებს განეკუთვნება ყველა სახეობის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები, სხვადასხვა სახეობის სათბობი, საწვავი, სურსათი, სანივთე, საინჟინრო, ქიმიური, სამედიცინო, სავეტერინარო და სხვა სახეობების სამხედრო ქონება.

100. **მატერიალური საშუალებების მარაგი** – განსაზღვრული რაოდენობის იარაღი, საბრძოლო ტექნიკა, საბრძოლო მასალები, საწვავი, კვების პროდუქტები, საინჟინრო, სამედიცინო, სანივთე და სხვა სამხედრო ქონება, რომელიც ინახება შეიარაღებული ძალების არსენალებში, ბაზებში და საწყობებში, ასევე უშუალოდ ქვედანაყოფებში (ხომალდებზე). მისი დანიშნულებაა ჯარების (ძალების) მოთხოვნების დაკმაყოფილება მშვიდობიან და ომის პერიოდში. მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, როგორც წესი, იგი იყოფა: მიკუთვნების მიხედვით – სტრატეგიულ, ოპერატიულ და საჯარისო მარაგად, მიზნობრივი დანიშნულების და გახარჯვის თანმიმდევრობის მიხედვით – მიმდინარე უზრუნველყოფის და ხელშეუხებელი მარაგი.

101. **მატერიალური საშუალებების მიწოდება –** ჯარებისთვის (ფლოტის ძალებისთვის) მატერიალური საშუალებების მომზადებისა და მიწოდების ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მარაგების შექმნა, ხარჯებისა და დანაკარგების შევსება მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს. **მ. ს. მ.** ხორციელდება სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე და არის მატერიალური უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. **მ.ს.მ.** ორგანიზაცია ხორციელდება ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრის გათვალისწინებით, ხოლო ლოგისტიკა [(მიმოსავლის გზების შერჩევა და მომზადება, სატრანსპორტო საშუალებების განთავსება, ბაზებისა და ეშელონირებული მარაგების განთავსება, საევაკუაციო მიმართულების ოპგანიზაცია და ოპერაციის მსვლელობისას ლოგისტიკის გადაადგილება)] ხორციელდება მიწოდების ამიცანების გათვალისწინებით. **მ.ს.მ.** აწესრიგებს ლოგისტიკის უფროსი და მართვის რგოლების ლოგიუსტიკის ყველა შტაბი.

102. მატერიალური უზრუნველყოფა (შეიარაღებული ძალების) - ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება მშიდობიან და ომიანობის დროს ჯარების (ძალების) ყოველდღიური ცხოვრების და საბრძოლო საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ საშუალებებზე მათი დაკმაყოფილების მიზნით; ზურგის უზრუნველყოფის სახეობა. მატერიალური უზრუნველყოფა მოიცავს: სხვადასხვა სახეობის მატერიალურ საშუალებებზე (რაოდენობის და ნომენკლატურის მიხედვით) არსებული მოთხოვნილების განსაზღვრას, მათ წარმოებას, მარაგის გამოთხოვას, მიღებას და შექმნას, შენახვას, ხარჯვების და დანაკარგების შევსებას, მომხმარებლებთან გაგზავნას და მიტანას. აგრეთვე მარაგის მანევრს.

103. მატერიალური უზრუნველყოფის ორგანოები (შეიარეღებულ ძალებში) - ჯარების (ძალების) მატერიალური უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი საშტატო და არასაშტატო სამხედრო ფორმირებების და მართვის ორგანოების კრებსითი დასახელება. 80-წლების დასაწყისამდე ერქვა– მომარაგების ორგანოები.

მ.უ.ო.-ის ძირითადი ფორმირებებია მატერიალური უზრუნველყოფის ბრიგადები, ბატალიონები, ასეულები და ოცეულები. **მ.უ.ო.–**ში შედის აგრეთვე ლოგისტიკის ბაზები და უზრუნველყოფის (სტაციონარული და მოძრავი) ბაზები, მატერიალური საშუალებების სახეობების საწყობები, საავტომობილო და სარემონტო– აღდგენითი ნაწილები, ტექნიკის საწვავით გასამართი ქვედანაყოფები და სხვ.

104. მეორადი დამაზიანებელი ფაქტორები – მოვლენები და პროცესები, რომლებიც წარმოიშვება მოწინააღმდეგის მიერ ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა იარაღის გამოყენების შედეგად, როგორც ძირითადი (პირველადი) ფაქტორების ხალხზე, ობიექტებზე და გარემოზე ზემოქმედების შედეგი. მათ განეკუთვნება ადგილმდებარეობის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის, მატერიალური საშუალებების მარაგის, კვების პროდუქტების და წყლის წყაროების, რადიოაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) დასნებოვნება, ასევე გეოფიზიკური რხევები დედამიწის ზედაპირზე, ზღვის და ოკეანის ფსკერზე. ყველაზე საშიში და ხანგძლივმოქმედი მეორადი დამაზიანებელი ფაქტორები შეიძლება წარმოიქმნას ატომური ელექტროსადგურის, ქიმიური, ნავთობ-ქიმიური, გაზის, სათბობი და მრეწველობის სხვა სახის ობიექტების რღვევის შედეგად.

105. მეტეოროლოგიური ბიულეტენი – მომხმარებლისთვის ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდების ფორმა. მეტეოროლოგიური ბიულეტენი შეიძლება მოიცავდეს ამინდის მიმოხილვას ან პროგნოზს დროის განსაზღვრულ პერიოდში, კლიმატურ და სხვა მონაცემებს, რომლებსაც დაწესებული სქემით და ფორმით ტექსტის, რუკის, გრაფიკების და ცხრილების სახით წარმოადგენენ. მეტეოროლოგიურ ბიულეტენში შესაძლოა დამატებით შეტანილ იქნეს ფაქტიური, პროგნოზირების და საცნობარო მეტეოროლოგიური ინფორმაცია.

106. მეტეოროლოგიური დაკვირვებები – ატმოსფეროლი მოვლენების(მაგ. ღრუბლების ფორმა, ნალექების სახეობის და ინტენსიურობის) მეტეოროლოგიური ელემენტების და ხარისხობრივი მახასიათებლების სპეციალური გაზომვები ან რიცხობრივი მნიშვნელობების განსაზღვრა.

107. მეტეოროლოგიური პირობები – ატმოსფეროს მდგომარეობა კონკრეტულ რაიონში განსაზღვრულ მომენტში ან დროის პერიოდში, განპირობებული მასში მიმდინარე

ფიზიკური პროცესებით და მეტეოროლოგიური ელემენტების განსაზღვრული შეხამებით დამახასიათებელი. მეტეოროლოგიური პირობები საბრძოლო ვითარების ელემენტს წარმოადგენენ და გავლენას ახდენენ იარაღის, საბრძოლო ტექნიკის გამოყენებაზე, ჯარების(ძალების) საბრძოლო მოქმედებებზე, ლოგისტიკის მუშაობაზე. მეტეოროლოგიური პირობები ანალიზდება, პროგნოზირდება და ფასდება ჯარების(ძალების) ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფის პროცესში.

108. **მეტროლოგიური უზრუნველყოფა** – სამეცნიერო-მეთოდური, საორგანიზაციო და ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც მიმართულია გაზომვების საჭირო სიზუსტის ერთიანობაზე, გასაზომი პარამეტრების თავისდროისობასა და უტყუარობაზე შეიარაღების და ტექნიკის იმ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით, რომლებიც მათ მუდმივ მზდყოფნას უზრუნველყოფს; მეტროლოგიური უზრუნველყოფა მოიცავს: გაზომვების სიზუსტის და ერთიანობის მიღწევისთვის სამეცნიერო საფუძვლების და საორგანიზაციო-ტექნიკური პრინციპების დამუშავებას; ჯარების აუცილებელი საზომი ხელსაწყოებით, სისტემებით, კომპლექსებით და გაზომვების მეთოდიკებით უზრუნველყოფას; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის მეტროლოგიურ ექსპერტიზას დამუშავების, წარმოების და ექსპლუატაციის ეტაპებზე; სამხედრო მეტროლოგების კადრების მომზადებას. მეტროლოგიური უზრუნველყოფა ჯარების ძალებით ხორციელდება.

109. **მიმოსვლის გზების გამტარუნარიანობა –** სატრანსპორტო ერთეულების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება გატარდეს გზის მოცემულ მონაკვეთზე დროის ერთეულში. რკინიგზის **მ.გ.გ.** განისაზღვრება დღე–ღამის განმავლობაში ერთი ან ორივე მიმართულებით გატარებული მატარებლების (წყვილი მატარებლების) რაოდენობით; წყლის გზებზე– ტვირთების ან გემების რაოდენობით, რომელიც ლიმიტირებულ მონაკვეთზე შეიძლება გატარდეს დღე-ღამეში ან ნავიგაციაში; საავტომობილო გზების– ერთ საათში (დღე–ღამეში) გატარებული ავტომობილების რაოდენობით; საჰაერო ტრასების–ერთ საათში (დღე–ღამის) გატარებული თვითმფრინავების რაოდენობით. მილგამტარების **მ.გ.გ.** იზომება კუბომეტრებში საათში.

110. **მიწოდების მხარი –** ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებს შორის მანძილი, რომელზეც ხორციელდება ლოგისტიკის ერთი რგოლის ტრანსპორტით მატერიალური საშუალებების მიტანა. **მ.მ.** შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა სიდიდე იმასთან დამოკიდებულებით თუ რა ხასიათისაა ოპერაცია, ჯარების (ძალების) დაშორება მატერიალური მომარაგების წყაროებიდან, სატრანსპორტო კომუნიკაციების მდგომარეობაზე, სატრანსპორტო საშუალებების არსებობაზე და მიწოდების ორგანიზაციაზე.

111. **მიზნის კურსი** – მიზნის მოძრაობის მიმართულება(საფრენი აპარატის, ხომალდის, ტანკის და ა.შ.). წარმოადგენს მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომელიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა მიზნებზე სახმელეთო, საზენიტო, სახომალდო არტილერიის(სარაკეტო) სროლებს. განისაზღვრება მიზნის მოძრაობის პარამეტრებით, რომლებიც სივრცეში(სიბრტყეზე) მის გადაადგილებას ახასიათებს. ძირითად პარამეტრებს განეკუთვნებიან კურსის კუთხე, მიზნის კურსის პარამეტრი და საგზაო სიჩქარე. კურსის კუთხე – კუთხე ქვემეხის სროლის სიბრტყესა და

მიზნის მოძრაობის მიმართულებას შორის. მისი სიდიდე შეიძლება იცვლებოდეს 0 – დან (მიზნის ქვემეხზე მოძრაობის დროს) 180^0 – მდე (მიზნის ქვემეხიდან მოძრაობის დროს). ხომალდის კურსის კუთხე – კუთხე ხომალდის დიამეტრალურ სიბრტყესა და რომელიმე ობიექტზე მიმართულებას შორის. ავიაციაში კურსის კუთხე – კუთხე ჰორიზონტალურ სიბრტყეში საფრენი აპარატის სიგრძივი ღერძის პროექციასა და მიზანზე (ორიეტირზე) მიმართულებას შორის. კურსის კუთხეს არტილერიაში, ავიაციაში, ფლოტზე გამოიყენება სროლისათვის, მანევრირების(ხომალდის), მიზანჩვენების, ბომბდაშენის საჰაერო სროლის დანადგარების გათვლისას. საგზაო სიჩქარე – დედამიწის ფარდობით მიზნის ჰორიზონტალური სიჩქარე. გარდა ამისა საჰაერო მიზნისთვის ითვალისწინებენ პიკირების(კაბრირების) კუთხეს.

112. **მკვდარი სივრცე** – სივრცე, რომელშიც მოცემული საცეცხლე (სასტარტო) პოზიციიდან წერტილოვან მიზანში სროლისას შეუძლებელია უშუალო მოხვედრით მიზნი დაზიანდება. მკვდარი სივრცის სიდიდე დამოკიდებულია იარაღის კონსტრუქციას და ბალისტიკურ თვისებებზე, ადგილმდებარეობის რელიეფზე, საფარის ზომებზე, რომლის მიღმაც მოთავსებულია იარაღი (მიზანი) და ამ საფარიდან საცეცხლე (სასტარტო) პოზიციის დაშორება.

113. **მომარაგების ორგანოები,** – ჯარების (ძალების) მატერიალური საშუალებებით მომარაგების დაწესებულებები (არსენალები, ბაზები, საწყობები, პურის ქარხნები და სხვ.) და მართვის ორგანოები. რუსულ არმიაში წარმოიშვა მე–16 ს. მე–20 ს. 80 წლებში ამოცანების გაფართოებსთან დაკავშირებით გადაერქვა–მატერიალური უზრუნველყოფის ორგანოები.

114. **მოსასხმელი ლაბადა** – სამხედრო ტანსაცმლის ფორმის საგანი, რომელიც წარმოადგენს დარეზინებული, თავისუფალი გამოჭრილობის ლაბადას სახელოებისა და ჯიბეების გარეშე კომუფლირებული ფერის (მეზღვაურების სანაპირო ჯარების – შავი). გააჩნია საყელო და მოსახსნელი კაპიუშონი. უამინდობის შემთხვევაში გამოიყენება როგორც მოსასხამი. ნებადართულია **მ.ლ.** ტარება ხვეულის სახით. პირველად შემოღებულია XX საუკუნის 50-იან წლებში.

115. **მოსახლეობის სამედიცინო დაცვა** (ომიანობის პერიოდში ან საგანგებო სიტუაციების დროს) – საორგანიზაციო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ეპიდემიოლოგიური და სამკურნალო-საევაკუაციო ღონისძიებების კომპლექსი. მისი მიზანია არ დაუშვას ან შეამციროს დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედება ხალხზე, მათთვის სამედიცინო დახმარების გაწევა და მკურნალობა.

116. **მოტორესურსი** – ძრავის(მანქანის) ნამუშევარი საწყისი ექსპლუატაციიდან ან მისი რემონტის შემდეგ განახლებიდან ზღვრულ მდგომარებაში გადასვლამდე. იზომება მუშაობის მოტოსაათებში ან გარბენის კილომეტრებში. დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად წესდება საკონსტრუქტორო დოკუმენტაციით.

117. **მოხალისეობა** – შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების ერთ-ერთი ხერხი. ძირითადი პრინციპები – სამხედრო და სამოქალაქო ვალის ნებაყოფლობაზე, უანგარობაზე და იდეურ მოტივაციაზე. ცნობილია უძველესი დროიდან და როგორც სოციალური მოვლენა, გამოწვეული პატრიოტიზმის, ეროვნულ-გამათავისუბლებელი მოძრაობის ამაღლებით და სხვა.

ყველაზე მსხვილ მასშტაბებს ღებულობს სამართლიანი, გამათავისუფლებელი ომების დროს.

118. **მხედრული ვალი** – სამხედრო მოსამსახურეების მორალურ-სამართლებრივი მოვალეობა ხალხის და სახელმწიფოს წინაშე იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც შეიარაღებულ ძალებზეა დაკისრებული. მისი ფორმირების ობიექტურ საფუძვლად გვევლინება სახელმწიფოს და საზოგადოების მოთხოვნები შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისადმი, მისი მორალურ-საბრძოლო თვისებებისადმი. მხედრული მოვალეობის შესრულებისთვის. სამხედრო მოსამსახურის უნარი დამოკიდებულია მის პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ სიმწიფეზე, სამხედრო პროფესიულ მომზადებაზე, ფსიქოლოგიურ წრთობაზე, სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის, სამხედრო სამსახურის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებაზე. სამხედრო ,ოსა,სახურის ქცევის ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმაა. მისი ძირითადი მოთხოვნები გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციაში, სამხედრო ფიცში, სამხედრო წესდებებში

119. **ნამსახურობა** – მოქალაქის მიერ სამხედრო სამსახურის მიღწეული ხანგრძლივობა. წარმოადგენს აუცილებელ პირობას და საფუძველს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეების, მოქალაქეების და მათი ოჯახის წევრებისთვის კანონით დაწესებული დამატებითი უფლებების და შეღავათების მისაკუთვნებლად.

120. **ნგრევების, ხერგილების, ხანძრების ზ**ონა – ადგილმდებარეობის რაიონი, რომელშიც ბირთვული ან ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის აფეთქების შედეგად წარმოიშვება მასობრივი ნგრევები, წარმოიქმნება ტყემასალის, ქვების, მიწის და სხვ. ხერგები და ჩნდება ხანძრები. განასხვავებენ სრულ, ძლიერ, საშუალო და სუსტი ნგრევების, ხერგების და ხანძრების ზონებს. გარდა საბრძოლო მოქმედებებისა ეს ზონები შეიძლება ატომურ ელექტრო სადგურებზე, სხვა ობიექტებზე და საწარმოებში ავარიების შედეგად წარმოიშვას.

121. **ოპერატიული ლოგისტიკა** – დაჯგუფებებს (ფლოტების), შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებებში შემავალი ლოგისტიკის შენაერთები, ნაწილები და დაწესებულებები; არის დამაკავშირებელი რგოლო სტრატეგიული და საჯარისო ლოგისტიკებს შორის და განკუთვნილია გაერთიანებების და შენაერთებების ლოგისტიკური უზრუნველყოფისთვის. იშლება დაჯგყფების ლოგისტიკის ზურგის ზოლებში და საზღვრისპირა და შიდა დაჯგუფებების ტერიტორიოებზე. იყოფა დაჯგუფების, საფლოტო, საარმიო (საკორპუსო), ფლოტილიის და საესკადრო ლოგისტიკად.

122. **პლაშ–კარავი** – სამხედროს აღჭურვილობის საგანი, რომელიც არის დარეზინებული 180 x 180 სმ ბამბის (ბრეზენტის) ქსოვილი კამუფლირებული ფერის. შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მოსასხმელი ლაბადა უამინდობის დროს. (ერთიანდება 6 ცალი), როგორც საკაცე და სხვ. პირველად შემოღებულია XX საუკუნის 30-იან წლებში.

123. **პოლკის ლოგისტიკა** – იხ. საჯარისო ლოგისტიკა.

124. **რადიაციის დოზა** – იხ. მაიონიზებელი გამოსხივების დოზა.

125. **რადიაციული დაცვა** (კოსმოსური აპარატების) კოსმოსური აპარატების კოსმონავტებზე და მოწყობილობაზე კოსმოსური რადიაციის ზემოქმედების

შესუსტების საშუალებები. განასხვავებენ ბიოლოგიურ **რ. დ.** (კოსმონავტების) და მოწყობილობის. **რ.დ.** ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება **კ.ა.** გარსს, აგრეთვე სპეციალურ ეკრანებს, მოწყობილობის კორპუსებს და სხვ. მაღალი ინტესიობის რადიაციისგან გათვალისწინებულია ლოკალური **რ.დ.** ეგრეწოდებული რადიაციული თავშესაფრები. **რ.დ.** მიეკუთვნება საბორტო დოზიმეტრული კონტროლის საშუალებები.

126. **რადიაციული უსაფრთხოება** – პირობები, რომლებშიც პირადი შემადგენლობის, მოსახლეობის და გარემოს მაიონიზირებელი დასხივება და რადიაციული დასნებოვნება დადგენილი დოზების ზღვრებს და დასაშვებ დონეებს არ აღემატება.
127. **რადიოლოგიური დაცვა** – დადგენილი ნორმების, წესების და ნორმატივების გადაჭარბებული იონიზირებული გამოსხივების ადამიანზე ზეგავლენის თავიდან აცილების ღონისძიებების კომპლექსი. **რ.დ.** ამოცანებია: ონკოლოგიური დაავადების გენეტიკური დარღვევების ალბათობის შემცირება და ქსოვილების და ორგანოების სხივური დაზიანებების გამორიცხვა. **რ.დ**. ყურადღების საგნად იქცა რენდგენის სხივებისა და რადიოაქტივობის აღმოჩენის შემდეგ.
128. **რემონტი (**სამხედრო ტექნიკის) - მისი მოყვანა მუშაუნარიან მდგტომარეობაში უწესივრობების აღმოფხვრის და გახარჯული რესურსის აღდგენის გზით; ჯარების (ძალების) ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა. ეწყობა სამხედრო ტექნიკის სახეობების მიხედვით შესაბამისი სამსახურების მიერ. იყოფა: საჯარისო და საქარხნო; სპეციალიზებული და კომპლექსური; გეგმური და არაგეგმური; გაპიროვნებული და გაუპიროვნებელი, აგრეგატული და კომბინირებული; მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური. სამხედრო საზღვაო ფლოტში არის აგრეთვე ლაშქრებსშორის და სადოკო რემონტები, ხოლო ცნება კაპიტალური რემონტი ვრცელდება მხოლოდ ხომალდზე დადგმულ სამხედრო ტექნიკაზე.
129. **საავიაციო ლოგისტიკა** – მისი დანიშნულებაა ავიაციის მატერიალური, საინჟინრო-სააეროდრომო, სააეროდრომო-ტექნიკური, ტექნიკური და სამედიცინო უზრუნველყოფა; საერთო ლოგისტიკის შემადგენელი ნაწილი. შედის სამხედრო-საჰაერო ძალების, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების საავიაციო გაერთიანებებისა და შენაერთების შემადგენლობაში. ზოგიერთ სახელმწიფოებში იყოფა საჯარისო საავიაციო ლოგისტიკად(საავიაციო-ტექნიკური ნაწილები), სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერატიულ ლოგისტიკად(გაერთიანება) და სამხედრო-საჰაერო ძალების ლოგისტიკად – უმაღლესი რგოლი.
130. **საავიაციო რესურსი** – იხ. ფრენის რესურსი.
131. **საბრძოლო კვება** – ქვეითი, სატანკო და საარტილერიო, აგრეთვე საზღვაო ქვეითი ქვედანაყოფების საბრძოლო მასალებით მომარაგება. ხორციელდება საწყობებიდან საბრძოლო კვების პუნქტების მეშვეობით, რომლებიც ბატალიონებში და ასეულებში იქმნება. ქვეით ოცეულებში და ათეულებში საბრძოლო მასალების მიმტანები ინიშნებიან.
132. **საფრენი რესურსი** – გაფრენების რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია საავიაციო გაერთიანებისათვის (შენაერთი, ნაწილი) საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. მას განსაზღვრავს უფროსი მეთაური გამომდინარე ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) მიზნებიდან და ხანგრძლივობიდან, საბრძოლო ამოცანის მოცულობიდან და საავიაციო გაერთიანების (შენაერთი, ნაწილი)

შემადგენლობიდან, მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე. საფრენი რესურსი განისაზღვრება გაფრენებში – არმიის, კორპუსის, დივიზიის, პოლკის, ესკადრილიის და თვითმფრინავ- გაფრენებში (ვერტმფრენ-გაფრენებში).

133. **საგარანტიო ვადა**(სამხედრო ტექნიკის) – ვადა, რომლის დროს მიმწოდებელი დამკვეთს გარანტირებს სამხედრო ტექნიკის დაწესებული ტაქტიკურ-ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობას, მისი შენახვის და ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ტექნიკის აღმოჩენილი ნაღოვანებები მიმწოდებლის ხარჯებით დაიფარება. ტექნიკის შესაბამისი ნაირსახეობის დამუშავებაზე საგარანტიო ვადა წესდება ტაქტიკურ-ტექნიკური დავალებით.

134. **საგარნიზონო განწესი** – ინიშნება საგარნიზონო და საყარაულო სამსახურების განხორციელებისთვის და გარნიზონში წესრიგის შესანარჩუნებლად.

135. **საგარნიზონო სამსახური** – ღონისძიებების სისტემა, რომელიც ორგანიზდება გარნიზონში დისციპლინის შენარჩუნების, ცხოვრების აუცილებელი ყოველდღიური პირობების და ჯარების მომზადების, განგაშით ორგანიზებული გასვლის და ჯარების მონაწილეობით საგარნიზონო ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.

136. **საჰაერო კოდექსი** – საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს ავიაციის საქმიანობას და მისი საჰაერო სივრცის გამოყენების წესს. საჰაერო კოდექსში საერთაშორისო საჰაერო სამართლის საფუძველზე დამკვიდრებულია სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტი თავის სივრცისადმი, განსაზღვრულია სახელმწიფოს და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მიზნით ავიაციის საქმიანობის წესი.

137. **საიდუმლოების გრიფი** – აღნიშვნა დოკუმენტებზე, რომელიც მიუთითებს მასში მოცემული სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოს შემცველი ცნობების დაფარვის დადგენილ დონეს: „სამსახურებრივი სარგებლობისთვის“, „საიდუმლო“, „სრულიად საიდუმლო“, „განსაკუთრებული მნიშვნელობის“. სახელმწიფო საიდუმლოს გათვალისწინებით წესდება დოკუმენტებზე, შეიარაღებას და სამხედრო ტექნიკაზე მუშაობის, შენახვის, მათდამი მოპყრობის რეჟიმი.

138. **საჯარისო ლოგისტიკა** – ლოგისტიკის ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც ორგანიზაციულად შედიან ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების შენაერთების და ნაწილების შემადგენლობაში და განკუთვნილია უშუალოდ მათი ლოგისტიკის უზრუნველყოფისთვის..

139. **სამედიცინო დახმარება** – სამკურნალო – პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება დაჭრილების და ავადმყოფების სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მათი ჯანმრთელობის სწრაფი აღდგენის მიზნით. განასხვავებენ სამედიცინო დახმარების შემდეგ სახეებს: პირველადი – რომელიც ტარდება ადგილზე თვითდახმარების (ურთიერთდახმარების) სახით ან უმცროსი სამედიცინო პერსონალის მიერ; ექიმამდელი – საშუალო სამედიცინო მუშაკების მიერ, როგორც წესი ქვედანაყოფში; პირველადი საექიმო – საერთო პრაქტიკის ექიმის მიერ ნაწილში; კვალიფიციური – ქირურგების და თერაპევტების მიერ სამედიცინო სამსახურის ნაწილებს და დაწესებულებებში; სპეციალიზებული – ექიმი – სპეციალისტების მიერ ჰოსპიტლებში.

140. **სამედიცინო დაზვერვა** – იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც მოქმედებენ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობაზე, ჯარების (ძალების) სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე, მათი სამედიცინო უზრუნველყოფის ორგანიზაციაზე და სამედიცინო სამსახურის საქმიანობაზე. სამედიცინო დაზვერვა იყოფა: სამედიცინო–ტაქტიკური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგური. სამედიცინო–ტაქტიკური აგროვებს ინფორმაციას ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ სამედიცინო ქვედანაყოფების, ნაწილების და დაწესებულებების გაშლაზე და საქმიანობაზე, ხოლო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ხორციელდება ჯარების (ძალების) ხელსაყრელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის და პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის შენარჩუნების, წყლის და კვების ადგილობრივი რესურსის ხარისხზე, მოწინააღმდეგის ჯარებში ავადმყოფობის და მისი სამედიცინო სამსახურის მიერ გატარებული სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემსაწინაღო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

141. **სამედიცინო გამოკვლევა** – გამოკვლევების კომპლექსი, რომელიც წარმოებს სამხედრო მოსამსახურეების ჯანმრთელობის მდგომარეობის და ფიზიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით, გამოვლენა იმ პირების, რომლებიც სამედიცინო დაკვირვებას და მკურნალობას საჭიროებენ; დისპანსერიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება. მოიცავს: ავადმყოფობის ისტორიის მონაცემების შეკრებას, შემოწმებას, ფუნქციურ, ლაბორატორიულ, ინსტრუმენტალურ და სხვა გამოკვლევებს.

142. **სამედიცინო კონტროლი** – სისტემატური მეთვალყურეობა სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიასაწინაღო ნორმების და წესების დაცვისადმი, პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით. ხორციელდება პირადი შემადგენლობის ყოველწლიური საკონტროლო სამედიცინო გამოკვლევების და სამედიცინო გასინჯვების, მისი ჯანმრთელობისადმი ყოველდღიური სამედიცინო მეთვალყურეობის გზით საბრძოლო მომზადების პროცესსა და ყოფაცხოვრებაში.

143. **სამედიცინო პუნქტი** – რიგ ქვეყნებში სამხედრო ნაწილის(ხომალდის) სამედიცინო სამსახურის ქვედანაყოფი, რომლის დანიშნულებაა სამხედრო მოსამსახურეებისთვის ამბულატორული და სტაციონარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

144. **სამედიცინო რაზმი**(ცალკეული სამედიცინო რაზმი) – მოძრავი სამედიცინო დაწესებულება, მისი დანიშნულებაა დაჭრილების და ავადმყოფების მიღება, მათი დახარისხება, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, არატრასპორტირებადების დროებითი ჰოსპიტალიზაცია, მსუბუქად დაჭრილების და 5-10 დღის ვადით გამოსამჯამრთებელი ავადმყოფების მკურნალობა და დანარჩენების შემდგომი ევაკუაციისთვის მომზადება. სამედიცინო რაზმი ევაკუაციის გზებზე ან დაზიანების კერებში იშლება.

145. **სამედიცინო სამსახური** – მისი დანიშნულებაა ჯარების(ძალების) სამედიცინო უზრუნველყოფის ორგანიზება და განხორციელება. რიგ ქვეყნებში შედგება მართვის ორგანოების და სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო ქვედანაყოფების, ნაწილებისა და დაწესებულებებისგან.

146. სამედიცინო უზრუნველყოფა – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების შენარჩუნების, ჯანმრთელობის განმტკიცების, დროული სამედიცინო დახმარების გაწევის, დაჭრილების და ავადმყოფებისთვის ჯანმრთელობის და ბრძოლისუნარიანობის აღდგენის მიზნით. ჯარების (ძალების) მოქმედებების უზრუნველყოფის სახეობა.

147. სამედიცინო ვითარება – სამხედრო-სამედიცინო ხასიათის ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ სამედიცინო უზრუნველყოფაზე. სამედიცინო ვითარების ძირითად ელემენტებს შეადგენს: პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ცვლილებების დინამიკა, საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების, განთავსების (გადაადგილების) და მომავალი საბრძოლო მოქმედების რაიონების სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, დაჭრილთა და ავადმყოფთა არსებობა ჯარებში, სამედიცინო ქვედანაყოფებში, ნაწილებსა და დაწესებულებებში, სამკურნალო, პროფილაქტიკური და საევაკუაციო ღონისძიებების აუცილებლობა და მასშტაბები, სამედიცინო სამსახურის ძალების და საშუალებების არსებობა და მდგომარეობა, ადგილობრივი რესურსების არსებობა და გამოყენება.

148. სამხედრო აქცია – მიზნებით, ადგილით და დროში შეზღუდული სამხედრო ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოების ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული ორგანიზაციების და ჯგუფების წინააღმდეგ. ხორციელდება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მაშინ, როდესაც დასახული მიზნები არ მოითხოვს შეიარაღებული ძალების მსხვილმასშტაბიან გამოყენებას, ან როდესაც ასეთი გამოყენება არასასურველია საგარეო და შიდა მიზეზების გამო. სამხედრო აქციის დროს გამოიყენება ქვეყნის ძალების და საშუალებების უმნიშვნელო ნაწილი. სამხედრო აქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ომიანობის დროს ან სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების დაძაბვის პერიოდში და ქვეყანაში შიდა კონფლიქტის დროს.

149. სამხედრო დამკვირვებლები – პირნი ცალკეული ქვეყნების სამხედრო ან სამოქალაქო პერსონალის შემადგენლობიდან, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით ან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით არიან გაგზავნილი შეიარაღებული კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობის ან სამხედრო საქმიანობის სფეროში დადებულ შეთანხმებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობისთვის. სამხედრო დამკვირვებლის სტატუსს და ამოცანებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში განსაზღვრავენ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტები ან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება დამკვირვებელთა მოქმედება.

150. სამხედრო ფორმის ტანსაცმელი – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის დაწესებული სამხედრო ტანსაცმელის, აღჭურვილობის და განმასხვავებელი ნიშნების კომპლექტი. იგი იყოფა საპარადო, ყოველდღიურ და საველედ, გარდა ამისა ყოველი მათგანი – საზაფხულო და ზამთრის. **ს. ფ. ტ.** ცხადდება ყოველდღიურად ან კონკრეტული ღონისძიების პერიოდისთვის სამხედრო ნაწილების მეთაურების მიერ. **საპარადო ფორმას** ატარებენ– სამხედრო ფიცის მიღებაზე; სამხედრო ნაწილისთვის საბრძოლო დროშის ჩაბარების დროს;

საპატიო ყარაულის შემადგენლობაში დანიშვნისას, სახელმწიფო ჯილდოს მიღების დროს, ჯარების მონაწილეობით ოფიციალურ ღონისძიებებზე, გამოსასვლელ და სადღესასწაულო დღეებში და სხვ.; **საველე**– სწავლებებზე, მანევრებზე, სასწავლო ცენტრებში მაცადინეობის დროს, სადღეღამისო განწესში; **საყოველდღეო**– ყველა დანარჩენ შემთხვევაში. საპატრულო სამსახურის და საკონტროლო–გამშვებ პუნქტებში მორიგეობის დროს ფორმა ცხადდება ბაზების გარნიზონების უფროსების მიერ. საზაფხულო ან ზამთრის ფორმაზე გადასვლა დგინდება სამხედრო ოლქედაჯგუფებისბის სარდლების მიერ. სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური ჯავშანდაცვის საშუალებების განისაზღვრება სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ. ოფიცრებს და ზემდეგებს, რომლებმაც იმსახურეს 20 წელი და მეტი, ეძლევა რეზერვში დათხოვნის შემდეგ უფლება სამხედრო ფორმის ტარების.

151. **სამხედრო ფული** – იხ. ძვ. ს – 382.

152. **სამხედრო გადასახადი** – გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო მოსახლეობას აუცილებელი სპეციალური ვალდებულებების გადასახადების ფორმით ან სპეციალური წანამატით სხვა პიდაპირ ან ირიბი გადასახადიდ სამხედრო ხარჯების ნაწილის ახდევინებს.

153. **სამხედრო კონტრაბანდა** – საერთაშორისო სამართალში – მასალები და საგნები, რომელთა გადაზიდვასაც უკრძალავს მეომარი მხარე ნეიტრალურ სახელმწიფოს ან მის მოქალაქეებს მოწინააღმდეგე მეომარი მხარის მომარაგებისთვის. სამხედრო კონტრაბანდის საგნები კონფისკაციას ექვემდებარება, თუ ისინი მიაქვთ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ან მისი შეიარაღებული ძალების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. შეიძლება, კონფისკებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალებებიც, რომლებითაც სამხედრო კონტრაბანდა გადაჰქონდათ.

154. **სამხედრო მიწოდებები –** სამხედრო პროდუქციის რეალიზაციის ფორმა. ასახავენ სახელმწიფო ორგანოების, უპირველესად სამხედრო უწყებების, რომლებიც არიან დამკვეთები და სამხედრო დანიშნულების პროდუქციის დამამზადებლებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებს. სამხედრო პროდუქციის თავდაცვითი დაკვეთების შემსრულებლები და მიმწოდებლები შესაძლებელია იყვნენ საწარმოები (ორგანიზაციები, ფირმები) მიუხედავად მათი საორგანიზაციო–სამართლებრივი ფორმებისა და საკუთრების ფორმისა, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო ლიცენზიები.

155. **სამხედრო მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფა** – სახელმწიფოს მიერ დაწესებული ყოველთვიური ფულადი გადასახადები ყოფილ სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით. ჩვეულებრივ სამხედრო მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფას განაპირობებს ნამსახურობა, ინვალიდობის დადგომა და სხვ. სამხედრო მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა აგებულია მათი სამხედრო სამსახურის სახეობის და ხასიათის, თანამდებობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურეების შემადგენლობებთან მიმართებით.

156. **სამხედრო მოსამსახურეების უფლებები –** იხ. სამხედრო მოსამსახურეების შეღავათები.

157. **სამხედრო ქონება –** სახელმწიფო ქონების ნაწილი, რომელიც მუდმივად ან დროებით არის გადაცემული სამხედრო უწყების განკარგულებაში და

განკუთვნილია შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მშვიდობიან დროს და ომიანობის პერიოდში. სამხედრო ქონებას განეკუთვნება ყველა სახეობის იარაღი და სამხედრო ტექნიკა, საწვავი (სათბობი), სურსათი, საავარიო – სამაშველო, საავიაციო, საავიაციო-ტექნიკური, საავტომობილო, ჯავშანსატანკო, სანივთე, სამხედრო-ტექნიკური, საინჟინრო, საბინაო, სამედიცინო, გადასაყვან-გადმოსაყვანი, საშკიპერო ქონება და სხვა მატერიალური საშუალებები, საცხოვრებელი, სასაწყობო, სამსახურებრივი ფონდები, სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ეკუთვნის სამხედრო უწყებას. ჩვეულებრივ, სხვადასხვა ქვეყნებში იარაღი, სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები და სამხედრო ქონების ზოგიერთი სხვა სახეობა (განსაკუთრებული ნუსხის მიხედვით) სახელმწიფოს ქონებას წარმოადგენს და არ ექვემდებარება გაყიდვას, დაგირავებას, გადაცვლას, გაჩუქებას. სამხედრო ქონება იყოფა სახარჯო (საბრძოლო მასალები, საწვავი, სურსათი და სხვ) და ხანგრძლივი მოხმარების ქონებად (შეიარაღება, ტექნიკა, სანივთე ქონება და სხვ.).

158. **სამხედრო საწარმოები** – დამოუკიდებული სამეურნეო სუბიექტები იურდიული პირის უფლებით, რომლებიც შექმნილია სამხედრო მნიშვნელობის პროდუქციის წარმოებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით (სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა).

159. **სამხედრო სახელოვნება** – სამხედრო მოსამსახურეების მიერ მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური და საბრძოლო თვისებების გამოვლინება, აგრეთვე სამხედრო კოლექტივების მიერ მხედრული ვალის შესრულების დროს. დაფუძნებულია პატრიოტიზმზე, სამხედრო ფიცისადმი ერთგულებაზე, მაღალ პროფესიულ მომზადებაზე. ფორმირდება სამხედრო აღზრდის და სწავლის პროცესში, თავის შინაარსში ირეკლავს ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ პირობებს, ომის და შეიარაღებული ბრძოლის ხასიათს. სამხედრო სახელოვნება დიდად ფასდება სოზოგადოების და სახელმწიფოს მიერ, აღინიშნება სამხედრო ჯილდოებით და სხვა განმასხვავებელი ნიშნებით.

160. **სამხედრო შეკვეთები** – სახელმწიფო ორგანოების, სამხედრო უწყების და, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, აგრეთვე იმ საწარმო-ორგანიზაციების ეკონომიკური ურთიერთობის ფორმა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებას მასალებზე, საშუალებებზე, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, მომსახურებაზე და სხვ. მისი არსია სამხედრო უწყების (შემკვეთის) წინადადება ორგანიზაციის თუ ფირმის, საწარმოსადმი (მეიჯარე, შემსრულებელი), დაამზადოს და მიაწოდოს პროდუქცია, მითითებული რაოდენობის, ხარისხის, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების, ვადების და სხვა მონაცემების შესაბამისად, ან შეასრულოს გარკვეული სამუშაო.

161. **სამხედრო ვალები** – სახლმწიფო დავალიანება, წარმოქმნილი სამხედრო ხარჯების გაზრდის შედეგად. განასხვავებენ შიდა და გარე სამხედრო ვალებს. შიდა ვალები წარმოიქმნება სახელმწიფოს შიგნით სამხედრო სესხების განთავსების შედეგად. გარე სამხედრო ვალები სხვა სახელმწიფოებისგან მიღებული კრედიტების შედეგად წარმოიქმნება. მე-2 მსოფლიო ომის დროს სსრკ დახმარებას მისი მოკავშირეები ლენდლიზის ფორმით ახორციელებდნენ.

162. სანიტარული დამუშავება – პირადი შემადგენლობის პირადი დაცვის აღჭურვილობის და საშუალებების, ფეხსაცმელის, ტანსაცმლის, კანის ზედაპირის დამაავადებელი მიკრობების, მომწამვლავი და რადიოაქტიური ნივთიერებების მოცილება, განადგურება და გაუვნებლობა.; სპეციალური დამუშავების ნაწილი. შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი. სრული **ს.დ.** ითვალისწინებს კანის ღია ზედაპირების წინასწარ გაუსნებოვნებას, დაბანვას ცხელი წყლით და საპნით, სუფთა თეთრეულის გაცემას, გასვრილი ტანსაცმელის, ფეხსაცმლის, აღჭურვილობის და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების დეზინფექციას ან შეცვლას. ტარდება საბრძოლო ამოცანის შესრულების და ქვედანაყოფის ბრძოლიდან გამოყვანის შემდეგ ქვედანაყოფის განთავსების ადგილზე ან სპეცდამუშავების რაიონში. ნაწილობრივი **ს.დ**.– ტანსაცხმელის მექანიკური, დაცვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, ფეხსაცმლის, წინასწარი დამუშავებით და გაწმენდით კანის ღია ზედაპირების ქიმსაწინაღო პაკეტის საშუალებებით. ხორციელდება საბრძოლო ამოცანის შესრულების შეუწყვეტლივ.

163. სარემონტო საშუალებები – სამხედრო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების და რემონტისთვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობა, აღჭურვილობა, იარაღი, სათადარიგო ნაწილები და მასალები.

164. სარემონტო–საევაკუაციო ჯგუფი – არასაშტატო ფორმირება განკუთვნილი ბრძოლის ველზე დაზიანებული მანქანების ევაკუაციისთვის ან რემონტისთვის ადგილზე ან უახლოეს საფარში. იქმნება ბატალიონების ტექნიკური მომსახურების განყოფილებების და პოლკების სარემონტო ქვედადანაყოფების ხარჯზე.

165. სასურსათო სამსახური – განკუთვნილია ჯარების (ძალების) სურსათით უზრუნველყოფისთვის; სამხედრო ნაწილების, შენაერთებისა და გაერთიანებების ლოგისტიკის შემადგენილი ნაწილი. რუსეთის ფედერაციაში **ს.ს.** ცენტრალური ორგანოა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასურსათო სამმართველო, რომლის ისტორია მომდინარეობს სურსათით მომარაგების ორგანოებიდან, რომლებიც ჩამოყალიბდა 1698.

166. სასურსათო უზრუნველყოფა – სასურსათო სამსახურის მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების კომპლექსი ჯარების (ძალების) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სურსათში, ფურაჟში, ტექნიკაში, ქონებაზე, აგრეთვე პირადი შემადგენლობის დადგენილი ნორმებით საკვებით; მატერიალური უზრუნველყოფის სახეობა. რუსეთის ფედერაციაში ხორციელდება სქემით: ცენტრი– სამხ. ოლქი– არმია (კორპუსი)– შენაერთი- სამხედრო ნაწილი– ქვედანაყოფი– სამხედრო მოსამსახურე; სამხედრო საზღვაო ფლოტში: ცენტრი – ფლოტი (ფლოტილია)– სამხედრო–საზღვაო ბაზა– შენაერთი– ხომალდი (სამხ. ნაწილი)– ქვედანაყოფი– სამხედრო მოსამსახურე.

167. საველე გასამართი პუნქტი – ჯარების წინწაწევა მარშრუტებზე მუხლუხა ან ბორბლიანი მანქანების საწვავით ერთდროულად გამართვისთვის გამოსაყენებელი მოწყობილობის კომპლექტი. კომპლექტის საფუძველს შეადგენს სწრაფადგასაშლელი რეზინაქსოვილის კოლექტორი, რომელზეც მიერთებულია სარიგებელი შლანგები ონკანებით. არის ოპერატიული ლოგისტიკის ქვედანაყოფების გაწყობის საშტატო საშუალება. გარდა ამისა მსგავსი კომპლექტები გააჩნიათ მრავალ საერთოსაჯარისო შენაერთებებსა და ნაწილებს.

168. საწვავი – სათბობის საერთო დასახელება, რომელიც სითბურ ძრავებში გამოიყენება. ტერმინი უფრო მეტად გამოიყენება საავტომობილო და საავიაციო ბენზინების, დიზელის, თხევადი საქვაბე სათბობის, რეაქტიული ძრავების თხევადი სათბობის, აგრეთვე ბირთვული სათბობის მიმართ.

169. სიგელი – 1) მე-10 – მე-17 სს წერილობითი საქმიანი დოკუმენტი, უსტარი(წერილი) როგორც ოფიციალური, ასევე კერძო ხასიათის. შემდგომში ძირითადად სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტი; დღევანდელ დღეს შენარჩუნებულია რაიმე საერთაშორისო შეთანხმების, ან სამართლებრივი ურთიერთობის დასამოწმებლად(მაგალითად, რატიფიკაცია, რწმუნებულობის სიგელი). 2) სპეციალურად გაფორმებული(ხშირად უწყებრივი) დოკუმენტი დაწესებულებების ან ცალკეული პირების დასაჯილდოებლად.

170. სიღრმული ბომბი - საბრძოლო მასალა წყალქვეშა მიზნების დაზიანებისთვის. განასხვავებენ სახომალდო(ხომალდის ბომბსატყორცნის ან კიჩოს ბომბგადამყრელის მეშვეობით) და საავიაციოს(საფრენი აპარატებიდან გადმოიყრება). შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი ან ბირთვული აღჭურვილობა, საკონტაქტო ან დისტანციური ამფეთქი. თანამედროვე რეაქტიულ სიღრმულ ბომბის კალიბრია 203-375 მმ, მასა 120-250 კგ, ჩაყვინთვის სიჩქარე 13 მ/წმ –მდე.

171. სიღრმული ბომბტყორცნა – სიღრმული ბომბების გამოყენება წყალქვეშა ნავების და ხვა წყალქვეშა ობიექტების გასანადგურებლად. ხორციელდება წყალზედა ხომალდებით, ნავსაწინაღო თვითმფრინავებით და ვერტმფრენებით. წყალზედა ხომალდები იყენებენ რეაქტიულ ბომბსატყორცნ დანადგარს, ჰიდროდინამიურ ბომბსატყორცნს და კიჩოს ბომბგადამყრელს. წყალქვეშა ნავის დაზიანების ალბათობის ამაღლებისთვის ხორციელდება სერიებით(ზალპებით) ფართობზე და სიღრმეზე აფეთქების წერტილების ხელოვნური გაფანტვით.

172. სპეციალური დამუშავების პუნქტი –განკუთვნილია სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, ტრანსპორტის და სხვა მატერიალური საშუალებების დეგაზაციის, დეზაქტივაციის და დეზინფექციის ჩასატარებლად, აგრეთვე პირადი შემადგენლობის სანიტარული დამუშავებისთვის; სპეციალური დამუშავების რაიონის ელემენტი.

173. სროლის მანძილი – უმოკლესი მანძილი ჭურვის (ტყვიის, ნაღმის) გატყორცნის წერტილიდან ვარდნის (აფეთქების წერტილამდე). მიწისზედა მიზნებზე სროლისას განარჩევენ: სრული ჰორიზონტალური – მანძილი გატყორცნის წერტილიდან იარაღის ჰორიზონტის ტრაექტორიის გადაკვეთამდე; დამიზნებული – მანძილი გატყორცნის წერტილიდან დამიზნების ხაზი ტრაექტორიის გადაკვეთამდე; დახრილი – მანძილი გატყორცნის წერტილიდან შეხვედრის წერტილამდე (მიზნამდე). ჰორიზონტალური – დახრილი მანძილის პროექცია იარაღის ჰორიზონტზე, ასევე გეოდეზიური (ტოპოგრაფიული) – მანძილი ქვემეხიდან მიზნამდე, რომელიც განსაზღვრულია რუკაზე (ხელსაწყოებით) ან ანალიტიკური ხერხით; გამოთვლილი – გეოდეზიური (ტოპოგრაფიული) სროლის მანძილი, რომელშიც შეტანილია სროლის პირობების შესწორებები. მორტირული – საცეცხლე მანძილი, რომელიც გათვლილია 45^0-ზე მეტი სროლის კუთხისთვის; გამიზნული – სროლის შედეგად განსაზღვრული; რიკოშეტული – საცეცხლე მანძილი, რომელიც გათვლილია 20^0-მდე და სხვ. სროლის პროცესში სროლის

მანძილის კორექტირება ხდება ვარდნის კუთხის ცვლილებით. საზენიტო არტილერიაში განასხვავებენ დახრილ და ჰორიზონტალურ სროლის მანძილს. სროლის მანძილს, რომელზეც ჭურვის (ტყვიის) დამაზიანებელი თვისებები საკმარისია მიზნის ეფექტური დაზიანებისთვის უწოდებენ ეფექტურ სროლის მანძილს.

174. **სტრატეგიული ლოგისტიკა –** შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის უმაღლესი რგოლი. ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს ჯარების (ძალების) დაჯგუფებების ლოგისტიკურ უზრუნველყოფას სამხედრო მოქმედებების თეატრის სიღრმეში და ქვეყნის ტერიტორიაზე. შეიცავს ცენტრის ლოგისტიკას და შეიარაღებული ძალების სახეობების ლოგისტიკების უმაღლეს რგოლებს. ცენტრის ლოგისტიკა არის **ს. ლ.** საფუძველი და შეიცავს ლოგისტიკის შენაერთებს, ნაწილებს და დაწესებულებებს (მათ შორის ბაზებს და საწყობებს მატერიალური საშუალებების მარაგებით) ცენტრალური დაქვემდებარებით, აგრეთვე სახელმწიფო რეზერვების ნაწილს და ომის წინაპერიოდში და მიმდინარეობის დროს შეიარაღებულ ძალებზე გადასაცემი სპეციალური ფორმირებები, დაწესებულებები და საწარმოები. შეიარაღებული ძალების სახეობების ლოგისტიკების უმაღლესი რგოლი შეიცავს ლოგისტიკური უზრუნველყოფის ძალებსა და საშუალებებს, რომლებიც უშუალოდაა დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლებს.

175. **სვლის მარაგი** (მანქანის) - მანძილი, რომელიც მანქანას შეუძლია გაიაროს საწვავის ერთი გამართვით; მანქანის მოძრაობადობის ერთ-ერთი მახასიათებელი. გაითვალისწინება მარშების გათვლის დროს.

176. **სხივური დაავადება** – წარმოიშვება ოგანიზმზე დოზებში მაიონიზებელი გამოსხივების ზემოქმედებით, რომლებიც დასაშვებს აღემატებიან. ადამიანს შესაძლოა მწვავე სხივური დაავადება(დიდ დოზებში დასხივებისას) ან ქრონიკული სხივური დაავადება(მცირე დოზებით სისტემატური დასხივებისას). მჟღავნდება სისხლძარღვის ორგანოების, ნერვიული სისტემის, კუჭნაწლავის და სხვა ორგანოების დაზიანებით.

177. **ტექნიკური დაფარვა (მიმოსვლის გზები)-** ღონისძიებების კომპლექსი მიმოსვლის გზების სიცოცხლისუნარიანობის და ნგრევების შემთხვევაში მათი აღდგენის უზრუნველსაყოფად; სატრანსპორტო უზრუნველოფის ერთ-ერთი ელემენტი. ტექნიკურ დაფარვას ექვემდებარებიან სარკინიგზო და საავტომობილო კვანძები, ხიდური გადასასვლელები, გვირაბები, საზღვაო და სამდინარო პორტები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები შიდა წყალსანაოსნო გზებზე. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის ბაზირების აეროდრომები, საველე მაგისტრალური და სტაციონარული მილსადენების ხაზები. ტექნიკური დაფარვის ძირითად ღონისძიებებს განეკუთვნებიან: მოწინააღმდეგის ყველაზე მოსალოდნელი თავდასხმის ობიექტების განსაზღვრა და ტექნიკური დაფარვის უზრუნველყოფის ძალებსა და საშუალებებზე სავარაუდო მოთხოვნილების პროგნოზირება; ძალების განაწილება და ტექნიკური დაფარვის ობიექტების მახლობლად;სარემონტო-აღდგენითი მასალების და კონსტრუქციების მარაგების შექმნა; ობიექტების ტექნიკური დაზვერვა; სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების წარმოება; ამ სამუშაოთა შემსრულებელი ქვედანაყოფების დაცვის და თავდაცვის ორგანიზაცია..

178. **ტექნიკური მომსახურება (სამხედრო ტექნიკის)** – ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სამხედრო ტექნიკის საიმედოობის შენარჩუნების, ექსპლუატაციის და შენახვის პროცესში გამოყენების მზადყოფნისთვის. შეიძლება იყოს პერიოდული ნამუშევარი ან კალენდარული და არაპერიოდული (შენახვისთვის ტექნიკის მომზადების ან განსაკუთრებულ პირობებში ექსპლუატაციის მიზნით). სამხედრო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების არსი მდგომარეობს: მისი გამართულობის და დაკომპლექტების შემოწმებაში, გაწმენდაში, შეზეთვაში, გამართვაში, რეგულირებაში, მიმდინარე რემონტის მოცულობით გაუმართაობის აღმოფხვრაში, კვანძებში დეტალების შეცვლაში და სხვ.

179. **ტექნიკური მომსახურების და რემონტის პუნქტი** –სამხედრო ნაწილის პარკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, განკუთვნილი შეიარაღების და ტექნიკის კომპლექსური ტექნიკური მომსახურების და რემონტის ჩასატარებლად, აგრეთვე სარგლამენტო სამუშაოების ჩასატარებლად. შედგება შეიარაღების და ტექნიკის სამუშაოების სახეობების მიხედვით უნიფიცირებული პოსტების და სამუშაო უბნებისგან.

180. **ტექნიკური რესურსი** – სამხედრო ტექნიკის ჯამური ნამუშევარი მდგომარეობამდე, რომელიც განსაზღვრულია საკონსტრუქტორო დოკუმენტაციით. გამოისახება საათობით და კილომეტრებით (მაგალითად მოტორესურსი), გასროლების რაოდენობით (ცეცხლსასროლი იარაღის სიცოცხლისუნარიანობა), ჩართვების რაოდენობა და სხვა. ტექნიკის ზღვრული მდგომარეობა განისაზღვრება მისი ეფექტიანობის დასაშვებ დონეზე დაბლა შემცირებით, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნებით ან მისი ტექნიკური მდგომარეობის დამოუკიდებლად (დანიშნული **ტ.რ.**). აღმდგენადი ტექნიკისთვის სრული **ტ. რ.** არის ჯამი რემონტამდე (პირველ კაპიტალურ რემონტამდე), რემონტთაშორისი (კაპიტალურ რემონტებს შორის) და რემონტის შემდეგ (ბოლო რემონტიდან ექსპლუატაციის ბოლომდე). სრული **ტ. რ.** ფარგლებში ინიშნება საგარანტიო რესურსი, რომლის დამთავრებამდე დამამზადებელი უზრუნველყოფს მის რემონტს თუ ამ პერიოდში არ იყო დარღვეული ექსპლუატაციის წესები.

181. **ტექნიკური თვალთვალის პუნქტი** – ბრძოლის პერიოდისთვის შექმნილი ჯარების ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანო. განკუთვნილია ბრძოლის ველზე საბრძოლო და სხვა მანქანებზე თვალთვალისა და მწყობრიდან გამოსული მანქანების ადგილმდებარეობის დასადგენად, მათი და ეკიპაჟების მდგომარეობის, დაზიანების და გაუმართაობის ხასიათისა და ხარისხის, ევაკუაციის და რემონტის ხერხის და სამუშაოების და ამისათვის საჭირო ძალების და საშუალებების დასადგენად. **ტ.თ.პ.** იქმნება სატანკო და მოტოქვეითთა ბატალიონებში (ზოგჯერ ასეულებში) და აღჭურვილია მაღალი გავლადობის ჯავშნიანი მანქანებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, თვალთვალისა და დაზვერვის ხელსაწყოებით.

182. **ტექნიკური უზრუნველყოფა** – ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ჯარების (ძალების) სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალებით, სამხედრო-ტექნიკური ქონებით უზრუნველყოფის, სამხედრო ტექნიკის ეფექტიანობის და საექსპლუატაციო საიმედოობის ამაღლების, მისი სწრაფი აღდგენის (რემონტის) და დაზიანებისას მწყობრში დაბრუნების მიზნით; საომარი (საბრძოლო) მოქმედებების უზრუნველყოფის სახეობა. ტექნიკური უზრუნველყოფა იგეგმება, ეწყობა და ხორციელდება ოპერატიულ უზრუნველყოფასთან და

ლოგისტიკის უზრუნველყოფასთან მჭიდრო ურთიერთქმედებით. ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის საფუძველს შეადგენენ მოძრავი ორგანოები და ჯარების მოქმედებების ზოლში არსებული ტექნიკური უზრუნველყოფის სტაციონარული ძალები და საშუალებები. ტექნიკური უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ხორციელდება ტექნიკური დაზვერვა.

183. **ტრანსპორტის გადატანის შესაძლებლობა** – გარკვეული დროის განმავლობაში (საათი, დღე–ღამე), მოცემულ გზებზე (ხაზები) მოცემული სატრანსპორტო საშუალებებით მაქსიმალურად შესაძლებელი გადაზიდვების მოცულობა, იზომება ტონებში ან მგზავრების რაოდენობით. გასათვალისწინებელია სამხედრო გადაზიდვების გეგმების შედგენის დროს.

184. **უზრუნველყოფის ნორმები**(მატერიალური საშუალებებით) – მატერიალური საშუალებების რაოდენობა, რომელიც დაწესებულია სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ქვედანაყოფებისთვის, სამხედრო ნაწილებისთვის (ხომალდებისთვის) ან შენაერთებისთვის დროის განსაზღვრულ პერიოდში გაცემისთვის.

185. **უსაფრთხოების ზომები** (სწავლებაზე) – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების, იარაღის და საბრძოლო ტექნიკის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით. მას განეკუთვნება: სწავლების რაიონის გაწმენდა აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისგან, ჯარების გადაადგილებისთვის საშიშ ადგილებში საკომენდანტო სამსახურის ორგანიზება, ხოლო წყლის წინაღობებზე – საძიებო –სამაშველო სამსახურების, ადგილმდებარეობის საშიში მონაკვეთების (ხევების, ჭაობების, სარკინიგზო გადასასვლელების, ნავთობ და გაზსადენების, გვირაბების და სხვ.) შემოღობვა (აღნიშვნა) და მათზე ჯარების გატარების წესის განსაზღვრა; ცეცხლის იმიტაციის, ბომბების და ფუგასების მონაკვეთების გამოყოფა და მათი შემოღობვა (დაცვა); სწავლების დამთავრების შემდეგ აუფეთქებელი ჭურვების, გამოუყენებელი საიმიტაციო საშუალებების –შეკრება და აფეთქება. საზღვაო სწავლების რაიონი სხვა ხომალდებისა და თვითმფრინავებისათვის (ვერტმფრენებისათვის) ცხადდება საშიშ ზონად.

186. **ფრენის მანძილი** – მანძილი, რომელსაც საფრენი აპარატი ფარავს ფრენის დაწყებიდან დამთავრებამდე. საწვავის მოცემული მარაგის პირობებში აეროდინამიკური საფრენი აპარატების ფრენის მანძილი დამოკიდებულია მის ტექნიკურ მონაცემებზე, აეროდინამიკურობის ხარისხზე, ფრენის რეჟიმზე (სიჩქარეზე და სიმაღლეზე ზღვის დონიდან), გარეთ ჰაერის ტემპერატურაზე, საფრენი აპარატის მასაზე, შეიარაღების და საწვავის ავზების რაოდენობაზე, ფრთის ისრისებულობის კუთხეზე, ასევე ქარის სიჩქარეზე და მიმართულებაზე. ბალისტიკური რაკეტის ფრენის მანძილი ძირითადად დამოკიდებულია ფრენის სიჩქარეზე და სიმაღლეზე გაქანების მანძილის ბოლოში.

187. **ფრენის სიმაღლე** – მანძილი ვერტიკალზე ფრენაში მყოფი საფრენი აპარატიდან ზედაპირის დონემდე, პირობითად მიღებული როგორც ნულოვანი. შეიძლება იყოს აბსოლუტური – ზღვის დონემდე; ფარდობითი – იზობარული ზედაპირის დონემდე, რომელიც ნორმალურს(760 მმ) შეესაბამება; ჭეშმარიტი – ზედაპირამდე, რომლის თავზე საფრენი აპარატი დაფრინავა. მიღებულია ფრენის სიმაღლის დაყოფა

ზღვრულ მცირე – 200 მ-მდე, მცირე – 1000 მ-მდე, საშუალო – 1000-4000 მ, დიდ – 4000-12000 მ, სტრატოსფერულ – 12000-40000 მ და მეზოსფერულზე 40000-80000 მ.

188. **ფულადი კმაყოფა** (სამხედრო მოსამსახურეების) – ჯარების(ძალების) ფინანსური უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი, სამხედრო მოსამსახურეების პირადი მატერიალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დაწესებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების შესაბამისად მათთვის ფულის რეგულარულად გადახდის სახით

189. **ქალაქგარე ზონა** – სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში ტერიტორია, განლაგებული ქალაქთან ახლოს და წარმოადგენს ბაზას მოსახლეობის განთავსებისათვის მოწინააღმდეგის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროების დროს. ქალაქიდან ქალაქგარე ზონის დაშორება და მისი საზღვრები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეირჩევა. მისი მომზადება წინასწარ ხორციელდება.

190. **ძალები სამხედრო სამსახურში, ომებსა და საომარ კონფლიქტებში** – სამხედრო სამსახური დიდხანს რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცის საქმედ. ქალების სამხედრო სამსახურში მიღება ბევრ ქვეყანაში დაიწყო მასობრივი არმიების გაჩენის შემდეგ. თანამედროვე პირობებში მშვიდობიან დროს ქალების სამხედრო სამსახურში შესვლა მეტწილ ქვეყნებში ხორციელდება ნებაყოფლობით საფუძველზე, კონტრაქტის მიხედვით.

191. **შეიარაღებული ძალების რეზერვი** – სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი სამხედრომომზადებული ადამიანთა კონტინგენტი, რომელთა დანიშნულებაა შეიარაღებული ძალების მობილიზაციით გაშლის და ომის დროს მათი შევსება. მრავალ ქვეყნებში იქმნება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი, სხვადასხვა მიზეზით სამხედრო სამსახურის არ გავლილი მოქალაქეებისგან და ქალებისგან, რომლებსაც სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა გააჩნიათ.

192. **შენიღბვა** – ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული მოწინააღმდეგისგან ჯარების(ძალების) და ობიექტების დაფარვაზე, მისი შეცდომაში შეყვანაზე ფარდობით ჯარების(ძალების) არსებობის, განლაგების, შემადგენლობის, მდგომარეობის, მოქმედებების და განზრახვების, აგრეთვე სარდლობის გეგმების; საბრძოლო(ოპერატიული) უზრუნველყოფის სახეობა, შენიღბვა ხელს უწყობს ჯარების(ძალების) უეცარი მოქმედებების მიღწევას, საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას და ცხოველქმედობის ამაღლებას. გამოყენების მასშტაბით და ამოცანების ხასიათით იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ შენიღბვად. სტრატეგიული შენიღბვა ხორციელდება უმაღლესი მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით და მოიცავს ღონისძიებების კომპლექსს მოწინააღმდეგისგან კამპანიის მომზადების, სტრატეგიული ოპერაციების დაფარვისთვის, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ფარდობით ჭეშმარიტი განზრახვების და მოქმედებების დეზორიენტაციისთვის. ოპერატიული შენიღბვა ხორციელდება ოპერაციის მომზადების დაფარვის, ოპერატიული უეცრობის მიღწევის, მოწინააღმდეგისგან ჯარების(ძალების) მთავარ მიმართულებებზე მოქმედებების დაფარვის მიზნით. წარმოებს დაჯგუფებების(ფლოტების) სარდლების გადაწყვეტილებით. ტაქტიკური შენიღბვა ორგანიზდება და ხორციელდება შენაერთებში, ნაწილებში და ქვედანაყოფებში და ცალკეულ ობიექტებზე ბრძოლისთვის მომზადების დაფარვისთვის ან საკუთარი ჯარების(ძალების) არტილერიის და რაკეტების

საცეცხლე(სასტარტო) პოზიციების, მართვის პუნქტების და სხვა ობიექტების განლაგების დაფარვისთვის. წარმოებს შეთანხმებულად საბრძოლო(ოპერატიული) უზრუნველყოფის სხვა სახეობებთან, შენაერთების(ნაწილების, ქვედანაყოფების) მეთაურების გადაწყვეტილებით, პირადი შემადგენლობით საკუთარი ძალებით და საშუალებებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რომლებიც სპეციალურ საშუალებებს და ტექნიკას მოითხოვენ სპეციალური ჯარების ნაწილებით და ქვედანაყოფებით ხორციელდება. იმის გათვალისწინებით, დაზვერვის რომელი საშუალებების წინააღმდეგ ხორციელდება, განასხვავებენ ოპტიკურ, ოპტიკურ-ელექტრონულ, რადიოლოკაციურ, ბგერით(აკუსტიკურ), ჰიდროაკუსტიკურ და სხვა შენიღბვას. მოწინააღმდეგის დაზვერვის საშუალებების წინააღმდეგ ყველაზე მეტი ეფექტიანობა მიიღწევა შენიღბვის ერთდროულად გამოყენების დროს. შენიღბვა ხორციელდება მუდმივად საბრძოლო მოქმედებების მომზადების და მისი მსვლელობისას და მიიღწევა სამხედრო საიდუმლოს შენარჩუნებით, ჯარების ფარული განლაგებით, ადგილმდებარეობის შენიღბვის თვისებების, შეზღუდული ხილვადობის და ტექნიკური საშუალებების, იმიტაციის, ბოლების, აეროზოლების, დემონსტრაციული მოქმედებების, ჯარების, პოზიციების და ობიექტების განლაგების ცრუ რაიონების, შეიარაღების და ტექნიკის შემნიღბავი შეღებვის, მოწინააღმდეგის დეზინფორმაციის გამოყენებით.

193. **ჩატვირტის (გადმოტვირთვის) რაიონი** – ტერიტორია, სადაც წარმოებს ჯარების და მატერიალური საშუალებების ჩატვირთვა (გადმოტვირთვა). ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) რაიონი მოიცავს: რამდენიმე რკინიგზის სადგურს, პორტს, ნავმისადგომს, აეროდრომს, (საშვეულმფრენო მოედანს); ჩატვირთვის წინ ლოდინის რაიონებს (ჩატვირთვის შემდეგ შეკრების რაიონს); საავტომობილო მისასვლელ გზებს, ხოლო ზღვით გადაყვანა-გადაზიდვისას – ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) სარეიდო და საპორტო პუნქტებს.

194. **ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) პუნქტი** – სანაპიროს მონაკვეთი მიმდებარე აკვატორიითურთ, რომელიც განკუთვნილია იმ ხომალდების და ტრანსპორტების სატვირთო ოპერაციების წარმოებისთვის, რომლებიც კომუნიკაციებით სამხედრო და ეკონომიკური ხასიათის გადაზიდვას ახორციელებენ. ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) პუნქტებში სატვირთო ოპერაციები შეიძლება სრულდებოდეს როგორც ამწეებით აღჭურვილ ნავმისადგომებთან, ისე სანაპიროს მოუწყობელ მონაკვეთებზე და რეიდებზე სახომალდო (გემების) ჩასატვირთ-გადმოსატვირთი მოწყობილობების და მცურავი საშუალებების მეშვეობით.

195. **ცურვადობის მარაგი** – ხომალდის(გემის) კორპუსის წყალგაუმტარი მოცულობა განთავსებული წყლის ხაზის ზემოთ. იზომება წყალწყვისგან პროცენტებში, განსაზღვრავს წყლის როდენობას, რომლის მიწოდებას ხომალდი სრულ ჩაყვინთამდე უძლებს. ცურვადობის მარაგი მისი ჩაუძირვადობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. თანამედროვე წყალზედა ხომალდებისთვის და სამგზავრო გემებისთვის ცურვადობის მარაგი შეიძლება 100% -ს აღწევდეს, მშრალტვირთიანისთვის – 30 – 50%, ტანკერებზე 40 – 45%. წყალქვეშა ნავის ცურვადობის მარაგი განისაზღვრება როგორც სხვაობა მისი წყალქვეშა და წყალზედა წყალწყვებს შორის, აღწევს 10 – 35%.

196. **ცურვის მანძილი** – მანძილი, რომელიც ხომალდს(გემს) შეუძლია გიაროს მოცემული სიჩქარით საწვავის მარაგის სრული დახარჯვის ან ხომალდის ავტონომიურობის ვადის გასვლამდე; ხომალდის ერთ-ერთი მთავარი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებელი. გაითვლება განსაზღვრული წყალწყვის ხომალდისთვის სხვადასხვა სიჩქარეებისთვის. ცურვის მანძილი მოწმდება ხომალდის აგების, რემონტის ან მოდერნიზაციის შემდეგ სვლის გამოცდების დროს საწვავის ხარჯის მონაცემების მეშვეობით. ბირთვული დანადგარების ხომალდებისთვის – მთავარი, დამხმარე მექანიზმების და სისტემების მაქსიმალურად დასაშვები უწყვეტი მუშაობის დროით.

197. **ცხოველქმედება** – ჯარების(ძალების) და სამხედრო ტექნიკის უნარი შეინარჩუნონ ან სწრაფად აღადგინონ საკუთარი საბრძოლო უნარი. ჯარების ცხოველქმედება უპირველეს ყოვლისა მიიღწევა მდგრადი მართვით, ჯარების და ძალების დროული დაშორიშორებით და ჯარების განლაგების რაიონების შეცვლით, შენიღბვით, ჯარების მასიური დაზიანების იარაღისგან დაცვით, ძალების და საშუალებების რეზერვის შექმნით და სხვა. სამხედრო ტექნიკის ცხოველქმედება განისაზღვრება მის დამუშავებაზე ტაქტიკურ-ტექნიკური დავალებით, ინერგება დამუშავების პროცესში და ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებენ. ყველა სახის სამხედრო ტექნიკას ცხოველქმედების საკუთარი პარამეტრები გააჩნია. ასე მაგალითად, საარტილერიო ქვემეხის ცხოველქმედება ფასდება გასროლების რაოდენობით, რომელსაც ლულა უძლებს სროლის მანძილის და შექუჩებულობის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე.

198. **წყალმომარაგების პუნქტი** – წყლის მოპოვების, გაწმენდის, შენახვისა და გაცემის ადგილი. ხასიათდება მოპოვებული წყლის მოცულობით კუბომეტრებით საათში (დღე–ღამეში). **წ.პ.** ეწყობა არსებულ ან ახლად მოწყობის ჭაბურღილებზე, ჭებზე, წყაროებზე.

199. **წყალქვეშა ნავის ამოყვინთვა** – წყალქვეშა ნავის წყალქვეშა მდგომარეობიდან წყალზედა მდგომარეობაში გადასვლის, ან დიდი სიღრმიდან ნაკლებზე ვერტიკალურ სიბრტყეში გადაადგილების პროცესი. წყალქვეშა ნავის ამოყვინთვა როგორც წესი ხორციელდება 4 ეტაპად: პირველი – ამოყვინთვა უსაფრთხო სიღრმეზე(30-40 მ); მეორე – ამოყვინთვა პერისკოპის სიღრმეზე(8-15 მ); მესამე – ამოყვინთვა პოზიციურ მდგომარეობაში; მეოთხე – კრეისერულ მდგომარებაში გადასვლა.

200. **წყალწყვა** [ხომალდის(გემის)] – მოტივტივე ხომალდით(გემით) გამოდევნილი წყლის რაოდენობა. ხომალდის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. განასხვავებენ მოცულობით წყალწყვას, რომელიც ხომალდის(გემის) წყლის ხაზის წყალქვეშა ნაწილის მოცულობის ტოლია და მასობრივ – ხომალდის(გემის) მასის ტოლი. წყალწყვა იცვლება წყლის კუთრი წონის და ნაოსნობის რაიონის შესაბამისად, იზომება $მ^3$. მასობრივი წყალწყვა მუდმივია, იზომება ტ. ხომალდის(გემის) დატვირთვის მდგომარეობით წყალწყვა შეიძლება იყოს: სტანდარტული – ხომალდის მასა მთლიანად დაკომპლექტებული ეკიპაჟით, მექანიზმებით, იარაღით, საბრძოლო მასალებით, სურსათ-სანოვაგით და სასმელი წყლით, მაგრამ საწვავის, საპოხი მასალების მარაგების და ქვაბებისთვის წყლის გარეშე; ნორმალური – სტანდარტული პლუს 50% საწვავის, საპოხი მასალების სასმელი წყლის

მარაგებიდან; სრული – სტანდარტული წყალწყვა სრული მარაგებით და ტვირთებით; უმეტესი – სრული წყალწყვა პლუს ცვალებადი ტვირთები სპეციფიურ ნორმებზე მეტი. ცარიელი – ტვირთების, პირადი შემადგენლობის, საბრძოლო მასალების, სურსათ-სანოვაგის, საწვავის, საპოხი მასალების წყლის გარეშე. წყალქვეშა ნავებისთვის განასხვავებენ წყალზედა და წყალქვეშა წყალწყვას. წყალქვეშა მეტია წყაზედაზე წყლის მასით, რომელსაც მთავარი ბალასტის ცისტერნები იღებენ წყალქვეშა ნავის ჩაყვინთვისას.

201. წყლისმიერი დაბრკოლება – ბუნებრივი ან ხელოვნური წყლის წინაღობა (მდინარე, ტბა, სრუტე, არხი, წყალსაცავი და სხვ.). ხასიათდება სიგანით, სიღრმით, დინების სიჩქარით, ფსკერის და ნაპირების ხასიათით, ფონების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გადასალახავად ხელსაყრელი ადგილების არსებობით.

202. ჭრილობა–1) დაზიანება (სიმრთელის დარღვევა) კანის, ლორწოვანი გარსის და შიდა ქსოვილების ან ადამიანის ორგანოების, რომელიც იწვევს მათი ფორმისა და ფუნქციების დარღვევას. იყოფა ცეცხლსასროლ და არაცეცხლსასროლ, აგრეთვე მსუბუქი და მძიმე, ცალკეული და მრავლობით, იზოლირებული და შეხამებული; 2. ჭრილობის მიყენების აქტი.

203. ხალხის რესურსი – მოსახლეობის ქმედითუნარიანი ნაწილი, რომელიც დაკავებულია ეკონომიკაში ან სამხედრო სამსახურებში ან აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული შეიარაღებული ძალების შესავსებად, ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და ეკონომიკური მობილიზაციის ჩასატარებლად, სახელმწიფოს სხვა თავდაცვითი პროცესების გადასაწყვეტად. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ შრომით რესურსებს, რომლებიც დანიშნულია ეკონომიკის ყველა სფეროს მშრომელებით შესავსებად და სამობილიზაციო რესურსი, რომელიც დანიშნულია შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო გაშლისათვის და მათი დანაკარგების შესავსებად.

204. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა – ტექნიკური, საორგანიზაციო და სახანძრო–პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა ხანძრების პროფილაქტიკა და ჩაქრობა, მისი ორგანიზაცია ხორციელდება შესაბამისი სახელმძღვანელოთი.

205. ხარჯვის ლიმიტი – 1) მატერიალური საშუალებების(ცალებში, წონის, მოცულობით ან სხვა მაჩვენებლების) ზღვრული რაოდენობა, რომელიც გაერთიანებას(შენაერთს, ნაწილს, ხომალდს) განსაზღვრულ პერიდში გაეცემა ოპერაციაში(ბრძოლაში), მარშისთვის, ან საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფის ხარჯვისთვის. ჯარებისთვის ხარჯვის ლიმიტი დაიყვანება იმ სარდლობის დირექტივებით(ბრძანებებით), რომლებსაც ისინი აწესებენ. 2) ოპერაციაში (ბრძოლაში), ან განსაზღვრული პერიოდისთვის, ან ცალკეული ღონიძიებების (სწავლებები, მანევრები და ა.შ.) ჩატარებისთვის ყოველდღიური საქმიანობის, საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფისთვის რესურსის გამოყენების ზღვრული ნორმა ავიაციის, ჯავშანსატანკო, ხომალდების და სხვა ტექნიკისთვის. ხარჯვის ლიმიტი განისაზღვრება: სატრანსპორტო ავტომობილებისთვის – გარბენის კილომეტრებში, დანარჩენი ტექნიკისთვის – ციკლებში, საათებში და მოტოსაათებში(კილომეტრებში).

206. ხარჯვის ნორმები(მატერიალური საშუალებების) – მატერიალური საშუალებების რაოდენობა (ანგარიშსწორება-მომარაგების ერთეულებში, ცალობითი, მასის, მოცულობის ერთეულებში და სხვა) დაწესებული ერთ მომხმარებელზე(სამხედრო მოსამსახურეზე, იარაღის, სამხედრო ტექნიკის ერთეულზე, ქვედანაყოფზე, სამხედრო ნაწილზე, შენაერთზე, გაერთიანებაზე) დროის ერთეულში ან განსაზღვრული ამოცანის (სამუშაოს) შესრულების ხარჯვისთვის. ძირითადი სახეობების მატერიალური საშუალებების ხარჯვის ნორმები წესდება თავდაცვის მინისტრის და მისი მოადგილეების ბრძანებებით ექსპერიმენტალური და საანგარიშო მონაცემების საფუძველზე.

207. ხე-მიწის საცეცხლე წერტილი – ფორტოფიკაციული ნაგებობა საარტილერიო-სატყვიამფრქვევო ცეცხლის წარმოებისთვის. იგებოდა ხე-ტყის, გრუნტის, ქვების და სხვა მასალებისგან.

208. ხომალდის დინამიკა – ხომალდის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი კარი, რომელიც წყნარ წყალზე და ღელვის დროს მოძრაობისას ხომალდის(გემის) წყლის გარემოსთან ურთიერთქმედებას სწავლობს. ხომალდის დინამიკა ამუშავებს გათვლების მეთოდებს, რომლებიც ხომალდის სავალ ხარისხებთან და მის კონსტრუქციულ ელემენტებთანაა დაკავშირებული.

209. ხომალდის იძულებითი შემოსვლა – უძველესი ადათი, რომელიც საგანგებო ვითარებაში(ავარია, ძლიერი ქარიშხალი, სამედიცინო დახმარების აუცილებლობა და ა.შ.) ითვალისწინებდა სამხედრო ხომალდების უცხო ქვეყნების წყლებში და პორტებში შესვლის უფლებას, წინასწარი ნებართვის მიღების გარეშე, მაგრამ მოცემული სახელმწიფოს პორტის ხელმძღვანელობის შეტყობინებით.

210. ჯარების განსახლება – სამხედრო ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებების და სამხედრო–სასწავლო დაწესებულებების განთავსება მათთვის გამოყოფილ ადგილებზე (დასახლ. პუნქტებში, სამხედრო ქალაქებში, ბანაკებში, პოლიგონებში და სხვ.), რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო პირობებს მათი ყოველდღიური ცხოვრების, საქმიანობის და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შენაერთებისთვის.

211. ჯარების მომარაგება – იხ. მატერიალური მომარაგება.

212. ჰაუპტვახტი – სპეციალური სათავსო პატიმრობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების განთავსებისთვის.

213. ჰიდროაკუსტიკური სადგური – ჰიდროაკუსტიკური საშუალებები, რომლებიც ელექტრულ, ელექტრონულ და სხვა ხელსაწყოებს აერთიანებენ. მათი დანიშნულებაა აკუსტიკის მეთოდებით წყალზედა და წყალქვეშა ობიექტების შესახებ ინფორმაციის მიღება – მიზნების ძებნა, აღმოჩენა და კლასიფიკაცია, მათი კოორდინატების და მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრა, იარაღის გამოყენებისთვის საწყისი მონაცემების მიღება, აგრეთვე ამოცნობისთვის და წყალქვეშა ბგერითი კავშირისთვის, ნაოსნობის უსაფრთხოების და წყალქვეშა ნავიგაციის უზრუნველყოფა და სხვა. შეიძლება იყოს ჰიდროაკუსტიკური კომპლექსის ელემენტი. მოქმედებების პრინციპით განასხვავებენ პასიურებს – ობიექტის გამოსხივების შედეგად ბგერითი სპექტრის მიღების და აქტიურებს – ბგერითი იმპულსის გამოსხივების და მიზნისგან არეკლილი სიგნალის მიღების პრინციპზე; განლაგების ადგილით – სახომალდო, საავიაციო, სტაციონარული და პოზიციური.

214. ჰოსპიტალი – სამხედრო (სამოქალაქო) სამკურნალო – პროფილაქტიკური დაწესებულება, რომლის დანიშნულებაა სამხედრო მოსამსახურეებისთვის კვალიფიური და სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და მათი სტაციონალური მკურნალობა.

215. ჰოსპიტალური ბაზა – სამედიცინო დაწესებულება ლოგისტიკის შემადგენლობაში, რომელიც მოიცავს მმართველობას, ჰოსპიტლებს, მომსახურების და უზრუნველყოფის ნაწილებს და ქვედანაყოფებს. ჰოსპიტალური ბაზა აწარმოებს: დაჭრილების და ავადმყოფების მიღებას, მათ სამედიცინო დახარისხებას; კვალიფიციური დასრულების და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას; იმ პირების მკურნალობას, რომლებიც დაწესებული დროის ზღვრებში შეუძლიათ მწყობრში დაბრუნება; დაზარალებულების, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვენ დროებით ჰოსპიტალიზაციას მკურნალობას და ევაკუაციისთვის მომზადებას. ჰოსპიტალური ბაზის შემადგენლობაში ჩართული არიან სხვადასხვა პროფილის დასახარისხებლები, საველე მოძრავი და სპეციალიზირებული ჰოსპიტლები.

ლექცია 12

შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ტერმინოლოგია

1. **აბსოლუტური იარაღი** – ბირთვული იარაღის ერთ-ერთი პირველი სახელწოდება. ტერმინი პირველად გამოჩნდა II მსოფლიო ომის დროს გერმანიაში, ვინაიდან იქ იყო ამ იარაღის შექმნის მცდელობა.
2. **ადამსიტი** – გამაღიზიანებელი მოქმედების მომწამლავი ნივთიერება. ყვითელი ან მწვანე ფერის კრისტალური ნივთიერება. დნობის ტემპერატურა 195^{0}C, დუღილის 410^{0}C. საბრძოლო მდგომარეობა – აეროზოლი. მოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე, იწვევს ზედა სასუნთქი ორგანოების გაღიზიანებას, ზღვრული კონცენტრაცია 0,0001მგ/ლ, მწყობრიდან საშუალოდ გამოყვანის 0,005მგ/ლ. მოქმედება 5-10 წამში მყღავნდება. ჩნობილი 1-ლი მსოფლიო ომის ბოლოდან. ადამსიტისგან დაცვა – აირწინაღი.
3. **აეროფოტოაპარატი** – საფრენი აპარატებიდან აეროფოტოგადაღებისთვის მომარჯვებული ფოტოაპარატი. აეროფოტოაპარატის მუშაობის მართვა სამეთაურო ხელსაწყოს მეშვეობით ხორციელდება ავტომატურად. აეროფოტოაპარატები იყოფება ტოპოგრაფიულებად, როგორც წესი მოკლე ფოკუსიანი და სადაზვერვოდ(მიმოხილვის) – გრძელფოკუსიანი; დღის, ღამის, დედამიწის ზედაპირის ხელოვნური განათების პიროტექნიკური ან ელექტრონული და ლაზერული საბორტო შუქის წყაროებით და უნივერსალური. თანამედროვე აეროფოტოაპარატის მახასიათებლებია: ფოკუსური მანძილი 50-3000 მმ, შუქის ძალა 1:2 –დან 1:8 – მდე, გარჩევითი უნარი 20-80 ხაზ/მმ, ფოტოფირების მარაგი 2000 მ-დე, ციკლის ხანგრძლივობა წამში 1-დან 8 კადრამდე.
4. **აეროფოტომოწყობილობა** – საბორტო და მიწისზედა საშუალებები აეროფოტოგადაღებისთვის, შესაბამისი სურათების მიღებისთვის, მათი შესწავლისთვის და ფოტოდოკუმენტების შედგენისთვის. საბორტო აეროფოტომოწყობილობა იყოფა გადასაღებ, სადაც შედის აეროფოტოაპარატურის ფრენის კომპლექტი და სტაციონალურად, რომელსაც განეკუთვნებიან აეროფოტოდანადგარები და მოწყობილობები ფრენის დროს გადაღებების უზრუნველსაყოფად. მიწისზედა აეროფოტომოწყობილობა – ფოტომასალების დამუშავების და შესწავლის ტექნიკური საშუალებები. მათ განეკუთვნებიან ფოტოლაბორატორული მოწყობილობა, ფოტოგრამმეტრიული ხელსაწყოები, აეროფილმების და ფოტოასლების დეშიფრირების, აგრეთვე ფოტოდოკუმენტების დამზადების მოწყობილობები.
5. **აეროპლანი** – თვითმფრინავის ძველი სახელწოდება
6. **აეროსტატი** – საფრენი აპარატი(ჰაერზე მსუბუქი), რომლის ამწევი ძალა გარსში(ბალონში) მოთავსებული ატმოსფერულ ჰაერზე უფრო მჩატე აირის (წყალბადი ჰელიუმი, გახურებული ჰაერი) დახმარებით იქმნება. აეროსტატებს განასხვავებენ – თავისუფალი ფრენის(მართვადი, მათ შორის დირიჟაბლები და არამართვადი) და მიბმულებს. შედგება გარსისგან, კიდული სისტემისგან, ფრენის მართვის აპარატურისგან და მარგი ტვირთისგან.სამხედრო მიზნებისთვის თავისუფალი ფრენის(პილოტირებადი,ავტომატური, რადიოზონდები) და მიბმული

(არტილერიის ცეცხლის კორექტირება, საჰაერო წინაღობა) აეროსტატები გამოიყენება. პირველი აეროსტატი 1783წ. ფრანგებმა ჟ. და ე. მონგოლფიებმა ააგეს.

7. **აირბალონური იარაღი** – შხამიანი აირით თხევად მდგომარეობამდე შევსებული ფოლადის ბალონები; 1-ლი მსოფლიო ომის პერიოდის ქიმიური იარაღის სახეობა. გამოიყენებოდა ეგრეტ წოდებული სააირო შეტევის სახით – დიდი რაოდენობის ბალონებიდან აირის ერთდროული გამოშვებით, რომლის შედეგად შხამიანი ღრუბელი წარმოიქმნებოდა. საკმაოდ ეფექტური ქიმიური საარტილერიო და ავიაბომბების შექმნით აირბალონურმა იარაღმა მნიშვნელობა დაკარგა.
8. **აირსატყორცნი** – სპეციალური ნაღმსატყორცნი მოკლე ლულით 9-27 კგ მომწამლავი ნივთიერების შემცველობის ნაღმებით 1,2 კმ – მდე მანძილზე სროლისთვის. პირველად 1-ლ მსოფლიო ომში(1917წ.) ინგლისის ჯარმა გამოიყენა.
9. **აირსიგნალიზატორი** – ავტომატური ხელსაწყო ჰაერის მდგომარების უწყვეტი ან პერიოდული კონტროლისა და სიგნალების გაცემისთვის მასში გამოჩენილი ტოქსიკური ნივთიერებები აირ- და ორთქლისებრ მდგომარებაში. შეუძლია კონტროლი ადგილზე(ლოკალური აირსიგნალიზატორი) ან მანძილზე (დისტანციური აირსიგნალიზატორი).
10. **აირტურბინიანი ძრავა** – თბოძრავა, რომელიც წინასწარ შეკუმშულ გაცხელებულ აირის თბოენერგიას აირის ტურბინის ლილვზე მექანიკურ მუშაობად და/ან რეაქტული აირის ნაკადის კინეტიკურ ენერგიაში გარდაქმნის. აირტურბინიანი ძრავის ძირითადი ელემენტებია აირტურბინა, კომპრესორი და წვის კამერა. კომპრესორით შეკუმშული ჰაერი, რომლის ჟანგბადი საწვავის დამჟანგავად, კამერაში საწვავის წვის პროდუქტებთან აირევა და სამუშაო სხეულის სახით ტურბინის და მაძრავის(ტანკის მუხლუხა და სხვა) მოქმედებაში მოყვანისთვის გამოიყენება. ყველაზე მეტად გავრცელებულია ტურბოხრახნული, ტურბოლილვიანი და ტურბორეაქტიული აირტურბინიანი ძრავები. მათში საწვავის სახით გამოიყენება საავიაციო ნავთი(სტაციონარული აირტურბინიანი ძრავებისთვის შესაძლოა გამოყენებული იქნას მაზუთი, ტორფი და სხვა)
11. **ალაბერდა** - (ფრანგ. *hallebarde*), ცივი იარაღი, მოგრძო შუბი მასზე დამაგრებული ნაჯახით. ქვეითი ჯარის შეიარაღებაში იყო XIV–XVI სს. შემდეგ გამოიყენებოდა როგორც საპარადე იარაღი.
12. **ამბრაზურა** - (ფრანგ. embrasure – სათოფური), თავდაცვითს ნაგებობებსა და ჯავშნიან კოშკებში დატანებული სარკმელი ქვემეხით, ნაღმსატყორცნით და ტყვიამფრქვევით ცეცხლის დასაშენად. ა-ის ფორმა და ზომა დამოკიდებულია იარაღის სახეობაზე, სროლის სექტორზე და სხვა.
13. **ამფეთქი** – საბრძოლო მასალის მოქმედებაში მოყვანის ავტომატური მოწყობილობა. ამოიყენება საარტილერიო ჭურვებსა და ნაღმებში, საზღვაო ნაღმებში, რაკეტების და ტორპედოების საბრძოლო ნაწილებში და ავიაბომბებში. წარმოადგენს ელტიან დამოუკიდებელ კონსტრუქციას ან შედგება რამოდენიმე რომლებიც კონსტრუქციულად დაკავშირებული არ არის ნაწილებისგან, რომლებიც კონსტრუქციულად დაუკავშირებულები არიან. შეიძლება იყოს სათაო, ფსკერის, გვერდითი, ცენტრალური და სხვა. მოქმედების პრინციპით განასხვავებენ: კონტაქტურ ამფეთქს(მექანიკურ, ელექტრომექანიკურ, ელექტროქიმიურ, პიეზოელექტრულ, მყისიერ, ინერციალური ან შენელებული მოქმედების);

დისტანციურ ამფეთქს(სათიანი, პიროტექნიკური, ელექტრონული და ელექტრომექანიკურ) – ამუშავდება ტრაექტორიაზე მათზე დაწესებული დროის გავლის შემდეგ; უკონტაქტო ამფეთქებს(რადიოამფეთქებს, ელექტრონულ-ოპტიკურ, აკუსტიკურ, მაგნიტურ,ჰიდროდინამიკურ, სეისმურ და სხვა) – ამუშავდება ამ ამფეთქისთვის დამახასიათებელი ველს ზემოქმედების შედეგად; კომბინირებულ ამფეთქებს ჩამოთვლილი მოქმედებების პრინციპების შეხამებით. ამფეთქები მე – 16 საუკუნეში საარტილერიო ჭურვების გასკდომითი მოქმედების ჭურვების შექმნისთანავე გაჩნდა.

14. **ამფეთქი მოწყობილობა** – საბრძოლო მასალის სხვადასხვა ადგილას განლაგებული ამფეთქი, რამოდენიმე კონსტრუქციულად დაუკავშირებელი, მაგრამ ურთიერთქმედების ნაწილებისგან შედგება. მაგალითად, სანჟინრო ნაღმის ამფეთქი მოწყობილობის მიზნის გადამწოდი მიზნის ზემოქმედებას ან მართვის პუნქტიდან კომანდას აითვისებს და ნაღმის მოქმედებაში მომყვან ამფეთქი მოწყობილობის საშემსრულებლო ნაწილში სიგნალს გადასცემს.
15. **ამონიტები** – ბრიზანტული ამიაკურ-სელიტრული ასაფეთქებელი ნივთიერება; ამიაკის სელიტრის მექანიკური ნარევი საწვავებთან და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებასთან. სელიტრის ნარევს ტროტილთან ეწოდება ამატოლები, ალუმინთან და ტროტილთან – ამონალები, ხის ფქვილთან – დინამონამები და სხვა. ამონალებს ტროტილთან შედარებით დაბალი მახასიათებლები გააჩნია. გამოიყენებოდა 1-ლ და მე-2 მსოფლიო ომებში; მშვიდობიანობის დროს გამოიყენება მიწისქვეშა ასაფეთქებელი სამუშაობებისთვის.
16. **ანტენა** – რადიოტალღების უშუალო გამოსხივების და (ან) მიღების მოწყობილობა. ერთობლივად მუშაობს რადიოგადამცემთან ან რადიომიმღებთან. ანტენები იყოფა: დანიშნულების მიხედვით – გადამცემი, მიმღები და მიმღებგადემცემებად; სიხშირეების დიაპაზონის გამოყენებით – ზეგრძელი, გრძელი, საშუალო, მოკლე და ულტრამოკლე ტალღების; კონსტრუქციის კვალობაზე – მავთულიანი (ვიბრატორული), აკუსტიკური, ოპტიკური ტიპის, ჩარჩოიანი, სპირალური და სხვა. განსაზღვრული სახით განლაგებულ ერთი ტიპის ანტენების ერთობლიობას საანტენო გისოსი ეწოდება. ანტენის ძირითადი პარამეტრებია: მიმართულობის დიაგრამა, მარგი ქმედების კოეფიციენტი, მიმართული მოქმედების კოეფიციენტი, გაძლიერების კოეფიციენტი, სიხშირის მახასიათებელი და სხვა. ანტენის საშუალებით შესაძლებელია ძალიან სუსტი რადიოსიგნალების მიღება, რადიოტალღების წყაროების ადგილსამყოფელის განსაზღვრა, მიმართული რადიოგადაცემის წარმოება.
17. **ანტენების ველი** - მიმღები და გადამცემი ანტენების ჯგუფი საანტენო – ფიდერული მოწყობილობით, რომელიც შეზღუდულ ტერიტორიაზეა განლაგებული. იქმნება სტაციონარული ან საველე რადიოსადგურების, რადიოკვანძების და რადიოცენტრების შემადგენლობაში, ასევე ხომალდებზე.
18. **ანტიდეტონატორები** – საავიაციო და საავტომობილო ბენზინებში მათი ოქტანური რიცხვის გაზრდისთვის მცირე რაოდენობით(1%-მდე) დამატებული მისართი. ხელს უწყობს მათ უდეტონაციო წვას კარბურატორული ძრავების ცილინდრებში. ყველაზე გავრცელებული ანტიდეტონატორია – თეთრაეთილტყვია

19. **ანტიდოტები** – წამლის საშუალება ადამიანის ორგანიზმზე ტოქსიკური ზემოქმედების გაფრთხილების ან მოცილება ან ცხოველისეული შხამების და მომწამლავი ნივთიერებების. მოქმედების ხასიათით ანტიდოტები შეიძლება იყოს უნივესალური – ყველა სახეობის მომწამლავი ნივთიერების საწინაღო (სორბენტები, კერძოდ აქტივირებული ნახშირი) და სპეციფიური – განსაზღვრული ჯგუფის ან მომწამლავი ნივთიერების კონკრეტული სახეობის საწინაღო. ბოლო სახეობას განეკუთვნება ატროპინე, ტოქსოგონინი – ფოსფორორგანული მომწმლავი ნივთიერებების საწინაღო; ამულნიტრიტი, ნატრიუმის ნიტრიტე – ციანიდებისგან; იმუნული შრატები – ტოქსინებისგან და ზოგიერთი დაბალმოლეკულარული სინთეთური შხამებისგან.
20. **ანტიფრიზები** – სითხეები, რომლებიც დაბალი ტემპერატურეს დროს არ იყინებიან და საავიაციო, ავტომობილების, ტანკების და სხვა ძრავებში გაგრილების სისტემებში გამოიყენება. ძირითადად ეტილენგლიკოლის წყლის ხსნარი ანტიკოროზიული და სხვა მისართების დამატებით. ეთილენგლიკოლის ხარჯის მეშვეობით ღებულობენ სითხეებს გაყინვის სხვადასხვა ტემპერატურით (-75^0-მდე).
21. **ანძა** – 1) სახომალდო ანძა, ვერტიკალური, ზოგჯერ ოდნავ დახრილი ლითონის ან ხის კონსტრუქცია, ჩვეულებრივ ხომალდის(გემის) დიამეტრულ სიბრტყეში დადგმული და მის ზედა გემბანზე შემაღლებული. დანიშნულება - მათზე თვალთვალის რადიოელექტრონული და ოპტიკური ხელსაწყოების, გემთტარების, კავშირგაბმულობის, ალმების და სხვა სიგნალების აწევის და სხვათა განთავსება. სატრანსპორტო გემებზე სატვირთო ისრები მაგრდება. იალქნიან ხომალდებზე – იალქნების დადგმისთვის. 2) სახმელეთო(სანაპირო) ანძა ვერტიკალური ნაგებობა, რკინა-ბეტონის, ლითონის ან ხის ბოძის სახით – რადიო, რადიოსარელეო და სხვა ანტენებისთვის, ელექტრო გადამცემი ხაზებისთვის და თვალთვალის და კავშირის საგუშაგოებზე რეიდული სიგნალების ასაწევად.
22. **აპარატები საჰაერო ბალიშზე** - სატრანსპორტო და საბრძოლო საშუალება, რომელიც ინარჩუნებს მდებარეობას წყლის ან ხმელეთის ზედაპირზე ჰაერის ჭარბი წნევის ხარჯზე. შედგება პლატფორმის და ენერგეტიკული დანადგარისგან, რომელსაც გააჩნია რამდენიმე დაბალწნევიანი მაღალი წარმადობის ვინტილიატორისგან შემდგარი ამწევი სისტემა, რომლებიც ჰაერის ბალიშს და მოძრავ კომპლექსს ქმნიან.
23. **აპარელი** - (ფრანგ. appareil – ჩამოსასვლელი), 1. სამხედრო-საინჟინრო საქმეში – მცირედ დაქანებული ჩასასვლელი ციცაბო ადგილებში. აკეთებენ უმთავრესად სანგრებში, აგრეთვე ავტომობილების შესაფარებში; გადასაცურ საშუალებებზე სამხედრო ტექნიკით დამტვირთავი სპეციალური მოწყობილობა. ციხესიმაგრეებში ა. ეწყობოდა ქვემეხების ასატანად შემაღლებულ ადგილებზე; 2. დამრეცი ბაქანი ან ყრილი რკინიგზის მოძრავ შემადგენლობაზე თვითმავალი ტექნიკის დასატვირთად; 3. საგანგებო მისასვლელი შენობის შემადგენელ ნაწილთან.
24. **აქტიურ-რეაქტიული ჭურვი(ნაღმი)** – საარტილერიო ჭურვი(ნაღმი) რეაქტიული დანადგარით. აქვს ჩვეულებრივი ჭურვის სახე, რომლის კორპუსში რეაკტიული ძრავაა განთავსებული, რომელიც ჭურვს ტრაექტორიაზე დამატებით სიჩქარეს ანიჭებს. ამ გზით მისი ფრენის მანძილი 20-40%-ით მატულობს.

25. **არააალებადი გასროლა** – ცეცხლსასროლი იარაღის ლულის წინ უხილავი ალით გასროლა. მიიღწევა უპირველეს ყოვლისა ოპტიმალური ბალისტიკური პროექტირების ხარჯზე, რომელიც ლულაში დენთის სრულ წვას ჭურვის(ნაღმის, ტყვიის) მისგან გამოვარდნამდე უზრუნველყოფს, აგრეთვე მუხტის შემადგენლობაში ალჩამქრობი დამატებების და სპეციალური ლულისწინა მოწყობილობებით.
26. **არაუკუგორებადი ქვემეხი** - კუთხვილიანი ან გლუვლულიანი ქვემეხი, რომლის გასროლასაც არ ახლავს ლულის უკუსვლა. გასროლის დროს დენთის აირების ნაწილი გამოედინება ლულის სახაზინო ნაწილის ერთი ან რამდენიმე საქშენიდან; ამის შედეგად წარმოიქმნება რეაქტიული ძალა, რომელიც აწონასწორებს უკუცემის ძალას და გამოირიცხავს ლულის უკუსვლას.
27. **არბალეტი** - (ფრანგ. *arbalète*), სატყორცნი იარაღი; ხის კონდახზე დამაგრებული ფოლადის მშვილდი სასხლეტი მექანიზმით. გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში.
28. **არკებუზა** – ფითილიანი ლულიდან დასატენი იარაღი; დასავლეთ ევროპაში ხელის ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი პირველი ნიმუში. გაჩნდა მე-15 საუკუნის 1-ლ მესამედში. სროლა წარმოებდა სპეციალური საყრდენით ქვის, შემდგომში ტყვიის მრგვალი ვაზნებით. მე-16 საუკუნეში შეიცვალა მუშკეტით.
29. **ასაფეთქებელი ნივთიერებები** – იხ. ენციკლოპ. ა – 201
30. **ასაფეთქებელ-პაკეტი** – სარტილერი ჭურვების, ნაღმების და ყუმბარების გასკდომების იმიტაციის საშუალება. შედგება წყალგაუმტარ გარსში მოთავსებული საკვამლე დენთისაგან (30-80 გ) და აალების საშუალებისგან – ცეცხლგამტარი ზონარისგან. ზონარის აალების შემდეგ ასაფეთქებელ-პაკეტის ამუშავების დრო – 7-9 წმ. ტყორცნის უსაფრთხო მანძილი – არა ნაკლებ 10 მ. სმენადობის მანძილი და კვამლის ხილვადობა – 2 კმ – მდე. ასაფეთქებელ-პაკეტის შენახვა და გამოყენება გაფრთხილების ზომების დაცვას მოითხოვს.
31. **ატომმსვლელი** – ბირთვული ენერგეტიკული დანადგარით სამოქალაქო გემების სახელწოდება. პირველ ატომმსვლელად გახდა ყინულმჭრელი „ლენინი" (სსრკ), აშშ სამგზავრო-სატვირთო ატომმცვლელი „სავანა" მწყობრში ჩადგა 1962წელს.
32. **ატომური არტილერია** - სპეციალური საარტილერიო ქვემეხები, რომლებიც ისვრიან მხოლოდ და მხოლოდ ბირთვულ საბრძოლო მასალებს. პირველი ასეთი ქვემეხი გახდა ამერიკული 42,6 *ტ* მასის 280-*მმ* ზარბაზანი (1951). 50-იან წლებში ატომური არტილერიის შემუშავება ხორციელდებოდა სსრ კავშირშიც: დამზადდა 406-*მმ.* „კონდენსატორ" ზარბაზნის და 420-*მმ* „ოკა" ნაღმსატყორცნის რამდენიმე საცდელი ნიმუში მუხლუხა თვითმავალ შასიზე. მაგრამ ისინი არ მიუღიათ შეიარაღებაზე მეტისმეტად დიდი გაბარიტისა და მასის (დაახლოებით 65*ტ*), აგრეთვე იმის გამო, რომ გაჩნდა შესაძლებლობა, შეექმნათ ნაკლები კალიბრის საარტილერიო ბირთვული ჭურვები, რომელთა სროლა შეიძლებოდა საველე არტილერიის ჩვეულებრივი ქვემეხებიდან. ამის გამო ტერმინი ხმარებიდან გამოვიდა.
33. **ატომური ბომბი** – იხ. ბირთვული საბრძოლო მასალები
34. **ატომური ფლოტი(სამხედრო)** – ბირთვული ენერგეტიკული დანადგარით სხვადასხვა კლასის კომალდების და გემების განზოგადოებული სახელწოდება. მოიცავს წყალქვეშა ნავებს(ატომურ წყალქვეშა ნავებს, წყალქვეშა ნავებს

ატომური ბალისიკური რაკეტებით) და წყალზედა ხომალდებს(ავიამზიდებს, კრეისერებს, ყინულმჭრელებს და სხვა). ქვეყნებს, რომლებსაც ატომური ფლოტი გააჩნიათ(აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) ის სამხედრო-საზღვაო ძლიერების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი დამრტყმელი ძალის საფუძველს შეადგენს. წყალქვეშა ნავები ატომური ბალისიკური რაკეტებით – საზღვაო სტრატეგიული ბირთვული ძალების ერთ-ერთ მთავარ კოპონენტს წარმოადგენს. თანამედროვე ატომური ფლოტი – საზღვაო ძალების ისტორიული განვითარების მე-4 თაობაა(ნიჩბიანი, იალქნიანი და ორთოქლის ფლოტის შემდგომ). პირველი ამერიკული წყალქვეშა ნავი „ნაუტილუსი" მწყობრში ჩადგა 1954წელს. პირველი ატომური წყალზედა ხომალდები ასევე ამერიკული „ლონგ-ბიჩი" და ავიამზიდი „ენტერპრაიზი".

35. **ავაქს-ი** (ინგლ. AWACS) – ამერიკული საავიაციო სისტემა საჰაერო და წყალზედა მიზნების შორეული რადიოლოკაცირი აღმოჩენის, ავიაციის და საჰაერო თავდაცვის საშუალებების საბრძოლო მოქმედებების მართვისთვის. შეიარაღებაზე მიღებულია 1976წ. მის საფუძველს „ბოინგ 707" ბაზაზე თვითმფრინავები E-3 („სენტრი") წარმოადგენენ. ცნობილია მოდიფიკაციები E-3A, - 3B, 3C, -3D და 3F, ისინი საბორტო მოწყობილობების შემადგენლობით განსხვავდებიან, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰაერში და ზღვაზე ვითარების რადიოლოკაციურ ცონტროლს და მიზნების ამოცნობის(აღმოჩენის) შემდგომ მათ თანხლებას, სახმელეთო და სახომალდო მართვის ცენტრებში მონაცემების ავტომატურ გადაცემას, საჰაერო მიზნებზე გამანადგურებელ-გადამჭერების დამიზნებას და შემდგომში ბაზირების პუნქტებში მათ გაყვანას, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისთვის მიზანჩვენების კომანდების გადაცემას, ტაქტიკური და საგემბანო ავიაციის მოქმედებების მართვას, მათ შორის მოწინააღმდეგის მიერ რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების გამოყენების პირობებში მათ ურთიერთქმედებას სახმელეთო და ფლოტის საშუალებებთან. შაჰაერო მიზნებს ამოიცნობს პრაქტიკულად მათი ფრენის ყველა სიმაღლეზე და სხვადასხვა სიჩქარეზე 150-630 კმ, წყალზედა მიზანს 100-400 კმ რადიუსში, ერთდროულად თანხლებს 100 (E-3B) ან 300-400 (E-3C, -3A) საჰაერო მიზნებს. ავაქსი-ს თვითმფრინავებს პატრულირება შეუძლიათ 9-10 კმ სიმაღლეზე.

36. **ავია** – რთული სიტყვების ნაწილი, რომელიც „საავიაციოს" აღნიშნავს (მაგ., ავია ჯგუფი).

37. **ავიაცია** – (ფრანგ. aviation – ლათ. avis – ფრინველი), 1. დედამიწის ირგვლივ საჰაერო სივრცეში ფრენისათვის განკუთვნილი ჰაერზე უფრო მძიმე, საფრენი აპარატების განზოგადებული სახელწოდება; 2. იმ ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც საავიაციო საფრენ აპარატებს იყენებენ, აქვთ აეროდრომები და უზრუნველმყოფი ტექნიკა; 3. შეიარაღებული ბრძოლის საშუალება და საჰაერო სატრანსპორტო საშუალება. განასხვავებენ სამხედრო და სამოქალაქო ავიაციას. ტერმინი „სამხედრო ავიაცია" ჩვეულებრივ იდენტურია ცნებისა სამხედრო საჰაერო „ძალები". პირველი თვითმფრინავები შენდებოდა ემპირიულად, თვითმფრინავმშენებლობის მეცნიერული ბაზები არ არსებობდა. მხოლოდ IX ს. დამლევს – XX ს. დამდეგს გაჩნდა თეორიული და მეცნიერული გამოკვლევები ავიაციის დარგში. დაიწყო ფრენის თეორიის შემუშავება. თვითმფრინავის პირველი წარმატებული ფრენა მოეწყო 1903 წ. 17 დეკემბერს (ამერიკელი მექანიკოსები ძმები

უ. და ო. რაიტები). ამის შემდეგ შეიქმნა სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. მათი სიჩქარე 90–120 *კმ/სთ*-ს შეადგენდა. ა-ის გამოყენებამ I მსოფლიო ომში განსაზღვრა თვითმფრინავების, როგორც ახალი საბრძოლო საშუალების მნიშვნელობა, გამოიწვია მათი დაყოფა გამანადგურებლებად, ბომბდამშენებად მზვერავებად. თვითმფრინავებზე დაიწყეს ბომბდამშენი და სასროლი შეიარაღების დაყენება. მეომარმა ქვეყნებმა I მსოფლიო ომის წლებში აწარმოეს 165 ათასზე მეტი თვითმფრინავი, გააუმჯობესეს მათი მახასიათებლები. მაგალითად გამანადგურებლის სიჩქარე აღწევდა 200–220 *კმ/სთ*-ს, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე გაიზარდა 2-დან 7 *კმ*-მდე. მოგვარდა საავიაციო ძრავებისა და მოწყობილობის წარმოება, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი დაწესებულებები. 20-იანი წწ.-დან თვითმფრინავმშენებლობაში ფართოდ გამოიყენება დურალუმინი. 30-იანი წწ. შუახანებიდან თვითმფრინავების კონსტრუქციაში გადავიდნენ ბიპლანიდან მონოპლანზე, ამან გაზარდა გამანადგურებლების სიჩქარე 560-580 *კმ/სთ*-მდე. 30-იანი წწ. დამლევს გაჩნდა საავიაციო რეაქტიული ძრავა. ომის შემდეგ ფართო განვითარება პოვა რეაქტიულმა ა-მ. აქტიურად ვითარდებოდა შვეულმფრენმშენებლობა. ტურბოხრახნული და ტურბორეაქტიული ძრავების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა არა მარტო გაზრდილიყო ფრენის სიჩქარე და სიმაღლე, არამედ მნიშვნელოვნად გადიდებულიყო თვითმფრინავების ტვირთამწეობა და ფრენის სიშორე. 70-იან წწ. სამხედრო-საჰაერო ძალებში თვითმფრინავების სიჩქარე აღწევდა 3000–3500 *კმ/სთ*, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 20 *კმ*-ზე მეტს, ფრენის სიშორე 10000 *კმ*-ზე მეტს. 80–90-იან წწ. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა თვითმფრინავების სიჩქარის, სიმაღლის, ფრენის სიშორის, მარგი დარტვირთვის ზრდას, შემოკლებული აფრენისა და დაშვების თვითმფრინავების შექმნას, ვერტმფრენების სრულყოფას, დაზიანების საავიაციო საშუალებათა ეფექტიანობის ამაღლებას. ა-ის განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საჰაერო-კოსმოსური თვითმფრინავის და მრავალგზის გამოყენების საჰაერო-კოსმოსური სატრანსპორტო ხომალდების შექმნაში.

38. **სამხედრო ავიაცია** განკუთვნილია საჰაერო სივრცეში სამხედრო (საომარი) მოქმედებისათვის. დანიშნულებისა და დაქვემდებარების კვალობაზე მეტ წილ ქვეყნებში მოიცავს საარმიო (სახმელეთო ჯარების) ავიაციას საფრონტო (ტაქტიკურ) შორეულ (სტრატეგიულ), საჰაერო თავდაცვის, საზღვაო, სამხედრო-სატრანსპორტო და სპეციალურ ავიაციას. გადასაწყვეტი ამოცანებიდან და მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე იყოფა გვარეობების მიხედვით ბომბდამშენ (რაკეტმზიდ), გამანადგურებელ-ბომბდამშენ (ტაქტიკური გამანადგურებლები), გამანადგურებელ, მოიერიშე, სადაზვერვო, ნავსაწინაღო, სამხედრო-სატრანსპორტო და სპეციალურ ავიაციად. შეიარაღებაზე არის საბრძოლო, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრენები, სხვა საფრენი აპარატები. სამხედრო ავიაციის საბრძოლო ძლიერების საფუძველია მრავალი სახის საავიაციო შეიარაღებით აღჭურვილი ზებგერითი საყოველამინდო თვითმფრინავები.
39. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რადიოსარადარო სისტემებისთვის „უხილავი“ საფრენი აპარატები და დისტანციური მართვის თვითმფრინავების შექმნას.

40. **სამოქალაქო ავიაცია** განკუთვნილია მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მომსახურებისათვის. გამოიყენება აგრეთვე ადგილმდებარეობის აეროფოტოგადაღების, წიაღისეულის დაზვერვისათვის და სხვ. მთელ რიგ ქვეყნებში მოიცავს საჰაერო ტრანსპორტის რეგიონულ სამმართველოებს, საწარმოო გაერთიანებებს, ავიაკომპანიებს, აეროპორტებს, სასწავლო-საწვრთნელ ცენტრებს, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ორგანიზაციებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
41. **ავიაცია საქართველოში** პირველი საფრენი აპარატის შექმნის ცდა, ზოგიერთი ცნობით, ეკუთვნის შალვა ერისთავს (1835). 1907 ბათუმელმა მექანიკოსმა ვ. ბასენსკიმ ააგო პირველი ზამბარიანი საფრენი აპარატი, რომელიც უპილოტოდ 20 *მ.* სიმაღლეზე აფრინდა. 1908 საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი პილოტი ტაილორი, რომელიც ქუთაისში ტრაგიკულად დაიღუპა 1910 წელს. 1908 თბილისელმა გიმნაზიელმა ა. შიუკაშვილმა ააგო პლანერი და 1908 წ. 5 მაისს მახათას მთიდან გადმოფრინდა. 1910 კიეველ, წარმოშობით ფრანგი, ნ. დელონეს ხელმძღვანელობით თბილისში ააგეს „დელონეს“ სისტემის პლანერი. 1914 წელს (უფროსი ნ. ჯიბლაძე) შეიქმნა თბილისის აეროკლუბი, ამ კლუბის თაოსნობით ვაკის მოედანზე საჩვენებელ გაფრენებს აწარმოებდნენ პირველი ქართველი ავიატორები ბ. ქებურია, მ. მაჭავარიანი, მ. აბაშიძე, გ. ავალიანი, ვ. ერისთავი, მ. გრიგორაშვილი, ძმები ალ. და ან. იაკობაშვილები, კ. ცომაია და ა. საღარაძე. 1931 ჩამოყალიბდა საქართველოს საჰაერო ფლოტის სამმართველო. 30-იან წლებში შ. ჭანკოტაძემ, ავიაციის გენერალ-მაიორმა, პირველმა გადაუფრინა კავკასიონს. ნ. ხუბულავა იყო პირველი ქართველი ავიატორი ქალი.
42. ცნობილია ამერიკაში მცხოვრები ქართველი კონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი (1896, თბილისი – 1974 ნიუ-იორკი).
43. **ავიაციის ბაზირება** - საავიაციო ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების (გაერთიანებების) მიერ სააეროდრომო ქსელის, ავიამზიდი ხომალდების, ბაზების, საწყობების, მიმოსვლის გზების, ადგილობრივი რესურსებისა და იმ საწარმოო ფონდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ განლაგების, საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების, ყოველდღიური საქმიანობისა და საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის საჭირო პირობებს. ბაზირების სიღრმეს (ფრონტის ხაზიდან დაცილებას) განსაზღვრავს ავიაციის გვარეობების დანიშნულება, შესასრულებელი ამოცანები, თვითმფრინავების (ვერტმფრენების) საფრენოსნო-ტაქტიკური მახასიათებლები, აგრეთვე აეროდრომების (დასაფრენი მოედნების) არსებობა და ავიაციის საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფის ყველა სახეობის შესაძლებლობები.
44. **ავიაჰორიზონტი** – საპილოტაჟო-ნავიგაციური გიროსკოპიური ხელსაწყო, ნამდვილი ჰორიზონტის ან ნამდვილი ვერტიკალის ფარდობით საფრენი აპარატის მდგომარეობის განსაზღვრისთვის, ე.ი. დაგვერდების და ტანგაჟის კუთხეების გაზომვისთვის.
45. **ავიამზიდი** – წყალზედა ხომალდი, რომლის ძირითად საბრძოლო საშუალებებს წარმოადგენს სახომალდე (საგემბანე) თვითმფრინავები და ვერტმფრენები. ავიამზიდები შეადგენენ მოწინავე ქვეყნების ფლოტის საერთო დანიშნულების ძალების საფუძველს და წარმოადგენენ სტანდარტული დამრტყმელი ძალების

მნიშვნელოვან რეზერვს. XX საუკუნის ბოლოსათვის საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო საზღვაო ძალებში ირიცხებოდა 25-ზე მეტი ავიამზიდი. ა-ს აქვს ასაფრენი გემბანი, 2–4 კატაპულტი, გემბანისქვეშა ანგარები, ლიფტები საფრენი აპარატის ამოსაწევად, ჩასაწევად და სხვ. თავდაცვისთვის იგი აღჭურვილია საზენიტო–სარაკეტო კომპლექსით და უნივერსალური არტილერიით. განასხვავებენ მრავალმიზნობრივ, დამრტყმელ და ნავსაწინაღო ავიამზიდებს.

46. **ავიამზიდი ავიაცია** – იხ. საზღვაო ავიაცია.
47. **ავიამზიდი ხომალდი** – სხვადასხვა კლასის წყალზედა ხომალდების(გემების) სახელწოდება, რომლებსაც საავიაციო საფრენი აპარატების სახომალდო ბაზირების და გამოყენების უზრუნველყოფის უნარს ფლობენ. ავიამზიდ ხომალდებს განეკუთვნებიან ავიამზიდები, ვერტმფრენმზიდები, მძიმე ავიამზიდი კრეისერები და სხვა.
48. **ავიეტკა** – მსუბუქი ერთი ან ორადგილიანი სპორტული თვითმფრინავი 100ცხ. ძალამდე სიმძლავრის ძრავით. პირველი ავიეტკების სიჩქარე 100კმ/სთ, ფრენის სიმაღლე 2000მ-დე, ხოლო მასა 200-700კგ. ავიეტკის განვითარების შედეგად მოხდა გადასვლა სასწალო და სასწალო-სავარჯიშო თვითმფრინავების შექმნაზე.
49. **ავიზო** – მომცრო სწრაფმავალი ხომალდი საშიკრიკო სამსახურისა და დაზვერვისთვის. მრავალ ქვეყანაში ამ მიზნებისთვის სპეციალური აგებულების ხომალდები გამოიყენებოდა. რადიო კავშირის დანერგვით ავიზოების გამოყენება პრაქტიკულად შეწყდა.
50. **ავტო..** – „ავტომატური", „თვითმავალი", „საავტომობილო", „ავტო.." მნიშვნელობის რთული სიტყვების ნაწილი,
51. **ავტოჩამოსასხმელი სადგური** – სპეციალური ავტომობილი სამხედრო ტექნიკის დეგაზაციის, დეზაქტივაციის და დეზინფექციისთვის. ქვს ცისტერნა, მექანიკური და ხელის ნასოსები, მილსადენები და წელა გამფრქვევით. ზოგიერთ ავტოჩამოსასხმელ სადგურს წყლის და სითხეების გამათბობელი გააჩნიათ.
52. **ავტოგამყვანი** – ნავიგაციური ხელსაწყო ხომალდის ადგილის მიმდინარე კოორდინატების გამოთვლისთვის და რუკაზე(პლანშეტზე) ან დისპლეიზე მისი გზის გრაფიკული გამოსახვისთვის. შედგება გამოთვლითი მოწყობილობისგან, ჩამწერი კვანძისა და დამაგრებული რუკით(პლანშეტით) გამყვანი მაგიდისგან. საწყისი წერტილის კოორდინატების გარდა გამოთვლებისთვის საწყისი მონაცემებია: ხომალდის კურსი და სიჩქარე ან მათ მიერ გავლილი გზა, რომელიც კურსის მაჩვენებლისგან(გიროაზიმუტისგან) შესაბამისად მიიღება; ნავიგაციური პარამეტრები – ავტოგამყვანთან რადიონავიგაციური სისტემის შეუღლებული მიმღებინდიკატორებისგან. ვიდეო ავტოგამყვანებში ხომალდის გზის გაყვანა და ადგილის განსაზღვრა ხორციელდება ელექტრონული ხერხით დისპლეის ეკრანზე, ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებზე, ხოლო ნაოსნობის რაიონში ნავიგაციური ვითარება ეკრანზე ელექტრონულ-გამოთვლით მანქანების მეხსირებაში შენახული ელექტრონული რუკის მეშვეობით აისახება.
53. **ავტოჯავშანსატანკო ჯარები** – სსრკ წითელ არმიაში 1934-42წ.წ. ჯარების გვარეობა. მოიცავდნენ მექანიზირებულ კორპუსებს, ცალკეულ სატანკო დივიზიებს და მოტომსროლელი და საკავალერიო დივიზიების სატანკო პოლკებს. 1942წ.

ჯავშანსატანკო და მექანიზირებული ჯარები ეწოდებოდა, 1954წ.-ჯავშანსატანკო, ხოლო 1960 წლიდან სატანკო ჯარები.

54. **ავტომატი** – ინდივიდუალური სასროლი იარაღი, ვაზნისთვის დამუშავებული, რომელსაც შაშხანის და პისტოლეტის ვაზნებს შორის შუალედური მდგომარეობა უკავია. ზოგ ქვეყნებში ანალოგიურ იარაღს სხვა სახელწოდება აქვს(მაგ. საიერიშო შაშხანა). ჩვეულებრივი შაშხანების დადებითი თვისებები (მისაღები სროლის მანძილი და სიზუსტე) ეხამება პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს (მაღალი სწრაფსროლას, მცირე მასას და გაბარიტებს). ამერიკულ 5,56-მმ M16A2 საიერიშო შაშხანას აქვს მასა 3,6კგ, სროლის ტემპი 800 გასროლა/წთ, მჭიდის მოცულობა 20 ან 30 ვაზნა. რუსული AK74 – მასა 3,7კგ, გამიზნული მანძილი 800მ, სროლის ტემპი 600 გასროლა/წთ.
55. **ავტომატური იარაღი** ცეცხლსასროლი იარაღი, რომელშიც გადატენა და შემდეგი გასროლა ხდება ავტომატურად წინა გასროლის ენერგიის ხარჯზე. ავტომატურ იარაღს განეკუთვნება: ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ავტომატური შაშხანა, პისტოლეტი, ყუმბარმტყორცნი და საარტილერიო ქვემეხი.
56. **ავტომატური პლანეტთაშორისი სადგური**. – უპილოტო კოსმოსური აპარატი ციურ სხეულებთან და მთვარის, მზის სისტემის და პლანეტთაშორისი სივრცის შესასწავლად სამეცნიერო აპარატურის მიწოდებისთვის.
57. **ავტომატური სროლა** იხ. ენციკლოპ. ავტომატური იარაღიდან ჯერით ან უწყვეტი სროლა; ავტომატური იარაღიდან სროლის ძირითადი სახეობა. გასროლა ხდება ერთი მეორის მიმდევრობით იმ დროის შუალედით, რომელიც განსაზღვრულია სროლის ტემპით.
58. **ავტოპილოტი** – საფრენი აპარატის ფრენის მართვის ავტომატური საშუალება ხელით პილოტირებისას საფრენი აპარატი მდგრადობას ზრდის. შედის საავიაციო საფრენი აპარატების მართვის ავტომატური სისტემის პილოტაჟის კომპლექსში. ავიგაციური, დაფრენის, დამიზნების და სხვა სიტემების მონაცემებით, პრაქტიკულად საფრენი აპარატის ფრენის ყველა ეტაპზე – აფრენიდან დაფრენამდე მართვას უზრუნველყოფს. ჩვეულებრივ საჭეების ზედაპირებზე(ელერონები სიმაღლის და მიმართულების საჭეები) მართვის სამი არხი გააჩნია. ავტოპილოტით პირველი ფრენა დემონსტრირებული იქნა 1914წ. პარიზში ამერიკული თვითმფრინავით.
59. **ავტოსადეგაზაციო სადგური** – მომწამლავი ნივთიერებებით დასნებონებული სანივთე ქონების ორთქლაირიანი ან სითხიანი ხერხით დეგაზაციისთვის მოძრავი საშუალება. შედგება ძალური, ორი სადეგაზაციო და ერთი დამხმარე მანქანებისაგან, რომლებზედაცსპეციალური მოწყობილობაა მონტირებული. ავტოსადეგაზაციო სადგური აგრეთვე სამოსელის დეზინფექციისა და დეზინსექციისთვის გამოიყენება.
60. **ავტოსატრაქტორო ტექნიკა** – იხილე საავტომობილო ტექნიკა
61. **ავტოსატვირთავი** – თვითმავალი ამწევ-სატრანსპორტო მანქანა ცვლადი მუშა მოწყობილობით, რომლის დანიშნულებაა ტვირთების დაჭერა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადაადგილებისთვის და ჩაწყობისთვის. გამოიყენება ჯარებში, აეროდრომებზე, საწყობებში ჩატვირთვის-გადმოტვირთვის მექანიზაციისთვის.

62. **ალსაქრობი** – 1) ლულის ალის თავიდან ასაცილებლად, დენთის სატყორცნ მუხტში ემატება დანამატები (გოგირდმჟავა კალიუმი), რომელიც თავსდება მუხტის ზევით და უკუალის ჩასაქრობად (ცეცხლსაქრობი დენთის გარკვეული რაოდენობა მაალებელთან ერთად თავსდება მუხტის ქვედა ნაწილში). 2) ცეცხლსასროლი იარაღის ლულაზე ცილინდრის ან მილძაბრის ფორმის მოწყობილობა – გასროლის დროს ლულის ალის მნათების შესამცირებლად. ზოგჯერ ალსაქრობის როლს ასრულებს ლულის მუხრუჭი.
63. **ანტირაკეტა** – ანტირაკეტა რაკეტსაწინაღო კომლექსის საცეცხლე საშუალება. ჰიპერბგერითი (ფრენის სიჩქარე 3000 მ/წამ. და მეტი), მაღალმანევრული რაკეტა. ანტირაკეტები იყოფა: მიზნის გადაჭერის სიმაღლის მიზედვით – ზეატმოსფერულ (100 კმ-ზე მეტი), ატმოსფერულ (20-100 კმ) და მცირე სიმაღლიანი (20 კმ-მდე); საბრძოლო ნაწილის ტიპის მიხედვით – ჩვეულებრივი და ბირთვული აღჭურვილობით; მართვის სისტემის ტიპის მიხედვით – ტელემართვადი, თვითდამიზნების და კომბინირებული. თანამედროვე ანტირაკეტები გამოირჩევიან დამიზნების დიდი სიზუსტით, შეუძლიათ მიზანი დააზიანონ ჩვეულებრივი აღჭურვილობის საბრძოლო ნაწილითაც კი (მსხვრევადი, მსხვრევად-ფუგასური).
64. **ასაფეთქებელი კოჭი** – გარკვეული ფორმის ასაფეთქებელი მუხტი. გამოიყენება საინჟინრო ნაღმების ასაფეთქებლად. აქვს ბუდე საინიციატივე საშუალებებისათვის, რომელიც დაფარულია პარაფინით და პარაფინიან ქაღალდშია გახვეული. გავრცელებულია ტროტილის დაწნეხილი კოჭები მასით – 75, 200 და 400 გ.
65. **ასაფეთქებელი მანქანა** – ელექტროხერხით მუხტის ასაფეთქებლად გამოსაყენებელი ელექტრო დენის გენერატორი. ა.მ. როტორი ბრუნვაში მოდის ზამბარით ან ამძრავი სახელურით.
66. **ასაფეთქებელი საშუალებები** – გამოიყენება აფეთქებისათვის (ასაფეთქებელი მუხტი), საინიციატივო საშუალებები (კაპსულა-დეტონატორები, ელექტრო-დეტონატორები, ამნთები, ცეცხლგამტარი სადეტონატორო ზონარები, ამნთები მილები, ამფეთქებლები) და აგრეთვე დენის წყაროები (ასაფეთქებელი მანქანები, აკუმულატორები), საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და სხვა.
67. **ბორანი** – პირადი შემადგენლობისა და ტექნიკის გადასაყვანი მცურავი საშუალება, გამოიყენება წყალზე სამუშაოების შესასრულებლად და ტივტივა ხიდის ელემენტებად. ბორნები იყოფა: გადასაზიდი, სპეციალური (წყალზე საინჟინრო სამუშაოების შესასრულებლად) და სახიდე. თანამედროვე საბორნე ხიდები, რომლების შედგება პანტონებისაგან აქვთ ტვირთამწეობა 20–360 ტ., გადაადგილების სიჩქარე 6-15 კმ/სთ. რაც ხორციელდება კატარღებით, მოტორიანი ნავებოთა და ამფიბიებით.
68. **ბალისტა** - (გერმანული ballistic – ვისვრი), მეცნიერება სროლის პრინციპით ხელოვნური სხეულების მოძრაობის შესახებ. სამხედრო საქმესთან დაკავშირებით სწავლობს საარტილერიო ჭურვების (ნაღმების, ტყვიების, რაკეტებისა და სხვა), როგორც თავისუფლად გასროლილი სხეულების მოძრაობას. ბ-ის ძირითადი შემადგენლებია შიდა და გარე ბალისტიკა. შიდა ბ. სწავლობს ჭურვის მოძრაობას ლულის არხში დენთის აირების მოქმედებით. მისი ძირითადი განყოფილებებია: პიროსტატიკა, პიროდინამიკა, იარაღის ბალისტიკური დაპროექტება, აგრეთვე შუალედური ბ. (შემდგომი მოქმედების პერიოდი) და დენთის რაკეტების შიდა ბ..

გარე ბ. სწავლობს ჭურვების მოძრაობას ლულიდან და მისგან მომდინარე აირებთან თანამოქმედების შეწყვეტის შემდეგ. გარე ბ-ის ძირითადი შემადგენლებია: ფრენის დროს ჭურვზე მოქმედი ძალებისა და მომენტების შესწავლა; ჭურვის მოძრაობის შესწავლა ტრაექტორიის ელემენტების გასაანგარიშებლად, აგრეთვე მისი მდგრადობისა და გაფანტვის განსასაზღვრისათვის.

69. **ბალისტიკური მახასიათებლები** - პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ გასროლის (რაკეტის გაშვების), ჭურვის (ნაღმის, რაკეტის და სხვა), ლულის არხში (გამშვებ დანადგარზე) და ტრაექტორიაზე მოძრაობის პროცესის განვითარების კანონზომიერებებს. ძირითად შიდაბალისტიკურ მახასიათებლებს განეკუთვნება იარაღის კალიბრი, ჭურვის მასა, მუხტსათავსის მოცულობა, დატენის სიმჭიდროვე, ლულის არხში ჭურვის გზის სიგრძე, სატყორცნი მუხტის მასა, დენთის ძალა, დენთის აირების გაფართოების პარამეტრები. ბ.მ-ებს აგრეთვე განეკუთვნება მაქსიმალური წნევა და ფორსირების წნევა ლულის არხში, დენთის წვის პროგრესულობის მახასიათებლები, სარაკეტო მუხტის მასა და ფორმა, სარაკეტო ძრავის კონსტრუქციული პარამეტრები და სხვა. გასათვალისწინებელია გარებალისტიკური – ბალისტიკური კოეფიციენტი, ჭურვის საწყისი სიჩქარე და მისი ტყორცნის კუთხე, რეაქტიული წევა, ჭურვის სიჩქარე და მიზანთან მისვლის კუთხე განბნევა და სხვა.

70. **ბალისტიკური რაკეტა** - რაკეტა, რომლის ფრენა, აქტიური განაკვეთის გარდა, ხორციელდება ბალისტიკური ტრაექტორიით (თავისუფლად ნასროლი სხეულის ტრაექტორიით). ფრთოსანი რაკეტისაგან განსხვავებით, ბალისტიკურ რაკეტას არა აქვს სპეციალური აეროდინამიკური ზედაპირები ატმოსფეროში ფრენისას ამწევი ძალის შესაქმნელად. იყოფა მართულ და უმართავ, ერთ და მრავალსაფეხურიან რაკეტებად. გამოიყენება საბრძოლო, რაკეტამატარებლების, საკვლევი რაკეტების სახით და სხვა. საბრძოლო ბალისტიკური რაკეტები შედის სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებისა და წყალქვეშა ნავების სახომალდე-სარაკეტო კომპლექსების შემადგენლობაში. ბალისტიკურ რაკეტას, რომლის ფრენის სიშორე აღემატება 6500 კმ-ს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ეწოდება. პირველ საბრძოლო ბალისტიკურ რაკეტად ითვლება გერმანული ფაუ-2.

71. **ბალისტიკური სამიზნე** – ხელსაწყო ცეცხლსასროლი და რეაქტიული იარაღის ბალისტიკური მახასიათებლების და სროლის ეფექტურობის განსაზღვრისთვის. ჩვეულებრივ, ბალისტიკურ ტრასაზე ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილზე ორ სამიზნეს განათავსებენ, რომლებიც გამავალი ჭურვის (ტყვიის, რაკეტის და სხვა) მდგომარეობას აფიქსირებენ. კონტაქტურ ბალისტიკურ სამიზნეზე(ჩარჩო-სამიზნე) იმპულსები საკონტაქტო მოწყობილობის ჩართვის ან გამორთვის ხარჯზე ფორმირდება. უკონტაქტოში – ფოტოელექტრული, ოპტიკურიდა სხვა მსგავსი მოწყობილობების გამოყენებით. ტერმინი გამოიყენება სამიზნეების დასახელებისთვის, რომლებიც საჰაერო თავდაცვის და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისთვის რეალური მიზნების აღსანიშნავად.

72. **ბალისტიკური ტრასა** - საარტილერიო პოლიგონზე სპეციალურად გამართული ადგილის მონაკვეთი საარტილერიო ჭურვების (ნაღმების, რაკეტებისა და სხვა) მოძრაობის შესასწავლად. აღიჭურვება ბალისტიკური სამიზნეებითა და

ბალისტიკური ხელსაწყოებით. მათი მეშვეობით სროლის პროცესში და სროლის შედეგების დამუშავებისას განისაზღვრება აეროდინამიკური მახასიათებლები წინსვლითი და რხევითი მოძრაობის, განბნევის პარამეტრები და სხვა.

73. **ბალისტიკური ხელსაწყოები** – სპეციალური მოწყობილობები გასროლის, რაკეტის გაშვების და ტრაექტორიაზე მომხდარი პროცესების კვლევებისთვის. უზრუნველყოფენ დენთების და სარაკეთო საწვავის, შიდაბალისტიკური მახასიათებლების, ქვემეხზე და გასაშვებ დანადგარზე დატვირთვის, ფრენის დროს ჭურვის(ნაღმის,რაკეტის) მახასიათებლების ექსპერიმენტულ განსაზღვრას. დენთის აირის წნევის გაზომვისთვის გამოიყენება კრეშერები, პიეზოელექტრული და ტენზომეტრიული ხელსაწყოები; ლულის უკუგორების გზის, სიჩქარის და აჩქარების – ველოსიმეტრები; ჭურვის ფრენის პარამეტრებისთვის – ელექტრომექანიკური და ელექტრული ქრონოგრაფები, ოპტიკური, რადიოტექნიკური, რადიულოკაციური საშუალებები, ინფრაწითელი გამოყოფის ხელსაწყოები, ფოტო- და კინოტეოდოლიტები.
74. **ბაქტერიოლოგიური იარაღი** - იხ. *ბიოლოგიური იარაღი.*
75. **ბარკასი** – 1) დიდი საზღვაო ნაოსნობის 14-22 ნიჩბიანი კარჭაპის მოსაცილებელი ბუშპრიტით(ან კლივერა) და ორი ანძით(ფოკის და გროტისთვის) შესაძლოა იყოს მოტორიანი. 2) მცირე ზომის თვითმავალი გემი რეიდებზე და ნავსადგურებში გადაზიდვებისთვის.
76. **ბატალიონის არტილერია** - იხ. *საჯარისო არტილერი*
77. **ბატისკაფი** – იხ.ღრმაწყლების წყალქვეშა აპარატები
78. **ბაზუკა** – პირველი ამერიკული 60 მმ ხელის ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ყუმბარსატყორცნის(1942) სახელწოდება. ჰქონდა მასა 6,1 კგ, ყუმბარის მასა 1,5 კგ, სროლის დამიზნული მანძილი 200 მ-დე, ზოგჯერ ტერმინი ვრცელდება სხვა უფრო გვიან ყუმბარსატყორცნებზე.
79. **ბერდანა** - ერთვაზნიანი შაშხანების გავრცელებული სახელწოდება, რომლებითაც XIX ს. 70–80-იან წწ. შეიარაღებული იყო რუსეთის არმია (ოფიციალურად ეწოდებოდათ: ბერდანის შაშხანები №1 და №2). ძირითადი მახასიათებლები: კალიბრი 10,67 *მმ*, წონა (ხიშტით) 4,9 *კგ*, დამიზნების მანძილი – 1600 *მ*, სროლის სიჩქარე – 8 *გასრ/წთ*. შექმნა ამერიკელმა პოლკოვნიკმა ჰ. ბერდანმა, გააუმჯობესეს რუსმა ოფიცრებმა ა. გორლოვმა და კ. გუნიუსმა.
80. **ბერძნული ცეცხლი** – ძველი ცეცხლგამჩენი საშუალება, რომელიც საზღვაო ბრძოლებში და ციხე-სიმაგრეების ალყის დროს გამოიყენებოდა. სავარაუდოს შეიცავდა გვარჯილას, გოგირდს, ნავთს, ფისს და შესაძლოა სხვა ნივთიერებებს. წყლით არ ქრებოდა. ტყორცნისთვის გამოიყენებოდა სპილენძის მილები (ხომალდებზე) ხელის სიფონები, აგრეთვე კასრები და თიხის ჭურჭელი, რომლებსაც სატყორცნი მანქანებით(ციხე-სიმაგრის ალყის დროს) ტყორცნიდნენ. პირველად გამოიყენეს ბერძნებმა დაახლოებით 673წ. ბოლო – 1453წ.
81. **ბეტა-გამოსხივება** – ელექტრონული ან პოზიტრონული კორპუსკულარული მაიონიზირებელი გამოსხივება უწყვეტი ენერგეტიკული სპექტრით, რომელიც ბირთვული გარდაქცევისას წარმოიშვება. ცნობილია დაახლოებით დაახლოებით 1500 ბეტა-რადიოაქტიური იზოტოპი. მათი დიდი რაოდენობა წარმოიქმნება ბირთვული აფეთქების და ბირთვული რეაქტორების მუშაობის დროს. ორგანიზმის

გარე დასხივებისას ბეტა-გამოსხივება აზიანებს მხოლოდ ზედაპირულ ქსოვილებს, შიგნით მოხვედრისას შეიძლება სხივური ავადმყოფობა წარმოიქმნას.

82. **ბგერისდამჭერი –** აკუსტიკური ხელსაწყო თვითმფრინავების აღმოჩენისთვის და მათი განადგურებისთვის საჰაერო თავდაცვის საშუალებების მოქმედებების უზრუნველყოფა. იყოფოდა მოსასმენ(თვითმფრინავების აღმოჩენა 12 – 16 კმ მანძილზე) და პელენგატორებისგან(საზენიტო არტილერიის სროლის და გამანადგურებლების საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფა 12 კმ მანძილზე). ბგერისდამჭერის მუშაობის საფუძველია ბინაურალური ეფექტი, ე.ი. ბგერის წყაროს მდგომარეობის ორი ყურით განსაზღვრა იმის წყალობით, რომ ბგერა მათთან არაერთდროულად და სვადასხვა ძალით მოდის. ფართო გავრცელება ჰპოვა მე – 2 მსოფლიო ომში. ომის შემდგომ რადიოლოკაციური სადგურებითაა შეცვლილი.
83. **ბგერისმზომი სადგური** – აკუსტიკური, ელექტრული და ელექტრონული ხელსაწყოების სისტემა ბგერისმეტრიის მეთოდით ბგერის წყაროს კოორდინატების განსაზღვრისთვის. **არტილერიაში** – მოწინააღმდეგის ქვემეხების მათი გასროლის ბგერის დაზვერვის და ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის გამოიყენება. შედგება ბგერისმიმღებებისგან, რეგისტრირების ხელსაწყოების, გადათვლის და მიზნების კოორდინატების განსაზღვრის ლენტების დამუშავების აპარატურისგან, მეტეო მონაცემების გათვალისწინების საშუალებებისგან. მსროლელ ქვემეხებს 12 – 16 კმ – ზე აღმოაჩენს, კოორდინატების განსაზღვრის საშუალო ცდომილება მანძილის 1%. **საზღვაო საქმეში** – საკუთარი ხომალდის ადგილსამყოფელის განსაძღვრისთვის გამოიყენებოდა და პასიური მოქმედების ჰიდროაკუსტიკური სადგურის ნაირსახეობას წარმოადგენდა. თანამედროვე სიგნალიზაციის და ნავიგაციის სისტემების დანერგვით თავისი მნიშვნელობა დაკარგა.
84. **ბიკფორდის ზონარი** – იხ. ცეცხლგამტარი ზონარი
85. **ბინარული ქიმიური საბრძოლო მასალები** - ქიმიური საბრძოლო მასალების სახეობა, რომელიც შედგება ორი სხვადასხვა კომპონენტისგან, როგორც წესი არატოქსიკური ან მცირეტოქსიკური, რომლებიც ერთმანეთში შერევის შემთხვევაში მომწამლავ ნივთიერებას წარმოქმნიან. სპეციალისტების აზრით, ბ.ძ.ს.მ-სათვის უფრო მარტივად წყდება მათი უსაფრთხო მომზადების, შენახვის, ექსპლუატაციის და განადგურების პრობლემები, ვიდრე ჩვეულებრივი ქიმიური საბრძოლო მასალების.
86. **ბინოკლი** - დურბინდი, ორი პარალელური ჭოგრისაგან შედგენილი ოპტიკური ხელსაწყო, რომელსაც სამხედრო საქმეში ბრძოლის ველის სათვალთვალოდ, მიზნების დასაზვერად, უმარტივესი კუთხური გაზომვისათვის და მანძილის გაზომვისთვის იყენებენ. გადიდების ხარისხის (ჯერადობის) მიხედვით ჩვეულებრივი ბინოკლები იყოფა საშუალო გადიდების (6-8 ჯერ) და დიდი გადიდების (10-15 ჯერ). არსებობს ბინოკლები, რომლებსაც გადიდების ჯერადობა მდორედ ეცვლება (4-20 ჯერ), არის ასევე ღამის ხედვის ბინოკლები.
87. **ბიოლოგიური იარაღი** - (ბაქტეოროლოგიური იარაღი) - მასობრივი დაზიანების იარაღის სახეობა, რომლის მოქმედება ემყარება ბიოლოგიური საშუალებების გამოყენებას. შეიძლება შეიცავდეს ბიოლოგიური საშუალებებით აღჭურვილ საბრძოლო მასალებს (რაკეტების საბრძოლო ნაწილები, საავიაციო ბომბები,

ლულიანი და რეაქტიური არტილერიის ჭურვები და სხვა) და მათი მიტანის საშუალებებს (რაკეტები, თვითმფრინავები, აეროსტატები, საარტილერიო ქვემეხები და სხვა). ბ.ი-ის მაღალ ეფექტიანობას განაპირობებს მცირე მაინიფიცირებელი დოზა, დიდ ტერიტორიებზე გამოყენების ფარულობა, ინდიკაციის სიძნელე, მოქმედების შერჩევითობა. იგი გამოირჩევა ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. ყოველივე ეს განაპირობებს ჯარებისა და მოსახლეობის ბიოლოგიური დაცვის და ამ იარაღის გამოყენების შედეგების ლიკვიდაციის სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ ბ.ი-ის შექმნა ბევრ სახელმწიფოს ხელეწიფება, მისი მასობრივი გამოყენება დღემდე არ შეიმჩნეოდა. 1975 წლიდან ძალაში შევიდა ბაქტეოროლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და განადგურების 1972 წლის კონვენცია.

88. **ბიოლოგიური საშუალებები** - ბიოლოგიური აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ დააზიანონ ცოცხალ არსებათა და მცენარეთა ორგანიზმები; ბიოლოგიური იარაღის მთავარი კომპონენტი. მათ განეკუთვნება დამსნებოვნებელი (პათოგენური) მიკროორგანიზმები (ვირუსები, რიკეტსიები, ბაქტერიები, სოკოები) და მათი ცხოველქმედების მაღალტოქსიკური პროდუქტები (ტოქსინები), რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანისა და ცხოველების მასობრივი დაავადებები (მუცლის ტიფი, ქოლერა, ყვავილი, შავი ჭირი, ქოთაო და სხვა). ასევე მცენარეთა დაავადებები (მარცვლოვანთა ჟანგა, ბრინჯის ბლასტი, კარტოფილის ფიტოფტოროზი და სხვა).
89. **ბირთვული იარაღის მატარებელი** – გავრცელებული დასახელება საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების, ატომური წყალქვეშა ნავების და სტრატეგიული(მძიმე) ბომბდამშენების, რომლებიც აღჭურვილი არიან ბირთვული იარაღით. ზოგჯერ მათ განეკუთვნებიან მიზანთან მიტანის ბირთვული საბრძოლო მასალების ყველა საშუალებას(ყველა ტიპის რაკეტა, ტორპედოები, არტილერია და სხვა).
90. **ბი-ზეტი** – ფსიქოგენური მოქმედების(ფსიქოტომიმეტიკი) მომწამლავი ნივთიერება. თეთრი კრისტალური ნივთიერება. დნობის ტემპერატურა 190^0C, დუღილის 412^0C, წყალში ცუდად იხსნება. გამოყენების ფორმა – აეროზოლი. საშუალოდ გამომყვანი დოზა 0,11 მგ-წთ/ლ, ზღვრული - 0,05 მგ-წთ/ლ, მოქმედების მალული პერიოდი 0,5-3 სთ, დაცვა – აირწინაღი.
91. **ბოფორტის შკალა** – იხ. ქარის სიჩქარის შკალა
92. **ბომბარდა** - (ფრანგ. bombarde – ზარბაზანი), ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ევროპული ქვემეხი (XIV-XVI სს.). გამოიყენებოდა ციხესიმაგრეების ალყისა და დაცვის დროს. 300–400 *კგ*-იან ქვის ჭურვებს (ბირთვებს) ისროდა დაახლ. 700 *მ*-ის მანძილზე. ძველად ზოგჯერ ბ-ს უწოდებდნენ ხელის ცეცხლსასროლ იარაღსაც.
93. **ბომბდამშენი** – საბრძოლო თვითმფრინავი, რომლის დანიშნულებაა ძირითადად ავიაბომბებით და რაკეტებით სახმელეთო და საზღვაო მიზნების დაზიანება, აგრეთვე ჰაერიდან დანაღმვა. იმყოფება ბომბდამშენი ავიაციის შეიარაღებაზე. თანამედროვე ბომბდამშენებს დარტყმების მიყენება შეუძლიათ ნებისმიერ მეტეო პირობებში ჩვეულებრივი და ბირთვული ბომბებით, მართვადი ფრთოსანი რაკეტებით „ჰაერი-ზედაპირი", საზღვაო ნაღმების დადგმა, უზრუნველყოფილია

დამიზნება-სანავიგაციო სისტემებით, ავტომატური მართვის აპარატურით და დაცვის საბორტო კომპლექსებით.

94. **ბომბდამშენი ავიაცია** - საბრძოლო ავიაციის სახეობა, სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითადი დამრტყმელი საშუალება. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებების, ავიაციის და სამხედრო-საზღვაო ძალების განადგურება, მისი მნიშვნელოვანი სამხედრო, სამხედრო-სამრეწველო, ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება უმთავრესად ოპერატიულ და სტრატეგიულ სიღრმეში; შეუძლია გადაწყვიტოს საჰაერო დაზვერვის და ჰაერიდან დანაღმვის ამოცანები. საფრონტო ბ.ა-ს იყენებენ სახმელეთო ჯარებთან ერთობლივი მოქმედებისათვის, აგრეთვე სამხეხრო-საჰაერო ოპერაციებში. ძირითადი იარაღია საავიაციო ბომბები, მართული და უმართავი რაკეტები.

95. **ბომბდამშენი შეიარაღება** – საავიაციო შეიარაღების სახეობა, რომელიც მოიცავს დაზიანების საშუალებებს(საავიაციო ბომბები, ბომბური კასეტები, ბომბური აცმა, ცეცხლგამჩენი ბაკები, საავიაციო ნაღმები, მცირე კალიბრის ბომბების კონტეინერები და სხვა); დანადგარები(ბომბდამჭერების მექანიზმებით, ჩატვირთვის საშუალებები და სხვა), დამიზნება-სანავიგაციო სისტემა, და მართვის სისტემა.

96. **ბომბდამჭერი** – საავიაციო საფრენ აპარატებზე დაზიანების ბომდაშენის საშუალებების ჩამოკიდება. შედგება კლიტეებით კორპუსისგან, მათი გახსნისთვის ამძრავისგან და ჩამოყრის მექანიზმისაგან. ბომბდამშერი შეიძლება იყოს კოჭიანი, კასეტური მრავალკლიტიანი და სხვა.

97. **ბომბდაშენა** – სახმელეთო ან საზღვაო ობიექტებზე დარტყმების მიყენება დაზიანების საავიაციო ბომბდამშენი საშუალებებით(ბომბები, ცეცხლგამჩენი ბაკები, ბომბური კასეტები და სხვა). მე-17 საუკუნიდან ბომბდაშენა ეწოდებოდა 1ფუთზე(16,38 კგ) მეტი საარტილერიო ჭურვებით ცეცხლდაშენას. მე-20 საუკუნის დასაწყისში ტერმინი ხომალდებით სანაპიროზე ობიექტების ცეცხლდაშენისთვის გამოიყენებოდა. სამხედრო ავიაციის გაჩენისთანავე ბომბდაშენა ეწოდება დარტყმების მიღენებას მხოლოდ საავიაციო ბომბების გამოყენებით.

98. **ბომბი** – ტექნიკური ასაფეთქებელი მოწყობილობა.

99. **ბომბმძებნელი**(ფერომაგნიტური სხეულების მძებნელი) – მაგნიტომეტრული ხელსაწყო მიწისქვეშ(წყალქვეშ) ფეთქებადსაშიში საგნების(აუფეთქებელი ავიაბომბები, საარტილერიო ჭურვების და სხვა) ძიება, რომელთა კორპუსები ფერომაგნიტური მასალებისგან არის დამზადებული. მოქმედების პრინციპი დაფუძნებულია ფერომაგნიტური საგნების ზემოქმედებით დედამიწის მაგნიტური ველის შეცვლა. შედგება ძიების მოწყობილობისაგან, გალვანომეტრ-გამაძლიერებისგან, მართვის პუნქტისა და კვების წყაროსგან.

100. **ბომბსატყორცნი** – 1) 1-ლი მსოფლიო ომის პერიოდის სატრანშეო არტილერიის სახეობა. მისი კალიბრი იყო 20-152 მმ, მასა 100 კგ-მდე, სროლის მანძილი 1000 მ-დე. შეეძლო მხოლოდ მორტირული სროლა, უმთავრესად მსხვრევადი ბომბებით. ჩამოუვარდებოდა ნაღმსატყორცნელს სროლის მანძილით და შექუჩებულობით, საბრძოლო მასალების სიძლიერით, შედეგად ომის ბოლოს შეცვლილი იქნა. 2)წყალზედა ხომალდების ნავსაწინაღო იარაღი.

101. **ბომბური კასეტა** – კასეტური საბრძოლო ელემენტებით(რამოდენიმე ათასამდე) აღჭურვილი დაზიანების ბომბდამშენი საშუალება – საავიაციო ნაღმებით, ან

სხვადასხვა დანიშნულების წვრილი საავიაციო ბომბებით. ბომბური კასეტა არსებობს ჩამოსაგდები(მისი კორპუსის გახსნა გამომგდები ან სასკდომი მუხტის ზემოქმედებით) და არჩამოსაგდები(პიროპატრონით გამოსროლილი კონტეინერი საბრძოლო ელემენტებით).

102. **ბუდე** – 1) ფუტლიარი(ტყავის ან სხვა მასალის) პისტოლეტის ან რევოლვერისთვის. 2) **უნაგირზე დასამაგრებელი ტყავის ჩანთა.**

103. **ბუკ-ი -** სამხედრო საყვირი, საყვირი დიდი.

104. **ბუქსირებადი არტილერია** – სახმელეთო საარტილერიო ქვემეხი, რომელთა გადაადგილება მარშზე საარტილერიო გამწეების, ავტომობილების და სხვა დახმარებით ხორციელდება. ბუქსირებად არტილერიას აგრეთვე განეკუთვნება თვითმავალი ქვემეხები. მექანიკური წევის შემოღებამდე, გადაადგილების ძირითადი საშუალება ცხენები იყო.

105. **ბუქსირი** – 1)უზრუნველყოფის თვითმავალი გემი, არათვითმავალი გემების და მცურავი საშუალებების(კარჭაპების, ამწეების და სხვა) გადაადგილების (ბუქსირების) უზრუნველსაყოფად, სვლა(ავარიულ) დაკარგული ხომალდების და გემების, აგრეთვე პორტების, ბაზების, რეიდების აკვატორიებში ხომალდების, გემების და მცურავი საშუალებებისთვის დახმარების აღმოჩენა. ნაოსნობის რაიონის მიხედვით ბუქსირებს განასხვავებენ - საოკეანო(წყალწყვა 1 ათასი ტ. მეტი, ენერგეტიკული დანადგარების სიმძლავრე 4 ათას კვტ. –ზე მეტი, საზღვაო (1 ათას ტ. –მდე. დაახლოებით 3 ათას კვტ.) სარეიდო(საპორტო)(600 ტ-მდე, 800 კვტ – მდე) და სამდინარი(500 ტ.-მდე, 700 კვტ –მდე); დანიშნულების მიხედვით - მაბუქსირებელ(მათ შორის ბუქსირი-გამწეები) და სამაშველო; ენერგეტიკული დანადგარის ტიპით – ორთქლის, დიზელის, დიზელ-ელექტრული: ოკეანის (საზღვაო) ბუქსირის სვლის სიჩქარე – 10-20 კვანძი(18,5-37 კმ/სთ). 2) გვარლი (ბაგირი) ხომალდის(გემის), მცურავი საშუალების ბუქსირებისთვის.

106. **ბუსოლი** - (ფრანგული boussole), გეოდეზიური ხელსაწყო, რომლის დანიშნულებაა მაგნიტური მერიდიანის მიმართულებასა და ხილვადი საგნის მიმართულებას შორის ჰორიზონტალურ სიბრტყეში კუთხეების გაზომვა. სამხედრო საქმეში (საარტილერიო ბუსოლი) იგი გამოიყენება მიზნის აზიმუტის განსაზღვრისათვის, სამეთაურო და სხვა მანქანების (რომლებსაც აქვთ სანავიგაციო აპარატურა) ორიენტირებისათვის; საარტილერიო ცეცხლის კორექტირების, საცეცხლე პოზიციების და მართვის პუნქტების მიბმისთვის და სხვ.

107. **გადაიარაღება** – ჯარების (ძალების) ახალი სრულყოფილი სამხედრო ტექნილით გადაიარაღება. იგეგმება და ხორციელდება სამხედრო ტექნიკის სამეცნიერო კვლევების, ექსპლოატაციისა და წარმოების პროგრამებით. სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობების ამაღლების გათვალისწინებით, გადაიარაღების შეცვლის სრული წიკლი განუწყვეტლივ მცირდება; XX საუკუნის დასაწყისში არმიეს გადაიარაღება ხდებოდა 20-30 წლის განმავლობაში, თანამედროვე პირობებში ეს პროცესი განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს 2-3-ჯერ სწრაფად.

108. **გადასასვლელი საშუალებები** – ჯარების მიერ წყლის წინაღობების გადალახვის საშუალება. სატაბელო გ.ს. იყოფა: გადასასვლელი სადესანტო საშუალება (სადესანტო ნავები, თვითმსვლელი ბორნები, საბორნე-ხიდური მანქანები და სხვ.),

საპანტონო პარკები, მექანიკური ხიდები, დასაშლელი ხიდები მტკიცე საყრდენებზე და სხვ. ადგილობრივი რესურსების გ.ს. მიეკუთვნება თევზსაჭერი, სასეირნო ნავები, კატარღები, ბორნები, ბარჟები და სხვ.

109. **გადასატუმბი სადგური** – საველე პირობებში საწვავის გადასატუმბი თვითმავალი (ჩვეულებრივ ავტომობილზე) სატუმბი სადგური; საწვავის სამსახურის ტექნიკური საშუალება. შეიცავს ტუმბოს, ჩამკეტ-სარეგულირებელი მილგაყვანილობის კომუნიკაციას, შემწოვი და დაჭირხნის და საწმენდი სახელოები, კონტროლის და მართვის საშუალებები და სხვ.
110. **გადატენვა** – მორიგი გასროლისათვის იარაღის მომზადების პროცესი. სავაზნი დატენვის იარაღის გადატენვა შეიცავს შემდეგ ოპერაციებს: საკეტის გახსნა, მასრის ექსტრაქცია, მორიგი ვაზნის მიყვანა სავაზნეში, საკეტის ჩაკეტვა, სარტყმელის ფეხზე შეყენება. იარაღის ტიპის გათვალისწინებით ჩამოთვლილი ოპერაციები შესაძლებელია ნაწილობრივ ან სრულად შესრულდეს ავტომატურად ან ხელით.
111. **გამშვებ–დამტენი დანადგარი** – საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის თვითმავალი საბრძოლო საშუალება. რაკეტების შენახვის, ტრანსპორტირების, თვითდატენვის (თვითგანტევნისათვის). შედგება დატვირთვა-გადმოტვირთვის მოწყობილობების, კავშირგაბმულობის და ავტონომიური ელექტროკვების საშუალებების, ნავიგაციის, ტოპომიბმის და ორიენტაციის აპარატურების და სხვ.
112. **გამშვები დანადგარი** – კომპლექსის საბრძოლო საშუალება რაკეტების წინასასტარტო მომზადებისა და გაშვებისათვის საჭირო მზადყოფნაში უზრუნველსაყოფად. შედგება გამშვები მოწყობილობისა და რაკეტის მიმმართველებისაგან. გამშვები პუნქტები იყოფა: ვერტიკალური და დახრილი გაშვებისათვის; მიწისზედა, მიწისქვეშა, საშახტო, საავიაციო და სახომალდო; სტაციონარული მოძრავი (მობილური, თვითმავალი) და გადასატანი. სირთულით გამოირჩევა საშახტო და მიწისქვეშა, მათ შეიძლება გააჩნდეთ დაბალი, საშუალო, მაღალი, ზემაღალი და აბსოლუტური დაცულობა ბირთვული დარტყმებისაგან. თანამედროვე საშახტო გამშვები დანადგარებში რაკეტა განლაგებულია სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერში. ყველაზე გავრცელებული მოძრავი გამშვები დანადგარები. ისინი გამოიყენება პრაქტიკულად ყველა სარაკეტო კომპლექსებში, მათ შორის სტრატეგიულებშიც.
113. **გემბანი** – გემის ბორტებსა და ტიხრებზე დაყრდნობილი ჰორიზონტალური გადახურვა. გემის ზომებისა და დანიშნულებიდან გამომდინარე არის საბრძოლო ჯიხური, ზედნაშენი, ზედა გემბანი. დანიშნულების მიხედვით გემბანი შეიძლება იყოს – საბრძოლო, საცხოვრებელი, კომუნალური, საფრენი, სასეირნო და უსაფრთხო.
114. **გრუნტის სარაკეტი მოძრავი კომპლექსი** – სტრატეგიული დანიშნულებისაა, მისი მართვის პულტი დამონტაჟებულია მუხლუხა ან თვლიანი მაღალი გავლადობის შასზე. კომპლექსის დამალულობა უზრუნველყოფილია სპეციალური საშუალებების და შენიღბვის ხერხებით, საგემო პოზიციების დაშორიშორებით და გადაადგილების სპეციალური რეჟიმებით.
115. **გზაგამყვანი** – საჯარისო გზების გაყვანის, მომზადების და შენახვის მანქანა. გამოიყენება აგრეთვე ტრანშეებისა, თხრილების და სხვა წინაღობებზე

გადასასვლელების მოწყობისათვის, ადგილმდებარეობის გაწმენდის, მდინარეების გადასასვლელებთან ჩასასვლელების მოწყობისათვის. გზაგამყვანის მოწყობილობაა (ფრთა, მიმწოლი ჩარჩო, სიმძლავრის ამრთნევი მექანიზმი და სხვ.). მონტაჟდება მუხლუხა ან თვლიან საწევარზე.

116. **გზისდანმგრევი** – რკინიგზის ხის შპალების დანმგრევი საშუალება. II მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარები იყენებდნენ გზისდანმგრევებს "Крюк", რაც წარმოადგენდა სარკინიგზო პლატფორმაზე დამაგრებულ ლითონის მასიურ კავს. პლატფორმა გადაადგილდებოდა ორი ლოკომოტივით, სიჩქარით 10–15 კმ/სთ.

117. **გადამღობი** – გადამღობების აღმართვის საშუალება. არსებობს საზღვაო და სახმელეთო. **საზღვაო** გადამღობი შესაძლოა იყოს ნაღმური(წყალზედა და წყალქვეშა) და ბადისებრი. წყალზედა სანაღმე გადამღობები – სპეციალურად აგებული ან სხვა ხომალდებიდან(გემებიდან) კვალად მოწყობილი ხომალდებია. აღიჭურვება სატვირთო ისრებით, რელსის ლიანდაგიანი სანაღმე გემბანით, დეტონატორებისთვის დახურული ადგილებით, ნაღმების კუთვნილებისთვის შესანახი ადგილებით, ხოლო სპეციალური აგების ხომალდებს დამატებით გააჩნიათ სანაღმე ტრიუმები, გემბანზე ნაღმების მიწოდებისთვის ლიფტები, გადაადგილებისთვის ტრანსპორტიორები და სხვა. წყალქვეშა სანაღმე გადამღობებია – სპეციალური აგების წყალქვეშა ნავები ნაღმების ფარული დაყენებისთვის. გამოიყენებოდა 1-ლ და მე-2 მსოფლიო ომებში. თანამედროვე ფლოტებში წყალქვეშ ნაღმების მოწყობა ხორციელდება სატორპედო აპარატების მეშვეობით. ბადისებრი გადამღობები – სპეციალური აგების ან ტრალერებიდან და სხვა გემებიდან კვალად მოწყობილი ხომალდებია. ბადეების მოწყობა ხორციელდება საზღვაო სადგომების და ბაზების დაფარვისთვის, მოწინააღმდე-გის წყალქვეშა ნავების პორტში შესვლის და წყალქვეშა დივერსანტების საწინაღოდ(ბადის დაგმის სიჩქარე 1 – 2,5 კვანძია). **სახმელეთო** გადამღობი (სანაღმე გადამღობი) მონტირდება მუხლუხა და თვლიან მანქანებზე ან მისაბმელზე. მასკირების შესაბამისად ნაღმები თხრილში ეწყობა. საშუალებები, რომლებიც გრუნტის ზედაპირზე ნაღმებს აწყობენ სანაღმე განმრიგებელი ეწოდება.

118. **გადატენვის მექანიზმები** – მორიგი გასროლისთვის იარაღის მომზადების ოპერაციების შესრულების მოწყობილობა. გადატენვის მექანიზმებს განეკუთვნებიან საკეტები, საბრძოლო მასალების მიწოდების მექანიზმები და სხვა. შეიძლება მუშაობდნენ ავტომატურად ან ხელით.

119. **გამანადგურებელ – ბომბდამშენი -** საბრძოლო თვითმფრინავი, რომელიც განკუთვნილია სახმელეთო (საზღვაო), მ.შ. მცირე ზომის მოძრავი მიზნების გასანადგურებლად მოწინააღმდეგის ტაქტიკურ და უახლოეს ოპერატიულ სიღრმეში, აგრეთვე საფრენი აპარატების წინააღმდეგ საბრძოლველად ჰაერში, დაზვერვის საწარმოებლად და ნაღმური ღობურების დასაყენებლად. გამანადგურებელს იგი აღემატება თავის საბრძოლო დატვირთვით. გამანადგურებელ-ბომბდამშენი შეიძლება აღჭურვილი იყოს ბირთვული და ჩვეულებრივი ბომბებით, ამნთები ავზებით, მართვადი და უმართავი რაკეტებით, საარტილერიო შეიარაღებით. მას აგრეთვე გააჩნია მრავალფუნქციური

რადიოსალოკაციო დასამიზნებელი სისტემა ავტომატიზებული ბომბდაშენის განსახორციელებლად.

120. **გამანადგურებელ – გადამჭერი -** წარმოადგენს საჰაერო თავდაცვისთვის განკუთვნილ საბრძოლო თვითმფრინავს მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებების (თვითმფრინავების, ფრთოსანი რაკეტების) წინააღმდეგ საბრძოლველად. გააჩნია მრავალფუნქციური საბორტო რადიოსალოკაციო სამიზნე, რომელსაც დიდ სიშორეზე შეუძლია საჰაერო მიზნებისა და მართვადი რაკეტების (მცირე, საშუალო და დიდი სიშორის) აღმოჩენა. აღჭურვილია საარტილერიო შეიარაღებით.

121. **გამანადგურებელ – ტანკსაწინაღო არტილერია** – იხ. ტანკსაწინაღო არტილერია.

122. **გამანადგურებელი** – საბრძოლო თვითმფრინავი ჰაერში მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების გასანადგურებლად; გამოიყენება აგრეთვე სახმელეთო მიზნების დაზიანებისთვის და საჰაერო დაზვერვისთვის. წარმოადგენს რეაქტიულ ზებგერით ნებისმიერი ამინდის თვითმფრინავს, აღჭურვილი სარაკეტო, ბომბდამშენი და საარტილერიო შეიარაღებით, რადიოელექტრონული და სხვა მოწყობილობების კომპლექსით. ეკიპაჟი 1 კაცი. თანამედროვე გამანადგურებელი ერთიანი გამზიდი ფართეულით ინტეგრალურ, უფიუზელაჟო სქემით იქმნება.სიჩქარე 3000 კმ/სთ – მდე, პრაქტიკული სიმაღლე 22 კმ –მდე, სიშორე 6500 კმ –მდე. შპეციალიზირებული გამანადგურებლებია – გამანადგურებელ-ბომბდამშენი, და გამანადგურებელ-გადამჭერი.

123. **გამოსახულების დეშიფრირება** – ობიექტების აღმოჩენა, ამოცნობა და შეფასება მათი სურათებით, მიღებული სხვადასხვა აპარატურის (ფოტოგრაფიული, სითბური, სატელევიზიო, ლაზერული და სხვა) დახმარებით. ხორციელდება სხვადასხვა ხელსაწყოებით, მათ შორის ოპტიკურ-ელექტრონულების, რომლებიც გამოსახულების მახასიათებლების გაზომვის და ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებზე შემდგომი დამუშავების საშუალებას იძლევიან. გამოსახულების კომპლექსური დეშიფრირება შედეგების სისრულეს და სინამდვილეს ზრდის იმ შემთხვევებშიც, როდესაც მოცინააღმდეგე რადიოელექტრონული აღმოჩენისიგან დაცვის საშუალებებს გამოიყენებს.

124. **გამოთვლითი ტექნიკა** – 1)გამოთვლითი და საინფორმაციო-ლოგიკური ამოცანების ამოხსნის საშუალება. განასხვავებენ მარტივ გამოთვლით ხელსაწყოებს (ლოგარითმული სახაზავები, კოლერატორები არითმომეტრები და სხვა) და სათვლელ-კლავიშურ მანქანებს, სათვლელ-პერფორაციულ მანქანებს და ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს; 2) დექნიკის დარგი, რომლიც გამომთვლელი მანქანების შექმნასთან არის დაკავშირებული.

125. **განაღმვის დაჯავშნული მანქანა** – საინჟინრო მანქანა ნაღმ-ასაფეთქებელი დაბრკოლებებში გასასვლელების მოწყობისთვის. შექმნილია ტანკის ბაზაზე. აღკაზმულია სატკეპნი(სატკეპნი-საჭრელი) ნაღმის ტრალით და მბრუნაბ კოშკურაში საზენიტო ტყვიამფრქვევის დანადგარით.

126. **განღობვის საინჟინრო მანქანა** – ჯავშნიანი მანქანა(ტანკი კოშკურის გარეშე, გამწე) სამუშაო ორგანოებით ხერგილებში, წინაღობებში გასასვლელების მოწყობისთვის. სამუშაო ორგანოები – ბულდოზერური მოწყობილობა, ძალური მანიპულატორი, დანისებრი ლიანდის ტრალი, ხოლო ზოგჯერ დისტანციური

განღობვისთვის წაგრძელებული მუხტების გასაშვები მიმმართველები. უმეტეს არმიებში ანალოგირი მიზნებისთვის სასანგრე ტანკები გამოიყენება.

127. **გარეწვის ძრავა** – სითბური ძრავა, რომელშიც საწვავის წვის პროცესი და სამუშაო სხეულის შექმნა სპეციალურ მოწყობილობებში ძრავის გარეთ წარმოიქმნება. არეწვის ძრავებს განეკუთვნებიან ორთქლის მანქანები და ორთქლის ტურბინები(ბოლო ხომალდებზე მათ შორის ბირთვული ძალური დანადგარების ხომალდებზე გამოიყენება)
128. **გაუსნებოვნება** – სანიტარულ-ტექნიკური ღონიძიებების კომპლექსი, მომწამლავი, რადიაციული ნივთიერებებით და ბიოლოგიური საშუალებებით, პირადი შემადგენლობის, შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკის და სხვა ობიექტების დასნებოვნების ლიკვიდაციისთვის. დასნებოვნების აგენტების ლიკვიდაციისთვის ჯარების სპეციალური დამუშავება ხორციელდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში პირადი შემადგენლობის სანიტარული დამუშავება ტარდება. მატერიალური საშუალებების, ადგილმდებარეობის და ფორტიფიკაციული ნაგებობების გაუსნებოვნება დეგაზაციის, დეზინფექციის და დეზინსექციის გზით ხორციელდება.
129. **გახანგრძლივებული გასროლა** – ავარიული გასროლა ნორმალურ პროცესთან შედარებით გახანგრძლივებული, სატყორცნი მუხტის წვის პროცესში. დანესტიანებული დენთის, ააღებადი საშუალებების და სხვა ფაქტორების გაუმართაობისას შეიძლება გრძელდებოდეს რამოდენიმე წამიდან რამოდენიმე წუთამდე. გახანგრძლივებული გასროლის დროს საკეტის ნაადრევი გაღებამ შესაძლოა მძიმე შედეგები მოიტანოს. ამის გამორიცხვისთვის ზოგიერთი საარტილერიო ქვემეხებში სპეციალური დამცველებია გათვალისწინებული.
130. **გემის ზღვაოსნობა** – გემის უნარი შეინარჩუნოს ზღვაოსნობის თვისებები და ყველა სახის იარაღის და ტექნიკური საშუალებების საბრძოლო გამოყენების შესაძლებლობა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში(ინტენსიური ზღვის ღელვა, ქარი და სხვა). გემის ზღვაოსნობა განისაზღვრება: ცურვადობით ჩაუძირობით, რხევის სიმდოვრნით და ამპლიტუტით, სიმტკიცით, ზომიერი ჩაღვრით, სტატიურ და დინამიური მდგრადობით, მანევრირების უნარით და ღელვის დროს სიჩქარით. გემის ზღვაოსნობის ძირითადი ელემენტები პროექტირების პროცესში განისაზღვრება თეორიული გათვლებით, საცდელ ბასეინებში და საზღვაო გამოცდების დროს.
131. **გენეტიკური იარაღი** - ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული იარაღის შესაძლო სახეობა, რომელსაც უნარი შესწევს დააზინოს ადამიანთა გენეტიკური (მემკვიდრეობითი) აპარატი. არსებობს ვარაუდი, რომ გენეტიკური იარაღის საწყისი შეიძლება იყოს ზოგიერთი ვირუსი, რომლებიც გამოირჩევიან მუტაგენური აქტიურობით (მემკვიდრეობითი ცვლილებების გამოწვევის უნარით), ინერგებიან დეზოქსირიბონუკლეინმჟავის (დნმ) შემცველ უჯრედის ქრომოსომაში, აგრეთვე ქიმიური მუტაგენები, რომლებიც ბუნებრივი წყაროებიდან მიიღება. ასეთ ზემოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მძიმე დაავადებები და მათი მემკვიდრეობითი გადაცემა.
132. **გეოფიზიკური იარაღი** - ბუნების ძალების სამხედრო მიზნით გამოყენებისთვის გარემოზე ან დედამიწის მყარ, თხევად თუ აირისებრ გარსებში მიმდინარე

ფიზიკურ პროცესებზე განზრახ ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებების ერთობლიობა, არსებობს ვარაუდი, რომ გეოფიზიკური იარაღის მეშვეობით შეიძლება შეიცვალოს ამინდი ან ჰავა, წარმოიშვას წყალდიდობები, მიწისძვრები, შტორმები, "სარკმელები" ოზონის შრეში და სხვ. ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებები შეიძლება იყოს ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღი, სპეციალური ქიმიური რეაგენტები, ელექტრომაგნიტური გამოსხივების მძლავრი გენერატორები და სხვ. ასეთი იარაღის შემუშავებასა და გამოყენებაზე ვრცელდება გარემო ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული გამოყენების აკრძალვის 1977 წლის კონვენცია.

133. **გეოფიზიკური რაკეტა** – მაღლივი რაკეტა დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების გამოკვლევებისთვის. გააჩნია 1-3 საფეხური, მასა რამოდენიმე ათეული ტონა, სასარგებლო ტვირთის წონა 2 ტ –მდე, გაშვების სიმაღლე 60-1000 კმ და მეტი. გეოფიზიკური რაკეტის ნაირსახეობას მეტეოროლოგიური რაკეტა წარმოადგენს.

134. **გიროკომპასი** – ნავიგაციური გიროსკოპული ხელსაწყო – გეოგრაფიული მერიდიანის ფარდობითმოძრავი ობიექტის კურსის მაჩვენებელი. გამოიყენება საფრენ აპარატებზე და ხომალდებზე ნავიგაციურ ობიექტზე კურსის განსაზღვრის და მიმართულების გაზომვისთვის, ხომალდის კურსის ავტომატური მართვისთვისკურსის მაჩვენებლის სახით, აგრეთვე საბრძოლო და სხვა მანქანებზე განსაკუთრებულ პირობებში(წყალქვეშ, უგზოობაში, ცუდი ხილვადობის პირობებში მოძრაობის დროს) ტარების უზრუნველყოფისთვის.

135. **გირომაგნიტური კომპასი** – ნავიგაციური გიროსკოპიური მოწყობილობა – გეოგრაფიული მერიდიანის ფარდობით მოძრავი ობიექტის კურსის მაჩვენებელი; გიროაზიმუტის და მაგნიტური კომპასის კომბინაცია. მოქმედება დაფუძნებულია მაგნიტური კომპასის მაჩვენებლებით გიროაზიმუტის მუშაობის კორექციაზე. გამოიყენება საფრენ აპარატებზე, მცირე ხომალდებზე.

136. **გიროსკოპი** – საკიდარზე სწრაფად მბრუნავი როტორი, რომლის ბრუნვის ღერძს (გიროსკოპის მთავარ ღერძს) სივრცეში თავისი მდგომარეობის შეცვლა შეუძლია. ყველაზე გავრცელებული გიროსკოპებია კარდანულ საკიდარზე, რომლებიც ბრუნვის 3 ღერძზე თავისუფლების 3 ხარისხს უზრუნველყოფენ. გიროსკოპის ძირითადი მახასიათებლები: გარე ძალების არყოფნისას მთავარი ღერძის საწყისი მიმართულება შენარჩუნებულია; გარე ძალების ზემოქმედებისას მთავარი ღერძი მუდმივი კუთხური სიჩქარით მოძრაობს(პროცესირებს). გიროსკოპები შესაძლოა იყოს ასტატიკური(როტორის მასის ცენტრი საკიდარის ცენტრს ემთხვევა) და მძიმე (თუ არ ემთხვევა). შესაძლოა იყოს კარდანულ ჩარჩოში 2 – საფეხურიანი თავისუფლებით და უკარდანო(როტორი აირსტა-ტიკურ, აირდინამიურ, ელექტროსტატიკურ ან ელექტრომაგნიტურ საკიდარებზე იმყოფება. მე – 20 საუკუნის 80 – იანიწ.წ. უროტორო გიროსკოპები მუშავდება და გამოიყენება – ლაზერული, ბოჭკო-ოპტიკური და სხვა. გიროსკოპიულ მოწყობილობებში გიროსკოპები ძირითად ელემენტებად გამოიყენება.

137. **გიროსკოპიული მოწყობილობები** – გიროსკოპის თვისებების გამოყენებაზე დაფუძნებული სხვადასხვა დანიშნულების საშუალებები. ჩვეულებრივ ერთ ან რამოდენიმე გიროსკოპებს და დამხმარე მოწყობილობებს(მაკორექტირებელი, მონაცემების ამღები და სხვა) მოიცავს. დანიშნულების მიხედვით იყოფა –

ობიექტის(გიროაზიმუტები, გიროვერტიკალები გიროგორიზონტალების და სხვა) კუთხური მდგომარეობის განსაზღვრისთვის; ნავიგაციური მიზნებისთვის(გიროკომპასები, გირომაგნიტური და გიროინდუქციური კომპასები და სხვა); ობიექტის სივრცეში სტაბილიზაციისთვის(მაგალითად, იარაღის სტაბილიზატორები); ობიექტის წინსვლითი ძრაობის საზაზო სიჩქარის განსაზღვრისთვის; ობიექტის კუთხური სიჩქარეების და წინსვლითი ძრაობის განსაზღვრისთვის. გარდა ამისა, არსებობენ რამოდენიმე ამოცანის ერთდროული ამოხსნის გიროსკოპიული მოწყობილობები. გიროსკოპიული მოწყობილობები გამოიყენება სარაკეტო-კოსმოსურ ტექნიკაში, ავიაციაში, ხომალდებზე, საბრძოლო მანქანებზე და სხვა.

138. **გიროტეოდოლიტი** – გიროსკოპული მოწყობილობა, ადგილობრივ საგნებზე მიმართულებების ჭეშმარიტი (გეოგრაფიული) აზიმუტების განსაზღვრისთვის. ავტოკოლიმაციური სისტემით, ოპტიკური ტეოდოლიტის სახით, კუთხმზომის ნაწილთან ერთად, გააჩნია გირობლოკი, რომლის ძირითადი ნაწილია – მძიმე გიროსკოპი და წარმოადგენს ჭეშმარიტი მერიდიანის მიმართულების გადამწოდს. გიროტეოდოლიტები გამოიყენება რაკეტების დამიზნების სისტემაში, აგრეთვე გვირაბების გაყვანის დროს, შახტების მშენებლობაში და სხვა.
139. **გლუვლულიანი იარაღი** – იარაღი, რომლის ლულის არხი არის გლუვი. მე-19 საუკუნემდე ყველა იარაღი იყო გლუვლულიანი, წინა მხრიდან დასატენი და ისროდა სფერულ ჭურვს (ტყვიას). იგი შეცვლილი იქნა კუთხვნილიანი იარაღით. მე-20 საუკუნეში გამოჩენილ გლუვლულიან იარაღს (ნაღმსატყორცნები, არაუკუგორებადი ქვემეხები, ყუმბარსატყორცნები და ზოგიერთი სატანკო და ტანკსაწინაღო ზარბაზნები) აქვს პრინციპული განსხვავება – ისვრის დაგრძელებული ჭურვით (ნაღმით, ყუმბარით), რომელიც ფრენის დროს დაბოლოების ფრთებით სტაბილურდება. განსხვავდება რა კონსტრუქციის სიმარტივით, კუმულატიური საბრძოლო მასალის მოქმედების ამაღლებული ეფექტით (ტრიალი ამცირებს კუმულატიურ ეფექტს) და ლულის გამძლეობით, გლუვლულიანი იარაღი ვერ უზრუნველყოფს დიდ მანძილზე სროლას, პირველ რიგში ჭურვის ფორმის ცუდი აეროდინამიკურობით.
140. **გრავიმეტრი** – თავისუფალი ვარდნის აჩქარების გამზომი ხელსაწყო. გრავიმეტრები იყოფა **ფარდობით**(განისაზღვრება ორ გრავიმეტრიულ პუნქტებს შორის თავისუფალი ვარდნის აჩქარების მნიშვნელობის სხვაობა) და აბსოლუტურად(განისაზღვრება თავისუფალი ვარდნის აჩქარების სრული მნიშვნელობა).
141. **გრავიმეტრიული პუნქტი** – დედამიწის ზედაპირის წერტილი, რომლისთვი-საც განსაზღვრულია თავისუფალი ვარდნის აჩქარების მნიშვნელობა, მისი მართკუთხა კოორდინატები და სიმაღლე. გრავიმეტრიული პუნქტის მონაცემები ფორმდება სიების (კატალოგის) ან გრავიმეტრიული რუკების სახით.
142. **დაბრკოლებების მომწყობი** – ტექნიკური მოწყობილობა წინასწარგანძრახული დაბრკოლებების უმთავრესად მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული საშუალებების (კავშირგაბმულობის საშუალებების, რადიოლოკაციის, ნავიგაციის, იარაღის მართვის და სხვ.) შესაქმნელად. შედგება ჩვეულებრისამებრ მიმღებმართვადი მოწყობილობის (ჩასახშობი სიგნალის მიღებისა და ასახვისათვის, საჭირო სტრუქტურისა და სიმძლავრის დაბრკოლების ფორმირების გადამცემისა და ანტენა-ფიდერული სისტემისაგან). დ.მ. შეიძლება იყოს სტაციონარული,

მოძრავი (თვითმავალი, საავიაციო, სახომალდო, კოსმოსური) და სატყორცნი, რომლებიც, როგორც წესი, ტელე ან საპროგრამო მართვადებია.

143. **დამცველი** – სამხედრო ტექნიკის შემთხვევითი ან სახიფათო მოქმედების ასაცილებელი მოწყობილობა. გავრცელებული დამცველებია:მექანიკური, ელექტრული, ელექტრონული, დენტურე და სხვ.; საინერციო და ძალოვანი, რომლებიც მოქმედებენ ენერგიეს გარე წყაროს გამოყენებით; ავტომატური და ხელის.

144. **დაპელენგება** – ტექნიკური საშუალებით პელენგის განსზღვრა. საჰაერო სივრცეში ბგერის წყაროს დაპელენგება (ქვემეხების, წყალქვეშა ნავების) ხორციელდება აკუსტიკური პელენგატორებით, წყალში ჰიდრავლიკური სადგურებით; ვიზუალური დაპელენგება ოპტიკური ხელსაწყოებით. თბური დაპელენგება უნფრაწითელი (თბური) გამოსხივების გამოყენება - თბოპელენგატორებით. რადიოელექტრონული საშუალებებით აღჭურვილი ობიექტების დაპელენგება ხორციელდება რადიოპელენგატორებით და ეწოდება რადიოპელენგირება.

145. **დასამიზნებელ-სანავიგაციო სისტემა** – საფრენი აპარატების იარაღის გამოყენების და ნავიგაციის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის საბორტო სისტემა. შეიცავს სავიზირო მოწყობილობებს: ინდიკატორებს, რომლებიც ასახავენ სამიზნე-საპილოტაჟო ინფორმაციას (მიზნამდე მანძილს, მიახლოების სიჩქარეს, სიმაღლეს, საფრენი აპარატის სიჩქარეს და კურსს, დამიზნების პირობებს), სამიმოხილვო რადიოსალოკაციო, სატელევიზიო, თბოვიზური და სანავიგაციო, ადგიმდებარეობის რუკა, ადგილმდებარეობაზე საფრენი აპარატის მდებარეობას, ფრენის მიმართულებას, ჯგუფში საფრენი აპარატის ურთიერთგანლაგებას, მოწინააღმდეგის ჰაერსაწინაღო ზონების განლაგებას; წინასაფრენი და ინფორმაციის შეყვანის პულტებს; გამომთვლელ საშუალებებს, რომლებიც აერთიანებენ სისტემაში ყველა მოწყობილობას; სანავიგაციო გადამწოდს; მიზანჩვენების ბლოკს. დასამიზნებელ-სანავიგაციო სისტემამ შეცვალა საავიაციო სამიზნეები. მათი შემდგომი განვითარების მიზანია ინტეგრალური საბორტო სისტემების შექმნა, რომლებშიც გადაწყდება შემდეგი ამოცანები – იარაღის გამოყენების, პილოტირების, ნავიგაციის, ჰაერ-საწინაღო დაცვის გადალახვის, საბრძოლო ჯგუფის მოქმედებების მართვის, საბორტო მოწყობილობის კონტროლის და სხვ.

146. **დენთები** – მკვრივი მრავალკომპონენტიანი ნივთიერებები, რომლებიც ქიმიური გარდაქმნების შედეგად გამოყოფენ სითბოსა და აერადი პროდუქტების დიდ რაოდენობას; ენერგიეს ქიმიური წყარო, რომელიც გამოიყენება ცეცხლსასროლ იარაღში და რაკეტებში. დენთების ქიმიური გარდაქმნის ძირითადი ფორმაა – წვა, განსხვავებით დეტონაციისაგან, რომელიც დამახასიათებელია ასაფეთქებელი ნივთიერებისათვის. დენთები მედგრად იწვის გარე წნევის ფართო დიაპაზონში (0,1-1000 მ/ა). დენთები შეიძლება დაიყოს ნიტროცელულოზის (უკვამლო) და ნარევი. ყველაზე გავრცელებული ნიტროცელულოზების დენთები; პიროქსილინის დენთები (წვის სითბო 3,0 – 4,5 მ.ჯოული/კგ) საფუძველი პიროქსილინი პლასტიფიცირებული სპირტ-ეთერის ნარევით. იყოფა: დამარცვლულ, მილისებრ და ფირფიტებრი. უმთავრესად გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღის სატყორცნ მუხტებად. ბალისტიკური დენთების (2,7 – 6,5 მ.ჯოული/კგ) საფუძველია კოლოქსილინი

(ნიტროცელულოზა 10,7 – 12, 2% აზოტოს შემცველობით) და ფეთქებადი გამხსნელი (ნიტროგლიცერინი ან ნიტროდიგლიკოლი) გამოიყენება აგრეთვე, როგორც პლასტიფიკატორი. არის საარტილერიო მუხტების და რაკეტების მყარი საწვავი. კარდიტული დენთები (2,7 - 5,4 მ.ჯოული/კგ) საფუძველია პიროქსილინი №1, პლასტიფიცირებული ნიტროგლიცერინით და სპირტ-აცეტონის ნარევით. საზღვარგარეთ გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღის სატყორცნ მუხტებათ. ნარევი დენთები – სამი ძირითადი კომპონენტის: მჟანგველის, საწვავი და მაკავშირებელი ნივთიერებების ნარევი. ასეთ დენთებს მიეკუთვნება: კვამლიანი დენთები (2,7 – 3,0 მ.ლოული/კგ) – 75% კალიუმის გვარჯილა, 15% ხის ნახშირი და 10% გოგირდი; რეაქტიული დენთები (მყარი სარაკეტო საწვავი); ამონიუმის დენთები (სუროგატული) 80-90% ამონიუმის გვარჯილა და 10-12% ხის ნახშირი.

147. **დგუშიანი ძრავა** – ძრავა, რომელშიც მუშა სხეულის ორთქლი, (მუშანარევი) ენერგიეს მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის ფუნქციას ასრულებს დგუში, რომელიც გადაადგილდება ცილინდრში. დგუშის წინსვლა უკუსვლით მოძრაობა გამოიყენება სამუშაოს შესასრულებლად უმეტეს შემთხვევაში დგუშ-ბარბაცა მექანიზმის მეშვეობით, რის შედეგად დგუშის სწორხაზოვანი მოძრაობა გარდაიქმნება მუხლანა ლილვის ბრუნვით მოძრაობად. ცნობილია ჰიდრავლიკური, პნევმატური და თბური დ.ძ. ყველაზე გავრცელებულია თბური დ.ძ., რომლებშიც ენერგია გამოიყოფა ცილინდრებში საწვავის დაწვით (შიგაწვის დგუშიანი ძრავები), ან სპეციალურ საცეცხლე (ორთქლის დ.ძ.), შიგაწვის ძრავები გარე ნარევმომზადებით (კარბურატორიანი, სატუმბო კარბურატორიანი) და შიგა (დიზელი). დ.ძ. სიმძლავრის ამაღლება მიიღწევა ცილინდრების რიცხვის და ცილინდრების მუშა მოცულობის გაზრდით, მუხლანა ლილვის ბრუნვის სიხშირის გაზრდით, ჩაბერვის (ცილინდრებში მისაწოდებელი ჰაერის წინასწარი შეკუმშვა) გამოყენებით და საწვავის მიწოდების გაზრდით. ბოლო დროს გამოიყენება უბარბაცო და როტაციული ძრავები.

148. **დაცვის ინდივიდუალური საშუალებები** – ცალკეული სამხედრო მოსამსახურეების შუქური გამოსხივებით დაცვის, აგრეთვე რადიაციული, ქიმიური დაზიანების ხარისხის შემამცირებელი საშუალება. მათ განეკუთვნებიან: აირწინაღები, დამცავი ლაბადები, წინდები და სათვალეები, აგრეთვე საერთოსაჯარისო კომპლექსური დამცავი კოსტუმი. დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებთან ერთად გამოიყენება სამედიცინო საშუალებები, რომლებიც ინდივიდუალური აფთიაქის და ინდივიდუალური ქიმიურსაწინაღო პაკეტის შემადგენლობაში შედიან.

149. **დაჯავშნული კოშკურა** – მბრუნავი დახურული ჯავშნიანი კონსტრუქცია, დადგმული საბრძოლო მანქანებზე, ხომალდებზე, ფორტიფიკაციულ ნაგებობებში პირადი შემადგენლობის, შეიარაღების და შიდა მოწყობილობების დაცვისთვის. ჩამოისხმება მთლიანად ან მზადდება ცალკეული დაჯავშნული ფურცლების შედუღებით. ძირითადი მოთხოვნა დაჯავშნული კოშკურების მიმართ – ჭურვმედეგობა ან ტყვიაგაუმტარებლობა.

150. **დაჯავშნული სადაზვერვო-მზირი მანქანა** – საჯარისო დაზვერვისთვის დაჯავშნული, ამაღლებული გამავლობის თვლიანი საბრძოლო მანქანა; საბრძოლო-სადაზვევო მანქანის ნაირსახეობა. მცურავია, სანგრების გადალახვისთვის ოთხი დამატებითი ჩამოსაშვები თვალი გააჩნია.

151. **დაჯავშნული სარემონტო-საევაკუაციო მანქანა** – მუხლუხა ან თვლიანი მანქანა ბრძოლის ველიდან დაზიანებული ტექნიკის ევაკუაციისთვის, საველე პირობებში მისი რემონტისა და ტექნიკური მომსახურებისათვის, აგრეთვე ხერგებისგან გაწმენდის, ტვირთამწე, მიწისსათხრელი და სხვა სამუშაობების ჩასატარებლად. ჩვეულებრივ ტანკის, ჯავშანტრანსპორტიორის ბაზაზე იქმნება. ძირითადი მოწყობილობა: წევითი ჯალამბარი, ტვირთამწე მოწყობილობა, ბულდოზერის სახნისი, საშემდუღებლო მოწყობილობა, საბუქსირო მოწყობილობა, სატვირთო პლატფორმა, სამონტაჟო-სადემონტაჟო და სასანგრე იარაღის კომპლექტები. ეკიპაჟი 3-5 კაცი. შეიარაღება 1-2 ტყვიამფრქვევი.
152. **დამგზავნელი** – ცეცხლსასროლი იარაღის მოწყობილობა ვაზნის, გასროლის ან მისი ელემენტების ლულის კამერაში დაგზავნის მოწყობილობა. სასროლი იარაღის და ზოგიერთი მცირეკალიბრიანი საარტილერიო ქვემეხის ჩამკეტის ელემენტს წარმოადგენს, რომლის მეშვეობით სავაზნე კოლოფიდან ან ლენტიდან ვაზნა სავაზნეში მიეწოდება. ბევრ საარტილერიო ქვემეხში – ცალკე აგრეგატია, რომელიც გასროლის(ზამბარიანი, პნევმატური) ენერგიის ან ენერგიის გარე წყაროს(ელექტრული, ჰიდრავლიკური) ხარჯზე მუშაობს.
153. **დამხმარე ავიაცია** - განკუთვნილი იყო ჯარების მართვის, დაჭრილების და ავადმყოფების გადაყვანის უზრუნველყოფისთვის. მოიცავდა კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო და სანიტარულ ავიაციას. თანამედროვე არმიებში ანალოგიურ ამოცანებს წყვეტს სპეციალური ავიაცია.
154. **დატენვის ავტომატი** – საბრძოლო მანქანის(ტანკის, ქვეითთა საბრძოლო მანქანის თვითმავალი საარტილერიო ქვემეხი და სხვა) ავტომატური სისტემა საარტილერიო ქვემეხის საჭირო ტიპის გასროლებით გადატენვისთვის. ზოგიერთი დატენვის ავტომატი აგრეთვე საბრძოლო ნაწილიდან გასროლილი მასრების მოცილებას უზრუნველყოფს. ჩვეულებრივ შედგება მექანიზირებული საბრძოლო ჩამწყობის დამატებით დაგზავნის ხაზზე გასროლების მიწოდების მექანიზმებისგან, დამატებით გამგზავნელისა და მეხსიერების ბლოკის მართვის სისტემისგან.
155. **დახრილობა** – ხომალდის(გემის) დახრა სიგრძივი ღერძის ფარდობით. ხასიათდება დახრილობის კუთხით (Q) მიდელ-შპანგოუტის სიბრტყეში დახრილი ხომალდის ვატერლინიის კვალსა და ძირითად სიბრტყეს შორის. ახრილობის კუთხე ხომალდზე დახრილომეტრით იზომება. ანასხვავებენ სტატიკურ და დაინამიურ დახრილობის კუთხეს.
156. **დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები** – კოსმოსური აპარატები, რომლებიც გეოცენტრულ ორბიტებზე(არანაკლებ ერთი ბრუნვის) თავისუფალ ფრენას აწარმოებენ. ორბიტაზე რაკეტა-მატარებლებით გაყავთ, რომელთა მოძრაობის აქტიური მონაკვეთი შეადგენს ჩვეულებრივ რამოდენიმე ასეულიდან ორ-სამ ათასამდე კილომეტრს, სიჩქარე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის განცაკავების მომენტში უდრის პირველ კოსმოსურ სიჩქარეს(ან აღემატება მას არა უმეტეს 1,4 ჯერ) და მიმართულია ჰორიზონტალურად.მიზნობრივი დანიშნულებით იყოფა სამეცნიერო-კვლევით და გამოყენებით თანამგზავრებად. სამეცნიერო-კვლევითი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები გამოიყენება დედამიწის იონოსფეროს და უფრო მაღალი ფენების, გალაქტიკური და მზის სხივების, გრავიტაციული ველების და სხვათა ფიზიკურ-ქიმირი თვისებების შესასწავლად.

გამოყენებით თანამგზავრებს განეკუთვნებიან კავშირის თანამგზავრები(სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაციისთვის, ელმანეთისგან 10 -15 ათასი კილომეტრის მანძილზე სხვა სახის კავშირების უზრუნველყოფისთვის); მეტეოროლოგიური, სანავიგაციო თანამგზავრები, ბუნებრივი რესურსების კვლევის, გეოდეზიური, სამხედრო დანიშნულების(დაზვერვისთვის, ინფორმაციის გადაჭერისთვის, რადიოლოკაციური საგურების ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი, საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გაშვების ადრეული გაფრთხილების და სხვა) თანამგზავრები. დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს განეკუთვნებიან ორბიტალური კოსმოსური ხომალდები და სადგურები.

157. **დეფოლიანტები** – პესტიციდების ჯგუფის ქიმიური ნივთიერება, რომელიც მცენარეებიდან ფოთლების ჩამოცვენას იწვევს. შამხედრო საქმეში შესაძლოა გამოყენებული იქნას მოწინააღმდეგის ობიექტების დემასკირებისთვის, მიზნების საზღვრების აღნიშვნისთვის და სხვა.
158. **დეფორმირებადი შეღებილობა** – მრავალფერადი შეღებილობა სხვადასხვა ფორმის ლაქის სახით, რომელიც ფერით და სპექტრული სიკაშკაშით გარემოს გავრცელებულ ლაქებს მიესადაგება. გამოიყენება ადგილმდებარეობის ფონზე სამოსელის შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის გარჩევის შემცირების მიზნით. ფონის თავისებურებებიდან გამომდინარე დეფორმირებადი შეღებილობა შეიძლება იყოს ორ, - სამ – და ოთხფერიანი.
159. **დელტაპლანი** – ბალანსირული პლანერი მოქნილი ფრთით, რომელსაც გეგმაში ბერძნული ასო დელტას ფორმა აქვს. მართვად მომენტებს პილოტი ქმნის, რომელიც სპეციალური ჩამოსაკიდი სისტემით დელტაპლანზე ქანქარის მსგავსად არის ჩამოკიდებული. დელტაპლანს მცირე ძრავით(50 კვტ – მდე სიმძლავრის) და საჰაერო ხრახნით მოტოდელტაპლანი ეწოდება. ელტაპლანის გამოყენება შესაძლებელია საჰაერო დაზვერვის, ცეცხლის კორექტირების წარმოებისთვის და დესანტის გადასხმისთვის.
160. **დეშიფრატორი** – მოწყობილობა შეტყობინების(სიგნალის) ავტომატური გაშიფრისთვის (დეკოდირებისთვის).გამოიყენება დაშიფრვის(კოდირების), ტერეგრაფის ფაქსიმილური და სატელეფონო კავშირის სისტემებში, გამოთვლით ტექნიკაში, ტელემექანიკასი და სხვა.
161. **დეტონატორი** – მაინიცირებელი საშუალება საბრძოლო მასალების ასაფეთქებელი მუხტის დეტონაციის აღგზნებისთვის. ამფეთქებლის საცეცხლე ჯაჭვის ბოლო ელემენტს წარმოადგენს. ჩვეულებრივ გამოიყენება ასაფეთქებელი ნივთიერებები, საწყის იმპულსზე მეტად მგრძნობიარე, ვიდრე ასაფეთქებელი მუხტის ასაფეთქებელი ნივთიერება.
162. **დიდი და განსაკუთრებული სიმძლავრის არტილერია** – სახმელეთო არტილერია, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში განსაკუთრებულად იმ ნაგებობების ნგრევა და მნიშვნელოვანი ობიექტების განადგურება(დაზიანება).
163. **დიფოსგენი** – მხუთავი მოქმედების არამდგრადი მომწამლავი ნივთიერება. უფერო სითხე დუღილის ტემპერატურით 128^0 C, დნობის - 57^0 C და 1,64 გ/სმ^3 სიმკვრივით. მოქმედების ფარული პერიოდა 6 – 8 სთ-მდე. დიფოსგენიდან დაცვა- აირწინაღი. ამოიყენებოდა 1 – ლ მსოფლიო ომში.

164. **დინამიტი** - (ბერძნული dynamis-სგან - ძალა) – ბრიზანული ფეთქებადი ნარევი, რომელიც ნიტროგლიცერინისა და დანამატებისაგან (პირომჟავა, ხის ფქვილი, დინიტროგლიკოლი და სხვ.) მზადდება. დინამიტის თვისება განისაზღვრება მისი კომპონენტების შეფარდებით. ყველაზე მძლავრი დინამიტის სიმჭიდროვე შეადგენს 1,6გრ/სმ^3, აფეთქების სიმხურვალე 6,5მ.ჯ./კგ, დეტონაციის სიჩქარე 8კმ/წმ. გამოგონებულია დანიელი ა. ნობელის მიერ 1867-ში. მე-20 ს. შუამდე გამოიყენებოდა სამთო საქმეში, მაგრამ მაღალი მგრძნობელობის გამო შეიცვალა ნაკლებად საშიში ფეთქებადი ნივთიერებით. სამხედრო საქმეში გავრცელება ვერ ჰპოვა.
165. **დინამორეაქტიული ქვემეხი** – იხ. არაუკუგორებადი ქვემეხი
166. **დიოპტრი** – მარტივი მოწყობილობა ვიზირებისთვის, რომელიც ზოგიერთ ოპტიკურ ხელსაწყოებში და საცეცხლე იარაღის დამიზნების(დისკი ხვრელით, რომლის მეშვეობით მსროლელი სამიზნეს მიზანთან თანხვედრს) მოწყობილობებში გამოიყენება.
167. **დირიჟაბლი** – მართვადი ჰორიზონტალური ფრენისთვის, ერთი ან რამოდენიმე ძრავით აღჭურვილი აეროსტატი. დირიჟაბლის ძირითადი ნაწილები: კორპუსი(რბილი კონსტრუქციის 7 ათასი მ^3 –მდე მოცულობის, ნახევრად მტკიცე 7 – ათასი მ^3 და მტკიცე - 200 ათასი მ^3 –მდე), ძალური დანადგარი მაძრავით, ფრთასხმულობა და მართვის ორგანოები. სიჩქარე 150 კმ/სთ – მდე, ფრენის ხანგრძლივობა რამოდენიმე დღე. თანამედროვე დირიჟაბლები ძირითადად სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებისთვის, სახანძრო დაცვისთვის, სამეცნიერო კვლევებისთვის გამოიყენება. სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება შეზღუდულია.
168. **დივიზიის არტილერია** – იხ. საჯარისო არტილერია
169. **დოზიმეტრი** – იხ. დოზის გამზომი
170. **დოზიმეტრიული ხელსაწყოები** – ხელსაწყოები მაინიცირებელი გამოსხივების შეფასებისთვის. უზრუნველყოფენ რადიაციული დაზვერვის წარმოებას, დოზიმეტრიულ ცონტროლს, პირადი შემადგენლობის რადიაქტიურ დასხივებას, გარემოს რადიაქტიური დასნებოვნების განსაზღვრას. დოზიმეტრიულ ხელსაწყოებს განეკუთვნებიან დოზის გამზომები(დოზიმეტრები), დოზის სიძლიერის გამზომები(რენტგენომეტრები), რადიოაქტიურობის ინდიკატორები, რადიომეტრები, სპექტრომეტრები და სხვა.
171. **დოზის მზომი** – დოზიმეტრიული ხელსაწყო იონიზირებული გამოსხივების შეჯამებული დოზის გაზომვისთვის,მიღებული ადამიანის მიერ რადიოაქტიურად დასნებოვნებულ ადგილმდებარეობაზე ყოფნისას. ანასხვავებენ საჯარისოს და ინდივიდუალურს(სამედიცინო). საჯარისო დოზის მზომის მოქმედების პრინციპი დაფუძნებულია იონიზაციური კამერის გამოყენებაზე, ინდივიდუალურის – ფოტოკალორიმეტრის მეშვეობით დოზიმეტრიული ხსნარის ფერის შეცვლა იონიზირებული გამოსხივების ზემოქმედებისას. საჯარისო დოზის მზომის ჩვენების საფუძველზე პირადი შემადგენლობის საბრძოლო მზადყოფნის შეფასება წარმოებს, ინდივიდუალურით – სხივური დაზიანების სიმძიმის ხარისხის შეფასება.
172. **ეკიპაჟის კაბინა** - საფრენი აპარატის სპეციალური ნაკვეთური ეკიპაჟის, საპილოტაჟო-სანავიგაციო და საკონტროლო ხელსაწყოების, დასამიზნი მოწყობილობების, მართვის, კავშირგაბმულობის და სხვა საშუალებების

განთავსებისთვის. 4 კმ – ზე მეტი სიმაღლის საფრენ აპარატებზე ეკიპაჟის კაბინა ჰერმეტიულია, ხოლო ბინადრობის აუცილებელი პირობები ძრავის კომპრესორიდან მიწოდებული დაჭირხნული ჰაერის ჩაბერვით, ან ჟანგბადის ხარჯის აღდგენა ბორტზე არსებული მარაგებითაა(რეგენერაციული ტიპის ეკიპაჟის კაბინა) უზრუნველყოფილი. საფრენი აპარატების ავარიული დატოვებისთვის კატაპულტირებადი სავარძლები ან გამოსაყოფი სავარძლები (კაფსულები) გამოიყენება.

173. **ექსპლუატაციის ნორმები** სამხედრო ტექნიკის – სამხედრო ტექნიკის სახეობის სხვადასხვა რეჟიმებში (სამუშაო რეჟიმი, ტექნიკური მომსახურეობა, შენახვა, ტრანსპორტირება) ექსპლუატაციის ოფიციალურად დაწესებული ზღვრული მოცულობები(საათებში, კმ, ჩართვის რაოდენობაზე და სხვა). მუშავდება მდგრადობის თეორიის, დაწესებული რესურსების და ექსპლუატაციის გამოცდილებით, საბრძოლო გამოყენების მზადყოფნის საჭირო ხარისხის, სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციის და რემონტში გასვლის, ცალკეული ელემენტების შეცვლის უზრუნველყოფისთვის; მითითებულია ბრძანებებში და საექსპლუატაციო დოკუმენტებში.

174. **ვარიომეტრი** – 1) ავიაციაში – საპილოტაჟო ხელსაწყო გაზომილი ატმოსფერული წნევის სხვაობით ფრენის სიმაღლის შეცვლის სიჩქარის მაჩვენებელი. 2) რადიოტექნიკაში – ცვალებადი ინდუქტივობის კოჭი, რომლის დანიშნულებაა რხევის კონტურის მომართვა. 3) გეოფიზიკაში – გეოფიზიკური სიდიდეების, მაგალითად დედამიწის მაგნიტური ან გრავიტაციული ველების მახასიათებლების ცვლილებების გამზომი ხელსაწყო.

175. **ვერტმფრენი – ВЕРТОЛЕТ –** საავიაციო საფრენი აპარატი, რომელსაც ამწევი ძალა და წინსვლითი მოძრაობის ძალა წარმოექმნება ერთი ან რამდენიმე მზიდი ხრახნით. ვერტმფრენის მთავარი თავისებურებაა – განახორციელოს ვერტიკალური აფრენა და დაფრენა, მოცემულ წერტილზე დაკიდება, ნებისმიერი მიმართულებით გაფრენა. ხრახნის (ხრახნების) გარდა ვერტმფრენს გააჩნია ფიუზელაჟი, ძარა, ძალური დანადგარი, მთავარი რედუქტორი და ტრანსმისია, აგრეთვე ვერტმფრენის და ძრავის მართვის სისტემა და სხვ. ვერტმფრენების ძირითადი მახასიათებლები: დაკიდების მაქსიმალური სიმაღლე (სტატიკური სიმაღლე) 2000-3500მ. ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 4500-6000მ. მაქსიმალური სიჩქარე 350კმ/სთ, ტვირთამწეობა 40ტ.მდე. ვერტმფერენები შეიძლება იყოს რეაქტიული და ტრანსმისიური ამძრავებით; ეს უკანასკნელი – ერთხრახნიანი საჭის ხრახნით, ორხრახნიანი გრძივი, განივი და თანაღერძული სქემებით, აგრეთვე მრავალხრახნიანები. დანიშნულების მიხედვით სამხედრო ვერტმფრენები იყოფა: საბრძოლო (საცეცხლე მხარდაჭერის, ტანკსაწინაღო, ნავსაწინაღო), სატრანსპორტო-საბრძოლო (მრავალმიზნობრივი, საერთო დანიშნულების), სატრანსპორტო – სადესანტო და სპეციალური. საბრძოლო ვერტმფრენები საარმიო ავიაციის დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ. მათი დანიშნულებაა სახმელეთო და საზღვაო მიზნების, აგრეთვე დაფარვის და თანხლების სატრანსპორტო-საბრძოლო და სატრანსპორტო-სადესანტო ვერტმფრენების დაზიანება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტანკებსა და წყალქვეშა ნავებთან ბრძოლას. საბრძოლო ვერტმფრენების

შეიარაღებას წარმოადგენს არამართვადი და მართვადი (მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები) რაკეტები, საარტილერიო და ბომბდამშენი შეიარაღება.

ა. მიუხედავად იმისა, რომ ვერტმფრენების ძირითადი კონსტრუქციული გადაწყვეტა თვითმფრინავების გაჩენის შემდეგ მოხდა, პრაქტიკული გამოყენებისთვის ვერტმფრენები მე-20 საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა.

176. **ვერტმფრენმზიდი** – საბრძოლო წყალზედა ავიამზიდი ხომალდი, რომლის ძირითადი საბრძოლო საშუალება სახომალდო ვერტმფრენებია. მისი დანიშნულებაა საზღვაო დესანტის მეწინავე რაზმის გადაზიდვა და გადმოსხმა ან წყალქვეშა ნავების ძებნა და განადგურება. იყოფა სადესანტოდ და ნავსაწინააღმდეგოდ. ნავსაწინააღმდეგო ვერტმფრენებს გადააქვთ ნავსაწინააღმდეგო ვერტმფრენები - ძიების, აღმოჩენის და განადგურების საშუალებების მოწყობილობები. ვერტმფრენმზიდებს ვერტმფრენების განთავსებისთვის გააჩნიათ სათავსოები, ფრენის გემბანზე მათი მიწოდებისთვის ლიფტები, გემბანზე ასაფრენ-დასაფრენი მოედნები, მოწყობილობები საბრძოლო მარაგების ჩატვირთვისთვის, ვერტმფრენების, რადიოელექტრონული და სხვა საშუალებების ტექნიკური მომსახურების და გამართვის მოწყობილობები, რომლებიც საზღვაო პირობებში მათ საბრძოლო გამოყენებას, აფრენის და დაფრენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. აგრეთვე გააჩნიათ სადგომები ვერტმფრენების ეკიპაჟების და მედესანტეების განთავსებისთვის. მე - 20 საუკუნის 40-50წ.წ. ვერტმფრენმზიდებისთვის მოძველებული ავიამზიდების, ხომალდები და გემების კვალად მოწყობა ხორციელდებოდა. 60-იანი წლებიდან სპეციალური აგებულების ვერტმფრენმზიდების შექმნა იწყება. ეს შემდეგი ტიპის სადესანტო ვერტმფრენმზიდებია - „ივოძიმა", სადესანტო-ვერტმფრენის ხომალდები-დოკები (აშშ) „ისტინი"-ს, „რელეი'-ს, (დიდი ბრიტანეთის) „ფეარლესის" ტიპის. ნავსაწინააღმდეგო ვერტმფრენმზიდებია „ინვისიბლი" (დიდი ბრიტანეთის), კრეისერი-ვერტმფრენმზიდი „ჟანა დ არკი" (საფრანგეთი) და სხვა. ავიამზიდებისგან განსხვავებით ვერტმფრენმზიდებს კუთხური საფრენი გემბანი არ გააჩნიათ. წყალწყვა 12-20 ათასი ტ. სიჩქარე 30 კვანძამდე. იღებენ 26 – მდე ვერტმფრენს სხვადასხვა სახის თავდაცვის, მართვის და კავშირის სახეობები გააჩნიათ. უნარი შესწევთ 2 ათასი საზღვაო ფეხოსნის აყვანა.

177. **ვი-იქსი** – ნერვიულ-დამბლური მოქმედების მომწამლავი ნივთიერება, ერთ-ერთი ძირითადი მაღალტოქსიკური ლეტალური მომწამლავი ნივთიერება. უფერო და უსუნო სითხე დუღილის დაახლოებით 300^0C ტემპერატურით, და გალხვობის მინუს 50^0C. სასუნთქი ორგანოების მეშვეობით მოქმედებების დროს პირობითი-ლეტალური დოკსიდოზა 0,01 მგ-წთ/ლ, კანზე 0,09 მგ-წთ/კგ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე 0,07 მგ-წთ/კგ. დაცვა – აირწინაღი კანის დაცვის ინდივიდუალური საშუალებები.

178. **ვაზნა –** ცეცხლსასროლი იარაღის საბროლო მასალა, ტყვია (საფანტი, ჭურვი) მტყორცნელი მუხტი და ანთების საშუალება გაერთიანებული მასრაში. ასეთ ვაზნას ეწოდება აგრეთვე უნიტარული. ანსხვავებენ სასროლი და საარტილერიო იარაღს, რომლებსაც მიეკუთვნება მცირეკალიბრიანი (20-57 მმ) უნიტარული დატენვის საარტილერიო გასროლები. იყოფა პისტოლეტებისათვის, სარევოლვერო, თოფების, საავტომატო. ცალკეული ნაირსახეობის ვაზნები მიეკუთვნებიან სანათი, სანათი-სასიგნალო და სასიგნალო, სპორტული და სანადირო იარაღებისათვის.

ყველაზე გავრცელებული ფორმაა სასროლი იარაღისათვის კალიბრის და მასრის სიგრძის (მმ) მითითება (მილტუჩიანი მასრებისათვის ემატება ასო R), მაგალითად – 7,62 x 54R. პირველი უნიტალური ვაზნა იყო ქაღალდის მასრიანი, ხოლო ლითონის მასრიანი შეიქმნა XIX საუკუნის 60-იან წლებში.

179. **ზღვაოსნობის ცხრილები** – საზღვაო სანავიგაციო დარიგება, რომელიც შეიცავს სანავიგაციო, ასტრონომიულ, მათემატიკურ და სხვა მონაცემებს, აუცილებელს ხომალდის ადგილსამყოფელის და სხვა გათვლების წარმოებისთვის.
180. **ზარინი** – ნერვიულ-პარალიტიკური მოქმედების მომწამლავი ნივთიერება. უფერო სითხე 151,5^0 C დუღილის ტემპერატურით, დნობის მინუს 57^0 C, სიმკვრივე 1,1 გ/სმ^3. დაზიანება სასუნთქი ორგანოების მეშვეობით ხდება. პირობითი ლეტალური ტოქსიკური დოზა 0,1 მგ.წთ/ლ, მწყობრიდან საშუალოდ გამომყვანი 0,07 – 0,025 მგ.წთ/ლ. დაცვა – აირწინაღი და კანის დაცვის ინდივიდუალური საშუალება.
181. **ზეთები** – თხევადი ნავთობპროდუქტები და სითეტური ნაერთები, რომლებიც საპოხ მასალებად, სამუშაო სითხეების და ელექტროიზოლაციის საშუალებებად გამოიყენება. იყოფა ძრავის, ენერგეტიკულ, აირტურბინიან, ტრანსმისიურ, ჰიდრავლიკურ ვაკუუმის, ინდუსტრიალ, ხელსაწყოების, საკონსერვაციო და სხვა ზეთებად.
182. **ზარბაზანი –** საარტილერიო იარაღი ძირითადად ნაფენი, საზენიტო და შორსმსროლელი სროლებისათვის. თანამედროვე ზარბაზნების ძირითადი თავისებურება სხვა ტიპების ზარბაზნებისაგან (ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები) – ჭურვის მაღალი საწყისი სიჩქარე (800–1200 მ/წამ), რის გამოც უზრუნველყოფილია: პირდაპირი გასროლის მნიშვნელოვანი მანძილი (2000 მ); ჭურვის ძლიერი გამრღვევი მოქმედება და დაზიანების მაღალი ალბათობა; სროლის დიდი მანძილი. სროლის საწყისი სიჩქარის გაზრდა მიიღწევა ძირითადად მუხტის სატყორცნი მასის გაზრდით (ჩვეულებრივად ჭურვის მასის 30–40%) და ლულის სიგრძით (კალიბრის 50–60 ჯერადი). შორეული ზარბაზანის მუხტის მასა აღემატება ჭურვის მასას, ხოლო ლულის სიგრძე აღწევს 150 კალიბრს). ზარბაზანი ყველაზე გავრცელებული ქვემეხის სახეა. თანამედროვე რუსული ზარბაზანი: საველე – 152 მმ. თვითმავალი (2С5) და საბუქსირო (2А36) ვარიანტებში (ჭურვის მასა 46 კგ, სროლის სიშორე 28,5 კმ), 203 მმ თვითმავალი 2С7 (110 კგ., 37,5 კმ.); ტანკსაწინაღო – 125 მმ-იანი 2А45 (7 კგ., პირდაპირი სროლის მანძილი 2 000 მ-ზე მეტი); საზენიტო – 23მმ თვითმავალი დანადგარი ЗСУ-23-4 (0,2 კგ., სროლის ტემპი 3 400 გასროლა/წთ., ჭურვის საწყისი სიჩქარე 970 მ/წამ); საავიაციო – 30 მმ. ექვსლულიანი ГШ-6-30 (0,4 კგ., 5000 გას/წთ,, 850 მ/წამ); სახომალდო – 130 მმ АК-130 (33,4 კგ., სროლის მანძილი 23 კმ.).
183. **თვითდამიზნების ქობანი** – დაზიანების საშუალების ავტომატური მოწყობი-ლობა (რაკეტის, ტორპედოს, ავიაბომბის, ჭურვის და სხვა), მისი მიზანში თვითდამიზნების უზრუნველყოფისთვის. თვითდამიზნების ქობანის ძირითადი ელემენტებია – მიზნის კოორდინატორი, რომელიც მიზნის ავტომატურ ძებნას, აღმოჩენას, დაჭერას და თანხლებას ახორციელებს და ელექტრონულ-გამომთვლელი მოწყობილობა, რომელიც კოორდინატორისგან და მართვის კომანდების ფორმირების ინფორმაციას ამუშავებს. ყველაზე მეტად გავრცელებული თვითდამიზნების ქობანი: **ოპტიკურ-ელექტრონულები** (ინფრაწითელი, ლაზერული,

სატელევიზიო) – გამოიყენებენ ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტურ ტალღებს, გააჩნით კომპაქტურობა, გარჩევის მაღალი უნარი და დამიზნების სიზუსტე, მაგრამ მათი მოქმედების მანძილი მეტეოპირობებზეა დამოკიდებული; **რადიოტექნიკურები** (რადიოლოკაციური, რადიომეტრიული) – გამოიყენებენ რადიო დიაპაზონის ელექტრომაგნიტურ ტალღებს, მოქმედებენ ნებისმიერი ამინდის პირობებში(როგორც ოპტიკურ-ელექტრონული თვითდამიზნების ქობანი გამოიყენება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიზნების დაზიანების საშუალებებზე გამოიყენება); **აკუსტიკური** – გამოიყენებენ სმენად ბგერითი და ულტრაბგერით ტალღებს, ბგერის შედარებით მცირე სიჩქარის გამო, ძირითადად წყლის გარემოში გამოიყენება.

184. **თვლიანი მანქანები** - მანქანები თვლიანი ამძრავით; ავტომობილები, თვლიანი ჯავშანტრანსპორტიორები, გამწეები და ტრაქტორები. შამხედრო თვლიანი მაქანები კლასიფიცირდებიან – საბრძოლო, სამწყობრო და სატრანსპორტოდ. მათი მახასიათებლებია ტვირთამწეობა, თვლის ფორმულა, მოძრაობის სიჩქარე, სვლის მარაგი და სხვა.შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, მომატებული და მაღალი გამტარიანობის შემდეგი თვლის ფორმულით - 4x4, 6x4, 6x6 8x8 და ა.შ.
185. **თვლიან-მუხლუხა მანქანები** – საბრძოლო და სატრანსპორტო მანქანები კომბინირებული მაძრავით(თვლები და მუხლუხა) გამტარიანობის ასამაღლებლად. მძიმე საგზაო პირობებში მოძრაობისთვის ცნობილია თანამედროვე თვლიან-მუხლუხა მანქანები რეზინფოლადის მუხლუხოთი და ძრავა-თვლიანი მკვრივი დაფარვის გზებისთვის.
186. **თვლიან-სათხილამურო შასი** – 1) თვლიანი მისაბმელი თვლებზე მორგებული მოსახსნელი თხილამურებით დათოვლილ ან დაჭაობებულ ადგილმდებარეობაზე მოძრაობისთვის. 2) ჩვეულებრივი სათვითმფრინავო შასი დამატებითი თხილამურებით.
187. **თხევადი სატყორცნი საშუალებები** – თხევადი საწვავი ნივთიერებები, რომლებიც ცეცხლსასროლ იარაღში სატყორცნი მუხტის სახით დენთის შეცვლის უნარი შესწევთ. ამ მიზნებისთვის ყველაზე მისაღებია ერთკომპონენტიანი ნივთიერებები(ჰიდროზინი ან ჰიდროზინის ნიტრატი) და ორკომპონენტიანი(აზოტმჟავა ან წყალბადის ზეჟანგი დამჟანგველის სახით და მონომეთილი ან ჰიდროზინი საწვავის სახით). თხევადი სატყორცნი საშუალებების გამოყენების ძირითადი ღირსება – დიდი რაოდენობის ენერგიის გამოყოფა(დენთზე დაახლოებით 10 –ჯერ მეტი), სწრაფსროლის გაზრდა, საბრძოლო კომპლექტის მომატება, გადატენვის პროცესის და შესაბამისად იარაღის ავტომატიკის გამარტივება. მაგრამ, დღემდე არ არის გადაწყვეტილი თხევადი სატყორცნი საშუალებების დოზირება საჭირო სროლის მანძილის და შექუჩებულობის უზრუნველსაყოფად.
188. **თვალთვალის ხელსაწყოები** – განკუთვნილია ხმელეთის, საჰაერო და საზღვაო მიზნების აღმოჩენის, მანძილისა და კუთხეების გაზომვის, სროლის მიზანჩვენების და კორექტირების. მათ მიეკუთვნება ბინოკლები, ბუსოლები, პერისკოპები, ტეოდოლიტები, მანძილსაზომები.
189. **ინდივიდუალური გადასახვევი პაკეტი** – დამცავ შეფუთვაში სტერილური სახვევი ჭრილობების და დამწვრობის დროს თვით- და ურთიერთდახმარებისთვის. შედგება

მოძრავი და უძრავი პატარა ბალიშებისგან, ბინტისგან, ინდივიდუალური გარსისგან და სახვევის დასამაგრებელისგან.

190. **ინდივიდუალური ქიმიურსაწინაღო პაკეტი** - სამედიცინო საშუალებების ანაკრები, რომლის დანიშნულებაა მომწამლავი ნივთიერებებით დაზიანების დროს თვით- და ურთიერთდახმარების აღმოჩენა. ინდივიდუალური ქიმიურსაწინაღო პაკეტის მეშვეობით უშუალოდ მომწამლავი ნივთიერებით დაზიანების შემდეგ ნაწილობრივი სპეციალური დამუშავება ტარდება.

191. **ინდივიდუალური სურგსატანი საფრენი აპარატი** – ადამიანის მიერ ჰაერით მცირე მანძილების(5 – 15კმ) გადალახვის პორტატიული მოწყობილობა. შედგება სპეციალურ ზურგსატანში ერთი ან რამოდენიმე რეაქტიული ძრავებისგან, რომელიც ქამრების მეშვეობით ზურგს უკან მაგრდება. მასა 60 – კგ – მდეა, სიჩქარე 100 კმ/სთ – მდე.შეიძლება გამოყენებული იქნას ძნელად მისაწვდომი ადგილმდებარეობის გადალახვისთვის.

192. **ინფრაწითელი ტექნიკა** – მეცნიერების და ტექნიკის დარგი, რომელიც თვალით უხილავ ინფრაწითელ გამოსხივების გენერირების და აღმოჩენის მეთოდებს და საშუალებებს ამუშავებს და გამოიყენებს. სამხედრო საქმეში ე.წ. ღამის ხედვის ხელსაწყოები ინფრაწითელი გამოსხივების გამოყენებაზე დაფუძნებული, გამოიყენება მიზნების თვალთვალისთვის, პელენგაციის და თანხლებისთვის; ფოტოგრაფირებისთვის;ღამის პირობებში ტექნიკის ტარებისთვის და ბრძოლის წარმოებისთვის; იარაღის თვითდამიზნებისთვის; სახმელეთო და კოსმოსური კავშირგაბმულობისთვის და სხვა. განასხვავებენ აქტიურ(ობიექტების ინფრაწითელი გამოსხივების სპეციალური წყარო – სპეციალური ფილტრებით ლაზერები ან პროჟექტორები გამოიყენება) და პასიური (დაფუძნებულია თვით ობიექტების ინფრაწითელი გამოსხივების მიღებაზე) ინფრაწითელი ხელსაწყოები.

193. **იპრიტი** – მდოგვის აირი, კან-ჩირქგროვის მოქმედების მომწამლავი ნივთიერება. პირველი მასიური გამოყენება გერმანელების მიერ 12.7 1917წ. ბელგიის ქალაქ იპრ – ის რაიონში(აქედან სახელწოდება). ქიმიურად სუფთა იპრიტი – უფერო, ზეთოვანი სითხე. დნობის ტემპერატურე $14,5^0$ C, დუღილის 227^0 C. სიმკვრივე 1,28 გ/სმ^3 (15^0 C დროს). ჩასუნთქვის დროს პირობითი ლეტალური ტოქსიკური დოზა 1,5 მგ-წთ/ლ, კანზე 70 მგ/კგ. მოქმედების ფარული პერიოდი 12 საათამდე. აცვა – აირწინაღი და კანის დაცვის ინდივიდუალური საშუალება.

194. **იალქნიანი ფლოტი** – (სამხ.) ფლოტი, რომელიც შედგება იალქნიანი გემებისა და ხომალდებისაგან. მრავალი საუკუნის განმავლობაში იალქანი ასრულებდა ნიჩბიანი სამხედრო და სატრანსპორტო გემების მოძრაობის დამხმარე საშუალებას. არტილერიის განვითარების გამო საავჭრო იალქნიანი გემები გადაკეთდა სამხედრო გემებათ. XVII საუკუნეში შეიქმნა მუდმივი სამხედრო იალქნიანი ფლოტი. XVIII საუკუნის დასაწყისში ი.ფ. დაიყი 6 რანგად. პირველი სამი რანგის გემები წყალწყვით 5000 ტ-მდე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჯავშნიანი ორთქლის ფლოტის განვითარებით ი.ფ. მნიშვნელობა შემცირდა. თანამედროვე პირობებში იალქნიანი გემები გამოიყენება სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული და ტურიზმის მიზნებით.

195. **იალქნიანი გემი** – გემია, რომელიც მოძრაობს იალქნების მეშვეობით მიღებული ქარის ენერგიით. იალქნიანი გემები განსხვავდება ანძების რაოდენობეით (1-დან 7-

მდე) და საიალქნო შეიარაღებით. ი.გ. ძირითადი ტიპებია: 3–5 ანძიანი გემი სწორი საიალქნო შეიარაღებით უკანა ანძაზე; ბრიგი – ორანძიანი გემი პიდაპირი იალქნებით და გაფელური ირიბი იალქნით გროტ-ანძაზე; ბარკი – მრავალანძიანი გემი სწორი იალქნებით პირველ ანძაზე და ბოლო ანძაზე ირიბი იალქნებით; შხუნა – ორ-სამანძიანი გემი ირიბი იალქნებით; ბარკენტინა – 3-5 ანძიანი სწორი იალქნებით წინა ანძაზე და სზვა ანძებზე ირიბი იალქნებით; ბრიგანტინა 2-ანძიანი გემი სწორი იალქნებით პირველ და ირიბი იალქნებით მეორე ანძაზე. ი.გ. თანამედროვე პირობებში გამოიყენება, როგორც სასწავლო, სპორტული და სასეირნო.

196. **იალქნიანი მაძრავი**, რომელიც განკუთვნილია ქარის ენერგიეს გარდასაქმნელად გემის წევის ძალაში. იგი წარმოადგენს სელის, ბამბის (აფრისი), რომელიც მაგრდება რანგოუტის ნაწილებზე. იალქნები ფორმის მიხედვით იყოფა – სწორ და ირიბზე; განლაგების მიზედვით – ზედა, უკანა, ქვედა, წინაზე; დანიშნულების მიხედვით – ჩვეულებრივი და შტორმის.

197. **იარაღის გამოყენება** – მეთაურების (უფროსების) აგრეთვე, ბრძანებით (კომანდებით, სიგნალებით) კანინებით, წესდებებით და ინსტრუქციებით სამხედრო მოსამსახურეების (თანამშრომლების), სამხედრო ქვედანაყოფეფის და ნაწილების მიერ შეიარაღებაზე მყოფი იარაღის სანქციონირებული სამხედრო გამოყენება.

198. **კონდახი** – სასროლი იარაღის ნაწილია, სროლის დროს მხარში მისაბრჯენად. მზადდება მთლიან ან ცალკე დეტალად, მიმაგრებულია ლულის კოლოფზე ხისტად ან სახსრულად (საკეცი კონდახი). შეიძლება იყოს – ხის, ლითონის ან პლასტმასის.

199. **კუმულაციურსაწინაღო ეკრანი** – კუმულაციური ეფექტის დასუსტების მიზნით საბრძოლო მანქანებზე დამატებითი ჯავშაბწინაღობის დაყენება ძირითადი ჯავშნიდან გარკვეულ მანძილზე, რათა კუმულაციური საბრძოლო მასრა წინასწარ იქნეა აფეთქებული ძირითად ჯავშანთან მიუღწევლად. კ.ე. უნდა იყოს საკმარისად მტკიცე, მზადდება მსუბუქი დატვიფრული ლითონის ფირფიტებისაგან, მავთულის ბადისაგან და სხვა, რათა შეძლოს საბრძოლო მასალის ამფეთქებელის აფეთქება. საბრძოლო მანქანის დაცვისათვის გამოიყენება აგრეთვე დინამიკური დაცვის ელემენტები.

200. **კაბელის ჩამწყობი** – 1) ბუქსირებადი ან თვითმავალი მექანიზმი მიწის ზედაპირზე კაბელის ჩაგებისთვის და გრუნტში მისი ჩაღრმავებისთვის, აგრეთვე გრუნტიდან კაბელის ამოსაღებად და მიწის ზედაპირიდან მოხსნისთვის. სამუშაო ორგანოს კონსტრუქციით განასხვავებენ დანისებრ, როტორულ და ჰიდრავლიკურ კაბელის ჩამწყობს. როგორც წესი მის შემადგენლობაშია გამწე დაკაბელის ჩამწყობი მისაბმელი მოწყობილობა დახვევ-დასაშლელი დაზგებით და კაბელის ჩადების მექანიზმი. კაბელის ჩაგებისას მოძრაობის სიჩქარე 4 – 6 კმ/სთ2) საზღვაო ხომალდი წყალქვეშა კაბელების ჩაგების, აწევის და რემონტისთვის, მათ შორის ტრანსოკეანურისაკაბელო ხაზების. წყალწყვა აქვს 20 ათას ტონამდე და რამოდენიმე ათას კილომეტრ კაბელს იტევს. კაბელის ჩაწყობას 6 ათას მეტრ სიღრმეზე ახორციელებს.

201. **კაფსულა** – ორბიტიდან მარგი ტვირთის მიწოდებისთვის კოსმოსური აპარატის ჩამოსაშვები ნაკვეთური. გააჩნია სითბური დაცვა, რბილი დაჯდომის საშუალებები.

2) ზებგერითი თვითმფრინავებიდან ეკიპაჟის წევრების ავარიული კატაპულტირებისთვის გერმეტულად გამოყოფადი ნაკვეთური.

202. **კაფსულიანი იარაღი** – ხელის ცეცხლსასროლი იარაღი კაფსულის საკეტით. მრავალი არმიის შეიარაღებაზე კაჟიანი იარაღის ნაცვლად მე – 19 საუკუნის 40 – იან წლებში იქნა მიღებული. განასხვავებდნენ ლულის მუხტიან გლუვლულიან და კუთხვილიან, აგრეთვე სახაზინომუხტიან კუთხვილიან კაფსულიან იარაღს. კუთხვილიანი კაფსულიანი იარაღის შემოღებამ შესაძლებელი გახადა ეფექტური სროლის მანძილის 800 მ – მდე (გლუვლულიანების - 200 მ) გაზრდა. სასროლი იარაღის განვითარების შემდგომი ეტაპი – ქაღალდის ვაზნებით, შემდეგ კი ლითონის ვაზნებით გამოჩენა.

203. **კაჟიანი იარაღი** – ხელის ცეცხლსასროლი იარაღი(პისტოლეტი, თოფი) კაჟიანი საკეტით. გაჩნდნენ პატრუქიანი იარაღის ნაცვლად. გააჩნდა ამაღლებული სწრაფსროლა(დაახლოებით 2 ჯერ) დენთის უფრო მოხერხებული აალებით და გასროლისთვის მუდმივი მზადყოფნის გამო. კაჟიან იარაღს კალიბრი ჰქონდა 17,5 – 21,5 მმ, მასა 4,0 – 5,6 კგ, სროლის სიშორე 140 – 200 მ. მე – 19 საუკუნის შუიდან შეცვლილია კაფსულიანით.

204. **კალიბრი** – 1. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის არხის მიმმართველი ნაწილის დიამეტრი. თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღის კალიბრი ხშირ შემთხვევაში გამოიხატება მილიმეტრებში. გამონაკლისს წარმოადგენს სასროლი იარაღის კალიბრი, რომელიც აშშ-ში ტრადიციულად აღინიშნება დიუმის მეასედ ნაწილებში, ხოლო დიდ ბრიტანეთში – მეათესედში. 2. საავიაციო ბომბის კალიბრი – მისი მასა კილოგრამებში.

205. **კამორა** სამუხტე – საარტილერიო ქვემეხის ლულის არხის ნაწილი, შეზღუდული სახაზინო ჭრილით და ლულის არხის მიმმართველი ნაწილის დასაწყისით.მისი დანიშნულებაა სატყორცნი მუხტის მასრაში ან კარტუზში და ჭურვების ქამრისშემგომ ნაწილში განთავსება. სასროლი იარაღის და მცირეკალიბრიანი ზარბაზნის კამორას მიღებულია სავაზნე ეწოდებოდეს.

206. **კარჭაპი** – 1) სხვადასხვა სახის ტვირთების გადაზიდვებისთვის კორპუსის გამარტივებული შემოხაზვის სატვირთო გემი. იყოფა; ნაოსნობის რაიონის კვალობაზე – საზღვაო, სარეიდო და სამდინარო; გადაადდგილების ხასიათით – თვითმავალ და არათვითმავალ(ბუქსირებადი ან ბუქსირით მიწოლილი); გადაზიდული ტვირთებით – მშრალტვირთიანი, ჩასასხმელი, გრუნტის გადასატანი და სპეციალიზირებული(საარტილერიო, სატანკო-სადესანტო და ა.შ.); კორპუსის მასალით – ხის, ფოლადის, რკინა-ბეტონის(კომპოზიტური); სახომალდო არქიტექტურით – გემბანიანი და უგემბანო. კარჭაპი-ლიხტერების დანიშნულებაა ლიხტერებიდან მოუწყობელ ნაპირზე ტვირთების მიწოდება. 2) მე-18-19ს.ს. იალქნიანი გემი, რეიდზე მდგარი გემების გემების გადმოტვირთვისთვის, აგრეთვე მდინარეებზე, არხებზე ზღვისპირა პუნქტებს შორის ტვირთების გადაზიდვებისთვის. 3) შუა საუკუნეების იალქნიან ფლოტში რეიდზე მდგარი ხომალდებს შორის კავშირის და სამეთაურო შემადგენლობის მიმოსვლისთვის. 4) სხვადასხვა კონსტრუქციის გადასაზიდი ნავების(ინგლისი) ან სასწავლო კანჯოს(აშშ) ძველი დასახელება.

207. **კასეტური საბრძოლო ელემენტი** – კასეტური საბრძოლო მასალების (საარტილერიო და რეაქტიული ჭურვების, რაკეტების საბრძოლო ნაწილების, საავიაციო ბომბების) დამაზიანებელი ელემენტი. იყოფა: არამართვად, თვითდამმიზნებელ და თვითმიზანმძებნელ; ტანკსაწინაღო(კუმულაციურ), მსხვრევად, ფუგასურ, ცეცხლგამჩენ და სხვა. ყველა ტიპის კასეტური საბრძოლო ელემენტი შედგება კორპუსისგან, აღჭურვილობისგან, ამფეთქებლისგან და სტაბილიზატორისგან. საბრძოლო მასალაში კასეტური საბრძოლო ელემენტის რაოდენობა – რამოდენიმედან რამოდენიმე ასეულამდე(საბრძოლო მასალის კალიბრის და კასეტური საბრძოლო ელემენტის მასიდან გამომდინარე). ტანკსაწინაღო კასეტური საბრძოლო ელემენტის მასა 0,5 – 3 კგ, მსხვრევადის – 0,07 – 10 კგ, კუმულაციურ-ფუგასურის – 10 – 20 კგ, ცეცხლგამჩენის – 1,6 – 5 კგ.

208. **კასკა** – მექანიკურიდაზიანებისგანთავის დაცვის მომრგვალური ფორმის თავსაბური. ამოიყენება ჯარებში, აგრეთვე სახანძრო დაცვაში, სამშენებლო და გასამხედროებულ ორგანიზაციებში. 1 – ლ მსოფლიო ომში მრავალ არმიაში მიღებული იყო ფოლადის კასკა ტყვიებისა და ნამსხვრევებისგან დასაცავად. მე - 20 საუკუნის ბოლოდან კასკებისთვის კევლარის ტიპის მაღალი სიმტკიცის სინთეტური მასალები გამოიყენება, რომელიც ფოლადზე გაცილებით მსუბუქია, ხოლოსიმტკიცით და დრეკადობით მას აღემატება.

209. **კატაპულტა** – 1) სატყორცნი მანქანა, დაგრეხილი ბოჭკოების დეკადობის ძალით მოქმედებაში მოყვანილი 30 – 500 კგ მასის ქვების ან ბირთვების რამოდენიმე ასეულ მეტრზე ტყორცნისთვის. გამოიყენებოდა ძვ. წ. ა. მე – 5 საუკუნიდან(ძველ საბერძნეთში, ძველ რომში) მე – 15 საუკუნამდე. 2) საგემბანო თვითმფრინავის აფრენის უზრუნველმყოფი მოწყობილობა(90 მ – მდე სიგრძის მონაკვეთზე 170 – 250 კმ/სთ სიჩქარეს ანვითარებს). შეიძლება იყოს ჰიდროპნევმატური, ორთქლის და აირის. 3) მოწყობილობა თვითმფრინავის ან კოსმოსური აპარატის ეკიპაჟის მიერ ავარიული დატოვებისთვის ავტომატურად ან ხელის ამძრავით.

210. **კატაპულტირება** – 1. დამოუკიდებლად მოძრავი მფრინავის სავარძლის ან კაფსულის დაშორება მფრინავი აპარატიდან. 2. საჰაერო შეიარაღებაში – პროცესი, რომელიც საფრენი აპარატიდან ტვირთის წარმატებით დაშორებისთვის ხორციელდება.

211. **კატარღა** – 1) მცირე საბრძოლო წყალზედა ხომალდი(წყალწყვა 500 ტ – მდე), რომლის დანიშნულებაა საბრძოლო ამოცანების შესრულება და ფლოტი ძალების მოქმედებების უზრუნველყოფა. თავისი დანიშნულებით და ძირითადი შეიარაღებით იყოფა სარაკეტო, სატორპედო, საარტილერიო, ნავსაწინაღო, სადარაჯო, საპატრულო, სადესანტო, კატარღა-მტრალავად, უზრუნველყოფის კატარღად და სხვა. მე – 20 საუკუნის შუამდე ფლოტების ძალებში გამოიყენებოდა სანაღმე კატარღა და წყალქვეშა ნავებზე მონადირე კატარღები. კატარღებს მოქმედების შეზღუდული რადიუსი, მცირე ავტონომიურობა, ზღვის მდგომარეობით შეზღუდვები გააჩნიათ. შეუძლიათ განავითარონ 50 კვანძზე მეტი სიჩქარე. 2) სამსახურებრივ-დამხმარე მცირე ხომალდები(10 – 40 ტ წყალწყვის)გამოიყენებიან მცირე ჰიდროგრაფიული, სალოცმანო, სანიტარული, სამაშველო, ხანძარსაწინაღო, საბუქსირო და სხვა სამუშაობებისთვის. 3)სახომალდო კარჭაპი 10 – 18 ნიჩბით. 4) სპორტული, გასასეირნებელი ან ტურისტული ხომალდი.

212. **კინეტიკური იარაღი** – იარაღის სახეობა, რომლის მოქმედება ემყარება დამაზიანებელი ელემენტების კინეტიკური ენერგიის გამოყენებას და ხასიათდება უმთავრესად დაბრკოლებასთან ამ ელემენტების შეხვედრის მნიშვნელოვანი სიჩქარით (1000 მ/წმ მეტი). დამაზიანებელ ელემენტებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მცირე გაბარიტის მართვადი და უმართავი რაკეტები, საარტილერიო ჭურვები, ლითონის ნაწილაკები. ყველაზე მიზანშეწონილად ითვლება კინეტიკური იარაღის გამოყენება რაკეტსაწინაღო და თვითმფრინავსაწინაღო თავდაცვის სისტემებში.
213. **კლიმატური იარაღი** – მეტეოროლოგიური იარაღი, გეოფიზიკური იარაღის შესაძლო სახეობა, მისი დანიშნულებაა ამინდის და კლიმატის ხელოვნური შეცვლა მოწინააღმდეგისთვის ზარალის მიყენების მიზნით. შესაძლოა დაფუძნდეს ნაწილაკების მიკროსკოპული არადგრადობის გამოყენებაზე, რომლებიც ღრუბლებს შეადგენენ და ატმოსფეროში თავისუფლად იმყოფებიან. კლიმატის გლობალური ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს ქარსაცავების, მთების ქედის განადგურებამ, ბირთვულმა აფეთქებებმა და სხვა. მსგავსი იარაღის შექმნა საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულია.
214. **კოლიმატორი** – მოწყობილობა, რომელიც სხივების ვიწრო პარალელურ კონას აყალიბებს. სამხედრო საქმეში გამოიყენება: საარტილერიო ქვემეხის ან გამშვები დანადგარის ჰორიზონტალური დამიზნებისთვის თუ არ არსებობოს ბუნებრივი მოშორებული წერტილი ან ცუდი ხილვადობის პირობებში;როგორც ვიზირული მოწყობილობა მცირეკალიბრიანი საზენიტო ქვემეხების და ნაღმსატყორცნელების კორებში; როგორც ოპტიკურ-მექანიკური ან ელექტრონულ-ოპტიკური კოლიმატური სისტემა თვითმფრინავების დასამიზნებელ-სანავიგაციო სისტემის შემადგენლობაში.
215. **კომბინეზონი** – საწარმოო კოსტუმი მთლიანობაში გაერთიანებული ქურთუკით და შარვლით. ომბინეზონის ნაირსახეობას წარმოადგენს ნახევარკომბინეზონი, რომელიც შარვლისა და გულსაფარისგან შედგება. გამოიყენება როგორც სპეცტანსაცმელი მანქანის მძღოლებისთვის, ხომალდების ელექტრომექანიკური ნაწილების პირადი შემადგენლობისთვის და სხვა.
216. **კომპასი** – ხელსაწყო კურსის ჩვენებისთვის და სხვადასხვა ობიექტებზე მიმართულების განსაზღვრელად. ამოიყენება ადგილმდებარეობაზე ორიენტირებისთვის, ხომალდების და გემების ტარებაში, არტილერიაში ტოპოგრაფიული და გეოდეზიური სამუშაობების ჩატარების დროს და სხვა. მგძნობიარე ელემენტის მოქმედების პრინციპით განასხვავებენ რამოდენიმე ტიპს: **მაგნიტურ კომპასს** – დაფუძნებულია მაგნიტური ისრის თვისებაზე მაგნიტური მერიდიანის(მიმართულება ჩრდილოეთი-სამხრეთი) გასწვრივ განლაგებაზე. საჭიროებს მაჩვენებლების შესწორებებს მაგნიტური და გეოგრაფიული მერიდიანების სხვაობებზე, ხომალდებისმაგნიტური და ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედებას; არამდგრადია მაგნიტური ანომალიების სიახლოვეს და მაღალ განედებზე. ცნობილია უძველესი დროიდან. **გიროსკოპიული კომპასი** (გიროკომპასი) დაფუძნებულია გიროსკოპის ღერძის მისრაფვებაზე რომლის მასის ცენტრი საკიდარის წერტილის ქმემოთაა, დედამიწის სადღეღამისო ბრუნვის ზემოქმედებით ნამდვილი მერიდიანის სიბრტყესთან შეთავსდეს. გამოიყენება ხომალდებზე, საარტილერიო და სარაკეტო ნაწილების მიბმისათვის და სხვა.

გირომაგნიტური კომპასი დაფუძნებულია მაგნიტური კომპასის ჩვენებაზე გიროსკოპის მუშაობის კორექციაზე. ამოიყენება საფრენ აპარატებზე, მცირე ხომალდებზე. **ასტრონომიული კომპასი** – დაფუძნებულია პელენგატორის საშუალებით ციურ მანათობლებზე უწყვეტ თვალთვალზე, რაც საშუალებას იძლევა საკუთარი კოორდინატების და დროის ცოდნით გეოგრაფიული მერიდიანის განსაზღვრას. **რადიოკომპასი** უზრუნველყოფს საფრენი აპარატის გასწვრივი ღერძის და რადიოშუქურას და სხვა გადამცემ სადგურს შორის კუთხის გაზომვას.

217. **კომპლექტი** – შენაერთებში და ნაწილებში(ხომალდებზე) შტატით და ტაბელით გასაზღვრული შეიარაღების და ტექნიკის ანაკრები, აგრეთვე სათადარიგო ნაწილები, და აღჭურვილობის საგნები, რომლებიც ფორმულარებით და ინსტრუქციებითაა გათვალისწინებული. 2) საბრძოლო მასალების, სათადარიგო ნაწილების და კუთვნილების და სხვათა რაოდენობის გათვლითი-მოსამარაგებელი ერთეული დაწესებული იარაღის, საბრძოლო მანქანის, ხომალდის, თვითმფრინავის ერთეულზე.
218. **კონტრნაღმი** – ასაფეთქებელი ნივთიერების(რომოდენიმე ათეულიდან ათას კილოგრამამდე) მუხტი მიწისქვეშ 5 – 15 მ სიღრმეზე ჩალაგებული, მოწინააღმდეგის სანაღმე გალერეების ასაფეთქებლად. ფართოდ გამოიყენებოდა მე 16 – 19 სს ციხე-სიმაგრეების და საველე გამაგრებების დაცვის დროს.
219. **კორპუსის არტილერია** – ნაწილის და ქვედანაყოფის არტილერია, რომელიც უშუალოდ კორპუსის მეთაურს ექვემდებარება. შეიარაღებაზე აქვს შორსმსროლელი საარტილერიო სისტემები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, ტანკსაწინაღო ქვემეხები, ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსები. განკუთვნილია საცეცხლე ამოცანების გადასაწყვეტად კორპუსის მთავარი დაჯგუფების, მოწინააღმდეგის არტილერიასთან ბრძოლის და მთავარ მიმართულებებზე მოქმედი დივიზიების გაძლიერების ინტერესებისთვის.
220. **კოსმოსური აპარატები** – კოსმოსში მიზნობრივი ამოცანების შესასრულებლად განკუთვნილი საფრენი აპარატების ზოგადი სახელწოდება. შეიძლება იყოს დედამიწის ირგვლივი და საპლანეტათშორისო, სამეცნიერო–კვლევითი და გამოყენებითი, ავტომატური და პილოტირებული. კოსმოსური აპარატების ყველაზე გავრცელებული სახეობებია: ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, კოსმოსური ხომალდი, ორბიტული სადგური, სატრანსპორტო ხომალდი.
221. **კოსმოსური აპარატის საბორტო მოწყობილობა** – კოსმოსური აპარატების ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა მისი მოძრაობის და ბინაობის შიდა პირობების, აგრეთვე მიზნობრივი ამოცანების გადაწყვეტისთვის მოცემული მახასიათებლებით უზრუნველყოფა. უზრუნველმყოფი საბორტო მოწყობილობა მოიცავს ფრენის მართვის საშუალებებს, ენერგომომარაგებას, ცხოველქმედებას, ბიოლოგიურ დაცვას, თერმორეგულირებას, კოსმონავტების ავარიულ გადარჩენას, დაფრენას, რადიოკავშირს, ტელემეტრიეს და სხვა. მიზნობრივი საბორტო მოწყობილობა სამეცნიერო-კვლევით, მეტეო- და ფოტომოწყობილობას მოიცავს.
222. **კოსმოსური სისტემა** – გაკეთებულია
223. **კოსმოსური ხომალდი** – პილოტირებადი კოსმოსური აპარატი. გააჩნიაგერმეტიული კაბინა კოსმონავტების ცხოველქმედების სისტემით. გეოცენტრულ ორბიტებზე

ხანგრძლივი ფრენებისთვის კოსმოსურ ხომალდს ორბიტულ სადგურს უწოდებენ, ხოლო სხვა პლანეტებზე ფრენისთვის – პლანეტთაშორისი სადგურები. კოსმონავტების და ტვირთების ტრანსპორტირება ხორციელდება სატრანსპორტო კოსმოსური ხომალდებით და ორბიტთაშორისი ბუქსირებით. ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია: „მერკური"(მასა 1,3 ტ) – პირველი ამერიკული ერთადგილიანი კოსმოსური ხომალდი 1961-63 6 ფრენა, „ჯემინი"(3,8 ტ) 1965-66 10 ფრენა(განხორციელდა 5 გასვლა ღია კოსმოსში. „აპოლონი"(47 ტ) სამ ადგილიანი კოსმოსური ხომალდი მთვარეზე ფრენებისთვის. მთვარის პროგრამით 1968-72 განხორციელდა 10 ფრენა მათ შორის 6 მთვარეზე გადასხმით. სსრკ კოსმოსური ხომალდების სერია: „ვოსტოკი"(4,73 ტ) პირველი ერთადგილიანი კოსმოსური ხომალდი 1961-63 6 ფრენა, მათ შორის მსოფლიოში პირველი კოსმონავტით ი. გაგარინით. „ვოსხოდი"(5,32 ტ) მრავალადგილიანი კოსმოსური ხომალდი 1964-65 2 ფრენა, მათ შორის ა. ლეონოვი პირველი გავიდა ღია კოსმოსში. აღსანიშნავია ორი ქვეყნის ერთობლივი ფრენები.

224. **კრეისერი** – საბრძოლო წყალზედა ხომალდი, რომლის დანიშნულებაა წყალქვეშა ნავების ძიება და განადგურება, შენაერთის შემადგენლობაში წყალზედა ხომალდებთან ბრძოლა, ბადრაგების და ერთეული ხომალდების განადგურება, საკუთარი საზღვაო გადაზიდვების დაცვა, საზღვაო დესანტების გადასხმის უზრუნველყოფა, საზღვაო სანაპიროზე სახმელეთო ჯარების საცეცხლე მხარდაჭერა და სხვა საბრძოლო ამოცანების შესრულება. როგორც საბრძოლო ხომალდების კლასი მე – 19 საუკუნის 60 – ან წლებში გაჩნდნენ. 1914-18 ზოგიერთი ქვეყნის ფლოტის შემადგენლობაში სახაზო კრეისერები გვხდებიან, რომელთა აგება ომის შემდეგ შეწყდა. მე – 2 მსოფლიო ომის პერიოდში თავიანთი წყალწყვით და შეიარაღებით იყოფოდნენ მძიმე, მსუბუქი საჰაერო თავდაცვის კრეისერებად.სარაკეტო იარაღის გავითარებით მე – 20 საუკუნის 60 – იანი წლებიდან საარტილერიო კრეისერების სარაკეტო კრეისერებით შეცვლა მოხდა. მე – 20 საუკუნის 60 – 70 წლებში ატომური ენერგეტიკული დანადგარების გამოჩენით დაიწყო ატომური სარაკეტო კრეისერების აგება დაიწყო. სახომალდო ავიაციის განვითარებით გაჩნდნენ კრეისერ-ვერტმფრენმზიდები, ნავსაწინაღო კრეისერები და მძიმე ავიამზიდი კრეისერები. რეისერის კლასის თანამედროვე ხომალდები აშშ და რუსეთი ფლოტებს გააჩნიათ.

225. **კუმულაციური ეფექტი** – კუმულაცია, მოცემულ მიმართულებაზე აფეთქების კონცენტრირებული მოქმედება. მიიღწევა ასაფეთქებელი ნივთიერებებისთვისეგრეთ წოდებული კუმულაციური ღოლაბის(სფერული, კონუსური, სოლისებრი და ა.შ.) შექმნით: აფეთქების დროს დამრტყმელი ტალღის შეყრის ცენტრში დაახლოებით 10^6 კგს/სმ^2 წნევა წარმოიქმნება. ღოლაბის ლითონის გარსით დაფარვისას კუმულაციური ეფექტი ბევრჯერ მატულობს. გამოიყენება კუმულაციურ საარტილერიოჭურვებში, საავიაციო ბომბებში, რაკეტების საბრძოლო ნაწილებში, საინჟინრო ნაღმებში, აგრეთვე სარაკეტო ტექნიკის პიროავტომატიკის სისტემებში, სამთამადნო მრეწველობაში და სხვა. ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა მე – 2 მსოფლიო ომის დროს ტანკსაწინაღო კუმულაციური საბრძოლო მასალების შექმნით.

226. **კურსის ავტომატი** – საფრენი აპარატის საბორტო ნავიგაციური სისტემის შემადგენელი ნაწილი. უზრუნველყოფს მართვადი სიგნალების გაცემას საშემსრულებლოვო საჭის მექანიზმებზე ან კურსის ინდიკატორზე.
227. **კურსის გამყვანი** – ტოპომისაბმელის სპეციალური მოწყობილობა მანქანის მოძრაობის გზის რუკაზე დასატანად. გააჩნია გამომთვლელი მოწყობილობა, რომელიც გიროკურსის მაჩვენებლიდან და გზის გადამწოდიდან უწყვეტად მიეწოდება, მიმდინარე კოორდინატებს გამოიმუშავებს.
228. **კურსის ვერტიკალი** – გიროსკოპიული მოწყობილობა საფრენი აპარატის კურსის, დახრილობის და ტანგაჟის კუთხეების გაზომვისთვის. აზომილ კუთხეებზე სიგნალები მიეწოდება ანალოგურ ფორმაში ან ციფრული კოდის სახით.
229. **კუთხვილიანი იარაღი** – ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ლულის არხის მიმმართველ ნაწილში ჭურვისთვის(ვაზნისთვის) გიროსკოპიული ბრუნვის სიჩქარისთვის ხრახნიანი კუთხვილი გააჩნია. შედეგად ტრაექტორიაზე ჭურვი მდგრადია და ეს ხელს უწყობს მისაღები სიშორის და შექუჩებულობის მიღებას. ყველა ქვეყნის იარაღს სწორკუთხოვანი პროფილეს მარჯვენა კუთხვილი აქვს. გლუვლულიანი იარაღიდან კუთხვილიანზე გადასვლა მე – 19 საუკუნის შუა წლებში განხორციელდა.
230. **კვადრანტი** – კუთხმზომი საარტილერიო ხელსაწყო, წარმოადგენს სექტორს 90^0 ცენტრალური კუთხით, რომლის რკალი დაყოფილია კუთხმზომის დანაყოფებით. თანამედროვე ქვემეხებში კორების გასასიჯად გამოიყენება.
231. **ლაფეტი** – საარტილერიო ქვემეხის ნაწილი ლულის განთავსებისთვის. სროლის დროს საბრძოლო დაზგის და ტრანსპორტირების დროს ეტლის როლს ასრულებს. გასროლის დროს უკუქცევის ათვისების ხერხით ლაფეტები იყოფიან ხისტად(ხისტი კავშირი ლულასთან) და დრეკადად(ლულა ლაფეტთან არაუკუგორებადი მოწყობილობითაა დაკავშირებული). თანამედროვე ბუქსირებადი ქვემეხების ლაფეტები შედგება: ხოჭიჭისგან(აკვნისგან), არაუკუგორებადი მოწყობილობების, ზედა დაზგის, დამიზნების მექანიზმებისგან, ქვედა დაზგისგან, რესორებიანი საბრძოლო სვლისგან, გამაწონასწორებელი მექანიზმისაგან, დამიზნების მოწყობილობებისგან და ფარისაგან.
232. **ლარინგოფონი** – მიკროფონი, მოლაპარაკე ადამიანის ყელის ხორხის კვანძების მექანიკური რხევების ელექტრულ სიგნალებში გარდაქმნისთვის. ჩვეულებრივ ორი ლარინგოფონი ხორხის ორ მხარეს ჩაფხუტის ქამრებზეა განთავსებული, აგრეთვე თავის ტელეფონები გააჩნია. მაღალი ხმაურის პირობებში(ტანკებში, თვითმფრინავებში და სხვა) რადიო ან სატელეფონო საუბრებისთვის გამოიყენება.
233. **ლაზერული იარაღი** – მიმართული ენერგიის იარაღის სახეობა, რომელიც მაღალენერგეტიკული ლაზერების მიერ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ემყარება. მის დამაზიანებელ ფაქტორებს წარმოადგენს მიზანზე (სამხედრო ტექნიკა, ცოცხალი ძალა) თერმომექანიკური და დარტყმითი – იმპულსური ზემოქმედება. ლაზერული იარაღისთვის ყველაზე მისაღებია მკვრივორგანული, ქიმიური და ექსიმერული ლაზერები, ასევე ბირთვული დატუმბვის რენტგენური ლაზერები. ხელსაყრელი ატმოსფერული პირობების შემთხვევაში შესაძლებელია ამ იარაღით 6 კილომეტრზე საჰაერო მიზნის დაზიანება.
234. **ლინკორი** – იხ. სახაზო ხომალდი.

235. **ლოკატორი** – ობიექტების ადგილმდებარეობის და მოძრაობის პარამეტრების განმსაზღვრელი საშუალება, მათგან არეკლილი ელექტრო-მაგნიტური ან ბგერითი ტალღებით(აქტიური ლოკატორი) ან მათი საკუთარი გამოსხივებით(პასიური ლოკატორი). გამოყენებული ტალღების ფიზიკური ბუნებიდან გამომდინარე განასხვავებენ რადიოლოკატორებს(რადიოლოკაციურ სადგურებს), ოპტიკურ ლოკატორებს და ჰიდროლოკატორებს(ჰიდროლოკაციურ სადგურებს); მიზნობრივი დანიშნულებით იყოფა – მიზნის აღმოჩენის და თანხლების, იარაღის დამიზნების, სადაზვერვო, სანავიგაციო, მეტეოროლოგიურ და სხვა. პირველი ლოკატორები(ჰიდროლოკატორები) 1 – ლი მსოფლიო ომის პერიოდში გაჩნდა, რადიოლოკატორები – მე – 2 მსოფლიო ომის წინ, ხოლო ოპტიკური დიაპაზონის ლოკატორები მე – 20 საუკუნის 60 – იან წწ.
236. **ლუფტვაფე** – გერმანიის(1945 წლამდე) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სახელწოდება. თანამედროვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელი სახეობა. ლუფტვაფე – ს ნაწილი ნატო-ს გაერთიანებულ სამხედრო-საჰაერო ძალებში შედის.
237. **ლულის მუხრუჭი** – საარტილერიო ქვემეხის(ნაკლებად სასროლი იარაღის) ლულის წინა ნაწილის მოწყობილობა, გასროლის დროს უკუგორებადი ნაწილების ენერგიის ნაწილის შთანთქმისთვის. ლულის მუხრუჭის მოქმედების პრინციპი შედგება ჭურვის(ტყვიის) ლულიდან გაფრენის შემდეგ დენთის აირების ნაწილის მოძრაობის მიმართულების შეცვლაში უკანა მხარეს. შედეგად წარმოიქმნება ძალა, რომელიც არაუკუგორებადი ნაწილების მოძრაობას ამუხრუჭებს. საარტილერიო ქვემეხებში ჩვეულებრივ უკუგორებად მოწყობილობებთან გამოიყენება. ლულის მუხრუჭის წილზეუკუგორებადი ნაწილების ენერგიის 25 – 70 % მოდის. პირველად ლულის მუხრუჭები მე – 19 საუკუნის 60 – იან წლებშია გამოყენებული.
238. **მაალებელი** – მაინიცირებელი საშუალება დენთის მუხტების, სარაკეტო საწვავის და პიროტექნიკური საშუალებების წვის აღგზნებისთვის. შესაძლოა იყოს მექანიკური ელექტრული ტიპის. ძირითად მექანიკურ მაალებლებს განეკუთვნებიან ფისტონ-მაალებელი და მის საფუძველზე(დამატებითი მუხტის დამატებით) – ფისტონიანი მილაკი და დამრტყმელი აალებადი საფეთქელა (მასრაში შესაბამისი საარტილერიო სატყორცნი მუხტის აალებისთვის), აგრეთვე მაალებელი ფალიასთვის, ცეცხლგამტარი ზონარი და სხვა.
239. **მაგნიტომეტრი** – ხელსაწყო, მაგნიტური ველის და ობიექტების და მასალების მაგნიტური მახასიათებლების გასაზომად. განასხვავებენ: ერსტედმეტრებს(ველის ძაბვის გასაზომად), ტელემეტრებს(მაგნიტური ინდუქციის), ვებერმეტრებს(მაგნიტური ნაკადის), ინკლინატორებს და დეკლინატორებს(მაგნიტური ვეილს ვექტორის მიმართულება) და სხვა. გამოიყენება წყალქვეშა ნავების, სახმელეთო მოძრავი ობიექტების და ცოცხალი ძალის აღმოსაჩენად, დეფექტოსკოპიაში, ბირთვულ ფიზიკაში და სხვა.
240. **მაინიცირებელი საშუალებები** – დენთების(სარაკეტო საწვავის, პიროტექნიკური შემადგენლობების) აალების ან ასაფეთქებელი ნივთიერებების დეტონაციის საშუალება. შესაბამისად, იყოფიან აალების საშუალებებად(კაფსულ-მაალებლები, კაფსულის მასრა, დამრტყმელი მაალებელი მილები, მექანიკური და სახეხი მაალებლები, ცეცხლგამტარი ზონრები) და დეტონაციის საშუალებები(კაფსულ-

დეტონატორები, დეტონატორები, მადეტონირებადი ზონრები). შეიძლება იყოს მექანიკური (დამრტყმელი, საჩხვლეტი, სახეხი) და ელექტრული. აღიჭურვება მაინიცირებადი ასაფეთქებელი ნივთიერებებით(მდრგვინავი სინდიყით ტყვიის აზიდიდ ან ტეტრაზენით).

241. **მანძილმზომი** – ადგილმდებარეობაზე უშუალო გაზომვების გარეშე ობიექტებამდე მანძილის გაზომვის ხელსაწყო. გამოიყენება საარტილერიო სროლების, ბომბდაშენის, ტოპოგრაფიული გადაღებების დროს, აგრეთვე ნავიგაციაში, ასტრონომიაში და სხვა. განასხვავებენ შუქმანძილმზომებს, რადიომანძილმზომებს, აკუსტიკურ და ოპტიკურ-მექანიკურ. ყველაზე მეტად გავრცელებული **შუქმანძილმზომების** ნაირსახეობა ლაზერული მანძილმზომებია რომელიც დაფუძნებულია გაშვებული იმპულსის და ობიექტიდან არეკლილ იმპულს შორის დროებითი ინტერვალის ფიქსაციაზე. ასეთი მანძილმზომების გაზომვის დიაპაზონებია 30 მ - დან 25 კმ – მდე, სიზუსტე 5 მ – მდე, მასა 15-20 კგ(პერისკოპული) და 1,5 – 2,5 კგ(ბინოკლი-მანძილმზომები). **რადიომანძილმზომებში** პასიური და აქტიური არეკვლის, იმპულსიანი და უწყვეტი გამოსხივების რადიოტალღები გამოიყენება. წყალში მანძილის განსაზღვრისთვის **აკუსტიკური** (ულტრაბგერითი) მანძილმზომები გამოიყენება. **ოპტიკურ-მექანიკურებიდან** გავრცელება ჰპოვა ბინოკულარულმა(სტერეოსკოპურმა) და მონოკულარულებმა გაზომვის სიზუსტით 0,01 და 0,1% შესაბამისად.

242. **მანძილმზომი სისტემა** – ობიექტის კოორდინატების მაღალი სიზუსტით განსაზღვრისთვის რადიომანძილმზომების და გამოთვლითი საშუალებების სისტემა. სახმელეთო შემკითხველის მანძილმზომი სისტემა რამოდენიმე სახმელეთო მიღება-გადამცემირადიოსადგურების(მანძილმზომისგან) შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საფრენ აპარატამდე მანძილს ზომავენ. გაზომვის შედეგები გადაეცემა ცენტრალურ სადგურზე, სადაც საფრენი აპარატის მდგომარეობა განისაზღვრება. მოცემულ სისტემაში საფრენი აპარატიდან საბორტო აპარატურის შეკითხვის მეშვეობით სახმელეთო სადგურამდე მანძილი განისაზღვრება. მიღებული მონაცემებით ნავიგაციის და იარაღის საბრძოლო გამოყენების ამოცანებს ასრულებენ.

243. **მაქსიმი** – ამერიკელი ჰ.ს. მაქსიმის(1840 – 1916) მიერ 1883წ. შექმნილი მსოფლიოში პირველი ბრძოლისუნარიანი ავტომატური იარაღის – დაზგიანი ტყვიამმფრქვევის სახელწოდება.

244. **მაღალი სიზუსტის იარაღი** - (ზუსტი დამიზნების საბრძოლო მასალები) – მართვადი იარაღი (ჭურვები, რაკეტები, ავიაბომბები), რომლის ეფექტიანობას უმთავრესად მიზანში ზუსტი მოხვედა განაპირობებს. ტერმინი გაჩნდა მე-20 სუკუნის 70-იან წლებში იმ იარაღის აღსანიშნავად, რომლის მიზანში პირდაპირი მოხვედრების ალბათობა მისაწვდომობის ზონის ფარგლებშია. სროლის (გაშვების) ნებისმიერ სიშორეზე შეადგენს არა ნაკლებ 0,5-ს. თანამედროვე მაღალი სიზუსტის იარაღი ფასდება წრიული შესაძლო გადახრით 1-5 მ ფარგლებში.

245. **მართვის მანქანა** - ჯავშნიანი მუხლუხა ან თვლიანი მაღალი გამავლობის მანქანა, ჯარების ან იარაღის მართვის საშუალებებით გამართული. ჯარების მართვის მანქანები ჩვეულებრივ სარდლების(მეთაურების) და მათი შტაბების მართვის მოძრავი პუნქტის სახით გამოიყენება; იარაღის მართვის მანქანები, როგორც წესი

საველე არტილერიის დივიზიონების შემადგენლობაში შეიარაღების კომპლექსის ელემენტად გამოიყენებენ.

246. **მაუზერი** – გერმანელი მეიარაღეების ძმები მაუზერების ვილგელმის(1834-82) და პაულის(1838-1914) სახელთან დაკავშირებული სასროლი იარაღის სახელწოდება. მათ მიერ დაარსებული ფირმა „მაუზერი"(ქ. ობერნდორფი) ამავე სახელწოდების სასროლი იარაღის დამუშავებას და წარმოებას დღესაც აგრძელებს. განსაკუთრებული ადგილი უკავია ძალუმ პისტოლეტს(1893), რომელიც პირველი მოდერნიზაციის(1893) შემდეგ ყველა შემდგომი მოდიფიკაციისას აღინიშნა K-96. კალიბრი ჰქონდა 7,63 მმ, მოუხსნელი მჭიდი და ხის ბუდე, რომელიც კონდახად გამოიყენებოდა. ყველაზე გავრცელებული მაუზერების(1912) მჭიდის ტევადობა 10 ვაზნა, ტყვიის საწყისი სიჩქარე 430მ/წმ,ეფექტური სროლის მანძილი 100 მ.

247. **მახვილი** – ძველებური საჩეხი-საჩხვლეტი ცივი იარაღი. შედგებოდა ფართო, პირდაპირი ორმხრივ ბასრი, ჩვეულებრივ 0,5 – 1,5 მ ორლესულისგან, და ჯვარედი ტარისაგან. რინჯაოს მახვილი ჩ.წ.ა. მე-2 ათასწლეულიდანაა ცნობილი. ამოიყენებოდაფეხოსან და ცხენოსან ჯარებში.

248. **მცირეკალიბრიანი არტილერია** – არტილერია, რომლის შეიარაღებაზე 20 –დან 75 მმ – მდე(საზენიტო და სახომალდო არტილერიაში 60 მმ – მდე, სანაპიროს – 100 მმ – მდე)კალიბრის ქვემეხები იმყოფება.

249. **მცირეკალიბრიანი სასროლი იარაღი –** 6,5 მმ ნაკლები კალიბრის საბრძოლო და სპორტული იარაღი. ირველ თანამედროვე საბრძოლო მცირეკალიბრიანი სასროლი იარაღად ამერიკული ავტომატური 5,56 მმ შაშხანა M169(1962) და ხელის ტყვიამფრქვევი Mk23 ითვლება. სპორტული მცირეკალიბრიანი სასროლი იარაღი ძირითადად 5,65 მმ ვაზნებისთვის იქმნება.

250. **მეგაფონი** – ჩვეულებრივ კონუსური რუპორი საჭირო მიმართულებაზე ხმის ბგერის კონცენტრაციისთვის. სამხედრო საქმეში გამოიყენება მარშების, აღლუმების, საველე სწავლებების დროს კომანდების გასაცემად.

251. **მექანიზირებული ხიდი** – ტაბელური სამხედრო ხიდის სახეობა, რომელიც დამონტაჟებულია სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლის დანიშნულებაა ხიდის ტრანსპორტირება, წინაღობაზე დაყენება და ისევ ტრანსპორტირებად მდგომარეობაში გადაყვანა. მექანიზებული ხიდები იყოფა სატანკო ხიდგამდები, რომელიც შედგება ხიდის კონსტრუქციისაგან და ძარად გამოყენებულია ტანკი და მძიმე მექანიზებული ხიდები, რომელშიც შედის ერთი ტიპის ხიდგამდებები, დამონტაჟებული მაღალი გამავლობის დიდი ტვირთამწყეობის ავტომობილებზე.

252. **მეტეოროლოგიური იარაღი** – იხ. კლიმატური იარაღი.

253. **მეტეოროლოგიური რაკეტა** – გეოფიზიკური რაკეტა ატმოსფეროს მაღალი ფენების სტრუქტურული პარამეტრების კვლევებისთვის. მასა აქვს 300 – 400 კგ, აწევის სიმაღლე 100 – 150 კმ. მეტეოროლოგიური რაკეტების გაშვება სხვადასხვა გეოფიზიკურ რაიონებში როგორც სახმელეთო პუნქტებიდან, ასევე ხომალდებიდან ხორციელდება.

254. **მეტეოროლოგიური ხელსაწყოები** – გამოიყენება ჰაერის ტემპერატურის (თერმომეტრები, თერმოგრაფები), ტენიანობის(ფსიხრომეტრები, გიგროგრაფები), წნევის(ბარომეტრები, აპეროიდები, ბაროგრაფები), ქარის სიჩქარის და

მიმართულების(ანემომეტრები, ანემორუმბომეტრები,ფლუგერები, ანემოგრაფები) გასაზომად.

255. **მიკროფონი** – ხელსაწყო(ბგერისმიმღები) ბგერის რხევების ელექტრულში გარდაქმნისთვის. შეიძლება იყოს ნახშირის, ელექტრო-მაგნიტური, ელექტროდინამიური, კონდენსატორული, პიეზოელექტრული და სხვა. გამოიყენება კავშირგაბმულობის, მართვის, რადიოწინაღობუის და სხვა სისტემებში.

256. **მიწისმთხრელი მანქანები** – ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობის დროს, მიწის სამუშაობების მექანიზაციის საშუალება. შედგება საბაზო მუხლუხა ან თვლიანი შასისგან და მუშა მოწყობილობისგან[ციცხვიანი ან უციცხვო როტორული(ჯაჭვიანი) ორგანოსგან, განივი თხრის ფრეზებისგან, გამფხვიერებლისგან, საბულდოზერო მოწყობილობისგან, ამწეკავიანი საკიდრისგან, ჯალამბარისგან და სხვა]. იყოფა სატრანშეოდ, უნივერსალურ და უნივერსალურ ერთცაცხვიანად. გარდა ამისა მიწისმთხრელ მანქანებად გამოიყენება ბულდოზერები, სატანკო საკიდი საბულდოზერო მოწყობილობა და ჩაშენებული მოწყობილობა თვითშემოთხრისთვის.

257. **მიზნის კურსის პარამეტრი** – უმოკლესი მანძილი(პერპენდიკულარი) წერტილიდან(კოორდინატების დასაწყისი, ხელსაწყოს, ქვემეხის, გამშვები დანადგარის ადგილმდებარეობიდან), რომლის ფარდობით ის განისაზღვრება, ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მიზნის კურსის პროექციამდე. ერთ-ერთი საწყისი სიდიდე სროლისთვის დანადგარების განსაზღვრის დროს. ისი მნიშვნელობა განისაზღვრება ჰორიზონტალური მანძილით d და კურსის კუთხით q (P = d sin q)

258. **მოცულობითი აფეთქება** – საწვავი ნივთიერებების და მჟანგველის აირისებრი ან აეროზოლური ნაზავის აფეთქება, რომელიც მოქცეულია დახშულ (ნახევრად დახშულ) სივრცეში ან წარმოადგენს გარემოში არსებულ თავისუფალ ღრუბელს. მოცულობითი აფეთქების აუცილებელი პირობაა საწვავის და მჟანგველის გარკვეული თანაფარდობა და მაინიცირებელი იმპულსი. მუცულობითი აფეთქებისთვის ატმოსფეროს ჟანგბადის გამოყენების შესაძლებლობამ განაპირობა მოცულობითი დეტონირების საბრძოლო მასალების შექმნა, რომლებიც გამართულია მხოლოდ საწვავი კომპონენტებით (ეთილენის ჟანგი, პროპილენის ჟანგი, მეთანი, ბენზინი, ალუმინი და სხვ.).

259. **მოდერნიზაცია** (სამხედრო ტექნიკის) - მოძველებული სამხედრო ტექნიკის განახლება მისი ცალკეული ნაწილების კონსტრუქციის სრულყოფით, მოწყობილობების შემადგენლობის შეცვლით და ა.შ. მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით. ტარდება შემკვეთის ტექნიკური დავალებით.

260. **მოდიფიკაცია** (სამხედრო ტექნიკის) – ერთგვაროვანი ტიპის სამხედრო ტექნიკის კონსტრუქციული ვარიანტების შექმნა, რომლებიც ერთმანეთისგან ეფექტურობით, მიზნობრივი დანიშნულებით ან გამოყენების პირობებით განსხვავდებიან. ექსპლუატაციის და რემონტის ერთიანი სისტემის, უნიფიკაციის მაღალი დონის მონაცვლეობის უზრუნველსაყოფად საბაზო(საწყისი) ვარიანტის საფუძველზე ხორციელდება.

261. **მომწამლავი ნივთიერებების ინდიკატორი** – საველე პირობებში მომწამლავი ნივთიერებების აღმოჩენა, ამოცნობა და რაოდენობის განსაზღვრა ქიმიური

კონტროლის(დაზვერვის) საშუალებების ან ქიმიურ ლაბორატორიებში სინჯების ანალიზის მეშვეობით. გამოიყენება აირგანმსაზღვრელები, ავტომატური და ნახევრადავტომატური აირსიგნალიზატორები, ქიმიური დაზვერვის საჯარისო ხელსაწყოები, საველე ქიმიური ლაბორატორიები, აგრეთვე უმარტივესი საშუალებები – ინდიკატორული ფხვნილები, ცარცი და ქაღალდი.

262. **მომწამლავი ნივთიერებების კონცენტრაცია** – მომწამლავი ნივთიერების რაოდენობა მოწამლული ჰაერის მოცულობის ერთეულში. ჩვეულებრივ იზომება მგ/ლ –ში. კონცენტრაციის ნამრავლი ეკსპოზიციაზე(მოწამლულ ჰაერში დაუცველი ადამიანის ყოფნის დრო) ინგალაციის დროსტოკსიკურ დოზას უწოდებენ.

263. **მონიტორი** – ჯავშნიანი ხომალდი, დაბალბორტიანი წყალშიდიანი და მძლავრი საარტილერიო შეიარაღებით. სახელწოდება წარმოიშვა პირველი კოშკურიანი დაჯავშნული ხომალდისგან „მონიტორი’ აგებული 1862 წ. აშშ – ში. ქტიურად მონაწილეობდნენ 1 – ლ და მე – 2 მსოფლიო ომებში. მე – 20 საუკუნის 40 – იანი წლების ბოლოს მათი აგება შეწყვეტილია.

264. **მორტირა** – საარტილერიო ქვემეხი მოკლე ლულით და ჭურვის ციცაბო ტრაექტორიით. ძირითადად ციხე-სიმაგრეებზე, ფორტიფიკაციულ ნაგებობზე, სახომალდო გემბანზე, საფარს მიღმა ჯარებზე მორტირული სროლისთვის(ამაღლების კუთხე 45^0 – ზე მეტი) გამოიყენებოდა. ცნობილია მე – 15 საუკუნიდან. შედიოდა საალყო, საზღვაო და მე – 19 ს საველე არტილერიაშიც.

265. **მოტოციკლი** – ორ ან სამთვლიანი სატრანსპორტო საშუალება შიდა წვის ძრავით 49,8 $მ^3$ და მეტი მოცულობის. იყოფა საგზაოდ(ადამიანების და ტვირთების გადაზისდვისთვის), სპეციალურ(საპატრულო, საესკორტო) და სპორტულ. შამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება საგზაო და სპეციალური მოტოციკლები.დანიშნულების კვალობაზე მოტოციკლეტის ეტლი მოწყობილია ცეცხლსასროლი და ტანკსაწინაღო შეიარაღების, ნაღმსატყორცნის, საბრძოლო მასალების და სხვათა განსათავსებლად. შამხედრო მიზნებისთვის გამოსაყენებელი მოტოციკლის სისწრაფე 150 კმ/სთ – მდეა, მასა 350 კგ – მდე.

266. **მოტოქვეითი** (მოტორიზებული ქვეითი) – ზოგიერთი ქვეყნის(გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები) შეიარაღებული ძალების თანამედროვე ქვეითის დასახელება. უნარი შესწევს აწარმოოს ბრძოლა როგორც ქვეითთა საბრძოლო მანქანებზე, ასევე ქვეითად.

267. **მოწყობილობა ტანკების წყალქვეშ ტარებისთვის** – წყალქვეშ ტანკების გადასასვლელი მოწყობილობის კომპლექტი. უზრუნველყოფს ტანკების გერმეტიზაციას, ეკიპაჟისთვის და ძრავისთვის ატმოსფერული ჰაერის მიწოდებას. შედგება მოსახსნელი ნაწილისგან(ჰაერით კვების მილები, გამოსაშვები სარქველებისგან, სხვადასხვა მამჭიდროველებისგან) და არამოსახსნელი(მოწყობილობები მოსახნელი ნაწილის მონტაჟისთვის, გირონახევარკომპასი და სხვა). კომპლექტში აგრეთვე შედის ეკიპაჟის თითოეულ წევრზე იზოლირებადი აირწინაღები და სამაშველო ჟილეტები).

268. **მრავალლულიანი რეაქტიული ნაღმსატყორცნი** – მე – 2 მსოფლიო ომში გამოყენებული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის გამშვები დანადგარის გერმანული სახელწოდება. თავდაპირველად ქიმიური საბრძოლო მასალებით სროლისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ომის მსვლელობისას გამოიყენებოდა

ფუგასური, მსხვრევად-ფუგასური, ცეცხლგამჩენი და საკვამლე ტურბორეაქტიული ჭურვები გამოიყენებოდა. ყველაზე ცნობილი მრავალლულიანი რეაქტული ნაღმსატყორცნები: 6 – ლულიანი ბუქსირებადი და 10 – ლულიანი თვითმავალი(კალიბრი 158,5 მმ, ჭურვის მასა 34,15 კგ, სროლის მანძილი 6,7 კმ), 5 – ლულიანი ბუქსირებადი(210 მმ, 111 კგ, 7,8 კმ). მრავალლულიანი რეაქტიული ნაღმსატყორცნები ყველა კომპონენტით საგრძნობლად ჩამოუვარდებოდნენ საბჭოთა წარმოების გამშვებ დანადგარს „კატიუშას”

269. **მრავალსაფეხურიანი რაკეტა** – ორი ან რამოდენიმე საფეხურისგან შემდგარი რაკეტა. ასეთ რაკეტას ფრენის დროს საწვავის გახარჯვის შემდეგ გამოყენებული საფეხური სცილდება. საფეხურების შეერთება შეიძლება იყოს თანმიმდევრული, პარალელური და კომბინირებული. საფეხურების რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია რაკეტის ფრენის მანძილზე და სასარგებლო ტვირთის მასაზე. მრავალსაფეხურიან რაკეტებს განეკუთვნება რაკეტა – მატარებლები და სტრატეგიული რაკეტები.
270. **მსუბუქი არტილერია** – ბრძოლაში ფეხოსნების უშუალო მხარდაჭერის(თანხლების) საველე არტილერიის სახეობა. ჩვეულებრივ, მსუბუქ არტილერიას მიაკუთვნებდნენ პოლკის საარტილერიო ქვემეხებს, რომელთა მასა საშუალებას იძლეოდა ფეხოსნებთან ერთობლივად მოქმედებების, მათ შორის უგზოობის დროს, ხოლო საცეცხლე პოზიციაზე – ქვემეხის გათვლის ძალებით გადაადგილება. მსუბუქი არტილერია წარმატებით გამოიყენეს ფრანგებმა ჯერ კიდევ 1494-1559 იტალიური ომების დროს. მე – 20 საუკუნის 30 – იანი წწ მოხდა არტილერიის საორგანიზაციო პრინციპით დაყოფა, ამის შედეგად ტერმინმა „მსუბუქი არტილერია” თავისი მნიშვნელობა დაკარგა.
271. **მშვილდი** – ხელის სატყორცნი იარაღი ისრების გატყორცნისთვის. ეფექტური სროლის მანძილი დაახლოებით 200 მ, სწრაფსროლა 10 – 12 გასრ./წთ. ცნობილია უძველესი დროიდან. გამოიდევნა ცეცხლსასროლი იარაღით. როგორც სპორტული იარაღი მე – 19 ს ბოლოდან გამოიყენება.
272. **მსხვილკალიბრიანი არტილერია** – არტილერია, რომლის შეიარაღებაზე 155 მმ - ზე მეტი კალიბრის (საზენიტო არტილერიაში 100 მმ – ზე მეტი, საზღვაოში – 130 მმ – ზე მეტი) ქვემეხები იმყოფება.
273. **მთავარი კალიბრი** – სახომალდო არტილერიის ნაწილი, რომელსაც უმეტესი კალიბრი გააჩნია. ადრე 457 მმ – ს აღწევდა.ხომალდებზე რაკეტული იარაღის გაჩენისთანავე არტილერიის ამოცანები შეიცვალა – ის გახდა უნივერსალური, ე.ი. საზღვაო, საჰაერო და სანაპირო მიზნების დაზიანების უნარის მქონე; შემცირდა მისი კალიბრიც 127 – 130 მმ – მდე.
274. **მუხლუხა** – რგოლების სახსრიანად შეერთებული კრული ლენტა, რომელიც მუხლუხა სვლისთვის გამოიყენება. ყველაზე მეტად გამოიყენება ლითონის და რეზინლითონის რგოლები
275. **მუხტი** – განსაზღვრული რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება, დენთი, მკვრივი სარაკეტო საწვავი ან ბირთვული საწვავი, ჩვეულებრივ მაინიცირებელი საშუალებით მომარაგებული. იყოფა სატყორცნ, გასკდომად, გამომგდებ, ამფეთქ, სარაკეტო და ბირთვულ მუხტებად. **სატყორცნი** – ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან საარტილერიო ჭურვის(ნაღმის, ყუმბარის ტყვიის) ტყორცნისთვის

დენთის დანამატი. მოთავსებულია მასრებში ან კარტუზებში. პრინციპში, დენთის ნაცვლად შესაძლოა თხევადი სატყორცნი ნივთიერებების გამოყენება. **გასკდომითი** – ბრიზანტული ასაფეთქებელი ნივთიერებების განსაზღვრული რაოდენობა დაზიანების(რაკეტების და ტორპედოების საბრძოლო ნაწილების, საავიაციო ბომბების,საარტილერიო ჭურვების და ნაღმების,საინჟინრო და საზღვაო ნაღმების ყუმბარების და სხვა) საშუალებების უშუალოდ აღჭურვისთვის. **გამომგდები** – დენთის ან პიროტექნიკური საშუალების დანამატი ცეცხლგამჩენი, საკვამლე, მანათებელი, კასეტური, სააგიტაციო და სხვა საბრძოლო მასალების სპეციალური აღჭურვილობის გამოგდებისთვის მათი კორპუსის დაუზიანებლად. **ამფეთქი** – განსაზღვრული რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება დამოუკიდებელი აფეთქები9ს წარმოებისთვისჩვეულებრივ გააჩნია გარსი და ბუდე მაინიცირებელი საშუალებების განთავსებისთვის. **სარაკეტო მკვრივსათბობიანი მუხტი** – სარაკეტო ძრავის წვის კამერაში განთავსებული ერთი ან რამოდენიმე ბალისტიკური დენთისა და სათბობიანი ნარევისგან შედგება.

276. **მჭიდე** სავაზნე – ზოგიერთი სახეობის სასროლი იარაღის და მცირეკალიბრიანი ქვემეხების დატენვის დაჩქარების მოწყობილობა. ცნობილია ორი ტიპის: ვაზნებთან ერთად თავსდებიან სავაზნე კოლოფში და სრულ დაცლამდე იქ იმყოფებიან; ვაზნების კოლოფში წინ წაწევისთვის გამოიყენებიან მხოლოდ მიმმართველად. მოცულობა ჩვეულებრივ იარაღის სავაზნე კოლოფს შეესაბამება.
277. **მჭიდი** იარაღის – სპეციალური მოწყობილობა ცეცხლსასროლ იარაღში ვაზნების(გასროლების) განთავსებისთვის და სროლის დროს დამატებითი დაგზავნის ხაზზე მათი თანამიმდევრული მიწოდებისთვის. შედგება ლითონის ან პლასტმასის კორპუსის და მიმწოდებელს ზამბარით. მჭიდი შეიძლება იყოს კოლოფისებრი, დისკოსებრი და დოლისებრი; მოსასხნელი და მოუხსნელი; შეიძლება განთავსებული იყოს იარაღის შიგნით(კონდახში,სახელურში და ა.შ) ან გარეთ(ქვევიდან, ზევიდან, გვერდიდან). მჭიდის გარდა შესაძლოა გამოყენებული იქნას დანიშნულებით ანალოგიური მოწყობილობა მოქნილი ლენტები და სხვა.
278. **მამოწმობელ-გამშვები მოწყობილობა** – სარაკეტო კომპლექსების სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობა რაკეტებისა და გამშვები მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების, შენახვისა და ექსპლოატაციის, რაკეტების ცინასასტარტო მომზადებისა და გაშვების დროს. სტაციონარული სარაკეტო კომპლექსების სასტარტო პოზიციების მოწყობილობის ნაწილია, ხოლო მობილურებში განლაგებულია გამშვებ მოწყობილობაში. ზოგიერთი რაკეტების მართვის სისტემებში გამომთვლელი მანქანების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ელექტრო-გამომთვლელი მანქანების ფუნქციები გადაეცა თვით სისტემაზე.
279. **მანქანების მცურავი საშუალებები** – წყლის წინაღობის გადალახვისას არამცურავ მანქანებზე დასაყენებელი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ტივტივადობას. ანსხვავებენ კარკასულ-ქსოვილიან მცურავ საშუალებებს (ბრეზენტის ან რეზინის გარსაცმები, რომლებიც მაგრდება მანქანის პერიმეტრზე) და ტივტივებიანი (ღრუ ტივტივები ან ქაფპლასტით შევსებული პანტონები) მანქანების ცურვეს უზრუნველყოფს სავალი ნაწილი (მუხლუხები, ბორბლები) ან სპეციალური მაძრავები (მაგ., წევის ხრახნი აძვრით ტრანსმისიიდან).

280. **მანქანის გამავლობა** – დამხმარე საშუალებების გარეშე სხვადასხვა პირობებში მანქანის მოძრაობის უნარი; მოძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი. განასხვავებენ მანქანების ჩვეულებრივ გამავლობას (ავტომობილები თვლების ფორმულით 4x2, ჩვეულებრივი თვლებით და არამაბლოკირებელი დიფერენციალით), გაზრდილი (სამხედრო ავტომობილები თვლების ფორმულით 4x4, 6x4, 6x6, 8x8, ფართოპროფილიანი საბურავებით და საბურავებით რეგულირებული წნევით, დიფერენციალის ნაწილობრივი ან სრული ბლოკირებით) და მაღალი (მუხლუხა მანქანები, სრულამძრავიანი სამხედრო ავტომობილები ზედაბალი წნევის საბურავებიანი, თაღოვანი საბურავებით, პნევმოსაგორავებიანი და სხვ.). მანქანების განვლადობა ფასდება გრუნტზე კუთრი წნევით, გადასალახი წინაღობის პარამეტრებით (ასვლისა და დაგვერდების კუთხეების, თხრილის ისგანით და სიღრმით, ფონის სიღრმით) და სხვ.

281. **მავთულხლართების ღობურები** – ქვეითთასაწინაღო ღობურები გლუვი ან ეკლიანი. ეწყობა დასაცავ პოზიციებს შორის და ფლანგებზე დაცვისათვის. ანსხვავებენ მუდმივ მავთულხლართიან ღობურებს, რომლებიც მზადდება ადგილზე (მავთულის ბადეები, ღობურები და სხვ.) და გადასატანი, წინასწარდამზადებული (მავთულის და ლენტის სპირალები, ნაკლებადშესამჩნევი მავთულხლართები, ორკაპები და სხვ.). შესაძლებელია დაელექტროებული მავთულხლართების გამოყენება, რომელშიც გადის 750-1500 ვ. ძაბვა და შეუძლია მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანა.

282. **მცურავი მანქანები** – (ძველი ამფიბიები) მანქანები, რომლებსაცშეუძლიათ ხმელეთზე და, წინასწარი მომზადების გარეშე, წყალზე გადაადგილება, რისთვისაც გააჩნიათ წყალშეუღწევადი კორპუსი, სპეციალური წყალმაძრავი ან ტრადიციული მაძრავი (ბორბლები, მუხლუხები და სხვ.). წყალზე მოძრაობისას მართვის მექანიზმი – წყალგადამქაჩი სისტემა და სხვა. სამხედრო მცურავი მანქანები იყოფა: დანიშნულების მიხედვით – საბრძოლო, სადესანტო-სატრანსპორტო და სპეციალური; წყალზე ცურვის ხერხის მიხედვით – წყალწყვით (მოძრაობის სიჩქარე 10-18 კმ/სთ), გლისერები (50-60 კმ/სთ), წყალქვეშა ფრთებიანი (55-65 კმ/სთ), ჰაერის ბალიშზე (75-130 კმ/სთ).

283. **მისაბმელი** – ერთ, ორ- ან მრავალღერძიანი ოთხთვალა, რომელიც ბუქსირდება საწევარით ან ავტომობილით. გამოიყენება ტვირთების, ტრანსპორტირების ან სპეცმოწყობილობის მონტაჟისათვის (მაგალითად, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის). მისაბმელს შეიძლება გააჩნდეს წამყვანი ხიდები, მობრუნების მოწყობილობა, მუხრუჭები, შუქსიგნალები. ტვირთამწეობა: მცირეს 2ტ-მდე, საშუალოს 2-20 ტ. და დიდი 20 ტ. მეტი.

284. **მისართები** – საწვავ-საცხებ მასალებში დასამატებელი (0,001-5%) სპეციალური ნივთიერებები მათო ხარისხის ასამაღლებლად, როგორც წარმოების, ასევე ექსპლოატაციის პროცესში. გავრცელებული მისართებია: ანტიდეტონაციური, ნამწვსაწინააღმდეგო, ანტიკოროზიული, ანტიფრიქციული, ანტისტატიკური, ანტიმჟავა, ჟანგვაწინაღი და სხვ.

285. **მოპიკირე ბომბდამშენი** – მცირე ზომის მიზნებზე პიკირებით დაბომბვის საბრძოლო თვითმფრინავი. მ.ბ. იყენებდნენ II მსოფლიო ომში. ბოლო დროს მათი, როგორც სპეცთვითმფრინავების საჭიროება აღარ არის, რადგან პიკირებით

ბობდაშენა შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებით.

286. **მოქმედების შემდგომი პერიოდი** – გასროლის ბოლო პერიოდი, რომელსაც განიხილავს შიგა ბალისტიკა, ჭურვის ლულიდან გამოსროლის მომენტიდან მასზე აირების მოქმედების შეწყვეტამდე. ითვალისწინებენ ჭურვის საწყისი სიჩქარის, ლულის მუხრუჭის და უკუგორვის საწინაღო მოწყობილობის გაანგარიშებისათვის.
287. **მოყინვის საწინაღო სისტემა** – ანტიმოყინვის სისტემა, საფრენი აპარატების ელემენტებზე ყინულის წარმოქმნის საწინაღო საშუალებები (ფრთებსა და ფრთასხმულობაზე, ძალური დანადგარის ჰაერის მიმღებებზე, ხრახნებზე, კაბინის მინებზე და სხვ.) ან მის მოსაცილებლად ფრენის დროს. მ.ს.ს. შეიძლება იყოს: მექანიკური, ფიზიკურ-მექანიკური (საფრენი აპარატის ზედაპირის ყინულისაგან დაცვის მიზნით – საფარების გამოყენება, აგრეთვე სითხეების, რომლებიც ამცირებენ წყლის გაყინვის ტემპერატურეს), თბური (უწყვეტად ან პერიოდულად დასაცავი ზედაპირების გათბობა) და კომბინირებული. მ.ს.ს. ჩაირთვება ხელით ან ავტომატურად შემოყინვის სიგნალიზატორის მეშვეობით.
288. **მრავალგუმბათიანი საპარუშუტო სისტემა** – სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებიდან სპეციალური პლატფორმით გადმოგდებული მძიმე სამხედრო ტექნიკის მოძრაობის დამუხრუჭებისათვის. შედგება რამოდენიმე საპარაშუტო ბლოკიდან. ძირითადი გუმბათის ფართობი შეადგენს 760–1400 მ^2, საკუთარი მასა 700–2500 კგ., ხოლო ტვირთის მასა 8–16 ტ. მიწაზე დაფრენის მომენტში პარაშუტები ტვირთს ეხსნება და რბილ დაჯდომას უზრუნველყოფს სარაკეტო დანადგარი.
289. **ნაღმსაწინაღო საშუალებები** – ხომალდის ტექნიკური სისტემები, მოწყობილობები და ხელსაწყოები, აგრეთვე იარაღი განკუთვნილი ნაღმების აღმოჩენისა და განადგურებისათვის. აერთიანებს ჰიდროლოკაციისა და რადიოლოკაციის მაღალი გარჩევითი უნარის სადგურებს, ნაღმძებნის სპეციალურ სადგურებს (რადიოაკუსტიკური კომპლექსები), ბუქსირებადი და თვითმავალი ტელემართვადი სისტემები (ჰიდროაკუსტიკური, ოპტიკური, მაგნიტური, ელ.მაგნიტური, თბური ან ლაზერული), სახომალდო ტრალები, ასაფეთქებელი მუხტები, სიღრმული ბომბები, სახომალდო არტილერია და სხვ.
290. **ნავსაწინაღო ავიაცია** – სამხედრო საზღვაო ფლოტის ავიაციის სახეობა განკუთვნილი ზღვაში (ოკეანეში) წყალქვეშა ნავების ძებნის, აღმოჩენის, თვალთვალისა და განადგურებისათვის, ნავსაწინაღო ძალების ერთ-ერთი მთავარო ელემენტი. ნ.ა. ორგანიზაციულად გაერთიანებულია პოლკებში და ესკადრილიებში. შეიარაღებაზე გააჩნია ნავსაწინაღო თვითმფრინავები და ვერტმფრენები სანაპირო და სახომალდო ბაზირების, ჰიდროთვითმფრინავები და თვითმფრინავი ამფიბიები, რომლებიც აღჭურვილია წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის საშუალებებით. როგორც საზღვაო ავიაციის სახეობა ყველა მსხვილ სახელმწიფოში გამოიყო 60-იან წლებში.
291. **ნავსაწინაღო საფრენი აპარატები** – მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების გასანადგურებლად თვითმფრინავები, ვერტმფრენები და დირიჟაბლები აღჭურვილები წყალქვეშა ნავების ძებნისა და განადგურების საშუალებებით. თვითმფრინავები და ვერტმფრენები იყოფა საბაზო (სანაპირო) და სახომალდო

(საგენბანო). წყალქვეშა ნავების ძიების და აღმოჩენისათვის გააჩნიათ მაგნიტომეტრები, გაზოანალიზატორები, საბუქსირო და ჩამისაშვები ჰიდროაკუსტიკური საშუალებები, აქტიური და პასიური ჰიდროაკუსტიკური ქერკეჭელები, ინფრაწითელი და სხვ. აპარატურა; წყალქვეშა ნავების განადგურებისათვის – სიღრმული ბომბები, საზღვაო ნაღმები, საავიაციო ნავსაწინაღო ტორპედოები (რაკეტები). წყალქვეშა ნავების ძებნის, ნავიგაციის და დამიზნების საშუალებები ზოგადად ერთიანდება საძიებო-დამიზნების სისტემაში, ეგმ-ის გამოყენებით.

292. **ნავსაწინაღო სარაკეტო კომპლექსი** – დიდ მანძილზე წყალქვეშა ნავების დაზიანებისათვის სარაკეტო კომპლექსის სახეობა. ხომალდების შეიარაღებაზეა (ძირითადად დიდი სანავსაწინაღო და საგუშაგო) და წყალქვეშა ნავების აგრეთვე ნავსაწინაღო საფრენი აპარატები. ტორპედოსთან შედარებით რაკეტებს უპირატესობას ანიჭებენ მიზნის რაიონთან სწრაფი გადაადგილების გამო და ნ.ს.კ-ს წყალქვეშა ნავებთან ბრძოლაში. ნ.ს.კ-ს შეიარაღებაზეა – მართვადი რაკეტები (რაკეტები-ტორპედოები), მართვის პულტები (სატრანსპორტო-გასაშვები კონტეინერები, სატორპედო აპარატები), ავტომატიკის გაშვების აპარატურა, სროლის მართვის სისტემა და სხვ, რაკეტების გაშვებისა და დამიზნების მონაცემები მიიღება გემისა და საფრენი აპარატების ჰიდროაკუსტიკური საშუალებებიდან. მიზნის მოცემული რაიონის მიღწევისას ტორპედის საბრძოლო ნაწილი გამოეყოფა და პარაშუტის საშუალებით დაეშვება ზღვის ზედაპირზე. განსაზღვრულ სიღრმეზე ჩასვლის შემდეგ ტორპედი იწყებს მიზნის ძებნას, ხოლო ბომბი აფეთქებას. პირველი რუსული ნ.ს.კ "ვიხრი" შეიქმნა 1968 წ.; სროლის სიშორე – 25 კმ., შემდეგ 1969 წ. "ვიუგა" – 35 კმ; რაკეტებს გააჩნდათ მხოლოდ ბირთვული საბრძოლო ნაწილი და შეიქმნილი იყო ხომალდებისა და წყალქვეშა ნავებისათვის. თანამედროვე მცირეგაბარიტიანი ნ/ს/კ/ "მედვედკა" უზრუნველყოფს, როგორც ცალკეული, ასევე რაკეტების ზალპურ გაშვებას (ჩვეულებრივი მუხტით) მიზნის დაზიანებით 500 მ. სიღრმეზე.

293. **ნავსაწინაღო ხომალდი** – წყალზედა საბრძოლო ხომალდი მოქინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ძებნისა და განადგურებისათვის, თავისი წყალქვეშა ნავების გაშლისა და დაბრუნების უზრუნველყოფისა, ხომალდების, ბადრაგის, დესანტის და ბაზირების რაიონების დაცვა და სხვ. წყალწყვის, შეიარაღების და დანიშნულების მიხედვით იყოფა: წყალქვეშა ნავსაწინაღო კრეისერებად, დიდი და მცირე ნავსაწინაღო ხომალდებად, სადარაჯო ხომალდებად. წყალქვეშა კრეისერები და დიდი წყალქვეშა ნავები მოქმედებენ ზღვებსა და ოკეანეების დაშორებულ რაიონებში გაერთიანებების შემადგენლობაში, სადარაჯო ხომალდები – სანაპირო ზღვებში, მცირე ნავსაწინაღო ხომალდები – სანაპირო ზონებში თავიანთი ბაზებიდან მცირე დაშორებით. ნავსაწინაღო ხომალდებს გააჩნია შეიარაღებაზე ნავების საწინაღო რაკეტები, ტორპედოები, სიღრმული ბომბები, ნავების საწინაღო ვერტმფრენები, თავდაცვის საშუალებები.

294. **ნახევარმისაბმელი** – უძრავო, ერთ ან ორხიდიანი ბუქსირითსაზიდი ოთხთვალა, რომელიც ბუქსირდება უნაგირასაწევარით და ტვირთის ნაწილს გადასცემს მას. გამოიყენება როგორც სატრანსპორტო საშუალება და სპეციალური მოწყობილობის მონტაჟისათვის.

295. **ნაგანი** – რევოლვერის დასახელება, რომელიც ბელგიელმა ლ.ნაგანმა შექმნა. 1895 წ. ნიმუშის 7,62 მმ რევოლვერი 7 ვაზნით იწონიდა 0,75 კგ, 280 მ/წმ საწყისი სიჩქარით.
296. **ნაპალმი** – ლაბისებრი ცეცხლგამჩენი ნივთიერება, რომელიც შედგება თხევადი ნახშირწყალბადისგან, საწვავისგან (ბენზინისგან, ნავთისგან, ბენზოლისგან) და გამასქელებელისგან(ორგანული მჟავის ალუმინის მარილი, სინტეტიკური კაუჩუკი, პოლისტიროლი და სხვა). კარგად ეკვრება ქსოვილების ზედაპირს, სამოსელს, ძნელად ექვემდებარება მოცილებას. 200 – 300 გ მასის ნაპალმი იწვის 5 – 10 წუთს და 1200^{0}C ტემპერატურას წარმოქმნის. გამოიყენება ცეცხლსატყორცნის, საავიაციო ცეცხლგამჩენი ბომბების და ავზების საცეცხლე ფუგასების და სხვათა აღჭურვისთვის.
297. **ნაღმდამცველი** – ავტონომიური მოწყობილობა, საზღვაო საღუზო ნაღმების მოწინააღმდეგის კონტაქტური ტრალებისგან დაცვისთვის. შედგება ღუზისგან, ტივტივების მოწყობილობისგან, ფოლადის ჯაჭვური ტივტივებისგან ნაღმდამცველები არსებობენ ერთჯერადი და მრავალჯერადი მოქმედებების.
298. **ნაღმები** – საბრძოლო მასალების სახეობა, რომელიც სახმელეთო და საზღვაო ღობურების შესაქმნელად, ასევე ნაღმსატყორცნებიდან სროლის საწარმოებლად გამოიყენება. ამის შესაბამისად განასხვავებენ საინჟინრო, საზღვაო და საარტილერიო ნაღმებს.
299. **ნაღმგამრღვევი** – ნაღმური ღობურების გამრღვევი, გაძლიერებული ცხოველუნარიანობის და ჩაუძირვადობის მქონე სპეციალური ან გადაკეთებული ხომალდი, რომლის დანიშნულებაა დიდი სიმჭიდროვის ნაღმურ ღობურებში გასასვლელების მოწყობა ხომალდების გაყვანის მიზნით, როდესაც ნაღმსაწინაღო მოქმედებებისთვის დრო შეზღუდულია. ხორციელდება საკონტაქტო ნაღმების აფეთქება ხომალდის კორპუსით, არაკონტაქტური ნაღმების – საკუთარი ან ხელოვნურად შექმნილი ფიზიკური ველებით(აკუსტიკური, მაგნიტური და სხვა). ფართოდ გამოიყენებოდა მე – 2 მსოფლიო ომში. შემდგომში ფუნქციები დაკარგა.
300. **ნაღმი-მახე** – სპეციალური საინჟინრო ან საზღვაო ნაღმი, უსაფრთხო საგნის ქვეშ შენიღბული, რომელსაც უნარი შესწევს ადამიანის ყურადღება მიიზიდოს ან ყველაზე დასასწრებ ადგილებზე ფარულად განლაგდეს. ფართოდ გამოიყენება ტერორისტული მიზნებისთვის.
301. **ნაღმი-რაკეტა** – საზღვაო ნაღმი, რომელსაც საბრძოლო ნაწილის სახით წყალქვეშა ან წყალქვეშა-საჰაერო ტრაექტორიით თვითდამიზნების რაკეტა აქვს. დანიშნულება – წყალზედა ხომალდების და წყალქვეშა ნავების დაზიანება. ერთმანეთთან შეერთებული საბრძოლო და საღუზო მოდულებისგან შედგება. მოდულების შემადგენლობაში შედიან: საბრძოლოში – წყალქვეშა რაკეტა ან ხომალდსაწინაღო რაკეტის კონტეინერი კონტაქტური და არაკონტაქტური ამფეთქებისგან, მიზნის აღმოჩენის და ამოცნობის სისტემისგან, მიზნის მოძრაობის პარამეტრების განმსაზღვრელი სპეციალური გამომთვლელი მოწყობილობისაგან; საღუზო – ღუზა, ჰიდროსტატები და სხვა. ნაღმ-რაკეტების დადგმა წყალქვეშა ნავებიდან, წყალზედა ხომალდებიდან და თვითმფრინავებიდან ხორციელდება.
302. **ნაღმი-ტორპედო** – საზღვაო ნაღმი, რომელსაც საბრძოლო ნაწილის სახით თვითდამიზნების ტორპედო გააჩნია. მისი დანიშნულებაა – წყალქვეშა ნავების

წყალქვეშა მდგომარეობაში დაზიანება. ერთმანეთთან შეერთებული საბრძოლო და საღუზო მოდულებისგან შედგება. მოდულების შემადგენლობაში შედიან: საბრძოლოში – წყალქვეშა რაკეტა ან ხომალდსაწინაღო რაკეტის კონტეინერი კონტაქტური და არაკონტაქტური ამფეთქებისგან, მიზნის აღმოჩენის და ამოცნობის სისტემისგან, მიზნის მოძრაობის პარამეტრების განმსაზღვრელი სპეციალური გამომთვლელი მოწყობილობისაგან; საღუზო – ღუზა, ჰიდროსტატები და სხვა აპარატურა, რომლებიც მოდულების განცალკავებას და გრუნტზე(ღუზაზე) და მოცემულ სიღრმეზე დადგმას უზრუნველყოფენ. ნაღმ-ტორპედოების დადგმა წყალქვეშა ნავებიდან, წყალზედა ხომალდებიდან და თვითმფრინავებიდან ხორციელდება.

303. **ნაღმმზიდი** – საბრძოლო ხომალდი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ხომალდების ტორპედოებით განადგურება. ნაღმმზიდის წინამორბენად ჭოკიანი ნაღმებით კატარღები გვევლინებიან, რომლებიც 1861-65 აშშ სამოქალაქო ომში გამოიყენებოდა. სანაღმო კრეისერების, კონტრ-ნაღმმზიდის და საესკადრო ნაღმმზიდის შექმნის შემდგომ 1 – ლი მსოფლიო ომის დაწყების წინ მათი აგება შეწყდა.
304. **ნაღმ-სატორპედო ავიაცია** – მე – 20 საუკუნის 70 – იან წლებამდე ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის(სამხედრო-საზღვაო ძალების) ავიაციის სახეობა, რომელთა დანიშნულება იყო ხომალდების(გემების) განადგურება ზღვაში და ბაზირების პუნქტებში, აგრეთვე აქტიური ნაღმური დაბრკოლებების დადგმა.
305. **ნაღმსატყორცნი** – ქვემეხი საარტილერიო ნაღმებით მორტირული სროლისთვის. ეფექტურად აზიანებს მიზნებს, რომლებიც განლაგებულია სანგრებში, თხრილებში, ადგილმდებარეობის ნაოჭებში, სიმაღლეების პირუკუ ფერდობებზე. სროლა წარმოებს ლულის 45-85^0 ამაღლების კუთხის პირობებში. როგორც შედარებით პატარა სიმძლავრის ქვემეხი (ლულაში დენთის გაზების წნევა 3-4 ჯერ ნაკლებია ვიდრე ზარბაზანში ან ჰაუბიცაში) მას აქვს შედარებით ნაკლები მასა და სროლის მანძილი.
306. **ნაღმსატყორცნის გასროლა** – საბრძოლო მასალები ნაღმსატყორცნიდან სროლისთვის. შედგება საარტილერიო ნაღმისგან, ძირითადი (ამაალებელი) და დამატებითი სატყორცნი მუხტისგან. ძირითადი მუხტი ქაღალდის მასრაში კაფსულ-ამაალებლისგან სტაბილიზატორის მილაკში თავსდება, დამატებითი (პატარა ტომრებში დენთის სახით) ამ მილაკზე მაგრდება. ნაღმსატყორცნის გასროლა გვხდება - საბრძოლო, სპეციალური(მანათობელი, საკვამლე, სააგიტაციო) და დამხმარე(სასწავლო, პრაქტიკული და სხვა)
307. **ნაღმსაძებნი** – გრუნტში, თოვლში და წყალქვეშ დამალული ნაღმების აღმოსაჩენი ხელსაწყო. ცნობილია: ინდუქციური ნაღმსაძებნი, რომელიც რეაგირებს ნაღმის ფერომაგნიტურ დეტალებზე და რადიოსიხშირული, რომელიც აღმოაჩენს როგორც ლითონის, ისე არალითონის დეტალებს; გადასატანი და ჩაშენებული, კიდული მოწყობილობის სახით დამონტაჟებული, მაგალითად, ავტომობილის ბამპერზე.
308. **ნავი** – მცირე ნიჩბიანი ხომალდი, ხისგან, მინაპლასტიკისგან, ლითონისგან, მტკიცე გარეზინებული ქსოვილისგან და სხვა მასალებისგან. ზოგჯერ იალქანი ან ძრავი გააჩნია(იალქნიანი ნავი და ძრავიანი ნავი). უძველესი დროიდან წყალზე გადაადგილებისთვის ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებად გამოიყენება.

სამხედრო საქმეში გამოიყენება დესანტის გადასხმისთვის, სადაზვერვო და დივერსიული ჯგუფებისთვის, ჯარების მიერ წყლის დაბრკოლებების ფორსირების დროს, საფრენი აპარატების ეკიპაჟების გადარჩენისთვის. ნავებს უწოდებენ ზოგიერთი კლასის(ტიპის) სამხედრო ხომალდებს – წყალქვეშა ნავი. ავიაციაში მფრინავ ნავს ჰიდროთვითმფრინავი ეწოდება.

309. **ნეიტრონული საბრძოლო მასალები** – ბირთვული საბრძოლო მასალების სახეობა მცირე სიმძლავრის თერმობირთვული მუხტით, რომელიც განსხვავდება ნეიტრონების მომატებული გამოყოფით. ამის გამო აფეთქების ენერგიის დიდი ნაწილი შემდეგ რადიაციაზე მოდის.
310. **ნიჩბიანი ფლოტი** – ნიჩბიანი ხომალდებისგან შემდგარი ფლოტი.გაჩნდა ძველ ეგიპტეში, კართაგენში ძველ საბერძნეთში, ძველ რომში და სხვა ანტიკურ სახელმწიფოებში. Iარსება დაახლოებით 3 ათასი წელი. ბრძოლის წარმოების ძირითადი ხერხები იყო ტარანი და აბორდაჟი.
311. **ნიჩბიანი ხომალდი** – საბრძოლო წყალზედა ხომალდი, რომლის მთავარი მაძრავი ნიჩბებია. დამხმარე მაძრავად იალქნები გამოიყენებოდა. მისი დანიშნულება იყო ტვირთების და ჯარის გადაზიდვა. ანტიკურ სახელმწიფოებში ჰორიზონტალურად განლაგებული ნიჩბების რაოდენობით განსხვავდებოდა: უნირემები, ბირემები, ტრირემები, კვადრირემები, კვინკირემები და სხვა. არტილერიის გაჩენამდე მასზე ტარანები, სხვადასხვა სახის სატყორცნი ქვემეხი (ბალისტები, კატაპულტები) გამოიყენებოდა. ზომები და წყალწყვა დამოკიდებული იყო დანიშნულებიდან, შეიარაღებისა და გემთმშენებლობის განვითარებისგან: წყალწყვა 80 – 100 ტ, სიგრძე 20 – 40 მ, სიგანე 5 – 8 მ, წყალშიდი 1 – 2 მ. განლაგებული იყო 300 – მდე ნიჩბოსანი და 170 – მდე მებრძოლი. მე – 7 საუკუნიდან ნიჩბიანი ხომალდის ძირითადი ტიპი გალერა ხდება. მე - 18 საუკუნის მე – 2 ნახევრისთვის იალქნიანი ხომალდებით იქნა გამოდევნილი.
312. **ნიტროგლიცერინი,** გლიცერინნიტრატი – ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება ნიტროეფირის ჯგუფიდან. გამჭვირვალე ზეთოვანი სითხე. გააჩნია აფეთქების სითბო 6,3 მჯ/კგ, დეტონაციის სისწრაფე 7,7 კმ/წმ. საშიშია, როგორც ასაფეთქებელი ნივთიერება დამოუკიდებლად არ გამოიყენება. გამოიყენება უკვამლო დენთის და მყარი სარაკეტო სათბობის დასამზადებლად.
313. **ნორმატიული გადახრა** – შეფასების საზომად მიღებული შესაფასებელი სიდიდის ზღვრული მნიშვნელობა. სამხედრო ავიაციაში გამოიყენება პილოტირების, საჰაერო ნავიგაციის და საბრძოლო გამოყენების ხარისხის შეფასებისთვის. განისაზღვრება მრავალი რაოდენობის ფრენების(საბრძოლო გამოყენების) სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე.
314. **ორბიტაშორისი ბუქსირები** – სხვადასხვა ტიპის სარაკეტო ბლოკები კოსმოსური აპარატის დაბალი ორბიტიდან უფრო მაღალზე გადასაყვანად, აგრეთვე კოსმოსური აპარატის დედამიწის მიზიდულობის ველიდან გამოსაყვანად.
315. **ორლესულა** – საჩეხი, მჭრელი და საჩხვლეტი იარაღის საბრძოლო ნაწილი. შეიძლება იყოს სწორი და მოღუნული, ერთი ან ორპირიანი, ოვალური სამწახნაგოვანი და სხვა.
316. **ორთქლის ფლოტი** – ფლოტი, რომლის გემები მთავარ ძრავებათ იყენებენ ორთქლის მანგანებს ან ტურბინებს, რომლებიც მუშაობენ ორთქლის ქვაბებზე.

პირველად გამოჩდნენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში და შეცვალეს საიალქნო ფლოტი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა ორთქლის ჯავშნიანი გემები. 1904–1905 წწ. რუსულ-იაპონური ომის შემდეგ აშენდა გემები, რომლებსაც გააჩნდათ ძლიერი არტილერია, გაძლიერებული ჯავშანი და გაზრდილი სიჩქარე. პირველი მსოფლიო ომის ბოლოს შეიქმნა ავიამზიდები. ორთქლის გემების პირველი ბრძოლა მოხდა 5.XI.1953 წ. შავ ზღვაზე. მეორე მსოფლიო ომოს შემდეგ გრძელდებოდა დიდი გემების მშენებლობა ორთქლძალოვანი ენერგეტიკული დანადგარებით.

317. **პანტონი –** სხვადასხვა ტვირთების ტრანსპორტირებისათვის წყალზე მცურავი საშუალება. პანტონები წყალში მოძრაობენ: საკუთარი ძრავათი, ბუქსირებით, ბორტგარეშე აგრეგატებით ან ნიჩბებით. კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებენ ღია და დახურულ პანტონებს. მზადდება სხვადასხვა მასალებისაგან – ხისტი (ლითონის) ან რბილი (დარეზინებული ქსოვილი). გამოიყენება ჩაძირული გემების ამოსაყვანად.

318. **პარაშუტი** – საჰაერო სივრცეში მოძრავი ობიექტების სიჩქარის შესამცირებელი მოცყობილობა. გამოიყენება საფრენი აპარატებიდან ტექნიკის, შეიარაღებისა და ადამიანის ჩამოშვებისათვის. პარაშუტი იყოფა: ადამიანთა, სატვირთო და სპეციალური. ძირითადო ნაწილებია ჯამბარებიანი გუმბათი, საკიდი სისტემა, გამხსნები და ამწევი მოწყობილობებისაგან. პარაშუტის პირველი სქემა შექმნა ეონარდო დავინჩიმ.

319. **პელენგატორი –** ობიექტის კუთხური მიმართულების (პელენგის) განმსაზღვრელი ხელსაწყო; ბგერათსაზომი, ჰიდროაკუსტიკური თბო- და რადიოსაპელენგაციო სადგურების ელემენტი. განასხვავებენ: ვიზუალურს, აკუსტიკურს, ჰიდროაკუსტიკურს, თბურ- და რადიოპელენგატორებს.

320. **პერისკოპი –** შესაფარიდან (სანგარი, ბლინდაჟი) წყალქვეშა ნავიდან თვალთვალის ოპტიკური ხელსაწყო. იყოფა: საარტილერიო, ქვემეხების (სასანგრე), გემის და სხვ. რთულია წყალქვეშა ნავების პ. ოპტიკური სისტემის გარდა გააჩნია დამიზნების, აწევისა და დაშვების ამძრავები, თბოვიზირების საშუალებები, სატელევიზიო ან რადიოსალოკაციო დაკვირვებებისათვის. წყალსზედა და საჰაერო გარემოებების თვალთვალის გარდა უზრუნველყოფს მიზნამდე სიშორის, მისი კურსის კუთხის, სიჩქარის და სხვ. განსაზღვრას. თანამედროვე პერისკოპეპის ხილვის კუთხე შეადგენს 50-60º, გადიდება 5-6-ჯერადი, პერისკოპულობა 15-20 მ.

321. **პესტიციდები** – მცენარეების მოსასპობი ფიტოტოქსიკანტები ნივთიერებების საერთო დასახელება, მცენარეთა მავნებლებთან (ინსექტიციდები) და საშიში დაავადებების გადამტანებთან ბრძოლისათვის. ყველაზე გავრცელებულია ქლორისა და ფოსფორორგანული პესტიციდები; არაორგანული პესტიციდებიდან კი სპილენძისა და გოგირდის შენაერთები.

322. **პიროგელი** – ამნთები ნივთიერების საერთო დასახელება, რომელთა კომპონენტებია პოლიმერებით შედედებული თხევადი ნახშირწყალბადები, გაფხვიერებული ლითონები, მჟანგველები და სხვა ნამატები. წვის დროს გამოიყოფა სითბოს დიდ რაოდენობა (1600-2000ºC). გამოიყენება ამნთები საბრძოლო მასალების დასამზადებლად (საავიაციო ბომბები, საარტილერიო ჭურვები, ცეცხსატყორცნი საშუალებები და სხვ.).

323. **პიროქსილინი** – აზოტის შემცველი (12,2-13,5%) ცელულოზა; ბრიზანტული მომწამვლელი ნივთიერება. განასხვავებენ – პიროქსილინი №1 (აზოტი 3-13,5%); №2 (12,2-12,5%) და პიროქსილინის განსაკუთრებული სახეობა – პიროკოლოიდი (12,4 %). პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებს კოლოქსილინი (10,7-12,2%). პიროქსილინი ბოჭლოიანი მასაა, დაწნეხილ მდგომარეობაში. სიმკვრივე შეადგენს 1,65 გ/სმ^3, აფეთქების ტემპერატურე 180-190ºC, აფეთქების სითბო (პ.№1) 4,5 მ.ჯ/კგ, დეტონირების სიჩქარე 6-7 კმ/წ. არის უკვამლო დენთების ფუძე.
324. **პიროტექნიკა –** მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომელიც შეისწავლის პიროტექნიკური შედგენილობების ნაკეთობების წარმოებასა და გამოყენებას. ადრე პიროტექნიკა მოიცავდა მომწამვლელ ნივთიერებებსა და დენთებს, ხოლო XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი განვითარების გამო გამოიყო დამოუკიდებელ დარგად.
325. **პიროტექნიკური შედგენილობები** – მყარი მრავალკომპონენტიანი ნივთიერებები, რომლებიც ნელი წვის შედეგად ქმნიან გარკვეულ ცეცხლოვან ეფექტს. მათი უმრავლესობა არის საწვავი, მჟანგავი და სხვადასხვა დანამატები, მათ შორის სპეციფიური მღებავები, მექანიკური ნარევები. სამხედრო საქმეში პ.შ. გამოიყენება ამნთები, სანათი, სასიგნალო, ტრასირების და საკვამლო დანიშნულებით. პ.შ. ძირითადი ენერგეტიკული მახასიათებლებია: წვის სითბო 1,5-8,0 მ.ჯოული/კგ.; წვის ტემპერატურე 500-3 500ºC, დაწნეხილი მასის წვის სიჩქარე 0,5-20 მმ/წამ.
326. **პიროვაზნა** – სხვადასხვა შემსრულებელი მოწყობილობების ამოქმედების საშუალება (რაკეტების ძრავების გაშვება, დენთის მუხრის აალება და სხვ.) მაქსიმალური ზომა არ აღემატება 40 მმ., მუხრის მასა 0,5-2გ.; როგორც წესი ამოქმედება ხდება ელექტრული იმპულსით.
327. **პისტოლეტი** – მოკლელულიანი სასროლი იარაღი კონდახის გარეშე; პირადი იარაღია მოკლე მანძილზე ცეცხლის საწარმოებლად. თანამედროვე პისტოლეტის უმრავლესობა თვითდამტენია სახსნელი მჭიდით 7-15 ვაზნისათვის. სროლის დროს გატენვა ხორციელდება უკუცემის გამოყენებით. საბრძოლო პისტოლეტი ეფექტურად აზიანებს ცოცხალ ძალას 50-70 მეტრის მანძილზე; სწრაფსროლა შეადგენს 30-40 გასროლა წუთში და მასა 1 კგ-მდე. გავრცელებული კალიბრია 9 მმ. ჩვეულებრივთან ერთად არსებობს სპეციალური საბრძოლო პისტოლეტები – წყალქვეშა სროლისათვის, აგრეთვე შედუღების პისტოლეტი. საპრძოლო პისტოლეტებთან ერთად არსებობენ სამოქალაქო (კალიბრი 2,7-6,5 მმ), სპორტული და მონადირე. ნაირსახეობას მიეკუთვნებიან რევოლვერები და სასიგნალო. პისტოლეტები გამოჩდნენ XVI საუკუნეში და XIX საუკუნის შუამდე იყო გლუვლულიანები და ლულადამტენიანი. თვითდამტენის პისტოლეტები გამოუშვეს იმის შემდეგ, რაც გერმანელმა პ. მაუზერმა (1897) ლუგერმა (1900), ბელგიელმა პ. ბრაუნინგმა (1900) სერიულად გამოუშვეს პისტოლეტები. თანამედროვე პისტოლეტი: რუსული იყო პ.ტოკარევის პისტოლეტი ТТ 9 მმ. ПММ (ტყვიის საწყისი სიჩქარე 425 მ/წამ., მასა 0,76 კგ., 12-ვაზნიანი; 9 მმ. "გიურზა" 420 მ/წამ., 0,95 კგ. 18-ვაზნიანი), ამერიკული 45 М645 (250 მ/წამ., 1,06 კგ., 8-ვაზნიანი), გერმანული 9 მმ., Р-7 (350 მ/წამ. 0,95 კგ., 13-ვაზნიანი); იტალიური 9 მმ. М92 (390 მ/წამ., 0,95 კგ., 15-ვაზნიანი).
328. **პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი** – საპისტოლეტო ვაზნებიანი ინდივიდუალური მსროლელი ავტომატური იარაღი. მცირე გაბარიტები, სროლის მაღალი ტემპი (500-1000 გასროლა წუთში) ქმნიან პ.ტ. მოსახერხებელ და ეფექტურ იარაღად,

განსაკუთრებით საბრძოლო მანქანების ეკიპაჟების, სპეცქვედანაყოფებისა სამხედრო და სამართალდამცავი უწყებებისათვის. პ.ტ. პირველად შეიქმნა I მსოფლიო ომის და ფართო გავრცელება ჰპოვეს II მსოფლიო ომში; რუსული პ.ტ. 9 მმ. ПП-19 (საწყისი სიჩქარე 420 მ/წამ., მასა 2,5 კგ., 66-ვაზნის მჭიდი), 9 მმ. ПП-91 (310 მ/წამ., მასა 1,6 კგ., 20 და 30 ვაზნა); ამერიკული 45 M10 (280 მ/წამ., 2,8 კგ., 30 ვაზნა); გერმანული 9 მმ. MP5 AS (400 მ/წამ., 2,5 კგ., 15 და 30 ვაზნა); იტალიური 9-მმ. M125 (430 მ/წამ., 3,2 კგ., 20 და 40 ვაზნა); ისრაელის 9-მმ. "Mini-USI" (350 მ/წამ., 2,7 კგ., 25 და 32 ვაზნა).

329. **პლანერი** – 1) უძრავი საფრენი აპარატი. თავისუფალ ფრენში ჰაერის უძრაობისას პლანერი ასრულებს სწორხაზოვან თან და თან დაშვებას (პლანირება); ჰაერის აღმავალ ნაკადში შესაძლებელია ფრენა სიმაღლის დაკარგვის გარეშე ან სიმაღლის გაზრდით. პირველადი ამაღლება ხორციელდება თვითმფრინავის ბუქსირებით (შესაძლებელია აგრეთვე ავტომობილით, მოტოჯალამბრით ან რეზინის ზონარ-ამორტიზატორით, რომელსაც სასტარტო ჯგუფი წინასწარ ჭიმავს). II მსოფლიო ომის დროს პლანერები გამოიყენებოდა სადესანტო ოპერაციებში და ტვირთების მისატანად. 2) თვითმფრინავის კონსტრუქცია ძალური დანადგარის და საბორტო მოწყობილიბის გარეშე.

330. **პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერებები** – ბრიზანტული ასაფეთქებელი ნივთიერებები პლასტიფიცირებული დანამატებით აღწევენ ცომისებრ მდგომარეობას. გამოიყენება საჭირო ფორმის მუხტების დასამზადებლად და ადგილზე ასაფეთქებელი სამუშაოების, ჯავშანგამტან-ფუგასური ჭურვები9ს აღჭურვისათვის.

331. **პნევმატური იარაღი** – სასულე იარაღი. არაცეცხლსასროლი იარაღი, რომელშიც ტყვიის სასროლად გამოიყენება დაჭერხნული ჰაერი ან აირი. განასხვავებენ ზამბარიან და აირბალონიან პ.ი. თანამედროვე პ.ი. თოფებისა და პისტოლეტების სახით გამოიყენება ძირითადად სავარჯიშო და სპორტული სროლისათვის. პ.ი. საბრძოლო იარაღად არ გამართლდა. ავსტრიული და ფრანგული არმიების მიერ XVIII საუკუნის ბოლოს პნევმატური თოფების, რომლების ისროდენ 100 მ. მანძილზე XIX საუკუნის დასაწყისში უარყოფილ იქნა.

332. **პოლკის არტილერია** – იხ. საჯარისო არტილერია.

333. პროექტორი – შუქის მოწყობილობა, რომელიც სპეციალური იპტიკური სისტემის მეშვეობით ქმნის სინათლიკს ნაკადს შეზღუდული სივრცითი კუთხით. გამოიყენება როგორც განათების და სასიგნალო საშუალება. პროექტორის ძირითადი ელე4მენტებია: ოპტიკური გამოსხივების წყარო (ვარვარის ნათურა. რკალის ნახშირის, ქსენონის, ვერცხლის წყლის და სხვ.) სიმძლავრით რამოდენიმე ათეული კილოვატი. ოპტიკური სისტემა (ამრეკლი და ლინზები), კორპუსი, დამიზნების მექანიზმი, ვენტილატორი და სხვ. არის პროექტორები შორი მოქმედების – ცალკეული ობიექტებისა და ადგილმდებარეობის გასანათებლად; ახლომდებარე ღია ტერიტორიების (აეროდრომების, რკინიგზის სადგურის, სამხედრო ტექნიკის პარკების და სხვ.); სასიგნალო-შუქური კავშირის და სიგნალიზაციისთვის. რადიოლოკაციის განვითარებით პროექტორებმა დაკარგეს მნიშვნელობა.

334. **პროტაზანი** – საჩხვლეტი ცივი იარაღის გრძელი (2,5-3 მ) შუბის ნაირსახეობა. გააჩნდა გრძელი ბრტყელი ლითონის ბუნიკი ფუძესთან მთვარისებრი ფორმით. იყო

ლანდსკნეხტების (XVI საუკუნე) და განსაკუთრებული პირების მცველების იარაღი. რუსეთში გამოჩნდა XVII ს. ოფიცრების საპატიო იარაღით.

335. **პირადი იარაღი** – ინდივიდუალური იარაღი, მოკლე მანძილებზე თვითდაცვისა და თავდასხმისთვის. მათ განეკუთვნებიან პისტოლეტები, რევოლვერები, საზღვაო ხანჯლები და სხვა.

336. **რადიაციის საწინაღო პრეპარატები** – სხივური დაავადების პროფილაქტიკისა და სამკურნალო სხივსაწინაღო საშუალებები და მედიკამენტოზური საშუალებები. ადრეული (ჰოსპიტალემდელი) რადიაციის საწინაღო პრეპარატები იყოფა რადიაციული დაზიანების პროფილაქტიკის, დასხივებაზე პირველადი რეაქციის სინდრომის პროფილაქტიკის და კუპირების (ადსორბენტები, კომპლექსონები, ღებინების საწინააღმდეგო საშუალებები), ადრეული გარდამავალი არაქმედითუნარიანობისა და ცელებრალური სხივური სინდრომის სიმპტომების გაფრთხილების (გულსისხლძარღვთა და დასაწყნარებელი პრეპარატები). ჰოსპიტალურ ეტაპზე სხივური დაავადების პათოგენეტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე გამოიყენება სხვადასხვა სამკურნალი საშუალებები.

337. **რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვის ხელსაწყოები** – იყოფა: რადიაციული დაზვერვის – ადგილმდებარეობის რადიოაქტიური დასნებოვნების განსაზღვრისათვის (დოზის სიმძლავრის გასაზომი); დასხივების კონტროლის – პირადი შემადგენლობის მიერ შთანთქმული გამა-დოზების დ აგამა-ნეიტრონული გამოსხივების გასაზომად (დოზის საზომი); სურსათის, წყლის და ფურაჟის რადიაქტიური დასნებოვნების კონტროლი – ხვედრითი ალფა-ბეტა აქტიურობის სინჯებში, აგრეთვე, სხვადასხვა ზედაპირების გარე-ბეტა გამოსხივების (რადიომეტრი); ჰაერში, ადგიმდებარეობაზე და სამხედრო ტექნიკის მომწამვლელი ნივთიერებების ქიმიური დაზვერვა (ნახევრად ავტომატური აირგამსაზღვრელი) და ჰაერის უწყვეტი კონტროლი (ავტომატური აირსიგნალიზატორი); ჰაერში ბიოლოგიური საშუალებების დადგენის მიზნიტ ჰაერის უწყვეტი კონტროლი (ავტომატური სიგნალიზატორი).

338. **რადიოლოკაციური საწინაღო რაკეტა** – რადიოლოკაციური გამოსხივების წყაროზე თვითდამიზნებადი საბრძოლო რაკეტა. გააჩნია მართვის კომბინირებული სისტემა: ტრაექტორიის საწყის და საშუალო მონაკვეთებზე – ავტომატური, და ბოლო მონაკვეთზე – თვითდამიზნების პასიური რადიოლოკაციური თავის მეშვეობით. რადიოლოკაციური საწინაღო რაკეტებისათვის დამახასიათებელია დაზიანების სამი რეჟიმი: პიდაპირი შეტევა; 10-12 კმ. სიმაღლეზე ასვლის შემდეგ პარაშუტის მეშვეობით ჩაკიდების თვითდამიზნების თავი ეძებს მიზანს (მიზნის დაჭერის შემდეგ პარაშუტი ეხსნება და რაკეტა პიკირებით მიემართება მიზნისაკენ); კომბინირებული რეჟიმი ფართოდ გამოიყენება ავიაციაში. პირველად შეიქმნა XX საუკუნის 60-იან წლებში. თანამედროვე რ.ს.რ აქვთ მასა 640 კგ., ფუგასური საბრძოლო ნაწილი მასით 140 კგ., ფრების სიშორე 120 კმ., წრიული გადახრის ალბათობა 5-10 მ.

339. **რაკეტსაწინაღო კომპლექსი** – რაკეტსაწინაღო თავდაცვის (რ.ს.თ.) საცეცხლე კომპლექსი, სარაკეტო კომპლექსის სახეობა, რომელიც განკუთვნილია დასაცავი რაიონიდან (ობიექტი) უსაფრთხო მანძილზე მოიერიშე რაკეტებისა და მათი სათავო ნაწილების დაზიანებისთვის. არის რ.ს.თ. ნაწილების შეიარაღებაზე.

უზრუნველყოფს: სასტარტო რაკეტების გამოვლენის, მათი მიყოლა და ტოპების მიხედვით გარჩევას, სათავო ნაწილების სელექციას; მიზანგანაწილებას; წინასასტარტო მომზადებას, გაშვებას, დამიზნებას და რაკეტსაწინაღო საბრძოლო ნაწილის აფეთქებას, საბრძოლო ამოცანის შესრულების შედეგების შეფასებას. რ.ს.კ. იყოფა: სახმელეთო, კოსმოსური, საავიაციო და საზღვაო; გადასაბაზირებელი და სტაციონარული; გადაჭერის მანძილის დიდი (200 კმ-ზე მეტი), საშუალო (60–200 კმ) და მცირე (60 კმ-მდე). რ.ს.კ. დამახასიათებელი შემადგენლობაა: საკომანდო–გამომთვლელი პუნქტი, მართვის პუნქტი რაკეტსაწინაღებით; მრავალფუნქციური რადიოსარელეო სადგური, მოცემულობების გადაცემის საშუალებები, დამხმარე საშუალებები. რ.ს.კ. შეიქმნა XX საუკუნის 60-იან წლებში.

340. **რადიაციული და ქიმიური დაზვერვის მანქანა** – ჩვეულებრივ ჯავშნიანი მუხლუხა ან თვლიანი მაღალი გამავლობის მანქანა, აღჭურვილი რადიაციული, ქიმიური და არასპეციფიური ბიოლოგიური დაზვერვის ხელსაწყოებით და მოწყობილობებით. გარდა ამისა გააჩნია 1-2 ტყვიამფრქვევი, რადიოსადგური, სანავიგაციო აპარატურა, შეტყობინების სასიგნალო საშუალებები, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები და სხვა.
341. **რადიოაქტიურობის ინდიკატორი** – დოზიმეტრიული ხელსაწყო ადგილმდებარეობის რადიოაქტიური დასნებოვნების აღმოჩენის და რადიაციის დონის ორიენტირებული შეფასებისთვის.
342. **რადიოლოკაციური სადგურის ინდიკატორი** – რადიოლოკაციური სადგურის ერთ-ერთი კიდე მოწყობილობა, მისი მიმღების გამოსასვლელი ელექტროიმპულსების გარდაქმნისთვის, რომლებიც ოპერატორის სმენის ან მხედველობის ორგანოებით აღითქმება. რადიოლოკაციური სადგურის ინდიკატორის მეშვეობით ხორციელდება საჰაერო სივრცის თვალთვალი და მიზნის ძებნა, მისი კოორდინატების და მახასიათებლების(მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება, სახელმწიფო კუთვნილება და სხვა) განსაზღვრა. ყველაზე მეტად გავრცელებულია წრიული მიმოხილვის ელექტრონულ-სხივური რადიოლოკაციური სადგურის ინდიკატორები. აგრეთვე გამოიყენება მეორადი ინფორმაციის(ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე დამუშავებული), ციფრული ინდიკატორები და კოლექტიური ტაბლო.
343. **რაკეტის საბრძოლო ნაწილი** – რაკეტის ელემენტი მიზნის უშუალო დაზიანებისთვის. ჩვეულებრივ რაკეტის ქობანში თავსდება. დასანაწილებელ ქობანში საბრძოლო ბროკის ელემენტს წარმოადგენს. შედგება: კორპუსისგან, საბრძოლო მუხტისგან, ამფეთქისგან და დამცავ-საშემსრულებლო მექანიზმისგან. ტიპის მიხედვით განასხვავებენ ბირთვულ და ჩვეულებრივი აღჭურვის – ფუგასური, მსხრევადი, კუმულაციური, ცეცხლგამჩენ, კასეტურ და სხვა.
344. **რაკეტსაწინაღო თავდავის საცეცხლე კომპლექსი** – იხ. რაკეტსაწინაღო კომპლექსი.
345. **საბორნე ხიდის მანქანა** – თვითმავალი ანფიბიური გადამყვანი საშუალება, რომელიც გამოიყენება როგორც ბორანი, მისი ელემენტი ან ტივტივა ხიდის ნაწილი. იგი წარმოადგენს თვლიანი ან მუხლუხა, ხმელეთზე მაღალი გავლადობის მანქანას, აღჭურვილს საბორნე–სახიდე კონსტრუქციით და ჰიდრავლიკური მაძრავით. ,ოძრაობის საჩქარე ხმელეთზე (წყალში) – 50 (10) კმ/სთ. ტვირთამწეობა წყალზე – 1 ტანკი.

346. **საბრძოლო მასალების სარდაფები** – ხომალდების სპეციალურად მოწყობილი სათავსი, განლაგებული ჯავშნიანი გემბანი ან ვატერხაზის ქვევით რაკეტების, საარტილერიო ჭურვების, ტორპედოების, ნაღმების და საბრძოლო მასალების სხვა სახეობის შესანახად. სათავსი აღჭურვილია მიკროკლიმატის, ვენტილაციის, მორწყვის, შრობის, ხანძარსაქრობი ტემპერატურისა და ტენიანობოს გადამწოდებით. გაფრთხილების საშუალებებით ავარიული სიგნალიზაციით, ავტომატიკის (დისტანციური სატელევიზიო თვალთავლის მოწყობილობისა და სისტემით). მას გააჩნია დაშვებისა და შენახვის სათანადო ინსტრუქციები და ხომალდის წესდებები. სათავსის კარის მარკირება ხდება ასო "Б"-თი და ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილი. აღჭურვილია ჩატვირთვის, შენახვისა და გადმოტვირთვის მოწყობილობით.
347. **საგენბანო საარტილერიო დანადგარი** – ფარიანი ან ღია საარტილერიო დანადგარი, რომლის უძრავი ფუძე მაგრდება გენბანზე. შედგება ერთი ან რამოდენიმე ქვემეხისაგან. მსგავსი დანადგარები კოშკურებისაგან განსხვავდებიან მცირე მასით და მოცულობით, მაგრამ მექანიზაციის დონით ჩამორჩებიან და იარაღით დაზიანებისაგან ნაკლებად არის დაცული.
348. **საგენბანო თვითმფრინავი** – სამხედრო-საზღვაო ავიაციის თვითმფრინავი, რომელიც განლაგებულია გენბანზე (ავიამზიდზე), გააჩნია რიგი კონსტრუქციული თავისებურებანი: დასაკეცი ფრთები, შემოკლებული ფლუზელაჟი და სხვ., რკმლებიც უზრუნველყოფენ თვითმფრინავების გემზე განლაგებას და გემბანიდან აფრენა-დაფრენას. დანიშნულების მიხედვით განეკუთვნებიან: ნავსაწინაღო, გამანადგურებელი, მოიერიშე–ბომბდამშენი, მოიერიე–მზვერავი, შორეული რადიოლოკაციური გამოვლენა-დამიზნების და სხვ. საგემბანო თვითმფრინავები შეიძლება იყოს შემოკლებული გარბენის, ვერტიკალური აფრენა–დაფრენის.
349. **საიალქნო შეიარაღება** – აფრების, რანგოუტის, ტაკელაჟის, გენბანის მოწყობილობები და სხვა დეტალების ერთობლიობა. განეკუთვნება იალქნების აღმართის მოხსნის და მათი მართვისათვის. კონსტრუქციული თავისებურებებით იალქნები იყოფა – სწორი, ირიბი და შერეული საიალქნო შეიარაღების. ზოგჯერ არქმევენ გემის ტიპებიდან გამომდინარე, მაგალითად გემის, ფრეგატის, კიჩოს ან იალქნებისა და რანგოუტის შესაბამისად – ლათინური, ბერძნული, ლარტყული.
350. **საჟღენთი ნივთიერებები** – სპეციალური ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ქსოვილებისა და უქსოვი მასალებისათვის, მათთვის განსაკუთრებული თვისებების მისანიჭებლად. სამხედრო საქმეში გამოიყენება ქინდამცავი (მომწამვლელი ნივთიერებების და ბიოლოგიური აეროზოლების), ცეცხლდამცავი, წყალზეთუკუგამბიძგელი ს. ნ.
351. **საკიდარი** – საავიაციო დაზიანების საშუალება, საფრენი აპარატების ბორტზე განლაგებული დაზიანების საავიაციო საშუალებები (საავიაციო ბომბები, რაკეტები და ტორპედოები). ხორციელდება მათი საკიდარის კვანძების საფრენი აპარატის სათანადო ბომბდამჭერების გამშვები და კატაპულტირების მოწყობილობათა მიერთებით. განასხვავებენ გარე (ფრთებსა და ფუზელიაჟის ქვეშ) და შიგა საბომბე, სატვირთო ნაკვეთურში.
352. **სალაპარაკო მოწყობილობა** – გამტარიანი შიგა ან რადიოკავშირი სამეტყველო ინფორმაციის ოპერატიული გაცვლისათვის. სტაციონარული ობიექტების

(შტაბების, მართვის პუნქტები) სალაპარაკო მოწყობილობა ხ,ა,აღლა მოლპარაკე კავშირის აპარატურა; მაღალხმაურიანი მოძრავი ობიექტების (საბრძოლო მანქანები, თვითმფრინავები) აპარატურა, რომელიც უზრუნველყობს ხმაურიან პირობებში ინდივიდუალურ კავშირს. მაგალითად ტანკებში სალაპარაკო მოწყობილიბის ტელეფონები ჩამონტაჟებულია მუზარადში, ხოლო ლარინგოფონები განლაგებულია ხორხის ორივე მხარეს. ს.მ. გარეკავშირზე გასვლას შესაძლებლობას ქმნის.

353. **სამიზნეები** – იარაღის დამიზნების უზრუნველმყოფი სამარჯვები და ხელსაწყოები. იყოფა: მექანიკურ, ოპტიკურ-მექანიკურ, ოპტიკურ, ოპტიკა-ელექტრონულ და რადიოლოკაციურ; ავტომატურ, ნახევრად ავტომატურ და ხელის; იარაღზე დამოკიდებული და დამოუკიდებელი; დამოკიდებული, ნახევრად დამოკიდებული და დამოუკიდებელი დამიზნების ხაზით, გარდა ამისა, სამიზნეები განსხვავდებიან იარაღზე მიკუთვნებით. სახმელეთო არტილერიის სამიზნეები უზრუნველყოფენ პირდაპირი დამიზნების (ოპტიკური სამიზნე) და დახურული პოზიციებიდა სროლის (ოპტიკურ-მექანიკურ სამიზნეებს, რომლებიც შედგენა მექანიკური ნაწილისა და პანორამისაგან). გავრცელებულია საზენიტო-ავტომატური (ვექტორული და ტაქომეტრული) და რგოლური სამიზნეები, რომლებიც გამოიყენება ვიზუალურდ ხილვად მიზნებზე სროლისთვის. თანამედროვე სატანკო სამიზნეები ჩადგმული ლაზერული მანძილის მზომით შედიან ტანკის ცეცხლის მართვის სისტემაში. საავიაციო სამიზნეები უზრუნველყოფენ საარტილერიო, სარაკეტო, ბომბდამშენის, სანაღმო და სატორპედო შეიარაღების საბრძოლო გამოყენებას. ჩვეულებრივად შედგება ვიზირის (ოპტიკური, ოპტიკერ-ელექტრონელი და რადიოლოკაციური), გამომთვლელის, დამიზნების ინდიკატორის, საპილოტაჟო გადამწოდების კავშირის ბლოკეს და მართვის პულტისაგან. საავიაციო მფრინავი აპარატების სამიზნე სისტემების ერთიანი მართვის შემოღების გამო, სამიზნეები შეიცვალა სამიზნე-ნავიგაციური სისტემებით. საზღვაო სამიზნეები (ოპტიკური, ოპტიკურ-მექანიკური) თანამედროვე ხომალდებზე ჩვეულებრივ გამოიყენება სარეზერვოს სახით (სროლის მართვის ხელსაწყოების არსებობის შემთხვევაში). სასროლი იარაღის სამიზნეებია – მექანიკური (ღია), ოპტიკური და ოპტიკურ-ელექტრონული (ღამის და ლაზერული წერტილოვანი გამომსხივებელი მაჩვენებლით, ხილვადი და ინფრაწითელ დიაპაზონში).

354. სამხედრო პროდუქცია – ვიწრო გაგებით, პროდუქცია შეიარაღებული ძალებისათვის (შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვ.) და ფართო გაგებით – ნებისმიერი საქონელი და მომსახურება საზოგადოების სამხედრო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

355. **საპანტონო პარკი** – ტივტივა ხიდების გასამართად და გადასაზიდი ბორნების ასაწყობად ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი. შეიცავს საბორნე-სახიდე კონსტრუქციებს (პანრონები, ხიდების მზიდი და სავალი ელემენტები), სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები (მაღალი გავლადობის ავტომობილები), წყლის მოტორიზებული საშუალებები (კატარღები) და დამხმარე მოწყობილობა (ამწეები, ღუზები, ტაკელაჟი და სხვ.). თვითმავალი საპანტონო პარკის ყველა ნაწილები გაერთიანებულია საბორნე-სახიდე მანქანაში. თანამედროვე საპანტონო პარკის

კომპლექტიდან იკრიფება ხიდები ტვირთამწეობით 20-60 ტ., სიგრძით 227-382 მ. და ბორნები ტვირთამწეობით 20-170 ტ.

356. **საპატრულო თვითმფრინავი** – 1. ზღვებისა და ოკეანების მოცემულ რაიონებში წყალქვეშა ნავების ძებნისა და განადგურებისათვის და აკვატორიის დაზვერვის თვითმფრინავი; 2. პატრულირების ამოცანების შემსრულებელი თვითმფრინავი.

357. **საპატრულო ხომალდი** – მცირე ხომალდი (კატარღა) წყალწყვით 50 ტ-მდე. დანიშნულია სანაპირო წყლებში პატრულირებისათვის, ესკორტებისა და სხვა ამოცანებისათვის.

358. **სატორპედო სროლის მართვის ხელსაწყოები** – საანგარიშო ამოსახსნელი ხელსაწყოების და შემსრულებელი მექანიზმების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მიზნის და ტორპედოს გატყორცნის პარამეტრებს, ტორპედოების ერთეული და ზალპით სროლის დისტანციურ მართვას; სახომალდო შეიარაღების სახეობა. საფუძველს შეადგენს ელექტრონული, ელექტრო-მექანიკური და ოპტიკა-მექანიკური საანგარიშო ამოსახსნელი და გამომთვლელი მოწყობილობები.

359. **სავაზნე ჩანთა** – ქვეითის სამხედრო აღჭურვილობის საგანი ვაზნების ჩასაწყობად (მჭიდეში, შეკვრაში ან გაფანტული). განასხვავებენ სასარტყელე და სათადარიგო სავაზნე ჩანთებს, რომლების შემოღებულ იქნა პატრონტაჟების ნაცვლად. ავტომატური იარაღის შემოღების შემდეგ გაჩნდა სპეციალური ჩანთები მჭიდებისათვის.

360. **საველე არტილერია** – ჯარებთან ერთად ბრძოლის ველზე მოქმედი არტილერიის სახეობა. მას მიეკუთვნება საერთო დანიშნულების თვითმავალი და საბუქსირო საარტულერიო (ქვემეხები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები). ორგანიზაციულად გაერთიანებულია ბატარეიებში, დივიზიონებში, ათასეულებში. რუსეთის ფედერაციაში ტერმინი "საველე არტილერია" არაოფიციალურად გამოიყენება საერთო დანიშნულების საჯარისო არტილერიის აღსანიშნავად. შექმნა XV საუკუნის ბოლოს თვლიანი ლაფეტის გამოჩენასთან ერთად.

361. **საველე ბალისტიკური სადგური** – საარტილერიო ბალისტიკური სადგური, მინდვრის პირობებში ზომავს საარტილერიო ჭურვების (ნაღმების) საწყის სიჩქარეს. მუშაობის პრინციპი მდგომარეობს დოპლერის ეფექტის გამოყენებაში, დოპლერის, რომელიც იქმნება გატყორცნილი ჭურვის მიერ სადგურის გამოსხივებული ტალღების არეკვლაში. არსებული საველე ბალისტიკური სადგური АБС-1 მუშაობს ჭურვის საწყისი სიჩქარის გასაზომად ფარგლებში 80-2000 მ/წამ., განსაზღვრის საშუალო ფარდობითი შეცდომით 0,1%. მისი მასაა 50 კგ.

362. **საველე ლაბორატორია** – საწვავ-საცხები მასალების საველე პირობებში ანალიზების ჩასატარებლად (ტექნიკური საშუალება). იყოფა – მოძრავ, გადასატან ლაბორატორიებად და გადასატან კომპლექსებად.

363. **საძიებო-სამაშველო საფრენი აპარატი** – სპეციალურად აღჭურვილი თვითმფრინავი (ვერტმფრენი), რომლის დანიშნულებაა საფრენი აპარატების უბედურებაში მყოფი მგზავრებისა და ეკიპაჟების ძებნა, გადარჩენა და დახმარების გაწევა. კოსმოსური ხომალდების ჩამოსაშვები აპარატების და კოსმონავტების ძებნა, გადარჩენა და ევაკუაცია, აგრეთვე, ადამიანების გადარჩენა სხვა განსაკუთრებულ სიტუაციებში. ბორტზე გააჩნია ძებნის აპარატურა, საავარიო-სამაშველო საშუალებები და საპარაშუტო-სადესანტო ჯგუფი.

364. **სროლის მართვის ხელსაწყოები** – სახომალდო (სანაპირო) არტილერიის რადიოელექტრონული, ოპტიკური, ელექტრული, ელექტრო-მექანიკური და გამომთვლელი მოწყობილობები,. რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საზღვაო, სანაპირო და საჰაერო მიზნებზე საზღვაო არტილერიის სროლის ამოცანების გადაწყვეტა. გადასაწყვეტი ამოცანების და კონსტრუქციის მიხედვით განკუთვნილია ცალკეული, მიზნის რამოდენიმე სახის ან ნებისმიერ მიზნებზე (უნივერსალური) – საზღვაო, სანაპირო და საჰაერო. ხომალდების ბალისტიკური ფრთოსანი და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისათვის გამოიყენება ტერმინი “სროლის მართვის სახომალდო სისტემა”.
365. **საარმიო ავიაცია** – რიგი სახელმწიფოების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვ.) შეიარაღებული ძალების (არმიის) ჯარების გვარეობა. განკუთვნილია ჯარების საბრძოლო მოქმედების უშუალო უზრუნველყოფის და საავიაციო მხარდაჭერისთვის. ორგანიზაციულად დაყვანილია ბრიგადებში (ჯგუფებში), პოლკებში, ბატალიონებში, ესკადრონებში (ასეულებში) საერთო საჯარისო შენაერთების და ნაწილების შემადგენლობაში ან შეადგენს შეიარაღებული ძალების სარდლობის რეზერვს ზონაში (საომარი მოქმედების თეატრში). იშვა 1-ლი მსოფლიო ომის წინ, რომელშიც მიიღო საბრძოლო გამოყენების გამოცდილება. მე-2 მსოფლიო ომის დაწყების წინ წარმოდგენილი იყო, უმთავრესად, სადაზვერვო და გამანადგურებელი ავიაციის ქვედანაყოფებით. საარმიო ავიაცია ფართოდ გამოიყენებოდა უკანასკნელი დროის ყველა ლოკალურ ომში.
366. **საარტილერიო ავტომატი** – ავტომატური საარტილერიო ქვემეხის ან საარტილერიო დანადგარის ნაწილი, რომელიც ლულისგან, საკეტისგან, უკუგორებადი მოწყობილობების და გადატენვის და გასროლის წარმოების მექანიზმებისგან შედგება. ავტომატიკის მუშაობა უზრუნველყოფილია გასროლის ენერგიის ხარჯზე, ნაკლებად გამოიყენება გარე წყარო. საარტილერიო ავტომატი ფართოდ გამოიყენება საზენიტო, საავიაციო და სახომალდო ზარბაზნებში.
367. **საარტილერიო გასროლა** – საბრძოლო მასალა საარტილერიო ქვემეხის გასროლისთვის. წარმოადგენს ერთი გასროლის ელემენტების კომპლექტს: ამფეთქიან საარტილერიო ჭურვს; სატყორცნ მუხტს დამხმარე დანამატებით (ფლეგმატიზატორით, ალსაქრობით და სხვ.) და მაინიცირებელი საშუალებით, რომელიც მოთავსებულია მასრაში ან მუხტის კარტუზში. გატენის ხერხების მიხედვით განასხვავებენ შემდეგ საარტილერიო გასროლებს: უნიტარული გატენის – ჭურვი, სატყორცნი მუხტი და მაინიცირებელი საშუალება გაერთიანებული არიან ერთ მთელად (გამოიყენება საშუალო და მცირე კალიბრის ზარბაზნებში, რომლებიც ერთ ჯერად იტენება; მცირეკალიბრიან გასროლას ეწოდება, აგრეთვე საარტილერიო მასრა); ცალკე მასრული გატენის – მასრა სატყორცნი მუხტით და მაინიცირებელი საშუალებით არ არის შეერთებული ჭურვთან (გამოიყენება უმთავრესად საშუალო კალიბრის ქვემეხებში, რომლებიც ორ ჯერად იტენება); კარტუზული გატენის – ჭურვი, სატყორცნი მუხტი კარტუზში და მაინიცირებელი საშუალება არ არის შეერთებული ერთმანეთთან.
368. **საარტილერიო კომპლექსი** – საარტილერიო ჭურვებით მიზნების დაზიანებისთვის განკუთვნილი შეიარაღების კომპლექსის სახეობა. კონსტრუქციულად და

ორგანიზაციულად აერთიანებს საბრძოლომასალიან საარტილერიო ქვემეხებს და ცეცხლის მართვის, სროლის უზრუნველყოფის და საარტილერიო დაზვერვის საშუალებებს. ტერმინი ფართოდ გავრცელდა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, არტილერიის ზოგიერთი სახეობის კომპლექსურ განვითარებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. საჯარისო (საველე) არტილერიაში ტერმინი, უმთავრესად, შეიარაღების შექმნის ეტაპზე იხმარება. ამასთან, საარტილერიო კომპლექსის შემადგენლობაში შეიძლება, შეტანილ იქნეს წინათ შექმნილი ელემენტებიც. ჯარებში საარტილერიო კომპლექსის შემადგენელი ნაწილები საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის შესაბამისად არის განაწილებული.

369. **საარტილერიო ნაღმი** - ნაღმსატყორცნის საბრძოლო მასალის დამაზიანებელი ელემენტი. ფრენისას სტაბილიზაციის ხერხის კვალობაზე არის ფრთიანი (არამბრუნავი) და მბრუნავი.

370. **საარტილერიო შეიარაღება**– შეიარაღების სახეობა, რომელშიც შედის საარტილერიო ქვემეხები საბრძოლო მასალებით, ცეცხლის მართვის და სროლის უზრუნველყოფის საშუალებებით. შეიძლება შეადგენდეს საარტილერიო კომპლექსებს. ჯარების (ძალების) მომარაგების ორგანიზაციასთან დაკავშირებული უფრო ფართო მნიშვნელობით, საარტილერიო შეიარაღებას განაკუთვნებენ აგრეთვე სასროლ იარაღს და ყუმბარსატყორცნებს, ხელყუმბარებს, ცივ იარაღს, მოძრავ საარტილერიო სარემონტო სახელოსნოებს, არსენალების, საარტილერიო ბაზების, საწყობების და პოლიგონების მოწყობილობას და სხვ. სახმელეთო ჯარებში საარტილერიო შეიარაღებას განეკუთვნება, აგრეთვე ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა.

371. **საარტილერიო ჭურვი** – საარტილერიო სროლის ძირითადი ელემენტი, რომელიც საარტილერიო ქვემეხის ლულის არხიდან გამოიტყორცნება. დანიშნულების მიხედვით თანამედროვე საარტილერიო ჭურვები იყოფა სამ ჯგუფად: ძირითადი, სპეციალური და დამხმარე დანიშნულების. ძირითადი დანიშნულების საარტილერიო ჭურვები გამოიყენება მიზნის დაზიანებისთვის ფუგასური, მსხვრევადი, დარტყმითი, კუმულატიური, ცეცხლგამჩენი, ქიმიური და ბირთვული მოქმედებით; სპეციალური – ადგილმდებარეობის განათების და დაკვამლიანების, სააგიტაციო ლიტერატურის მიმოფანტვის, გამიზვნისთვის და სხვ; დამხმარე– ქვემეხების გამოცდის, მოწყობილობის შესწავლის, სროლის სწავლებისთვის. კალიბრის სიდიდის მიხედვით შეიძლება იყოს კალიბრული (შეესაბამებოდეს ქვემეხის კალიბრს), ზეკალიბრული (ქობინის ნაწილის დიამეტრი მეტია ქვემეხის კალიბრზე) და ქვეკალიბრული (აქტიური ნაწილის დიამეტრი ქვემეხის კალიბრზე ნაკლებია), ხოლო კონსტრუქციის მიხედვით – აქტიური (ჩვეულებრივი ტიპის) და აქტიურ-რეაქტიული, მბრუნავი და ფრთიანი, უმართავი (უმრავლესობა) და მართვადი.

372. **საარტილერიო ხელსაწყოები** - ცეცხლის მართვის და სროლის უზრუნველყოფის საშუალება. იყოფა: თვალთვალის, კუთხეების და მანძილების საზომ; სროლის საწყისი მონაცემების განსაზღვრის; ბალისტიკური, ტექნიკური და მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის; ქვემეხის დამიზნების ხელსაწყოებად. საველე არტილერიის სროლისთვის მოსამზადებლად გამოიყენება მართვის მანქანების კომპლექსი. საზენიტო, საავიაციო და სახომალდე არტილერიაში ამ მიზნით

გამოიყენება რადიოლოკაციური სადგური, დამიზნების და თანხლების ოპერატიულ-ელექტრონული სისტემები, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები.

373. **საარტილერიო ხომალდი** – წყალზედა ხომალდი, რომლის ძირითად შეიარაღებას სახომალდო არტილერია წარმოადგენს. მე-20 საუკუნის შუა წლებამდე მათ საბრძოლო ხომალდების უმეტესობა განეკუთვნებოდა. სარაკეტო შეიარაღების გაჩენისთანავე მოხდა მათი სარაკეტო-საარტილერიო ხომალდებად ტრანსფორმირება. შეიარაღებაზე გააჩნიათ როგორც საარტილერიო, ასევე სარაკეტო იარაღი, ხოლო სუფთა საარტილერიოს განეკუთვნებიან ძირითადად მე-2 მსოფლიო ომის პერიოდის და ომის შემდგომი პირველი წლების ხომალდები.

374. **საარტილერიო-ტექნიკური უზრუნველყოფა** – ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა. მოიცავს. საინჟინრო-საარტილერიო უზრუნველყოფას, საინჟინრო-რადიოტექნიკურ უზრუნველყოფას და საინჟინრო-სარაკეტო უზრუნველყოფას.

375. **საავიაციო ბომბი** – საფრენი აპარატებიდან ჩამოსაყრელი საავიაციო საბრძოლო მასალების სახეობა; ბომბდამშენი შეიარაღების ძირითადი სახეობა. განასხვავებენ ძირითად, სპეციალურ და დამხმარე დანიშნულების ბომბებს. ძირითადი დანიშნულების საავიაციო ბომბები გამოიყენება მიზნების დაზიანებისთვის ფუგასური, მსხვრევადი, დამრტყმელი კუმულაციური, ცეცხლგამჩენი, ქიმიური და ბირთვული მოქმედებებით; სპეციალური – ადგილმდებარების გასანათად, კვამლის ფარდების დასაყენებლად, ორიენტირებისთვის და სიგნალიზაციისთვის, სააგიტაციო ლიტერატურის გაფანტვისთვის და სხვა. დამხმარე – სწავლებებზე ბირთვული აფეთქების იმიტაციისთვის, ბომდაშენის სასწავლებლად და სხვა. პირველად საავიაციო ბომბები ფამოიყენეს იტალიელებმა 1911-12წ. Iტალია-თურქეთის ომში.

376. **საავიაციო კომპლექსი** - ავიაციის მიერ გამოყენებული საფრენი აპარატების (მისი სისტემების და მოწყობილობის) და სახმელეთო მომსახურების და ინდივიდუალერი დანიშნულების კონტროლის საშუალებების ერთობლიობა. ცალკეულ შემთხვევებში საავიაციო კომპლექსის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს, აგრეთვე სახმელეთო და სხვა საფრენ აპარატებზე განლაგებული მართვის, დამიზნების და მიზანჩვენების საშუალებები. საავიაციო კომპლექსი იყოფა დამრტყმელად, გამანადგურებლად, სადესანტო-სატრანსპორტოდ, სპეციალურად (მაგალითად, სადაზვერვო) და სხვ.

377. **საავიაციო რაკეტა** - რაკეტა, რომელიც საფრენი აპარატიდან სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიზნების დასაზიანებლად გამოიყენება; საავიაციო შეიარაღების ძირითადი ნაწილი. როგორც წესი, ერთსაფეხურიანი მყარსათბობიანი. განასხვავებენ უმართავ საავიაციო რაკეტას (ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის რეაქტიული ჭურვების ანალოგი) – ძირითადად სახმელეთო მიზნების გასანადგურებლად და „ჰაერი-ზედაპირის“ („ჰაერი-დედამიწა“, „ჰაერი-ხომალდი“) და „ჰაერი-ჰაერის“ კლასების მართულ ფრთოსან რაკეტებს (უმრავლესობა).

378. **საავიაციო საარტილერიო შეიარაღება** - საავიაციო შეიარაღების სახეობა, რომელიც განკუთვნილია საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიზნების ჭურვით (ტყვიით, ყუმბარით) დაზიანებისთვის. მოიცავს ზარბაზნებს, ტყვიამფრქვევებს და ყუმბარსატყორცნებს შესაბამისი დანადგარების შემადგენლობაში, სამიზნებელ-სანავიგაციო სისტემას. საავიაციო საარტილერიო შეიარაღება წარმოადგენს

ავტომატურ იარაღს. ზარბაზნები იყოფა ერთლულიანად და რამდენიმე ლულიანად (2-7 ლულიანები).

379. **საავიაციო სამაშველო ნავი** – გასაბერი მცურავი საშუალება წყალზე საავარიო შემთხვევებში საფრენი აპარატის ეკიპაჟის გადასარჩენად. ინდივიდუალური საავიაციო სამაშველო ნავი შეიცავს გარსს, ბალონს აირით, გარსის ავტომატურად შევსების სისტემას და სხვა. ჯგუფური საავიაციო სამაშველო ნავი გარდა ამისა აქვს ანძა იალქანით ან ჩამოსაკიდი ძრავა, რადიოსადგური, წყლის და სურსათის მარაგი, სასიგნალო საშუალებები და სხვა.

380. **საავიაციო სარაკეტო კომპლექსი** - საავიაციო შეიარაღების სახეობა, რომელიც განკუთვნილია სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიზნების რაკეტებით დაზიანებისთვის. მოიცავს რაკეტებს, გამშვებ დანადგარებს, მართვის და დამიზნების სისტემებს, რომლებიც საფრენ აპარატებზეა განლაგებული, აგრეთვე სახმელეთო მოწყობილობას რაკეტების მომზადების, ტრანსპორტირების და მდგომარეობის შემოწმებისთვის. კომპლექსში შეიძლება შედიოდეს, აგრეთვე დაზვერვის და მართვის საშუალებები, რომლებიც დედამიწაზე ან სხვა საფრენ აპარატებზეა განლაგებული.

381. **საავიაციო შეიარაღება** - შეიარაღების სახეობა, რომელსაც საავიაციო საფრენ აპარატებზე აყენებენ საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიზნების დასაზიანებლად. განასხვავებენ საავიაციო საარტილერიო შეიარაღებას, საავიაციო რაკეტულ შეიარაღებას (საავიაციო – სარაკეტო კომპლექსი) და საბომბდამშენო შეიარაღებას. საავიაციო შეიარაღების გამოყენებას უზრუნველყოფს შეიარაღების მართვის მრავალფუნქციური სისტემა და დამიზნებითი სისტემა, რომელიც ფუნქციონალურად არის დაკავშირებული სანავიგაციო (დამიზნებით-სანავიგაციო სისტემა) და საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებთან.

382. **საავიაციო ტექნიკა** - იმ ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობა, რომლებიც საავიაციო ფორმირებების შეიარაღებაზეა და განკუთვნილია საბრძოლო, სატრანსპორტო, სასწავლო და სხვა ამოცანების შესასრულებლად. მოიცავს: აეროსტატულ (ჰაერსანაოსნო) და აეროდინამიკურ საფრენ აპარატებს; საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკის გამოყენებას, ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, მართვას; სასწავლო-საწვრთნელ საშუალებებს. ზოგჯერ ეს ტერმინი იხმარება ვიწრო თვალსაზრისით – საავიაციო საფრენი აპარატების ერთობლიობა მათი მოწყობილობით და შეიარაღებითურთ.

383. **საავიაციო ძრავა** – საავიაციო საფრენი აპარატის ძალური დანადგარის ძირითადი ნაწილი. შესაძლოა იყოს დგუშიანი, აირტურბინიანი(ტურბო-ხრახნიანი) და საჰაერო-რეაქტიული(ტურბორეაქტიული და უკომპრესორო). საავიაციო ძრავად აგრეთვე რეაქტიული ძრავა გამოიყენება. საავიაციო ძრავა მცირე გაბარიტების და მასის, მაღალი საიმედოობის ფარდობით ხასიათდება დიდი სიმძლავრით(შეიძლება 1000-ზე და მეტ კვტ. აღწევდეს).

384. **საავტომობილო ტექნიკა** – თვლიანი და მუხლუხა ტექნიკა შეიარაღებული ძალების საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. მათ განეკუთვნებიან ავტომობილები, თვლიანი და მუხლუხა საწევრები, ტრანსპორტიორები, ავტოამწეები, მოძრავი ავტოსარემონტო სახელოსნოები, საევაკუაციო მანქანები და სხვა.

385. **საავტომობილო ძრავა** – ავტომობილის ძალური დანადგარის ძირითადი ნაწილი. ყველაზე მეტად გავრცელებულია დგუშიანი კარბურატორული და დიზელის ძრავები. შაწვავის გამოყენების ტიპით განასხვავებენ მსუბუქი საწვავის(ბენზინი, ნავთი), მძიმე(დიზელის საწვავი), აირმაგვარ და მრავალსაწვავიანს.კარბურატორიანი საავტომობილო ძრავის სიმძლავრე 300- მდე ცხ.ძ. ხოლო დიზელის – 1000 –მდე ცხ.ძ. აღწევს. ავტომობილებში გამოიყენება აგრეთვე როტორის, აირტურბინის და ელექტრო ძრავები.
386. **საბაზო ავიაცია** – იხ.საზღვაო ავიაცია
387. **საბაზო მანქანა** – . თვლიანი ან მუხლუხიანი მანქანა, რომლის შასი სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკის შექმნისას საფუძველად შეიძლება იქნეს გამოყენებული.
388. **საბაზო მცურავი საშუალებები –** შეზღუდული ნაოსნობის თვითმავალი და არათვითმავალი გემები და მცურავი ნაგებობები, ფლოტის ძალების საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველსაყოფად როგორც ბაზებში, ასევე მოუწყობელ რეიდებზე და ნავსადგურებში დგომისას. მათ განეკუთვნებიან მცურავი ყაზარმები, დოკები, ამწეები, სახელოსნოები, საწყობები, სადგურები (სასწავლო-სავარჯიშო, საკონტროლო-გაზომვითი), ყინულმჭრელები, ბუქსირები, კარჭაპები, ხანძარსაწინააღმო გემები, კატარღები და სხვა
389. **საბომბარდირო ხომალდი** – მე-17 ს. დასასრულის მე-19 ს. დასაწყისში იალქნიანი 2-3 ანძიანი ხომალდი, მსხვილი კალიბრის გლუვლულიანი ზარბაზნით შეიარაღებული, სანაპირო გამაგრებების და ზღვისპირა სიმაგრეების მომბებით ცეცხლდაშენისთვის. პირველად გაჩნდა საფრანგეთში 1681წ. საბომბარდირო ხომალდის შემდგომი განვითარება მცურავი ბატარეების შექმნაა.
390. **საბომბო დატვირთვა –** დაზიანების ბომდაშენის საშუალებების მასა; საავაციო საფრენი აპარატების საბრძოლო გატენის შემადგენელი ნაწილი. დაზიანების საშუალებები ბომბდამჭერზეა დაკიდებული, როგორც გარეთ – ფრთის და ფიუზელაჟის ქვეშ, ასევე საფრენი აპარატების შიგნით. საბომბო დატვირთვა საფრენი აპარატის ასაფრენი მასის 25% -ს შეიძლება აღწევდეს.
391. **საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა** – ერთიანი მართვით ელექტრონული გამომთვლელი და საპროგრამო მოწყობილობის კომპლექსი, იდგმება მოძრავი ობიექტის (თვითმფრინავის, ხომალდის, კოსმოსური აპარატის, რაკეტის და სხვა) ბორტზე, მოცემული ალგორიტმის შესაბამისად, როგორც თვით ობიექტის, ასევე მისი ტექნიკური საშუალებების ავტომატიზებული მართვის ამოცანების გადასაწყვეტად. ახორციელებს გამოთვლებს დისკრეტულ (ციფრული ელექტრონული გამომთვლელი მანქანა) ან ანალოგის ფორმით (გამოიყენება აგრეთვე ანალოგ-ციფრული ელექტრონული გამომთვლელი მანქანა). საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მუშაობის თავსებურებებს წარმოადგენს მიღებული ინფორმაციის და დროის რეალურ მასშტაბში მართვადი სიგნალების გაცემა, რომელიც საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანისგან დიდ ნაყოფიერებას მოითხოვს – 10^8 – 10^{10}, ხოლო ავტონომიურ საბრძოლო მუშაობაში 10^{11} –მდე ოპერაციებს 1 წამში. ამ მიზნით გამოიყენება მრავალპროცესული გამომთვლელი საშუალებები კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისთვი მომარჯვებულები (მაგ., რადიოლოკაციური გამოსახულების დამუშავება).

392. **საბორტო თავდაცვის კომპლექსი** – მოძრავ ობიექტზე(საფრენ აპარატზე, ხომალდზე, ტანკზე და სხვა) ფუნქციურად დაკავშირებულების და ერთობლივად თავდაცვის გამოყენებისთვის საცეცხლე დაზიანების(აქტიური თავდაცვა) საშუალებების და რადიოელქტრონული ჩახშობის ერთობლიობა. უზრუნველყოფს დამიზნების სადგურების მუშაობის, დაბრკოლებების დადგმის მეშვეობით რაკეტის თვითდამიზნების ქობანის მართვის სისტემის დარღვევას,, აგრეთვე მოიერიშე თვითმფრინავების და რაკეტების დაზიანებას. მოიცავს საბორტო თავდაცვის კომპლექსის – საინფორმაციო უზრუნველყოფის, მართვის, საშემსრულებლო მოწყობილობის და საიმედოობის ეფექტურობის კონტროლის სისტემებს.
393. **საბრძოლო ავიაცია** –საავიაციო შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების განზოგადებული სახელწოდება, რომელთა დანიშნულებაა საბრძოლო ამოცანების უშუალო შესრულება.
394. **საბრძოლო ეტლი** – ბრძოლის წარმოებისთვის მომარჯვებული ორი ან ოთხთვალა ეტლი. ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის მეომრების მიერ გამოიყენებოდა. წინ და გვერდებზე ჰქონდა ღობე(დაცვა), ჩვეულებრივ ორი ან ოთხი ცხენით შებმული. საბრძოლო ეტლები ფეხოსნების და კავალერიის საბრძოლო წყობაში მოქმედებდნენ. გამოირჩეოდნენ სწრაფი შეტევით, მოწინააღმდეგის რიგებს არღვევდნენ, რაც ხელს უწყობდა მის განადგურებას.
395. **საბრძოლო კომპლექტი** – გათვლითი-მომარაგების ერთეული, საბრძოლო მასალების რაოდენობით გამოსახული ერთეულ იარაღზე(საარტილერიო ქვემეხზე, გამშვებ დანადგარზე, ტყვიებზე და სხვა), საბრძოლო მანქანაზე, თვითმფრინავზე, ხომალდზე და სხვაზე დაწესებული. იარაღის დანიშნულების და საბრძოლო მახასიათებლების, საბრძოლო მანქანებზე საბრძოლო მასალების განთავსების და ჯარებში ტრანსპორტის რაოდენობიდან გამომდინარე წესდება შესაბამისი ბრძანებებით.
396. **საბრძოლო კოსმოსური სადგური**(პლატფორმა) – საბრძოლო კოსმოსური სისტემის(კოსმოსური აპარატის) ძირითადი კომპონენტი. სამხედრო სპეციალისტების მიერ განიხილება, როგორც სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის მდგრადობის ამაღლების შესაძლებელი საშუალება, კერძოდ მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების დაზიანებისთვის ტრაექტორიის აქტიურ და მათი საბრძოლო ბლოკების პასიურ მონაკვეთებზე. საბრძოლო კოსმოსური სადგური ძირითად შეიარაღებად განიხილება დაზიანების საშუალებები(რაკეტები, კინეტიკური, ლაზერული, დამაჩქარებელი და ახალ ფიზიკურ პრინციპებზე ახალი სახეობის იარაღი), საინფორმაციო-მართვის სისტემა, დაცვის და ფუნქცირების უზრუნველყოფის საშუალებები. საბრძოლო კოსმოსური სადგურის შექმნა რთული სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემაა, რომელიც მნიშვნელოვან ეკონომიურ ხარჯებს და დროს მოითხოვს.
397. **საბრძოლო მანქანები** - ჯავშნიანი, მუხლუხა ან თვლიანი მანქანები, ამაღლებული გამავლობის თვითმავალი მანქანები მათზე დადგმული შეიარაღებით. მათ განეკუთვნებიან ტანკი, საბრძოლო სადესანტო მანქანა, ქვეითთა საბრძოლო მანქანა, საბრძოლო სადაზვერვო მანქანა ჯავშან-ტრანსპორტიორი, თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, თვითმავალი საარტილერიო ქვემეხი, აგრეთვე რეაქტიული სისტემების ზალპური ცეცხლის, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის

საბრძოლო მანქანები, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის და სახმელეთო სარაკეტო კომპლექსის თვითმავალი გამშვები დანადგარები. აღჭურვილები არიან ფილტრსავენტილაციო დანადგარით, რადიოსადგურით, შიდა სალაპარაკო მოწყობილობით, თვალთვალის ხელსაწყოებით, ხანძარსაწინაღო მოწყობილობით და სხვა.

398. **საბრძოლო მანქანებში ბინადრობა** – საბრძოლო მანქანაში ბინადრობის ნაწილების(საბრძოლო, მართვის) მომარჯვება ეკიპაჟის(გათვლის, დესანტის) განთავსებისა და მუშაობის იმ დროის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის. მიიღწევა: არასასურველი მიკროკლიმატური(ტემპერატურა, სინესტე), მექანიკური(ხმაური, ვიბრაცია და სხვა), ელექტრო-მაგნიტური, ქიმიური(დაგაზიანება) და სხვა ფაქტორებისგან დაცვის საშუალებებით; საკვების, წყლის და მედიკამენტების არსებობით; საინჟინრო ფსიქოლოგიის და სამხედრო ერგონომიკის მოთხოვნების შესრულებით.

399. **საბრძოლო მასალები** – შეიარაღების შემადგენელი ნაწილი, რომლის დანიშნულებაა მიზნების უშუალო დაზიანება ან ჯარების(ძალების) მოქმედებების უზრუნველყოფა. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ძირითად, სპეციალურ და დამხმარეს. ძირითადი საბრძოლო მასალები იყოფა ჩვეულებრივ და მასიური დაზიანებისგან. ჩვეულებრივი საბრძოლო მასალები შეიძლება იყოს ერთიანი ან სასკდომი ან ცეცხლგამჩენი ნივთიერებით. ასიური დაზიანების საბრძოლო მასალებს განეკუთვნებიან ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური საბრძოლო მასალები. საბრძოლო მასალების მოქმედება განპირობებულია კონსტრუქციით და აღჭურვის ტიპით. სპეციალურ საბრძოლო მასალებს განეკუთვნებიან დაბრკოლების წარმოქმნის, მანათებელი, სასიგნალო, საკვამლე, მისასროლ-მიზანჩვენების, სააგიტაციო და სხვა. დამხმარეს – სასწავლო, საიმიტაციო, სისტემის სასინჯი და სხვა. იარაღის ტიპით საბრძოლო მასალები იყოფა რაკეტების და ტორპედოების საბრძოლო ნაწილებად, საარტილერიო საბრძოლო მასალებად(საარტილერიო გასროლის, ნაღმსატყორცნის გასროლის, ყუმბარსატყოცნის გასროლის), სასროლი იარაღის ვაზნებად, ბომბდაშენის დაზიანების საშუალებად, საინჟინრო ნაღმებად, საზღვაო ნაღმებად, ხელყუმბარებად, მანათობელ და სასიგნალო ვაზნებად. შეიარაღებული ძალების სახეობის კუთვნილების მიხედვით იყოფა სახეობათაშორისად(გამოიყენება რამოდენიმე სახეობაში და სპეციალურ ჯარებში), საავიაციო(საავიაციო შეიარაღების შემადგენელი ნაწილი) და საზღვაო(სახომალდო შეიარაღების და სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღება).

400. **საბრძოლო მასალების დადაღვა** – საბრძოლო მასალების ლითონის ნაწილებზე ასოების, ციფრების და პირობითი ნიშნების გარკვეული შეხამებით დაღის დასმა ან ამოტვიფვრა. დაღები საჭიროა კონტროლისთვის საბრძოლო მასალების აღჭურვის, აწყობის, შენახვის, რემონტის და ექსპლუატაციის დროს. ძირითადი დაღები პირობითად აღნიშნავენ: ქარხანას, პარტიის ნომერს, დამზადების წელს და საბრძოლო მასალის შესაბამისი ელემენტის მარკას.

401. **საბრძოლო მასალების გაუვნებელყოფა** – საბრძოლო მასალების მოყვანა იმ მდგომარეობაში,რომელიც მათ არასანქცირებულ ამოქმედებას გამორიცხავს. ტარდება ადგილმდებარეობის(აკვატორიის) განნაღმვისთვის, სარემონტო

(სარეგლამენტო) სამუშაობების ან გამოცდების, უტილიზაციის ჩასატარებლად და სხვა. მიიღწევა საბრძოლო მასალის მექანიკური ნგრევით(ჩვეულებრივ აფეთქებით), მაინიცირებელი მოწყობილობის ამოღებით ან უსაფრთხო ადგილზე გადატანით, კვების წყაროს მოხსნით და სხვა.

402. **საბრძოლო მასალების მარკირება** – საბრძოლო მასალების ელემენტებზე და მათ საფუძველზე პირობითი ნიშნების და წარწერების სისტემა. საბრძოლო მასალების დადაღვის და სხვადასხვა ფერში შეღებვასთან ერთად საშუალებას იძლევა განისაზღვროს საბრძოლო მასალების დანიშნულება და მახასიათებლები, რაც აუცილებელია მათი სწორი დაკომპლექტების და ექსპლუატაციისთვის.

403. **საბრძოლო მასალების მოქმედება** – საბრძოლო მასალებით წარმოქმნილი ეფექტი, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების დროს. საბრძოლო მასალების მოქმედებების დამახასიათებელი სახეობებია: **ფუგასური** – მიზნის დაზიანება მუხტის აფეთქების პროდუქტებით და წარმოქმნილი დარტყმითი ძალით (ხასიათდება ძაბრის მოცულობით და დარტყმითი ძალის ნაჭარბი წნევით); **მსხრევადი** – მიზანზე ნამსხვრევების მექანიკური ზემოქმედება წარმოქმნილი საბრძოლო მასალის კორპუსის დანაწევრების ან სპეციალურად გამოყენებული მზა მომაკვდინებელი ელემენტების (ხასიათდება ნამსხვრევების რაოდენობით და მასით, მათი გაფანტვის სიჩქარით) გამოყენების დროს. **დარტყმითი** – მიზნის დაზიანება მოძრავი საბრძოლო მასალის კინეტიკური ენერგიის ხარჯზე (ხასიათდება საბრძოლო მასალის მასით, შეხვედრის სიჩქარით და საბრძოლო მასალის სიმტკიცით); **კუმულაციური** – მიზნის დაზიანება მოცემულ მიმართულებაზე აფეთქების ენერგიის კონცენტრაციის ხარჯზე. **ცეცხლგამჩენი** – მიზნის აალება სპეციალურად გამოყენებული ცეცხლგამჩენი შემადგენლობით აღჭურვა.

404. **საბრძოლო მასალების სიძლიერე** – მიზანთან საბრძოლო მასალების მოქმედებების ეფექტურობის მაჩვენებელი. საბრძოლო მასალების ტიპის კვალობაზე მათი მოქმედებები ფასდება: გრუნტში ფუგასური ძაბრის მოცულობით(1 კგ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე საშუალოდ 1 $მ^3$ ამოყრილი გრუნტი მოდის), დამრტყმელი ტალღის ჭარბი წნევის და იმპულსეს სიდიდით; მსხვრევადი - დაზიანების მოყვანილი ზონის ფართობით, გათვლილი მომაკვდინებელი ნამსხვრევების მასის, რაოდენობის და გაფანტვის რადიუსის კვალობაზე, ე.ი. არანაკლებ 4 გ მასის ნამსხვრევები 100 ჯოულზე მეტი კინეტიკური ენერგიით; ჯავშანგამტანი(დამრტყმელი, კუმულაციური) – ჯავშნის (წინაღობის) ნგრევის სისქით, ცეცხლგამჩენი – აღჭურვილი შემადგენლობის წვის ტემპერატურით, მანათობელი – შუქის ძალით და ადგილმდებარეობის განათების ხანგრძლივობით, საკვამლე – უხილავი ფადის სიგრძით და კვამლის წარმოქმნის ხანგრძლივობით. საბრძოლო მასალების ეფექტურობის საერთო მაჩვენებელია მიზნის დაზიანების ალბათობა. ბირთვული საბრძოლო მასალების სიძლიერე ტროტილის ექვივალენტით განისაზღვრება.

405. **საბრძოლო მდგომარეობა** - საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის (საბრძოლო გამოყენებისთვის) საბრძოლო სისტემების, შეიარაღების და საბრძოლო ტექნიკის, აგრეთვე მათი ელემენტების სრული მზადყოფნის მდგომარეობა. საბრძოლო მდგომარეობა გულისხმობს შეიარაღების კომპლექსების ყველა შემადგენელი ელემენტის მუშაობისთვის მზადყოფნას. შეიარაღების და საბრძოლო ტექნიკის

ნიმუშების ან კომპლექსების საბრძოლო მდგომარეობაში გადაყვანა ხორციელდება შენახვის ან სალაშქრო მდგომარეობის (ტრანსპორტირების მდგომარეობის) რეჟიმიდან. იგი შედგება რიგი ტექნოლოგიური ოპერაციებისგან, რომელთა მოცულობა და ხასიათი დამოკიდებულია საბრძოლო ტექნიკის სახეობაზე, მის დანიშნულებაზე, გამოყენების პირობებზე, კონსტრუქციულ თავისებურებებზე და გარკვეულ მოთხოვნებზე, ინსტრუქციებსა და დარიგებებზე.

406. **საბრძოლო ქობანი** – იხ. საბრძოლო ბლოკი

407. **საბრძოლო რობოტი** – მრავალფუნქციური ტექნიკური მოწყობილობა ანტროპომორფული(ადამიანის მსგავსი) ქცევით, რომელიც განსაზღვრული საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს ადამიანის ფუნქციებს ნაწილობრივ ან სრულად ასრულებს. მოიცავს ინფორმაციის მიღების სენსორის სისტემას, მართვის სისტემას და საშემსრულებლობო მოწყობილობას. 1-ლი თაობის პროგრამული და დისტანციური მართვის საბრძოლო რობოტი ორგანიზებულ გარემოში ფუნქცირების უნარი შესწევდათ, მე-2 თაობის – ადაპტიურები წინასწარ უცნობ პირობებში შეეძლოდ ფუნქცირება. მე-3 თაობის საბრძოლო რობოტები – ინტელექტუალურები არიან, გააჩნიათ მართვის სისტემა ხელოვნური ინტელექტის ელემენტებით. ყველაზე უბრალო საბრძოლო რობორტს განეკუთვნება უეკიპაჟო ტანკი სატორპედო კატარღა, რობოტო-ჯარისკაცი და სხვა, რომლებიც ადამიანის პირობებისთვის გამოუსედაგარ ჯარების საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენებენ.

408. **საბრძოლო სადაზვერვო მანქანა** – სადაზვერვო(ჯავშანსაკავალერიო) ნაწილების და ქვედანაყოფების ჯავშნიანი, მუხლუხა ან თვლიანი მანქანა საჯარისო დაზვერვის წარმოებისთვის. შესაძლოა მისი გამოყენება მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის და საცეცხლე საშუალებებთან ბრძოლისთვის, რეკოგნოსცირებისთვის, ორიენტირებისთვის და სხვა. სადაზვერვო მოწყობილობა მოიცავს: თვალთვალის ხელსაწყოებს, სახმელეთო მოძრავი მიზნების დაზვერვის რადიოლოკაციურ სადგურს, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვის ხელსაწყოებს; მანქანის ლაზერული, ინფრაწითელი და რადიოლოკაციური სადგურის დასხივების დეტექტორებს; ნავიგაციურ მოწყობილობებს. რუსეთის თანამედროვე მანქანის მახასიათებლებია: : მასა 19,6ტ, ეკიპაჟი 6 კაცი,ძრავის სიმძლავრე 500 ცხ.ძ. შეიარაღება – 30 მმ ზარბაზანი, ერთი 7,62 მმ ტყვიამფრქვევი.

409. **საბრძოლო სადესანტო მანქანა** – საჰაერო-სადესანტო ჯარების ჯავშნიანი, მუხლუხა, მცურავი მანქანა საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის და პირადი შემადგენლობის გადაადგილებისთვის. პირველად გაჩნდა 1969წ. სსრკ. თანამედროვე მანქანის ძირითადი მახასიათებლებია მასა 12,9ტ, ეკიპაჟი(დესანტი) 2(5) კაცი,ძრავის სიმძლავრე 450 ცხ.ძ. შეიარაღება – 30 მმ ზარბაზანი, 7,62 მმ ტყვიამფრქვევი, ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსი, ყუმბარსატყორცნი. შესაძლებელია საპარაშუტო ხერხით დესანტირება.

410. **საბრძოლო სარკინიგზო სარაკეტო კომპლექსი** – რკინიგზის ბაზირების მოძრავი სტრატეგიული სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი. წარმოადგენს რკინიგზის სპეციალურ შემადგენლობას, რომლის ვაგონებში განთავსებულია კოტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტები, გაშვების მართვის პუნქტები, დაცვის საშუალებები, ტექნოლოგიური და ტექნიკური სისტემები, პირადი შემადგენლობა

და სასიცოცხლო სისტემები. რაკეტების გაშვება შეიძლება წარმოებდეს როგორც მუდმივი დისლოკაციის პუნქტიდან, ასევე პატრულირების მარშრუტის მონაკვეთებიდან.

411. **საბრძოლო საშუალებები** – შეიარაღებული ბრძოლის საშუალებები, რომელთა დახმარებით საბრძოლო ფორმირებები საბრძოლო ამოცანას ასრულებენ. თერმინი, ჩვეულებრივ გამოიყენება სამსახურებრივ დოკუმენტებში, გათვლებში, აგრეთვე საბრძოლო მოქმედებების მოდელების ასახვისას, როდესაც ძალების და საშუალებების თანაფარდობის შეფასება არის საჭირო.
412. **საბრძოლო თვითმფრინავები** – თვითმფრინავები მიზნების საარტილერიო, ბომბდაშენის და სარაკეტო შეიარაღებით დაზიანებისთვის, აგრეთვე საჰაერო დაზვერვის, რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოებისთვის და სხვა. საბრძოლო თვითმფრინავებს განეკუთვნებიან გამანადგურებლები, გამანადგურებელ-ბომბდამშენები, გამანადგურებელ-გადამჭერები, ბომბდამშენები, ნავსაწინაღო თვითმფრინავები, მოიერიშეები, თვითმფრინავ-მზვერავები, რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავები.
413. **სადეგაზაციო კომპლექტი** – საარტილერიო საშუალება საარტილერიო ქვემეხების და სხვა ტექნიკის ნაწილობრივი დეგაზაციისა და დეზინფექციისთვის. შეიცავს 2 ხსნარს(N° 1 და N° 2) და დიქლორამინს N° 1 ხსნარის მომზადებისთვის. ხსნარებს რიგრიგობით, ნორმების მიხედვით ტექნიკის ზედაპირზე დაიტანენ.
414. **სადეგაზაციო ნივთიერებები** – ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც მომწამლვ ნივთიერებებთან აქტიურად თანამოქმედებენ და მათ არატოქსიკურ ნივთიერებად გარდაქმნიან. განასხვავებენ ჟანგავ-ქლორირებად სადეგაზაციო ნივთიერებებს (გიპოქლორიტები, ქლორამინები) და ტუტიის(მწვავე ტუტიის სოდა, ამიაკი და სხვა). გამხსნელად გამოიყენება წყალი და სხვადასხვა ორგანული სითხეები).
415. **სადესანტო ხომალდი** – სპეციალური აგების საბრძოლო ხომალდი, რომლის დანიშნულებაა საზღვაო(საჰაერო-საზღვაო) სადესანტო ოპერაციის ჩატარებისას საზღვაო დესანტის ტრანსპორტირება და გადმოსხმა. ონსტრუქციიდან გამომდინარე სადესანტო ხომალდი საშუალებას იძლევა დესანტი გადმოისხას უშუალოდ ნაპირზე ან სადესანტო-გადმოსასხმელი საშუალებებით. სადესანტო ხომალდზე არის ანგარები და ვერტმფრენებისთვის საგემბანო ასაფრენ-დასაფრენი მოედნები, აგრეთვე დოკ-კამერები კატარღებისთვის. თვითდაცვისთვის და დესანტის საცეცხლე მხარდაჭერისთვის აღჭურვილია რაკეტებით და საარტილერიო იარაღით. სადესანტო ხომალდები იყოფა მართვის, უნივერსალურ(მრავალმიზნობრივ), სადესანტო-ვერტმფრენ ხომალდ-დოკებად, სადესანტო ვერტმფრენმზიდად, სადესანტო ტრანსპორტ-დოკებად და ტანკსადესანტო ხომალდებად. ყველაზე მეტი სადესანტო ხომალდი აშშ სამხედრო-საზღვაო ძალებს გააჩნია, რომლებსაც ერთდროულად საოკეანო გადასროლისთვის შეუძლიათ მიიღონ 65 ათასი მედესანტეები იარაღით, საბრძოლო ტექნიკით და აღჭურვილობით და საშტატო-გადმოსასხმელი საშუალებებით მათი გადმოსხმა უზრუნველყონ. სადესანტო ხომალდის სახით შესაძლოა ტრანსპორტების, ლიხტერმზიდების, კონტეინერმზიდების და სხვათა გამოყენება.
416. **სადესანტო-გადმოსასხმელი საშუალებები** – სატრანსპორტო საშუალებები (კატარღები, პლაშკოუტები, ბარჟები, აპარატები საჰაერო ბალიშზე), რომელთა

დანიშნულებაა სადესანტო ხომალდებიდან და ტრანსპორტებიდან მოწყობელ ნაპირზე პირადი შემადგენლობის გადაზიდვების და გადმოსხმისთვის, აგრეთვე სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალების გადმოსატვირთად. გადმოსხმის რაიონში სადესანტო-გადმოსასხმელი საშუალებები მიეწოდება სადესანტო ხომალდებზე და ტრანსპორტებზე, რომლებიც მოწყობილია აპარელებით, დოკ-კამერებით ან შესაბამისი ტვირთამწე საშუალებებით, ვერტმფრენებისთვის ასასფრენ-დასაფრენი მოედნებით. სადესანტო-გადმოსასხმელი საშუალებების ტვირთამწეობა 170 – 200 ტ –მდეა, სიჩქარე 10 – 20 კვანძი(18,5 – 37 კმ/სთ).

417. **სადეზაქტივაციო ნივთიერებები** – ქიმიური ნივთიერებები სამხედრო ტექნიკის, სანივთე ქონების, ნაგებობების, ადგილმდებარეობის და წყლის დეზაქტივაციისთვის. ყველაზე მეტად გამოიყენება ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებების, კომპლექსურად წარმოქმნის და სორბენტების(ბუნებრივი თიხა, ხის ნახშირი) შენაერთების საფუძველზე დამზადებული სადეზაქტივაციო ნივთიერებები.

418. **სადეზაქტივაციო ტექნიკა** – მოწყობილობა სამხედრო ტექნიკის, სანივთე ქონების ადგილმდებარეობის დეზაქტივაციისთვის. მოიცავს სამუშაო ხსნარით საცავს, მაღალი წნევის ნასოსს, შემრევებს, გამამფრქვეველი, მართვის პულტს და გადაადგილების საშუალებას. სადეზაქტივაციო ტექნიკას განეკუთვნებიან ტარებადი და საავტომობილო კომპლექტები, ავტოჩამომსასხმელი სადგურები, საველე საავტომობილო ექსტრაქტები, სპეციალური დამუშავების და სამოსელის გადაჟღენთვის სადგურები, სამხედრო ტექნიკის სამოსელის და ადგილმდებარეობის სადეგაზაციო მანქანები დეგაზაციისთვის, დეზაქტივაციისთვის, დეზინფექციისთვის და დეზინსექციისთვის.

419. **სადეზინფექციო კამერა** – სანივთე ქონების დეზინფექციის და დეზინსექციის საშუალება. მონტაჟდება ავტომობილის შასიზე ან მისაბმელზე. შედგება ქონების გასაფენი ორთქლის ქვაბისგან და 1 – 2 საცავისგან, რომლებშიც განთავსებულია ორთქლგამტარი-გამამფრქვეველი და ფრქვევანა.

420. **სადეზინფექციო-საშხაპო დანადგარი** – მოწყობილობა სანივთე ქონების დეზიფექციის და დეზინსექციისთვის, აგრეთვე საველე პირობებში პირადი შემადგენლობის დაბანვის ან სრული სანიტარული დამუშავებისთვის. განთავსებულია ავტომანქანის ძარაზე ან მისაბმელზე და შედგება ორთქლის ქვაბისგან, 1 – 2 სადეზინფექციო კამერისგან, ბოილერ-აკუმულატორისგან, ხელის ნასოსისგან, საშხაპე მოწყობილობებისგან და სხვა.

421. **სადეზინფიცირო ნივთიერებები** – ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც მცირე კონცენტრაციებით ბაქტერიციდული მოქმედებების ფართო სპექტრი გააჩნიათ. გამოიყენება სანივთე ქონების, ნაგებობების, სადგომების და ტექნიკის დეზინფექციისთვის.

422. **საფანტი** სანადირო – სანადირო გლუვლულიანი თოფისთვის ვაზნის მომაკვდინებელი ელემენტები. წარმოადგენს ბურთულებს დამზადებული ტყვიისგან მცირე რაოდენობის დარიშხანის ჩამოსხმის გაადვილებისთვის და სტიბიუმის სიმტკიცისთვის დამატებით. მიღებული ნორმებით იყოფა ნომრებზე 12 დან(დიამეტრი 1,25 მმ) 0000 - მდე (5 მმ), მეზობელ ნომრებს შორის 0, 25 მმ ინტერვალით.

423. **საფანტის თოფი** – 1) მცირე მანძილზე სროლისთვის ძველებური საარტილერიო ქვემეხი ცოცხალი ძალის(წვრილი ქვებით, რკინის ნამსხვრევებით) საწინაღო სროლისთვის. 2)საფანტით სროლის სანადირო თოფი.
424. **საფრენი აპარატები** – დედამიწის ატმოსფეროში ან კოსმოსურ სივრცეში ფრენის საშუალება. იყოფა: აეროსტატიურ(ჰაერნაოსნობის) – საფრენი აპარატები ჰაერზე მსუბუქია(აეროსტატები, მათ შორის დირიჟაბლები და სტრატოსტატები); აეროდინამიური საავიაციო საფრენი აპარატები, რომლებიც ჰაერის გარემოს ამწე ძალის და წევის(ფრთიანი – თვითმფრინავები, პლანერები; ხრახნფრთიანი – ვერტმფრენები, ავტოჟირები,); შექმნისთვის გამოიყენებენ; კოსმოსური – საფრენი აპარატები, რომლებიც კოსმოსში ფრენებს აწარმოებენ (კოსმოსური აპარატები); რაკეტები – საფრენი აპარატები, რომლებსაც, როგორც ატმოსფეროში, ასევე უჰაერო სივრცეში მოძრაობის უნარი შესწევთ.
425. **საფრენი აპარატის საბორტო მოწყობილობა –** ეკიპაჟის ხელშემწყობი საავიაციო საფრენი აპარატების ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, მათ მიერ ამოცანის შესრულების დროს. საბორტო მოწყობილობის შემადგენლობაში უპირველეს ყოვლისა შედის საბორტო კომპლექსი, საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის საფუძველზე პილოტაჟის და დამიზვნა-სანავიგაციო სისტემის და დაცვის საბორტო კომპლექსის და სხვა შემადგენლობით. საბორტო მოწყობილობას აგრეთვე განეკუთვნება ცხოველქმედების, შეიარაღების მართვის, კავშირის, ენერგომომარაგების, ხანძარსაწინაღო, მოყინვისსაწინაღო, რადიო-საწინაღო, საჰაერო დაზვერვის, კონტროლის და რეგისტრაციის და სხვა სისტემები
426. **საგემბანო საარტილერიო დანადგარი –** ერთი ან რამოდენიმე სახომალდო ქვემეხი, რომელიც ხომალდის ზედა გემბანის საერთო საძირკველზეა მონტირებული. შეიძლება იყოს ღია ან წინ ფარი ჰქონდეს. ზრუნველყოფის საშუალებები საკოშკურო საარტილერიო დანადგარის ანალოგიურია.
427. **საგზაო მანქანები** – სამხედრო გზების მშენებლობის და სარემონტო სამუშაობების მექანიზაციის საშუალებები. გამოიყენება აგრეთვე რკინიგზების, აეროდრომების, ჰიდროტექნიკურ და სხვა მშენებლობაში. გამოშვება ხდება თვითმავალი, აგრეგატების ან საკიდარი და მისაბმელი მოწყობილობის სახით. მათ განეკუთვნებიან ბულდოზერები, გრეიდერები, გზისგამყვანები, სკრეპერები თოვლისგამწმენდები და სხვა.
428. **საგზაო ნიშნები** – განსაზღვრული ფორმების, ზომების და შეღებილობის ფიგურები, რომლებსაც საავტომობილო გზებზე, ქუჩებზე, საკოლონო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გზების მდგომარეობის შესახებ მძღოლების მიერ ინფორმაციის მისაღებად აწესებენ. იყოფა გამაფრთხილებელ, პრიორიტეტულ, ამკრძალავ, დადგენილ, საინფორმაციო-მაჩვენებელ, სერვისის და დამატებითი ინფორმაციისთვის. სამხედრო გზებზე საყოველთაოდ მიღებული საგზაო ნიშნები გამოიყენება, ხოლო გამაფრთხილებელ, ამკრძალავ, საინფორმაციო-მაჩვენებელ და სერვისის ჯგუფებში დამატებითი ნიშნები შეყავთ. ჟარების გადაადგილების დროს აგრეთვე შესაძლოა საჯარისო დამზადების ნიშნები. მაჩვენებლებზე, რომლებიც კონკრეტულ შენაერთს ორიენტირებენ მათი ამოცნობის ნიშნები გამოისახება.

429. **საგზაო-სახიდე კონსტრუქციები** – მზა კონსტრუქციუები, რომლებიც სამხედრო გზების მოსამზადებლად და სახიდე გადასასვლელებისთვის მოსაწყობად გამოიყენება. მათ განეკუთვნებიან: საგზაო ფარები, მოქნილი დაფარვები(ბადიანი, ქსოვილების და სხვა), წყლის გამტარი მილები ხიდები, საყრდენი კედლები და სხვა. შეიძლება იყოს სამრეწველო ან საჯარისო დამზადების.
430. **საჰაერო თვითმფრინავმზიდი** – 1) მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ჰიდრო-თვითმფრინავების განთვსებისთვის ხომალდების დასახელება. ერთ ბორტზე შეეძლოთ 12-მდე ხომალდის მიღება.აგრეთვე ცნობილია ჰიდროავიატრანსპორტის ჰიდროკრეისერის, ჰიდროავიაციის მცურავი ბაზების და სხვა სახელწოდებები. ავიამზიდების და საგემბანო ავიაციის გავრცელებით თავისი მნიშვნელობა დაკარგა. 2) თვითნფრინავი-ავიამზიდი, მძიმე თვითმფრინავი, მცირე თვითმფრინავების მატარებლად გამოიყენება რომლებიც ჰაერში თვითმფრინავიდან განცალკავდებიან და დამოუკიდებლად მოქმედებენ, შემდგომში უახლოეს აეროდრომზე ბრუნდებიან ან მატარებლის ბორტზე მიიღებენ.
431. **საჰაერო-კოსმოსური თვითმფრინავი** – მრავალჯერადი გამოყენების ერთსაფეხურიანი საფრენი აპარატი გამოიყენება ატმოსფეროში და კოსმოსურ სივრცეში ფრენებისთვის. ფრენას და დაფრენას თვითმფრინავის მსგავსად აწარმოებს. იგეგმება კვლევითი ფრენებისთვის, კოსმოსური აპარატების სატრანსპორტო-ტექნიკური მომსახურებისთვის და საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად. საჰაერო-კოსმოსური თვითმფრინავი დამუშავების სტადიაშია აშშ, დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნებში.
432. **საჰაერო-კოსმოსური ხომალდი** – მრავალჯერადი გამოყენების ორბიტალური ხომალდი, კოსმოსურ სივრცეში ფრენისთვის და ხმელეთზე სათვითმფრინავო ხერხით დაფრენისთვის. შაჰაერო-კოსმოსური თვითმფრინავისგან განსხვავებით სტარტს რაკეტის მსგავსად იღებს(პერსპექტივაში შესაძლოა სტარტები თვითმფრინავებიდან და კოსმოსური აპარატებიდან). გააჩნია მატარებელი ზედაპირები, ფრენის მართვის და სტაბილიზაციის ორგანოები, შასი, საპილოტაჟო-სანავიგაციო სისტემა. მისი დანიშნულებაა სატრანსპორტო ოპერაციების, ორბიტაზე კოსმოსური აპარატის ტექნიკური მომსახურების, კოსმოსური ექსპერიმენტების, დედამიწის ბუნებრივი რესურსების დაზვერვის და სხვა სამუშაობების ჩატარება. 1981წლიდან ფუნქცირებს ამერიკული „სპეის შატლი”.
433. **საჰაერო-რეაქტიული ძრავა** – რეაქტიული ძრავა, რომელიც ატმოსფერული ჰაერის ჟანგბადს საწვავის შეკუმშვისას როგორც ჟანგვას გამოიყენებს.. განასხვავებენ უკომპრესორო საჰაერო-რეაქტიულ ძრავას(წვის კამერაში მიწოდებული ჰაერის მისი დაწნევის სიჩქარის ხარჯზე) და კომპრესორულ (მიწოდებული ჰაერი აირტურბინის მოქმედებაში მოყვანილი კომპრესორით დამატებით შეიკუმშება) ან აირტურბინიან ძრავებს.
434. **საჰაერო-სადესანტო ტექნიკა** – თვითმფრინავებიდან და ვერტმფრენებიდან საპარაშუტო ხერხით პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკის დესანტირების საშუალებები. ძირითადი საშუალებები – პირადი შემადგენლობისთვის - სადესანტო პარაშუტები; მრავალჭაღიანი სისტემებით საპარაშუტო პლატფორმები – მძიმე ტვირთებისთვის; საპარაშუტო-რეაქტიულ საპარაშუტო უპლატფორმო – საჰაერო-სადესანტო ჯარების მუხლუხა საბრძოლო ტექნიკისთვის; საპარაშუტო-

სატვირთო სისტემები – 500 კგ – მდე მასის ტვირთებისთვის. დამხმარე სისტემებს განეკუთვნება სატვირთო კონტეინერები, საპარაშუტო-სადესანტო ტარა, სამაშველო-მცურავი საშუალებები (ნავები, ჟილეტები).

435. **საიმედოობა** – (სამხედრო ტექნიკის) – სამხედრო ტექნიკის თვისება, შეინარჩუნოს დადგენილ ვადაში ყველა იმ პარამეტრის მნიშვნელობა, რომლებიც ახასიათებენ გათვალისწინებული რეჟიმით და ექსპლუატაციის პირობებით საჭირო ფუნქციების შესრულების უნარს. შეიძლება, მოიცავდეს უმტყუნობას, ხანგამძლეობას, რემონტვარგისიანობას და შენახვისუნარიანობას ცალ-ცალკე ან გარკვეული შეხამებით. სამხედრო ტექნიკის საიმედოობის რაოდენობრივი მახასიათებლებისთვის გამოიყენება ერთეული მაჩვენებლები (უმტყუნო მუშაობის ალბათობა, საშუალო მტყუნებათშორისი ნამუშევარი, მტყუნებათა ინტენსივობა, საშუალო ხანგამძლეობა, აღდგენის დრო, საშუალო შენახვისუნარიანობის ვადა) და კომპლექსური (კოეფიციენტები - მზადყოფნის, ოპერატიული მზადყოფნის, ტექნიკური გამოყენების და სხვ.).

436. **საიმიტაციო საშუალებები** – შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის განიღბვის ნიშან-თვისებების წარმოსახვის საშუალება.ჩვეულებრივ წარმოსახავენ: დაზიანების სხვადასხვა დანიშნულების საშუალებების მოქმედებას (ცეცხლსასროლი იარღის სროლას, საბრძოლო მასალების აფეთქებას, მათ შორის ბირთვულის); სამხედრო ტექნიკის მიერ შექმნილ ხმაურს; ხელსაწყოების და თვით ტექნიკის გამოსხივებას; ტექნიკის გარე სახეს. შესაბამისად საიმიტაციო საშუალებებია პიროტექნიკური, ოპტიკურ-ელექტრონული და რადიოლოკაციური მოწყობილობები, სამხედრო ტექნიკის მაკეტები და სხვა.

437. **საინჟინრო ნაღმი** – საბრძოლო მასალა სახმელეთო ნაღმურ-ასფეთქებელი ღობურების მოწყობისთვის.. ძირითადი ნაწილები – კორპუსი(ლითონის, პლასტმასის ან ხის), მუხტი, ამფეთქი ან ასაფეთქებელი მოწყობილობა. ზოგიერთ საინჟინრო ნაღმს მოწყობილობა გააჩნია, რომელიც მათი მოწყობის უსაფრთხოებას, ამოღების და გაუვნებელყოფის, თვითლიკვიდაციის არდაშვებას, განსაზღვრულ დროის შუალედში უსაფრთხო მდგომარეობას უზრუნველყოფს. შეიძლება იყოს მართვადი და არამართვადი, მყისიერი და შენელებული მოქმედების, კონტაქტური და არაკონტაქტური. დანიშნულების მიხედვით იყოფა რამოდენიმე ტიპად. **ქვეითთასაწინაღო** საინჟინრო ნაღმები შეიძლება იყოს მსხრევადი, მათ შორის 1,5 მეტრ სიმაღლეზე ამოსახტომი(მასა 1,6 – 4,5 კგ) და ფუგასური(60 – 450 გ) **ტანკსაწინაღო** საინჟინრო ნაღმები შეიძლება იყოს მუხლუხასაწინაღო(ფუგასურები 9 – 13 კგ,კუმულაციური 1,6 – 7 კგ), ძირისსაწინაღო(2,7 – 10 კგ) და ბორტსაწინაღო. **ტრანსპორტსაწინაღო** საინჟინრო ნაღმები(5 – 50 კგ) გზების განადგურებით საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტის დაზიანებისთვის გამოიყენება, ხოლო **დესანტსაწინაღო** – სანაპიროზე გადმოსხმისას სადესანტო ხომალდების და სამხედრო ტექნიკის. უკანასკნელები იყოფა ძირის(1 – 4 მეტრზე დაყენებული) და ღუზიანი(წყლის ზედაპირიდან 0,3 – 1 მ სიღრმეზე). შესაბამისი საზღვაო ნაღმისგან ნაკლები მასით განსხვავდება. **საობიექტო** საინჟინრო ნაღმი (რამოდენიმე ტონამდე) ნაგებობების(ხიდების, შენობების, დამბების და სხვა) ნგრევისთვის გამოიყენება.

შეიძლება იყოს მართვადი და უმართავი. შპეციალურ საინჟინრო ნაღმებს განეკუთვნებიან დივერსიულები, სასიგნალო და სხვა.

438. **საინჟინრო სადაზვერვო მანქანა** – საინჟინრო დაზვერვის და ნავიგაციის საშუალებებით აღჭურვილი მუხლუხა, ჯავშნიანი, მცურავი მანქანა. გააჩნია სასროლი და საარტილერიო შეიარაღება. შესაძლებლობას იძლევა მონაცემების მიღებას ადგილმდებარეობის გამავალობის და დახრილობის შესახებ; ნაღმურ-ასაფეთქებელი ღობურების არსებობასა და ხასიათზე; ადგილმდებარეობის დასნებოვნებაზე და მისი შემოვლის გზებზე; ნაკადისსიგანეზე, სიღრმეზე, სიჩქარეზე დაწყლის წინაღობებზე ფსკერის სიმკვრივეზე და სხვა.

439. **საინჟინრო შეიარაღება** – იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ბრძოლის (ოპერაციის) საინჟინრო უზრუნველყოფისთვის. მასში შედის საინჟინრო-საბრძოლო მასალები (საინჟინრო ნაღმები, ასაფეთქებელი მუხტები, განაღმვის მუხტები მათი საბრძოლო გამოყენების საშუალებებითურთ, ნაღმგადამღობები, მანაწილებლები და მიმომფანტველები, დისტანციური დანაღმვის სისტემები); საინჟინრო ტექნიკა; საინჟინრო ქონება (სამრეწველო დამზადების შესანიღბი საშუალებები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სასანგრო ინსტრუმენტი, განაღმვის კომპლექტები და სხვ.).

440. **საკაზემატო არტილერია** – იხ. სტაციონალური არტილერია.

441. **საკეტი** – ცეცხლსასროლ იარაღში სახაზინოდამტენ მოწყობილობაში ლულის ჩაკეტვის და გაღებისთვის, გასროლის წარმოებისთვის. ოქმედების პრინციპით იყოფა არაავტომატურ, ნახევრადავტომატურ და ავტომატურად. აგრეთვე განასხვავებენ სასროლი იარაღის(ძირითადად მოსრიალე) და საარტილერიო ქვემეხების – სოლისებრი(მასრებით დატენვისას) ან დგუშიანს (კარტუზული დატენვისას).

442. **საკიდელა** – საარტილერიო ქვემეხის ლაფეტის ნაწილი ლულის განთავსებისთვის და მისი უკუგორების და მიგორების დროს მიმართვისთვის.

443. **საკიდი მოწყობილობა** – მექანიზმები, რომლებიც ძირითადად საინჟინრო უზრუნველყოფისთვის ჩამოკიდებულია(მონტირებულია) საბრძოლო ან სატრანსპორტო მანქანაზე. მოიცავს ბულდოზერულ, საექსკავატორო, საგრეიდერო, საბურღო და სხვა მოწყობილობას. საკიდი მოწყობილობის გამოყენება საშუალებას იძლევა ჯარების სპეციალურ მანქანებზე მოთხოვნების შემცირებას.

444. **საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა** – იხ. ბალისტიკური რაკეტა

445. **საკოშკურო საარტილერიო დანადგარი** – სახომალდო ან სანაპირო არტილერიის ერთი ან რამოდენიმე დანადგარი, დაჯავშნულ კოშკურაზე საერთო საძირკველზე მონტირებული. ქვემეხის გარდა მოიცავს: მართვის ხელსაწყოებს; საბრძოლო მასალების განთავსების(შენახვის) და მიწოდების, ლულის გაგრილების და ვენტილაციის სისტემას; პირადი შემადგენლობის განთავსების ადგილს და სხვა. სახომალდო საკოშკურო საარტილერიო დანადგარის განთავსებისთვის გამოიყენება ხომალდის ზედა გემბანზე დადგმული მბრუნავი კოშკურა(საბრძოლო ნაწილი) და ქვედა გემბანის სათავსო. სანაპირო დაცვის თვითმავალი და სტაციონარული საკოშკურო საარტილერიო დანადგარის კომპონირება საბაზო მანქანების და ფორტიფიკაციური ნაგებობების კონსტრუ-ქციური თავისებურებებისგან არის

დამოკიდებული. პირველი საკოშკურო საარტილერიო დანადგარი გამოყენებულია ამერიკულ მონიტორებში 1861-1862წ.წ.

446. **საკვამლე კოჭი** – იხ. აეროზოლური საშუალებები

447. **სამიზნე** – საიმიტაციო მიზანი, რეალური მიზნების აღმოჩენის და დაზიანების, დაზვერვის და დაზიანების საშუალებების ეფექტურობის შეფასების, აგრეთვე სროლის შედეგების შედარების შესასწავლად. სამიზნედ შეიძლება გამოყენებული იქნას ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის სპეციალურად დამზადებული პირობითი გამოსახულებები და მაკეტები, და ამ ტექნიკის ნამდვილი ნიმუშები. სამიზნეები იყოფა: სასწავლო, გამოსაცდელი და სპორტული, ბრტყელი და მოცულობითი; ერთჯერადი და მრავალჯერადი; უძრავი, მოძრავი და დროის გარკვეულ მონაკვეთში გამოჩენადი; მართვადი და არამართვადი; სახმელეთო(ცეცხლსასროლი იარაღისთვის, საარტილერიო და სარაკეტო იარაღისთვის, ბომბდაშენი შეიარაღებისთვის), საჰაერო(რაკეტა, თვითმფრინავი,ვერტმფრენი, მართვადი ბომბი), საზღვაო(წყალზედა ხომალდი, წყალქვეშა ნავი, მცურავი ფარი).

448. **სამოქალაქო საჰაერო ფლოტი** – იხ. ავიაცია

449. **სამთო არტილერია** – სპეციალური არტილერია, რომელიც გამიზნულია მთებში მოქმედებისთვის. იგი მოიცავს მსუბუქ ქვემეხებს, ჰაუბიცებს, ნაღმსატყორცნებს და გამშვებ დანადგარებს, რომელთა კონსტრუქციაში გათვალისწინებულია სწრაფი დაშლა შემადგენელ ნაწილებად, რაც შესაძლებელს გახდის ძნელად მისადგომ ადგილებში მათი ცხოველებით მიტანას.

450. **სამჭიდე იარაღი** – ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის მრავალდამტენიანობა ხელახალი ხელით დატენვის მჭიდის გამოყენებითაა უზრუნველყოფილი. მასიური წარმოება უნიტარული ლითონის ვაზნის გაჩენით მე – საუკუნის 80 – იან წწ დაიწყო. მჭიდის გამოყენებამ სწრაფსროლა 7 – 8 –დან 10 – 12 გასრ/წთ გაზარდა.

451. **სამხედრო ავიაცია** – განკუთვნილია საჰაერო სივრცეში სამხედრო-საომარი მოქმედებისთვის. დანიშნულების და დაქვემდებარების კვალობაზე მეტ წილ ქვეყნებში მოიცავს საარმიო (სახმელეთო ჯარების) ავიაციას, დაჯგუფების (ტაქტიკურ), შორეულ (სტრატეგიულ), საჰაერო თავდაცვის, საზღვაო, სამხედრო-სატრანსპორტო და სპეციალურ ავიაციას. გადასაწყვეტი ამოცანებიდან და მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე, იყოფა გვარეობების მიხედვით ბომბდამშენ (რაკეტმზიდ), გამანადგურებელ-ბომბდამშენ (ტაქტიკური გამანადგურებლები), გამანადგურებელ, მოიერიშე, სადაზვერვო, ნავსაწინაღო, სამხედრო-სატრანსპორტო და სპეციალურ ავიაციად. შეიარაღებაზე არის საბრძოლო, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები და შვეულმფრენები, სხვა საფრენი აპარატები.

452. **სამხედრო ავტომობილები** – ავტომობილები, რომლებიც იქმნება შეიარაღებული ძალების ტაქტიკურ-ტექნიკური დაკვეთით, მშვიდობიან და ომიანობის დროს მათი საქმიანობის უზრუნველყოფისთვის. სამხედრო ავტომობილების მიმართ ძირითადი მოთხოვნებია: ნებისმიერ გზაზე და უგზოობაზე ამაღლებული გამავლობა,საკმარისი ტვირთამწეობა და საიმედოობა. განასხვავებენ სატრანსპორტო სამხედრო ავტომობილებს (მსუბუქ და სატვირთოს, მათ შორის ავტოსაწევარს, უნაგირასაწევარს) და სპეციალურს. თანამედროვე სამხედრო ავტომობილებს განასხვავებენ: მცირე ტვირთამწეობის(1ტ-მდე); საშუალოს(2-6ტ);

დიდი (6ტ-ზე მეტი). სპეციალური სამხედრო ავტომობილების დანიშნულებაა სპეციალური მოწყობილობების განთავსება – შეიარაღების, საინჟინრო, სარემონტო საშუალებების და სხვა.

453. **სამხედრო ტექნიკის გამოცდები** – სამხედრო ტექნიკის საცდელი ან სერიული ნიმუშების მახასიათებლების მათი ტაქტიკურ-ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის ექსპერიმენტული განსაზღვრა. საცდელი ნიმუშების გამოცდები იყოფა წინასწარ(საქარხნო) და მიმღებ(უწყებათაშორისი და სახელმწიფო) გამოცდებად. უწყებათაშორისი გამოცდები ნიმუშის შემადგენელი ნაწილებისთვის მისაღებს წარმოადგენს და მთლიანობაში ნიმუშის გამოცდას წინამავლობს. სახელმწიფო გამოცდები(საპოლიგონო, საჯარისო) ორგანიზდება დამკვეთის მიერ და სამხედრო ტექნიკის შეიარაღებაზე მიღების შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით ტარდება.წარმოების დროს ტარდება: ნიმუშის მიღება-ჩაბარების გამოცდები – ნიმუშის თითოელი პარტიიდან(მოწმდება ძირითადი მახასიათებლები), პერიოდული – წარმოების განსაზღვრული ვადის შემდეგ(უფრო სრული გამოცდა), ტიპიური – სამხედრო ტექნიკის კონსტრუქციაში ანწარმოების ტექნოლოგიაში ცვლილებების შეტანის შემდეგ.

454. **სამხედრო ტექნიკის მაკეტი** - სამხედრო ტექნიკის გამარტივებული წარმოსახვა. შეიძლება იყოს: ტექნოლოგიური – დასამუშავებელი ნიმუშის ძირითადი კვანძების შეთანაწყობის გასასინჯად; გამოსაცდელი – ცალკეული მოწყობილობების მუშაობისუნარიანობის შესამოწმებლად; სასწავლო – ორიგინალის მოწყობილობის და ექსპლუატაციის შესასწავლად; საიმიტაციო – სამიზნე მდგომარეობის შესაქმნელად და ცრუ ობიექტად გამოყენებისთვის.

455. **სამხედრო ხიდი** – დაბრკოლებებზე (მდინარეებზე, არხებზე, ხევებზე და ა.შ.), ჯარების გადასასვლელი დროებითი საინჟინრო ნაგებობა. სამხედრო ხიდები სხვადასხვაა. დანიშნულების მიხედვით არის: ავტოსაგზაო, სარკინიგზო და ქვეითად მოსიარულეების; კონსტრუქციის მიხედვით, ხისტსაყრდენიანი (წყალმაღალი, წყალდაბალი და წყალქვეშა), მოტივტივე და კიდული; მზაობის ხარისხის მიხედვით – სატაბელო (მექანიზებული და დასაშლელი ლითონის) და ადგილობრივი მასალებისგან დამზადებული.

456. **სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი –** თვითმფრინავი საჰაერო დესანტის გადმოსხმისთვის,ჯარების და სამხედრო ტექნიკის გადაზიდვებისთვის, ავადმყოფების და დაჭრილების ევაკუაციისთვის. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის შეიარაღებაზეა. მოწყობილია სატვირთო ადგილით, ლიუკებით, ამწევ-სატრანსპორტო, მისაბმელი და სანიტარული საშუალებებით.

457. **სანაპირო არტილერია** - . დანიშნულია მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდების და გემების წინააღმდეგ საბრძოლველად დესანტსაწინაღო თავდაცვის სისტემაში, ასევე ზღვისპირა მიმართულებებზე თავისი ხომალდების, სანაპირო ჯარების და სახმელეთო ჯარების მხარდასაჭერად.

458. **სანაღმე ტრალი** – სპეციალური მოწყობილობა ნაღმების აღმოჩენისა და განადგურებისთვის. სანაღმე ტრალები მატარებლებისგან დამოკიდებულებით იყოფიან: სახომალდო, საფრენო(საავიაციო), და სატანკო ტრალებად. ნაღმებზე ზემოქმედების პრინციპით – კონტაქტურ და არაკონტაქტურად. სახომალდო სანაღმე ტრალი შედგება: ბორტს გაღმა ნაწილის – ბუქსირისგან

(კაბელ-ბუქსირისგან), გაღრმავებლისგან, სატრალო ნაწილებისგან, ამშორებლისგან, ტივტივებისგან – საზღვრების მაჩვენებლები და ტივტივების დამჭერები; სახომალდო მოწყობილობებისგან – სატრალო ჯალამბარისგან, ამწე-კოჭებისგან, გარდამქმნელისგანელექტროკვების და მართვის აპარატურისგან, სატელევიზიო აპარატურისგან და სხვა. განასხვავებენ ერთჯერად და წყვილ კონტაქტურ სანაღმე ტრალებს. სავერტმფრენო (საავიაციო) სანაღმე ტრალები ვერტმფრენებით ტრანსპორტირდებიან, იდგმებიან და ბუქსირდებიან. სატანკო სანაღმე ტრალები ტანკზე (სატანკო გამწეზე საკიდ მოწყობილობას წარმოადგენენ და მისი დანიშნულებაა ტანკსაწინაღო სანაღმე ღობურების გადალახვა. იყოფა საგორავ(სატკეპნი მოქმედების), დამრტყმელი, დანისებრი და კომბინირებულად.

459. **სანავიგაციო კომპლექსი** – საბორტო სწანავიგაციო საშუალებების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელთა დანიშნულებაა ნავიგაციის და იარაღის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფისთვის ამოცანის ერთდროული ახსნა. სანავიგაციო პარამეტრების, მათი გაზომვებისთვის შენახვის, დამუშავების, მომხმარებლებისთვის გადაცემის, ასახვის და რეგისტრაციის სიზუსტის და საიმედოობის გაზრდისთვის, სანავიგაციო საშუალებების კომპლექსირება წარმოებს საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეშვეობით. სანავიგაციო კომპლექსი შეიცავს; საინფორმაციო-გაზომვის ხელსაწყოებს, საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას, კორექციის საშუალებებს, მართვის ორგანოებს, ასახვის და დოკუმენტირების მოწყობილობას, მონაცემების ტრანსლაციას და კონტროლის ხელსაწყოებს.

460. **სანავიგაციო მოწყობა** საზღვაო(საოკეანო) საომარი მოქმედებების თეატრის - სპეციალური სანაპირო, მცურავი და წყალქვეშა ნაგებობების, კონსტრუქციების და მოწყობილობების სისტემა, რომელთა დანიშნულებაა ხომალდების ტარების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სანავიგაციო-ჰიდროგრაფიული უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. მისი დანიშნულებაა ზღვაში ხომალდის(გემის) ან საფრენი აპარატის ადგილის განსაზღვრა, სანაპირო და წყალნაკლ რაიონებში სწორი ორიენტირება, ნავიგაციური საფრთხეების, არხების, ფარვატერების შემოღობვა, პოლიგონების, ცალკეული რაიონების და წერტილების აღნიშვნა. სანავიგაციო მოწყობის საშუალებები იყოფა მოქმედებების პრინციპით და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენების კვალობაზე – ხილვად, რადიოტექნიკურ, ბგერასასიგნალო, ჰიდროაკუსტიკურ და ელექტრომაგნიტურ. ისინი შეიძლება იყოს სანაპირო, მცურავი და წყალქვეშა, მომსახურებადი და არამომსახურებადი, საშტატო და შტატსგარე, შორეული, საშუალო და ახლო მოქმედების, სტაციონარული, მანევრირებადი, განათებული და სხვა.

461. **სანავიგაციო საშუალებები** – ხელსაწყოების, მოწყობილობების და სისტემების კრებსითი დასახელება, რომლეიც საზღვაო, საჰაერო(აერო-) და კოსმოსურ ნავიგაციას, იარაღის დამიზნებას და ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს. მოიცავს: სანავიგაციო ხელსაწყოებს, სისტემებს და კომპლექსებს, ნავიგაციურ მოწყობილობას(სახმელეთო, წყალზედა, წყალქვეშა, კოსმოსურ),სანავიგაციო ხელსაწყოებს, სპეციალურ გამოთვლით საშუალებებს. იყოფა

ავტონომიურ(გეოინფორმაციული, რადიოტექნიკური და სხვა) და არაავტონომიურად(რადიოტექნიკური, შუქტექნიკური და სხვა).

462. **სანავიგაციო სისტემა** – 1. სახმელეთო, კოსმოსური (თანამგზავრული) ან წყალქვეშა სადგურების ქსელი ცნობილი კოორდინატებით, რომლებიც ასხივებენ სიგნალებს მათი დანიშნულების შესაბამისად და საბორტო სანავიგაციო აპარატურა ხომალდებზე (გემებზე, მცურავ აპარატებზე) და სხვა მოძრავ ობიექტებზე, რომელიც უზრუნველყოფს გამოსხივებული სიგნალების მიღებას (გადაცემას და მიღებას), დამუშავებას, სანავიგაციო პარამეტრების განსაზღვრას, ხოლო მათი მიხედვით – ხომალდის (გემის, საფრენი აპარატის და სხვა ობიექტების) კოორდინატების და/ან მათი მოძრაობის (ფრენის) პარამეტრების დადგენას. არის კოსმოსური, ჰიდროაკუსტიკური, რადიო და სხვა სანავიგაციო სისტემები; 2. ხომალდზე (გემზე), საფრენ აპარატზე და სხვა ობიექტებზე განლაგებული, ერთი ან რამდენიმე სანავიგაციო ამოცანის გადასაწყვეტად განკუთვნილი ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული სანავიგაციო მოწყობილობების (ხელსაწყოების) ერთობლიობა – ნავიგაციის ასტროინერციალური სისტემა, ასტროსანავიგაციო სისტემა და სხვ.

463. **სანავიგაციო ხელსაწყოები** – ტექნიკური მოწყობილობების საერთო დასახელება, რომელთა დანიშნულებაა ხომალდის(გემის, საფრენი აპარატის, ტანკის) და სხვა მოძრავი ობიექტების მოძრაობის ელემენტების გაზომვა და ადგილსამყოფელის განსაზღვრა, იარაღის გამოყენებისთვის საწყისი მონაცემების მიღება და სხვა სისტემებში და კომპლექსებში ნავიგაციური პარამეტრების გამომუშავება, ასახვა, რეგისტრაცია და გადაცემა. შეიძლება იყოს როგორც ავტონომიური, ასევე არაავტონომიური, აქტიური და პასიური, მექანიკური, ინერციალური, ჰიროსკოპიური, მაგნიტური, ჰიდრავლიკური, რადიოტექნიკური,ჰიდროაკუსტიკური, ოპტიკურ-ელექტრონული. ავტომატიზაციის ხარისხით – ხელის, ნახევრადავტომატური და ავტომატურები. სანავიგაციო ხელსაწყოებს განეკუთვნებიან სხვადასხვა კომპასები, ექოლოტები, ლოტები, ავტოგამყვანები, პელენგატორები, მიმღებინდიკატორები, სეკსსტანტები და სხვა.

464. **საპალნეები** – ძნელადმისაწვდომ ადგილმდებარეობაზე ცხოველების (ცხენების, ჯორ-ცხენების) ზურგზე საარტილერიო, შეფუთული საარტილერიო შეიარაღების გადაზიდვებისთვის. ჩვეულებრივ, ეს სამთო არტილერიის ქვემეხები და გამშვები დანადგარებია, რომელთა კონსტრუქცია მათ არა უმეტეს 120 კგ მასის შემადგენელ ნაწილებად დაშლას აგრეთვე საბრძოლო მასალებს და სათადარიგო ნაწილებს ითვალიწინებს. შეფუთვა ხორციელდება სპეციალურ საპალნე მოწყობილობებში, რომლებიც შემდგომში საპალნე უნაგირზე მაგრდებიან.

465. **საქარე იარაღი** – მოწყობილობების კომპლექტი საცეცხლე(სასტარტო) პოზიციის ზღვრებში ქარის სიჩქარის და მიმართულების განსაზღვრისთვის; სროლის მეტეოროლოგიური მომზადების საშუალება. კომპლექტში შედის: სპეციალური იარაღი დაზგაზე, სონდირების ვაზნების ანაწყობით(გასროლა წარმოებს ვერტიკალურად ზევით, საქარე ვაზნებს დღისით ან ღამით თვალთვალისთვის წითელი ლენტი ან მანათობელი პიროტექნიკური საშუალება გააჩნიათ), ლიმბი თარაზოთით ქარის მიმართულების განსაზღვრისთვის, საზომი ლენტი და წამზომი ტყვიების ვარდნის წერტილის და დროის განსაზღვრისთვის.

466. **სარაკეტო სათბობის ნეიტრალიზაცია** – თხევადი სათბობის აგრესიული და ტოქსიკური კომპონენტების გაუვნებელყოფა. ხორციელდება: ორთქლის ფაზაში - თერმიული დაშლით და სორბენტამების შთანთქმით. თხევად ფაზაში – ქიმიურ რეაგენტებთან ურთიერთქმედებით, გამხსნელების მოქმედებით შემდგომი წვით, მყარი სორბენტამების შთანთქმით, შემდგომში რეგენერაციით.
467. **სარცხი** – ჯაგრისი გრძელ ტარზე საარტილერიო ქვემეხის ლულის ხელით გაწმენდის(რეცხვის) და შეზეთვისთვის. საარტილერიო ქვემეხის ლულის მექანიზირებული გაწმენდისთვის(რეცხვის) აგრეთვე გამოიყენება ჰიდროსარცხი.
468. **საშაშხანე ყუმბარა** – საბრძოლო მასალა საშაშხანე ყუმბარსატყორცნიდან სროლისათვის. საშაშხანე ყუმბარა შეიძლება იყოს აქტიური და აქტიურ-რეაქტიული, კუმულაციური, მსხვრევადი და მსხვრევად-კუმულაციური. კალიბრი-40-75 მმ, მასა 200-800 გ, სროლის მანძილი 500 მ-მდე, ჯავშანგაღწევა 300 მმ-მდე.
469. **სათადარიგო ნაწილები, იარაღი და საკუთნო** – განკუთვნილია სამხედრო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების და რემონტის უზრუნველყოფისთვის. განასხვავებენ კომპლექტებს: **ერთეულს**(ინდივიდუალურს) – ტექნიკის თითოეულ ერთეულზე მისი ექსპლუატაციის უზრუნველყოფისთვის; **ჯგუფურს** – ერთგვაროვანი(ერთი ტიპის) ნაკეთობებისთვის მათი ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის, აგრეთვე ინდივიდუალების შევსებისთვის: **სარემონტოს** – ერთგვაროვანი ნაკეთობების ჯგუფებისთვის საშუალო და კაპიტალი რემონტის უზრუნველყოფისთვის.
470. **სათაო ნაწილი**, რაკეტის – რაკეტის წინა ნაწილი, მარგი ტვირთის (საბრძოლო ნაწილის, საბრძოლო ბლოკების) განსათვსებლად. შეიძლება იყოს მონობლოკური(ერთმუხტიანი) და გამოყოფადი(მრავალმუხტიანი). მონობლოკური შესაძლოა იყოს გამოუყოფადი(ტაქტიკურ რაკეტებში) და გამოყოფადები, როგორც წესი ტრაექტორიის პასიური მონაკვეთის დასაწყისში. რაკეტის გამოყოფადი სათაო ნაწილი შედგება რამოდენიმე მართვადი და უმართავი საბრძოლო ბლოკებისგან, რომლებიც რაკეტისგან ტრაექტორიი პასიური მონაკვეთის დასაწყისში გამოიყოფიან, და შესაძლებელია იყოს გაფანტვის ტიპის(მსხვილი ზომების მიზნებისთვის) და ინდივიდუალური დამიზნების ბლოკებით. შტრატეგიული რაკეტების სათაო ნაწილი შეიძლება რაკეტსაწინაღო თავდაცვის საშუალებებით აღიჭურვოს.
471. **სატყორცნი იარაღი** – იარაღის სახეობა, რომელშიც დაზიანების საშუალების ტყორცნისთვის ადამიანის კუნთის ძალა გამოიყენება, რომელიც მათზე უშულოდ ან წინასწარ დახვეული, გაწელილი ან მოგრეხილი დრეკადი ელემენტების მეშვეობით ზემოქმედებს.განასხვავებენ ხელის სატყორცნ იარაღს (სატყორცნ შუბს, მშვილდს და სხვა) და სატყორცნ მანქანებს(ბალლისტა, კატაპულტა და სხვა).
472. **სახაზინო** – საარტილერიო ქვემეხის ლულის უკანა ნაწილი საკეტის განთავსებისთვის. სახელწოდება წარმოიქმნა სახაზინო დაღისგან, რომელსაც საარტილერიო ქვემეხის ამ ნაწილზე აღნიშნავდნენ. წარმოადგენს ცალკე დეტალს შეერთებულს ლულასთან ქუროს ან საკუთარი კუთხვილის მეშვეობით. მცირეკალიბრიან ქვემეხებზე შეიძლება ერთიანად ლულასთან დამზადდეს.
473. **სახაზო ხომალდი,** ლინკორი – 1) იალქნიან ფლოტში ყველზე მსხვილი სამანძიანი ხომალდი პირდაპირი აფრიანი შეიარაღებით. ორთქლის ძრავების, მძლავრი არტილერიის და დაჯავნის გამოყენებამ მე – 19 საუკუნის 60 – იან წლებში

იალქნიანი სახაზო ხომალდების ჯავშნიანი ხომალდებით შეცვლა გამოიწვია. 2) მე – 20 საუკუნის 1 – ლი ნახევრის ძალუმი არტილერიით და ჯავშნიანი დაცვით მსხვილი საბრძოლო ხომალდი, რომლის დანიშნულება იყო საზღვაო ბრძოლაში ყველა კლასის წყალზედა ხომალდების განადგურება და სანაპირო ობიექტებზე საარტილერიო დარტყმების მიყენება. საესკადრო ჯავშნოსანისგან გაძლიერებული კუთხვილიანი საარტილერიო შეიარაღებით და დაჯავშნით, მეტი სიჩქარით და ცხოველქმედებით გამოირჩეოდა.

474. **სახელობითი იარაღი** – მრავალ ქვეყანაში დაჯილდოების ან საპრიზო იარაღი წარწერებით, რომელიც უჩვენებს, ვის და რა დამსახურებისთვის გადაეცა. სახელობითი იარაღი შესაძლოა იყოს ხმალი, საზღვაო ხანჯალი, პისტოლეტი ან სანადირო თოფი. დაჯილდოების უფლება კანონმდებლობით განისაზღვრება.

475. **სახმელეთო არტილერია** - არტილერიის სახეობა, რომელიც სახმელეთო ჯარების შეიარაღებაზეა. მისი დანიშნულებაა სახმელეთო მიზნების დაზიანება. მოიცავს საერთო დანიშნულების არტილერიას და ტანკსაწინააღმო არტილერიას.

476. **სახმელეთო მოწყობილობა** სარაკეტო კომპლექსების – სარაკეტო კომპლექსების შემადგენელი ნაწილი, განთავსებული მიწაზე(გრუნტზე), რომელიც რაკეტის მზადყოფნას და საბრძოლო გამოყენებას უზრუნველყოფს. სახმელეთო სარაკეტო და სახმელეთო საზენიტო რაკეტების კომლექსების სახმელეთო მოწყობილობა განკუთვნილია ტრანსპორტირებისთვის, შენახვისთვის, გადაზიდვისთვის, ტექნიკური მომზადებისთვის, გასაშვებად დადგმისთვის, დამიზნებისთვის, რაკეტის გაშვებისთვის მომზადებასა და გაშვებისთვის. გარდა ამისა, ტელემართვით სახმელეთო მოწყობილობა რაკეტის ფრენაში დამიზნებას, ხოლო საზენიტო კომპლექსები მიზნების აღმოჩენას და თანხლებას უზრუნველყოფენ. ძირითადი ობიექტები, რომლებზეც ამ კომპლექსების სახმელეთო მოწყობილობა განთავსდება – გამშვები დანადგარი, სატარტო და ტექნიკური პოზიციებია. საავიაციო და სახომალდო კომპლექსების სახმელეთო მოწყობილობა უზრუნველყოფენ რაკეტების აუცილებელი მარაგის შენახვას და ტექნიკურ მომსახურებას და საფრენი აპარატების და ხომალდების ამ რაკეტებით აღჭურვას. განლაგებულია აეროდრომების და ბაზების სპეციალურ ნაგებობებში, ტექნიკურ პოზიციებზე და ტექნიკურ ქვედანაყოფებში.

477. **სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი** – სახმელეთო ბაზირებისსარაკეტო კომპლექსი სახმელეთო(საზღვაო მიზნების დაზიანებისთვის. მოიცავს რაკეტებს და სახმელეთო მოწყობილობას. განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებს. სტრატეგიულ სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებს გააჩნიათ საშუალო სიშორის (1000 – 5500 კმ) მართვადი ბალისტიკური რაკეტები და საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები(5500 კმ – ზე მეტი), რომლების ბირთვული მუხტი რამოდენიმე მეგატანს აღწევს. ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებს როგორც წესი გააჩნიათ ბირთვული ან ჩვეულებრივი აღჭურვის საბრძოლო ნაწილების მართვადი რაკეტები ფრენის სიშორით შესაბამისად 150 – 1000 კმ და 150 კმ – მდე. ველაზე მეტად გავრცელებულია: აშშ - „იუპიტერი” (1958, 3000კმ), „ატლასი”(1959, 10000 კმ), „მინიტმენ – 3”(1970. 10000 კმ), MX „პისკიპერი”1986. 10000

კმ). რუსული P – 12 (1959. 2000 კმ), P – 16 (1963. 12500 კმ),), PC – 12M („ტოპოლი”1988. 10500 კმ), ფრანგული – S-3 (1980. 3700 კმ), ჩინური - „დუნფუნ – 5”(1981. 12000 კმ).

478. **სახომალდო არტილერია** – განკუთვნილია საზღვაო, სანაპირო და საჰაერო მიზნების დასაზიანებლად. იყოფა მსხვილი (მთავარი, 130 მმ-ზე მეტი), საშუალო (80-130 მმ) და მცირე კალიბრის (20-57 მმ) არტილერიად; შეიძლება იყოს კოშკურა და საგემბანო (ღია და დაფარული). 50-იან წლებში ხომალდების შეიარაღებაზე სარაკეტო იარაღის მიღების შემდეგ მსხვილი კალიბრის არტილერიის როლი მცირდება, ძირითადი ყურადღება ეთმობა უნივერსალურ არტილერიას.

479. **სახომალდო ავიაცია** – ბაზირებულია ხომალდებზე (გემებზე) და გამოიყენება ამ ხომალდებიდან (გემებიდან). სახომალდო ავიაციის ძირითად ნაწილს შეადგენს საგემბანო ავიაცია. მასში აგრეთვე შედის სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები და შვეულმფრენები, რომლებიც შექმნილი ან გამოყენებულია ისეთი ხომალდებიდან აფრენისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ასაფრენი გემბანები. შესაძლებელია ვერტიკალური ან მოკლე აფრენ-დაფრენის თვითმფრინავების გამოყენება.

480. **სახომალდო ბომბსატყორცნი** – დანადგარი წყალზედა ხომალდებზე წყალქვეშა მიზნების სიღრმისეული ბომბებით დაზიანებისთვის. შეიძლება იყოს გაზოდინამიური და რეაქტიული. აირდინამიური სახომალდო ბომბსატყორცნი (ერთი ან რამოდენიმე ლულით) მოქმედების პრინციპით საარტილერიო ქვემეხის ანალოგიურია, რეაქტიული – ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის. ერთლულიანი აირდინამიური სახომალდო ბომბსატყორცნი ხომალდის კიჩოზეა განლაგებული და მის ტრავერსე 50 – 150 მ მანძილზე ისვრიან, მრავალლულიანები წინა ნაწილში და ზალპებით 200 – 1000 მ ისვრიან. რეაქტიული მრავალლულიანი ბომბსატყორცნი დანადგარები(6 – 16) მიმმრათველი მე – 2 მსოფლიო ომის შემდგომ განვითარდა.

481. **სახომალდო საფრენი აპარატები** – თვითმფრინავები(ვერტმფრენები), რომლებიც ავიამატარებელ ხომალდზე ბაზირებენ. მათი დანიშნულებაა სხვადასხვა საბრძოლო და უზრუნველმყოფი ამოცანების შესრულება: საჰაერო, წყალზედა, სახმელეთო მიზნების დაზიანება და წყალქვეშა ნავების განადგურება; დესანტების გადასხმა და მხარდაჭერა; დაზვერვა და მიზანჩვენება; რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოება; ხომალდსა და ნაპირს შორის ტექნიკის და ტვირთების გადაზიდვა; უბედურების განმცდელთა გადარჩენა და სხვა. სახომალდო საფრენი აპარატების კონსტრუქციის თავისებურებები შეპირობებულია ხომალდის, ავიაციის, რადიოელექტრონული და რადიოტექნიკური საშუალებების, გემბაზე შეზღუდული აფრენის და დაფრენის, ხომალდზე მოცემული რაოდენობის საფრენი აპარატების განთავსების თავსებადობით. აფრენის ტიპით სახომალდო თვითმფრინავები იყოფა კატაპულტის, მოკლე(ტრამპლინის) და ვერტიკალური აფრენის თვითმფრინავებად. თვითმფრინავის ტიპიდან გამომდინარე დაფრენა შეიძლება იყოს ვერტიკალური, აეროფინიშორის გამოყენებით მოკლე გარბენით. შესასრულებელი ამოცანების და შეიარაღებით წარმოადგენენ გამანადგურებლებს, ბომბდამშენებს, ნავსაწინაღო, რადიოლოკაციური დაცვის, რადიოელექტრონული ბრძოლის და სხვა. (ფ-18ა „ჰორნეტი”, ფ-14ა „ტომკეტი” ავ-8ვ „ჰარიერ 2” – აშშ, სუ-27კ, მიგ-29კ, „სუპერ ეტანდარი” – საფრანგეთი). სხვადასხვა დანიშნულების სახომალდო ვერტმფრენები

– ნავსაწინაღო, საძიებო-სამაშველო, დაზვერვის და მიზანჩვენების და სხვა(სჰ-60ვ „სი ჰოკი” – აშშ, ჰას 2 „სი კინგი – დიდი ბრიტანეთი, კა-27, კ-29 – რუსეთი).

482. **სახომალდო სარაკეტო კომპლექსი** – სახომალდო შეიარაღების სახეობა, რაკეტებით საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო მიზნების დაზიანებისთვის. შემადგენლობა: რაკეტები; შახტური(ქემბანქვეშა) გამშვები დანადგარები კონტეინური(გემბანქვეშა ან გემბანზედა) განლაგების მიწოდების და დატენვის საშუალებებით; მართვის ავტომატური სისტემა დაკავშირებული საბრძოლო-საინფორმაციო-მაღტვის სისტემასთან, დაზვერვის, მიზანჩვენების საშუალებებთან და სხვა; შენახვის, მომსახურების, რაკეტის წინასასტარტო მომზადების და გაშვების სისტემები. იყოფა სახომალდო სარაკეტო კომპლექსებად სახმელეთო მიზნების საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებით(შეიარაღებულია წყალქვეშა ნავები) ან სტრატეგიული და ოპერატიული(ოპერატიულ-ტაქტიკური) ფრთოსანი რაკეტებით 3000 კმ – მდე (წყალზედა ხომალდები და წყალქვეშა ნავები) მანძილზე დაზიანებისთვის; ხომალდსაწინაღო სახომალდო სარაკეტო კომპლექსი წყალზედა ხომალდების ფრთოსანი რაკეტებით 150 კმ მანძილზე დაზიანებისთვის; ნავსაწინაღო სახომალდო სარაკეტო კომპლექსი წყალქვეშა მიზნების ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტებით(რაკეტა-ტორპედოებით) 100 კმ - მდე მანძილზე დაზიანებისთვის; ჰაერსაწინაღო((საზენიტო) სახომალდო სარაკეტო კომპლექსი საჰაერო მიზნების 100 კმ – მდე მანძილზე დაზიანებისთვის. ფართო გავრცელება მე – 20 საუკუნის 50 – იანი წლებიდან დაიწყო.

483. **სახომალდო საძიებო-დამრტყმელი ჯგუფი** – წყალზედა ხომალდების დროებითი ტაქტიკური ფორმირება, რომლის დანიშნულებაა ზღვის(იკეანის) მოცემულ რაიონში მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ძიება და განადგურება. შემადგენლობა: სპაციალური აგების ნავსაწინაღო ხომალდები, ესმინცები, ფრეგატები, საგუშაგო ხომალდები. სახომალდო საძიებო-დამრტყმელი ჯგუფში ავიამზიდის არსებობისას მას საავიამზიდო საძიებო-დამრტყმელი ჯგუფი ეწოდება. ძიებას დამოუკიდებლად ან სანაპირო ან სახომალდო ბაზირების ნავსაწინაღო თვითმფრინავებთან (ვერტმფრენებთან) და ნავსაწინაღო წყალქვეშა ნავებთან ურთიერთქმედებით აწარმოებს. იქმნებოდა მე – 2 მსოფლიო ომის დროს.

484. **სახომალდო შეიარაღება** – ხომალდებზე დადგმული შეიარაღების სახეობები. **საავიაციო სახომალდო შეიარაღება** – სახომალდო თვითმფრინავები (სგემბანო, ვერტიკალური და მოკლე აფრენა-დაფრენის) და ვერტმფრენები. მათი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ხომალდების ძიება და განადგურება, ჯარების ნაპირზე დესანტირების, ხომალდების საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის, ნაღმური ღობურების შექმნის მხარდაჭერა. **საარტილერიო სახომალდო შეიარაღება** – წყალზედა ხომალდებზე დადგმული საზღვაო არტილერიის სახეობა მსხვილი(მთავარი)(130 მმ – ზე მსხვილი), საშუალო(60 – 130 მმ) და მცირე(20 – 57 მმ) კალიბრების. ველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა უნივერსალურმა და საზენიტო არტილერიამ. **სარაკეტო სახომალდო შეიარაღება** – სხვადასხვა დანიშნულების სახომალდო სარაკეტო კომპლექსები: სახმელეთო, ხომალდსაწინაღო, ნავსაწინაღო, საჰაერო თავდაცვის მიზნების დაზიანებისთვის. ყველა კომპლექსი შესაძლოა გაერთიანდეს ერთიან მრავალფუნქციურ სისტემად ერთდროულად რამოდენიმე საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. **ნავსაწინაღო სახომალდო შეიარაღება** –

ნავსაწინაღო სარაკეტო კომპლექსები, ნავსაწინაღო ტორპედოებით სატორპედო შეიარაღება, სახომალდო ბომბსატყორცნები, ნავსაწინაღო სანაღმე შეიარაღება, სახომალდო ბაზირების ნავსაწინაღო საფრენი აპარატები. ამ შეიარაღების ძირითადი მატარებელია – ნავსაწინაღო ხომალდი. **სანაღმე სახომალდო შეიარაღება –** საზღვაო ნაღმები და მათი შენახვის და ექსპლუატაციის უზრუნველმყოფი ტექნიკური საშუალებები. გადამღობების იარაღის ძირითადი საშუალება. **სატორპედო სახომალდო შეიარაღება -** ტორპედოები და მათი შენახვის და საბრძოლო გამოყენების უზრუნველმყოფი ტექნიკური საშუალებები. სახომალდო შეიარაღებასა და საერთოსახომალდო საშუალებებს(დაზვერვის, კავშირი საშუალებები და სხვა) შორის დამაკავშირებელი რგოლია საბრძოლო საინფორმაციო-მართვის სისტემა.

485. **საყვინთი საქმე** – ადამიანის წყალქვეშ ჩაშვებასთან და საყვინთი ტექნიკის გამოყენებით სხვადასხვა სამუშაობებთან დაკავშირებული ცოდნის სფერო და პრაქტიკული მოქმედებების დარგი. საყვინთ საქმეს განეკუთვნება: წყალში ჩამშვების უსაფრთხოების, ფიზიოლოგიის, ჰიგიენის, და საყვინთი სამუშაობების სამედიცინო უზრუნველყოფის ორგანიზაცია და უზრუნველყოფა; მათი შესრულების ტექნოლოგია, მეთოდები და შუალებები; საყვინთი ტექნიკის ახალი ტიპების შექმნა. საყვინთი საქმე – მყვინთავების და საბრძოლო მცურავების მომზადების საფუძველია.

486. **საყვინთი ტექნიკა** – საყვინთი აღჭურვილობის, მოწყობილობის და სხვა ტექნიკური საშუალებების განზოგადებული სახელწოდება, რომლის დანიშნულებაა საყვინთი ჩაშვების, წყალქვეშ მყვინთავის მუშაობის, ზედაპირზე მისი ამოყვანის და ჭარბი წნევის პირობებში ყოფნის უზრუნველყოფა. მოიცავს სუნთქვის უზრუნველყოფის საშუალებებს, სპეცტანსამელს და ჰიდროკომბინეზონებს, მყვითავის ცურვადობის რეგულირებას, კავშირის, ორიენტირების, განათების საშუალებებს, მყვითავის იარაღს, სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებს(საყვინთი ბაროკამერები, ზარფუხები, წყალში ჩამშვები-ამწევი მოწყობილობები, გვარლები, სასუნთქი აირის ნარევის მიწოდების სისტემა) და სხვა. მოცემულ სიღრმეზე საყვინთი სამუშაობების ჩასატარებლად კონსტრუქციულად გაერთიანებული საყვინთი ტექნიკის ერთობლიობა საყვინთ კომპლექსს შეადგენს.

487. **საყვინთი ზარფუხი** – მყვინთავის წყლის სიღრმეში სამუშაო ადგილზე მიყვანისთვის, მომატებული წნევის დროს წყალქვეშ მათი მუშაობის და ზედაპირზე ამოყვანის უზრუნველყოფისთვის სპეციალური ტექნიკური საშუალება. წარმოადგენს მკვრივ, ჭრუე ცილინდრს ქვედა მხრიდან გერმეტულად დასახური ლიუკით, რომელიც მყვინთავების და ავარიული წყალქვეშა ნავის წყალქვეშ მცურავების განთავსებისთვის და მათი ცხოველქმედების უზრუნველყოფის მოწყობილობებისგან შედგება. საყვინთი ზარფუხის ჩაშვება და ამოყვანა გემი-მატარებლის ჩაშვება-ამწევი მოწყობილობით ხორციელდება. გააჩნია მოწყობილობა ბაროკამერასთან ან წყალქვეშა ნავის შესასვლელ ლიუკთან შესაყარისად. აღიჭურვება სასუნთქი ნარევის ავარიული მარაგით, ჰაერის რეგენერაციის, კავშირის, განათების და სხვა სასუალებებით. მისი დიამეტრი დაახლოებით 1,5 მ, სიმაღლე 3 მ-მდე, შიდა მოცულობა 4,5 $მ^3$, მასა დაახლოებით 3 ტ; საშუალებას იძლევა განთავსდეს 7-10 კაცამდე.

488. **საზენიტო საარტილერიო კომპლექსი** – ძირითადად საჰაერო მიზნების დაზიანებისთვის ფუნქციურად დაკავშირებული საზენიტო ზარბაზნების და საზენიტო-საარტილერიო ხელსაწყოების ერთობლიობა. განასხვავებენ სახმელეთო(ბუქსირებადი და თვითმავალი) და სახომალდო საზენიტო საარტილერიო კომპლექსს.

489. **საზენიტო სარაკეტო კომპლექსი** – სარაკეტო კომპლექსი საჰაერო მიზნების დაზიანებისთვის. მოიცავს საზენიტო მართვად რაკეტებს(ჩვეულებრივ მკვრივსათბობიანი ფრთოსანი 8 კგ – დან 15 ტ – მდე მასით და 270 – 1700 მ/წმ და მეტი ფრენის სიქარით), გამშვებ დანადგარს, მიზნების აღმოჩენის, ამოცნობის და თანხლების სადგურს საზენიტო მართვადი რაკეტის დამიზნების აპარატურას. ერთიანი სამეთაურო პუქტით რამოდენიმე საზენიტო სარაკეტო კომპლექსი საზენიტო სარაკეტო კომპლექსს შეადგენენ. საზენიტო სარაკეტო კომპლექსი შეიძლება იყოს სახმელეთო(საჯარისო და საობიექტო) და სახომალდო, სტაციონარული და მოძრავი. სროლის(სიმაღლეზე დაზიანება) მაქსიმალური მანძილით იყოფა შორეული მოქმედების საზენიტო სარაკეტო კომპლექსად – 200 კმ –ზე მეტი(30 კმ –ზე მეტი), საშუალო სიშორის – 50 – 200 კმ(20 – 30 კმ), მცირე სიშორის – 10 – 50 კმ(6 – 20 კმ), და ახლო მოქმედების 10 კმ – მდე(6კმ – მდე), მიზნების დაზიანების ტიპებად – თვითმფრინავსაწინაღო და რაკეტსაწინაღო კომპლექსებად.

490. **საზენიტო სატყვიამფრქვევო დანადგარი** – ერთი ან რამოდენიმე ტყვიამფრქვევი მონტირებული ერთიან დაზგაზე და ძირითადად საჰაერო მიზნებზე სროლისთვის მქონე საერთო ამძრავით დამიზნებისთვის და სამიზნე მოწყობილობებით.ყველაზე მეტად გავრცელება ჰპოვა მსხვილკალიბრიანმა შეწყვილებულმა დანადგარმა და გაოთხმაგებულმა დანადგარმა. შესაძლოა იყოს თვითმავალი და ბუქსირებადი, სახმელეთო, საავიაციო და საგემბანო.

491. **საზენიტო თვითმავალი დანადგარი** – ერთი ან რამოდენიმე საზენიტი ზარბაზანი საერთო თვითმავალ ბაზაზე. ჩვეულებრივ, ავტონომიურ საზენიტო საარტილერიო კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც აღჭურვილია რადიოლოკაციური სადგურით, გამოთვლითი მოწყობილობებით და დამიზნების მაღალი სიჩქარის ამძრავით, რომელიც საშუალებას იძლევა საჰაერო მიზნების 20 – კმ – მდე აღმოჩენას, ავტომატურ დამიზნებას და 4 კმ – მდე სიმაღლეზე ნებისმიერი ხილვადობის პირობებში(როგორც ადგილიდან, ასევე სვლით) მათ დაზიანებას. თანამედროვე საზენიტო თვითმავალი დანადგარი 20 - 40 მმ კალიბრის 1 – 6 საარტილერიო ავტომატს ლულაზე 650 გასროლა/წუთში სროლის ტემპით მოიცავს..

492. **საზენიტო-საარტილერიო ხელსაწყოები** – საზენიტო არტილერიის სროლის და ცეცხლის მართვის უზრუნველყოფის საშუალება. ახორციელებენ მიზნის ძიებას, აღმოჩენას, ამოცნობას და თანხლებას, მისი კოორდინატების გაზომვას, მიზანზე ჭურვის შეხვედრის ამოცანის ამოხსნას და სროლისთვის საწყისი მონაცემების განსაზღვრას(აზიმუტი, ამაღლების კუთხე, ამფეთქი). საზენიტო-საარტილერიო ხელსაწყოებს განეკუთვნებიან აღმოჩენის, თანხლების და საქვემეხო დამიზნების რადიოლოკაციური სადგურები, ვიზირები, საარტილერიო-საზენიტო ცეცხლის მართვის ხელსაწყოები ან გამოთვლითი ხელსაწყოები, მანძილმზომები და სხვა.

493. **საზღვაო ავიაცია** – სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაცია, მრავალი სახელმწიფოს და სამხედრო-საზღვაო ძალების გვარეობა, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის საზღვაო ძალების და მისი საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების განადგურების, ზღვაში ხომალდების დაჯგუფებათა დაფარვის, საომარი მოქმედების საზღვაო და საოკეანო თეატრში დაზვერვის და სხვა ამოცანების შესრულებისთვის. ამოცანებს ასრულებს დამოუკიდებლად და საზღვაო ძალების სხვა გვარეობებთან, აგრეთვე შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების შენაერთებან (ნაწილებთან) ურთიერთქმედებით. საზღვაო ავიაციის საფუძველია სხვადასხვა დანიშნულების თვითმფრინავები და შვეულმფრენები.
494. **საზღვაო ნაღმი** – საზღვაო იარაღის(საბრძოლო მასალის) სახეობა, რომელსაც წყალში ათავსებენ მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების, წყალზედა ხომალდების, კატარღების, ხომალდების, აგრეთვე განსაზღვრულ რაიონებში (ზონებში) საზღვაო და საოკეანო საომარი მოქმედებების თეატრებში, შიდა ტბების და მდინარეების სისტემებში ნაღმური საფრთხის შექმნით მათი მოქმედებების შებოჭვისთვის.შედგება გერმეტიული წყალგაუმტარი კორპუსისგან, ასაფეთქებელი ნივთიერების მუხტისგან, ამფეთქისგან, დამცავი და დამატებითი ხელსაწყოებისგან, კვების წყაროსგან, აგრეთვე ხელსაყოსგან რომელიც ნაღმის წყლის ზედაპირიდან მოცემულ სიღრმეზე ან გრუნტზე დადგმას უზრუნველყოფს. საზღვაო ნაღმები იყოფება: მატარებლის ტიპით – სახომალდო, ნავის, საავიაციო და უნიტარულ. ასაფეთქებელი ნივთიერების მუხტის წონით – დიდი, საშუალო და მცირე(მცირეგაბარიტიანი). შენახვის ადგილით და სიღრმისეული დადგმით – ღუზის, ფსკერის და მცურავი. ამფეთქებლის მოქმედების პრინციპით – კონტაქტური და არაკონტაქტური; დადგმის შემდგომ მართვით – მართვადი და არამართვადი; მოძრაობის ხარისხით – სტაციონარული და თვითმოძრავი; მოცემულ სიღრმეზე დადგმის ხერხით – ზედაპირიდან დადგმული, გრუნტზე და შუალედურ სიღრმეზე დადგმული; კონტაქტური საზღვაო ნაღმები შეიძლება იყოს ანტენური, გალვანოდამრტყმელი, ხოლო არაკონტაქტური – აკუსტიკური, გიდროდინამიური, ინდუქციური, მაგნიტური, კომბინირებული და სხვა; საზღვაო ნაღმები შეიძლება ბირთვული მუხტით აღიჭურვოს. 70 – 80 წწ მნიშვნელოვნად განვითარდა თვითდამიზნებადი, რეაქტიულ-ამოტივტივებადი, თვითტრანსპორტირებადი(ნაღმ-რაკეტები, ნაღმ-ტორპედოები) ნაღმები.
495. **სიმაღლის აღჭურვილობა** – მფრინავების ინდივიდუალური გამოყენების საგნების კომპლექტი მისი დანიშნულებაა მაღალ სიმაღლეებზე ფრენების და კატაპულტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა. სიმაღლის აღჭურვილობას განეკუთვნებიან: სიმაღლის კომპენსირების კოსტუმი, სიმაღლის გერმოჩაფხუტი, სკაფანდრი, ჟანგბადის ნიღაბი. გამოიყენება საფრენი აპარატის საფრენი კოსტუმის, ჟანგბადის და სპეციალური სისტემების შეხამებით.
496. **სიმაღლის მზომი** – საფრენი აპარატის ფრენის სიმაღლის გამზომი ხელსაწყო. განასხვავებენ ბარომეტრულ სიმაღლის მზომს და რადიოსიმაღლის მზომებს. ბარომეტრულ სიმაღლის მზომი სიმაღლეს მასზე დამოკიდებული ატმოსფერული წნევის მეშვეობით იზომება. შესაძლოა სხვა ტიპის სიმაღლის მზომის(მაიონიზებელი, რადიაციული და ლაზერული) შექმნა.

497. **სიღრმისეული ბომბი** – საბრძოლო მასალა, რომლის დანიშნულებაა წყალქვეშა (მიწისქვეშა) მიზნების დაზიანება. იყოფა: სახომალდე და საავიაციო. შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი ან ბირთვული აღჭურვა, კონტაქტური, უკონტაქტო ან დინსტანციური ამფეთქი.
498. **სიღრმისმზომი** – ხელსაწყო, წყალქვეშა ნავის, მყვინთავის წყალქვეშა აპარატის(მოწყობილობის) ჩასვლის სიღრმის გასაზომად. მოქმედებს მანომეტრის პრინციპით – შესაბამის სიღრმეზე წყლის სვეტის წნევის გაზომვით.
499. **სპეციალური დანიშნულების ხომალდი** – ხომალდი, რომლის დანიშნულებაა სპეციალური ამოცანების შესრულება, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე ომის დროს. სპეციალური დანიშნულების ხომალდებს განეკუთვნებიან: სადაზვერვო; ფლოტის ძალების მართვის; ვითარების ამსახველი(საჰაერო, წყალზედა, წყალქვეშა); სასწავლო; მცურავი ლოგისტიკის და სპეციალური უზრუნველყოფის ხომალდები – წყალქვეშა ნავების და წყალზედა ხომალდების(ხომალდების შენაერთების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის იარაღით, საწვავით, წყლით, სურსათ-სანოვაგით, ელექტროენერგიით, ეკიპაჟების დასვენებისთვის და სხვა); მცურავი ტექნიკური ბაზები, მათ შორის სახომალდო ატომური რეაქტორების გადატენვისთვის; გასაზომი კომპლექსების ხომალდები; სპეციალური – ფლოტის ძალების საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფისთვის და სხვა. სპეციალური დანიშნულების ხომალდებს ზღვაში მოქმედებისას რამოდენიმე ამოცანის შესრულება ძალუძთ. მათი წყალწყვა, ზომები, შეიარაღება და აღჭურვილობა კონკრეტული დანიშნულების და დასმული ამოცანებისგან შედგება.
500. **ტალღაგამტარი** – ტალღების გამავრცელებელი არხი. ჩვეულებრივ გამოიყენება სიგნალების ან ენერგიის მიმართული გადაცემისთვის გამოიყენება. შესაძლოა იყოს აკუსტიკური ტალღაგამტარი(სალაპარაკო მილი ხომალდზე), რადიოტალღაგამტარი(ფოლადის მილი) და შუქგამტარი.
501. **ტანკების გამანადგურებლები** – 1) მე – 2 მსოფლიო ომში სსრკ ჯარებში შტატგარეშე პირადი შემადგენლობის გუნდები მოწინააღმდეგის ტანკებთან ბრძოლისთვის. ურთიერთქმედებდნენ ტანკსაწინაღო არტილერიასთან, ქვეითთა და საინჟინრო-მესანგრეთა ქვედანაყოფებთან. 2) თვითმავალი საარტილერიო ქვემეხები ტანკების და სხვა ჯავშნიანი მიზნების დასაზიანებლად.
502. **ტექნიკური დახმარების მანქანა** – მაღალი გამავლობის სპეციალური თვლიანი მანქანა მძღოლებისთვის დახმარების აღმოჩენისთვის მანქანის გაუმართაობის, საწვავით და საპოხი მასალებით კმაგაწყობის, დაზიანებული მანქანების ევაკუაციისთვის და სხვა. აღიჭურვება ჯალამბარით, ტვირთამწე და საბუქსირო მოწყობილობებით, იარაღის და სათადარიგო ნაწილების კომპლექტით და სხვა.
503. **ტექნიკური მომსახურების მანქანა** – მაღალი გამავლობის სპეციალური თვლიანი მანქანა სამხედრო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების და გაუმართობის აღმოსაფხვრელი სამუშაობების ჩასატარებლად. სპეციალური მოწყობილობებით და იარაღით აღიჭურვება.
504. **ტანკსაწინაღო არტილერია** – სახმელეთო არტილერიის სახეობა, სპეციალურად განკუთვნილი ტანკების და სხვ. ჯავშნიანი მიზნების დაზიანებისათვის; უზრუნველყოფს საბრძოლო მოქმედებების ყველა სახეობის ტანსაწინაღო თავდაცვას, გამოიყენება აგრეთვე დაცვის ნაგებობების დასანგრევად, ცოცხალი

ძალის და მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებებეის დაზიანებისათვის. აერთიანებს ტანკსაწინაღო ქვედანაყოფეფს და ნაწილებს, რომლებიც შედიან საერთო საჯარისო ფორმირებებში, სატანკო და მექანიზებულ ნაწილებში და შენაერთებში. შეიარაღებაზეა – ტანკსაწინაღო ქვემეხები, უკუგორვის საწინაღო ქვემეხები, ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსები. ტ.ს.ა. ტრადიციული საშუალებაა ტანკსაწინაღო ქვემეხები, რომლებიც პირდაპირი დამიზნებით ჯავშანგამტანი ჭურვებით ასრულებენ დასმულ ამოცანას.

505. **ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსი** – მოქინააღმდეგის სახმელეთო ჯავშნიანი მიზნების პირდაპირი დამიზნებით დაზიანებით სპეციალურად განკუთვნილი სარაკეტო კომლექსის სახეობა. ძირითადი შემადგენლობა: მართვის პულტი (სატრანსპორტო–გამშვები კონტეინერი) დამიზნების აპარატურით, ტანკსაწინაღო მართვადი რაკეტები და საკონტროლო–შესამოწმებელი აპარატურა. განასხვავებენ ტ.ს.კ. ხელით დამიზნებით (კომანდების გაცემა გამტარებით ან რადიოთი: ოპერატორი უთავსებს სამიზნე მაჩვენებელს მიზანს, ერთდროულად მართვის პულტის დახმარებით უთავსებს მფრინავ რაკეტას მიზანთან), ნახევრად ავტომატური (საკმარისია ოპერატორმა დამიზნების მაჩვანებელი და მიზანი შეათავსოს რაკეტის ფრენის მთელი დროის განმავლობაში) და ავტომატური (ოპერატორი ახორციელებს მხოლოს წინასწარდამიზნებას და რაკეტის გაშვებას); გადასატანი (სახსნელ–საზიდი), თვითმავალი და ვერტმფრენის. პირველი ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსი შექმნეს გერმანელებმა “Rotkappchen” (1945), ხოლო პირველი რუსული “Шмель” და “Фаланга” (1960), რომლებიც ხელით იმართებოდა შესაბამისად გამტარებითა და რადიოთი. თანამედროვე ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსი “Метис - 2” (1991, რაკეტის და სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერთან ერთად 13,8 კმ; სროლის სიშორე 1 500 მ.; ჯავშანგამრღვეობა 800 მმ.; გადასატანი), “Удар” (1991, 26,5 კგ; 4000 მ; 700 მმ; თვითმავალი და გადასატანი), “Атака” (1996; 48,3 კგ; 5000 მ; 800 მმ; თვითმავალი და საველრტმფრენო); ამერიკული “Тоу-2А” (1987; 24,3 კგ; 3750 მ; 920 მმ; გადასატანი, თვითმავალი და ვერტმფრენზე), “Хелфайр” (1985; 45,8 კგ; 8000 მ; 1090 მმ; ვერტმფრენის). თანამედროვე ყველა ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსებს გააჩნიათ დამიზნების ნახევრადავტომატური სისტემები.

506. **ტანკსაწინაღო შეიარაღება** – ჯავშანსატანკო ტექნიკის დაზიანების შეიარაღების სახეობა. თანამედროვე ტანკსაწინაღო შეიარაღება გამოიყენება, როგორც სპეციალურად შექმნილი საშუალებები – ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსები, ტანკსაწინაღო ქვემეხები, საავიაციო ბომბები, საინჟინრო ნაღმები, ყუმბარსატყორცნები, ხელის გრანატები. აგრეთვე საერთო დანიშნულების საშუალებები – საველე არტილერია, ჯავშანსატანკო შეიარაღება და სხვ. დიდ მანძილზე ტანკების დაზიანებისათვის გამოიყენება ტაქტიკური და ოპერატიული-ტაქტიკური კომპლექსების სახმელეთო დამრტყმელი რაკეტები, რომლების საბრძოლო ნაწილები აღჭურვილია კასეტური საბრძოლო ელემენტებით ან დისტანციური დანაღმვის ნაღმებით. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას წარმატებით გამოიყენებიდა ტანკსაწინაღო თოფები. ტანკსაწინაღო შეიარაღების ძირითადი მოთხივნებია: ჯავშანგარღვევა, მოქმედი ცეცხლის სიშორე და მიზნის დაზიანების ალბათობა.

507. **ტანკსაწინაღო თოფი** – ქვეითთა ხელის ცეცხლსასროლი იარაღი, მოწინააღმდეგის დაჯავშნული მიზნების დასაზიანებლად. ტანკსაწინაღო თოფი განსაკუთრებული წარმატებით გამოიყენებოდა II მსოფლიო ომის საწყის პერიოდში: მასა შეადგენდა (12-20 კგ), გადასატანად მოსახერხებელია, 20–40 მმ სისქის შეჯავშნულ ტანკებს აზიანებდა 300–400 მ მანძილზე. სასროლი იარაღის კალიბრი შეადგენდა (14,5 მმ-დე) და ქვემეხის (ძირითადად 20 მმ-დე). ტანკების ჯავშნის სისქის ზრდის გამო ტანკსაწინაღო თოფების გამოყენება შეიზღუდა, მსუბუქად შეჯავშნილი მიზნებისათვის საცეცხლე წერტილებისა და სხვ. ბოლო დროს ტანკსაწინაღო თოფები შეცვალა გრანატასატყორცნებმა.

508. **ტივტივა** – მცურავი კონსტრუქცია(მცურავი ნიშანი), რომელიც ფარვატერების ნავიგაციური საშიშროებების შემღობვის, გატრალული ზონების, ხომალდების(გემების, საფრენი აპარატების) ავარიის ადგილების ან ზღვაში წყალქვეშა ობიექტების აღმოჩენის და სპეციალური ოკეანოგრაფიული გაზომვების აღნიშვნისთვის გამოიყენება. შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის – ცილინდრული, კონუსური, სფერული, სიგარის მსგავსი, კასრისმაგვარი და სხვა. შეიძლება გააჩნდეთ შუქური, ხმაურსასიგნალო, რადიოტექნიკური საშუალებები (მოწყობილობები), გასაზომი აპარატურა, სპეციალური ნიშნები. შუქების შეღებილობა, ფერი და მახასიათებლები, ტოპური ფიგურების ფორმა და ფერი საზღვაო თეატრის(შიდა საწყლოსნო გზების) ნავიგაციური მოწყობილობებით და სხვა დოკუმენტებით განისაზღვრება. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ საავარიო-სასიგნალო, საავარიო, ნავიგაციურ, ოკეანოგრაფიულ, რადიოტქნიკურ (რადიოჰიდროაკუსტიკურ, რადიოლოკაციურ), ტრალურ ტივტივებს. თავის ადგილზე გამაგრება ტროსით ან ჯაჭვით დამაგრებული ღუზის მეშვეობით ხორციელდება.

509. **ტყვიის მოქმედება** – მიზანში მოხვედრისას ტყვიით წარმოქმნილი ეფექტი. ტყვიის მოქმედებას განასხვავებენ: მომაკვდინებელს. ტყვიის შესაძლებლობა ცოცხალი ძალის ლეტალური შედეგით ან მისი ბრძოლისუარიანობის დაკარგვით დაზიანება; გახვრეტიანობა – სხვადასხვა წინაღობის გახვრეტის ტყვიის უნარი.

510. **ტყვია** – სასროლი იარაღიდან გასროლილი დამაზიანებელ;I ელემენტი. წეწხლსასროლ იარაღში შედის ვაზნაში, არაცეცხლსასროლში (მაგ. პნევმატიკურში) არის ცალკეული სახარჯო ელემენტი. თანამედროვე ტყვია თითის ტარის მზგავსი ფორმისაა სათავო, წამყვანი და კუდის ნაწილებით. ტყვია იყოფა: ჩვეულებრივი (მთლიანი და გარსიანი) და სპეციალური (ჯავშანგამტანი, მგეზავი, ამნთები და სხვ.). ცალკეულ ნაირსახეობებს მიეკუთვნებიან მსკვდობი ტყვიის სასიკვდილო და განმხვრეტი მოქმედება ხასიათდება მიზანთან შეხვედრის მომენტისათვის კინეტიკური ენერგიეს მარაგით. ჯავშანგასატანი ტყვია საჭიროებს საკმარისი სიმტკიცის მქონე გულას, ამიტომ იგი მზადდება მაღალი სიმტკიცის ფოლადის, კარბიდისა და ვოლფრამისაგან. XIX საუკუნის შიამდე ტყვიას ქონდა სფერული ფორმა.

511. **ტყვიამფრქვევი** – ჯგუფური ავტომატური სასროლი სპეციალური საყრდენებიანი იარაღი (სადგარი, დაზგა და სხვ.). სხვა სახეობის სასროლი იარაღისაგან განსხვავებით გამოირჩევა საბრძოლო შესაძლებლობებით, სროლის სიშორის და ინტენსივობით, უფრო გრძელი ლულისა მნიშვნელოვანი მკვებავი მოწყობილობებით (კოლოფისებრი ან დოლისებრი). თანამედროვე

ტყვიამფრქვევების პრინციპი დაფუძნებულია გასროლისას დენთის აირების ნაწილის ენერგიეს ან უკუცემის გამოყენებაზე. ტყვიამფრქვევები იყოფა: მცირე კალიბრიანი (6,5 მმ-დე), საშუალო კალიბრის (6,5–9,0 მმ) და მსხვილკალიბრიანი (9,0–15,5 მმ); ქვეითების (ხელის, დაზგის და ერთიანი) და სპეციალური (საავიაციო, სახომალდო, საზენიტო, ტანკის და სხვ.). სპეციალური ტყვიამფრქვევების სახით გამოიყენება ქვეითების ტყვიამრქვევების სათანადო გადაკეთებით და სპეციალური დანადგარების შექმნით. პირველი ბრძოლისუნარიანი ტყვიამფრქვევი იყო – "Максим" (1883). ხელის ტყვიამფრქვევი პირველად შეიქმნა XX საუკუნეში, ხოლო მსხვილკალიბრიანი – I მსოფლიო ომის ბოლოს. რუსეთის მიერ წარმოებული ტყვიამფრქვევი: 5,45 მმ. ხელის РПК74 (1974), ტყვიის საწყისი სიჩქარე 960მ/წამ., დამიზნების მანძილი 1000 მ., საბრძოლო სწრაფსროლა 150 გასროლა/წთ., მასა 5 კგ; 7,62 მმ. დაზგის СГ-43 (1943; 855 მ/წამ, 2000 მ, 300 გასროლა/წთ, 44,5 კგ); 7,62 მმ ერთიანი ПКМ (1969; 825 მ/წამ, 1500 მ, 250 გასროლა/წთ, 12 კგ); 12,7 მმ НСВ–12,7 (1972; 845 მ/წამ, 2000 მ, 100 გასროლა/წთ, 41 კგ); 14,5 მმ ПКП (1950; 990 მ/წამ, 2000 მ, 80 გასროლა/წთ; 160 კგ).

512. **უკუგორვის მოწყობილობები** – საარტილერიო ქვემეხების ნაწილი. ლულის ლაფეტთან დრეკადი კავშირისათვის. მსგავსი კავშირისას გასროლის დროს გადაადგილდება მხოლოდ ლულა (უკუგორვის ნაწილი), ლაფეტი კი უძრავად რჩება. უკუგორვის მოწყობილობა ჩვეულებრივ შედგება უკუგორვის ნაწილების მუხრუჭისა და საგირავისაგან, რომელიც უზრუნველყოფს უკუგორვის ნაწილების საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას. გავრცელებულია ჰიდრავლიკური მუხრუჭი, რომლის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს სითხის ერთი ღრუდან მეორეში გადასვლის წინაღობაზე, სითხის კალიბრებულ ხვრეტში გასვლის გამო, ჰიდროპნევმატიკური და ზამბარიანი საგორავები, რომლების დრეკადი ელემენტები (წინასწარ დაჭირხნული ჰაერი ან ზამბარა) ქმნიან ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ძალას. უკუგორვის დამატებითი დამუხრუჭებისათვის გამოიყენება ლულის მუხრუჭები.

513. **უმართავი რაკეტა** – რაკეტა, რომელიც ფრენის მართვის სისტემით აღჭურვილი არ არის. ძრავის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ სივრცეში გადაადგილდება როგორც თავისუფლად გადაგდებული სხეული. უმართავი რაკეტით სროლის სიზუსტე დამოკიდებულია სროლისათვის დანადგარების მომზადების სიზუსტეზეგაშვების და ფრენის დროს გარე ფაქტორების ზემოქმედებაზე და სხვა. მართვადი რაკეტების გამოჩენით უმართავი რაკეტების გამოყენება შეიზღუდა.

514. **უპილოტო საფრენი აპარატები** - საფრენი აპარატები, რომლებიც იმართება უეკიპაჟოდ. მათ განეკუთვნება დისტანციურად პილოტირებული და ავტონომიურად მართვადი უპილოტო თვითმფრინავის სქემის საფრენი აპარატები. ისინი შეიძლება იყოს საბრძოლო (დამრტყმელი), სადაზვერვო და ერთი ან მრავალჯერადი გამოყენების.

515. **უხმაურო იარაღი** - ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც აღჭურვილია გასროლის დროს ხმის ჩამხშობი მოწყობილობით. ძირითადად ეს მიიღწევა საფართოებელი ავზაკის (მარყუჟის) მეშვეობით ლულიდან გამოსული გაზების მოცულობის გაზრდის ხარჯზე. მარყუჟი ეგება იარაღის ლულის თავზე. ხანდახან ქმნიან სპეციალურ უხმო იარაღს, რომელშიც უხმაურობა მიიღწევა, როგორც თვით

იარაღის კონსტრუქციის, ასევე მისთვის სპეციალური საბრძოლო მასალების ხარჯზე.

516. **ფალია** – მაინიცირებელი საშუალება ასაფეთქებელი მუხტის დეტონაციისთვის, ძირითადად საინჟინრო ნაღმების და ხელ- ყუმბარების. შედგება კაფსულ-მაალებლის და კაფსულ დეტონატორისგან, რომლებიც ფოლადის ან პლასტმასის მასრაშია განთავსებული. დისტანციური მოქმედების ხელყუმბარებს დენთის შემანელებელი, ხოლო დარტყმითს - კაფსულ-მაალებლის ნაცვლად დამატებითი დეტონატორი გააჩნიათ. ფალია დამრტყმელი მექანიზმის მეშვეობით მოქმედებს.
517. **ფინდიხი** – 1) საარტილერო ჭურვი მზა მომაკვდინებელი ელემენტებით, გამომგდები და სასკდომი მუხტის გარეშე. გამოიყენებოდა ღიად განლაგებული ცოცხალი ძალის 300 – 400 მ - მდე დასაზიანებლად. მე 14 – 16 სს მომაკვდინებელ ელემენტებად წვრილი ქვები და ლითონის ნაჭრები გამოიყენებოდა(ლულაში მუხტის და საცობის ზემოდან იყრებოდა), შემდგომში ტომრებში განთავსებული და თოკებითშემორტ მული სფერული ტყვიები. თანდათანობით ფინდიხი შრაპნელმა გამოდევნა. .2) სანადირო თოფებისთვის მსხვილი საფანტი(5 – 10 მმ დიამეტრით).
518. **ფლოტის ძალების ბაზირება** - ფლოტის ნაწილების (ხომალდების), შენაერთების (გაერთიანებების) მიერ სამხედრო-საზღვაო ბაზების, ნავსადგურების, აეროდრომებისა და სხვა იმ ობიექტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო პირობებს მათი განლაგების, მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების, ყოველდღიური საქმიანობისა და საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის. ფლოტის ძალების ბაზირება შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი (მანევრული), ძირითადი (ზურგის) და მეწინავე. ფლოტის ძალების ბაზირების საშუალებები იყოფა სტაციონარულად და მოძრავად (სანაპიროდ და მცურავად). საომარი მოქმედების საზღვაო (საოკეანო) თეატრში გამართული ობიექტების ერთობლიობა შესაბამის ძალებთან, სტაციონარულ და მოძრავ საშუალებებთან შეადგენს ფლოტის ძალების ბაზირების სისტემას.
519. **ფრთა** – 1)საფრენი აპარატის გამზიდი ფართეული, რომელიც აეროდინამიურ ამწევ ძალას ქმნის. აგრეთვე უზრუნველყოფს ფრენაში მდგრადობას და მართვას, შესაძლოა გამოყენებული იქნას საწვავის ბაკების ძრავების, შასის შეიარაღების და სხვათა განთავსებისთვის. განასხვავებენ ერთგამზიდიანი ფართეულით (მონოპლანური), ჩაკეტილ ჯვრისმაგვარ (პოლიპლანურ), რიკულიან და სხვა. ზებგერითი სიჩქარის თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავებს ჩვეულებრივ ისრისმაგვარი ფრთა აქვთ. ფრთის კონსტრუქცია შედგება სიგრძივი (ლონჟერონები, სტრინგერები) და განივი ძალური ელემენტები და ხისტი გარსამოსი გააჩნიათ. 2) ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების საორგანიზაციო სტრუქტურის ერთ-ერთი ელემენტი. მაგალითად, აშშ სამხედრო-საჰაერო ძალებში არსებობს საავიაციო ფრთა, კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ფრთა და კოსმოსური ფრთა. სტრატეგიული ავიაციის საავიაციო ფრთაში ჩვეულებრივ 15 – 20 თვითმფრინავია, ტაქტიკურში – 72, ავიამზიდის – 100 – მდე თვითმფრინავი. კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ფრთა 3 – 4 კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ესკადრილია არის (150 – 200 გამშვები დანადგარი). კოსმოსურ ფრთაში – ბირთვულ-სარაკეტო დარტყმის გაფრთხილების - 5 ესკადრილია და 3 ესკადრილია კოსმოსური სვრცის კონტროლის.

520. **ფრთოსანი რაკეტა** – აეროდინამიკური მზიდი ზედაპირის (ფრთის) მქონე მართვადი რაკეტა იყოფა: სტრატეგიულ (მანძილი 1500კმ-ზე მეტი), ოპერატიულ-ტაქტიკურ (150-1500კმ) და ტაქტიკურ (150კმ-მდე); ბგერამდელ და ზებგერით; სახმელეთო, საზენიტო, საავიაციო, ტანკსაწინაღო, ხომალდსაწინაღო, ლოკაციასაწინაღო და სხვ.

521. **ქვემეხის პანორამა** – ჰერცის პანორამა, საარტილერიო სამიზნეების კუთხმზომი სამიზნებელი მოწყობილობა. საშუალება იძლევა უძრავი ოკულარის შემთხვევაში ადგილმდებარეობის წრიული მიმოხილვის. გამოიყენება დახურული საცეცხლე პოზიციებიდან საარტილერიო ქვემეხების ჰორიზონტალური დამიზენბისათვის.

522. **ქვემეხის წინარა** – სალაშქრო პირობებში ბუქსირებადი საარტილერიო იარაღის დგარის სახორთუმო ნაწილი თავსდება ორთვალაზე. თანამედროვე იარაღის შექმნის დროს ქვემეხის წინარა გათვალისწინებული არ არის.

523. **ქვაბულის მანქანები** – მიწის მთხრელი მანქანები, ბლინდაჟების და თავშესაფრებისთვის ქვაბულების ამოთხრისთვის. მათ განეკუთვნებიან უწყვეტი მოქმედების სპეციალური მანქანები და ერთციცხვიანი ექსკავატორები.

524. **ქვეითთა საბრძოლო მანქანა** – სსრკ მოტომსროლელი ჯარების ჯავშნიანი, როგოც წესი მუხლუხა და მცურავი მანქანა საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის და პირადი შემადგენლობის გადაადგილებისთვის. ჯავშანტრანსპორტიორთან შედარებით ბრძოლის ველზე უფრო ძლიერი შეიარაღება, ჯავშანდაცვა, მაღალი ძვრადობა გააჩნია. თანამედროვე მანქანის მახასიათებლებია: მასა 18,7ტ, ეკიპაჟი(დესანტი) 3(7) კაცი,ძრავის სიმძლავრე 500 ცხ.ძ. შეიარაღება – 100 მმ ზარბაზანი, ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსი, სამი 7,62 მმ ტყვიამფრქვევი.

525. **ქვის სატყორცნი** – ძველებური რუსული საარტილერიო ქვემეხი(ბომბარდის ტიპის)ქვის ბირთვებით და უბრალოდ ქვებით 150 – 200 მ – მდე სროლისთვის. გამოიყენებოდა მე – 14 საუკუნიდან, ძირითადად როგორც საალყო ქვემეხი. გამოდევნებულია მორტირით.

526. **ღრმა წყლების წყალქვეშა აპარატები** – სპეციალური ტექნიკური საშუალე-ბები, საზღვაო(საოკეანო) შელფზე წყალქვეშა სამეცნიერო კვლევევების, საძებნი ოპერაციების, სარემონტო და სამაშველო სამუშაობების ჩატარებისთვის, სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვის და მოპოვების უზრუნველყოფისთვის. ღრმა წყლების წყალქვეშა აპარატების ოფიციალური კლასიფიკაცია არ არსებობს. იყოფა საცხოვრებელ – ეკიპაჟის 1 – 6 წევრის და არასახოვრებელ: მიბმულები – ხომალდ-მატარებელთან კაბელ-გვარლით დაკავშირებულები, ბუქსირებადი, ჩასაშვები, დისტანციური მართვის და ავტონომიურები – მოდრეიფე და თვითმავალი. ჩასვლის სიღრმით იყოფა ღრმა წყლების წყალქვეშა მცირე აპარატებად(300-400 მ – დე), საშუალო(2000 მ – მდე), დიდი(6000 მ –მდე) და ზღვრულ(6000 მ მეტი). წარმოადგენს მტკიცე გერმეტულ ლითონის კორპუსს ცილინდრული((ჰიდროსტატები), სფერული(ბატისფერა) და სხვა ფორმის(ბატისკაფები, ბატიპლანები). გააჩნით ცხოველქმედების, კავშირის და ნავიგაციის საშუალებები, მანიპულატორის მართვის ორგანოები, ენერგო-მომარაგების და ავარიული გადარჩენის საშუალებები, საძებნი, სამუშაობების ადგილზე შეკავების ან თვალთვალის სისტემები, საპირაპირო კვანძები, რაბვის კამერები, სამეცნიერო-კვლევითი აპარატურა და სხვა. ღრმა წყლების წყალქვეშა

აპარატების სერიული განვითარება სპეციალიზირებული უდაბური აპარატების შექმნის გზით მიდის.

527. **ღამის ხედვის ხელსაწყოები** – იხ. ინფრაწითელი ტექნიკა.

528. **ყინულმჭრელი** – სპეციალური აგების ხომალდი, ზამთრის პერიოდში ზღვებში, ტბებში და მდინარეებში ნავიგაციის მხარდასაჭერად და ყინულებში ხომალდების და გემების გასაყვანად. ძრავებად გამოიყენება დიზელები, ორთქლის ტურბინები, დიზელ-აირტურბინები, ატომური ენერგეტიკული დანადგარები. Iყოფიან: ნაოსნობის რაიონით – საზღვაო(მათ შორის არქტიკული და პოლარული), ტბის და სამდინარო; დანიშნულების მიხედვით – ყინულმჭრელ ლიდერებზე, სახაზო და დამხმარე ყინულმჭრელებად;კატეგორიების მიხედვით – ენერგეტიკული დანადგრის სიმძლავრით და ყინულგამსვლელობით. თანამედროვე ყინულმჭრელებს დაზვერვისთვის 1 – 2 ვერტმფრენი გააჩნით.

529. **ყუმბარა** – 1. საბრძოლო მასალა ახლო ბრძოლის საწარმოებლად. განასხვავებენ ხელის ყუმბარას, ყუმბარსატყორცნის გასროლას და ხრახნიან ყუმბარის. 2. საარტილერიო მსხვრევადი და მრსხვრევად –ფუგასური ჭურვების ძველი დასახელება.

530. **ყუმბარსატყორცნი** – ახლო ბრძოლის იარაღი მიზნის ყუმბარით დასაზიანებლად. ისინი იყოფა: აქტიური (ყუმბარის ტყორცნა ლულაში დამწვარი მუხტის ხარჯზე), აქტიურ-რეაქტიული (აქტიური სროლა ერწყმის ყუმბარის რეაქტიული ძრავის მუშაობას) და რეაქტიული (წარმოადგენს მიმმართველს მხოლოდ რეაქტიული ყუმბარის სროლისათვის); ტანკსაწინაღო და ქვეითთა საწინაღო; არა ავტომატიური, თვითდამტენი და ავტომატური; ხელის, დაზგის და ხრახნიანი.

531. **ყუმბარსატყორცნის გასროლა** – საბრძოლო მასალა ყუმბარსატყორცნიდან სროლისთვის. შედგება ყუმბარისგან და სატყორცნი(დენთიანი) მუხტისგან (რეაქტიული ძრავა). შეიძლება იყოს ტანკსაწინაღო(კუმულაციური) ფეხოსანთა-საწინაღო(მსხვრევადი, მსხვრევად-ფუგასური და მსხვრევად-კუმულაციური), ცეცხლგამჩენი, საკვამლე, სანათი და სასიგნალო; აქტიურები, აქტიურ-რეაქტიულები და რეაქტიულები. შედგება საბრძოლო მუხტით ან პიროტექნიკური აღჭურვის სათაო ნაწილისგან, ამფეთქებლისგან, სტაბილიზატო-რისა და რეაქტიული ძრავისგან(აქტიურ ყუმბარაში არ არსებობს). აალების საშუალებით სატყორცნი მუხტი აქტიური და აქტიურ-რეაქტიული ყუმბარების-თვის გამოიყენება.

532. **ყველგან მავალი** – მანქანის პირველი საცდელი ნიმუში, რომელსაც ტანკის ძირითადი ელემენტები გააჩნდა. დამუშავდა 1914წ. რუსი გამომგონებლის ა.ა. პოროხოვშიკოვის მიერ. დამუშავება ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

533. **შაშხანა** – ინდივიდუალური სასროლი იარაღი კუთხვილიანი ლულით, შექმნილი მძლავრი საშაშხანე ვაზნისთვის. ავტომატიზაციის ხარისხით განასხვავებენ ერთმუხტიან, მჭიდიან, თვითდამუხტვის და ავტომატურ შაშხანებს. მასობრივად და სიხანგრძლივით ყველაზე მეტად გავრცელებულია მჭიდიანი შაშხანები, რომლებიც საკმაოდ დამუშავებული სახით მე-19 საუკუნის 80 – ან წლებში გაჩნდა და მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებამდე წარმატებულად გამოიყენებოდა. გააჩნდათ კალიბრი – 6,5-8 მმ, ხიშტის გარეშე(ხიშტით) ლულის სიგრძე 1,1-1,3 მ(1,4-1,8 მ), მასა 3,7- 4 კგ(4-4,5 კგ), სავაზნე კოლოფის ტევადობა 5-6 ვაზნა, სწრაფსროლა 10-12 გასროლა/წთ, სროლის დამიზნებული მანძილი 1,5-2 კმ. მე-2 მსოფლიო ომის

დამთავრების შემდეგ მრავალი სახელმწიფოს არმიების შეიარაღებაზე უფრო მჩატე და საიმედო ავტომატები იქნა მიღებული, რომლებსაც შუალედური (მცირეკალიბრიანი) ვაზნისთვის შექმნილი საიერიშო შაშხანები განეკუთვნებიან.

534. **შეიარაღება** – 1. იარაღის და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამოყენებას. განასხვავებენ იარაღის ტიპის (საარტილერიო, სარაკეტო და სხვ.), მატარებლის სახის (საავიაციო, სახომალდე და სხვ.), საორგანიზაციო კუთვნილების (პოლკის, სახმელეთო ჯარების და სხვ.) მიხედვით. 2. ჯარების (ძალების) იარაღით აღჭურვის პროცესი. 3. განსაზღვრული დანიშნულების ელემენტების ერთობლიობა (საიალქნე, დაცვითი და სხვ.).

535. **შეიარაღების კომპლექსი** – დაზიანების საშუალებების და მათი საბრძოლო გამოყენების უზრუნველმყოფი ტექნიკური საშუალებების ფუნქციურად დაკავშირებული ერთობლიობა. დაზიანების საშუალებებს მიაკუთვნებენ საბრძოლო მასალებს (რაკეტების და ტორპედოების საბრძოლო ნაწილებს, საავიაციო ბომბებს, საარტილერიო ჭურვებს და სხვა) და მიზანთან მათი მიტანის საშუალებებს (რაკეტები, ტორპედოები, თვითმფრინავები, საარტილერიო ქვემეხები და სხვა); უზრუნველმყოფ საშუალებებს – რაკეტების სატარტო მოწყობილობა, დაზვერვის, ცეცხლის მართვის და სროლის უზრუნველყოფის საშუალებები, სატრანსპორტო-დამტენი, საკონტროლო-შემამოწმებელი და სხვა. ყველაზე გავრცელებულია სარაკეტო კომპლექსები – საზენიტო, სახომალდო, სახმელეთო, ნავსაწინაღო, რაკეტსაწინაღო, ტანკსაწინაღო.

536. **შენიღბვის საშუალებები** - სამრეწველო და საჯარისო დამზადების საშუალებები ჯარების (ძალების) და სამხედრო ობიექტების შესანიღბად. იყოფა შენიღბვის საშუალებებად და იმიტაციის საშუალებებად. შენიღბვის საშუალებები შეიძლება იყოს ზოგადი (ნიღბები, პირადი შემადგენლობის საშუალებები, სანიღბავი შეფერვა, აეროზოლური, ქაფწარმომქმნელი) და სპეციალური დანიშნულებისა (სანიღბავი შალითები და მოსასხამები, ნიღაბსაკუთნოები, საბორტო აეროზოლური, შუქსანიღბავი, მაყუჩები და სხვ.). იმიტაციის საშუალებები იყოფა სამხედრო ტექნიკის მაკეტებად (მაკეტების კომპლექტებად) და ფიზიკური ველების (რადიოლოკაციური, სითბური, მაგნიტომეტრიული, ბგერითი, რადიაციული და სხვ.) იმიტატორებად.

537. **შიდაწვის ძრავა** – სითბური ძრავა, რომელშიც საწვავის წვის პროცესი და სითბოს მექანიკურ მუშაობაში გარდაქმნა ძრავის შიგნით სრულდება. მ გარდაქმნის ხერხით განასხვავებენ დგუშიან ძრავებს, აირტურბინიან ძრავებს და რეაქტიულ ძრავებს.

538. **შორეული ავიაცია** – სსრკ და რფ ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება, სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენელი ნაწილი; უმაღლესი მთავარსარდლობის საშუალება და სტრატეგიული ბირთვული ძალების კომპონენტი, რომლის დანიშნულებაა სტრატეგიულ მიმართულებებზე, საომარი მოქმედებების კონტინენტურ და საზღვაო თეატრებზე სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) და ოპერატიული ამოცანების შესრულება.

539. **შორეული ბომბდამშენი ავიაცია** – წითელი არმიის(სსრკ) მთავარსარდ-ლობის, შორეული ავიაციის დასახელება 1940 – 42.

540. **შუბი** – მე 8 – 16 სს დასავლეთ ევროპის ჯარების უდაბლესი საორგანიზაციო-ტაქტიკური ერთეული(4–10 – დან რამოდენიმე ათეულ მეომრამდე).
541. **შუბისსატყორცნი** – უძველესი უმარტივესი მოწყობილობა მოკლე შუბის ხელით ტყორცნისთვის. წარმოადგენდა ხის ან ძვლის 1,5 სიგრძის ფიცარს ღარით და საყრდენით შუბის ტარისთვის. ორჯერ და მეტად იზრდებოდა ტყორცნის მანძილი ავსტრალიის და ოკეანიის აბორიგენებმა მე – 20 ს შემოინარჩუნეს.
542. **შეარაღებაზე მიღება** – ოფიციალური გადაწყვეტილებით (ბრძანება), სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეიარაღების საშტატო შეიარაღებაზე ახალი ან მოდერნიზებული სამხედრო ტექნიკის მიღება.
543. **შურდული** – ცენტრიდანული ძალის გამოყენებაზე დაფუძნებული ხელის უძველესი სასროლი იარაღი. წარმოადგენს უმარტივეს ხელსაწყოს – ტყავის ქამარს, მკვრივი ქსოვილის გაფართოებული შუა ნაწილით, რომელშიც თავსდება სატყორცნი საგანი (ქვა, ლითონის ბურთულა და სხვ.). დატრიალებით შურდულს აქვს საშუალება მოწინააღმდეგე დააზიანოს 150-160 ნაბიჯში.
544. **ჩახმახი** – გასროლის დროს სატყორცნი მუხტის აალებისთვის ცეცხლსასროლი იარაღის საკეტი მექანიზმის ან კლიტის ნაწილი. თანამედროვე ავტომატურ იარაღში – მოძრავი დეტალი, რომელიც საბრძოლო ზამბარის მოქმედებით დამრტყმელზე დარტყმას ახორციელებს.
545. **ჩვეულებრივი იარაღი** – იარაღის ტრადიციული სახეობები, რომელთა საბრძოლო გამოყენებას არ მოსდევს უშუალოდ მასობრივი დანაკარგები და ნგრევა. ტერმინი წარმოიშვა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ზოგიერთი არმია აღიჭურვა ბირთვული იარაღით და ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ტერმინი "მასობრივი დაზიანების იარაღი". ჩვეულებრივ იარაღს განეკუთვნება: ცეცხლსასროლი, რეაქტიული, სარაკეტო, მბომბავი, სატორპედო და ცეცხლგამჩენი იარაღი, საინჟინრო და საზღვაო ნაღმები და იარაღის სხვა სახეობები, რომელთა დაზიანების საშუალებები აღიჭურვება ბრიზანტული ასაფეთქებელი მასალით ან აალებადი ნივთიერებებით, ანდა არ გააჩნია აღჭურვა (ერთიანი ჯავშანგამტანი ჭურვები, ჩვეულებრივი ტყვიები). ჩვეულებრივ იარაღს განეკუთვნება, აგრეთვე, სატყორცნი და ცივი იარაღი.
546. **ცეცხლგამჩენი იარაღი** – იარაღი, რომელიც მოწინააღმდეგეზე ცეცხლმოკიდებული ამნთები ნივთიერებებით უშუალოდ ან მათ მიერ გამოწვეული ხანძრებით ზემოქმედებს. მოიცავს ცეცხლგამჩენ საბრძოლო მასალებს(ცეცხლსატყორცნ ნარევს) და მიზანთან მათი მიტანის საშუალებებს. საბრძოლო მასალებს განეკუთვნებიან: დაზიანების ცეცხლგამჩენ ბომბდაშენის საშუალებებს(ცეცხლგამჩენი ავიაბომბები, ავზები, საბომბო კასეტები, კონტეინერები), ცეცხლგამჩენი საარტილერიო ჭურვები და ნაღმები, რაკეტების ცეცხლგამჩენ საბრძოლო ნაწილებს, ყუმბარები, კაფსულები და ტყვიები, საცეცხლე ფუგასები და წინაღობები. მიტანის საშუალებებია თვითმფრინავები და ვერტმფრენები, საარტილერიო ქვემეხები, გამშვები დანადგარები, ყუმბარსატყორცნები, ცეცხლსატყორცნები, სასროლი იარაღი და სხვა.
547. **ცეცხლგამჩენი მილი** – მაინიცირებელი საშუალება, საცეცხლე ხერხით ასაფეთქებელი ნივთიერებების მუხტების დეტონაციის აღგზნებისთვის. სტანდარტული ცეცხლგამჩენი მილი შედგება კაფსულ-დეტონატორისგან, 50 სმ ან

150 სმ სიგრძის ცეცხლგამტარი ზონარისგან და ამფეთქისგან(დარტყმითი, ან ელექტრული და სხვა). ცეცხლგამჩენი მილი შეიძლება ჯარებში დამზადდეს ცეცხლგამტარი ზონარიგან სპეციალური ამფეთქის გარეშე(აალება ასანთის და სხვა საშუალებების მეშვეობით.

548. **ცეცხლგამჩენი ნივთიერებები –** სპეციალური ნივთიერებები (ნარევები), რომლებიც წვის დროს დიდი რაოდენობის სითბოს გამოყოფენ. ამოიყენება ცეცხლგამჩენი იარაღში. შესაძლოა იწვოდეს ჰაერის ჟანგბადის გამოყენებით(ცეცხლნარევები, თეთრი ფოსფორი, „ელექტრონი"-ს შენადნობი) და ჰაერის შეღწევის გარეშე – საწვავის და დამჟანგავისგან(ტერმიტები, ცირკონი და სხვა) მკვრივი პიროტექნიკური შემადგენლობები.

549. **ცეცხლგამტარი ზონარი** – ბიკფორდის ზონარი, ცეცხლის იმპულსის გადამცემი საშუალება დროის განსაზღვრულ შუალედში კაფსულ-დეტონატორის ან დენთის მუხტის ამუშავებისთვის. შედგება დენთის გულისგან და წყალგაუმტარი დაფარვის მრავალფენიანი გარსისგან. მისი დიამეტრია 5-6 მმ, წვის სიჩქარე დაახლოებით 10 მმ/წმ(წყალქვეშ 5 მ – მდე სიღრმეზე უფრო სწრაფად იწვის). შემოთავაზებულია 1831წ ინგლისელი უ. ბიკფორდის მიერ.

550. **ცეცხლსატყორცნი** – ცეცხლგამჩენი იარაღის სახეობა ცეცხლნარევის დამიზნებული ტყორცნისთვის. აზიანებს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას და მატერიალურ საშუალებებს. იყოფა ნაკადიან და კაფსულიანად. ნაკადიანს განასხვავებენ: მსუბუქ(ზურგჩანთიანს), მძიმე(რამოდენიმე კაცის მომსახურებით) და მექანიზირებულ(თვითმავალი, მათ შორის ცეცხლსატყორცნი ტანკი) კაფსულიან ცეცხლსატყორცნში ცეცხლნარევი მიზანთან მიეწოდებარეაქტიული ძრავის ან სატყორცნი მუხტის მეშვეობით პირველად გაჩნდა გერმანიაში 1 – ლი მსოფლიო ომის წინ.

551. **ცეცხლსატყორცნი ტანკი** – დამატებითი ან ძირითადი(ქვემეხის მაგივრად) ცეცხლსატყორცნი დანადგარის შეიარაღებით აღჭურვილი ტანკი. ცეცხლნარევის რეზერვუარები განთავსებულია ტანკის შიგნით, მის კორპუსზე ან მისაბმელზე. პირველად გამოიყენეს იტალიელებმა ეთიოპიასთან ომში 1935 – 1941 წწ.

552. **ციხე-სიმაგრის არტილერია** – ციხე-სიმაგრეების შეიარაღებაზე მყოფი არტილერია, რომელთა დანიშნულება იყო მათი დაცვა. ოიცავდა შორეული ბრძოლის(დიდი და საშუალო კალიბრის ზარბაზნები), იერიშსაწინაღო(საშუალო კალიბრის ჰაუბიცები, მსუბუქი საველე ზარბაზნები), ფლანკირებადი(მცირეკალიბრიანი საველე ზარბაზნები) და გამოსახტომი (მსუბუქი საველე ქვემეხები). ქვემეხებს კაზემატებში, კაპონირებში და კოშკურებში განათავსებდნენ. თავისი მნიშვნელობა 1 – ლი მსოფლიო ომის შემდეგ დაკარგა.

553. **ცხენოსანი არტილერია** – არტილერია, რომლის ქვემეხები ცხენის გამწეზე გადაადგილდებოდნენ, ხოლო ქვემეხის ნომრები(მოსამსახურე) – ცხენებზე. პირველად გაჩნდა საფრანგეთში მე – 15 – 16 სს მიჯნაზე.

554. **ცეცხლის მართვის და სროლის უზრუნველყოფის ხელსაწყოები –** სახმელეთო არტილერიის; შეიცავს სროლის მონაცემების გამომთვლელ ხელსაწყოებს (ცეცხლის მართვის, კორექტირების გაანგარიშების ხელსაწყოებს, საარტილერიო მასწორებელს და სხვ.; ქვემეხის დამიზნების (სამიზნე კოლიმეტორები); ბალისტიკური მომზადების (საველე ბალისტიკური სადგური, მუხტის კამორის

სიგრძის საზომი ხელსაწყო, საბატარეო თერმომეტრი); მეტეოროლოგიური მომზადების (ქარის თოფი, საველე ქარმზომი და სხვ.); ტოპოგეოდეზიური მომზადების (პიროაზიმუტი, გზის გადამწოდი, კურსგამყვანი). სროლის ამოცანების ზუსტი და სწრაფი გადაწყვეტის საჭიროებამ გამოიწვის ცეცხლის მართვის და სროლის უზრუნველყოფის ავტომატიზაცია – 40 წამის განმავლობაში კომპლექსი უზრუნველყოფს ცეცხლის გახსნას არაგეგმიურ მიზანზე.

555. **ძიება-დამიზნების სისტემა –** მიზნების ძიების და გამოცნობის საშუალება, მათი კოორდინატების და მოძრაობის პარამეტრების და, აგრეთვე, მონაცემების გამოყოფა ამ მიზნების დაზიანებისათვის საშუალებების გაყვანა. განსაკუთრებით რთული ამოცანების გადაჭრას უზრინველყოფს სპეციალიზებული ელექტრო-გამომთვლელი მანქანა. ოლოგრაფიული ტიპის ოპტიკის ელექტრონული სისტემა გამოიყენება ჰაერსაწინაღო დაცვაში, წყალქვეშა ნავების საწინაღო ავიაციაში და სხვ.

556. **ძრავა** – მანქანა, რომელიც რაიმე სახის ენერგიას მექანიკურ მუშაობაში გარდაქმნის. იყოფა პირველად და მეორად. **პირველადი** ძრავები ბუნებრივ ენერგეტიკულ რესურსებს(საწვავი, მოძრავი წყლის, ქარის, ბირთვულ, ტერმანულ და სხვა) სხვა სახის ენეგიად გარდაქმნიან. ყველაზე მეტად გავრცელებულია სითბური ძრავები, რომლებიც საწვავის ქიმიურ ენერგიეს ან ბირთვულ ენერგიას გამოიყენებენ. იყოფა გარეწვის და შიდაწვის ძრავებად. **მეორადი** ძრავები პირველადიდან(ელექტრულ, ჰიდრავლიკურ და სხვა) მიღებულ ენერგიას გარდაქმნიან.

557. **ძრავას დანადგარი** – ძალური დანადგარი, ძრავის და მისი მუშაობის უზრუნველმყოფი საშუალებების ერთობლიობა.

558. **წვის კამერა** – საწვავის წვისთვის შიდა წვის ძრავის ნაწილი. წვის კამერებს განასხვავებენ პერიოდული მოქმედების(დგუშიან ძრავებში, მათ შორისსაარტილერიო ქვემეხის ლულაში – ე.წ. კამორა) და უწყვეტ (აირტურბინიან დარეაქტიულ ძრავებში).

559. **წყალბადის ბომბი** - იხილე ბირთვული საბრძოლო მასალები.

560. **წყალქვეშა ნავის კორპუსი** – ცილინდრული ფორმის წყალქვეშა ნავის ძირითადი არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნაწილი, შედგება გარე და შიდა გარსისგან, ანაკრებისგან, ჩონჩხისგან, განივი წყალგაუმტარი ტიხრებისა და პლატფორმისგან. ხასიათდება მთავარი განზომილებებით გაუმტარებლობით, რომელიც წყალქვეშა ნავის ჩაუძირვადობას და ცურვადობას, სიმტკიცეს, რომელიც წყლისქვეშ ჩასვლას, მოცემულ სიღრმეზე ცურვას და ნაოსნობის სხვა მაჩვენებლებს უზრუნველყოფს. წყალქვეშა ნავის კორპუსი წარმოქმნის მოცულობას, რომელიც აუცილებელია ეკიპაჟის ცხოველქმედების, საბრძოლო, ენერგეტიკული და ტექნიკური საშუალებების, ტვირთების და მარაგების უზრუნველყოფისთვის. კონსტრუქციულად წყალქვეშა ნავები შეიძლება იყოს ერთი, ერთნახევარი და ორკორპუსიანი. თანამედროვე წყალქვეშა ნავების უმეტესობა ორკორპუსიანია. მისი კორპუსი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: მტკიცე გაუმტარი გარსისგან – მტკიცე კორპუსისგან და გარე გამტარი გარსისგან – მსუბუქი კორპუსისგან. წყალქვეშა ნავის მტკიცე კორპუსი დამზადებული დამზადებული მაღალი სიმტკიცის ფოლადისაგან, ჩასვლის დროს ბორტსგაღმა წყლის გარე წნევას

აითვისებს, დაყოფილია განივი მტკიცე ტიხრებით და წყალგაუმტარი ნაკვეთურებით. ერთკორპუსიან წყალქვეშა ნავებზე მტკიცე კორპუსი გარეთაა,ერთნახევრიან წყალქვეშა ნავებს მჩატე კორპუსი მხოლოდ მტკიცე კორპუსის ნაწილზე გააჩნიათ. წყალქვეშა ნავის კორპუსი მზადდება მაღალი სიმტკიცის სპეციალური ფოლადისგან, ტიტანისა და სხვა უახლესი მასალებისგან.

561. **წყალზედა ხომალდის კორპუსი** – კოლოფის ფორმის ხომალდის ძირითადი არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნაწილი, შეზღუდული წყალგაუმტარი გარსით, რომელსაც ეწოდება გარეშემოსვა და ზედა გემბანით გამაგრებული კორპუსის ჩონჩხის მტკიცე ანაკრებით. წყალზედა ხომალდის კორპუსი შედგება სიგრძივი და განივი კოჭებისგან და მტკიცე ფიბოებისგან, აგრეთვე სიგრძივი და განივი ტიხრებისგან, გემბანისა და პლატფორმისგან. ხასიათდება მთავარი განზომილებებით წყალგაუმტარებლობით, რომელიც ხომალდის ჩაუძირვადობას და ცურვადობას, სიმტკიცეს უზრუნველყოფს, რომელიც ფორმის მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე გარე ძალვის მიღების საშუალებას იძლევა. უზრუნველყოფს ეკიპაჟის, იარაღის და ტექნიკური საშუალებების, ტვირთების და მარაგების, პირადი შემადგენლობის ცხოველქმედების საშუალებების განთავსებას.ხომალდის ტიპის და დანიშნულების მიხედვით კორპუსი შესაძლოა დამზადდეს ფოლადისგან, ალუმინ-მაგნიუმის შენადნობისგან, რკინაბეტონისგან, პლასტიკებისგან, კომპოზიციური და სხვა მასალებისგან.

562. **წყლის ამოღვრის საშუალებები** – სტაციონალური და გადასატანი ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომელთა დანიშნულებაა საბრძოლო და ავარიული დაზიანების შედეგად ხომალდის(გემის) ნაკვეთურებში წარმოქმნილი წყლის მოშორება, აგრეთვე წყლის ბალასტის ამოტუმბვისთვის (გადაქაჩვისთვის). გამოიყენება ხომალდის ცხოველუნარიანობის და ჩაუძირაობისთვის ბრძოლაში. მოიცავს გადასაქაჩ ნასოსებს, ეჟექტორებს, პომპებს,მილსადენების სისტემებს, ჩასაკეტ-გამანაწილებელ არმატურას. როგორც სარეზერვო საშუალება – ხელის ნასოსები გამოიყენება.

563. **ჭურვის ბურნუკი** – ზოგიერთი საარტილერიო ჭურვის ელემენტი, რომელიც მათ სათაო ნაწილზე მაგრდება. შეიძლება იყოს ბალისტიკური ჭურვის აეროდინამიური ფორმის გასაუმჯობესებლად, და ჯავშანგამტანი რიკოშეტის და წინაღობაზე დარტყმის დროს ნაადრევად დაშლის გამორიცხვისთვის.

564. **ხანგრძლივი დროის საცეცხლე წერტილი** – ტყვიამფრქვევის ან საარტილერიო ცეცხლის წარმოებისთვის მაღალი გამძლეობის ელემენტებისგან სამრეწველო წარმოების(რკინაბეტონი, ჯავშანფილები) ფორტიფიკაციური ნაგებობა. ამოიყენებოდა 1 – ლ და მე – 2 მსოფლიო ომებში. ომის შემდგომ პერიოდში ტერმინი აღარ გამოიყენება.

565. **ხანჯალი** – მჩხვლეტავ-მჭრელი ცივი იარაღი მოკლე(0,3 მ) სწორი ან მოღუნული ერთი ან ორი პირით და ტარით. ატარებენ ქარქაშში. აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ იარაღს წარმოადგენს.

566. **ხიდდამგები** – იხ. მექანიზირებული ხიდი.

567. **ხიდსაშენი საშუალებები** – ძირითადი ოპერაციების მექანიზაციის სპეციალური საშუალებები სამხედრო ხიდების ხისტ საყრდენებზე აგებისას. მათ განეკუთვნებიან როგორც ცალკე ოპერაციების შესრულების საშუალებები

ხიმინჯის ჩასასობი დანადგარები, ხიმინჯის მოსაჭერი დანადგარი, ავტოამწე და სხვა, აგრეთვე სამუშაო კომპლექსები – ხიდსაშენი საშუალებების კომპლექტები(ძალური ელექტროსადგურები, ჯალამბარები, ძრავიანი ნავები, სატრანსპორტო ავტომობილები და სხვა).

568. **ხომალდები დინამიკური შემაგრების პრინციპებზე** – ხომალდები, რომელთა მასა მოძრაობის განსაზღვრულ სიჩქარეზე გაწონასწორებულია ჰიდროდინამიურ ძალებთან, რის გამოც ისინი წყალზე ნაწილობრივ ან სრულად თავს შეიმაგრებენ. მათ განეკუთვნებიან გლისერები, ხომალდები წყალქვეშა ფრთებზე, აპარატები საჰაერო ბალიშზე, ეკრანოპლანები.. გააჩნიათ სვლის ამაღლებული სიჩქარე ხომალდის მოძრაობის წყლის წინააღმდეგობის შემცირების ხარჯზე. ფართოდაა გავრცელებული სამხედრო-საზღვაო ძალებში, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებში

569. **ხომალდები საჰაერო ბალიშზე** – აპარატები საჰაერო ბალიშზე.

570. **ხომალდები წყალქვეშა ფრთებზე** – ხომალდების ერთ-ერთი ტიპი, შემაგრების დინამიური პრინციპით, რომლებსაც სპეციალური წყალქვეშა ფრთიანი მოწყობილობით მოძრაობის დროს წარმოიქმნება ამწევი (ჰიდროდინამიური) ძალა, რომელიც ხომალდის კორპუსს წყალს ზევით ნაწილობრივ ან სრულად შეამაგრებს. ფრთებზე მოძრაობის დროს ხომალდის მოძრაობის წყლის წინააღმდეგობა მცირდება და მოძრაობის სიჩქარე მატულობს. ხომალდებზე ენერგეტიკულ დანადგარად დიზელის და აირტურბინიანი ძრავები გამოიყენება. გამოიყენებენ როგორც სარაკეტო, საპატრულო, ნავსაწინაღო დაცვის და სხვა. წყალწყვა 50 – დან 250 – 350 ტ. სიჩქარე 60 კვანძზე მეტი.

571. **ხომალდის არქიტექტურა** – 1)ხომალდის იერის და კონსტრუქციის საპროექტო გადაწყვეტილებების ერთობლიობა. განისაზღვრება ხომალდის შეიარაღების ტიპის და შემადგენლობის, ენერგეტიკული დანადგარის და სხვა ტექნიკური საშუალებების მთავარი ზომებრივი თანაფარდობით. 2)სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ხომალდის საერთო მოწყობას დამ ის ცალკეულ ნაწილებს შეისწავლის.

572. **ხომალდის ჩაუძირაობა** – წყალზედა ხომალდის უნარი შეინარჩუნოს ცურვადობა და აუცილებელი მდგრადობა საბრძოლო ან ავარიული დაზიანების დროს. წყალქვეშა ნევებისთვის განასხვავებენ წყალზედა და წყალქვეშა ჩაუძირაობას. მიიღწევა ცურვადობის მარაგით, კორპუსის კონსტრუქციული თავისებურებებით, ხომალდის ცხოველსუნარიანობისთვის ბრძოლის ტექნიკური საშუალებებით და ეკიპაჟის(პირადი შემადგენლობის) მტკიცე მოქმედებებით.

573. **ხომალდის ზღვაოსნობის ხარისხები** – გემის თავისებურებების კომპლექსი, რომელიც მას ახასიათებს როგორც წყალში მოძრავ მყარ სხეულს: ცურვადობა, ჩაუძირობა, მართვა, სიმტკიცე, დახრის დროს მცირე ამპლიტუდებზე შეკავების უნარი და რხევის დროს სიმდოვრნე. ხომალდის ზღვაოსნობის ხარისხები ფასდება იარაღის გამოყენების და ზღვის განსაზღვრულ მდგომარეობაში ცურვის უნარით.

574. **ხომალდში ბინადრობა** – კომპლექსური დახასიათება, რომელიც ნაოსნობის პირობებში ხომალდში ადამიანის ცხოველქმედების მომარჯვებას უჭვენებს. ხომალდში ბინადრობა ხასიათდება გარემოს რიგი ფაქტორების ერთობლიობით: სოციალური(ეკიპაჟის წევრების საბრძოლო საგუშაგოებზე და საცხოვრებელ ადგილებში განთავსების პირობები, პირადი შემადგენლობის შრომის და

დასვენების რეჟიმი და სხვა), ფიზიკური(ადგილსამყოფელის მიკროკლიმატი და განათება; ხმაური, ვიბრაცია, ელექტრო-მაგნიტური გამოსხივება); ქიმიური(ადგილსამყოფელის ვენტილაცია) და ბიოლოგიური(ეკიპაჟის უზრუნველყოფა წყლით, სურსათით, მიკროფლორის არსებობა.

575. **ხანძარსაწინააღმო მოწყობილობა** – საბრძოლო მანქანების ხანძრის ლიკვიდაციის საშუალებები. განასხვავებენ გადასატან (ხელის ცეცხლსაქრობი) და სტაციონარულ, რომელიც შედგება ალის გადამწოდებისაგან, მაძლირებელ-მაკომეტირებულ აპარატურისაგან, შემსრულებელი ორგანოების (ცეცხლსაქრობი ნივთიერების ბალონი), ჩამკეტ-გამშვები მოწყობილობის, მილგამტარი მაგისტრალების გამფრქვევებიანად და სხვ. ავტომატური სისტემის სწრაფმოქმედება – 70 წამიდან (ოპტიკური გადამწოდებიანი), 1-3 წამ. (თერმოგადამწოდებიანი).

576. **ხელსაწყოები** – რეგულირების და მართვის უზრუნველყოფის საჭირო ინფორმაციის მიღების, გამოთვლის პროცესის დაჩქარების ტექნიკური საშუალებები. იყოფა: სათვალთვალო (დაზღვევის), საზომი, საკონტროლო, გამოთვლითი, მართვის და სხვ.; მექანიკური, ელექტრომექანიკური, ოპტიკური, ოპტიკურ-ელექტრონული, ელექტრონული, რადიო-ლოკაციური და სხვ.; ხელის, ნახევრად ავტომატური და ავტომატური. სამხედრო დანიშნულების ყველაზე დამახასიათებელ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: საზენიტო-საარტილერიო, მანძილისა და კუთხეების საზომი და თვალთვალის, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვის, ცეცხლის მართვის, სროლის მართვის, სატორპედო სროლის მართვის ხელსაწყოები.

577. **ხმაურსაწინააღმო მოწყობილობები** – მომუშავე მანქანებისა და მექანიზმების ხმაურის შემცირების საშუალებები. განასხვავებენ ხმაურსაწინააღმო მოწყობილობებს: საერთო სათავსების შიგა ზედაპირების ბგერათშთანთქმის და ბგერათსაიზოლაციო დაფარვების გამოყენებით (აკუსტიკური დაფარვები); ადგილობრივი – ბგერათსაიზოლაციო გარსაცმი, აკუსტიკური კაბინები, ეკრანები, პასიური მაყუჩები და სხვ.; ინდივიდუალური ბგერათდამცავი საყურისები, მუზარადები, აქტიური მაყუჩები და სხვ. ფართოდ გამოიყენება სამხედრო დანიშნულების ობიექტებზე დასახლებულობის პირობების გაუმჯობესებისა და მოწინააღმდეგის მიერ აღმოჩენის შესამცირებლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყალქვეშა ნავებში და წყალქვეშა ნავების გამოვლენის ხომალდებზე.

578. **ხომალდის ტივტივადობა** – გარკვეულ მდგომარეობაში ცურვის უნარი საშტატო შეიარაღებით და ცვალებადი ტვირთების მოცემული რაოდენობით. ტივტივადობა განისაზღვრება ჰიდროსტატიკური წნევის (ტივტივადობის ძალა) და ხომალდის სიმძიმის ძალების ტოლობით. ტივტივადობა – ცურვის უნარია წყლის ზედაპირის მიმართ სტატიკურ ცონასწორობაში. ტივტივადობის მარაგი ტოლია მთავარი ბალანსის ცისტერნების მოცულობისა, მათი შევსებოთ ხორციელდება მისი ჩაძირვა (ტივტივადობის ნარჩენი მნიშვნელობა უახლოვდება 0).

579. **ხომალდსაწინააღმო სარაკეტო კომპლექსი** – ხომალდების, აგრეთვე სანაპირო ობიექტების და სახმელეთო რადიოკონტრაქტული მიზნების დაზიანების რაკეტების სახეობა. იყოფა: ოპერატიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურებად; სახომალდო, სანაპირო და საავიაციო. შეარაღებაზეა – ხომალდების, წყალქვეშა

ნავების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანაპირო საარტილერიო ნაწილების, თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისათვიუს. ხ.ს.კ. შემადგენლობაში შედის – მართვადი რაკეტები (ჩვეულებრივ მფრთოსანი), გამშვები დანადგარები (მოწყობილობები), სროლის ავტომატური მართვის მოწყობილობები, ყოველდღიური და წინასასტარტო მომსახურების საშუალებები. რაკეტის მართვის სისტემა ჩვეულებრივ იგება განსაკუთრებით ფრენის დასკვნით მონაკვეთზე ავტონომიური მართვის და თვითდამიზნების საფუძველზე. რუსეთში პირველი ხ.ს.კ. შეიქმნა 1953-1957 წწ.

580. **ჯარების ბაზირება** - ნაწილების და შენაერთების (გაერთიანებების) მიერ განლაგების ტერიტორიის, ნაგებობების, ბაზების და მატერიალურ საშუალებათა მარაგის საწყობების გამოყენება საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფის და ყოველდღიური საქმიანობისთვის მშვიდობიან დროს და საბრძოლო მოქმედების წარმოებისას.

581. **ჯავშანავტომობილი** – დაჯავშნული საბრძოლო მანქანა ქვეითთა საცეცხლე მხარდაჭერის, დაზვერვის, საბრძოლო დაცვის, პატრულირების, კავშირის წარმოებისთვის. შეიარაღება – ტყვიამფრქვევი, შესაძლოა 20-45 მმ ზარბაზანი. ჯავშანავტომობილები გამოიყენებოდა 1-ლ და მე-2 მსოფლიო ომებში. მე-2 მსოფლიო ომის დასასრულს ჯავშანტრანსპორტიორებით იქნა შეცვლილი

582. **ჯავშანჩაჩი** – ჯავშანკონსტრუქცია, გამოზნექილი ფორმის ამბრაზურებით და თვალთვალის ჭუჭრუტანებით. იდგმება საველე და ხანგრძლივმოქმედ საფორტიფიკაციო ნაგებობებში უძრავად, განსხვავებით მბრუნავი ჯავშანკოშკურისა. შესაძლოა იყოს მოძრავი(გადასატანი) და სტაციონარული.

583. **ჯავშანი** – იარაღის დამაზიანებელი მოქმედებისგან დაცვის საშუალება. სპეციალური მასალებისაგან დამზადებული წარმოადგენს მტკიცე დაბრკოლებას. უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა ჯავშნიანი ფოლადისგან დამზადებულმა ჯავშანმა, რომლის აუცილებელი სიმტკიცე მიიღწევა ლეგირული ელემენტების (ნიკელი, ქრომი, მანგანუმის კაჟის და მოლბდენის) შერჩევით, გამოდნობის და თერმოდამუშავების ტექნოლოგიით; მაღალი სიმტკიცის შენადნობიგან მანგანუმის ალუმინში დამატებით, ცინკის, მარგანეცის ქრომის საფუძველზე, აგრეთვე ტიტანის შენადნობის საფუძველზე. ჯავშნის მასალების სახით გამოიყენებენ პლასტმასებს, კერამიკას და კომპოზიციურ მასალებს. ფოლადი შეიძლება იყოს გლინვის და ჩამოსხმული, ტყვიასაწინაღო(სისქე 30 მმ-მდრ), ჭურვსაწინაღო, გომოგენური, გეტეროგენული, მონოლიტური და მრავალფენიანი. ჯავშნის კუმულაციური ჭურვებისგან დასაცავად აგრეთვე გამოიყენება დინამიური დაცვის ელემენტები(„რეაქტიული ჯავშანი") გამოიყენება, რომელიც ფოლადის ყუთებში მოთავსებულ ბრტყელი ფირფიტების ასაფეთქებელ ნივთიერებებს წარმოადგენს; ჭურვის მოქმედებისას ეს ასაფეთქებელი ნივთიერება ამუშავდება და ჭურვის კუმულაციურ ნაკადს დეფორმირებს. ჯავშანმა ყველაზე მეტი გავრცელება საბრძოლო მანქანებში, ფორტიფიკაციულ ნაგებობებში ხომალდებზე და სხვაგან ჰპოვა.

584. **ჯავშანჟილეტი** – საბრძოლო სამოსი, რომელიც იცავს მებრძოლს ტყვიისა და ნამსხვრევებისაგან. თანამედროვე ბრონეჟილეტი მრავალფენოვანი პოლიამიდის ქსოვილისგან მზადდება, რომლის დამატებით ელემენტებს წარმოადგენს

მეტალისაგან დამზადებული ბრონირებული ფირფიტები, ალუმინის ან ტიტანის შენადნობები და სხვ.

585. **ჯავშანკატარღა** – მცირე წყალწყვის საბრძოლო საარტილერიო კატარღა, სახმელეთო ჯარების მხარდაჭერისთვის და მდინარებზე და ზღვის სანაპიროზე მოწინააღმდეგის ტოლფასიან ხომალდებთან ბრძოლისათვის. ტიპიური შეიარაღება – 70-100 მმ კალიბრის 2-3 ქვემეხი ან რეაქტიული დანადგარი, 2-3 მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი. სიჩქარე 35-45კმ/სთ. აქვს ჯავშან დაცვა გემბანის კაიუტის, ქვემეხების და სამანქანო ნაწილის.

586. **ჯავშანმატარებელი** - ჯავშნიანი (ტყვიების და ნამსხვრევებისგან) მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა, რომელზეც დამონტაჟებულია საარტილერიო შეიარაღება და ტყვიამფრქვევები. მისი დანიშნულებაა ჯარების ცეცხლით მხარდაჭერა და რკინიგზის ზოლში დამოუკიდებელი საბრძოლო მოქმედებების წარმოება. ორგანიზაციულად ჯავშანმატარებელი – სამხედრო ფორმირება, რომელიც შედგება თავად ჯავშანმატარებელისა და ბაზისგან. თავად ჯავშანმატარებელი შედგება ჯავშანლოკომოტივისგან, ორი ჯავშანვაგონის ან ჯავშანმოედნისგან და 2-4 დაფარვის პლატმორმისგან. (აყენებენ ჯავშმატარებლის წინ და უკან).

587. **ჯავშანსატანკო შეიარაღება** – საბრძოლო მანქანაზე დადგმული შეიარაღება. თანამედროვე ჯავშანსატანკო შეიარაღებაში უფრო ხშირად გავრცელებულია: სატანკო – 115-125 მმ გლუვლულიან ზარბაზნები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, საშუალო და მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევები. საბრძოლო მანქანების – 20-30 მმ ავტომატური ზარბაზნები, საშუალო და მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევები და ყუმბარსატყორცნები. ჯავშანსატანკო შეიარაღება უზრუნველყოფილია იარაღის სტაბილიზატორებით, ბალისტიკური გამომთვლელებით, აქტიური ტიპის მანძილმზომებით და სხვა.

588. **ჯავშანსატანკო ტექნიკა** - თვლიანი და მუხლუხა საბრძოლო და დამხმარე მანქანების სხვადასხვა ტიპები (ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, საბრძოლო სადესანტო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, ჯავშნოსანი სადაზვერვო-მზირთა მანქანები, საბრძოლო სადაზვერვო მანქანები, მართვის მანქანები ჯავშანსატანკო ტექნიკის ბაზაზე, ჯავშნოსანი სარემონტო-საევაკუაციო მანქანები, საწევარები, მოტოციკლები და სხვ.).

589. **ჯავშანტრანსპორტიორი** - ჯავშნიანი თვლიანი ან მუხლუხიანი საბრძოლო მანქანა, რომლის დანიშნულებაა ქვეითთა ტრანსპორტირება და ბრძოლაში მათი ცეცხლით მხარდაჭერა. ასევე გამოიყენება დაზვერვის, დაცვის და პატრულირების საწარმოებლად. თანამედროვე ჯავშანტრანსპორტირები არის მცურავი და მისი გადატანა შეიძლება საფრენი აპარატებით; ისინი აღჭურვილია ადგილმდებარეობის რადიოაქტიული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დასნებოვნების აღმოჩენის აპარატურით.

590. **ჯავშნოსანი** – წყალზედა საბრძოლო ხომალდი კორპუსის ჯავშანდაცვით გაძლიერებული, მსხვილი კალიბრის არტილერიით შეიარაღებული. მისი დანიშნულება იყო საზღვაო ბრძოლის წარმოება და სანაპირო ობიექტებზე საარტილერიო დარტყმების მიყენება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მე-20 საუკუნის დასაწყისში ხომალდების ძირითადი კლასი, მრავალი სახელმწიფოს

ფლოტის დამრტყმელი სიძლიერის განმსაზღვრელი. ჯავშნოსანის პირველსახეს დაჯავშნული მცურავი ბატარეები წარმოადგენდნენ. ჯავშნოსნები ერთმანეთისაგან არტილერიის დაცვის ხერხებით განსხვავდებოდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში უფრო მძლავრი საარტილერიო ხომალდების-ლინკორების გამოჩენასთან დაკავშირებით ჯავშნოსნების მშენებლობა შეწყდა.

591. **ჯავშნოსანი ფლოტი** – მე-19 საუკუნის მე2 ნახევარში – მე-20 საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა სახის დაჯავშნული ხომალდების კრებსითი სახელწოდება, რომლებიც წამყვანი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალების(სამხედრო-საზღვაო ფლოტის) საბრძოლო ძლიერების საფუძველს შეადგენდნენ. ჯავშნოსანი ფლოტის შექმნა დაკავშირებულია ორთქლის ძრავიან მცურავ ბატარეებთან.

592. **ჯაზაირი** – მძიმე ლულიდან დასატენი მცხვილი კალიბრის იარაღი. გაჩნდა ესპანეთში მე – 16 საუკუნის 20 – იან წლებში. ვერაზე გავრცელებული იყო 25 მმ – მდე კალიბრის, 8 – 10 კგ მასით, ტყვიის მასა დაახლოებით 50 გ. სროლის სიშორე 250 მ – მდე. შროლის დროს ჯალამბარი ეყრდნობოდა ორკაპს. მე – 17 საუკუნის ბოლოს შეიცვალა უფრო მჩატე იარაღით.

593. **ჯგუფური იარაღი** – იარაღი, რომლის ბრძოლაში მომსახურება 2 კაციანი და მეტი ჯგუფით (გათვლით) წარმოებს.

594. **ჯავშანი** – ძველებური პერანგი რგოლისებრი ან ქერცლისებრი დამცავი შეიარაღება. XIII საუკუნიდან შეიცვალა კოლჩუგით.

595. **ჰაუბიცა** – საველე საარტილერიო ქვემეხი,რომლის ძირითადი დანიშნულებაა კიდული სროლა(ლულის ამაღლების კუთხე 70^0 –მდე). ზარბაზანისგან უფრო მოკლე ლულით და ცვალებადი მუხტების არსებობით განსხვავდება. შესაძლოა იყოს თვითმავალი და ბუქსირებადი.

596. **ჰაუბიცა – ზარბაზანი** - საველე საარტილერიო ქვემეხი, ჰაუბიცის(ჭარბობა) და ზარბაზანის თვისებების შეხამება. ტერმინი პირობითია, ვინაიდან განსაზღვრულად, მტკიცედ დაწესებული განსხვავება ჰაუბიცასა და ზარბაზანს შორის არ არსებობს.

597. **ჰექსოგენი** – ბრიზანტული ასაფეთქებელი მასალა. ფერო კრისტალური ფხვნილი. აფეთქების ტემპერატურა 250^0 C, აფეთქების სითბო 4,5 მჯ/კგ. დეტონაციის სისწრაფე 1,65 გ/სმ^3 დროს 7000 მ/წმ –ზე მეტი. გამოიყენება საბრძოლო მასალების აღკაზმვის და დეტონატორების დამზადების დროს.

598. **ჰიდროაკუსტიკური კომპლექსი** – ერთიანი სქემურ-საკონსტრუქტორო ამოხსნის გაერთიანებული ობიექტზე(წყალქვეშა ნავი, წყალზედა ხომალდი, ავიაცია, სანაპირო ობიექტები და სხვა) დანიშნულებით და მუშაობის რეჟიმით განსხვავებული ჰიდროაკუსტიკური საშუალებები, რომლებიც ჰიდროაკუსტიკური ამოცანების უმეტესად ეფექტურ ამოხსნას უზრუნველყოფენ. მისი დანიშნულებაა ობიექტების(მიზნების) ძიება, მონახვა, კლასიფიცირება, მათი მოძრაობის კოორდინატების და პარამეტრების განსაზღვრა და მონაცემების გაცემა იარაღის გამოყენებისთვის, ჰიდროაკუსტიკური კავშირის წარმოებისთვის, ურთიერთქმედი ძალების ამოცნობისთვის და მართვის კომანდების გადაცემა, ნაოსნობის ნავიგაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე მრავალფეროვან ჰიდროლოგიურ პირობებში სხვა ამოცანების ამოხსნისთვის. ჰიდროაკუსტიკური კომპლექსები მუშაობენ აქტიურ და პასიურ რეჟიმებში დაშეიძლება მოიცავდნენ ხმაურპელენგატორს, ჰიდროლოკატორს, ჰიდროაკუსტიკური სიგნალების აღმოჩენის,

წყალქვეშ ბგერითი კავშირის და ამოცნობის, დისტანციის მზომ, ნაღმების აღმოჩენის სადგურებს(არხებს).

599. **ჰიდროაკუსტიკური საშუალებები** – დანიშნულების და მოქმედების პრინციპის განსხვავებული რადიოტექნიკური ელექტრონული და სხვა ტექნიკური მოწყობილობები და ხელსაწყოები, რომლებიც წყლის გარემოში აკუსტიკური ტალღების გავრცელების მოვლენების გამოყენებაზეა დაფუძნებული. მისი დანიშნულებაა წყლის გარემოში მყოფი მოძრავი და უძრავი ობიექტების (მიზნების) ძიება, მონახვა, ადგილმდებარეობის და მოძრაობის პარამეტრების, კლასიფიკაციის განსაზღვრა; კავშირის და ინფორმაციის გადაცემისთვის, მიზანჩვენებისთვის, ნაოსნობის ნავიგაციური უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფისთვის, იარაღის თვითდამიზნების ჰიდროაკუსტიკური სისტემების, ჰიდროაკუსტიკური წინაღობების შექმნა და სხვა. ჰიდროაკუსტიკურ საშუალებებს განეკუთვნებიან ჰიდროაკუსტიკური სადგურები და კომპლექსები, იარაღის თვითდამიზნების სისტემები ჰიდროლოკატორები, აკუსტიკური ტრალები, ექოლოტები, ექოყინულმზომები და სხვა მოწყობილობები და ხელსაწყოები. ჰიდროაკუსტიკური საშუალებები იყოფა: მუშაობის პრინციპით – პასიურ და აქტიურად, დადგმის ადგილით – სახომალდო, საავიაციო, სტაციონალური (სანაპირო, ფსკერის) და პოზიციური (ჰიდროაკუსტიკური ტივტივა და სხვა).

600. **ჰიდროამძრავი** – სითხის მეშვეობით საშემსრულებლი მოწყობილობაზე ენერგიის გარდაქმნისა და დისტანციური გადაცემის საშუალება. მოიცავს ენერგიის(ძრავის) წყაროს და ჰიდროგადაცემას(მოცულობით, ჰიდროდინამიურ ან შერეულ). პრაქტიკულად სამხედრო ტექნიკის ყველა სახეობაში(მიწისზედა, ავიაცია, საზღვაო) გამოიყენება.

601. **ჰიდროლოკაციური სადგური** – ჰიდროაკუსტიკური სადგურის ნაირსახეობა, რადიოელექტრონული დანადგარების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა წყალზე და წყალქვეშა ობიექტებზე ინფორმაციის მიღება, მათგან არეკლილი ჰიდროაკუსტიკური სიგნალის მიხედვით. გამოიყენება საზღვაო მიზნების (ობიექტების) მოსაძებნად, აღმოსაჩენად, კლასიფიკაციისთვის, მოძრაობის კოორდინატების და პარამეტრების განსაზღვრისთვის, საწყისი მონაცემების მიღების და იარაღის მართვის სისტემებში გადაცემისთვის, ცურვის ნავიგაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და სხვ. ჰიდროლოკაციური სადგურები იყოფა: დაყენების ადგილის მიხედვით – სახომალდე, საავიაციო, სტაციონალური და პოზიციური; ხედვის ხერხების მიხედვით – გარემოს ბიჯური, უწყვეტი წრიული და სექტორული თვალთვალი.

602. **ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური** – მრავალი სახელმწიფოს შეიარა-ღებული ძალების სპეციალური სამსახური, რომლის დანიშნულებაა ჯარების ჰიდრომეტეოროლოგიური(მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფა. ძირითადი ამოცანა – სარდლობის, შტაბების და ჯარების ინფორმირება ფაქტიური და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური ვითარების, საბრძოლო მოქმედებებზე მისი ზეგავლენის, იარაღის გამოყენების და ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ.

603. **ჰიდრომეტეოროლოგიური საშუალებები** – დედამიწის ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს პარამეტრების გაზომვის საშუალებები, მასში მიმდინარე ფიზიკური პროცესების და მოვლენების ანალიზის და შეფასებისთვის. სამხედრო საქმეში

ჯარების(ძალების) საქმიანობის ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეორო-ლოგიური) უზრუნველყოფისთვის. ჰიდრომეტეოროლოგიური საშუალებები იყოფა მეტეოროლოგიურ, აეროლოგიურ და ჰიდროლოგიურად – შესაბამისად მიწისპირა(წყლისპირა) ფენაში ატმოსფეროს პარამეტრების, სხვადასხვა დონეზე თაავისუფალი ატმოსფეროს და სხვადასხვა სიღრმეზე წყლების მასების გაზომვისთვის.

604. **ჰიდროსტატი** – 1) წყალქვეშ სამეცნიერო კვლევების და სამუშაობების ჩატარებისთვის გემ-მატარებლის კაბელ-გვარლზე ჩაშვებული წყალქვეშ საცხოვრებელი აპარატი. გააჩნია მკვრივი სფერული ან ცილინდრული კორპუსი. მოწყობილია ჩასვლა-ამოსვლისთვის, ჰაერის რეგენერაციის, განათების, თვალთვალის და კავშირის საშუალებები, დისტანციური მართვის მანიპულა-ტორები, სამეცნიერო-კვლევითი ხელსაწყოები, კინოფოტოაპარატურა და სხვა. ელექტროენერგიის მიწოდება ხომალდიდან კაბელით ხორციელდება. ჩასვლის სიღრმე როგორც წესი 300 მ – დეა. 2) ხელსაწყო, რომლის ჩასვლის სიღრმის ცვლილება წყლის წნევის ცვლილებაზე რეაგირებს. ამოიყენება წყალქვეშა ნავებში, ტორპედოებში ნაღმების და სიღრმისეული ბომბების ამფეთქებზე ტრალებზე და სხვა ტექნიკაზე.

605. **ჰიდროთვითმფრინავი** – თვითმფრინავი, რომელსაც ტივტივის უნარი და წყლის ზედაპირიდან აფრენის და მასზე დაფრენის უნარი შესწევს. სამხედრო ჰიდროთვითმფრინავის დანიშნულებაა ზღვაზე საჰაერო დაზვერვა, წყალზედა ხომალდებთან და წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა, ზღვაზე ხალხის გადარჩენა. განასხვავებენ 3 ტიპის ჰიდროთვითმფრინავს: ტივტივებზე, მფრინავ ნავებს და თვითმფრინავ-ამფიბიებს (ამ უკანასკნელს სახმელეთო აეროდრომებზე დაფრენის უნარიც შესწევს).

606. **ჰიპერბგერითი საფრენი აპარატი** – თვითმფრინავი ან რაკეტა, რომლებსაც ატმოსფეროში ფრენის სიჩქარე ბგერის სიჩქარეს 5 – ჯერ მეტად აღემატება.

607. **ჰორიზონტსგაღმა რადიოლოკაციური სადგური** – რადიოლოკაციური სადგური ზღვარსმიღმა პირდაპირი ხილვადობის მიზნების აღმოჩენისთვის. გამოიყენება რაკეტების გაშვების, საჰაერო და წყალზედა მიზნების, ბირთვული აფეთქებების ადრეული აღმოჩენისთვის. სადგურის მუშაობა დაფუძნებულია იონოსფეროდან და დედამიზის ზედაპირიდან, აგრეთვემათი გავრცელების გზაზე მდებარე ობიექტებიდან დეციმეტრული დიაპაზონის რადიოტალღების თანმიმდევრული მრავალჯერადი არეკვლის ეფექტის გამოყენებაზე. გააჩნია მაღალი გამოსხივების სიმძლავრე,მიღებული მრავალარხიანი გამაძლიერებლების და ფაზირებული საანტენო გისოსების მეშვეობით. მისი მახასიათებლებია: მიზნების აღმოჩენის მანძილი 800 – 4000 კმ, მიმოხილვის სექტორი აზიმუტით 60 – 120^0, მანძილის გაზომვის სიზუსტე 10 – 20 კმ.

ლექცია 13

სამხედრო ისტორიის - ომების ისტორიის და სამხედრო ხელოვნების ისტორიის ტერმინოლოგია

თემა განხილება ლექციის დროს

ლექცია 14

სამხედრო სპეციალური მეცნიერებების ტერმინოლოგია

1. **ავსტრალია** (ლათ. australis – სამხრეთით მდებარე) სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე კონტინენტია, მისი ფართობი შეადგენს 7631,5 ათასი კმ^2. სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორია გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 3200კმ-ზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 4100კმ-ზე. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთ სანაპიროები შემორტყმულია ინდოეთის ოკეანითა და მისი ზღვებით, აღმოსავლეთ – წყნარი ოკეანის ზღვებით. კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილს უკავია დიდ წყალგამყოფ ქედს (უმაღლესი წერტილი – მთა კოსტიუშკო 2228მ). შუა ნაწილი დაბლობი ღრმულით უკავია ეირის ტბას. ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი – დაბალ მთიანეთს (400-500მ) ცალკეული ქედებითა და დატოტვილი მთებით. მატერიკის შიდა ნაწილი მოიცავს გიბსონის, დიდი ქვიშის და ვიქტორიას ვრცელ უდაბნოებს. ჩრდილოეთით კლიმატი სუბეკვატორულია, სამხრეთით – სუბტროპიკული, ცენტრალურ ნაწილში – ტროპიკული. ყველაზე წყალუხვი მდინარეა – მურეი, ყველაზე გრძელი – დარლინგი (2740კმ).
2. **ავსტრალია (ავსტრალიის კავშირი)** სახელმწიფო მდებარე სამხრეთ ნახევარსფეროში, ავსტრალიის კონტინენტზე, კუნძულზე ტასმანიასა და სხვა კუნძულებზე. გარშემორტყმულია ინდოეთისა და წყნარი ოკეანეებით. ფართობი 7,69 მლნ.კმ მოსახლეობა 21,5 მლნ. კაცი (2010წ.), ძირითადად ანგლო-ავსტრალიელები. ოფიციალური ენა ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კანბერა. ავსტრალია ფედერაციაა, რომელიც შეიცავს 6 შტატსა და 2 ტერიტორიას. შედის ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაური – დიდი ბრიტანეთის მონარქიული წარმომადგენელი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ხელისუფლება – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. ავსტრალია 1770 წლიდან ბრიტანეთის მფლობელობაში იმყოფებოდა. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1931 წელს.

   შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 57,7 ათასი კაცი (2009წ.). შედგება სახმელეთო ჯარებისაგან 29,3, სამხედრო-საჰაერო 14,5 და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან 13,8. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება წარმოებს კონტრაქტით (დაქირავებით).
3. **ავსტრია (ავსტრიის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 83,8 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 8,356 მლნ. ადამიანი (2009). ოფიციალური ენა – გერმანული. დედაქალაქი – ვენა. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 მიწა. ავსტრია ფედერალური რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – ფედერალური კანცლერი. საკანონმდებლო ორგანო – 2 პალატიანი პარლამენტი. ავსტრია დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა 12.11.1918წ. მე-2 მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ იქნა სსრკ-ს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ჯარების მიერ. 1955 წლის 15 მაისს აღდგენილ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1955 წლის ოქტომბერში გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. ავსტრია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო შეიარაღებას, ცეცხლსასროლ იარაღს და ტყვია-წამალს, ჯ/ტრანსპორტიორებს, მსუბუქ ტექნიკას. გააჩნია 6 საერთაშორისო აეროპორტი, მათ შორის – შვეხტი (ვენა).

შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 19,0 ათას კაცს (2006 წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს, რომლის შემადგენლობაშიც შედის სამხედრო-საჰაერო ძალები. რეზერვი – 12,0 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

4. **ავღანეთი (ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა)** ავღანეთი მდებარეობს ცენტრალურ (შუა) აზიაში. მისი ფართობი შეადგენს 652,2 ათას კმ^2. მოსახლეობა 28,4 მლნ. კაცი (2010წ.), აქედან 55% ავღანელი (პუშტუნი), დაახლოებით 20% ტაჯიკი, 9% უზბეკი, 9% საზარი და სხვა. ოფიციალური ენები – პუშტუ და დარი. დედაქალაქი – ქ. ქაბული. ადმინისტრაციული დაყოფა – 29 პროვინცია და 2 ცენტრალური დაქვემდებარების ოლქი. სახელმწიფო მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. ქვეყანა რესპუბლიკა გახდა 1973 წლის 17 ივლისს. ავღანეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოა. ქვეყნის ეკონომიკას უდიდეს ზარალს აყენებს უწყვეტი სამოქალაქო და ანტიტერორისტული ომები. საერთაშორისო აეროპორტი – ქაბული.

   შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 134,0 ათასი კაცს (2010წ.) და ფორმირების სტადიაშია. ამჟამად მის მომზადებას ახორციელებს აშშ-სა და NATO-ს სამხედრო სპეციალისტები საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით.

5. **აზერბაიჯანი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა)** სახელწიფო ამიერკავკასიის აღმოსავლეთში. საქართველოს აღმოსავლეთ მეზობელი. თავად აზერბაიჯანი აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია კასპიის ზღვის წყლებით. ფართობი 86,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 8659600 (2008წ.), დაახლოებით 85% აზერბაიჯანელები, დანარჩენი დაღესტნური ეთნიკური ჯგუფები, რუსები, თათრები და სხვა ოფიციალური ენა – აზერბაიჯანული. დედაქალაქი ქ. ბაქო. ადმინისტრაციული დაყოფა: 69 რაიონი, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა. აზერბაიჯანის პარლამენტმა 1991 წელს გააუქმა მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის სტატუსი. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მილი მეჯლისი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ხელისუფლება მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა). თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკა გამოცხადებულ იქნა 30.08.1991 წელს სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოსვლით. აზერბაიჯანი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება. განვითარებულია ქიმიური, ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობა სპეციალიზირებულია სუბტროპიკული მცენარეულობის მოყვანასა და მეცხოველეობაზე. რკინიგზის ქსელის სიგრძე – 2,1 ათასი კმ. სამანქანე გზების – 27,3, აქედან 25,8 ათასი კმ. მყარი საფარით. საზღვაო პორტებია: ბაქო, აფშერონი. საერთაშორისო აეროპორტი – ბაქო.

   შეიარაღებული ძალები შეიცავს სახმელეთო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო ძალებს სამხედრო-საზღვაო ძალებს. საერთო რაოდენობა 128000 კაცი (2010წ.). სახმელეთო ჯარებს (85000), შეიარაღებაში გააჩნიათ 700-მდე ტანკი, 1100-მდე საბრძოლო დაჯავშნული მანქანა, 700-ზე მეტი ქვემეხი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და ნაღმსატყორცნი. სამხედრო-საჰაერო ძალებს (15000), შეირაღებაში გააჩნიათ 185 საბრძოლო თვითმფრინავი, 115-მდე საბრძოლო ვერტმფრენი, 70

საზენიტო სარაკეტო კომპლექსი. სამხედრო-საჰაერო ბაზები განლაგებულია: განჯაში, დალიარში, სიტალგაიში. სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში (3500) შედის 40-მდე საბრძოლო ხომალდი და კატარღა. სამხედრო-საზღვაო ბაზა – ბაქო. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული მეთოდით. რეზერვი 300000. გასამხედროებული ფორმირებაა სასაზღვრო ჯარები – 7000, შინაგანი ჯარი – 15000, ეროვნული გვარდია – 2500.]

6. **აზია –** დედამიწის ყველაზე ვრცელი ნაწილი, ევროპასთან ერთად ქმნის ევრაზიის კონტინენტს. ფართობი (კუნძულებით) 43,4 მლნ.კმ^2. ევროპასთან საზღვარი პირობითად გადის ურალის ქედის სამხრეთ ფერდებზე, მდ. ემბაზე კასპიის ზღვაზე, მდინარეებზე კუმა-სა და მანიჩ-ზე (ზოგჯერ კავკასიონის მთავარი ქედის წყალგამყოფზე), აზოვისა და შავ ზღვებზე, ბოსფორის სრუტეზე, მარმარილოს ზღვაზე, დარდანელის სრუტეზე. ამერიკის კონტინენტისაგან გამოიყოფა ბერინგის სრუტით, ავსტრალიიდან – ტორესის სრუტით, აფრიკას უკავშირდება სუეცის ყელით. ჩრდილოეთიდან შემორტყმულია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანით, აღმოსავლეთით წყნარით, სამხრეთით-ინდოეთის ოკეანეებით. აზიას ასევე განეკუთვნება მრავალრიცხოვანი კუნძულები საერთო ფართობით – 2 მლნ. კმ^2-ზე მეტი (მათ შორის ჩრდილოეთის მიწა, ახალი ციმბირის, კურილიის, იაპონიის, ფილიპინების, არქიპელაგი, კვიპროსი და სხვ.). ტერიტორიის თითქმის 3/4 უკავია მთებს და დაბალმთიანეთს. უმაღლესი მთათა სისტემებია ჰიმალაები (მთა ჯომოლუნგმა ზღვის დონიდან 8848მ, წარმოადგენს დედამიწის უმაღლეს მწვერვალს), პამირი, ყარა-ყუმი, ჰინდიკუში, ტიან-შანი და სხვ. მოსწორებული მთიანეთის უდიდესი ნაწილი უკავიათ უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს. ვაკე-დაბლობები (მათ შორის განსაკუთრებით ვრცელია – დასავლეთ ციმბირის, დიდი ჩინეთის, ინდისა და განგის ვაკე, თურანისა და მესოპოტამიის დაბლობი) ძირითადად მდებარეობენ ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში. კლიმატი შედგება არქტიკულით ჩრდილოეთით, მკვეთრად კონტინენტურით აღმოსავლეთ ციმბირში და ეკვატორულით ინდონეზიის კუნძულებზე. მყინვარების ფართობი შეადგენს 118 ათას კმ^2 (მაღალმთიანეთი და არქტიკის კუნძულები). ჩრდილოეთ განედის 47^0-მდე მრავალწლიანი გამყინვარებაა. აზიაში ბევრი მდინარეებია. ჩრდილოეთ აზიის მდინარეები წყალუხვია, იყინებიან 8 თვემდე. აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის მდინარეები ზაფხულში წყალუხვია, ზამთარსა და გაზაფხულზე წყალმცირე. მათგან ნაწილი შემორტყმულია დამბებით. უმსხვილესები – ამური, ხუანხე, იანძი, ირავედი, მეკონგი, რაჰმაპუტრა, ინდი, განგი. ცენტრალურსა და დასავლეთ აზიაში ზედაპირული წყლები მცირედაა წარმოდგენილი. წყალუხვი თოვლ-მყინვარული კვებით ხასიათდებიან (ამურდარია, სირდარია, ტიგროსი, ევფრატი, ჰალმეიდი). აზიის მცენარეული ზონები იცვლება ტუნდრიდან ჩრდილოეთით ეკვატორული ნოტიო ტყეებით სამხრეთში. ჩრდილოეთ აზიის ტერიტორიის და აღმოსავლეთ აზიის ჩრდილოეთი რაიონები უკავია ტაიგას; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტროპიკული ნოტიო ტყეებია; ტაიმირის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, იმიერბაიკალეთში, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში ტყე-სტეპები და სტეპები; ცენტრალურ, შუა და დასავლეთ აზიაში ნახევრადუდაბნოები და უდაბნოებია. აზიას პირველი ადგილი უკავია კონტინენტებს შორის ნავთობის, ნახშირის, ბუნებრივი აირის, ჰიდროენერგორესურსების მარაგებით, მრავლად

მოიპოვება ლეგირებადი ფერადი და იშვიათი ლითონები. მოსახლეობა განაწილებულია არათანაბრად: აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში 600-700 ადამიანზე მეტი, ცენტრალურ, დასავლეთ და ჩრდილოეთ აზიაში – მხოლოდ რამდენიმე ადამიანი 1 კმ^2-ზე. აზიის ტერიტორიაზე განთავსებულია დაახლოებით 50 სახელმწიფო და რამდენიმე დამოკიდებული ტერიტორია.

7. **ალბანეთი (ალბანეთის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ადრიატიკისა და იონიის ზღვის წყლებით. ფართობი 28,7 ათასი კმ^2, მოსახლეობა 2,986 მლნ კაცი (2010წ.), 98% ალბანელი. ოფიციალური ენა – ალბანური. დედაქალაქი – ქ. ტირანა. ადმინისტრაციული დაყოფა: 35 რეტი (ოლქი). ალბანეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრებაა (ერთპალატიანი პარლამენტი). ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). ალბანეთიდამოუკიდებელი სახელმწიფოა 1912 წლიდან. ნატო-ს წევრი ქვეყანაა. ალბანეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი სახელმწიფო. აწარმოებს ქრომის, რკინა-ნიკელის, ბრინჯაოს მადანის, ნახშირის და ნავთობის მოპოვებას. საზღვაო პორტებია: დურესი, ვლიორა, შემგინი, სარანდა. საერთაშორისო აეროპორტი – რინასი (ტირანა).

   შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს: 10000 კაცს (2010წ.), რეზერვი – 4500 კაცს.

8. **ალჟირი (ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა)** სახელმწიფო ჩდილოეთ აფრიკაში. ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ხმელთაშუა ზღვის წყლებით. ფართობი 2381,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა 34,2 მლნ. კაცი (2009წ.). შემადგენლობა ალჟირელი არაბები და ბერბერები. ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ალჟირი. ადმინისტრაციული დაყოფა – 48 ვილაიეთი. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. ალჟირმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1962წლის 05 ივლისს. ალჟირი აგრარული ქვეყანაა, განვითარებული სამთო მოპოვებითი მრეწველობით (ნავთობის, ბუნებრივი აირის, რკინის მადანის, ფერადი ლითონის და სხვ. მოპოვება). სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილების 1/3-ს. ძირითადი საზღვაო პორტებია: არზვეი, ბედჟაია, სკიკდა, ალჟირი, ანაბა.

   შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 737500 კაცს (2007წ.), შედგება სახმელეთო ჯარების (120000), სამხედრო-საჰაერო ძალების (10000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (7500). სახმელეთო ჯარების დაკომპლექტება ხდება გაწვევით, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების დაქირავებით. გასამხედროებული ფორმირებებია: ჟანდარმერია, ეროვნული (ნაციონალური) უსაფრთხოების ძალები, რესპუბლიკური გვარდია.

9. **ამერიკა** დედამიწის ნაწილი, წარმოქმნილი ორი კონტინენტით – ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკით, მათ შორის საზღვარი არის დარიენის (ზოგჯერ პანამის) ყელი. გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაახლოებით 16 ათასი კმ-ით. ამერიკის შემადგენლობაში შედის გრელანდიის და სხვა ახლომდებარე კუნძულები. ფართობი 42.5 მლნ, კმ^2. ჩრდილოეთ ამერიკაში ხშირად გამოყოფენ ცენტრალურ

ამერიკას და ვესტ-ინდოეთს. ქვეყანების ჯგუფს, განლაგებულს ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ნაწილსა და მთელ სამხრეთ ამერიკაში, ხშირად მოიხსენიებენ საერთო სახელით – ლათინურ ამერიკად. ამერიკა გარშემორტყმულია ატლანტის, წყნარი და ჩრდილოეთ-ყინულოვანი ოკეანეებით. ამერიკის რელიეფში გამოიყოფა მთები დასავლეთით, ვაკეები და დაბლობები ცენტრალურ ნაწილსა და აღმოსავლეთში. ალიასკიდან კუნძულ ცეცხლოვან მიწამდე წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმულია კორდილიერების მთიანი სისტემა (სამხრეთ ამერიკაში მას ანდებს უწოდებენ), ატლანტის ოკეანის სანაპიროზე ჩრდილოეთ ამერიკაში – აპალაჩის მთები, სამხრეთ ამერიკაში – გვიანის და ბრაზილიის დაბალმთიანეთი. ჩრდილოეთ ამერიკაში კორდილიერებსა და აპალაჩებს შორის, სამხრეთ ამერიკაში მდინარე ამაზონის, პარანასა და ორინოკოს აუზში – ვაკე-დაბლობების ზონებია გადაჭიმული (დიდი და ცენტრალური ვაკე, ამაზონის დაბლობი, ლაპლასიის ვაკე, ლიანის – ორინოკო, ჩრდილოეთ ამერიკაში ატლანტისპირა და მექსიკისპირა დაბლობი). ამერიკა მდებარეობს 7 კლიმატურ ზონაში. ამერიკის დიდი მდინარეებია: მისისიპი (მისურით), ამაზონი (მადეირათი), პარანა (პარაგვაით). ჩრდილოეთ ამერიკაში დიდი ტბებია: ზემო ტბა, ჰურონი, მიჩიგანი, დიდი დათვის, ვინიპეგი, ონტარიო და სხვ. მცენარეული საფარი მრავალფეროვანია (ტუნდრა, პრერია, ნახევარუდაბნო და უდაბნო, ტყეები და სავანები), ამერიკის წიაღი მდიდარია რკინისა და მარგანეცის, ფერადი და იშვიათი ლითონებით, ქვანახშირით, ნავთობით, ბუნებრივი აირით და სხვ. ამერიკის მოსახლეობა მრავალფეროვანია. მასში შერეულია ევროპეიდული, მონგოლოიდური და ნეგროიდული რასები. განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და წყნარი ოკეანის აშშ-ს სანაპირო რაიონები, ცენტრალური ამერიკა, ვესტ-ინდოეთი, სამხრეთ ამერიკის ცენტრალური ნაწილი. თითქმის დაუსახლებელია ალიასკა, კანადის ჩრდილოეთი ნაწილი, ამაზონის აუზი. ამერიკაში მდებარეობს 25 სახელმწიფო და 14 დამოუკიდებელი ტერიტორია. ამერიკის სახელწიფოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში. წამყვანი როლი ეკუთვნის აშშ-სა და კანადას.

10. **ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)** სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში. შედგება სამი ნაწილისაგან: აშშ-ს კონტინენტური ნაწილისაგან, ალიასკისა და ჰავაის კუნძულებისაგან. კონტინენტური ნაწილი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით, აღმოსავლეთიდან ატლანტის ოკეანით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მექსიკის ყურით. ალიასკა ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანით, დასავლეთიდან და სამხრეთიდან წყნარი ოკეანით. ჰავაის კუნძულები მდებარეობენ წყნარ ოკეანეში. საერთო ფართობი 9826675 ათასი კმ^2. მოსახლეობა 308,745 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი ქ. ვაშინგტონი. ადმინისტრაციული დაყოფა: 50 შტატი და კოლუმბიის ფედერიალური ოლქი. აშშ-ს მფლობელობაში შედის 20-მდე დამოკიდებული ტერიტორია (იხ. დამოკიდებული ტერიტორიები). აშშ ფედერაციული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი კონგრესი (სენატი და წარმომადგენელთა პალატა). აშშ ნატოს-ს და 70-მდე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და წამყვანი ქვეყანაა. ჩრდილოეთ ამერიკაში 1775-1783წ.წ. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის

პერიოდში 13 ინგლისური კოლონია გაერთიანდნენ და გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები (04.07.1776წ.) და ახალ სახელმწიფოდ აღიარებულ იქნენ პარიზის ხელშეკრულებით 1783 წელს. XIX და XX საუკუნეების განმავლობაში 13 შტატს დაემატა 37 შტატი ქვეყნის დასავლეთით გაფართოებასთან ერთად. პირველ და მეორე მსოფლიო ომებში გამარჯვებებში და ცივი ომის დამთავრების შემდეგ (1991წ.) აშშ ხდება მსოფლიოს ყველაზე ძლიერ და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნად. აშშ აწარმოებს მთელი მსოფლიო წარმოების 20%-მდე პროდუქციას და ლიდერობს დამამუშავებელი მრეწველობის თითქმის ყველა დარგში. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგროსამრეწველო კომპლექსს – აშშ წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს ექსპორტიორს სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მისი წილი მსოფლიო ბაზარზე 25%-ს აღწევს. მრეწველობისა და აგრარული კომპლექსის დამახასიათებელია მაღალი კომპიუტერიზაცია, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა სამეცნიერო მეთოდების გამოყენება. აშშ წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილეს იარაღის მწარმოებელს. სამხედრო მრეწველობა მაღალგანვითარებულია, განსაკუთრებით მაღალ განვითარებას მიაღწია აერო-კოსმოსურმა, ელექტრო და ატომურმა მრეწველობამ. ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები მიმართული სტრატეგიული და ოპერატიულ-სტრატეგიული რაკეტების, რადიოლოგიური და ლაზერული იარაღის, თანამგზავრ-საწინაღო სისტემების, ფრთოსანი რაკეტების, ნავსაწინაღო სისტემების, რადიოელექტრონული ბრძოლის და კოსმოსური დაზვერვის. მაღალგანვითარებულია სარკინიგზო, საგზაო და საჰაერო კომუნიკაციების ქსელი. ატლანტის ოკეანეზე უმსხვილესი საზღვაო პორტებია: ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბალტიმორი, ბოსტონი, ნორფოლკი, ნიუპორტ-ნიუსი. მექსიკის ყურეში: ახალი ორლეანი, ჰიუსტონი, კორპუს-კრისტი, ტამპა, ბომონტი. წყნარი ოკეანის სანაპიროზე: ლონგ-ბიჩი, ლოს-ანჯელესი, ოკლენდი, სიეტლი, ვალდიზი. დიდი ტბების მთავარი პორტებია: ჩიკაგო, დულუტი, ბუფალო, დეტროიტი, კლივლენდი. უმსხვილესი საერთაშორისო აეროპორტებია: ნიუ-იორკი (ჯონ ფ. კენედის სახელობის), ჩიკაგო (ო'ჰარა), ლოს-ანჯელესი, ვაშინგტონი (დალასი), სან-ფრანცისკო, მაიამი და სხვ.

შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების (არმია), სამხედრო-საჰაერო ძალების და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (ფლოტი, საზღვაო ავიაცია, საზღვაო ქვეითები და სანაპირო დაცვა). საერთო რაოდენობა შეადგენს 2278620 კაცს (2009წ.), მათ შორის 1445000 კაცი რეგულარულ ჯარებში და 833616 კაცი ორგანიზაციულ რეზერვში. სახმელეთო ჯარების საერთო რაოდენობა შეადგენს 774000 კაცს, მათ შორის რეგულარულ ჯარებში – 569000, ორგანიზაციულ რეზერვში – 403626 და ეროვნულ გვარდიაში – 205000. სამხედრო-საზღვაო ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 332000 კაცს, მათ შორის ორგანიზებულ რეზერვში 67000, სამხედრო-საჰაერო ძალებში – 334393 კაცს, მათ შორის ორგანიზებულ რეზერვში – 142000 კაცს. აშშ-ს შეიარაღებული ძალები იყოფა სტრატეგიულ და საერთო დანიშნულების ძალებად. სტრატეგიული ძალები იყოფიან სტრატეგიულ შეტევით და სტრატეგიული თავდაცვით ძალებად. სტრატეგიული შეტევითი ძალები შეიცავენ სახმელეთო ბაზირების სტრატეგიულ ძალებს, სტრატეგიულ ავიაციას და საზღვაო ბაზირების სტრატეგიულ სარაკეტო

ძალებს. სტრატეგიული თავდაცვითი ძალები შეიცავენ სარაკეტო-ბირთვული დარტყმის გაფრთხილების (შეტყობინების) სისტემებს, კოსმოსური სივრცის კონტროლის სისტემას და საჰაერო თავდაცვის საშუალებებს. აშშ-ს შეიარაღებული ძალების ნაწილი განთავსებულია საზღვრებს გარეთ. განსაკუთრებით მსხვილი მოწინავე დაჯგუფებები განლაგებულია ევროპის ზონაში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში. აშშ-ს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით. აშშ-ს შეირაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ქვეყნის პრეზიდენტია. პრეზიდენტი და თავდაცვის მდივანი (მინისტრი) ქმნიან ნაციონალურ სამხედრო ხელმძღვანელობას, მათ ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფენ ეროვნული უშიშროების საბჭო და შტაბების უფროსების კომიტეტი.

11. **ანგოლა (ანგოლას რესპუბლიკა)** სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთით. დასავლეთიდან შემოფარგლულია ატლანტიკის ოკეანის წყლებით. ფართობი 1246,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა შეადგენს 18,498 მლნ. კაცს (2009წ.), მოსახლეობის 98%-ს ნიგერ-კონგოს ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ. ოფიციალური ენა პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. ლუანდა. ადმინისტრაციული დაყოფა: 18 პროვინცია. სახლემწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ნაციონალური ასამბლეაა. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა 1975 წლის 11 ნოემბერს. ეკონომიკურად განვითარებულია სუსტად, მის საფუძველს წარმოადგენს სამთო-მოპოვებით მრეწველობა (ნავთობი, ალმასები, რკინის მადანი და სხვ.) და სოფლის მეურნეობა. საზღვაო პორტები: ნამიბე, კაბინდა, ლობიტუ, ლუანდა.

    შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა შეადგენს: 110000 კაცს (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (100000), სამხედრო-საჰაერო ძალებისა (7000) და, სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (3000). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

12. **ანდორა (ანდორას სამთავრო)** ჯუჯა სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-დასავლეთით, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. ფართობი 465 კმ^2, მოსახლეობა შეადგენს 84 ათას კაცს (2009წ.). ოფიციალური ენა კატალონური, ასევე მასთან ერთად თანაბარი უფლებებით გამოიყენება ფრანგული და ესპანური. დედაქალაქი ქ. ანდორა-ლა-ველია. ადმინისტრაციული დაყოფა: 7 რაიონი (parroquia). ანდორა პარლამენტური სამთავროა. სახელმწიფოს კონსტიტუციური მეთაურია – საფრანგეთის პრეზიდენტი და ურხელის ეპისკოპოსი (ესპანეთი). შემოსავლის მთავარი წყარო – უცხოელი ტურისტების მომსახურება.

    შეიარაღებული ძალები არ ჰყავს.

13. **ანტარქტიკა** წარმოადგენს სამხრეთ პოლარულ მხარეს ანტარქტიდის (ბერძნ. antu – საწინააღმდეგო, arktikos – ჩრდილოეთი) კონტინენტთან ერთად, გარშემორტყმულს ატლანტის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეებით თავისი კუნძულებითა და ზღვებით. ანტარქტიკის საზღვარი გადის ჩრდილოეთ თბილი და სამხრეთ თბილი ზედაპირული წყლების შერწყმის ზოლზე (ძირითადად სამრეთ განედის 48^0-60^0-ის საზღვრებში). ფართობი – 52,5 მლნ. კმ^2.

    გარემო პირობების დაცვის პროტოკოლის თანახმად (1991 წ. მადრიდი) დადგენილია 50 წლიანი მორატორიუმი ანტარქტიკის მინერალური რესურსების დამუშავებაზე.

14. **ანტიგუა და ბარბუდა** სახელმწიფო რომელიც მდებარეობს იმავე დასახელების კუნძულებზე და კუნძულ რედონდაზე კარიბის ზღვაში მდებარე მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფში. საერთო ფართობი შეადგენს 443 კმ^2, ხოლო მოსახლეობა 86754 კაცს (2010წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. სენტ-ჯონსი. ბრიტანული თანამეგობრობის წევრი. სახელწიფოს მეთაური დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა აღიარეს 01.11.1981 წლის 01 ნოემბერს. საზღვაო პორტებია: სენტ-ჯონსი (ანტიგუას კუნძულზე), კოდრინგტონი (ბარბადუს კუნძულზე).
შეიარაღებული ძალები შეადგენს 285 კაცს.

15. **არაბთა გაერთიანებული საამიროები** სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუძულის აღმოსავლეთით. გარშემორტყმულია სპარსეთისა და ომანის სრუტეებით. ფართობი 83,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა შეადგენს 6,0 მლნ. კაცს (2009წ.) მოსახლეობა წარმომავლობით არის 30% არაბები (მკვიდრი მოსახლეობა), დანარჩენი სხვები სხვა არაბული სახელმწიფოებიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან. სახელმწიფო ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. აბუ-დაბი. არაბთა გაერთიანებული საამიროები ფედერაციული სახელმწიფოა, შედგება 7 ემირატისაგან (სათავადოსგან): აბუ-დაბი, ანჯმანი, დუბაი, რას-ელ-ჰაიმა, უმ-ელ-კაივანი, ელ-ფუჯაირა და შარჯა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – ფედერაციის უმაღლესი საბჭო. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. სათათბირო ორგანო – ეროვნული საბჭო (პარლამენტი). აღმასრულებელი ხელისუფლება მინისტრთა საბჭო (მთავრობა). დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1917 წლის 2 დეკემბრიდან. ქვეყანა გამოირჩევა ცხოვრების მაღალი დონით. ეკონომიკის საფუძველია – ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჯაბელ-ალი, ჯანელ-დხანი, ფახლი, დუბაი, რუვაისი, მინა-საკრი. გააჩნია 6 საერთაშორისო აეროპორტი, მათგან ძირითადებია: აბუ-დაბი, დუბაი, რას-ელ ჰაიმა.
შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 65500 კაცს (2009წ.). შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (59000), სამხედრო-საჰაერო (4000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (2500). დაკომპლექტება ხორციელდება კონტრაქტით (დაქირავებით).

16. **არგენტინა (არგენტინის რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის წყლებით. ფართობი 2,8 მლნ. კმ^2. მოსახლეობა 40,1 მლნ. კაცი (2010წ.), 85% არგენტინელები. ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ბუენოს-აირესი. ადმინისტრაციული დაყოფა: 22 პროვინცია, ნაციონალური ტერიტორია, კუნძული ცეცხლოვანი მიწა და დედაქალაქის ფედერალური ოლქი. არგენტინა ფედერალური რესპუბლიკაა. ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები წარმოადგენენ სადავო ტერიტორიას დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია ნაციონალურ კონგრეს (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არგენტინა გამოცხადდა 1816 წლის 9 ივლისს. არგენტინა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინდუსტრიალ-აგრარული ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ტანკებს, ჯავშან-მანქანებს, რაკეტებს, თვითმფრინავებს,

ხომალდებს. აქ მდებარეობს ბირთვული კვლევების სამი ცენტრი. საზღვაო პორტებია: ბუენოს-აირესი, კომადორი-რივადავაია, როსერიო, ლა-პლატა, ბაია-ბლანკა. ათი საერთაშორისო აეროპორტია.

შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 71,4 კაცს (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (41000), სამხედრო-საჰაერო (12000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (17500). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით, გასამხედროებული ფორმირებებია ჟანდარმერია (სამხედრო პოლიცია), სანაპირო დაცვა.

17. **არქტიკა (ბერძ. arktikos – ჩრდილოეთის მიმართულების)** ჩრდილოეთ პოლუსის მიმდებარე პოლარული მხარე შეიცავს ევრაზიის, ჩრდილოეთ ამერიკის (კუნძულ გრელანდიის სამხრეთი ნაწილის და ლაბრადორის ნახევარკუნძულის გამოკლებით) ჩრდილოეთ განაპირა რაიონებს, თითქმის მთლიანად ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს (ნორვეგიის ზღვის სამხრეთი და აღმოსავლეთი მონაკვეთის გარდა), მასში არსებული ყველა კუნძულით (ნორვეგიის რამოდენიმე კუნძულის გარდა), აგრეთვე ატლანტის და წყნარი ოკეანეების ჩრდილოეთი ნაწილები. არქტიკა სამხრეთიდან შემოფარგლულია ჩრდილოეთ პოლარული წრით, ზოგჯერ საზღვარს ატარებენ ტუნდრის ზონის სამხრეთი კიდის გაყოლებით (ფართობი 27 მლნ. კმ^2, მათგან ხმელეთი 10 მლნ. კმ^2).

18. **ატლანტის ოკეანე** დედამიწის სიდიდით მეორე ოკეანე. ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია გრელანდიით, ისლანდიით, აღმოსავლეთიდან ევროპით და აფრიკით, დასავლეთიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკით, სამხრეთით – ანტარქტიდით. ფართობი – 91,66 მლნ. კმ^2, საშუალო სიღრმე 3500მ, მაქსიმალური – 8440მ. მატერიკული წარმოშობის კუნძულების ძირითადი ჯგუფები (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ნიუფაულენდი, დიდი და მცირე ანტილები, კანარის ფოლკლენდის და სხვ.) მდებარეობენ კონტინენტებთან ახლოს. ღია ოკეანეში ვულკანური წარმოშობის კუნძულები მცირე რაოდენობითაა (აზორის, სეიშელის, წმინდა ელენის, ტრისტან-და-კუნია და სხვ.). ყველა კლიმატურ ზონაში მდებარეობს წყლის ტემპერატურა ზედაპირზე ეკვატორთან 27^{0}C, ხოლო ზედა განედებში ოკეანე იყინება. ტროპიკულ და სუბტროპიკულ განედებში ზედაპირული დინებები წარმოქნიან ანტიციკლონურ, ჩრდილოეთ ზომიერ და სამხრეთ მაღალ განედებში – ციკლონურ ტურბულენტობას. ჩრდილოეთ სუბტროპიკულში – ტურბულენტობა წარმოიქმნება ჩრდილოეთ პასატური და გოლფსტრიმის თბილი და ცივი კანარის დინებით, სამხრეთი – თბილი პასატური, გოლფსტრიმის და ბრაზილიის, ცივი – დასავლეთ ქარებისა და ბენგალის დინებებით. ატლანტის ოკეანე პირველ და მეორე მსოფლიო ომებში წარმოადგენდა საომარი მოქმედებების მნიშვნელოვან თეატრს. მისი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში განპირობებულია სახელმწიფოთაშორისი და რეგიონთაშორისი კავშირების განვითარებით; ოკეანური და საზღვაო გადაზიდვების გაზრდით. ოკეანეს სანაპიროზე გამავალი ქვეყნები აწარმოებენ მრეწველობის 4/5-ზე და სოფლის მეურნეობის 3/5-ზე მეტ პროდუქციას პლანეტის მასშტაბით. ატლანტის ოკეანეზე მოწყობილია მსოფლიო საზღვაო პორტების 3/4-ზე მეტი. ხორციელდება მსოფლიო საზღვაო გადაზიდვების დაახლოებით 2/3. ატლანტის ოკეანეში მოპოვებული წიაღისეულიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ნავთობს და გაზს.

განსაკუთრებით დიდი მოცულობით მათი მოპოვება წარმოებს ჩრდილოეთ, კარიბის და ხმელთაშუა ზღვებში, მექსიკისა და გვინეის ყურეში, აგრეთვე მნიშვნელოვანია თევზის რეწვა, რაც შეადგენს მსოფლიო თევზჭერის 2/5-ზე მეტს. თავმოყრილია დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ფლოტების ძირითადი ძალები.

19. **აფრიკა** სიდიდით დედამიწის მესამე ნაწილია და მეორე კონტინენტი. ფართობი კუნძულებით 30,3 მლნ. კმ^2. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმულია 8000კმ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ჩრდილოეთ ნაწილში) 7500კმ-ზე. გარშემორტყმულია ატლანტის და ინდოეთის ოკეანეებით, ხმელთაშუა და წითელი ზღვებით. სუეცის ყელი აკავშირებს აფრიკას აზიასთან. გიბრალტარის სრუტე გამოჰყოფს მას ევროპიდან. აფრიკას განეკუთვნებიან მადაგასკარის, კომორის, სეიშელის, მწვანე კონცხის და სხვა კუნძულები. აფრიკის ტერიტორიის 2/3 უკავია უდაბნოებსა და სავანეებს. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 750მ, უმაღლესი წერტილი – ვულკანი კილიმანჯარო 5895მ. რელიეფში ჭარბობს ვაკე, პლატო და დაბალმთიანეთი. ზღვის დონიდან ამაღლებების მიხედვით აფრიკა იყოფა ჩრდილო-დასავლეთ დაბალ (200-400მ) ნაწილად (საჰარას და სუდანის ვაკე და პლატო), სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე 1000მ-ზე ზევით. საჰარას ცენტრში – მდებარეობს ახაგარის ტიბესტის, დარფურის მთიანეთები. ჩრდილო-დასავლეთიდან მას შემოსაზღვრავს ატლასის მთები, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ეთიოპიის მთიანეთი. ეკვატორიალურ აფრიკაში კონგოს დაბლობი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია სამხრეთ გვინეის მაღლობით, სამხრეთიდან ლუნდა-კატანგას დაბალმთიანეთით, ხოლო აღმოსავლეთით – აღმოსავლეთ აფრიკული დაბალმთიანეთით. სამხრეთით კალაჰარის ვაკე შემოფარგლულია დამარალენდის, დიდი ნამეკვალენდის და დრაკონის მთებით. მდინარეების სისტემა განსაკუთრებით ხშირი და წყალუხვია ეკვატორულ ზონაში. მსხვილი მდინარეებია: კონგო, ნილოსი, ნიგერი, ზამბეზი. აფრიკა ყველაზე ცხელი კონტინენტია. კლიმატური ზონები მოიცავს ეკვატორიალურ, ტროპიკულ, სუბტროპიკულ ზონებს. კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში გვხვდება – ხშირი, მარადმწვანე ნოტიონ ტროპიკული ტყეები. ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში ნალექის რაოდენობის შემცირებასთან ერთად ისინი იცვლებიან მარამარადმწვანე ტყეებით, შემდგომ მაღალბალახიანი სავანეებით, ტროპიკული მეჩხერი ტყეებით და უდაბნო-სავანეებით, უდაბნო რაიონებში (საჰარა, სუდანი) – უდაბნოს მცენარეულით. აფრიკას უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში მარგანეცის, ქრომიტების, ბოქსიტების, ოქროს, ალმასების, ფოსფორიტების მადნის მარაგებით; მეორე ადგილი – თუჯის, ასბესტის, ურანის, ბერილის, გრაფიტის მარაგებით; მესამე ადგილი – ნავთობის, აირის, ვერცხლისწყლის, რკინის მადნის მარაგებით. აფრიკის კონტინენტსა და მიმდებარე კუნძულებზე მდებარეობს 54 სახელმწიფო და რიგი დამოკიდებული ტერიტორიები.

20. **აღმოსავლეთ ტიმორი (ტიმორ-ლესტის დემოკრატიული რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მოიცავს ტიმორის კუნძულების ჩრდილოეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილს, პულაუ-ატაუროს და პულაუ-ჯაკოს კუნძულებს. საერთო ფართობი შეადგენს 15007კმ^2, ხოლო მოსახლეობა 1,1 მლნ. კაცს (2010წ.), ოფიციალური ენებია: ტეტუმი და პორტუგალიური. დედაქალაქი ქ. დილი. ადმინისტრაციული დაყოფა: 13 ადმინისტრაციული ოლქი. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპარტიული ნაციონალური

პარლამენტი. აღმსარულებელი ხელისუფლება – სახელმწიფო საბჭო (მთავრობა). აღმოსავლეთ ტიმორმა დამოუკიდებლობის აღიარებას 2002 წლის 20 მაისს მიაღწია.

აღმოსავლეთ ტიმორის თავდაცვითი ძალები მოიცავენ სახმელეთო ჯარებს და სამხედრო-საზღვაო ძალებს.

21. **ახალი ზელანდია** სახელმწიფო განლაგებული კუნძულებზე: ჩრდილოეთის, სამხრეთის, სტიუარტის, ჩატემის, კერმადაკის და სხვ. წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ფართობი შეადგენს 270,5 ათასი კმ^2, ხოლო მოსახლეობა 4,36 მლნ. კაცი (2010წ.), რომელთა 75% ინგლისელ-ახალზელანდიელები. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ველინგტონი. ადმინისტრაციული დაყოფა: 13 სტატისტიკური კუნძული. ფლობს: ნიუეს, კუკის კუნძულებს, ტოკელაუს. ახალი ზელანდია შედის ბრიტანულ თანამეგობრობაში სახელმწიფოს მეთაური – დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – წარმომადგენლობითი პალატა (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი მთავრობა. ახალი ზელანდია განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, ხორცის, რძისა და ტყავის მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი.

შეიარაღებული ძალები შეადგენს 9836 კაცს (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (5040), სამხედრო-საჰაერო (2599) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (2197). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

22. **ბანგლადეში (ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ აზიაში. სამხრეთიდან შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანის ბენგალიის სრუტით. ფართობი 143,9 ათასი კმ^2. მოსახლეობა 16,2 მლნ. კაცი (2009წ.), დასახლებულია ძირითადად ბენგალელებით. ოფიციალური ენა – ბენგალური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დაკა. ადმინისტრაციული დაყოფა – 4 მხარე. ბანგლადეში უნიტარული რესპუბლიკაა, შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ხელისუფლება – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი ხელისუფლება – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა აღიარებულია 1971 წლის 26 მარტიდან. აგრარული ქვეყანაა, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანაა მსოფლიოში. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჩიტაგონგი, მონგლა. საერთაშორისო აეროპორტებია: დაკა, ჩიტაგონგი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 137000 კაცი (2006წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (120000), სამხედრო-საჰაერო (6500) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (10500). დაკომპლექტება დაქირავებით.

23. **ბარბადოსი** სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში, კუნძულ ბარბადოსზე, რომელიც მდებარეობს მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფში. ფართობი 430კმ^2. მოსახლეობა 284,5 ათასი კაცი (2009წ.), ძირითადად დასახლებულია ბარბადოსელებით. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი ქ. ბრიჯთაუნი. ადმინისტრაციული დაყოფა: 11 რაიონი. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაური – ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1966 წლის 30 ნოემბერს. ეკონომიკის

საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება. საზღვაო პორტი ბრიჯთაუნი, საერთაშორისო აეროპორტი – გრანტლი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 650 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (500) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (110). დაკომპლექტება ხორციელდება მოხალისეებით.

24. **ბაჰამის კუნძულები (ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა)** სახელმწიფო ბაჰამის კუნძულებზე ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვაში. საერთო ფართობი 13,9 ათასი კმ^2. მოსახლეობა 338,9 ათასი კაცი (2009წ.), 75%-ზე მეტი ბაჰამელები (მულატები და ზანგები). ოფიციალური ენა ინგლისური. დედაქალაქი ქ. ნასაუ. ადმინისტრაციული დაყოფა: 18 ოლქი. ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაური – დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფო 1973 წლის 10 ივლისიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს – საერთაშორისო ტურიზმი, საფინანსო და სავაჭრო ოპერაციები. გააჩნია ორი საზღვაო პორტი და ორი საერთაშორისო აეროპორტი.

შეიარაღებული ძალები ბაჰამის თავდაცვის ძალები საერთო შემადგენლობით 860 კაცი (2009წ.), შეიცავს სამხედრო-საზღვაო ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

25. **ბაჰრეინი (სახელმწიფო ბაჰრეინი)** სახელმწიფო სპარსეთის ყურეში მდებარე ერთ-ერთ არქიპელაგზე. ფართობი 695 კმ^2. მოსახლეობა 708,5 ათასი კაცი (2008წ.), ძირითადად არაბები. ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი ქ. მანამა. ბაჰრეინი – კონსტიტუციური მონარქიაა (ემირატი). სახელმწიფოს მეთაური – ემირი. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია ემირს და ნაციონალურ კრებას, აღმასრულებელი – მთავრობას. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1971 წლის 14 აგვისტოს ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება. საზღვაო პორტები: სალმანი, სიტრა, მანამა. საერთაშორისო აეროპორტი – მუჰარაკი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8500 კაცი (2009წ.), შეიცავს სახმელეთო ჯარებს (6000), სამხედრო-საჰაერო (1500), სამხედრო-საზღვაო (700) და სანაპირო დაცვის ძალებს (260). დაკომპლექტება ხორცილედება მოხალისეებით.

26. **ბელგია (ბელგიის სამეფო)** სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ბელგია ჩრდილო-დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ჩრდილოეთის ზღვით. ფართობი 30,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 10,4 მლნ. კაცი (2009წ.) 50% – ფლამანდიელები, 35% – ვალონები. ოფიციალური ენა – ფრანგული, ნიდერლანდული, გერმანული. დედაქალაქი – ქ. ბრიუსელი. ადმინისტრაციული დაყოფა: 3 რეგიონი. ბელგია ფედერაციული სახელმწიფო, კონსტიტუციური მონარქიაა. სახლემწიფოს მეთაური – მეფე. საკანონმდებლო უფლებამოსილება გააჩნია მეფესა და ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. ბელგია დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1830 წლიდან. ბელგია ნატო-ს წევრი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე განლაგებულია ალიანსის უმაღლესი პოლიტიკური და უმაღლესი სამეხდრო ორგანოები. ბელგია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს თვითმფრინავებს, ქვეით საბრძოლო მანქანებსა და ჯავშატრანსპორტიორებს,

საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალებს, სანაღმე და ელექტრო აღჭურვილობას. უმსხვილესი საზღვაო პორტებია: ანტვერპენი, ზებრიუგი, გენტი. საერთაშორისო აეროპორტი: ბრიუსელი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 38000 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (26500), სამხედრო-საჰაერო (8600) და სამხედრო-საზღვაო (2600) ძალებისაგან. 2010 წლის 1 იანვრიდან დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობითი გაწვევით.

27. **ბელიზი** სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში, იუკატანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთში. ბელიზი აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია კარიბის ზღვით. ფართობი 23 ათასი კმ^2. მოსახლეობა 307,8 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი ქ. ბელმოპანი. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 ოლქი. ბელიზი დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაური დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გებერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ნაციონალური კრება (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. ბელიზი დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1991 წლის 21 ნოემბრიდან. ბელიზი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტი – ბელიზი, საერთაშორისო აეროპორტი – სტენლი-ფილდი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1100 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (1050) და თავდაცვის საზღვაო ძალებისაგან (50). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

28. **ბელორუსი (ბელარუსის რესპუბლიკა)** სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. ფართობი 207,6 ათას კმ^2. მოსახლეობა 9,46 მლნ. კაცი (2010წ.), 80% – ბელორუსები, 13% – რუსები, 4% – პოლონელები. ოფიციალური ენა – ბელორუსული, რუსულ ენას მინიჭებული აქვს ბელორუსულთან თანაბარი სტატუსი. დედაქალაქი – ქ. მინსკი. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 მხარე. სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ორპალატიანი პარლამენტი). 1990 წლის 27 ივლისიდან ბელორუსიის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. ბელორუსი ინდუსტიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, (ტრაქტორმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა, ხელსაწყომშენებლობა და სხვ.), ქიმიური, ნავთობ-ქიმიური, მსუბუქი და კვების პროდუქტების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია – მეცხოველეობა, კარტოფილის, ხორბლის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის მოყვანა. საერთაშორისო აეროპორტი – მინსკი-2.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 60000 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (29600), სამხედრო-საჰაერო (18170) ძალებისაგან გასამხედროებული ფორმირებები – სასაზღვრო და შინაგანი ჯარები. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით.

29. **ბენინი (რესპუბლიკა ბენინი)** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. სამხრეთიდან შემოფარგლულია ატლანტიკის ოკეანის გვინეის ყურით. ფართობი 112,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 8,7 მლნ. კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – პორტო-ნოვო. პრეზიდენტის რეზიდენცია – ქ. კოტონუ. ადმინისტრაციული

დაყოფა: 6 პროვინცია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. ბენინი დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1980 წლიდან. ბენინი – აგრარული ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტია – კატონუ.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 5100 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (4800), სამხედრო-საჰაერო (150) და სამხედრო-საზღვაო (100) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

30. ბოლივია (ბოლივიის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. ფართობი 1098,6 ათასი კმ^2, მოსახლეობა 10,9 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური, კეჩუა და აიმარა. დედაქალაქი – ქ. სუკრე, ფაქტიური –ქ. ლა-პასი. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 დეპარტამენტი. ბოლივია უნიტარული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია ნაციონალურ კონგრესს (ორპალატიანი პარლამენტი). სახელმწიფო დამოუკიდებელია 1825 წლიდან. ბოლივია ერთ-ერთი ნაკლებ განვითარებული ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში. მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგებია – სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, რომელშიც ძირითადი ადგილი უკავია თუთიის მოპოვებას. მსხვილი აეროპორტებია: ლა-პასი, სანტა-კრუსი- დე-ლა-სიერა, ტრინიდადი, კაჩამბა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 32500 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (24000), სამხედრო-საჰაერო (4000) და სამხედრო-სამდინარო (4500) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

31. ბოსნია და ჰერცეგოვინა სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში. შედგება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის და სერბეთის რესპუბლიკისაგან. გააჩნია ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელი (სანაპირო ხაზის გადაჭიმულობა – 20კმ). ფართობი 51 ათასი კმ^2. მოსახლეობა 4,6 მლნ. კაცი (2009წ.), 44% ბოსნიელები, 32% სერბები, 18% ხორვატები. ოფიციალური ენები: ბოსნიული, სერბიული და ხორვატიული. დედაქალაქი – ქ. სარაევო. სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოა – ბოსნიისა და ჰერცოგოვინის პრეზიდიუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – საპარლამენტო ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). ბოსნია და ჰერცეგოვინა დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1992 წლის 1 მარტიდან (1992 წლამდე შედიოდა იუგოსლავიის შემადგენლობაში). ბოსნია და ჰერცეგოვინა – ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა.

ფედერაციების შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11000 კაცი (2009წ.). შედგება სახმელეთო ჯარებისა (8500) და სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან (1500). დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრონციპით.

32. ბოტსვანა (რესპუბლიკა ბოტსვანა) სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 600,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,02 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა: ტეტსვანა და ინგლისური. სახელმწიფო მოწყობა – საპარლამენტო რესპუბლიკა. დედაქალაქი – ქ. გაბორონე. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 რაიონი და 4 საქალაქო საბჭო. ბოტსვანა შედის დიდი ბრიტანეთის

თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია პრეზიდენტს და ერთპალატიან ეროვნულ ასამბლეას. დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა 1966 წლის 30 ოქტომბერს. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11000 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (10000) და სამხედრო-საჰაერო (1000) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

33. **ბრაზილია (ფედერაციული რესპუბლიკა ბრაზილია)** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. ჩრდილო-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილები შემოსაზღვრულია ატლანტიკის ოკეანით. ლათინური ამერიკის ფართობითა და მოსახლეობით ყველაზე დიდი ქვეყანაა. ფართობი 8512 ათასი კმ^2, მოსახლეობა 192,2 მლნ. კაცი (2009წ.) დედაქალაქი – ქ. ბრაზილია. ოფიციალური ენა – პორტუგალიური. ადმინისტრაციული დაყოფა 26 შტატი და ფედერალური (დედაქალაქის) ოლქი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია ეროვნულ კონგრესს (ორპალატიან პარლამენტს). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1822 წლის 7 სექტემბერს. ბრაზილია წარმოადგენს სამხრეთ ამერიკის ეკონომიკური პოტენციალით, მრეწველობითა და სოფლის მეურნეობის წარმოებით უმსხვილეს ქვეყანას. მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მსოფლიოში მე-10 ადგილი უკავია. განსაკუთრებით განვითარებული დარგია: მანქანათმშენებლობა. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი აწარმოებს ტანკებს, ჯავშანტრანსპორტიორებს, საბრძოლო თვითმფრინავებსა და ხომალდებს, რაკეტების ზოგიერთი ტიპს, საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს. ძირითადი საზღვაო პორტებია: ტუბარანი, სან-სებასტიანი, სანტუსი, რიო-დე-ჟანეირო, პორტუ-ალეგრი, რიუ-გრანდი. ქვეყანას გააჩნია 10 საერთაშორისო აეროპორტი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 371,19 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (235,9), სამხედრო-საჰაერო (737,6) და სამხედრო-საზღვაო (60,0) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

34. **ბრუნეი (სახელმწიფო ბრუნეი – დარუსსალამი)** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან შემოსაზღვრულია სამხრეთ-ჩინეთის ზღვით. ფართობი 5,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 395 ათასი კაცი (2010წ.) 65% მალაიელები, 20% ჩინელები. ოფიციალური ენა: მალაიური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბანდარ-სერი-ბეგავანი. ბრუნეი კონსტიტუციური მონარქიაა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის შემადგენლობაში. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – სულთანი. ბრუნეიმ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1984 წლის 1 იანვარს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება. ძირითადი საზღვაო პორტები: მუარა, სერია, ლუმუტი. საერთაშორისო აეროპორტი: ბანდარ-სერი-ბეგავანი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 6,0 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (3900), სამხედრო-საჰაერო (1100), სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (900). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

35. **ბულგარეთი (ბულგარეთის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია შავი ზღვით. ფართობი

110,9 ათასი კმ^2. მოსახლეობა 7,57 მლნ. კაცი (2009წ.). 85% ბულგარელები. ოფიციალური ენა – ბულგარული, დედაქალაქი – ქ. სოფია. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 მხარე. ბულგარეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტია. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოა – სახალხო კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). თანამედროვე ბულგარეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1908 წლიდან. ბულგარეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. ბულგარეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია ტურიზმი, შავი ზღვის კურორტებით საერთაშორისო მნიშვნელობისაა. მთავარი პორტებია: ბურგასი, ვარნა. მთავარი საერთაშორისო აეროპორტია: სოფია.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 26,4 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან – (16,2), სამხედრო-საჰაერო (6700) და სამხედრო-საზღვაო (3470) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

36. **ბურკინა-ფასო** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. ფართობი 274,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 15,7 მლნ. კაცი (2009წ.), ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. უაგადუგუ. ადმინისტრაციული დაყოფა: 30 პროვინცია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 5 აგვისტოს ზედა ვოლტის რესპუბლიკის სახელით, რომელსაც სახელი გადაერქვა 1989 წელს. ბურკინა-ფასო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტები: უაგადუგუ, ბობო-დიულასო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,0 ათასი კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (6000), სამხედრო-საჰაერო (500) და ჟანდარმერიისაგან (1800). დაკომპლექტება ხორციელდება მოხალისეებით.

37. **ბურუნდი (რესპუბლიკა ბურუნდი)** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ესაზღვრება ტბა ტანგანიიკა. ფართობი 27,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 9,5 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები: კირუნდი, ფრანგული. დედაქალაქი: ქ. ბუჟუმბურა. ადმინისტრაციული დაყოფა: 15 პროვინცია. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სამეფო სამეფო რესპუბლიკა გამოცხადებულია 1966 წლის 28 ნოემბრიდან. ბურუნდი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მთავარი საერთაშორისო აეროპორტი – ბუჟუმბურა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 2.0 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების და ჟანდარმერიისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

38. **ბჰუტანი (სამეფო ბჰუტანი)** სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, აღმოსავლეთ ჰიმალაებში. ფართობი 46,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 691,1 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ძონგკე. დედაქალაქი – თიმფუ. ადმინისტრაციული დაყოფა: 8 ძონგი (პროვინცია). ბჰუტანში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – მეფეა. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა. აღმასრულებელ ძალაუფლებას ახორციელებს მეფე მინისტრთა კაბინეტის საშუალებით. ბჰუტანი აგრარული ქვეყანაა ნახევრადფეოდალური

ურთიერთობებით, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანაა მსოფლიოში.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8000 კაცი (2008წ.) შედგება ბჰუტანის სახმელეთო ჯარების, ეროვნული მილიციისა და სამეფო გვარდიისაგან.

39. **გაბონი** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით, ფართობი 267,7 ათასი კმ. მოსახლეობა 1,545 მლნ. კაცი (2010წ). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ლიბრევილი. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური-პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. გაბონი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1960 წლის 17 აგვისტოდან. წარმოადგენს აფრიკის ერთ-ერთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს. ეკონომიკის საფუძველი სამთო-მოპოვებითი მრეწველობაა (ნავთობი,მარგანეცი, ურანი, და სხვა.), საზღვაო პორტებია – ლიბერვილი, ოვენდო, მაიუმბა. გაბონში ოთხი საერთაშორისო აეროპორტია.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობა 4700 კაცი (2007წ) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (3200), სამხედრო საჰაერო (1000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (500). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

40. **გაიანა (კოოპერატიული რესპუბლიკა გაიანა)** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო აღმოსავლეთში. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით. ფართობი 215 ათასი კმ. მოსახლეობა 752,9 ათასი კაცი (2010წ). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ჯორჯთაუნი. ადმინისტრაციული დაყოფა: 10 ოლქი. გაიანა შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1966 წლის 26 მაისს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და სამთო მოპოვებითი მრეწველობა. (მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია ბოქსიტების მოპოვებაში). საზღვაო პორტებია –ჯორჯთაუნი, ნიუ-ამსტერდამი. საერთაშორისო აეროპორტია ტიმეხრი (ჯორჯთაუნი).

შეიარაღებული ძალები საერთო რაოდენობით 1100 კაცი (2009წ) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (900), სამხედრო საჰაერო ძალებისა (100) და სანაპირო დაცვისაგან (100). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

41. **გამბია (რესპუბლიკა გამბია)** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით, ფართობი 11,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 1,705 მლნ კაცი (2009წ.) ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბანჯული. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 მხარე. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება. დამოუკიდებელი სახელმწიფო 1965 წლის 18 თებერვლიდან. გამბია ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა (მთავარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია არახისი). მთავარი საზღვაო პორტია – ბანჯული. საერთაშორისო აეროპორტი – იუნდუმი-იუნდემი (ბანჯული).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1900 კაცი (2009წ) შედგება სახმელეთო ჯარების, პრეზიდენტის გვარდიისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

42. **განა (რესპუბლიკა განა)** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ქვეყნის სამხრეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის გვინეის ყურით. ფართობი 238,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 23,837 მლნ კაცი(2010წ.). ოფიციალური ენა ინგლისური. დედაქალაქი – ქ. აკრა. ადმინისტრაციული დაყოფა: 10 მხარე. განა შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური-პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო- ერთპალატიანი პარლამენტი. განამ დამოუკიდებლობა აღიარა 1957 წლის 6 მარტს. განა აგრარული ქვეყანაა (მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია კაკაოს წარმოებაში). განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობით (ოქრო, ალმასები, მარგანეცი, ბოქსიტები), საზღვაო პორტებია–თემა, ტაკორადი, აკრა, სეკოიდი. საერთაშორისო აეროპორტი – აკრა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 7000 (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (5000), სადაც გაერთიანებულია სამხედრო საჰაერო ძალები (1000) და სამხედრო-საზღვაო ძალები (1000). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

43. **გერმანია (ფედერაციული რესპუბლიკა გერმანია)** სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ქვეყნის ჩრდილოეთი შემოსაზღვრულია ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებით, რომლებიც შეერთებულია კილის არხით. ფართობი 357 ათასი კმ^2. მოსახლეობა 82,757 მლნ. კაცი (2010წ.) – 94% – გერმანელებია. ოფიციალური ენა – გერმანული. დედაქალაქი – ბერლინი. ადმინისტრაციული დაყოფა: 16 მიწა. სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, შემდგარი ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისგან, აღმასრულებელი – ფედერალური მთავრობა ფედერალური კანცლერის ხელმძღვანელობით. თანამედროვე სახით გერმანია ჩამოყალიბდა 1990 წლის 3 ოქტომბერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების გაერთიანებით, რომელბიც მდებარეობდნენ მეორე მსოფლიო ომისშემდგომი გერმანიის თანამედროვე ფარგლებში. გერმანია წარმოადგენს ნატო-ს წევრ ქვეყანას. გერმანია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. უკავია ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მსოფლიოშო სამრეწველო წარმოების მოცულობით, არის კაპიტალის მსხვილი ექსპორტიორი. სამხედრო მრეწველობა უშვებს ტანკებს, საბრძოლო ჯავშნიან მანქანებს, ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს, მრავალმიზნობრივ თვითმფრინავებს, ავიაგამანდგურებლებს, ყველა ტიპის ვერტმფრენს, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფინავებს, დიზელის წყალქვეშა ნავებს, სარაკეტო ფრეგატებს, სანაღმე-სატრალავ ხომალდებს, სარაკეტო კატარღებს, სხვადასხვა ტიპის საზენიტო მართვად რაკეტებს, საარტილერიო-ცეცხლსასროლ იარაღს. სამხედრო ტექნიკის მნიშვნელოვანი რაოდენობა გადის ექსპორტზე. სოფლის მეურნეობა ინტენსიური და მაღალპროდუქტიულია, უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს კვების პროდუქტებზე 90%-ით. სარკინიგზო გზების საერთო გადაჭიმულობა (ათასი კმ) 44,4 საავტომობილო გზების 636,3, მათგან 504,3 მყარი საფარით. მთავარი საზღვაო პორტებია: ჰამბურგი,

ბრემენი, ლუბეკი, ვილჰელმსხაფენი, როსტოკი. საერთაშორისო აეროპორტებია: შიონეფჰელდი, ტემპლ-ჰოპი (ბერლინი), კიოლნი, ბონი, ფრანკფურტი-მაინზე, დიუსელდორფი, ჰამბურგი, ჰანოვერი, ლეიფციგი, მიუნჰენი, ნიუნბერგი, შტუტგარტი. შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისაგან, საჰაერო და საზღვაო ძალებისგან, საერთო რაოდენობით 256 000 კაცი (2010წ). სახმელეთო ჯარები (163960) შეიცავს სამ საარმიო კორპუსს, 4 სატანკო, 2 მოტოქვეით და 1 სამთოქვეით დივიზიებს, 26 ბრიგადას, 8 საარტილერიო პოლკს, საჰაერო თავდაცვის 7 პოლკს, 8 სადაზვერვო ბატალიონს, სახმელეთო ჯარების შეიარაღებაშია დაახლოებით 3250 ტანკი, 2100 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 3700 ჯავშან-ტრანსპორტიორი, 3200 ქვემეხი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და ნაღმსატყორცნი, 2435 ტნკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო სისტემა. 1700-ზე მეტი საზენიტო ქვემეხი, 140 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, 620 ვერტმფრენი. სამხედრო-საჰაერო ძალები (62244) შედგება 23 ესკადრილიისგან, 26 საზენიტო-სარაკეტო დივიზიონისგან (ბატალიონისგან), 445 საბრძოლო თვითმფრინავისგან. სამხედრო-საზღვაო ძალებს (24400) გააჩნიათ 16 წყალქვეშა ნავი, 55 წყალზედა ხომალდი, 47 საბრძოლო კატარღა, საზღვაო-საავიაციო ფრთა (53 საბრძოლო თვითმფრინავი, 17 საბრძოლო ვერტმფრენი). დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით, გაწვევით სამსახურის ვადა 9 თვეა, დაქირავებით 10-23 თვე. მომზადებული რეზერვი – 162 ათასი კაცი.

44. **გვატემალა (რესპუბლიკა გვატემალა)** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ქვეყნის სამხრეთ დასავლეთი შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით, ქვეყნის აღმოსავლეთი გადის ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვის სანაპიროზე. ფართობი 108,9 ათასი კმ^2. მოსახლეობა 13,276 მლნ. კაცი (2009წ), ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. გვატემალა. ადმინისტრაციული დაყოფა: 22 დეპარტამენტი. ქვეყნისა და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1821 წელს. გვატემალა აგრარული სახელმწიფოა (ტროპიკული კულტურების მოყვანა და ექსპორტი). გააჩნია ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიაწამლის წარმოების საწარმო. საზღვაო პორტებია – დასავლეთში: სან ხოსე, ჩანპერინო, კასალი; აღმოსავლეთში: უერტო-ბარიოსი. საერთაშორისო აეროპორტი – გვატემალა.
შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15 500 კაცი (2009წ) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (13500), სადაც გაერთიანებულია სამხედრო საჰაერო ძალები (700) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (1000). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

45. **გვინეა (გვინეის რესპუბლიკა)** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ქვეყნის დასავლეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით. ფართობი 245,9 ათასი კმ . მოსახლეობა 10,057მლნ კაცი (2009წ), ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. კონაკრი. ადმინისტრაციული დაყოფა: 8 პროვინცია. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1958 წლის 2 ოქტომბერს. გვინეა აგრარული ქვეყანაა განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობით (ავსტრალიის შემდეგ მე-2 ადგილი უკავია მსოფლიოში

ბოქსიტების მოპოვებითა და ექსპორტით). საზღვაო პორტებია: კონაკრი, კამსარი. საერთაშორისო აეროპორტი – კონაკრი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 19650 კაცი (2006 წ.), შედგება სახმელეთო ჯარებისგან (15 000), სამხედრო-საჰაერო (700) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (900). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

46. **გვინეა-ბისაუ (რესპუბლიკა გვინეა ბისაუ)** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ქვეყნის დასავლეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით. ფართობი 36,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 1,647 მლნ კაცი (2010წ). ოფიციალური ენა – პორტუგალიური. ედაქალაქი – ქ. ბისაუ. ადმინისტრაციული დაყოფა: ავტონომიური სექტორი ბისაუ და 8 ოლქი. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული სახალხო კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). აღმასრულებელი უფლებამოსილება გააჩნია პრეზიდენტს. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1973 წლის 24 სექტემბერს. გვინეა-ბისაუ აგრარული ქვეყანაა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული სახელმწიფო. საზღვაო პორტებია–ბისაუ, კაშეუ. საერთაშორისო აეროპორტი – ბისაუ.

შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობით 6000 კაცი (2008წ) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან, სამხედრო საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. 2010 წლის 1 აპრილს განხორციელდა პუტჩი. ამჯერად მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების რეფორმა.

47. **გრენადა** სახელმწიფო იმავე სახელწოდების კუნძულზე, მცირე ანტილიის ჯგუფი გრენადინეს კუნძულების სამხრეთ ნაწილში. საერთო ფართობი 344,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 107 ათასი კაცი (2010წ). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. სენტ-ჯორჯესი. ადმინისტრაციული დაყოფა: 7 რაიონი. გრენადა შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1974 წლის 7 თებერვალს. გრენადა აგრარული ქვეყანაა აწარმოებს მუსკატის თხილს, (მსოფლიო მოპოვების 1/3-ს).

შეიარაღებული ძალების რაოდენობა 960 კაცი (2009წ). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

48. **დანია (დანიის სამეფო)** სახელმწიფო ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში, იუტლანდიის ნახევარკუნძულსა და ბალტიისა და ჩრდილოეთ ზღვაში მდებარე კუნძულებზე. ფართობი 43 ათასი კმ^2. მოსახლეობა 5,5 მლნ. კაცი (2010 წ.). ოფიციალური ენა – დანიური. დედაქალაქი – ქ. კოპენჰაგენი. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 მხარე. დანიის შემადგენლობაში ავტონომიად შედიან კუნძული გრენლანდია და ფარერის კუნძულები. დანია – საკონსტიტუციო მონარქიაა. სახელმწიფოს ხელმძღვანელობს მონარქი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია მონარქს და ფოლკეტინგს (ერთპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მონარქს, რომლის სახელითაც მას ახორციელებს მთავრობა. დანია ნატო-ს წევრი ქვეყანაა. დანია მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრაგული ქვეყანაა. ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტზე. სამხედრო მრეწველობა სპეციალიზირებულია სამხედრო ხომალდების და შეიარაღების ცალკეული სახეობების წარმოებაზე.

მთავარი საზღვაო პორტია კოპენჰაგენი. საერთაშორისო აეროპორტია – კასტრუპი (კოპენჰაგენი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 26580 (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (15500), სამხედრო-საზღვაო (4500) და სამხედრო-საჰაერო (5300) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით. გასამხედროებული მოხალისეთა ორგანიზაცია ჰამვერი საერთო შემადგენლობით 53000 კაცი ახორციელებს ტერიტორიული თავდაცვისა და შეიარაღებული ძალებისთვის მხარდამჭერი ამოცანების გადაწყვეტას.

49. დიდი ბრიტანეთი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, ბრიტანეთის კუნძულებზე. ფართობი 244,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 62 მლნ. კაცი (2010წ.), აქედან 80% – ინგლისელები, 10% – შოტლანდიელები, 4% – ირლანდიელები, უელსელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ლონდონი. დიდი ბრიტანეთი შედგება 4 ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონისაგან: ინგლისი (39 საგრაფო, 6 მეტროპოლიური საგრაფო და დიდი ლონდონის განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეული), უელსი (8 საგრაფო), შოტლანდია (12 ოლქი), ჩრდილოეთ ირლანდია (26 ოლქი), კუნძული მენი და ნორმანდიის კუნძულები – დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებს წაარმოადგენენ. დიდი ბრიტანეთი ხელმძღვანელობს დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობას, რომელიც შედგება მისი ყოფილი კოლონიებიდან, ასევე გააჩნია დამოკიდებული ტერიტორიები. დიდი ბრიტანეთი კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენს. სახელმწიფოს მეთაური მეფეა. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია მეფეს და პარლამენტს (შედგება ლორდთა და თემთა პალატებისგან). აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში პრემიერ-მინისტრი დგას, რომელიც ინიშნება მეფის მიერ. დიდი ბრიტანეთი გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრი და ნატო-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა. დიდი ბრიტანეთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა. მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სამრეწველო წარმოებით, კაპიტალის უმსხვილესი ექსპორტიორია. ქსპორტის 90%-ს შეადგენს სამრეწველო საქონელი. უმნიშვნელოვანესი დარგებია: მანქანათმშენებლობა (ელექტროტექნიკური, რადიოელექტრონული, ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება, მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა და სხვ.), ქიმიური, ნავთობქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, მეტალურგიული მრეწველობა. სწრაფი ტემპებით ვითარდება ატომური მრეწველობაც – მოქმედებს 14 ატომური ელექტროსადგური. სოფლის მეურნეობა მაღალინტენსიურია. აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნების 75%-ზე მეტს. სამხედრო მრეწველობა აკმაყოფილებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს შეიარაღებისა და ტექნიკის მიმართ, ასევე, მათი ნაწილი გადის ექსპორტზე. იწარმოება თანამედროვე საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების ყველა სახეობა (მათ შორის წყალქვეშა ნავები, ავიამზიდები, სარაკეტო ფრეგატები, საბრძოლო თვითმფრინავები და ა.შ.), საბრძოლო მასალის ყველა ტიპი (მათ შორის ბირთვული). ქვეყანაში 300 პორტზე მეტია, მათ შორის ყველაზე მსხვილია: ლონდონი, სალომ-ვო, მიდლსბორო, ლილფორდ-ჰეივენი, საუთჰემპტონი,

ლივერპული და სხვ. 20-ზე მეტი საერთაშორისო აეროპორტია, მათ შორის უმსხვილესია: ჰიტროუ (ლონდონი), გატვიკი და სხვ.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 194440(2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (113970), სამხედრო-საზღვაო (35000), სამხედრო-საჰაერო (44300) და რეზერვისგან (191300). გასამხედროებული ფორმირება – ტერიტორიული ჯარები (33130). შეიარაღებული ძალების კონტინგენტები განთავსებულია მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. სამხედრო მრჩევლები ამოცანებს ასრულებენ მსოფლიოს 30 ქვეყანაში. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

50. დომინიკა (დომინიკის თანამეგობრობა) სახელმწიფო მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე. ფართობი 749,8 კმ^2. მოსახლეობა 72660 კაცი (2008წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. როზო. დომინიკა შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის შემადგენლობაში. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1978 წლის 3 ნოემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – როზო.

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია.

51. დომინიკის რესპუბლიკა სახელმწიფო მდებარე კუნძულ ჰაიტის ნაწილსა და დიდი ანტილის კუნძულთა ჯგუფის რამოდენიმე მცირე კუნძულზე. ფართობი 48 ათასი კმ^2. მოსახლეობა 10 მლნ. კაცი (2009 წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სანტო-დომინგო. ადმინისტრაციული დაყოფა: 26 პროვინცია და (დედაქალაქის) ოლქი. სახელმწიფოსა და მთავრობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). დომინიკის რესპუბლიკა სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. აწარმოებს რკინა-ნიკელის მადანისა და ბოქსიტების მოპოვებას საექსპორტოდ. საზღვაო პორტებია: სანტო-დომინგო, პუერტო-პლატა, ლა-რომანა, ბარაონა. საერთაშორისო აეროპორტი – პუერტო-კაუსედო (სანტო-დომინგო).

შეიარაღებული ძალები საერთო რაოდენობით 44 000 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (20000), სამხედრო-საჰაერო (5500) და სამხედრო-საზღვაო (4000) ძალებისგან. შეიარაღებული ძალების 40%-მდე გამოიყენება არასამხედრო ამოცანების შესრულებისთვის, როგორიცაა უსაფრთხოებისა და დაცვითი ფუნქციები. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

52. ეგვიპტე (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა) სახელმწიფო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ აფრიკასა და სინაის ნახევარკუნძულზე აზიაში. ქვეყნის ჩრდილოეთი შემოსაზღვრულია ხმელთაშუა ზღვით, ხოლო აღმოსავლეთი – წითელი ზღვით. ფართობი 1001,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 79,1 მლნ. კაცი (2010 წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ქაირო. დმინისტრაციული დაყოფა: 27 მუჰაზაფი (საგუბერნატორო). სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია ეროვნულ კრებას (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ხელისუფლება გააჩნია პრეზიდენტს. ეგვიპტე აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპებით. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს იარაღს, საბრძოლო მასალებს, მყარ სარაკეტო საწვავს, ელექტრონულ ხელსაწყოებს, ჯავშან-ტრანსპორტიორებს. აწარმოებს

თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების აწყობას. ქვეყნის მთავარი საზღვაო პორტებია: ალექსანდრია, პორტ-საიდი. მნიშვნელოვანი საერთაშორისო აეროპორტი: ქაირო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 498 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (450000), სამხედრო-საზღვაო (18000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (30000). რეზერვი (480000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

53. **ევროპა (ასირიული ერებისაგან – დასავლეთი)** დედამიწის ნაწილი, ევრაზიის კონტინენტის დასავლეთი ნაწილი. მდებარეობს აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ჩრდილო-დასავლეთში. ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანით. დასავლეთიდან და სამხრეთიდან ატლანტის ოკეანის ზღვებით. ფართობი 10 მლნ. კმ^2. მათგან არქიპელაგებს და კუნძულებს უკავიათ 730 ათასი კმ^2. მათგან ყველაზე მსხვილებია: ბრიტანეთის, ისლამდია, ახალი მიწა, შპიცბერგენი. სანაპირო ხაზი ძლიერადაა დანაწევრებული. ევროპის 25% მოდის ნახევარკუნძულებზე, რომელთაგანაც ყველაზე მსხვილია სკანდინავიის, პირინეის, აპენინის, ბალკანეთის. მრავლად გვხვდება ყურეები და სრუტეები. რელიეფში ჭარბობს ბორცვიანი ვაკეები (აღმოსავლეთ ევროპის, შუა ევროპის, შუა და ქვედა დუნაის, პარიზის აუზი და სხვ.). ტერიტორიის 17% უკავიათ მთებს (ალპები, კარპატები, პირინეი, აპენინი, ურალი, სკანდინავი და სხვ.). ზედაპირის საშუალო სიმაღლე დაახლოებით ზღვის დონიდან 300მ, მაქსიმალური – 4807მ. (მთა მონბლანი ალპებში). ტერიტორიის დიდ ნაწილზე კლიმატი ზომიერი, ხმელთაშუა ზღვისპირეთში – სუბტროპიკული. უმნიშვნელო ფართობი მოქცეულია არკტიკულ და სუბარქტიკულ კლიმატურ სარტყლებში. მდინარეული ქსელი ხშირია. მსხვილი მდინარეებია: ვოლგა, დუნაი, დნეპრი, დონი, პეჩორა, რეინი, ელბა (ლაბა), ვისლა, ოდერი (ოდრა), სემა. ტერიტორიის 1/3 უკავიათ ტყეებს. წიაღში მოიპოვება ნავთობი, გაზი, ნახშირი, რკინის მადანი, ფერადი ლითონები და სხვ. ფართოდაა წარმოდგენილი სარკინიგზო და საავტომობილო გზები, სამდინარო და ავია ხაზები. ევროპა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რეგიონია მსოფლიოში. მოსახლეობა 731 მლნ. ადამიანი (2009წ.). ეროვნებების განსახლება ძირითადად ემთხვევა სახელმწიფოების საზღვრებს. ევროპის ტერიტორიაზე ვრცელდება რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთისა და თურქეთის ტერიტორიების ნაწილები. ევროპის 42 სახელმწიფოდან ნატო-ს წევრი ქვეყანა 26-ია.

54. **ეთიოპია (ეთიოპიის ფედერალური დემოკრატიული რესპუბლიკა)** სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფართობი 1096 ათასი კმ^2. მოსახლეობა 85,2 მლნ. კაცი (2010წ.), შედგება 100 ეთნოსზე მეტი ხალხიგან. ოფიციალური ენა – ამჰარული. დედაქალაქი – ქ. ადის-აბება. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 შტატი. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ხელისუფლებას ფლობს პარლამენტი, აღმასრულებელს – მთავრობა. ეთიოპია სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ექპორტს წარმოადგენს ყავა. იყენებს მეზობელი ქვეყნის პორტს: ჯიბუტს. საერთაშორისო აეროპორტი: ადის-აბება.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 138 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისა (135000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (2500). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

55. **ეკვადორი (რესპუბლიკა ეკვადორი)** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქვეყნის დასავლეთი შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით. ფართობი (გალაპაკოსის კუნძულის ჩათვლით) 283,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 14,8 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. კიტო. ადმინისტრაციული დაყოფა: 21 პროვინცია. სახელმწიფოსა და მთავრობის ხელმძღვანელი – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კონგრესი. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1830 წლიდან. ეკვადორი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა მსხვილი ნავთობმრეწველობით. სოფლის მეურნეობაში ძირითადი პროდუქტია ბანანები, ყავა, კაკაო, ბამბა. საზღვაო პორტებია: გუაკილი, ესმერალდასი. საერთაშორისო აეროპორტებია: კიტო, გუაკილი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 57,5 ათასი კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (46500), სამხედრო-საზღვაო (7200) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (4200). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

56. **ეკვატორიალური გვინეა (ეკვატორიალური გვინეის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ეკვატორიალურ აფრიკაში, გვინეის ყურის ნაპირებსა და ბიოკოს კუნძულებზე. ფართობი 28,05 ათასი კმ^2. მოსახლეობა 676 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ალაბო (ბიოკოს კუნძულზე). ადმინისტრაციული დაყოფა: 7 პროვინცია. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – სახალხო წარმომადგენელთა პალატა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1968 წლის 12 ოქტომბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კულტურების ექსპორტი (ყავა, კაკაო, ბანანები და სხვა) და ხე-ტყის დამუშავება. საზღვაო პორტები და საერთაშორისო აეროპორტებია: მალაბო, ბატა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1400 კაცი (2006წ.) მოიცავენ სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ნაწილებსა და ქვედანაყოფებს. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობით საფუძველზე.

57. **ერიტრია (სახელმწიფო ერიტრია)** სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი შემოსაზღვრულია წითელი ზღვით. ფართობი 125 ათასი კმ^2. მოსახლეობა 5,2 მლნ. კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ტიგრინია და არაბული. დედაქალაქი – ქ. ასმარა. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 პროვინცია. სახელმწიფოს და მთავრობის (სახელმწიფო საბჭოს) ხელმძღვანელი – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1993 წლის 24 მაისს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მემცენარეობა და მეცხოველეობა. საზღვაო პორტებია: მასაუა, ასაბი. საერთაშორისო აეროპორტი: ასმარა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 201,7 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (200000), სამხედრო-საზღვაო (1400) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (350). რეზერვი (120000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

58. **ესპანეთი (ესპანეთის სამეფო)** სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-დასავლეთში, პირინეის ნახევარკუნძულზე, შეიცავს ბალეარისა და კანარის კუნძულებს, მის მმართველობაში ასევე იმყოფება ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე მდებარე ქალაქები სეუტა და მელილია მიმდებარე ტერიტორიებით. შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანითა და ხმელთაშუა ზღვის წყლებით. ფართობი 504,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 46,1 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. მადრიდი. ადმინისტრაციული დაყოფა: 17 ავტონომიურ მხარეში შემავალი 50 პროვინცია. ესპანეთი საპარლამენტო მონარქიაა. სახელმწიფოს ხელმძღვანელი მეფეა. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია გენერალურ კორტეს (ორ პალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მთავრობას. ესპანეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. ესპანეთი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. დასავლეთ ევროპაში მე-5 ადგილი უკავია სამრეწველო წარმოების პროდუქციის მხრივ. ესპანეთი საერთაშორისო ტურიზმის მსხვილი რეგიონია. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ჯავშან-ტრანსპორტიორებს, სამხედრო ხომალდებს, საბრძოლო მასალებს. მთავარი საზღვაო პორტებია: ბილბაო, ალ-ხესერისი, ტარაგონა, ბარსელონა, ვალენსია, ხიხონი, ლა-კორუნია, კარტახენა. მთავარი საერთაშორისო აეროპორტებია: მადრიდი, ბარსელონა, ბილბაო, პალმა (მალიორკას კუნძული).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 128 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (79700), სამხედრო-საზღვაო (17900) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (27600). რეზერვი – 319 კაცი. გასამხედროებული ფორმირებები - სამოქალაქო გვარდია (72600). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის საფუძველზე.

59. **ესტონეთი (ესტონეთის რესპუბლიკა)** სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ფართობი 45,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 1,34 მლნ. კაცი (2010წ.). მათ შორის 65% ესტონელები, 30% – რუსები, 2,5% – უკრაინელები, 1,5% – ბელორუსები, 1% – ფინელები. ოფიციალური ენა – ესტონური. დედაქალაქი – ტალინი. ადმინისტრაციული დაყოფა: 11 მხარე (უეზდი). სახელმწიფოს ხელმძღვანელი – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – რიიგიკოგუ (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. ესტონეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. თანამედროვე ესტონეთი გამოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წლის 6 სექტემბერს. ესტონეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. აწარმოებს ფიქლების მოპოვებასა და დამუშავებას. განვითარებულია მანქანათმშენებლობა (ელექტრო და რადიოტექნიკური წარმოება, ხელსაწყოების წარმოება, გემების რემონტი), ქიმიური, ხე-ტყის დამამუშავებელი, ქაღალდის, საკვების წარმოება. სოფლის მეურნეობის საფუძველს მეცხოველეობა წარმოადგენს. მთავარი საზღვაო პორტებია: ტალინი, კუნდა, მუგა, პიარნუ. საერთაშორისო აეროპორტი: ტალინი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 475 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (4200), სამხედრო-საზღვაო (350) და სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან (200). რეზერვი 16 ათასი კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება საფუძველზე.

60. ვანუატუ (ვანუატუს რესპუბლიკა) სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ახალი ჰიბრიდების კუნძულებზე. ფართობი 12,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 221,4 ათასი კაცი (2007წ.). ოფიციალური ენები – ინგლისური, ფრანგული. სახელმწიფო ენა – ბიოლამა (ინგლისურის ადგილობრივი ვარიანტი). დედაქალაქი – ქ. პორტ-ვილა. ვანუატუ დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. ქვეყნის ხელმძღვანელი – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანი პარლამენტია, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1980 წლის 30 ივლისს. ვანუატუ სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურა ქოქოსის პალმაა. აწარმოებს მარგანეცის, ალმასების, ოქროს, ვერცხლის მოპოვებას.

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია.

61. ვატიკანი (სახელმწიფო ვატიკანი) სახელმწიფო იტალიის დედაქალაქ რომის დასავლეთ ნაწილში, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ცენტრი, მისი მეთაურის – რომის პაპის რეზიდენცია. ფართობი 0,44 კმ^2. მოსახლეობა 830 (2010წ.). ოფიციალური ენები – ლათინური და იტალიური. ვატიკანის წყობას წარმოადგენს აბსოლუტური თეოკრატიული მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია – რომის პაპი (აირჩევა სიცოცხლის ბოლომდე კარდინალების კოლეგიის მიერ), რომელსაც გააჩნია უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებამოსილება. ვატიკანისა და კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ მოღვაწეობას ახორციელებს რომის კურია (ვატიკანის მთავრობა). ვატიკანის სახელმწიფო ჩამოყალიბდა 1929 წელს. ვატიკანი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კაპიტალდამბანდებელი და აქციების მფლობელი სახელმწიფოა. მისი დაცვის ვალდებულება აღებული აქვს იტალიას. შვეიცარიელთა გვარდია ახორციელებს პაპისა და ვატიკანის შესასვლელის დაცვას.

62. ვენესუელა (ვენესუელას რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში, კარიბის ზღვისა და ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 916 ათასი კმ^2. მოსახლეობა 29,2 მლნ. კაცი (2010წ). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. კარაკასი. ადმინისტრაციული დაყოფა: 22 შტატი, ფედერალური დედაქალაქის ოლქი და 72 ფედერალური მფლობელობა (კუნძული კარიბის ზღვაში). ვენესუელა ფედერალური რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელი – პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო კონგრესია (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1811 წელს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის მოპოვება (მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია). სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ძირითადად საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ახორციელებს მსუბუქი თვითმფრინავებისა და მათი ძრავების რემონტს. საზღვაო პორტებია: ლა-გუაირა, მარაკაიბო, პუერტო-კაბელიო, პუერტო-ლა-კრუს, პუნტა-კორდონი. საერთაშორისო აეროპორტებია: კარაკასი, მარაკაიბო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 83000 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (63000), სამხედრო-საზღვაო (18300) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (1800). სახმელეთო ჯარების რეზერვი 8 ათას კაცს შეადგენს. გასამხედროებული ფორმირებებია – ეროვნული გვარდია (36000) და ეროვნული

მილიცია (40000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის საფუძველზე.

63. **ვიეტნამი (ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა)** სახელმწიფო აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. ქვეყნის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი შემოსაზღვრულია სამხრეთ-ჩინეთის ზღვით. ფართობი 332 ათასინ კმ^2. მოსახლეობა 89,0 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ვიეტნამური. დედაქალაქი – ქ. ჰანოი. ადმინისტრაციული დაყოფა: 57 პროვინცია და 4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი. სახელმწიფო ხელისუფლებისა და საკანონმდებლო უმაღლესი ორგანოა – ერთპალატიანი ეროვნული კრება. აღმასრულებელი ორგანოა – მთავრობა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. იზრდება მრეწველობის როლიც (სამთო მოპოვება, მანქანათმშენებლობა, ფერადი მეტალურგია, ქიმიური, ხის დამამუშავებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობა). მთავარი პორტებია: ჰოშიმინი, ჰაიფონი. საერთაშორისო აეროპორტებია: ჰანოი, ჰოშიმინი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 470300 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (415000), სამხედრო-საზღვაო (13800) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (500). რეზერვი 4 მლნ. გასამხედროებული ფორმირებები – სასაზღვრო ჯარები (38500) და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო (34000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის საფუძველზე.

64. **ზამბია (ზამბიის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, მსოფლიო ოკეანეზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 752,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 12,9 მლნ. კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ლუსაკა. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია. ზამბია შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელი – პრეზიდენტია. საკანონმდებლო უფლებამოსილება გააჩნია ეროვნულ ასამბლეას (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1964 წლის 30 ოქტომბერს. ზამბია აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობით (თუჯი, კობალტი, თითბერი, ტყვია) და ფერადი მეტალურგიით. სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას პროდუქტებზე. საერთაშორისო აეროპორტი: ლუსაკა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემდგენლობით 16500 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (15000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (1500). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავების საფუძველზე.

65. **ზიმბაბვე (ზიმბაბვეს რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიო ოკეანეზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 390,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 12,5 მლნ. კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ჰარარე. ადმინისტრაციული დაყოფა: 8 პროვინცია. ზიმბაბვე შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება გააჩნია ეროვნულ ასამბლეას (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1980 წლის 18 აპრილს. ზიმბაბვე აფრიკის ერთ-ერთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა. ეკონომიკის

საფუძველს წარმოადგენს სამთო-მოპოვებითი (ოქრო, ვერცხლი, ფერადი ლითონების მადანი) და გადამამუშავებელი მრეწველობა. სოფლის მეურნეობა სრულად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას პროდუქტებზე. საერთაშორისო აეროპორტი: ჰარარე.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 36000 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (30000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (6000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის საფუძველზე.

66. თურქეთი (თურქეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უკიდურეს მონაკვეთში. ფართობი 780,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 73,7 მლნ. კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – თურქული. დედაქალაქი – ქ. ანკარა. ადმინისტრაციული დაყოფა: 81 ილეი (პროვინცია). სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება გააჩნია დიდ ეროვნულ კრებას (ერთპალატიანი პარლამენტი). აღმასრულებელი უფლებამოსილება – პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). თანამედროვე თურქეთი შეიქმნა 1923 წელს ოსმანთა იმპერიის თურქეთის ნაწილში. თურქეთი ნატო-ს წევრია 1952 წლიდან. ასევე წარმოადგენს ევროპის საბჭოს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრს, ევროპის თანამეგობრობის ასოცირებულ წევრს. 1974 წლიდან ოკუპირებული აქვს კვიპროსის ნაწილი და მფარველობს არაღიარებულ ე.წ. "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკას". თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ხანია მიმდინარეობს ქურთისტანის გამოყოფის მომხრეებთან შეიარაღებული ბრძოლა. ერთიანი სახმელეთო საზღვრის მქონე მეზობელ ქვეყნებს წარმოადგენს: აზერბაიჯანი (9 კმ), სომხეთი (268 კმ), ბულგარეთი (240 კმ), საბერძნეთი (206 კმ), საქართველო (252 კმ), ერაყი (352 კმ), ირანი (499 კმ), სირია (822 კმ). თურქეთი მთა-გორიანი ქვეყანაა. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში გაწოლილია მაღალი ანატოლიის მოსწორებული მთიანეთი და ხმელთაშუა, შავი და მარმარილოს ზღვისპირა ვიწრო დაბლობი. თურქეთის ტერიტორიაში შედის დარდანელის და ბოსფორის სრუტეები, რომლებიც აერთიანებენ შავ და ხმელთაშუა ზღვებს. თურქეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. გააჩნია დინამიური ეკონომიკა, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მრეწველობისა და კომერციის სინთეზს ტრადიციულ სოფლის მეურნეობასთან. ქვეყანაში სწრაფად და ძლიერად ვითარდება კერძო სექტორი, თუმცა სახელმწიფო გადამწყვეტ როლს თამაშობს მრეწველობის, საბანკო სექტორის, ტრანსპორტის და კომუნიკაციების სფეროებში. განვითარებულია სამთო მოპოვების, კვების, ქიმიური მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ნავთობგადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია: მარცვლოვანი კულტურების, ბამბის, თამბაქოს, ხილის მოყვანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხების მოშენება. რკინიგზის სიგრძე 104 ათასი კმ, საავტომობილო გზების სიგრძე 320,6 ათასი კმ, მათგან 30 მტკიცე საფარით. ძირითადი საზღვაო პორტებია: სტამბული, ისკანდერუნი, მერსინი, იზმითი, იზმირი, სამსუნი. საერთაშორისო აეროპორტები: სტამბული, ესენბოტა (ანკარა), ჩიგლი (იზმირი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 612900 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (402000), სამხედრო-საჰაერო (60100), სამხედრო-საზღვაო

ძალებისაგან (48600), სანაპირო დაცვისგან (2200) და ჟანდარმერიისგან (50000). სახმელეთო ძალების შეიარაღებაშია: 3363 ტანკი, 4625 ჯავშან-მანქანა, 6110 საარტილერიო სისტემა. სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაშია: 75 თვითმფრინავი, 19 ფრეგატი, 7 კორვეტი, 14 წყალქვეშა ნავი, 108 სწრაფმავალი ხომალდი. სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია: 411 საბრძოლო, 103 სატრანსპორტო, 192 სასწავლო თვითმფრინავი, 40 ვერტმფრენი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის საფუძველზე. გაწვევის ასაკი 20 წელი. რეზერვი 379000 კაცი.

67. **თურქმენეთი (თურქმენისტანი)** სახელმწიფო შუა აზიაში კასპიის ზღვაზე გასასვლელით. ფართობი 488,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 5,1 მლნ კაცი (2009წ.), მათ შორის თურქმენი 77%, უზბეკები, რუსები, სხვები. ოფიციალური ენა – თურქმენული. დედაქალაქი – ქ. აშხაბადი. ადმინისტრაციული დაყოფა: 5 ვალაიეთი (მხარე). უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – ჰალკ მასლაჰატი (სახალხო საბჭო, შედის ხელისუფლების ყველა შტო), სახელმწიფოს ხელმძღვანელია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი (პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა სსრკ-დან გამოსვლის შემდეგ 1990 წლის 22 აგვისტოს. თურქმენეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. მრეწველობის ძირითადი დარგებია ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება, ქიმიური, ნავთობქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია – ბამბის და ბოსტნეულის მოყვანა. ძირითადი პორტი კასპიის ზღვაზე: თურქმენბაში (კრასნოვოდსკი). საერთაშორისო აეროპორტი: აშხაბადი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგნელობით 54900 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (26700), სამხედრო-საზღვაო (2000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (1000). გასამხედროებული ფორმირება – სასაზღვრო ჯარები (5000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის საფუძველზე.

68. **იამაიკა** სახელმწიფო იგივე სახელწოდების კუნძულსა და კარიბის ზღვის მიმდებარე კუნძულებზე. ფართობი 11,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,8 მლნ კაცი (2010წ.), ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კინგსტონი. ადმინისტრაციული დაყოფა: 3 საგრაფო. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორის სახით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1962 წლის 6 აგვისტოს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ბოქსიტების მოპოვება, სოფლის მეურნეობა, საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტებია: კინგსტონი, პორტ-როდე. საერთაშორისო აეროპორტები: კინგსტონი, მონტეგო-ბეი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 2800 (2008წ.) შეიცავს ერთ ქვეით პოლკს, საავიაციო ფრთას, სანაპირო დაცვის დანაყოფს და მხარდამჭერ საინჟინრო დანაყოფებს. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირქვებით.

69. **იაპონია** სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში. მდებარეობს ჰოკაიდოს, ჰონსიუს, კიუსიუს კუნძულებზე, არქიპელაგ რიუკიუს და სხვა კუნძულებზე (სულ

დაახლოებით 4 ათასი კუნძული), მატერიკისგან გამოყოფილი იაპონიისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის ზღვებით. აღმოსავლეთიდან გარშემორტყმულია წყნარი ოკეანით. ფართობი 372,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 127,3 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა იაპონური. დედაქალაქი – ქ. ტოკიო. ადმინისტრაციული დაყოფა: 47 პრეფექტურა. იაპონიაში – კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური იმპერატორია, რომელიც წარმოადგენს "სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლოს". საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი (მრჩეველთა და წარმომადგენლების პალატა), აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი). იაპონია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. აშშ-ს შემდეგ უკავია მე-2 ადგილი მსოფლიოში ეკონომიკური სიმძლავრის მიხედვით, კაპიტალის უმსხვილესი კრედიტორი და ექსპორტიორია. მაღალგანვითარებულია მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, მსუბუქი, ხის დამამუშავებელი მრეწველობა. სწრაფად ვითარდება მრეწველობის ახალი და უახლესი დარგები: კავშირგაბმულობის, ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგია. იაპონიას უკავია ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მსოფლიოში რადიო-ელექტრონული ხელსაწყოების, ელექტრო ხელსაწყოების, რობოტებისა და მოქნილი სამრეწველო სისტემების, გემების (მსოფლიო წარმოების 52%), ავტომობილების (მსოფლიო წარმოების 30%) წარმოება. მაღალგანვითარებულია სოფლის მეურნეობა. თვითუზრუნველყოფას სოფლის პროდუქტებით ახორციელებს 70%-ით. თევზჭერისა და ზღვის პროდუქტების მოპოვებით იაპონიას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. იაპონიის ეკონომიკა ძლიერადაა დამოკიდებული ნედლეულისა და სათბობის იმპორტზე. სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას იძლევა აწარმოოს შეიარაღების თითქმის ყველა სახის სისტემები. კონსტიტუციის შესაბამისი ე.წ. "ნებაყოფლობითი" შეზღუდვის შესაბამისად იაპონია არ აწარმოებს სარაკეტო-ბირთვულ და სხვა სტრატეგიულ შეიარაღებას. ძირითადი საზღვაო პორტებია: კობე, ტიბა, ნაგოია, იოკოგამა, კავასაკი, ტომაკო მაი, საკაი, ტოკიო. საერთაშორისო აეროპორტებია: ჰარიტა (ტოკიო), კონსაი (ოსაკა), იტაძუკი (ფუკუოკა), ტიტოსე (საპორო), ნინგატა, ნაჰა, ნაგასაკი.

შეიარაღებული ძალები (თავდაცვის ძალები) საერთო რაოდენობით 240 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (147000), სამხედრო-საზღვაო (45800) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (45000). უმაღლესი მთავარსარდალი პრემიერ-მინისტრია. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

70. იემენი (იემენის რესპუბლიკა) სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. შემოსაზღვრულია წითელი და არაბეთის ზღვებით. ფართობი 531,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,3 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. სანა. ადმინისტრაციული დაყოფა: 17 მუჰაფაზი (პროვინცია). სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანოა – დეპუტატთა საბჭო (პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე იემენის რესპუბლიკა შეიქმნა 1990 წლის მაისში, იემენის არაბთა რესპუბლიკისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანების შედეგად. იემენი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ განვითარებული ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტებია: ადენი, ჰოდეიდა, სალიფი. საერთაშორისო აეროპორტებია: სამა, ადენი, ელ-მუკოლა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 80 ათასი კაცი (2007წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (68000), სამხედრო-საზღვაო (7000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (5000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის საფუძველზე.

71. **ინდოეთი (ინდოეთის რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. გარშემორტყმულია ინდოეთის ოკეანე. ფართობი 3 287 ათასი კმ^2. მოსახლეობა 1 192,4 მლნ კაცი (2011წ.), დაახლოებით 500 ტომი და ეთნიკური ჯგუფი. ოფიციალური ენებია – ჰინდი და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დელი. ადმინისტრაციული დაყოფა: 25 შტატი და 7 მოკავშირე ტერიტორია. ინდოეთი ფედერაციული რესპუბლიკაა, შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება გააჩნია პრეზიდენტსა და ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი პრეზიდენტსა და მთავრობას. სუვერენულ სახელმწიფოდ ინდოეთი შეიქმნა 1950 წლის 26 იანვარს. ინდოეთის ეკონომიკა ინარჩუნებს მრავალწყობიან ხასიათს. სოფლის მეურნეობაში დაკავებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 60%, მრეწველობაში – 20%. მრეწველობის წამყვანი დარგებია: სამთო-მოპოვებითი (ქვანახშირი, მარგანეცი, რკინის მადანი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ბოქსიტები, ფიქლები), კვების, მანქანათმშენებლობის და სხვ. განვითარებულია კომპიუტერული პროგრამირების ინდუსტრია. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგებია მცენარეული კულტურები. ინდოეთს უკავია ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მსოფლიოში შაქრის ლერწმის, არახისის, ჩაის, ბამბის წარმოებით. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ცეცხლსასროლ და საარტილერიო შეიარაღებას, ტანკებს, თვითმფრინავებს, რაკეტებს, ხომალდების გარკვეულ ტიპებს. ინდოეთი ბირთვული სახელმწიფოა. მთავარი საზღვაო პორტებია: მუმბაი (ბომბეი), ჩანიამ (მადრასი), კალკუტა. საერთაშორისო აეროპორტებია: დელი, მუმბაი (ბომბეი), კალკუტა, (მადრასი), ტირუვაიამ-ტაპურა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1 325 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (980000), სამხედრო-საზღვაო (56000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (170000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით. გასამხედროებული ფორმირებებია (სასაზღვრო ძალები, პოლიცია, სამრეწველო უსაფრთხოების ძალები).

72. **ინდოეთის ოკეანე** სიდიდით მესამე ოკეანე დედამიწაზე. მდებარეობს ჩრდილოეთიდან აზიის, აღმოსავლეთიდან ავსტრალიის, სამხრეთიდან ანტარქტიდის და დასავლეთიდან აფრიკას შორის. ფართობი (კუნძულების გარეშე) 76 174 ათასი კმ^2. სასუალო სიღრმე 3700 მ, მაქსიმალური – 7729 მ. სანაპირო ხაზი ჩრდილოეთ ნაწილის გამოკლებით სუსტადაა დანაწევრებული. შელფი ფართო არ არის, აღწევს 10 კმ-მდე. კუნძულები მადაგასკარი, შრი-ლანკა, სკოტრა და სხვ. მატერიკული წარმოშობისაა. მასკარის, კომორის, ანდამანის, სეიშელის და სხვა – ვულკანური, ლაკადივის, მალდივინის, ჩაგოსი, ქოქოსის და სხვა მარჯნის. ინდოეთის ოკეანე იყოფა დასავლეთ – ნაკლებ ღრმა და აღმოსავლეთ ღრმა ნაწილებად. ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში კლიმატი მუსონურია, სამხრეთი ნაწილის ტროპიკულ და სუბ-ტროპიკულ განედებში ბატონობენ პასატები, ზომიერში – დიდი სიმძლავრის ტროპიკული ციკლონები. ზედაპირზე უმეტესი

ტემპერატურა 20^0 ცელსიუსზე მეტია, უკიდურეს სამხრეთში – 0 გრადუსზე დაბალი. უმნიშვნელოვანესი ზედაპირული დინებებია: სამხრეთ პასატური, მუსონური, მოზამბიკის, დასავლეთ-ავსტრალიური. შელფებზე არსებობს ნავთობისა და გაზის საბადოები (სპარსეთის და მანის ყურეები, რიფტურ ზონებში – ქრომის მარგანეცის და რკინის მადანი და სხა სტრატეგიული ნედლეული. ინდოეთის ოკეანეზე მოდის მსოფლიო ტვირთ-ბრუნვის 10%. ძირითადი საზღვაო გზები გადის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში. ძირითადი სპეციალიზირებული სანავთობე პორტებია სპარსეთის ყურეში: რას-ტანურა, (შაუდის არაბეთში), ჰარკი, ბანდეო-აბასი, (ირანი), მინა-ელ-აჰმადი (კუვეიტი) და სხვ. უმსხვილესი უნივერსალური პორტებია: ადენი (იემენი), ბომბეი (მუმბაი), კალკუტა (ინდოეთი), ყარაჩი (პაკისტანი), იანგონი (მიაიმა), ჩიტაგონგი (ბანგლადეში), კოლომბო (შრი-ლანკა), ბასრა (ერაყი), ფრიმანტლი (ავსტრალია), დურბანი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

73. ინდონეზია (ინდონეზიის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მალაის არქიპელაგის კუნძულებსა და კუნძულ ახალი გვინეის დასავლეთ ნაწილში. შემოსაზღვრულია ინდოეთისა და წყნარი ოკეანეებით. ფართობი 1904,3 ათასი $კმ^2$. მოსახლეობა 238 მლნ კაცი (2009წ.), აქედან, 96% ინდონეზიელები, დანარჩენი ჩინელები, პაპუასები და სხვ. ოფიციალური ენა – ინდონეზიური. დედაქალაქი – ქ. ჯაკარტა. ადმინისტრაციული დაყოფა: 27 პროვინცია. ინდონეზია უნიტარული რესპუბლიკაა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა – სახალხო კონსულტატიური კონგრესი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ფუნქციებს ასრულებს სახალხო წარმომადგენელთა საბჭო (ერთპალატიანი პარლამენტი). აღმასრულებელი ძალაუფლება გააჩნია პრეზიდენტსა და მთავრობას. ინდონეზიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1945 წლის 17 აგვისტოს. ინდონეზია აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მსოფლიოში უკავია ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ბუნებრივი აირის, ნავთობის, სპილენძის, ნიკელის მოპოვების, ბუნებრივი კაუჩუკის, ყავის, ჩაის, თამბაქოს, სუნელების წარმოების მხრივ. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ცეცხლსასროლ იარაღს, მსუბუქ თვითმფრინავებს, საბრძოლო კატარღებს და მხარდამჭერ გემებს. ძირითადი საზღვაო პორტებია: ბელავანი, დუმაი (კ. სუმატრა), ტანჯუნგ-პრიოღლი, სურაბაი, ჩილაჩაპი (კ. იავა). შვიდი საერთაშორისო აეროპორტია, რომელთაგანაც უმსხვილესია: სუკარნო-ჰატა (ჯაკარტა).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 302000 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (233000), სამხედრო-საზღვაო (45000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (27000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

74. იორდანია (იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო) სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, წითელ ზღვაზე გასასვლელით. ფართობი 89,4 ათასი $კმ^2$. მოსახლეობა 6,4 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ამანი. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 მუჰაფაზი (პროვინცია). იორდანიაში კონსტიტუციური მონარქიაა. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია მეფეს და ეროვნულ კრებას (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მეფეს, რომელიც მას ახორციელებს მთავრობის საშუალებით. იორდანიამ

დამოუკიდებლობა მოიპოვა 1946 წლის 25 მაისს. იორდანია აგრარული ქვეყანაა, მრავალწყობიანი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით. საზღვაო პორტი: აკაბა. საერთაშორისო აეროპორტებია: ამანი, აკაბა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 100,5 ათასი კაცი (2006წ..) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (88700), სამხედრო-საზღვაო (500) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (12000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

75. ირანი (ირანის ისლამური რესპუბლიკა) სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. მისი ჩრდილოეთი მონაკვეთი გადის კასპიის ზღვაზე, სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი – ინდოეთის ოკეანის სპარსეთისა და ომანის ყურეში. ფართობი 1648 ათასი კმ^2. მოსახლეობა 76,9 მლნ კაცი (2010წ.), აქედან 65% – სპარსელები, 18% – აზერბაიჯანელები, ასევე, ქურთები, არაბები, თურქმენები და სხვ. ოფიციალური ენა – სპარსული. დედაქალაქი – ქ. თეირანი. ადმინისტრაციული დაყოფა: 27 ოსტანი (პროვინცია). სახელმწიფოს უმაღლესი ოფიციალური პირი ქვეყნის მეთაურის შემდეგ (ქვეყნის სულიერი ლიდერი) არის პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ისლამის საბჭოს კრება (მეჯლისი, ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. ირანი აზიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახელმწიფოა. ისლამური რესპუბლიკა გამოცხადდა 1979 წლის 1 აპრილს, ანტი-მონარქიული რევოლუციის შედეგად. ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგებია: ნავთობ-მოპოვებითი და ნავთობ-გადამამუშავებელი მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. მთავარი საზღვაო პორტებია: ჰარკი, ბეიდერ-მაჰშერი, ბეიდერ-აბასი, ორმუზი, აბადანი. საერთაშორისო აეროპორტებია: თეირანი, შირაზი, ზაჰედანი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 543000 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (325000), სამხედრო-საზღვაო (18000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (52000), "ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსი"-ს ძალებისგან (125000). სახმელეთო ჯარების რეზერვი 350000. გასამხედროებული ფორმირება "ბასიჯი" (სახალხო ლაშქარი) – 300000. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

76. ირლანდია (ირლანდიის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. უკავია კუნძულ ირლანდიის დიდი ნაწილი. ფართობი 70,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა 4,4 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – ირლანდიური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დუბლინი. ადმინისტრაციული დაყოფა: 26 საგრაფო. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო –ორპალატიანი ეროვნული პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. ირლანდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1949 წელს და გამოვიდა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობიდან. ირლანდია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, მრეწველობის მოწინავე ტექნოლოგიური დარგებით (ელექტრონიკა, ელექტრო-ტექნიკა, ავტომობილების აწყობა, ქიმიური მრეწველობა). სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია – მეცხოველეობა. ძირითადი საზღვაო პორტებია: დუბლინი, ლიმერიკი, კორკი. საერთაშორისო აეროპორტებია: დუბლინი, შანონი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10900 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (8500), სამხედრო-საზღვაო (1100) და სამხედრო-საჰაერო

ძალებისგან (930). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

77. **ისლანდია (ისლანდიის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე იგივე დასახელების კუნძულზე. ფართობი 103 ათასი კმ^2. მოსახლეობა 0,4 მლნ კაცი (2011წ.), მათგან 99% - ისლანდიელია. ოფიციალური ენა – ისლანდიური. დედაქალაქი – ქ. რეიკიავიკი. ადმინისტრაციული დაყოფა 23 ოლქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია პრეზიდენტს და ალტინგას (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1944 წლის 17 ივნისიდან. არის ნატო-ს წევრი. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს თევზის რეწვა. მთავარი საზღვაო პორტი: რეიკიავიკი. საერთაშორისო აეროპორტები: რეიკიავიკი, კებლევიკი.

ისლანდიას რეგულარული შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას უზრუნველყოფს ისლანდიის თავდაცვის ძალები, რომელთაც ხელმძღვანელობს აშშ-ის სამხედრო უწყება. შტაბი – კებლოვიკში.

78. **ისრაელი** სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი შემოსაზღვრულია ხმელთაშუა ზღვით, სამხრეთი ნაწილი გადის წითელ ზღვაზე. სახელმწიფოს ფართობი განსაზღვრულ იქნა გაერო-ს გადაწყვეტილებით (29.11. 1947 წელი) და შეადგენს 14,1 ათას კმ^2., 1948-1949 წლების ომის შედეგად მიერთებული ტერიტორიებით – 20,7 ათას კმ^2. მოსახლეობა 7,6 მლნ კაცი (2010წ.), მათგან 80% – ებრაელები, 20% – არაბები და სხვები. ოფიციალური ენები – ივრითი, არაბული. დედაქალაქი – ქ. თელ-ავივი (გაერო-ს რეზოლუციების საწინააღმდეგოდ, ისრაელი დედაქალაქად მიიჩნევს იერუსალიმს). ისრაელი რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კნესეტი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. ისრაელი განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის 40%-მდე მოდის სამხედრო წარმოებაზე (ცეცხლსასროლი იარაღი და საარტილერიო შეიარაღება, საბრძოლო მასალები, რადიოელექტრონული აპარატურა, ჯავშანტექნიკა, საბრძოლო თვითმფრინავები, სხვადასხვა კლასის რაკეტები და სხვ.). ისრაელი შედის მსოფლიოს იარაღის უმსხვილეს ექსპორტიორთა რიგებში. გააჩნია ბირთვული იარაღის წარმოების ლაბორატორიულ-სამრეწველო კომპლექსი, 2 ატომური რეაქტორი. მთავარი საზღვაო პორტებია: ჰაიფა, აშდოდი, ეილატი. საერთაშორისო აეროპორტი: ბენ-გურიონი (თელ-ავივი).

შეიარაღებული ძალები (ისრაელის დაცვის ძალები) საერთო შემადგენლობით 187000 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (125000), სამხედრო-საზღვაო (19500) და სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო დაცვის ძალებისგან (36000). რეზერვი - 565000. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

79. **იტალია (იტალიის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ევროპის სამხრეთში, ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში, აპენინის ნახევარკუნძულზე, კუნძულებით სიცილია და სარდინია. დასავლეთიდან აკრავს ტირინეის, ხოლო აღმოსავლეთიდან – ადრიატიკის ზღვა. ფართობი 301,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 60,4 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – იტალიური. დედაქალაქი – ქ. რომი. ადმინისტრაციული

დაყოფა: 20 მხარე. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. იტალია ნატო-ს წევრი ქვეყანაა. იტალია მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. შიდა ეროვნული პროდუქტის მოცულობით ის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში იმყოფება. მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგებია: მანქანათმშენებლობა (ავტომობილები, გემები, ელექტრო-ტექნიკური აღჭურვილობა, დაზგები, რადიო-ელექტრონული, ზუსტი ხელსაწყოები), შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობგადამამუშავებელი, ქიმიური და ნავთობქიმიური, საფეიქრო, კვების პროდუქტების წარმოება. შექმნილია ატომური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო ბაზა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს თვითმფრინავებს, საზენიტო და ტანკ საწინააღმ სარაკეტო სისტემებს, ტანკებს, ჯავშან მანქანებს, საბრძოლო მასალას, ცეცხლსასროლ იარაღს, ყველა კლასის ხომალდებს. ძირითადი საზღვაო პორტებია: გენუა, ლივერნო, ნეაპოლი, ტრიესტი, ვენეცია, აუგუსტა, პორტ-ტორესი. საერთაშორისო აეროპორტებია: ფიუმიჩინო (რომი), მილანი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 293202 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (108000), სამხედრო-საზღვაო (35200) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (43000). რეზერვი 41867 კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

80. კაბო-ვერდე (კაბო-ვერდეს რესპუბლიკა) სახელმწიფო ატლანტის ოკეანეში მდებარე მწვანე კონცხის კუნძულებზე, დასავლეთ აფრიკის სანაპიროებთან. ფართობი 4033 კმ^2. მოსახლეობა – 567 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. პრაია. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 რაიონი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1975 წლის 5 ივლისს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ძირითადი საზღვაო პორტებია: პრაია, მინდელუ. საერთაშორისო აეროპორტი: კუნძულ სალზე. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობიღ 1200 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან და სანაპირო დაცვისგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

81. კამბოჯა (კამბოჯის სამეფო) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი შემოსაზღვრულია სუამის სრუტით. ფართობი 181 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 14,8 მლნ კაცი. ოფიციალური ენა – ქ. კხმერული. დედაქალაქი – პნომპენი. ადმინისტრაციული დაყოფა: 20 პროვინცია და ცენტრალური დაქვემდებარების 2 ქალაქი. კამბოჯაში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია – მეფე. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. კამბოჯამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1953 წლის 9 ნოემბერს. დასახელებას – კამბოჯის სამეფო, ატარებს 1993 წლიდან. კამბოჯა სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. საზღვაო პორტებია: პნომპენი, კომპონგსაო. საერთაშორისო აეროპორტი: პოჩენტონგი (პნომპენი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგნლობით 140000 (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (90000), სამხედრო-საჰაერო (2000) და სამხედრო-საზღვაო

ძალებისგან (3000), სახალხო ლაშქრისგან (45000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

82. კამერუნი (კამერუნის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი გადის ატლანტის ოკეანის გვინეის ყურეში. ფართობი 475,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 19,1 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები – ფრანგული, ინგლისური. დედაქალაქი – ქ. იაუნდა. ადმინისტრაციული დაყოფა: 10 პროვინცია. კამერუნი შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ეროვნულ კრებას (ერთპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1972 წლის 20 მაისს, თანამედროვე დასახელება მიიღო 1984 წელს. კამერუნს უკავია მოწინავე პოზიციები ცენტრალურ აფრიკაში ეკონომიკის მაჩვენებლების მიხედვით. მთავარი საექსპორტო პროდუქციაა: ნავთობი, კაკაო, ყავა, ბამბა, ალუმინი, ხის მერქანი. საზღვაო პორტებია: დუალა, კრიბი, ტიკო. საერთაშორისო აეროპორტებია: დუალა, იაუნდე, გარუა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 14100 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (12500), სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (300), სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (1300), აგრეთვე ჟანდარმერიისგან (9000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

83. კანადა სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი მიმდებარე კუნძულებით შემოსაზღვრულია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანით, სამხრეთ-დასავლეთი – წყნარი ოკეანით და სამხრეთ-აღმოსავლეთი – ატლანტის ოკეანით. ფართობი 9976,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 33,8 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – ინგლისური, ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ოტავა. ადმინისტრაციული დაყოფა: 10 პროვინცია და 3 ტერიტორია. კანადა ფედერალური სახელმწიფოა და შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის შემადგენლობაში. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. კანადა დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1931 წლიდან. კანადა ნატო-ს წევრი ქვეყანაა. კანადა მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. სამრეწველო წარმოების მიხედვით შედის მსოფლიოს 10 ყველაზე განვითარებულ ქვეყანათა რიგში. მოწინავე ადგილი უკავია მინერალური მასალების წარმოებისა და ექსპორტის მიხედვით (ნიკელი, ალუმინი, ტყვია, ურანი, ბრინჯაო, ოქრო, რკინის მადანი, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, და სხვ.). დამამუშავებელი მრეწველობიდან ყველაზე განვითარებულია მანქანათმშენებლობა (ავტომობილების, თვითმფრინავების, ელექტრო-ტექნიკური, რადიო-ელექტრონული, სამრეწველო აღჭურვილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების), ხის დამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის, ქიმიური და ნავთობპროდუქტების, საკვები პროდუქტების და სხვ. წარმოება. სოფლის მეურნეობა მთლიანად აკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს და არის მსოფლიოს მოწინავე ექსპორტიორი. კანადა ნატო-ს წევრია და ნატო-ს ქვეყნებისთვის იარაღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელია. ძირითადი საზღვაო პორტებია: ვანკუვერი, სეტ-ილი, მონრეალი, ტაიდერ-ბეი, გალიფაკსი, კვებეკი. საერთაშორისო აეროპორტებია: მირაბელი (მონრეალი), აპლეიდე (ოტავა), ტორონტო, ვანკუვერი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 65,7 (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (34,7), სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (19,9), სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (11,9). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

84. **კატარი (სახელმწიფო კატარი)** სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. შემოსაზღვრულია სპარსეთის ყურით. ფართობი 11,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 1,6 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. დოჰა. კატარი – აბსოლუტური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია – ემირი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ემირს, აღმასრულებელი – მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1971 წლის 1 სექტემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის მოპოვება და გადამუშავება. საზღვაო პორტებია: უმ-საიდი, დოჰა, ჰალული. საერთაშორისო აეროპორტი: დოჰა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11800 (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (8500), სამხედრო-საჰაერო (1500) და საჰაერო დაცვის ძალებისგან (1800). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

85. **კენია (კენიის რესპუბლიკა)** სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანით. ფართობი 582,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 39,1 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – სუაჰილი და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ნაირობი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია პრეზიდენტსა და ერთპალატიან სახალხო კრებას, აღმასრულებელი – მთავრობას. კენია დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. დამოუკიდებლობა აღიარა 1963 წლის 12 დეკემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მიწათმოქმედება (ჩაი, ყავა). საზღვაო პორტი: მომბასა. საერთაშორისო აეროპორტებია: ნაირობი, მომბასა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 24400 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (20000), სამხედრო-საჰაერო (3000) და საჰაერო დაცვის ძალებისგან (1400). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

86. **კვიპროსი (კვიპროსის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ხმელთაშუაზღვაში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე. ფართობი 9,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 803,1 ათასი კაცი (2010წ.), მათგან 80% – კვიპროსელი ბერძნები, 19% – კვიპროსელი თურქები. ოფიციალური ენები – ბერძნული და თურქული. დედაქალაქი – ქ. ნიქოსია. კვიპროსი დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია წარმომადგენელთა პალატას, აღმასრულებელი – პრეზიდენტს (ბერძენს) და ვიცე-პრეზიდენტს (თურქს), რომლებიც ინიშნებიან მთავრობის მიერ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 16 აგვისტოს. დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა ტერიტორიის 256 კმ^2. სამხედრო ბაზისთვის. საბერძნეთმა და თურქეთმა მიიღო უფლება ჯარების განლაგებაზე ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. 13.2. 1975 წელს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში (ტერიტორიის 37%) გამოცხადებულ იქნა "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა". კვიპროსი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტებია: ლიმასოლ,

ლარნაკა, ფომაგუსტა. საერთაშორისო აეროპორტებია: ლარნაკა, ნიკოსია. კვიპროსის ბერძნული მხარის შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10000 კაცი (2008წ.) შედგება ეროვნული გვარდიისგან, რომელშიც შედის საზღვაო და საჰაერო კომპონენტები.

კვიპროსის თურქული მხარის შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3500 კაცი შედგება კვიპროსის უსაფრთხოების ძალებისაგან, თურქეთის შეიარაღებული ძალების დაჯგუფებით (40000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით. კვიპროსზე განლაგებულია გაერო-ს ძალებიც 1050 კაცი (2008წ.) და დიდი ბრიტანეთის ორი სამხედრო-საზღვაო ბაზა (აკრიტირი, დეკალია). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

87. **კირიბატი (კირიბატის რესპუბლიკა)** სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. შეიცავს 33 კუნძულს, მათ შორის გილბერტის, ფენიქსის, ლაიკის კუნძულებს. ფართობი 811 ათასი კმ^2. მოსახლეობა 110 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ტარავა. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 ოლქი. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კრების პალატა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1979 წლის. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება და კორპის წარმოება.

კირიბატს შეიარაღებული ძალები არ გააჩნია.

88. **კოლუმბია (კოლუმბიის რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქვეყნის ჩრდილოეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვით, ხოლო დასავლეთი – წყნარი ოკეანით. ფართობი 1138 ათასი კმ^2. მოსახლეობა 45 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სანტა-ფე-დე-ბოგოტა. ადმინისტრაციული დაყოფა: 23 დეპარტამენტი, 4 ინტენდენცია, 5 კომისარია და დედაქალაქის ოლქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კონგრესი, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. კოლუმბია აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის საფუძველს ყავის ექსპორტი წარმოადგენს. მრეწველობის ძირითადი დარგებია ქვანახშირის, ნავთობის, ზურმუხტების (მსოფლიოს მოპოვების 90%) მოპოვება. საზღვაო პორტებია: კარტახენა, ბარანკილია, ბუენა-ვენტურა. საერთაშორისო აეროპორტი: ბოგოტა.

შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან (237000), სამხედრო-საჰაერო (13000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (34000). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

89. **კომორის კუნძულები (კომორის კუნძულის ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა)** სახელმწიფო იმავე დასახელების კუნძულებზე ინდოეთის ოკეანის მოზამბიკის ყურეში. ფართობი 2,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 900 ათასი კაცი (2008წ.). ოფიციალური ენები – ფრანგული და არაბული. დედაქალაქი – ქ. მორონი. ადმინისტრაციული დაყოფა: 4 ოლქი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ფედერალური კრება. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1975 წლის 6 ივლისიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს

ტროპიკული მიწათმოქმედება. საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროდრომი: მოპონი.

შეიარაღებული ძალები შედგება სახმელთო ჯარებისა და პრეზიდენტის გვარდიისგან, საერთო შემადგენლობით 1100 კაცი (2009წ.).

90. კონგო (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, გასასვლელით ატლანტის ოკეანეზე. ფართობი 2345 ათასი კმ^2. მოსახლეობა 70,9 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. კინშასა. ადმინისტრაციული დაყოფა: 11 მხარე. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კონსტიტუციური კრება. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 30 ივნისს. კონგო აგრარული ქვეყანაა, განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობით (კობალტი, ალმასები, ოქრო, ბრინჯაო და სხვ.) და ფერადი მეტალურგიით. საზღვაო პორტებია: მოაიდა, მატადი, ბაიანა, ბომა. საერთაშორისო აეროპორტი: კინშასა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 130000 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (124000), სამხედრო-საჰაერო (1800) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (2500). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

91. კონგო (კონგოს რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, გასასვლელით ატლანტის ოკეანეზე. ფართობი 342 ათასი კმ^2. მოსახლეობა 3,6 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ბრაზავილი. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 მხარე და დედაქალაქის კომუნა. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი.საკანონმდებლო ორგანოა – ეროვნული გარდამავალი საბჭო (დროებითი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 30 ივნისს. კონგო აგრარული ქვეყანაა, განვითარებული ნავთობ-მოპოვებითი და ხის დამამუშავებელი მრეწველობით. საზღვაო პორტებია: პუენტ-ნუარი. საერთაშორისო აეროპორტებია: ბრაზავილი, პუენტ-ნუარი.

შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან (8000), სამხედრო-საჰაერო (12000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (8000). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

92. კორეა (კორეის რესპუბლიკა) სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში, კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, 38 პარალელის სამხრეთით.ქვეყანას სამხრეთიდან, დასავლეთისა და აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია ყვითელი და იაპონიის ზღვებით. ფართობი 99,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 48,8 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – კორეული. დედაქალაქი – ქ. სეული. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია და 5 პროვინციის სტატუსიანი ქალაქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ეროვნულ კრებას (ერთპალატიან პარლამენტს). აღმასრულებელი – პრეზიდენტსა და მთავრობას. კორეის რესპუბლიკა აღიარებულ იქნა 1948 წლის 15 აგვისტოს. კორეის რესპუბლიკა დინამიურად განვითარებადი ინგუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ელექტრო-ტექნიკური, რედიო-ელექტრონული, გემთმშენებლობითი, ქიმიური მრეწველობა. სოფლის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს – მცენარეული კულტურების მოყვანა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ტანკებს, თვითმფრინავებს, ჯავშან ტექნიკას, ვერტმფრენებს, ხომალდებს, ცეცხლსასროლ იარაღსა და ტყვია-წამალს. საზღვაო

პორტებია: ინჩხონი, პუსანი, ულსანი, პხოხანი. საერთაშორისო აეროპორტებია: კიმპხო (სეული), კიმხე (პუსანი), ჩეჯუ.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 653000 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (520000), სამხედრო-საჰაერო (65000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (68000). რეზერვი – 3200000 კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული ფორმით.

93. კორეა (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში, კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, 38 პარალელის ჩრდილოეთით. ქვეყანა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია ყვითელი და იაპონიის ზღვებით. ფართობი 121,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 24 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – კორეული. დედაქალაქი – ქ. ფხენიანი. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 მიწა და 3 პროვინციის სტატუსიანი ქალაქი. სახელმწიფოს მეთაურია – თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია უმაღლეს სახალხო კომიტეტს. აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტს (მთავრობა). 1948 წლის 9 სექტემბერს ჩრდილოეთ კორეა გამოცხადებულ იქნა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკად. სამხრეთ კორეასთან დაპირისპირება გადაზრდილ იქნა კორეის ომში (1950-1953 წწ). 1970 წელს დეკლარირებულ იქნა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გარდაქმნა სოციალისტურ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. კორეის რესპუბლიკის მრეწველობის მთავარი დარგებია: მეტალურგია, სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო მასალის წარმოება, ქიმიური მრეწველობა. სოფლის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს – ბრინჯის და სიმინდის მოყვანა. ქვეყანა განიცდის საკვები პროდუქტების დეფიციტს. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ტანკებს, თვითმფრინავებს, ჯავშან-ტექნიკას, ვერტმფრენებს, ხომალდებს, ცეცხლსასროლ იარაღსა და ტყვია-წამალს. საზღვაო პორტებია: ნამპხო, ვოისანი, ხინამი, ჩხონჯინი. საერთაშორისო აეროპორტია: სუნანი (ფხენიანი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1 106 000 კაცი (2010 წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (950000), სამხედრო-საჰაერო (110000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (46000). რეზერვი – 8200000. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

94. კოსტა-რიკა (კოსტა-რიკის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ქვეყნის დასავლეთი შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით, აღმოსავლეთი – ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვით. ფართობი 51,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 4,2 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი- სან-ხოსე. ადმინისტრაციული დაყოფა: 7 პროვინცია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი საკანონმდებლო კრება. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1821 წელს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება. საზღვაო პორტებია: გალფიტო, პუნტარენატი, ლიმონი. საერთაშორისო აეროპორტია: სან-ხოსე.

კოსტა-რიკას კონსტიტუციის მიხედვით არ გააჩნია შეიარაღებული ძალები. გასამხედროებული ფორმირებებია: სამოქალაქო და სოფლის გვარდია, სასაზღვრო დაცვა, პოლიცია.

95. **კოტ-დივუარი (კოტ-დივუარის რესპუბლიკა)** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. სამხრეთი ნაწილი შემოსაზღვრეულია ატლანტის ოკეანის გვინეის ყურით. ფართობი 322,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 20,6 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. იამუსოკრო, ფაქტიურად ქ. აბიჯანი. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ნაციონალური კრება. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 7 აგვისტოს. წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას, ყავის, კაკაოს, პალმის ზეთის უმსხვილეს მწარმოებელს. საზღვაო პორტებია: აბიჯანი, დაბუ, სანოპედრი. ძირითადი აეროპორტი: აბიჯანი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 17050 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰარო და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

96. **კუბა (კუბის რესპუბლიკა)** სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში, განლაგებული კუბის, ჰუვენტუდისა და ახლომდებარე 160-მდე მცირე კუნძულებზე. ფართობი 110,9 ათასი კმ^2. მოსახლეობა 11,4 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ჰავანა. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 პროვინცია და კუნძულ ჰუვენტუდის საგანგებო მუნიციპია. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და საკანონმდებლო ორგანო – სახალხო ხელისუფლების ნაციონალური ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). სახელმწიფოსა და მთავრობის (მინისტრთა საბჭოს) მეთაურია – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1902 წელს. კუბა აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. ეკონომიკის წამყვანი დარგები ეკუთვნის სახელმწიფოს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს შაქრის ლერწმის წარმოება, ნიკელის მადნის მოპოვება. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჰავანა, სანტიაგო-დე-კუბა. საერთაშორისო აეროპორტი: ხოსე-მარტი (ჰავანა). კუბის ტერიტორიაზე განლაგებულია აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ბაზა გუანტანამო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 48,0 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (37000), სამხედრო- და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (3000). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

97. **ლაოსი (ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძულზე, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 236,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 6,8 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ლაოსური. დედაქალაქი – ქ. ვიენტიანი. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 კხუენგი (პროვინცია) და დედაქალაქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა 1945 წლის 12 ოქტომბერს. სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა 1975 წელს. ლაოსი აგრარული ქვეყანაა. ძირითადი იწარმოება სოფლის მეურნეობის პროდუქტი ბრინჯი. საერთაშორისო აეროპორტი: ვიენტიანი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 29100 (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან და სამდინარეო ფლოტილიისგან (25000), სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (3500). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

98. **ლატვია (ლატვიის რესპუბლიკა)** სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ფართობი 64,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,2 მლნ კაცი (2011წ.),

აქედან 55% – ლატვიელები, 33% – რუსები, ასევე, ბელორუსები, პოლონელები და სხვა. ოფიციალური ენა – ლატვიური. დედაქალაქი – ქ. რიგა. ადმინისტრაციული დაყოფა: 22 რაიონი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სეიმი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტი. თანამედროვე ლატვია გამოვიდა სსრკ-დან და გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წლის 6 სექტემბერს. ლატვია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, ქიმიური, ნავთობ-გადამამუშავებელი, მსუბუქი, კვების პროდუქტების წარმოება. სოფლის-მეურნეობის წამყვანი დარგებია – მეცხოველეობა და რძის წარმოება. საზღვაო პორტებია: რიგა, ვენტსპილსი, ლიეპაია. საერთაშორისო აეროპორტი: რიგა. ლატვია ნატო-ს წევრი ქვეყანაა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 4,2 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (992), სამხედრო-საჰაერო (251) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (551). გასამხედროებული ფორმირება – ეროვნული გვარდია 2,9 ათასი კაცი. რეზერვი – 10,8 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

99. ლესოტო (ლესოტოს სამეფო) სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ყველა მხრიდან გარშემორტყმულია სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკით. ფართობი 30,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,0 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები – ინგლისური და სეკოტო. დედაქალაქი – ქ. მასერუ. ადმიინისტრაციული დაყოფა: 10 ოლქი. ლესოტოში – კონსტიტუციური მონარქიაა, სახელმწიფოს მეთაური – მეფეა, საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. ლესოტო დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1966 წლის 4 ოქტომბრიდან. ლესოტო – აგრარული ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტი: მასერუ.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 2000 ათასი (2009წ.), შედგება სახმელეთო ჯარებისა და საავიაციო ფრთისგან.

100. ლიბანი (ლიბანის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში. ქვეყნის დასავლეთი შემოსაზღვრულია ხმელთაშუა ზღვით. ფართობი 10,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 4,1 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ბეირუთი. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 მუჰარაზი (გუბერნია). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატთა პალატა. ლიბანის რესპუბლიკა დამოუკიდებლად გამოცხადდა 1943 წლის 22 ნოემბერს. ლიბანის ტერიტორიაზე მოქმედებს შეიარაღებული რადიკალური შიიტური პარტია "ჰეზბოლა", აგრეთვე თავისი სამხედრო კონტიგენტი ჰყავს წარმოდგენილი სირიას. ეკონომიკის ძირითადი დარგებია საბანკო-საფინანსო მოღვაწეობა, ვაჭრობა, ტურიზმი. საზღვაო პორტებია: ბეირუთი, სიდონი, ჯუნია, ნაკურა, ტირი, ელ-მინა. საერთაშორისო აეროპორტი: ბეირუთი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 59,1 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (57,0), სამხედრო-საჰაერო (1000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (1,1). დაკომპლექტება 2007 წლიდან ხორციელდება დაქირავებით.

101. ლიბერია (ლიბერიის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 111,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 3,9 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. მონროვია. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 საგრაფო და 6 ტერიტორია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – 2 პალატიანი პარლამენტი. სახელმწიფო ლიბერია შეიქმნა 1847 წელს ამერიკიდან გადმოსახლებული ყოფილი მონების მიერ. ლიბერია წარმოადგენს ხის, ნატურალური კაუჩუკის და სხვ. ნედლეულის მწარმოებელ და ექსპორტიორს. ლიბერიის დროშის ქვეშ დარეგისტრირებულია მსოფლიოს უდიდესი (დაბალი ბაჟის გამო) სავაჭრო ფლოტი. საზღვაო პორტებია: ბიუკენენი, მონროვია, გრინვილი, ჰარპერი. საერთაშორისო აეროპორტი: მონროვია.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 2400 კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

102. ლიბია (სოციალისტური სახალხო ლივიის არაბული ჯამაჰირია) სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. ქვეყნის ჩრდილოეთი მთლიანად მხარე შემოსაზღვრულია ხმელთაშუა ზღვით. ფართობი 1759,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 6,3 მლნ კაცი (2009წ.), ძირითადად ლიბიელი არაბები. ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ტრიპოლი. ადმინისტრაციული დაყოფა: 13 მუნიციპალიტეტი. სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო – საერთო სახალხო კონგრესი და მისი აღმასრულებელი ორგანო უმაღლესი სახალხო კომიტეტი (მთავრობა). ფაქტიური ხელმძღვანელი ორგანო – „რევოლუციური ხელმძღვანელობა" მ. კადაფის მმართველობით. თანამედროვე ლიბიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1951 წელს, როგორც გაერთიანებულმა სამეფომ. 1969 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად დამხობილ იქნა სამეფო რეჟიმი და გამოცხადდა ლიბიის არაბული რესპუბლიკა, თანამედროვე დასახელება მიენიჭა 1977 წელს. ლიბიის ეკონომიკა ძირითადად დამოკიდებულია ნავთობგადამამუშავებელ სექტორზე. მისგან მიღებული მოგება ლიბიას ხდის აფრიკაში სულ მოსახლეზე ერთ-ერთ ყველაზე მაღალი შემოსავლების ქვეყნად. კლიმატური პირობები და ღატაკი ნიადაგი უაღრესად არახელშემწყობ გარემოს ქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რის გამოც ქვეყანა იძულებულია შემოიტანოს საჭირო პროდუქტების 75%. მთავარი საზღვაო პორტებია: ელ-კუმსი, ბენღაზი, დერნა, ზუარა, მისურატა, რას-ელ-ანუფი, ტობრუკი, ტრიპოლი. საერთაშორისო აეროპორტი: ტრიპოლი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 76,0 ათასი კაცი (2009წ.), შედგება სახმელეთო ჯარებისგან (50,0), სამხედრო-საჰაერო (18,0) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (8,0). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

103. ლიტვა (ლიტვის რესპუბლიკა) სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ფართობი 65,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 3,2 მლნ კაცი (2011წ.), აქედან 80% – ლიტველები, ასევე, რუსები, პოლონელები და სხვ. ოფიციალური ენა – ლიტვური. დედაქალაქი – ვილნიუსი. ადმინისტრაციული დაყოფა: 10 ოლქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სეიმი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. თანამედროვე ლიტვა გამოვიდა სსრკ-დან და გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წლის 7 სექტემბერს. ლიტვა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის

წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, ქიმიური, ნავთობ-გადამამუშავებელი, მსუბუქი, კვების პროდუქტების წარმოება. სოფლის-მეურნეობის წამყვანი დარგია – მეცხოველეობა. საზღვაო პორტი: კლაიპედა. საერთაშორისო აეროპორტი: ვილნიუსი. ლიტვა ნატო-ს წევრი ქვეყანაა (2009წ.)..

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით (8,5) ათასი კაცი შედგება სახმელეთო ჯარებისგან (7,1), სამხედრო-საჰაერო (1000) და სამხედრო-საზღვაო (0,5) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

104. ლიხტენშტეინი (ლიხტენშტეინის სამთავრო) სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 157 კმ^2. მოსახლეობა 32,8 ათასი კაცი (2005წ.). ოფიციალური ენა – გერმანული. დედაქალაქი – ქ. ვადუცი. ადმინისტრაციული დაყოფა: 11 თემი. ლიხტენშტეინში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია – თავადი. საკანონმდებლო ორგანო – თავადს და ლანდტაგს ეკუთვნის (პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. ლიხტენშტეინი თანამედროვე საზღვრებში როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა 1866 წელს. 1868 წელს გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. ლიხტენშტეინი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. ლიხტენშტეინის ინტერესებს საზღვრებს გარეთ ახორციელებს შვეიცარია.

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია.

105. ლუქსემბურგი (ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო) სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 2,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 502 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – ფრანგული და გერმანული. დედაქალაქი – ქ. ლუქსემბურგი. ადმინისტრაციული დაყოფა: 3 ოლქი. ლუქსემბურგში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – დიდი ჰერცოგი. საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატების პალატა, აღმასრულებელი – მთავრობა. ლუქსემბურგი თანამედროვე საზღვრებში ჩამოყალიბდა 1832 წელს. ლუქსემბურგი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. ლუქსემბურგი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტი: ფინდელი (ლუქსემბურგი).

შეიარაღებული ძალები შემადგენლობით 900 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

106. მადაგასკარი (მადაგასკარის რესპუბლიკა) სახელმწიფო ინდოეთის ოკეანის იმავე სახელწოდებისა და ახლომდებარე კუნძულებზე. ფართობი 595,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 20,6 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები – მალაგასინური და ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ანტანანარივუ. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 პროვინცია. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. დამოუკიდებელი ქვეყანაა 1960 წლის 26 ივნისიდან. მადაგასკარი აგრარული ქვეყანაა. საზღვაო პორტებია: ტუამასინა, ტულიარე, ანცერანანა. საერთაშორისო აეროპორტი: ანტანანარივუ.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 13500 კაცი (2007წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (12500), სამხედრო-საჰაერო (500) და სამხედრო-საზღვაო (500) ძალებისგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

107. მავრიკია (მავრიკიის რესპუბლიკა) სახელმწიფო, განლაგებული ინდოეთის ოკეანის მავრიკის, როდრიგესის, აგალეგას კარგადოს-კარახოსის კუნძულებზე. ფართობი 2045 კმ^2. მოსახლეობა 1,2 მლნ კაცი (2008წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. პორტ-ლუი. მავრიკია დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1963 წლის 12 მარტს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს შაქრის ლერწმის მოყვანა. ძირითადი საზღვაო პორტი: პორტ-ლუი. აეროპორტი: პლეზანსი (ქ. მაზბური).

შეიარაღებული ძალები – გასამხედროებული ფორმირება შემადგენლობით 2,0 ათასი კაცი (2009წ.). შეთანხმების თანახმად, დიდი ბრიტანეთი ინარჩუნებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ბაზებად გამოიყენოს პორტ-ლუი და პლეზანსი.

108. მავრიტანია (მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკა) სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით. ფართობი 1030,7 კმ^2. მოსახლეობა 3,2 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი- ნუოკშოტი. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 მხარე და დედაქალაქის ოლქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. მავრიტანია დამოუკიდებელი ისლამური რესპუბლიკაა 1960 წლის 28 ნოემბრიდან. ეკონომიკის საფუძველია – რკინის მადნის მოპოვება და მეთევზეობა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15900 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (15000), სამხედრო-საჰაერო ძალების (250), სამხედრო-საზღვაო (620) ძალების და ეროვნული გვარდიისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

109. მაკედონია (მაკედონიის რესპუბლიკა) სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 25,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა 21,1 მლნ კაცი (2009წ.), აქედან 67% – მაკედონიელები, ასევე, სერბები, თურქები, ბოშები და სხვ. ოფიციალური ენა – მაკედონიური. დედაქალაქი – ქ. სკოპიე. ადმინისტრაციული დაყოფა: 30 თემი. მაკედონია საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 17 ნოემბერს, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, სადაც შედიოდა რესპუბლიკის სტატუსით. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სამთო-მოპოვებითი დარგი (ქრომიტები, ტყვია, ცინკი, სპილენძი და რკინა). სოფლის მეურნეობიდან – ხილ-ბოსტნეულის, თამბაქოს წარმოება, მევენახეობა. საერთაშორისო აეროპორტია: სკოპიე.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8,0 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (6,7) და სამხედრო-საჰაერო (1,3) ძალებისგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

110. მალავი (მალავის რესპუბლიკა) სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ქვეყნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია ტბა ნიასას წყლებით. ფართობი 1185,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 15,0 მლნ კაცი (2009წ.).

ოფიციალური ენები – ინგლისური და ჩიჩევა. დედაქალაქი – ქ. ლილონგვე. ადმინისტრაციული დაყოფა: 3 პროვინცია. არის ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. მალავი აგრარული ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტებია: ლილონგვე, ბლანტარ-ლიმბე.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 5300 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან, საჰაერო კომპონენტით (5000), სამხედრო-საზღვაო (ტბის ფლოტილია) (300) ძალებისგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

111. მალაიზია სახელმწიფო აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში. მდებარეობს მალაკას ნახევარკუნძულის სამხრეთ და კუნძულ კალიმანტანის (ბორნეო) ჩრდილოეთ ნაწილში. ფართობი 329,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 27,5 მლნ კაცი (2010წ.), აქედან 59% – მალაიზიელები, 32% – ჩინელები და სხვ. ოფიციალური ენა – მალაიზიური. დედაქალაქი – ქ. კუალა-ლუმპური. ადმინისტრაციული დაყოფა: 13 შტატი და 2 ფედერალური ტერიტორია. მალაიზია დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. მალაიზიაში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური აირჩევა შტატების-სულთანატების მართველების მიერ. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა 1957 წლის 16 სექტემბერს. მალაიზია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. აწარმოებს კაუჩუკს. განვითარებულია ელექტრონული მრეწველობა. მსხვილი საზღვაო პორტებია: კელანგი, ჯორჯთაუნი, ბინტულუ, კუდათი, პორტ-დისკონი, სიბუ, ტავაუ. 5 საერთაშორისო აეროპორტია.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 109000 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (800), სამხედრო-საჰაერო (150) და სამხედრო-საზღვაო (140) ძალებისაგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

112. მალდივები (მალდივის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ აზიაში ინდოეთის ოკეანის მალდივის კუნძულებზე. ფართობი 298 კმ^2. მოსახლეობა 396 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – მალდივური (დივეხი). დედაქალაქი – მალე. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ძალაუფლება გააჩნია პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა 1965 წელს. 1968 წლამდე სულთანათი, 1968 წლიდან – რესპუბლიკა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს თევზჭერა და თევზის გადამუშავება. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურაა – ქოქოსის პალმა. განვითარებულია ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი და აეროპორტია: მალე.

გააჩნია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ძალები (ეროვნული გვარდია, პოლიცია, საზღვაო რაზმი), საჰაერო დანაყოფი.

113. მალი (მალის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1240 ათასი კმ^2. მოსახლეობა 14,5 მლნ კაცი (2009 წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ბომაკო. ადმინისტრაციული დაყოფა: 8 მხარე და დედაქალაქის რაიონი. სახელმწიფოს

მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. მალი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1960 წლის 22 სექტემბრიდან. განეკუთვნება მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებს. აგრარული ეკონომიკის შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველს წარმოადგენს მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი: ბამაკო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8000 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (7350), სამდინარო ფლოტით (50), სამხედრო-საჰაერო ძალების (400) და ეროვნული გვარდიისგან (2000). დაკომპლექტება გაწვევით.

114. მალტა (რესპუბლიკა მალტა) სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვის მალტის კუნძულებზე. ფართობი 316 კმ^2. მოსახლეობა 412 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – მალტური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ლა-ვალეტა. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – წარმომადგენლობითი პალატა, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1964 წელს, 1974 წლიდან – რესპუბლიკა. 1987 წელს გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის, კვების პროდუქტების დარგები, გემთმშენებლობა და რემონტი, საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტებია: ვალეტა, მარსაკსლოკი. საერთაშორისო აეროპორტი: ლუკა, (ლა-ვალეტა).

შეიარაღებული ძალები 2,1 ათასი კაცი (2005წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

115. მაროკო (მაროკოს სამეფო) სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქვეყნის ჩრდილოეთით შემოსაზღვრულია ხმელთაშუა ზღვით, ხოლო დასავლეთი – ატლანტის ოკეანით. ფართობი 446,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 32,2 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. რაბათი. ადმინისტრაციული დაყოფა: 35 პროვინცია 2 პრეფექტურა. მაროკოში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – მეფე. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია მეფეს და ორპალატიან პარლამენტს. აღმასრულებელი – მეფის მიერ დანიშნულ მთავრობას. მაროკომ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1956 წელს. მაროკო აგრარული ქვეყანაა, შედარებით განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობით. საზღვაო პორტებია: კასაბლანკა, რაბათი, მაჰამედია, აგადირი, საფი. საერთაშორისო აეროპორტი: კასაბლანკა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 195,8 ათასი კაცი (2006წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (175000), სამხედრო-საჰაერო (13000) და სამხედრო-საზღვაო (7,8) ძალებისგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

116. მექსიკა (მექსიკის შეერთებული შტატები) სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით, სამხრეთ-აღმოსავლეთი მექსიკის ყურითა და კარიბის ზღვით. ფართობი 1958,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 112,3 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. მეხიკო. ადმინისტრაციული დაყოფა: 31 შტატი და 1 დედაქალაქის ფედერალური ოლქი. მექსიკა ფედერაციული რესპუბლიკაა.

სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). მექსიკამ ესპანეთიდან დამოუკიდებლობა 1821 წელს მოიპოვა და გამოაცხადა რესპუბლიკა 1826 წელს. მექსიკა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში, შედის მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელ და ნავთობ-ექსპორტიორი ქვეყნების რიგში. სოფლის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს მცენარეული კულტურების (მარცვლეული, შაქრის ლერწამი, ყავა, ტროპიკული ხილი, ბოსტნეული) მოყვანა. მსხვილი საზღვაო პორტებია: კოაცაკოალკოსი, ტამპიკო, ვერაკრუსი, აკაპულკო, სალინა კრუსი და სხვ. საერთაშორისო აეროპორტებია: მეხიკო, გვადალაჰარა, აკაპულკო, მონტერეი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 267,7 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (200,0), სამხედრო-საჰაერო (11,7) და სამხედრო-საზღვაო (56000) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

117. მიანმარი (მიანმარის კავშირი) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანის ანდამანის ზღვითა და ბენგალის ყურით. ფართობი 678,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 55,4 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – მიაიმანური (ბირმული). დედაქალაქი – ქ. ნაიპიიდაუ, უდიდესი ქალაქი – ქ. იაგონი (რასგუნი). ადმინისტრაციული დაყოფა: 7 ეროვნული და 7 ადმინისტრაციული მხარე. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრება (პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. ბირმანული კავშირის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა 1948 წელს. მიაიმის კავშირის სახელი მიიღო 1989 წლის 18 ივნისს. მიანმარი აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურაა – ბრინჯი. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ცეცხლსასროლ იარაღს, ნაღმსატყორცნებს, საბრძოლო მასალებს, მცირე წყალწყვის კატარღებს. საზღვაო პორტებია: იაგონი, მონდალაი, ტავოი, ბამო, აკიაბი. საერთაშორისო აეროპორტი: მინ-გოლადონი (იაგონი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 406000 კაცი (2005წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (375000), სამხედრო-საჰაერო (15000) და სამხედრო-საზღვაო (16000) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

118. მიკრონეზია (მიკრონეზიის ფედერაციული შტატები) სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულების ჯგუფზე (პონაპე, ტრუკი, კოსრამ). ხმელეთის ზედაპირის ფართობი 702 კმ^2. მოსახლეობა 111 ათსი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. პალიკირი (პონაპეს კუნძული). ადმინისტრაციული დაყოფა: 4 შტატი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი კონგრესი. დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა 1986 წელს აშშ-თან თავისუფალი ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად. ეკონომიკური მოღვაწეობა შედგება ნატურალური სოფლის მეურნეობის და თევზჭერის დარგებისაგან. საზღვაო პორტებია: კოლონია (იაპი), კოლონია (პონაპე), ლელე, მოენი. 6 აეროპორტი.

თავდაცვის საკითხებში მთლიანადაა დამოკიდებული აშშ-ზე.

119. მოზამბიკი (მოზამბიკის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში. ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანით. ფართობი 799,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 22,8 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. მაპუტუ. ადმინისტრაციული დაყოფა: 11 პროვინცია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – რესპუბლიკის ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). მოზამბიკი პორტუგალიისგან გამონთავისუფლდა 1975 წლის 25 ივნისს. მოზამბიკი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. საზღვაო პორტებია: მაპუტუ, ბეირა, ნაკალა. საერთაშორისო აეროპორტებია: მაპუტუ, ბეირა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11200 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (10000), სამხედრო-საჰაერო (1000) და სამხედრო-საზღვაო (0,2) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

120. მოლდოვა (მოლდოვას რესპუბლიკა) სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 33,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა 3,5 მლნ კაცი (2009წ.). სახელმწიფო ენა – მოლდავური. დედაქალაქი – ქ. კიშინიოვი. ადმინისტრაციული დაყოფა: 40 რაიონი და 9 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი. განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი გააჩნია გაგაუზიას. მიმდინარეობს მოლაპარაკებები დნესტრისპირეთის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. მოლდოვა დსთ-ს წევრი ქვეყანაა, მაგრამ არ მონაწილეობს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში. მოლდოვა გამოვიდა სსრკ-დან 1991 წლის 27 აგვისტოს. მოლდოვა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგი – კვების პროდუქტების წარმოებაა. განვითარებულია მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობის საფუძველი – მეღვინეობა და მეხილეობაა. საერთაშორისო აეროპორტი: კიშინიოვი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10000 კაცი (2006წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (9,0), სამხედრო-საჰაერო (1,0) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით (გაწვევით და დაქირავებით).

121. მონაკო (მონაკოს სამთავრო) სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე. ფართობი 1,95 კმ^2. მოსახლეობა 32,5 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. მონაკო. ადმინისტრაციული დაყოფა: 3 ოლქი. მონაკოში შთამომავლობითი კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – თავადია. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია თავადს და ეროვნულ საბჭოს, აღმასრულებელი – თავადს და სამთავრობო საბჭოს. შემოსავლის მთავარი წყაროა საერთაშორისო ტურიზმი, ვაჭრობა, უძრავი ქონებით ვაჭრობა, საბანკო მოღვაწეობა და სხვ.

გააჩნია კარაბინერების ასეული და პოლიცია. თავდაცვას ახორციელებს საფრანგეთი.

122. მონტენეგრო (ჩერნოგორია) (მონტენეგროს რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. გააჩნია ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელი. ფართობი 13,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 625,0 ათასი კაცი (2011წ.). ოფიციალური ენა – სერბულ-ხორვატული. დედაქალაქი – ქ. პოდგორიცა. ადმინისტრაციული დაყოფა: 21 მუნიციპალიტეტი. 2006 წლის რეფერენდუმის საფუძველზე გამოეყო სერბეთს.

მონტენეგრო (ჩერნოგორია) – საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია პარლამენტს, რომელსაც მეთაურობს პარლამენტის პრეზიდენტი. აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იუგოსლავიის ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა დაიშალა ეთნიკურ წარმონაქმნებზე, სერბეთმა და მონტენეგრომ (ჩერნოგორიამ) შექმნეს იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა. 2006 წელს ურთიერთშეთანხმებით და რეფერენდუმის საფუძველზე მოხდა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის გაშლა სერბეთისა და მონტენეგროს (ჩერნოგორიის) დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. მონტენეგრო (ჩერნოგორია) ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტზე. წარმოადგენს ხილის კონსერვების მოწინავე ექსპორტიორს ევროპაში. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტები: ბარი, კოტორი, ტივატი. საერთაშორისო აეროპორტი: პოდგორიცა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგნლობით 3,1 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (2,3), სამხედრო-საჰაერო (0,3) და საზღვაო (0,6) ძალებისაგან.

123. მონღოლეთი სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1565,0 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,7 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – მონღოლური. დედაქალაქი – ქ. ულან-ბატორი. ადმინისტრაციული დაყოფა: 21 აიმაკი (მხარე). მონღოლეთი – საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დიდი სახელმწიფოებრივი ჰურალი, აღმასრულებელი – მთავრობა. 1924 წლიდან მონღოლეთი სახალხო რესპუბლიკაა. 1992 წლიდან იწოდება მონღოლეთად. მონღოლეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის 70%-ს იძლევა მეცხოველეობა. მრეწველობის ძირითადი დარგებია: სამთომოპოვებითი, მსუბუქი, კვების, ელექტროენერგეტიკული. საერთაშორისო აეროპორტი: ულან-ბატორი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგნლობით 10,0 ათასი კაცი (2007წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (9,2), სამხედრო-საჰაერო (800). რეზერვი – 819000 კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

124. ნამიბია (ნამიბიის რესპუბლიკა) სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთში. ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის წყლებით. ფართობი 824,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,1 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ვინდჰუკი. ადმინისტრაციული დაყოფა: 13 რაიონი. შედის ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია – ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1990 წლის 21 მარტს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სამთო-მოპოვებითი მრეწველობა (ალმასები, ოქრო, ვერცხლი, ურანი, ცინკი, ტყვია და სხვ.) და სოფლის მეურნეობა (ძირითადად მეცხვარეობა). მსხვილი საზღვაო პორტებია: უოლფიშ-ბეი, ლიუდერიცი. საერთაშორისო აეროპორტია: ვინდჰუკი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 9,2 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისაგან (9000), რომელშიც შედის სამხედრო ავიაცია და სამხედრო-საზღვაო (0.2) ძალები. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

125. ნაურუ (ნაურუს რესპუბლიკა) სახელმწიფო იმავე დასახელების კუნძულზე, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ფართობი 21 კმ^2. მოსახლეობა 13 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – ნაურული და ინგლისური. ოფიციალური დედაქალაქი არ გააჩნია. მთავრობის რეზიდენცია იარენის ოლქშია. ადმინისტრაციული დაყოფა: 8 ოლქი. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1968 წლის 31 იანვარს. ეკონომიკის საფუძველი – ფოსფორიტების მოპოვება და ექსპორტია.

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. ჰყავს მცირე ზომის პოლიციური დანაყოფი. ნაურუს თავდაცვის უზრუნველყოფა ეკისრება ავსტრალიას.

126. ნეპალი (ნეპალის სამეფო) სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 147,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 29,3 მლნ კაცი (2009 წ.). ოფიციალური ენა – ნეპალი. დედაქალაქი – კატმანდუ. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 ზონა. სახელმწიფო წყობა – კონსტიტუციური მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია – მეფე. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია მეფეს და ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მეფეს და მთავრობას. ნეპალი აგრარული, ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე განუვითარებელი ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტი: კატმანდუ.

შეიარაღებული ძალები წარმოდგენილია სახმელეთო ჯარებით 95,7 ათასი კაცი (2009წ.). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

127. ნიგერი (ნიგერის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1267 ათასი კმ. მოსახლეობა 15,3 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ნიამეი. ადმინისტრაციული დაყოფა: 7 დეპარტამენტი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი – მთავრობა. ნიგერმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 3 აგვისტოს. ნიგერი მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა, არამდგრადი შიდა მდგომარეობით (ამბოხები, გადატრიალებები). ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ურანის მოპოვება და ნატურალური სოფლის მეურნეობა. საერთაშორისო აეროპორტებია: ნიომეი, აგადესი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით (5,3) ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (5,2), სამხედრო-საჰაერო (0,1) ძალებისგან. გასამხედროებული ფორმირებები, მათ შორის ჟანდარმერია 5,4 ათასი კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

128. ნიგერია (ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ქვეყნის სამხრეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის გვინეის ყურით. ფართობი 923,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 149,2 მლნ კაცი (2010წ.), ცხოვრობს 200-მდე ეროვნების ხალხი. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. აბუჯა. ადმინისტრაციული დაყოფა: 30 შტატი და დედაქალაქის ოლქი. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1963 წლის 1

ოქტომბერს. ნიგერია აგრარული ქვეყანაა განვითარებული ნავთობ-მოპობებითი მრეწველობით. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ცეცხლსასროლ და საარტილერიო აღჭურვილობას, სამხედრო ავტომობილებს, აწყობს სასწავლო-საწვრთნელ თვითმფრინავებს, გააჩნია სხვადასხვა კლასის ხომალდების მშენებლობის პოტენციალი. მსხვილი საზღვაო პორტებია: პორტ-ჰორკორტი, ვარი, კალაბარი, ლაგოსი. საერთაშორისო აეროპორტებია: აბუჯა, ლაგოსი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8000 (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (62000), სამხედრო-საჰაერო (10000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (8000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

129. ნიდერლანდები (ნიდერლანდების სამეფო) სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ქვეყნის ჩრდილოეთი და დასავლეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთი ზღვით. ფართობი 41,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 16,6 მლნ კაცი (2011წ.). ოფიციალური ენა – ნიდერლანდური. დედაქალაქი – ქ. ამსტერდამი. მთავრობის რეზიდენცია – ჰააგა. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 პროვინცია. მის ფლობელობაში შედიან ვესტ-ინდოეთში მდებარე ანტილის კუნძულები. ნიდერლანდებში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – მეფეა. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია მეფეს და გენერალურ შტატებს (ორპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მეფეს და მთავრობას. ნიდერლანდები ნატო-ს წევრი ქვეყანაა. ნიდერლანდები მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მთავარი დარგებია: დამამუშავებელი, მანქანათმშენებლობითი, ლითონ-დამამუშავებელი. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი – მეცხოველეობაა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საავიაციო, ჯავშანსატანკო და სამხედრო-საზღვაო შეიარაღებას, საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ტყვია-წამალს, რადიო-ელექტრონულ მოწყობილობას და სხვ. მსხვილი საზღვაო პორტებია: როტერდამი, ამსტერდამი. საერთაშორისო აეროპორტებია: სხილჰოლი (ამსტერდამი)

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 46,8 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (21,8), სამხედრო-საჰაერო (9,5) და სამხედრო-საზღვაო (9,4) ძალებისგან, მათ შორის პოლიცია (6,8), რეზერვი – 33,0 ათასი კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

130. ნიკარაგუა (ნიკარაგუას რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთს გარს არტყავს წყნარი ოკეანე, ხოლო აღმოსავლეთს – ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვა. ფართობი 130 ათასი კმ^2. მოსახლეობა 5,8 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური, დედაქალაქი – ქ. მანაგუა. ადმინისტრაციული დაყოფა: 17 დეპარტამენტი. ნიკარაგუა დამოუკიდებელი ქვეყანაა 1821 წლიდან. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). ნიკარაგუა აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა სპეციალიზირდება ყავის, შაქრის ლერწმის, ბამბის მოყვანაზე. მრეწველობა სუსტადაა განვითარებული და სპეციალიზირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებაზე. მსხვილი საზღვაო პორტებია: პუერტო-კაბესასი, ბლუფილდსი, ელ-ბლაფი,

კორინტო, პუერტო-სანდინო, სან-ხუან-დელ-სური. საერთაშორისო აეროპორტია: მანაგუა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 12000 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (10000), სამხედრო-საჰაერო (1200) და სამხედრო-საზღვაო (800) ძალებისგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

131. **ნორვეგია (ნორვეგიის სამეფო)** სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მიმართულებიდან შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის ნორვეგიის ზღვით. ფართობი 387 ათასი კმ^2. მოსახლეობა 4,9 მლნ კაცი (2011წ.). ოფიციალური ენა – ნორვეგიული. დედაქალაქი – ქ. ოსლო. ადმინისტრაციული დაყოფა: 19 ფიულკე (მხარე). ნორვეგიაში – კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია – მეფე. საკანონმდებლო ორგანო – სტორტინგა (ორპალატიანი პარლამენტი). აღმასრულებელი ძალაუფლება გააჩნია მეფეს, რომელიც ნიშნავს სახელმწიფო საბჭოს (მთავრობას). ნორვეგია დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1905 წლიდან. ნორვეგია განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის ძირითადი დარგებია: ნავთობ-მოპოვებითი, ნავთობ-ქიმიური, ელექტრო, მეტალურგიული, ელექტრო-ქიმიური, მანქანათმშენებლობითი, ცელულოზა-ქაღალდის, თევზის დამამუშავებელი. სოფლის მეურნეობის წამყვანი მიმართულებაა – მეცხოველეობა. მსხვილი საზღვაო პორტებია: ნორვიკი, ბერგენი, ოსლო, ტრონჰეიმი. საერთაშორისო აეროპორტებია: ოსლო, ბერგენი, სტავანგერი. ნორვეგია ნატო-ს წევრი ქვეყანაა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 13,9 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (7,9), სამხედრო-საჰაერო (2,5) და სამხედრო-საზღვაო (3,5) ძალებისგან. რეზერვი – 183000 ათასი კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

132. **ომანი (ომანის სულთანატი)** სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ქვეყნის ჩრდილოეთი შემოსაზღვრულია ომანის ყურით, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი – არაბეთის ზღვით. ფართობი 306,3 კმ^2. მოსახლეობა 2,8 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. მასკატი. ადმინისტრაციული დაყოფა: 59 ვილაეთი (პროვინცია). ომანში აბსოლუტური მონარქიაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – სულთანი. სათათბირო ორგანო – ომანის საბჭო (ორპალატიანი პარლამენტი). ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 42,6 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (25,0), სამხედრო-საჰაერო (8100), სამხედრო-საზღვაო ძალების (6200) და სულთანის გვარდიისგან (8000). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

133. **პაკისტანი (პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ აზიაში. ქვეყნის სამხრეთი შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანის არაბეთის ზღვით. ფართობი 796,1 ათასი კმ^2. (პაკისტანის მიერ კონტროლირებადი ინდური შტატების ჯამუს და ქაშმირის ტერიტორიების გარეშე). მოსახლეობა 17,6 მლნ კაცი (2011წ.). ოფიციალური ენები – ურდუ და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ისლამაბადი. ადმინისტრაციული დაყოფა: 4 პროვინცია, დედაქალაქის ფედერალური ტერიტორია

და მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტომების ზონა. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტსა და მთავრობას. პაკისტანი წარმოქმნილ იქნა ბრიტანეთის ინდოეთის გაყოფის შედეგად 1947 წელს. შედგებოდა ორი ნაწილისაგან (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) 1956 წელს გამოცხადდა რესპუბლიკად. 1971 წელს აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზე შეიქმნა ბანგლადეშის სახელმწიფო. პაკისტანი აგრარული-ინდუსტრიული ქვეყანაა. გააჩნია ბირთვული მუხტების შექმნის ტექნოლოგია და რესურსები. 1998 წლის მაისში განახორციელა მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებები. საზღვაო პორტებია: კარაჩი, მუჰამედ-ბეი-კასიმი, გვადარი. საერთაშორისო აეროპორტები: კარაჩი, ისლამაბადი, ლაჰორი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 617000 კაცი (2010წ.) შედგება სახელეთო ჯარების (550000), სამხედრო-საჰაერო (45000) და სამხედრო-საზღვაო (24000) ძალებისგან. რეზერვი – 500,0 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

134. პალაუ (პალაუს რესპუბლიკა) სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ მონაკვეთში, მიკრონეზიაში. უკავია კაროლინის კუნძულების დასავლეთი ნაწილი. ფართობი 508 კმ2. მოსახლეობა 20,8 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – პალაუ (ბელაუ) და ინგლისური. დედაქალაქი – კორორი. ადმინისტრაციული დაყოფა: 16 შტატი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ეროვნულ კონგრესს (ორპალატიან პარლამენტს). აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1999 წლის 1 ოქტომბერს, აშშ-სთან თავისუფალი ასოცირების ფარგლებში. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, საერთაშორისო ტურიზმი.

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. თავდაცვის საკითხებს განაგებს აშშ.

135. პანამა (პანამის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში ქვეყნის ჩრდილოეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვით, სამხრეთი – წყნარი ოკეანით. ფართობი 77,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 3,4 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. პანამა. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია, 1 ტერიტორია. 1903 წელს პანამა გამოეყო კოლუმბიას და დადო ხელშეკრულება აშშ-თან ატლანტის და წყნარი ოკეანის დამაკავშირებელი არხის მშენებლობის შესახებ. 1977 წელს ხელი მოეწერა 2 ხელშეკრულებას არხის პანამის იურისდიქციაში გადაცემის შესახებ. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია საკანონმდებლო ასამბლეას, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საფინანსო-საკრედიტო და ტრანზიტული სავაჭრო-სატრანსპორტო ოპერაციები.

კონსტიტუციის შესაბამისად პანამას არ გააჩნია შეიარაღებული ძალები. უსაფრთხოების ძალებს წარმოადგენს: ეროვნული პოლიცია, ეროვნული საზღვაო და საჰაერო სამსახურები.

136. პაპუა-ახალი გვინეა (დამოუკიდებელი სახელმწიფო პაპუა-ახალი გვინეა) სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, უკავია კუნძულ ახალი გვინეის აღმოსავლეთი ნაწილი, ბისმარკის არქიპელაგი, სოლომონოს კუნძულების ჩრდილოეთი ნაწილი და სხვ. ფართობი 462,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 6,7 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. პორტ-მორსბი. ადმინისტრაციული დაყოფა: 19 პროვინცია და დედაქალაქის ოლქი. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაური დიდი ბრიტანეთის მონარქია, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი ქვეყანაა 1975 წლის 16 სექტემბრიდან. აწარმოებს ქოქოსის კაკალს, კაუჩუკს, ყავას, კაკაოს. ძირითადი პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: პორტ-მორსბი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3100 (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (2,5), სამხედრო-საჰაერო (0,2) და სამხედრო საზღვაო (0,4) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

137. პარაგვაი (პარაგვაის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში ხღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 406,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 6,3 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციაური ენები – ესპანური და გუარანი. დედაქალაქი – ქ. ასუნსიონი. ადმინისტრაციული დაყოფა: 19 დეპარტამენტი და დედაქალაქის ოლქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი ეროვნული კონგრესი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1811 წელს. პარაგვაი აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს სახორცე მეცხოველეობა, მეტყევეობა. საერთაშორისო აეროპორტი: ასუნსიონი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,6 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (7,5), სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (1,1) და სამდინარო სამხედრო ფლოტისაგან (1,9). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

138. პერუ (პერუს რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში. ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთი შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით. ფართობი 1285,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა 29,4 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – ესპანური, კეჩუა, აიმარა. დედაქალაქი – ქ. ლიმა. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 რეგიონი (24 დეპარტამენტი) და ერთი კონსტიტუციური პროვინცია. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება გააჩნია ეროვნულ კონგრესს (ერთ პალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1821 წელს. პერუ აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობით (ფერადი ლითონების, რკინის მადნის, ნავთობის, აირის, ფოსფორიტების მოპოვება). სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია: შაქრის ლერწამი, ყავა, მარცვლეული, კარტოფილი. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ტყვია-წამალს, ასაფეთქებელ ნივთიერებას, მსუბუქი თვითმფრინავერის აწყობას, მცირე ხომალდებს. საზღვაო პორტებია: იკიტისი, კალიაო, მატარანი, ტალარა, ილო, პაიტა. საერთაშორისო აეროპორტი: ხორხე ჩავესი (ლიმა).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 114 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (74,0), სამხედრო-საჰაერო (17,0) და სამხედრო საზღვაო (23,0) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით.

139. პოლონეთი (პოლონეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი შემოსაზღვრულია ბალტიის ზღვით. ფართობი 312,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა 38,8 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – პოლონური. დედაქალაქი – ქ. ვარშავა. ადმინისტრაციული დაყოფა; 16 სავოევოდო. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია სეიმს და სენატს (პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). პოლონეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. პოლონეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის ძირითადი დარგია მანქანათმშენებლობა. პოლონეთს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოში ქვანახშირის, გოგირდის, ვერცხლის, მოპოვებაში, თუჯის გამოდნობაში. წარმოადგენს ბრინჯაოს, თითბერის, ტყვიის, ალუმინის მსხვილ მწარმოებელს. განვითარებულია ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობაც. განვითარებულია სამხედრო მეწველობა. სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე. მსხვილი საზღვაო პორტებია: გდანსკი, გდინია, სვინოუსცი, შჩეცინი. საერთაშორისო აეროპორტია: ოკენჩე (ვარშავა).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 100,0 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (46,0), სამხედრო-საჰაერო (17,5) და სამხედრო საზღვაო (8,0) ძალებისგან. აგრეთვე სასაზღვრო (14,1) და შინაგანი ჯარებისაგან (7,3). რეზერვი – 240000 კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული მეთოდით.

140. პორტუგალია (პორტუგალიის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, პირინეის ნახევარკუნძულზე, ატლანტის ოკეანის აზორის, მადეირას, სელვაჟენშის კუნძულებზე. ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით. ფართობი 92,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 10,6 მლნ კაცი (2011წ.). ოფიციალური ენები – პორტუგალიური და მირანდესი (ესპანურის და პორტუგალიური დიალექტების ნარევი). დედაქალაქი – ქ. ლისაბონი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – რესპუბლიკის კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. პორტუგალია ნატო-ს წევრი ქვეყანაა. პორტუგალია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. წამყვანი დარგებია სამთო-მოპოვებითი (ვოლფრამი, ურანი, სპილენძი), მსუბუქი, სამთო და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, ნავთობ-გადამამუშავებელი, ხის დამამუშავებელი მრეწველობა.სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნის 50%-ს. მთავარი დარგი – მემცენარეობაა. საზღვაო პორტებია: ავეირუ, ლისაბონი, ლიგუში, სეტუბალი, ფუნსალი (მადეორას კუნძული), ხოჩუტა (აზორის კუნძულზე). საერთაშორისო აეროპორტებია: ლისაბონი, პორტუ, ფარუ.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 43600 კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (26,7), სამხედრო-საჰაერო (7,1) და სამხედრო საზღვაო (9,1) ძალებისგან. რეზერვი – 210 ათასსი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით.

141. რუანდა (რუანდის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი – 26,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 10,7 მლნ კაცი

(2009წ.). ოფიციალური ენები – კინიარუანდა, ინგლისური, ფრანგული. დედაქალაქი-კიგალი. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 პრეფექტურა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დროებითი ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1962 წლის 1 ივლისს. რუანდა აგრარული ქვეყანაა. მოწინავე დარგებია: ყავის, ჩაის, პირეტრუმის მოყვანა. საერთაშორისო აეროპორტი: კინგალი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 33000 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (32000) და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (1000). შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

142. რუმინეთი სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ქვეყნის აღმოსავლეთი გადის შავ ზღვაზე. ფართობი 237,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 22,3 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – რუმინული. დედაქალაქი – ქ. ბუქარესტი. ადმინისტრაციული დაყოფა: 40 მხარე, ბუქარესტის მუნიციპია. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. რუმინეთის თანამედროვე საზღვრები დადგენილ იქნა პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებით 1947 წელს. 1947 წელს ლიკვიდირებულ იქნა მონარქია და გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკა. თანამედროვე დასახელება დამკვიდრდა 1989 წელს. რუმინეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. რუმინეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება. სამხედრო მრეწველობას ძალუძს აწარმოოს საარტილერიო სისტემები და ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი, ტანკები, თვითმფრინავები, ვერტმფრენები, ხომალდები. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მესიმინდეობა, შაქრის ჭარხლის და მზესუმზირის მოყვანა. მთავარი საზღვაო პორტი: კოსტანცა. საერთაშორისო აეროპორტი: ბუქარესტი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 73,3 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (43,0), სამხედრო-საჰაერო (9,7), სამხედრო-საზღვაო ძალები (7,1), აგრეთვე სასაზღვრო (13,1) ჯარებისაგან. რეზერვი – 45000 კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

143. რუსეთი (რუსეთის ფედერაცია) სახელმწიფო ევროპის აღმოსავლეთ და აზიის ჩრდილო ნაწილში. ააცნია გასასვლელები ჩრდილოეთ-ყინულოვან ოკეანეზე, ბალტიის ზღვაზე, შავ ზღვასა და აზოვის ზღვაზე, წყნარი ოკეანის ჩრდილოთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებზე. ფართობი 17 075,4 ათასი კმ^2. მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოა ტერიტორიის მიხედვით. ესაზღვრება მსოფლიოს 14 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს (საზღვრის გადაჭიმულობა 723 კმ). მოსახლეობა – 142,9 მლნ კაცი (2010წ.). დასახლებულია 100 მეტი ეროვნების წარმომადგენელებით, მათგან რუსები 81,5%. ოფიციალური ენა – რუსული. დედაქალაქი – ქ. მოსკოვი. რუსეთი ფედერაციული რესპუბლიკაა. ფედერაციის სუბიექტია: 21 რესპუბლიკა, 55 მხარე, ფედერალური მნიშვნელობის 2 ქალაქი (მოსკოვი, პეტერბურგი) 11 ავტონომიური მხარე. სახელმწიფოს მეთაური – ფედერაციის პრეზიდენტია. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი ფედერალური კრება (ფედერაციის საბჭო და

სახელმწიფო დუმა). აღმასრულებელ ძალაუფლებას ახორციელებს – ფედერაციის მთავრობა. დღევანდელი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია 1917 წლამდე წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიას, ხოლო 1917 წლიდან 1991 წლამდე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. მასში რუსეთი შედიოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სახით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია მისი კანონმემკვიდრე გახდა. წარმოადგენს გაეროს მუდმივ წევრს. 1991 წელს მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაცია ატარებდა აგრესიულ პოლიტიკას და მხარს უჭერდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სეპარატისტულ მოძრაობას, რომელიც დასრულდა აგრესიით საქართველოს წინაარმდეგ 2008 წელს და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციით. რუსეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. გააჩნია მსოფლიოში უდიდესი მინერალური რესურსები. მის წილად მოდის მსოფლიოს ბუნებრივი აირის 30%, ქვანახშირის 5-6% მარაგი. სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში წამყვანი ადგილი უკავია ნავთობს და ბუნებრივ აირს. დაახლოებით ელექტროენერგიის 10%-ს გამოიმუშავებს ატომური ელექტროსადგურები. გააჩნია მნიშვნელოვანი სიმძლავრის მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ნავთობტექნიკური, ხე-ტყის, მსუბუქი, კვების მრეწველობა. რუსეთს გააჩნია სამხედრო მრეწველობის მძლავრი სისტემა, აწარმოებს სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო შეიარაღებისა და ტექნიკის ყველა სახეს, მათ შორის სარაკეტო-ბირთვულ და სამხედრო-კოსმოსურს. რუსეთს მე-2 ადგილი უკავია მსოფლიოში იარაღის გაყიდვის მიხედვით. სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უკავია მემცენერეობას, მეცხოველეობას, მებახჩეობას, ბოსტნეულის მოყვანას, თუმცა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას. ძირითადი საზღვაო პორტებია: ნოვოროსიისკი, ტუაფსე – შავ ზღვაზე; ს. პეტერბუგი, კალინინგრადი – ბალტიის ზღვაზე; მურმანსკი – ბარენცის ზღვაზე; ვლადივოსტოკი, ნახოდკა, ვანინო – შორეულ აღმოსავლეთში. საჰაერო მიმოსვლის კვანძებია: მოსკოვი, ს. პეტერბურგი, ნოვოსიბირსკი, ხაბაროვსკი, მინერალური წყლები. მყარი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკიანი 600-მდე აეროდრომი.

რუსეთის შეიარაღებული ძალები მოიცავს სამ სახეობას (სახმელეთო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს), მათგან დამოუკიდებელ სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებს და სამხედრო-კოსმოსურ ძალებს. სამხედრო-ძალოვან და გასამხედროებულ სტრუქტურებს განეკუთვნებიან ასევე, უსაფრთხოების ფედერალური სამსახური, საგარეო დაზვერვის სამსახური, ფედერალური სასაზღვრო სამსახური, სამოქალაქო თავდაცვის ჯარები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სარკინიგზო ჯარები. შემცირებულ იქნა სამხედრო ოლქების რაოდენობა 4-მდე (დასავლეთის, სამხრეთის, ცენტრის და აღმოსავლეთის). სამხრეთის სამხედრო ოლქში შედის ყოფილი ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქი, შავი ზღვის ფლოტი და კასპიის ფლოტილია. რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობაა: სახმელეთო ჯარები – 300000, სამხედრო-საჰაერო ძალები – 183000, სამხედრო-საზღვაო ძალები – 161000, კოსმოსური ძალები – 150000, საჰაერო სადესანტო ჯარები – 35000, სტარტეგიული დანიშნულების ჯარები – 120000 (2010წ.). სამხრეთის სამხედრო ოლქში (შტაბი დონის როსტოვში) შედის 70000

სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის სახმელეთო ჯარები – 56000, სამხედრო-საჰაერო ძალები – 10000, სამხედრო-საზღვაო ძალები – 4000. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სახით (გაწვევით და დაქირავებით).

144. საბერძნეთი (საბერძნეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო ევროპის სამხრეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მიმდებარე კუნძულებზე ეგეოსის, იონის და ხმელთაშუა ზღვაში. ფართობი 131,9 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 10,7 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ბერძნული. დედაქალაქი – ქ. ათენი. ადმინისტრაციული დაყოფა: 51 ნომი (მხარე) და განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეული. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატების პალატა (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. საბერძნეთი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა. თანამედროვე საბერძნეთი ოსმალეთის უღლისგან განთავისუფლდა 1829 წელს. საბერძნეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. საბერძნეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, შავი და ფერადი მეტალურგია. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო სისტემებს და ცეცხლსასროლი იარაღს, ტყვია-წამალს, ქვეითთა საბრძოლო მანქანებს, მცირე ხომალდებს. მისი სავაჭრო ფლოტი ერთ-ერთი უმსხვილესია მსოფლიოში. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტებია: პირეი, სალონიკები, პეტრა, კერკირა. 22 საერთაშორისო აეროპორტია, ყველაზე დიდია: ელინიკომი (ათენი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 156,6 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (93,5), სამხედრო-საჰაერო (31,5) და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (20,0). რეზერვი – 23,7 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

145. სალვადორი (ელ-სალვადორის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 21,0 ათასი კმ^2. მოსახლეობა 7,1 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სან-სალვადორი. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 დეპარტამენტი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი საკანონმდებლო კრება (პარლამენტი). დამოუკიდებლობა მოიპოვა 1821 წელს, რესპუბლიკად გამოცხადდა – 1841 წელს. სალვადორი აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურებია: ყავა, ხილი. საზღვაო პორტებია: აკახუტლა, ლა-ლიბერტად, ლა-უნიონი, უერტო-კუტეკო. საერთაშორისო აეროპორტი: კომალანა (სან-სალვადორი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15,5 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (13,8), სამხედრო-საჰაერო ძალები (950), სამხედრო-საზღვაო (700) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

146. სამოა (დამოუკიდებელი სახელმწიფო სამოა) სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პოლინეზიაში, იმავე დასახელების არქიპელაგის დასავლეთ ნაწილში. ფართობი 2,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 179,0 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. აპია. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 ოლქი. სამოაში კონსტიტუციური მონარქიაა. არის

დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაური – ბელადი. საკანონმდებლო ორგანო – ფონო (ერთპალატიანი საკანონმდებლო ასამბლეა), აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1962 წლიდან. 1997 წლამდე იწოდებოდა დასავლეთ სამოად. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება (ქოქოსის პალმა, ყავა, ბანანები) და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: აპია.

თავდაცვის საკითხებს განაგებს ახალი ზელანდია.

147. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში. აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანით, სამხრეთ-დასავლეთი ატლანტის ოკეანით. ფართობი 1221 კმ^2. მოსახლეობა 49,0 მლნ კაცი (2010ქ.). ოფიციალური ენები – ინგლისური და ადგილობრივი აფრიკული მოსახლეობის 11 ძირითადი ენა. დედაქალაქი – ქ. პრეტორია. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1961 წლის 31 მაისს. სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო ეკონომიურად ყველაზე განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა აფრიკაში. მსოფლიოში უკავია მოწინავე ადგილი ალმასების, ოქროს, მარგანეცის, ურანის, ასბესტის და სხვ. მოპოვებაში. განვითარებულია მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური, საფეიქრო, კვების მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს თვითმფრინავებს, ტანკსაწინაღო და საჰაერო მართვად რაკეტებს, ჯავშანტექნიკას, ცეცხლსასროლ იარაღს, საარტილერიო სისტემებს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს და სხვ. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია: სიმინდი, ხორბალი, შაქრის ჭარხალი, თამბაქო, ციტრუსები. მნიშვნელოვან როლს თამაშობს – მეცხოველეობა. მსხვილი საზღვაო პორტებია: დურბანი, სალდანია, კეიპთაუნი, პორტ-ელიზაბეთი, რიჩადს-ბეი. საერთაშორისო აეროპორტები: იოჰანესბურგი, დურბანი, კეიპთაუნი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 62 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (37,1), სამხედრო-საჰაერო (10,6) და სამხედრო-საზღვაო (6,2) ძალებს. მომზადებული რეზერვი – 15,0 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

148. სან-მარინო (სან-მარინოს რესპუბლიკა) სახელმწიო სამხრეთ ევროპაში, აპენინის ნახევარკუნძულზე, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. გარშემორტყმულია იტალიის ტერიტორიით. ფართობი 61 კმ^2. მოსახლეობა – 31,7 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – იტალიური. დედაქალაქი – ქ. სან-მარინო. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 მხარე (ციხე-სიმაგრე). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – ორი კაპიტანი-რეგენტი. საკანონმდებლო ორგანო – დიდი გენერალური საბჭო. სახელმწიფოს წარმოშობა აითვლება 301 წლიდან. სან-მარინოს ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული იტალიასთან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი და სოფლის მეურნეობა (მარცვლეულის წარმოება, მეღვინეობა, მეცხოველეობა), საფოსტო მარკების და მონეტების გამოშვება.
სან-მარინოს შეიარაღებული ძალები არ გააჩნია, ქვეყნის დაცვის ფუნქციებს ასრულებს იტალიის შეიარაღებული ძალები.

149. სან-ტომე და პრინსიპი (სან-ტომესა და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკა) სახელმწიფო აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან, გვინეის ყურეში განლაგებულ სან-ტომეს, პრინსიპის და სხვა კუნძულებზე. ფართობი – 964 კმ^2. მოსახლეობა – 163 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. სან-ტომე. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1975 წლის 12 ივლისს. სუსტად განვითარებული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის-მეურნეობა (კაკაო, ყავა, ბანანები). საზღვაო პორტებია: სან-ტომე, სანტუ-ანტონიო. საერთაშორისო აეროპორტი: სან-ტომე.

გააჩნია მცირე ზომის, მოძველებული სისტემებით შეიარაღებული სამხედრო ძალები. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

150. საუდის არაბეთი (საუდის არაბეთის სამეფო) სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში არაბეთის ნახევარკუნძულზე. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია სპარსეთის ყურით, სამხრეთ-დასავლეთი წითელი ზღვით. ფართობი 2,24 მლნ. კმ^2. მოსახლეობა – 28,6 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ელ-რიადი. ადმინისტრაციული დაყოფა: 13 ემირატი (პროვინცია). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – მეფე, რომელსაც გააჩნია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასულიერო ძალაუფლება. სათათბირო ორგანო – საკონსულტაციო საბჭო. თანამედროვე საზღვრებსა და დასახელებით ქვეყანა ჩამოყალიბდა 1932 წელს. საუდის არაბეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოში ნავთობის მოპოვების მხრივ, ფლობს აღმოჩენილი მსოფლიო მარაგების 25%-ს. მრეწველობის წამყვანი დარგებია: ნავთობდამუშავება და ნავთობქიმია. სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას განვითარებულია რელიგიური ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტებია: დუბა, ჯიდა, ჯიზანი, დასავლეთში. რას-ჰაფჯი, დამამი აღმოსავლეთში. საერთაშორისო აეროპორტებია: ელ-რიადი, ჯიდა, დაჰრანი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 233,5 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (75,0), სამხედრო-საჰაერო (36,0) და სამხედრო-საზღვაო (13,5) ძალებისაგან, მათ შორის (100,0) ეროვნული გვარდია. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

151. საფრანგეთი (საფრანგეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ქვეყნის დასავლეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით, (ბისკაის ყურე და ლა-მანშის სრუტე) სამხრეთ-აღმოსავლეთი – ხმელთაშუა ზღვით. ფართობი 551,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 65,8 მლნ კაცი (2011წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. პარიზი. ადმინისტრაციული დაყოფა: 96 დეპარტამენტი (კ. კორსიკის ჩათვლით). საფრანგეთის შემადგენლობაში შედის ზღვისგაღმა დეპარტამენტები (იხ. დამოკიდებული ტერიტორიები). სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). საფრანგეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. 1958 წლიდან ქვეყანაში არსებობს საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელმაც ჩაანაცვლა საპარლამენტო რესპუბლიკა. საფრანგეთი მაღალ განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. სოფლიოში უკავია

ერთ-ერთი მოწინავე ადგილი სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით. ახორციელებს ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირის, რკინისა და ურანის მადნის და სხვ. მოპოვებას. მრეწველობის ძირითადი დარგებია: მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, მსუბუქი, კვების. ელექტროენერგიის 75%-ს გამოიმუშავებს ატომური ელექტროსადგურებით. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ყველა ტიპის სამხედრო ტექნიკასა და შეიარაღებას, მათ შორის ბირთვულ იარაღსაც. საფრანგეთი ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია შეიარაღების მსოფლიო ბაზარზე. სოფლის მეურნეობა მრავალდარგობრივი, მაღალპროდუქტიულია. მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას ძირითად პროდუქტებზე, ნაწილი – გადის ექსპორტზე. საფრანგეთი ხორბლის, ნაღების კარაქის, ყველის, ძროხის ხორცის ევროპის უმსხვილესი მწარმოებელია. წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთ უმსხვილეს რაიონს. უმსხვილესი საზღვაო პორტებია: მარსელი, ჰავრი, დიუნკერკი, კალე, რუანი, ბორდო.საერთაშორისო აეროპორტებია: ორლი, შარლ დე გოლი (პარიზში), ბორდო, ლიონი, მარსელი, ნიცა, სტრასბურგი, ტულუზა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 262,9 ათასი კაცი (2008წ.) შედგება სახმელეთო (123,0), სამხედრო-საჰაერო (57,4), სამხედრო-საზღვაო (42,5) ძალებისაგან და სამხედრო ჟანდარმერიისგან (40,0). დანიშნულების მიხედვით შეიარაღებული ძალები იყოფა ბირთვულ და საერთო დანიშნულების ძალებად. რეზერვი – 70,0 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

152. სეიშელის კუნძულები (სეიშელის კუნძულების რესპუბლიკა) სახელმწიფო აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ინდოეთის ოკეანის სეიშელის, ამირატის, ალ-დაბრას, კოსმოლედოს, ფარკუარის და სხვა კუნძულებზე. ფართობი 455 კმ^2. მოსახლეობა – 87,4 ათასი კაცი (2008წ.). ოფიციალური ენები – კრეოლური, ინგლისური, ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ვიქტორია. ადმინისტრაციული დაყოფა: 23 ოლქი. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1976 წლის 28 ივნისს. ეკონომიკის წამყვანი დარგებია საერთაშორისო ტურიზმი, ტროპიკული მიწათმოქმედება და მეთევზეობა. ძირითადი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: ვიქტორია (კ.მაე)

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 450 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო (200), საჰაერო (20) და სანაპირო დაცვის (250) კომპონენტებისგან.

153. სენეგალი (სენეგალის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის ნაპირებზე. ფართობი – 196,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა 13,7 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. დაკარი. ადმინისტრაციული დაყოფა: 10 მხარე. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 20 აგვისტოს. სენეგალი აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ადგილობრივი მოთხოვნის 1/3-ს. მთავარი საექსპორტო კულტურაა

– არახისი. განვითარებულია თევზჭერა. საზღვაო პორტებია: დაკარი, სენ-ლუი, კაოლაკი, ზიგინშორი. საერთაშორისო აეროპორტი: დაკარი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 13,6 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (11,9), სამხედრო-საჰაერო (0,8) და სამხედრო-საზღვაო (0,9) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

154. სენტ-ვინსენტი და გრენადინები სახელმწიფო კარიბის ზღვის კუნძულ სენტ-ვინსენტსა და მცირე ანტილის კუნძულების გრენადინის არქიპელაგზე. ფართობი 389 კმ^2. მოსახლეობა 120 ათასი კაცი (2008წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კინგსთაუნი. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია – ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – კრების პალატა, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1979 წლის 27 ოქტომბრიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი: კინგსთაუნი. საერთაშორისო აეროპორტი: კ. სენტ-ვინსენტზე.

თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

155. სენტ-კრუსი და ნევისი (სენტ-კრუსის და ნევისის ფედერაცია) სახელმწიფო სენტ-კრისტოფერის და ნევისის კუნძულებზე კარიბის ზღვის მცირე ანტილის კუნძულების არქიპელაგში. ფართობი 261,6 კმ^2. მოსახლეობა 51,3 ათასი კაცი (2005წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბასთერი. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია. სახელმწიფოს მეთაურია – ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1983 წლის 19 სექტემბრიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: ბასთერი.

თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

156. სენტ-ლუსია სახელმწიფო იმავე დასახელების კუნძულზე კარიბის ზღვის მცირე ანტილის არქიპელაგში. ფართობი 616 კმ^2. მოსახლეობა 173 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კასთრი. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია – ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1979 წლის 22 თებერვლიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტებია: კასთრი, ვიე-ფორი. საერთაშორისო აეროპორტი: ვიე-ფორი.

თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

157. სერბეთი (სერბეთის რესპუბლიკა) სახლემწიფო ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მიჯნაზე. მოიცავს კარპატეთის აუზს და ბალკანეთის ცენტრალურ ნაწილს ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 88,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 7,3 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – სერბული. დედაქალაქი – ქ. ბელგრადი. ადმინისტრაციული დაყოფა: 167 მუნიციპალიტეტი და ერთი ავტონომიური პროვინციალ: ვოევოდინა. სერბეთი – საპარლამენტო რესპუბლიკაა.

სახელმწიფოს ხელმძღვანელობს – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ეროვნულ ასამბლეას, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იუგოსლავიის ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა დაიშალა ეთნიკურ წარმონაქმნებზე, სერბეთმა და მონტენეგრომ (ჩერნოგორიამ) შექმნეს იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა. 2006 წელს ურთიერთშეთანხმებით და რეფერენდუმის საფუძველზე მოხდა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის გაშლა სერბეთისა და მონტენეგროს (ჩერნოგორიის) დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. სერბეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტზე. წარმოადგენს ხილის კონსერვების მოწინავე ექსპორტიორს ევროპაში. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. სამდინარო პორტები (დუნაიზე): ბელგრადი, ნოვი-სადი. საერთაშორისო აეროპორტი: ბელგრადი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 29,0 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (23,5) და სამხედრო-საჰაერო (4,5) ძალებისაგან. გასამხედროებული ფორმირება – 10,0. ღეზერვი – 100,0. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

158. სვაზილენდი (სვაზილენდის სამეფო) სახლემწიფო სამხრეთ აფრიკაში ზღვებზე გასასვლელის გარეშე. შემოსაზღვრული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ნამიბიის ტერიტორიებით. ფართობი 17,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 1,2 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. მბაბანე. ადმინისტრაციული დაყოფა: 4 ოლქი. ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიაა. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაური – მეფეა, რომელსაც ასევე გააჩნია საკანონმდებლო (პარლამენტის უფლებამოსილება შეზღუდულია) და აღმასრულებელი (ხორციელდება მთავრობის საშუალებით) ძალაუფლება. სვაზილენდი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურა და დარგი – შაქრის ლერწამი და მეცხოველეობაა. მსოფლიოში მე-4 ადგილი უკავია ასბესტის წარმოების მოცულობით. გააჩნია საერთაშორისო აეროპორტი.

შეიარაღებული ძალებს წარმოადგენს სახმელეთო ჯარები 3000 კაცის შემადგენლობით (2006).

159. სიერა-ლეონე (სიერა-ლეონეს რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი – 72,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 5,1 მლნ კაცი (2009წ.) ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ფრითაუნი. ადმინისტრაციული დაყოფა: 3 პროვინცია და დასავლეთი მხარე. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანა. დამოუკიდებლობა აღიარა 1961 წელს, 1971 წლიდან – რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. სიერა-ლეონე აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია სამთო მოპოვებითი დარგი (ალმასები, ბოქსიტები და სხვ.). საზღვაო პორტებია: ფრიტაუნი, ბონტე, პეპელი. საერთაშორისო აეროპორტი: ფრიტაუნი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10500 კაცი (2009) შედგება სახმელეთო ჯარებისა (10000) და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (500).

160. სინგაპური (სინგაპურის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუნძულ სინგაპურსა და მალაკის ნახევარკუნძულის მიმდებარე მცირე ზომის კუნძულებზე. ფართობი 641,4 კმ^2. მოსახლეობა – 4,6 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები: მალაიური, ინგლისური, ჩინური, თამილური. დედაქალაქი – ქ. სინგაპური. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1965 წელს. სინგაპური მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო-სამრეწველო, საფინანსო და სატრანსპორტო ცენტრია. ეკონომიკის წამყვანი დარგებია ელექტრონული, ნავთობგადამამუშავებელი, გემთმშენებლობის, ბიოტექნიკური. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ცეცხლსასროლ იარაღს, კატარღებს, რადიოაპარატურას, ტყვია-წამალს. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: სინგაპური.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 72500 კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისგან (56000), საჰაერო (13500) და სამხედრო-საზღვაო (3000) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

161. სირია (სირიის არაბთა რესპუბლიკა) სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი შემოსაზღვრულია ხმელთაშუა ზღვით. ფართობი 185,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 21,7 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. დამასკო. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 მუჰაფაზი (გუბერნია). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ერთპალატიან სახალხო საბჭოს, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს. თანამედროვე საზღვრებსა და დასახელებით დამოუკიდებლობა აღიარა 1941 წელს. 1958-1961 შედიოდა გაერთიანებულ არაბთა რესპუბლიკაში (ეგვიპტესთან ერთად). სირია აგრარული ქვეყანაა, სწრაფი ტემპებით განვითარებადი მრეწველობით (წამყვანი დარგებია: ნავთოდამუშავება, ნავთობქიმია, კვების, სამკერვალო, სამშენებლო მასალების წარმოება). მთავარი საზღვაო პორტებია: ტარტუსი, ლატაკია, ბანიასი, ელ-ბაიზა. საერთაშორისო აეროპორტებია: დამასკო, ალეპო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 325,0 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (220,0), სამხედრო-საჰაერო (100,0) და სამხედრო-საზღვაო (0,5) ძალებისგან. მომზადებული რეზერვი – 330,0 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

162. სლოვაკეთი (სლოვაკეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 49 ათასი კმ^2. მოსახლეობა 5,4 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – სლოვაკური. ადმინისტრაციული დაყოფა: 8 მხარე. დედაქალაქი – ქ. ბრატისლავა. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული საბჭო, აღმასრულებელი – მთავრობა. ნატო-ს წევრი ქვეყანაა. სუვერენიტეტი გამოაცხადა 1992 წლის 17 ივლისს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გამოსვლით. სლოვაკეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია მეტალურგია, ქიმიური, მანქანათმშენებლობითი, საფეიქრო, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგებია მიწათმოქმედება (მარცვლეული კულტურები, შაქრის ჭარხალი

და სხვ.). სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ტანკებს, ქსმ-ებს, საარტილერიო სისტემებს, ტყვია-წამალს. საერთაშორისო აეროპორტი: ბრატისლავა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 16,5 ათასი კაცი (2009წ.), შედგება სახმელეთო ჯარების (7,3), სამხედრო-საჰაერო (4,1) ძალებისგან. რეზერვი – 20000 კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

163. სლოვენია (სლოვენიის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ადრიატიკის ზღვის ვენეციის ყურეზე გასასვლელით. ფართობი 20,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,0 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – სლოვენიური. დედაქალაქი – ქ. ლიუბლიანა. ადმინისტრაციული დაყოფა: 182 თემი და 11 ქალაქის თემი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. ნატო-ს წევრი ქვეყანაა. სუვერენიტეტი გამოაცხადა 1991 წლის 25 ივნისს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან გამოსვლით. სლოვენია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, მანქანათმშენებლობითი, ხის დამამუშავებელი, საფეიქრო, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგებია მესაქონლეობა, მიწათმოქმედება (მარცვლეული კულტურები, მევენახეობა და სხვ.). საზღვაო პორტებია: პირანი, კოპერი. საერთაშორისო აეროპორტებია: ლუბლიანა, მარიბორი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 7,2 ათასი კაცი (2010წ.) ორგანიზებულია ტერიტორიულ-მილიციური პრინციპით, შედგება სახმელეთო ჯარებისაგან, რომელიც შეიცავს სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო კომპონენტებს. რეზერვი – 20000 კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული მეთოდით.

164. სოლომონის კუნძულები სახელმწიფო ოკეანეთში. განლაგებული წყნარი ოკეანის სამხრეთში მდებარე კუნძულთა ჯგუფში. ფართობი 28,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 538,0 ათასი კაცი (2005წ.). ოფიციალური ენები – მალანეზიური. დედაქალაქი – ქ. ჰონიარა. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია და 1 დედაქალაქის ტერიტორია. სახელმწიფო წყობა: საპარლამენტო რესპუბლიკა. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1978 წლის 7 ივლისს. შახელმწიფოს მეთაური – დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი. ეკონომიკის ძირითადი დარგების სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა დ ახე-ტყის დამუშავება. საზღვაო პორტებია: აოლა, ვირუ-ჰარბორი, ლოფუნგი, ნორო, ონიარა, იანდინა. გააჩნია 2 აეროპორტი..

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. ფუნქციონირებს სადაზვევრვო ძალები და სამეფო პოლიცია.

165. სომალი (სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა) სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის ჩრდილოეთი შემოსაზღვრულია არაბეთის ზღვის ადენის ყურით, აღმოსავლეთი წყნარი ოკეანით. ფართობი 637,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 9,8 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები – სომალი, არაბული. დედაქალაქი – ქ. მოგადიშო. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრება. სომალი დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1960 წლიდან, ბრიტანული და იტალიური სომალის გაერთიანებით.

კლანურ-ტომობრივმა გართულებამ და დაუსრულებელმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა 90-იანი წლებიდან გამოიწვია სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების შეწყვეტა. ჩრდილოეთურმა კლანებმა გამოაცხადეს სომალენდის რესპუბლიკა, ხოლო რეგიონების ნაწილმა – პუნტლენდის რესპუბლიკა. სომალი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სამომთაბარეო მეცხოველეობა. საზღვაო პორტებია: მოგადიშო, ბერბერა, კისმაიო. საერთაშორისო აეროპორტი: მოგადიშო.

სამოქალაქო ომის გამო 1991 წლიდან რეგულარული შეიარაღებული ძალები სხვადასხვა კლანს გააჩნია თავისი შეიარაღებული ფორმირებები. სომალილინდის და პუნტლენდის რეგიონალურ მთავრობებთან ფუნქცირებს პოლიცი და უსაფრთხოების ძალები.

166. სომხეთი (სომხეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამიერკავკასიაში, ზღვებზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 29,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 3,2 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – სომხური. დედაქალაქი – ქ. ერევანი. ადმინისტრაციული დაყოფა: 11 მარზი (მხარე). სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). სომხეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. მე-19 საუკუნის დასაწყისში შეუერთდა რუსეთს. 1918 წელს გამოცხადებულ იქნა სომხეთის დამოუკიდებლობა. 1920 წელს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და შევიდა სსრკ-ს შემადგენლობაში. 1991 წლის 25 სექტემბერს მიღებულ იქნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია. სომხეთი არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი. სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა. სომხეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. გააჩნია ატომური ელექტრო სადგური, ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ენერგომატარებლების მიწოდებაზე. მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა (ელექტრო-ტექნიკური, დაზგების, ხელსაწყოების), ფერადი მეტალურგია, ქიმიური, კვების მრეწველობა, საშენი მასალების წარმოება. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მევენახეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი: ზვარტნოცი (ერევანი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 43,6 ათასი კაცი (2010წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (40,4) და სამხედრო-საჰაერო (3,2) ძალებისაგან. რეზერვი - 210000. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

167. სუდანი (რესპუბლიკა სუდანი) სახელმწიფო ჩრდილ-აღმოსავლეთ აფრიკაში. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია წითელი ზღვით. ფართობი 2,5 მლნ კმ^2. მოსახლეობა 41,0 მლნ კაცი (2009წ.). მათგან არაბები 50 %, დანარჩენები ნუმიდიელები და სხვ. ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ხართუმი. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 შტატი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა, თანამედროვე სუდანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1956 წელს. აპირისპირებამ ჩრდილოეთში მცხოვრებ მუსულმანთა და სამხრეთელ ქრისტიანებს შორის გამოიწვია სამოქალაქო ომი, რაც პერმანენტულ სამხედრო გადატრიალებებსა და სამოქალაქო შეტაკებებშია გადაზრდილი.სუდანი სუსტად განვითარებული

აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მცენარეული კულტურების მოყვანა. საზღვაო პორტებია: პორტ-სუდანი, სუაკინი. საერთაშორისო აეროპორტი: ხართუმი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 109,3 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (105,0), სამხედრო-საჰაერო (3,0) და სამხედრო-საზღვაო (1,3) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

168. სურინამი (სურინამის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის ჩრდილოეთი შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანით. ფართობი 163,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა 481,2 ათასი კაცი (2007წ.). ოფიციალური ენა – ჰოლანდიური. დედაქალაქი – ქ. პარამარიბო. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 მხარე. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი – მთავრობა. სურინამი დამოუკიდებელი ქვეყანაა 1954 წლიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ბოქსიტების მოპოვება და დამუშავება, ალუმინიუმის წარმოება. ძირითადი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: პარამარიბო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1,84 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (1,4), სამხედრო-საჰაერო (200) და სამხედრო-საზღვაო (240) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობით.

169. ტაივანი (ჩინეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო განლაგებული აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე. ფართობი 35,95 ათასი კმ^2. მოსახლეობა 22,9 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ჩინური. დედაქალაქი – ქ. ტაიბეი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება გააჩნია – ერთპალატიან საკანონმდებლო იუანს, აღმასრულებელი – პრემიერს, საკანონმდებლო იუანის თავმჯდომარეს. ჩინეთის რესპუბლიკა ტაივანს თვლის თავის ერთ-ერთ პროვინციად და გამოცხადებული აქვს მასთან გაერთიანების კურსი, პრინციპის საფუძველზე „ერთი სახელმწიფო – ორი სისტემა". ტაივანი წარმოადგენს აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს, დინამიურად მზარდი ეკონომიკით, ამ რეგიონის უმსხვილეს ინვესტორს. მთავარი საზღვაო პორტებია: გაოსიუნი, სუაო, ცზიუნი, ჰუალიანი, ტაიდუნი. საერთაშორისო აეროპორტი: ტაიბეი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 290,0 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (200,0), სამხედრო-საჰაერო (50,0) და სამხედრო-საზღვაო (40,0) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

170. ტაილანდი (ტაილანდის სამეფო) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყნის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია სამხრეთ-ჩინეთის ზღვის სიამის ყურით, ხოლო უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი – ანდამანის ზღვით. ფართობი 514 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 65,9 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ტაილანდური. დედაქალაქი – ქ. ბანგკოკი. ადმინისტრაციული დაყოფა: 73 ჩანგვადა (პროვინცია). ტაილანდში – კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – მეფეა. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი – მთავრობა. კონსტიტუციური მონარქია გამოცხადებულ იქნა 1932 წელს. თანამედროვე ტაილანდი განვითარებადი ინდუსტრიულ-აგრარული

ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტებია: ბანგკოკი, ფხუკეტი, სატახიპი. საერთაშორისო აეროპორტები: ბანგკოკი, ხატიაი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 305,0 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (200,0), სამხედრო-საჰაერო (45,0) და სამხედრო-საზღვაო (70,0) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

171. **ტანზანია (ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა)** სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკასა და ახლომდებარე კუნძულებზე ინდოეთის ოკეანეში, მათ შორის ზანზიბარზე. ფართობი 945,1 კმ^2. მოსახლეობა 41,0 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები – სუაჰილი, ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დარ-ეს-სალამი. ადმინისტრაციული დაყოფა: 25 მხარე. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა მოიცავს მატერიკულ ნაწილს (ტანგანიკა), რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1961 წელს და კუნძულ ზანზიბარს, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1963 წელს. მათი გაერთიანება მოხდა 1969 წლის 26 აპრილს. ტანზანია სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურებია: ყავა, ბამბა, მიხაკ-დარიჩინი. საზღვაო პოტებია: დარ-ეს-სალამი, ტანგა, ლინდი. საერთაშორისო აეროპორტებია: დარ-ეს-სალამი, ზანზიბარი, არუშა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 27,0 ათასი კაცი (2008წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (23,0), საჰაერო თავდაცვის (3,0) და სამხედრო-საზღვაო (1,0) ძალებს. რეზერვი – 80000 კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

172. **ტაჯიკეთი (ტაჯიკეთის რესპუბლიკა)** სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ფართობი 143,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 7,9 მლნ კაცი (2010წ.), მათგან 68% ტაჯიკები, 25% უზბეკები. ოფიციალური ენა – ტაჯიკური. დედაქალაქი – ქ. დუშანბე. ადმინისტრაციული დაყოფა: 2 მხარე, ერთი ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკური დაქვემდებარების რამოდენიმე რაიონი. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი ოლი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე ტაჯიკეთმა, რომელიც შედიოდა სსრკ-ში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 9 სექტემბერს. ტაჯიკეთი დსთ-ს წევრი ქვეყანაა. ტაჯიკეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის საფუძველს წარმოადგენს სამთოდამამუშავებელი, ფერადი მეტალურგია, ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: ბამბის წარმოება, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა. მსხვილი აეროპორტი: დუშანბე.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8,8 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (8,0), სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან (0,8). შეიარაღებულ ფორმირებებში შედის სასაზღვრო (1,2) და შინაგან საქმეთა (3,5) ჯარები. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

173. **ტოგო (ტოგოლეზის რესპუბლიკა)** სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ქვეყნის სამხრეთი გადის ატლანტის ოკეანის გვინეის ყურის სანაპიროზე. ფართობი 56,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 6,0 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ლომე. ადმინისტრაციული დაყოფა: 5 მხარე. სახელმწიფოს და

მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წელს. ტოგო აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურებია: კაკაო, ყავა, ზეთის პალმა. საზღვაო პორტებია: ლომე, ანეჰო. საერთაშორისო აეროპორტი: ლომე.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8,5 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (8,1), სამხედრო-საჰაერო (0,2) და სამხედრო-საზღვაო (0,2) ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

174. **ტონგა (ტონგას სამეფო)** სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პოლინეზიაში, ტონგას (მეგობრობის) კუნძულებზე, სულ 169 კუნძული. ფართობი 748 კმ^2. მოსახლეობა 119,0 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები – ტონგური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ნუკუალოფა. ადმინისტრაციული დაყოფა: 5 მხარე. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. ტონგაში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – მეფეა. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი საკანონმდებლო ასამბლეა, აღმასრულებელი – მეფე და მთავრობა. დამოუკიდებელი ქვეყანაა 1970 წლიდან. ტონგა სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურებია: ქოქოსის კაკალი, ბანანი. საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: ნუკუალოფა.

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. არის სამეფო გვარდია და სამეფო საზღვაო ქვეითები.

175. **ტრინიდადი და ტობაგო (ტრინადადისა და ტობაგოს რესპუბლიკა)** სახელმწიფო კარიბის ზღვის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ტრინიდადის, ტობაგოს, და 5 სხვა კუნძულზე. ფართობი 5,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 1,2 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. პორტ-ოფ-სპეინი. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 საგრაფო. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1962 წელს. ტრინიდადი და ტობაგო ერთ-ერთი ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოა კარიბის აუზში. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტებია: პუენტ-ა-პიერი, პოინტ-ფორტინი, პორტ-ოფ-სპეინი, სკარბორო. საერთაშორისო აეროპორტი: პიაკრო (პორტ-ოფ-სპეინი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 4,0 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისა (3,0) და სანაპირო დაცვისგან (1,0). დაკომპლექტება ხორციალდება დაქირავებით.

176. **ტუვალუ** სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პოლინეზიაში, ტუვალუს 9 კუნძულზე. ფართობი 25,9 კმ^2. მოსახლეობა 12,4 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ფუნაფუტი. ადმინისტრაციული დაყოფა: 8 მუდმივ დასახლებული კუნძული. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაური – ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი

სახელმწიფოა 1978 წლიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება და თევზჭერა. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: ფუნაფუტი.

თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

177. ტუნისი (ტუნისის რესპუბლიკა) სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. მისი ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია ხმელთაშუა ზღვით. ფართობი 162,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 10,4 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ტუნისი. ადმინისტრაციული დაყოფა: 23 გუბერნატორატი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია – დეპუტატთა პალატას (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. თანამედროვე ტუნისმა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1956 წელს. ტუნისი აგრარული ქვეყანაა შედარებით განვითარებული ეკონომიკით. წარმოებს ნავთობის, გაზის, ფოსფორიტების მოპოვება. განვითარებულია კვების, მსუბუქი, ქიმიური, ელექტროტექნიკური მრეწველობა. სოფლის მეურნეობა 80%-ით უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო ტურიზმს. საზღვაო პორტებია: ბიზერტა, ლა-გულეტი, ტუნისი, ჰაბესი, სუე, ჯარჯისი. საერთაშორისო აეროპორტი: კართაჟი (ტუნისი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 35,8 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარებისა (27,0), სამხედრო-საჰაერო (4,0) და სამხედრო-საზღვაო (4,8) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციალდება გაწვევით.

178. უგანდა (უგანდას რესპუბლიკა) სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 236 ათასი კმ^2. მოსახლეობა 32,3 (2009წ.). ოფიციალური ენებია – ინგლისური და სუაჰილი. დედაქალაქი – ქ. კამპალა. ადმინისტრაციული დაყოფა: 4 ოლქი. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1962 წელს. რესპუბლიკად გამოცხადდა 1967 წლის 8 სექტემბერს. უგანდა სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. გააჩნია სპილენძის, რკინის, ვოლფრამის საბადოები. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურებია: ყავა, ჩაი, თამბაქო. საერთაშორისო აეროპორტი: ენტებე.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 45,0 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო კომპონენტს და ტბის ფლოტს (ტბა ვიქტორიაზე). დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობით.

179. უზბეკეთი (უზბეკეთის რესპუბლა) სახელმწიფო შუა აზიაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი – 447,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 27,6 (2009წ.), მათ შორის 75% უზბეკია. ოფიციალური ენა –უზბეკური. დედაქალაქი – ქ. ტაშკენტი. ადმინისტრაციული დაყოფა: 12 მხარე და ყარაკალ-პაკისტანის რესპუბლიკა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ოლი მეჯლისი (პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე უზბეკეთმა, რომელიც შედიოდა სსრკ-ში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 31 აგვისტოს. უზბეკეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. უზბეკეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მრეწველობის

მოწინავე დარგებია: სამთო-მოპოვება, მანქანათმშენებლობა, ფერადი მეტალურგია, ბამბის მოყვანა, მეცხვარეობა. საერთაშორისო აეროპორტი: ტაშკენტი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 55,0 ათასი კაცი(2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (40,0), სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (15,0), ასევე, ეროვნული გვარდიისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

180. უკრაინა სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის სამხრეთი შემოსაზღვრულია შავი ზღვით, სამხრეთ-აღმოსავეთი აზოვის ზღვით. ფართობი – 603,7 ათასი კმ^2. მოსახლეობა 47,8 მლნ კაცი (2010წ.), მათ შორის 73% უკრაინელია. ოფიციალური ენა – უკრაინული. დედაქალაქი – ქ. კიევი. ადმინისტრაციული დაყოფა: 24 მხარე, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა და ორი ქალაქი მხარეს სტატუსით. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – რადა (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა). თანამედროვე უკრაინამ, რომელიც შედიოდა სსრკ-ში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 24 აგვისტოს. უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. უკრაინა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის მოწინავე დარგებია: სამთო-მოპოვებითი, ჰიდროელექტრო ენერგეტიკა, ფერადი და შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, კოქსოქიმიური, ნავთობქიმიური, მსუბუქი, კვების. მრეწველობა. სოფლის მეურნეობა სპეციალიზირდება ხორბლის, ტექნიკური კულტურების მოყვანასა და მეცხოველეობაზე. მთავარი საზღვაო პორტებია: ოდესა, ილიჩევსკი, მარიუპოლი, იზმაილი, ნიკოლაევი, ქერჩი. ავიახაზების უმნიშვნელოვანესი ცენტრებია: კიევი, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, ოდესა, ლვოვი და სხვ.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 159,0 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (80,0), სამხედრო-საჰაერო (55,0), სამხედრო-საზღვაო (15,4) ძალებისგან. უმაღლესი მთავარსარდალი – პრეზიდენტია, რომელიც მართავს შეიარაღებულ ძალებს თავდაცვის სამინისტროს, გენ.შტაბისა და სახეობების შტაბების საშუალებით. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

181. უნგრეთი (უნგრეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ზღვებზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 93 ათასი კმ^2. მოსახლეობა 10,1 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – უნგრული. დედაქალაქი – ქ. ბუდაპეშტი. ადმინისტრაციული დაყოფა: 19 მედიე (მხარე). სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია სახელმწიფო კრებას (ერთპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). თანამედროვე უნგრეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1918 წლიდან. 1949-დან 1990 წლამდე იწოდებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკად. არის ნატოს-ს წევრი ქვეყანა. უნგრეთი განვითარებული ინდუსტრიალურ-აგრარული ქვეყანაა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. საერთაშორისო აეროპორტია: ფარიჰედი (ბუდაპეშტი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 26000 (2010წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (10,9), სამხედრო-საჰაერო ძალებს (5,7) და სასაზღვრო (11,4) ჯარებს. რეზერვი – 44000 კაცი. დაკომპლექტებაა ხორციელდება დაქირავებით.

182. ურუგვაი (ურუგვაის აღმოსავლეთ რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. ქვეყნის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია ატლანტის

ოკეანით. ფართობი 176,2 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 3,4 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი- მონტევიდეო. ადმინისტრაციული დაყოფა: 19 დეპარტამენტი. სახელმწიფოს და მთავრობის მეათაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – გენერალური ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი). ურუგვაი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1828 წლიდან. ურუგვაი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. არის მეცხოველეობის პროდუქციის მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორი. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: მონტევიდეო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 24,6 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (16,2), სამხედრო-საჰაერო (2,9) და სამხედრო-საზღვაო (15,4) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

183. ფილიპინები (ფილიპინების რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, განლაგებული ფილიპინების არქიპელაგის 7107 კუნძულზე (მათგან მხოლოდ 800 დასახლებული). ფართობი 300 ათასი კმ^2. მოსახლეობა 97,9 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ტაგალური. დედაქალაქი – ქ. მანილა. ადმინისტრაციული დაყოფა: 74 პროვინცია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობის პირველი აღიარება მოხდა 1898 წელს, მეორე 1943 წელს. ფილიპინები განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. განვითარებულია სამთო-მოპოვებითი (რკინა, სპილენძი, ქრომი, ნიკელი, ოქრო, ვერცხლი, ქვანახშირი), ქიმიური, ნავთობგადანაანუშავებელი, მეტალურგიული, ელექტრონული, და სხვ. მრეწველობა. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია: ქოქოსის პალმა, შაქრის ლერწამი, თამბაქო, ციტრუსები, ტროპიკული ხილი. მსხვილი საზღვაო პორტებია: მანილა, ბოტაიგასი, ლეგასპი, კაგაიაი-დელ-ორო, სუბიკ-ბეი, ილოილო. საერთაშორისო აეროპორტი: მანილა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 120,0 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (80,0), სამხედრო-საჰაერო (16,0) და სამხედრო-საზღვაო ძალებს (24,0). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

184. ფინეთი (ფინლანდიის რესპუბლიკა) სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი შემოსაზღვრულია ბალტიის ზღვის ბოტნიის, ხოლო სამხრეთი – ფინეთის ყურით. ფართობი 338 ათასი კმ^2. მოსახლეობა 5,2 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფინური და შვედური. დედაქალაქი – ქ. ჰელსინკი. ადმინისტრაციული დაყოფა: 5 ლიანი (გუბერნია). საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია პრეზიდენტს და ერთპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. ფინეთმა დამოუკიდებლობა აღიარა 1917 წელს რუსეთის იმპერიიდან გამოსვლით, რესპუბლიკა გამოაცხადა 1919 წელს. ფინეთი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის დამუშავება, ცელულოზა-ქაღალდის წარმოება. განვითარებულია მეტალურგია, ქიმიური, კვების, მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ სისტემებს, საბრძოლო აღწურვილობას. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი – მეცხოველეობა. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჰელსინკი, კოტკა, ტურკუ, ვარკაუსი. საერთაშორისო აეროპორტია: ვაიტა (ჰელსინკი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 22,6 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (16,0), სამხედრო-საჰაერო (2,7) და სამხედრო-საზღვაო (5,4) ძალებს. რეზერვი – 350,0 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

185. ფიჯი (ფიჯის კუნძულების რესპუბლიკა) სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, იმავე დასახელების არქიპელაგსა და ახლო მდებარე კუნძულებზე (სულ 300 კუნძული, მათგან 100 დაუსახლებელი). ფართობი 18,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 944,0 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. სუვა. ადმინისტრაციული დაყოფა: 4 ოლქი. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1970 წელს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი და შაქრის მრეწველობა. განვითარებულია საფეიქრო, ხის-დამამუშავებელი მრეწველობა, მეთევზეობა. საზღვაო პორტებია: სუვა, ლაუტოკა, ლევუკა, ლებაბხა. საერთაშორისო აეროპორტი: ნანდი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3,5 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (3,2) და სამხედრო-საზღვაო (0,3) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული დაქირავებით.

186. ქუვეითი (სახელმწიფო ქუვეითი) სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სპარსეთის ყურის ნაპირებზე. ფართობი 17,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 2,6 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ელ-ქუვეითი. ქუვეითში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია – ემირი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ემირს და ეროვნულ კრებას, აღმასრულებელი – ემირს და მთავრობას. ქუვეითი 1969 წლიდან დამოუკიდებელი ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის მოპოვება და დამუშავება. საზღვაო პორტებია: მინო-ელ-აჰმადი, მინა-ეშ-შუაიბა, ელ-ქუვეითი. საერთაშორისო აეროპორტი: ელ-ქუვეითი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15,5 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (11,0), სამხედრო-საჰაერო (2,5) და სამხედრო-საზღვაო (2,0) ძალებს, ასევე ეროვნულ გვარდიას. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

187. ყაზახეთი (ყაზახეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო ევრაზიის ცენტრალურ ნაწილში. მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდებარეობს ევროპაში, დანარჩენი – აზიაში. სამხრეთ-დასავლეთი გადის კასპიის ზღვაზე. ფართობი 2717,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა – 16,4 (2011წ.), აქედან 51% ყაზახები. ოფიციალური ენა – ყაზახური, რუსული წარმოადგენს ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენას. დედაქალაქი – ქ. ასტანა. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 მხარე და 3 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტი. თანამედროვე ყაზახეთმა, რომელიც შედიოდა სსრკ-ში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 16 დეკემბერს. ყაზახეთი დსთ-ს წევრი ქვეყანაა. ყაზახეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა მძლავრი მენერალური ნედლეულის ბაზით. მრეწველობის მოწინავე დარგებია: სამთო-მოპოვებითი, ფერადი და შავი მეტალურგია,

მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის – მარცვლეული კულტურები, მეცხოველეობა. საზღვაო პორტებია: აქტაუ, ატირაუ. საერთაშორისო აეროპორტებია: ალმა-ატა, ასტანა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 49,0 ათასი კაცი (2007წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (24,0), სამხედრო-საჰაერო (19,0), სამხედრო-საზღვაო (3,0) ძალების და რესპუბლიკური გვარდიისგან (2,5). დაკომპლექტება ხორციელდება შერეული ფორმით (გაწვევით და დაქირავებით).

188. ყირგიზეთი (ყირგიზეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო შუა აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი – 198,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 5,4 მლნ კაცი (2009წ.), მათ შორის 60% ყირგიზია. ოფიციალური ენა – ყირგიზული. დედაქალაქი – ქ. ბიშკეკი. ადმინისტრაციული დაყოფა: 6 მხარე. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე ყირგიზეთმა, რომელიც შედიოდა სსრკ-ში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 15 დეკემბერს. ყირგიზეთი დსთ-ს წევრი ქვეყანაა. ყირგიზეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მრეწველობის მოწინავე დარგებია: სამთო-მოპოვებითი, ჰიდროელექტრო ენერგეტიკა, ფერადი და შავი მეტალურგია, ბამბა, მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი: ბიშკეკი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,9 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (8,5) და სამხედრო-საჰაერო (2,4) ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული ფორმით (გაწვევით და დაქირავებით).

189. შვედეთი (შვედეთის სამეფო) სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. ქვეყნის აღმოსავლეთი და სამხრეთი შემოსაზღვრულია ბალტიის ზღვით, სამხრეთ-დასავლეთი ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვის დამაკავშირებელი სრუტეებით. ფართობი 450 ათასი კმ^2. მოსახლეობა 9,1 მლნ კაცი (2010წ.). 90 % შვედებია. ოფიციალური ენა – შვედური. დედაქალაქი – ქ. სტოკჰოლმი. ადმინისტრაციული დაყოფა: 21 ლიონი (ოლქი). შვედეთში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია – მეფე, რომელიც ძირითადად ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს. საკანმდებლო ორგანო – რიკსტაგი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. შვედეთმა მსოფლიო ომებში შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი. შვედეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, ინტენსიური სოფლის მეურნეობით. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ცელულოზა-ქაღალდის წარმოება, ხის დამუშავება, შავი და ფერადი მეტალურგია, კვების მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს სარაკეტო და საარტილერიო სისტემებს, ჯავშანტექნიკასა და საავიაციო ტექნიკას, ხომალდებს, ელექტრო აპარატურასა და ხელსაწყოებს. სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს ადგილობრივი მოთხოვნილების 80%-ს. ძირითადი საზღვაო პორტებია: გეტებორგი, ჰელსინგბორგი, ლულეო, სტოკჰოლმი, მალმე. საერთაშორისო აეროპორტებია: არლანდა (სტოკჰოლმი), ლანდვეტერი (გეტებორგი).

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 13,0 (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (5,9), სამხედრო-საჰაერო (4,3) და სამეფო სამხედრო-საზღვაო

(2,8) ძალებს. რეზერვი – 262,0 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

190. შვეიცარია (შვეიცარიის კონფედერაცია) სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 41,3 ათასი კმ^2. მოსახლეობა 7,6 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული. დედაქალაქი – ქ. ბერნი. ადმინისტრაციული დაყოფა: 23 კონტონი. შვეიცარია – ფედერაციული საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და პარლამენტის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ფედერალური კრება (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – ფედერალური საბჭო (მთავრობა). შვეიცარიის შექმნის თარიღად ითვლება 1291 წელი. XX საუკუნის ომებში შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი, რომელიც გამოაცხადა 1814-1815 წლებში. შვეიცარია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, ინტენსიური სოფლის მეურნეობით. წარმოადგენს მსოფლიოს საფინანსო ცენტრს. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, საათების წარმოება, ქიმიური, შავი და ფერადი მეტალურგია, ფარმაცევტიკის და კვების მრეწველობა. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს ადგილობრივი მოთხოვნილების 60%-ს. საერთაშორისო აეროპორტებია: ციურიხი, ჟენევა.

შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან (4,2). სახმელეთო ძალები მობილიზების შემთხვევაში აღწევს 197,0 ათასს კაცა, ხოლო სამხედრო-საჰაერო ძალები – 27,1 ათასი კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული მილიციური სისტემით.

191. შრი-ლანკა (შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ინდოეთის ოკეანეში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე. ფართობი 65,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 21,3 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენები – სინგალური, თამილური, ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კოლომბო. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია პრეზიდენტს და ერთპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობას მიაღწია 1948 წელს ცეილონის სახელით. 1972 წელს გამოაცხადა შრი-ლანკის რესპუბლიკა, 1978 წელს – მიიღო თანამედროვე დასახელება. შრი-ლანკა აგრარული ქვეყანაა განვითარებადი მრეწველობით. საზღვაო პორტებია: კოლომბო, ტრინკომალი, გალე. საერთაშორისო აეროპორტი: კოლომბო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 160,0 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (78,0), სამხედრო-საჰაერო (28,0) და სამხედრო-საზღვაო (15,0) ძალებს და სამხედრო პოლიციეს (39,0). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

192. ჩადი (რესპუბლიკა ჩადი) სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1248 ათასი კმ^2. მოსახლეობა 10,3 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენები – ფრანგული, არაბული. დედაქალაქი – ქ. ნჯამენა. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 პრეფექტურა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წელს. ჩადი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა,

ერთ-ერთი უღარიბესი აფრიკის კონტინენტზე. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი: ნჯამენა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 25,3 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (17,0), სამხედრო-საჰაერო ძალების (0,3) რესპუბლიკური გვარდიის (5,0) და ჟანდარმერიისაგან (3,0). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

193. ჩეხეთი (ჩეხეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ზღვებზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 78,9 ათასი კმ^2. მოსახლეობა 10,2 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ჩეხური. დედაქალაქი – ქ. პრაღა. ადმინისტრაციული დაყოფა: 14 მხარე. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. ჩეხეთი 1948 წლიდან შედიოდა ჩეხოსლოვაკეთის სახალხო რესპუბლიკაში, 1960 წლიდან ჩეხოსლოვაკეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში, 1990 წლის 20 აპრილიდან ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციაში, 1993 წლის 1 იანვარს გამოვიდა აღნიშნული ფედერაციიდან. არის ნატოს-ს წევრი ქვეყანა. ჩეხეთი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. მრეწველობის წამყვანი დარგებია: შავი მეტალურგია, ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის დამუშავება, ცელულოზა-ქაღალდის წარმოება. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ სისტემებს, საბრძოლო აღჭურვილობას, თვითმფრინავებს, რადიო-ელექტრონულ აპარატურას. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები – მარცვლეული კულტურების, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის მოყვანა და მეცხოველეობაა. საერთაშორისო აეროპორტია: პრაღა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 17,9 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (13,6), სამხედრო-საჰაერო (4,3) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

194. ჩილე (ჩილეს რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. ქვეყნის მთელი დასავლეთი მხარე შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით. ფართობი 756,6 ათასი კმ^2. მოსახლეობა 16,6 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სანტიაგო. ადმინისტრაციული დაყოფა: 13 მხარე. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1810 წელს. ჩილე ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: სამთო მოპოვება (სპილენძი, სელიტრა, მოლიბდენ, რკინის და ნიკელის მადანი, ვერცხლი, ოქრო და ა.შ.), მეტალურგია, ნავთობქიმიური, ხის დამამუშავებელი, კვებითი. სოფლის მეურნეობა სრულად უზრუნველყოფს ადგილობრივ მოსახლეობას და ნაწილობრივ გადის ექსპორტზე. მსხვილი საზღვაო პორტებია: ანტოფაგასტა, ვალპარაისო, კაკიმბო, იკიკე, არიკა. საერთაშორისო აეროპორტი: სანტიაგო.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 60,5 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (35,0), სამხედრო-საჰაერო (7,7) და სამხედრო-საზღვაო (17,8) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

195. ჩინეთი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყნის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია ყვითელი, აღმოსავლეთ-ჩინეთის და სამხრეთ-ჩინეთის ზღვებით. ფართობი 9,6 მლნ. კმ^2. მოსახლეობა 1 338 ათასი კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ჩინური. დედაქალაქი – ქ. პეკინი. ადმინისტრაციული დაყოფა: 23 პროვინცია (ტაივანის ჩათვლით), 5 ავტონომიური რაიონი, 4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი და სიანგანის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი. უმაღლესი ხელისუფლება და საკანონმდებლო ორგანო – სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება. სახელმწიფოს მეთაური - სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მიერ არჩეული თავმჯდომარე. აღმასრულებელი ორგანო – სახელმწიფო საბჭო (მთავრობა). 1911 წელს შეიქმნა ჩინეთის რესპუბლიკა. 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩინეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ბირთვული სახელმწიფოა. ჩინეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ფლობს ნედლეულის მნიშვნელოვან მარაგებს. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა. განვითარებულია მეტალურგია, ქვანახშირის, ნავთობის მოპოვება. მაღალი განვითარება ჰპოვა სამხედრო მრეწველობამ. წარმატებით ხორციელდება კოსმოსური კვლევები. სოფლის მეურნეობა ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე. მას უკავია ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მსოფლიოში მარცვლეულის, ბამბის, ხორცის, ბრინჯის წარმოებაში. მის ტერიტორიაზე განთავსებულია 116 საზღვაო პორტი, მათგან უმსხვილესია: შანჰაი, დალიანი, გაოსიუნი, ცინჰუანდო, ნანკინი, ნინბოცინდაო.

110-ზე მეტი აეროპორტია, მათგან 58-ს შეუძლია მიიღოს მძიმე ლაინერები.

შეიარაღებული ძალები (სახალხო-განმანთავისუფლებელი არმია) საერთო შემადგენლობით 2.2 მლნ კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (1,6), სამხედრო-საჰაერო (0,4), და სამხედრო-საზღვაო (0,25) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

196. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 623 ათასი კმ^2. მოსახლეობა 4,5 მლნ კაცი (2010წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ბანგი. ადმინისტრაციული დაყოფა: 16 პრეფექტურა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 13 აგვისტოს. ჩადი აგრარული, ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანაა აფრიკის კონტინენტზე. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია ყავის მოყვანა, ხე-ტყის დამუშავება. წარმოებს ალმასებისა და ოქროს მოპოვება. საერთაშორისო აეროპორტი: ბანგაი.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3,1 ათასი კაცი (2009წ.) შედგება სახმელეთო ჯარების (2,0), სამხედრო-საჰაერო ძალების (0,1) და რესპუბლიკური გვარდიისგან (1,0). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

197. ხორვატია (ხორვატიის რესპუბლიკა) სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი შემოსაზღვრულია ადრიატიკის ზღვით. ფართობი 56,5 ათასი კმ^2. მოსახლეობა 4,4 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ხორვატიული. დედაქალაქი – ქ. ზაგრები. ადმინისტრაციული დაყოფა: 20 ჟუპანი (პროვინცია).

სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია სობორს (არება) (ორპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მთავრობას. ხორვატია მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 1945-დან 1991 წლიდან შედიოდა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში. 1991 წლის 25 ივნისს გამოვიდა აღნიშნული ფედერაციიდან და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. არის ნატოს-ს წევრი ქვეყანა. ხორვატია განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. მრეწველობის წამყვანი დარგებია: ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია – მარცვლეული კულტურების, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის მოყვანა. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტებია: რიეკა, ომიშალი, სპლიტი, შიბენეკი. საერთაშორისო აეროპორტია: ზაგრები.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 18,6 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (14,3), სამხედრო-საჰაერო (3,5) და სამხედრო-საზღვაო (1,8) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

198. ჯიბუტი (ჯიბუტის რესპუბლიკა) სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვეყნის აღმოსავლეთი შემოსაზღვრულია ადენის ყურით. უკავია სტრატეგიული მდებარეობა ბა-ელ-მანდების სრუტესთან, რომელიც აერთებს წითელ ზღვას არაბეთის ზღვასთან. ფართობი 23,4 ათასი კმ^2. მოსახლეობა 724,0 ათასი კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – არაბული, ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ჯიბუტი. ადმინისტრაციული დაყოფა: 4 მხარე და დედაქალაქის რაიონი. სახელმწიფოს მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1977 წლის 27 ივნისს. ჯიბუტი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. დიდ როლს თამაშობს მომსახურების სფერო და სატრანსპორტო მომსახურება. საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: ჯიბუტი.

შეიარაღებული ძალები საერთო მდგომარეობით 10,45 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (10,0), სამხედრო-საჰაერო (0,25) და სამხედრო-საზღვაო (0,2) ძალებს. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

199. ჰაიტი (ჰაიტის რესპუბლიკა) სახელმწიფო კუნძულ ჰაიტის დასავლეთ ნაწილსა და მიმდებარე დიდი ანტილის კუნძულებზე. ფართობი 27,8 ათასი კმ^2. მოსახლეობა 9,0 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. პორტ-ო-პრენსი. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 დეპარტამენტი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი). ჰაიტი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1804 წლიდან. ჰაიტი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში.

შეიარაღებული ძალები არ გააჩნია, თუმცა კონსტიტუციით არ არის გაუქმებული.

200. ჰონდურასი (ჰონდურასის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ქვეყნის ჩრდილოეთი მხარე შემოსაზღვრულია ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი გადის წყნარ ოკეანეზე. ფართობი 112,1 ათასი კმ^2. მოსახლეობა 7,8 მლნ კაცი (2009წ.). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ტეგუსიგალპა. ადმინისტრაციული დაყოფა: 18 დეპარტამენტი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული

ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებელი ქვეყანაა 1821 წლიდან. ჰონდურისი ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა (მთავარი საექსპორტო კულტურა ბანანებია). მსხვილი საზღვაო პორტებია: პუერტო-კორტესი, ლა-საიბა, ტელა კარიბის ზღვაზე და ჩოპუტეკა წყნარ ოკეანეზე. საერთაშორისო აეროპორტი: ტეგუსიგალპა.

შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 12,0 ათასი კაცი (2009წ.) შეიცავს სახმელეთო ჯარებს (8,3), სამხედრო-საჰაერო (2,3) და სამხედრო-საზღვაო ძალებს, სანაპირო დაცვით (1,4). დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

201. სადღესასწაულო დღეები – შეიარაღებულ ძალებში აღსანიშნავი სამხედრო დღესასწაულების დღეები შესაბამისი სამხედრო ზეიმობის და რიტუალების მოწყობით. მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში ყოველწლიური საერთო-სახელმწიფო დღესასწაულების და მხედრული დიდების დღეების გარდა, რომლებიც ოფიციალურად არის გამოცხადებული სადღესასწაულო დღეებად, დღესასწაულია, აგრეთვე მხედრული ფიცის დადების დღე და ჯარის ნაწილის ყოველწლიური ზეიმი. სამხედრო ნაწილებში, ჩვეულებრივ, სადღესასწაულოდ აღინიშნება საბრძოლო დროშის გადაცემა, სამთავრობო (სახელმწიფო) ჯილდოებით დაჯილდოება, ქვედანაყოფებში ახალჩამოსული შევსების განაწილება, პირადი შემადგენლობისთვის იარაღის და სამხედრო ტექნიკის გადაცემა, რეზერვში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა გაცილება და ა.შ.

202. საერთაშორისო არბიტრაჟი (იხ. საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა 1/76) 1/80.

203. საერთაშორისო ატომური სამართალი – იურიდიული ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც არეგლამენტებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ატომური ენერგიის გამოყენების დარგში. წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარგს და არეგულირებს როგორც ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებს, ისე ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის პრობლემებს. საერთაშორისო ატომური სამართლის ნორმები და პრინციპები ეფუძვნება საერთაშორისო სახელშეკრულებო პრაქტიკას შესაბამის საკითხებზე, ვითარდება და ივსება საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგატე, ევროპის ბირთვული ენერგიის სააგენტო და სხვ.) სამართლებრივი აქტებით.

204. საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. მის შესაბამისად სახელმწიფოებს შორის უთანხმოებანი და დავა უნდა წყდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. პრინციპი ავალდებულებს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის უთანხმოებების და დავის წარმოშობისას არ მიმართონ ძალას და ძალის გამოყენების მუქარას, თავი შეიკავონ ყოველგვარი მოქმედებისგან, რომელმაც შეიძლება, გაამწვავოს დავა. საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპი პირველად ჩამოყალიბდა პარიზის 1928-ის ხელშეკრულებაში ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის, საერთაშორისო დავების და კონფლიქტების მოგვარების იარაღზე, უარის თქმის შესახებ. ომისშემდგომ პერიოდში იგი დამკვიდრდა გაეროს წესდებით, გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოებს შორის მეგობრობის, ურთიერთობის და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო

სამართლის პრინციპების დეკლარაციით; ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის თათბირის დოკუმენტებით, გაეროს მანილის (1982) დეკლარაციით საერთაშორისო დავის გადაჭრა უნდა ეფუძვნებოდეს სახელმწიფოთა სუვენერულ თანასწორობას და მათ უფლებას, თავისუფლად აირჩიონ დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებანი. ასეთ საშუალებათაგან ძირითადია: მხარეთა მოლაპარაკებები, კონსულტაციები, გამოკვლევა, შერიგება, კეთილი მომსახურება, შუამავლობა, საერთაშორისო არბიტრაჟი, სასამართლო გარჩევა.

205. საერთაშორისო დანაშაულობები – უმძიმესი საერთაშორისო მართლსაწინაღმდეგო ქმედება, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოების და ერების არსებობის საფუძვლებს. ძირს უთხრის საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ სისტემას და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას. საერთაშორისო დანაშაულობები, რომლებსაც აგრეთვე მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს უწოდებენ, ჩამოყალიბებულია მთელ რიგ საერთაშორისო–სამართლებრივ აქტებში. ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საერთაშორისო დანაშაულობებისთვის.

206. საერთაშორისო დაძაბულობის კერა – მსოფლიოს ტერიტორიული რაიონი, რომელსაც ახასიათებს მწვავე კონფრონტაცია იქაურ სახელმწიფოებს ან ამ სახელმწიფოებში არსებულ სოციალურ ძალებს შორის, რაც ართულებს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას რეგიონში ან მთლიანად მსოფლიოში. საერთაშორისო დაძაბულობის კერაში დაპირისპირებული მხარეები, რომელთა მტრულმა ურთიერთობამ სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის ფორმა მიიღო, როგორც წესი, მზად არიან, გამოიყენონ ან უკვე მეტნაკლებად იყენებენ სამხედრო ძალას. ესკალაციის შემთხვევაში შეიძლება, გახდეს შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის ან ომის დაწყების გეოპოლიტიკური წყარო.

207. საერთაშორისო კოსმოსური სამართალი – იმ იურდიული ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა (საერთაშორისო ორგანიზაციათა) საქმიანობას კოსმოსურ სივრცეში, მთვარეზე და სხვა ციურ სხეულებზე. წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარგს და ეფუძვნება როგორც მის ზოგად, ისე სპეციალურ პრინციპებს, რომლებიც შეეხება სახელმწიფოს საქმიანობას კოსმოსში. ძირითადი დოკუმენტებია: 1967-ის ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ, 1968-ის შეთანხმება კოსმონავტთა შველის შესახებ, 1979-ის შეთანხმება მთვარეზე და სხვა ციურ სხეულებზე სახელმწიფოთა საქმიანობის შესახებ და სხვ.

208. საერთაშორისო მეურვეობა – ზოგიერთი დამოკიდებული ტერიტორიის მართვის სისტემა, რომელიც ხორციელდება გაეროს სახელით და ხელმძღვანელობით. შეიქმნა 1939-45 მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. კოლონიური სისტემის დაშლის გამო არასტრატეგიული სამეურვეო ტერიტორიები დამოუკიდებელნი გახდნენ. 1986-ში მეურვეობის საბჭომ, ხოლო 1990-ში – უშიშროების საბჭომ დაადასტურეს, რომ მეურვეობის შეთანხმება მთლიანად არის შესრულებული, და მისი მოქმედება წყდება.

209. საერთაშორისო საზღვაო სამართალი – სამართლებრივი ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც არეგლამენტებენ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს მსოფლიო ოკეანის გამოყენების საქმეში. როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი ეფუძვნება რა მის საერთო პრინციპებს აქვს თავისი სპეციალური პრინციპები, როგორიცაა: ყველა სახელმწიფოების თანაბარი უფლება მსოფლიო ოკეანის გამოყენების საქმეში; ზღვისპირა და არაზღვისპირა სახელმწიფოების უფლებების თანხვედრა; სახელმწიფოს განსაკუთრებული იურისდიქცია მისი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე და სხვ. ძირითადი ყოვლისმომცველი დოკუმენტი – საზღვაო სამართლის 1982 წლის გაერო-ს კონვენცია.

210. საერთაშორისო სამართალი – იმ იურდიული პრინციპების და ნორმების სისტემა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს და აწესებენ მათ ორმხრივ უფლებებს და მოვალეობებს. ჩაისახა სახელმწიფოთა წარმოშობის ეპოქაში და თავდაპირველად არეგულირებდა უმთავრესად სამხედრო ურთიერთობებს. მე-16-17 საუკუნეებში საერთაშორისო სამართლით დამკვიდრებული იყო სახელმწიფოთა სუვერენიტეტის და თანასწორუფლებიანობის, ზღვების თავისუფლების პრინციპები, დაწესდა უცხოელთა სტატუსი და მუდმივი საელჩოების ინსტიტუტი. ახალ ხანაში საერთაშორისო სამართლის თეორიამ და პრაქტიკამ შემდგომში განვითარება პოვეს. მე-19-ში, მე-20-ის დამდეგს სისტემატიზებულ იქნა ომის კანონები და ჩვეულებანი. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და ნორმები დამკვიდრებულია გაეროს წესდებით, გაეროს 1970-ის დეკლარაციით საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებით. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებია: მშვიდობიანი თანაარსებობა, თავდაუსხმელობა, ერების თვითგამორკვევა, დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა, განიარაღება, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, ომის პროპაგანდის აკრძალვა, საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაცვა. საერთაშორისო სამართლის ნორმებს ნებაყოფლობით ასრულებენ მისი სუბიექტები. მაგრამ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ ნორმებს არღვევენ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულება (ინდივიდუალური ან კოლექტიური).

211. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი – მე-2 მსოფლიო ომის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა დევნის და დასჯის სასამართლო ორგანო. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ფაშისტური გერმანიის სამხედრო დამნაშავეებისთვის შეიქმნა 1945-ის 8.8 სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობათა ლონდონის შეთანხმებით (ნიურნბერგის პროცესი). შორეული აღმოსავლეთისთვის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი შეიქმნა 1946-ის 19.1 (ტოკიოს პროცესი).

212. საერთაშორისო საჰაერო სამართალი – იმ ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც კვლევითი და სხვა მიზნებისთვის არეგულირებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს საერთაშორისო საჰაერო გადაადგილებისთვის საჰაერო სივრცის გამოყენების დარგში. წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარგს და ემყარება მრავალმხრივ და ორმხრივ შეთანხმებებს, აგრეთვე ჰაერნაოსნობის სფეროში დამკვიდრებულ ზოგიერთ

ჩვეულებას. ძირითადი დოკუმენტებია: საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია (ჰააგა, 1970), საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის კონვენცია (მონრეალი, 1977), ღია ცის ხელშეკრულება (1992) და სხვ.

213. საერთაშორისო წყლები (იხ. ღია ზღვა 2/250) 2/51.

214. სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსი – ძირითადი საერთო – სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს სავაჭრო ზღვაოსნობის დროს წარმოქმნილ ურთიერთობებს. არეგლამენტებს საკითხებს, რომლებიც განეკუთვნება გემებს და მათ ეკიპაჟებს, საზღვაო არასამხედრო ნავსადგურების საქმიანობას, სახელმწიფო საზღვაო ლოცმანებს, ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას და სხვ. არ ვრცელდება სამხედრო გემებზე, ზღვაზე გადარჩენისთვის გასამრჯელოს საკითხთა გარდა. არასამხედრო გემებით საზღვაო სამხედრო გადაზიდვა-გადაყვანის დროს გამოიყენება იმ ნაწილში, რომელსაც არ ითვალისწინებს სხვაგვარი სპეციალური კანონმდებლობა.

215. საზეიმო მარში – 1. სამხედრო ნაწილების (ქვედანაყოფების) სამწყობრო გავლა მუსიკის თანხლებით აღლუმზე, სამწყობრო დათვალიერებებზე და მხედრული რიტუალების ჩატარებისას. საზეიმო მარში ქვეითთა მწყობრში სრულდება სამწყობრო ნაბიჯით, ხოლო მანქანებზე – შეზღუდული სიჩქარით. 2. ჰეროიკული, საზეიმო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; მუსიკის ჟანრი.

216. საზღვაო კონვენცია – საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ერთ-ერთი ფორმა, რომლებიც არეგლამენტებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს მსოფლიო ოკეანის გამოყენების სფეროში. რიგი საზღვაო კონვენციებისა ზღვაზე შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში მეომარ, არამეომარ და ნეიტრალურ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს არეგულირებენ.

217. სამართლებრივი აღზრდა – შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა მიზანმიმართული ზემოქმედება ცნობიერებასა და ყოფაქცევაზე მათთვის ღირებულებრივი ორიენტაციების, ისეთი მოტივების და განწყობილების გამოსამუშავებლად, რომლებიც შთააგონებენ, ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში იმოქმედონ იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს და არეგლამენტებენ სამხედრო საქმიანობას. მოქალაქეთა უფლებამოვალეობებს, რომლებიც განსაზღვრავენ და არეგლამენტებენ სამხედრო საქმიანობას.

218. სამხედრო არქივები – 1. დოკუმენტური მასალების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნა სამხედრო ნაწილების და სხვა სამხედრო ფორმირებების საქმიანობის პროცესებში. 2. დაწესებულება, რომელიც ახორციელებს დამთავრებული საქმისწარმოებით სამხედრო დოკუმენტაციის მიღებას, შენახვას, სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებას და გამოყენებას.

219. სამხედრო ბეგარა – ისტორიულად დამკვიდრებული ან მიღებული და შესაბამისი სახელმწიფო აქტებით განმტკიცებული თავისი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასავლელად მოქალაქეთა გაწვევის იძულებითი წესი. სამხედრო ბეგარის ისტორიული ფორმებია: წოდებრივი, სათემო, საყოველთაო და მათი შეხამებანი. საყოველთაო სამხედრო ბეგარა პირველად იქნა შემოღებული საფრანგეთში 1798 წელს, ხოლო მეტ წილ სახელმწიფოში მიიღეს მე-19 საუკუნეში – მე-20 საუკუნის დამდეგს (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ.). მშვიდობიან დროს

შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობითი წესით (კონტრაქტებით).

220. სამხედრო გეოგრაფია – გეოგრაფიის სპეციალური დარგი, რომელიც იკვლევს პოლიტიკური ძალების განლაგებას, ქვეყნების (სახელმწიფოთა კოალიციების) ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს, ბუნებრივ პირობებს და მათ გავლენას ომის (საომარი მოქმედების) მზადებასა და წარმოებაზე.

221. სამხედრო გეოგრაფიული რაიონი – დედამიწის გეოგრაფიულად განკერძოებული ნაწილი, რომელიც მოიცავს გარკვეულ კონტინენტს (კონტინენტის ნაწილს) მომიჯნავე აკვატორიის ზოლით, შიდა ზღვებით, ასევე საჰაერო-კოსმოსური სივრცით მის თავზე. სამხედრო-გეოგრაფიული რაიონის საზღვრები საბძოლო მოქმედების თეატრის საზღვრებისგან განსხვავებით ძირითადად განისაზღვრება სამხედრო-გეოგრაფიული პირობებით. თითოეული რაიონისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური და შედარებით მდგრადი ფიზიკო-გეოგრაფიული, სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური და ეთნოგრაფიული ვითარება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს შესაძლო საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე.

222. სამხედრო დამკვირვებლები – პირნი ცალკეული ქვეყნების სამხედრო ან სამოქალაქო პერსონალის შემადგენლობიდან, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით ან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით არიან გაგზავნილი შეიარაღებული კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობის ან სამხედრო საქმიანობის სფეროში დადებულ შეთანხმებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობისთვის. სამხედრო დამკვირვებლის სტატუსს და ამოცანებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში განსაზღვრავენ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტები ან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება დამკვირვებელთა მოქმედება.

223. სამხედრო დამნაშავეები – ორგანიზატორები, წამქეზებლები და შემსრულებლები დანაშაულობების, რომლებიც მიმართულია მშვიდობის წინააღმდეგ (აგრესიული ომის მომზადება და გაჩაღება), კაცობრიობის წინააღმდეგ (მკვლელობა, ხოცვა-ჟლეტა, გადასახლება და მთელი რიგი სისასტიკენი მოსახლეობის წინააღმდეგ) და ომის დანაშაულობებისთვის (ომის წესების და კანონების დარღვევისთვის). ომის დამნაშავეთა პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ცალკეული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, დამკვიდრებულია იმ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებით და განაჩენებით, რომლებმაც გაასამართლეს ფაშისტური გერმანიის და მილიტარისტული იაპონიის მთავარი სამხედრო დამნაშავენი.

224. სამხედრო დემოკრატია – საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის უძველესი ფორმა, რომელიც კანონზომიერად ყალიბდებოდა პირველყოფილ- თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს შექმნის დაწყების პირობებში. სახელწოდება „სამხედრო დემოკრატია“ პირველად იხმარა ამერიკელმა ეთნოგრაფმა, მეცნიერმა ლ. გ. მორგანმა ნაშრომში „ძველი საზოგადოება“ (1877). იგი ნიშნავს სამხედრო ბელადების ძალაუფლებას პირველყოფილი კოლექტივიზმისა და დემოკრატიის ნაშთების შენარჩუნების პირობებში: სახალხო კრებებს, უხუცესთა საბჭოებს და სხვ. საომარი კონფლიქტების დროს მეომარი

ხდებოდა ყველა მამაკაცი, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება; მხედართმთავარს ირჩევდა სახალხო კრება. თანდათან რაზმი (რომელშიც აჰყავთ ყველაზე მარჯვე მეომრები, რეგულარულად რომ იღებენ გასამჯელოს სამხედრო ნაალაფევიდან) არმიის ბირთვი ხდება; მხედართმთავარის ამალა და უხუცესთა საბჭო ახლადჩასახული სახელმწიფოებრიობის საფუძველს წარმოადგენდა.

225. სამხედრო დისციპლინა – ყველა სამხედრო მოსამსახურის მიერ წესრიგის და იმ წესების განუხრელი დაცვა, რომლებიც დადგენილია კანონებით, სამხედრო წესდებით და მეთაურთა (უფროსთა) ბრძანებებით; ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ჩვეულებრივ, შეიარაღებულ ძალებში ემყარება თითოეული სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისი მხედრული მოვალეობის და სამშობლოს დაცვის პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერებას, მის უსაზღვრო ერთგულებას მშობელი ერისადმი.

226. სამხედრო დიქტატურა – სოციალურ – პოლიტიკური ჯგუფის ან პირთა ვიწრო წრის ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება პირდაპირი ან არაპირდაპირი შეიარაღებული ძალადობის აქტიური გამოყენებით. როგორც წესი, არ გააჩნია ხალხის ფართო მასების მხარდაჭერა. ახასიათებს დემოკრატიული უფლებების და თავისუფლების შეზღუდვა ან სრული გაუქმება, შეიარაღებული ძალადობის ორგანოების (არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური და სხვ.) და საშუალებების გაბატონებული როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, ძალაუფლების შეუზღუდველობა და უკონტროლობა, ოპოზიციური ძალების აკრძალვა და ფიზიკური ჩახშობა, ტერორი თავისუფლად მოაზროვნეთა წინააღმდეგ და ა.შ. სამხედრო დიქტატურა მყარდება გადატრიალების, ამბოხებების, საგანგებო მდგომარეობის დაწესების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შედეგად.

227. სამხედრო დროშა – ნიშანი, რომლიც აერთიანებს სამხედრო ნაწილს და მიუთითებს მის კუთვნილებაზე კონკრეტული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისადმი; მხედრული პატივის სიმბოლო. ხომალდის დროშას ალამს უწოდებენ. გაჩნდა უძველეს დროში. თავდაპირველად სამხედრო დროშის როლს ასრულებდნენ გარკვეული ფიგურები (ბუ, არწივი; ჩვენში – სვანური ლემი), რომლებიც ტარის ზემოდან კეთდებოდა, ხოლო მე-9 საუკუნიდან ტარზე უკვე ქსოვილს ამაგრებენ.

228. სამხედრო დღესასწაულები – საზეიმოდ აღსანიშნავი თარიღები (დღეები), რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დაწესებული ქვეყნის ომების ისტორიის, შეიარაღებული ძალების ცხოვრების ღირშესანიშნავი მოვლენების აღსანიშნავად. ასეთ ყოველწლიურ დღესასწაულთა რიცხვს განეკუთვნება: საერთო-სახელმწიფოებრივი სამხედრო დღესასწაულები იმ უთვალსაჩინოესი სამხედრო მოვლენების აღსანიშნავად, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ერის ისტორიაში და მთლიანად ეროვნულ სამხედრო მშენებლობაში; შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ფლოტების) გვარეობების და ძალების სამხედრო დღესასწაულები უკავშირდება მათი ისტორიის ღირსახსოვარ თარიღებს; ნაწილების (ხომალდების) სამხედრო დღესასწაულები.

229. სამხედრო იდეოლოგია – შეხედულებების და იდეების სისტემა, რომლებიც გამოხატავენ პოლიტიკის სუბიექტების დამოკიდებულებას ომის და შეიარაღებული ძალადობის სხვა ფორმებისადმი, აგრეთვე არმიის, როგორც სამხედრო პოლიტიკის

განხორციელების მთავარი იარაღისადმი. წარმოადგენს იდეოლოგიის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის ნაწილს. სამხედრო იდეოლოგია გამოხატულებას პოულობს ქვეყნის კონსტიტუციასა და სამხედრო დოქტრინაში, სამხედრო წესდებებსა და სხვა დოკუმენტებში, არეგლამენტებს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობას.

230. სამხედრო მართლწესრიგი – შეიარაღებულ ძალებში საერთო და სამხედრო კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა. სამხედრო მართლწესრიგის ხასიათს განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების დანიშნულება, რომელიც დამკვიდრებულია სახელმწიფოს კონსტიტუციით, სამხედრო დოქტრინით და სამხედრო კანონმდებლობით.

231. სამხედრო მემუარები – საბრძოლო მოქმედებების მონაწილეების წერილობითი მოგონებები, რომელიც ეყრდნობა პირად შთაბეჭდილებებს, ჩანაწერებს, დღიურებს, წერილებს, დოკუმენტებს. მათ აქვთ სამეცნიერო, შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

232. სამხედრო მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფა – სახელმწიფოს მიერ დაწესებული ყოველთვიური ფულადი გადასახადები ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით. ჩვეულებრივ სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფას განაპირობებს ნამსახურობა, ინვალიდობის დადგომა და სხვ. სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა აგებულია მათი სამხედრო სამსახურის სახეობის და ხასიათის, თანამდებობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურეების შემადგენლობებთან მიმართებით.

233. სამხედრო მოსამსახურის სტატუსი – სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობა, რომლებიც დადგენილია ქვეყნის კანონმდებლობით. სამხედრო მოსამსახურის სტატუსის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს კონსტიტუცია, სამხედრო მოსამსახურის სტატუსის კანონი, სხვა სახელმწიფო კანონები და ნორმატიული აქტები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლისა და ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.

234. სამხედრო პედაგოგიკა – პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგი, რომელიც სწავლობს სამხედრო მოსამსახურეთა აღზრდის, სწავლების და განათლების, სამსახურებრივი და საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებისთვის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიერი მომზადების კანონზომიერებებს. სამხედრო–პედაგოგიური აზროვნება, რომელიც არმიების შექმნასთან ერთად ჩაისახა, ვითარდებოდა საზოგადოებასა და სამხედრო საქმეში მიმდინარე ობიექტური პროცესების ზემოქმედებით. სამხედრო პედაგოგიკა იმყოფება სამხედრო მეცნიერების და პედაგოგიკის მეცნიერებების შესაყარზე, მჭიდროდ არის დაკავშირებული და თანამოქმედებს ზოგად და სამხედრო ფსიქოლოგიასთან, მეომრის ეთიკასთან, ფიზიოლოგიასთან და ცოდნის სხვა დარგებთან, იყენებს კიბერნეტიკის, ზოგიერთი მათემატიკური მეცნიერების საშუალებებს და მეთოდებს. სამხედრო პედაგოგიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად გვევლინება ცოდნის სისტემა ომის და მთლიანად არმიის შესახებ.

235. სამხედრო პოლიტიკა – საზოგადოების და მისი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების შეხედულებების, ურთიერთობების და საქმიანობის სისტემა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სამხედრო ორგანიზაციის შექმნას, შეიარაღებული ძალადობის საშუალებათა მომზადებას და გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისთვის. სამხედრო პოლიტიკის ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო, მის მიერ შექმნილი ორგანიზაციები და დაწესებულებანი, აგრეთვე სახელმწიფოთა კავშირები. გარკვეულ პირობებში დამოუკიდებელ სამხედრო-პოლიტიკურ აქტიურობას იჩენენ ხალხები, კლასები, ერები და სხვა სოციალური და ეროვნული ჯგუფები, პოლიტიკური მოძრაობანი და პარტიები. სამხედრო პოლიტიკის სუბიექტები არიან აგრეთვე თანამდებობის პირნი, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები, და რიგითი მოქალაქენი, რომელთა უფლება-მოვალეობანი თავდაცვის დარგში განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით. სამხედრო პოლიტიკა გვევლინება როგორც სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. მასში გამოხატულებას პოულობენ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი ეკონომიკური განვითარება, დემოგრაფიული ვითარება, პოლიტიკური ორგანიზაცია, სოციალურ-კულტურული ფაქტორები. სოციალურად შეპირობებული სამხედრო პოლიტიკის ბუნება და მიზნები მას ანიჭებენ, ერთ შემთხვევაში, აგრესიულ, დამპყრობლურ, ხოლო მეორეში – მშვიდობისმოყვარულ თავდაცვითს ხასიათს. სამხედრო პოლიტიკა რეგულარულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე, გარკვეულად უწევს მათ ორგანიზაციას სამხედრო ძალის გამოყენებით ამოცანების გადაწყვეტის ინტერესებისთვის, და სწორად ამიტომ, თვით სამხედრო პოლიტიკას აქვს მრავალწახნაგის ხასიათი, მოიცავს საქმიანობის სამხედრო-ეკონომიკურ, სამხედრო-ტექნიკურ, სამხედრო-საკადრო, და სხვა მიმართულებებს (სამხედრო პოლიტიკის სახეობებს).

236. სამხედრო რიტუალები – სამხედრო ცერემონიალები, მხედრული წესჩვეულებები, საზეიმო ცერემონიები, რომლებიც სრულდება ჯარების ყოველდღიური საქმიანობისას, სადღესასწაულო ზეიმობის დროს, სამხედრო სამსახურის დიდმნიშვნელოვანი ასპექტების და სხვა დაწესებული რიტუალების შემთხვევაში. მხედრული რიტუალები მოიცავს: მხედრული ფიცის დადებას, სამხედრო ნაწილისთვის საბრძოლო დროშის, პირადი შემადგენლობისთვის შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის გადაცემას, ახალჩამოსული შევსების განაწილებას ქვედანაყოფების მიხედვით, ყარაულის გაყრას და შეცვლას, საბრძოლო დროშის გამოტანას და გატანას (სამხედრო-საზღვაო დროშის აღმართვა და ჩამოწევა), სალუტების მოწყობას, ჯარების სამხედრო დათვალიერებებს, საზეიმო მარშებს, მხედრულ პატივგებას, სამხედრო მოსამსახურის დაკრძალვის ცერემონიალებს, რეზერვში დათხოვნილი ან რეზერვის სამხედრო მოსამსახურეების გაცილებას.

237. სამხედრო–საველე სასამართლო – საგანგებო სამხედრო სასამართლო, რომელიც მოქმედებს გამარტივებული და დაჩქარებული პროცედურის მიხედვით. იქმნება ომიანობის დროს ან საგანგებო სიტუაციებში მშვიდობიან დროს სამხედრო სარდლობის მიერ დანიშნულ პირთაგან. განაჩენი ძალაში შედის დაუყოვნებლივ და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

238. სამხედრო სამართალი – სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ნაწილი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამხედრო მშენებლობის და შეიარაღებული ძალების საქმიანობის სფეროში.

239. სამხედრო სამღვდელოება – ეკლესიის წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ფორმირებაში მსახურობენ სულიერი მოძღვრობის, პირადი შემადგენლობის მორალური მხარდაჭერის და რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის მიზნით. რელიგიური კონფესიის ტიპის და ქვეყნის ეროვნული თავისებურებების კვალობაზე სამხედრო სამღვდელოებაში შემავალ პირებს ეწოდებათ სამხედრო მღვდლები, სამხედრო კაპელანები, სამხედრო რაბინები, სამხედრო მოლები და ა.შ. ისინი შეიძლება იყვნენ შეიარაღებული ძალების კადრებში და ჰქონდეთ სამხედრო წოდება, ან რჩებოდნენ სამოქალაქო პირებად. ყველა შემთხვევაში ისინი ფინანსდებიან სამხედრო უწყების მიერ და სარგებლობენ შესაბამისი უფლებით, როგორც წესი, ოფიცერთა შემადგენლობის სტატუსის მიხედვით. სამხედრო სამღვდელოების წარმომადგენლებს ნიშნავენ სამხედრო მმართველობის უმაღლესი ორგანოები ან ხელმძღვანელი საეკლესიო ორგანოები, მაგრამ ყველა შემთხვევაში, – ამ ორ ინსტანციას შორის შეთანხმების საფუძველზე.

კულტის მსახურები ძველ წარსულში გაჩნდნენ არმიებში. სამხედრო-რელიგიურმა სამსახურმა და სამხედრო სამღვდელოების სტატუსმა ოფიციალური სახელმწიფო-იურდიული დამკვიდრება პოვეს მე-16-18 საუკუნეებიდან. მაგალითად, მე-16 საუკუნიდან ფუნქციონირებს სამხედრო კაპელანების სამეფო სამსახური ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში. პოლონეთის სეიმმა 1690-ში პირველად დააწესა სამხედრო სამღვდელოების 36 თანამდებობა ქვეითი ჯარის და კავალერიისთვის, რუსეთში სამხედრო სამღვდელოების ადგილის და როლის იურდიული დამკვიდრება მოხდა 1716-ში, 1775-ში სამხედრო კაპალენების სამსახური საკანონმდებლო წესით გაფორმდა აშშ-ში. 21-ე საუკუნის დამდეგს სამხედრო-რელიგიური სამსახურები მოქმედებს მეტწილ განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყანაში.

240. სამხედრო სოციოლოგია – სპეციალური სოციოლოგიური თეორია, სწავლობს სამხედრო ურთიერთობებს და პროცესებს, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში ყალიბდება, როგორც შედარებით ერთიანი ორგანიზმში და, ამასთანავე, საზოგადოების განუყოფელ ნაწილში. სამხედრო სოციოლოგია იკვლევს როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს საზოგადოებას და არმიას შორის, შეიარაღებული ძალების შიგნით, მათ სტრუქტურულ რგოლებს, საჯარისო კოლექტივებს და სამხედრო მოსამსახურეებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების კანონზომიერებას და მექანიზმებს.

241. სამხედრო წარმოების კონვერსია – მრეწველობის თავდაცვითი დარგების საწარმოო სიმძლავრეების, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის და შრომითი რესურსების ნაწილობრივი ან სრული ორიენტაციის შეცვლა და გამოთავისუფლება სამხედრო საჭიროებებიდან სამოქალაქოზე გადასასვლელად. მისი გამოხატულებაა მატერიალურ-ნივთიერი, საფინანსო, ადამიანთა და სხვა რესურსების გამოყენების მასშტაბის და ინტენსივობის მნიშვნელოვანი შემცირება სამხედრო დანიშნულების პროდუქციის შემუშავების და წარმოების პროცესში. ხორციელდება მსოფლიო ომების დამთავრების შემდეგ პრაქტიკულად ყველა მეომარ ქვეყანაში.

დასკვნითი ლექცია

საქართველოს სახელმწიფო და მისი სამხედრო ორგანიზაცია საჭიროებს ერთიან, გამართულ და მოწესრიგებულ სამხედრო ტერმინებს. ქვეყნისთვის ამის აუცილებლობა განპირობებულია სისტემური სამხედრო აღმშენებლობის და შეიარაღებული ძალების მოქმედებათა შესაბამისი, მიღებული ტერმინებით და ცნებებით ასახვისათვის, რაც ასევე უპირობოდ აუცილებელია ურთიერთობებისას სხვა სახელმწიფოებთან, მით უმეტეს სტრატეგიულ და სამხედრო პარტნიორებთან.

ამ მხრივ, საქართველოს შეექმნა ისტორიული პრობლემები, რაც უმთავრესად განპირობებული იყო თითქმის სამასწლიანი, იძულებითი წყვეტით სამხედრო ხელოვნების თეორიაში საკუთარი, თვითმყოფადი და ქართულ სამხედრო ტრადიციებზე დამყარებული წვლილის შეტანისა. ამის ძირითადი ფაქტორი გახლდათ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა, ჯერ მისი რუსეთის იმპერიაში შეყვანით, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნით, სადაც სამხედრო აზრის და ცნებების ფორმირება მხოლოდ რუსული ტერმინებით აისახებოდა.

მეტწილად სწორედ ამ პერიოდში ხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, საკუთარ ენაზე, თანამედროვე და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამხედრო განმარტებათა და ტერმინთა ფორმირება.

განხილული პრობლემების ფონზე, ქართული სამხედრო ტერმინებისა და მათი განმარტებების კომპლექსური, სისტემური და კლასიფიცირებული წარმოდგენისათვის, ავტორები შეეცადნენ შეექმნათ ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. ვფიქრობთ, რომ იგი მაინც არ იქნება დაზღვეული გარკვეული შეცდომებისგან, რომლის შემდგომ გასწორებაში ექსპერტთა და მკითხველთა იმედიც გვაქვს.

წიგნში განხილულია ტერმინები და მათი განმარტებები, რომლებიც მიეკუთვნება სამხედრო დარგის ისეთ მიმართულებებს როგორებიცაა:

სამხედრო თეორიის საერთო საფუძვლები – საერთო თეორიული მიმართულება, რომელიც სამხედრო დარგის მოვლენებისა და პროცესების სტრუქტურულ და სისტემურ კატეგორიებს ასახავს;

სამხედრო ხელოვნება – სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების და ტაქტიკის ტერმინები და მათი განმარტებები;

შეიარაღებული ძალების მშენებლობა; სამხედრო აღზრდა და სწავლება; შეიარაღება და მისი გამოყენება; შეიარაღებული ძალების მართვა; სამხედრო ეკონომიკა; შეიარაღებული ძალების სახეობები; სამხედრო ისტორია.

საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკის დარგები და მათი სამხედრო გამოყენება.

სხვა საკითხები, მათ შორის ბალისტიკა და სამხედრო თანამედროვე ტექნოლოგიები.

საქართველოში და საზღვარგარეთ მოღვაწე მხედართმთავრები, სამხედრო მოღვაწეები და სამხედრო მეცნიერები.

მიგვაჩნია, რომ ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი საინტერესო აღმოჩნდება სამხედრო პოლიტიკური მოღვაწეებისთვის, შეიარაღებულ და სხვა სამხედრო ძალებში მომსახურე პერსონალისთვის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში მომუშავე სპეციალისტებისთვის, სამხედრო მეცნიერებისთვის, დიპლომატიური კორპუსისთვის, სამხედრო დარგით დაინტერესებული სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტებისთვის, სამხედრო აკადემიის კურსანტებისთვის, მსმენელებისთვის, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ზოგადად დაინტერესებული მკითხველისათვის.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – მ. ხორხელი; გ. ქორიძე; ს. მაისურაძე

პასუხისმგებელი გამოცემაზე – ვ. ოკმელაშვილი